არჩილ ჩაჩხიანი

სომხეთ-საქართველოს ომი

ნაწილი I

„სომხური საკითხის“ დასმიდან
დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიებამდე

თბილისი 2022

არჩილ ჩაჩხიანი

სომხეთ-საქართველოს ომი

ნაწილი I

„სომხური საკითხის“ დასმიდან
დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიებამდე

თბილისი
2022

საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის
კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტი

თბილისი
2022

დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

არჩილ ჩაჩხიანი

სომხეთ-საქართველოს ომი

ნაწილი I

„სომხური საკითხის“ დასმიდან
დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიებამდე

თბილისი
2022

UDC (უაკ) 94 (479.25:479.22)+355.1(479.24)+355.1(479.22)
ჩ - 329

ავტორი: თადარიგის პოლკოვნიკი, პროფესორი **არჩილ ჩაჩხიანი**

რედაქტორი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვახტანგ გურული**
რეცენზენტი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ავთანდილ სონღულაშვილი**

წინამდებარე ნაშრომი სამხედრო-სამეცნიერო ხასიათის გამოკვლევაა, რომელშიც უმდიდრეს წყაროთმცოდნეობით ბაზაზე დაყრდნობით, ქართულ ისტორიოგრაფიაში მეცნიერული თვალსაზრისით პირველადაა წარმოდგენილი სომეხთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და მისი გენეზისი. სრულყოფილადაა გაშუქებული დაშნაკური სომხეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ წარმოებული ომის ისტორიული, იდეოლოგიური და პოლიტიკური წანამძღვრები, მისი დაწყება და მსვლელობა, ოპერაციებისა და ბრძოლების დინამიკა, მათი სამხედრო-სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური ანალიზი, ამ ომის მნიშვნელობა და მისი სამხედრო-პოლიტიკური შედეგები. ნაშრომში მთელი რიგი საკითხები სრულიად ახლებური ინტერპრეტაციითაა წარმოდგენილი.

მონოგრაფია ეძღვნება სომხეთ-საქართველოს ომში დაღუპული ქართველი და სომეხი მეომრების ხსოვნას. იგი განკუთვნილია საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეებისათვის, მეცნიერი-ისტორიკოსებისათვის, აგრეთვე სამხედრო და პოლიტიკური ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

განხილული და მოწონებულია დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ

ტექნიკური რედაქტორი: პოლიტოლოგიის დოქტორი, პოლკოვნიკი **ნოდარ ხორბალაძე**
ტექნიკური ჯგუფის უფროსი: **ზაზა ტვინაძე**
რუკების ავტორი: **გიორგი ფარცხალაძე**
დამკაბადონებელი: **სალომე პოპიაშვილი**
დიზაინერი: **ვახტანგ ონიანი**

© არჩილ ჩაჩხიანი, 2022.
© საავტორო უფლებები დაცულია.
აკრძალულია ამ მონოგრაფიის ნებისმიერი ნაწილის ან ფრაგმენტის კოპირება, შენახვა და პუბლიკაცია ავტორთან შეთანხმების, მისი წერილობითი ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე

ISBN 978-9941-8-4461-4 (ორივე ნაწილის)
ISBN 978-9941-8-4462-1 (პირველი ნაწილის)

Archil Chachkhiani
Armenia-Georgia War
Part One - From Formulating of “Armenian Question” to Strategies of Opposing Sides

© All rights reserved

ეძღვნება სომხეთ-საქართველოს ომში
დაღუპული ქართველი და სომეხი მეომრების ხსოვნას

სარჩევი

სარჩევი----------9
ავტორის წინათქმა----------13
მეორე გამოცემის რედაქტორისგან----------23
პირველი გამოცემის რედაქტორისგან----------31
შესავალი----------35
ისტორიოგრაფიული მიმოხილვა----------45

თავი I

„სომხური საკითხის" ცნება, დაშნაკთა ნაციონალისტური იდეოლოგია და შეიარაღებული ექსპანსიის დასაწყისი ამიერკავკასიაში

§1.1. „სომხური საკითხის" ცნება და გენეზისი. სომეხთა ექსპანსიონისტური მისწრაფებები და მითი „დიადი არმენიის" შესახებ----------69
§1.2. სომეხთა „დამსახურებები" რუსეთის იმპერიის წინაშე----------85
§1.3. ქვემო ქართლის ისტორიული კუთვნილების საკითხი და ახალი „ქვათა ღაღადი"----------95
§1.4. სომეხთა მშვიდობიანი დემოგრაფიული ექსპანსიის პროცესი საქართველოში----------111
§1.5. ქართველი „პროგერმანელები" და ქართული ლეგიონი----------143
§1.6. სომეხთა ახალი რევოლუციური იდეოლოგია----------169
§1.7. სომხური ნაციონალისტურ-რევოლუციური პარტიები----------187
§1.8. სომეხთა რევოლუციური ფედერაცია - დაშნაკთა სოციალისტური პარტია „დაშნაკცუტიუნი"----------195
§1.9. დაშნაკთა პარტიის პროგრამა მინიმუმი და სომხური ულტრანაციონალიზმის შემდგომი განვითარება----------211
§1.10. დაშნაკური მოძრაობის საბრძოლო-ტერორისტული რაზმები და მათი ლეგენდარული ბელადები----------227
§1.11. დაშნაკთა შეიარაღებული ექსპანსიის დასაწყისი ამიერკავკასიაში----------255
§1.12. დაშნაკურ-ბოლშევიკური და დაშნაკურ-ესერული კოალიციების რეალური სახე----------269
§1.13. სომხურ-რუსული დაშნაკურ-ესერული ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის დასასრული----------283
ილუსტრაციები და ფოტომასალა----------293

თავი II

საქართველოსა და სომხეთის ეროვნული შეიარაღებული ძალები, სტრუქტურა, პირადი შემადგენლობა და შეიარაღება 1918 წელს

§2.1. არშემდგარი სამხედრო პროექტი – „ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმია"----------315

§2.2. საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება და ჯარების საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურა 1918 წელს----------325
§2.3. სომხეთის შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება და ჯარების საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურა 1918 წელს----------359
§2.4. სომხეთისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერთა კორპუსი და სამეთაურო შემადგენლობა 1918 წელს----------369
§2.5. სომხური საბრძოლო რაზმების პირადი შემადგენლობის მორალური სახე----------391
§2.6. სომხური საბრძოლო რაზმების პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთება----------401
§2.7. საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მორალური სახე და საბრძოლო სულისკვეთება----------421
§2.8. დაპირისპირებულ მხარეთა შეიარაღება----------431
§2.9. სომხეთ-საქართველო და მათი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეები 1918 წელს----------449
ილუსტრაციები და ფოტომასალა----------463

თავი III

ომისათვის სამზადისი, საომარ მოქმედებათა თეატრი და დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიები

§3.1. დაპირისპირებულ მხარეთა სამზადისი ომისათვის----------485
§3.2. საომარ მოქმედებათა თეატრის მოკლე სტრატეგიული მიმოხილვა----------505
§3.3. დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიული გეგმები----------523
§3.4. დაპირისპირებულ მხარეთა საომარი მობილიზაცია----------541
§3.5. საქართველოსა და სომხეთის შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლა----------553
ილუსტრაციები და ფოტომასალა----------565

ბიბლიოგრაფია----------577
სახელთა საძიებელი----------603
ავტორის შესახებ----------637

არ ვიცით, სხვა როგორა ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს - ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, - რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზედ იბეჭდავს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაბეჭდვითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისთვის და გაძლიერებისთვის.

უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არა ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი - საკუთარის ვინაობის დავიწყებაა, და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია?

ილია ჭავჭავაძე

გაზეთი „ივერია“, №17, 1888 წ.

ავტორის წინათქმა

სომხეთ-საქართველოს ომის საკითხებზე მუშაობა ორი ათეული წლის წინ, 2002 წელს დავიწყეთ. სიმართლე ითქვას, მაშინ, 2002 წელს, ჩვენი ამოცანა და მოლოდინები სხვა იყო. ჩვენ სულ სხვა ჩანაფიქრი, სხვა ხედვა და სხვა გეგმები გვქონდა, და შესაბამისად, სულ სხვა ამოცანის გადაჭრა დავისახეთ მიზნად. ეს ამოცანა, ფართო გაგებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ 1918-1921 წლებში წარმოებული საბრძოლო და საომარი აქტივობის შესწავლას გულისხმობდა. მაშინ გვეჩვენებოდა, რომ დასახული ამოცანა საკმაოდ მარტივი იყო და შესაძლებელი იქნებოდა ამ თემის ერთი საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმატში მოქცევა. მაგრამ მუშაობის დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ ჩვენი მოლოდინები არ მართლდებოდა. პირველი ქართული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნისა და მისი საბრძოლო აქტივობის საკითხების კვლევა მეტად კომპლექსური პრობლემა აღმოჩნდა, რომლის ფესვები ღრმად მიდიოდა წარსულ დროსა და სივრცეში.

საარქივო მასალებზე მუშაობა საკმაოდ რთული და შრომატევადი გამოდგა, ხოლო დიდ სამხედრო კონფლიქტებთან პირველივე შეხებამ, რომელშიც ჩაება ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციის, ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები 1918 წელს, (წითელი (სახალხო) გვარდიისა და რეგულარული ჯარის სამხედრო მოქმედებები ოსმალური ექსპანსიის წინააღმდეგ სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, რუსული ბოლშევიკური სამხედრო აგრესიის აღკვეთა არაგვის ხეობაში, შიდა ქართლში, სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმში, ასევე აფხაზეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ხოლო წლის ბოლოს სომხეთთან წარმოებული საომარი მოქმედებები) ძალიან დაგვაფიქრა. დაგვაფიქრა იმიტომ, რომ მხოლოდ ამ ერთი, 1918 წლის განმავლობაში ამიერკავკასიასა და საქართველოში კალეიდოსკოპური სიჩქარით განვითარებულმა სამხედრო-პოლიტიკურმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, თუ რამდენად რთულ ისტორიულ პერიოდთან და რთულ პროცესებთან გვქონდა საქმე. ცხადია, აქ 1919-1921 წლების პერიოდსა და მაშინ განვითარებულ სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებზე საუბარი ჯერ კიდევ არ იყო.

დღესავით ნათელი გახდა, რომ ჩვენი პირველადი ჩანაფიქრის ხორცშესხმა - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ 1918-1921 წლებში წარმოებული საბრძოლო და საომარი აქტივობის წარმოდგენა და მისი ერთი ნაშრომის ფარგლებში მოქცევა, შეუძლებელ ამოცანას წარმოადგენდა. ცხადი გახდა ისიც, რომ დასმული ამოცანის ჩარჩოები, როგორც თემატური, ასევე ქრონოლოგიური თვალსაზრისით, არსებითად უნდა შეგვემცირებინა და ზემოთ ნახსენები თითოეული საკითხის შესასწავლადაც შესაბამისი კვლევები უნდა ჩაგვეტარებინა. იმ ეტაპზე ჩვენთვის სრულიად უცნობ სომხეთ-საქართველოს ომის საკითხების კვლევაზე შევჩერდით, რაც პირდაპირ ვიტყვით, ძალიან რთული და შრომატევადი საქმე აღმოჩნდა. მრავალი ასპექტით ეს უმნიშვნელოვანესი თემა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის მკვლევართა მიერ იმ დროისათვის ჯეროვნად არ და ვერ იყო შესწავლილი, ხოლო სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, იგი კიდევ ერთ დიდ თეთრ ლაქას წარმოადგენდა ომების ისტორიაში. ჩვენ საკმაოდ ამბიციური ამოცანის გადაჭრა დავისახეთ მიზნად - სრულფასოვნად შეგვესწავლა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული ქართულ-სომხური ურთიერთობების სრული სპექტრი, ანუ, მისი ისტორიული, ნაციონალური, კულტურული, სოციალური, იდეოლოგიური და პოლიტიკური ასპექტები, და რაც მთავარია, შესაბამისად წარმოგვეჩინა საომარი მოქმედებების განმსაზღვრელი სამხედრო-სტრატეგიული და ოპერატიულ-ტაქტიკური სქემების ძირითადი მახასიათებლები. მანამდე, ქართულ ისტორიოგრაფიაში სომხეთ-საქართველოს ომის თემატიკა სამხედრო-ისტორიული თვალსაზრისით ფაქტიურად შეუსწავლელი იყო, რაც გარკვეულწილად ალბათ

სანდოობის მაღალი ხარისხის მქონე შესაბამისი საარქივო მასალების მიუწვდომლობითა და იმ ინტერნაციონალური იდეოლოგიური წნეხის არსებობით უნდა აიხსნას, რაც ქართველთა და სომეხთა იძულებითი, სამოცდაათწლიანი პერიოდის ტოტალიტარულ რეჟიმში თანაცხოვრებით იყო გამოწვეული ერთიან, უნიტარულ საბჭოთა იმპერიაში.

2005 წლისათვის ნაშრომი უკვე დასრულებული იყო, თუმცა მისი ცალკე წიგნად გამოცემა, სათაურით - ,,დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი'', მხოლოდ 2007 წლის დასაწყისისათვის გახდა შესაძლებელი, მას შემდეგ, რაც A-4 ფორმატში შესრულებული თითქმის 800 გვერდიანი მონოგრაფიის A-5 ფორმატის 520 გვერდამდე დაყვანა მოხერხდა ტექნიკური მინიმიზაციის გზით.

მონოგრაფიის გამოცემის შემდგომ, ამ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანმა საკითხმა ნელ-ნელა გაიკაფა გზა მკითხველისაკენ და წარმოდგენილი თემაც სხვადასხვა რაკურსით იქნა ინტერპრეტირებული. ასე მაგალითად, აღნიშნულ მონოგრაფიაზე დაყრდნობით, სამხედრო ტელეჟურნალისტების, გიორგი ცხვიტავასა და ზვიად თხელიძის თაოსნობით საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამხედრო-პოლიტიკური რედაქციის მიერ 2007 წელს შეიქმნა დოკუმენტური ხასიათის ორნაწილიანი ტელეფილმი ,,ომი". ფილმში ჩართულნი იყვნენ როგორც ქართველი, ასევე სომეხი რესპონდენტები, ხოლო თემატურად შერჩეული დოკუმენტური კინოქრონიკა და თხრობის გამარტივებული სტილი ფართო საზოგადოებისათვის ერთიორად ზრდიდა წარმოდგენილი თემის შემეცნების ხარისხს. მოკლედ რომ ვთქვათ, ტელეფილმი აღნიშნული წიგნის მოკლე ვიზუალიზაციას წარმოადგენდა, რამაც ნამდვილად მიაღწია დასახულ მიზანს - პროექტი შედგა. ფილმის ჩვენების შემდგომ ცხადი გახდა, რომ ამ მეტად მნიშვნელოვანი და რთული საკითხის იმ სახით წარმოდგენა, რომელიც თემატური ფოტომასალითა და სპეციალური ილუსტრაციებით იქნებოდა გამდიდრებული, ფართო საზოგადოებისთვის ერთიორად გაზრდიდა აღნიშნული თემის აღქმადობას.

შემდგომ წლებშიც, ქართულ მასმედიაში, როგორც ტელესივრცეში, ასევე პრესაში, კიდევ რამდენჯერმე იქნა წამოწეული სომხეთ-საქართველოს ომის თემა და მისი ცალკეული საკითხები, მაგრამ მათი გაშუქება ისტორიული რეალიზმის კუთხით და პროფესიული კომპეტენციის თვალსაზრისით ნამდვილად არ იმსახურებდა შექებას. მეტიც, წარმოდგენილ თემებში მრავალი ისტორიული ფაქტი, მოვლენა და პროცესი დამახინჯებულად და აშკარად არასწორად იყო წარმოდგენილი. ნათელია, რომ XX საუკუნის 10-იან წლებში ამიერკავკასიაში განვითარებული რთული სამხედრო-პოლიტიკური პროცესების რაობა ქართული (და არა მარტო ქართული) საზოგადოებისათვის ისევ ინარჩუნებდა აქტუალობას, ხოლო ამ პროცესების განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მდგენელის - სომხეთ-საქართველოს ომის საკითხების უფრო ღრმად და საფუძვლიანად განხილვა, ნამდვილად საშურ საქმეს წარმოადგენდა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ აღნიშნული წიგნი 2007 წლის დასაწყისში გამოიცა, ხოლო მასზე მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, არსებულმა რეალობამ იმ აზრამდე მიგვიყვანა, რომ სასურველი იქნებოდა მონოგრაფიის მეორე რედაქციით გამოცემა, რაც გარკვეულად დააკმაყოფილებდა არსებულ მოთხოვნას და ამ თემით დაინტერესებულ მკითხველს კიდევ ერთ საინტერესო წიგნს მიაწვდიდა.

იყო კიდევ ერთი მიზეზი, რაც მონოგრაფიის მეორე რედაქციით გამოცემის აზრს გვიმყარებდა. საქმე იმაშია, რომ შემდგომ წლებში, სხვადასხვა საკითხებზე არქივებში მუშაობისას, 1918-1919 წლების სომხეთ-საქართველოს ომის შესახებ არსებულ არაერთ საინტერესო დოკუმენტს წავაწყდით - ოპერატიული ხასიათის საფრონტო მიმოწერები და საბრძოლო პატაკები, ტყვეთა დაკითხვის ოქმები და მათი ჩვენებები და ა.შ. რა თქმა უნდა, ამ დოკუმენტების შინაარსი თვისებრივად არ ცვლიდა წიგნის პირველ გამოცემაში წარმოდგენილი მოვლენებისა და პროცესების

ძირითად არსს, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ ინფორმაციული და შემეცნებითი თვალსაზრისით, ისინი მნიშვნელოვან პირველწყაროს წარმოადგენდა და აუცილებელი იყო მათი მკითხველისათვის მიწოდება. დღესავით ნათელია, რომ ამ საარქივო დოკუმენტების გამოქვეყნება სასარგებლო იქნებოდა, რადგან მათი ნაშრომის მეორე რედაქციაში ჩართვა და ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა კიდევ უფრო გაამდიდრებდა მის წყაროთმცოდნეობით ბაზას, წიგნის შინაარსობრივ მხარეს და მეტ ნათელს მოჰფენდა მასში განხილულ ცალკეულ საკითხს.

აღნიშნულ პერიოდსა და თემასთან მიმართებაში გასული წლების განმავლობაში, რა თქმა უნდა, სხვა ავტორებიც მუშაობდნენ, რომლებმაც მეტ-ნაკლებად საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომები დადეს. ამ ნაშრომების შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის შემდეგ, თავისთავად ცხადია, მონოგრაფიის მეორე რედაქციაში მათი გათვალისწინებაც მოგვიხდა, რამაც საგრძნობლად გაამდიდრა წიგნის ისტორიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი ბაზა.

რაც შეეხება წიგნის წყაროთმცოდნეობით ბაზაში შესულ ცვლილებებსა და დამატებებს. ზემოთ ხსნებული ქართულ საცავებში მოძიებული დოკუმენტების გარდა, პირველი გამოცემისგან განსხვავებით, აქ ძალიან მნიშვნელოვანი იყო თურქი ავტორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორის, მეჰმედ ბორა პერინჩეკის (Mehmet Bora Perinçek) მიერ 2011 წელს მოსკოვში, რუსულ ენაზე გამოცემული ნაშრომი ,,Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов“. ეს წიგნი რუსეთის ცარისტული იმპერიისა და საბჭოთა რუსეთის არქივებში - რუსეთის სახელმწიფო სამხედრო-ისტორიული არქივი (РГВИА – Российский государственный военно-исторический архив), რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივი (РГАСПИ – Российский государственный архив социально-политической истории), რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივი (ГАРФ - Государственный архив Российской Федерации) დაცული და აღნიშნულ თემასთან შეხების მქონე მასალების პუბლიკაციაა. უფრო ზუსტად - XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგიის ზრდისა და მათი საბრძოლო-ტერორისტული რაზმების საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტების კრებული.

წიგნში ყოველგვარი კომენტარისა და გაანალიზების გარეშე 120 ერთეული საარქივო დოკუმენტია წარმოდგენილი. ეს მასალები კარგად წარმოსახავს XIX საუკუნის 90-იან წლებსა და XX საუკუნის 10-იან წლებში სომეხ დაშნაკთა მიერ წარმოებული კრიმინალური და ტერორისტული საქმიანობის მთელ სპექტრს. ზოგიერთი მასალა ჩვენთვის ცნობილი იყო, გარკვეული ნაწილი კი, არა. შესაბამისად, მისაღებად ჩავთვალეთ, რომ აღნიშნული საარქივო დოკუმენტების გარკვეული რაოდენობა წიგნის პირველ ნაწილში ჩაგვერთო. აღნიშნული წიგნის ავტორი აღნიშნავს, რომ მსგავსი ხასიათის დოკუმენტი რუსულ არქივებში არა ასეულობით, არამედ ათასობითაა. ხოლო ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რომელი საარქივო მასალებია ყველაზე მნიშვნელოვანი იმის არგუმენტაციისა და მტკიცებულებისათვის, რომ დაშნაკური ბანდები და სომხური საბრძოლო ტერორისტული რაზმები სისტემატურად და გეგმაზომიერად ანადგურებდნენ თურქეთისა და კავკასიის თურქულ, აზერბაიჯანულ და ქურთულ მოსახლეობას, მეჰმედ პერინჩეკი პასუხობს:

- ჩემის აზრით, ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი რუსულ არქივებში ჩემს მიერ მოპოვებული სამხედრო ტრიბუნალების 786 გვერდიანი სხდომის ოქმებია. ეს ოქმები ათასობით დაშნაკი ბანდიტის გასამართლებასა და დასჯას შეეხება, რომლებიც თურქეთისა და კავკასიის მუსლიმი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტვით იყვნენ დაკავებულნი. ეს სასამართლოები რუსეთის სამხედრო ტრიბუნალები იყო - იმ ქვეყნის ტრიბუნალები, რომელიც ოსმალთა თურქეთს ეომებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ სიმხეცეებს ჩადიოდნენ სომხური რაზმები, რომ რუსული მხარეც კი, რომელმაც მოამზადა და შეაიარაღა ეს რაზმები თურქეთის წინააღმდეგ საომრად, იძულებული გახდა თავად გაესამართლებინა და სიკვდილით დაესაჯა ეს მკვლელები.

ამ სასამართლო ოქმებში ბავშვების, ქალებისა და მოხუცების მასობრივი განადგურების უამრავი ფაქტია თავმოყრილი.

- საერთო ჯამში, რუსულ არქივებში მე ათასობით ასეთი სასამართლოს ოქმი აღმოვაჩინე, სადაც სომეხი ბანდიტების უზარმაზარი რაოდენობაა გასამართლებული, ბევრი მათგანი კი, სიკვდილითაც დასაჯეს. ამ ოქმებში ასეთ საქმიანობაში ჩართულ სომეხ ბანდიტთა სახელობითი სიებია წარმოდგენილი.[1]

მეჰმედ პერინჩეკის მიერ წარმოდგენილი ჩვენთვის საინტერესო მასალების გარკვეული ნაწილი მონოგრაფიის შესაბამის თავში ჩავრთეთ, რამაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიდევ უფრო გაამდიდრა ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. როდესაც სომეხ დაშნაკთა დანაშაულებრივ ქმედებებზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს ზოგადად სომეხი ხალხის ხასიათის რაღაც გარკვეული შტრიხების წარმოჩენას. ამ შემთხვევაში, სომეხი ხალხის გარკვეული ნაწილი იმ მძლავრი იდეოლოგიური ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდა მოქცეული, რასაც XIX საუკუნის ევროპის განვითარებული ქვეყნები, და პირველ რიგში, დიდი ბრიტანეთი ატარებდა ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში. ამავე დროს, ამ პროცესებს ახალი რევოლუციური იდეოლოგიის, მარქსიზმის გავრცელება ახლდა თან. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ამ ორი ფაქტორის ფატალურმა ზედდებამ სომხეთი და სომეხი ხალხი მისთვის საბედისწერო პოლიტიკურ თამაშებში ჩართო, რაც სომხებისათვის უმძიმესი შედეგებით დასრულდა. 1918 წლის ბოლოსთვის კი, სომეხ დაშნაკთა მიერ წარმოებული ნაციონალისტურ-ექსანსიონისტური პოლიტიკა სომხეთ-საქართველოს ომში გადაიზარდა.

როდესაც სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომსა და ზოგადად, იმდროინდელ ქართულ-სომხურ დაპაბულ ურთიერთობებზე ვსაუბრობთ, ყველგან და ყოველთვის ხაზგასმით აღვნიშნავდით ადრეც და აღვნიშნავთ ახლაც, რომ ეს უმძიმესი სამხედრო დაპირისპირება არ იყო ომი სომხებსა და ქართველებს შორის. ეს არ იყო ამ ორ ხალხს შორის ომი. ეს იყო ომი სომხეთსა და საქართველოს შორის, უფრო დაზუსტებით - სომხეთისა და საქართველოს პირველ რესპუბლიკებს და მათ მთავრობებს შორის.

თავის დროზე დიდი პრუსიელი სამხედრო თეორეტიკოსი და თანამედროვე სტრატეგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გენერალი კარლ ფონ კლაუზევიცი[2] თავის ფუნდამენტურ ნაშრომში

---

[1] http://erevangala500.com/page/101.html.

[2] კარლ გოტლიბ ფონ კლაუზევიცი (გერმ. Carl Philipp Gottlieb von Clausewitz) (1780-1831წ.წ.) – ნაპოლეონის ეპოქის პრუსიელი მხედართმთავარი, სამხედრო თეორეტიკოსი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, გენერალ-მაიორი. თავისი ფუნდამენტალური ნაშრომით – „ომის შესახებ", რომელიც 1832 წელს გამოქვეყნდა, მოახდინა გადატრიალება სამხედრო მეცნიერების თეორიასა და საფუძვლებში. პრუსიულ-გერმანული ახალი სამხედრო აზრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაიბადა მაგდებურგში, 12 წლის ასაკში ჩაირიცხა პრინც ფერდინანდის პოლკში შტანდარტ-იუნკრად. 1793 წელს ენიჭება ოფიცრის პირველადი სამხედრო წოდება. 1806 წელს მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. 1810-1812 წლებში ასწავლიდა სამხედრო მეცნიერებას პრინც ფრიდრიხ ვილჰელმ IV-ს (გერმ. Friedrich Wilhelm von Hohenzollern), გერმანიის იმპერიის პირველი კაიზერის, ვილჰელმ I-ის ძმას და პრუსიის მეფეს. 1912 წლიდან მსახურობს რუსეთის არმიაში. მონაწილეობდა ბოროდინოს ბრძოლაში. 1814 წელს ბრუნდება პრუსიის არმიაში და იღებს პოლკოვნიკის წოდებას. 1815 წელს ინიშნება მე-3 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად. მონაწილეობდა ვატერლოოს ბრძოლის წინმსწრებ ლინისა და ვავრის ბრძოლებში, რომლის შედეგებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა ვატერლოოს ბრძოლის საბოლოო ბედი. სწორედ პრუსიელთა მე-3 კორპუსთან ჩაება საბრძოლო მოქმედებებში მარშალ ემანუელ დე გრუშის (ფრანგ. Emmanuel de Grouchy) კორპუსი, რის გამოც მან დროულად ვერ მოახერხა ვატერლოოს ველზე მისვლა. ნაპოლეონ ბონაპარტეს წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში მიღწეული წარმატებების გამო, იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით დაჯილდოვდა წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ჯვრითა და ოქროს ხმლით. 1818 წელს ინიშნება პრუსიის სამხედრო აკადემიის დირექტორად და ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება, შემდგომი 12 წელიწადი მსახურობდა ამ თანამდებობაზე და კითხულობდა ლექციებს აკადემიაში. 1831 წელს, პოლონეთის აჯანყების

,,ომის შესახებ“ (Vom Kriege) ამბობდა, რომ ,,ომი, ნამდვილი ქამელეონივით, მხოლოდ ოდნავ იცვლის თავის დამახასიათებელ ნიშნებს გარემოს შესაბამისად. და თუ ომს განვიხილავთ, როგორც ტოტალურ ფენომენს, ვნახავთ, რომ მისი დომინანტური ტენდენციები ომს პარადოქსალურ ტრიადად აქცევს, რომელიც შედგება პირველყოფილი სისასტიკის, სიძულვილისა და მტრობისგან, რომელიც უნდა განვიხილოთ, როგორც ბუნების ბრმა ძალა; შემთხვევითობისა და შესაძლებლობების თამაშისაგან, სადაც შემოქმედებითი სული თავისუფლად დაქრის; და დაქვემდებარების ელემენტისგან, რომელიც განიხილება როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი, რაც ომს მხოლოდ გონების, ლოგიკური განსჯის საგნად აქცევს.

პირველი ამ სამი ასპექტისაგან უპირატესად ხალხს შეეხება, მეორე მეთაურს და მის ჯარს; მესამე კი - მთავრობას. ვნებები, რაც ომის დროს იფეთქებს ხალხში, ჯერ კიდევ მის დაწყებამდე უნდა არსებობდეს; შემთხვევითობებისა და შესაძლებლობების სამყაროში გამოჩენილი გაქანება, რასაც სიმამაცისა და ნიჭის თამაში აღწევს, მხედართმთავრის პირად თვისებებსა და მის არმიაზეა დამოკიდებული; პოლიტიკური მიზნები კი, მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის საქმეა”.[3]

გენიალური თქმაა და სწორედ ეს გახლავთ კლაუზევიცის ,,პარადოქსალური“, ,,განსაკუთრებული“ და თუ გნებავთ, ,,შესანიშნავი“ ტრიადის არსი.

ბუნებრივია, წარმოდგენილ მონოგრაფიაში კლაუზევიცისეული ,,განსაკუთრებული” თუ ,,შესანიშნავი” ტრიადის ფილოსოფიური საფუძვლების განხილვას, მისი გნოსეოლოგიური ფესვების კვლევას და ტრიადის სამივე ელემენტის ფუნდამენტურ განმარტებებებს აქ არ ვაპირებთ, მაგრამ ტრიადის მესამე ელემენტზე, ,,პოლიტიკურ ინსტრუმენტზე, რაც ომს მხოლოდ გონების, ლოგიკური განსჯის საგნად აქცევს”, ანუ მთავრობაზე და მის მიერ გატარებულ პოლიტიკაზე, აუცილებლად შევჩერდებით, რამეთუ ომის წარმოება, ზოგადად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი აქტივობის ყველაზე უფრო მძიმე, საპასუხისმგებლო და კრიტიკული ფორმაა, სადაც უკვე ,,დიდი სტრატეგიები” განსაზღვრავენ განვითარებული მოვლენების ალგორითმს და მთავრობა იღებს მის წარმართვაზე სრულ პასუხისმგებლობას. გარკვეულწილად შევეხებით მეორე ელემენტსაც, რომელიც ,,შემთხვევითობისა და შესაძლებლობების თამაშისაგან შედგება, სადაც შემოქმედებითი სული თავისუფლად დაქრის” და დამოკიდებულია ომის საბრძოლო ელემენტზე, ანუ ჯარსა და მის მეთაურზე.

ერთი რამ კი, კარგად უნდა გვახსოვდეს - ომს ჯარისკაცი არ იგებს და არ აგებს. არც საომარი კამპანიის შედეგებია მასზე დამოკიდებული და არც ცალკეული სამხედრო ოპერაციისა. აქ სახელმწიფო ინსტიტუციებისა და მათი აქტივობების სხვა დონეებსა და პასუხისმგებლობის სხვა ხარისხებზეა საუბარი. ჯარისკაცი და სამხედრო ქვედანაყოფი ტაქტიკური დონის მოთამაშეა და მასზე მხოლოდ ბრძოლის ბედია დამოკიდებული, საომარი კამპანიებისა თუ სამხედრო ოპერაციების დაგეგმვას, მართვა-კონტროლსა და აღსრულებას კი, ქვეყნის შეიარაღებული ძალები ანხორციელებენ ოპერატიულ და ზოგჯერ სტრატეგიულ დონეზე, ხოლო ომის წარმოებაზე პასუხისმგებლობა უკვე მთლიანად სახელმწიფოს პრეროგატივაა პოლიტიკური ნების, სახელმწიფო სიძლიერის ყველა კომპონენტისა და რესურსის ჩართულობის კუთხით. სწორედ იგი განსაზღვრავს ომის წარმოების ყველა საკითხს, როგორც ომის პოლიტიკური, ასევე სამხედრო მდგენელისა და თუ გნებავთ ,,დიდი სტრატეგიების” ჩათვლით.

დროს, ინიშნება ფელდმარშალ გნაისენაუს (გერმ. August Wilhelm Antonius Graf Neidhardt von Gneisenau) არმიის შტაბის უფროსად და პოლონეთის გენერალ-გუბერნატორად. გარდაიცვალა ქოლერისგან, ბრესლაუში, 1831 წლის 16 ნოემბერს.

[3] Carl von Clausevutz. On war. Edited and Translated by Michael Howard and Peter Paret. Introductory Essays by Peter Paret, Michael Howard, and Bernard Brodie; with a Commentary by Bernard Brodie. Index by Rosalie West. Princeton University Press, Princeton, New Jersey. 1984. Pg. 89.

ერთი რამ დღესავით ნათელია - სომხეთ-საქართველოს ომის დაწყებაზე პასუხისმგებლობა არარატის რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, დაშნაკებს და დაშნაკური სომხეთის მთავრობას ეკისრება. სწორედ დაშნაკთა უკიდურესად ნაციონალისტური, რეაქციული და ექსპანსიონისტური იდეოლოგია გახდა ამ ომის ბაზისი, რომელიც ეფემერული ,,დიადი არმენიის" (სომხ. Մեծ Հայք [მეწ ჰაიკ], ძვ. ბერძნ. Μεγάλη Ἀρμενία, ლათ. Armenia Magna, ძვ. სპარს. Buzurg Armenā) შექმნის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენდა. ეს იდეოლოგია კი, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩაისახა, რომელმაც თავის უკიდურესად აგრესიულ ფორმებს XX საუკუნის დასაწყისში მიაღწია. რა თქმა უნდა, ჩვენ არ უარვყოფთ იმ ფაქტსაც, რომ აღნიშნული იდეების გენერირებაში გარკვეული როლი თავის დროზე ქართველი სოციალ-დემოკრატების იდეოლოგიამ, მათ მიერ დეკლარირებულმა სოციალისტური და ინტერნაციონალისტური იდეების ქადაგებამ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებულმა არასწორმა სტრატეგიულმა კურსმაც ითამაშა, მაგრამ ერთი რამ უდავოა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სომხეთ-საქართველოს ომის დაწყებაზე სრული პასუხისმგებლობა დაშნაკებს და დაშნაკური სომხეთის მთავრობას უნდა დაეკისროს. ამ საკითხებს ჩვენ წინამდებარე ნაშრომის შესაბამის თავში წარმოვაჩენთ უფრო დაწვრილებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სომხეთ-საქართველოს ომი არ იყო ხალხებს შორის ომი, თუმცა, ქართველი ხალხისთვის მან მართლაც სამამულო ომის ხასიათი მიიღო. ეს ომი განსაკუთრებით მძიმე საქართველოს მოქალაქე სომხებისათვის აღმოჩნდა, რომელთა გარკვეულ ნაწილს ქართული სახელმწიფოს უმაღლესი სახელისუფლებო და სახელმწიფო თანამდებობებიც კი ეკავათ. ამ მიმართებაში ეროვნებით სომეხი ორი პერსონის, ცნობილი სოციალ-დემოკრატის, რუბენ აუშტროვის და საქართველოს ერთგული შვილის, იუნკერ მელიქ სომხიანცის მაგალითის მოყვანაც საკმარისია. ძველი რევოლუციონერი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რუბენ აუშტროვი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი და სახალხო გვარდიის ერთ-ერთი შემქმნელი იყო. 1919 წლიდან კი, იგი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრადაც აირჩიეს. ,,ქართველთა ერთგული სომეხი", მელიქ სომხიანცი კი, ქართული სამხედრო სკოლის იუნკერი იყო, რომელიც მოგვიანებით, რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის მსვლელობისას, სკოლის პირად შემადგენლობასთან ერთად გმირულად იბრძოდა კოჯორი-ტაბახმელას ფრონტზე და თავის თანამებრძოლებთან ერთად ბოლომდე ეკავა მასზე განპირობებული ფრონტის ხაზი.

ორივე მათგანი საქართველოს შვილები იყვნენ, მაგრამ მათ ცნება ,,საქართველო და სამშობლო" სხვადასხვანაირად ესმოდათ. რუბენ აუშტროვი, ისევე როგორც საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, მარქსიზმისა და ინტერნაციონალური დემოკრატიის იდეებისადმი ერთგულებას ქადაგებდნენ და ,,საქართველოსა" და ,,სამშობლოს" გაგებაში მხოლოდ იმ გეოგრაფიულ არეალს აღიქვამდნენ, სადაც გლობალური მასშტაბის პოლიტიკური პროცესი - დიდი სოციალური ექსპერიმენტი მიმდინარეობდა. აქ, ამ მიწაზე, დიდი სოციალისტური იდეები უნდა აღსრულებულიყო. ქართველი მარქსისტებისთვის საქართველოსა და მამულის ცნებების აღქმა სხვადასხვა იყო. მათთვის საქართველო მხოლოდ და მხოლოდ რაღაც გეოგრაფიული კატეგორია, გეოგრაფიული არეალი იყო, ის პოლიგონი, სადაც წარმატებით ხორციელდებოდა მარქსიზმისა და სოციალ-დემოკრატიული იდეების ფრთაშესხმა და სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის ექსპერიმენტი. ამ თვალსაზრისით, რუბენ აუშტროვი არაფრით განსხვადებოდა ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილისგან, ან თუნდაც ვალიკო ჯუღელისგან, ან ნებისმიერი სხვა ქართველი სოციალ-დემოკრატი ლიდერისგან.

სულ სხვაგვარად ესმოდა ,,სამშობლოს" ცნება მელიქ სომხიანცს. იგი ჯარისკაცი იყო, მართლაც პატრიოტი და სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი. რუბენ აუშტროვიც ჯარისკაცად

თვლიდა საკუთარ თავს, მაგრამ არა სამშობლოს, არამედ რევოლუციის დამცველ ჯარისკაცად. ორივე მათგანს იარაღი ეჭირა ხელში და მომხდურს ებრძოდა, მაგრამ აუშტროვი ,,რევოლუციას“ და ,,ქართულ დემოკრატიას“ იცავდა, სომხიანცი კი, სამშობლოს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური[4] ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ორივე მათგანს ემიგრაციაში მოუწია წასვლა და ორივე მათგანი იქ აღესრულა, რუბენ აუშტროვი - საფრანგეთში, ლევილში, 1937 წელს, მელიქ სომხიანცი კი, უკვე პოლონეთის არმიის ოფიცერი - პოლონეთში. ამ კონტექსტში ის ფაქტიც უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთ-საქართველოს ომის დროს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, მის რეგულარულ ჯარსა და სახალხო გვარდიაში, საქართველოს ეროვნებით სომეხი მოქალაქეებიც მსახურობდნენ და იბრძოდნენ, ზოგიერთმა მათგანმა კი, მთავრობისგან მაღალი საბრძოლო ჯილდოც დაიმსახურა, რასაც წიგნის შესაბამის პარაგრაფში განვიხილავთ უფრო დაწვრილებით. რუბენ აუშტროვისეული ცხოვრების გზა განვლო საქართველოს მოქალაქე კიდევ ერთმა სომეხმა მოღვაწემ - მიკირტიჩ (მიკიჩ) ვარდოიანმა. ისიც თავგადადებული სოციალ-დემოკრატი, ისიც წითელი და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი იყო, რომელიც 1921 წლის მარტიდან საქართველოს მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში, იქვე აღესრულა და რუბენ აუშტროვის მსგავსად, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი 1955 წელს.

მონოგრაფიის ახალი, გადამუშავებული და შევსებული რედაქციით გამოცემამ გარკვეული ცვლილებების შეტანა გამოიწვია ნაშრომის ფორმატში. გადმოცემული დიდი მასალის სრულყოფილად გააზრებისთვის გადავწყვიტეთ გარკვეული ტექნიკური დამატებები შეგვეტანა მასში. საერთო ჯამში, ჩვენს მიერ დიდი მუშაობა იქნა გაწეული და წიგნიც შესაბამისი განმარტებებითა და ჩასწორებებით, შენიშვნებითა და კომენტარებით, განხილულ მოვლენათა ანალიზითა და დასკვნებით შეივსო. აქვე მოვიტანეთ მნიშვნელოვანი ისტორიული პერსონების მოკლე საბრძოლო თუ პოლიტიკური ბიოგრაფიები. ყველა ეს დამატება თითოეული გვერდის სქოლიოში გამოვიტანეთ, რამაც საერთო ჯამში 1100-ზე მეტი შენიშვნა და განმარტება, კომენტარი და ჩასწორება შეადგინა. გარდა ამისა, წიგნის პირველი რედაქციისგან განსხვავებით, მეორე გამოცემას დავუმატეთ ისტორიულ პერსონაჟთა სახელების, აგრეთვე გეოგრაფიული ობიექტებისა თუ ტერმინების საძიებელი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დამატება - ნაშრომში წარმოდგენილი პერსონაჟების უკეთ იდენტიფიცირებისა და მოვლენებისა და პროცესების სრულყოფილად აღქმა-გააზრებისათვის რედაქტირებული წიგნის თითოეულ თავს შესაბამისი ფოტოები, საბრძოლო მოქმედებების ოპერატიული სქემები და ილუსტრაციები დავურთეთ. ამ მიმართულებით ფასდაუდებელია კომპიუტერული გრაფიკისა და კარტოგრაფიის ცნობილი სპეციალისტის,

---

[4] ქემალიზმი, ანუ ათათურქიზმი (თურქ. Kemalizm, Atatürkçülük, Atatürkçü düşünce) – დღევანდლამდე ითვლება თურქეთის რესპუბლიკის ოფიციალური იდეოლოგიის უმთავრეს ნაწილად. ქემალიზმის იდეოლოგიას, როგორც ასეთს, საფუძველი ჯერ კიდევ ოსმალთა იმპერიის არსებობის დროს ჩაეყარა, 1919 წლის გაზაფხულიდან, ოსმალო გენერლისა და წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერის, მუსტაფა ქემალისა (მოგვიანებით ათათურქად წოდებული) და მისი თანამოაზრეების მიერ. სწორედ აქედან იღებს ქემალიზმი თავის დასახელებას. ქემალიზმის იდეოლოგიის ამოსავალი დებულება იყო თურქულ სახელმწიფოში მონარქიისა და სახალიფოს გაუქმება და საპრეზიდენტო რესპუბლიკური წყობის დამყარება. იგი გულისხმობდა პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და რელიგიური რეფორმების ვესტერნიზაციას. ქემალიზმის იდეოლოგია ექვს ძირითად პრინციპს ან „ექვს ისარს" (თურქ. Altı Ok) მოიცავს: რესპუბლიკანიზმი, ნაციონალიზმი, სახალხოობა, ლაიციზმი ანუ სეკულარიზმი, ეტატიზმი, ანუ, სახელმწიფოებრიობის პრიმატი და რევოლუციური რეფორმები. პირველი ოთხი ისარი 1927 წელს ჩამოყალიბდა, 1931 წელს მათ კიდევ ორი დაემატა. საბოლოოდ კი, ამ სახელმწიფოებრივმა დოქტრინამ თავისი დასრულებული სახე მისი შემქმნელის, მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1937 წლისათვის მიიღო.

პროფესორ გიორგი ფარცხალაძის წვლილი იმ საქმეში, რაც მან ამ ომის სამხედრო ოპერაციებისა და ცალკეული ბრძოლების ოპერატიული რუკებისა და სქემების შედგენაში გამოაჩინა. საერთო ჯამში, წიგნს სქოლიოში ორი ათასზე მეტი ჩასწორება და განმარტება, შენიშვნა და კომენტარი, და ათეულობით ილუსტრირებული გვერდი დაემატა.

დარწმუნებულები ვართ, რომ წიგნის მეორე გამოცემის ასეთმა რედაქტირებამ თავისი შედეგი უნდა გამოიღოს და მნიშვნელოვნად გაზარდოს მისი შემეცნებითი ხარისხი. დარწმუნებულნი ვართ იმაშიც, რომ იგი გაცილებით ადვილი გასაგები და აზრობრივად მისაწვდომი გახდება სამხედრო ისტორიის თემატიკით დაინტერესებული მკითხველისა და სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისათვის. მას ინტერესით წაიკითხავს როგორც დამწყები, სამხედრო საქმეში გაუთვითცნობიერებელი მკითხველი და სამხედრო ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოება, ასევე სამხედრო ლიცეუმის კადეტი თუ ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერი, ოფიცერთა უმცროსი და საშუალო რგოლის სამეთაურო შემადგენლობა თუ ოპერატიული და სტრატეგიული დონის სამხედრო მოსამსახურე.

წიგნის საფუძვლიანმა რედაქტირებამ, მასში შეტანილმა კორექტივებმა და დამატებებმა მნიშვნელოვნად გაზარდა მისი მოცულობა, რის გამოც გვერდების საერთო რაოდენობამ A-5 ფორმატში, ორი ათასს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შეგვეცვალა წიგნის საგამომცემლო ფორმატი A-5-დან A-4-ზე და იგი ორ ნაწილად მიგვეწოდებინა მკითხველისათვის. წიგნის პირველ ნაწილში სამი თავი ჩავრთეთ, ხოლო მეორეში - ოთხი, რის გამოც, საერთო ჯამში, წიგნის პირველ ნაწილში 27 პარაგრაფი შევიდა. პირველი ნაწილი თემატურად მოიცავს სომეხთა მშვიდობიანი დემოგრაფიული ექსპანსიის ისტორიული პროცესის აღწერას საქართველოში, ,,სომხური საკითხის“ ცნების გაჩენას, დაშნაკთა ნაციონალისტური იდეოლოგიის ჩასახვას და სომეხთა შეიარაღებული გამოსვლებისა და ექსპანსიის დასაწყისს ოსმალთა იმპერიასა და ამიერკავკასიაში, საქართველოსა და სომხეთის ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის რთული და არაერთგვაროვანი პროცესის აღწერას, მათ საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურებს და შეიარაღებას, პირადი შემადგენლობის დახასიათებას და მათ მიერ განვლილ საბრძოლო გზას, სომხეთ-საქართველოს ომის საომარ მოქმედებათა თეატრის მოკლე მიმოხილვას და დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიებს. აქვეა განხილული დაპირისპირებულ მხარეთა მოკავშირეების საკითხი. წიგნის მეორე ნაწილში კი, ჩავრთეთ ოთხი თავი და 37 პარაგრაფი - დაპირისპირებულ მხარეთა პოლიტიკური და დიპლომატიური აქტივობის საკითხები, ომის წინაპირობები, მისი დასაწყისი და გამოუცხადებელი ომის ქრონიკა, თითოეული ბრძოლისა თუ ოპერაციის დაგეგმვის, მართვა-კონტროლისა და აღსრულების პროცესი, მიმდინარე ბრძოლების აღწერა, დინამიკა და მათი ტაქტიკური ანალიზი, რეგიონში შექმნილი ახალი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია და სამმხრივი ბრიტანულ-ქართულ-სომხური სამშვიდობო კონფერენციის საკითხები, ომის დასრულება და მისი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა, ასევე - პარტია ,,დაშნაკცუტიუნის“ დღევანდელი აქტივობის ზოგიერთი საკითხი. აქვეა გაკეთებული შემაჯამებელი დასკვნები.

აღნიშნულ საკითხებზე მუშაობისა და წიგნის რედაქტირების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება წიგნში გადმოცემული მოვლენებისა და ფაქტების კრიტიკულ ანალიზს დავუთმეთ. ამ მიმართებით ჩვენი აქტივობის ამოსავალ წერტილს ჩვენი მყარი პოზიცია და განხილული საკითხებისა თუ პრობლემებისადმი პრინციპული მიდგომა წარმოადგენდა. ჩვენ ვანსხვავებთ ისტორიული მოვლენების კრიტიკულ გადმოცემას ჩვეულებრივი გადმოცემისაგან, რომელიც ნარატიულისგან განსხვავებით, დისკურსის ფორმით მიმდინარეობს. პირველ შემთხვევაში თხრობა ქრონოლოგიურად ასახავს პროცესებს და მას მხოლოდ აღწერილობითი ხასიათი აქვს. ასეთი გადმოცემა მხოლოდ რიგითობით ალაგებს მოვლენებს, სადაც არ არის გათვალისწინებული მათი

დიალექტიკური ერთიანობის პრინციპი. ისტორიული მოვლენებისა და პროცესების ასეთი განხილვა მხოლოდ ამბავის მოყოლას ემსგავსება და იგი ოდნავ თუ ეხება მის გამომწვევ მიზეზებს. ასეთი მოძღვრება კი, ძალიან შორსა დგას შემეცნებისგან და მეტ-ნაკლებად ღირებული ანალიზის ჩატარების საშუალებასაც არ იძლევა. ამიტომ, ფართო სამსჯავროზე გამოტანილ ისტორიას ჩვენ მხოლოდ ისტორიზმის პრინციპების წარმოჩენითა და მოვლენების კრიტიკული ანალიზის ფონზე წარმოვადგენთ. განსახილველი საკითხების კრიტიკულ გადმოცემაში კი, გონებრივი მოქმედების სამი სახე შეიძლება გამოვყოთ:

პირველ რიგში, ისტორიული ძიება და საეჭვო ფაქტების დადგენაა მნიშვნელოვანი. ესაა ისტორიული ძიება, რომელსაც თეორიასთან არაფერი არა აქვს საერთო;

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი მიზეზ-შედეგობრივ პროცესებსა და მოვლენებს შორის დიალექტიკური კავშირების დამყარებაა საჭირო. ეს თეორიისათვის აუცილებელია, რადგან ყველაფერი რაც თეორიულად მიიღწევა ან თვალსაჩინო ხდება ემპირიული მეთოდებით, მხოლოდ ამ გზით დგინდება.

და მესამე საკითხი - გამოყენებული საშუალებების მიზანშეწონილობის შეფასებაა. ესაა აზრობრივად თავად კრიტიკა, რომელიც თავის თავში მოიცავს შექებასა და მიბაძვას. აქ უკვე თეორია ემსახურება ისტორიას, ან უფრო ზუსტად იმ სწავლებას, რაც ისტორიიდან შეიძლება გამოვარჩიოთ.

აზრთა ამ მსვლელობას იმ ფრაზით გავაგრძელებთ, რაც სამეცნიერო კრებულის - ,,ახალი და უახლესი ისტორიის" მე-14 ნომერში დაბეჭდილ ჩემს სტატიას - ,,ისტორიის საბედისწერო გაკვეთილები - ჩვენ მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე ვდგავართ...", გასდევდა რეფრენად: ,,ისტორია წინაპართა და გარდასულ მოვლენათა შესახებ არა მხოლოდ პათეტიკური ტონით აღწერილი ჰეროიკული ტრაქტატების კრებული, არამედ პირველ რიგში, რეალიების ზუსტი გადმოცემა და ანალიზია, ან უკიდურეს შემთხვევაში, მაქსიმალურად დაზუსტებული და კრიტიკულად გააზრებული ფაქტებისა და მსჯელობების დიალექტიკური ერთიანობა..."[5]

წინათქმას კი, დიდი ილიას სიტყვებით დავასრულებთ: ,,ჩვენ სომხების არავითარი ღირსება, არავითარი სიკეთე არ გვშურს. პირიქით, თუ სიკეთე, ღირსება რამ სჭირთ, იგი ჩვენთვის მხოლოდ სანატრელია და არა საშურველი. შურს ისა სწყინს და გულს უკლავს, - სხვას ჩემზე მეტი რად აქვსო, ნატვრა-კი პატიოსნური სურვილია, მეც ის შევიძინო, რაც სხვას შეუძენია, მისდა სიკეთემდე, ღირსებამდე მივაღწიოო. შური ვერ იტანს სხვისა ღირსებას, ნატვრა-კი შეჰხარის. შური ებრძვის ღირსებას, ნატვრა-კი შეჰხარის. შური ებრძვის ღირსებას, ნატვრა-კი ეტრფის".[6]

არჩილ ჩაჩხიანი

თადარიგის პოლკოვნიკი, პროფესორი

2021 წელი.

---

[5] არჩილ ჩაჩხიანი. ისტორიის საბედისწერო გაკვეთილები – ,,ჩვენ მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე ვდგავართ..." ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები". ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა ,,უნივერსალი". თბილისი. 1 (14). 2014. გვ. 243.

[6] ილია ჭავჭავაძე. ,,სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი". ,,ივერია". ტფილისი. 1899. გვ. 2. http://www.amsi. ge/istoria/somx/qvaTa.pdf.

მეორე გამოცემის რედაქტორისაგან

პატივცემულო მკითხველო, თქვენს წინაშეა თადარიგის პოლკოვნიკის, ისტორიის დოქტორის, პროფესორ არჩილ ჩაჩხიანის მორიგი სქელტანიანი მონოგრაფია ,,სომხეთ-საქართველოს ომი", რომელიც ორ ნაწილადაა წარმოდგენილი. ეს მონოგრაფია სამხედრო-ისტორიული ხასიათის სამეცნიერო ნაშრომია, რომელშიც უმდიდრეს წყაროთმცოდნეობის ბაზაზე დაყრდნობით, ქართულ ისტორიოგრაფიაში მეცნიერული თვალსაზრისით პირველადაა წარმოდგენილი სომეხ დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და მისი გენეზისი. ნაშრომში სრულყოფილადაა გაშუქებული დაშნაკური სომხეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ომის დაწყება და მსვლელობა, ამ ომის სამხედრო-სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური ანალიზი, მისი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა და შედეგები.

ნაშრომი მიძღვნილია 1918-1919 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემისადმი, რაც ასე აქტუალურია დღესაც, თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის პირობებში.

მონოგრაფიაში მოცემულია ისტორიულ-პოლიტიკური პროცესების მიმოხილვა, რომელიც წინ უძღოდა სომხეთ-საქართველოს ომს. ავტორი მიზნად ისახავს წარმოადგინოს სომხეთსა და საქართველოს შორის არსებული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები, ახსნას ის, თუ რამ მიიყვანა სომხეთის პირველი რესპუბლიკა საქართველოსთან დაპირისპირებამდე, რაში მდგომარეობდა ე.წ. ,,სომხური საკითხის" რეალური არსი, განმარტებულია რომ სომხეთისათვის კეთილსასურველი საგარეო პირობების ატმოსფეროში (ასეთად აღიქვეს დაშნაკებმა საქართველოს მოკავშირე გერმანიის გასვლა საქართველოდან და ანტანტის დახმარების იმედი) ,,სადავო" ისტორიული ქართული მიწები უნდა ქცეულიყო სომეხთა მომავალი სახელმწიფოს, ,,დიადი არმენიის" შემადგენელ ნაწილად. ეს ე.წ. ,,დიადი არმენია" კი უნდა შემდგარიყო ,,დიდი არმენიის", ,,მცირე არმენიისა'' და ,,ქილიკიის არმენიისაგან". ,,დიდი არმენიის" ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში განსაზღვრული იყო ისტორიული საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის ჩართვა.

წარმოდგენილ მონოგრაფიაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ სომხეთის მიერ საქართველოსადმი წაყენებული ტერიტორიული პრეტენზიების არსი შორს ცილდებოდა საქართველოს პირველ რესპუბლიკასა და სომხეთს შორის მთელი 1918 წლის განმავლობაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობებს, რომ სწორედ ,,სომხური საკითხის", როგორც ასეთის, დასმა და არსებობა იყო ფუძემდებლური მიზეზი სომხეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებული ომისა და ამავე დროს, მისი გამართლების ერთგვარი მცდელობაც.

ნაშრომში ისტორიული ექსკურსის სახით წარმოდგენილია XIX საუკუნის განმავლობაში და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიებზე სომეხთა მშვიდობიანი დემოგრაფიული ექსპანსიის საინტერესო პროცესი და მისი სტატისტიკა. დამოწმებულია ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება ქვემო ქართლში - ბორჩალოს მაზრაში სომეხთა კომპაქტური, მრავალრიცხოვანი მოსახლეობის გაჩენის შესახებ, აგრეთვე რუსი ავტორებისა და ცნობილი ბრიტანელი მკვლევარის, სტივენ ჯონსის (Stephen F. Jones) მონაცემები საქართველოში სომეხთა მასობრივი მიგრაციის შესახებ, რამაც საქართველოს ზოგიერთ რაიონში, პირველ რიგში კი, ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, დემოგრაფიული დისბალანსი შექმნა. მითითებულია, რომ თბილისში დაფუძნებულ სომეხთა ეროვნული საბჭოს (ქალაქის ყოფილი თავის, ალექსანდრე ხატისოვის თავმჯდომარეობით) მთავარ ფუნქციას, ჩვენთვის საინტერესო ეტაპზე, საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიის სომეხი მოსახლეობისაგან საბრძოლო რაზმების ორგანიზება და შეიარაღება წარმოადგენდა.

XIX საუკუნის ბოლოსათვის დაშნაკთა მიერ შემოხაზული ,,დიადი არმენიის" რუკაზე ლორე-ბამბაკისა და ახალციხე-ახალქალაქის რეგიონები მოექცა. ამ ეფემერული სომხური სახელმწიფოს დედაქალაქად XX საუკუნის 10-იან წლებამდე აღმოსავლეთ ანატოლიის უდიდესი დასახლებული პუნქტი, ,,თურქეთის სომეხთა" პოლიტიკური აქტივობის ცენტრი, ქალაქი არზრუმი მოიაზრებოდა, ხოლო 1918 წლისათვის ,,კავკასიის დიდებული დედაქალაქი", (რიჩარდ ოვანესიანის გამოთქმაა) თბილისი. ხაზგასმულია ის საინტერესო ფაქტი, რომ 1918 წლის დასაწყისისათვის ბაქოს გუბერნიაში მათთვის ხელსაყრელი ვითარების შექმნის გამო, დაშნაკთა მთელი ყურადღება აღმოსავლეთისაკენ იქნა გადატანილი. ამ მიმართებით ნაშრომში დამოწმებულია საინტერესო ფაქტები დაშნაკცუტიუნის პარტიის მეტამორფოზისა, ბოლშევიკებთან საიდუმლო კონტაქტების, და მათი ესერებთან და ბრიტანელებთან ალიანსის შესახებ.

ნაშრომში ამიერკავკასიაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ჭრილში, გამოკვლეულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი სომხეთის სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული პრეტენზიების, ე.წ. ,,სადავო ტერიტორიების" ისტორიული კუთვნილების საკითხი XX საუკუნის პირველი ოცწლეულის მიწურულს. ერთი რამ გადაჭრით უნდა ითქვას - დამოუკიდებელი საქართველოს ხანაში, სომხეთ-საქართველოს ომს მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით არაერთი მკვლევარი შეხებია, მაგრამ საკვლევი პრობლემა სპეციალურად, განსაკუთრებით სამხედრო-სტრატეგიული და ოპერატიულ-ტაქტიკური ანალიზის თვალსაზრისით, შეუსწავლელი იყო. აქვე მინდა შევნიშნო, რომ მოცემული თემის სამხედრო ისტორიის ასპექტით შესწავლის წარმატება განაპირობა იმან, რომ მას ხელი მოჰკიდა მაღალკვალიფიციურმა ისტორიკოსმა და ამავდროულად პროფესიონალმა კადრის ოფიცერმა, სამხედრო საქმის მცოდნე პირმა.

კარგა ხანია, პირადად მე, ასეთ მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული ნაშრომი არ მინახავს. არ მინახავს ასეთი დიდი რუდუნებით, დიდი მონდომებითა და სიყვარულით დაწერილი გამოკვლევა. ნაშრომი სამჯერ წავიკითხე, ცალკეული საკითხები კიდევ უფრო მეტჯერ, მაგრამ ყველაფრის ერთობლიობაში გააზრება მაინც რთული გამოდგა. ნაშრომი იმდენად ტევადი და ინფორმაციულია როგორც დოკუმენტური მასალით, ისე დასკვნებით, რომ დიდ დროს საჭიროებს გააზრებისა და სრულად აღქმისთვის.

აქტუალობის, მნიშვნელობისა და ღირებულებითი თვალსაზრისით, წარმოდგენილი მონოგრაფია უდავოდ იმსახურებს დიდ ყურადღებას. ამასთან მიმართებში აუცილებლად ხაზგასასმელია რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი:

პირველი - ისტორიული ასპექტი, ანუ ის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წ.წ.) ისტორია ისე ვერ დაიწერება, თუ სომხეთ-საქართველოს ომის ისტორია არ იქნა ღრმად და საფუძვლიანად შესწავლილი.

მეორე - ის, რაც საქართველოს დაატყდა თავს 1918 წლის 26 მაისის სახელმწიფოებრიობის აღდგენის წინა პერიოდსა და მომდევნო წლებში, თითქმის ზუსტად განმეორდა XX საუკუნეში 1991 წლის 9 აპრილს სახელმწიფოებრიობის მეორედ აღდგენის წინა პერიოდსა და მომდევნო ხანებში. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ დღეს საქართველოს წინაშე მდგარი ურთულესი პრობლემების გადაჭრის გზებს ცალსახად 1917-1921 წლებში ამიერკავკასიასა და საქართველოში განვითარებული მოვლენების ანალიზის შედეგად მოვიპოვებთ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ისტორია ხშირად მეორდება და ამდენად, წარსულის ცოდნით, შეცდომების ნაწილს მაინც ავიცილებთ თავიდან.

მე ვერ მოგახსენებთ თუ რამდენი წელი მოანდომა ავტორმა ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნას, თუმცა ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება აღინიშნოს: რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით შესრულებულია წარმოუდგენლად დიდი სამუშაო და გაწეულია მართლაც ტიტანური შრომა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა რაღაცა ოდენობის

მასალის შეგროვებასა და დალაგებასთან, არამედ უამრავი დოკუმენტიდან ისეთის შერჩევასთან, რომელსაც ისტორიული პროცესის აღდგენისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. წყაროსადმი ასეთი მიდგომა კი, დიდ პროფესიონალიზმს, კრიტიკული აზროვნების უნარს და ლოგიკური დასკვნების გაკეთების განსაკუთრებულ უნარს მოითხოვს. ჩვენს მიერ გამოთქმული ეს შეფასებები ეხება როგორც გამოუქვეყნებელ (საარქივო), ასევე გამოქვეყნებულ მასალებს, როგორც ქართულენოვანს, ასევე რუსულ და სხვა ენებზე არსებულ წყაროებს. არა ერთი უცნობი დოკუმენტი და ფაქტია შემოტანილი პირველად მეცნიერულ ბრუნვაში. ყოველივე ამის საფუძველზე შეძლო ავტორმა სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობის აღდგენა, კომენტარების გაკეთება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ ნაშრომში შესწორებული და დაზუსტებულია ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი სომხურ და პროსომხურ ისტორიოგრაფიაში დამახინჯებულად და ტენდენციურად ინტერპრეტირებული ესა თუ ის მოვლენა თუ ფაქტი.

დიდი შრომა აქვს გაწეული ავტორს თემის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის თავმოყრისა და შესწავლის მიზნითაც. წარმოდგენილი და კრიტიკულად შეფასებულია რამდენიმე ისტორიოგრაფიული სკოლის ნაღვაწი. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ სომეხ ისტორიკოსთა ნაშრომების შეფასების სირთულე და მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით, წიგნის ავტორის მხრიდან ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება მხოლოდ შექებას იმსახურებს.

მდიდარმა წყაროთმცოდნეობითმა ბაზამ, ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის ობიექტურად გააზრებამ და ეპოქის საფუძვლიანმა ცოდნამ ბატონ არჩილს საშუალება მისცა ნაშრომის ისეთი სტრუქტურა შეემუშავებინა, რომელიც საშუალებას მისცემდა მთელი სისრულით წარმოეჩინა შესასწავლი საკითხი. სწორედ წიგნის სტრუქტურამ მისცა საშუალება ავტორს წარმოეჩინა ის მეტად საყურადღებო მასალა, რომელიც სხვა შემთხვევაში ვერ გახდებოდა მსჯელობის საგანი. ფორმატიდან და გადმოცემული მასალის დიდი მოცულობიდან გამომდინარე, ავტორმა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პირველი რედაქციისგან განსხვავებით, ამჯერად თავისი ნაშრომი ორ ნაწილად წარმოადგინა, რაც აღქმისა და გააზრების თვალსაზრისით, ნამდვილად გამართლებულია. პირველი ნაწილის დასახელებაა ,,სომხეთ-საქართველოს ომი - ,,სომხური საკითხის“ დასმიდან დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიებამდე“, ხოლო მეორისა - ,,სომხეთ-საქართველოს ომი - გამოუცხადებელი ომის ქრონიკა და ,,ლორეს ნეიტრალური ზონა“.

ორ ნაწილად წარმოდგენილი მონოგრაფია ძალიან მოცულობითია. საერთო სტრუქტურული ფორმით წიგნის პირველი ნაწილი შედგება შესავალი ნაწილის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნითი ნაწილისაგან. შესავალი ნაწილი ექვსი პუნქტისგან შედგება, ხოლო დასკვნითი ნაწილი - სამი პუნქტისგან. წიგნის მეორე ნაწილის შესავალი ნაწილი ოთხი პუნქტისგან შედგება, ხოლო დასკვნითი ნაწილი - შვიდი პუნქტისგან. მონოგრაფიის პირველი ნაწილი სამ თავს და ოცდაშვიდ პარაგრაფს მოიცავს, ხოლო მეორე ნაწილი - ასავე სამ თავს და ოცდაცხრა პარაგრაფს.

მონოგრაფიის ახალ რედაქციაში თითოეული გვერდის სქოლიოში გამოტანილია ნაშრომში განხილული საკითხებისა თუ შემოტანილი ტერმინების განმარტებები, შენიშვნები და კომენტარები, აგრეთვე ჩვენთვის საინტერესო ისტორიულ პერსონაჟთა მოკლე ბიოგრაფიები. გარდა ამისა, პირველი გამოცემისგან განსხვავებით, ნაშრომს დამატებული აქვს ისტორიულ პერსონაჟთა და გეოგრაფიული ობიექტების სახელთა საძიებელი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დამატება - ნაშრომში წარმოდგენილი პერსონაჟების უკეთ იდენტიფიცირებისა და მოვლენებისა და პროცესების სრულყოფილად აღქმა-გააზრებისათვის წიგნის თითოეულ თავს შესაბამისი ილუსტრაციები აქვს დართული. წიგნის მეორე რედაქციაში

შეტანილმა დამატებებმა მისი საერთო მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია და გვერდების რაოდენობამ A-4 ფორმატში ათას ხუთასს მიაღწია.

საერთო ჯამში, ამ მეტად საინტერესო ისტორიული პერიოდისა და მაშინ განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების შესახებ მივიღეთ სქელტანიანი ფუნდამენტური კვლევა, რომელიც ქართული მეცნიერებისა და ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს შენაძენს წარმოადგენს.

ზემოთ ხსენებული ღირსებანი ზოგადი ხასიათისაა. შეიძლება ჩამოვთვალოთ უფრო კონკრეტული ღირსება-სიახლენი:

პირველი - მონოგრფიაში წარმოდგენილია სომხეთ-საქართველოს ომის მიზეზების ობიექტური სურათი.

მეორე - სომხეთ-საქართველოს ომის ისტორიას წინ წამძღვარებული აქვს პროფესიონალი სამხედრო სპეციალისტის თვალთახედვით დაწერილი დაპირისპირებულ მხარეთა შეიარაღებული ძალების შექმნის ისტორია, მათი საორგანიზაციო-საშტატო და საბრძოლო სტრუქტურები, შეიარაღება, დაპირისპირებულ მხარეთა სამხედრო-სტრატეგიული გეგმები და სამზადისი, საომარ მოქმედებათა თეატრის სტრატეგიული მიმოხილვა, სამობილიზაციო საკითხები და ა.შ.

მესამე - საბრძოლო მოქმედებები აღწერილია სამხედრო ისტორიკოსისათვის დამახასიათებელი პროფესიონალიზმითა და საქმის ღრმა ცოდნით. ჩატარებულია ცალკეული ბრძოლების ტაქტიკური ანალიზი, ხოლო თავად ბრძოლები სამხედრო ხელოვნების კუთხითაა განხილული.

მეოთხე - სამხედრო-სტრატეგიული საკითხებით გატაცებასთან ერთად ავტორი ხაზს უსვამს იმასაც, რომ ომი პოლიტიკის გაგრძელებაა. პოლიტიკური სიტუაციის ანალიზი წარმოდგენილია ვრცლად და დამაჯერებლად, საომარ მოქმედებებთან კავშირში.

მეხუთე - სომხეთ-საქართველოს ომს თან ახლდა დიპლომატიური ბრძოლაც. ეს ასპექტიც ღრმად და საფუძვლიანად არის შესწავლილი.

მეექვსე - სანდო დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობითაა წარმოდგენილი საკითხი გარე ძალის, კერძოდ, დიდი ბრიტანეთის როლი სომხეთ-საქართველოს ომში და სამშვიდობო კონფერენციაზე.

მონოგრაფიაში კარგად არის ნაჩვენები სომხეთში საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე ომის მზადების პროცესი მის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, და ეს მაშინ, როცა საქართველოს მთავრობა სამხედრო დოქტრინის შემუშავებას არ თვლიდა საჭიროდ და საგარეო ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ადგა, თუმცა საგარეო ნეიტრალიტეტის ეს პოლიტიკა ხელისუფლების მიერ მხოლოდ დეკლარირების დონეზე არსებობდა. უფრო მეტიც, სომხეთის მიერ სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების გაშლის ეტაპზედაც კი, საქართველოს მთავრობა არ აღიარებდა სომხეთის მხრიდან დაწყებული სამხედრო აგრესიის ფაქტს და მას 1918 წლის 16 დეკემბრამდე მხოლოდ ცალკეული დაშნაკური ბანდების გამოხდომებად თვლიდა. ამიტომ იყო ეს ომი საქართველოსათვის სრულიად მოულოდნელი.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, პატივცემული ავტორი სამართლიანად აკრიტიკებს საქართველოს მთავრობის ,,პაციფისტურ“ პოლიტიკას, რომელიც თავის მთავარ დასაყრდენ ძალად მხოლოდ ,,მსოფლიო ინტერნაციონალურ დემოკრატიას” მიიჩნევდა და არა რეალურ სამხედრო ძალას. საგანგებოდ ჩერდება ავტორი სომხეთისა და საქართველოს მოკავშირეების საკითხზე, რაც იმ პერიოდისთვისაც მწვავედ იდგა ორივე სახელმწიფოს წინაშე. 1918 წლისათვის არსებული დიდი პოლიტიკის არეალში ისინი დაპირისპირებულ ბანაკებში აღმოჩნდნენ ჩართულნი. რეგიონში შექმნილი ვითარების გამო, ,,დიადი არმენიის” დაშნაკმა აპოლოგეტებმა ანტანტას, ანტიოსმალურ ალიანსს დაუჭირეს მხარი, ხოლო საქართველოს მთავრობამ პროგერმანული პოზიცია დაიკავა, რაც ავტორის მართებული შენიშვნით ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო არსებული რთული

სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. სწორედ გერმანელთა პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერის წყალობით გადაურჩა საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი ოსმალურ ოკუპაციას.

ნაშრომში გაშუქებულია სომხურ პრესაში გაჩაღებული ცილისმწამებლური ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი კამპანია, ვითომდა ქართველთა მხრიდან სომხების შევიწროების, დევნისა და ჟლეტვის შესახებ. რეალურად კი, ყველაფერი პირიქით იყო. დაშნაკთა ექსპანსიონისტური მისწრაფებები ოფიციალურად პირველად 1918 წლის 13 ნოემბერს გაცხადდა, როდესაც ბორჩალოს მაზრასთან სასაზღვრო მიჯნად მდინარე ხრამი გამოიკვეთა, დამატებით - ახალქალაქის მაზრა მთლიანად და გორის მაზრის ნაწილიც კი. წიგნის ავტორი მართებულად მიიჩნევს 1918 წლის 5 დეკემბრისათვის ქართული მხარის მიერ ახალციხე-ახალქალაქში ქართული სამხედრო ნაწილების შეყვანას, თუმცა მისი შენიშვნით საქართველოს მთავრობის მიერ არ იქნა გათვალისწინებული სომხური მხარის საპასუხო რეაქცია - ღია საომარი მოქმედებების დაწყების დიდი ალბათობა, რომლის აღკვეთისათვის საქართველოს მენშევიკური მთავრობა და მისი შეიარაღებული ძალები სრულიად მოუმზადებლები აღმოჩნდნენ. სომეხთა შეიარაღებული აგრესიული მოქმედებების დაწყება 1918 წლის 6 დეკემბრიდან სწორედ ახალქალაქის მაზრას უკავშირდება, რასაც 9 დეკემბრიდან ორგანულად მოჰყვა სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების გაშლა ბორჩალოს მაზრაშიც.

წარმოდგენილ მონოგრაფიაში დაწვრილებით არის აღწერილი საომარ მოქმედებათა მსვლელობა დღეებისა და ზოგჯერ საათების სიზუსტითაც კი, სომხეთ-საქართველოს საომარ მოქმედებათა მთელ თეატრზე, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა და სიდიდით 7000 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა. იგი ბორჩალოს მაზრის მნიშვნელოვან და ახალქალაქის მაზრის სამხრეთ ნაწილზე იყო განფენილი.

ნაშრომში დამოწმებულია საომარი მოქმედებების დაწყების სომხური, პროსომხური და რუსული პროსომხური ვერსიები, კერძოდ, გენერალ ანტონ დენიკინის ე.წ. ,,დობროაარმიის“ საშტაბო დოკუმენტაცია. ავტორი არ ეთანხმება ცნობილი ამერიკელი მეცნიერების, რიჩარდ ოვანესიანისა (Richard Hovannisian) და ფირუზ კაზიმზადეს (Firuz Kazemzadeh) დასკვნებს იმის შესახებ, რომ ლორეს გლეხობა ,,აუჯანყდა“ საქართველოს ხელისუფლებას, ,,ხმაური ატეხა” სომხეთთან შესაერთებლად და იარაღით ხელში წინ აღუდგა ქართული რეგულარული ჯარის ქვედანაყოფებს. ბატონი არჩილ ჩაჩხიანი ამტკიცებს, რომ რეალურად ისინი კარგად დაგეგმილ დაშნაკურ პროვოკაციას წამოეგნენ.

ნაშრომში მითითებულია სომეხი ავტორების მიერ დიდი ტირაჟებით გამოცემული ლიტერატურა, რომელშიც მოცემულია კარგად გააზრებული დეზინფორმაცია, თითქოს ქართველთა საბრძოლო ძალები აღემატებოდნენ სომხეთისას, და ეს იმ დროს, როცა უტყუარი საარქივო დოკუმენტების მონაცემების ანალიზის საფუძველზე ავტორის მტკიცებით, სანაინი-ალავერდის უბანზე 1918 წლის 9 დეკემბრისათვის სომხური მხარე ცოცხალი ძალის რაოდენობით ოცმაგ, ხოლო 14-15 დეკემბრისათვის ათმაგ უპირატესობას ფლობდა.

წიგნში დეტალურად არის წარმოდგენილი საომარი მოქმედებები ახალქალაქის მაზრასა და ვორონცოვკის მიმართულებაზე, უზუნლარი-სანაინისა და ალავერდი-ახტალის ბრძოლები, ეკატერინენფელდის ბრძოლა, დაღეთ-ხაჩინისა და ბოლნის-ხაჩინის ბრძოლები, სადახლოს თავდაცვითი ბრძოლების ტაქტიკური ასპექტები, შულავერის ფრონტის სტაბილიზაცია და შულავერის დაბრუნების საფრონტო ოპერაცია, რომელიც 1918 წლის 29 დეკემბერს ქართველთა სრული გამარჯვებით დასრულდა. შულავერის აღების ოპერაცია, რომელიც გენერალ გიორგი მაზნიაშვილის საერთო სარდლობით იქნა აღსრულებული გენერალ კვინიტაძესა და გენერალ სუმბათაშვილთან ერთად, ავტორს სამხედრო ხელოვნების ნიმუშად აქვს შეფასებული. მისი აზრით,

ეს ოპერაცია გამორჩეული ბრძოლა იყო საჯარისო ტაქტიკის, ოპერატიული ხელოვნებისა და სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით.

სომხეთ-საქართველოს ომის დამაგვირგვინებელი ბრძოლა კი, სადახლოს შტურმი იყო. ეს სტრატეგიული პუნქტი, როგორც დასახლება, ასევე რკინიგზის სადგური, სომეხ ავტორთა მტკიცებულებების საწინააღმდეგოდ, ცეცხლის შეწყვეტის მომენტისათვის, ე.ი. 1918 წლის 31 დეკემბრის 24 საათისათვის არსებული ოპერატიული მდგომარეობით, ქართველთა ხელში იყო, რასაც ბატონი არჩილი დოკუმენტურად და ისტორიულად დადასტურებულ ფაქტად მიიჩნევს.

ცალკეა განხილული ბრიტანული ფაქტორის როლი საომარი მოქმედებების შეჩერებასა და სამშვიდობო კონფერენციის გამართვაში, რომელიც ავტორის აზრით აბსოლუტურად ფორმალურ ღონისძიებას წარმოადგენდა, რამდენადაც მისი შედეგები ბრიტანელთა მიერ წინდაწინვე ცალსახად იყო განსაზღვრული კაპიტან გრინის ,,სამშვიდობო შემოთავაზების" სახით, ჯერ კიდევ 1918 წლის 15 დეკემბრისათვის. გადამწყვეტი ხმა სომხეთ-საქართველოს წარმომადგენელთა შორის სადავო საკითხების გადაწყვეტაში, რა თქმა უნდა, მოკავშირეთა ბლოკის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, როგორც ნეიტრალურ მხარეს, ეკუთვნოდა. კონფერენციის მთავარი საკითხი ეხებოდა იმ ოპერატიული ხაზის დადგენას, რომელზეც უნდა გაჩერებულიყო ქართული ჯარი, რასაც სომხური მხარე არ ეთანხმებოდა, მაგრამ ამ საკითხის გადაჭრაში ნეიტრალურმა მხარემ საქართველოს დაუჭირა მხარი. კონფერენციის მსვლელობისას ასევე მწვავე ხასიათი მიიღო ე.წ. ,,ლორეს ნეიტრალურ ზონაში" ადმინისტრაციული მოწყობისა და რკინიგზის საკითხმა.

ნაშრომში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ სომხეთ-საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო საზღვარი ზუსტად იმეორებს ომში დაპირისპირებულ მხარეთა ძალების დისპოზიციასა და ფრონტის ხაზის რეალურ მოხაზულობას 1918 წლის 31 დეკემბრის 24 საათისათვის არსებული ოპერატიული მდგომარეობით. სწორედ ამ პუნქტებზე გაიარა ჯარების დაშორიშორების სადემარკაციო ხაზმაც, რომელიც სულ მალე იქცა კიდეც ლორეს ნეიტრალური ზონის ჩრდილოეთ საზღვრად.

მეტად მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივია ის მოსაზრებები, რითაც ბატონი არჩილი აფასებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ზოგადად, ქართველი სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულებას ამ ომისადმი. იგი კომენტარს უკეთებს ნოე ჟორდანიას მოსაზრებას ცეცხლის შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ მის გამონათქვამებში კარგად ჩანს ქართველ სოციალ-დემოკრატთა ეროვნული ინფანტილიზმი და ყოვლად გაუმართლებელი ინტერნაციონალიზმი, მენშევიკი ლიდერების მიერ რეგიონში არსებული და მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური რეალობების არაადეკვატური აღქმა.

ბატონ არჩილ ჩაჩხიანის მიერ შესწორებულია ომის ხანგრძლივობისა და მიმდინარეობის ქრონოლოგიაც. სომხეთ-საქართველოს ომის დაწყების თარიღად იგი 1918 წლის 18 ოქტომბერს თვლის, როდესაც სომხეთის პირველი რესპუბლიკის რეგულარული ჯარის ნაწილებმა და დაშნაკურმა საბრძოლო რაზმებმა პირველად გადმოკვეთეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფაქტობრივი საზღვრები და მისი გარკვეული ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინეს. ამ ეტაპზე ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მოკლე ხანში შეძლეს დაშნაკური აგრესიის აღკვეთა, თუმცა, რეგიონში განვითარებული ახალი სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების გამო, სრულ წარმატებას მაინც ვერ მიაღწიეს. ნოემბრის თვის განმავლობაში ქართულ მხარესთან მთელი რიგი დიპლომატიური მანევრების მიუხედავად, 6 დეკემბრიდან ახალქალაქის მაზრაში, ხოლო 9 დეკემბრიდან ბორჩალოს მაზრაში სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები განაახლეს, სამმხრივ ბრიტანულ-ქართულ-სომხური შეთანხმების საფუძველზე კი, ცეცხლი 1918 წლის 31 დეკემბრის ზუსტად 24 საათზე შეწყდა. სამშვიდობო კონფერენცია თბილისში 1919 წლის 9 იანვარს დაიწყო, ხოლო ხელშეკრულებას ოფიციალურად, სამთავრობო დონეზე, 1919

წლის 17 იანვარს მოეწერა ხელი, ნაცვლად 22 იანვრისა, როგორც ეს, მათ შორის ქართველ ავტორებს აქვთ დაფიქსირებული. ასევე, ავტორი აზუსტებს აზრს იმის თაობაზე, რომ თითქოს ლორეს ნეიტრალური ზონიდან თანდათან იქნა გამოყვანილი ქართული ქვედანაყოფები და იქ მხოლოდ მისი შეზღუდული კონტინგენტი დარჩა. ავტორის მტკიცებით, ამ ზონაში, 1918 წლის 17 დეკემბრიდან, ქართველთა მიერ ალავერდი-ახტალის დატოვების შემდეგ, არცერთი ქართველი ჯარისკაცი აღარ იმყოფებოდა და ზონის დემილიტარიზაციის საკითხი მხოლოდ სომხურ მხარეს შეეხო. 1918 წლის ბოლოდან ქართველ ჯარისკაცს ლორე-ბამბაკის ტერიტორიაზე ფეხი აღარ დაუდგამს, თუ არ ჩავთვლით 1920 წლის ნოემბერი - 1921 წლის თებერვლის რაღაც სამთვიან პერიოდს. მაშინ, სომხეთის დასავლეთი ნაწილის ქემალისტური ოკუპაციისა და გასაბჭოების გამო, ლორეს ნეიტრალურ ზონაში მცხოვრები მოსახლეობისა და დანარჩენი საქართველოს უსაფრთხოების მიზნით, სომხეთის მთავრობის თანხმობით, ქართულმა მხარემ დროებით შეიყვანა ჯარები ნეიტრალურ ზონაში, რითაც ამ ტერიტორიებზე თავისი დე იურე და დე ფაქტო იურისდიქცია აღიდგინა.

მონოგრაფიაში ნაჩვენებია სომხეთ-საქართველოს ომის შედეგები და მისი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა. მონოგრაფიის ავტორი არ იზიარებს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ თეზისს სომხეთ-საქართველოს ომში ქართველების გამარჯვების შესახებ და მართებულად შენიშნავს, რომ ამ ომში ქართველთა დამარცხების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები ომის საბრძოლო, ტერიტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა შედეგები. საქართველო დამარცხდა - აღნიშნავს ავტორი - დამარცხდა უსამართლოდ და დაუმსახურებლად. დამარცხდა გაცილებით სუსტ და უღირს მოწინააღმდეგესთან ომში, რაშიც არც თუ უკანასკნელი როლი საქართველოს ხელისუფლების სათავეში მყოფი ქართველი სოციალ-დემოკრატების ინტერნაციონალურმა იდეოლოგიამ და მათ მიერ წარმოებულმა პაციფისტურმა კურსმა ითამაშა. მან დათმო იურისდიქცია თავის ისტორიულ მიწაზე - ლორე-ბამბაკზე, რომელიც ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მიერ საბოლოო გდაწყვეტილების მიღებამდე. მაგრამ ამავე დროს, სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ქართულმა მხარემ გაიმარჯვა. მაგრამ ალბათ არც ის უნდა უგულებელვყოთ, რომ ვერც სომხურმა მხარემ მიაღწია ამ ეტაპზე თავის მიზანს ახალქალაქის მაზრასა და ხრამის რაიონთან მიმართებაში. ავტორის დასკვნით, საქართველოს პოლიტიკური წარუმატებლობის მიზეზი ამიერკავკასიაში განვითარებული ქართველთათვის არასახარბიელო სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შექმნა, რასაც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, და რაც მთავარია, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ,,ჰუმანური" და ,,ინტერნაციონალისტი" მთავრობის მიერ გატარებული არასწორი სამხედრო-პოლიტიკური კურსის შედეგი იყო.

სომხეთის მიერ საქართველოსადმი ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენება ამიერკავკასიის რესპუბლიკების გასაბჭოების შემდეგაც გრძელდებოდა. საბოლოოდ, 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულებით უკვე საბჭოთა სომხეთმა მაინც მიაღწია ე.წ. ,,ლორეს ნეიტრალური ზონის" სომხეთისათვის გადაცემას. ახალქალაქის მაზრისა და ხრამის რაიონის ტერიტორიების კუთვნილება კი, საქართველოსათვის უცვლელად იქნა დატოვებული.

საინტერესოა ავტორის დაკვირვება სომხეთ-საქართველოს ომის ერთ-ერთი შედეგის თაობაზე. ომის მსვლელობისას, თბილისის სომეხთა ეროვნული საბჭოსა და გარკვეული სომხური წრეების ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი ძირგამომთხრელი ღონისძიებების, საქართველოს წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში ჩართულ სომეხთა აშკარა იდეოლოგიური და ფინანსური დახმარებების გამო, მასიურად დაიწყო დამნაშავე პირთა დაპატიმრებები, რის შედეგადაც 1919 წლიდან საგრძნობლად შეირყა საქართველოს დედაქალაქში სომეხთა პოლიტიკური და ფინანსური ჰეგემონია. ქალაქის ადმინისტრაციული აპარატი სომხებისაგან განთავისუფლდა და

ეკონომიკური და ეთნო-კულტურული თვალსაზრისით 1919 წლიდან თბილისმა თანდათანობით დაიწყო თავისი ეროვნული სახის დაბრუნება.

მონოგრაფიის მეორე ნაწილის ბოლო, მეოთხე თავში წარმოდგენილია პარტია ,,დაშნაკცუტიუნის“ დღევანდელი აქტივობები და მისი ადგილი სომხეთის პოლიტიკურ სივრცეში. აქვეა განხილული სომხურ ტერორიზმთან და ტერორისტულ ორგანიზაციებთან დაკავშირებული საკითხები. მონოგრაფიის ბოლო პარაგრაფში კი, საუბარი ისტორიული ,,დიადი არმენიის“ თანამედროვე ელემენტებს - ე.წ. ,,დასავლეთ სომხეთსა“ და ,,სომხურ სახელმწიფოს“ შეეხება.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ წარმოდგენილი მონოგრაფიის ერთ მეტად მნიშვნელოვან ღირსებაზე. სომხეთ-საქართველოს ომი ისე კარგად და ცოცხალი ენითაა დაწერილი, რომ მკითხველს შეუძლია ობიექტურად გაიაზროს არა მარტო ეს ომი, არამედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და მთლიანად ამიერკავკასიის რეგიონის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. მონოგრაფია გამოირჩევა აგრეთვე მოხმობილი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაციისა და შეფასება-განზოგადების მაღალი დონით, იგი შესანიშნავად არის გამართული და დახვეწილი. წიგნში გადმოცემული მოვლენებისა და პროცესების დაწვრილებითი ანალიზის ფონზე აშკარად იკვეთება ის სურათიც, რომ საგმირო საქმეებთან ერთად, პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით, სომხეთ-საქართველოს ომში ბევრი ისეთი რამ გამოვლინდა, რაც უკვე წინასწარ მიგვანიშნებდა იმ კატასტროფაზე, რომელიც 1921 წლის თებერვალ-მარტში დაატყდა თავს საქართველოს.

დაბოლოს. თადარიგის პოლკოვნიკის, პროფესორ არჩილ ჩაჩხიანის მონოგრაფია ,,სომხეთ-საქართველოს ომი“ შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, გამოირჩევა დამოწმებული ფაქტობრივი მასალების სიუხვითა და სანდოობით. ფრიად საინტერესო და ინფორმაციულია თითოეული გვერდის სქოლიოში გამოტანილი მონაცემები, თითოეული თავის ბოლოს წარმოდგენილი ფოტომასალა და ილუსტრაციები, ცხრილები და მონაცემები, საბრძოლო რუკები და სქემები, რაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიდევ უფრო ამდიდრებს ნაშრომის ისედაც მდიდარ წყაროთმცოდნეობის ბაზას და ზრდის მის შემეცნებით დონეს.

ვახტანგ გურული
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

2022 წელი.

პირველი გამოცემის რედაქტორისაგან

წინამდებარე მონოგრაფია სამხედრო-სამეცნიერო ხასიათის გამოკვლევაა. მას საფუძვლად დაედო ავტორის, ბატონ არჩილ ჩაჩხიანის სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც მან დიდი წარმატებით დაიცვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. აღნიშნულმა საკვალიფიკაციო ნაშრომმა შეზღუდული მოცულობის გამო, მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები ვერ დაიტია. სამაგიეროდ, წინამდებარე მონოგრაფიაში ისინი მეტ-ნაკლები სისრულით აისახა, რამაც უფრო სრულყოფილი, დამაჯერებელი და საინტერესო გახადა წარმოდგენილი ნაშრომი.

არჩილ ჩაჩხიანის მონოგრაფია სამხედრო-სამეცნიერო ხასიათის გამოკვლევაა და ქართული ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს შენაძენად უნდა ჩაითვალოს. მასში არა მხოლოდ სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომის ისტორიაა სამხედრო ასპექტით დეტალურად განხილული, არამედ მაღალ პროფესიულ დონეზეა გაშუქებული სამხედრო ხელოვნების, სამხედრო სტრატეგიისა და საბრძოლო ტაქტიკის საკითხები.

პოლკოვნიკმა არჩილ ჩაჩხიანმა, როგორც პროფესიონალმა სამხედრომ, სომხეთ-საქართველოს ომი ქართველ ისტორიკოსთაგან პირველმა შეისწავლა სამხედრო-მეცნიერული ასპექტით, რითაც ქართულ ისტორიოგრაფიას დიდი სამსახური გაუწია. ეს ნაშრომი დასტურია იმისა, რომ საქართველოს არჩილ ჩაჩხიანის სახით მაღალკვალიფიციური მკვლევარი-მეცნიერი და სამხედრო ისტორიკოსი ჰყავს, რომელსაც მომავალშიც ხელეწიფება წარმატებით შეასრულოს საინტერესო და დიდი მოცულობის კვლევითი სამუშაოები.

წინამდებარე წიგნი უმდიდრეს წყაროთმცოდნეობით ბაზაზეა დაფუძნებული, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის ბრძანებები და განკარგულებები, გენერალური შტაბის დირექტივები და მითითებები, შიფროტელეგრამები და მათი დეშიფრანტები, ფრონტის სარდლებისა და სხვადასხვა რანგის მეთაურთა საბრძოლო ბრძანებები, გადაწყვეტილებები, მოხსენებითი ბარათები, სტრატეგიული ჩანაფიქრები და გეგმები, ბრძოლის ტაქტიკური ფორმები, სხვადასხვა სახეობისა და გვარეობის საჯარისო ნაწილებისა და ქვედანაყოფების ურთიერთმოქმედების ამსახველი დოკუმენტები, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მასალები და მრავალი სხვა საინტერესო ოპერატიული მასალა. სწორედ მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზეა მეცნიერულად შესწავლილი სომხეთ-საქართველოს ომი და მასთან დაკავშირებული სამხედრო-პოლიტიკური საკითხები, გაკეთებულია საკვლევი პრობლემების ავტორისეული ინტერპრეტაცია და გამოტანილია სათანადო დასკვნები.

წიგნი პირობითად ორი ნაწილისაგან შედგება, მისი საკმაოდ ვრცელი პირველი ნაწილი, უძველესი დროიდან საკითხის ისტორიულ ექსკურსს ეხება, ხოლო მეორე, ძირითადი ნაწილი - სომხეთ-საქართველოს ომის დაწყებას, მსვლელობასა და დამთავრებას აშუქებს, მისი სათანადო სამხედრო-პოლიტიკური შედეგებით.

უტყუარ დოკუმენტურ პირველწყაროებსა და ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, ავტორი პირუთვნელი ობიექტური მსჯელობით ააშკარავებს სომეხთა რევოლუციური ფედერაციის - დაშნაკთა სოციალისტური პარტიის ფსევდოსოციალისტურ ხასიათს, მის უკიდურესად რეაქციულ, შოვინისტურ და ნაციონალისტურ პროგრამას, რომელიც პრაქტიკულად ვლინდებოდა და გამოხატულებას პოულობდა სომხეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებისა და დაშნაკური საბრძოლო რაზმების ყაჩაღურ მოქმედებებში, აღმოსავლეთ ანატოლიისა და ამიერკავკასიის მშვიდობიანი მუსლიმი (და არა მხოლოდ მათი) მოსახლეობის ძარცვა-რბევასა და ხოცვა-ჟლეტაში. ასეთ ყოვლად გაუმართლებელ ბარბაროსულ მოქმედებებს ყველაზე უფრო მასობრივად ოსმალთა

იმპერიის ტერიტორიაზე ჰქონდა ადგილი. ეს კი, თავის მხრივ, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ხსნის დღის წესრიგიდან საქვეყნოდ გახმაურებულ ე.წ. ,,სომეხთა გენოციდის" საკითხს. ყოველ შემთხვევაში, წიგნში წარმოდგენილი უამრავი საარქივო დოკუმენტური მასალა საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ გადახედილ და ახლებურად იქნას შეფასებული ეს მეტად მნიშვნელოვანი და პრობლემატური საკითხი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ულტრარეაქციულად განწყობილი სომხების მიერ ყოვლად გაუმართლებელი, ყოვლად მიუტევებელი, უკიდურესად ბარბაროსული, მიზანთროპული საბრძოლო-ტერორისტული მოქმედებები თურქი, აზერბაიჯანელი და ქურთი მოსახლეობის მიმართ, ჰეგემონიის დაუსაბუთებელი პრეტენზიები, მეზობელი ერების შევიწროება და მათი ფიზიკური ლიკვიდაცია, აგრეთვე, სხვათა კულტურულ ფასეულობათა მითვისება, ისტორიის არნახული ფალსიფიკაცია თუ სხვა ექსტრემისტული მოთხოვნები და მისწრაფებები, რბილად რომ ვთქვათ, კარგს არაფერს მოუტანს თვით სომხებს. ამიტომ ,,კარგი მთქმელი - კარგი გამგონის" პოზიციიდან გამომდინარე, კეთილმოსურნე ავტორის, არჩილ ჩაჩხიანის ეს მონოგრაფია სასარგებლო და საჭირო გაფრთხილებაა ექსტრემისტულად განწყობილი და დაშნაკცუტიუნის პოლიტიკურ პლატფორმაზე მყოფი სომხებისათვის.

წიგნში წარმოდგენილი დოკუმენტური და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული შესწავლისა და მათი საერთო ანალიზის ფონზე, გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ სომეხთა დაშნაკური იდეოლოგია ისეთივე საშიში პოლიტიკური მოვლენაა, როგორიც გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი იყო თავის დროზე. გამომდინარე იქიდან, რომ დაშნაკური იდეოლოგია ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა ნაცისტურს, ამიტომ გადაჭრით თუ არა, გარკვეულწილად მაინც, იგი მის წინამორბედად უნდა ჩაითვალოს.

ის, რასაც სომეხთა დაშნაკური საბრძოლო რაზმები ჩადიოდნენ თურქი, აზერბაიჯანელი, ქურთი და ქართველი ეროვნების მაჰმადიანი მოსახლეობის მიმართ, არა თუ განსხვავდებოდა მეორე მსოფლიო ომში ნაცისტთა შემზარავი მხეცობებისაგან, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, აღემატებოდა კიდეც მათ. ამით ფაშისტებს ერთგვარად უმზადებდა წინაპირობებს უსაზარლესი მხეცობებისა და კაცთმოძულეობისათვის. სხვაობა კი, მათ შორის მხოლოდ მასშტაბებშია, რომელიც უდავოდ ნაცისტთა მხარის სასარგებლოდაა. ამ მიმართებით, მეტად ნიშანდობლივია ის ისტორიული ფაქტიც, რომ დაშნაკური საბრძოლო-ტერორისტული რაზმების სამხედრო მეთაურთა გარკვეული ნაწილი, რომლებიც სომხური ისტორიოგრაფიის მიერ ეროვნული გმირების რანგში არიან აყვანილნი, II მსოფლიო ომის მსვლელობისას, სომეხთა ნაცისტურ საჯარისო ფორმირებებს ხელმძღვანელობდნენ. ამ ქვედანაყოფების სადამსჯელო მოქმედებები კი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიმართ, განსაკუთრებული მიზანდასახულობით, სისასტიკითა და დაუნდობლობით გამოირჩეოდა.

და დღესაც, გარკვეულ სომხურ წრეებში ისევ ცოცხლობს დაშნაკური იდეოლოგია და სომეხთა ეფემერული სახელმწიფოს - ,,დიდი არმენიის" შექმნის იდეა. დღესაც, ჯავახეთის, საქართველოს ამ ძირძველი კუთხის სომხეთთან მიერთების საკითხი ისევ დღის წესრიგში დგას და იგი დაშნაკთა პარტიის მიერ ისევ პირველხარისხოვან ამოცანადაა დასახული. იქნებ ამ წიგნმა მაინც გამოაფხიზლოს ,,დიდი არმენიის" შექმნის ავანტიურისტული გეგმის მსურველები და ისინიც, ვინც აშკარად თუ ფარულად, დღესაც თანაუგრძნობს აგრესიული სეპარატიზმისა და ნაციონალური ექსპანსიონიზმის იდეას. ეს წიგნი დიდი გაფრთხილებაა მათთვისაც, ვინც სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა დაშნაკცუტიუნის დამღუპველი იდეოლოგიური ზეგავლენისაგან. ყველამ, პირველ რიგში კი, სომეხმა სეპარატისტებმა და ულტრანაციონალისტებმა, მწარე ისტორიული გაკვეთილებიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ...

შესაბამისი დასკვნები უნდა გავაკეთოთ ჩვენც, ქართველებმაც. ყოვლად გაუმართლებელი ქართული ტოლერანტობა გვერდზე უნდა გადავდოთ, შემგუებლობისა და მოყრუების პოლიტიკას თავი უნდა დავანებოთ და ბოლოსდაბოლოს ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ: მეზობლობასაც, მეგობრობასაც, ისტორიულ ტრადიციებსაც, აგრეთვე ფარულ თუ აშკარა მტრობასაც...

სომხეთ-საქართველოს ომის ნეგატიური შედეგები კარგად ჰქონდათ და აქვთ გაცნობიერებული სომეხი ხალხის პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებსა და მეცნიერებს, რომელთაგან ოვანეს თუმანიანისა და რიჩარდ ოვანესიანის დასახელებაც იკმარებდა. ამ მიმართებით კი, განსაკუთრებით საინტერესოა სომხეთის პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრის, ბატონ ოვანეს კაჩაზნუნის შემდეგი მოსაზრება - ,,ვიბრძოლეთ იმ მეზობელთან, რომელთანაც ყველაზე უფრო მჭიდრო ურთიერთობები უნდა გვქონოდა. ჩვენ საქართველოს გავლით ვუკავშირდებოდით გარე სამყაროს. ჩვენი გულწრფელი სურვილი იყო ქართველებთან კეთილმოსურნე ურთიერთობების დამყარება, მაგრამ ეს ვერ შევძელით. ამაში გარკვეული როლი, საქართველოს მთავრობის პოზიციასთან ერთად, ჩვენმა უძლურებამ და პოლიტიკურმა უმწიფრობამაც ითამაშა...”

1918 წელს სომხეთის დაშნაკური მთავრობის მიერ საქართველოსათვის თავსმოხვეული ომი, რა თქმა უნდა, იმდროინდელი ქართული საზოგადოების ფართო განსჯის საგანი გახდა, რომელსაც ამ წიგნში ჯეროვანი ადგილი აქვს დათმობილი. ჩვენის მხრივ კი, დიდი იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით გვინდა გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულსაა მის მიერ წარმოთქმული - ,,ჩვენ სრულიად გულწრფელად, სუფთა გულით ვუსურვებდით ჩვენს მეზობლებს ამ ინტერესების გამარჯვებას. სულით და გულით გვწადია მათი თავისუფალი, შეუზღუდავი განვითარება, მაგრამ მხოლოდ სომეხი ეროვნების ბუნებრივ საზღვრებში...”

ელვერ კუპატაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

2006 წელი.

შესავალი

მხოლოდ სახელმწიფო, სახელმწიფოებრივი ყოფა არ არის ზოგადად ერის ყოფიერების განმსაზღვრელი ნიშანი, მაგრამ ყოველი ერისათვის ბუნებრივია სწრაფვა საკუთარი სახელმწიფოს შექმნის, განმტკიცებისა და გაძლიერებისაკენ. ეს ნებისმიერი ერის საღი ინსტინქტია და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი ყოფა ერის ნორმალურ ყოფად უნდა ჩაითვალოს. სახელმწიფოებრიობის დაკარგვა კი, ერისათვის უდიდესი ტკივილი და ტრაგედიაა. მცირე და სუსტი ერებისათვის ეროვნული საკითხი არის საკითხი განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისა, საკითხი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის, შენარჩუნებისა და გაძლიერებისა. თუ ამ კონტექსტში განვიხილავთ ამიერკავკასიას და იქ მაცხოვრებელი ერების სახელმწიფოებრივი ყოფის საკითხს, სომხებიც და ქართველებიც მსოფლიოს იმ ხალხთა რიცხვს განეკუთვნებიან, რომლებსაც სახელმწიფოებრივი ყოფის უძველესი ტრადიციები გააჩნდათ, ხოლო მათ საცხოვრისებს ღმერთმა უშუალო მეზობლობა არგუნა წილად.

ქართველები და სომხები უძველესი დროიდან, ადამჟამობიდან მოაქჟამამდე ერთმანეთის მეზობლები არიან. მეცნიერული სიზუსტით შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ხალხი ერთმანეთის გვერდიგვერდ სულ ცოტა 26 საუკუნე მაინცაა რაც ცხოვრობს. შესაძლოა, ქართველი და სომეხი ხალხები, ტომები, მათი განსახლების ტერიტორიები უფრო ადრეც ესაზღვრებოდა ერთმანეთს, მაგრამ მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე ამის თაობაზე გადაჭრით თქმა ძნელია.[7] ასწლეულების განმავლობაში თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად ისინი ხშირად ებრძოდნენ ერთად ირანს და ზოროასტრიზმს, არაბთა სახალიფოსა და სუნიზმს, თურქ-სელჩუკებს და თურქმანულ ტომებს, მონღოლებს და ოსმალებს, სპარსელებს და შიიზმს, და... ერთმორწმუნე ბიზანტიასაც...

ისტორიულმა ბედისწერამ ისე ინება, რომ უდიდესი ძალისხმევის ფასად ქართველმა ერმა თავისი სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ყოფა შეინარჩუნა და ერთიანი საქართველოსა თუ ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროების სახით XIX საუკუნის დასაწყისამდე მოაღწია. სომხებს კი სხვა ბედი ერგოთ წილად...

საუკუნეების განმავლობაში, არა თუ სომხური სამთავრო-სახელმწიფოების, არამედ თავად სომხური ეთნოსის ყოფნა-არყოფნის საკითხი მდგარა ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ. არაერთხელ ყოფილა, რომ სარწმუნოებრივი თავსებადობის პრინციპიდან გამომდინარე, ქართველ მეფეებს სომეხი ერისათვის თავს დატეხილი დიდი უბედურება აუცილებიათ და სომხური ეთნოსი, როგორც ასეთი, განადგურებისაგან გადაურჩენიათ. სომხებსაც შესაბამისად აღუქვამთ ქართველთა ეს დიდი მადლი. მაგრამ ქართულ-სომხურ ურთიერთობებში, სამწუხაროდ, ისეთი მაგალითებიც ყოფილა ხშირად, როცა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მაცხოვრებელი სომხები, ქართველთა მიმართ სიძულვილის, ორპირობისა და ღალატის ქრესტომათიულ ქმედებებს ჩადიოდნენ. ისტორიული მაგალითები საკმარისზე მეტია. ასე იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდეც, ბაგრატუნების დინასტიის მეფობისას, შაჰ-აბას სეფის ბატონობის დროსაც, აღა-მაჰმად ხან ყაჯარის მიერ თბილისის აღებისას და თუნდაც სულ უახლოეს წარსულში, 1992-1993 წლებში, აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე რუსეთ-საქართველოს ომის მსვლელობის დროს. სომხურ-ქართულმა სახელმწიფოებრივმა და იდეოლოგიურმა დაპირისპირებამ კი, თავის პიკს 1918 წლის ბოლოს მიაღწია, მაშინ, როდესაც სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებმა და საბრძოლო რაზმებმა მმართველი პარტია ,,დაშნაკცუტიუნის" დიდი მეცადინეობის შედეგად ღია საომარი მოქმედებები დაიწყეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. 1919 წლის დასაწყისში კი,

[7] ალექსანდრე აბდალაძე. საქართველო და სომხეთი. გამომცემლობა ,,ეგრისი". თბილისი. 2008. https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/abdaladze/.

სოჭის ოლქის სომეხთა შეიარაღებული ჯგუფების მხარდაჭერით, თეთრგვარდიელი გენერლის, ანტონ დენიკინის ე.წ. ,,მოხალისეთა არმიის“ მეწინავე ქვედანაყოფებმა ძირძველი ქართული მიწების - სოჭის ოლქისა და აფხაზეთის ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს.

ჩვენი კვლევის საგანს ამჯერად არ შეადგენს სომხურ-ქართული მრავალსაუკუნოვანი და მრავალპლასტიანი ურთიერთობების დაწვრილებითი შესწავლა და ანალიზი. ჩვენი კვლევის მიზანს სომხეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული ინტერესებისა და პრეტენზიების, ე.წ. ,,სადავო მიწების" ისტორიული კუთვნილების, სომხეთ-საქართველოს შორის 1918-1919 წლებში მიმდინარე ომისა და ამ ფონზე XX საუკუნის 10-იანი წლების მიწურულს ამიერკავკასიაში განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური პროცესების ანალიზი წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად კი, 1918-1919 წლებში სომხეთისა და საქართველოს პირველ რესპუბლიკებს შორის წარმოებული ომის ისტორიული, პოლიტიკური და ნაციონალურ-იდეოლოგიური წანამძღვრების განხილვა, ამ ომისა და საბრძოლო მოქმედებების სამხედრო-სტრატეგიული, ოპერატიული თუ ტაქტიკური მონახაზების შესწავლა. გარდა ამისა - პარტია ,,დაშნაკცუტიუნის“ დღევანდელი აქტივობების წარმოდგენა.

1918-1919 წლების სომხეთ-საქართველოს ომი სამხედრო-ისტორიული თვალსაზრისით ფაქტიურად შეუსწავლელი იყო, რაც გარკვეულწილად ალბათ შესაბამისი საარქივო მასალების მიუწვდომლობითა და იმ ინტერნაციონალური იდეოლოგიური წნეხის არსებობით შეიძლება აიხსნას, რაც ქართველთა და სომეხთა იძულებითი, სამოცდაათწლიანი პერიოდის ტოტალიტარულ რეჟიმში თანაცხოვრებით იყო გამოწვეული ერთიან, უნიტარულ საბჭოთა იმპერიაში. წლების განმავლობაში ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს პერიოდსა და მოვლენას ფაქტობრივად გვერდს უვლიდა და არ და ვერ განიხილავდა საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების მმართველ პარტიათა იდეოლოგიების წინააღმდეგობრივ ურთიერთობებს. საბჭოური პერიოდის თვით ისეთ მონუმენტურ მრავალტომიან გამოცემაშიც კი, როგორიცაა ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, სომხეთ-საქართველოს ომი მხოლოდ რამდენიმე წინადადებაშია წარმოდგენილი და ისიც ბოლშევიკურ-საბჭოური ცრუ-ისტორიული იდეოლოგიის ნიშანდობლივი შტრიხებითაა უხვად გაჯერებული. 1972 წელს გამოცემული ამ მრავალტომეულის მეექვსე ტომში ვკითხულობთ:

,,სეიმის[8] დაშლისა და ამიერკავკასიაში ნაციონალისტურ მთავრობათა ჩამოყალიბების შემდეგ [ქართველი] მენშევიკები,[9] ისე როგორც სომხეთში დაშნაკები და აზერბაიჯანში

---

[8] ამიერკავკასიის სეიმი – ამიერკავკასიის სახელმწიფოს საკანონმდებლო წარმომადგენლობითი ორგანო. მოწვეულ იქნა თბილისში, ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ 1918 წლის 10 (23) თებერვალს. იგი შედგებოდა ამიერკავკასიიდან არჩეული სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრებისა და ამიერკავკასიაში მოქმედი პოლიტიკური პარტიების წევრებისგან. სეიმის თავმჯდომარეს ქართველი სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე წარმოადგენდა. 1918 წლის 26 მარტს სეიმმა მიიღო ამიერკავკასიის კომისარიატის გადადგომა და ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის ფორმირება. 22 აპრილს გამართულ სეიმის სხდომაზე კი, გამოცხადდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა, ხოლო იმავე წლის 26 მაისს, რეგიონში განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების გამო, სეიმმა თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. შესაბამისად, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა სამ დამოუკიდებელ ერთეულად – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებად დაიშალა.

[9] მენშევიკი (რუს. Меньшеви́к, წარმოებულია სიტყვიდან ,,Меньшинство“, ,,უმცირესობა") – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ზომიერი ფრაქციის წევრი. ამ პარტიის ლიდერებს, რომლებიც ორთოდოქსალური მარქსიზმის იდეოლოგიის ერთგულნი დარჩნენ, წარმოადგენდნენ გიორგი პლეხანოვი, იული მარტოვი, პაველ აქსელროდი, ალექსანდრ მარტინოვი, ნიკოლოზ ჩხეიძე, ფიოდორ დანი, ირაკლი წერეთელი. რსდმპ-ის მეორე ფრაქციას რადიკალური მიმართულება წარმოადგენდა, ე.წ. ,,ბოლშევიკები" (რუს. Большевики), რომლის ლიდერებიც ვლადიმირ ლენინი, იოსებ სტალინი, ლევ კამენევი, ნიკოლაი ბუხარინი იყვნენ. პარტიის გახლეჩა ორ ფრაქციად 1903 წლის ივლისში ბრიუსელსა

მუსავატელები,[10] შოვინისტები გახდნენ და ამიერკავკასიის ძმათა მკვლელი ომების წაქეზების პოლიტიკის განხორციელება დაიწყეს. მენშევიკებმა, ისევე როგორც დაშნაკებმა და მუსავატელებმა, წამოიწყეს დავა საზღვრებზე და ამასთან დაკავშირებით ხელი მიჰყვეს ამიერკავკასიის მოძმე ხალხთა შორის შუღლისა და მტრობის გაღვივებას. დავა მალე შეიარაღებულ შეტაკებაშიც გადაიზარდა. 1918 წლის მიწურულსა და 1919 წლის დასაწყისში მენშევიკური და დაშნაკური მთავრობის უგუნური პოლიტიკის შედეგად გაჩაღდა საქართველო-სომხეთის ომი, რაც მათი მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების მანძილზე არასოდეს მომხდარა. ამას მოჰყვა აღვირახსნილი შოვინისტური პროპაგანდა ორივე ქვეყანაში. ქართველი და სომეხი ხალხის ამ წაკიდებაში ნაციონალისტურ პარტიებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ გერმანელი, თურქი და შემდეგ ინგლის-ამერიკელი ინტერვენტები, რომელთაც ამიერკავკასიის ხალხთა გათიშვა და ძმათამკვლელი ომები საკუთარი ბატონობის განსამტკიცებლად სჭირდებოდათ“.[11]

აი, სულ ეს არის, რასაც ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეექვსე ტომში ამოვიკითხავთ სომხეთ-საქართველოს ომის შესახებ... რეალური ისტორიული ფაქტებისა და მიმდინარე პროცესების ობიექტურად და მეცნიერულ დონეზე წარმოდგენის მაგივრად, საქართველოს ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ სულ რაღაც ერთ აბზაცშია გადმოცემული და ისიც ბოლშევიკურ-საბჭოური იდეოლოგიის საბურველითაა დაფარული. ძნელად დასაჯერებელია, რომ ამ საკითხში გაუთვითცნობიერებელმა მკითხველმა ზემოთ მოყვანილი ამონარიდიდან, რომელიც უხვადაა გაჯერებული საბჭოური

და ლონდონში მიმდინარე რსდმპ-ის II ყრილობაზე მოხდა. მაშინ, პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნებზე ი. მარტოვის მომხრეები უმცირესობაში აღმოჩნდნენ, ვ. ლენინის მომხრეები კი – უმრავლესობაში. ლენინმა თავის მომხრეებს ,,ბოლშევიკები'' (უმრავლესობა) უწოდა, მარტოვმა კი, ,,მენშევიკები'' – (უმცირესობა). მენშევიკთა ფრაქციის მიერ ასეთი არამომგებიანი დასახელების მიღება მარტოვის წარუმატებლობად შეიძლება შეფასდეს და პირიქით. ბოლშევიკთა ფრაქციის დასახელებისათვის წუთიერი ელექტორალური წარმატების აღმნიშვნელი სიტყვის მიკუთვნება ლენინის ძლიერი პოლიტიკური სვლა იყო. რსდმპ-ის შემდგომ ისტორიაში ლენინის მომხრეები ხშირად აღმოჩენილან უმცირესობაში, და მიუხედავად ამისა, დასახელება ,,მენშევიკები'' მყარად დამკვიდრდა პარტიის მარტოვ-პლეხანოვის ფრაქციის აღსანიშნავად. აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პირველი მარქსისტული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში, დასახელებით ,,მესამე დასი'', 1892 წელს შეიქმნა, უფრო ადრე, ვიდრე რსდმპ. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნის (1898 წლის 1 მარტი) შემდეგ, ,,მესამე დასი'' მასთნ გაერთიანდა. რუსეთის იმპერიის ფაქტობრივი დაშლის შემდეგ კი, 1918 წლიდან, ცალკე გამოიყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დასახელებით.

[10] მუსავატი (აზერ. Müsavat. მომდინარეობს არაბულიდან مساواة და პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს თანასწორობას) – პოლიტიკური პარტია აზერბაიჯანში. შეიქმნა 1911 წელს ბაქოში, დასახელებით ,,მუსულმანური დემოკრატიული პარტია მუსავატი''. კავკასიაში პარტია ,,მუსავატის'' პოპულარობა იმით აიხსნებოდა, რომ მისი წევრი შეიძლებოდა გამხდარიყო ნებისმიერი მუსლიმი, რომელიც ,,ყურანის'', ისლამის ნორმებისა და ეროვნული ერთიანობის იდეის ერთგულებაზე დადებდა ფიცს. თუმცა, შიიტი მოლების თვალსაზრისით, ,,მუსავატის'' იდეები ეწინააღმდეგებოდა ისლამს. მათი აზრით, იგი ანტიისლამური, სოციალისტური და ამავე დროს ნაციონალური ტიპის პარტია იყო. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, პარტია ,,მუსავატმა'', რომელმაც დომინანტური ადგილი დაიკავა აზერბაიჯანის პოლიტიკურ სივრცეში, ,,რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის'' შექმნის პოზიცია დაიკავა, რომლის შემადგენლობაშიც იქნებოდა აზერბაიჯანის ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია. 1917 წლის ივნისში მოხდა ,,მუსავატისა'' და ,,თურქთა ფედერალისტური პარტიის'' გაერთიანება და მას ,,ფედერალისტ-მუსავატისტთა თურქული დემოკრატიული'' პარტია ეწოდა. თავისი არსით და იდეოლოგიით ,,მუსავატი'' არ იყო მარქსისტულ-სოციალისტური ტიპის პარტია. იგი აზერბაიჯანელ ერში კლასობრივი მშვიდობის იდეას ქადაგებდა. მსხვილ ბურჟუაზიასთან ერთად პარტიას მხარს უჭერდნენ ასევე წვრილი ვაჭრები და მეწარმეები, ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენცია, აგრეთვე მუშებისა და გლეხობის ნაწილი.

[11] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. საქართველო 1900-1921 წლებში. (რედ: აკ. სურგულაძე, ნ. მარგიანი, ა. ბენდიანიშვილი, ა. კიკვიძე და სხვ.) თბილისი. 1972. გვ. 460.

ანტიდასავლური პროპაგანდისტული ნოტებით, რაიმე აზრი გამოიტანოს ან რაიმე სახის დიალექტიკა დაინახოს.

დღევანდელ ქართულ რეალობაშიც ამ პრობლემატური თემატიკის შესახებ არ არსებობს სპეციალური გამოკვლევები არც სამხედრო ისტორიის კუთხით, არც საჯარისო ტაქტიკის და არც ოპერატიული ანალიზის თვალსაზრისით. მით უმეტეს, არ არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებული მეტად მნიშვნელოვანი პრობლემების სტრატეგიული ხედვა.

სომხეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებული მრავალი საკითხი კიდევ ერთი თეთრი ლაქაა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სფეროდან, რომლის მეცნიერული, ობიექტური და არგუმენტირებული შესწავლა პირველი რიგის გადაუდებელ ამოცანად დავისახეთ, ამიერკავკასიაში, და კერძოდ, საქართველოში არსებული დღევანდელი არასტაბილური სიტუაციიდან გამომდინარე. ამ მიმართებით ყველაზე საგანგაშო კი, ისაა, რომ 1918-1920 წლებში ამიერკავკასიის ახლადგაჩენილ რესპუბლიკებს შორის არსებული იდეოლოგიური და პოლიტიკური უთანხმოებების, ტერიტორიული პრეტენზიებისა და მოთხოვნების საერთო ტენდენციები ძალიან წააგავს რეგიონში შექმნილ დღევანდელ მდგომარეობას. დაშნაკთა პარტიის იდეოლოგები და სომხური ნაციონალისტურ-სეპარატისტული ორგანიზაცია ,,ჯავახკის“ ლიდერები საქართველოს ისტორიულ რეგიონს - სამცხე-ჯავახეთს დღესაც ე.წ. ,,დიადი არმენიის“ შემადგენელ ნაწილად განიხილავენ, ხოლო სომხეთ-აზერბაიჯანის მთიან ყარაბაღთან დაკავშირებული შეიარაღებული დაპირისპირება მსოფლიოს ერთ-ერთ ცხელ წერტილს და რეგიონის გადაუჭრელ ეთნო-ტერიტორიულ კონფლიქტს წარმოადგენს დღესაც, რომელიც პერიოდულად აქტიურდება ან რემისიის ფაზაში იმყოფება. შესაბამისად, სომხეთ-საქართველოს დღევანდელი ურთიერთობებიც ნამდვილად ვერ ჩაითვლება კეთილმეზობლურად. ჯავახეთსა და ქვემო ქართლში არსებული საერთო პოლიტიკური მდგომარეობაც იმ შენელებული მოქმედების ნაღმს წარმოადგენს ქართულ-სომხურ ურთიერთობებში, რომელიც ნამდვილად არ არის ბოლომდე განეიტრალებული და ეს პრობლემაც ადრე თუ გვიან აუცილებლად იჩენს თავს. საერთოდ, ისტორია ხშირად მეორდება...

ხსენებული თემის შესახებ აქამდე არსებულ ნაშრომებში, კვლევებსა თუ პუბლიკაციებში, 1918-1919 წლების სომხეთსა და საქართველოს შორის არსებული შეიარაღებული დაპირისპირება ზოგან მცირე სახელმწიფოებრივი უთანხმოების, ზოგან საზღვრისპირა კონფლიქტის, უმნიშვნელო შეტაკებისა თუ მიწის ვიწრო ზოლისათვის წარმოქმნილი სახელმწიფოებრივი ინცინდენტის სახელებითაა მონათლული. რეალურად კი, ეს სახელმწიფოებრივი დაპირისპირება სრულმასშტაბიან ომს წარმოადგენდა სომხეთისა და საქართველოს პირველ რესპუბლიკებს შორის, ყველა პოლიტიკური ასპექტისა და საბრძოლო კომპონენტის ჩათვლით.

ამ ომის შედეგების სტატისტიკურ მონაცემებსა და საერთო ანალიტიკურ შეფასებას ჩვენ ნაშრომის ბოლოს წარმოვადგენთ. აქ კი მხოლოდ მცირე ამონარიდს მოვიყვანთ ამ ომის შედეგების საშიშროების შესახებ 1919 წლის ჟურნალ ,,მხედრიდან”: ,,ქართული მხედრობა თავისი ერის მომავალს იცავდა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ გამარჯვებულ აღამაჰმადხანზე უფრო საშიშარნი საქართველოსათვის, გამარჯვებული დაშნაკცაკანები იყვნენ”.[12] ამონარიდში მოყვანილ შეფასებას ჩვენც ვეთანხმებით. დიახ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო უწყებაში ნამდვილად სწორად აფასებდნენ იმ დიდ საშიშროებას, რის წინაშეც აღმოჩნდა ქართლოსის მოდგმა 1918 წლის ბოლოს.

ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის, პროცესის, პერიოდის და მით უმეტეს, კრიტიკული დაპირისპირების ფონზე არსებული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების განხილვა-შესწავლა და ობიექტური ანალიზის ჩატარება, უდიდეს პასუხისმგებლობას მოითხოვს ნებისმიერი მკვლევარის მხრიდან. მკვლევარის ეთიკა მოითხოვს, რომ პრობლემატური საკითხები ყოველგვარი

[12] ჟურნალი ,,მხედარი”. 1919. №7. გვ. 8.

მიკერძოებისა და პირადი სიმპათიების უგულებელყოფით იქნას შესწავლილი. დასმული საკითხების სპექტრი მრავალფეროვანია, საკამათო საკითხი კი ძალიან ბევრი. მოცემულ თემატიკასთან მიმართებაში, ქართველ ისტორიკოს-მკვლევართა მიერ აქამდე შექმნილ ნაშრომებში ალბათ ზოგადი კონიუნქტურის გათვალისწინებით, მაინც არ და ვერ იქნა ბოლომდე შესწავლილი და შეფასებული იმ დროს ამიერკავკასიაში არსებული ზოგადი სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა, ე.წ. ,,სომხური საკითხის" წარმოშობის წინაპირობები და გენეზისი, მისი განვითარების ისტორიული წანამძღვრები, ტენდენციები და შემდგომი ევოლუცია, სომხეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობისას საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამხედრო უწყების ნებისმიერი რგოლისა თუ პასუხისმგებელი პირის პროფესიული ღირსებისა და პირადი თვისებების როლი.

ჩვენს მიერ შექმნილი ნაშრომი ძირითადში საარქივო ოპერატიულ მასალებსა და სხვა დოკუმენტურ პირველწყაროებს ეყრდნობა. ძირფესვიანად იქნა მოძიებული და შესწავლილი საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული შესაბამისი მასალები - ძირითადში ფონდები №№ 1864, 1874, 1878, 1936, 1946, 1964, 1968, 1969, 1970, 1161, 2115 და სხვ. აგრეთვე ე.წ. ,,ლევილისა და ჰარვარდის" ფონდები. საარქივო ფონდებში მიკვლეული სამთავრობო დადგენილებები და დიპლომატიური მიმოწერა, ოპერატიული დანიშნულების შიფროგრამები და პასუხისმგებელ პირთა პირდაპირი საუბრების სტენოგრაფიული ჩანაწერები, სამხედრო დანიშნულების ტელეგრამები და უწყისები, სამხედრო მეთაურთა საბრძოლო ბრძანებები და პატაკები, საომარ მოქმედებათა ჟურნალებიდან ამონაწერები და მოხსენებითი ბარათები, უტყუარ პირველწყაროებს და არ შევცდებით თუ ვიტყვით - მართლაც უნიკალურ მასალას წარმოადგენს, რამაც საშუალება მოგვცა აქამდე მრავალი ბუნდოვანი თუ საკამათო საკითხისათვის აგვეხადა ფარდა.

გამომდინარე საკვლევი პრობლემის მნიშვნელობიდან ერთის მხრივ, და ნაშრომის ფორმატიდან მეორეს მხრივ, შევეცადეთ მაქსიმალურად სრულად წარმოგვედგინა ამ საკითხთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტაცია. ,,გამომდინარე იქიდან, რომ სომხეთ-საქართველოს ომის ისტორიის შედგენისათვის მთავარი ღირებულება მხოლოდ წერილობით დოკუმენტებს აქვთ, ამ ომის შემსწავლელ სამხედრო-საისტორიო კომისიას შექმნილი პოლიტიკური გარემოს, ომის საბაბისა და მიზეზების შესასწავლად ესაჭიროება ამ საკითხთან დაკავშირებული მთავრობის ყველა დადგენილების, ტელეგრამისა და დოკუმენტის ასლი. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე გავეცნოთ იმ მოლაპარაკებების შინაარსს, რომელსაც მთავრობა აწარმოებდა ამ საკითხთან დაკავშირებით მოკავშირე სახელმწიფოთა მისიებთან"...[13]

მოყვანილი ამონარიდი სომხეთ-საქართველოს ომის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეს, ამ ომში ქართული შეიარაღებული ძალების მთავარი სამხედრო დაჯგუფების საველე შტაბის უფროსს, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორ გიორგი კვინიტაძეს[14] ეკუთვნის.

---

[13] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 2, საქმე 19/გ, ფურცელი 24.

[14] გიორგი კვინიტაძე (1874-1970წ.წ.) – ქართველი ოფიცერი და სამხედრო მოღვაწე, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი, რუსეთის არმიის გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი და ქართული არმიის გენერალი. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების პირველი და ფაქტობრივად ბოლო მთავარსარდალი, რესპუბლიკის თავდაცვის და სამხედრო საბჭოების წევრი, 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე, გიორგის ჯვრის კავალერი. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი და პეტერბურგის ქვეითთა სამხედრო სასწავლებელი. 1894 წლიდან სამხედრო სამსახურშია. მსახურობდა ვლადიკავკაზის 153-ე პოლკში. 1897 წელს ენიჭება პორუჩიკის, ხოლო 1901 წელს შტაბს-კაპიტნის წოდება. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის მსვლელობისას იყო აღმოსავლეთ ციმბირის მე-9 მსროლელი პოლკის ასეულის მეთაური.

დიახ, ფართო საზოგადოებისთვის ალბათ უცნობია ის ფაქტი, რომ სომხეთ-საქართველოს ომის დასრულებისთანავე, 1919 წლის იანვრის ბოლოს შეიქმნა ამ ომის შემსწავლელი სახელმწიფო-საისტორიო კომისია, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა სწორედ გენერალი კვინიტაძე. კომისიის წევრად დაინიშმა რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის ოპერატიული სექციის უფროსი, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი, შემდგომში საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი და ქართული არმიის გენერალი, პოლონეთის არმიის დივიზიის გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. კომისიის წევრს წარმოადგენდა აგრეთვე პორუჩიკი ბერელაშვილი. კომისიის სამუშაო ადგილად გენერალური შტაბის განყოფილების ოპერატიული სექცია გამოიყო.

სომხეთ-საქართველოს ომის შემსწავლელი კომისია მუშაობას 1919 წლის 1 თებერვალს შეუდგა.[15] სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის, მართვისა და აღსრულების მარეგულირებელი დოკუმენტების, სამთავრობი კორესპონდენციებისა და საბრძოლო ბრძანებების, აგრეთვე საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობის აღწერის შესახებ მოთხოვნები დაეგზავნათ მთავრობის წევრებსა და

1905 წელს ენიჭება კაპიტნის წოდება. 1910 წელს დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია და სამსახური გააგრძელა კავკასიის მე-16 გრენადერთა პოლკში. 1915 წლის დეკემბრიდან პოდპოლკოვნიკია, მსახურობდა I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე მოქმედი მე-4 მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსის თანამდებობაზე. 1916 წელს ენიჭება რუსეთის საიმპერატორო არმიის პოლკოვნიკის წოდება. იყო კავკასიის ფრონტის არზრუმის ოპერაციის აქტიური მონაწილე და გმირი. 1917 წლის მაისიდან კავკასიის მე-15 ქვეითი პოლკის მეთაურია. 1917 წლის ბოლოდან აქტიურად მონაწილეობდა ქართული სააარმიო კორპუსის ჩამოყალიბებაში. 1918 წლის იანვრიდან ინიშნება კავკასიის ფრონტის შტაბის გენერალ-კვარტერმეისტერის მოადგილედ. 1918 წლის დასაწყისიდან ქართული საარმიო კორპუსის 1-ლი ქართული დივიზიის მეთაურია. 1918 წლის აპრილიდან – ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწე. 1918 წლის მაისიდან 1918 წლის აგვისტომდე, 1920 წლის მაისიდან 1920 წლის ოქტომბრამდე, და 1921 წლის თებერვალ-მარტში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. 1918 წლის დეკემბერი – 1919 წლის იანვრის პერიოდში იყო სომხეთ-საქართველოს ომის სადახლო-შულავერის ფრონტის საველე შტაბის უფროსი. 1919 წლის მარტიდან იმავე წლის ივნისამდე – ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი და რეგიონის ქართული გარნიზონის სარდალი, სადაც მსახურობდა 1919 წლის მაისის ბოლომდე. 1919 წლის სექტემბრიდან ინიშნება ქართული სამხედრო სკოლის უფროსად. 1920 წლის მაისიდან, რუსული ბოლშევიკური სამხედრო აგრესიისა და რუსეთ-საქართველოს პირველი ომის მსვლელობისას, ისევ ინიშნება საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად და სამხედრო საბჭოს წევრად. თანამდებობიდან გადადგა იმავე წლის ოქტომბერში და დაუბრუნდა სამხედრო სკოლას. 1921 წლის თებერვალში რუს ბოლშევიკთა ახალ სამხედრო ინტერვენციასთან დაკავშირებით მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით ისევ ინიშნება საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად და თავდაცვის საბჭოს წევრად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, მთავრობის წევრებთან და სხვა სამხედროებთან ერთად ტოვებს სამშობლოს და მიდის ემიგრაციაში. ცხოვრობდა ჯერ კონსტანტინოპოლში, სადაც ხელმძღვანელობდა ქართველი იუნკრების გადანაწილებას საბერძნეთის, პოლონეთისა და საფრანგეთის სამხედრო სასწავლებლებში. შემდეგ გადადის საბერძნეთში, ბოლოს კი, საფრანგეთში. ამ პერიოდის განმავლობაში კავშირი ჰქონდა ემიგრაციაში მყოფ ეროვნულ ძალებთან. დაკავებული იყო პუბლიცისტური საქმიანობით. თანამშრომლობდა პარიზსა და ბერლინში გამომავალ კავკასიის ხალხთა ემიგრაციულ ჟურნალთან ,,Кавказ (Le Caucase) (Der Kaukasus)“. ემიგრაციაში ყოფნისას რუსულ ენაზე დაწერა და გამოაქვეყნა მემუარული ხასიათის ნაშრომი ,,საქართველოს დამოუკიდებლობის წლები. 1917-1921“, რომელიც ქართულ ენაზე ორ ტომად გამოიცა 1999 წელს. გარდაიცვალა პარიზთან ახლოს, დაბა შატუში, ღრმად მოხუცებული, 1970 წელს. დაკრძალეს იქვე, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. 2013 წლის 26 მაისს გენერალ კვინიტაძეს მიენიჭა საქართველოს ეროვნული გმირის წოდება, ხოლო 2021 წლის მაისში მისი ნეშტი სამშობლოში გადმოასვენეს და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, სრული მხედრული პატივით დაკრძალეს თბილისში, მთაწმინდის პანთეონში.

[15] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი 18.

სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელებს, სამხედრო სამინისტროსა და გენშტაბის განყოფილებებისა და სექციების უფროსებს, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების მეთაურებს.

ძალიან საინტერესოა სომხეთ-საქართველოს ომის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის, გენერალ კვინიტაძის მიერ 1919 წლის 1 თებერვალს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში გაგზავნილი N4 მოთხოვნის შინაარსი, სადაც იგი სხვა ადრესატებისგან განსხვავებით, გვარდიის მთავარი შტაბისგან უფრო დაწვრილებითი ცნობების მიწოდებას ითხოვდა, ვიდრე სამხედრო უწყების სხვა საჯარისო შენაერთებისა და ნაწილებისგან.

,,გთხოვთ მოგვაწოდოთ:

1. საერთო ცნობები სახალხო გვარდიის შემადგენლობისა და რაოდენობის, ე.ი. ადგილებზე ორგანიზაციის შესახებ;
2. როგორ ხდება სახალხო გვარდიის პირადი შემადგენლობის კომპლექტაცია, ანუ, როგორია უმაღლესი სამეთაურო და ოფიცერთა პირადი შემადგენლობა, ასევე სახალხო გვარდიელთა ძირითადი მასა;
3. საომარ მოქმედებათა თეატრზე სახალხო გვარდიის (ფრაზა ,,სახალხო გვარდია“ ყველგან დიდი ასოებით (ასომთავრულით) არის დაბეჭდილი - ა. ჩ.) განლაგება;
4. საერთოდ, ცნობები სახალხო გვარდიის საბრძოლო მომზადების შესახებ, ანუ, როგორ მიმდინარეობდა მეცადინეობები და კონკრეტულად რომელი;
5. ეკატერინოვკასთან (აქ მცირე უზუსტობასთან გვაქვს საქმე. უნდა იყოს ეკატერინენფელდი - ა. ჩ.) დაღუპული სახალხო გვარდიის შტაბის წევრის, მაისურაძის მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი. სასურველი იქნებოდა თუ მთავარ შტაბში მოიძებნება ცნობები, სადაც აღწერილი იქნება ცალკეული პირების გმირული მოქმედებები, მათი ფოტოები, ასევე, ზოგადად, სომხეთ-საქართველოს უკანასკნელი ომის ცალკეული ეპიზოდების ამსახველი ფოტომასალა. ასლების გადაღების შემდეგ ყველაფერი უკან დაგიბრუნდებათ“.[16]

აღსანიშნავია, რომ სომხეთ-საქართველოს ომის შემსწავლელი კომისიის წევრები ძალიან ჩქარობდნენ მასალების მოძიებას და დასკვნის დადებას, რადგან იმედოვნებდნენ, რომ ეს მასალები მოესწრებოდა პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერნციაზე წარსადგენად და იქ საქართველოს პოზიციების გასამაგრებლად. მაგრამ სამწუხაროდ, 1919 წლის თებერვლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში განვითარებულმა მძიმე სამხედრო-პოლიტიკურმა მოვლენებმა შეუძლებელი გახადა კომისიის მუშაობის გაგრძელება. საქმე იმაშია, რომ სოჭის ოლქსა და აფხაზეთში ველიკორუსულ რესტავრატორთა ახალი ძალა, გენერლების, მიხაილ ალექსეევისა და ანტონ დენიკინის ე.წ. ,,მოხალისეთა არმია“ შემოიჭრა, სამცხე-ჯავახეთში კი, პანისლამისტური ტიპის ახლადშექმნილი ე.წ. ,,სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ ან სხვანაირად ,,ყარსის რესპუბლიკის“ შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს საბრძოლო მოქმედებები. ყოველივე ამას, ზემოხსენებული ძალების მიერ ისტორიული ქართული რეგიონების ოკუპაცის მოჰყვა შედეგად. უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მეთაურის გადაწყვეტილებით, გენერალი კვინიტაძე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად და რეგიონში გაშლილი ქართული საჯარისო კონტინგენტის სარდლად დაინიშნა. ამით სომხეთ-საქართველოს ომის შემსწავლელმა კომისიამ არსებობა შეწყვიტა, პირველი ქართული რესპუბლიკის სახელმწიფო ინსტიტუტების მთელი ძალისხმევა კი, ამ რეგიონებში გამწვავებული პრობლემების გადაჭრაზე იქნა მიმართული. შესაბამისად, სომხეთ-საქართველოს ომის ისტორიის

[16] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი 18.

კომპლექსური კომისიური შესწავლა ვეღარ მოხერხდა. ჩვენ შევეცადეთ გაგვეგრძელებინა დიდი სარდლის მიერ დაწყებული ეს მნიშვნელოვანი საქმე და ჩვენის აზრით, გარკვეული სიცხადე შევიტანეთ ამ მეტად საკამათო და ბუნდოვანი საკითხის შესწავლის საქმეში.

კვლევისათვის გამოვიყენეთ ჩვენთვის ხელმისაწვდომი კალიფორნიის ჰარვარდის უნივერსიტეტის სტენფორდის ინსტიტუტის ჰუვერის ,,ომის, რევოლუციისა და მშვიდობის'' არქივთსაცავებში არსებული დოკუმენტაცია, ასევე დიდი ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს (WO – War Office) არქივში დაცული ცალკეული დოკუმენტები, საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა მემუარული ჩანაწერები და ნაშრომები, რომლებიც ან უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ ომში, ან მჭიდრო შეხება ჰქონდათ აღნიშნულ საკითხთან. ამ მიმართებით, დიდია ცნობილი ქართველი მეცნიერის, პროფესორ გურამ შარაძის წვლილი. სწორედ მისი დიდი ძალისხმევის ფასად მოხერხდა გავცნობოდით საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა მემუარებს, რაც ადრე მიუწვდომელი იყო ჩვენთვის. უაღრესად ფასეულია იმდროინდელი ქართველი გენერალიტეტისა და ოფიცერთა კორპუსის ისეთი წარმომადგენლების მემუარები, როგორებიც იყვნენ: გიორგი კვინიტაძე, გიორგი მაზნიაშვილი, ილია ოდიშელიძე, შალვა მაღლაკელიძე, ალექსანდრე ზაქარიაძე, ვლადიმერ გოგუაძე, ვალერიან თევზაძე, ვალიკო ჯუღელი, ავქსენტი აბესაძე. ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ გენერალ ანტონ დენიკინის მემუარებიც. ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდის პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა: ნოე ჟორდანიას, გრიგოლ ლორთქიფანიძის, რევაზ გაბაშვილის, ვიქტორ ნოზაძის, ზურაბ ავალიშვილის, მიხაკო წერეთლის, ივანე ჯავახიშვილის, პეტრე გელეიშვილის, დავით ვაჩნაძის და სხვათა ანალიტიკური ნაშრომების გაცნობა.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო დიდი ქართველი მეცნიერისა და მოაზროვნის, პატრიოტისა და საზოგადო მოღვაწის, სომხეთ-საქართველოს ომის უშუალო მონაწილის, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის აქამდე უცნობ მემუარებში წარმოდგენილი მასალების გაცნობაც, რისი მიგნებისა და პირველად გამოქვეყნების უფლება და დიდი პატივი ჩვენ გვხვდა წილად.

წიგნზე მუშაობისას გამოვიყენეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო-წარმომადგენლობითი ორგანოს, საქართველოს პარლამენტის სხდომების სტენოგრაფიული ჩანაწერები, სადაც აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული საკითხები განიხილებოდა. პრაქტიკულად სრულად შევისწავლეთ იმდროინდელი პერიოდიკის მასალები, სადაც აღნიშნული საკითხები შუქდებოდა და თავის დროზე გამოქვეყნებული იყო გაზეთებში: ,,საქართველო'', ,,სახალხო საქმე'', ,,საქართველოს რესპუბლიკა'', ,,კლდე“, ,,ერთობა”, ,,კომუნისტი“, ,,Борьба“, ,,Правда Грузии'' და სხვა. ჟურნალებში: ,,რესპუბლიკის ჯარი'', ,,ჯარი და ერი“, ,,მხედარი“, ,,თეატრი და ცხოვრება'', აგრეთვე პარიზსა და ბერლინში გამომავალ კავკასიის ხალხთა ემიგრაციულ ჟურნალში - ,,Кавказ (Le Caucase) (Der Kaukasus)“ და სხვა. მეტად მნიშვნელოვანია ამ თემასთან დაკავშირებით ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის, ქართული თეატრისა და კულტურის დიდი მოამაგისა და მეცენატის, ჟურნალ ,,თეატრი და ცხოვრების'' გამომცემელ-რედაქტორის, ბატონ იოსებ იმედაშვილის დოკუმენტურ-მხატვრული ხასიათის ჩანაწერები, რომელიც მან, როგორც სომხეთ-საქართველოს ომის პირველი ეტაპის ბატალიების უშუალო თვითმხილველმა შექმნა საფრონტო ჟურნალისტის ამპლუაში.

სომხეთისა და საქართველოს ურთიერთობების სრულად და ამომწურავად გასაშუქებლად შესწავლილი და გამოყენებული იქნა ქართველი და სომეხი ავტორების სამეცნიერო ნაშრომები და გამოკვლევები, რომელთა ჩამოთვლაც აქ შორს წაგვიყვანს, მაგრამ ამ მიმართებაში მაინც უნდა გამოვყოთ ქართველი ისტორიკოსისა და არმენოლოგის, პროფესორ ალექსანდრე აბდალაძის დიდი

ღვაწლი. მისმა ორიგინალურმა თარგმანებმა საშუალება მოგვცა გავცნობოდით საკვლევ თემასთან დაკავშირებულ სომხურ ენაზე არსებულ ლიტერატურას.

სომეხთა ნაციონალისტურ-რევოლუციური ტიპის პარტიების, გრეთვე სომეხთა რევოლუციური ფედერაციის - დაშნაკთა სოციალისტური პარტიის შესახებ სრულყოფილი მასალების მოსაძიებლად და მასზე მუშაობისას ვსარგებლობდით საარქივო პირველწყაროებით, ხოლო დაშნაკთა პარტიის სამხედრო-პოლიტიკურ ფიგურათა მოღვაწეობისა და დაშნაკური საბრძოლო რაზმების აქტივობების წარმოსაჩენად მეტად მნიშვნელოვანი იყო კავკასიის არმიის შენაერთებისა და სამხედრო ნაწილების მეთაურთა და სხვა რუს ოფიცერთა მემუარული მასალების გაცნობა.

დაშნაკთა პარტიის დღევანდელი სამოქმედო პროგრამის შესწავლისათვის ვსარგებლობდით საერთაშორისო-საინფორმაციო ელექტრონულ ქსელში დაცული პარტიის ისტორიისა და აქტივობის ამსახველი საარქივო მასალებით. პოლიტიკური, უშუალოდ სამხედრო და ოპერატიული ხელოვნების, საჯარისო და საბრძოლო ტაქტიკის საკითხების სრულყოფილად შესწავლისა და წარმოჩენის მიზნით, საინტერესო საკითხებთან მიმართებაში ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა სომეხ, ქართველ, აზერბაიჯანელ, რუს, თურქ, ფრანგ, ბრიტანელ, ამერიკელ და სხვა ავტორთა ფუნდამენტური ნაშრომები, სტატიები თუ პუბლიკაციები. მათი შეკრების, შეჯერებისა და ურთიერთდაპირისპირების გზით, მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების კრიტიკული გააზრების ფონზე, შემდგომი ანალიზის ჩატარებით, ჩვენის აზრით, მოხერხდა რეალობასთან მაქსიმალურად დაახლოებული ობიექტური სურათის დადგენა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს წინაშე დასმული ამოცანა შესრულდა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ჩვენს მიერ წარმოდგენილ მონოგრაფიას, რა თქმა უნდა, სულაც არა აქვს აბსოლუტური სრულყოფილებისა და უცილო ჭეშმარიტების პრეტენზია. შესაბამისად, დიდი ინტერესით მივიღებთ და გავეცნობით განხილულ თემასთან დაკავშირებულ საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს.

ისტორიოგრაფიული მიმოხილვა

1918-1919 წლების სომხეთ-საქართველოს ომის შესახებ ქართველ თუ უცხოელ ავტორთა მიერ აქამდე შექმნილ მეცნიერულ ნაშრომებსა და ანალიტიკურ სტატიებში, როგორც წესი, ერთი საერთო ხაზი და საერთო ტენდენციები შეიმჩნევა. ამ ომთან დაკავშირებული მრავალი პოლიტიკური თუ სამხედრო-პოლიტიკური საკითხი არასწორადაა გაშუქებული, ისტორიული ფაქტები დამახინჯებულად და ტენდენციურადაა წარმოდგენილი, დასკვნები კი, ცალმხრივი და მცდარია. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ თითქმის ყველა ამ ნაშრომში პრაქტიკულად ერთი და იგივე ტიპის შეცდომებია დაშვებული.

ზემოთქმულის დემონსტრირებისათვის ერთ მაგალითს მოვიყვანთ. თვით ღრმად პატივცემული და უაღრესად ავტორიტეტული მეცნიერი და მკვლევარი, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და მწერალი, პროფესორი ლევან სანიკიძე, თავის ისტორიულ მონოგრაფიაში ,,მესამე დასის საქართველო", სულ რაღაც ერთ ფურცელს უთმობს სომხეთ-საქართველოს ომის საკითხების განხილვას, მაშინ, როცა თვით ნაშრომი საკმაოდ სქელტანიანია და 540 გვერდს მოიცავს. ყველაზე უფრო გასაკვირი და ძნელად ასახსნელი კი ისაა, რომ ამ ერთ ფურცელზე გადმოცემული სომხეთ-საქართველოს ომის ზოგადი მიმოხილვა უამრავი უზუსტობითა და პირდაპირ უნდა ითქვას, შეცდომითაა აღსავსე. ერთადერთი არგუმენტი, რითაც შექმნილი სურათი შეიძლება ავხსნათ, ალბათ ისაა, რომ ამ მონოგრაფიის შექმნისას (1987-1989 წლები) სომხეთ-საქართველოს ომის შესახებ არსებული დოკუმენტები და საარქივო მასალები ნაწილობრივ მიუწვდომელი იყო ავტორისათვის და შესაბამისად, სრულყოფილი კვლევების ჩატარების საშუალებაც არ არსებობდა. ჩვენ შევეცდებით გამოვასწოროთ ეს ხარვეზები და ყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინოთ.

ბატონი ლევან სანიკიძე წერს:

,,1918 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ ნოტები დაუგზავნა სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის მთიელთა მთავრობებს, საერთო, ამიერკავკასიის კონფერენციის მოწვევის შესახებ. მაგრამ კავკასიის ხალხთა კონფერენციის მოწვევა - ეს თავისთავად ფრიად გონივრული და სასურველი განაზრახი - არ განხორციელდა. ეს არ მოისურვა სომხეთის დაშნაკურმა ხელისუფლებამ. ***საქართველოს მესვეურები დიპლომატიური წერილებით რამდენჯერმე შეეცადნენ დაეყოლიებინათ სამხრეთელი მეზობლები, მაგრამ ამ ,,დაყოლიების ცდებს" შედეგად მოჰყვა... ომი! დიახ, - ეს მოხდა 1918 წლის დეკემბერში, სწორედ მაშინ, როცა ამიერკავკასიაში, მის სამივე სატახტოში ჩამდგარიყვნენ ინგლისელები, სულ 20000 სამხედრო მოსამსახურით. სომხებმა ქართველებისათვის სრულიად მოულოდნელად გადმოლახეს საზღვარი სოფელ სანაინთან.*** ქართველები ცდილობდნენ ,,გონს მოეყვანათ" ***თავისი ისტორიული და მარადიული ძმები.*** მაგრამ საშველი არ გაჩნდა. ქართველებმა ხელი გამოიღეს, შეტევაზე გადავიდნენ და...

ასე დაიწყო ,,სომხეთ-საქართველოს" ომი - სამარცხვინო ლაქა ამ ორი ხალხის ხანგრძლივსა და სუფთა მატიანეში.

ეს ,,ომი" გაგრძელდა ათი დღე (21-31 დეკემბერი) და დამთავრდა ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენელთა ჩარევით და ,,თავგამოდებით". (სხვათა შორის, როცა სომხები შეტევაზე მოდიოდნენ, ინგლისელები მხოლოდ თვალყურს ადევნებდნენ და ხელს არ უშლიდნენ, ხოლო, როცა ქართველებმა მტერი უკუაქციეს და გამოედევნენ, მაშინ კი გამოიდეს თავი ქართველების შესაკავებლად და საერთოდ ზავის ჩამოსაგდებად).

ასე, რომ - ქართველებს და სომხებს, რომლებთაც ***საუკუნეთა მანძილზე, ერთმანეთის საზღვრების ჩხრეკით თავი მაინცდამაინც არასოდეს შეუწუხებიათ*** - ახლა მათი სამეზობლო სამანების დადგენა შორეული ბრიტანეთიდან მოსული ***არამცოდნეებისა*** და არამკითხეებისათვის მიენდოთ. ბრიტანელებმაც თავისი ,,ალბიონური სიდინჯით" ***წაკიდებული მეზობლები ომამდელ***

საზღვრებზე დააბრუნეს...” [17] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.). ამ ამონარიდში ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები, ფრაზები და წინადადებები სიმართლეს არ შეესაბამება და ისინი გარკვეული კომენტარების გაკეთებას საჭიროებს. ჩვენ თანმიმდევრობით და პუნქტობრივად შევეცდებით აღვნიშნოთ ღრმად პატივცემული ავტორის მიერ ალბათ უნებლიეთ დაშვებული უზუსტობები და გამოვასწოროთ იგი. მით უმეტეს, რომ მოცემულ თემასთან დაკავშირებით, იდენტურია სხვა ქართველ მეცნიერთა და მკვლევართა მიდგომები.

1. ნაშრომში შეცდომითაა დასახელებული სომხეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობის პერიოდი - 1918 წლის 21-31 დეკემბერი. სინამდვილეში, მკაცრად თუ მივუდგებით საკითხს - დაშნაკურ სომხეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის ომი 1918 წლის 18 ოქტომბრიდან 1919 წლის 17 იანვრამდე მიმდინარეობდა. სწორედ 1918 წლის 18 ოქტომბერს დაარღვიეს პირველად დაშნაკური სომხეთის რეგულარულმა საჯარისო ნაწილებმა და საბრძოლო რაზმებმა დამოუკიდებელი საქართველოს დე ფაქტო საზღვრები და მოახდინეს მისი გარკვეული ტერიტორიების ოკუპაცია. ხოლო 1919 წლის 17 იანვარს, თბილისში გამართულ სამმხრივ ბრიტანულ-ქართულ-სომხური სამშვიდობო კონფერენციის მეოთხე სხდომაზე საბოლოოდ მოეწერა ხელი სომხეთ-საქართველოს შორის დადებულ საზავო პირობებს.

სომხური სარდლობის მიერ სრულმასშტაბიანი ღია საომარი მოქმედებების დაწყების ბრძანება ღიად 1918 წლის 13 დეკემბერს გაიცა, ხოლო სამმხრივი შეთანხმების საფუძველზე ცეცხლი 1918 წლის 31 დეკემბრის ზუსტად 2400 საათზე შეწყდა. საერთოდ გაუგებარია ომის დაწყების თარიღად 21 დეკემბრის დასახელება. თუ ზუსტად და მკაცრად დავიცავთ ამ ომის მიმდინარეობის ფაქტობრივ ქრონოლოგიასა და ბატალურ მოვლენებს, 1918 წლის 21 დეკემბერი იმით იყო აღსანიშნავი, რომ სწორედ ამ დღეს ორი უსასტიკესი ბრძოლა დაიწყო სომხეთ-საქართველოს საომარ მოქმედებათა თეატრის ბორჩალოს საბრძოლო მოქმედებების ორ განსხვავებულ რაიონში - დაღეთ-ხაჩინსა და სადახლოში. პირველ შემთხვევაში, ქართული შენაერთის (სახალხო გვარდია და რეგულარული ჯარის ქვედანაყოფები) შეტევითი მოქმედებები დაღეთ-ხაჩინზე, ხოლო მეორეში - სომხური მსროლელი პოლკებისა და მოხალისეთა საბრძოლო რაზმების განმეორებითი შტურმი სადახლოზე. ორივე ეს ბრძოლა სომხეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობის შუა პერიოდს მოიცავს და არა მის დასაწყისს. ამ უმნიშვნელოვანესი ბრძოლების ბატალურ სცენებსა და პერიპეტიებს ჩვენ წიგნის მეორე ნაწილის შესაბამის თავში განვიხილავთ დაწვრილებით და მათ ტაქტიკურ ანალიზსაც შემოგთავაზებთ.

2. წარმოდგენილ მონოგრაფიაში დარღვეულია სომხეთ-საქართველოს ომსა და კავკასიის ხალხთა სამშვიდობო კონფერენციის მოწვევას შორის არსებული დიალექტიკური ერთიანობა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. ავტორის მიხედვით ჯერ მოწვეულ იქნა, უფრო ზუსტად, საქართველოს მთავრობის მხრიდან გამოთქმული იქნა სურვილი კონფერენციის მოწვევისა, რასაც სომხებმა ომით უპასუხეს. სინამდვილეში, საერთო კავკასიური სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის სურვილი საქართველოს მთავრობის მიერ სწორედ სომეხთა მხრიდან უკვე დაწყებული შეიარაღებული აგრესიის გასანეიტრალებლად იყო გამოთქმული. საქართველოს მთავრობის მიერ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მთიელთა რესპუბლიკის მთავრობებს სამშვიდობო კონფერენციაზე ოფიციალური მოწვევა 1918 წლის 27 ოქტომბერს დაეგზავნათ.

ომის დაწყების სწორი თარიღის - 1918 წლის 18 ოქტომბრის დაფიქსირება ავტომატურად ხსნის ავტორის მიერ დაშვებულ და ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ უზუსტობას. სხვათა შორის, უშუალოდ პირდაპირი ქართულ-სომხური სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვის პირველადი ინიციატივა სომხებს ეკუთვნოდათ, რასაც საქართველოს ,,პაციფისტურმა'' მთავრობამ თავი აარიდა. მიზეზებზე ქვემოთ ვისაუბრებთ დაწვრილებით.

---

[17] ლევან სანიკიძე. მესამე დასის საქართველო. ნაკვეთი პირველი. „მერანი”. თბილისი. 1989. გვ. 425-427.

3. როდესაც ვსაუბრობთ ანტანტის წევრი ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა კი, ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების შემოსვლაზე ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქმე ეხება გაერთიანებული სამეფოს საოკუპაციო ჯარების სამხედრო კონტინგენტს, და არა საკუთრივ ინგლისელებისას. საქმე იმაშია, რომ I მსოფლიო ომის დასაწყისიდანვე, ოსმალთა იმპერიის წინააღმდეგ ბალკანეთის, სირიისა და მესოპოტამიის ფრონტებზე, გაერთიანებული სამეფოს ბრიტანულ შენაერთებთან ერთად ინდური და ნეპალური სამხედრო ნაწილები, აგრეთვე ავსტრალია-ახალი ზელანდიის საარმიო კორპუსის[18] - ANZAC (Australia-New Zealand Army Corps) საექსპედიციო შენაერთი იქნა გადმოსროლილი, რომელთა გარკვეული ნაწილები და ქვედანაყოფები სწორედ 1918-1919 წლებში იქნა შემოყვანილი ამიერკავკასიაში. თბილისში 1919 წლის იანვრიდან პირველი ინდური ნაწილები და შოტლანდიელთა სამთო ქვედანაყოფები განლაგდნენ, ხოლო მთიან აჭარაში ნეპალური ქვედანაყოფები, გურკჰები[19] შემოიყვანეს. 1919 წლის თებერვლისათვის კი, ბრიტანული სამხედრო ნაწილები და ქვედანაყოფები ამიერკავკასიის ძირითად დასახლებულ პუნქტებში განლაგდნენ - თბილისში, ბათუმში, ბაქოში, ყარსში, ალავერდში, ყაზბეგში, მცხეთაში, ნახიჭევანში, ახალქალაქში, ფოთში, გაგრაში, მიხაილოვოში.[20] პირველი გურკჰები კი, თბილისში ბათუმიდან 1919 წლის 7 თებერვალს შემოვიდნენ.[21]

ასე, რომ ამიერკავკასიის ოკუპაციასთან მიმართებაში საუბარი ინგლისელთა, ხაზს ვუსვამთ - ინგლისელთა, და არა ზოგადად, გაერთიანებული სამეფოს, ან უკიდურეს შემთხვევაში, ბრიტანელთა სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების შესახებ - არაკორექტულია.

4. შეცდომითაა მითითებული აგრეთვე ბრიტანელთა ჯარების შემოსვლის თარიღი საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქში - 1918 წლის დეკემბერი. სომხეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას, თბილისის გუბერნიის ტერიტორიაზე ბრიტანული საოკუპაციო ჯარები საერთოდ არ იდგნენ. ამ დროს თბილისში მხოლოდ რამდენიმე ბრიტანელი

---

[18] კორპუსი (ლათ. Corpus – სხეული, ერთი მთლიანი) – ოპერატიული დონის მუდმივი ან დროებითი (საექსპედიციო კორპუსი) მსხვილი სამხედრო ფორმირება, რომელიც მოქმედებს დამოუკიდებლად (ცალკეული კორპუსი) ან ჩართულია არმიისა და ფრონტის (არმიათა ჯგუფის) შემადგენლობაში სამხედრო მოქმედებების საწარმოებლად. კორპუსი, როგორც მსხვილი ინოვაციური საჯარისო შენაერთი, პირველად ფორმირებულ იქნა ნაპოლეონ ბონაპარტეს მიერ 1805 წელს. კორპუსი, როგორც წესი, შედგება სხვადასხვა გვარეობის ჯარების ნაწილებისა (დივიზია, ბრიგადა, პოლკი, ბატალიონი, დივიზიონი) და ქვედანაყოფებისგან (ბატარეა, ასეული, ოცეული, ათეული), მის წინაშე დასმული ამოცანის გადასაჭრელად. ამავე დროს კორპუსი წარმოადგენს შუალედურ საჯარისო შენაერთს დივიზიასა და არმიას შორის. სხვადასხვა ქვეყნების არმიებში კორპუსების პირადი შემადგენლობის რაოდენობა განსხვავებულია და იგი 40000-60000 სამხედრო მოსამსახურეს შეადგენს. საორგანიზაციო-საშტატო განრიგით, კორპუსს როგორც წესი, სარდლობს გენერალ-ლეიტენანტის (სამვარსკვლავიანი გენერლის) სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი.

[19] გურკჰები (გურქები) (ინგლ. Gurkha) – ნეპალელი მოხალისეებისგან შემდგარი ბრიტანეთის კოლონიური ჯარები. გურქების პირველი ქვედანაყოფები შეიქმნა 1816 წელს. მათი მონაწილეობით იქნა ჩახშობილი ანტიკოლონიური აჯანყება ინდოეთში (სიქხებისა და სიფაიების აჯანყება) და ავღანეთში, 1848 წელს. I მსოფლიო ომში გურქების სამთო ქვედანაყოფები იბრძოდნენ ბრიტანელთა მხარეს ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში. 1919 წლისათვის ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების შემადგენლობაში გურქების გარკვეული ქვედანაყოფები შემოყვანილი იქნა ამიერკავკასიაშიც, კერძოდ აჭარაში.

[20] მიხაილოვო – დღევანდელი ქალაქი ხაშური. რუსეთის იმპერიის დიდი მთავრის, 1863-1881 წლებში კავკასიის მეფისნაცვლისა და კავკასიის ცალკეული კორპუსის სარდლის, მიხაილ ნიკოლაევიჩ რომანოვის საპატივცემულოდ, 1872-1917 წლებში ხაშურს მიხაილოვო ერქვა. მართალია, მას სახელი 1918 წელს გადაერქვა, მაგრამ ინერციით, 1918 წლის დოკუმენტებში და მოგვიანებითაც, იგი ზოგჯერ მიხაილოვოდ არის მოხსენიებული.

[21] WO (War Office) 95 4879. British Salonika Force. War Diary. Headquarter General Staff 27th Division. January 1919. Pg. 27.

ოფიცერი იმყოფებოდა მათზე დაკისრებული სპეციალური მისიის შესასრულებლად. 1918 წლის დეკემბრის ბოლოდან ისინი მხოლოდ ბათუმს და ბათუმის ოლქს აკონტროლებდნენ, სადაც 22 დეკემბერს ბრიტანელთა სალონიკის არმიის 27-ე დივიზიის[22] ნაწილები და ქვედანაყოფები გადმოსხდნენ გენერალ-მაიორ ჯეიმს ნორმან კუკ-კოლისის (James Norman Cooke-Collis) მეთაურობით, რომელიც ბათუმისა და ბათუმის ოლქის გუბერნატორად დაინიშნა. ბათუმი და ბათუმის ოლქი ამ მომენტისათის საქართველოს დე ფაქტო იურისდიქციაში არ შედიოდა.

პირველმა ბრიტანულმა საჯარისო ქვედანაყოფებმა კი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწა-წყალზე მხოლოდ 1918 წლის 29 დეკემბერს სოხუმში და 1919 წლის 3 იანვარს ფოთში დაადგეს ფეხი, ხოლო თბილისში გაერთიანებული სამეფოს საჯარისო კონტინგენტი (სხვათა შორის, სიპაიების ინდური ქვედანაყოფები), ბრიგადის გენერალ ჯორჯ თაუნშენდ ფორესტიე-უოკერის (George Townshend Forestier-Walker) მეთაურობით, 1919 წლის 16 იანვარს ჩამოვიდა. ასევე არაზუსტია ნაშრომში მითითებული ბრიტანული სამხედრო კონტინგენტის რაოდენობაც. გაერთიანებული სამეფოს საოკუპაციო ჯარების კონტინგენტი ამიერკავკასიაში გაცილებით მცირე იყო ავტორის მიერ მითითებულ რაოდენობაზე. თბილისში კი, სადაც 1919 წლის დასაწყისში, 23 იანვრიდან, გაერთიანებული სამეფოს ბალკანეთისა და ამიერკავკასიის გაერთიანებული სარდლობის შტაბი განთავსდა გენერალ-ლეიტენანტ ჯორჯ ფრენსის მილნის (George Francis Milne), (შემდგომში დიდი ბრიტანეთის გენერალური შტაბის უფროსისა და ფელდმარშლის) საერთო ხელმძღვანელობით,[23] მათი რაოდენობა ორ ბრიგადას[24] არ აღემატებოდა. სულ ეს იყო.

სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობის დროს, ღია საომარი მოქმედებების გაშლის პერიოდში, 1918 წლის დეკემბრისათვის, გაერთიანებული სამეფოს საოკუპაციო ჯარების კონტინგენტი მხოლოდ აზერბაიჯანის რესპუბლიკის დედაქალაქს აკონტროლებდა და არა ,,ამიერკავკასიის სამივე სატახტოს''. ამ პერიოდში ბრიტანული ჯარების ქვედანაყოფები არც თბილისში და არც ერევანში არ იმყოფებოდნენ.

---

[22] დივიზია (ლათ. Divisio) – სხვადასხვა ქვეყნების სხვადასხვა სახეობის ან გვარეობის ჯარებში ძირითადი ტაქტიკური ან ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების საჯარისო ფორმირება, რომელიც შედგება მმართველობითი ორგანოს, შტაბისა და სხვადასხვა ნაწილებისა და ქვედანაყოფებისგან. საბრძოლო ამოცანიდან გამომდინარე დივიზიას შეუძლია აწარმოოს ბრძოლა კორპუსის, არმიის, ფრონტის შემადგენლობაში, ან დამოუკიდებლად. სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა დროის ქვეითი დივიზიების საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურა ძალიან განსხვავებულია და იგი შედგება დივიზიის მმართველობის, რამდენიმე პოლკის ან ბრიგადის, ცალკეული ბატალიონების, დივიზიონების, ასეულებისა და უზრუნველყოფის ქვედანაყოფებისგან. სხვადასხვა გვარეობის ჯარების დივიზიების პირადი შემადგენლობის რაოდენობა 4 ათასიდან 24 ათასამდე მერყეობს. საორგანიზაციო-საშტატო განრიგით, დივიზიას, როგორც წესი, მეთაურობს გენერალ-მაიორის/დივიზიის გენერლის (ორვარსკვლავიანი გენერლის) სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი.

[23] გაზეთი ,,საქართველო''. ოთხშაბათი, 1919 წ. იანვრის 22. №16. გვ. 2.

[24] ბრიგადა (ფრანგ. Brigade) – ტაქტიკური დანიშნულების საჯარისო ერთეული. ზოგიერთი ქვეყნის არმიებში ბრიგადა, ისევე როგორც პოლკი, ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების ძირითად საჯარისო ერთეულს წარმოადგენს. მაგალითად, დღევანდელ ქართულ არმიაში სწორედ ბრიგადა წარმოადგენს ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების ძირითად სამხედრო ერთეულს. ბრიგადას უკავია შუალედური მდგომარეობა პოლკსა და დივიზიას შორის, სტრუქტურულად კი, პოლკის ანალოგიურია. თუმცა, ბატალიონებისა და სხვა ქვედანაყოფების რაოდენობა ბრიგადაში უფრო მეტია, ვიდრე პოლკში. ბრიგადა, როგორც ინოვაციური საჯარისო ერთეული პირველად ფორმირებულ იქნა შვედეთის დიდი მეფისა და XVII საუკუნის თვალსაჩინო მხედართმთავრის, ,,ჩრდილოეთის ლომად'' წოდებული, გუსტავ II ადოლფუსის მიერ 1616-1648 წლების ევროპის ოცდაათწლიანი ომის მსვლელობისას. პირადი შემადგენლობის მხრივ, სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნების ბრიგადები განსხვავებული რიცხოვნობისაა. თანამედროვე ბრიგადების პირადი შემადგენლობის რაოდენობა საშუალოდ 3000-5000 სამხედრო მოსამსახურეს შეადგენს. საშტატო-საორგანიზაციო განრიგით, ბრიგადას, როგორც წესი, მეთაურობს პოლკოვნიკის/ბრიგადის გენერლის (ერთვარსკვლავიანი გენერლის) სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი.

5. სომხებს სანაინთან არ დაურღვევიათ საქართველოს საზღვრები იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად დაშლის მომენტიდან, ე.ი. 1918 წლის მაისის ბოლოდან დაწყებული, სომხეთ-საქართველოს დროებითი ფაქტობრივი სახელმწიფო საზღვარი სადგურ სანაინიდან გაცილებით უფრო სამხრეთით გადიოდა. თბილისი-ალექსანდროპოლისის (გუმბრი, საბჭოთა პერიოდის ლენინაკანი, დღეს უკვე გიუმრი) რკინიგზის ხაზის გასწვრივ, იგი რკინიგზის სადგურ შაღალისა (დღევანდელი სადგური ვანაძორი) და ქალაქ ყარაქილისას (დღევანდელი ქალაქი ვანაძორი, საბჭოთა პერიოდის კიროვაკანი) შორის მდებარე რკინიგზის მეორე გვირაბთან გადიოდა, ბაზუმის (ჯავახეთის, ბეზობდალის) ქედთან, მდინარე დებედას (ბერდუჯი) ხეობაში, სანაინიდან მთელი 30-35 კილომეტრით სამხრეთით. თუმცა, ქართული მხრიდან იგი ფაქტობრივად სოფელ ქოლაგერანთან იყო დაფიქსირებული. სწორედ ქოლაგერანთან იყო განლაგებული საქართველოს ერთგული მოკავშირეებისა და პროტექტორების - გერმანელთა საოკუპაციო ჯარების სასაზღვრო საგუშაგოებიც. შაღალიდან სამხრეთით კი, ოსმალური საოკუპაციო ჯარები იდგნენ, რომლებსაც ,,ომის უფლებით'' ეჭირათ ეს ტერიტორიები. ასე, რომ სანაინთან არარსებულ საზღვარს, სომხური ქვედანაყოფები, ცხადია, სანაინთან ვერც დაარღვევდნენ.

6. ქართველები და სომხები ,,ისტორიული და მარადიული ძმები'' ნამდვილად არ ყოფილან და მათი ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობების გზა ცალსახად სულაც არ განისაზღვრება, როგორც - ,,სუფთა მატიანე''. სიმართლე ის არის, რომ ეროვნული აღმავლობის იმ იშვიათ პერიოდებში, როცა სომეხთა ესა თუ ის სამეფო-სამთავრო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და შესაბამის სამხედრო ძლიერებას მიაღწევდა, უმალ იწყებდა შეიარაღებულ აგრესიას საკუთარი მეზობლების და მათ შორის ქართველების წინააღმდეგ, დაწყებული უძველესი დროიდან. თუ სომეხთა აგრესიული ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური პოლიტიკა და შესაბამისად აქტიური შეიარაღებული დაპირისპირებები ქართველებთან მიმართებაში მაინცდამაინც არაა აღბეჭდილი ჩვენს ისტორიულ ცნობიერებაში, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სომხებს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ძლიერების პერიოდი სულ ორჯერ ჰქონდათ - მეფე ტიგრან II დიდისა (ძვ. წთ. აღ. 140-55წ.წ.) და აშოტ II ბაგრატუნის (881-929წ.წ.) დროს. და ამ პერიოდებში მათ ორჯერვე მიიტაცეს ძირძველი ქართული მიწები. საერთოდ, ერთობ მოკლე ისტორიული მეხსიერება გვაქვს ქართველებს.

7. არც ის მოსაზრებაა მართებული, რომ ,,ქართველებსა და სომხებს, საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთის საზღვრების ჩხრეკვით თავი მაინცდამაინც არასოდეს არ შეუწუხებიათ". შეუწუხებიათ და მერე როგორ შეუწუხებიათ. დანამდვილებით და გადაჭრით უნდა ითქვას, რომ სომხებს მუდმივად ჰქონდათ, ახლაც აქვთ და მომავალშიც ექნებათ ქართველებთან და არა მხოლოდ მათთან, პერმანენტული ტერიტორიული პრეტენზიები. სწორედ ესაა იმ ყბადაღებული და სომეხთა მიერ საქვეყნოდ აფიშირებული ფენომენის - ,,სომხური საკითხის" დედააზრი და სომხური უკიდურესად აგრესიული საგარეო პოლიტიკის ამოსავალი წერტილი, სომეხ დაშნაკთა ულტრანაციონალისტურ-ექსპანსიონისტური აქტივობის ქვაკუთხედი და ამ იდეოლოგიური ფენომენის არსებობის ბუნებრივი ფორმა. თუ რამდენად სამართლიანი იყო და არის სომეხ დაშნაკთა და ულტრანაციონალისტთა მიერ ქართველებისადმი (და არა მარტო მათდამი) წაყენებული ტერიტორიული პრეტენზიების არსი - სხვა საკითხია.

8. არც ის დასკვნაა სწორი, რომ ,,ბრიტანელებმა თავისი ,,ალბიონური სიდინჯით" წაკიდებული მეზობლები ომამდელ საზღვრებზე დააბრუნეს". სხვათა შორის, ასეთ დასკვნას აკეთებს პრაქტიკულად ყველა ქართველი თუ უცხოელი მკვლევარი. და ჩვენის აზრით, მოცემული საკითხის ასეთი გაშუქება არის ყველაზე დიდი და შეიძლება ითქვას, გამოუსწორებელი შეცდომა. სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ ბრიტანელთა ჩარევითა და საქართველოს მთავრობის,

პირადად მთავრობის მეთაურის, ბატონი ნოე ჟორდანიას დიდი მეცადინეობით, ქართულმა საჯარისო შენაერთებმა ცეცხლი 1918 წლის 31 დეკემბრის ზუსტად 2400 საათზე შეწყვიტეს და არსებული ოპერატიული მდგომარეობით შეჩერდნენ სოფლების: ლამბალო - სადახლო - ოფრეთი - ახკერპი - ლოქჯანდარი - საათლოს ფრონტის ხაზზე და არა ომამდელ საზღვარზე. ამის შემდეგ ქართველ ჯარისკაცს ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში, ისტორიული ქართული ლორე-ბამბაკის მიწაზე ფეხი აღარ დაუდგამს, თუ არ ჩავთვლით 1920 წლის ნოემბერი - 1921 წლის თებერვლის რაღაც სამთვიან პერიოდს, როდესაც საქართველომ სომხეთის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის გამო, ისევ სომეხთა თხოვნით და სათანადო სამთავრობო ხელშეკრულების საფუძველზე დროებით მოახერხა ამ მიწებზე თავისი დე იურე და დე ფაქტო იურისდიქციის აღდგენა[25] - ლორეს ზონაში ქართული შენაერთები და საჯარისო ქვედანაყოფები იქნა შეყვანილი. ამ საკითხს წარმოდგენილი მონოგრაფიის მეორე ნაწილში განვიხილავთ უფრო დაწვრილებით.

ზემოთ აღნიშნულ ფრონტის ხაზზევე დაფიქსირდა სომხეთ-საქართველოს შორის გავლებული ე.წ. ,,დროებითი საზღვარი", ხოლო მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები, ანუ, ისტორიული ქართული ლორე-ტაშირი, 1919 წლის 27 იანვრიდან ,,ლორეს ნეიტრალურ ზონად" გამოცხადდა და იქ ბრიტანელთა პირდაპირი სამხედრო მმართველობა დამყარდა. სწორედ ამ ე.წ. ,,ნეიტრალურ ზონაში" განხორციელდა მოგვიანებით, 1921 წლის თებერვალში ლორეს პროვოკაცია, რეალურად კი, რუსული ბოლშევიკური სამხედრო აგრესია საქართველოს პირველი რესპუბლიკის წინააღმდეგ და შესაბამისად, ბოლშევიკთა მიერ, ოდნავ მოგვიანებით, სწორედ ეს ,,დროებითი საზღვარი'' იქნა ცნობილი საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის არსებულ სახელმწიფო საზღვრად. შესაბამისად, უკვე საბჭოთა სომხეთს ამ ხაზის სამხრეთით მდებარე ქართული სახელმწიფოს ისტორიული ლორე-ბამბაკის მიწებიც გადაეცა. აქედან გამომდინარე, 1918 წლის 31 დეკემბრის 2400 საათისათვის დაფიქსირებული სომხეთ-საქართველოს საომარ მოქმედებათა ფრონტის ხაზი, დღეს უკვე დამოუკიდებელ სომხეთსა და საქართველოს შორის არსებულ იურიდიულ და ფაქტობრივ სახელმწიფო საზღვარს წარმოადგენს.

9. ბრიტანელების ,,არამცოდნეებად" მონათვლა რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია. ყველა, ყველა და ბრიტანელებს ნამდვილად არასდროს და მით უმეტეს XX საუკუნის პირველ მეოთხედში არ ეშლებოდათ და არც ახლა ეშლებათ გლობალურ, მით უმეტეს, რეგიონალურ თუ ლოკალურ სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში სწორად გარკვევა და თავიანთთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღება. სულ სხვა საკითხია, თუ რამდენად ხელსაყრელი იყო და არის ეს გადაწყვეტილებები ამა თუ იმ ხალხებისა და ქვეყნებისათვის. ჩვენ, რა თქმა უნდა, საქართველოს და სომხეთს ვგულისხმობთ ამ შემთხვევაში. სხვათა შორის, ბრიტანელთა იმ ვერდიქტის მიმართ, რომ ლორე-ტაშირი ,,ნეიტრალურ ზონად'' გამოცხადდა, სომხები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ საქართველოს მთავრობისაგან განსხვავებით. მადაგახსნილი დაშნაკები ახალქალაქის მაზრაშიც მოითხოვდნენ ბრიტანელებისაგან პირდაპირი სამხედრო ადმინისტრაციის დამყარებას და ახალქალაქის სომხური დიასპორისა და ლტოლვილების სეპარატისტული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ბრიტანელებმა ძალიან კარგად ითამაშეს თავიანთი დადგმული პატარა პოლიტიკური თამაში ამიერკავკასიაში და შესაბამისად რეგიონის ლეგალურ დომინანტებადაც იქცნენ აქ მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში. ბათუმი და ბათუმის ოლქი მათ მხოლოდ 1920 წლის ზაფხულში დატოვეს.

10. და ბოლოს. აბსოლუტურად გაუგებარია სომხეთ-საქართველოს ომის რატომღაც ბრჭყალებში ჩასმა და მისი კნინობით ფორმაში მოხსენიება, რითაც ავტორი ალბათ ამ ომის

[25] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 200, ფურცელი (5-5 უკ).

ფსევდორეალობაზე, მასშტაბებზე ან მის მცირე სამხედრო-პოლიტიკურ მნიშვნელობაზე აკეთებს აქცენტს. ცალსახად ვამტკიცებთ, რომ 1918-1919 წლების სომხეთ-საქართველოს ომი ორივე სახელმწიფოსათვის ძალიან სერიოზულ სამხედრო-პოლიტიკურ დაპირისპირებასა და პირდაპირ უნდა ითქვას - სრულმასშტაბიან ომს წარმოადგენდა მისი ყველა შემადგენელი საბრძოლო კომპონენტისა და პოლიტიკური ასპექტის ჩათვლით. ამ მიმართებით ყველაზე საინტერესო და აქამდე უცნობი ფაქტი ის არის, რომ სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, ხაზს ვუსვამთ - საბრძოლო მოქმედებების მსვლელობისას, ქართული მხრიდან, საერთო ჯამში, 20 ათასზე მეტი კაცის საომარი მობილიზაცია და მათი ფრონტებზე გაგზავნა განხორციელდა. მობილიზაცია იძულებით 1919 წლის 1 იანვრიდან შეწყდა, ფორმალურად კი, 1919 წლის 6 იანვარს დასრულდა.

განსაკუთრებით საყურადღებო ფაქტორია ის გარემოება, რომ ამ ომის მსვლელობისას უდიდესი იყო მთელი ქართული საზოგადოების სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და ეროვნული კონსოლიდაციის შეგრძნება, რომლის მსგავსსაც, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს მკითხველისათვის, პირველი რესპუბლიკის არსებობის მთელი სამწლიანი ისტორიის მანძილზე აღარც ჰქონია ადგილი, თვით 1921 წლის რუსული ბოლშევიკური სამხედრო აგრესიის დროსაც კი. ამ ომთან მიმართებაში ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი კი ის არის, რომ სწორედ ამ ომის გამო, საქართველოსა და სომხეთის პირველ რესპუბლიკებს შორის შექმნილმა ცივმა, არაკეთილმეზობლურმა და დაძაბულმა ურთიერთდამოკიდებულებამ, ოდნავ მოგვიანებით, უკვე 1920-1921 წლებში, გადამწყვეტი როლი ითამაშა ამიერკავკასიის ამ რესპუბლიკებისა და საერთოდ მთელი რეგიონის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობისა და მათი ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიების შემდგომი გადანაწილების საქმეში. ასე, რომ სომხეთ-საქართველოს ომის კნინობით ფორმაში მოხსენიება, არაკორექტულია.

გავშალოთ ზემოთ დაწყებული საქმე და ის ქართველი ავტორებიც მიმოვიხილოთ, რომელთაც ამა თუ იმ ფორმით ჰქონდათ შეხება სომხეთ-საქართველოს ომთან. საკმაოდ სრულყოფილად არის განხილული სომხეთ-საქართველოს პოლიტიკური დაპირისპირების საკითხები შოთა ვადაჭკორიას ნაშრომში ,,საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1918-1920)''. ხსენებულ ნაშრომში ბუნებრივია, სომხურ-ქართული ურთიერთობების მხოლოდ პოლიტიკური და დიპლომატიური ასპექტებია განხილული, მაგრამ მონაცემთა ძირითად წყაროდ მხოლოდ იმდროინდელი ოფიციალური პერიოდიკაა გამოყენებული. აქედან გამომდინარე, ბევრი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი საფუძვლიანად არაა განხილული და გარკვეული უზუსტობებიცაა დაშვებული. ბატონი შოთა მოგვითხრობს: ,,როცა ქართული ჯარის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ და სომხებმა უკანდახევა დაიწყეს, გარეგნულად მაყურებლის როლში მდგომი ინგლისის მისიის წარმომადგენლები საქმეში ჩაერივნენ და ქართული მხრისაგან ომის შეწყვეტის აუცილებლობა მოითხოვეს. ეს წინადადება მას შემდეგ იქნა მიღებული, როცა ***ქართული ჯარის ნაწილებმა ომამდელი სასაზღვრო ხაზი დაიჭირეს".*** [26] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

აქაც იგივე უზუსტობაა დაშვებული საზღვრის საკითხთან დაკავშირებით, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. სიმართლე ისაა, რომ ***,,ქართული ჯარის ნაწილებს ომამდელი სასაზღვრო ხაზი არ დაუჭერიათ".*** ავტორს იმდროინდელ პერიოდიკაზე დაყრდნობით ომის დაწყების თარიღად 1918 წლის 9 დეკემბერი აქვს მითითებული, რაც ასევე არასწორია.

შემდეგი ავტორი, გურამ მარხულია: ***,,1918 წლის დეკემბერში*** ომის გამოუცხადებლად სომხეთმა სამარცხვინო ომი დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ მოკლე ხანში ***სომხეთის ჯარი***

---

[26] შოთა ვადაჭკორია. საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. (1918-1920 წ.წ.). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრი. თბილისი. 1999. გვ. 58.

განადგურებულ და განდევნილ იქნა საქართველოდან".[27] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.). ომის დაწყების თარიღთან დაკავშირებით აქაც იგივე შეცდომაა დაშვებული. უფრო დიდი შეცდომა კი ისაა, რომ ამ ომის შედეგად სომხეთის საჯარისო ნაწილები და საბრძოლო რაზმები ,,განადგურებული და საქართველოდან განდევნილ" არ იქნა.

შემდეგი ავტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ მანჯგალაძეა. რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ სტატიაში ,,Военный конфликт между Грузией и Арменией в 1918 году", (,,1918 წლის საქართველოსა და სომხეთს შორის სამხედრო კონფლიქტი"), იგი წერს: ,,***1918 წლის 7 დეკემბერს,*** ომის გამოუცხადებლად სომხეთმა აგრესია დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ... საქართველოს მთავრობამ, მართალია დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიიღო გადაწყვეტილება უკუეგდო სომეხი აგრესორები და ბრძანება გასცა თავის საჯარისო ნაწილებს და ***რესპუბლიკურ გვარდიას*** გაეთავისუფლებინათ სომეხთა ჯარების მიერ თვითნებურად დაკავებული ტერიტორიები. ***შეტაკებები 19 დეკემბერს დაიწყო***..."[28] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

ვიმეორებთ - ომის დაწყების თარიღთან დაკავშირებით აქაც იგივე შეცდომაა დაშვებული. 1918 წლის არც 7 დეკემბერი იყო საქართველოს წინააღმდეგ სომხური აგრესიის დაწყების თარიღი და არც 19 დეკემბერს დაწყებულა შეტაკებები. რაც შეეხება ***რესპუბლიკურ გვარდიას,*** ასეთი დასახელების სამხედრო ორგანიზაცია არც 1918 წლის განმავლობაში და არც შემდგომ, არც ამიერკავკასიის ფედერაციის და არც პირველი ქართული რესპუბლიკის სინამდვილეში, არ არსებობდა. ამ პერიოდში მოქმედ პარამილიტარულ სამხედრო ორგანიზაციას ჯერ წითელი, ხოლო შემდეგ, სახალხო გვარდია ერქვა. ამის შესახებ ჩვენ წარმოდგენილი ნაშრომის შესაბამის თავში გვექნება უფრო არსებითი საუბარი.

შემდეგი ავტორი ზაზა ჩაფიჩაძეა. მისი ავტორობით რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში, მეტად განზოგადებული სათაურით ,,История Грузии", ვკითხულობთ: ,,***1918 წლის 13 დეკემბერს, სომხეთის რესპუბლიკის რამდენიმე ათასმა ჯარისკაცმა გადალახა საქართველოს საზღვრები*** და გენერალ კანაიანის (გენერალი დრო) მეთაურობით დაიძრნენ თბილისის მიმართულებით. ამის პასუხად, 16 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ ომი გამოუცხადა სომხეთს და ნაწილობრივი მობილიზაციაც მოახდინა. გენერალმა წულუკიძემ საპასუხო წინააღმდეგობის ორგანიზება მოახდინა და ***23 დეკემბერს შულავერთან სომხებმა მარცხი განიცადეს.*** გენერალი მაზნიაშვილი აფხაზეთიდან გამოიწვიეს. ჩამოვიდა რა სომხეთის ფრონტზე, მიუხედავად ***ქართულ ნაწილებში არსებული მძიმე მატერიალური მდგომარეობისა,*** მაზნიაშვილმა ბრძანა დაუყოვნებლივ დაეწყოთ შეტევითი მოქმედებები და 24 დეკემბერს ქართული ნაწილები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ***26 დეკემბერს, პირველად ისტორიაში, ქართულმა საბრძოლო ავიაციამ საბრძოლო მოქმედებებში მიიღო მონაწილეობა.*** სომეხი პოლიტიკოსებისდა გასაკვირად, მოსულმა ბრიტანელებმა უსიტყვოდ სომხური მხარე არ დაიკავეს. ბოლოს და ბოლოს, ***სომხეთთან საზღვარი სადახლოსთან და აფხაზეთის საზღვარი რუსეთთან მდინარე ფსოუზე (Граница Абхазии с Россией на реке Псоу -*** ა. ჩ.), ***ბრიტანელების მიერ იქნა დადგენილი, რაც დღევანდლამდე არც შეცვლილა".***[29] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

---

[27] Гурам Мархулия. Армяно-Грузинская мирная конференция 1919 года и создание Лорийской нейтральной зоны. Всегрузинское историческое общество им. Эквтиме Такаишвили. Тбилиси. 2005. Стр. 4.

[28] Гурам Манджгаладзе, доктор исторических наук, профессор. Военный конфликт между Грузией и Арменией в 1918 году. «Dirçəliş XXI əsr».- 2008.- №120-121.-С.85-90. http://www. elibrary.az/docs/ JURNAL/jrn2008_148j.htm.

[29] Заза Чапичадзе. История Грузии. Популярные данные из европейских источников об этноистории Кавквзв и ее роли в европейской цивилизации. Издательство Дамани. Тбилиси. 2016. Стр. 253. http:// dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/171015/1/Istoria_Gruzii.pdf

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს წიგნი საკმაოდ ლაღი ენითაა დაწერილი, მთლიანად კომპილაციური ხასიათისაა და მასში სრულებით არ არის წარმოდგენილი სამეცნიერო აპარატი. ნაშრომს არც რედაქტორი ჰყავს და არც რეცენზენტები. მაგრამ ეს არ არის მთავარი. ავტორი არც უარყოფს და სათაურშივე გამოაქვს ის დაზუსტება, რომ მისი წიგნი ,,კავკასიის ეთნოისტორიის შესახებ ევროპული წყაროების მონაცემებზე" დაყრდნობით არის შედგენილი. მთავარი ის არის, რომ ეს ნაშრომი, როგორც მისი ძირითადი ნაწილი, ასევე სქოლიოები, უამრავი ფაქტოლოგიური შეცდომით, ქრონოლოგიური შეუსაბამობებით, არასწორი მსჯელობებითა და უზუსტობებითაა სავსე. სომხეთ-საქართველოს ომის საკითხს, ჩვენს მიერ მოყვანილი მხოლოდ ერთი აბზაცი აქვს დათმობილი ამ წიგნში და ისიც უმრავი უზუსტობითა და შეცდომითაა აღსავსე, რაც ჩვენი ხაზგასმებითაა დაფიქსირებული. მართალია, აღნიშნული წიგნი აკადემიური ნაშრომი არ არის, რასაც თავად ავტორიც აღნიშნავს, და მას გადმოცემულ ფაქტებსა თუ მოვლენებზე მეცნიერული სიზუსტის პრეტენზიაც არა აქვს, მაგრამ ბეჭდურ გამოცემებში ასეთი შეცდომებისა და სიმართლისაგან დიამეტრალურად საწინააღმდეგო ამბების ტირაჟირებაც დაუშვებელია.

მოყვანილ ამონარიდში ჩვენს მიერ გაკეთებულ თითოეულ ხაზგასმასთან დაკავშირებით წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხს მკითხველი ჩვენი წიგნის ორივე ნაწილის სრულად გაცნობის შემდეგ მიიღებს. აქ კი, მხოლოდ ბოლო ხაზგასმას შევეხებით - ***,,სომხეთთან საზღვარი სადახლოსთან და აფხაზეთის საზღვარი რუსეთთან მდინარე ფსოუზე, ბრიტანელების მიერ იქნა დადგენილი, რაც დღევანდლამდე არც შეცვლილა".***

ჯერ ერთი - საქართველოსა და სომხეთს შორის არსებული დღევანდელი სახელმწიფო საზღვარი ბრიტანელების მიერ არ ყოფილა დადგენილი. მართალია, სომხეთ-საქართველოს ომი 1919 წლის იანვარში თბილისში მიმდინარე სამმხრივი (ბრიტანულ-ქართულ-სომხური) სამშვიდობო კონფერენციის გამართვით, ე.წ. ,,ლორეს ნეიტრლური ზონის" დადგენითა და დროებითი სადემარკაციო ხაზიც გავლებით დასრულდა, რითაც საქართველომ თავის ძირძველ ისტორიულ მიწებზე დე ფაქტო კონტროლი დაკარგა, მაგრამ ეს ხაზი დღევანდლამდე შეუცვლელი არ დარჩენილა. 1920 წლის ნოემბერი - 1921 წლის მარტის პერიოდში სომხეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკების ტერიტორიების რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური სამხედრო ინტერვენციის, ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ, დაუყოვნებლივ, უკვე რამდენიმე თვეში, რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის (რკპ(ბ)) კავკასიის ბიუროსა (კავბიურო) და საბჭოთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ლორეს ზონა მთლიანად სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში იქნა ჩართული. ასე, რომ ,,ბრიტანელების მიერ სადახლოსთან დადგენილი საზღვარი", დღეისათვის არსებითად არის შეცვლილი. სიმართლე ის არის, რომ ისტორიული ქართული მიწები - ლორე-ტაშირი და ბამბაკი სომხებს რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა აჩუქეს. ამ საკითხებზე ჩვენ წიგნის მეორე ნაწილში გვექნება უფრო არსებითი საუბარი.

მეორე და მთავარი. არ არსებობს აფხაზეთსა და რუსეთს შორის გამავალი საზღვარი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ არსებობს საერთაშორისო სამართლის ასეთი სუბიექტი - აფხაზეთი. ,,აფხაზეთ-რუსეთის საზღვრის" ცნება, როგორც ასეთი, ისეთივე სამართლებრივი და პოლიტოლოგიური ნონსენსია, როგორც მაგალითად, აქვიტანია-ესპანეთის და ლოტარინგია-გერმანიის ან თუნდაც ბურიატია-მონღოლეთის, ალტაი-ყაზახეთის ან ამური-ჩინეთის საზღვრების ცნება. ამ შემთხვევაში საუბარი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთ-საქართველოს საზღვრის შესახებ შეიძლება იყოს. ასე რომ, ავტორის მიერ გაჟღერებული ფრაზა - ,,აფხაზეთ-რუსეთის საზღვარი", უხეში და უპატიებელი შეცდომაა.

შემდეგი ავტორი არა თანამედროვე მეცნიერი და მკვლევარი ან პუბლიცისტი, არამედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო უწყების წევრი, ამ ომის მონაწილე და იქ

განვითარებული მოვლენების უშუალო თვითმხილველია. საველე შტაბის დაზვერვის სამსახურის უფროსის, პოლკოვნიკ (იმჟამად პოდპოლკოვნიკ) ვალერიან თევზაძის მემუარში ,,ქართველი ოფიცრის ჩანაწერები", ვკითხულობთ: ,,*1918 წლის დამდეგს (თარიღი არ მახსოვს)* სრულიად მოულოდნელად სომხეთის ჯარი შემოიჭრა ბორჩალოს მაზრაში და დაგვიწყო ომი..."[30] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). გასაკვირია, რომ ამ სტრიქონების ავტორი ქართველი ოფიცერი, სომხეთ-საქართველოს ომის უშუალო მონაწილე და საველე შტაბის დაზვერვის უფროსი, ომის დაწყების თარიღთან დაკავშირებით აშკარად ცდება. ***„1918 წლის დამდეგი"*** არა თუ არაფრით არ ესადაგება ომის დაწყების თარიღს, არამედ ახლოსაც ვერ მიდის რეალობასთან, რომ ეს შეცდომა ტიპოგრაფიულ უზუსტობად ჩავთვალოთ. როგორც ჩანს, აქ კორექტურულ შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე და ,,1918 წლის დამდეგის" მაგივრად, დიდი ალბათობით, ,,1918 წლის დეკემბრის დამდეგი" ჰქონდა მხედველობაში ავტორს.

გაზეთ ,,კვირის პალიტრის'' 2005 წლის 31 ოქტომბერი - 6 ნოემბრის ნომერში სომხეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებული პუბლიკაცია გამოქვეყნდა, ცოტა არ იყოს ჩვენთვის აზრობრივად გაუგებარი და დამაინტრიგებელი სათაურით: ,,გამარჯვებით გასრულებული სიკვდილისა და სისხლის ნადიმი (სომხეთ-საქართველოს ომი)''. სამწუხაროდ, სტატიის ავტორი მითითებული არაა. პუბლიკაციის გაცნობის შემდეგ კი უფრო განგვიმტკიცდა ის აზრი, რომ ქართული საზოგადოებისათვის და არა მარტო მისთვის, ამ ომის რეალური ისტორია სრულიად უცნობია. სტატია კი არა მარტო უხეში შეცდომებით, არამედ რეალურისაგან დიამეტრალურად საწინააღმდეგო მონაცემებითაა აღსავსე.

ამ შეცდომებს ნაშრომის შესაბამის თავებში განვიხილავთ და გამოვასწორებთ. ყველაზე დიდი შეცდომა კი ის არის, რომ ამ პუბლიკაციაში ომში გამარჯვებულად ქართული მხარეა გამოყვანილი, ხოლო სომხეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებათა მასშტაბები უაღრესად დამცრობილია. დამცრობილი და დაკნინებულია ამ ომის საერთო შედეგებიც და მისი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობაც. მსგავს სურათს ვაწყდებით სხვა ქართველ ავტორებთანაც, განსაკუთრებით საგაზეთო სტატიებსა და პუბლიკაციებში, რომლებსაც აქ აღარ მოვიყვანთ. ერთი რამ კი, ძალიან ნათლად და დაზუსტებით შეიძლება ითქვას - შეცდომები და უზუსტობები ტიპიურია. და მიუხედავად ამისა, ვერაფრით ვერ ავუვლით გვერდს კიდევ ერთ ავტორს, იმ მოვლენების თანამედროვეს და თვითმხილველს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეს, ბატონ შალვა მაღლაკელიძეს.[31] საოცარია, მაგრამ

---

[30] ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. „მეცნიერება". თბილისი. 1990. გვ. 27.

[31] შალვა მაღლაკელიძე (1893-1976წ.წ.) – ქართველი პოლიტიკური, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, განათლებით იურისტი, მესამე რაიხის ვერმახტის ქართული ლეგიონის მეთაური, რუსეთის საიმპერატორო არმიის პორუჩიკი, ქართული არმიის პოლკოვნიკი და ვერმახტის გენერალი. 1914 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. ჩაბარა მისაღები გამოცდები მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ მე-2 კურსიდან გაიწვიეს სამხედრო სასწავლებელში, საიდანაც გაამწესეს ახალციხის პოლკში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაინიშნა ამიერკავკასიის მთავრობის საგანგებო რწმუნებულად სამხედრო და სამოქალაქო საქმეებში სამაჰმადიანო საქართველოში. 1918-1921 წლებში ეკავა სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობები, მათ შორის – ქუთაისის გუბერნიის კომისრის, ტფილისის გუბერნიის კომისრის, თელავისა და აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორის, ქ. თბილისის, მისი მიდამოებისა და ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორის, აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ ტოვებს სამშობლოს და მიდის ემიგრაციაში. ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში ამთავრებს პრაღის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს და იცავს სადოქტორო დისერტაციას იურისპრუდენციაში. 1934 წლიდან სახლდება საფრანგეთში, სადაც აარსებს ემიგრანტულ-პატრიოტულ ორგანიზაციებს: „ორნატი", „თეთრი გიორგი", „ქართლოსი". 1938-1945 წლებში ცხოვრობდა გერმანიაში და უთანაგრძნობდა ნაციონალ-სოციალისტების მთავრობას. 1941 წლიდან II მსოფლიო ომის ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა ვერმახტის შემადგენლობაში. ამავე პერიოდიდან ხელმძღვანელობს მესამე რაიხის ქართულ ლეგიონს. 1943

ფაქტია, რომ ბატონი შალვა თავის ,,მოგონებებში“ იმდენად დაუჯერებელ და ფანტასტიკურ ცნობებს გვაწვდის სომხეთ-საქართველოს ომის შესახებ, რომ ამ ინფორმაციაში გადმოცემულ ამბებს და მოვლენებს შეხების ერთი წერტილიც კი არა აქვთ საერთო რეალობასთან. მემუარში ამ ომის მასშტაბები და მისი მნიშვნელობა აქაც უაღრესად დამცრობილია, ხოლო მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების, ბრძოლების, ამ ბრძოლების გეოგრაფიისა და დინამიკის, მათი თარიღების, მოქმედი პირებისა და ბრძოლის შედეგების საერთო სურათი წარმოუდგენელი ჰიპერბოლებითაა გაჯერებული. ბატონი შალვა წერს:

,,...და უცებ მოვიდა ცნობა: სომხებმა ჩვენი ,,ბრონევიკი“[32] მოჭრეს შულავერის რაიონში. მოვიდა დეპეშა გეგეჭკორის[33] ხელმოწერით, რომ დაუყოვნებლივ დაბრუნდი თბილისშიო. დაუძახეს გენერალ მაზნიაშვილს, და უთხრეს, მაღლაკელიძე მოდისო იმიტომ, რომ მაზნიაშვილს არ უყვარს სოციალისტები და ის მაინც დანიშნეს თბილისის გენერალ-გუბერნატორად, მაგრამ მხოლოდ სამი დღით იყო და მოვედი მე. მაშინათვე მოვიდა ჩემთან მაზნიაშვილი და მითხრა, რომ მე გენერალ-გუბერნატორობას შენს მოსვლამდე დავთანხმდიო და დავნიშნე მაზნიაშვილი ბორჩალოს მაზრაში სომხეთის საწინააღმდეგოდ... საქმე ვერ მიდის კარგად, მაზნიაშვილის საქმე, განსაკუთრებით დაგეთხაჩინის მიმართულებით. სომხები წინ მიდიან და ბოლოს მოვუწოდე აბასკური ნურიევს,

---

წლიდან ქართული ლეგიონის ქვედანაყოფები უკვე კავკასიონთან იმყოფებოდნენ. 1944 წელს ენიჭება ვერმახტის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1948-1950 წლებში მოღვაწეობდა იტალიაში, შემდეგ პაკისტანში. 1953 წელს ჩადის დასავლეთ გერმანიაში და ხდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველი ბუნდესკანცლერის, კონრად ადენაუერის სამხედრო მრჩეველი. 1954 წელს შალვა მაღლაკელიძეს საბჭოთა უშიშროების სამსახური იტაცებს დასავლეთ ბერლინიდან და ოჯახთან ერთად ჩამოჰყავს ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი, საიდუმლოდ, ყალბი პასპორტით – თბილისში. იმყოფებოდა ფაქტობრივი შინაპატიმრობის რეჟიმში. ხრუშჩოვის ,,დათბობის“ პოლიტიკა მასაც შეეხო და ამ მომენტიდან იწყებს წარმატებული ადვოკატის კარიერას. სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობაში იურისკონსულტად. გარდაიცვალა 1976 წელს, თბილისში, 83 წლის ასაკში.

32 ,,ბრონევიკი“ – აქ ბარბარიზმთან გვაქვს საქმე. ავტორის ტექსტში სიტყვა ,,ბრონევიკის“ ქვეშ ქართული ჯავშნოსანი მატარებელი იგულისხმება.

33 ევგენი გეგეჭკორი (1881-1954წ.წ.) – ცნობილი ქართველი რევოლუციონერი, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ძველი სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი. პროფესიით იურისტი. დაიბადა მარტვილში. 1902 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1906 წელს. რსდმპ წევრი 1903 წლიდან. 1903-1904 წლებში აქტიურად მონაწილოებდა სტუდენტურ მოძრაობაში. იყო 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე. 1907-1912 წლებში – რუსეთის სახელმწიფო დუმის მე-3 მოწვევის დეპუტატი ქუთაისის გუბერნიიდან, სოციალ-დემოკრატთა მენშევიკური ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი. ამ პერიოდში აქტიურად თანამშრომლობდა ლეგალურ სოციალ-დემოკრატიულ გამომცემლობებთან. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პერიოდში დაინიშნა ქუთაისის გუბერნიის დროებითი მთავრობის კომისრად. იყო ამიერკავკასიის მენშევიკ-ესერთა პირველი მოწვევის ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო 1917 წლის ნოემბრიდან – ამიერკავკასიის კოალიციური მთავრობის – ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე. 1918 წლის მაისიდან იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, 1918 წლის ბოლოდან – რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1921 წლის დასაწყისიდან ითავსებდა რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის თანამდებობასაც. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, მთავრობის სხვა წევრებთან ერთად მიდის ემიგრაციაში. დასახლდა პარიზში, სადაც აგრძელებდა ბრძოლას ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. იყო ,,პრომეთეისტული'' მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ეწეოდა პუბლიცისტურ მოღვაწეობას, ემიგრანტულ პრესაში აქვეყნებდა პოლიტიკური ხასიათის წერილებს. მისი პირველი წერილები 1925-1926 წლებში გამოქვეყნდა პარიზში, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ორგანოში ,,ბრძოლა''. იბეჭდებოდა აგრეთვე ჟურნალებში ,,დამოუკიდებელი საქართველო'', ,,ჩვენი დროშა'', ,,მებრძოლი საქართველო''. მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო ხასიათის შეხვედრებში. გარდაიცვალა პარიზში, 1954 წელს. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

როგორც გითხარით. ბორჩალოს კომისარსაც გავუგზავნე, ერთი თათარი მყავდა კიდევ. ასე რომ, ბორჩალოს თათრებს შეუძლიათ შეუერთდნენ ყარაიას თათრებს...

მოვიდნენ ესენი სოფელ დაგეთხაჩინში. დაგეთხაჩინშია ბრძოლები უკვე, ე.ი. გლახად არის ჩვენი საქმე, ხოდა ესენი იქ რომ მივიდნენ, თურქები მოვიდნენ და დროს (სომეხი გენერალი დრასთამატ კანაიანი, მეტსახელად ,,დრო". მის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება არსებითი საუბარი - ა. ჩ.) უყვირის, გაჩერდით, შეჩერდით, მარა აპაა! ვის ესმის, მირბიან, მაგრამ რაფერ მირბიან კაცო, ბრძოლა არ ჭირდება. ესენი შეესიენ სომხებს... ამ თათრებმა გააქციეს ეს სომხები... დატოვეს სომხებმა დაგეთხაჩინი, შულავერი და სანაინი, მაგრამ ინგლისელები მოვიდნენ და იგივე ტერიტორია ნეიტრალურ ტერიტორიად გამოაცხადეს, ე.ი. ჩვენი ტერიტორიები წაიღეს და ინგლისელებმა ნეიტრალური ზონის გამგედ დანიშნეს, არც მეტი, არც ნაკლები, ჩემი მდივანი ვასილევსკი..."[34]

ჩვენის მხრივ ავღნიშნავთ, რომ ბატონ შალვა მაღლაკელიძის მემუარის ამ ნაწილთან დაკავშირებული კომენტარის გაკეთება ერთდროულად უხერხულიც არის და პირდაპირ ვიტყვით - შეუძლებელიც. აქ ყველაფერი მცდარი, დამახინჯებული და აღრეულია. ამიტომ ჯერ-ჯერობით თავს შევიკავებთ, რამეთუ ამონარიდში მოტანილი ეს შეზღუდული ინფორმაციაც კი, საკმაოდ ტევადია და იმდენად შორსა დგას რეალობიდან, რომ ჩვენი მოკლე კომენტარით რთული იქნება საკითხის არსში სრულად გარკვევა. ამიტომ, მკითხველისათვის ყველაფერი ნათელი მხოლოდ მას შემდეგ გახდება, როცა სრულად გავეცნობით წარმოდგენილ მონოგრაფიას. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ ამონაროდში გადმოცემული ამბები სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს და იგი ავტორის ფანტაზიების ნაყოფი უფროა, ვიდრე ისტორიული რეალობა.

რაც შეეხება არაქართველ ავტორებს. ზემოთ წარმოდგენილ ქართველ ავტორთა ფონზე, რომელთა ნაწილიც სომხეთ-საქართველოს ომის და იმდროინდელი მოვლენების უშუალო მონაწილეები იყვნენ, სულ არ არის გასაკვირი, რომ რუს ავტორთა ნაშრომებშიც ამ ომთან დაკავშირებით უამრავი შეცდომაა დაშვებული. მაგალითად, ერთ-ერთი რუსი ავტორი, ალექსეი ბეზუგოლნი, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის სამხედრო ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, თავის ნაშრომში ,,Демократическая республика Грузия и ее вооруженные силы. 1918-1921 гг.", წერს: ,,[სომხეთ-საქართველოს] ***ომი დაიწყო 7 დეკემბერს და შეწყდა 1918 წლის 25 დეკემბერს...*** ძალიან დასაშვებია, რომ საქართველო განადგურებული იქნებოდა, მაგრამ სიტუაციაში მოკავშირეები ჩაერთვნენ და ***სომხეთისგან შეტევის შეჩერება მოითხოვეს".***[35] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). როგორც ვხედავთ, თარიღებთან დაკავშირებით აქაც იგივე სურათია, ხოლო რაც შეეხება ავტორის ნააზრევს მოკავშირეთა ზეწოლით ,,სომხეთის მხრიდან შეტევის შეჩერების მოთხოვნას", მას ჩვენი წიგნის მეორე ნაწილის შესაბამის პარაგრაფში, შესაბამისი უტყუარი დოკუმენტების წარმოდგენით და მოვლენების ფაქტობრივი კონსტატაციით გავაქარწყლებთ.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომის მთავარი და უცილო ღირებულებაც ალბათ ისაა, რომ მკაცრად და მიუკერძოებლად, ობიექტურობის მაქსიმალური დაცვით, ყოველგვარი შერბილებისა და შელამაზების გარეშე შევეცადეთ წარმოგვედგინა ის რეალური პოლიტიკური და სამხედრო-პოლიტიკური სურათი, რაც XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს განვითარდა ამიერკავკასიის რეგიონში ზოგადად. ამ ფონზე დაწვრილებით შევისწავლეთ და გავაანალიზეთ 1918-1919 წლებში

---

[34] შალვა მაღლაკელიძე. მოგონებები. ილუსტრირებული ბიოგრაფიები 6. გამომცემლობა ,,პეგასი". თბილისი. 2012. გვ. 81-88.

[35] А. Ю. Безугольный – кандидат исторических наук, старший научный сотрудник Института военной истории МО РФ. Демократическая республика Грузия и ее вооруженные силы. 1918-1921 гг. Вопросы истории. №10, 2009. Стр. 93.

სომხეთსა და საქართველოს შორის წარმოებული ომის თითოეული ასპექტი, რეგიონში იმ დროს არსებული სამხედრო-პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით.

სომხეთ-საქართველოს ომის აქამდე ცნობილი საკითხები, მისი თითოეული ასპექტის ჩათვლით, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ბუნდოვანი და არაზუსტია. აქ ძალიან ბევრ წინააღმდეგობასა და ერთი შეხედვით ერთმანეთის გამომრიცხავ მოსაზრებებსაც კი ვაწყდებით. განვითარებულ სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებთან მიმართებაში, სახელმწიფოებრივი მასშტაბებით იმდენად არაორგანული იყო საქართველოს მთავრობის დიპლომატიური ნაბიჯები და სამხედრო-პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომ თვით უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობაც კი არ უწყოდა მთავრობის პოლიტიკური აქტივობის შესახებ, პოლიტიკოსები კი, სწორად ვერ და არ აანალიზებდნენ ფრონტებზე შექმნილ ოპერატიულ მდგომარეობას და ადეკვატურ ნაბიჯებსაც არ დგამდნენ, ან თუ დგამდნენ, სამწუხაროდ, დიდი დაგვიანებით. თვით სომხეთ-საქართველოს ომის უშუალო მონაწილეების მემუარებშიც კი, იმდენი შეუსაბამობა და უზუსტობაა დაშვებული, რომ მსგავსი ფაქტები ძნელად ასახსნელთა კატეგორიას განეკუთვნება. და საერთოდ იქმნება შთაბეჭდილება, რომ დამოკიდებულება სომხეთ-საქართველოს ომსა და მის შედეგებთან, საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერაც არ იქნა სრული სერიოზულობით ბოლომდე აღქმული.

ისტორიული რეალობა კი ისაა, რომ სწორედ სომხეთ-საქართველოს ომი იყო პირველი სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური გამოცდა სრულიად ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოსათვის და საერთო ჯამში, 1921 წლის თებერვალ-მარტამდე ერთადერთი პოლიტიკურად წაგებული, დიახ, ერთადერთი პოლიტიკური შედეგებით წაგებული ომი პირველი რესპუბლიკის არსებობის სამწლიანი ისტორიის მანძილზე. როცა საქართველოს დამარცხებაზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, სულაც არა გვაქვს მხედველობაში მხოლოდ წმინდათ საბრძოლო მოქმედებების ოპერატიული, გნებავთ, ტაქტიკური შედეგები, დაპირისპირებულ მხარეთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადებისა თუ ჯარების ბრძოლისუნარიანობის საკითხების ანალიზის ფონზე გაკეთებული დასკვნები. როდესაც ამ ომში ქართველთა დამარცხებაზე ვსაუბრობთ, აქ პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს ომის შედეგები, როგორც სახელმწიფოს ინსტიტუციური აქტივობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და არსებითი შედეგი, მისი თითოეული - ტერიტორიული, სამხედრო-პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური, ადმინისტრაციული, სამხედრო-ტექნიკური და სხვა ასპექტების საერთო ანალიტიკური შედეგი. ამ თვალსაზრისით კი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა დამარცხდა. დამარცხდა უსამართლოდ და დაუმსახურებლად. დამარცხდა გაცილებით სუსტ და უღირს მოწინააღმდეგესთან, და ამ მარცხში არცთუ უკანასკნელი როლი, თუ მთავარი არა, ინტერნაციონალური სულით გაჟღენთილ მის ,,დემოკრატიულ'' და ,,ჰუმანურ'' სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას და პირადად მის თავმჯდომარეს მიუძღოდა. ამ ომის შედეგებმა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოგვიანებით, უკვე 1920-1921 წლებში, დიდი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიულად კუთვნილი ძირძველი მიწების ტერიტორიული გადანაწილების პროცესსა და მისი სახელმწიფოებრივი მოწყობის შემდგომ ბედზე, სომხეთისაზე კი - გადამწყვეტი.

პროფესორი გრიგოლ ჟვანია, სომეხ მწერალ, ვინმე გრანტ ბაგრაზიანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ბატონ ვაჰან პაპაზიანის მიერ ,,გოლოს არმენიასა'' და ,,ნეზავისიმაია როსიაში'' გამოქვეყნებული პასკვილების პასუხად გაზეთ ,,საქართველოს'' 1995 წლის 8 თებერვლის ნომერში დაბეჭდილ წერილში, სათაურით, ,,იდეოლოგიური დივერსია'', წერს: ,,ნუთუ მწერლისთვის არ უნდა ყოფილიყო ცნობილი, თუ რატომ არ ეხებიან ამ ომის ისტორიას პოპულარულ გამოცემებში სომეხი და ქართველი ისტორიკოსები? მისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ისინი არ ეხებიან ამ საკითხს არა იმიტომ, რომ არ იციან მისი ისტორია, არამედ არ სურთ ორ

მეზობელ და მეგობარ ერს შორის მაშინდელი ომით გამოწვეული იმ მძიმე ჭრილობების გაღიზიანება, რომელიც მიიღო ომის შედეგად მის მონაწილე ორივე მხარემ".[36] ვერაფრით ვერ დავეთანხმებით ბატონი გრიგოლის ამ დასკვნას. დიახ, ჩვენ არ ვიცით ამ ომის ისტორია და უფრო დიდი უბედურება კი ისაა, რომ განვლილი მწარე გაკვეთილებიდან სწორი დასკვნების გამოტანაც არ გვსურს. ქართველების მხრიდან აღნიშნული საკითხისადმი მსგავსი მიდგომა და დაფარული ჭირის კიდევ უფრო დამალვა ნამდვილად არაა სიკეთის მომტანი არც ქართველებისათვის და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, პირველ რიგში, არც თვით სომეხი ხალხისათვის.

რაც შეეხება სომეხი ავტორების მიერ სომხეთ-საქართველოს ომის ისტორიის გაშუქების საერთო სურათს, ამ საკითხებში ისინი ნამდვილად არ იჩენენ პასიურობასა და თავმდაბლობას. მათ მიერ შექმნილ ,,ნაშრომთა'' უმეტესობაში ნებსით თუ უნებლიეთ უხეში შეცდომებია დაშვებული, შინაარსობრივად კი, ისინი მკვეთრად ტენდენციური და ანტიქართულია. აი, მაგალითად, რას წერს თავის მონოგრაფიაში, დასახელებით: ,,Отношения Республики Армения с Россией (1918 – 1920 гг.)" (,,სომხეთის რესპუბლიკის ურთირთობები რუსეთთან (1918-1920წ.წ.))", ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გეგამ პეტროსიანი: ,,***1918 წლის 13 დეკემბერს*** დაიწყო სომხეთ-საქართველოს ომი..."[37] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

სრულიად გაუგებარია საიდან მოიტანა პატივცემულმა ავტორმა ომის დაწყების თარიღად 1918 წლის 13 დეკემბერი. ეს თარიღი არანაირად არ ჯდება მოცემულ კონტექსტში. არა გვგონია, რომ ასეთი მაღალი სამეცნიერო რეგალიების მქონე ავტორს არ სცოდნოდა სომხეთ-საქართველოს ომის დაწყების რეალური თარიღი. მაგრამ აქ, როგორც იტყვიან, სულ სხვაგანაა ძაღლის თავი დამარხული. რეალობა ის არის, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სომხური სარდლობის მიერ სრულმასშტაბიანი ღია საომარი მოქმედებების დაწყების ბრძანება ღიად 1918 წლის 13 დეკემბერს გაიცა, რაც უტყუარი დოკუმენტებითა და ფაქტოლოგიური პროცესებით არის დადასტურებული. მაგრამ ამ თარიღამდე დიდი ხნით ადრე, სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილები და დაშნაკური საბრძოლო რაზმები ომის გამოუცხადებლად, ქურდულად დაესხნენ თავს ქართულ სასაზღვრო საგუშაგოებს და შემოიჭრნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიებზე. დარწმუნებულნი ვართ, რომ ბატონმა პეტროსიანმა ყოველივე ეს ძალიან კარგად იცის, მაგრამ 1918 წლის 13 დეკემბრის მინიშნებით გარკვეულწილად ცდილობს ომის დამწყებ მხარედ საქართველო გამოიყვანოს, რაც ისტორიული რეალობის დამახინჯებისა და ფაქტების ფალსიფიკაციის მეტად უსუსური მცდელობაა.

ჩვენს ამ დასკვნებს ოდნავ ქვემოთ თავად ავტორიც ადასტურებს თავისი მონათხრობით, სადაც ასევე ,,დიდი წარმატებით" გრძელდება უკვე ძალიან გაცვეთილი სომხური ნარატივი, ერთის მხრივ, საქართველოსა და ქართველების ბრალეულობისა, და მეორეს მხრივ, სომხების უდანაშაულობის შესახებ. პეტროსიანი შემდეგი კონტექსტით აგრძელებს თხრობას:

,,სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ აშოტ მელქონიანის განსაზღვრებით სომხეთის ,,იმდროინდელმა პოლიტიკურმა პარტიებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სომხურმა ბეჭდურმა მედიამ, ტკივილით აღიქვეს ამ ძმათამკვლელი ომის დაწყების ცნობა. მაგრამ ჩათვალეს რა, სომხური მხარის პოზიცია აბსოლუტურად სამართლიანად, ისინი ძირითადში სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ განხორციელებული მოქმედებების დამცველებად გამოვიდნენ.

---

[36] გაზეთი ,,საქართველო''. 8 თებერვალი. 1995.

[37] Гегам Петросян. Отношения Республики Армения с Россией (1918 – 1920 гг.) Ереванский Государственный Университет. Ереван. Издательство ЕГУ. 2012. Стр. 156.

სომხეთ-საქართველოს ომის დეტალებზე აქცენტების გაკეთების გარეშე, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, ***რომ საქართველოს მიერ თავსმოხვეული ეს მოკლევადიანი ომი, ორივე რესპუბლიკისათვის დიდ უბედურებად იქცა. სომხეთის რესპუბლიკა თავისი ქვეყნის დასაცავად იძულებული გახდა იარაღი აეღო ხელში".***[38] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.) ზუსტად ასეა ტექსტში - ,,Республика Армения была вынуждена взяться за оружие во имя защиты своей страны"...

სრულად ვეთანხმებით პატივცემული ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ***,,...ეს მოკლევადიანი ომი, ორივე რესპუბლიკისათვის დიდ უბედურებად იქცა",*** მაგრამ ძალიან გასაკვირია, რომ ისეთი სერიოზული მეცნიერი და მკვლევარი, როგორიც სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი აშოტ მელქონიანია, აგრესორად საქართველოს აცხადებს, სომხეთი კი, თავდაცვაში მყოფ აქტორად გამოჰყავს. მაგრამ ეს კიდევ არაა ყველაფერი. შემდეგი ავტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გეგამ პეტროსიანი კიდევ უფრო შორს მიდის და არ ვიცით, მართლა უცოდინარობით თუ სპეციალურად, აბსოლუტურად ფანტასტიკურ მიმართებაში ავითარებს საკუთარ იდეებს. თავის მონოგრაფიაში, დასახელებით ,,Отношения Республики Армения с Россией (1918 – 1920 гг.)", იგი წერს: ,,ამ ომში დიდი ბრიტანეთის, სამხრეთ რუსეთის მოხალისეთა არმიისა და ,,განსაკუთრებული საბჭოს" ინტერესები შეეჯახა ერთმანეთს. მოხალისეთა არმია ცდილობდა ესარგებლა შექმნილი საომარი მდგომარეობით და გაეფართოებინა თავისი გავლენის სფეროები ამიერკავკასიაში, ამავე დროს - შავი ზღვის სანაპირო მიეტაცებინა. ბრიტანელთა სარდლობა კი, მიზნად ისახავდა ჩაეშალა გენერალ ა. დენიკინის სტრატეგიული გეგმები და ,,გაენეიტრალებინა" სომეხთა რუსოფილობა, ***რის გამოც აქტიურად ეხმარებოდა საქართველოს. ამით იყო განპირობებული ინგლისური და ქართული სადაზვერვო სამსახურების ერთობლივი მუშაობა და მათი ურთიერთობების გაუმჯობესება".*** [39] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

სახეზე გვაქვს ისტორიული ფაქტების უარყოფისა და ისტორიული მოვლენების სრულიად გაუგონარი ფალსიფიკაციის მცდელობა. ბატონ პეტროსიანთან ყველაფერი აღრეული და თავდაყირაა დაყანებული. გაუგებარია ბრიტანელთა მხრიდან ქართველების მიმართ გაწეულ რა დახმარებებზეა საუბარი. კიდევ უფრო გაუგებარია ,,ინგლისური და ქართული სადაზვერვო სამსახურების ერთობლივ მუშაობასა და მათი ურთიერთობების გაუმჯობესებაზე" მითითება. მაგრამ ყველაფერი გამოსწორდება ჩვენი ნაშრომის შესაბამისი თავებისა და პარაგრაფების გაცნობის შემდეგ.

გარდა ზემოთქმულისა, სომეხ ავტორთა ერთ ჯგუფში აშკარად შეინიშნება ქართველოფობური განწყობები. ისინი ისე გაკადნიერდნენ, რომ მათ მიერ გამოქვეყნებულ სტატიებსა და ,,ნაშრომებში'' გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ზოგადად საქართველოსა და ქართველების შესახებ, იმდენად ცინიკური და შეურაცხმყოფელია, რომ აშკარად პათოლოგიურ ხასიათს ატარებს. მათ მიერ შეთითხნილ პასკვილებში კი ისეთი ისტერიული ტონალობები ჟღერს, რომ ძალზე საეჭვოა ისინი საღ ჭკუაზე იყოს დაწერილი. (იხილეთ ანზორ თოთაძის ,,სომეხი ვაი-მეცნიერების ანტიქართული ისტერია'' და აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის ,,ახალი ქვათა ღაღადი, ანუ, ვართ თუ არა მდგმურები''.) იგივე გრანტ ბაგრაზიანთან დაკავშირებით, მისი ციტირებისას, დიდი ქართველი მწერლის, რევაზ ჯაფარიძის ერთ-ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში, სათაურით, ,,ერის ინტერესები ერისკაცმა უნდა დაიცვას", ვკითხულობთ: ,,მხედართმთავრებს" (ქართველებს - ა.

---

[38] Гегам Петросян. Отношения Республики Армения с Россией (1918 – 1920 гг.) Ереванский Государственный Университет. Ереван. Издательство ЕГУ. 2012. Стр. 156. Мелконян А. Джавахк в XIX веке и в первой четверти XX века, с. 301 (на арм. яз.).

[39] Гегам Петросян. Отношения Республики Армения с Россией (1918 – 1920 гг.) Ереванский Государственный Университет. Ереван. Издательство ЕГУ. 2012. Стр. 157. РГ ВА, ф. 39540, оп. 1, д. 44, л. 19.

ჩ.) გაეცათ ბრძანება: დაიპყარით ლორი!... (ლორეს გადასომხურებული ვარიანტი - ლორი - ა. ჩ.) საქართველოს ჯარი სომხეთში შეიჭრა. ომი! მაგრამ ეს ავანტიურა მეზობელი რესპუბლიკის ,,მეომრებისათვის" (Вояк - ა. ჩ.) უსახელოდ დამთავრდა. ცუდად შეიარაღებულმა სომხეთის არმიამ თავის თავში გამონახა ძალები, რომ წინ აღდგომოდა დაუპატიჟებელ სტუმრებს და ,,მენშევიკ-გორლოპანებს" (ვერაფრით ვერ მოვუძებნეთ დამამცირებელ რუსულ Горлопан-ს ზუსტი ქართული შესატყვისი - ა. ჩ.) წარმატების არავითარი იმედი არ დაუტოვა. მოწინააღმდეგის არმიამ უკან მოკურცხლა (Драпанула - ა. ჩ.) ნავთლუღსა და კოჯრამდე".[40]

- რას იტყვის ბატონი მწერალი და მასთან ერთად დაინტერესებული მკითხველიც, თუ გამოირკვა, რომ რამდენი სიტყვაცაა ზემოთ დამოწმებულ სტატიაში, ორი იმდენი ტყუილია? - რიტორიკულ კითხვას სვამს ბატონი რევაზ ჯაფარიძე. აბსოლუტურად ვეთანხმებით ავტორის რეზიუმეს. ჩვენის მხრივ კი, დავამატებთ, რომ მოყვანილ სტატიაში არა თუ ორი, არამედ ათი იმდენი ტყუილია და რაც მთავარია - ბაგრაზიანის მოყვანილ პასკვილში ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული.

და კიდევ ერთი ავტორი - სომეხი ჟურნალისტი, ლიტერატორი და პუბლიცისტი, აშოტ გარეგინიანი. სტატიაში - ,,Маленькая ,,неизвестная" война" (,,პატარა ,,უცნობი" ომი"), იგი სომხეთ-საქართველოს ომის დაწყებას და მიმდინარეობას, საბრძოლო პერიპეტიებსა და ტაქტიკურ ვითარებას, პოლიტიკურ გარემოს, სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესს და ამ ომის შედეგებს გადმოგვცემს. აქვე წინასწარ განვაცხადებთ, რომ სტატიაში ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები, ფრაზები და მთელი წინადადებები სიმართლეს არ შეესაბამება, თუმცა, მათ გასწორებას აქ არ შევუდგებით. ეს საკმაოდ შრომატევადი და მცირე ფორმატში რთულად აღსაქმელი ინფორმაცია იქნება, ამიტომ უმჯობესად ჩავთვალეთ ყველაფერი ხელუხლებლად დავტოვოთ და მონოგრაფიის ორივე ტომის წაკითხვის შემდეგ დასკვნების გამოტანა თავად მკითხველს მივანდოთ. ბატონი აშოტ გარეგინიანი წერს:

,,1918 წლის 5 დეკემბერს სომხეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით სომხეთის არმიის ნაწილები (მე-4 ***საარმიო პოლკი*** და ***ცხენოსანი ესკადრონი),*** რომელსაც სახელგანთქმული სარდალი, გენერალი დრო (დრასთამატ კანაინი) სარდლობდა, ***ლორიში*** და ***ჯავახეთში*** შევიდნენ. დრომ ჯარების წინაშე დასვა ამოცანა - ,,მცირე სისხლით" გაენთავისუფლებინათ ***სომხური ტერიტორიები*** და ეიძულებინათ საქართველო წასულიყო სამშვიდობო მოლაპარაკებებზე.

საომარი მოქმედებების მთელი პერიოდის განმავლობაში, რომელიც ***5-დან 29 დეკემბრამდე*** მიმდინარეობდა, ქართულმა ჯარებმა ვერ შეძლეს ***მცირერიცხოვანი სომხური ნაწილებისათვის მეტ-ნაკლებად ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა (სომხეთის არმიის მთავარი ძალები თურქეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებებზე მოქმედებდნენ). ასეთ მცდელობას სულ ორჯერ ჰქონდა ადგილი - სოფელ სანაინთან (ლორის ოლქი) და ცარ კართან (თავუშის ოლქი). მაგრამ ორივე შემთხვევაში ,,ოპონენტი" განადგურებულ იქნა.***

გენერალ დროს ბრძანებით, ***ქართულ ნაწილებს ყოველთვის ეძლეოდათ კორიდორი უკანდახევისათვის და ისინიც პრაქტიკულად ყოველთვის სარგებლობდნენ ამ კორიდორებით.*** სომხურმა ქვედანყოფებმა, რომლებიც დიდი სიძნელეების გარეშე ავიწროებდნენ მოწინააღმდეგეს, საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მისადგომებს მიაღწიეს. თუმცა, მათი შემდგომი წინსვლა შეჩერებულ იქნა. ***კერძოდ, მოწინავე სომხური და ქართული ინტელიგენციისა და სამღვდელოების - ოვანეს თუმანიანის და ავეტიკ ისააკიანის, კათოლიკოს გევორქ V-ისა (სურენიანცი) და ლეონიდეს (ოქროპირიძე) თხოვნით.*** თავისი როლი სომხეთის მთავრობისა და კავკასიის ბრიტანული მისიის საიდუმლო ტელეფონოგრამებმაც ითამაშა.

---

[40] რ. ჯაფარიძე. ერის ინტერესები ერისკაცმა უნდა დაიცვას. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა". 1994. 22 ივნისი.

პრინციპში, სომხური ჯარების წინაშე არ იდგა თბილისის აღების ან საქართველოს ტერიტორიების დაკავების ამოცანა. ერთადერთი რისკენაც ისინი ისწრაფვოდნენ - ეს ***სომხური ტერიტორიების განთავისუფლება და თავიანთი თანამემამულეების შევიწროებისგან დახსნა წარმოადგენდა.*** ბრიტანელთა სამხედრო მისიის, ***აგრეთვე ინტელიგენციისა და სამღვდელოების მოთხოვნით,*** დაიწყო ინტენსიური სამშვიდობო მოლაპარაკებები. ***კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მოლოდინში, სომხეთის არმიის ძირითადმა ნაწილებმა 2500 ჯარისკაცისა და ოფიცრის შემადგენლობით, დატოვეს სოფელი შულავერი (დღევანდელი საქართველოს მარნეულის რაიონი) და უკან დაიხიეს სოფელ ბაგრატაშენამდე (სომხეთის თავუშის ოლქი).***

მიიღეს რა, სოფელ შულავერთან სომხური ჯარების რიცხოვნობაზე სადაზვერვო მონაცემები, და ***ფლობდნენ რა სამშვიდობო მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაციას,*** ქართულმა არმიამ, რომელსაც გენერალი გიორგი მაზნიაშვილი სარდლობდა, ***1918 წლის 29 დეკემბერს სომხურ პოზიციებს შეუტია.*** ქართულ ჯარებთან შეტაკების შედეგად, ***სომხურმა რაზმმა, 300 ჯარისკაცისა და ოფიცრის შემადგენლობით, ორგანიზებულად დაიხია უკან. დანაკარგებმა 12 მოკლული, 29 დაჭრილი და 7 ტყვე შეადგინა.***

ინგლისელების მიერ გაწეული შუამავლობით, 1918 წლის 31 დეკემბერს სომხეთსა და საქართველოს შორის საომარი მოქმედებები შეწყდა. ხოლო ***1919 წლის 1 იანვარს თბილისში გამართულ სამშვიდობო კონფერენციაზე ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას.*** სამშვიდობო შეთანხმების პირობებით, ***საქართველოსა და სომხეთის შორის საზღვრების დადგენამდე, ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთი ნაწილი გადაეცა საქართველოს. ხოლო სამხრეთი - სომხეთს,*** შუა ნაწილი კი, ,,ნეიტრალურ ზონად“ გამოცხადდა, რომელიც ადმინისტრაციულად ინგლისელ გენერალ-გუბერნატორს დაემორჩილა.[41] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

სომეხი ავტორის ზემოთ წარმოდგენილი ეს არც თუ ისე მოკლე ამონარიდი ტყუილად არ მოგვიტანია. აი, ასეთი, ან დაახლოებით ასეთი (იშვიათი გამონაკლისი გარდა) ხედვა არსებობს ზოგადად, 1918-1919 წლების სომხეთ-საქართველოს ომის შესახებ თითქმის ყველა სომეხ და ზოგიერთ უცხოელ ავტორთან (აქ, ჩვენ პირველ რიგში, ზოგიერთ რუს ავტორებს და რუსულ პროსომხურ ისტორიოგრაფიას ვგულისხმობთ.) დიახ, ასეთი მითების, ტყუილ-მართლის ნაზავისა და იგავ-არაკების დონეზეა წარმოდგენილი საქართველოსა და სომხეთის პირველ რესპუბლიკებს შორის არსებული ის უმძიმესი სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება, რამაც სულ მალე უდიდესი როლი ითამაშა როგორც ერთი, ასევე მეორე ქვეყნის შემდგომ ბედზე.

ბოლოსდაბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღდგეს და ობიექტურად დაიხატოს 1918-1919 წლებში სომხეთ-საქართველოს შორის არსებული უკიდურესი პოლიტიკური დაპირისპირებისა და საომარი ბატალიების მიმდინარეობის სრული სურათი. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაეცეს უმძიმეს კითხვებს პასუხები, რაც ამავდროულად ჩვენს მიერ დასმული პრობლემის საკვლევ კითხვებსაც წარმოადგენს:

- რა პოლიტიკური და სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები არსებობდა საქართველოსა და სომხეთის პირველ რესპუბლიკებს შორის მთელი 1918 წლის განმავლობაში და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში?

- რაში მდგომარეობდა სომხების მიერ ქართველებისადმი წაყენებული პრეტენზიების რეალური არსი?

- საზოგადოდ, როგორ წარმოიქმნა სომხური ნაციონალისტური სეპარატიზმისა და ექსპანსიონიზმის აგრესიული იდეოლოგია?

---

[41] Ашот Гарегинян. Маленькая ,,неизвестная” война. 2011. https://hetq.am/ru/article/7272

- რაში მდგომარეობდა წარსულში და მდგომარეობს დღეს სომეხ დაშნაკთა ულტრანაციონალიზმი?

- ევოლუციის რა გზა გაიარა დაშნაკთა რევოლუციურმა მოძრაობამ და რამ მიიყვანა ბოლოსდაბოლოს საქართველოსა და სომხეთის პირველი რესპუბლიკების მთავრობები ღია შეიარაღებულ დაპირისპირებამდე?

- საერთოდ, რაში მდგომარეობდა საქვეყნოდ გახმაურებული ყბადაღებული ,,სომხური საკითხის" არსი?

- როგორი იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობისა და ზოგადად ქართველი სოციალ-დემოკრატების, პირადად ბატონ ნოე ჟორდანიას როლი ამ დაპირისპირების გაღვივებასა და მისი სამართლიანად დასრულების საქმეში?

- როგორი იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობისა და საგარეო უწყების პოლიტიკური და დიპლომატიური აქტივობის სპექტრი 1918 წლის ბოლოს?

- სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, როგორი სტრატეგიული, ოპერატიული თუ ტაქტიკური ვითარება იქმნებოდა საომარ მოქმედებათა თეატრებზე ომის მსვლელობისას?

- ვინ იყვნენ ის სახელოვანი თუ უსახელო ქართველი გმირები, ვინც ამ ომში გამარჯვების ახალი ფურცლები ჩაწერეს საქართველოს ომების მრავალსაუკუნოვან მატიანეში და ღირსეულად მოიხადეს თავისი მამულიშვილური ვალი?

- საბოლოოდ, რა საერთო შედეგებით დასრულდა სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების საომარი დაპირისპირება და როგორი იყო ამ ომის სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა?

- რაში მდგომარეობდა პარტია ,,დაშნაკცუტიუნის" ნაციონალისტურ-ექსოანსონისტური იდეოლოგიის არსი და როგორია მისი დღევანდელი აქტივობის სპექტრი?

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი, დასახული პრობლემის მეცნიერულ კვლევას და არსებითად, დასმული საკითხების მონოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

სომხეთ-საქართველოს ომთან მიმართებაში ყველაზე საინტერესო და გასაკვირი ისაა, რომ თვით იმდროინდელ და თანამედროვე სომეხ ავტორთა უმეტესობა ვერ უარყოფს იმ უცილობელ ფაქტს, რომ სომხეთ-საქართველოს ომში ღია აგრესორების როლში არარატის რესპუბლიკის დაშნაკური მთავრობა და მისი შეიარაღებული ძალები იყვნენ. მაგრამ სომეხი და პროსომეხი ავტორები წარსულშიც და დღესაც ჯიუტად და თავგამოდებით ცდილობენ იმის დაამტკიცებას, რომ არარატის მთავრობა საომარი მოქმედებების დაწყებამდე საქართველოს მთავრობის მიერ სომხეთის მიმართ წარმოებულმა აგრესიული საგარეო, სამხედრო, იდეოლოგიური და ეკონომიკური კურსის გატარების პოლიტიკამ მიიყვანა. ამ მოსაზრებათა შესაბამისად, სომეხ დაშნაკთა მიერ 1918 წლისათვის საქართველოს მთავრობისადმი წაყენებული პრეტენზიების ჩამონათვალი ოთხ ძირითად პუნქტად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. 1918 წლის დასაწყისში ქართველების სომხებისადმი ღალატი ოსმალური შეიარაღებულ აგრესიის დროს;

2. საქართველოს მთავრობის არაჰუმანური დამოკიდებულება ოსმალეთიდან დევნილი სომეხი ლტოლვილებისადმი;

3. საქართველოს მიერ არარატის რესპუბლიკის წინააღმდეგ წარმოებული ეკონომიკური და საკომუნიკაციო ბლოკადა;

და რაც მთავარია:

4. 1918 წლისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების მიერ ,,ძირძველი სომხური მიწების" ოკუპაციის ფაქტი;

დაშნაკთა მხრიდან ქართველი სოციალ-დემოკრატებისადმი წაყენებული ამ პრეტენზიების არსებითად უცვლელ, თუმცა ოდნავ განსხვავებულ და კითხვითი ფორმით გადმოცემულ ვერსიას გვთავაზობს ერთი სომეხი ავტორი, ინიციალებით წარმოდგენილი - Д. Н., სტატიაში ,,Грузинская эмиграция, меньшевики и дашнакцаканы" (,,ქართული ემიგრაცია, მენშევიკები და დაშნაკცაკანები"), რომელიც პარიზსა და ბერლინში გამომავალ კავკასიის ხალხთა ემიგრაციულ ჟურნალში ,,Кавказ (Le Caucase) (Der Kaukasus)" დაიბეჭდა. იგი წერს:

,,დაშნაკცაკანები კითხულობენ:

- მენშევიკებმა ხომ არ ,,გაყიდეს" ყარსი?

- მენშევიკებმა ხომ არ ,,მოიპარეს" ახალქალაქი და ახალციხე? ხოლო ლორიმ და ბამბაკმა იმიტომ არ გაიზიარეს იგივე ბედი, რომ მათ სომხები შეეწინააღმდეგნენ?

- მენშევიკებმა ხომ არ უღალატეს ამიერკავკასიის ფედერაციას, როდესაც ბათუმის კონფერენციის მსვლელობისას მათ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს?

- სოციალიზმის იდეოლოგიით აღჭურვილი მენშევიკები ხომ არ დევნიდნენ თბილისელ სომხობას და მათი ხოცვა-ჟლეტისთვის ემზადებოდნენ?

- გვაზავასთან[42] ერთად ჟორდანია ხომ არ იყო ყველაზე უფრო გაცხადებული ,,სომეხთმჟლეტი" (Армяноед)?"...[43](?!)

,,Кавказ (Le Caucase)"-ში წარმოდგენილი ამ პასკვილის ,,შეკითხვებზე" ცხადია, აქ პასუხს არ გავცემთ, რადენადაც რეალური ფაქტებისა და მოვლენების სარკული ანარეკლით გადმოცემასთან გვაქვს საქმე. ასევე, არსებითად ზემოთ წარმოდგენილი იგივე ოთხპუნქტიანი პრეტენზიების პირველი სამი პუნქტიც სრულებით არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს და მათში გამოთქმული მოსაზრებები მტკნარი სიცრუე და საშინელი ცილისწამებაა ქართული მხარის მიმართ. ჩვენი ამ დასკვნის მართებულებას წინამდებარე ნაშრომის შესაბამის თავებში დავამტკიცებთ. ხოლო

---

[42] გიორგი გვაზავა (1869-1941წ.წ.) – ცნობილი ქართველი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. პუბლიცისტი, მწერალი და მთარგმნელი, პროფესიით იურისტი. დაწყებითი განათლება მიიღო ნოქალაქევსა და მარტვილში. შემდეგ სწავლას თბილისის სასულიერო სემინარიასა და გიმნაზიაში აგრძელებს. იყო წარჩინებული სტიპენდიანტი. გიმნაზიის დასრულებისთანავე სწავლას მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე აგრძელებს, განათლების მიღებას კი, სორბონას უნივერსიტეტში ასრულებს. 1895 წელს დაბრუნდა საქართველოში და იწყებს იურისტის პრაქტიკას, პარალელურად ერთვება პუბლიცისტურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1905 წელს აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკური ჯგუფის ფორმირებაში. 1907 წლის ივნის-ოქტომბერში ესწრებოდა ჰაგის მე-2 კონფერენციას, რომელსაც წარუდგინა მემორანდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. 1914 წელს იყო ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჯგუფის ბეჭდვითი გამოცემა ,,კლდის" ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქტორი, ხოლო 1917 წელს – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი კომიტეტის წევრი. იმავე წელს ირჩევენ საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად, ხოლო 1918 წლის თებერვლიდან იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი. იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის ერთ-ერთი ავტორი. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს. 1918 წლის განმავლობაში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე. 1919 წლის 12 მარტს ირჩევენ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ტოვებს სამშობლოს და მიდის ემიგრაციაში. ცხოვრობდა პარიზში, სადაც ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ და პუბლიცისტურ საქმიანობას. 1926 წლიდან საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციის წარმომადგენლის სტატუსით მონაწილეობდა ,,კავკასიის გათავისუფლების კომიტეტის" ე.წ. ,,პრომეთეისტული" ორგანიზაციის საქმიანობაში. იყო ჟურნალ ,,პრომეთეს" რედაქტორი, ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის დამაარსებელი და თავმჯდომარე. გარდაიცვალა 1941 წლის 21 იანვარს.

[43] Д. Н. Грузинская эмиграция меньшевики и дашнакцаканы Кавказ. (Le Caucase). Орган независимой национальной мысли. Париж. Февраль 1936. №26/2. Стр. 25-26.

რაც შეეხება მეოთხე პუნქტში გამოთქმულ ტერიტორიულ პრეტენზიას, მას ცალსახად ვეთანხმებით, ოღონდ იმ შესწორებით, რომ სომეხ დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტურ იდეოლოგიაზე დაყრდნობით, სომხეთის შეიარაღებული ძალების მიერ სწორედ ძირძველი ქართული მიწების ოკუპაციის მცდელობა იყო ამ ომის გამომწვევი ერთადერთი მიზეზი და დანარჩენი სამი მხოლოდ ამ მეოთხე პუნქტის დასამძიმებლად იყო შეთხზული და მოგონილი სომეხ პროპაგანდისტთა და მათ მხარდამჭერთა მიერ. სხვა ტერიტორიებთან ერთად, სწორედ ეს ,,სადავო" ისტორიული ქართული მიწები უნდა ქცეულიყო სომეხთა ეფემერული სახელმწიფოს - ,,დიადი არმენიის" ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტად. ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ოთხი პუნქტიდან პირველი სამი კი, ისეთი აშკარა უსირცხვილობითა და უტიფრობით იყო შეთხზული და შეკოწიწებული, რაც მხოლოდ დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგიის აპოლოგეტებს შეიძლებოდა მოსვლოდათ თავში. რაც შეეხება საკუთრივ ,,დიად არმენიას"... იგი ე.წ. ,,დიდი არმენიის", ,,მცირე არმენიისა" და ,,ქილიკიის არმენიისაგან" უნდა შემდგარიყო. საინტერესოა, რომ ამ ე.წ. ,,დიდი არმენიის" ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ისტორიული საქართველოს თითქმის ნახევარი იყო ჩართული, ხოლო ,,მცირე არმენიაში" საქართველოს ისტორიული მხარე სპერი და ტაო-კლარჯეთის ნაწილი... რეალობა კი, სწორედაც რომ დიამეტრალურად განსხვავებული იყო:

,,საჭიროა, რომ სომხებმა ხელი აიღონ ქვეყნიერების წინაშე ქართველთა სისტემატურ დამცირებაზე, რაც, ცხადია, მეტისმეტად აღიზიანებს უკანასკნელთ, შეკვეცონ თავიანთი მადა საერთოდ ქართული დოვლათის მიმართ და კერძოდ, სიხარბით გამოწვეულ თავიანთ ახლანდელ მისწრაფებათა ერთგვარი გამართლებისათვის არ ამტკიცონ ის სრულიად ყალბი აზრი, რომ თითქოს აღმოსავლეთი საქართველო უძველეს დროში დიდ სომხეთში შედიოდა, მაშინ როდესაც, სინამდვილეში საქმე სწორედაც რომ პირიქით იყო: თვით სომხეთი თავისი ,,შეუდარებელი'' (ჯანშიევის[44] გამოთქმაა) სატახტო ქალაქი ანით[45], საქართველოს სამეფოს ნაწილს შეადგენდა დავით

---

[44] გრიგორი ავეტიკის ძე ჯანშიევი (რუს. Григорий Аветович Джаншие́в, სომხ. Գրիգոր Ավետի Ջանշյան) (1851-1900წ.წ.) – თბილისში დაბადებული და გაზრდილი სომეხი ეროვნების რუსი იურისტი და ისტორიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ბროკჰაუზისა და ეფრონის საგამომცემლო საზოგადოების მიერ 1890-1907 წლებში რუსეთის იმპერიაში გამოცემული უნივერსალური ენციკლოპედიის თანაავტორი. დაწყებითი განათლება მიიღო თბილისში. 1864 წლიდან სწავლობდა ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში. 1870 წელს სწავლა დაიწყო მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, მაგრამ მალევე მიატოვა იგი და სწავლა განაგრძო იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1874 წელს. 1876-1880 წლებში მუშაობდა სხვადასხვა გაზეთებში ჟურნალისტად და სასამართლოს რეპორტიორად. 1880-1884 წლებში იყო მოსკოვის იურიდიული საზოგადოების მდივანი. 1891 წელს ჩადის კონსტანტინოპოლში და ინტერესდება სომხური საკითხით. ამ დროიდან დაწყებული წლების განმავლობაში აქტიურად გამოდიოდა ოსმალთა იმპერიაში მცხოვრებ სომეხთა უფლებების გაუმჯობესების მოთხოვნით. მისი შემდგომი ცხოვრება დატვირთული იყო ლიტერატურული და პუბლიცისტური მოღვაწეობით. არის 25 წიგნისა და მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორი. 1897 წელს თანამემამულეთა დახმარების მიზნით გამოუშვა ლიტერატურულ-სამეცნიერო კრებული ,,ძმური დახმარება", რომლის რეალიზაციიდან მიღებული თანხა მთლიანად ქველმოქმედებას მოახმარა. გარდაიცვალა 49 წლის ასაკში, სანკტ-პეტერბურგში, 1900 წელს.

[45] ანისი (სომხ. Անի, თურქ. Ani, ლათ. Abnicum) – შუა საუკუნეების ქალაქი სამხრეთ კავკასიაში. მდებარეობს დღევანდელი თურქეთის ყარსის პროვინციაში, სომხეთის საზღვრის მახლობლად. 961-1045 წლებში იყო სომხური ანისის სამეფოს დედაქალაქი. ქალაქი გაშენებული იყო მდინარე ახურიანის ხეობაში მდებარე სამკუთხედის ფორმის მაღლობზე, რომელიც უზრუნველყოფდა მის ბუნებრივ დაცვას. წერილობით წყაროებში ქალაქს პირველად მოიხსენიებენ V საუკუნეში. IX საუკუნის დასაწყისში ანისი გადავიდა ბაგრატუნების დინასტიის მფლობელობაში. 1045 წელს პრობიზანტიური ორიენტაციის მქონე მოქალაქეების წაქეზებით ანისი ბიზანტიას ჩაბარდა და მისი მმართველი ბერძენი გუბერნატორი გახდა. 1064 წელს ანისს თავს დაესხნენ თურქ-სელჩუკები ალფ-არსლანის სარდლობით და აიღეს იგი. 1072 წელს სელჩუკებმა ანისი ქურთული წარმოშობის შედადიანების დინასტიას მიჰყიდეს. ქალაქის გამოხსნაში დახმარებისათვის სომხებმა საქართველოს მეფეს, დავით აღმაშენებელს მიმართეს, რომელმაც ქალაქი 1124 წელს აიღო და გაათავისუფლა იგი შედადიანების ბატონობისგან, თუმცა შედადიანებმა მალე ისევ

აღმაშენებლის, გიორგი მესამის, თამარ მეფის დროს და თითქმის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, რაც თვით სომეხი ისტორიკოსების მიერ აღიარებული ფაქტია''.[46] ეს სტრიქონები ასათი წლის წინაა დაწერილი. მისი ავტორი დიდი ქართველი ჰუმანისტი და განმანათლებელი, იაკობ გოგებაშვილია.

ერთი შეხედვით, თითქოს ისეთი მარტივი და დღესავით ნათელი საკითხი, როგორიცაა სომეხ ნაციონალისტთა მიერ 1918 წელს საქართველოს მთავრობისადმი წაყენებული ტერიტორიული პრეტენზიები, რეალურად სულაც არაა ტრივიალური და ცალსახა. იგი შორს სცილდება სომხეთისა და საქართველოს პირველ რესპუბლიკებს შორის მთელი 1918 წლის განმავლობაში არსებულ სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობების საკითხს როგორც დროში, ასევე სივრცეში. ეს დამოკიდებულება და სომხური აგრესიული საგარეო პოლიტიკის პრობლემური საკითხები ორგანულადაა დაკავშირებული, და უფრო მეტიც, დაფუძნებულია ისეთ საინტერესო ნაციონალურ და იდეოლოგიურ ფენომენზე, რომელიც მსოფლიო პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიაში ,,სომხური საკითხის'' სახელწოდებით შევიდა.

,,სომხური საკითხის'' ცნება, მისი წარმოქმნა, გენეზისი, განვითარების გზები და შემდგომი მეტამორფოზები იმდენად მნიშვნელოვანი და ფუძემდებლური ფენომენი იყო სომხურ-ქართულ ურთიერთობებში, და არა მარტო აქ, რომ მისი ძირითადი მომენტების განხილვის გარეშე შეუძლებელია ბოლომდე საფუძვლიანად ჩავწვდეთ 1918-1919 წლების სომხეთ-საქართველოს ომის პოლიტიკური და სამხედრო-პოლიტიკური წანამძღვრების ნამდვილ არსს. უფრო მეტიც, სწორედ ,,სომხური საკითხის" დასმა და არსებობა, როგორც ასეთი, იყო ამ ომის გამომწვევი ფუძემდებლური მიზეზი და მისი გარკვეული გამართლების მცდელობაც სომხური მხრიდან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გადაუდებლად მივიჩნიეთ გარკვეული მიმოხილვა და ანალიზი გაგვეკეთებინა იმ ძირითადი განმსაზღვრელი იდეოლოგიურ-პოლიტიკური პროცესებისა, რომლებიც წინ უძღოდა 1918-1919 წლების სომხეთ-საქართველოს ომს და ეს საკითხები ჩვენი მონოგრაფიის პირველი ნაწილის პირველ თავში ჩავრთეთ. ათეულობით ისტორიკოსის მრავალწლიანი თავაუღებელი შრომაა ალბათ იმისათვის საჭირო, რომ სრულად, მეცნიერულ დონეზე იქნას შესწავლილი და წარმოდგენილი ,,სომხური საკითხისა'' და სომხური ულტრანაციონალიზმის წარმომავლობის ყველა ასპექტი. ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, ჩვენ მხოლოდ იმ უმნიშვნელოვანესი მომენტების გაშუქებით შემოვიფარგლეთ, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული სომხური აგრესიული სეპარატიზმისა და ულტრანაციონალიზმის წარმოშობასთან და კიდევ ერთხელ შევეცადეთ ნათელი მოგვეფინა ამ მეტად საინტერესო, არაერთგვაროვანი, წინააღმდეგობებით აღსავსე და საშიში, დიახ, საშიში - უაღრესად საშიში მოვლენისათვის. არსებული რეალიების ანალიზის ფონზე, ამ საშიშროების მოახლოებას ჯერ კიდევ დიდი იაკობ გოგებაშვილი წინასწარმეტყველებდა XIX საუკუნის ბოლოს: ,,ქართველთა სიკეთიანობა და სიბოროტის მალე დავიწყება შეადგენს მათი გულკეთილობის საფუძველს. ასეა თუ ისე, რადგან დავა ატეხილია, საჭიროა მისი გადაჭრა სრული ობიექტურობითა და მიუდგომლობით, და მაშინ დროებით გაღვიძებული ვნებათაღელვა მიწყნარდება და ადგილს დაუთმობს ტომებს შორის ნორმალურ ურთიერთობას. ყველაზე უარესია აღძრული საკითხის ნახევრად გადაჭრა, მის დიდი ხნით ღიად დატოვება და იმ ქრონიკულ ავადმყოფობად გადაქცევაა, რომელიც ყოველ ხელსაყრელ

დაიბრუნეს ქალაქი. 1199 წელს, უკვე თამარის მეფობის ხანაში, ქართველთა ჯარმა ისევ აიღო ანისი. ამჯერად ქართველებმა შედადიანები საბოლოოდ განდევნეს ანისიდან, ხოლო ქალაქის მმართველებად თამარ მეფემ თავისი კარის დიდებულები, ზაქარია და ივანე მხარგრძელები დანიშნა.

[46] იაკობ ახუაშვილი. ახალი ქვათა ღაღადი, ანუ, ვართ თუ არა მდგმურები. საქართველოს ეროვნული აკადემია. სრულიად საქართველოს მამულიშვილთა კავშირი ,,გვარიშვილობა''. თბილისი. 2005. გვ. 108. იაკობ გოგებაშვილი. სიმართლე თბილისის შესახებ. 1897.

შემთხვევაში იჩენს ხოლმე თავს".[47] ეს სტრიქონები 1897 წელსაა დაწერილი. ეს ის პერიოდია, როდესაც სომეხ ნაციონალისტთა უაღრესად აგრესიული და ექსპანსიონისტური მოსწრაფებები ეს-ესაა აქტიურდება და თვისებრივად ახალ ფაზაში შედის. მართალია მათ ჯერ არ დაუწყიათ საკუთარი შორს მიმავალი გეგმების ფრთაშესხმა, მაგრამ ისტორიულად ჯერ ყველაფერი ისევ წინ არის. მართალია, სომეხ დაშნაკებს უკვე დაწყებული აქვთ ანატოლიის არასომხური მოსახლეობის სისხლიანი დარბევები, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ მოუწყვიათ ამიერკავკასიის მუსლიმი მოსახლეობის დემოციდი. ჯერ არ დაწყებულა I მსოფლიო ომი და არ შექმნილა დაშნაკური საბრძოლო რაზმები, ჯერ კიდევ ბოლომდე არ გაუმჟღავნებიათ სომეხ დაშნაკებს ქართველთა წინაშე თავისი იდეოლოგიური და ტერიტორიული პრეტენზიების სრული მასშტაბები და ბოლოს, მათ ჯერ კიდევ არ წამოუწყიათ საქართველოსთან ომი და არ დაუღვრიათ ქართველთა სისხლი.

მიუხედავად ზემოთქმულისა, იაკობ გოგებაშვილის მიერ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაწერილი ეს სტრიქონები, დღესაც აქტუალურია და სრულად ეხმიანება დღევანდელ რეალობას. რაც შეეხება უშუალოდ სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომის საკითხებს, ცნობებს სომხეთისა და საქართველოს პირველი რესპუბლიკების ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის პროცესის, მათი სტრუქტურებისა და საბრძოლო ორგანიზაციის შესახებ, მათ შეიარაღებასა და საომარ სამზადისს, საომარ მოქმედებათა თეატრის ზოგად მიმოხილვასა და დაპირისპირებული მხარეების ძალთა სტრატეგიულ გაშლას, ეს მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხები, წიგნის პირველი ნაწილის მეორე და მესამე თავებში გვაქვს დეტალურად განხილული.

ამ ომის ცალკეული ბრძოლებისა თუ ოპერაციების ბატალური სცენების აღწერა, მათთან დაკავშირებული სამხედრო-ოპერატიული და ტაქტიკური მონახაზების შესწავლა და მათი ანალიზი მონოგრაფიის მეორე ნაწილის პირველ და მეორე თავებშია წარმოდგენილი. აქვეა განხილული ამ ომის მსვლელობის დროს განვითარებული უმნიშვნელოვანესი გლობალური თუ რეგიონალური მნიშვნელობის სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის მოვლენები. ამავე თავშია ჩართული 1918 წლის მიწურულში ჩვენთვის საინტერესო სომხურ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობების მთელი სპექტრი.

მონოგრაფიის მეორე ნაწილის მესამე თავში ამიერკავკასიაში ბრიტანული საოკუპაციო ჯარების შემოსვლა, ბრიტანული სარდლობის მიერ ამ ომთან მიმართებაში დაკავებული პოზიცია, ღია საომარი მოქმედებების შეწყვეტა, სამმხრივი ბრიტანულ-ქართულ-სომხური საზავო მოლაპარაკებების მასალები და სომხეთ-საქართველოს ომის სამხედრო-პოლიტიკური შედეგებია გაანალიზებული. წიგნის დასკვნით ნაწილში კი, ე.წ. ,,ლორეს ნეიტრალური ზონის", ანუ, ისტორიული საქართველოს ლორე-ბამბაკის რეგიონის უკვე საბჭოთა სომხეთისათვის მიკუთვნების საკითხი, სომეხთა რევოლუციური ფედერაცია - დაშნაკთა სოციალისტური პარტიის თანამედროვე სამოქმედო პროგრამის ძირითადი პუნქტები და პარტიის დღევანდელი აქტივობაა წარმოდგენილი, სადაც განსჯისა და შემდგომი ანალიზისათვის მეტად საინტერესო მასალებია გამომზეურებული. აქვეა გაკეთებულია შემაჯამებელი დასკვნები.

---

[47] იაკობ ახუაშვილი. ახალი ქვათა ღაღადი, ანუ, ვართ თუ არა მდგმურები. საქართველოს ეროვნული აკადემია. სრულიად საქართველოს მამულიშვილთა კავშირი ,,გვარიშვილობა". თბილისი. 2005. გვ. 108. იაკობ გოგებაშვილი. სიმართლე თბილისის შესახებ. 1897. გვ. 3.

თავი I

„სომხური საკითხის" ცნება, დაშნაკური იდეოლოგია და შეიარაღებული ექსპანსიის დასაწყისი ამიერკავკასიაში

§1.1. „სომხური საკითხის” ცნება და გენეზისი. სომეხთა ექსპანსიონისტური მისწრაფებები და მითი „დიადი არმენიის” შესახებ

სიტყვა სხვა არის, საქმე სულ სხვაა, სხვა უდევთ გულში მათ დაფარული,
ხრიკია მხოლოდ პოლიტიკური - ძმობა, ერთობა და სიყვარული...

აკაკი წერეთელი. 1911 წ.

სომეხ ნაციონალისტთა სეპარატისტული იდეოლოგია და აქედან გამომდინარე, მათი ექსპანსიონისტური განწყობები არ ახალია - ძველია. ალბათ იმდენად ძველი, რამდენადაც თავად სომხური ეთნოსი, როგორც ასეთი. ეს იდეოლოგია საუკუნეების მიღმა იღებს სათავეს და იგი სომეხთა ,,ეროვნული განუმეორებლობისა“ და ,,განსაკუთრებულობის'' არაჯანსაღ იდეაზეა დაფუძნებული. საუკუნეთა განმავლობაში ეს იდეოლოგია ნაცარწყარილი და მივიწყებული იყო, რადგან დაწყებული XII საუკუნიდან, სომხებს თავიანთ ისტორიულ საცხოვრისზე საკუთარი სახელმწიფოებრიობა აღარ გააჩნდათ და ისინი მშვენივრად ეგუებოდნენ ამა თუ იმ დამპყრობლის ნებას. შესაბამისად, ,,ეროვნული განუმეორებლობის“ ამ იდეამ სომეხი ხალხის ეროვნული ცნობიერების ღრმა პლასტში გადაინაცვლა და ნელ-ნელა მივიწყებას მიეცა. სომეხთა გარკვეული ფენებისა და წრეების პათოლოგიური ,,განსაკუთრებულობის'' საუკუნეებში მიძინებულმა ამ იდეოლოგიამ კი, პოლიტიკური ხასიათის რიგი შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ზეგავლენით, XIX საუკუნის ბოლოსათვის გამოიღვიძა, სახე იცვალა და თვისებრივად განსხვავებულ დონეს მიაღწია.

ძველი და თანამედროვე სომხური და პროსომხური ისტორიოგრაფიით, კაცობრიობის არსებობისა და განვითარების მრავალათასწლოვან ისტორიაში სხვადასხვა ცივილიზაციების ნებისმიერი წინ გადადგმული ნაბიჯი, როგორც წესი, სომხებს მიეწერებათ. დავიწყოთ იმით, რომ სომეხ ნაციონალისტთა ნარატივის მიხედვით, ადამისა და ევას საცხოვრისი - ედემის ბაღი, სომხეთის ზეგანზე მდებარეობდა და ადამისა და ნოეს სასაუბრო ენაც, თურმე სომხური იყო. ამ თეორიით, არ არსებობს მსოფლიო ცივილიზაციების მიერ შექმნილი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი და საყურადღებო ფასეულობა, რომელშიც სომხებს მთავარი და გადამწყვეტი როლი არ ჰქონდეთ მიკუთვნებული. ყველაფერი საუკეთესო, პირველთა შორის უპირველესი და ფენომენალურად განუმეორებელი - სომხური წარმომავლობისაა და სომეხთა კუთვნილებაა. ისინი არიან თურმე ბიბლიური ნოეს მეორე სამშობლო და ადამის მოდგმის რეინკარნაცია, კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი და პირველი ანბანის შემქმნელები (ფინიკიური ანბანიც თურმე სომხურზეა დაფუძნებული), წინა აზიასა და ამიერკავკასიაში კულტურის შემომტანები და გამავრცელებლები. ისინი არიან თურმე პროგრესის მედროშეები, ლითონისა და მეტალურგიის მამები, სწორუპოვარი მეომრები და უბადლო შემოქმედნი, სხვადასხვა სახელმწიფოთა შემქმნელები და მათი ბრძენი მმართველები, დიდი მოაზროვნეები და ნამდვილი მეცნიერები, პირველი მიწათმოქმედები და აგრარიკოსები, ფლორისტები და სელექციონერები. კაცობრიობის მასშტაბით სომხები ყოფილან თურმე გამორჩეული ხელოვანები და უებრო მშენებლები, კულტურის პიონერები და მსოფლიოს უპირველესი განმანათლებლები.

ისინი არიან თურმე ჭეშმარიტი რელიგიის მატარებლები და ნამდვილი მორწმუნენი, პირველი ქრისტიანები და ამავე დროს, ზეადამიანური არიული რასის გამორჩეული წარმომადგენლები, განსაკუთრებული სამოციქულო ქვეყანა და ხალხი, აღსავსე ქრისტესმიერი ჰუმანიზმით, სიყვარულითა და სათნოებით. ისინი არიან თურმე ხალხთა შორის ერთიანობის, ძმობისა და თანასწორობის მქადაგებელი ერი, ალტრუიზმისა და დემოკრატიის აპოლოგეტები, უკლასო და იდილიური საზოგადოების შემქმნელები. და ამავე დროს ისინი არიან თურმე ბაბილონი და ეგვიპტე, შუმერები და ხეთები, ნაირის ხალხები და ურარტუ. სომხები ფლობდნენ თურმე უდიდეს მიწებს მესოპოტამიასა და კაპადოკიაში, ამიერკავკასიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთში და მათი სახელოვანი სახელმწიფოც - ტიგრან ,,დიდის“ (აუცილებლად დიდის) ,,დიადი არმენია” (სომხ. Մեծ Հայք), თურმე სამ ზღვას - შავ, ხმელთაშუა და კასპიის ზღვებს შორის ყოფილა გადაჭიმული ოდითგანვე.

ასეთი მოსაზრებები და დასკვნები რომ რომელიმე კერძო პიროვნებას, ან თუნდაც პირთა ჯგუფს ეკუთვნოდეს, ყურადღებასაც არ მივაქცევდით და ვერც შევნიშნავდით, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ზემოთქმულის აპოლოგეტებად სერიოზული სომხური სამეცნიერო და პოლიტიკური წრეები გვევლინებოდნენ ადრეც და გვევლინებიან ახლაც. სომხური და მსოფლიოს სომეხთა ისტორიოგრაფია, სომხური და მსოფლიო პროსომხური მასმედიის საშუალებები, ინტერნეტის ვებ-გვერდები, პორტალები და საიტები წალეკილია ისეთი აშკარა, უსირცხვილო და ზღვარს გადასული ფალსიფიკაციებითა და დანაშაულებრივი ტყუილებით სომეხთა ისტორიისა და მათი ეროვნული განუმეორებლობის შესახებ, რომ მათი დეტალური, დაწვრილებითი განხილვა, მათზე მსჯელობა და მეცნიერული კამათის გამართვა ერთი სამეცნიერო ნაშრომისა და ფორმატის ფარგლებში პრაქტიკულად შეუძლებელია. და რაც მთავარია - ზემოთ წარმოჩენილი თემების წამოწევა, ჩამოთვლილ საკითხებში ჩაღრმავება და მათ შესახებ კამათის გამართვა, დროის ტყუილ ფლანგვად და უბრალოდ, არასერიოზულ საქმედ მიგვაჩნია, რამეთუ მსგავსი სენტენციები უკვე დიდი ხანია ძალიან დაშორდნენ ჭეშმარიტებას და მათ კომიკური ელფერი შეიძინეს.

და მაინც. ზემოთქმულის წარმოსაჩენად ერთ მაგალითს მაინც მოვიყვანთ. ეს არის თბილისში დაბადებული, შემდგომ რუსეთში გადახვეწილი და იქ მოღვაწე ეროვნებით სომეხი ავტორის, სერგეი სერგეის ძე მამულოვის მიერ 1993 წელს მოსკოვში 20 ათასიანი ტირაჟით რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი, ერთობ დამაინტრიგებელი და ცოტა არ იყოს, კომიკური სათაურით - ,,Удивительные люди из страны чудес (Армения и армяне – уникальный феномен цивилизованного мира)“ (,,საკვირველი ხალხი საოცრებათა ქვეყნიდან (სომხეთი და სომხები - ცივილიზებული მსოფლიოს უნიკალური ფენომენი“). ეს წიგნი განხილულია ქართველი ავტორის, გურამ მაისურაძის რუსულ ენაზე დაწერილ სტატიაში ,,Новые попытки искажения историчекой правды“ (,,ისტორიული სიმართლის დამახინჯების ახალი მცდელობები“), რომელიც დაიბეჭდა 2009 წელს გამოცემულ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ქრისტიანულ კვლევათა კომისიის საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრის მიერ რუსულ ენაზე გამოცემულ სამეცნიერო სტატიათა კრებულში ,,Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии“.[48] (,,საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი სომხურ ისტორიოგრაფიაში“).

სტატიის ავტორთან, ბატონ გურამ მაისურაძესთან ვკითხულობთ - ამ თხზულებიდან მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელ სტრიქონს მოვიყვან და შემდეგ თვითონ მკითხველმა

[48] Гурам Маисурадзе. Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии. Международный научный центр христианских исследований. Комиссия по истории, археологии и этнологии национальной АН Грузии. Научный центр по изучению и пропаганде истории, этнологии и религии. Тбилиси. 2009. Стр. 211-244.

განსაჯოს, თუ რამდენად ძალუძს ავტორს, სერგეი სერგეის ძე მამულოვს, სერიოზულ საკითხებზე მეცნიერული მსჯელობა... სომხეთისა და სომხების ღირსებების ჩამოთვლისას მამულოვი წერს:

,,სომხეთი კაცობრიობის აკვანია... ადამი და ევა სამოთხეში ცხოვრობდნენ, რომელიც სომხეთის ზეგანზე მდებარეობდა“…[49]

,,გადმოცემის თანახმად, ადამი და ნოე სომხურ ენაზე ლაპარაკობდნენ“...[50]

,,სომხეთი და სომეხი ხალხი - ეს მრავლისმეტყველი ფაქტების პალიტრაა, რომელშიც აღმატებულ ხარისხშია გამოხატული ყოველივე უპირველესი, საუკეთესო, განუმეორებელი. სომხეთი ხორბლის, ვაზის, გარგარის, ლუდის და ა.შ. სამშობლოა“...[51]

,,სომხეთი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც არასდროს არ არსებობდა კასტები, მონობა, ბატონყმობა“...[52]

,,სომხებს პირველი ადგილი ეკავათ ბაბილონისა და ეგვიპტის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის. ბაღდადისა და მაროკოს ხალიფებმა მრავალი ქვეყანა სომეხთა ხელით დაიპყრეს“...[53]

,,ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფო სათავეში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მაკედონური, ანუ, სომხური დინასტია იდგა. იმპერიის ტახტზე კი, არანაკლებ 15 სომეხი ეროვნების იმპერატორი იჯდა და ბერძნულთან ერთად, სომხური ენა წარმოადგენდა იმპერიის სახელმწიფო ენას“...[54]

და ა.შ. და ა.შ. და ა.შ.

ბოლოს კი, სრულიად ფანტასტიკური და წარმოუდგენელი პასაჟი - სპიტაკის მიწისძვრის, სომხეთში მომხდარი ბუნებრივი სტიქიური კატასტროფის სომხური ეგოცენტრისტული განდიდება: ,,XX საუკუნის ყველაზე უფრო დამანგრეველი მიწისძვრაც ასევე სომხეთში მოხდა 1988 წელს“...[55](Sic!)

ნუთუ ეს ფაქტიც სატრაბახოა? აქ ალბათ კომენტარის გაკეთებაც კი ზედმეტი და უადგილოა... არადა, ზემოთ მოყვანილი სტრიქონების ავტორი, ბატონი სერგეი მამულოვი, თურმე რუსეთის მწერალთა კავშირის წევრი და მსოფლიოს ხალხთა სულიერი ერთიანობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი ყოფილა. აი, ასე, არც მეტი, არც ნაკლები...

ყველაზე აღმაშფოთებელი და საგანგაშო კი ის არის, რომ სომეხთა მიერ ყოველივე ზემოთქმულის ტოტალური აგიტაცია და აღვირახსნილი პროპაგანდა, ისტორიული ფაქტების აშკარა გაყალბება-ფალსიფიკაცია და სხვათა ისტორიის მითვისება, ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში მცხოვრები მეზობელი ერებისა და ხალხების უკიდურესი დამცირებისა და არ შევცდებით თუ ვიტყვით - პირდაპირი შეურაცხყოფის მიყენების ფონზე მიმდინარეობს. ამ ხალხებში, რა თქმა უნდა, ქართველებიც მოიაზრებიან და უფრო მეტიც, სწორედ ქართველებთან მიმართებაში ატარებდნენ სომეხი ნაციონალისტები ყველაზე უფრო შეფარულ, საშიშ და აგრესიულ პოლიტიკას. დიდი ილია წერდა:

,,სიტყვითა და კალმით ქვეყანას ეფიცებიან, ვითომც კავკასიის ქედს აქეთ ტიგრისა და ევფრატის სათავეებამდე, თითქმის შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე, ეგრეთწოდებული არმენია (ვითომც სომხეთი) ყოფილა ათადამ-ბაბადამ დღევანდლამდე, და თუ სადმე ვიღაც ,,ვრაცები” ყრილან - ერთი ათიოდე ბოსლის ადგილი თუ სჭერიათ და ისიც თითქმის სომეხთა მოწყალებით.

---

[49] Мамулов Сергей Сергеевич. Удивительные люди из страны чудес (Армения и армяне – уникальный феномен цивилизованного мира). Москва. 1993. Стр. 24.

[50] დასახელებული ნაშრომი. გვ. 18.

[51] დასახელებული ნაშრომი. გვ. 24-25.

[52] დასახელებული ნაშრომი. გვ. 27.

[53] დასახელებული ნაშრომი. გვ. 36.

[54] დასახელებული ნაშრომი. გვ. 37.

[55] დასახელებული ნაშრომი. გვ. 29.

თითონ ეს ,,ვრაცები" ვითარცა ერი არაფრად სახსენებელია, იმიტომ რომ გაწყვეტისა და გადაშენების გზაზე დგანან და, თუნდ ესეც არ იყოს, ჭკუა იმათ არ გააჩნიათ, რომ თავზედისა გაიგონ რამ, აღებ-მიცემობის უნარი ღმერთს იმათთვის არ უღირსებია, მეურმეობისა და ჩალვადრობის მეტი სხვა ხელობა არ იციან და ის პატარა-პატარა საბოსლეებიც-კი ვერ მოუხმარებიათ, რომელთაც, ქვეყნის სასაცილოდ, საქართველოს ეძახიან. ან როგორ მოიხმარებენ, რომ ამისათვის არც ჭკუა-გონება უჭრით, არც გამრჯელობა, არც სწავლა-ცოდნა, არც სურვილი აქვთ, არც ხალისი - იცოდინონ და ისწავლონ რამ თუნდ იმავ სომხებისაგან, რომელნიც ვითომც ღვთისაგან და ისტორიით მოვლენილნი არიან, რომ კულტურის დროშით ხელში ააყვავონ და გააბედნიერონ არამც თუ მახლობელი აღმოსავლეთი, არამედ შორეულიცა, ერთობ მთელი ბრიყვი და უმეცარი აზია.[56]

ქართველი ერის მამის ეს სიტყვები XIX საუკუნის ბოლოსაა დაწერილი და ნათლად გადმოსცემს იმ სურათს, რაც იმ დროისათვის არსებობდა სომხურ-ქართულ ურთიერთობებში. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. თანამედროვე შახატუნიანების, ტერ-აბრამიანების, ნახაპეტიანების, ერიცოვების, არწრუნების, ვერმიშევების, ბაბახანიანების და სხვა ,,მეცნიერთა", ,,მწერალთა" და ჟურნალისტთა პუბლიკაციები გაჟღენთილია საქართველოსადმი ზიზღით, საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციითა და ანტიმეცნიერული მიდგომებით. მათ ნაშრომებში, სტატიებსა და წერილებში აშკარად ჩანს ანტიქართული მიმართულება, ქართველების შეურაცხყოფა და ცინიზმი. ასეთი ანტიქართული ყალბი გამოცემები დღესაც გრძელდება. ამ გამოცემებს აფინანსებს სომხური გრიგორიანული ეკლესიის ცენტრი - ეჩმიაძინი, კანადის სომხური ეკლესია, მსოფლიოს სომხური დიასპორა, სომეხი მეცენატები და ბიზნესმენები.[57] ეს კი, თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა ნააზრევია.

და რადგანაც სომხური გრიგორიანული ეკლესია ვახსენეთ, იმაშიც უნდა გავერკვეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო და არის ეს სასულიერო და ამავე დროს სამოქალაქო ინსტიტუცია სომხებისათვის. თუ რას წარმოადგენდა და თავისი არსით დღესაც წარმოადგენს სომხური ეკლესია სომეხი ხალხისათვის, კარგად ჩანს XX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთში მოღვაწე ეროვნებით სომეხი მეცნიერის, ისტორიკოსისა და პოლიტიკური მოღვაწის, აკადემიკოს ალექსეი ჯიველეგოვის (რუს. Алексей Карпович (Карапетович) Дживелегов, სომხ. Ալեքսեյ Կարպի Ջիվելեգով) ქვემოთ მოყვანილი სტრიქონებიდან, რომელიც მისი ნაშრომიდან ,,Турция и армянский вопрос" (,,თურქეთი და სომხური საკითხი"), არის მოყვანილი:

,,სომეხთა ყოფით ცხოვრებაში სომხურ ეკლესიას განსაკუთრებული ადგილი უკავია, რითაც იგი ძნელად თუ ჰგავს სხვა ერების მდგომარეობას. რიგი ისტორიული მიზეზებისა გამო, სომხურმა ეკლესიამ ადრექრისტიანობის დროიდანვე შეინარჩუნა საზოგადოების ყველა ფენასთან მჭიდრო კავშირები. იგი არ არის დახურული კორპორაცია, სადაც საქმეებს სასულიერო პირები განაგებენ ad maqjorem deiglorium. სამრევლო საბჭოს ძალიან დიდი, ხშირად კი, გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი აქვს საეკლესიო საქმეებში. მეორეს მხრივ, იგივე სამრევლო საბჭო წმინდათ სამოქალაქო საქმეებითაც არის დაკავებული. ასეთია ეკლესიის საზოგადოებასთან არსებული ორმხრივი კავშირი. და რა თქმა უნდა, სერიოზული ისტორიული საფუძველი აქვს იმ ფაქტს, რომ ეკლესიის წინამძღოლი, კათოლიკოსი, ირჩევა როგორც სასულიერო, ასევე სამოქალაქო დელეგატებისგან შემდგრი საბჭოს მიერ.

---

[56] ილია ჭავჭავაძე. ,,სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი". ,,ივერია". ტფილისი. 1899. გვ. 2. http:// www. amsi.ge/istoria/somx/qvaTa.pdf

[57] ავთანდილ სონღულაშვილი. საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა. გამომცემლობა ,,უნივერსალი". თბილისი. 2018. გვ. 121. შ. თეთვაძე ო. თეთვაძე. სომხები საქართველოში. თბილისი. 1998.

აი, ამიტომ არის სომხური ეკლესია სომეხი ხალხისათვის ეროვნულობის სიმბოლო, ის ერთადერთი რამ ენის გარდა, რაც მას კიდევ შემორჩა. როგორც სიმბოლოს, მას ერთნაირი მნიშვნელობა აქვს როგორც ღრმად მორწმუნე გლეხისათვის, ასევე მათთვის, ვინც უკვე დიდი ხანია დაკარგა თავისი რელიგიური ტრადიციები".[58]

ზემოთ ხსენებული საკითხის გაშლისთვის, სერგეი მამულოვის ,,საოცრებათა ქვეყნის" ბინადართა ცნობიერების ზოგიერთი ეროვნული შტრიხის გენეზისისა და ამ თვისებების უფრო სრულად წარმოსაჩენად ჩვენ ერთ ისტორიულ, მეტად საინტერესო და ნიშანდობლივ დოკუმენტს განვიხილავთ, სადაც პრაქტიკულად სრულადაა წარმოდგენილი იმ შეხედულებებისა და პრეტენზიების ძირითადი თეზისები, რაც სომეხ ნაციონალისტებს გაუჩნდათ XIX საუკუნის ბოლოდან და მასში სრულიად სომეხთა ნააზრევი და მიზნები იყო გამომზეურებული. ამ იდეების მსოფლიო საზოგადოების წინაშე ოფიციალურად წარდგენა, ასე ვთქვათ, გარკვეული სახის პრეზენტაცია კი, XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს მოხდა. დაკვირვებული მკითხველი აუცილებლად გაავლებს პარალელებს ამ დოკუმენტში დაფიქსირებულ იდეებსა და სერგეი მამულოვისეულ ,,ფილოსოფიას" შორის.

ესაა სწორედ ის ყბადაღებული დოკუმენტი, რეალურად კი, დეზინფორმაციული შინაარსის სომხური პასკვილი, სათაურით - ,,სომხური საკითხი სამშვიდობო კონფერენციის წინაშე", რომელიც I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1919 წლის დასაწყისისათვის მომზადდა სომეხთა მსოფლიო და სომხეთის (არარატის) რესპუბლიკის ნაციონალური საბჭოების მიერ. ამ დოკუმენტის რუსული ვერსიის სათაური ასეთი იყო - Армянскій вопросъ передъ Мирной Конференціей. ეს ე.წ. ,,დოკუმენტი" I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზე[59] წარსადგენად იყო განსაზღვრული. ამ დოკუმენტს ხელს ორი პიროვნება - მსოფლიოს სომეხთა ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარე, ოსმალთა იმპერიის ყოფილი მაღალჩინოსანი, ეროვნებით სომეხი, პოღოს ნუბარ ფაშა[60] და ამიერკავკასიის სომეხთა

---

58 Алексей Дживелегов. Турция и армянский вопрос. Армяне в России. Составитель Е. Минасян. Издательство ЕГУ. 320 с. Ереван. 2014. Стр. 91.

59 პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენცია – I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ომში გამარჯვებული სახელმწიფოების მიერ პარიზში მოწვეული საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა დამარცხებულ სახელმწიფოებთან სამშვიდობო ხელშეკრულებების შემუშავება და ხელმოწერა. ეს კონფერენცია 27 სახელმწიფოს მონაწილეობით რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა 1919 წლის 18 იანვრიდან 1920 წლის 21 იანვრამდე. კონფერენციის მუშაობის პერიოდში გაფორმდა მთელი რიგი ხელშეკრულებებისა: გერმანიასთან (ვერსალის ხელშეკრულება – 1919 წლის 28 ივნისი), ავსტრიასთან (სენ-ჟერმენის ხელშეკრულება – 1919 წლის 10 სექტემბერი), ბულგარეთთან (ნეის ხელშეკრულება – 1919 წლის 27 ნოემბერი), უნგრეთთან (ტრიანონის ხელშეკრულება – 1920 წლის 4 ივნისი) და ოსმალეთთან (სევრის ხელშეკრულება – 1920 წლის 10 აგვისტო). I მსოფლიო ომის შემდგომი სახელმწიფოების ტერიტორიული მოწყობის საკითხს განაგებდა გამარჯვებული სახელმწიფოების ,,დიდი ოთხეული" ამერიკის შეერთებული შტატების (პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი), დიდი ბრიტანეთის (პრემიერ მინისტრი დევიდ ლოიდ-ჯორჯი), საფრანგეთისა (პრეზიდენტი ჟორჟ კლემანსო) და იტალიის (პრემიერ მინისტრი ვიტორიო ემანუელე ორლანდო) შემადგენლობით.

60 პოღოს ნუბარ ფაშა (ნუბარიანი) (სომხ. Պողոս Նուբար Փաշա) (1851-1930წ.წ.) – ოსმალთა იმპერიის სომეხი ეროვნების ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, სომეხთა საზოგადოებრივი საქველმოქმედო კავშირის პირველი პრეზიდენტი 1906-1928 წლებში. დაიბადა კაიროში, მამამისი ეგვიპტის პირველი პრემიერ მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. დაწყებითი განათლება მიიღო შვეიცარიაში, ინსტიტუტი დაამთავრა პარიზში და მიიღო ინჟინერ-გეომეტრის სპეციალობა. გარკვეული პერიოდი ინჟინერ სპეციალისტად მუშაობდა საფრანგეთის მაღაროებსა და რკინიგზაზე. 1878-1879 და 1891-1898 წლებში იყო ეგვიპტის რკინიგზის დირექტორი. წლების განმავლობაში ეწეოდა სახელმწიფო კომერციულ საქმიანობას. იყო ინგლისური მიწათმოქმედების კომპანიის ხელმძღვანელი ალექსანდრიაში და ომნიბუსების კომპანიის დამფუძნებელი, კაიროს წყლით მომარაგების საწარმოების დირექტორი. დიდი მუშაობა გასწია ქალაქ ჰელიოპოლისის აღდგენასა და აშენებაში. ეწეოდა დიდ საქველმოქმედო და

ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარე, არარატის რესპუბლიკის ,,საგარეო საქმეთა მინისტრი", დაშნაკთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და სრული რწმუნებებით აღჭურვილი პირი, ავეტის აჰარონიანი[61] აწერდნენ ხელს.

არარატის რესპუბლიკის დელეგაცია პარიზში 1919 წლის 4 თებერვალს ჩავიდა. მანამდე კი, 1918 წლის 30 ნოემბრისათვის, პოღოს ნუბარ ფაშას უკვე მოეხსენებინა ანტანტის უმაღლესი საბჭოსადმი ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიებზე მომავალი სომხური სახელმწიფოს შექმნის საკუთარი ხედვა. ,,ახლადშექმნილი არარატის რესპუბლიკა კი, ახალ სომხურ სახელმწიფოს შეუერთდებოდა", რაც გაერთიანებული სომხეთი იქნებოდა.[62] საბოლოოდ, დოკუმენტი, დასახელებით ,,სომხური საკითხი სამშვიდობო კონფერენციის წინაშე", პარიზის სამშვიდობო კონფერენციის ხელმძღვანელ საბჭოს 1919 წლის 26 თებერვალს წარედგინა.

I მსოფლიოს ომის შემდგომი ახალი ტერიტორიული გადანაწილებისა და მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის აღდგენის საკითხი სწორედ პარიზის ,,მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციას" უნდა გადაეწყვიტა, რომელმაც მუშაობა 1919 წლის 18 იანვარს დაიწყო. საინტერესო ატმოსფერო სუფევდა კონფერენციაზე - ერთის მხრივ, იგი გარკვეულწილად იმ ტრიბუნალის როლს

საგანმანათლებლო მუშაობას. დააარსა სომხური სკოლები კაიროსა და ჰელიოპოლისში. ბალკანური ომების დროს, 1912 წლიდან, ყოველთა სომეხთა კათოლიკოსის, გევორქ V სურენიანცის კონდაკის ძალით დაინიშნა მსოფლიოს სომეხთა ნაციონალური საბჭოსა და სომხური დელეგაციების თავმჯდომარედ. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით იყო საფრანგეთის სომხური ლეგიონის შექმნის ინიციატორი, რომელიც მონაწილეობდა პალესტინისა და სირიის ფრონტების საბრძოლო მოქმედებებში. 1919-1920 წლებში, პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზე წარმოადგენდა სომხური დელეგაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს და ,,დიდი სომხეთის" შექმნის აპოლოგეტს. მოკავშირეებისაგან მოითხოვდა ქილიკიის სომხეთისათვის გადაცემას და ,,ქილიკიის სომხეთის" შექმნას. სიცოცხლის ბოლო წლებში ჩამოშორდა პოლიტიკას და მთლიანად დაკავდა საქველმოქმედო საქმიანობით. მისი თაოსნობითა და ფინანსური მხარდაჭერით აშენდა უკვე საბჭოთა სომხეთში ქალაქ ერევნის ერთ-ერთი საცხოვრებელი რაიონი ,,ნუბარაშენი". გარდაიცვალა 1930 წელს. დაკრძალულია პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე.

61 ავეტის არაქელის ძე აჰარონიანი (სომხ. Ահարոնեան՝ Աւետի Առաքելի որդին) (1866-1948წ.წ.) – სომეხი ეროვნების პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პარტია ,,დაშნაკცუტიუნის" წევრი და მისი ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი, პროფესიით ლიტერატორი ბელეტრისტი. დაიბადა იგდირში. 1886 წელს დაამთავრა ეჩმიაძინის სემინარია, შემდეგ იყო სკოლის მასწავლებელი. 1898 წლიდან სწავლობდა ლოზანის უნივერსიტეტში, ამის შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში ისმენდა ლექციებს სორბონის უნივერსიტეტში. 1901 წლიდან პარტია ,,დაშნაკცუტიუნის" წვრია. 1902-1905 წლებში იყო თბილისში გამომავალი სომხური გაზეთის რედაქტორი, ხოლო 1907-1909 წლებში – თბილისის ერთ-ერთი სომხური სკოლის დირექტორი. ამავე წლებში აქტიურად იყო ჩართული პარტია ,,დაშნაკცუტიუნის" ,,რევოლუციურ" საქმიანობაში. 1909-1911 წლებში ,,დაშნაკცუტიუნის საქმესთან" დაკავშირებით იხდიდა სასჯელს საპატიმროში. სასჯელის მოხდის შემდეგ, 1911-1916 წლებში იმყოფებოდა ემიგრაციაში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბრუნდება თბილისში და ისევ აქტიურად ებმება პოლიტიკურ პროცესებში. 1918 წლის მაის-აგვისტოში იყო ამიერკავკასიის სომეხთა წარმომადგენლობითი ორგანოს – სომეხთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, რომელმაც 1918 წლის 28 მაისს გამოაცხადა სომხეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. 1918 წლის ზაფხულში ხელმძღვანელობდა კონსტანტინოპოლში მივლენილ სომხეთის სამთავრობო დელეგაციას, რომლის მიზანსაც ბათუმის 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულების რევიზირება წარმოადგენდა. 1919 წლის 5 აგვისტოდან 1920 წლის 2 დეკემბრამდე იყო სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე. 1919 წლიდან წარმოადგენდა სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელს პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზე, სადაც 1920 წლის 10 აგვისტოს ხელი მოაწერა სევრის ხელშეკრულებას. სომხეთის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1920 წლის დეკემბრიდან, ტოვებს სამშობლოს და მიდის ემიგრაციაში. მონაწილეობდა 1922-1923 წლების ლოზანის კონფერენციის მუშაობაში, რის შემდეგაც აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორდა. შემდგომ წლებში ცხოვრობდა პარიზში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1948 წელს.

62 Гаяне Махмурян. Армения и ее территориальный вопрос на парижской мирной конференции (18 января – 28 июня 1919 г.). К 100-летию Первой мировой войны. НАА, ф. 200, оп. 1, д. 31, л. 9 об. http://hpj.asj-oa.am/6473/1/104.pdf

ასრულებდა, რომელსაც ოსმალთა იმპერია უნდა გაესამართლებინა ,,კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებისათვის“, მეორეს მხრივ კი, მომრიგებელ შუამავალს წარმოადგენდა გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის ახლადმოპოვებული ტერიტორიების გადანაწილების საქმეში.[63] ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, ისტორიის დოქტორის, იელის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორის, ფირუზ კაზიმზადეს მიხედვით, სომეხთა ორივე დელეგაციის მიერ წარდგენილ ერთობლივ მემორანდუმში მომავალ სომხურ სახელმწიფოში ჩასართავად შემდეგი სახის ტერიტორიული მოთხოვნები იყო ჩამოყალიბებული:

1. თურქეთის შვიდი აღმოსავლური ვილაიეთი (ადრინდელ მოთხოვნებში ექვს ვილაიეთზე იყო საუბარი): ვანი, ბითლისი, დიარბექირი, ხარფუთი, სივასი, არზრუმი და ტრაპიზონი;
2. ქილიკიის ოთხი სანჯაყი: მარაში, ხოზანი, ჯებელ-ბერქეტი და ადანა ქალაქ ალექსანდრეტათი;
3. კავკასიის სომხეთის მთელი ტერიტორია, მასში ჩართული მთელი ერევნის გუბერნიით, ყოფილი თბილისის გუბერნიის სამხრეთი ნაწილი, ელიზავეტპოლის გუბერნიის სამხრეთი ნაწილი, ყარსის რაიონი არდაგანის ჩრდილოეთი ნაწილის გარდა;[64]

სომხეთის ეროვნული არქივის მონაცემებზე დაყრდნობით იგივეს აღნიშნავს სომეხი მეცნიერი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გაიანე მახმურიანი თავის ნაშრომში ,,სომხეთი და მისი ტერიტორიული საკითხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე (1919 წლის 18 იანვარი-28 ივნისი)“ (,,Армения и ее территориальный вопос на парижской мирной конференции (18 января – 28 июня 1919 г.)“), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მის ნაშრომში ჩამონათვალის პირველ პუნქტს დამატებული აქვს წინადადება - ,,თანახმად 1914 წლის რეფორმების აქტისა, იმ ოლქების ჩათვლით, რომლებიც მდებარეობენ ტიგროსის სამხრეთით და ორდუ-სივასის ხაზის დასავლეთით“. მემორანდუმის მესამე პუნქტში კი, ამოღებულია ფრაზა - ,,ელიზავეტპოლის გუბერნიის სამხრეთი ნაწილი“.[65] მემორანდუმის დასკვნით ნაწილში დეტალურად იყო გაწერილი სომხური დელეგაციის მიერ პარიზის სამშვიდობო კონფერენციისადმი წაყენებული მოთხოვნები, რომელიც ხუთ პუნქტში იყო ჩამოყალიბებული:

1. სომხური სახელმწიფოს აღიარება ოსმალთა იმპერიის შვიდი ვილაიეთის, ქილიკიისა და ამიერკავკასიის სომხური რესპუბლიკის შემადგენლობით;
2. ანტანტის სახელმწიფოების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ერთა ლიგის მიერ ამგვარად შედგენილი სომხური სახელმწიფოს დაცვა და სომხეთის გაწევრიანება ერთა ლიგაში;
3. სამშვიდობო კონფერენციამ გადასცეს სპეციალური მანდატი რომელიმე სახელმწიფოს, რომელიც დაეხმარება სომხეთს გარდამავალ პერიოდში. ამ სახელმწიფოს შერჩევა მოხდება ამჟამად პარიზში მიმდინარე სომეხთა კონფერენციის[66] მიერ, რომელიც

---

[63] არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ენიგმა (1920-1922). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. თბილისი. 2015. გვ. 132.

[64] Фируз Каземзаде. Борьба за Закавказье (1917-1921). Институт стратегических исследований Кавказа. Серия ,,История Кавквза”. CA&CC Press®, 328 стр. Стокгольм. 2010. Стр. 242.

[65] Гаяне Махмурян. Армения и ее территориальный вопрос на парижской мирной конференции (18 января – 28 июня 1919 г.). К 100-летию Первой мировой войны. НАА, ф. 1021, оп. 2, д. 1005, л. 5-6; ф. 200, оп. 1, д. 557, л. 394-408. http://hpj.asj-oa.am/6473/1/104.pdf

[66] აქ საუბარია 1919 წლის 24 თებერვალი – 22 აპრილის პერიოდში პარიზში მიმდინარე დასავლეთ სომხების I ეროვნულ კრებაზე.

წარმოადგენს მთელ სომეხ ერს. მანდატის მოქმედების ვადა განისაზღვროს მაქსიმუმ 20 წლით;

4. სამშვიდობო კონფერენციის მიერ იმ ზარალის ანაზღაურების სისტემის შემუშავება, რომელიც მიადგა მთელ სომეხ ერს დევნის, ჩაგვრის და ძარცვა-გლეჯვის დროს. თავის მხრივ სომხეთი თნახმაა აიღოს თავის თავზე ოსმალთა ეროვნული ომამდელი ვალის ნაწილი;
5. სახელმწიფომ, რომელიც მიიღებს მანდატს, უპირველესად ყოვლისა, უნდა ა) აიძულოს ყველა თურქული, თათრული და სხვა ხელისუფლება დატოვოს ყველა სომხური ტერიტორია; ბ) დაიწყოს მოსახლეობის საყოველთაო განიარაღება; გ) განდევნოს და დასაჯოს ძარცვა-ჯლეჯვაში, დარბევებში, დევნასა და დაღუპულთა ქონების მითვისებაში მონაწილე ყველა პირი; დ) გააძევოს ქვეყნიდან წესრიგის დამრღვევი ყველა ელემენტი და მოღალატე მომთაბარე ხალხები; ე) გააძევოს ის მუსლიმი კოლონისტები, რომლებიც გადმოსახლებულნი იყვნენ ახალგაზრდა თურქთა[67] რეჟიმის მიერ; და ბოლოს - ვ) ყველგან მიღებულ იქნას ზომები, რათა თავიანთ საწყის რელიგიას დაუბრუნდეს ყველა ის ქალი, გოგონა და ბავშვი, რომელიც იძულებით მოაქციეს მუსლიმობაზე ან გაამწესეს ჰარამხანაში.

   თურქეთმა უნდა გადაიხადოს რეკვიზიციების მთელი ღირებულება, აუნაზღაუროს ზარალი და დაუბრუნოს სომხებს მის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება, აგრეთვე ეკლესია-მონასტრები მთელი თავისი შენობა-ნაგებობებით, მიწითა და ქონებით, რომელიც კი ოდესმე წაურთმევია სომხებისათვის“. [68]

ამჯერად არ დავიწყებთ სომხური დელეგაციების მიერ წარდგენილი ამ მოთხოვნების ისტორიული გენეზისის განხილვას და მათი სამართლიანობის დადგენას, ამ მიწების კუთვნილებაზე სომეხთა უფლებას და ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ არგუმენტებს. ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს ჩვენ წიგნის შესაბამის ნაწილში დავუბრუნდებით უფრო დეტალურად. ამჯერად კი, სომეხ დაშნაკთა ულტრანაციონალისტური და უკიდურესად შოვინისტური იდეოლოგიის დამახასიათებელ ზოგიერთ, მხოლოდ მეტად ნიშანდობლივ ,,მარგალიტს'' მოვიყვანთ პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზე წარდგენილი ამ მეტად საინტერესო დოკუმენტიდან:

---

[67] ,,ახალგაზრდა თურქები“ (თურქ. Jön Türkler, მომდინარეობს ფრანგულიდან – Les Jeunes Turcs) – პოლიტიკური მოძრაობა ოსმალეთის იმპერიაში, რომლის წევრებიც, დაწყებული XIX საუკუნის ბოლოდან, ცდილობდნენ დაემხოთ სულთნის აბსოლუტური მონარქია და ლიბერალური რეფორმების გზით სახელმწიფოში კონსტიტუციური წყობილება დაემყარებინათ. ,,ახალგაზრდა თურქების'' უმეტესობას განათლება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (საფრანგეთი, გერმანია) ჰქონდათ მიღებული. ,,ახალგაზრდა თურქები'' ,,ერთიანობისა და პროგრესის'' პარტიის (თურქ. Ittihad ve Terraki Partisi) წევრები იყვნენ, ამიტომ ზოგჯერ მათ იტიჰადისტებსაც უწოდებენ. სახელწოდება ,,ახალგაზრდა თურქები'' შეიქმნა ევროპის პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულ სახელწოდებათა – ,,ახალგაზრდა გერმანელების'', ,,ახალგაზრდა უნგრელების'' და სხვათა ანალოგიით. ეს სახელწოდება ოსმალთა იმპერიაში დამკვიდრდა ახალგაზრდა თურქთა 1908 წლის რევოლუციის შემდეგ, რომლის შედეგად დამხობილ იქნა სულთანი აბდულ-ჰამიდ II, აღდგენილ იქნა კონსტიტუცია და ოსმალთა იმპერიაში პროდასავლური ტიპის ნახევარრეფორმები გატარდა. ,,ახალგაზრდ თურქთა'' შორის გამოსაყოფია პარტიის რადიკალური ფრთა, რომელსაც ახალგაზრდა ოფიცრები ისმაილ ენვერ ფაშა, მეჰმედ თალაათ ფაშა და აჰმედ ჯემალ ფაშა ედგნენ სათავეში. 1913 წელს, ოსმალეთის იმპერიაში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ მათ ხელში მოექცა სრული ძალაუფლება. სწორედ ,,ახალგაზრდა თურქთა'' დიდი მეცადინეობის შედეგად ჩაება ოსმალთა იმპერია I მსოფლიო ომში.

[68] Гаяне Махмурян. Армения и ее територимальный вопрос на парижской мирной конференции (18 января – 28 июня 1919 г.). К 100-летию Первой мировой войны. НАА, ф. 1021, оп. 2, д. 1005, л. 9-10; http://hpj.asj-oa.am/6473/1/104.pdf

,,მსოფლიო თანამეგობრობის დიდმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ის ენერგია, შრომისმოყვარეობა და ნიჭიერება, რომელსაც ფლობს და ადამიანური შემოქმედების ყველა სფეროში ავლენს სომეხი ერი, (სომხური განსაკუთრებული უნივერსალიზმი - ა. ჩ.) რომელიც მაღალკულტურულია და პროგრესის უდავო ნიჭი გააჩნია''.[69]

,,სომხები შრომისმოყვარე, შემოქმედი და მწარმოებელი ერია, მაგრამ ისინი ფატალურად ინერტულ ატმოსფეროში ცხოვრობენ. სომხები ნამდვილ არიელ-ქრისტიანებს(?!) წარმოადგენენ, (გამაოგნებლად არათავსებადი სიტყვების შეთავსებაა - ა. ჩ.) მაგრამ ისინი თათრულ მაჰმადიანურ ზღვაში იხრჩობიან. სულით დასავლეთელი, სომეხი, თურქთა და თათართა ე.ი. აღმოსავლეთის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ხალხებს შორის ცხოვრობს და ალბათ ესაა ყველაზე უფრო ტრაგიკული სომეხი ერისათვის''.[70]

,,კავკასიის სომხეთში მცხოვრები სომხები ყოველთვის წარმოადგენდნენ რეგიონის მოსახლეობის მთავარ ელემენტს, როგორც თავისი ინტელიგენტური უპირატესობით, ასევე თავისი ეკონომიკური როლითა და რაოდენობით''.[71] (შესაშური თავმდაბლობაა - ა. ჩ.).

,,ჯერ კიდევ უძველესი ისტორია აღნიშნავდა სომხების ღირსებას, რომლებიც თავისი შემოქმედებითი მიდგომითა და სიმამაცით (გაუგებარია სომეხთა რა სიმამაცეზეა აქ საუბარი - ა. ჩ.) ცდილობდნენ ფართოდ გაეშალათ ვაჭრობა და მრეწველობა მთელს წინა აზიაში, რომლებიც ფინიკიელებთან და ბერძნებთან ერთად ცივილიზაციის პიონერებს წარმოადგენდნენ აღმოსავლეთში".[72]

,,გონებრივი შესაძლებლობების განსაკუთრებული უნარისა და შრომაში გამოვლენილი საგულდაგულოობის გამო, სომეხ ჩინოვნიკთა რიცხვიც დიდია. მათი რაოდენობა და შრომის შედეგები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სომხების გარეშე თურქული სახელმწიფო მექანიზმი უმალ გაჩერდებოდა. (ე.ი. თურქეთი, როგორც ასეთი, დღეს აღარ უნდა არსებობდეს - ა. ჩ.). როგორც თურქეთში, ასევე სპარსეთსა და რუსეთში სომხებმა ყურადღება მიიქციეს თავისი ადმინისტრაციული, დიპლომატიური და სამხედრო ნიჭიერებით. მათ ბევრი გენერალი მისცეს რუსეთის ჯარს, თურქეთსა და უნგრეთს - დიდი მმართველები, (ეს უნგრეთი მაინც საიდან მოიტანეს? - ა. ჩ.) ხოლო თურქეთს, სპარსეთსა და სხვა ქვეყნებს - მრავალი დიპლომატი.

სომხებმა განსაკუთრებული ყურადღება ბოლო 50 წლის განმავლობაში მიიქციეს გონებრივი შემოქმედების ყველა სფეროში, ლიტერატურაში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში''.[73]

აი ასე, არც მეტი და არც ნაკლები... მაგრამ ბოლო ფრაზასთან მიმართებაში რატომღაც არ გვახსენდება XIX საუკუნეში ,,გონებრივი შემოქმედების ყველა სფეროში მოღვაწე" დიდი სომეხი ხელოვანი, ლიტერატორი ან მეცნიერი. ჩვენს ამ მოსაზრებას იმდროინდელი რუსული წყაროებიც ადასტურებენ. ასე მაგალითად, 1908 წლის რუსული გაზეთის, ,,Окрайна России"-ის 33-ე ნომერში ვკითხულობთ: ,,როდესაც ჩვენ (რუსები - ა. ჩ.) მოვედით ამიერკავკასიაში, იქ არავითარი სომხური ინტელიგენცია არ იყო. ის ჩვენ შევქმენით დიდი მსხვერპლის გაღებითა და რუსული ფულით".[74]

შემდეგ ,,Армянскій вопросъ передъ Мирной Конференціей"-ში ფერები უფრო მძაფრდება, კონტრასტებიც იკვეთება და სომხური ნაციონალიზმის აპოლოგეტები სხვა მეზობელი ერებისა და ხალხების (რა თქმა უნდა, მათ შორის ქართველებიც იგულისხმებიან) პირდაპირ შეურაცხყოფაზე გადადიან. ამ დიად სომხურ ქარტიაში ვკითხულობთ: ,,ყველა სხვა ეროვნულ ელემენტს საერთო რიცხოვნობითა და მნიშვნელობით მეორეხარისხოვანი ადგილი უკავია და ისინი

---

69 Армянскій вопросъ передъ Мирной Конференціей. გვ. 12.
70 დასახელებული ნაშრომი. გვ. 16.
71 დასახელებული ნაშრომი. გვ. 17.
72 დასახელებული ნაშრომი. გვ. 27.
73 დასახელებული ნაშრომი. გვ. 25.
74 Окрайна России, №33, 1908.

ნახევრად ველურ ტომებს განეკუთვნებიან, რომლებსაც არ გააჩნიათ არც საკუთარი ხელოვნება, არც ლიტერატურა, არც ისტორია და რომლებთაც მთელი თავისი არსებობის მანძილზე არაფერი მიუციათ ცივილიზაციისათვის''.[75] (,,ყველა სხვა მეორეხარისხოვან ეროვნულ ელემენტში'', რა თქმა უნდა, ,,ნახევრად ველური ქართველი ტომებიც'' იგულისხმებიან - ა. ჩ.).

აი, ასეთ პასაჟებს მოიცავდა ,,Армянскій вопросъ"-ად წოდებული ეს დაშნაკური პასკვილი და ასეთი იყო სომეხი დაშნაკების ,,სამართლიანი შეფასებების'' არსი ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში მცხოვრები ერებისა და ხალხების მიმართ ერთის მხრივ, და სომეხთა ,,ღვთიურობისა და განუმეორებელი ნიჭიერების'' შესახებ, მეორეს მხრივ.

და ბოლოს. ადამიანური მკრეხელობის აპოთეოზი - ამ დიად სომხურ ქარტიაში სომხეთი და სომეხი ხალხი ჯვარცმულ მაცხოვარსაა შედარებული და იგი კაცობრიობის მიერ ჩადენილი ყველა ცოდვისათვის შეწირულ უმანკო ზვარაკად და ამავე დროს ამ ცოდვების განმკითხველადაა წარმოდგენილი.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთში დაშნაკთა იდეოლოგიის გამმხმოვანებელი და ერთ-ერთი პირველი რუპორი, პირწავარდნილი ნაციონალისტი და დაშნაკისტი, პროფესიით იურისტი, გრიგოლ ჩალხუშიანი, ფრანგი სამხედრო მკვლევარისა და პუბლიცისტის, ანრი ბარბის (Henry Barby)[76] წიგნის ,,Въ странъ ужаса. Мученица Арменія"-ს (ჯერ სათაური რად ღირს) შესავალში პათეტიკურად წერდა: ,,და მეცხადება მე კორეჯოს სურათი - გამხდარი, ფერმკრთალი, ტანჯული ქრისტეს სახება... თავზე დიდი, მძიმე, ეკლიანი გვირგვინით. მისი წვეტიანი ეკლები ღრმადაა ჩასობილი სხეულში და უმწიკვლო სისხლი მსხვილ წვეთებად მოედინება ჭრილობებიდან. დიახ, ეს სომხეთია, ,,ტანჯული სომხეთი...''[77] ერთობ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეს წიგნი თბილისშია გამოცემული 1919 წელს.

ჯერ-ჯერობით ალბათ საკმარისია. სხვათა შორის, ამ ე.წ. ,,Армянскій вопросъ''-ის ძირითადი თეზისები დაშნაკთა იდეოლოგიურ ბელადებს გაცილებით უფრო ადრე ჰქონდათ ჩამოყალიბებული და ისინი პერმანენტულად იხვეწებოდა მთელი ორი ათეული წლის განმავლობაში. სომეხთა იდეოლოგიის მთავარ პროპაგანდისტულ რუპორსა და დამრტყმელ ძალას კი, საწყის ეტაპზე, სწორედ ბატონი გრიგოლ ჩალხუშიანი წარმოადგენდა, რომლის ,,ნაშრომებსა'' და ,,პუბლიკაციებში'' ძალიან კარგად ჩანს სომხური ნაციონალიზმის, ექსტრემიზმისა და სეპარატიზმის განვითარების ის ევოლუციური გზა, რასაც მრავალწლიან დინამიკაში განიცდიდა ეს იდეოლოგია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მისი წიგნი, სათაურით - ,,Красная книга'', რომელიც იმავე 1919 წელს გამოიცა დონის როსტოვში და იმთავითვე მიუწვდომელი აღმოჩნდა მთლიანად კავკასიელებისა და მათ შორის, ქართული საზოგადოებისათვის. საინტერესოა თვით ამ წიგნის დასახელებაც, რომელიც ოსმალთა იმპერიაში გამოცემული კანონთა კრებულის ,,Kırmızı Kitap''-ის (წითელი წიგნი) ზუსტი პერიფრაზი იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსმალური ,,წითელი წიგნი'' ოსმალთა იმპერიის სამართლებრივ-იურიდიული დოკუმენტებისა და აქტების კრებულს წარმოადგენდა. ალბათ იმ მინიშნებით, რომ სომხური ,,წითელი წიგნიც'' ოსმალური ,,წითელი წიგნის'' მსგავსად ვითომც მხოლოდ და მხოლოდ უტყუარ დოკუმენტებზე იყო აგებული, ბატონმა ჩალხუშიანმაც თავის ,,ნაშრომს'' ,,წითელი წიგნი" უწოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩალხუშიანის ეს ,,ნაშრომი'' ქართული საზოგადოებისათვის იმთავითვე მიუწვდომელი აღმოჩნდა. და არა იმიტომ, რომ იგი იმთავითვე ბესტსელერად და

---

[75] Армянскій вопросъ передъ Мирной Конференціей. გვ. 29.

[76] ფრანგი სამხედრო ჟურნალისტი და პუბლიცისტი ანრი ბარბი (Henry Barby) არ უნდა ავურიოთ ასევე ფრანგ მწერალსა და ჟურნალისტში, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრში, ანრი ბარბიუსში (Henri Barbusse). ანრი ბარბისა და მისი კიდევ ერთი ნაშრომის შესახებ ქვემოთ, წიგნის შესაბამის თავში გვექნება საუბარი.

[77] Анри Барби. Въ странъ ужаса. Мученица Арменія. Изданіе С. Меликова. Тифлисъ. 1919г. გვ. 4.

ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, არამედ იმიტომ, რომ სომეხთა მიერ ამ წიგნის არსებობა ქართველებისა და საერთოდ კავკასიელებისათვის თავიდანვე მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. ისმის კითხვა - რატომ? პასუხი მარტივია. იმიტომ, რომ ეს წიგნი სხვა არაფერი იყო, თუ არა უსირცხვილო დასმენების, დეზინფორმაციებისა და ცილისწამებების კორიანტელი ქართველებისა და ამიერკავკასიის სხვა ხალხების, განსაკუთრებით კი, მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ, ხოლო ამ კრებულისა და მასში თავმოყრილი ,,უტყუარი დოკუმენტების'' ძირითადი თეზისების წარდგენა, ,,Армянскій вопросъ''-ის მსგავსად, პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზე მალულად იყო განზრახული, რაც ასეთი დამახასიათებელი შტრიხი იყო სომეხი დაშნაკებისათვის.

ქართველი ავტორის, ცნობილი სოციალ-დემოკრატის, პეტრე გელეიშვილის (ყარიბი)[78] ნაშრომში, იგივე სათაურით - ,,წითელი წიგნი'', რომელიც სომეხთა ,,წითელი წიგნის" პასუხს წარმოადგენდა, რეზიუმირებული იყო სომხური ,,წითელი წიგნის'' ძირითადი ხაზი და მისი დედააზრი მოკლედ ასე იყო გადმოცემული: ,,სომხური წითელი წიგნის გამოცემის ძირითადი მიზანი იქამდე დადის, რომ სომეხი ხალხი ევროპული კულტურის მატარებელი ერთადერთი ხალხია, რომელსაც უბედობის გამო უკულტურო ხალხების, ერთის მხრივ ქართველების, ხოლო მეორეს მხრივ, თურქებისა და თათრების გარემოცვაში უხდება ცხოვრება. ეს უკულტურო ხალხები ყველგან და ყოველთვის სდევნიან თურმე სომეხ ხალხს და ხელს უშლიან მას შეასრულოს ,,მთელი მცირე აზიისა და ამიერკავკასიის განმანათლებლების'' დიადი ისტორიული მისია".[79]

---

[78] პეტრე გელეიშვილი (ყარიბი) (1870-1937წ.წ.) – ქართველი რევოლუციონერი, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, პუბლიცისტი. დაიბადა სამტრედიაში. 1888 წელს დაამთავრა ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელი. თავიდანვე ჩაება შრომით და რევოლუციურ საქმიანობაში. მუშაობდა ბათუმისა და ოდესის პორტებში მუშად. ამხანაგებთან ერთად ჩამოაყალიბა თვითგანვითარების წრე, სადაც ეცნობოდნენ ქართულ მხატვრულ ნაწარმოებებს. 1891 წელს ოდესაში დააპატიმრეს და ექვსთვიანი პატიმრობის შემდეგ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ სამშობლოში დააბრუნეს. 1893 წელს დააარსა სამტრედიის საჯარო ბიბლიოთეკა, ამავე დროს ჩამოაყალიბა სცენის მოყვარულთა წრე. 1895 წელს ქართულად თარგმნა საფრანგეთის რევოლუციის ისტორია. ამ პერიოდიდან დაწყებული, იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის – ,,მესამე დასის'' ერთ-ერთი აქტიური წევრი, თბილისის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველი ორგანიზაციების ერთ-ერთი დამფუძნებელი. ამავე წლებში ხელმძღვანელობდა სტამბის მუშების არალეგალურ წრეებს. 1897 წელს მუშაობდა განახლებულ გაზეთ ,,ივერიის'' რედაქციაში. შემდგომი მოღვაწეობა განაგრძო პეტერბურგში, ცნობილი ქართველი ფიზიოლოგის, ივანე თარხნიშვილის ჟურნალში მდივნად. ამავე დროს თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის სხვადასხვა ბეჭდვით ორგანოში, სადაც ამიერკავკასიის განყოფილებას განაგებდა. 1898 წელს ხდება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) წევრი. 1903 წელს ბრუნდება ამიერკავკასიაში და აქტიურად ებმება რევოლუციურ საქმიანობაში. 1903-1905 წლებში იყო ბაქოს საქალაქო თვითმმართველობის მდივანი. 1905 წელს პოლიტიკური საბაბით დააპატიმრეს და გადაასახლეს ტამბოვის გუბერნიაში. 1917 წელს ირჩევენ საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წელს გახდა ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანოს – სეიმის წევრი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის მაისიდან აქტიურად ჩაება ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერთა შორის. 1918 წლის ივნისიდან დაინიშნა საქართველოს მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრის მოადგილედ. იყო საქართველოს ეროვნული საბჭოსა (პარლამენტი) და დამფუძნებელი კრების წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ემიგრაციაში არ წასულა, დარჩა სამშობლოში და ბოლშევიკებთან კოლაბორაციის გზას დაადგა. 1923 წელს ოფიციალურად დატოვა სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი. 1923-1927 წლებში მუშაობდა საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში, 1927-1929 წლებში – საქართველოს რევოლუციის მუზეუმში, ხოლო 1933-1937 წლებში – საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალში. დიდი საბჭოთა რეპრესიების პერიოდში, 1937 წელს არალეგალური მენშევიური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობისა და ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს 1938 წლის 17 მარტს.

[79] Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 12-13.

კიდევ უფრო ადრე, კერძოდ, 1905 წელს, იგივე გრიგოლ ჩალხუშიანის ავტორობით, იმავე დონის როსტოვში გამოცემულ წიგნში, იგივე სათაურით: ,,Армянскій вопросъ'', მაგრამ ამჯერად - Въ Россіи, უკვე ნათლად ჩანს ის ,,პატარ-პატარა'' მოთხოვნები და პრეტენზიები, რასაც სომეხი ხალხის სახელით ,,გაუბედავად'' უყენებს ბატონი ჩალხუშიანი მეფის ცარისტულ პოლიტიკას ამიერკავკასიაში.

ჩვენ არც აქ მოვიყვანთ ყველა ციტატას ამ ,,ნაშრომიდან'' და მხოლოდ ყველაზე ნიშანდობლივი მომენტების წარმოდგენით შემოვიფარგლებით. ბატონი ჩალხუშიანის აზრთა მსვლელობა შემდეგში მდგომარეობს. გარუსებისა და ცარისტული ჩაგვრის საპასუხოდ იგი გულამოსკვნით მოთქვამს: ,,გარუსების ზოგიერთი ორგანიზატორი სომხური საკითხის გადაწყვეტისათვის შემდეგ ფორმულას აყენებდა: კავკასიის გარუსებისათვის და სომხური სეპარატიზმის სამუდამოდ აღმოსაფხვრელად ერთადერთი გზა არსებობს - სომხების ციმბირში გადასახლება და მათ ადგილზე მართლმადიდებლების ჩამოსახლება,'' და აქვე, კომენტარის სახით აანალიზებს - ,,მარტივი და გენიალურია! უაზრობაა ელაპარაკო ყველა ამ კაცთმოძულეს და შეაგნებინო, რომ არ შეიძლება ასეთი დაუნდობელი მოპყრობა მთელი ხალხისადმი, ცოცხალი ადამიანებისადმი.

არა! კმარა კაცთმოძულეობა! დროა სხვა გზები ვეძიოთ ზნეობრიობიდან თუ არა, საღი აზრიდან გამომდინარე მაინც...''[80]

ცალსახად ვეთანხმებით ბატონ ჩალხუშიანს დასკვნის იმ პუნქტში, სადაც ადამიანური ბოროტების ერთ-ერთი უმძიმეს ფორმად მთელი ერებისა და ხალხების მათი ისტორიულად კუთვნილი მიწებიდან გადასახლებაა მიჩნეული. დიახ, კუთვნილი მიწებიდან - თავისი კუთვნილი მიწებიდან. მაგრამ ბატონ ჩალხუშიანს და საერთოდ სომხურ საზოგადოებას კუთვნილ მიწებთან დაკავშირებული საკითხების, რასაც ჩვენ ქვემოთ არაერთხელ ვაჩვენებთ, ცოტა სხვანაირი, თავისებური გაგება აქვთ.

მეორეს მხრივ, ეხება რა სომეხთა მიერ რევოლუციური შეიარაღებული ჯგუფების, ფაქტიურად კი სომხური ტერორისტული ბანდების ჩამოყალიბების საკითხს, იგი ამბობს: ,,როცა მთელი თურქეთის სომხეთი სისხლში ცურავდა, სომხებმა დაივიწყეს თავისი ბუნებრივი ზიზღი იარაღისადმი და ხელში აიღეს იგი. რუსეთში და საზღვარგარეთ დაიწყო შეიარაღებული წრეებისა და კომიტეტების ჩამოყალიბება. ახალგაზრდობა იარაღდებოდა, გადადიოდა საზღვარზე (აქ რუსეთ-თურქეთის საზღვარი იგულისხმება - ა. ჩ.) და პირდაპირ სიკვდილზე მიდიოდა *ქურთთა* (მივაქციოთ ყურადღება - ,,ქურთთა'' - ა. ჩ.) სიმხეცით აღშფოთებული. თუ გნებავთ, ჩათვალეთ ისინი რევოლუციონერებად, მაგრამ ეს მოძრაობა არა რუსეთის, არამედ თურქეთის წინააღმდეგ იყო მიმართული".[81] აქ უკვე გამოკვეთილად ჩანს სომეხ ნაციონალისტთა მხრიდან ის ღია დასმენა და სამიზნე რუსებისათვის, რომელიც მათ უკვე შერჩეული ყავთ. ეს სამიზნე თურქეთი და იქ მაცხოვრებელი ქურთი, დიახ, ქურთი ხალხია. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ქვევით ჩვენ კიდევ არაერთხელ ვაჩვენებთ, რომ გარკვეულ პერიოდებში ასეთი პოლიტიკური დასმენების სერია ამა თუ იმ კონკრეტული ეთნიკური ჯგუფების, ხალხებისა და სახელმწიფოების მიმართ სომეხ ნაციონალისტთა პოლიტიკური არსებობისა და აქტივობის ბუნებრივი ფორმაა, მათი მოდუს ვივენდი.

ე.წ. ,,რუსეთის სომხეთში'' შექმნილი სომეხთა ე.წ. ,,რევოლუციური სულისკვეთების'' აღმოსაფხვრელად კი, ბატონი ჩალხუშიანი ძალიან საინტერესო და ნიშანდობლივ რეცეპტს სთავაზობს ცარიზმის მესვეურთ: ,,2 მაისს ვესალმებოდით რა კავკასიის მეფისნაცვალს ნახიჭევანის სადგურზე, (აქ 1905 წლის 2 მაისსა და კავკასიაში ახლადდანიშნულ მეფისნაცვალზე, კავალერიის

---

[80] Гр. Чалхушъянъ. Армянскій вопросъ въ Россіи. Ростовъ на Дону. 1905. გვ. 27.

[81] დასახელებული ნაშრომი. გვ. 25-26.

გენერალსა და გენერალ-ადიუტანტ, გრაფ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვზეა საუბარი - ა. ჩ.) ***ორი მეზობელი ქალაქის - ნახიჭევანისა და დონის როსტოვის*** სომეხი საზოგადოების სახელით ჩვენ განვუცხადეთ მას: ,,ალბათ თქვენ მოგახსენებდნენ, რომ სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, სომხური საკითხის გამწვავებაში სომხური რევოლუციური კომიტეტები არიან დამნაშავენი. და თუ მართლაც არსებობენ ასეთი კომიტეტები, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ კავკასიაში ყველაფერი ვერ არის წესრიგში და მას რაღაც ორგანული სენი ხრავს. მხოლოდ დაავადებულ ორგანიზმში იბუდებენ ***მიკრობები.*** მაგრამ რომელი გამოცდილი ექიმი დაიწყებს მიკრობებთან ბრძოლას? ***ექიმი იმ გარემოს სპობს, იმ ვითარებას, იმ პირობებს***, რომლებიც ხელს უწყობენ ამ მიკრობების არსებობას''.[82](?!) (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

ერთობ საინტერესო, კარგად გააზრებულ და ნიშანდობლივ ,,ფილოსოფიასთან'' გვაქვს საქმე. მივყვეთ თანმიმდევრობით. ჯერ ერთი, ავტორი რაღაც გაურკვეველი და ჩვენთვის უცნობი კრიტერიუმებით დონის როსტოვსა და ნახიჭევანს მეზობელ ქალაქებად იხსენიებს. გეოგრაფიული კატეგორიებით მსგავსი აპელირება აქამდე ჩვენთვის ნამდვილად არ იყო ცნობილი და ვერანაირი საზომით ვერ ვუსადაგებთ მეზობელი ქალაქების ცნებას ნახიჭევანსა და დონის როსტოვს. რა თქმა უნდა, ბატონ ჩალხუშიანის ეს პასაჟი შემთხვევითობას სულაც არ მიეწერება. ამ საკითხებში ჩალხუშიანსა და სხვა დაშნაკ იდეოლოგებს მხოლოდ მათთვის მისაღები საზომები ჰქონდათ. აქ უკვე დევს კიდევ ერთი პატარა, სომხური, ერთი შეხედვით უწყინარი ,,შეცდომა'', მაგრამ კარგად გაზრებული და შორს გამიზნული ,,შეცდომა''. კარგად ჩანს, რომ უკვე მაშინ, სომეხ ნაციონალისტებს ნამდვილად ჰყოფნიდათ თავხედობა (სხვანაირად ვერ ვუწოდებთ), რომ დონის როსტოვი (XX სუკუნის დასაწყისისათვის დონის როსტოვში საკმაოდ დიდი წილი იყო სომეხი მოსახლეობისა. ისინი ლტოლვილებს წარმოადგენდნენ ოსმალთა იმპერიიდან) და ნახიჭევანი მეზობელ ქალაქებად გამოეცხადებინათ და იდეოლოგიურად დაეფიქსირებინათ კიდეც ის გეოგრაფიული პარალელები და პუნქტები, სადამდეც იმ მომენტში წარმოედგინათ დაშნაკ ლიდერებს ე.წ. ,,დიადი არმენიის'', იმ მონოეთნიკური და მათთვის სანატრელი ვირტუალური სომხური სახელმწიფოს საზღვრები, რომლის შექმნისათვის ბრძოლაც მათ უკვე დაწყებული ჰქონდათ.

სხვათა შორის, XX საუკუნის დასაწყისისათვის დაშნაკთა მიერ გამოცემულ ამ ჰიპოთეზური სახელმწიფოს ერთ-ერთ რუკაზე, დონის როსტოვიც ,,დიად არმენიაში'' იყო ჩართული. შესაძლებლია, ბატონი გრიგოლ ჩალხუშიანი აქ სომეხი ლტოლვილების დონის ახალშენს - ,,დონის ნახიჭევანს'' გულისხმობს, რომელიც მთლიანად ოსმალეთიდან ლტოლვილი სომხებით იყო დასახლებული, მაგრამ ამ შემთხვევაში ქალაქი მოხსენიებული უნდა იყოს ან ,,დონის ნახიჭევანის'', ან ,,ახალი ნახიჭევანის'', ან უკიდურეს შემთხვევაში, ,,ნორ-ნახიჭევანის'' სახელით. მაგრამ ბატონი ჩალხუშიანი აღნიშნული ქალაქის დასახელებისას ამ აუცილებელ თავსართებსაც ,,ივიწყებს" და ხელოვნური გაბუნდოვანების გზით საკუთარ ფანტაზიებს აძლევს გასაქანს.

ვირტუალური ,,დიადი არმენიის" უფრო შორს განფენილი ჩრდილოეთი პერიმეტრის შესახებ XIX საუკუნის ცნობილი რუსი საზოგადო მოღვაწე, პოეტი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი, ვასილი ველიჩკო, რომელიც 1897-1899 წლებში თბილისში გამომავალი ხელისუფლების ოფიციალური ორგანოს, გაზეთ ,,კავკაზის" რედაქტორი იყო, თავის წიგნში, სათაურით ,,Кавказ 1886-1895. Политическая роль церкви и армянская программа" (,,კავკასია 1886-1895. ეკლესიის პოლიტიკური როლი და სომხური პროგრამა"), წერს: ,,აღმოჩნდა, რომ სომხური სამრევლო სკოლები, სომხური მასების გამოხატული სურვილის საწინააღმდეგოდ, შეისწავლონ სახელმწიფო ენა, არა მხოლოდ ამუხრუჭებდნენ მოქალაქეობის განვითარების ბუნებრივ გზას, არამედ განკერძოების ყველაზე უფრო ფანტასტიკურ და უხეშ აპოლოგეტებად მოგვევლინნენ. არაფერი რომ

[82] Гр. Чалхушъянъ. Армянскій вопросъ въ Россіи. Ростовъ на Дону. 1905. გვ. 26.

არ ვთქვათ აბსურდულ სახელმძღვანელოებზე, სადაც ლაპარაკია ყბადაღებულ ***დიდ არმენიაზე*** და სომეხთა აღიარებაზე როგორც ყველა მეზობლის ცივილიზების მსოფლიო მოწოდებაზე - ***ამ სკოლებში ვრცელდებოდა დიდი არმენიის რუკები, რომლის საზღვარი ლამის ვორონეჟამდე ვრცელდებოდა, დედაქალაქით თბილისი“.*** აქვე ველიჩკო წერს, რომ ეს რუკები მან ,,1878-1901 წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის რწმუნებულთან, კირილ იანოვსკისთან ნახა, რომლებიც ლითოგრაფიული ფორმით და აბრეშუმით ნაქარგის სახით ვრცელდებოდა“.[83] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

ჩალხუშიანთან და მის ზემოთ მოყვანილ ,,ფილოსოფიასთან“ დაკავშირებული მეორე და მთავარი საკითხი კი ის არის, რომ დაშნაკთა იდეოლოგები, როგორც ჩანს, გეოგრაფიის გარდა მედიცინაში და კერძოდ, ქირურგიაშიც ,,ვერ ერკვევიან'' ჯეროვნად. მაინც როგორ უნდა გავიგოთ ,,იმ გარემოს, იმ ვითარების, იმ პირობების მოსპობა'', სადაც ეს ,,მიკრობები'' (თავად ავტორის აზრთა მსვლელობის მიხედვით, ალბათ სომხური რევოლუციური კომიტეტები და მათი საბრძოლო რაზმები) გამრავლდნენ? და რას ნიშნავს ხელი არ ახლოთ ,,მიკრობებს'' და მოსპეთ გარემო? ე.ი. - რუსებო! მოსპეთ და გადააშენეთ ის ხალხები და ერები, რომლებიც მომავალი ,,დიადი არმენიის'' ტერიტორიებზე ცხოვრობენ და ხელს უშლიან სომეხ დაშნაკებს ამ ერების სახელმწიფოთა ტერიტორიების ხარჯზე შეაკოწიწონ თავისი მონოეთნიკური სომხური სახელმწიფო?!

ბატონი ჩალხუშიანი აქ უკვე, მართალია შეფარვით, მეტაფორებით და ჯერ-ჯერობით დახურული ტექსტით გვესაუბრება სომეხთა მეზობლად მცხოვრები ხალხების ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ სულ მალე სომეხ დაშნაკთა მიერ მორიდებით გაჟღერებული ეს იდეოლოგიური ჩანაფიქრები სომეხი ,,რევოლუციონერების'' და მათი პარტიული ,,საბრძოლო რაზმების'' ძირითად საქმიანობად იქცევა. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კი, 1919 წლის დასაწყისისათვის, პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზე სომხური დელეგაციის მიერ წარდგენილ მოთხოვნებში, დაშნაკები უკვე ღიად და სახალხოდ ითხოვდნენ არარსებული მომავალი ,,დიადი არმენიის“ ტერიტორიებიდან იქ მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობის დევნას, შევიწროებას, გადასახლებასა და ლიკვიდაციას, დიახ - ლიკვიდაციას. ბატონ გრიგოლ ჩალხუშიანის ფილოსოფიით, ერთის მხრივ, უდიდესი ბოროტებაა ხალხების გადასახლება მათი საცხოვრისიდან, თუ ეს საკითხი სომხებს ეხებათ. მაგრამ, მეორეს მხრივ, აუცილებელი და საჭიროა იმ ერებისა და ხალხების გაჟლეტა, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ მომავალი ,,დიადი არმენიის" მიწებზე.

ჩალხუშიანის ამ ფილოსოფიას და ზემოთ ხსენებულ სომხურ ეგოცენტრიზმს ეხმაურება აზერბაიჯანელი ფილოსოფოსი, აზერბაიჯანის პედაგოგიური უნივერსიტეტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ამრალი ისმაილოვი, თავის ნაშრომში ,,Идеология, философия и преступления армянства и армянского фашизма“ (,,სომხობის და სომხური ფაშიზმის იდეოლოგია, ფილოსოფია და დანაშაულობები“.). ავტორი აღნიშნავს: ,,სომეხთა ,,ისტორიული სამართლიანობის აღდგენის“ არსი შემდეგში მდგომარეობს: დაუმტკიცონ მსოფლიოს, რომ ოდითგან, ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე, მთელი პლანეტა თუ არა, ნახევარი მაინც, სომხებს ეკუთვნოდათ. ზღვები, ოკეანეები, მთები, ტყეები და წყაროები თურმე ჰაოსის შთამომავალთა მიერაა შექმნილი. დასავლეთსა და აღმოსავლეთში, სამხრეთსა და ჩრდილოეთში გაკეთებული არქეოლოგთა ყველა აღმოჩენა - ეს ,,უძველესი“ სომხური კულტურის ნაშთებია, რომლებიც მსოფლიოს ცივილიზაციის გარიჟრაჟზე გაძარცვეს და მიიტაცეს ველურმა თურქებმა, აზერბაიჯანელებმა, ებრაელებმა, ბერძნებმა, ქართველებმა, სპარსელებმა, ქურთებმა, ლეკებმა და ა.შ. ამასთან ერთად, რაღაც განსაკუთრებული, ჰაოსურად ინტერპრეტირებული სტატიის (По-хайски интерпретируемой статье - ა. ჩ.) ძალით, ყველაზე უფრო დიდი პრეტენზიები მიმართულია

[83] В. Л. Величко. Кавказ 1886-1895. Политическая роль церкви и армянская программа.Санкт-Петербург, 1904. http://www.amsi.ge/istoria/somx/velichko.html

თურქეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, საბერძნეთის და ყველა იმ ქვეყნისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლებმაც გაბედეს და ხმამაღლა თქვეს, რომ ,,მათაც გააჩნიათ კულტურა და ისტორია". სომეხთა ლოგიკით, ამ ქვეყნებმა და ხალხებმა არა მარტო სიტყვაშეუბრუნებლად უნდა აღიარონ თავიანთი ისტორიული მიწები სომეხთა კუთვნილებად, არამედ უკვალოდ უნდა გაქრენ ამ მიწებიდან".[84]

ვეთანხმებით ავტორის მიერ სომხეთან მიმართებაში გამოთქმულ შენიშვნას. მაგრამ აქვე დავამატებდით, რომ ,,რაღაც განსაკუთრებული ჰაოსურად ინტერპრეტირებული სტატიის" გამო კი არა აქვთ სომხებს ამონარიდში მოყვანილ ხალხებთან განსაკუთრებული პრეტენზიები, არამედ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამჟამად სომხები ამ ხალხების გვერდიგვერდ ცხოვრობენ - სომხები ამ ხალხების მეზობლები არიან - ესაა და ეს. საკითხი სხვანაირადაც შეიძლება წარმოვადგინოთ. ძალიან მარტივად და გასაგებათ რომ ვთქვათ, სომხებს არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები არა აქვთ და ვერც ექნებათ, დავუშვათ, ავსტრალიელების, ნეპალელების, ნამიბიელების ან თუნდაც პერუელებისა და მექსიკელების მიმართ. ეს ხომ დღესავით ნათელია? ამავე საკითხებთან დაკავშირებით, 1910 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში ,,ერი და კაცობრიობა", ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მიხაკო წერეთელი,[85] სომეხთა იდეური და ტერიტორიული კონსოლიდაციის შესახებ აღნიშნავდა:

,,სომხის ხალხის საუკეთესო ნაწილმა ძლიერ კარგად იცის, რომ მას ერის შექმნა არ შეუძლია თუ არ დაიცვა თავისი ენა იქ, სადაც შეუნახავს, და თუ არ აღადგინა თავისი ენა იქ, სადაც

---

[84] Амрали Исмаилов. Идеология, философия и преступления армянства и армянского фашизма. Второе исправленное и дополненное издание. – Баку: Фонд «Знание», 2018. Стр. 24-25. http://anl.az/el_ru/2019/11/cd/Ap2018-270.pdf

[85] მიხეილ (მიხაკო) წერეთელი (1878-1965წ.წ.) – დიდი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი, ორიენტალისტი და ლინგვისტი, ეთნოლოგი და სოციოლოგი, თავის დროზე მრავალი ცნობილი და გახმაურებული სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიკაციის ავტორი. პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. პოლიგლოტი – ფლობდა ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებს. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის დოქტორი ორიენტალისტიკაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბრიუსელის უნივერსიტეტის და ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი. საქართველოს ეროვნული გმირი. პოლიტიკურ-იდეოლოგიური მრწამსით სხვადასხვა დროს იყო მარქსისტი, ანარქისტი, ნაციონალისტი. დაიბადა იმერეთის სოფელ ცხრუკვეთში. 1898 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. იმავე წელს ჩაირიცხა კიევის უნივერსიტეტში, საიდანაც აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისათვის გარიცხეს მეორე წელსვე, 1899 წელს. შემდგომი განათლება მიიღო ევროპაში. სწავლობდა სორბონის და ჟენევის უნივერსიტეტებში. 1912 წელს დაამთავრა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის განხრით. თავდაპირველად იგი მარქსიზმის მიმდევარი იყო. მან პირველმა თარგმნა მარქსის ,,კაპიტალი" ქართულ ენაზე და მიუტანა ნოე ჟორდანიას ,,კვალის" რედაქციაში. I მსოფლიო ომის წლებში იყო გერმანიაში მოქმედი ორგანიზაციის ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" ერთ-ერთი ხელმძღვანელი. იბრძოდა ანტანტის წინააღმდეგ და ცდილობდა გერმანიის მეშვეობით საქართველოს გათავისუფლებას. 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში იყო დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელი გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებში. ამავე პერიოდში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასურიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის გამგე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ემიგრაციაშია. 1926-1940 წლებში იყო ქართული პატრიოტული პოლიტიკური ორგანიზაცია ,,თეთრი გიორგის" ერთ-ერთი ლიდერი. II მსოფლიო ომის დროს წარმოადგენდა გერმანიაში მოქმედი ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" ერთ-ერთ ხელმძღვანელს. 1945 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მიუნხენში. 1963 წელს პარიზში ქვეყნდება ,,ვეფხისტყაოსნის" მიხაკო წერეთლისეული გერმანული თარგმანი. გარდაიცვალა 1965 წელს, 87 წლის ასაკში. დაკრძალულია საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. 2010 წელს ბრიტანეთის კემბრიჯის ძველი ახლო აღმოსავლეთის მსოფლიო კონგრესზე მიხაკო წერეთელი დასახელდა მსოფლიოში ,,გილგამეშის ეპოსის" მთარგმნელთა პირველ რიგებში (გერმანული (1910), ფრანგული (1907), ინგლისური (1917), ქართული (1924)). 2013 წელს მიხაკო წერეთელს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

დაუკარგავს. იგი ამიტომ ჰქმნის ისეთ სოციალურ ორგანოებს, რომელიც უნდ აღასრულებდეს ენის დაცვის, აღდგენის და განვითარების ფუნქციებს. იგი ხსნის სკოლებს, ანვითარებს მწერლობას, ეწევა ენერგიულ ეროვნულ პროპაგანდას იქ, სადაც დავიწყებული აქვთ სომხობა, იდეურად აერთებს მთელს დედა-მიწაზედ გაბნეულ სომხობას და ამგვარად ჰქმნის იდეალურ სომხურ მჭიდრო ეროვნულ ორგანიზმს. მაგრამ ეს ეროვნული ორგანიზმი ჯერ არ არის სრული სინამდვილე. მან კარგად იცის, - იმისათვის რომ ეს იდეალური ერი გარდიქცეს ნამდვილ ერად, რომ სომხის ხალხმა ნამდვილი ეროვნული ორგანიზმი წარმოადგინოს, - ამისათვის საჭიროა საფუძველი, ბუდე, ტერიტორია, სადაც უნდა შეიკრიბოს სოციალური მასალა სომხის ერისა, - სომხის ხალხი, - და შექმნას ერთ განსაზღვრულ ადგილზედ საკუთარი სოციალური ორგანოები, მჭიდრო კოჰეზიის მქონე სომხის ერი.

ეს დაწყევლილი საკითხია სომხის ერის ყოფნისა თუ არ ყოფნის საკითხი. ამით აიხსნება მათი ტანჯვა წამება, სხვა ხალხებთან მრავალი შეტაკება, მათი მისწრაფება რომელიმე კუთხეში თავის მოყრისა და მოსვენებისა. ამას ახმარებს მთელს თავის ეკონომიურ ძალას შეგნებული სომხობა და ვინ იცის, იქნებ მართლაც ოდესმე ბედმა გაუღიმოს ამ დაქსაქსულ ხალხს და დედა-მიწის რომელიმე კუთხეში მართლაც შექმნან ხელ ახლავე სომხეთი, რომლის ბრწყინვალე არსებობაც უკვე მრავალი საუკუნეა რაც განქრა. ეს არც თუ ისეთი ოცნებაა, რადგანაც სომხებს დიდი ეკონომიური ძალა აქვსთ, კარგი და საღი, შენახული სოციალური მასალა, ისტორიული ტრადიციები, ენა და ლიტერატურა, ტერიტორიის მცირე ნაწილები და აგრეთვე სუსტი მოწინააღმდეგეები, რომელთა მიწა-წყალზედაც მათ სურთ მოიკალათონ".[86]

წიგნში ნახსენები დაქსაქსული სომეხი ერის ,,საღ და შენახულ სოციალურ მასალაზე", აგრეთვე ,,სუსტ მოწინააღმდეგეებზე" რა მოგახსენოთ, მაგრამ იმაში კი ნამდვილად ვეთანხმებით პატივცემულ ავტორს, რომ სომხებს ზუსტადაც თავისი მეზობლების კუთვნილ მიწა-წყალზე ,,სურდათ მოკალათება".

აი, ასეთი ორმაგი სტანდარტებით აპელირებდნენ გრიგოლ ჩალხუშიანი და სომეხი ნაციონალისტები უკვე XIX საუკუნის ბოლოდან. მაგრამ აქაც ცდებოდა, მწარედ ცდებოდა ავტორი. დასნებოვნებული და დაავადებული ორგანიზმის გამოსაჯანსაღებლად, მით უმეტეს, დაავადების საწყის ეტაპზე, სიმპტომატურ მკურნლობას იწყებენ და სწორედ მიკრობებსა და ვირუსებს ებრძვიან პირველ რიგში და არა დაუყოვნებლივი რადიკალური ჩარევით იწყებენ ორგანიზმის გამოჯანსაღებას. თავად ბატონ გრიგოლ ჩალხუშიანის ინტერპრეტაციით კი ,,მიკრობებად'' სწორედ დაშნაკური რევოლუციური კომიტეტები და შეიარაღებული ბანდები მოიაზრებოდნენ. ამ შეფასებაში კი, ნამდვილდ ვეთანხმებით დაშნაკთა რუპორს.

[86] მიხაკო წერეთელი. ერი და კაცობრიობა. (სოციოლოგიური ანალიზი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1990. გვ. 99-100.

§1.2. სომეხთა „დამსახურებები“ რუსეთის იმპერიის წინაშე

1905 წლის 2 მაისს, ნორ-ნახიჭევანის რკინიგზის სადგურზე გამართულ საზეიმო შეხვედრაზე, საქალაქო საბჭოს წევრმა, ბატონმა გრიგორი ჩალხუშიანმა სომეხი ხალხის მფარველობის მეტად საინტერესო მოთხოვნები წაუყენა კავკასიის ახლადდანიშნულ მეფისნაცვალს, გრაფ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს.[87] ამ მოთხოვნების ჩვენთვის საინტერესო პუნქტებს შემდეგი სახე ჰქონდა:

§6. პიროვნებისა და ქონების ხელშეუხებლობა. იმპერიის ფარგლებში სომეხთათვის საპასპორტო სისტემის გაუქმება;

§18. თურქეთიდან გადმოსახლებული სომხებისათვის, რომლებმაც რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს, მიწის ნადელების[88] გამოყოფა ამიერკავკასიის ფარგლებში;

---

[87]87 ილარიონ ივანოვიჩ ვორონცოვ-დაშკოვი (რუს. Илларион Иванович Воронцов-Дашков) (1837-1916წ.წ.) – რუსეთის იმპერიის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გრაფი, საიმპერატორო კარის მინისტრი 1881-1897 წლებში, წითელი ჯვრის საერთაშორისო საზოგადოების თავმჯდომარე 1904-1905 წლებში, მეფისნაცვალი კავკასიაში 1905-1916 წლებში და კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი. რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი. იმპერატორ ალექსანდრე III-ის პირადი მეგობარი, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი უმდიდრესი მემამულე, კავალერიის გენერალი და გენერალ-ადიუტანტი. დიდი კავკასიური ომის, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის, 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომისა და I მსოფლიო ომის მონაწილე. დაიბადა პეტერბურგში. დაწყებითი განათლება შინ მიიღო. 1855 წელს სწავლა გააგრძელა მოსკოვის უნივერსიტეტში, თუმცა, რამდენიმე თვეში სწავლას თავი დაანება და სამხედრო სამსახურში შევიდა. 1856 წლიდან მსახურობდა ლეიბ-გვარდიის საკავალერო პოლკში. 1858 წლის 25 მარტს ენიჭება კორნეტის წოდება. იმავე წელს გადაყვანილ იქნა კავკასიაში და 1859-1862 წლებში მონაწილეობას იღებდა დიდ კავკასიურ ომში. 1860 წლიდან პორუჩიკია, 1861 წელს ენიჭება შტაბს-როტმისტრის წოდება, ხოლო ერთი წლის შემდეგ ხდება როტმისტრი. ამავე წელს ინიშნება კავკასიის არმიის მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრ ბარიატინსკის ადიუტანტად. 1865 წლიდან პოლკოვნიკია და სამსახურს აგრძელებს თურქესტანში. მონაწილეობდა ბუხარის აღების ოპერაციაში. 1866 წლის 28 ოქტომბერს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება და ინიშნება თურქესტანის ოლქის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწის თანამდებობაზე. 1867-1874 წლებში იყო ლეიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკის მეთაური და გვარდიის მე-2 საკავალერიო დივიზიის მე-2 ბრიგადის მეთაური, ხოლო 1874-1877 წლებში – გვარდიული კორპუსის შტაბის უფროსი. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს იყო მომავალი იმპერატორის, ალექსანდრე III-ის საბრძოლო რაზმის არტილერიის უფროსი. 1881 წელს, იმპერატორ ალექსანდრე III-ის მკვლელობის გამო, რევოლუციური ტერორის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნა ე.წ. „წმინდა რაზმი”. 1890 წელს ენიჭება კავალერიის გენერლის სამხედრო წოდება. 1881-1897 წლებში იყო იმპერატორის სახლის მინისტრი. 1893 წელს დაინიშნა იმპერიის სამხედრო და სახელმწიფო ჯილდოების მინიჭების კომიტეტის თავმჯდომარედ. 1897 წელს ეკავა სახელმწიფო საბჭოს წევრის თანამდებობა. 1905 წლის 27 თებერვალს დაინიშნა კავკასიის მეფისნაცვლად, კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლად და ყუბანისა და თერგის კაზაკთა ჯარების ატამანად. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით დაინიშნა რუსეთის კავკასიის ჯარების მთავარსარდლად, თუმცა, საომარი ოპერაციების დაგეგმვის პროცესსა და ოპერაციების მართვაში მონაწილეობა არ მიუღია, ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა ფრონტის ზურგის უზრუნველყოფის საკითხებს. 1915 წლიდან კავკასიის არმიის სარდლობა არმიის შტაბის უფროსმა, გენერალმა ნიკოლაი იუდენიჩმა გადაიბარა. 1915 წლის 23 აგვისტოს ვორონცოვ-დაშკოვი დაინიშნა იმპერიის უმაღლეს სამოქალაქო თანამდებობაზე – „მისი უდიდებულესობის ამალაში მყოფი გენერალი”. გარდაიცვალა 1916 წლის 15 იანვარს.

[88] ნადელი (მიწის ნადელი) – მიწის მცირე ნაკვეთი რუსეთის სინამდვილეში, რომელსაც მემამულე აძლევდა გლეხებს 1861 წლის საგლეხო რეფორმის (ბატონყმობის გაუქმების) დროს. ამ რეფორმის ზოგადი დებულების მიხედვით მემამულეები ვალდებულნი იყვნენ გამოეყოთ გლეხებისათვის მიწის ნაკვეთები, მაგრამ არა პირად საკუთრებაში და კონკრეტულ გლეხებს, არამედ სოფლის საზოგადოებებს კოლექტიურ სარგებლობაში. მიწის ნადელების ფართობი თვითოეულ კერძო შემთხვევაში კერძოდ დგინდებოდა. გლეხები ვალდებულნი იყვნენ ნატურალური ფორმით და 49 წლის განმავლობაში გარკვეული ღალა გადაეხადათ ნადელის გამცემი მემამულისთვის. თუმცა, ამავე დროს, გლეხებს

§19. მშვიდობიანობის დროს სომეხთათვის სავალდებულო სამხედრო ბეგარის მოხდა კავკასიის მხარეში'';[89]

და აქვე არ იშურებს ავანსად ღრმა რევერანსებს მეფისნაცვლისადმი: ,,კავკასიაში ახალი მეფისნაცვლის დანიშვნასთან ერთად, როგორსაც ღრმად განათლებული გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი წარმოადგენს, შორეთში უკვე გამოკრთის ის სინათლე, რომელიც ახალი ცხოვრების მომასწავებელია. და ისე გვინდა გვჯეროდეს, რომ ბოლოსდაბოლოს დადგება ის ნათელი დღე, რომელსაც ასე ველოდით''.[90] სულ მალე გამოჩნდება და ისტორიის შემდგომი მსვლელობითაც დადასტურდება, თუ რა ,,გამომკრთალი სინათლისა" და რა ,,ნათელი დღის'' ნატვრაში იყვნენ სომეხი ულტრანაციონალისტები 1905 წლისათვის.

ამის შემდეგ ისევ იწყება იმ ,,დიდი'' დამსახურებების წარმოჩენა და აფიშირება, რაშიც თურმე სომხებს მიუძღვით უდიდესი როლი ამიერკავკასიის ,,გაკულტურებასა'' და საზოგადოდ, რუსეთის იმპერიის გაძლიერების საქმეში - განსაკუთრებით კი, აგრარულ და ფინანსურ საკითხებში. იგივე ჩალხუშიანი, იგივე ,,ნაშრომში'' აგრძელებს: ,,იცის კი მკითხველმა მრავალტანჯული სომეხი ხალხის ისტორია სოხუმის ოლქსა და საერთოდ შავიზღვისპირეთში? თურქეთის კამპანიის შემდეგ (აქ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომზეა საუბარი - ა. ჩ.) ისინი აქ ტრაპიზონიდან, სამსუნიდან და მათი მეზობელი რაიონებიდან გადმოსახლდნენ. აქ, ადრე, მხოლოდ გაუვალი ჭაობები იყო, ხოლო ცხოვრების პირობები - საშინელი. ციებ-ცხელებისაგან ათასობით ადამიანი იღუპებოდა. მაგრამ აი, მოვიდნენ სომხები და თავად შერვაშიძის თქმით, დაიწყეს თამბაქოს საუკეთესო ჯიშების მოყვანა. მათ გამოაღვიძეს აქამდე მიძინებული მხარე. მიწის ფასებმაც აიწია, რამაც მისი არენდაც გაზარდა. ხაზინის შემოსავლებმაც იმატა''.[91]

ცინიზმისა და თვალის ახვევის კიდევ ერთი კლასიკური ნიმუშია. ბატონ ჩალხუშიანის მიერ მზიური აფხაზეთი ამაზონის გაუვალ ჭაობებად და მალარიის ბუდედაა დახატული. სიმართლე კი, ის არის, რომ საქართველოს, კერძოდ, აფხაზეთის მიწაზე გადმოსახლებული სომხები ნამდვილ ოაზისსა და სამოთხეში აღმოჩნდნენ არა მარტო მხარის ბუნებრივი და კლიმატური პირობების, არამედ სახელმწიფოს მიერ მათთვის მინიჭებული დიდი ეკონომიკური და სოციალური შეღავათების მხრივაც. ციტატა რუსი ავტორის, მ. ახოვის ნაშრომიდან - ,,Россія и армяне'', რომელიც 1897 წელსაა გამოცემული და ზუსტად ამიერკავკასიაში სომეხთა ერთ-ერთი მასობრივი გადმოსახლების პერიოდს შეესაბამება: ,,სომეხ გადმოსახლებულებს ჩვენი ამიერკავკასიის ოლქებში რუსეთი შემდეგ შეღავათებს უწევდა: თავისუფალი ვაჭრობა, მიწის ნაკვეთების გამოყოფა, გადასახადებიდან განთავისუფლება ექვსი წლით, ყოველგვარი მიწის ბეგარისაგან კი სამი წლით. ამასთან ერთად, დამკვიდრებულ იქნა სომხებით დასახლებული ოლქების დროებითი მმართველობის სისტემა, სადაც ხელმძღვანელ თანამდებობებზე სომხები დაინიშნენ''.[92] და აქვე აგრძელებს: ,,სახელმწიფოსგან შეღავათიან პირობებში გადაცემული მიწების დასაკუთრების შემდეგ სომხებმა თანდათანობით და შეუპოვრად დაიწყეს სხვა მეზობელი საუკეთესო მიწების შემოერთება ისე, რომ თავისი მიზნების მისაღწევად არ ერიდებოდნენ არც მითვისებას, არც თაღლითობას და არც სხვა გარიგებებს. წინა საუკუნეში აქ შემოსულები, ყველასაგან დავიწყებული სომხები, რომლებიც თავიანთ ნაციონალობასაც კი მალავდნენ მეზობელი ხალხებისაგან მათდამი ზიზღის გამო, რომლებთათვისაც თვით სიტყვა ,,სომეხიც'' კი, ლანძღვის შემცვლელი იყო, მალე გადაიქცნენ

აღნიშნული ნადელების გამოსყიდვის უფლება ჰქონდათ, რის შემდგომაც მათი მხრიდან მემამულის მიმართ ყოველგვარი ვალდებულებები ანულირდებოდა.

89 Гр. Чалхушъянъ. Армянскій вопросъ въ Россіи. Ростовъ на Дону. 1905. გვ. 31-32.

90 დასახელებული ნაშრომი. გვ. 33.

91 დასახელებული ნაშრომი. გვ. 34.

92 М. Ахов. Россія и армяне. С.-Петербургъ. 1897. გვ. 30.

თათრებსა და ქართველებზე გაბატონებულ ერად. *ამიერკავკასია ნელ-ნელა „სომხდებოდა...”*.[93] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

აი, ასეთ „აუტანელ და მძიმე” პირობებში უხდებოდათ თურმე გადმოსახლებულ სომხებს ქართული მიწების „ათვისება და გაკულტურება”. იგივე ავტორი ასეთ რეზიუმეს უკეთებს რუსეთის იმპერიაში და კერძოდ, ამიერკავკასიის ტერიტორიებზე ჩასახლებული სომხების საერთო მდგომარეობას: „სომხური კოლონიების მდგომარეობა ბრწყინვალეა, მათი ნადელები კი - უზარმაზარი. მაგალითად, შელკოვნიკოვის დროს ერთ-ერთ სომხურ კოლონიაში თითოეულ სომხურ ოჯახზე მიზომილი იყო 297 დესიატინა[94] მიწა და როცა მათ კიდევ შეუერთდა ცხრა ოჯახი, მათ თვითნებურად მიიერთეს დამატებით 30000 დესიატინა სახელმწიფოს კუთვნილი მიწები. როგორ არ უნდა გაფურჩქნულიყვნენ და გამდიდრებულიყვნენ ასეთ პირობებში სომხები! ადმინისტრაციის მხრიდან მათდამი გაწეულმა მფარველობამ ისინი ისეთ სიამაყემდე და კადნიერებამდე მიიყვანა, რომ მიწათმოქმედების მინისტრის ბოლო ვიზიტის დროს, სომხებმა მას მოთხოვნა წაუყენეს იმ ადგილებიდან რუსების გასახლებისა და მათ მაგივრად ანატოლიელი სომხების გამოგზავნის შესახებ”.[95]

რუსი მეცნიერი და მკვლევარი, ნიკოლაი ნიკოლაევიჩ შავროვი, 1911 წელს გამოცემულ თავის ანალიტიკურ ნაშრომში „Новая угроза русскому дълу въ Закавказъ: предстоящая распродажа Мугани инородцамъ“ („ამიერკავკასიაში რუსული საქმის ახალი საფრთხე: მუღანის მომავალი გაყიდვა უცხოელებზე“), წერს: „40-იანი წლებიდან დაწყებული (აქ 1840-იან წლებზეა საუბარი - ა. ჩ.)... ბევრნი, ვინც მიწები მიიღეს, ცდილობდნენ რაღაც მოემოქმედათ და დიდი ენერგია და შრომა ჩადეს იმაში, რომ ამ მიწებზე მეურნეობები და საწარმოები მოეწყოთ, მაგრამ ყველა ეს საწარმო სომხების, ებრაელების და უცხოელების ხელში გადავიდა. მიწის ნაკვეთები კი, მთლიანად თითქმის უფასოდ სომხების მიერ იქნა შესყიდული. შავიზღვისპირეთში თუ ზოგიერთი ნაკვეთი მაინც დარჩა, იქაც სომეხი-არენდატორები ჩასახლდნენ, რომლებმაც სულ მალე ამ ნაკვეთების შესყიდვა დაიწყეს“.[96]

კიდევ ერთი რუსი ავტორი, ზემოთ ხსნებული ვასილი ველიჩკო ამავე საკითხთან დაკავშირებით წერდა: „არქიეპისკოპოსმა იოსებმა 1779 წელს დონის ნახიჭევანი, სომხური ქალაქი დააარსა, რომელიც ყირიმიდან და თურქეთიდან გადმოსული 15000 კაცით იყო დასახლებული. გადმოსახლებულებს დიდი შეღავათები გაუწიეს: ყირიმიდან მათი ქონების გადმოზიდვა ხაზინის ხარჯზე, 12000 დესიატინა საძოვარი, 10 წლით ყოველგვარი გადასახადისა და სამხედრო გაწვევისგან განთავისუფლება. თითოეულ დიასახლისს 30 დესიატინა მიწა გამოუყვეს. ხე-ტყე და სამშენებლო მასალა უფასოდ გადასცეს, ხოლო თესლი, საქონელი და ინვენტარი - 10 წლის ვადით. კანონთა სრულ კრებულში ყველა ამ ჩამონათვალზე არსებობს ზუსტი მონაცემები“.[97]

რუსეთის იმპერიის წინაშე სომხების სხვა „დამსახურებების” აღწერისათვის იგივე დონის როსტოვში, დაშნაკთა იდეოლოგიური პროპაგანდის რუსეთის ამ სომხურ ცენტრში დასტამბული მეორე წიგნიდან მოვიშველიებთ ციტატას, რომლის ავტორიც ამჯერად მღვდელი (ტერტერა) სტეფან პაპაიანია და მის ნაშრომს ასევე ეწოდება - „Заслуги армянъ передъ Россіей” („სომეხთა

---

93 М. Ахов. Россія и армяне. С.-Петербургъ. 1897. გვ. 42-43.

94 დესიატინა (დესეტინა) – ფართობის საზომი ძველი რუსული ერთეული. 1 დესიატინა უდრიდა 10925 კვადრატულ მეტრს, ანუ 1,09 ჰექტარს.

95 М. Ахов. Россія и армяне. С.-Петербургъ. 1897. გვ. 51.

96 Н. Н. Шавров. Новая угроза русскому дълу въ Закавказъ: предстоящая распродажа Мугани инородцамъ. Изданіе русского собранія. Типографія редакціи періодическихъ изданій Министерства Финансовъ. С.-Петербургъ. 1911. Стр. 65. https://www.prlib.ru/item/429115

97 В. Л. Величко. Кавказ 1886-1895. Переход к теократии и монофизитство. Санкт-Петербург, 1904. http://www.amsi.ge/istoria/somx/velichko.html

დამსახურებები რუსეთის წინაშე“). ამ ,,ნაშრომში'' უკვე რუსეთის იმპერიის წინაშე სომეხთა სამხედრო დამსახურებებზეცაა საუბარი. მასში ვკითხულობთ: ,,უამრავი ფაქტია სომხების მიერ რუსთა მხედრობის დახმარებებზე ამიერკავკასიის ისტორიაში, ისე ბევრი, რომ მათი თითებზე ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. ისინი (სომხები - ა. ჩ.) ადგენდნენ ,,ოპოლჩენიებს'' და უდიდესი საშიშროების მიუხედავად, რუსის ჯართან მიჰქონდათ სურსათი და სხვა აღჭურვილობა. მტრის მხრიდან უეცარი ჩასაფრებების შემთხვევაში კი, ადგილობრივი ენების ცოდნის გამო, მოხერხებულად უქცევდნენ გვერდს მტრის ჩასაფრებებს და შველოდნენ რუსთა გარნიზონებს”.[98] მკითხველი ალბათ ამ წინადადების დრამატულ გაგრძელებასა და ფერების შემდგომ გამძაფრებას ელოდება ბატალური სცენების ხატოვანი აღწერითა და სომეხთა საბრძოლო დამსახურებების გრძელი ჩამონათვლით, მაგრამ მას იმედი უნდა გავუცრუოთ. მკითხველისათვის მოულოდნელად, არსებულ ტექსტში ყველაფერი ამით სრულდება. სულ ეს არის რისი თქმაც ავტორს სურს - არც მეტი და არც ნაკლები.

აი, თურმე რაოდენ შეუფასებელი სამხედრო ღვაწლი მიუძღვით სომხებს რუსეთის კავკასიის არმიის წინაშე. ამის შემდეგ, ბატონი პაპაიანის მიერ ჩამოთვლილია ის სომეხი სამხედრო მოღვაწეები და რატომღაც სასულიერო პირნიც, რომლებთაც თურმე ,,უდიდესი წვლილი'' მიუძღვით რუსეთის იმპერიის გაძლიერებაში. გარდა ამისა, მოყვანილია თითოეული მათგანის მცირე ბიოგრაფიული მონაცემებიც.

აი, რუსთა მოამაგე ეს დიდი სომეხი მოღვაწეებიც. სასულიერო პირნი: კათოლიკოს-პატრიარქი მათევოს I, კათოლიკოსი მკრტიჩ I, პატრიარქი ნერსეს V. გენერალიტეტი: გრაფი, მიხეილ ლორის-მელიქოვი, არზას არტემის ძე ტერ-გუკასოვი, ივანე დავითის ძე ლაზარევი, ბებუთ მარტიროსის ძე შელკოვნიკოვი, იაკობ ქაიხოსროს ძე ალხაზოვი(?!) (კიდევ ერთი სომხად მიწერილი ქართველი - ა. ჩ.). აქაც სულ ეს არის. თურმე მხოლოდ ამ გენერალიტეტის დამსახურებაა თურმე ის, რომ ცარიზმმა გზა გაიკვლია ამიერკავკასიაში და ოსმალეთსა და სპარსეთს გარკვეული ტერიტორიები ჩამოაჭრა. პაპაიანი ისეთი ჰონორით იხსენიებს სომეხ გენერალიტეტს და მათ სამხედრო დამსახურებებს, თითქოს ისინი არა ძირითადად სომხებით დასახლებული მიწებისათვის იბრძოდნენ რუსეთის არმიის შემადგენლობაში, რაშიც პირველ რიგში სწორედ ისინი უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი და მათი მთავარი დანიშნულებაც ეს უნდა ყოფილიყო, არამედ, თითქოს რუსთა ლეგენდარული გმირის, ატამან ერმაკის ციმბირულ ლაშქრობებში მიეღოთ მონაწილეობა.

რაც შეეხება ავტორის მიერ მოხსენიებულ მღვდელმთავრებს. სიმართლე უნდა ითქვას, გონების დაძაბვისდა მიუხედავად, ვერაფრით ვერ მივხვდით თუ რაში გამოიხატებოდა ზემოხსენებული სომეხი სასულიერო პირების დიდი დამსახურებები რუსეთის იმპერიის წინაშე. რაც ყველაზე საინტერესოა, ამის შესახებ, თვით ბატონი პაპაიანიც რატომღაც ჯიუტად დუმს. სამაგიეროდ ,,სომეხთა უანგარო დახმარებებთან” დაკავშირებით რუსი ავტორები არ ინარჩუნებენ დუმილს. აი, ერთ-ერთი მათგანის მოსაზრებაც, რომელიც ქალაქ კიევში დაბეჭდილ წიგნშია გადმოცემული, სათაურით ,,Грузинско-Армянскія претензии и Закавказская революция“ (,,ქართულ-სომხური პრეტენზიები და ამიერკავკასიური რევოლუცია“) და 1906 წლითაა დათარიღებული.

ამ წიგნში მოყვანილი მასალა სწორედ ბატონ პაპაიანის ზემოხსენებულ ,,ნაშრომში'' წამოყენებული მოსაზრებების კონტრარგუმენტს წარმოადგენს და კარგად ხსნის სომეხთა მიერ რუსეთის არმიისათვის გაწეული ,,დიდი დამსახურებების'' რეალურ არსს: ,,ლაპარაკები იმის შესახებ, რომ 1877-1878 წლებში რუსეთის ან თურქეთის სომხობა ,,დიდ, უანგარო დახმარებებს უწევდა რუსეთს”, სიმართლე გითხრათ მე არასოდეს მსმენია. მაგრამ კარგად ვიცი ის, რომ ამ ომში

[98] Степан Папаянъ. Заслуги армянъ передъ Россіей. Ростовъ на Дону. 1912. გვ. 19.

მრავალმა რუსეთის სომეხმა იშოვნა დიდი ფული საინტენდანტო და საარტილერიო უწყისების გამოყენებით. ჰკითხეთ ვერმიშევს, თუნდაც ა. ფ. ფრიდონოვს, ი. ს. შახნაზაროვს, გ. დ. ქართველოვს, პიტოევს, პ. სიტოვცევს და სხვებს".[99] და იქვე ამატებს: ,,ხოლო ჩვენ თურქული ტანჯვისაგან დავიხსენით და გულში ჩავიკარით ბევრი უმადური ჰაიკელი (ჰაოსელი) (Гайканцев - ა. ჩ.). ასე მაგალითად, 1828 წელს ადერბეიჯანიდან ერივანის გუბერნიაში გადმოსახლებულ იქნა 8000 სომხური ოჯახი (აქ ირანის აზერბაიჯანსა და თურქმენჩაის ზავზეა საუბარი - ა. ჩ.). ადრიანოპოლისის ზავის შემდეგ კი - 90000".[100] აქ კი, რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომსა და ადრიანოპოლისის (დღევანდელი ედირნე) საზავო აქტზეა საუბარი.

ვასილი ველიჩკო: ,,რუსეთის მიერ წარმოებული ყოველი ომი მეზობელ აღმოსავლურ სახელმწიფოებთან, ერთის მხრივ ზრდიდა სომხების რაოდენობას და ამასთანავე იმ ელემენტებს, რომლებსაც ქაოტურ აღმოსავლურ დესპოტიებში გამომუშავებული ჰქონდათ აჯანყებების მოწყობის ინსტინქტური მიდრეკილებები, ხოლო მეორეს მხრივ - ომები ძალიან ამდიდრებდა მათ სამრეწველო კლასს. მომწოდებლები, ჯაშუშები, მოროდიორები დიდ სარგებელს ნახულობდნენ, ხოლო ფასები ომის მიზეზით ყველა საჭირო პროდუქტზე სწრაფად იზრდებოდა, შემდეგ კი, ამ ნიშნულზე რჩებოდა. ჯერ კიდევ პოგობინი, რომელმაც კავკასია თავად ბარიატინსკის[101] დროს მოინახულა, აღნიშნავდა, როგორც ჩანს, ცხოვრების ხელოვნურად გამოწვეულ სიძვირეს".[102] ახალს ნამდვილად ვერაფერს დავამატებთ. სომეხთა ,,უანგარობა" და ,,მხედრული სიმამაცე" საყოველთაოდ ცნობილია. სომეხთა ეროვნული ხასიათის ამ შტრიხებს ასე აღწერს XIX საუკუნის კიდევ ერთი რუსი ავტორი, მ. ახოვი: ,,თუ რას წარმოადგენენ სომხები და როგორი დამოკიდებულება იყო კავკასიაში სომხებისადმი 30-იან წლებში, კარგად ჩანს პუშკინის პოემიდან, სადაც შვილის შემჩვენებელი მამა, ასე წყევლის მას:

- Поди ты прочь - ты мне не сын,
Ты не чеченец - ты старуха,
Ты трус, ты раб, ты - армянин![103]
- თავიდან მომწყდი, შენ შვილი აღარ ხარ,
ჩეჩენი არა ხარ - შენ ბებრუხანა ხარ,
მხდალი და მონა, და სომეხი ხარ!

სხვათა შორის, იგივე პუშკინი, თავის ცნობილ ნაწარმოებში, ,,Путешествие в Арзрум во время похода 1829 года" (,,მოგზაურობა არზრუმში 1829 წლის ლაშქრობის დროს"), სომხებისაგან განსხვავებით, ქართველებს ასე ახასიათებდა: ,,Грузины народ воинственный. Они доказали свою

---

99 Н. М. Грузинско-Армянскія претензии и Закавказская революция. Кіевъ. 1906. გვ. 28.

100 დასახელებული ნაშრომი. გვ. 29.

101 ალექსანდრ ივანოვიჩ ბარიატინსკი (Алекса́ндр Ива́нович Баря́тинский) (1815-1879წ.წ.) – რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-ფელდმარშალი და გენერალ-ადიუტანტი. რუსული პანსლავისტუსი იდეოლოგიის მიმდევარი და ერთ-ერთი აპოლოგეტი. 1856-1862 წლებში კავკასიის ცალკეული კორპუსის სარდალი, შემდგომში კავკასიის არმიის მთავარსარდალი და კავკასიის მეფისნაცვალი. რუსული ექსპანსიონისტური პოლიტიკის უშუალო გამტარებელი და სამხედრო ხელმძღვანელი სამხრეთის მიმართულებაზე. დიდი კავკასიურ ომში სარდლობდა რუსულ ჯარებს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ და რუსული ჯარების მეთოდური წინსვლა. 1859 წელს მან საბოლოოდ გატეხა იმამ შამილის წინაღმდეგობა, რომელიც რუსებს დანებდა. შიცოცხლის ბოლო წლები გაატარა საზღვარგარეთ, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1879 წელს. გადმოასვენეს და დაკრძალეს სამშობლოში, კურსკის გუბერნიაში.

102 В. Л. Величко. Кавказ 1886-1895. Племенная обособленность и экономическое владычество. Санкт-Петербург, 1904. http://www.amsi.ge/istoria/somx/velichko.html

103 М. Ахов. Россія и армяне. С.-Петербургъ. 1897. გვ. 43.

храбрость под нашими знаменами“.[104] („ქართველები მეომარი ერია. თავიანთი სიმამაცე მათ ჩვენი დროშების ქვეშ ბრძოლებით დაამტკიცეს“).

სომეხთა „განსაკუთრებული ნიჭიერება", „კაცობრიობის წინაშე უდიდესი დამსახურებები" და სომეხთა „დიდი მეფეების" მოღვაწეობა კი, ზემოთ მოყვანილი ავტორის, მ. ახოვის მიერ ასეა შეფასებული: „სომხები თავისი ერის უძველესი წარმომავლობით ამაყობენ. „ოთხი ათასი წელია ცხოვრობენ სომხეთის შვილები, - თქვა თავის მიმართვაში დღევანდელმა კათოლიკოსმა მკრტიჩმა,[105] - „ოთხი ათასი წელია არსებობს სომხეთი და იგი ახლაც ცოცხალია, მაშინ როცა მისი მეზობელი დიდი ხალხები, მიდიელები და ასურელები დიდი ხანია რაც გადაშენდნენ და მათი კვალი მხოლოდ ისტორიაში დარჩა".

რა თქმა უნდა, არავინ არ დაიწყებს ამ საკითხზე კამათს, თუმცა სომეხთა ეს სიძველე არსებითად იგავ-არაკებზეა დაფუძნებული. მაგრამ შეიძლება ასეთი ხანგრძლივი ისტორიის მქონე ხალხის სიამაყის საგანი მხოლოდ მისი სიძველე იყოს, მაშინ, როცა ამ ხნის განმავლობაში მათ არ მოეპოვებათ ადამიანური კულტურის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ისტორიული კვალი? მათი მეზობლები, ასურელები და მიდიელები მართალია გადაშენდნენ, მაგრამ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში მაინც ჩადეს თავისი წვლილი... სომხებმა კი რა შექმნეს? და ამ კითხვაზე პასუხს ვერ მოვიძიებთ. ამ ერის არსებობის 4000 წლის მანძილზე ვერ მოძებნით ამ ეროვნების ერთ კაცსაც კი, განსხვავებით სხვა ხალხებისაგან, ვისაც შეიძლება მიესადაგოს სიტყვა „დიდი", - არც მუსიკოსი, არც მოაზროვნე, არც მხატვარი, არც პოეტი, არც მწერალი! სამაგიეროდ, ოჰ, როგორ ამაყობენ თავისი ისტორიკოსი მოსე ხორენაცით!...

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მათი სიამაყის საგნის, ძველი სომხეთის სიდიადესა და მნიშვნელობაზე საუბრისას მხოლოდ ტიგრან დიდის მეფობის ხანაზე მითითება შეუძლიათ. მის მთელ სიდიადეს კი მხოლოდ ის შეადგენდა, რომ თავდაპირველად მან შეძლო რამდენიმე სუსტი მეზობელი სამეფოს დაპყრობა, (მანამდე და მას შემდეგაც თვითონ სომხეთი რამდენჯერ ჩავარდნილა გაცილებით უარეს მდგომარეობაში!) შემდეგ კი, თავადაც დაკარგა თავისი

---

104 А. С. Пушкин. Собрание сочинений в 10 томах. Т. 5, Путешествие в Арзрум во время похода 1829 года. М.: Государственное издательство художественной литературы, 1960. Стр. 431.

105 მკრტიჩ I ხრიმიანი (სომხ. Մկրտիչ Ա Խրիմյան), ასევე ცნობილია სახელით აირიკ ხრიმიანი (სომხ. Խրիմյան Հայրիկ) და მკრტიჩ I ვანეცი (სომხ. Մկրտիչ I Վանեցի) (1820-1907წ.წ.) – სომეხი ეროვნების რელიგიური, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, ფილოსოფოსი, განმანათლებელი და პუბლიცისტი. კონსტანტინოპოლის სომეხთა პატრიარქი 1869-1873 წლებში, ვანის პრელატი 1880-1885 წლებში და ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი 1892-1907 წლებში. დაიბადა ვანში. დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. შემდეგ სწავლობდა სასულიერო სკოლაში. ახალგაზრდობიდანვე ჩაება სომეხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძარაობაში. სახელმწიფოს მხრიდან დევნის თავიდან ასაცილებლად 1842 წელს საცხოვრებლად გადადის კონსტანტინოპოლში, სადაც სკოლის მასწავლებლად მუშაობდა. ამავე დროს სომხურ თემებში კითხულობდა ლექციებს სომხურ კულტურაზე, ისტორიასა და ხელოვნებაზე. 1854 წელს ბერად აღიკვეცა ახტამარის მონასტერში. 1860 წელს იმოგზაურა აღმოსავლეთ სომხეთსა და ამიერკავკასიაში. იმყოფებოდა ერევანში, ეჩმიაძინში, ზანგეზურში, მთიან ყარაბაღსა და თბილისში. 1868 წელს ეჩმიაძინში ეპისკიპოსად ეკურთხა. ერთი წლის შემდეგ კი, კონსტანტინოპოლის სომეხთა პატრიარქად იქნა არჩეული. 1892 წლის 5 მაისს ეჩმიაძინის წმინდა სინოდის მიერ არჩეულ იქნა სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ხელმძღვანელად და სრულიად სომეხთა კათოლიკოსად. 1895 წელს იმყოფებოდა სანკტ-პეტერბურგში, სადაც შეხვედრა ჰქონდა იმპერატორ ნიკოლაი II-თან, რომელიც მას თავის საქმიანობაში ყოველგვარ დახმარებას დაპირდა. 1903 წლიდან აქტიურად იბრძოდა რუსეთის იმპერიაში გამოცემული კანონის წინააღმდეგ, რომელიც სომხური ეკლესიის სეკულარიზაციას და მისი ქონების ჩამორთმევას ითვალისწინებდა. მკრტიჩ I ხრიმიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა მსოფლიოში დაფანტული სომხობის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება, ერთიანი სომხური სახელმწიფოს შექმნა და სომეხი ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. სწორედ ამ შინაარსის კონდაკი გამოსცა მან 1905 წლის 10 მარტს. გარდაიცვალა 1907 წლის 29 ოქტომბერს. დაკრძალულია ეჩმიაძინში.

სამფლობელოებისა და ნაძარცვი ქონების ნაწილი და ჰქონდა ბედნიერება განადგურებული ყოფილიყო რომაელებისაგან. ცივილიზებულ სამყაროსთან მხოლოდ ამ შეხების წყალობით შევიდა იგი რომაულ წერილობით წყაროებში და ამით შემოუნახა მან თავისი სახელი მომავალ თაობებს. არა რომაელთაგან, არამედ სხვათა მიერ, მაგალითად, პართიელებთან ან სკვითებთან დამარცხების შემთხვევაში, სამუდამო დავიწყებას მიეცემოდა მისი მეფობაც და მის შესახებაც მხოლოდ სომეხ ისტორიკოსთა არაფრისმთქმელი და მნიშვნელობის არმქონე ცნობები დარჩებოდა".[106] არადა, ქართველებისა და მათი უძველესი კულტურის შესახებ ცნობები ასურულ ლურსმნულ წარწერებშია დაცული, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნეს განეკუთვნება. მაშინ როცა, ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნემდე სომხების ხსენებაც კი არ არის ისტორიულ წყაროებში. რუსი ავტორი, ალექსანდრ ანიინსკი (Александръ Аннинскій) სომეხთა მითიური სახელმწიფოებრიობის, მეცნიერებისა და კულტურის შესახებ წერს: ,,რადგან არ შემონახულა არაფერი, რაც დაამოწმებდა ძველი სომხების პოლიტიკურ სიძლიერესა და კულტურას, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი არც პირველს ფლობდნენ და არც მეორეს. ეტყობა ისინი ყოველთვის მცირერიცხოვანი და ველური ტომები იყვნენ, რომლებიც არასდროს არ ფლობდნენ სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ამასთან არის დაკავშირებული სომეხთა შემოქმედების მყვირალა სიღარიბე. მეცნიერებაზე საუბარი კი, საერთოდ არ შეიძლება. სომხებს თავისი არსებობის მანძილზე არაფერი თვითმყოფადი არ შეუქმნიათ".[107]

სომხეთის ისტორიის შესახებ ვასილი ველიჩკო წერდა: ,,სომხეთის ისტორია დახუნძლულია ,,ჭეშმარიტი'' და ,,უეჭველი'' ფაქტებით. მისი ფურცლები სავსეა ,,დიდებად'' წოდებული მოღვაწეების სახელებით, რომელთა არსებობის ფაქტი, სომხურის გარდა, ოფიციალური საისტორიო მეცნიერებისათვის უცნობია. ისტორიისათვის ცნობილი პიროვნებების მოღვაწეობა კი, როგორც წესი, აღმატებულ ფორმებში არის გადმოცემული. თუ აუცილებელი გახდება სხვა სიტყვის მოძებნა სომხეთის ისტორიაში მოთხრობილი ფაქტების აღწერისათვის, სიტყვა ,,ფიქციის'' გარდა, სხვა სიტყვა, რომელიც შესაძლებელია ამისათვის გამოვიყენოთ, არის სიტყვა - ,,ღალატი''. სომხეთის, ამ მუდმივად ცვალებადი საზღვრების მქონე ქვეყნის საეჭვო მმართველები ყოველთვის ძლიერ მეზობელ მონარქიებზე იყვნენ დამოკიდებულნი და სისტემატურად ღალატობდნენ მათ''.[108]

აი, ასეთია XIX საუკუნის რუსული წყაროებით სომეხთა ცივილურობისა და კულტურის შესახებ არსებული ზოგადი ხედვა. სომეხთა ანტიკურ სამყაროსთან შეხება და მათი ,,ცივილური მაღალკულტურულობა'' კი, რომაულ წერილობით წყაროებში ასეა დახასიათებული: ,,სომხებიც ხალხნი არიან, მაგრამ თავიანთ სახლებში ოთხზე დადიან''.[109] ეს შეფასება I საუკუნის ცნობილ რომაელ ისტორიკოსსა და მოაზროვნეს, გაიუს პეტრონიუსს (Titus Petronius Niger) ეკუთვნის. უცნაური დახასიათებაა, არა?.. არადა, თითქოს ,,ხალხნი ოთხზე არ დადიან". დოქტორი ამრალი ისმაილოვი, თავის ნაშრომში ,,Идеология, философия и преступления армянства и армянского фашизма", ასეთ ახსნას აძლევს პეტრონიუსის ამ ნააზრევს: ,,ოთხზე სიარული და ხოხვა - ეს თითქმის ერთი და იგივეა. როგორც ჩანს, პეტრონიუსს სომეხთა დამახასიათებელი ის ამაზრზენი ნიშანი ჰქონდა მხედველობაში, რომ მათ აქვთ თვისება იხოხონ იმათ წინაშე, ვისზე

---

106 М. Ахов. Россія и армяне. С.-Петербургъ. 1897. გვ. 61-62.

107 Александръ Аннинскій. Исторія армянской церкви. (До XIX въка). Кишиневъ. Типография М. Я. Спивака. 1900. http://www.bibliard.ru/vcd-1269-1-1535/goodsinfo.html

108 В. Л. Величко. Кавказ 1886-1895. Историческое прошлое.Санкт-Петербург, 1904. http://www.amsi.ge/istoria/somx/velichko.html

109 Твердохлебов. Мемуары русского офицера. Архив генштаба Турецкой республики. (Шкаф Первой мировой войны, полка 401, д. 1578, лл. 1-24; 1-67;). Цит. По: История Азербайджана по документам и публикациям. Баку. Элм. 1990. с. 121-122.

დამოკიდებულნიც არიან მოცემულ მომენტში".[110] ავტორის ამ ვერსიას არსებობის უფლება ნამდვილად აქვს, მაგრამ ჩვენის აზრით, რომაელი ისტორიკოსის ამ კვინტესენციას უფრო ,,მიწიერი" და რეალისტური ახსნაც მოეძებნება. ოდითგან, მკაცრი გეოგრაფიული, ლანდშაფტური და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, სომეხთა ბუნებრივ საცხოვრისს მიწურები წარმოადგენდა, ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ იმ ეპოქაში თავიანთ მიწურებში სომხები მართლაც ფორთხვით გადაადგილდებოდნენ, რაც პეტრონიუსის მიერ შესაბამისად იქნა ინტერპრეტირებული. დიდ ისტორიულ და სახელმწიფოებრივ რეალობასთან მიმართებაში კი, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ იმავე ეპოქაში, ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში, დაწყებული 35 წლიდან 50-იან წლებამდე, სომხეთის ტახტზე ქართლის ფარნავაზიანები ისხდნენ, ჯერ მითრიდატე, ქართლის მეფის, ფარსმან I-ის ძმა, შემდეგ კი, მისი ძმისწული, რადამისტი.

ეს ცნობები, ქართულის გარდა, რომაელი ისტორიკოსების, დიონ კასიუსისა (Lucius Claudius Cassius Dio Cocceianus) და პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსის (Publius Cornelius Tacitus) ნაშრომებშიცაა დაცული.[111] 60 წელს, მას შემდეგ, რაც რომაელებმა აღადგინეს სომხეთში მეფობა და ტახტზე ტიგრანი დასვეს, ამ უკანასკნელს ,,რომ უფრო ადვილად შეენარჩუნებინა ახლად მიღებული სამეფო ტახტი, ებრძანა, რომ არმენიის გარკვეული ნაწილები დამორჩილებოდნენ ფარსმანს", იბერიის მეფეს,[112] - აღნიშნავდა თავის ნაშრომში ტაციტუსი. და რადგან რომაელები ვახსენეთ, სომხებთან კონტექსტში ალბათ ბიზანტიელებიც არ უნდა დავივიწყოთ. ბიზანტიელების დამოკიდებულება სომხებისადმი, ერთი შეხედვით, პარადოქსალურადაც შეიძლება მოგვეჩვენოს. ერთის მხრივ, ბიზანტიელი იმპერატორები არაერთხელ ცდილობდნენ სომხური მიწების დაპყრობას და მათ მოქცევას მართლმადიდებლობაზე, მაგრამ ამავე დროს ბიზანტიური საზოგადოება საკმაოდ ღია და გახსნილი იყო იმ სომხებისათვის, რომლებიც მონოფიზიტობაზე იტყოდნენ უარს. ასეთ შემთხვევაში მრავალ სომეხს ეკავა იმპერიაში მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი თანამდებობები. ისინი მსახურობდნენ არმიაში, სასახლის კარზე, იმპერატორებიც კი ხდებოდნენ. მაგრამ მეორეს მხრივ, ბიზანტიურ ლიტერატურაში ხშირად შეხვდებით სომხების მისამართით გამოთქმულ მძაფრ შეფასებებსაც. ასე მაგალითად, IX საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი პოეტესა, კასია, ,,საშინელ სომეხ ხალხზე" საუბრობს, რომლებიც ,,სამარცხვინოდ ცუდები იყვნენ და რაც უფრო ცდილობდნენ, რომ კარგები ყოფილიყვნენ, მით უფრო ცუდები ხდებოდნენ". ხოლო XIII–XIV საუკუნის ბიზანტიელ მეცნიერს, მაქსიმ პლანუდს მოჰყავს ანდაზა, სადაც ნათქვამია: ,,თუ შენ სამეგობროში სომეხიც ურევია, უარესი მტერი არც კი ინატრო".[113] საუკუნეების წინ ბიზანტიელ ავტორთა მიერ გამოთქმულ ამ შეფასებას სომხების შესახებ, ადეკვატურად ეხმიანება უკვე თანამედროვე ამერიკელი დიპლომატისა და საზოგადო მოღვაწის, ჯეიმს ბარტონის შემდეგი ციტატა: ,,სომხები მართლა განსაკუთრებული ხალხია. ისინი არაჩვეულებრივ ნიჭს ფლობენ, რომ სადაც კი არ უნდა მოხვდნენ, ყველას შეაძულონ თავი...''

ზემოთ წარმოდგენილ შეფასებებს კი, ერთგვარ რეზიუმირებას უკეთებს ვასილი ველიჩკო: ,,სომხების მიმართ ოდითგანვე ცუდი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა, რაც სულაც არ არის

---

110 Амрали Исмаилов. Идеология, философия и преступления армянства и армянского фашизма. Второе исправленное и дополненное издание. – Баку: Фонд «Знание», 2018. Стр. 140. http://anl.az/el_ru/2019/11/cd/Ap2018-270.pdf

111 დიონ კასიუსის ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო ნოდარ ლომოურმა. თბილისი. 1966. გვ. 75.

112 Корнелий Тацит. Сочинения в двух томах. Том первый. Анналы. Малые произведнния. Ленинград. 1969. Стр. 264.

113 Византийцы об армянах. Византийцы против соседей. Как называли друг друга и что друг о друге думали византийцы, латиняне, армяне и арабы. Подготовил Артемий Стрелецкий. https://arzamas.academy/materials/860

საფუძველს მოკლებული, რადგან ასეთი შეფასებები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხალხებს თავისთავად ვერ შეექმნებოდა. მაგრამ ამავე დროს, სომხური სახალხო მასა უნდა განვაცალკევოთ მტაცებელი პლუტოკრატიისაგან, უმეცრად პოლიტიკანური სასულიერო პირებისა და საეჭვო ინტელიგენტებისაგან, ანუ, იმ სომხური მმართველი ფენებისგან, რომლებიც ჩაგრავენ არა მარტო უცხოტომელ მეზობლებს, არამედ თანატომელებს და უბრალო ხალხს. ეჭვს გარეშეა, რომ მმართველებს შორისაც არის საკმაოდ დიდი პროცენტი იმ ხალხისა, რომლებიც ძირითადად არ არიან ცუდი ადამიანები და დამნაშავეები, მაგრამ ისინი მათი ლიდერების მიერ წარმოებული ტერორის მიმართ შიშით და მათი მტკივნეულად განვითარებული ტომის ჰიპნოზით, ან როგორც იტყვიან, ეროვნული იდეის მორჩილებით გამოირჩევიან“.[114]

მოსე ხორენაცთან და მის მიერ შეთხზულ არაკებთან დაკავშირებით კი, ერთობ საინტერესოა დიდი ფრანგი ისტორიკოსის, ორიენტალისტისა და ასუროლოგის, არქეოლოგისა და ანთროპოლოგის, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორის, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, ფრანსუა ლენორმანის (François Lenormant) მიერ 1871 წელს გამოქვეყნებული შემდეგი დასკვნა, რომელსაც დიდ ილიასთან ვხვდებით:

,,...ეხლა ყველამ იცის, რომ სომეხთა მეისტორიეთა მამამთავარი მოსე ხორნელი ისე სარწმუნო და საქებ-სადიდებელი არ არის, როგორც სომხებსა ჰგონიათ.

ლენორმანი, ეს ყველასაგან დიდ სწავლულად მიჩნეული კაცი, აი რას ამბობს: ,,შეურყეველ ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ, რომ სომხებს არ აბადიათ არარიგი ნაციონალური გადმოცემა პირველ ტიგრანამდე, რომელიც კიროსის თანამედროვე იყო. რაც-კი შეეხება ამაზე წინა დროს, ყველა მოთხრობა სომეხთა მწერლებისა მომდინარეობს მოსე ხორნელის წიგნისაგან, და ეს წიგნიც, როგორც თვით ხორნელისაგანაც სჩანს, არის უბრალო ასლი (კოპიო) მარაბაზ კატინას[115] ცრუსიტყვაობისა, კომპილაციისა. ეს ბატონი კატინა სცხოვრობდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეს, ადგა ლიტერატორობის ხელობას, ეკუთვნოდა ედესის სკოლას და ამან შეადგინა კომპილაცია, საცა სიმართლეზე მეტი სიცრუე შეიტანა და სულ ეს ააშენა კტეზიის ქრონოლოგიურ სისტემის მზგავსად და, სხვაც რომ არა იყოს-რა, მარტო ამ სისტემის მიბაძვას უნდა გაეფუჭებინა საქმე, გაეშორებინა ჭეშმარიტებისაგან. გულუბრალო მკითხველის მოსატყუებლად კატინამ ეს ხერხიც მოიხმარა, რომ თავისი შეთხზული კომპილაცია მიაწერა ალექსანდრე მაკედონელის დროს. კატინას დროს ამისთანა ხერხიანობა ძალიან გავრცელებული იყო და ამ გვარის ყალბის წერილებით, ფალსიფიკაციებით მოჰფინეს მთელი ქვეყანა”.[116]

---

114 В. Л. Величко. Кавказ 1886-1895. Армяне. Санкт-Петербург, 1904. http://www.amsi.ge/ istoria/somx/ velichko.html

115 მარაბაზ (მარ აბას) კატინა – სირიელი ისტორიკოსი, ისტორიული ნაშრომის ავტორი, რომელიც გახდა მოვსეს ხორენაცის ,,სომხეთის ისტორიის” მთელი პირველი წიგნის და მეორე წიგნის 9 თავის მთავარი წყარო. სახელი ,,მარ აბას კატინა” სირიული წარმომავლობისაა, რაზეც თვითონ მოსე ხორენაციც მიუთითებს. მარ აბასის ცხოვრების პერიოდი ზუსტად არ არის დადგენილი. სავარაუდოდ ცხოვრობდა ძვ. წთ. აღ. II საუკუნის მეორე ნახევარში ან III-IV საუკუნეებში. ხორენაცის მიხედვით, მსახურობდა სომეხთა ლეგენდარული მეფის, ვაღარშაკ II-ის კარზე, რომლის რეალობა დადასტურებული არ არის. მოვსეს ხორენაცის მიერ მარ აბასის მიკუთვნება ძვ. წთ. აღ. II საუკუნეზე, რიგი მიზეზებისა გამო, აშკარა ანაქრონიზმია. თავსართი ,,მარ” (სირ. ܡܪܝ) წარმოადგენდა ქრისტიანული საპატიო ტიტულის აღმნიშვნელ სიტყვას, რომლითაც მოიხსენიებდნენ ეპისკოპოსებსა და წმინდანებს. სირიულად სიტყვასიტყვით ნიშნავს ,,უფალო”. როგორც თავად მოვსეს ხორენაცი მიუთითებს, კატინას ნაშრომი ბერძნულ ენაზე იყო შესრულებული, თავად ნაშრომი კი, დაკარგულია. მეცნიერთა აზრით, ხორენაცის ,,სომხეთის ისტორია” კომპილაციას წარმოადგენს და მისი დიდი ნაწილი მითებსა და ლეგენდეებზეა დაფუძნებული.

116 ილია ჭავჭავაძე. ,,სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი”. ,,ივერია”. ტფილისი. 1899. გვ. 14. იხ. ლენორმანი: ასსირიოლოგიური წერილები, სერია პირველი, წერილი მეორე. («Lettres assyriologiques et épigraphiques» (1871)).

სომეხთა ეგოცენტრული განწყობებისა და პოლიტიკურ სარბიელზე მათი მოსალოდნელი გააქტიურების შესახებ საინტერესო შეფასებას გვთავაზობს რუსი ავტორი, გენერალი ვლადიმერ მაევსკი. იგი XIX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის გენერალურ კონსულს წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერიაში, კერძოდ, არზრუმსა და ვანში, ამიტომ, მის მიერ ოსმალეთში მცხოვრებ სომეხთა შესახებ გამოთქმული შეფასებები სარწმუნო ცნობად უნდა მივიღოთ. კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ტიპოგრაფიაში 1912 წელს დაბეჭდილ თავის ,,ჩანაწერებში" გენერალი მაევსკი მოგვითხრობს: ,,...ქალაქელ სომეხთა ბუნებაში ხასიათის გარკვეული შტრიხები უნდა აღინიშნოს, რომელიც როგორც ჩანს, სულ მცირე ხნის წინ გაუჩნდა ამ ხალხს. ქალაქელ სომეხს, რომელსაც რაიმე სახის განათლებასთან, თუნდაც დაწყებით სკოლასთან აქვს შეხება, განსაკუთრებულად აღმატებული შეგრძნება უჩნდება სომეხი ერის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ. და საერთოდ, მათ უყალიბდებათ გაზრდილი პატივმოყვარეობის გრძნობა, უკმაყოფილო ტონი, განსაკუთრებული თვითკმაყოფილება და იმის განცდა, რომ თუ დღეისათვის სომხები ჯერ კიდევ ვერ თამაშობენ მნიშვნელოვან როლს პოლიტიკაში, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თურქული ჩაგვრის ქვეშ იმყოფებიან. მაგრამ ძალიან მალე, მომავალში, სომეხი ერი აუცილებლად აღორძინდება და მისთვის შესაფერის პოლიტიკურ მდგომარეობას დაიკავებს".[117]

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, XX საუკუნის დასაწყისისათვის უკვე ნათლად იყო გამოკვეთილი ის კონტურები, თუ სად, როგორ და რა საშუალებებით აპირებდნენ სომეხი ნაციონალისტები თავისი ახალი სახელმწიფოს, რაღაც მონოეთნიკური სომხური თემის მსგავსი ,,დიადი არმენიის" შექმნას. სომხური სახელმწიფოს შექმნის ამ გზაზე სომეხთა ულტრანაციონალისტური იდეოლოგიის ძირითადი სტრატეგიული ხაზიც იკვეთება - ამიერკავკასიისა და ანატოლიის მიწების ბუნებრივი და იძულებითი ,,გასომხება", ანუ, იქ მაცხოვრებელი ხალხების გასახლება და ლიკვიდაცია, ამ გზით ხელოვნური ეთნიკური უმრავლესობის მოპოვება, შემდგომ ამ ხალხების კუთვნილი ტერიტორიების ჩამოჭრა, ამ მიწების შეერთება და...

მაგრამ ამ ავადმყოფური იდეის ფრთაშესხმისათვის კიდევ დიდი შრომის გაწევა და გრძელი გზა იყო გასავლელი...

სომეხთა ეროვნული განსაკუთრებულობის შეგრძნება და ეგოცენტრული მისწრაფებები დაედო სწორედ საფუძვლად XIX საუკუნის ბოლოდან მათ ექსპანსიონისტურ განწყობებს და უაღრესად აგრესიული საგარეო პოლიტიკის გატარებას მეზობელი ქვეყნებისა და იქ მცხოვრები ხალხების მიმართ.

---

[117] Маевский Владимир Феофилович. Записки Генерального Консула России в Эрзеруме и Ване Генерала Маевского. Типография Штаба Кавказского Военного Округа. г. Тифлис. 1912. http://www. kurdist.ru/ index. php?option=com_content&task =view&id=130&I temid=1.

§1.3. ქვემო ქართლის ისტორიული კუთვნილების საკითხი და ახალი „ქვათა ღაღადი“

თვალცრემლიანი ჰაოსი ქართლოსს მოადგა კარზედა,
გასაწყლებულსა სახითა, კონკები ეცვა ტანზედა
- ჰე, ძმაო ქართლოს, სადა ხარ, გამოიხედე კარშია?!
ნუთუ დაჩაგრულ მოძმესა ბინას არ მისცემ სახლშია?
ქართლოს გაჰკვირდა, რა ნახა თავის ღვიძლი ძმა მტირალი,
ვერც თვით იმაგრებს ცრემლებსა იმისი შემამზირალი.
ყელს გადაეჭდო, აკოცა, როგორც წესია ძმობისა.
არ დაიშურა ძმამ ძმისთვის ქცევა კეთილის ყოფისა.

ვაჟა ფშაველა. 1899 წ.

სომხური ეთნოსის, როგორც ასეთის, ისტორიული წარმომავლობისა და რასობრივი კუთვნილების შესახებ მსოფლიო სამეცნიერო წრეებში ერთიანი, ჩამოყალიბებული და მწყობრი მოსაზრება არ არსებობს. ამ დებულებას სომეხი თუ სომხური წარმომავლობის მეცნიერებიც იზიარებენ. ასე მაგალითად, წარმოშობით სომეხი ამერიკელი მეცნიერი, ისტორიის დოქტორი, კალიფორნიის ფრესნოს უნივერსიტეტის პროფესორი, ლუის ნალბანდიანი (Louise Nalbandian) თავის მონოგრაფიაში “The Armenian Revolutionary Movement. The Development of Armenian Political Parties through the Nineteenth Century“ („სომხური რევოლუციური მოძრაობა. სომხური პოლიტიკური პარტიების განვითარება მეცხრამეტე საუკუნეში“) პირდაპირ აღნიშნავს, რომ „სომეხი ხალხის წარმომავლობა და მათი ისტორია დღევანდლამდე ბუნდოვან საკითხად რჩება, თუმცა, უკანასკნელი ლინგვისტური და არქეოლოგიური აღმოჩენები გარკვეულ ნათელს ჰფენენ სომეხთა წარსულს“.[118] ერთნი მათ მკვიდრ კავკასიურ ეთნოსად თვლიან და სამხრეთ ამიერკავკასიის აბორიგენ ხალხად მოიაზრებენ. მეორენი მათ ამიერკავკასიაში სამხრეთიდან მოსულ სემიტურ ტომებს - არამეელებს, სირო-ქალდეველებს და ებრაელებს მიაკუთვნებენ, რომლებმაც ადგილობრივი მკვიდრი ხალხების ასიმილაცია მოახდინეს. მესამენი მათ ჩრდილოეთიდან შემოსული სკვითებისა და კიმერიელების შთამომავლებად მიიჩნევენ, რომლებმაც საბოლოო ჯამში მაღალგანვითარებული დიაოხისა და ურარტუს ცივილიზაციები მოაოხრეს და შთანთქეს. სხვები სომხებს ჩრდილო-დასავლეთიდან გადმოხვეწილ ინდო-ევროპული რასის ფრიგიულ ტომებს მიაკუთვნებენ, რომლებიც „ხალხთა დიდი გადასახლების” დროს მოხვდნენ სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და ადგილობრივ ტომებთან ბუნებრივი თუ იძულებითი ასიმილაციის გზით სომეხი ერის კონგლომერატი წარმოქმნეს, ზოგიერთნი სომხებს ინდოეთიდან მოსულ ბოშათა ტომობრივ ჯგუფთან აიგივებენ, ზოგიერთი ავტორი კი, სომხებს მთიელ ქურთებს მიაკუთვნებენ და ა.შ. და ა.შ. და ა.შ. გავმეორდებით და ვიტყვით, რომ სომხური ეთნოსის

[118] Louise Nalbandian. The Armenian Revolutionary Movement. The Development of Armenian Political Parties through the Nineteenth Century. University of California Press. Berkeley, Los Angeles, London. 1963. Third Printing, 1975. Pg. 5. https://archive.org/stream/bub_gb__dIsS3aidr 0C/bub_gb__ dIsS 3aidr0C_djvu.txt.

ისტორიული წარმომავლობისა და რასობრივი კუთვნილების შესახებ ერთიანი, ჩამოყალიბებული და მწყობრი მოსაზრება არ არსებობს.

ვასილი ველიჩკო წერს: ,,ვინ არიან სომხები? მათი წარმომავლობა ნაკლებადაა დადგენელი. ისტორია მოწმობს, რომ ჯერ ბაბილონის ტყვეობის დროს, შემდეგ კი, იერუსალიმის განადგურების შემდეგ, ებრაელთა უზარმაზარი მასები შეერწყნენ სომხებს. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, ისინი, უმეტესწილად, უკიდურესი ბრაქიცეფალები,[119] ე.ი. მოკლეთავიანები არიან და ამ მხრივ, რაც ჩანს შანტრის, ერკერტის, პანტიუხოვისა და სხვათა კვლევებიდან, ახლოს დგანან მთიელ ებრაელებთან და სირო-ქალდეველებთან (აისორებთან). ინგლისელი მეცნიერი ბერტინი კი, მათ იმავე ტიპის ადამიანებად მიიჩნევს, როგორებიც იყვნენ პალესტინისწინა პერიოდის ებრაელები.

პროფესორი დ. ნ. ანუჩინი ამბობს, რომ სომხები არიული ტომის წარმომადგენლები კი არა, არამედ არიანიზირებულები არიან (ენის მიხედვით). ზემოთქმულის მიუხედავად, ისინიც კი, ვინც თავს სომხად თვლის, არ მიეკუთვნება ძირძველ სომხურ ტომს. სომხურმა ჟურნალმა ,,მურჩმა“, სხვა ხალხების სომხებთან ასიმილაციაზე საუბრისას, 90-იანი წლების ბოლოს აღნიშნა, რომ სომხებში საკმაოდ დიდი პროცენტი იყო ასიმილირებული ბოშებისა. ორივე ტომთან გაცნობა დამკვირვებელს მნიშვნელოვან მასალას აძლევს აღნიშნულ ჟურნალში გაკეთებული დასკვნების დასადასტურებლად“.[120]

სომეხთა წარმომავლობის შესახებ თავად სომეხ ავტრებთან ერთობ კურიოზული მსჯელობებიც გვხვდება. აი რას წერს, მაგალითად, სომეხი ისტორიკოსი რუბენ კურიანი: ,,სომხები დღევანდელი შვედეთიდან მოვიდნენ. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რომანული ენები მცირედ განსხვავდებიან სომხური ენისგან. სხვა ენებიდან შემოსული სიტყვებისა და ფრაზების დეფორმაციის გათვალისწინებით, სომხური და რომანული ენების ჟღერადობა ერთმანეთს გავს და ძირითადში ერთნაირია. ვინმემ შეიძლება უარყოს კიდეც ჩვენი მოსაზრებები, მაგრამ შეხედეთ შვედეთის რუკას, მოძებნეთ გრინსონის რაიონი: ობერხალბსტეინის, პატარა სოფელ მიუხლენის, პიზ ჯუბინის და სენტ-მორიცს შორის მდებარეობს ადგილი, დასახელებით პიზ ერი. და რას ნიშნავს იგი?

თურქები და აზიელები სომხების დასახელებას წარმოთქვამენ როგორც ,,ერმენი“. ეს სიტყვა ორი ნაწილისგან შედგება - ერი და მენი. რაც ,,დედამიწის კაცს“ ნიშნავს“.[121] ამავე წიგნის 31-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ დასახელება ვანი (თურქეთის ვილაიეთი) წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან Vent - ქარი, რადგან ვანი ძალიან ქარიანი ქალაქია. თუ ბატონ კურიანის მსჯელობას გავაგრძელებთ, სხვა დასკვნებიც შეიძლება გამოვიტანოთ: თურქულ ენაზე - პიზ ერი, ,,ჭუჭყიან კაცს“ ნიშნავს. მაგრამ ჩვენ კარგად გვესმის, რომ მსგავს მსჯელობებს არავითარი კავშირი არა აქვს მეცნიერებასთან და იგი ანეკდოტების სფეროს უფრო განეკუთვნება“.[122]

---

119 ბრაქიცეფალია (ბრაქიკეფალია) (ძვ. ბერძნ. βραχύς – „მოკლე” და κεφαλή – „თავი”) – ადამიანის თავის ქალის შედარებით მოკლე და განიერი ფორმა, რომელიც პროპორციებით სფეროს უახლოვდება. თავის ზომების სხვა პარამეტრებთან ერთად, ბრაქიცეფალია მნიშვნელოვანი ინდიკატორული მახასიათებელია ადამიანთა რასების დასახასიათებლად. ბრაქიცეფალია ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, მაგალითად, ჩრდილოეთ აზიის მონღოლოიდური რასისა და მელანეზიური რასის ნეგრიტოს ანთროპოლოგიური ტიპის წარმომადგენლებისთვის. ზოგიერთ ანთროპლოგიურ ტიპსა და რასაში ბრაქიცეფალია უკიდურეს მნიშვნელობებს იღებს თავის ქალის გრძელი და ვიწრო პროპორციებით – ე.წ. დოლიქოცეფალია. ბრაქიცეფალია დამახასითებელია ბალკანეთ-კავკასიის კავკასიური, ანუ, ევროპეიოდული რასის (კავკასოიდის) წარმომადგენლებისთვის.

120 В. Л. Величко. Кавказ 1886-1895. Историческое прошлое. Санкт-Петербург, 1904. http://www.amsi.ge/istoria/somx/velichko.html

121 Кямуран Гюрюн. Армянское Досье. Перевод с турецкого. Язычи. Баку. 1993. Стр. 16. R. Courian. Promartyrs de la Civilisation. Yverdon, 1964 Pg. 27.

122 Кямуран Гюрюн. Армянское Досье. Перевод с турецкого. Язычи. Баку. 1993. Стр. 16.

ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ სომხური ეთნოსის გენეტიკური და ისტორიული წარმომავლობა ერთობ ბუნდოვანია და მსოფლიო სამეცნიერო წრეებში სომეხი ერის წარმომავლობის, მათი კავკასიური ავტოქტონობის შესახებ ერთიანი, დასრულებული და მეცნიერულად დასაბუთებული მწყობრი თეორია არ არსებობს. ჩვენს ამ მოსაზრებას, სხვათა შორის, ცნობილი სომეხი ავტორებიც იზიარებენ. ასე მაგალითად, მანუკ აბეგიანი, ლინგვისტი და ლიტერატურისმცოდნე, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თვლის, რომ სომხები ამიერკავკასიის აბორიგენ მოსახლეობას არ წარმოადგენენ. აი რას წერს პატივცემული აკადემიკოსი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში ,,История армянской литературы“ (,,სომხური ლიტერატურის ისტორია“): ,,როგორია სომეხი ხალხის წარმომავლობა, როდის და როგორ, საიდან და რა გზებით მივიდნენ ამ ადგილებში (ამიერკავკასიაში - ა. ჩ.), რომელ ტომებთან იყვნენ დაკავშირებულნი მანამდე, როგორ გახდნენ შემდეგ სომხები, რამ და როგორი ზემოქმედება იქონია ამ ხალხის ენასა და ეთნიკურ შემადგენლობაზე? ჩვენ ხელთ არა გვაქვს იმის ზუსტი და მყარი ცნობები, რომლებიც ამ კითხვებს გასცემდნენ პასუხს“.[123] სომეხთა ისტორიულ წარსულზე კი, მეორე სომეხი ავტორი, კარაკაშიანი, პირდაპირ წერს, რომ ,,სომეხთა წარსულის შესახებ ცნობები, რომელიც მათ ისტორიად ან მატიანედ შეიძლება მივიღოთ, უბრალოდ არ არსებობს“.[124]

სხვადასხვა დროისა და ეპოქის მეცნიერთა ნაშრომებში გამოთქმული დასკვნების საფუძველზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სამხრეთ ამიერკავკასიაში უძველესი დროიდან არსებობდა გეოგრაფიული არეალი დასახელებით ,,სომხეთი“ (არმენია), რასაც ჯერ კიდევ ,,ისტორიის მამა“, ჰეროდოტე აღნიშნავდა. ცნობილი ფრანგი ლინგვისტი და ისტორიკოსი, საფრანგეთის აღმოსავლურ ენათა უმაღლესი სკოლის (Ecole des langues orientales) სომხური ენის კათედრის გამგე, პროფესორი ფრედერიკ მაკლერი (Frédéric Macler) იზიარებდა ჰეროდოტეს ამ მოსაზრებას. თავის ნაშრომში ,,სომეხი ერი, მისი წარსული და უბედურება“ (,,La Nation arménienne, son passé, ses malheurs“), იგი წერდა, რომ სომხეთი (არმენია) უძველესი დროიდან ცნობილი იყო როგორც გეოგრაფიული დასახელება, მაგრამ ეს ტერიტორიები ყოველთვის როდი იყო სომხებით დასახლებული. აქაური მოსახლეობა არ ლაპარაკობდა იმ ენაზე, რომელიც ჩვენთვის კლასიკური სომხურის, ან გრაბარის ენადაა ცნობილი“.[125]

ფრანსუა ლენორმანი კი თვლიდა, რომ უძველესი დროიდან არარატის ზეგანზე და ვანში ქართველები ცხოვრობდნენ, რომლებიც იქიდან ფრიგიიდან მოსულმა ტომებმა გამოაძევეს ძველი წელთაღრიცხვის VII-VI საუკუნეებში. იმ აზრს, რომ სამხრეთი ამიერკავკასია, და კერძოდ, ვანი, უძველესი დროიდან ქართველური ტომების საცხოვრისს წარმოადგენდა, სომეხი ეროვნების ცნობილი რუსი ლინგვისტი და ორიენტალისტი ქეროფე პატკანოვიც (პატკანიანი) იზიარებდა. 1874 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ თავის ნაშრომში ,,Ванские надписи и значение их для истории Передней Азии“, (,,ვანის წარწერები და მათი მნიშვნელობა წინა აზიის ისტორიისათვის“), იგი წერს:

,,ასურულ წარწერებში, არმენიის მცხოვრებლებს ურარტის ეძახდნენ. და იმდენად, რამდენადაც ნამდვილი სომხები იმ დროისათვის სომხეთში (არმენიაში - ა. ჩ.) არ ცხოვრობდნენ, ცხადი ხდება, რომ ეს ურარტი-არარატელები, ანუ იგივე ალაროდიელები - ის ტომები იყვნენ,

---

123 Манук Абегян. История армянской литературы. Эриван. 1975, стр. 11. http://maxpark.com/ community/ 4109/content/2164659

124 Каракашян. История восточного вопроса. Лондон, 1905. http://maxpark.com/community/4109/ content /2164659

125 Frédéric Macler, La Nation arménienne, son passé, ses malheurs, Paris, Année: 1924, p. 18. https://1905.az/ ru/%d0 %be- %d0% bf% d1% 80% d0% be% d0%b8%d1%81%d1%85%d0%be%d0%b6%d0%b4%d0%b5% d0% bd%d0%b8%d0%b8-%d0%b0%d1%80%d0%bc%d1%8f%d0%bd/

რომლითაც იყო დასახლებული სომხეთი (არმენია - ა. ჩ.) სომხების მოსვლამდე - ანუ, ესენი იყვნენ ქართველები...

სომხები არასდროს თამაშობდნენ განსაკუთრებულ როლს კაცობრიობის ისტორიაში. ეს [არმენია] პოლიტიკური ტერმინი კი არა, არამედ იმ გეოგრაფიული არეალის დასახელებაა, სადაც გაფანტულია სომეხთა ცალკეული დასახლებები...".[126]

რუსი საბჭოთა ისტორიკოსი-აღმოსავლეთმცოდნე და ლინგვისტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, იგორ დიაკონოვი, არ იზიარებს ლენორმანის ჰიპოთეზას პროტოსომხების ფრიგიული წარმომავლობის შესახებ, თუმცა, სომეხთა ეთნოგენეზთან მიმართებაში შედარებითი ლინგვიტიკის პოზიციებიდან გამომდინარე, ცალსახად აღნიშნვს, რომ ,,სომხური ეთნოსის ფორმირება კავკასიის ფარგლებს გარეთ მოხდა".[127]

ამ ადგილებში ადამიანთა გარკვეული საზოგადოება საცხოვრებლად გადმოსახლდა ყველაზე ადრე ძველი წელთაღრიცხვით მე-6 საუკუნეში, უფრო დიდი ალბათობით - მე-4 საუკუნეში. მათ მიიღეს გეოგრაფიული არეალის სახელი - სომხები (არმენები). ერთი რამ, რაც ნამდვილადაა ჩვენთვის ცნობილი, არის ის, რომ ალექსანდრე მაკედონელის მცირეაზიური ლაშქრობის დროს (ძვ. წთ. აღ. 331 წელი) სომხები (არმენები) უკვე ცხოვრობდნენ გეოგრაფიულ არეალში, დასახელებით ,,სომხეთი" (არმენია). მაგრამ ეს არ იყო სომხური სახელმწიფო. იმ დროისათვის აღნიშნული გეოგრაფიული არეალი სპარსთა სახელმწიფოს პროვინციას წარმოადგენდა, დასახელებით ,,სომხეთი". თითქმის ყველა ძირითადი ენციკლოპედიური გამოცემები, მათ შორის დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის 1-ლი, მე-2 და მე-3 გამოცემები, აგრეთვე ბრიტანიკა და თურქული ენციკლოპედია სომეხი ხალხის ეთნიკურად ჩამოყალიბების თარიღად ძვ. წთ. აღ. მე-6 და მე-5 საუკუნეების მიჯნას მიიჩნევს. მთელი განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ შემდგომში, საუკუნეების განმავლობაში, სომეხმა ისტორიკოსებმა ამ პატარა ხალხის ისტორია გააბუქეს და მოიგონეს მითი ე.წ. ,,დიდი არმენიის" შესახებ.[128] ეს საკითხები სრულყოფილადაა გაშუქებული აზერბაიჯანელი მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, საერთაშორისო თურქული აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ საბირ ასადოვის მონოგრაფიაში ,,მითი ,,დიადი არმენიის" შესახებ".

ამჯერად არ ჩავუღრმავდებით სომეხი ეთნოსის წარმომავლობისა და სხვადსხვა თეორიების გნოსეოლოგიური ფესვების კვლევას, ეს არ წარმოადგენს ჩვენს წინაშე დასმული ამოცანის არსს და ეს თემა ძალიან შორს წაგვიყვანს. ამ საკითხების შესახებ უამრავი გამოკვლევა არსებობს. ჩვენ საქართველოს ტერიტორიებზე სომხური ეთნოსის დემოგრაფიული ექსპანსიისა და განთესვის მოკლე მიმოხილვას გავაკეთებთ მხოლოდ, რაც ჩვენი კვლევის თემას ეხება და ჩვენი ინტერესების სფეროშიც შედის. აღნიშნული საკითხი არაერთი ქართველი და უცხოელი ავტორის არაერთ ნაშრომშია განხილული. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი რარიტეტი ,,საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული". საქართველოსა და სომხეთის ისტორიული ტერიტორიების კვლევაზე, მათ კუთვნილებაზე და ეთნოლოგიურ საკითხებზე მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვთ შექმნილი აკადემიკოსებს დავით მუსხელიშვილს, მარიამ ლორთქიფანიძეს, როინ მეტრეველს. განსაკუთრებით აღსანიშნავია გურამ მაისურაძის სამეცნიერო სტატიები და ფუნდამენტური ნაშრომი ,,საქართველოს სომხური

---

[126] Патканов К.П. Ванские надписи и значение их для истории Передней Азии. Журнал Министерства Народного Просвещения. Четвертое десятилетие. Часть CLXXIX. Издательство: Тип. В.С. Балашева и К°. Санкт-Петербург. Январь. 1874. Стр. 111.

[127] Дьяконов И. М. Предыстория армянского народа. История Армянского нагорья с 1500 по 500 г. до н.э. Хурриты, лувийцы, протоармяне / Еремян С. Т. — Ереван: Издательство АН Армянской ССР, 1968. Стр. 266.

[128] Сабир Асадов. Миф о ,,Великой Армении''. Баку. Издательство ,,Азербайджан''. 1999. Стр. 56.

მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს)'', სადაც ღრმა მეცნიერულ დონეზეა წარმოდგენილი ამ საუკუნოვანი, რთული და არაერთგვაროვანი პროცესების პრაქტიკულად ყველა ასპექტი. ასევე ავთანდილ სონღულაშვილის სქელტანიანი მონოგრაფია ,,საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა", რომელიც ნამდვილ ქრესტომათიულ ნაშრომს წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების საკითხებთან მიმართებაში. მდიდარ ფაქტოლოგიურ და წყაროთმცოდნეობის ბაზაზეა განხილული იგივე საკითხები ანზორ თოთაძის ნაშრომში - ,,სომეხი ვაი-მეცნიერების ანტიქართული ისტერია''. სომეხთა საქართველოს ტერიტორიებზე შემოსვლისა და განთესვის მეტად საინტერესო მასალებია გამომზეურებული აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის ნაშრომშიც - ,,ახალი ქვათა ღაღადი, ანუ, ვართ თუ არა მდგმურები'', აგრეთვე შოთა და ოთარ თეთვაძეების ნაშრომში ,,სომხები საქართველოში (უძველესი დროიდან დღემდე)" და ა.შ.

აღნიშნული თემებია შესწავლილი და გაანალიზებული სხვა ქართველ და უცხოელ ავტორებთანაც. მათი აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მიუხედავად ამისა, ჩვენ კიდევ ერთხელ შევეხებით ამ საყოველთაოდ ცნობილი პროცესის ზოგიერთ საინტერესო მომენტს, ხოლო სომეხთა დემოგრაფიული ექსპანსიის საკითხს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, უფრო მეტად გავშლით, რადგან ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიებზე სომეხთა შემოსვლის პერმანენტული და პერიოდული პროცესები რაოდენობრივად და თვისებრივად ახალ საფეხურზე ადის და იგი მკაცრად განსაზღვრულ ელფერს იძენს. ამ საკითხების განხილვისას, ისევე როგორც ზემოთ განხილულ მასალებში,, სრული ობიექტურობისათვის, აქცენტებს ძირითადში არაქართულ (მათ შორის სომხურ) წყაროებზე გავაკეთებთ.

საზოგადოდ, სომხებით დასახლებულ საქართველოს ტერიტორიებს ძირითადში ზემო ქართლის დღევანდელი ახალციხე-ახალქალაქის რეგიონი, აგრეთვე საქართველოს შავიზღვისპირეთის ზოგიერთი უბანი და ამჟამად სომხეთის შემადგენლობაში ჩართული ლორე-ტაშირი, უფრო ზუსტად კი, ისტორიული ქვემო ქართლის ლორე-ბამბაკის რეგიონი შეადგენს. მნიშვნელოვანი რაოდენობით სომხები ცხოვრობენ აგრეთვე თბილისში და ქართლის ზოგიერთ რაიონში. სომხების გარკვეული რაოდენობა გვხდება კახეთის რეგიონშიც. ჩვენი განსაკუთრებული ინტერესების სფეროს, განსახილველი თემიდან გამომდინარე, ლორე-ბამბაკისა და ახალციხე-ახალქალაქის რეგიონები წარმოადგენს. სწორედ ის რეგიონები, რომელთა ტერიტორიულ-პოლიტიკური მოწყობისა და სახელმწიფოებრივი კუთვნილების საკითხი იქცა განხეთქილების ვაშლად 1918-1920 წლებში სომხურ-ქართულ სახელმწიფოებრივ და სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობებში და ეს პრობლემა დღესაც არაა საბოლოოდ მოგვარებული.

დღეს, მეცნიერული თვალსაზრისით უკვე საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის თეორია, რომ სწორედ პროტოქართველები იყვნენ პირველი ევროპელები და სწორედ ისინი წარმოადგენდნენ ზემოთ ხსენებული ტერიტორიების ძირძველ აბორიგენ მოსახლეობას. ისიც შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობის ისტორიაში ორგანიზებული სოციალური საზოგადოებების, განვითარებული კულტურებისა და პირველი სახელმწიფოებრიობის ჩანასახების არსებობაც ამიერკავკასიის სწორედ ამ ტერიტორიებს უკავშირდება. ესეც მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტია.

ამიერკავკასიის ამ რეგიონის დიდ გეოსტრატეგიულ მნიშვნელობაზე მიუთითებდა დიდი ივანე ჯავახიშვილი, როცა წერდა: ,,საქართველო ერთ საუცხოოდ გარემოზიდულს ქვეყანას წარმოადგენს... თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველი ერისათვის ბუმბერაზი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით. დასავლეთით კი, მის ტერიტორიებს შავი ზღვის, აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული… ამ პირობების წყალობითაც შეძლო ქართველმა ერმა თავის ხანგრძლივი ისტორიული არსებობის დროს

მრავალი მტრის მოგერიება და თავის ეროვნების დაცვა. ეს გარემოება საქართველოს მტრებსაც კარგად ესმოდათ და ამიტომ არაერთხელ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის დაჭერა უცდიათ. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მთავრობასაც თავის სახელმწიფოს ამ ბუნებრივი საზღვრების დაცვის უაღრესი მნიშვნელობა მშვენივრად ჰქონდათ გათვალისწინებული და ამის გამო მტრების ყოველს ამგვარს განზრახვასა და წადილს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ".[129]

მოყვანილ ამონარიდში ქართველი ერის საცხოვრისის გეოგრაფიულ აღწერაზე, მის სტრატეგიული მნიშვნელობაზე, აგრეთვე ამ ტერიტორიების ბუნებრივ და ლანდშაფტურ თავისებურებებზეა აქცენტი გაკეთებული, რაც სულაც არაა შემთხვევითი მოვლენა. საზოგადოდ, ყოველი ცივილიზებული ერი მისთვის დამახასიათებელი საწარმოო-სამეურნეო და კულტურული საქმიანობისათვის შესაფერის ბუნებრივ-სამეურნეო გარემოში იქმნის სარბიელს, რის გამოც, უმეტესწილად, ეთნიკური და ბუნებრივ-გეოგრაფიული საზღვრები ერთმანეთს ემთხვევა. ასეთი საზღვრის პოლიტიკური შეცვლა მხოლოდ ძალას ეყრდნობა და დროებითი ხასიათი აქვს. მტკვრისა და არაქსის ხეობები ცალკ-ცალკე ერთმანეთისაგან განსხვავებულ, დამოუკიდებელ გეოგრაფიულ გარემოსა და სამეურნეო კომპლექსებს ქმნიან, რითაც სრულიად ბუნებრივად იხაზება ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიული სამოქმედო ასპარეზი.[130]

,,ქართლის ცხოვრება" კი, გვამცნობს: ,,...კონსტანტინეს (საბერძნეთის მეფეს) რამეთუ შიში აქვნდა კვალად სპარსთა მეფისაგან, შემწეობისათვის დაეზავა მირიანს (ქართლის მეფეს), აღიღო შვილი მირიანისა მძევლად, რომელსაც ერქვა ბაქარ და დამოყვრნა თრდატ (სომხეთის მეფე) და მირიან, და ამზახლნა. მისცა თრდატ ასული მისი, რომელსაც ერქვა სალომე. უჩინა საზღვარი ესრეთ: რომელთა ქვეყანათა მდინარენი დიან სამხრით, მიერთვიან რახსა (არაქსი - ა. ჩ.), ეს ქვეყანანი თრდატის კერძად დაყარნა, და რომელსა ქვეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან, და მიერთვიან მტკვარსა, მირიანის კერძად დაყარნა, და შუამდგომელ იქნა მათი და წარვიდა".[131]

საკამათო არ არის, რომ ისტორიის შემოქმედნი არიან კულტურის სუბიექტები - ერები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ამ განსხვავებულობის აღქმა კი, ეროვნული ტერიტორიის გაცნობიერების გარეშე წარმოუდგენელია. კარგა ხანია შენიშნულია, რომ ისტორიული საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია არ იყო მხოლოდ კონკრეტული გეოგრაფიული სივრცე, შემთხვევით მოქცეული გარკვეული პოლიტიკური ნების გავლენის არეალში. პირუკუ, ეს იყო იმანენტური სოციალ-ეკონომიკური და ეთნიკურ-კულტურული მრავალსაუკუნოვანი განვითარების კანონზომიერი პოლიტიკური გამოვლინება მოცემულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ გარემოში. ამდენად, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია, ეს იყო, შეიძლება ითქვას, ერთიანი ორგანული სისტემა.[132]

დიახ, სწორედ მდინარე მტკვრისა და მდინარე ჭოროხის აუზები ერთის მხრივ, და მდინარე არაქსის აუზი მეორეს მხრივ, წარმოადგენდნენ ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიულ საცხოვრისს.

---

[129] ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი. ისტორიული რარიტეტები. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. (ორიგინალური გამოცემა - ტფილისი. სახელმწიფო სტამბა. 1919.) საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი. კოოპერატივი ,,ბბნ". თბილისი. 1989. გვ. 5-6.

[130] გურამ მაისურაძე. საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს). მეცნიერება. თბილისი. გვ. 17.

[131] გაზეთი ,,კლდე". 1918. №9.

[132] საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნიკურ-კულტურული საფუძვლები. კრებული. სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა. თბილისი. 2014. გვ. 91-92.

საუკუნეების განმავლობაში, მრავალ ობიექტურ გარემოთა შედეგად, ქართლი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებიდან სხვადასხვა მიზეზით მოსული ეთნოსების სამშობლოც გამხდარა. სწორედ აქ, ქართლში ჩაეყარა საფუძველი სხვადასხვა ხალხების ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრების ფენომენს, რაც ქართულ მიწაზე ჩამოსახლებულებს ყველა პირობას უქმნიდა შეენარჩუნებინათ საკუთარი ენა, რელიგია, ტრადიციები და ამასთანავე გაეთავისებინათ ქართველთა კულტურულ-ზნეობრივი ღირებულებები.[133] განსაკუთრებით თბილადაა განწყობილი ,,ქართლის ცხოვრება" საქართველოს მეზობელი კავკასიის ხალხების მიმართ. ამ მხრივ თხზულებას გამოკვეთილი პოზიცია აქვს: როდესაც ქართველები, სომხები, ალბანელები და სხვა კავკასიელი ხალხები ერთად იბრძვიან, მათ მტერი ძნელად თუ დაამარცხებს.[134]

კითხვას, თუ რა დროიდან შეინიშნება სომხური მოსახლეობის არსებობა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე, დღეს ცალსახა პასუხი არ მოეპოვება. ,,ლეონტი მროველის მტკიცებით, სომხური მოსახლეობა საქართველოში ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის ამიერკავკასიაში ლაშქრობამდე, ე.ი. ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებამდე ყოფილა დაფუძნებული. თავის ცნობილ მეფეთა ისტორიაში იგი წერს: ,,და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული".[135] ფაქტი ის არის, რომ ქართველებისა და სომხების ურთიერთობა საუკუნეთა სიღრმიდან მოდის. სომეხი ხალხი კი, გაჭირვების ჟამს იძულებული ხდებოდა თავისი მშობლიური ქვეყანა, სახლი და კარი მიეტოვებინა და თავშესაფარი უცხო ცის ქვეშ ეძებნა.[136] ასეთი ნავსაყუდელი კი, სომხებისათვის, ძირითადად, საქართველო იყო.

სომხური ეთნოსის დასახლება საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე რამდენიმე ტალღას მოიცავდა, რაც ურთიერთობათა გარკვეულ ეტაპებზე ხდებოდა. საქართველოს მოსახლეობის უკანასკნელი, 2002 წლის აღწერის მიხედვით, ქვეყანაში სომეხთა რაოდენობა 249 ათასი იყო, რომელთაგან თითქმის 83 ათასი თბილისში ცხოვრობდა. ამჯერად, ჩვენ საქართველოში სომხური ეთნოსის დემოგრაფიული ექსპანსიისა და განთესვის მოკლე მიმოხილვას გავაკეთებთ მხოლოდ.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხები ისტორიულად ადვილად იტანდნენ სხვა ქვეყანაში დასახლებას. მათი ცნობილი დევიზი იყო და ნაწილობრივ დღესაც რჩება: ,,ვორდეღ ჰაც ენდეღ გნაც, ენდეღ კაც" (სადაც პურია, იქ გაიქეცი და დასახლდი, იქ გამაგრდიო).[137] ანუ, სადაც თბილი პური ცხვება, იქ არის შენი სამშობლოო, - იტყვის სომეხი. ისიც ფაქტია, რომ საუკუნეების მანძილზე უცხო მხარეში მოხვედრილი სომხობა ცდილობდა გარემოს შეწყობოდა და იგი თავისად ექცია. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ხალხებთან და ერებთან მიმართებაში ეს სხვადასხვანაირად ხდებოდა. ეხებოდა რა სომეხი ერის ხასიათს, ცნობილი ქართველი მეცნიერი მიხაკო წერეთელი იმასაც აღნიშნავდა, რომ ,,[სომხები] დაიბუდებენ ხოლმე მისუსტებული ერის ტერიტორიაზე და ხანმოკლე ფარული მეგობრობისა და სოლიდარობის შემდეგ, პირდაპირ ომს უცხადებენ თავიანთ

---

133 ავთანდილ სონღულაშვილი. საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა. გამომცემლობა ,,უნივერსალი". თბილისი. 2018. გვ. 76.

134 თ. ბერაძე, მ. სანაძე. საქართველოს ისტორია. წიგნი I (ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები). თბილისი. 2008. გვ. 35.

135 გურამ მაისურაძე. საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს). მეცნიერება. თბილისი. გვ. 13.

136 ვ. ნალბანდიანი. თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში. თბილისი. 1959. გვ. 14.

137 ავთანდილ სონღულაშვილი. საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა. გამომცემლობა ,,უნივერსალი". თბილისი. 2018. გვ. 76. ჯ. ბაქრაძე. ორი წერილი მესხების შესახებ. თბილისი. 1995. გვ. 14.

მასპინძლებს, - ადე შენი ტერიტორიიდან, მე უნდა დავიჭირო იგი, როგორც უფრო ძლიერმა და ნიჭიერმაო!“.[138]

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად ნიშანდობლივია ცნობილი რუსი ეთნოგრაფისა და ლინგვისტის, ლეონარდ ზაგურსკის მიერ საქართველოს ტერიტორიების შესახებ მოწოდებული ცნობები. იგი XIX საუკუნის შუა ხანებში ეწეოდა თბილისსა და საქართველოში პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას და 1872 წელს მეფის ხელისუფლების სპეციალური დავალებით იმოგზაურა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. თავის ნაშრომში ,,Поездка в Ахалцыхский уезд” (,,Западное Кавказское отделение Императорского русского географического общества”, кн. VIII) (,,მოგზაურობა ახალციხის მაზრაში. (რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების დასავლეთ კავკასიის განყოფილება“, წიგნი VIII)), ზაგურსკი წერს:

,,ჯავახეთი შორეულ წარსულში ქართველებით იყო დასახლებული. მათ დასაბამი მისცეს ახალქალაქს, რაც ახალ ქალაქს ნიშნავს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ სომხებს აქვთ ჩვევა (ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის დაკარგვამდე შეძენილი) - ადვილად მიატოვონ თავისი სამშობლო და ხალისით დასახლდნენ იმ ქვეყანაში, რომელიც მათ მატერიალურ სარგებელს პირდება. გადასახლებისთანავე ისინი აგებენ ეკლესიებს, რომლებშიც, ჩვეულებისამებრ განათავსებენ წინა სამშობლოდან წამოღებულ ძველებურ საეკლესიო წიგნებს. შემდეგ ისინი სახლდებიან ეკლესიების გარშემო, იძენენ უძრავ ქონებას, ხელში იგდებენ ვაჭრობას და მშვენივრად ეგუებიან ახალი ქვეყნის პირობებს.

მათში კარგად განვითარებული თემური სულის წყალობით, სომხები აყალიბებენ მეტ-ნაკლებად კარგად იზოლირებულ თემს, რომელიც არ ასიმილირდება აბორიგენებთან და ინარჩუნებენ თავისი ნაციონალური ხასიათის ძირითად თვისებებს. ამიტომ, გასაკვირი არაა, თუ ქვეყანა, რომელშიც მნიშვნელოვანი ოდენობით დამკვიდრდა ეს საქმიანი და კოლონიზატორი ხალხი, ნელ-ნელა ისეთ სახეს ღებულობს, თითქოს ეს ქვეყანა ოდითგანვე სომხებით იყო დასახლებული“.[139]

ისტორიული სიმართლე კი იმაში მდგომარეობს, რომ ახალქალაქის ციხის აგება ქართველ მეფეს, ფარნავაზს მიეწერება. XV საუკუნემდე იგი ქართველებს ეკუთვნოდა, რომელიც თავის საზღვრებში მთელ ქალაქს იტევდა. 1064 წელს ციხე-ქალაქი სელჩუკიანთა ალფ-არსლანმა აიღო, თუმცა, საქართველომ მალევე დაიბრუნა იგი უკან. XV საუკუნიდან ციხე საბოლოოდ გადავიდა თურქების ხელში, რომლებმაც საფუძვლიანად დაანგრიეს როგორც ციხე, ასევე ქალაქი. ეს უკანასკნელი აღდგენილ იქნა შავშეთის ბეგების მიერ XVII საუკუნეში, და მას შემდეგ იგი წარმოადგენდა საყრდებ პუნქტს, საიდანაც თურქთა დამპყრობლური პარტიები ანხორციელებდნენ ხშირ თარეშს საქართველოზე წალკის მხრიდან.

საქართველოში რუსული ჯარების შემოსვლის შემდეგ მათმა სარდლებმა ყურადღება მიაქციეს თურქთა თარეშს საქართველოზე და მტრის ამ საიმედო თავშესაფარს. 1807 წლის მაისში გრაფმა გუდოვიჩმა შტურმი მიიტანა ციხესიმაგრეზე, მაგრამ იგი უკუგდებულ იქნა. 1811 წელს ციხესიმაგრე ხანმოკლე შეტევის შემდეგ აღებულ იქნა პოლკოვნიკ კოტლიარევსკის მიერ, მაგრამ ბუქარესტის ზავის შემდეგ იგი ისევ თურქეთს დაუბრუნდა.

საბოლოოდ, ახალქალაქი რუსების ხელში გადავიდა მას შემდეგ, რაც 1828 წლის 24 ივლისს ციხესიმაგრე გრაფმა პასკევიჩმა აიღო.[140]

---

138 მიხაკო წერეთელი. ერი და კაცობრიობა. (სოციოლოგიური ანალიზი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1990. გვ. 109.

139 ავთანდილ სონღულაშვილი. საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა. გამომცემლობა ,,უნივერსალი”. თბილისი. 2018. გვ. 123. თ. იველაშვილი. ეთნიკური უმცირესობები სამცხე-ჯავახეთში. თბილისი. 2015.

140 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 6 უკ.

სომეხთა მიერ ქართული ტერიტორიების სათავისოდ გადაქცევის ერთ-ერთი საშუალება ასევე იყო გრიგორიანული ეკლესიების მშენებლობა თბილისში და მის შემოგარენში, ან უკვე არსებული ქართული მართლმადიდებლური ტაძრების გადაკეთება გრიგორიანულ ეკლესიებად როგორც თბილისთან ახლოს, ასევე მთლიანად ქართლში. ეს უკადრისი საქმე სომეხი ნაციონალისტების მიმთვისებლური აქტივობის ერთ-ერთ მთავარ ფორმას წარმოადგენდა. იმდენად, რამდენადაც გარეგნული არქიტექტურული ფორმებით ქართული და სომხური ეკლესიები პრაქტიკულად ერთნაირია (მცირე განსხვავებები მხოლოდ გეომეტრიულ პროპორციებსა და ეკლესიების ინტერიერშია), ამიტომ ძალიან მარტივი იყო ისტორიული ბედუკუღმართობით გაუკაცრიელებულ ქართულ ეკლესიებში ქართული კვალის წაშლა და სომეხთა მიერ მათი დაპატრონება. ეს საქმე მარტივად ,,გვარდებოდა" ქართული წარწერების მოსპობით ან სულაც ეკლესიათა კედლებში ჩატანებული ქართულწარწერიანი ქვების განადგურებით. მაგალითები უამრავია და მათ აქ, ცხადია, ვერ განვიხილავთ. ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ისტორიკოსებს და მკვლევარებს უამრავი ნაშრომი აქვთ ხსენებულ თემებზე გამოქვეყნებული. მსგავსი პროცესები კი, განსაკუთრებით ინტენსიურად სწორედ ქვემო ქართლსა და ტაო-კლარჯეთში მიმდინარეობდა ადრეც და მიმდინარეობს ახლაც.

ამ პროცესების შესახებ ჯერ კიდევ დიდი ილია წერდა:

,,რადგანაც დრო იქნება, როცა ისტორიული ნაშთები და სახსოვრები თავისას იტყვიან, - ვისა სჭირია და ვის უჭირავს ეს ადგილები, და რადგანაც ქვანი, მრავალნი შენობანი, ტაძრები, მონასტრები ჰღაღადებდნენ, რომ ძველის-ძველად ამ ადგილებში ქართველები ყოფილან, რა თქმა უნდა, საჭიროა ამ უტყუარს მოწმეებს ქართველებისას ხმა ჩააწყვეტინონ, ხმა არ ამოაღებინონ. ამისათვის ერთი თქვენი მოსაწონებელი ხერხი უხმარიათ: აუღიათ და, საცა შესძლებიათ და მოუხელებიათ, წაუშლიათ ყოველივე კვალი.

ამისი მოხერხება ძნელი არ არის, ოღონდ ხალისი იყოს და ნამუსი ნებას იძლეოდეს. დღეს ისეთი დღეა, ოღონდ-კი ფონს გახვიდე, შენ შენი გაიყვანო, და მოტყუებით იქნება, თაღლითობით, თუ ოინბაზობით, ამას ვიღა იკითხავს. დღეს ჭკუის საწყაოდ ასეთის საქციელით გამარჯვებაა. არა ერთი და ორი მაგალითია იმისი, რომ ცდილან ნიშანი ქართველობისა დაუკარგონ ძველს შენობას, ტაძარს თუ მონასტერს, ამოფხიკონ ქვაზედ ნაწერი ქართული, ან წაშალონ, ან მთელი ნაჭერი ქვა შენობიდამ ამოიღონ და მის მაგიერ სხვა ჩასვან სომხურის წარწერითა. არა ერთი და ორი მაგალითია ამისთანა ოინისა და ოდესღაც გამოცხადებული იყო აქაურ ქართულ და რუსულ გაზეთებშიც.

სხვათა შორის, განსვენებული დიმიტრი ბაქრაძე[141] მოგვითხრობს ერთს ამისთანა მაგალითს, რომელიც გვანიშნებს ამ მშვენიერ უნარს სომხების ერთგვარ გუნდისას. ართვინში ერთი დიდი

---

[141] დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890წ.წ.) – დიდი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, არქეოლოგი და ეთნოგრაფი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და პოლონეთის არმიების გენერლის, ზაქარია (შაქრო) ბაქრაძის მამა. დაიბადა თბილისის გუბერნიის სოფელ ხაშმში. 1841 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სასულიერო სემინარიაში. შემდეგ სწავლობდა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1850 წელს. 1852-1857 წლებში მუშაობდა გორის სამაზრო სკოლაში. ამავე პერიოდში დაიწყო პუბლიცისტური მოღვაწეობა. ქართულ და რუსულ პრესაში აქვეყნებდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წერილებს. 1861 წლიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა თბილისში. იყო კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის წევრი და საადგილმამულო კომისიის თავმჯდომარე. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ილია ჭავჭავაძესთან და დიმიტრი ყიფიანთან ერთად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი. სიძველეთა თავმოყრისა და დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერის, ,,თბილისის საეკლესიო მუზეუმის" შემქმნელი საქართველოში. 1880-იან წლებში გამანადგურებელი პასუხი გასცა სომეხ მეცნიერს, ქეროფე პატკანოვს, რომელიც ხელაღებით ურყოფდა ,,ქართლის ცხოვრების", როგორც ისტორიული წყაროს მნიშვნელობას. თავის ნაშრომებში დიმიტრი ბაქრაძე დიდ ყურადღებას უთმობდა მატერიალურ კულტურულ ძეგლებს, მათ აღწერას და სალექსიკონო მასალას. 1875 წელს ლექსიკონის სახით შეადგინა ,,კავკასიის

ეკლესიაა თურმე ძველის-ძველი. იქაურს სომხობას მოუწადინებია მზამზარეულად ამ ეკლესიის დაჩემება. მინამ დაიჩემებდნენ, ბერძნები შესცილებიან, - ეგ ეკლესია ძველთაგანვე ქართველებისა ყოფილა, მაშასადამე, ჩვენთვის, ვითარცა მართლმადიდებლებისათვის, უფრო უპრიანიაო. ამ ეკლესიას მართლმადიდებლობის ნიშნად ზედა ჰქონია ქვა ქართულის წარწერითა. სომხებს აღარც უციებიათ, აღარც უცხელებიათ, აუღიათ და იგი ქვა სადღაც წაუბრძანებიათ და მიუმალავთ. ამ გზით იგი ეკლესია მართლმადიდებელთათვის ხელიდამ გამოუტაცნიათ და დღეს სომხებს დაუჩემებიათ“.[142]

არზრუმიდან ჯავახეთში გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობის მიერ ქართული ეკლესიების ფასადებიდან ქართულწარწერიანი ქვების ამოღებისა და განადგურების, ქართული წარწერების ამოფხეკის ფაქტებს ლეონარდ ზაგურსკიც აღნიშნავს სოფელ კუმურდოსთან მიმართებაში: ,,Церкви, храмы, мечети и просто исторические памятники разбросаны по всей Джавахети. Они были в каждом джавахском селе. Несмотря на то, что в 17-18 вв. джавахи приняли Ислам, к христианским сооружениям предков относились с уважением.

Ситуация поменялась после выселения джавахов, когда Джавахети наполнилась христианскими беженцами из Турции и России. Самый значительный храм Джавахети Кумурди был разграблен и разобран: : "...своротили мы немного в сторону для того чтобы осмотреть развалины церкви в Гумурдо. Этот, знаменитый в старину храм находится в самом жалком виде, благодаря эрзерумских переселенцев, которые разобрали значительную часть замечательного памятника для постройки своей церкви, школы и своих жалких жилищ. Вандализм переселенцев дал себя почувствовать не в одном только Гумурдо." (Л. Загурский в своей "Поездке в Ахалцихский уезд", 1872).[143]

და ზოგადად, სომეხი სასულიერო პირების ,,შემოსევას“ საქართველოს მოსახლეობის გრიგორიანულ სარწმუნოებაზე მოქცევისათვის მასობრივი, მეთოდური და გეგმაზომიერი ხასიათი ჰქონდა. ჩვენთვის საინტერესო ისტორიული ქვემო ქართლის ეთნო-კულტურული და რელიგიურ-სულიერი მემკვიდრეობის შესახებ ცნობებს, 1918 წლის 9 ნოემბრის გაზეთი ,,საქართველო” იძლევა, რომელიც რეგიონის ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობას ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირებს:

,,ეს კუთხე ოდითგანვე დასახლებული იყო მარტო ქართველის ტომით და 400-ზე მეტი სოფელი ითვლებოდა. ადგილ-მდებარეობაც ქართველ თავად-აზნაურებისა იყო. ამას ჰმოწმობს ისიც, რომ მე-5 საუკუნეში, ვახტანგ გორგასლანმა აქ რამდენიმე დიდი ეკლესია-მონასტერი ააგო და მასთან სამი საეპისკოპოსო კათედრა:

ახტალის ვრცელი ტაძარი, გააკეთა ვახტანგ გორგასლანმა და დასვა აქ ეპისკოპოსი და ამის ხელთ იქმნა 120 სოფელი.

სიონი ბოლნისისა, ესევე საეპისკოპოსო ტაძარი, რომელთა ეპისკოპოს ბოლნელს ებარა 100-ზე მეტი სოფელი და მისი სამღვდელოება.

ქრისტიანობის უძველესი ძეგლები” (რუსულ ენაზე), რომელიც შეიცავს ცნობებს საქართველოს და სომხეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ, სათანადო ბიბლიოგრაფიითურთ. 1879 წლიდან იყო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 1881 წელს მისი თაოსნობით თბილისში ჩატარდა რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ისტორიის კვლევის გაფართოებას. დიმიტრი ბაქრაძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიის დამხმარე მეცნიერულ დარგებს, როგორიცაა მაგალითად, პალეოგრაფია და სხვა. გარდაიცვალა 1890 წელს. დაკრძალულია თბილისში. მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

[142] ილია ჭავჭავაძე. ,,სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი”. ,,ივერია”. ტფილისი. 1899. გვ. 9. ბაქრაძე. ,,Археологическое путешествие по Гурии и Аджарии”. Стр. 41. http://www. amsi. ge/istoria/ somx/ qvaTa.pdf

[143] Джавахские церкви после мухаджирства. https://javakhi.livejournal.com/62598.html.

მანგლისის ვრცელი ტაძარი, საეპისკოპოსო, რომელსაც ეწოდებოდა მანგლელი, რომელსც ებარა 15-ზე მეტი ქართველი სოფლების სამღვდელოება.

ახპატის ეკლესია, ვრცელი, გუმბათიანი, აღაშენა ვახტანგ გორგასლანმა. დღეს იგი სომეხთ უპყრიათ.

სანაინის ტაძარი, აღშენებული ვახტანგ გორგასლანის შვილისაგან, დღეს უპყრიათ სომხებს".[144]

სტატიაში ნახსენები სანაინისა და ახპატის ეკლესიების სომეხთა მიერ ,,პყრობა", არა ამ ეკლესიების სომხური სახელმწიფოს ტერიტორიებზე მდებარეობას აღნიშნავს 1918 წლისათვის, არამედ ამ ქართული, მართლმადიდებლური ეკლესიების მონოფიზიტურ ტაძრებად გადაკეთებას და საქართველოს ტერიტორიებზე მცხოვრები სომეხი მრევლის მიერ მათ დასაკუთრებას აღნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ. საინტერესოა, რომ ამ ეკლესიათა ნაწილზე ჯერ კიდევ შემორჩენილია ქართული წარწერები. ნაწილი ქართული წარწერებისა ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის მიერ ჩამოფხეკილია, წარწერიანი ქვები კი, მოპარული. ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, არაერთია და ისინი საყოველთაოდაა ცნობილი. იგივე თემის შესახებ, იგივე გაზეთის 217-ე ნომერში კი, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და გამომცემელი, ისტორიის მკვლევარი-პოპულარიზატორი და ლიტერატორი, ზაქარია ჭიჭინაძე თავის სტატიაში ,,ქართული ნაშთები ბორჩალოს მაზრაში", წერდა:

,,ბორჩალოს მაზრა რომ ძველთაგანვე განუყრელი კუთხე იყო საქართველოსი - ამას ამტკიცებს მრავალი ისტორიული საბუთები. ამ კუთხეში ქართველის მკლავით არის გაკეთებული ძველი ნაშთები...

წუღრუღაშენის ტაძარი, მონასტრები, უგუნბათო, მშვენივრად ნაშენი, კეთილ ადგილას, თაღებით. დღეს ხავს-მოდებულია.

დმანისის ტაძარი, კათედრა ტაშირისა, მშვენივრად ნაშენი, უგუნბათო. აქ იჯდა ეპისკოპოსი და იწოდებოდა დმანელად. ეს ტაძარი მაშავრის მდინარეზე ძევს, ორბელიანთ მამულში. ვახ. ორბელიანი მიუძღნის მას შემდეგ სტრიქონებს:

,,გაჰქრი დმანისო და დაინთქე უფსკრულსა მიწა,

ჩემს სატანჯავად რომ არ იდგე ჩემ თვალთა წინა"-ო.

დღეს ეს ტაძარი და მისი მიდამოები ერთი მდიდარი სომხის საკუთრებაა.

წალკის ტაძარი, ტურფად ნაშენი, ძველად იჯდა ეპისკოპოსი, რომელიც განაგებდა ტაშირისა და თრიალეთის ქართულ სოფლებს ჯავახეთამდე.

ვარდის უბნის მონასტერი, უგუნბათო, კეთილ ადგილას ნაშენი.

პირღებულა მონასტერი, კლდეში გამოკაფული, დიდი შენობებით შემკული. ვახუშტის დროს, 1740 წელს, აქ ქართველი არქიმანდრიტი მჯდარა. XII საუკუნეში იგი თამარ მეფემ განაახლა.

ქციის ხეობაში ორი ტაძარი, ერთი გუნბათიანი, აღაშენა მეფე მირდატმა. შემუსრა ლანგ თემურმა. მეორე მცირე მონასტერი, რომელიც ვახუშტის დროს, 1740 წელს, იყო ,,ხუცის ამარ".

ქობერის მონასტერი, შესანიშნავი ტაძარი. დღეს ეს სომეხთა საკუთრებაა.

ძელი ჭეშმარიტის მონასტერი, ქართველთაგან ნაშენი. ქართველი მეფეები ძელი ჭეშმარიტის ჯვარზე აფიცებდნენ ერეკლეს სამეფოს ერთგულებაზე. დღეს იგი სომეხთა ხელშია.

რუსთავის მცირე ეკლესია, რუსთველებისგან აშენებული, ალგეთის ხეობაზედ, სოფელ არაშენდას ახლოს, დღემდე სდგას ქართული წარწერებით.

ფიტარეთის ტაძარი, შესანიშნავი თავის ხუროთმოძღვრებით, მხატვრობითა და ადგილმდებარეობით.

---

[144] გაზეთი ,,საქართველო". 1918 წ. გიორგობისთვის 9. №213.

ტანძიის ვრცელი ტაძარი, აღშენებული ვახტანგ გორგასლანისგან და სამიტროპოლიტო ეკლესიათ დანიშნული. ამის საწმყსოს შეადგენდა რუნონი, გარდაბანი და ბერდუჯი მისი მდინარეებით.

ჰუჯაბის მონასტერი, გუნბათიანი, ფართო, დღეს დაქცეული.

ხოჯორნის ეკლესია, გუნბათიანი, ვრცლად ნაშენი. დღეს შემუსვრილია“.[145]

ახტალა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქართული სამონასტრო კომპლექსია დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე, სადაც შედის 4 ეკლესია, სატრაპეზო, ციხე-გალავანი და კოშკი. ტიპოლოგიურად (გეგმა, პროპორციები, ინტერიერის გადაწყვეტა, ფასადების დეკორაციული მორთულობის პრინციპი) იგი ქართული ჯვარ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ძეგლთა იმ რიგში დგას, რომელიც XI საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნის ჩათვლით გვხვდება. ამასთან, ცალკეული არქიტექტურული თავისებურებები ახტალის მონასტრის მთავარ ტაძარს უკავშირებს XII-XIII საუკუნეების მიჯნის გუმბათიან ეკლესიათა ჯგუფს (ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი, წუღრუღაშენი). ახტალაში ქართულიდან სომხურად ითარგმნებოდა მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო ლიტერატურა. ქართული წარწერები, რომლებიც მრავლადაა მონასტრისა და მისი შემოგარენის ტერიტორიაზე, ცხადყოფს მონასტრის ინტენსიურ ცხოვრებას. ახტალის ინტერიერი თითქმის მთლიანად მოხატულია, კედლების მხატვრობას ქართული ასომთავრული წარწერები ამშვენებს. ინტერიერი, ერთი შეხედვით, თავისი მომეტებული ცისფერ-ლაჟვარდოვანი ფონებით, ძალიან მოგვაგონებს ყინწვისის ტაძრის ინტერიერს. ფრესკებზე, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს ჩატარდა საკონსერვაციო სამუშაოები, მაგარმ მოითხოვს ხელახალ რესტავრაციას. დაზიანებულია ტაძარში მდებარე საფლავის ქვები, რომელთაგან ყველას ქართული (ზოგიერთს ქართულ-რუსული) წარწერები ამშვენებს.

ამ ტაძრის კუთვნილებას წარმოადგენს ერთ-ერთი ქართული ტიპიკონი, რომლის ფრაგმენტებიცაა შემორჩენილი. მნიშვნელოვანია, რომ ეკლესიის კედლის მხატვრობაში შემორჩენილია ქართველთა განმანათლებლის, წმიდა ნინოს ფრესკული გამოსახულება. მართალია, დღეს მისი სახე ჩამომტვრეულია, მაგრამ შარავანდედისა და წარწერის ფრაგმენტი კარგად ჩანს. აქვეა გამოსახული საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დამფუძნებლების, ასურელი მამების: იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, ასევე ათონელი მამების: გიორგი და ექვთიმე ათონელების, ილარიონ ქართველის და სხვათა ფრესკები. მონასტერი XX საუკუნის დასაწყისამდე ფუნქციონირებდა. XVIII საუკუნეში ერეკლე მეფემ ის ალავერდის სპილენძისა და ვერცხლის საბადოებზე სამუშაოდ ჩამოყვანილ ბერძნებს გადასცა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტაძარი კვლავ მართლმადიდებლური დარჩა. სამონასტრო კომპლექსის ჩრდილოეთით, სოფლის შუაგულში, მცირე ბორცვზე დგას ნათალი ქვით ნაგები, წმიდა გიორგის სახელობის პატარა, დარბაზული ეკლესია, რომლის დასავლეთ ფასადზე 10-სტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერაა, საიდანაც ვიგებთ, რომ ის ივანე მხარგრძელის შვილის, ავაგ ათაბაგის საწირველია, რომელიც XIII საუკუნის 50-იან წლებში აუგია პეტრე წინამძღვარს. ამავე სოფელშია სამების ეკლესია – ორნავიანი ნაგებობა, რომელზეც მოსე კანდელაკის წარწერაა. ეს ეკლესია XIII საუკუნით თარიღდება. სამების ეკლესიის საკურთხეველი ქართული ჩუქურთმიანი ქვებითაა აგებული. დღესდღეობით არც ერთი მათგანი არ ფუნქციონირებს.

ქართული ხუროთმოძღვრების კიდევ ერთი საინტერესო ძეგლია კირანცის (ქორინჯის) სამონასტრო კომპლექსი. იგი მდებარეობს თავუშის პროვინციაში, სოფელ კირანციდან სამხრეთ-დასავლეთით 12 კმ-ში. დაარსებულია XIII საუკუნეში. შემადგენელი ნაწილებია 3 ეკლესია, რამდენიმე პორტიკი, სატრაპეზო, სენაკები და დამხმარე შენობები. მონასტერს გარს ერტყა აწ უკვე ნანგრევებად ქცეული დამცავი კედელი, რომლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშიც

[145] ზაქარია ჭიჭინაძე. ქართული ნაშთები ბორჩალოს მაზრაში. გაზეთი ,,საქართველო''. ხუთშაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 14. №217. გვ. 4.

მოთავსებულია თაღოვანი კარიბჭე. ნაგებობების უმეტესობა ნაშენებია აგურითა (რაც იშვიათობაა სომხეთში) და სუფთად თლილი ქვით.

კირანცის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ეკლესია XIII საუკუნით თარიღდება. იგი წარმოადგენს მართკუთხა ფორმის გუმბათოვან დარბაზს. საკურთხევლის ორივე მხარეს არის ორ-ორი პილონი და თითო გვერდითი კაპელა. ეკლესიას თავზე ადგას რვაკუთხა გუმბათი, რომლის ყელიც გაფორმებულია ექვსქიმიანი ვარსკვლავისა და რომბის ფორმის მოჭიქული ფილებით. ეკლესიის ორი შესასვლელით მომლოცველი შედის კარიბჭის მინაშენში. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მთავარ ეკლესიას ორი ცალნავიანი ტაძარი აქვს მიშენებული. სატრაპეზო, რომელიც აგებულია დაუმუშავებული ქვიშაქვითა და რიყის ქვით, მთავარი ეკლესიისგან ჩრდილოეთით მდებარეობს. იგი წარმოადგენს სამ თაღზე აგებულ კამაროვან დარბაზს. კირანცის მონასტრის სატრაპეზო თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე არსებული შუა საუკუნეების არასასულიერო ხუროთმოძღვრების ძეგლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მთავარი ტაძარი და სატრაპეზო შიგნიდან ფრესკებით ყოფილა დაფარული, რაც სომხური სამონასტრო ხუროთმოძღვრებისათვის არ არის დამახასიათებელი. ამაღლების სცენები გუმბათის ქვედა ნაწილშია დაწერილი, ოთხი მახარებელი კი, აფრებზეა გამოსახული. ფრესკების ფრაგმენტებზე შემონახულია ქართული და ბერძნული წარწერები. ეს ცხადყოფს, რომ მონასტერი ქალკედონურ-მართლმადიდებლური იყო. ეკლესიის შიდა და გარე დეკორაციები აერთიანებს ქართულ და სომხურ ხუროთმოძღვრულ ტრადიციებს. ბერების სადგომებისა და დამხმარე სტრუქტურების ნაშთების გარდა, კომპლექსის ტერიტორიაზე შემორჩენილია ძველი სასაფლაოც. ნამონასტრალს დღესდღეობით ეს სახელი იმ სოფლის გამო ეწოდება, რომელთანაც იგი მდებარეობს.

ქობაირის (ქობერის) მონასტერი - კიდევ ერთი ქართული ტაძარია დღევანდელ სომხეთში. მონასტერი ადრეულ შუა საუკუნეებში ჩანს დაარსებული. ერთი პერიოდი ის ლორეს კვირიკიანთა სამეფო კარის წარმომადგენლების ხელში უნდა ყოფილიყო. XIII საუკუნის შუა ხანებისთვის დედათა მცირე სავანე შანშე მხარგრძელის მეუღლის ხელით სომეხთაგან კვლავ ქართველთა მფლობელობაში გადავიდა - სწორედ იმხანად იწყება ქობაირში აქტიური და ფართო სამშენებლო მოღვაწეობა, შენდება და ფრესკებით იმკობა დიდი ტაძარი, შანშეს სახლის წარმომადგენელთა დასაკრძალავი ეკვდერი, აგრეთვე სამრეკლო, სატრაპეზო, სხვა ნაგებობები. ქობაირში მრავლადაა ვრცელი ქართული საქტიტორო წარწერები, ისევე როგორც ქართულწარწერიანი საფლავები, რომლებიც მხარგრძელთა ოჯახის წევრებს, აგრეთვე აქ მოღვაწე პირებს ეკუთვნის (აქვეა ძალზე საინტერესო ეპიტაფია ლექსად).

ქობაირის სამონასტრო კომპლექსს თავის დროზე უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ხეობიდან ის, ფაქტობრივად, შეუმჩნეველია, ხოლო თავად მონასტრიდან მთელი ხეობის გაკონტროლება შეიძლებოდა. დღეისათვის მონასტერი მნიშვნელოვნად არის შელახული, კომპლექსი დღითიდღე იშლება, ამაზე ირგვლივ გაფანტული ლოდებიც მოწმობს, რომლითაც ოდესღაც ძეგლი იყო აგებული. მონასტრამდე მისასვლელი საფეხმავლო ბილიკი ნახევრად მიტოვებულ სომხურ სოფელზე გადის. აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილია მონასტრამდე მისასვლელი ქვის კიბის ნაშთები. თავად ძეგლი ზღვა ისტორიულ მასალას რომ იტევს, ეს თვალის ერთი გადავლებითაც შეიმჩნევა. ძლივს შემორჩენილი კედლის ნაშთები, ისევე როგორც ფრესკები, მაინც დიდებული და შთამბეჭდავია. ჩამოქცეულ კედლებზე ჯერ კიდევ კარგად არის შენახული ქართული ასომთავრული წარწერები.[146]

---

[146] მთვარისა თარხნიშვილი. ახტალიდან ლორემდე – სომხეთში ქართული ტაძრების კვალდაკვალ. http://karibche. ambebi.ge/eklesia/tadzrebi-da-monastrebi/7689-akhtalidan-loremde-somkhethshi-qarthuli-tadzrebis-kvaldakval.html

პრაქტიკულად სრულადაა წარმოდგენილი იმ იდეოლოგიური და რელიგიურ-კულტურული თაღლითობის ფაქტოლოგიური მასალა ანზორ თოთაძის ნაშრომში ,,სომეხი ვაი-მეცნიერების ანტიქართული ისტერია'', რომელსაც სომხები აწარმოებდნენ და დღესაც აწარმოებენ ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებთან მიმართებაში. ხოლო გურამ მარხულიას ზემოთ მოყვანილ ნაშრომში XIX საუკუნის რუსი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, ვასილი ველიჩკოს ციტატაა დამოწმებული, სადაც ზუსტადაა შეფასებული სომეხთა მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული კულტურული ექსპანსიის ძირითადი შტრიხები. თავის ნაშრომში ,,Кавказ. 1886-1895. Русское дело и между племенные вопросы", ველიჩკო წერს: ,,სომხები ხელიდან არ უშვებენ საშუალებას, რომ პარაზიტული გზით წარმოაჩინონ თავისი ისტორიული ,,დამსახურებები'' და დღევანდელი ,,ღირსებები'', თან ისე, რომ ჩირქი მოსცხონ მეზობლად მცხოვრებ ხალხებს, რომლებსაც უფრო ნათელი, უეჭველი და ღირსეული ისტორია ჰქონდათ. ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით, ისინი ქართველებს ყოვლად უნამუსო წესით ძარცვავენ: ისტორიული ძეგლებიდან ფხეკენ ქართულ წარწერებს, ითვისებენ მართლმადიდებლურ სამრეკლოებსა და დაცარიელებულ ეკლესიებს, თხზავენ ისტორიულ ფალსიფიკაციებს და უეჭველ სომხურ სამფლობელოებად იმ ოლქებზე უთითებენ, სადაც თითოეული ქვა ღაღადებს ყოფილ ქართულ სამეფოზე... ისინი მაგალითად, ცდილობენ ისტორიული უფლებები მიითვისონ ახალციხის მაზრაზე. თითოეულმა კავკასიელმა იცის, რომ ამ კუთხეში... მნიშვნელოვანწილად, სომხები, როგორც თურქეთიდან ლტოლვილები, XIX საუკუნის პირველ ნახევარში გამოჩნდნენ იქ''.[147]

მართლაც ყოვლისმომცველი შეფასებაა. ძნელია ერთმნიშვნელოვნად არ დაეთანხმოს კაცი ციტატაში წარმოდგენილ მოსაზრებას. და იქვე: ,,სომხების პირველი დაქირავებული მოღვაწე რუსულ ლიტერატურაში, სენკოვსკი იყო, რომელიც სომეხთა საყოველთაო განდიდების სტილში წერდა ბარონ ბრამბეუსის ფსევდონიმით. შემდეგ სომეხთა აღზევებას აგრძელებდნენ სომეხი ,,ისტორიკოსები'' - ემინი (,,მოსე ხორენაცის ისტორია''), ხუდობაშევი (,,სომხეთის რევიუ''), მოგვიანებით - ერიცოვი (,,კავკასიის ძველი დრო'', 1872, №1) - მიუხედავად წარსულის ისეთი უეჭველი მოწმეებისა, როგორიც წარსულის ისტორიული ძეგლებია, ისინი ერთი მიმართულებით მუშაობდნენ. ისინი, მაგალითისათვის, ცდილობენ მოჰპარონ ქართველებს მათი ისტორიული უფლებები საათაბაგოზე, ე.ი. ათაბაგ ჯაყელის საკუთრებაზე (დღევანდელი ახალციხის რაიონი). ამასთან ერთად, ყოველმა კავკასიელმა იცის, რომ დიდი თამარის გვირგვინის დაფუძნების უეჭველ კვალს ამ რეგიონში მივყავართ და აქაური მუსლიმანური მოსახლეობა გათურქებულ ქართველებს წარმოადგენენ, რომლებიც ქართულად მეტყველებენ. სომხები კი, აქ თურქეთიდან მოვიდნენ XIX საუკუნის პირველ ნახევარში და ისინი ამ რეგიონის აბორიგენ მოსახლეობას არ წარმოადგენენ''.[148] ამ რეგიონის შესახებ, გენერალი ილია ოდიშელიძე,[149] თავის ისტორიულ ნაშრომში, ,,საქართველოს საზღვრები", წერდა:

---

[147] Гурам Мархулия. Турция и Армяно-Грузинский вооруженный конфликт в октябре 1918 года. Сухумский филиал Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили. Тбилиси. 2005. Стр. 7. В. Л. Величко. Кавказ. Русское дело и между племенные вопросы. Санкт-Петербург, 1904.

[148] იქვე.

[149] ილია ოდიშელიძე (1865-) – მეფის რუსეთის ოფიცერი, ქართველი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი და ქართული არმიის გენერალი. გიორგის ჯვრის კავალერი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე და სარდალი. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი, 1887 წელს – ალექსანდრეს სახელობის სამხედრო სასწავლებელი. აქვე ენიჭება პორუჩიკის სამხედრო წოდება და სამსახურს იწყებს 39-ე საარტილერიო ბრიგადაში. 1894 წელს ამთავრებს გენშტაბის აკადემიას. 1895 წლის 4 აგვისტოს ინიშნება კავკასიის კაზაკთა მე-2 დივიზიის შტაბის

,,რაც შეეხება ახალქალაქის მაზრას, ან, ქართულად ჯავახეთს, ეს პროვინცია ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ათასწლეულებში საქართველოს ეკუთვნოდა და არასდროს წარმოადგენდა სომხეთის ნაწილს, თუ არ ჩავთვლით ჩვენი ისტორიის ძალინ მოკლე პერიოდებს, როცა სომეხი თავადები სარგებლობდნენ შექმნილი ხელსაყრელი გარემოებებით და თავიანთი ბანდებით შემოიჭრებოდნენ ჯავახეთში. ჯავახეთში არ არის არც ერთი სომხური ძეგლი, ეკლესია და ა.შ.

ეს პროვინცია, ისევე როგორც დღევანდელი ახალქალაქის მაზრა (ქართულად სამცხე ან მესხეთი), ბათუმის ოლქი (ქართულად შავშეთი და აჭარა), ისპირის (სპერის) პროვინცია და ლაზისტანი, თურქებმა XVI და XVII საუკუნეებში დაიპყრეს. ეს პროვინციები ყოველთვის საქართველოს შემადგენობაში იყო, მათი საერთო დასახელება იყო ,,სამცხე-საათაბაგო" და იგი ერთი პირის მიერ იმართებოდა, რომლის ადგილსამყოფელი ახალციხეში იყო. თურქებმაც ეს პროვინციები ერთ საფაშოდ გააერთიანეს, რომელიც ნახევრადდამოუკიდებელი იყო, მისი მმართველები ჯაყელთა თავადურ ჩამომავლობით გვარს ეკუთვნოდნენ და მათი საგარეო პოლიტიკაც დამოუკიდებელი იყო. ეს მმართველები ქართველები იყვნენ, ხოლო მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი, რიზა-ფაშა ჯაყელი, ეხლაც ცოცხალია და იგი თურქეთის სენატის წევრია...

უფროს ადიუტანტად. 1896 წლის 24 მარტს ენიჭება კაპიტნის წოდება. 1896 წლის 1 ნოემბრიდან კავკასიის მე-2 მსროლელი ბატალიონის ასეულის მეთაურია. 1900 წლის 28 სექტემბერს ინიშნება უსტ-დვინის ციხესიმაგრის შტაბის უფროსად. 1902 წელს ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. 1904 წელს აღმოსავლეთ ციმბირის მე-6 მსროლელი ბრიგადის შტაბის უფროსია და ამავე წლის 6 დეკემბერს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1905 წელს, რუსეთ-იაპონიის ომის მსვლელობისას, ინიშნება მე-3 აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსად. 1910 წელს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1914 წლის 9 იანვარს ინიშნება თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად. 1914 წლის 11 ოქტომბრიდან გენერალ-ლეიტენანტია. იქვე ინიშნება მე-10 არმიის შტაბის უფროსად. 1914 წლის 23 დეკემბერს ინიშნება 1-ლი არმიის შტაბის უფროსად. 1917 წლის 16 იანვარს ინიშნება დასავლეთის ფრონტის მე-15 საარმიო კორპუსის სარდლად. 1917 წლის აპრილში 1-ლი არმიის სარდალია, ხოლო იმავე წლის სექტემბერში ინიშნება მე-3 არმიის სარდლად. 1917 წელსვე გადმოყავთ კავკასიის ფრონტზე და საარმიო კორპუსის სარდლად ნიშნავენ. 1917 წლის ბოლოდან კავკასიის ფრონტის სარდალია. 1918 წლიდან ამიერკავკასიის ფედერაციის, შემდეგ კი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი სამხედრო მეთაური და სარდალია. 1918 წლის ივლისიდან იყო საქართვლოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარმოადგენდა ქართული დელეგაციის წევრს და სამხედრო კონსულტანტს. 1919 წლის 1 მაისს კონფერენციზე წარადგინა ივანე ჯავახიშვილთან ერთად შექმნილი დოკუმენტი, რომელშიც ისტორიული, ეთნოგრაფიული და სამხედრო-სტრატეგიული არგუმენტების გათვალისწინებით დადგენილი იყო საქართველოს ისტორიული საზღვრები. 1920 წლის ბოლოდან იყო საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს წევრი. 1920 წლის 13 დეკემბრიდან 1921 წლის 16 თებერვლამდე განმეორებით ეკავა საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის თანამდებობა. (სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი 27-28). ამ თანამდებობაზე იგი გენერალმა კვინიტაძემ შეცვალა. 1921 წლის მარტში იყო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის სამხედრო მრჩეველი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, მიდის ემიგრაციაში და იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში. მაგრამ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარესა და მთავრობის სხვა წევრებთან დაწყებული კონფლიქტის გამო, მათთან ერთად საფრანგეთში აღარ წასულა და დარჩა კონსტანტინოპოლში. პერიოდულად ჩადიოდა საფრანგეთში, მაგრამ საქართველოს სამთავრობო ემიგრაციასთან კონტაქტში არ შედიოდა და ცხოვრობდა განცალკევებით. თანამშრომლობდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნული იდეოლოგიის მქონე ემიგრაციასთან. აქვეყნებდა წერილებსა და მემუარებს პარიზსა და ბერლინში გამომავალ ემიგრანტულ ,,დამოუკიდებელი ნაციონალური აზროვნების" იდეოლოგიის მატარებელ რუსულენოვან ჟურნალში ,,Кавказ (Le Caucase)" (Der Kaukasus)". გარდაიცვალა 1932 წლის შემდგომ. (Ген. И. Одишелидзе. Роль грузинских меньшевиков в подготовке к войне 1921 года. Кавказ. (Le Caucase). Орган независимой национальной мысли. Париж. Октябрь 1936. №10/34. Стр. 30-33.) გარდაცვალების ზუსტი თარიღი, ადგილი და საფლავის ადგილმდებარეობა უცნობია.

სულ ცოტა ხნის წინ, 1886 წელს, ეროვნებით სომეხი, ვერმიშევი,[150] თავის ოფიციალურ კვლევებში ადასტურებდა იმას, რომ სხვადასხვა სარწმუნოების ქართველები ახალციხისა და ახალაქალაქის მაზრების ძირძველ მოსახლეობას წარმოადგენდნენ. მხოლოდ ახლა, უკანასკნელი 40-50 წლის განმავლობაში, სომხები შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას მათთვის იმდენად ხელსაყრელად მიიჩნევენ და ჩაიფიქრეს ისეთი იმპერიის შექმნა, რომლის ტერიტორიაც ერთნახევარჯერ უფრო დიდი იქნება ვიდრე საფრანგეთისა. სომეხი მოსახლეობა კი მასში 10% იქნება. ახლა მათ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებიც მოუნდათ, რომლებსაც სუფთა ქართული სახელები აქვთ და ათასწლეულების განმავლობაში საქართველოს ეკუთვნოდნენ“.[151]

აზერბაიჯანელი მეცნიერი, აზერბაიჯანის პედაგოგიური უნივერსიტეტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ამრალი ისმაილოვი აღნიშნავს, რომ სომხები ალბათ მსოფლიოში ერთადერთი ერია, რომელთაც უკვე საუკუნეებია შთააგონებენ შემდეგ იდეებს:

ა) კაცობრიობის დანარჩენ ნაწილზე უპირატესობას;

ბ) თურქული მოდგმის ხალხების განადგურებას;

გ) ევროპის, მცირე აზიის, აგრეთვე თურქეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ჩრდილოეთ კავკასიის, რუსეთის სამხრეთი რაიონების, უკრაინისა და მოლდოვის ტერიტორიების დიდი ნაწილის დასაკუთრებას;

დ) ყველა საშუალებებით სხვა ხალხთა ისტორიული კულტურის მითვისებას;

ე) სომეხთა ისტორიის ,,დაძველებას“ და ფალსიფიკაციას;

საქმე იქამდეც კი, მივიდა, რომ სომეხი ავტორი, სურენ აივაზიანი წერს, რომ თურმე ,,ღმერთი და სომხები ერთად მოვიდნენ“. ამ მოსაზრებების არსი იმაში მდგომარეობს, რომ სომხები დედამიწის უპირველეს პატრონებად გამოაცხადონ.[152]

---

150 ქრისტოფორ აბაკუმის ძე ვერმიშევი (სომხ. Քրիստոֆեր Աբակում Վերմիշև) (1863-1932წ.წ.) – თბილისში დაბადებული და გაზრდილი სომეხი ეროვნების სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. 1885 წლისათვის იყო კავკასიის სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე, ახალციხისა და ახალქალაქის განყოფილების უფროსი. 1886 წელს არჩეულ იქნა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივნად, ხოლო 1888 წლიდან იყო სახელმწიფო სახნავ-სათესი მიწების შემფასებელი და მიწათმოქმედების ინსტრუმენტების კავკასიის კომიტეტის მდივანი-კოორდინატორი.. 1891 წელს აირჩიეს ქალაქ თბილისის საბჭოს წევრად. მალე იგი სამუშაოდ ბათუმში გადაიყვანეს, სადაც ეკავა თბილისის სავაჭრო ბანკის განყოფილების უფროსის თანამდებობა. 1896 წლის 7 ოქტომბერს არჩეულ იქნა თბილისის საქალაქო მმართველობის წევრად. 1899 წლიდან კი, მუშაობდა მანთაშევის ნავთობკომპანიაში. 1904 წლის 11 ოქტომბერს აირჩიეს ქალაქ თბილისის თავად, თუმცა მალევე, 1905 წლის 14 სექტემბერს დატოვა ეს თანამდებობა. 1909 წლიდან იყო ბაქოში გამომავალი რუსული გაზეთის ,,ბაქო'' რედაქტორი. მე-11 რუსული წითელი არმიის მიერ აზერბაიჯანის ბოლშევიკური ოკუპაციისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაატოვებინეს თანამდებობა და ჩამოერთვა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებში მუშაობის უფლება. შემდგომი წლები დაკავებული იყო პუბლიცისტური საქმიანობით. იყო სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. გარდაიცვალა 1933 წელს. დაკრძალულია პიატიგორსკში.

151 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 9, ფურცელი (13-14).

152 Амрали Исмаилов. Идеология, философия и преступления армянства и армянского фашизма. Второе исправленное и дополненное издание. – Баку: Фонд «Знание», 2018. Стр. 22. http://anl.az/el_ru/2019/11/cd/Ap2018-270.pdf

§1.4. სომეხთა მშვიდობიანი დემოგრაფიული ექსპანსიის პროცესი საქართველოში

- ბილანი ხალხი ყოფილა, და მინდობილი გულისა,
- აქა ყოფილა კიდევაც სწორედ ხაზინა ფულისა.
სთქვა ეს ჰაოსმა და სოფლად წამოასკუპა დუქანი,
მას აქეთია ჰაოსი არის და არის მსუქანი.
ცოლ-შვილსაც გადმოუძახა ჰაიასტანით აქეთა,
მალე მოვიდნენ და ჩვენაც ხანის ცოლ-შვილად ვნახეთა,
ხოლო ქართლოსის ცოლ-შვილსა ვერ უმზერ მტირალ სახეთა,
რა ჰაოს უთხრა იმათა: „სახლიდან დაიკარგეთა!“...

ვაჟა ფშაველა. 1899 წ.

სომხური სახელმწიფოს შექმნა და სომხური მოსახლეობის პირველი დიდი განთესვა მათი ისტორიული საცხოვრისიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე, ალექსანდრე მაკედონელის სახელს და მისი დიადოქოსებისა[153] და ეპიგონების ეპოქას უკავშირდება. ივანე ჯავახიშვილი გვამცნობს:

,,ჯერ კიდევ ქრისტეს წინათ საქართველო და სომხეთი მეზობლად ყოფილან. მაგრამ თავდაპირველად სომხეთს მცირე ნაწილი ეკავა. და მხოლოდ მას შემდგომ, რაც ანტიოქოს დიდის[154]

---

153 დიადოქოსი (დიადოხოსი) (ძვ. ბერძნ. διάδοχος – მემკვიდრე) – ალექსანდრე მაკედონელის სარდლები, რომლებმაც მისი სიკვდილის შემდეგ, ძველი წელთაღრიცხვის 323-301 წლებში მიმდინარე ხანგრძლივი ომების შედეგად გაინაწილეს ალექსანდრე დიდის მიერ დატოვებული იმპერია. ომების ეს სერია და იმპერიის გაყოფა დასრულდა ძველი წელთაღრიცხვის 301 წლის ზაფხულში გამართული იფსოსის ბრძოლით. იმპერიის ამ გაყოფის შედეგად წარმოიქმნა სახელმწიფოთა ახალი სისტემა, რომელიც ცნობილია ელინისტური სახელმწიფოების სახელით. მასში შევიდნენ ტერიტორიები ადრიატიკის ზღვიდან მდინარე ინდამდე. ეს ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოები იყო – სელევკიდების სახელმწიფო (სირია), ეგვიპტე, ბითინია, პერგამონი და მაკედონია. ხოლო ცნობილი დიადოქოსები იყვნენ ანტიგონე I ცალთვალა და მისი ვაჟი დემეტრე პოლიორკეტი, ანტიპატრი და მისი ვაჟი კასანდროსი, პტოლემაიოს I სოტერი, სელევკოს I ნიკატორი, ლისიმაქე და ევმენი. ალექსანდრეს სარდლების შვილებს კი, ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ეპიგონებს უწოდებენ. თავად ტერმინები ,,დიადოქოსი'' და ,,ეპიგონე'', ასევე ტერმინი ,,ელინიზმი'' შემოტანილ იქნა გერმანელი ისტორიკოსის იოჰან დროიზენის მიერ მის მონუმენტურ ნაშრომში ,,ელინიზმის ისტორია''.

154 აქ სელევკიდების სირიის სახელმწიფოს ერთ-ერთ უდიდეს მმართველზე, ანტიოქე III დიდზეა საუბარი (ძვ. ბერძნ, Αντίοχος Γ' ο Μέγας) (ძვ. წთ. აღ. 241-187წ.წ.). მისი მშობლები იყვნენ სელევკოს II კალინიკა და ლაოდიკა II. ძვ. წთ. აღ. 226 წელს, მამის სიკვდილის შემდეგ, მეფობა ანტიოქეს უფროს ძმას, სელევკოს III-ს შეხვდა, რომელიც მალევე, ძვ. წთ. აღ. 223 წელს, თავისივე ჯარის სარდალმა მოკლა. იმავე წელს ტახტი ანტიოქე III-მ დაიკავა. გამეფებიდან ერთი წლის შემდეგ ცოლად მოიყვანა პონტოს მეფის, მითრიდატე II-ის ასული ლაოდიკა. მისი მეფობის დროს სელევკიდების სამეფომ არნახულ სამხედრო და პოლიტიკურ წარმატებას მიაღწია, შემდეგ კი, დაკნინდა. ძვ. წთ. აღ. 220 წელს ანტიოქე III-მ ჩაახშო მიდიის სატრაპის მოლონისა და მისი ძმის, ალექსანდრეს აჯანყება. ძვ. წთ. აღ. 219-217 წლებში იბრძოდა ეგვიპტის წინააღმდეგ, დაიპყრო ფინიკია და პალესტინა, მაგრამ დამარცხდა რაფიასთან ბრძოლაში და დაკარგა ყველა მონაპოვარი. შემდეგ ილაშქრა აღმოსავლეთში და თავის

სარდლებმა არტაქსიმ (იგივე არტაშეს I - ა. ჩ.) და ზარიადრმა (იგივე ზარეხ ერვანდი - ა. ჩ.) ცალ-ცალკე ორი სომეხთა სამეფო დააარსეს, თვით სომხეთის, ვითარცა პოლიტიკური ერთეულის სამზღვრებიც, გაფართოვდა. (ჩემი ქართველი ერის ისტორია. ტომი I. 59 და Адонцъ. Арменія въ эпоху Юстиніана 395). ეს ზრდა მათი მოსახლეობის ბუნებრივი განვითარებისა და გამრავლების შედეგი არ ყოფილა. სტრაბონის ცნობით სომხეთის მეფეებმა მეზობლებს მიწები წაართვეს. სხვათა შორის, მაშინ ქართველთა ტომებისთვისაც წაურთმევიათ პარიადრის სანახები, რომელიც ტაოსა და სპერს შეიცავდა, ხორზენი და გუგარეთი (გუგარენე), ხოლო ხალიბებსა და მოსინიკებს - კარინი და დერქსინი (იქვე).

ეს ამბავი 191 წ. (ქ. წ.) შემდეგ მომხდარა და სომეხთა პირველი იერიშია ქართველთა მიწა-წყლის დასაპყრობად. ამ დაპყრობილი ქვეყნების ბედი ამით სამუდამოდ და საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. სტრაბონის გუგარენა ანუ გუგარეთი ეხლანდელ ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილს უდრიდა, რომელიც დაახლოვებით ჭოჭკანის, ბოლნის-დმანისის, ლოქის ხეობათა, ტაშირს, აბოცს და თრიალეთის სამხრეთ ნაწილს შეიცავდა. ზოგჯერ გუგარეთს პოლიტიკური მიზეზებისა გამო უფრო ვრცელი მნიშვნელობა ენიჭებოდა და უფრო ფართოდაც იყო ხოლმე შემოხაზული. ამ ქვეყნის წინანდელი სახელის კვალია შერჩენილი ეხლანდელ საგეოგრაფიო სახელ გუჯარეთში (Адонцъ. Арменія въ 425 შენ). ქართული საგეოგრაფიო ტერმინოლოგიით ეს გუგარეთი უფრო ხშირად ქვემო ქართლად იწოდებოდა, ხოლო რუსთა ბატონობის შემდგომ, ბორჩალოს მაზრის სახელით არის ცნობილი...“[155]

ამგვარად, ძვ. წთ. აღ. II საუკუნის დასაწყისში გაძლიერებულმა სომხეთმა მოახერხა არა მხოლოდ მანამდე სულ ცოტა ათასი წლის განმავლობაში ქართველური ტომებით დასახლებული, დასავლეთ-ევფრატის ზემო დინების ვრცელი პლატოების (დერჯანის, კარინითის) მითვისება, არამედ ჭოროხის აუზის სამხრეთის და მტკვრის სათავის ქვეყნების, იბერიის სახელმწიფოს ძირეული პროვინციების (სპერი, ტაო, კოლა), ხოლო მტკვრის შუა დინების სამხრეთით - გოგარენეს (გუგრენა) დაპყრობაც. ეს იყო სომხების პირველი ძლიერი ექსპანსია ჩრდილოეთისაკენ, რომელსაც ხანგრძლივი დროით ქართული მიწების ანექსია მოჰყვა.[156]

სტრაბონის დროსაც, პირველი საუკუნის დასასრულს (ქ. წ.) და პირველი საუკუნის დამდეგს (ქ. შ.) ეს კუთხე ჯერ კიდევ სომეხთა ხელში ყოფილა. მაგრამ უკვე 35 წ-ითგან ქ. შ. მოყოლებული, როდესაც ტაციტის სიტყვით იბერიის მეფეები იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ სომხეთში შემოჭრილ სპარსელებს ებრძოდნენ, და როცა თვით სომხეთშიც კი, ქართველი უფლისწული გამეფდა, ცხადია, მდგომარეობა თვალსაჩინოდ უნდა შეცვლილიყო... პლინიუსის სიტყვებითაც მტკიცდება, რომ თეზი და თრიალეთი მაინც, რომელიც აგრეთვე ფართოდ ნაგულისხმევი გუგარეთის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა, პირველ საუკუნეში ქ. შ. უკვე იბერთ ჰკუთვნებიათ (Natur, his. Cap. VI. §26, ქართველი ერის ისტორია, ტომი I, 60)...

გავლენას დაუმორჩილა პართიისა და ბაქტრიის სამეფოები. ძვ. წთ. აღ. 203 წელს მაკედონიის მეფე ფილიპე V-თან ერთად ეგვიპტეს წაართვა პალესტინა. შეეცადა მცირე აზიის ქალაქებისა და თრაკიის დამორჩილებასაც, რამაც მის წინააღმდეგ პერგამონის სამეფო, როდოსი და რომის რესპუბლიკა აამხედრა. საბოლოოდ ანტიოქე III დიდი დამარცხდა, რამაც ძალზე დაასუსტა სელევკიდების სამეფო. სწორედ ამის შემდეგ გამოაცხადა სოფენეს სომეხმა სატრაპმა ზარიადრმა (ზარეხ ერვანდი) თავი სოფენეს მეფედ, ხოლო არტაქსიმ (არტაშეს I) – დიდი სომხეთის მეფედ.

155 ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი. ისტორიული რარიტეტები. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. (ორიგინალური გამოცემა - ტფილისი. სახელმწიფო სტამბა. 1919.) საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი. კოოპერატივი „ბბნ”. თბილისი. 1989. გვ. 20.

156 დავით მუსხელიშვილი. აღმოსავლელი ქართველი ტომების უძველესი გაერთიანებანი. ანალები. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი. თბილისი. 2008. გვ. 142.

მალე თვით სომეხთა ამ სამეფოების დამოუკიდებელი არსებობაც მოისპო და სომხეთი სპარსეთსა და ბიზანტიას შორის იქმნა განაწილებული… V საუკუნეშიაც, მაგ. ვახტანგ გორგასლანის მეფობაში, გუგარეთი წინანდებურად იბერიის სამეფოს საზღვრებში შედიოდა (Адонцъ. Арменія въ 222). მაგრამ მარტო პოლიტიკურად კი არა, არამედ საეკლესიო წესწყობილების მხრივაც იგი საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა: როგორც VI საუკუნის დამდეგს მომხდარ საეკლესიო კრების მონაწილე მღვდელმთავართა სიითგან სჩანს, ბოლნისის, ცურტავის და რუსთავის საეპისკოპოსოები მცხეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ.[157]

სომეხი ხალხის მასობრივი შემოსვლის პროცესი ისტორიულ ქრთულ მიწებზე უკვე ამიერკავკასიაში არაბთა ბატონობის დროიდან იწყება. დაუნდობელ დამპყრობლებს გამოქცეულ სომხობას საქართველომ ფართოდ გაუღო კარი და ისინი ქართველებისათვის ჩვეული გულარხეინა სტუმართმოყვარეობით შეიფარა თავის კალთებს ქვეშ. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სომხური მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი არაბთა ბატონობამდეც ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიებზე. ამ პერიოდიდან, ე.ი. არაბთა ბატონობის დროიდან დაწყებული, სომხებს საკუთარი, დამოუკიდებელი და ერთიანი სახელმწიფოებრიობა ამიერკავკასიაში ფაქტიურად აღარც ჰქონიათ, თუ არ ჩავთვლით ბაგრატუნების სამეფოს არსებობის ხანმოკლე პერიოდს, აგრეთვე სომეხი კვირიკიანების (ბაგრატუნების უმცროსი შტო) უდღეური, ე.წ. ,,ტაშირ-ძორაგეთის'' ფსევდოსამეფოს არსებობას სწორედ ქვემო ქართლის მიწებზე.

ივანე ჯავახიშვილი წერს: ,,სომეხთა ერისთავთერისთავი აშოტ ბაგრატუნი, რომელმაც სომეხთა სამეფო აღადგინა, თავისი სამეფოს სამფლობელოების გაფართოებისათვის ჩრდილოეთისაკენ ისწრაფვოდა და ქართლის დაპყრობას ცდილობდა... სომეხმა მეფეებმა მოახერხეს და ქვემო ქართლის რაღაც ნაწილი დაიპყრეს, მათ შორის ტაშირი, ანუ ,,ქართველთა ველი".[158] და შემდეგ აგრძელებს:

,,სამშვილდეში 1065 წელს იჯდა ,,სომეხთა მეფე" კვირიკე, რომლის ძმასაც სუმბატი ერქვა. ბაგრატ IV-მ დაატყვევა კვირიკე მეფე ქვეშის მიდამოებში. სომეხთა ერისთავმა დაუთმო მას ყველა ციხე-სიმაგრე, მაგრამ ,,გულმოწყალება გამოიჩინა მეფე ბაგრატმა" (ასეთმა ,,გულმოწყალებებმა" მიიყვანა ქართველები ბოლოსდაბოლოს დღეს არსებულ მდგომარეობამდე - ა. ჩ.) და ჩამოართვა მას მხოლოდ სამშვილდე. ამის სანაცვლოდ საქართველოს მეფეს დაემორჩილნენ ყოველნი სომეხნი...

დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში, კერძოდ, ***დაწყებული 1118 წლიდან, მთელი ეს მხარე, საქართველოს ქვემო ნაწილი და თვითონ ,,სომხითი" საქართველოს უდავო კუთვნილებას წარმოადგენდა და მას სომხები უკვე აღარასოდეს აღარ ფლობდნენ".***[159] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.) დავით აღმაშენებლის (1089-1125წ.წ.) მეფობითგან მოყოლებული, საქართველო იმდენად ძლიერ სახელმწიფოდ იქცა, რომ მისი ზრდა შეუჩერებლივ წინ მიდიოდა XIII საუკუნის პირველ მეოთხედამდის. ვითარცა ერთადერთი ძლევამოსილი საქრისტიანო სახელმწიფო მცირე აზიაში, საქართველო მაჰმადიანთა მონობაში მყოფი სხვადასხვა ქრისტიანული ერების მფარველად და მხსნელად იყო.[160] ამავე პერიოდს უკავშირდება სომხების გორსა და შიდა ქართლში ჩამოსახლება,

---

[157] ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი. ისტორიული რარიტეტები. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. (ორიგინალური გამოცემა - ტფილისი. სახელმწიფო სტამბა. 1919.) საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი. კოოპერატივი ,,ბბნ''. თბილისი. 1989. გვ. 22.

[158] Ив. Джавахишвили. Границы Грузии в исторческом и современном рассмотрений. Тифлис. 1919г. გვ. 37.

[159] დასახელებული ნაშრომი. გვ. 40-41.

[160] ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი. ისტორიული რარიტეტები. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. (ორიგინალური გამოცემა - ტფილისი. სახელმწიფო სტამბა. 1919.) საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი. კოოპერატივი ,,ბბნ''. თბილისი. 1989. გვ. 29.

რაც ქართული სამეფო კარის მიერ იყო ორგანიზებული. ჩამოსახლების მიზეზები გასაგებია - აღებ-მიცემობით, ვაჭრობით, ხელოსნობითა და მეწვრილმანეობით მათ საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებაში უნდა შეეტანათ გარკვეული წვლილი. ეს იყო სომეხთა საქართველოში ჩამოსახლების მეორე დიდი ტალღა.

დიახ, 1118 წლიდან დაწყებული, სომხები ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიებს უკვე აღარასოდეს აღარ ფლობდნენ. და შემდგომი რვაასი წლის განმავლობაში, ე.ი. 1918 წლამდე, სომხები უწყვეტად იმყოფებოდნენ თურქი-სელჩუკების, მონღოლების, შუააზიური თურქმანული ტომების, შემდეგ ოსმალების, სპარსელებისა და რუსების ბატონობის ქვეშ და მათ მიერ შექმნილი იმპერიების შემადგენლობაში. უკეთეს შემთხვევაში - სრულ ვასალურ დაქვემდებარებაში. მთელი ამ რვაასწლიანი პერიოდის განმავლობაში ამიერკავკასიაში მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ სომხებს ეროვნული, რელიგიური, სოციალური და კულტურული კეთილდღეობის ერთი საუკუნე. მაშინ, როცა ისინი მეფე დავით აღმაშენებლის დიდი ძალისხმევით XI საუკუნეში თურქ-სელჩუკთა ბატონობის უღლისაგან განთავისუფლდნენ, ხოლო თამარის ეპოქაში მათ სრულ კულტურულ და სულიერ აღმავლობას მიაღწიეს. დიახ, ,,სწორედ ამ დროს, დავით აღმაშენებლის, დიმიტრი პირველის, გიორგი მესამის და თამარის მეფობაში, როდესაც საქართველომ მცირე აზიაში არზრუმის სულთანს მოახრევინა ქედი, ხოლო სპარსეთში ქ. ყაზვინამდე და გურგანამდე მოაღწია, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული, სომხებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. მათ ძლიერი მფარველი ჰყავდათ. შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ ქალაქ ანისის კულტურული და მოქალაქეობრივი უაღრესი აყვავების ხანა სწორედ ქართველთა პოლიტიკური ბატონობის დროს იყო“.[161] აღნიშნულ საკითხთან კონტექსტში გაზეთ ,,საქართველოს“ 1918 წლის 20 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილ მოწინავე სტატიაში, სათაურით ,,საშინელი ანგარიში“, ბატონი გიორგი გვაზავა წერდა: ,,მას აქეთ, რაც დაინგრა სომხეთის სახელმწიფო და დამარცხებული ერი იძულებული გახდა თითქმის სულ მიეტოვებინა თავისი მიწა-წყალი, საქართველო იყო ერთადერთი მისი თავშესაფარი. მუსულმანობამ დაიპყრო მთელი მცირე აზია, იქ დარჩა მხოლოდ ორი ფრაგმენტი ქრისტიანული კულტურისა - საქართველო და სომხეთი. ამ კულტურულმა სიახლოვემ შვა ზნეობრივი სიახლოვეც და სომეხი მოდიოდა საქართველოში თითქმის როგორც თავის ქვეყანაში. საქართველოს კარი მუდამ ღია იყო მათთვის, ქართველი ერი ძმურად და მეგობრულად ხვდებოდა მათ. სომეხს ხშირად ეჭირა უპირველესი ადგილი სახელმწიფოში. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია მოვიგონოთ, რომ ირაკლი მეფემ მისცა სომხებს ზოგიერთი უპირატესობა სამოქალაქო ცხოვრებაში, დაურიგა მიწა-წყალი, დაუთმო ჩვენი ეკლესიები“.[162]

ლორე-ბამბაკის მხარის უდავოდ ქართულ კუთვნილებასა და მის უდიდეს სტრატეგიულ მნიშვნელობაზე დიდი ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1919 წელს წერდა: ,,ის, რომ ძველ დროშიც ქართველებს კარგად ესმოდათ ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილის უდიდესი როლი და მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს დაცვის საქმეში ეს იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოს მეფეებმა ჯერ ამ მხარის უცხო დამპყრობელთაგან გათავისუფლება დაისახეს ამოცანად, და მხოლოდ იმის შემდეგ რაც თბილისის სამხრეთით მდებარე მიწები დაიბრუნეს, დაიწყეს საქართველოს დედაქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლა. თბილისის აღების შემდეგაც საქართველოს ეს ნაწილი მით უმეტეს არ კარგავდა თავის დიდ მნიშვნელობას. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ლორეს ციხე-სიმაგრე საქართველოს ჯარების მთავარსარდლისა და

---

161 ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი. ისტორიული რარიტეტები. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. (ორიგინალური გამოცემა - ტფილისი. სახელმწიფო სტამბა. 1919.) საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი. კოოპერატივი ,,ბბნ''. თბილისი. 1989. გვ. 29.

162 გაზეთი ,,საქართველო''. პარასკევი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 20. №244. გვ. 1.

სამხედრო მინისტრის, ამირსპასალარის ,,დაჯდომის ადგილს", ანუ, რეზიდენციას წარმოადგენდა".[163] ერთ-ერთი სომეხი ავტორი სომეხთაგან ,,ვანქის'' სახელით წოდებულ ეკლესიაზე, ინტერნეტ-საიტზე წერს: ,,ამ ფერდობზე მდებარეობს მშვენიერი, მოწითალო ფერის თლილი ქვებით ნაგები ჰნე-ვანქის ეკლესია, რომელიც ქართველთა მეფის დიდი მხედართმთავრების - ეროვნებით სომხების, ზაქარია და ივანე ზაქარიანების საკუთრება იყო. ისინი მონოფიზიტები იყვნენ და მათი შვილები ამ მიწებზე არსებული სომხური სამეფოს მმართველებს წარმოადგენდნენ. მათი საგვარეულო საძვალეც აქ მდებარობს. ამ ეკლესიაზე არსებული ქართული წარწერებიც სწორედ ამას ადასტურებენ".

ამ ციტატაში თამარის ეპოქის დიდ ქართველ მხედართმთავრებზე, ზაქარია და ივანე მხარგრძელებზეა საუბარი. სომეხთა იდეოლოგიური ვარიაციებით ისინი გვარით ზაქარიანებად, ხოლო აღმსარებლობის მიხედვით, გრიგორიანელ მონოფიზიტებად და ცხადია, სომხებად არიან მოხსენიებულნი. აქ კიდევ ერთი სომხური, მაგრამ უკვე ძალიან გაცვეთილი ეშმაკობაა ნახმარი. მხარგრძელების მონოფიზიტობაზე აპელირება სხვა არაფერია, თუ არა მათი სომხებად წარმოჩენისა და შესაბამისად ლორეს სომხურ კუთვნილებად წარმოჩენის უსუსური მცდელობა. კარგადაა ცნობილი, რომ რელიგიური სეპარაცია და აღმსარებლობის ეროვნულობასთან იდენტიფიცირება მხოლოდ ზოგიერთ ხალხშია გავრცელებული. მსოფლიოს არც ერთი სხვა ხალხი არ აღიარებს გრიგორიანულ მონოფიზიტობას სომხების გარდა. XIX საუკუნის შუა წლებამდე (სხვათა შორის, დღესაც) ბუნებაში პრაქტიკულად არ არსებობდა არასომეხი ეროვნების ადამიანი, რომელიც კონფესიურად მონოფიზიტი გრიგორიანელი ყოფილიყოს. ცნება, ,,გრიგორიანელი მონოფიზიტი - სომეხი", ფაქტიურად განუყოფელია.

ქართლ-კახეთის სამეფოსა და ერევნის სახანოს რუსეთის იმპერიაში მოქცევის შემდეგ, სწორედ ამიტომ ცდილობდნენ სომხები მოსაზღვრე ტერიტორიებზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის გრიგორიანულ მონოფიზიტობაზე მოქცევას და შემდგომ მათ სომხებად გამოცხადებას, რასაც რუსული ცარიზმიც დიდი ენთუზიაზმით უჭერდა მხარს სომხური ლოიალობისა და Divide et Impera-ს პრინციპზე დაყრდნობით. ამ ისტორიულ ფენომენს სომეხი ავტორები, რა თქმა უნდა, კატეგორიულად უარყოფენ, მაგრამ უტყუარი წყაროები ერთმნიშვნელოვნად მეტყველებენ ამაზე. ,,ცარიზმის ადგილობრივმა მოხელეებმა ახალციხის მოსახლეობას აუკრძალეს ქართულ ეკლესიებში მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის შესრულება და სომხური ენა გააბატონეს," - იტყობინებოდა გაზეთი ,,ივერია" 1891 წელს''.[164] ხოლო იაკობ ხუციანოვმა (ხუციშვილი), პეტრე ხარისჭარაშვილმა (კონსტანტინეპოლში ქართული მონასტრისა და სასულიერო სასწავლებლის დამაარსებელი), მიხეილ თამარაშვილმა, ალიოზ ბათმანაშვილმა, ანდრია წინამძღვრიშვილმა და სხვებმა, აშკარად განაცხადეს: ,,ჩვენი ფიზიონომია, ყოფაქცევა, წმინდა ქართული სახელები დედაკაცებისა, სასაფლაოების ქართულად წარწერანი ცხადად ამტკიცებენ ჩვენს ვინაობას, ძალად ვერ გავუსომხებივართ დღემდის და ახლა რისთვის სომხობა უნდა ვიკისროთ... სომხური ტიპიკონი (წირვა-ლოცვა), ჩვენ ქართველ კათოლიკებს ვერ გაგვასომხებს ისე, როგორც რუსები, ფრანგები, პოლონელები და სხვა ეროვნების ხალხები ბერძნებად, ან რომაელებად არ გახდებიან... ჩვენი ერი, როგორც გრძელტოტებიანი, დიდი ხნის ხეზე გასული ვაზი, ხშირად გაუტაცნია, შეურყევია და აუკლია ქარიშხალს, მაგრამ ნიადაგიდან ამოგლეჯა მისი კი ვერ შეძლებია".[165]

---

[163] Ив. Джавахишвили. Границы Грузии в историческом и современном рассмотрений. Тифлис. 1919г. გვ. 41.

[164] დ. კოჟორიძე. განახლებული მესხეთის ქალაქი. ,,საბჭოთა საქართველო''. თბილისი. 1969. გვ. 202. გაზეთი ,,ივერია''. 1891. №266.

[165] დ. კოჟორიძე. განახლებული მესხეთის ქალაქი. ,,საბჭოთა საქართველო''. თბილისი. 1969. გვ. 202-203. ახალციხის მუზეუმი. ხელნაწერი №2227; №2370, ფურცელი 132.

ადრეც, განსაკუთრებით კი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სწორედ ამ გზით ხდებოდა ქართველი მოსახლეობის გადასომხება და ფსევდოსომხური ეთნიკური უმრავლესობის სურათის შექმნა სომხეთთან მოსაზღვრე ისტორიულ ქართულ მიწებზე და არა მხოლოდ აქ. მდიდარ ფაქტოლოგიურ და ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით სრულად და არგუმენტირებულადაა წარმოდგენილი აღნიშნული პროცესები ანზორ თოთაძისა და იაკობ ახუაშვილის ზემოთ მოყვანილ ნაშრომებში. ობიექტურად, სხვა ერებში კი, ეროვნებისა და კონფესიის ცნებებს ერთმანეთთან არავითარი ურთიერთდამოკიდებულება არა აქვთ, მით უმეტეს ქართველებთან მიმართებაში. ქართველები ოდესღაც იყვნენ წარმართები, ახლა კი არიან მართლმადიდებელი ქრისტიანებიც, კათოლიკებიც და მაჰმადიანებიც, მცირე რაოდენობით სხვა კონფესიების მიმდევრებიც.

ასე, რომ ზემოთ მოყვანილი სომხური არგუმენტი მხარგრძელების არაქართველობის შესახებ, უკვე მოძველებული და ძალიან გაცვეთილია. სომეხ ავტორთა მტკიცებულებების არგუმენტირებისათვის ისინი ნამდვილად აღარ გამოდგება. სომეხთაგან ჰნე-ვანქად წოდებული ეკლესია კი სხვა არაფერია, თუ არა ახპატის ცნობილი ქართული მართლმადიდებლური საკათედრო ტაძარი - ,,ძელი (ჯვარი) ჭეშმარიტი'', რომელიც ზემოთ იყო ჩვენს მიერ მოხსენიებული. გიორგი ჩუბინაშვილს ეს ტაძარი VII-IX საუკუნეებით აქვს დათარიღებული. 2011 წლის ზაფხულში, ქართველ მკვლევართა ინფორმაციით, ჰნე-ვანქში გაცხოველებული სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. ქართული წარწერები ტაძრის გუმბათის ყელზეა, მაგრამ, ამას გარდა, იქ იყო შვიდი ქართული საფლავი ქართული ეპიტაფიით, თუმცა ისინი უკვე გამქრალია და აღარ არსებობს. ტაძარში შემორჩენილია ქართული წარწერა, რომელშიც იხსენიება იოანე მხარგრძელი, რომელიც XIII საუკუნეში ამ მხარის მმართველი იყო.

სომეხთაგან კიდევ ერთ ,,ვანქად'' წოდებული ეკლესიის შესახებ კი აღვნიშნავთ, რომ ,,სწორედ ამ ფერდობზე ვნახეთ საკმაოდ კარგად დაცული თლილი მოწითალო ქვით ნაშენი მოზრდილი უგუმბათო ეკლესია და ნასოფლარი. ამ ეკლესიის წარწერა ბარტოლომეის მიერ გადმოღებული, ბროსემ გამოსცა (Mélages Asiatiques ტ. II). ეკლესია ვანქის სახელით არის მოხსენიებული, ნამდვილად კი ,,თევდორე-წმინდანი" ანუ ,,თედორ-წმინდანი" რქმევია. ეს სახელი ვერ ამოუკითხავს ბროსეს და კიდევ ბევრი სხვა შეცდომები აქვს გარჩევაში".[166] - აღნიშნავს დიდი ქართველი მეცნიერი და ,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" ექვთიმე თაყაიშვილი ქვემო ქართლში ჩატარებული ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიშში.

თამარის მეფობის შემდგომაც, უწყვეტად, ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილი, ანუ, ლორე-ბამბაკ-ტაშირი ქართული სახელმწიფოსა და ქართველთა კუთვნილება იყო მუდამ. ,,ორბელები აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ფეოდალური საგვარეულოს წარმოადგენდნენ XII-XIII საუკუნეებში. თავდაპირველად ისინი ორბეთის ციხეს ფლობდნენ (დღევანდელი თეთრიწყაროს რ-ნი) და სწორედ აქედან წარმოდგება მათი გვარიც.

განსაკუთრებით დაწინაურდნენ ორბელები დემეტრე I-ისა და დავით დემეტრეს ძის მეფობისას, როცა მათმა გვარმა მემკვიდრეობით მიიღო ამირსპასალარის სახელი, ხოლო საგამგებლო ქვეყნად - ლორე. ორბელების სახლის მეთაური - ივანე ორბელი ერთდროულად დაეუფლა ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის სახელს და გიორგი III-ის დროს ანისის გამგებელიც კი იყო, ხოლო მისი ძმა - ლიპარიტ ორბელი, ჯერ ამირახორი და შემდეგ ქართლის ერისთავი გახდა, მაგრამ ორბელები ამასაც არ დასჯერდნენ და გიორგი III-ის ნაცვლად ივანე ორბელის სიძის, დემნა უფლისწულის გამეფებით სურდათ სამეფო კარზე და სამეფოში თავიანთი უპირველესი მდგომარეობის საბოლოოდ განმტკიცება.

ორბელთა შეთქმულება დამარცხდა და შესაბამისად, ისინი სასტიკად დაისაჯნენ. მათი საგვარეულო მამულები კი, მეფის ერთგულ დიდებულებს გადაეცათ. ფიზიკურ სასჯელს მხოლოდ

---

[166] ექვთიმე თაყაიშვილი. დაბრუნება. ემიგრანტული ნაშრომები. ,,მეცნიერება''. თბილისი. 1991. გვ. 40-41.

აზერბაიჯანის ათაბაგთან დახმარებისათვის გაგზავნილი ლიპარიტ სუმბათის ძე და მისი ძენი გადაურჩნენ. მათგან მხოლოდ ივანე დააბრუნეს თამარის დროს საქართველოში ფიცით, მაგრამ მამისეული ქონებიდან მხოლოდ ორბეთი დაუბრუნეს. თამარის დროსვე დააბრუნეს საქართველოში ლიპარიტის შვილიშვილი ლიპარიტ ელიგუმის ძე ორბელი, რომელსაც საგანმგებლოდ სივნიეთი (დღევანდელი სომხეთის სამხრეთის პროვინცია ,,სუინიკი'', იგივე ზანგეზური - ა. ჩ.) უბოძეს. ორბელების ამ შტომ, რომელიც მოგვიანებით გასომხდა, მისცა სწორედ დასაბამი სომეხ ორბელებს".[167] სამწუხაროდ, ჩვენ მართლაც რომ ენციკლოპედიურ ჭეშმარიტებების შესახებ გვიხდება მეტად უსაგნო და თავისთავად ცხადი ფაქტების კონსტატაცია. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საქმე მაინც აუცილებელია. ანბანური ჭეშმარიტებების პერიოდული გამეორება დროებით მაინც შეანელებს იმ აღვირახსნილი უმეცრებისა და უზნეობის ნიაღვარს, რაც ასე მძლავრად მოსჩქეფს სომეხი ავტორებისა და ვაი-მეცნიერებისაგან. ამ საკითხთან დაკავშირებით, ქვევით რამდენჯერმე კიდევ დაგვჭირდება ენციკლოპედიური ჭეშმარიტებების გამეორება, ხაზს ვუსვავთ - გამეორება, და არა მტკიცება.

საკუთრივ მხარგრძელებთან მიმართებაში კი დიდი ისტორიული სიმართლე ასეთია: ,,მხარგრძელები (მხარგრძელიშვილები) დიდებულ ფეოდალთა საგვარეულო იყო XII-XIII საუკუნეების საქართველოში. მათი აღზევება დაიწყო გიორგი III-ის კარზე დემნა უფლისწულის ამბოხების (1177წ.) შემდეგ. განსაკუთრებით გაძლიერდნენ მეფე თამარისა და მისი მემკვიდრეების, ლაშა გიორგისა და რუსუდანის დროს. სამეფო კარზე არსებული ექვსი ვეზირის თანამდებობიდან - ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესის, ათაბაგისა და მსახურთუხუცესისა - ხელში მხარგრძელებსა და მის საგვარეულო წარმომადგენლებს ეპყრათ. მხარგრძელები მსხვილი მემამულეები იყვნენ. მათ მამულებს შეადგენდა ქვემო ქართლისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილი (ანისი, გაგი, თმოგვი, შამქორი), აგრეთვე შემოერთებული სომხეთის თემების მნიშვნელოვანი ნაწილი (ანისი, დვინი, გელაქუნი, ნორბერდი, თავუზი, ერგევანქი და სხვა) აქედან, მხარგრძელების უფროს შტოს (ზაქარიას სახლს) ეკუთვნოდა: ქართლში - ლორე-ტაშირი, სომხეთში შირაქი, არარტი, სივნიეთი. უმცროს შტოს (ივანეს სახლს) - ქვემო ქართლის ნაწილი, სომხეთში - დვინის მხარე. გაგელი მხარგრძელები ფლობდნენ: ქვემო ქართლში გაგის მხარეს, შამქორს (განძამდე) და მის მიმდებარე ტერიტორიებს.

მხარგრძელთა საგვარეულო მონასტრები იყო ახპატის ჯვრის მონასტერი (ძელი ჭეშმარიტი - ა. ჩ.), სანაინი, ქობერი, ჰნევანქი (აქ სწორედ თევდორე-წმინდანზეა საუბარი - ა. ჩ.), კოში და სხვა. არ დასტურდება სომხურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ თითქოს XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ამ მიწებზე ქართველების მფარველობის ქვეშ ჩამოყალიბდა ვასალური სომხური ავტონომიური სახელმწიფო, რომლის მთავრებიც იყვნენ ზაქარიდები (ლ. ბაბაიანი, ჰ. არუთინიანი, ჰ. სამველიანი) არ დასტურება ისიც, რომ ,,მხარგრძელები" იყო მხოლოდ თამარის ამირსპასალარის - სარგისის ზედწოდება და არა გვარი, და, რომ ამ საგვარეულოს ეწოდებოდა არა მხარგრძელები, არამედ - ,,ზაქარიდები" (ა. შაჰნაზარიანი, ს. ერმიანი და სხვა).

XII საუკუნის ბოლოდან მხარგრძელები გვარით, ენით, კულტურით, სარწმუნოებით ქართველები არიან. მათი წინაპრები კი, ქართველები და საერთოდ კავკასიელებიც არ იყვნენ. ერთნი მიიჩნევენ, რომ მათი წინაპრები ეროვნებით ქურთები იყვნენ (მ. ბროსე, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ჰ. მანანდიანი, ი. ორბელი და სხვა). XIII საუკუნის ქართული წყაროები კი, (თამარის ისტორიკოსები) მხარგრძელებს მიიჩნევდნენ ძველი ირანის ლეგენდარული მეფის, არტაქსერქსე I მხარგრძელის (აქიმენიდი) შთამომავლებად. როგორც ჩანს, მხარგრძელთა წინაპრები XI საუკუნის 50-60-იან წლებში გადმოსახლებულან ქვემო ქართლში, რომლის მიზეზიც იოანე ბაგრატიონის ცნობით, მათი

[167] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. მთ. რედაქტორი ირ. აბაშიძე. მთავარი სამეცნიერო რედაქცია. ტომი 7. თბილისი. 1984. გვ. 554-555.

გაქრისტიანება ყოფილა და ამ ნიადაგზე მათი სარწმუნოებრივი დევნა. ქართულ და სომხურ წყაროებში მოხსენიებულ მხარგრძელთა შტოს პირველი წარმომადგენელი იყო ხოსრო, მისი შვილები კი იყვნენ ავაგ-სარგისი და ქარიმი. სწორედ ავაგ-სარგისის შვილი იყო ზაქარია I, თამარის ამირსპასალარის - სარგისის მამა. XII საუკუნის ბოლოს მხარგრძელებს ორი საგვარეულო განშტოება გამოეყო: გაგელები და თმოგველები. კონფესიურად მხარგრძელები თავდაპირველად მონოფიზიტობის აღმსარებლები იყვნენ, ხოლო შემდეგ დიოფიზიტობა მიიღეს. (გაგელები და თმოგველები თავიდანვე დიოფიზიტები იყვნენ)".[168]

შემდგომშიც, ქვემო ქართლის ხსენებულ მიწებს ისევ ქართველები ფლობდნენ. XV-XVII საუკუნეების საქართველოში დიდგვაროვან აზნაურთა გაძლიერება და ახალი ფეოდალური საგვარეულოების ჩამოყალიბება შეიმჩნევა. გადაშენებულ ფეოდალთა ნაოხარ მამულზე ახალი გვარები მოდიან და მკვიდრდებიან. თემურ-ლენგის ამაოხრებელ ლაშქრობებს დიდებულთა არაერთი საგვარეულო შეეწირა.[169] სწორედ ამ ეპოქაზე მოდის ქვემო ქართლში ახალი საგვარეულოს - ბარათაშვილების აღზევება და დაწინაურება, რომელთაც საფუძველი ახალ სათავადოს ჩაუყარეს და ძველი საორბელო საბარათიანოდ აქციეს. XV-XVII საუკუნეებში საბარათიანო მთელ ქართლში უძლიერესი და უდიდესი სათავადო იყო. ბარათაშვილები ქვემო ქართლში საკმაოდ დიდ ტერიტორიებს ფლობდნენ. ისინი სამი მდინარის - ალგეთის, ქციისა (იგივე ხრამი - ა. ჩ.) და მაშავერას მიმდებარე მიწა-წყლის ბატონ-პატრონები იყვნენ. ამ სამ ხეობაში არსებული სოფლები მათ საკუთრებას წარმოადგენდა.[170] იგივეს ვკითხულობთ ქართულ ენციკლოპედიაშიც: ,,ბარათაშვილები - ფეოდალური საგვარეულო XV-XIX საუკუნეებში საქართველოში. ფუძის შემქმნელია ბარათა ქაჩიბაძე-ქაჩიბაიძე... ორბელიანები - (იგივე ორბელიშვილები, ყაფლანიშვილები, ჯამბაკურ-ორბელიანები) ფეოდალური გვარი საქართველოში, ბარათაშვილების ერთ-ერთი შტო. ორბელიანების სამფლობელო იყო ქციისა და დმანისის ხეობათა დიდი ნაწილი, აგრეთვე ტაშირი".[171]

შეუფასებელია ის დოკუმენტური მასალები, რასაც ბატონ ალექსანდრე აბდალაძეს აქვს წარმოდგენილი სანაინთან, ახპატთან და აქაურ სომეხ მოსახლეობასთან დაკავშირებით. ეს მასალები სომხურ წყაროებზეა დაფუძნებული: ,,1437 წ. სომხური ხელნაწერის ანდერძ-მინაწერში ნათქვამია: ,,ჩვენ, ძმობის წევრები (ბერები - ალ. ა.) გავიქეცით და გავიფანტეთ ქართველთა ქვეყანაში... წარჩინებულებთან და ხალხთან ერთად. ამ მიზეზების გამო დავმკვიდრდით სანაინის ამ წმინდა მონასტერში.'' როგორც ვხედავთ, სომხეთიდან ლტოლვილი სომეხი ბერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლორე-ტაშირში მდებარე სანაინი საქართველოს ორგანული ნაწილია. ასევე, 1438 წელს სომხურ ანდერძ-მინაწერში ხუცესი ასტვაწატური გვამცნობს: ,,დავაწერინე ეს წიგნი უცხო ქვეყანაში, საქართველოში, ოვანეს მღვდელს, ახპატის მონასტერში... არქიეპისკოპოს უფალ ზაქარიას წინამძღოლობისას, საქართველოში ალექსანდრე დიდის მეფობისას, ამ მხარეში, ლორეს ოლქში.... ბეშქენის გამგებლობის ჟამს''. აშკარაა, რომ სომეხ ხუცესს ლორე-ტაშირი და მასში მდებარე ახპატი საქართველოს ორგანულ ნაწილად, სომხეთისათვის უცხო მხარედ მიაჩნია. ცხადია, მით უფრო მტკიცე იყო ამგვარი რწმენა, თვალსაზრისი ქართველთა შორის".[172]

საქართველოში სომეხთა შემოსვლის მესამე დიდი ტალღა XV-XVI საუკუნიდან იწყება. ამ პერიოდისათვის მათ სახელმწიფოებრიობა უკვე კარგა ხნის დაკარგული ჰქონდათ და მრავალი

---

168 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. მთ. რედაქტორი ირ. აბაშიძე. მთავარი სამეცნიერო რედაქცია. ტომი 7. თბილისი. 1984. გვ. 270-272.

169 სიმონ ჯანაშია. ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის. შრომები. ტომი II. თბილისი. 1952. გვ. 464.

170 გულიკო მჭედლიძე. ქავთარიშვილების ფეოდალური საგვარეულო. მეისტორიე. გამომცემლობა არტანუჯი. თბილისი. 2019. გვ. 381.

171 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. მთ. რედაქტორი ირ. აბაშიძე. მთავარი სამეცნიერო რედაქცია. ტომი 7. თბილისი. 1984. გვ. გვ. 554-555.

172 ალ. აბდალაძე. მეტი ობიექტურობა. ჟურნალი ,,მნათობი''. 1998. №3-4. გვ. 184.

სომეხი ტოვებდა ისტორიულ სამშობლოს, ვინაიდან იქ მათ ეროვნულ-პოლიტიკური და რელიგიური ნიშნით ავიწროებდნენ. ისინი სხვა ქვეყნებში, და უფრო ხშირად საქართველოში ჰპოვებდნენ თავშესაფარს. სომხეთთან სიახლოვის გამო სომეხი ლტოლვილები ძირითადში სომხეთის მოსაზღვრე საქართველოს ქვემო ქართლის რეგიონში სახლდებოდნენ.

სომეხთა მასიური გადმოსახლების მეოთხე დიდი ტალღა საქართველოში, ირანში სეფიანთა დინასტიის გაძლიერებას, შაჰ-აბას I-ის ამიერკავკასიაში შემოსევას და მისი ბატონობის პერიოდს უკავშირდება, როცა იგი სომხეთის ტერიტორიაზე ერევნის სახანოს აარსებს. ერევნის სახანო 1604 წელს დააარსა შაჰ-აბას I-მა აღმოსავლეთ სომხეთის ტერიტორიაზე, რომლის ცენტრი იყო არარატის ველი ქ. ერევნითურთ. სახანოში მთელი ადმინისტრაციული და სამხედრო ხელისუფლება შაჰის მიერ დანიშნულ სარდალს ეკუთვნოდა. იგი ითვლებოდა ხელმწიფოს ნაცვლად და მას ბეგლარბეგი ეწოდებოდა. სახანო წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულებად - მაჰალებად იყოფოდა. XIX საუკუნის დასაწყისისათვის მათი რაოდენობა 15-ს აღწევდა, რომელთა მმართველებს ნაიბები ან, სხვანაირად ბეგები ეწოდებოდა. ნაიბებს ხშირად გამაჰმადიანებული სომხებისა და ქართველების წრიდან ნიშნავდნენ. ქართველები თვით ერევნის ხანებიც ყოფილან. მაგალითად, გარკვეულ დროს ერევნის ხანი იყო კონსტანტინე კახთა მეფე (იგივე მაჰმად ყული ხანი).

ირანის შაჰის, ნადირ-შაჰ ავშარის (იგივე შაჰ თამაზ I ყული ხანი) (1736-1747წ.წ.) წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობისა და მოკვლის შემდეგ, 1747 წლიდან, ირანი ანარქიამ მოიცვა და მისმა ცალკეულმა სახანოებმა, მათ შორის ერევნის სახანომაც, ნახევრად დამოუკიდებლობა მოიპოვა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კი, ერევნის სახანო ქართლ-კახეთის გაძლიერებული მეფის - ერეკლე II-ის (1744-1798წ.წ.) ვასალი გახდა.

ივანე ჯავახიშვილი: ,,აუტანელ მდგომარეობის გამო, სარწმუნოებრივ და ეროვნულ-პოლიტიკური დევნისაგან სომხობა თავის ქვეყნითგან იყრებოდა, მამაპაპეულ მიწა-წყალს სტოვებდა და სხვა უფრო მყუდრო ქვეყნებში და სახელმწიფოებში ეძებდა თავშესაფარს. საქართველო სომხებისათვის ყველაზე უფრო მახლობელი ქვეყანა და სამეფო იყო, სადაც მათ თავისუფლად შეეძლოთ ცხოვრება, - საქართველოში არასდროს არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი დევნა არ ყოფილა, - და თანაც საქართველოში შემოხიზნულს სომხებს უფრო მეტი იმედი ჰქონდათ, რომ თუ გარემოება მათთვის ხელსაყრელად შეიცვლებოდა, იქითგან თავიანთ სამშობლოში ადვილად დაბრუნებულიყვნენ. ამიტომ იყო რომ დევნილი სომხები საქართველოში იხიზნებოდნენ, ჩვენში ეძებდნენ და პოულობდნენ კიდეც თავიანთთვის თავშესაფარს. სრულებით ბუნებრივია, რომ ისინი სახლდებოდნენ იმ კუთხეში, რომელიც სომხეთის მოსაზღვრე იყო და სადაც თავისუფალი სამოსახლო ადგილი მოიპოვებოდა.

ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ისინი შემოიხიზნებოდნენ ხოლმე სწორედ ქვემო ქართლში, რომელიც ჩრდილოეთით ერევნის მთებს ეკრა, ე.წ. ,,სომხითში", ლორეში, ტაშირში და სხვაგან. ვახუშტის აღნიშნული აქვს, რომ ,,სომხითში" ვახტანგ VI-ის დროს ,,მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნით ქართულითა"-ო (გეოგრაფია, 146). ტაშირის შესახებაც მას ნათქვამი აქვს, რომ იქ ,,მსახლობელნი არიან სარწმუნოებით სომეხნი... და მოსილნი არიან ბინძურად და გაზეთილნი, გრძელ-ჩოხიანნი ავფერად-უშვერად, გარნა არიან ჰაეროვანნი და ტანოვანნი, შემძლენი, ლაშქრობათ შინა გამოუცდელნი, უხმარნი"-ო (იქვე)".[173] ამ პერიოდიდან დაწყებული საგრძნობლად მატულობს საქართველოში სომხური მოსახლეობის რაოდენობაც და მათი როლიც ქვეყნის სავაჭრო-

[173] ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი. ისტორიული რარიტეტები. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. (ორიგინალური გამოცემა - ტფილისი. სახელმწიფო სტამბა. 1919.) საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი. კოოპერატივი ,,ბბნ". თბილისი. 1989. გვ. 35.

ეკონომიკურ სფეროში. ცნობილი ბრიტანელი მეცნიერისა და მკვლევარის, სტივენ ჯონსის (Stephen F. Jones) მიხედვით: ,,XVII საუკუნის მისიონერი დონ ქრისტეფორე დე კასტელი აღნიშნავს, რომ ,,საქართველოს მეფეებს თავის ადმინისტრაციაში მრავალი სომეხი ჰყავდა", ხოლო კირილე თუმანოვი, რეგიონის ერთ-ერთი ცნობილი სწავლული წერდა, რომ ,,...სომხები ისეთივე როლს თამაშობდნენ საქართველოში, როგორსაც ბერძენი და ებრაელი ვაჭრები ოსმალთა იმპერიაში, რომლებიც თავის კომერციულ და დიპლომატიურ კავშირებს იყენებდნენ სომხურ დიასპორებში და საქართველოში ვაჭრობის სფეროს უმეტეს ნაწილს აკონტროლებდნენ".[174]

ერევნის სახანოს ცენტრი იყო ქალაქი ერევანი, რომლის ცეხე-სიმაგრე 1827 წელს გენერალმა პასკევიჩმა აიღო. თურქმანჩაის ზავით (1828წ.) ერევნის სახანო რუსეთს შეუერთდა და ეწოდა ერევნის ოლქი, რომლის მმართველი ერთხანს ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პოეტი, გენერალი ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო.[175] ისიც აღსანიშანავია, რომ რუსეთთან შეერთებამდე დღევანდელი სომხეთის 169155 მაცხოვრებლიდან 33,8% სომხები იყვნენ, ხოლო 49,7% - მუსულმანები".[176] ამ მონაცემებს სომეხი მეცნიერი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი ვარდან ფარსამიანიც ადასტურებს.

რუსეთის სამეფო კარმა ჯერ კიდევ XVIII საუკუნემდე, ქართლ-კახეთის სამეფოსთან დიპლომატიური მოლაპარაკებების კვალდაკვალ დაიწყო სომეხთა ჩამოსახლება აღმოსავლეთ საქართველოში. ერეკლე II მომავალ ,,მფარველს" წინააღმდეგობას ვერ უწევდა და თავისი ქვეყნისთვის შემუშავებულ დიდ პოლიტიკური მიზნებს სწირავდა იმ საუკეთესო მიწებს, რომელზედაც რუსეთის მოთხოვნით სომხებს ასახლებდა. რუსეთს თავი ისე ეჭირა, თითქოს სომეხთა ჩამოსახლებით ქართლ-კახეთისთვის კეთილ საქმეს აკეთებდა, სინამდვილეში კი, სომხური ეთნოსის გაძლიერებით პოლიტიკურ დასაყრდენს იძლიერებდა სამხრეთ კავკასიაში. გარდა ამისა, ასეთ საქმეებში სომეხი ვაჭარ-მოხელენი არცთუ მცირე ფულს იხდიდნენ, რაზედაც რუსული ადმინისტრაცია და ჩინოვნიკები უარს არასდროს ამბობდნენ. რეალობა ის იყო, რომ მეფე ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მეფობის პერიოდში ქართლ-კახეთის სამეფოში სომეხთა შემოსვლა მათი თვალთმაქცური პოლიტიკით ინიღბებოდა.

ისტორიული ლორეს უცილოდ ქართულ კუთვნილებაზე ისიც მეტყველებს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მთელი შემოსავლების მეოთხედს სწორედ აქ აღმოჩენილი სპილენძისა და ვერცხლის მადნების დამუშავებით შემოსული თანხები შეადგენდა ერეკლე II-ის მეფობისას. ომან ხერხეულიძის ცნობით ერეკლე II-მ ,,ფრიადისა ღონისძიებათა და შრომითა ეძება მამულსა თვისსა მიწა ოქროსა და ვერცხლისა". ამგვარი მადნები გამოვლენილ იქნა ახტალაში. ნაგულისხმევია ლორე-ტაშირში მდებარე ახტალა. არ არსებობს ისეთი შემთხვევა, რომ ქართველ მემატიანეებს ერეკლე II-ის მამულად არაქართული მხარე დაესახელებინოთ. ამდენად, საქართველოში ლორე-ტაშირს ძირეულ ქართულ მიწა-წყლად აღიქვამდნენ."[177] ეხება რა, საქართველოს სამხრეთის საზღვრების საკითხს, ივანე ჯავახიშვილი იმავე ნაშრომში აღიშნავს: ,,ერეკლეს მეფობის დროსაც, თუნდაც 1783 წელს, როცა საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, სამხრეთი საზღვარი და მთელი ქვემო ქართლი, ე.ი. სომხითი-ლორე-ბამბაკი-ბორჩალუ, საქართველოს უცილო კუთვნილებას წარმოადგენდა და საზღვარიც უფრო სამხრეთით გადიოდა და გამყოფ ხაზს ერივანის (ბამბაკის) მთები წარმოადგენდა".[178]

---

174 Stephen F. Jones. Georgian-Armenian relations in 1918 to 1919 and 1991 to 1994. A comperison. Pg. 444.

175 ბონდო არველაძე. ერევნის (ირევანის) ისტორიული ცენტრი. მეისტორიე. გამომცემლობა არტანუჯი. თბილისი. 2019. გვ. 381.

176 Парсамян В.А. История армянского народа 1801-1900 г. кн., 1, Ереван, 1977, с. 88.

177 ალ. აბდალაძე. მეტი ობიექტურობა. ჟურნალი „მნათობი". 1998. №3-4. გვ. 184.

178 Ив. Джавахишвили. Границы Грузии в историческом и современном рассмотрений. Тифлис. 1919г. გვ. 44.

XVIII საუკუნის დასაწყისისისათვის ერევნის სახანოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ განსაკუთრებული ხასიათი მიიღო. ამ ბრძოლაში სომხებს მხარს უჭერდა ქართლის მეფე ვახტანგ VI და განჯის მოსახლეობაც. ხოლო ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მეფობის პერიოდში ქართლ-კახეთის სამეფოში სომეხთა შემოსვლის შენიღბული თვალთმაქცური პოლიტიკა ზუსტადაა შეფასებული ბატონ იაკობ ახუაშვილის მიერ: ,,სომხებმა ერთდროულად ორ სკამზე იწყეს ჯდომა, ორმაგი კავშირის შეკვრის ეშმაკური გზა აირჩიეს. ერთის მხრივ, მეფე ერეკლე II-თან ან გიორგი მეფესთან თვალთმაქცობდნენ, საქართველოში შემოიხიზნებოდნენ ხოლმე, ვითარცა დევნილნი და აქ შედარებით მყუდრო თავშესაფარს ჰპოვებდნენ, იმავე დროს, მეორეს მხრივ კი, იდუმალ რუსეთის მფარველობას ამოეფარებოდნენ ხოლმე და საქართველოში რუსეთის მთავრობის დახმარებით თავიანთ საქმეს იკეთებდნენ.[179] აღამაჰმადხანის შემოსევის შემდგომაც და აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების დროსაც ე.წ. ,,სომხითი", ბორჩალო, ბამბაკი, ყაზახი და შამშადილი საქართველოს უცილობელს კუთვნილებას შეადგენდა და შურაგელიც მას ეკუთვნოდა (Дубровинъ. Истор. I, том III, 381-382)".[180]

სომხურ-ქართულ უშუალო თანაარსებობას ცარისტული რუსეთის იმპერიამ დაუსვა წერტილი XIX საუკუნის დასაწყისში, როცა ქართლ-კახეთის სამეფო საკუთარი იმპერიის საზღვრებში მოაქცია და ქართული სახელმწიფოებრიობაც გააუქმა. ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიები, კერძოდ, ქვემო ქართლის ნაწილი, ანუ, ლორე-ბამბაკი, რუსული ადმინისტრაციული დაყოფით, თავისთავად ცხადია საქართველოს შემადგენლობაში დარჩა ტფილისის გუბერნიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სტატუსით. თბილისისავე გუბერნიაში აღმოჩნდა ჩართული ისტორიული სამცხე-ჯავახეთი, ანუ, დღევანდელი ახალციხე-ახალქალაქის რეგიონიც. ამ დროისათვის აქ მცხოვრები სომხები უკვე სრულად იყვნენ ინტეგრირებულნი ქართულ ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. საქართველოს რუსეთის იმპერიაში იძულებითი გაერთიანების შემდეგ, ოდინდელი ქართული ტერიტორია - ლორე-ბამბაკი, თავისი ისტორიული, ეკონომიკური, ადმინისტრაციული, ეთნიკური (დიახ, ეთნიკურიც) და კულტურული სამართალმემკვიდრეობის პრინციპებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ტფილისის და არა ერივანის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა.

1800 წლისთვის საქართველოში მცხოვრები სომხების რაოდენობა რამდენიმე ათას ოჯახს არ აღემატებოდა და მათი წილი ქართული სამეფო-სამთავროების მთლიან მოსახლეობაში უმნიშვნელო იყო. სომხების უმრავლესობა საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და დაბაში ცხოვრობდა, მათი საქმიანობის ძირითად სფეროს ვაჭრობა და ხელოსნობა წარმოადგენდა, ასევე იყვნენ სახელმწიფო სამსახურში და ზოგჯერ ქართველ მეფე-მთავართა დიპლომატიურ დავალებებსაც ასრულებდნენ. გვიან შუა საუკუნეებში სომხები უკვე კარგად იყვნენ ინტეგრირებული ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში.

მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა XIX საუკუნიდან, როდესაც რუსეთის იმპერიამ მიზანმიმართულად დაიწყო სომხების გადმოსახლება და მათი კომპაქტურად განსახლება საქართველოს რეგიონებსა და ქალაქებში, რადგან მათ განიხილავდა იმპერიის მიმართ ყველაზე ლოიალურად განწყობილ ერად კავკასიაში.

დიახ, XIX საუკუნიდან დაწყებული, სომეხთა მშვიდობიანი ექსპანსიის პოლიტიკა ახალ ფაზაში შევიდა. საქართველოს ტერიტორიებზე სომეხთა ჩამოსახლების ეს პროცესები რუსეთის

---

179 იაკობ ახუაშვილი. ახალი ქვათა ღაღადი, ანუ, ვართ თუ არა მდგმურები. საქართველოს ეროვნული აკადემია. სრულიად საქართველოს მამულიშვილთა კავშირი ,,გვარიშვილობა''. თბილისი. 2005. გვ. 39.

180 ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი. ისტორიული რარიტეტები. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. (ორიგინალური გამოცემა - ტფილისი. სახელმწიფო სტამბა. 1919.) საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი. კოოპერატივი ,,ბბნ''. თბილისი. 1989. გვ. 31.

იმპერიული პოლიტიკის შედეგს წარმოადგენდა, რაც რეალურად სხვა არაფერი იყო, თუ არა საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მშვიდობიანი ანექსია. რუსეთ-ირანის ომების დროს (1804-1813 წ.წ., 1826-1828 წ.წ.) ერევნის სახანოში ფართოდ გაიშალა სახალხო მოძრაობა რუსეთთან შეერთების მოთხოვნით, რასაც თავის მხრივ ბიძგს უკვე რუსეთის ფარგლებში მოქცეული საქართველოც აძლევდა. 1828 წლის თურქმენჩაის ზავით, ერევნის სახანო რუსეთს შეუერთდა".[181] ლუის ნალბანდიანი: ,,სომეხთა ოცნებას ავტონომიური ,,რუსეთის სომხური პროვინციის" შექმნა წარმოადგენდა მეფის სუზერენიტეტის ქვეშ. მაგრამ სომხები მალე მიხვდნენ, რომ მათი ჩრდილოელი მეზობლის მიზნები სულაც არ იყო ისეთი ალტრუისტული, როგორც ეს თავიდან ჩანდა. მათ მწარედ გაუცრუვდათ იმედები, როცა მეფე ნიკოლაიმ (აქ ნიკოლაი პირველზეა საუბარი - ა. ჩ.) თავისი 1828 წლის 21 მარტის განკარგულებით ახლადდაპყრობილი ტერიტორიების ანექსია მოახდინა. ამ ტერიტორიებს ,,სომხური პროვინციები" ეწოდა, ***იმპერატორის რეგალიებს კი, ,,სომხეთის მეფის" ტიტული დაემატა.*** 1836 წლის 23 ნოემბრის სტატუტით სომხებს საეკლესიო და საგანმანათლებლო საქმეში ნომინალური თვითმმართველობის ხარისხი მიენიჭათ".[182] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

მოყვანილ ამონარიდში რუსეთის იმპერატორის ტიტულთან მიმართებაში, ავტორი საკითხის გარკვეულ უტრირებას ახდენს. ნიკოლაი პირველის სრული ტიტულატურა იყო ,,სრულიად რუსეთის იმპერატორი, პოლონეთის მეფე (სრულიად რუსეთის იმპერატორებს შორის, სხვათა შორის, ერთადერთი მეფედ კურთხეული პოლონელი მონარქი) და ფინეთის დიდი მთავარი". არავითარი ,,სომხეთის მეფის" ტიტულს ნიკოლაი პირველი არ ფლობდა თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დაწყებული 1118 წლიდან, არავითარი ,,სომხეთის ან სომხური სახელმწიფო" ამიერკავკასიაში აღარ არსებობდა. ლუის ნალბანდიანის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, მეორე სომეხი ავტორი, საბჭოთა რუსეთისა და ე.წ. ,,მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის" პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ,,არწახის გმირი", ზორი ბალაიანი, თავის ნაშრომში ,,Очаг" (,,კერა"), ხაზს უსვამს რუსული ფაქტორის როლს და მნიშვნელობას სომეხთა ამიერკავკასიაში გადმოსახლებისა და მათი კეთილდღეობის პროცესებზე. იგი წერს: ,,რომ არ ყოფილიყო 1828 წლის თურქმენჩაის ზავი, არ ყოფილიყვნენ გრიბოედოვი[183] და აბოვიანი,[184] არ ყოფილიყო რუსი

---

181 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. მთ. რედაქტორი ირ. აბაშიძე. მთავარი სამეცნიერო რედაქცია. ტომი 7. თბილისი. 1984. გვ. 243.

182 Louise Nalbandian. The Armenian Revolutionary Movement. The Development of Armenian Political Parties through the Nineteenth Century. University of California Press. Berkeley, Los Angeles, London. 1963. Third Printing, 1975. Pg. 55. https://archive.org/stream/bub_gb__dIsS3aidr0C/bub_ gb __ dIsS3 aidr0C_djvu.txt.

183 ალექსანდრ სერგეევიჩ გრიბოედოვი (რუს. Алекса́ндр Серге́евич Грибое́дов) (1795-1829წ.წ.) – პოლონური წარმომავლობის რუსი დიპლომატი, პოეტი, დრამატურგი, პიანისტი და კომპოზიტორი. სახელმწიფო მრჩეველი. პოლიგლოტი – ფლობდა არაბულ, თურქულ, ქართულ და სპარსულ ენებს. გრიბოედოვი განსაკუთრებით ცნობილი არის თავისი პიესის გამო ,,ვაი ჭკუისაგან" (,,Горе от ума"), რომელიც დღემდე წარმატებით იდგმება სხვადასხვა თეატრში. გრიბოედოვის წინაპარი, იან გრიბოვსკი (Jan Grzybowski) XVII საუკუნის დასაწყისში გადმოსახლდა რუსეთში. გვარი ,,გრიბოედოვი" წარმოადგენს თავისებურ რუსულ თარგმანს გვარისა Grzybowski. ნაპოლეონ ბონაპარტეს 1812 წლის რუსეთის სამხედრო კამპანიის პერიოდში ალექსანდრ გრიბოედოვი მსახურობდა მოსკოვის ჰუსართა პოლკში. 1818 წლიდან ინიშნება მეფის დიპლომატიური რწმუნებულის მდივნად სპარსეთში. რუსეთ-სპარსეთის 1826-1828 წლების ომის დასრულების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა თურქმენჩაის მოლაპარაკებებში. წარმატებულად დასრულებული მოლაპარაკებების შემდეგ ინიშნება რუსეთის იმპერიის მინისტრ-რეზიდენტად (სრულუფლებიან ელჩად) სპარსეთში. ამავე პერიოდში, 1828 წლის 22 აგვისტოს თბილისში ჯვარი დაიწერა ქართველი თავადის, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულზე, ნინოზე, რომელთან თანაცხოვრებამაც მხოლოდ რამდენიმე კვირა მოუწია. დანიშნულების ადგილზე ჩასვლიდან მოკლე ხანში, 1829 წლის 30 იანვარს რელიგიურ ფანატიკოსთა ბრბომ დაარბია რუსეთის საელჩო თავრიზში. საელჩოს მდივნის გარდა, გააფთრებულმა ბრბომ დახოცა საელჩოს ყველა მოხელე, მათ შორის ალექსანდრ გრიბოედოვი. მოსალოდნელი

ჯარისკაცი, არ იქნებოდა ასეულობით ახლადშექმნილი სომხური კერა, რომლებიც დღეისათვის უკვე სოფლებად და ქალაქებად არიან ქცეული. მხოლოდ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში (60-70-იანი წლები) აქ 200 ათასი სომეხი გადმოსახლდა".[185] აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ობიექტურად და მართლად აშუქებს სომეხთა საქართველოში შემოსვლისა და მათი აქ დასახლების პროცესს აშოტ მელქონიანი, ახალქალაქში დაბადებული და გაზრდილი სომეხი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. თავის სტატიაში ,,Уроки Армяно-Грузинских отношений и проблема Джавакха" (,,სომხურ-ქართული ურთიერთობის გაკვეთილები და ჯავაკხის პრობლემა"), იგი წერს:

,,V საუკუნის მეორე ნახევარში, ვარდან მამიკონიანის ხელმძღვანელობით მიმდინარე ანტისპარსული აჯანყების დამარცხების შემდეგ, მამიკონიანთა მოდგმის რიგმა გავლენიანმა ოჯახებმა პოლიტიკური თავშესაფარი ქართველ დიდებულებთან ნახეს... VII საუკუნის დასაწყისამდე სომეხთა ახალ მიგრაციებს ქართლსა და კახეთში ხელი შეუწყო თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობისათვის რაიმე სახის შეზღუდვების უქონლობამ და ქართველებთან რელიგიურმა თავსებადობამ.

სომეხთა ახალ გადასახლებებს საქართველოში, სომეხთა ანტიარაბული აჯანყებების დამარცხების შემდეგ, VIII და XIX საუკუნეებში ჰქონდა ადგილი.

დიპლომატიური სკანდალის თავიდან ასაცილებლად სპარსეთის მონარქმა ფეთხ ალი შაჰ ყაჯარმა პეტერბურგში თავისი შვილიშვილი, პრინცი ხოსროვ მირზა გააგზავნა. დაღვრილი სისხლის გამოსასყიდათ ხოსროვ მირზამ პეტერბურგში იმპერატორ ნიკოლაი I-თან დიდძალი საჩუქრები ჩაიტანა, მათ შორის ცნობილი ალმასი ,,შაჰი", რომელიც დღეისათვის მოსკოვში, რუსეთის ფედერაციის ,,ალმასის ფონდში" ინახება. ალექსანდრ გრიბოედოვის ნეშტი თავრიზიდან თბილისში ჩამოასვენეს და 1829 წლის ივნისში, მისი დანაბარების თანახმად, მთაწმინდაზე, მამადავითის ტაძრის ეზოში დაკრძალეს. 100 წლის შემდეგ, 1929 წელს, ამ ადგილას ოფიციალურად გაიხსნა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი.

184 ხაჩატურ ავეტიკის ძე აბოვიანი (სომხ. Խաչատուր Ավետիքիսի ձե Աբովիանի) (1809-1848წ.წ.) – სომეხი მწერალი, ახალი სომხური ლიტერატურისა და ახალი ლიტერატურული სომხური ენის ფუძემდებელი, პედაგოგი, ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა ერევანთან ახლოს, სოფელ კარაკენში. 1818-1822 წლებში სწავლობდა ეჩმიაძინში, ხოლო 1824-1826 წლებში – თბილისის ნერსესიანის სომხურ სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1827-1828 წლებში ასწავლიდა სანაინის მონასტერში, 1829 წლიდან კი, მუშაობდა ეჩმიაძინში, საკათოლიკოსოს თარჯიმნად და მდივნად. 1830-1836 წლებში სწავლობდა დერპტის (ტარტუს) უნივერსიტეტში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გახსნა სომხეთში პირველი საერო სასწავლებელი, სადაც სწავლა დამყარებული იყო ევროპულ პედაგოგიურ პრინციპებზე, რითაც კონფლიქტში შევიდა ეკლესიასთან. ამ სასწავლებელში პირველად მიმდინარეობდა სწავლა სასაუბრო სომხური ენით და ახალი სახელმძღვანელოებით. 1837 წელს სომხეთიდან გადმოდის საქართველოში, თბილისში, სადაც 1837-1843 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1843 წლიდან კი, იყო ერევნის სამაზრო სკოლის ზედამხედველი და გერმანელ გეოგრაფთან, მორის ვაგნერთან ერთად მონაწილეობდა აღმოსავლეთ სომხეთის ფიზიკურ-გეოგრაფიულ კვლევებში. იგი იყო სომხეთში მოღვაწე პირველი მკვლევარი, რომელიც სამეცნიერო ეთნოგრაფიით დაინტერესდა. აგროვებდა და სწავლობდა სომხურ, აზერბაიჯანულ და ქურთულ ფოლკლორს. ამავე დროს ეწეოდა ნაყოფიერ ლიტერატურულ, მთარგმნელობით და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. 1845 წელს მოაწყო დამოუკიდებელი ექსპედიცია ქურთებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც ატარებდა ქურთი ხალხის ეთნოგრაფიულ შესწავლას. 1848 წლის გაზაფხულზე ემზადებოდა საქართველოში გასამგზავრებლად, სადაც უნდა მიეღო თბილისის ნერსესიანის სკოლის დირექტორის თანამდებობა, მაგრამ გაურკვეველ ვითარებაში უგზოუკვლოდ დაიკარგა და გაქრა. დღეისათვის მისი სახელი ეწოდა ქალაქს ერევანთან ახლოს, აგრეთვე ქუჩებს – ერევანში, თბილისში, სოჭში, ტარტუში. რამდენჯერმე გამოიცა მისი ნაწარმოებები, მის შესახებ გადაიღეს ბიოგრაფიული ფილმები.

185 Др. Т. Гурбанов. Пришествие армян на Кавказ, или от принудительного гостеприимства к принудительному соседству [З.Балаян, ,,Очаг", Москва, 1984, стр. 120, 192, 273.]. https://1905.az/ru/пришествие-армян-на-кавказ-или-от-прин/

სომხურ-ქართულმა პოლიტიკურმა ურთიერთობებმა ახალ სიმაღლეებს ბაგრატიდების მეფობის დროს მიაღწიეს. ბაგრატიდების ანისის სამეფოს დაცემამ და სელჩუკთა ტომების სომხეთში შემოსევამ, სომეხთა ახალი ემიგრაციული ტალღა გამოიწვია საქართველოში. ეს პროცესები ქართველი მეფეების მიერაც ხალისდებოდა, რადგან ამით ისინი ახალ ქვეშევრდომებს და თურქთა წინააღმდეგ მებრძოლ მეომრებს იძენდნენ. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ქართველთა ყველაზე უფრო გავლენიანმა მეფემ, დავით აღმაშენებელმა, სომეხი დევნილებისათვის საცხოვრებლად განსაკუთებული ადგილები გამოყო თბილისსა და გორში.

XII საუკუნეში და XIII საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთი და ცენტრალური სომხეთის სელჩუკთა უღლისგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში სომხები ქრისტიანულ საქართველოს სამეფოს როგორც განმათავისუფლებელს, ისე აღიქვამდნენ. ამ პერიოდში ორი ხალხის სამხედრო თანამშრომლობამ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. საქართველოს სამეფო კარის პროტექტორატის ქვეშ მყოფმა სომხეთის განთავისუფლებულმა რაიონებმა სრული თვითმმართველობის უფლება მიიღეს. როგორც თამარ მეფის მეფობის პერიოდში, ასევე მის შემდეგ, საქართველოს სომხეთთან მოსაზღვრე ტერიტორიებზე - ტაიკში (ტაო), სამცხეში, ჯავახკ-ჯავახეთში და ა.შ. შერეული სომხურ-ქართული ნახევრადდამოუკიდებელი სამთავროები შეიქმნა...

სომხური ელემენტის გაძლიერება საქართველოში და ქართული სამეფოს ბატონობის ქვეშ მყოფ სომხეთის ჩრდილოეთ რაიონებში, განსაკუთრებით XVIII საუკუნეში გაძლიერდება. სპარსეთის შაჰების, ნადირისა და აღა მაჰმად ხანის გამანადგურებელი შემოსევების დროს, 1794-1796 წლებში, სომეხთა მასობრივი გადასახლებები მოხდა თბილისში, მუხრანში, ბოლნის-ხაჩინსა და სხვა ადგილებში. ამ საქმეში, დიდ დაინტერესებას იჩენდნენ, კერძოდ, მეფე ერეკლე II და გიორგი XII. მათი ბრძანებით ყარაბაღის ზოგიერთმა მელიქმა, აბოვმა, ჯუმშუდმა და სხვებმა მამულები მიიღეს ლორის რაიონში. ერეკლემ II-მ საქართველოში საცხოვრებლად მოიწვია აგრეთვე ცნობილი სომეხი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე შაამირ შაამირიანი, რომელიც ინდოეთში ცხოვრობდა. ქართულ სამეფო კარზე მსახურობდნენ ცნობილი სომხური მოდგმის წარმომადგენლები, მომღერლები (საიათ-ნოვა), მხატვრები (ოვნათანიანი) და სხვა“.[186]

XIX საუკუნიდან დაწყებული, საქართველოს ტერიტორიების სომხური მშვიდობიანი ექსპანსიის პოლიტიკა ახალ ფაზაში შევიდა. საქართველოს ახალი სომხური დიასპორების შექმნაზე უდიდესი გავლენა იქონია XIX საუკუნის რუსეთ-თურქეთის ომებმა, რომელთა შედეგად სომეხ ლტოლვილთა ახალ-ახალი ტალღები პერმანენტულად სახლდებოდნენ ქართულ მიწებზე. ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსისა და პოლიტოლოგის, კალიფორნიის ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორის, ეროვნებით სომეხი მეცნიერის, რიჩარდ ოვანესიანის (Richard G. Hovannisian) ცნობით: ,,1830 წლისათვის 100000-ზე მეტი სომეხი დასახლდა ახალქალაქისა და ახალციხის რეგიონებში - ისტორიულ ქართულ მიწებზე''.[187] XIX საუკუნის განმავლობაში სომეხთა საქართველოს ტერიტორიებზე განსახლების დინამიკაზე კი შემდეგ სტატისტიკურ მასალებს გვაწვდის ბატონი შოთა ვადაჭკორია: ,,1804 წელს ერევნის სახანოდან თბილისში სომეხ ჩამოსახლებულთა რიცხვი 2000 კაცს უდრიდა. 1807-1808 წლებში თბილისის გუბერნიასა და ავლაბარში 338 სომხური ოჯახი (1906 სული) ჩამოასახლეს, ხოლო 1809-1811 წლებში მთავარმართებელ ტორმასოვის დროს, ყარაბაღიდან 428 ოჯახი (2140 სული) ბოლნისში ჩამოასახლეს. 1829 წელს ყარსის, არზრუმის და ბაიაზეთის ვილაიეთებიდან 14000 ოჯახი. რუსეთის შემწეობით, საქართველოში სომეხთა ჩამოსახლებებიდან გამომდინარე, მათი მატების დინამიური

[186] Ашот Мелконян. Уроки Армяно-Грузинских отношений и проблема Джавакха. http://kantegh.asj-oa.am/41/1/166-179.pdf

[187] Richard Hovannisian. Armenia on the road to Independence 1918. University of California Press, Berkley and Los Angeles, 1969. გვ. 9.

პროცესი შემდეგ სურათს იძლევა: 1865 წელს საქართველოში ცხოვრობდა 122,6 ათასი სომეხი, 1880 წელს - 172,9 ათასი სომეხი, 1897 წელს - 197,0 ათასამდე. 1897-1902 წლებში საქართველოში 55 ათასი სომეხი ჩამოასახლეს. აღნიშნული პროცესებიდან გამომდინარე, თბილისში სომხების რაოდენობა 46,7 ათასიდან 124,9 ათასამდე გაიზარდა, რომელთაგან 68 ათასი ახლად მოსული იყო..."[188] რუსი მეცნიერი და მკვლევარი, ნიკოლაი ნიკოლაევიჩ შავროვი, 1911 წელს გამოცემულ თავის ანალიტიკურ ნაშრომში ,,Новая угроза русскому дълу въ Закавказъ: предстоящая распродажа Мугани инородцамъ", ამიერკავკასიაში სომეხთა გადმოსახლებების შესახებ, წერს:

,,1826-1828 წლების ომის დასრულების შემდეგ, ორი წლის განმავლობაში, 1828 წლიდან 1930 წლამდე, ამიერკავკასიაში ჩვენ გადავასახლეთ სპარსეთიდან 40 ათასზე მეტი და თურქეთიდან 84 ათასი სომეხი ლტოლვილი და მათ საუკეთესო სახაზინო მიწები მივეცით ელიზავეტპოლის და ერივანის გუბერნიებში, სადაც სომეხთა რიცხვი უმნიშვნელო იყო, ასევე ტიფლისის გუბერნიაში - ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. მათთვის იქ გამოიყო 200 000-ზე მეტი დესიატინა სახაზინო მიწები და მუსულმანებისაგან 2 000 000 მანეთზე მეტი ღირებულების კერძო მიწები იქნა შესყიდული. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ 124 000 ოფიციალურად გადმოსახლებულ სომეხთან ერთად, აქ დიდი რაოდენობით არაოფიციალური გადმოსახლებულიც იყო. ასე, რომ გადმოსახლებულთა საერთო რაოდენობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა 200 000 ადამიანს.

ყირიმის კამპანიის შემდეგ ისევ ხდება სომეხთა გარკვეული რაოდენობის ჩამოსახლება, რომელთა ზუსტი რეგისტრაცია ვერ მოხერხდა. 1864-დან 1876 წლამდე პერიოდში კი, ჩვენი დაჟინებული ქმედებებით აღინიშნება შავიზღვისპირეთში მცირეაზიელი სომხებისა და ბერძნების, შემდეგ ესტების, ლატვიელებისა და ჩეხების ჩამოსახლება. ბედნიერად დასრულებული 1877-1879 წლების (ასეა ტექსტში - ა. ჩ.) თურქეთის ომმა მცირეაზიელ მოახალშენეთა მთელი ნაკადები გვაჩუქა: ყარსის ოლქში დაახლოებით 50 000 სომეხი და 40 000 ბერძენი სახლდება და ხალხისგან დაცლილი ოლქი უცებ იძენს ინოროდცების მრავალრიცხოვნ მოსახლეობას... ამის შემდეგ იწყება სომეხთა გაუთავებელი ნაკადების შემოსვლა მცირე აზიიდან. განსაკუთრებით დიდი ნაკადები შემოდის 1893-1894 წლებში, თურქეთში მომხდარი სომხური უწესრიგობების გამო...

ამგვარად, დღეისათვის (აქ XX საუკუნის დასაწყისი იგულისხმება - ა. ჩ.) ამიერკავკასიაში მცხოვრები 1 300 ათასი სომხიდან 1 000 000-ზე მეტი სული არ მიეკუთვნება ადგილობრივ მოსახლეობას და ისინი ამ მხარეში ჩვენს მიერ იქნენ ჩამოსახლებულნი".[189] რუსეთის იმპერიის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის მონაცემებით, 1897 წლისათვის, თბილისის მოსახლეობის 29,53%-ს სომხები შეადგენდნენ, ქართველები კი, მხოლოდ 26,44%-ს.[190]

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან სომხები უკვე თბილისის გუბერნიის 267 დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდნენ, სადაც გახსნილი ჰქონდათ სომხური ეკლესიები და სკოლები, ხოლო თავად თბილისში ისინი ქალაქის სავაჭრო და კომერციული საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს აკონტროლებდნენ. ამ პროცესების შესახებ XIX საუკუნის ბოლოსათვის რუსული წყაროები, კერძოდ, ა. ახოვი შემდეგ სურათს ხატავს:

---

188 შოთა ვადაჭკორია. საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. (1918-1920 წ.წ.). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრი. თბილისი. 1999. გვ. 42.

189 Н. Н. Шавров. Новая угроза русскому дълу въ Закавказъ: предстоящая распродажа Мугани инородцамъ. Изданіе русского собрания. Типографія редакціи періодическихъ изданій Министерства Финансовъ. С.-Петербургъ. 1911. Стр. 59-60. https://www.prlib.ru/item/429115

190 Первая всеобщая перепись населения Российской Империи 1897 г. Распределение населения по родному языку и уездам Российской Империи кроме губерний Европейской России. Т.Т.51-89. С.-Петербург: 1903-1905. http://www.demoscope.ru/weekly/ssp/emp_lan_97_uezd.php?reg=533.

,,სამი - არზრუმის, ყარსის და ბაიაზეთის საფაშოებიდან არზრუმის არქიეპისკოპოსმა კარაპეტმა რუსეთში თან გამოიყოლა მხარის თითქმის მთელი ქრისტიანული მოსახლეობა - 70000 კაცამდე. არქიეპისკოპოსი კარაპეტი არზრუმიდან ახალციხემდე გადმოსახლებულებთან ერთად ფეხით გამოემართა".[191] XIX საუკუნის ბოლოსათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა სომხური მოსახლეობის წილი რუსეთის იმპერიაში, განსაკუთრებით მის სამხრეთულ გუბერნიებში. იგივე ავტორთან სომეხთა მასობრივი მიგრაციისა და სოციალური კეთილდღეობის სურათი ასეა დახატული: ,,ჩვენი სამხრეთ ვოლგისპირეთის გუბერნიები, შავიზღვისპირეთი, დონის ოლქი, ბესარაბია სომხებითაა გადაჭედილი. ასტრახანი და დონის როსტოვი - თითქმის სომხური ქალაქებია. (შემთხვევითი არაა, რომ საზღვარგარეთ გამოცემული ,,დიადი არმენიის" ერთ-ერთ რუკაზე ეს უკანასკნელი როსტოვამდე ვრცელდება). კავკასიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მაშინ, როცა რუსები იქ არ დაიშვებოდნენ, სომხები, რომლებიც დიდი შეღავათებითა და პრივილეგიებით სარგებლობდნენ, ასევე ჩვენი უნიათობის შედეგად, იმდენად გაძლიერდნენ ეკონომიურად, რომ დღევანდელი ვითარების ბატონ-პატრონებს წარმოადგენენ - განსაკუთრებით ტფილისის, ერივანის, ელიზავეტპოლის გუბერნიებში. ***ტფილისი ფაქტიურად სომხებს ეკუთვნით".*** [192] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

ამავე მოვლენების შესახებ მეორე რუსი ავტორი, ვასილი ველიჩკო წერს: ,,ქართველები და ყარაბაღელი მუსლიმები კავკასიაში ზოგჯერ გულწრფელად იღიმებიან და ამბობენ, რომ როგორც კი რუსეთის მთავრობა გაიყვანს ჯარს ამიერკავკასიიდან, სომეხთა ერთი ძვალიც არ დარჩებაო აქ. მაგრამ უკვე ოცდაათი წელია, რაც ეს სიტყვები შორსა დგას სიმართლისაგან. ჯერ ერთი, სომხებმა არა მარტო ეკონომიკურად დაიმონეს ყველა დანარჩენი, არამედ ნაწილობრივ აითვისეს სხვა იზოლირებული ხალხების პოლიტიკური ტენდენციები; დაბოლოს, მათ უკვე ჰყავთ საკუთარი ,,არმია" - თურქეთიდან შემოსული ბრბო. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ტიფლისის ეთნოგრაფიული სურათი ძალიან შეიცვალა. მაგალითად, ახლა ძნელია იქ - ოდესღაც ძალიან ცნობილი და მიმზიდველი მშრომელი ტიპის - ქართველი რაჭველი მუშის პოვნა: ახლა ყველა მათგანს უჩვეულოდ ყაჩაღური იერი და გამომეტყველება აქვს, რომლებიც თურქულ დოლბანდებსა და ყაბალახებში არიან შეფუთულები. უბრალო ხალხის, რუსებისა და ქართველების დევნა კი, განუხრელად მიმდინარეობს ქალაქის თვითმმართველობის მიერ".[193]

აი, რას წერდა ამ საკითხთან დაკავშირებით, გერმანელი მოაზროვნე და მწერალი ფრიდრიხ ბოდენშტედტი (Friedrich Martin von Bodenstedt) საქართველოში მცხოვრები სომხებისა და ქართველების შესახებ 1847 წელს. კავკასიის მთავარმართებლის, გენერალ ალექსანდრ ნეიდჰარდტის მოწვევით, იგი 1844 წელს სათავეში ჩაუდგა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტს, შემდეგ კი, იმოგზაურა და აღწერა კავკასია, ყირიმი და მცირე აზია. შემდგომში ეს მოგზაურობა მან დაწვრილებით აღწერა თავის ნაშრომებში "Die Völker des Kaukasus und ihre Freiheitskämpf gegen die Russen" (,,კავკასიის ხალხები და მათი ბრძოლა თავისუფლებისთვის რუსების წინააღმდეგ") და "Tausend und ein Tag im Orient" (,,ათას ერთი დღე აღმოსავლეთში"), რამაც დიდი სახელი და აღიარება მოუტანა მას: ,,ქართველი უზრუნველია, სახვალიოდ არა ჰფიქრობს, დიდს ფასს არა სდებს მიწიერ მოსახვეჭსა, არა აქვს დაუძინებული წყურვილი მოხვეჭისა, ამიტომაც ვაჭრობა განსაკუთრებით სომეხის ხელშია. სამაგიეროდ, ქართველები ყველაზე უფრო ზნეობიანნი, ყველაზე უფრო პატიოსანნი კაცნი არიან ამ მხარეში. სტუმართ-მოყვარეობა დიდი იციან - როგორც სხვა კავკასიელთაც, ერთგულნი არიან - როგორც მათნი ხმალნი, სწრაფნი და მარდნი - როგორც მათნი

---

191 М. Ахов. Россія и армяне. С.-Петербургъ. 1897. Стр. 34.

192 დასახელებული ნაშრომი. გვ. 55.

193 В. Л. Величко. Кавказ 1886-1895. Племенная обособленность и экономическое владычество. Санкт-Петербург, 1904. http://www.amsi.ge/istoria/somx/velichko.html

ტაიჭნი, ვაჟკაცნი ომში, შინ თავაზიანნი და საამურნი“.[194] დიახ, XIX საუკუნემ ევროპასა და მართალია, რთულად, მაგრამ რუსეთის იმპერიაშიც ახალი სულისკვეთება, ახალი ტექნოლოგიები, ახალი იდეები და ახალი საზომები მოიტანა. დროც შეიცვალა, ფასეულობებიც და ღირებულებებიც. საუკუნის ბოლოდან ამიერკავკასიაში მიწათმფლობელობისა და მემამულეობის პრიმატი კაპიტალის პრიმატმა შეცვალა და ასეთ სიტუაციაში სომხები უფრო მოქნილები აღმოჩნდნენ, ვიდრე ქართველები. ეს პროცესები უფრო ხელშესახებად აღმოსავლეთ საქართველოში, ანუ თბილისის გუბერნიასა და თბილისის მაზრაში შეიმჩნეოდა. ქართულმა ფეოდალურმა არისტოკრატიამ ნელ-ნელა ადგილი სომხურ ბურჟუაზიას დაუთმო.

აღნიშნული პროცესები ძალიან რეალისტურად არის გაანალიზებული სტატიაში სათაურით, ,,სომეხ-ქართველთა ურთიერთობა“, რომელიც ჟურნალ ,,კლდის“ 1914 წლის 16 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა:

,,მაშინ, როდესაც ისახებოდა და თანდათან ძლიერდებოდა ფეოდალიზმი-პატრონყმობა და შემდეგში კი, ბატონყმური ურთიერთობა, სომხეთი უკვე აღარ არსებობდა, სომხის ერმა უკვე დაჰკარგა სამშობლო მიწა-წყალი და გაბოგანოვდა. ცხოვრება რამდენჯერმე გადმობრუნდა, რამდენჯერმე შეიცვალა საზოგადოებრივი სტრუქტურა. ერა ნატურალური წარმოებისა სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა დროს გამოსცვალა კაპიტალისტურმა წყობილებამ და ფეოდალის ადგილი ბურჟუამ დაიკავა. თუ უწინ მიწა შეადგენდა სიმდიდირისა და ცხოვრების წყაროს, ახლა მოძრავი კაპიტალი გამოვიდა ასპარეზზე. ცხოვრების ბატონი ახლა ის ჯგუფი, ის კლასი შეიქმნა, ვის ხელშიაც ეს კაპიტალი იყო. სომხის ერმა, რადგანაც მოკლებული იყო თავის საკუთარ მიწა-წყალს, როგორც ებრაელებმა, ვერ შეჰქმნა, ვერ შეადგინა ფეოდალობა და აქა-იქ ებრაელებივით დაფანტული სომხის ერი იძულებული გახდა აღებ-მიცემობისათვის მიეყო ხელი.

სომხის ერი, სომხის ერის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს ნიადაგზე გამოცხადდა, მდგომარეობამ აიძულა ეკონომიურ ურთიერთობაში შუამავლის როლი ეკისრა, რადგანაც ეს როლი ვისმე ხომ უნდა ჰქონოდა, რადგანაც ეს ელემენტი დროის მოთხოვნა იყო და სხვას კი ამისათვის არავის ეცალა (ერეკლე მეფემ მაგალითად, თვითონ გადმოასახლა თბილისში მრავალი სომხობა, რომ ვაჭრობისათვის ხელი მიეყოთ). ქართველებს ჰქონდათ თავისი სახელმწიფო, თავისი მიწა-წყალი; ერთი წოდება სახელმწიფოს გამაგრებას უნდებოდა, მეორე კიდევ მიწას დასცქეროდ და მთელს ერს თავის შრომით ჰკვებავდა.

მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებში სომხობა საქართველოში ძლიერ ცოტა იყო და არც სიმდიდრე ჰქონდა ჯერ კიდევ შეძენილი, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნიდან, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ბოლო ეღებოდა, როდესაც ფეოდალიზმს ეკონომიკური ნიადაგი გამოეცალა და უსაქმოდ დარჩა მთელი წოდება, ცხოვრება კი უკვე გარკვეულად შესდგა კაპიტალისტურ ნიადაგზე, აი მაშინ ამ უცხო ერის ელემენტს, რომელმაც უკვე მევახშეობით შეაგროვა ცოტაოდენი თანხა, მიეცა თავისი განსაკუთრებული დანიშნულება.

სომხის ერმა იკისრა საქართველოში ამ მესამე წოდების როლი: - სომხის ერმა, იმიტომ ვამბობ, რომ როდესაც სომხეთი დაეცა და ერი მთელს ქვეყანაზე გაიფანტა, მაშინ ერი არ იყო აგრე რიგად განვითარებული; ეს უბერურება მარტო ერთს რომელიმე წოდებას ან კლასს კი არ დაატყდა, არამედ სამშობლოს განადგურება ერთნაირის ვაებით მოედო მთელს ერს. სომხის ერის ერთი ნაწილი (განურჩევლად წოდებისა და კლასებისა) თანდათან შემოიხიზნა საქართველოში, ჩვენი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ დაისვენა და გულუხვმა საქართველომაც თავისი მოწყალების კალთა გადააბერტყა...

---

[194] ილია ჭავჭავაძე. ,,სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი''. ,,ივერია''. ტფილისი. 1899. გვ. 28. ბოდენშტეტი: ,,კავკასიის ერნი'', მიუნხენი. 1847წ. ფრანგულად თარგმნილია, გვ. 202 და 302.

სომხის ერის ის ნაწილი, რომელიც შემოითესა საქართველოს ნიადაგზე, არა ბუნებრივად, არამედ ისტორიული პერეტურბაციების წყალობით, უნებურად და მოულოდნელად უეჭველია ვერ გახდებოდა საქართველოს შემადგენელი ნაწილი, მისთვის სასარგებლო და აუცილებელ ელემენტად. საქართველოში გადმოცვივნული სომხობა ვერ იზრუნებდა მისთვის, რადგანაც ეს მისი არ იყო. იგი ან უნდა გათქვეფილიყო ქართველობაში, ან უნდა ეძებნა ახალი სამშობლო. პირველი არ მოხდა, რადგან სომხის ერი, უნდა ვიფიქროთ საკმაოდ კულტურული იყო, რომ თავისი ეროვნული სახე შეენარჩუნებინა, მაშასადამე იმთავიდანვე დაუპირდაპირდა ***სომეხთა*** ინტერესები ***ქართველთა*** ინტერესებს, რადგანაც რასაც ისინი შეიძენდნენ, მიწას თუ სხვა სიმდიდრეს, როგორც ***სომეხნი,*** უნდა გამოსცლოდა ***ქართველებს.*** ერთის შემატება - მეორეს დაკლება იყო, ერთის გამდიდრება - მეორეს გაღატაკებას მოასწავებდა. ამ ნიადაგზე ერთმანეთს დაუპირისპირდა ეს ორი ელემენტი და სომხებს აუცილებლად უხდებოდა და უხდება ორგვარი ბრძოლა: ***იგი იბრძვის როგორც ზოგადად ბურჟუაზია და ამავე დროს, იგი იბრძვის როგორც უცხო ერის წარმომადგენელი უცხო ერის ბანაკში.*** ამიტომ, ქართველობას უხდება ბრძოლა სომხებთან როგორც უცხო ელემენტთან საკუთარ ტერიტორიაზე“...[195] (ხაზგასმები ავტორისაა - ა. ჩ.).

XIX-XX საუკუნეებში სომეხთა მიერ საქართველოს ტერიტორიების მშვიდობიანი ექსპანსიისა და ათვისების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის სტივენ ჯონსი:

,,სომეხთა მასობრივი მიგრაცია საქართველოში XIX საუკუნიდან დაიწყო რუსეთ-თურქეთის 1828-1829, 1877-1878, აგრეთვე 1890-იანი წლებიდან, როცა სომეხ ლტოლვილებს ნება დართეს დასახლებულიყვნენ მესხეთ-ჯავახეთში, თრიალეთში, თბილისში და საქართველოს შავიზღვისპირა ზოლში სოხუმისა და ბათუმის გარშემო, საიდანაც დიდი ნაწილი ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობისა გადასახლდა ოსმალთა მიწებზე 1828-1829 წლების ომის დროს...

1897-დან 1902 წლამდე პერიოდში სულთან აბდულ ჰამიდ II-ისა და ქურთთა რეპრესიების გამო სომეხ ემიგრანტთა რიცხვი დაახლოებით 55 000-ს შეადგენდა, ხოლო თბილისის სომეხთა მოსახლეობა 1897-1910 წლებში 46 700-დან 125 000-მდე გაიზარდა. სომეხთა ბოლო შემოსვლა 1915 წლის ჟლეტის შემდეგ მოხდა, როცა თურქეთში მცხოვრებმა დაახლოებით 250 000 სომეხმა შეაფარა თავი რუსეთს, რომელთა დიდი უმრავლესობა სამხრეთ საქართველოში დასახლდა”.[196] ნიკოლაი შავროვი კი, წერს: ,,1877-1878 წლების თურქეთის ომის დასრულების შემდეგ, სრულიად წარმოუდგენელი ეპოპეა განვითარდა: როდესაც შემოვიერთეთ თავისუფალი მიწებით მდიდარი ბათუმისა და ყარსის ოლქები, დიდი მთავარი მიხაილ ნოკოლაევიჩი დაჟინებით ითხოვდა ყარსის ოლქში რუსეთის შიდა გუბერნიებიდან 100 000 რუსის ჩამოსახლებას. პეტერბურგში მას ამაზე უარი უთხრეს, ამასობაში კი, 100 000-დე სომეხმა და ბერძენმა იხუვლა ყარსის ოლქისკენ და დაეპატრონნენ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელი იყო. უფრო მეტიც - 1879 წელს, როცა მხარის დროებითი მმართველი ქართველი თავადი მელიქოვი იყო (ზუსტად ასეა ტექსტში - Грузинъ князь Меликовъ - ა. ჩ.), მის მიერ გამოშვებულ იქნა კანონი, რომელიც უკრძალავდა რუსებს სხვაგან დასახლებას, გარდა ქალაქებისა ყარსი, არდაგანი, ბათუმი. მიზანი ის იყო, რომ ხელი შეშლოდა სასოფლო მიწების რუსების ხელში გადასვლას“.[197]

კონკრეტულად ქვემო ქართლის ლორე-ტაშირის რაიონში კი, სომეხთა გადმოსახლებებზე შემდეგ ცნობებს გვაწვდის დიდი ივანე ჯავახიშვილი: ,,ქვემო ქართლში, ანუ, სომხითსა და ლორეში მელიქ აბოვის გარდა, არავინ არ დასახლებულა. (მას მეფე ერეკლემ მისცა აქ დასახლების უფლება -

---

[195] სომეხ-ქართველთა ურთიერთობა. ყოველკვირეული საზოგადო-ეკონომიკური და სალიტერატურო ჟურნალი ,,კლდე”. №7. 16 თებერვალი. 1914 წ. გვ. 6-7.

[196] Stephen F. Jones. Georgian-Armenian relations in 1918 to 1919 and 1991 to 1994. A comperison. გვ. 444.

[197] Н. Н. Шавров. Новая угроза русскому дълу въ Закавказъ: предстоящая распродажа Мугани инородцамъ. Изданіе русского собрания. Типографія редакціи періодическихъ изданій Министерства Финансовъ. С.-Петербургъ. 1911. Стр. 64. https://www.prlib.ru/item/429115

ა. ჩ.). საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც ეს მხარე სრულიად უდაბური იყო და მხოლოდ 1827-29 წლებში, როცა თურქეთიდან გამოიქცა 100 000, ხოლო სპარსეთიდან 30 000 სული სომეხი, მათი ნაწილი დასახლდა ბორჩალოს მაზრაში, ნაწილი კი ერივანის გუბერნიაში. მხოლოდ ამის შემდეგ ჩნდება ქვემო ქართლში სომხების მჭიდრო და შედარებით მრავალრიცხოვანი მოსახლეობა".[198] ამ მომენტისათვის მნიშვნელოვნად იზრდება თბილისის სომეხი მოსახლეობის წილიც. ალექსანდრ პუშკინი, თავის ცნობილ ნაწარმოებში ,,Путешествие в Арзрум во время похода 1829 года". (,,მოგზაურობა არზრუმში 1829 წლის ლაშქრობის დროს"), წერდა: ,,ტიფლისის მოსახლეობის ძირითად ნაწილს სომხები შეადგენენ: 1825 წლისათვის აქ 2500 სომხური ოჯახი ცხოვრობდა. ახლანდელი ომების დროს კი, მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. ქართული ოჯახები 1500-ს ითვლიან".[199] იტალიელი ისტორიკოსი, დიპლომატი და მოგზაური, ლუიჯი ვილარი (Luigi Villari), რომელმაც XX საუკუნის დასაწყისისათვის იმოგზაურა ამიერკავკასიაში, თავის სქელტანიან ნაშრომში - "Fire and Sward in the Caucasia" (,,ცეცხლი და მახვილი კავკასიაში"), თბილისის შესახებ აღნიშნავს:

,,მთელი ქალაქი სხვადასხვა რასების, ენებისა და იდეების ნარევით არის გაჟღენთილი. ბუროკრატიის რუსიფიკატორული მართვის მეთოდიკა კი, ძალიან ცოტას აკეთებენ იმისთვის, რომ ეს წინააღმდეგობები აღმოფხვრას. როგორც უკვე აღვნიშნე, თბილისი ქართული სამეფოს დედაქალაქი იყო და დღეისათვის იქ ქართველები ალბათ მოსახლეობის 35%-ს შეადგენენ. სხვა ელემენტები მნიშვნელოვნია, რაც განსაკუთრებით სომხებს შეეხებათ, რომელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში მათი მიგრაციის გამო რუსეთიდან და თურქეთის სომხეთიდან. ისინი უდავოდ ყველაზე პროდუქტიული რასაა და აქ, თბილისში, ნელ-ნელა ყველაფერს ხელში იგდებენ...

დუმაშიც, ქალაქის საბჭოში, მისი წევრების სამ მეთხედზე მეტს სომხები წარმოადგენენ და ისინი აკონტროლებენ ქალაქის კომერციულ აქტივობას... სომხობა მოსახლეობის ყველაზე თვალში საცემი ელემენტია. თუ მიხვალთ ბანკში, ფულის გადამცვლელ პუნქტში ან სავაჭრო სახლში, აღმოაჩენთ, რომ ამ დაწესებულებების მფლობელები, დირექტორები და იქ მომსახურე პერსონალის აბსოლუტური უმეტესობა, სომხები არიან..."[200] საერთო ჯამში, სომხებმა, განსაკუთრებით XIX საუკუნეში, ისევე როგორც ოსმალთა იმპერიაში, თბილისის ვაჭრობის სფეროში მონოპოლიას მიაღწიეს. საუკუნის დასაწყისში თბილისში ვაჭრობას ეწეოდა სომხების 79 კომლი (483 სული), ხოლო ქართველებიდან - 1 კომლი.[201] და კიდევ ერთი ავტორი. ცნობილმა ბრიტანელმა საზოგადო მოღვაწემ, მეცნიერმა და ფილანტროპმა, ლონდონის სამეფო აკადემიის, ბრიტანეთის აკადემიის, საფრანგეთის პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრმა და პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ჯეიმს ბრაისმა (James Bryce) 1876 წელს ექსპედიცია მოაწყო ამიერკავკასიაში. ამ ექსპედიციის ანგარიში 1878 წელს ლონდონში გამოცემულ წიგნში დაიბეჭდა, სათაურით "Transcaucasia and Ararat: being Notes of a Vacation Tour in the Autumn of 1876" (,,ამიერკავკასია და არარატი: 1876 წლის შემოდგომის არდადეგების დროს შემდგარი ექსპედიციის ჩანაწერები"). თბილისის მრავალეროვნული მოსახლეობის აღწერისას, სომხებთან მიმართებაში იგი წერდა: ,,თუ თქვენ შეხვდებით დაძაბულ და მოუსვენარ სწრაფ გამოხედვას, დარწმუნებულნი უნდა იყოთ, რომ ეს სომხის თვალია. სომხები არიან დიდი და როგორც ჩანს, მზარდი ნაწილი

---

198 Ив. Джавахишвили. Границы Грузии в историческом и современном рассмотрений. Тифлис. 1919г. გვ. 53.

199 А. С. Пушкин. Собрание сочинений в 10 томах. Т. 5, Путешествие в Арзрум во время похода 1829 года. М.: Государственное издательство художественной литературы, 1960. Стр. 432.

200 Luigi Villari. Fire and Sward in the Caucasia. Fisher and Union. James Pott and Company. London. 1906. გვ. 109.

201 შ. კაკურია. ქალაქ თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წლებში. თბილისი. 1979. გვ. 24.

მოსახლეობისა, რომელსაც ადვილად გამოიცნობთ მუქი სახის ფერითა და დამახასიათებელი ფიზიონომიით. ისინი არიან ყველაზე ენერგიული და მიმწოლი ხალხი ქვეყანაში. მათ ხელთ უპყრიათ თითქმის მთელი ვაჭრობა და მაღაზიათა ქსელები, ასევე ვრცელი კომერციული წარმოება. ბევრნი ასევე საკმაოდ წარმატებულნი არიან რუსულ სამსახურში. ამბობენ, რომ ამიერკავკასიაში მომსახურეთა ნახევარზე მეტი სომხები არიან... ასეთი პიროვნებების რიცხვი ალბათ გაიზრდება. ისინი კარგ ურთიერთობაში არიან რუსებთან, თუმცა, ბევრნი არც მათზე და არც გერმანელებზე არ ქორწინდებიან. მათ საკმაოდ დამოუკიდებელი და თვითკმარი საზოგადოება აქვთ".[202]

საქართველოში მცხოვრები სომხების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის მაქს ფონ ტილმანი (Max von Thielmann), XIX საუკუნეში მოღვაწე გერმანელი დიპლომატი და პოლიტიკოსი. მან ხანგრძლივი მოგზაურობა მოაწყო კავკასიაში, სპარსეთსა და ამერიკაში და გამოსცა სამოგზაურო ჩანაწერები. მას ეკუთვნის ჩვენთვის საინტერესო ვრცელი ნაშრომი ,,მოგზაურობა კავკასიაში, სპარსეთსა და აზიურ თურქეთში" (Streifzüge im Kaukasus, in Persien und in der asiatischen Türkei), რომელიც 1875 წელს გამოიცა ლაიფციგში. ნაშრომი იმავე წელს ითარგმნა ინგლისურად, ხოლო 1880 წელს - ფრანგულად. მაქს ფონ ტილმანი წერს: ,,სომხებს, ზემოთ დასახელებულ ხალხთა (ქართველების და თათრების - ა. ჩ.) მსგავსად, არა აქვთ განსაკუთრებული ადგილი ქვეყანაში. ისინი თითქმის ყველგან არიან. მათთან დაყოფა გლეხობასა და დანარჩენ ხალხს შორის უფრო ძლიერია, ვიდრე თათრებში... თათრებთან შერეულად მცხოვრები გლეხები ამათგან გარეგნულად არ განსხვავდებიან და თვისებებითაც ცოტათი. სამაგიეროდ, ქალაქელი სომეხი მთლად სხვა კატეგორიაა. ის არის უპირატესად ვაჭარი. არ არის ქვეყანაში სოფელი, სადაც ერთი ან რამდენიმე სომეხი იმავე როლს არ ასრულებდნენ, რასაც ებრაელი ასრულებენ აღმოსავლეთ გერმანიასა და პოლონეთში. ცბიერი, მოქნილი, ჯიუტი, ის არც თუ იშვიათად ნაკლებ პატიოსანი გზით ხელთ იგდებს მთელ გარიგებებს (სავაჭრო ოპერაციებს) და ერთდროულად ხდება იმ პუნქტის ბანკირი და ტირანი".[203]

XX საუკუნის დამდეგისათვის კი, სომხებსა და ქართველებს შორის ქონებრივი განსხვავება კიდევ უფრო თვალში საცემი ხდება. მაგალითად, სტივენ ჯონსი, იგივე ლუიჯი ვილარის ცნობებზე დაყრდნობით იმ სოციალური კეთილდღეობის სურათს გვიხატავს, რასაც სომხები განიცდიდნენ საქართველოში და კერძოდ თბილისში, XX საუკუნის დასაწყისისათვის:

,,სომეხთა დომინანტური მდგომარეობა ვაჭრობაში, დაწყებული მსხვილი ვაჭრებიდან და დამთავრებული წვრილი მესაკუთრეებით აშკარად თვალში საცემია. ლუიჯი ვილარი, რომელმაც მოინახულა თბილისი 1905 წელს წერდა: ,,სომხები ქალაქის კომერციული აქტივობის ყველა დონეს აკონტროლებენ. ერთხელ მთავარ ქუჩაზე (თბილისის - ა. ჩ.) სეირნობისას მე აღმოვაჩინე, რომ ყველა დიდი მაღაზია თუ მნიშვნელოვანი ფირმა სომხების საკუთრებაა. ქართველები კი, თავის მხრივ კარგავენ თავიანთ სიმდიდრეს...

უნდა ითქვას რომ თბილისი ნელ-ნელა სომხური ნაციონალიზმის უმთავრესი ცენტრი ხდება, მიუხედავად იმისა, რომ იგი წამდვილი სომხეთიდა შორს მდებარეობს. კონსტანტინოპოლის შემდეგ, რომელიც ასევე შორს მდებარეობს სომხეთიდან, თბილისში ყველაზე მეტი სომეხი ცხოვრობს, ვიდრე

---

202 გია გელაშვილი. ინგლისელი მოგზაური ჯეიმს ბრაისი თბილისის შესახებ (1876). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა ,,უნივერსალი". თბილისი. 1 (20). 2017. გვ. 419. Transcaucasia and Ararat: being Notes of a Vacation Tour in the Autumn of 1876. Section IV, Tiflis. Pg. 131-156. By James Bryce. Author of the "The Holy Roman Empire". London. 1878.

203 გია გელაშვილი. მაქს ტილმანი კავკასიის შესახებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა ,,უნივერსალი". თბილისი. 1 (25). 2021. გვ. 314. Streifzüge im Kaukasus, in Persien und in der asiatischen Türkei. Duncker & Humblot, Leipzig 1875.

მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ქალაქში".[204] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). მ. ახოვის მიხედვით კი: ,,სომეხთა დიდი რაოდენობა (ამიერკავკასიაში - ა. ჩ.) და მათი როლი, რასაც ისინი თამაშობენ მხარის ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, კავკასიის მაცხოვრებლებისათვისაც კარგად შესამჩნევია. ***ეს კიდევ უფრო ზრდის სომხობის მნიშვნელობასა და პრესტიჟს, რომლებიც აქაურობის ბატონ-პატრონებად გრძნობენ თავს და როგორც ,,რჩეული ხალხი" დარწმუნებულნი არიან კიდეც იმაში, რომ ეს ასეც უნდა იყოს".***[205] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

ამავე საკითხის შესახებ ვასილი ველიჩკო წერს: ,,ქალაქის თვითმმართველობა წარმოუდგენელი სისწრაფით აღმოჩნდა უსირცხვილოდ გაბატონებული სომხური პლუტოკრატიის ხელში, რომელიც ღიად უგულებელყოფს მრავალეროვნული და უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობის ინტერესებს. თითქმის ყველა ბანკი, მათ შორის სახელმწიფო, და სასფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღება სომხების ხელში აღმოჩნდა. მათ ხელშია აგრეთვე მთელი მხარის ეკონომიკური ცხოვრება. ქართველების მიერ მიწების ფლობა წარმოუდგენელი სისწრაფით დნება. სხვადასხვა მანთაშევები, არამიანცები, არაქელოვები, მაკარიანცები და სხვა სომეხი ტუზები გროშის ფასად ყიდულობენ ქართულ მიწებს და მათ თურქეთიდან გადმოსულებით ასახლებენ. სამლოცველოები და ეკლესიები სომხების ხელში გადადის".[206]

1836 წელს უმაღლესი განკარგულებით გამოცემულ ,,კავკასიის გადაღმა რუსეთის სამფლობელოების მიმოხილვაში" (,,Обозрение российских владений за Кавказом"), 197-199 გვერდებზე საუბარია იმაზე, რომ ,,ეშმაკობა და მზაკვრობა გაუნათლებელი და მით უმეტეს, ვაჭარი ხალხის აუცილებელი თვისება - სომხებისთვისაა დამახასიათებელი: ყიდვა-გაყიდვის საქმეში ყოველგვარი ტყუილი მათთვის ნებადართულად ითვლება, ყოველგვარი ზომის გატარება შემენისას - კანონიერად. ისინი დაეუფლნენ ვაჭრობას თბილისსა და მთლიანად ამიერკავკასიაში, ასრულებენ ყოველგვარი სახის დავალებას, ახორციელებენ გამოსყიდვებს, დებენ ხელშეკრულებებს, ასრულებენ კომისარიატისა და დროებითი კომისიების მოვალეობებს. ისინი არიან თარჯიმნები, მომხსენებლები, ფაქტორები; ერთი სიტვყვით, იქ, სადაც კი, შესაძლებელია მოგების მიღება, იქ აუცილებლად იმყოფებიან სომხები. ანგარება - მათი ჩანაფიქრებისა და საქციელის მთავარი მამოძრავებელი ძალაა".[207] იგივეს აღნიშნავდა 1907 წელს ეჩმიაძინის სინოდის პროკურორი, ა. ფრენკელი, თავის მოხსენებაში: ,,თუ ყურადღებით წავიკითხავთ საუკეთესო სომეხი ისტორიკოსების ნაშრომებს, ძველსაც და ახალსაც, გაოცებული დარჩებით სომხური რეალობის შესახებ იმ პირქუში შეხედულებებით, რომლებიც ამ ერის გამორჩეულ მოაზროვნეებს გააჩნდათ. ანგარება, ინტრიგები, ფიცის გატეხვა, გამყიდველობა, ცრუ ჩვენება და პირმოთნეობა, როგორც ჩანს, ამ ტომის მთავარი ეროვნული მახასიათებელია".[208]

ამავე საკითხთან მიმართებაში, გერმანელი მოგზაური, ალფრედ კიორტე, თავის ,,ანატოლიურ ესკიზებში", რომელიც თურქეთში მოღვაწეს ცნობილ გერმანელ ოფიცერს, გენერალ კოლმარ ფონ დერ გოლცს[209] ეძღვნება, ამბობს: ,,თითქმის ყველა, ვისაც კი ამ პროვინციებში შეხება

---

[204] Luigi Villari. Fire and Sward in the Caucasia. Fisher and Union. James Pott and Company. London. 1906. გვ. 109-110.

[205] М. Ахов. Россія и армяне. С.-Петербургъ. 1897. გვ. 59.

[206] В. Л. Величко. Кавказ 1886-1895. Братья-грузины. Санкт-Петербург, 1904. http://www.amsi.ge/istoria/somx/velichko.html

[207] Обозрение российских владений за Кавказом, в статистическом, этногафическом, топографическом и финансовом отношениях: монография. Санкт-Петербург: Типография Департамента Внешней Торговли, 1836. https://iberiana.wordpress.com/ armenia-georgia/somxebi/

[208] Справка прокурора Эчмиадзинского синода А.Френкеля, представленная в 1907 г. Святейшему синоду. https://erevangala500.com/book/26.html

[209] ვილჰელმ ლეოპოლდ კოლმარ ფონ დერ გოლცი (გერმ. Wilhelm Leopold Colmar Freiherr von der Goltz) (1843-1916წ.წ.) – პრუსიელი, გერმანელი და ოსმალო სამხედრო ოფიცერი და მოღვაწე. პრუსიის

ჰქონია ხალხთან, პატივს სცემენ თურქებს, დაბლა აყენებენ ბერძნებს და ეზიზღებათ სომხები. ის ანდაზა, რომ ერთი ბერძენი ორ ებრაელს მოატყუებს, ხოლო ერთი სომეხი - ორ ბერძენს, ყველგან მართლდება. გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ თუ თქვენ სადმე ანატოლიაში მოგატყუეს, ე.ი. თქვენ სომეხთან გქონიათ საქმე". ამავე ავტორს მოჰყავს ერთი მსხვილი კონტრაქტორის სიტყვები ესკიშეჰირიდან: ,,როდესაც გარიგებას ვდებთ თურქთან, მაშინ ჩვენ წერილობით კონტრაქტს არ ვაფორმებთ, იმდენად, რამდენადაც მისი სიტყვა საკმარისია. ბერძენთან ან სხვა ლევანტიელთან მე წერილობით კონტრაქტს ვდებ, რადგან ეს საჭიროა. სომეხთან მიმართებაში კი, მე არავითარ საქმეს არ ვიჭერ, რადგან მათი ტყუილებისა და ინტრიგებისგან წერილობითი პირობებიც კი ვერ დაგიცავს".[210]

სომხური უნივერსალური მერკანტილიზმის შესახებ პროფესორ ავთანდილ სონღულაშვილის მონოგრაფიაში ვკითხულობთ: ,,როგორც გერე შენიშნავდა ,,На чужбине армянин становится рабочим, ремесленником, торговцем, банкиром... крупным помещиком, но никогда не становится тем, чем был дома – крестьянином".[211] და აქვე მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა: ,,სომხების ეკონომიკურად დაწინაურებას ხელს უწყობდა მეფის მთავრობის მიერ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში საგანგებო მფარველობის გაწევა სომხურ სავაჭრო-სავახშო კაპიტალისადმი, რომელმაც სულ მოკლე ხანში, განაკუთრებით კი, თბილისის ვაჭრობა-მრეწველობაში, დიდ წარმატებას, თითქმის სრულ ბატონობას მიაღწია".[212] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კი, პროფესორი ვახტანგ გურული წერს:

,,რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. საქართველოსა და კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის უმაღლესი თანამდებობის პირები (მთავარსარდლები, მთავარმართებლები, მეფისნაცვლები), გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგით დაწყებული (1801-

---

გენერალ-ფელდმარშალი და ოსმალეთის არმიის მარშალი (მუშირი). 1866 წლის ავსტრია-პრუსიის, 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის, 1897 წლის ოსმალეთ-საბერძნეთის და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე და სარდალი. 1861 წელს დაამთავრა კადეტთა კორპუსი და ლეიტენანტის ჩინით დაიწყო სამხედრო სამსახური 41-ე ქვეით პოლკში. მონაწილეობდა 1866 წლის ავსტრია-პრუსიის ომში. 1867 წელს ამთავრებს სამხედრო აკადემიას და სამსახურს აგრძელებს გენერალური შტაბის სამხედრო ტოპოგრაფიულ განყოფილებაში. 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომში იბრძოდა პრუსიელთა მე-2 არმიის შემადგენლობაში. 1871 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას პოტსდამის სამხედრო სკოლასა და აკადემიაში. 1883 წლიდან სამსახურეობრივ მივლინებაში იმყოფებოდა და მსახურობდა ოსმალეთის იმპერიაში, სადაც განაგებდა სამხედრო სასწავლებლების მუშაობას და ოსმალო ოფიცრების მომზადების პროცესს. 1897 წელს, ოსმალეთის საბერძნეთთან ომში გამარჯვების შემდეგ ენიჭება იმპერიის მარშლის, მუშირის წოდება. 1896 წელს ბრუნდება გერმანიაში, სადაც ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება და ინიშნება მე-5 ქვეითი დივიზიის მეთაურად. 1902 წლიდან იყო გერმანიის შეიარაღებული ძალების 1-ლი საარმიო კორპუსის სარდალი, ხოლო 1907 წელს ინიშნება მე-6 არმიის გენერალ-ინსპექტორად. 1909 წლიდან ისევ ბრუნდება ოსმალთა იმპერიაში და 1909-1912 წლებში იყო თურქეთის უმაღლესი სამხედრო საბჭოს წევრი. ამავე პერიოდში, 1911 წელს, ენიჭება პრუსიის არმიის გენერალ-ფელდმარშლის წოდება და იმავე წელს გადის თადარიგში. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ისევ იწვევენ კადრში და ინიშნება ოკუპირებული ბელგიის გენერალ-გუბერნატორად. მალე ისევ იგზავნება ოსმალეთში და 1914 წლის ნოემბრიდან 1915 აპრილამდე იყო ოსმალეთის სულთნის, მეჰმედ V-ის ადიუტანტი. აქვე ინიშნება ოსმალთა იმპერიის კონსტანტინოპოლის 1-ლი არმიის სარდლად, 1915 წლის ოქტომბრიდან იყო მესოპოტამიაში გაშლილი ოსმალთა მე-6 არმიის სარდალი, სადაც სასტიკად დაამარცხა გენერალ ჩარლზ თაუნშენდის ბრიტანელთა საექსპედიციო კორპუსი. ოფიციალური ვერსიით გარდაიცვალა ტიფით 1916 წლის 19 აპრილს, ბაღდადში. საკუთარი სურვილის შესაბამისად დაკრძალეს კონსტანტინოპოლში.

210 В. Л. Величко. Кавказ 1886-1895. Историческое прошлое. Санкт-Петербург, 1904. http://www.amsi.ge/istoria/somx/velichko.html

211 ავთანდილ სონღულაშვილი. საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა. გამომცემლობა ,,უნივერსალი". თბილისი. 2018. გვ. 460.

212 დასახელებული ნაშრომი. გვ. 429.

1802წ.წ.) და გენერალ-ადიუტანტ სერგეი შერემეტიევით (1890-1896წ.წ.) დამთავრებული, თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, ცენტრალური ხელისუფლების მითითებით, სომხებს ღიად მფარველობდნენ. ეს შეეხებოდა როგორც სომხეთის ისტორიულ ტერიტორიაზე (სომხეთის სამხედრო ოლქი - ერევნის გუბერნია), ისე საქართველოში, აზერბაიჯანსა და ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ სომხებს.

ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს მხოლოდ ადრიანოპოლის ზავის (1929წ.) შემდეგ, ოსმალეთიდან სომხების გადმოსახლება და მათი საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე, სამცხე-ჯავახეთში დასახლება, არც ბერლინის კონგრესის (1878წ.) შემდეგ სომხების მასობრივი ჩასახლება აფხაზეთში. ათწლეულების განმავლობაში, კავკასიის კოლონიური ადმინისტრაცია სომხებს ხელს უწყობდა საქათველოში უძრავ-მოძრავი ქონების შეძენაში. ეს პროცესი განსაკუთრებით საქართველოში ბატონყმობის გაუქმებისა და მომდევნო რეფორმების შემდეგ (XIX საუკუნის 60-70-იანი წლები) გაძლიერდა. აღნიშნული პოლიტიკის წყალობით, სომხებმა ხელში ჩაიგდეს კავკასიის, განსაკუთრებით, საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის უმნიშვნელოვანესი წილი. სომხური ბურჟუაზია იმდენად გაძლიერდა, რომ რუსულ და უცხოურ კაპიტალს სერიოზულ კონკურენციას უწევდა. სომხებმა მყარად მოიკიდეს ფეხი თბილისის გუბერნიაში, განსაკუთრებით ქალაქ თბილისში, ქუთაისის გუბერნიაში, კერძოდ, აფხაზეთში (სოხუმის ოკრუგში), ბათუმის ოლქში, პირველ რიგში, ქალაქ ბათუმში, ყარსის ოლქში. საქალაქო რეფორმის შემდგომ პერიოდში XIX საუკუნის 70-90-იან წლებში სომხები გაბატონდნენ თვითმმართველობაში, მოგვიანებით კი, სერიოზული პოზიციები მოიპოვეს საქართველოს და სხვა ქალაქების მართვა-გამგეობაში.[213]

საერთო ჯამში, მეტი დამაჯერებლობისათვის, ლორე-ტაშირისა და სამცხე-ჯავახეთის ოდინდელი ქართული კუთვნილების შესახებ, მოვიყვანთ კიდევ ერთ მტკიცებულებას, რომელიც თვით მოვსეს ხორენაცს, სომეხთათვის ესოდენ სათაყვანებელ პიროვნებას ეკუთვნის. ქვემოთ მოყვანილი ციტატა სანკტ-პეტერბურგში, 1877 წელს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნიდან ,,სომხეთის გეოგრაფია" არის ამოღებული, გვ. 38-40, და აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ნაშრომშია (,,ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ") მოყვანილი: ,,რა შეიძლება ამოვკრიფოთ სომხური ცნობებიდან ამ საკითხის გარშემო?

ავიღოთ ყველაზე სუბიექტურად შეფასებული წყარო, ცნობილი ,,სომხური გეოგრაფია", რომელსაც ტრადიცია მოვსეს ხორენაცს მიაწერს და ჩვენი ერის V საუკუნის (იგულისხმება ჩვ. წთ. აღ. - ა. ჩ.) თხზულებად მიიჩნევს... აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ ,,გეოგრაფია" მოგვითხრობს: ,,ივერია, ესე იგი საქართველო, ეგერიდან აღმოსავლეთით, კავკასიაში სარმატიასთან მოსაზღვრეობით, გაშლილია მდინარე მტკვრის გაყოლებით ალვანეთის საზღვრებამდე. საქართველოს ტერიტორიები შემდეგია: ***კლარჯნი, არდაჰანი, შავშეთი, კავახნი, სამცხე,*** (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.) აჭარა... ***მანგლისის ხეობა, ქვეშის ხეობა,*** (ახლანდელი ბაშკიჩეთის, ანუ დმანისის რაიონის ძველი სახელწოდება - ს. ჯ.), ***ბოლნისის ხეობა, თრელი*** (ესე იგი თრიალეთი - ს. ჯ.), ***კანგარნი, ტაშირი*** (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.) და სხვა".[214] წარმოდგენილი, ამჯერად უკვე სომხური წყაროს მიხედვით, კიდევ ერთხელ ცალასახად მტკიცდება ლორე-ტაშირისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების უდავოდ ისტორიული ქართული კუთვნილების საკითხი.

XX საუკუნის 10-იანი წლებისათვის კი შემდეგი სურათი გვაქვს. მოვიყვანთ მსოფლიოში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე უფრო ავტორიტეტული, სანდო და პრესტიჟული გამოცემის - ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების (ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის) ენციკლოპედია

---

[213] ვახტანგ გურული. ცვლილებები რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში. ვასილი ველიჩკო (მე-19 საუკუნის 90-იანი წლები – მე-20 საუკუნის დამდეგი). მეისტორიე. გამომცემლობა არტანუჯი. თბილისი. 2019. გვ. 127-128.

[214] აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია. ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ. თბილისი, 2003. გვ. 15-16.

,,ბრიტანიკას" ცნობებს ტფილისისა და ერივანის გუბერნიების შესახებ, რომლებიც 1911 წლითაა დათარიღებული - ე.ი. ზუსტად ჩვენთვის საინტერესო პერიოდს შეეხება. აქ მეტად საინტერესო და უმნიშვნელოვანესი მასალებია გადმოცემული აღნიშნული გუბერნიების საზღვრების შესახებ, ადმინისტრაციული მოწყობის პრინციპზე, ასევე მოსახლეობის რაოდენობაზე, მათ ეთნიკურ შემადგენლობაზე და ა.შ. ,,ტფილისის გუბერნია - რუსეთის ტრანსკავკასიური გუბერნია, მოიცავს კავკასიის მთავარ ქედსა და სომხეთის მთიანეთს შორის არსებული დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილს. გუბერნია მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, მაგრამ ***სპილენძი მხოლოდ ალავერდსა და ახტალაში მოიპოვება.*** (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). ნავთობი და მინერალური წყლები ბევრია. გუბერნიის მიწები ირწყვება მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადების წყლებით (ლიახვი, არაგვი, იორი და ალაზანი). ყველა ესენი ფართოდ გამოიყენება ირიგაციაში. გუბერნიის ყველაზე დაბალ ადგილზეა უწყლო, ვრცელი სტეპები - ***შირაქი და ყარაიაზი,*** (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). მტკვრის მარცხენა სანაპიროზეა, რომლებიც დასახლებულია მომთაბარე თათრებით. გუბერნიის ფართობია 15601 კვ. კმ. (17140 კვ. კმ. ზაქათალის ჩათვლით) და მოსახლეობა 1906 წლის მონაცემებით შეადგენდა 1081900 კაცს. გუბერნია დაყოფილია ცხრა მაზრად. ტფილისის გუბერნიის სამაზრო ქალაქებია ტფილისი, ახალქალაქი, ახალციხე, დუშეთი, გორი, სიღნაღი და თელავი. მოსახლეობის ძირითად საქმიანობას სოფლის მეურნეობა შეადგენს... გუბერნიის ცენტრს ტფილისი წარმოადგენს და მისი მოსახლეობა 1897 წელს შეადგენდა 160645 კაცს, 1883 წელს კი 104024-ს. ქალაქის მოსახლეობა მოიცავს ქართველებს, რუსებს, გერმანელებს, სპარსელებსა და თათრებს."

როგორც ვხედავთ, ენციკლოპედიაში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, თბილისის გუბერნიის მასშტაბებითაც კი, XX საუკუნის დასაწყისისათვის აქ მაცხოვრებელ სომეხთა რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ ზემოთ მოყვანილ ჩამონათვალში სომხები საერთოდ არც არიან მოხსენიებულნი. იმავე ენციკლოპედიაში: ,,ერივანის გუბერნია - რუსეთის გუბერნია ტრანსკავკასიაში, რომელიც შემოსაზღვრულია ყარსის პროვინციით დასავლეთიდან, ტფილისის გუბერნიით ჩრდილოეთიდან, ელიზავეტპოლის მაზრით ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან, სპარსეთითა და თურქეთის სომხეთით სამხრეთიდან. იგი მოიცავს უზარმაზარი პლატოს ცენტრალურ ნაწილს, სადაც განლაგებულია ჩამქრალი ვულკანები ალაღოზე (14440 ფუტი[215]) და არარატი (16925 ფუტი). ამ პლატოზე მდებარეობს გოგჩას ტბა[216] (540 კვ. კმ.). ტერიტორია უწყლოა და ირიგაციას მოითხოვს. ირიგაციისათვის ძირითადში გამოიყენება მდინარე არაქსის წყლები, რომელიც ამავე დროს საზღვარს წარმოადგენს სპარსეთთან. მდინარე არაქსის ზედა წელი ქვიანი უდაბნოა. სასარგებლო წიაღისეულით ერივანის გუბერნია სავარაუდოდ მდიდარია, მაგრამ აქ მხოლოდ ქვამარილის მოპოვება ხდება.

გუბერნიის მოსახლეობა 1897 წლის მონაცემებით შეადგენს 829578 ადამიანს, აქედან მხოლოდ 357086-ია ქალი. ქალაქებში ცხოვრობს სულ 82278 კაცი. 1906 წლის მონაცემებით გუბერნიის მოსახლეობა შეადგენდა 909100 კაცს. აქედან სომხები 441000, თათრები (40%), ქურთები 49389, რუსები, ბერძნები და თათები. თათრებიდან უმეტესობა შიიტია, მხოლოდ 27596-ია სუნიტი,

---

215 ფუტი (ინგლ. Foot. საერთაშორისო აღნიშვნა – ft.) – სიგრის საზომი ერთეული ინგლისურ ერთეულთა სისტემაში. ფუტი სისტემგარეშე ერთეულია და არ მიეკუთვნება ერთეულთა საერთაშორისო SI (System International) მეტრულ სისტემას. სხვადასხვა ქვეყანაში ფუტს განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. 1958 წელს ინგლისურენოვანი ქვეყნების მეტროლოგთა კონფერენციაზე უნიფიცირებულ იქნა სიგრძისა და მასის ერთეულები. ,,საერთაშორისო" ფუტის ზუსტ ზომად მიღებულ იქნა 0,3048 მეტრი. ამავე დროს 1 ფუტი უდრის 12 დუიმს (inch).

216 გოგჩას ტბა, გეოქჩაის ტბა (ქართულ წყაროებში აგრეთვე გოქჩას ტბა, სხვანაირად გელაქუნის ტბა) – იგივე სევანი. ტბა სომხეთში (სომხ. Սևանա լիճ). ზედაპირის ფართობი 1200კმ^2. მდებარეობს დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე, სამხრეთ კავკასიის ვულკანურ მთიანეთში, ზღვის დონიდან 1900 მეტრ სიმაღლეზე. ტბას ჩრდილო-დასავლეთიდან ეკვრის ბამბაკის ქედი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შაჰდაღის ქედი, დასავლეთით და სამხრეთით – გეღამის და ვარდენისის ქედები.

ხოლო 7772 იეზიდია. გუბერნია იყოფა შვიდ მაზრად - ერივანი, ალექსანდროპოლისი, ეჩმიაძინი, ნახიჭევანი, ნოვობაიაზეთი, სურმალი და შარურ-დარალაგეზი. ერივანი, ირევანი ან ირვანი, სპარსულად რევანი - გუბერნიის მთავარი ქალაქია. ქალაქის ძირითად მოსახლეობას შეადგენს სომხები, სპარსელები და თათრები. არიან აგრეთვე რუსები და ბერძნები".[217] როგორც ვხედავთ, მთლიანად, თვით ერივანის გუბერნიაშიც კი, 1906 წლის მონაცემებით, სომხები გუბერნიის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ შეადგენდნენ.

რაც შეეხება საქართველოში, და კერძოდ, ქვემო ქართლში მცხოვრებ ბერძნებს. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას ვერ მივიჩნევთ ვერც საქართველოში მოსულ უძველეს ბერძენ კოლონისტთა უშუალო შთამომავლებად, ვერც ბიზანტიელი მისიონერების და ოსტატთა მემკვიდრეებად. ისინი ჩვენში ძირითადად XIX-XX საუკუნეების განმავლობაში გადმოსახლდნენ. ქართლ-კახეთის სამეფოში, და, კერძოდ, მის ქალაქებში XVIII საუკუნის 70-იან წლებში უკვე ჩნდება ცალკეული სარეწაოები. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი სამთამადნო წარმოება იყო. აღმოსავლეთ საქართველოში სამთამადნო წარმოების აღდგენის მიზნით სამეფო ხელისუფლებამ (აქ ერეკლე მეორის მიერ გატარებულ დემოგრაფიულ პოლიტიკაზეა საუბარი - ა. ჩ.) მოიწვია ანატოლიიდან ამ საქმის მცოდნე ბერძენი ოსტატები. არსებული ცნობებით გიუმიშხანედან მოსული ბერძნების 800-მდე ოჯახი ჩასახლებულა 1763 წელს ახტალის მიდამოებში. სწორედ აქ განაახლეს ბერძნებმა ვერცხლის საბადოების დამუშავება ახტალაში და ხელი მიჰყვეს ალავერდის სპილენძის საბადოების დამუშავებასაც. იყო წლები, როცა ახტალის ვერცხლის სარეწაოებში 700-დან 1000-მდე ბერძენი მუშაობდა.[218] მკვლევარ ვ. ჯაოშვილის მონაცემებით სწორედ მათი ჩამომავლები არიან დღევანდელი მარნეულის რაიონის სოფელ ოფრეთში ამჟამად მცხოვრები ბერძნები. 1829-1830 წლებში თრიალეთში ოსმალეთის სხვადასხვა პროვინციებიდან ბერძნების 1125 ოჯახი ჩამოვიდა. 1864 წელს წალკაში უკვე იყო 1075 ბერძნული კომლი, ანუ, ორივე სქესის 9245 სული სახლობდა. მეფის ხელისუფლების მიერ ბერძენთა საქართველოში ჩამოსახლება შემდეგ წლებშიც ინტენსიურად გრძელდებოდა.

ყოველივე ზემოთქმულს თუ შევაჯამებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უფრო ობიექტური, სარწმუნო და დამაჯერებელი არგუმენტები ლორე-ბამბაკის რაიონის უდავო ქართულ კუთვნილებაზე XIX-XX საუკუნეებისთვისაც, ალბათ ბუნებაში აღარც არსებობს. ისიც უდავოა, რომ მეცნიერული თვალსაზრისით, ბრიტანული მხარე ნამდვილად ნეიტრალურ და უაღრესად ავტორიტეტულ მხარეს წარმოადგენს.

რუსეთის საიმპერატორო კარის, რუსეთის მთავრობისა და კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის პროსომხური პოლიტიკა იმით იყო გამოწვეული, რომ რუსები სომხებს კავკასიის ერებისაგან გამოარჩევდნენ და განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. ეს იყო ჩვეულებრივი Divide et impera - ,,გათიშე და იბატონე"-ს პოლიტიკა. რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ელიტა, რუსი დიპლომატები მიიჩნევდნენ, რომ სამხრეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას ყველაზე ძლიერ წინააღმდეგობას ქათველები გაუწევდნენ და მათი ბრძოლა რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიის სხვა ერებს სტიმულს მისცემდა.[219]

სომეხი მოსახლეობა ისე იყო ჩამოსახლებული საქართველოში, რომ მთავარ ეკონომიკურ საყრდენს მაინც ქალაქი თბილისი წარმოადგენდა და თითქოს არ იქმნებოდა საფრთხე იმისა, რომ

---

217 ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების ენციკლოპედია ,,ბრიტანიკა". Encyclopaedia "Britannica". A new Survey of Universal knowledge. Vol. 2. Chicago, London. Toronto. გვ. 379.

218 ნ. ბერძენიშვილი, ნ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია. ნაწილი I. თბილისი. 1958. გვ. 363.

219 ვახტანგ გურული. ცვლილებები რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში. ვასილი ველიჩკო (მე-19 საუკუნის 90-იანი წლები – მე-20 საუკუნის დამდეგი). მეისტორიე. გამომცემლობა არტანუჯი. თბილისი. 2019. გვ. 128.

ქართული ტერიტორია მოწყვეტილი ყოფილიყო და ცალკე არსებობა გაეგრძელებინა. მაგრამ იმ დროს, როდესაც ამიერკავკასიაში მეფისნაცვლად გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი იყო, სომხებმა ისარგებლეს მისი კეთილგანწყობით და წამოაყენეს საკითხი ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრების თბილისის გუბერნიისგან გამოყოფისა და გუმბრთან შეერთების შესახებ, რათა შეექმნათ გუმბრის, (ალექსანდროპოლის) გუბერნია და ერევანს შეერთებოდნენ. ვორონცოვ-დაშკოვმა ბრძანება გასცა, რათა ეს საკითხი შეესწავლათ და მისთვის შესაბამისი მოხსენება წარედგინათ. ამიტომ 1913 წლის 6 ნოემბერს და ამავე წლის დეკემბერს თბილისის გუბერნატორმა ბორჩალოს სამაზრო კომისიას წერილი გაუგზავნა რომ საქმეში ჩახედულ პირთაგან ადგილზე გარკვეულიყო შესაძლებელი იყო თუ არა ბორჩალოს მაზრის გუმბრთან შეერთება და ერთიანი იურისდიქციის წარმოდგენა. ამ სამაზრო კომისიამ ჩვენდა საბედნიეროდ დაადგინა, რომ ბორჩალოს მაზრის თბილისის გუბერნიიდან გამოყოფა სასურველი არ იყო.[220]

სომეხთა დემოგრაფიული ექსპანსიის შემდგომი დიდი ტალღა ისტორიულ ქართულ მიწებზე უკვე ახალ გლობალურ მოვლენას, კერძოდ, I მსოფლიო ომის დაწყებას და კავკასიის ფრონტზე განვითარებულ პროცესებს უკავშირდება. სომეხთა ბოლო მასობრივი შემოსვლა საქართველოს ტერიტორიებზე 1915 წლიდან იწყება, მას შემდეგ რაც რუსეთის კავკასიის ფრონტის შენაერთებმა აქტიური შეტევითი მოქმედებები დაიწყეს ოსმალთა ტერიტორიებზე. ამჯერად ჩვენ შეგნებულად ვუვლით გვერდს სომეხთა საქართველოს ტერიტორიებზე გადმოსახლების მასიურ პროცესს I მსოფლიო ომის პერიოდში, რამეთუ აღნიშნულ საკითხს ჩვენ ნაშრომის შესაბამის თავში განვიხილავთ, და რაც მთავარია, ეს კიდევ ერთი დიდი პრობლემატური და შეუსწავლელი თემაა ,,სომხური საკითხისა'' და ე.წ. ,,სომეხთა გენოციდის'' სფეროდან, რაც ცალკე კვლევა-ძიების საგანს წარმოადგენს.

აი, ასეთი იყო ისტორიულ ქართულ მიწებზე სომეხთა განსახლების ზოგადი სურათი. საერთო ჯამში, XX საუკუნის დასაწყისისათვის, სომხებმა ცარიზმის შოვინისტური და იმპერიული პოლიტიკის დიდი მხარდაჭერით, ბოლოსდაბოლოს შეძლეს საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ეთნიკური დისბალანსის შექმნა და სომხური უმრავლესობის ხელოვნური სურათის დამყარება. სომეხთა ნაციონალისტური პარტია ,,დაშნაკცუტიუნის'' დიდი მეცადინეობის წყალობით, სომეხთა მშვიდობიანი დემოგრაფიული ექსპანსიის პროცესმა საქართველოში I მსოფლიო ომის მსვლელობისას კი, საბოლოო ჯამში, შეუქცევადი ხასიათი მიიღო და საქართველო ახალი, დიდი განსაცდელის წინაშე დააყენა.

I მსოფლიო ომის დროს ოსმალეთიდან დევნილი სომხები უცხოეთის მრავალ ქვეყანაში გაიფანტნენ. დიდმა ნაწილმა თავი რუსეთის იმპერიას შეაფარა და ბინა იქ დაიდო. ათეულათასობით ლტოლვილი, მათ შორის მოხუცები, ქალები და ბავშვები, საქართველოს შემოეხიზნა. ქართველი საზოგადოება ამ ადამიანთა ბედის მიმართ გულგრილი ვერ დარჩებოდა და არც დარჩენილა. მან გულწრფელად განიცადა მეზობლის ტრაგედია, გაითავისა განსაცდელში ჩავარდნილი სომეხი ხალხის გასაჭირი, შეიკედლა რბევასა და განადგურებას გამოქცეული უამრავი დევნილი სომეხი, უანგაროდ უმასპინძლა მათ და ლუკმა გაუყო შეჭირვებულ მოყვასს. თბილისში, ბათუმში, ახალციხესა და თელავში შეიქმნა გამოქცეულთა დამხმარე საზოგადოებები თუ სხვადასხვა ჯგუფები, ლტოლვილთა დასახმარებლად გროვდებოდა შემოწირულობანი - საკვები, ფული, ტანსაცმელი და სხვ. ყოველივე ეს მკაფიოდ აისახა თანადროული პრესის ფურცლებზე, რომელიც შემორჩა ისტორიას, როგორც ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის საგულისხმო

[220] გურამ მარხულია. ,,დაშნაკცუტუნის'' სისხლიანი ნაკვალევი. გამომცემლობა ,,მერიდიანი''. თბილისი. 2015. გვ. 57.

პირველწყარო.[221] ყოველკვირეული საზოგადო-ეკონომიკური და სალიტერატურო ჟურნალი ,,კლდე", თავის 1915 წლის 18 იანვრის ნომერში ოსმალთა იმპერიიდან საქართველოში შემოსულ სომეხ ლტოლვილთა შესახებ, და ზოგადად, ამ პროცესის თანმდევ სახიფათო ტენდენციების შესახებ, წერდა:,,არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ წინანდელი ომების გამო გამოქცეულმა სომხობამ უომრად დაიპყრო მაგალითად მთელი ახალქალაქის მაზრა და ნაწილები ბორჩალოსი და ყარსის ოლქისა. ასევეა დღესაც და უკვე ისმის ხმები რომ გამოქცეულთ შველა სჭირიათ არა მარტო ფულით და საცვალით, არამედ ***მიწითაც.*** აი ის ძირითადი განსხვავება, რომელსაც წარმოადგენს შველა ჰუმანიური და სახელმწიფოებრივი. ეს ასეც უნდა იყოს. ათ ოჯახს, ოცს, ასს - შეიძლება დახმარება გაუწიო დროებით ფულით, სანოვაგით, ტანსაცმლით, მაგრამ ყოვლად წარმოუდგენელია 60-100000 გამოქცეული შეინახოს ვინმემ სამუდამოდ - ქველმოქმედებით. ***ამოდენა ხალხს უნდა გამოეძებნოს საქმე, უნდა მიეცეს მიწა,*** რომ თავისი თავის გამოკვებაც შეძლოს და სხვის ბარგადაც არ იყოს. ახლა ვიფიქროთ, საიდან უნდა აიღონ კავკასიაში ეს საქმე, საიდან უნდა გამოსჭრან ეს მიწა, როდესაც საქმის სიმწირე ყველასაგან ცნობილი არის"...[222] (ხაზგასმები ავტორისაა - ა. ჩ.). 1936 წელს პარიზში გამომავალ კავკასიის ხალხთა რუსულენოვან ემიგრაციულ ჟურნალში ,,Кавказ (Le Caucase)" დაიბეჭდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ბატონ ზურაბ ავალიშვილის სტატია, სათაურით, ,,1500 წლის შემდეგ", რომელშიც მოკლედ იყო მიმოხილული სომეხთა ისტორია და სომხური დიასპორების საკითხი. სტატიის დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ: ,,1914-1920 წლების მოვლენების შემდეგ სომხეთი ტერიტორიულად შემცირდა, სამშობლოს გარეთ განთესილ მის შვილთა რიცხვი კი, გაიზარდა.

კავკასიის ხალხთა შორის მხოლოდ სომხებს არა აქვთ ნამდვილი ***დიასპორა*** (ხაზგასმა ავტორისაა - ა. ჩ.). ალბათ თვითონაც ამჯობინებდნენ იმას, რომ უფრო მეტნი ყოფილიყვნენ თავიანთ სამშობლოში, ვიდრე მის ფარგლებს გარეთ. მაგრამ უძველესი დროიდან მათ იმის ნიჭი გამოავლინეს, რომ მნიშვნელოვანი კოლონიები შეექმნათ უცხო მიწებზე. ამიტომ, სომხური დიასპორები უკვე სომხური საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. ამ დიასპორების მნიშვნელობა გაიზარდა ომის შემდგომ (აქ პირველ მსოფლიო ომზეა საუბარი - ა. ჩ.), თურქეთიდან სომხური მოსახლეობის ნაშთების გამოსვლის შემდეგ. სამაგიეროთ მათ დაკარგეს თავიანთი ორი სამშობლოდან ერთ-ერთი: თურქეთის სომხეთი აღარ არსებობს. და სწორედ ამ დანაკარგთან არის დაკავშირებული სომეხთა რიცხვის ზრდა ევროპასა და ამერიკაში".[223]

1915 წლის 29 იანვრის გაზეთ ,,სახალხო ფურცლის" 197-ე ნომერში კი, ვკითხულობთ:

,,როგორც ოფიციალური ცნობებიც ადასტურებენ, ბოლო დროს ოსმალელთიდან და სპარსეთიდან კავკასიაში დიდძალი სომხობა გადმოსახლდა. ამბობენ, რომ გადმოხიზნული სომხების რიცხვი 120–150 ათასი იქნებაო. ნაწილი გადმოსახლებულებისა ტფილისში დაბინავდა, ქალაქის სხვა და სხვა უბნებში. გარდა სომხებისა ჩვენს დედა ქალაქში ამ ჟამად იმყოფება სამი ათასამდე სპარსეთიდან გამოქცეული აისორი. გადმოხიზნულთა საკითხი მეტად რთული და სერიოზული საკითხია, მაგრამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იღებს იგი დღევანდელ პირობებში. ჩვენ რასაკვირველია ყველაზე უწინარეს გვაინტერესებს ეს საკითხი იმდენად, რამდენად გამოხიზნულები გადმოდიან საქართველოს მიწაწყალზე და დროებით თუ სამუდამოდ დაბინავდებიან აქ.

---

221 გევორქ იაგუტოვ, რაზმიკ ბადალიან, არტურ მირზოიან, ედუარდ სააკიან, ალექსანდრ ოჰანიან. სომეხთა გენოციდი ქართულ პერიოდიკაში 1914-1918 წლებში (საარქივო მასალების კრებული). საქართველოს სომეხთა სათვისტომო. თბილისი. 2011. გვ. 8-9.

222 ყოველკვირეული საზოგადო-ეკონომიკური და სალიტერატურო ჟურნალი ,,კლდე". №2. 18 იანვარი. 1915 წ. გვ. 2.

223 З. Авалишвили. Спустя 1500 лет. Кавказ. (Le Caucase). Орган независимой национальной мысли. Париж. Апрель 1936. №4/28. Стр. 7.

სრულიად დარწმუნებულნი უნდა იყვნენ თავის სამშობლოდან გამოქცეული, უსახლკაროდ დარჩენილი სომხები, აისორები და სხვები, რომ კარგად გვესმის მათი უმწეო მდგომარეობა, სულით და გულით თანაუგრძნობთ გაჭირვებასა და განსაცდელში და დავეხმარებით, გარემოება რამდენადაც ხელს შეგვიწყობს. მაგრამ თვითონაც ნათლად უნდა გაითვალისწინონ გადმოხიზნულებმა ეხლანდელი საერთო ვითარება და ქართველი ხალხის მდგომარეობა და ნურავინ მოგვთხოვს იმას, რაც ძირიან-ფესვიანად ეწინააღმდეგება ჩვენი ერის აწმყოს და მომავალს. უპირველესად არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორი წლის მოუსავლობისა და ეხლანდელი უმაგალითო ომიანობის გამო დღეს ჩვენში ცხოვრება მეტად გაჭირვებულია, საკვები ძნელი საშოვარია და გარედან შემოტანაც ძალზე გაძნელებულია და მალე ეგებ სრულიად მოუხერხებელიც გახდეს. ამ პირობებში ჩვენს ტერიტორიაზე ადგილობრივ მკვიდრთაც კი უჭირთ თავის შენახვა და მოვლა და ეხლა კიდევ რომ ჩვენი ქვეყნის მუდმივ მობინადრეებს გამოხიზნულები მიემატნენ, ჩვენი მდგომარეობა სწორედ რომ აუტანელი იქნება. ჩვენ საკუთარი საჭიროება და მოთხოვნილებაც ბევრი გვაქვს დღეს და დამატებით სხვის გასაჭირს კიდევ ვერ მივიღებთ ჩვენს თავზე...

არის მეორე გარემოებაც, უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი. ტფილისის გუბერნიის ზოგიერთი ადგილი დღესაც მეტად აჭრელებულია ეროვნულად. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში გადმოხიზნულთა მეოხებით ჩვენ დავკარგეთ სრულიად ახალქალაქის მაზრა; გამოხიზნული მრავალი დასახლდა აგრეთვე ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებში. ეხლა რომ ახალი გამოხიზნულები ჩაგვისახლდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, ეს საქმეს მეტად გაგვირთულებს და გაამწვავებს. ეს დიდს საფრთხეს განუმზადებს ჩვენს ეროვნულს მდგომარეობას და არ შეგვიძლია ყოველის ღონით წინააღმდეგობა არ გაუწიოთ ჩვენი მიწაწყლის აჭრელებას, რომელიც ქართველს ერსაც ძლივს ჰყოფნის... ჩვენი ეროვნული ინტერესი და გონიერი სიფხიზლე მოითხოვს, რომ საფრთხე წინასწარ ავიცდინოთ თავიდან“.[224] გაზეთ ,,საქართველოს“ 1915 წლის 4 ოქტომბრის სტატიაში კი, სათაურით ,,ჩვენ და მეზობლები“ ვკითხულობთ: ,,ერთი საუკუნის მანძილი საკმარისი აღმოჩნდა, რომ სომეხთა ახალშენები საფუძვლიანად მოწყობილიყო ამიერკავკასიაში. 1897 წლის ერთის დღის აღწერამ გამოაჩინა, რომ შემოხიზნულ სომეხთა რაოდენობა ქართველობის საერთო რიცხვს თითქმის გაუსწორდა. დღევანდელმა მსოფლიო ომმა დაჰბადა კვლავ ახალი დევნა სომხის ერისა ჩვენსკენ და აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერკავკასიისკენ. ტალღა ისე დიდია, რომ შეიძლება წალეკოს კიდეც ეს ველ-მინდორი და მთა-გორანი, სადაც ეს ტალღა გაჩერდება.

დანამდვილებით არავინ იცის, რამდენია რიცხვი შემოხიზნულ სომხობისა, მაგრამ თუ გაზეთები არა სტყუიან განზრახ, მათი რაოდენობა სამას ათასს უწევს. მიუხედავათ ასეთის ნაკლისა „გრუზინის“ მიერ შეჯგუფებული ციფრნი შემოხიზნულ სომეხთა რაოდენობისა მეტის მეტად საგულისხმოა და ჩასაფიქრებელი. თუ ასე იწარმოვა საქმემ ერთი ათი წელიწადი კიდევ, სომხის ნასახიც აღარ დარჩება ყოფილ სასომხეთში და ყველა დედაბუდიანად აქ მოიკალათებს“.[225]

საინტერესოა, რომ საქართველოში მოსალოდნელი დემოგრაფიული დისბალანსის დამყარების შესახებ სტატიები სომხურ პრესაშიც იბეჭდებოდა. აი, მაგალითად, გაზეთი ,,ჰორიზონის“ 1916 წლის 4 სექტემბრის ნომერი და მასში დაბეჭდილი სტატია ,,სომხები და საქართველოს ტერიტორია“: ,,სომეხ-ქართველთა დავაში, – სწერს „ჰორიზონ“-ი, – საქართველოს ტერიტორიის ეთნოგრაფიულ მთლიანობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს ავტონომია, რომელიც ამ ჟამად ქართველების პოლიტიკურ იდეალს შეადგენს, შეიძლება წყალმა წაიღოს, ან წინ სერიოზული დაბრკოლებანი გადაეღობოს, თუ ეთნოგრაფიული მთლიანობა, უცხო ელემენტების

---

[224] გეორქ იაგუტოვ, რაზმიკ ბადალიან, არტურ მირზოიან, ედუარდ სააკიან, ალექსანდრ ოჰანიან. სომეხთა გენოციდი ქართულ პერიოდიკაში 1914-1918 წლებში (საარქივო მასალების კრებული). საქართველოს სომეხთა სათვისტომო. თბილისი. 2011. გვ. 31-32.

[225] დასახელებული ნაშრომი. გვ. 113.

იმიგრაციის წყალობით დაირღვა, ფიქრობენ ჩვენი მეზობლები, და რადგანაც სომხები, მათის აზრით, ცდილობენ თანდათან გავრცელდნენ საქართველოში, ან, როგორც ქართველები ამბობენ, „დაიპყრან საქართველო“, ამიტომ სომხები, საქართველოს პოლიტიკური მომავლის თვალსაზრისით, საფრთხეს წარმოადგენენ. აქედან წარმოსდგება ქართველი პუბლიცისტების მიერ წინ-წამოყენებული თეზისი – თუ სომხებსა ჰსურთ კეთილი მეზობლობა ქართველებთან, ხელი უნდა აიღონ საქართველოზე, ან, სხვანაირად რომა ვსთქვათ, აღარ შეესივნენ საქართველოს“.[226]

საქართველოს ტერიტორიებზე სომეხთა მშვიდობიანი დემოგრაფიული ექსპანსიის პროცესის არსი მოკლე რეზიუმეს სახითა აქვს გადმოცემული ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, პავლე ინგოროყვას: ,,რასაკვირველია, შემთხვევითი არ იყო ის მოვლენა, რომ წარსული საუკუნის მანძილზე სომხური ტალღები, როგორც ლავა, ისე ეშვებოდა მდინარე მტკვრის ხეობაში. და სომხური კოლონიები რადიუსების მსგავსად მოემართებოდნენ თბილისისა და შუა ქართლისაკენ... ხოლო დაკვირვებული შეფასება ობიექტურის პირობებისა, გვარწმუნებს, რომ ამ სტიქიური მოვლენის გამომწვევ ღრმა მიზეზს არ გაანელებს ის რადიკალური ცვლილება, რომელიც დღეს ახლო აღმოსავლეთში ხდება... სომხეთი დღეს სცდილობს წარსულში მონაპოვარის ლეგალიზაციას და ჩრდილოეთისკენ მომავალი ტერიტორიის ავანპოსტებზე დამკვიდრებას“.[227]

ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგაც ისტორიული, პოლიტიკური, ტერიტორიული და ეკონომიკური სამართალმემკვიდრეობის პრინციპების გათვალისწინებით, ტფილისის გუბერნიაში შემავალი ლორე-ტაშირის რეგიონი ფაქტობრივად ისევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში მოექცა. თავისთავად ცხადია, რომ ამ რეგიონზე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ფაქტობრივი იურისდიქციაც ვრცელდებოდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ლორეს რეგიონის პოლიტიკურ, სამხედრო, ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ კადრსაც, ბუნებრივია, საქართველოს მთავრობა ნიშნავდა. ამ უცილობელ ჭეშმარიტებას ქვემოთ მოყვანილი საარქივო დოკუმენტიც ადასტურებს - საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის, ბატონ გრიგოლ გიორგაძის განკარგულება:

,,ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს.

01. 06. 1918.

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების ჯავშნოსანი მატარებლებისა და ავტომობილებისათვის საჭიროა რკინა და სხვა მასალები, რომლის გარეშეც ჯავშნოსანი მატარებლები და ავტომობილები ვერ გაართმევენ თავს მათ წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტას. ზემოხსენებული მასალების მიღება შესაძლებელია ალავერდის სპილენძსადნობი ქარხნებიდან, სადაც მიმღებ პირებად მიევლინებიან სანაინის რკინიგზის სადგურის უფროსი დავით დევდარიანი და სამთო ტექნიკოსი სიმონ შუბლაძე.

გიორგაძე”.[228]

ამ განკარგულების ტექსტიდან ჩანს, რომ ლორეს რაიონის მთელი სამეურნეო ინფრასტრუქტურა საქართველოს პირველი რესპუბლიკის საკუთრებაა და შესაბამისად, რეგიონის სამრეწველო-სამეურნეო კადრიც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებებით

---

[226] გევორქ იაგუტოვ, რაზმიკ ბადალიან, არტურ მირზოიან, ედუარდ სააკიან, ალექსანდრ ოჰანიან. სომეხთა გენოციდი ქართულ პერიოდიკაში 1914-1918 წლებში (საარქივო მასალების კრებული). საქართველოს სომეხთა სათვისტომო. თბილისი. 2011. გვ. 58.

[227] პავლე ინგოროყვა. ,,საგარეო საქმეები”. გაზეთი ,,საქართველო”. ოთხშაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 6. №210. გვ. 2.

[228] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 186, ფურცელი 45.

ინიშნებოდა. ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ წარმოდგენილი განკარგულება 1918 წლის 1 ივნისითაა დათარიღებული, ე.ი. ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლიდან და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დეკლარირებიდან სულ რამდენიმე დღეში, რაც კიდევ ერთხელ, ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს მოცემული რეგიონის საქართველოს პირველი რესპუბლიკისადმი ფაქტობრივი კუთვნილების საკითხს და ქართული სახელმწიფოს მხრიდან მისი სრული ადმინისტრაციული კონტროლის ფაქტს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, ე.ი. 1918 წლის 26 მაისიდან დაწყებული, მთელი ორი კვირის განმავლობაში, რესპუბლიკის მთავრობის სხდომებს საქართველოს სამხედრო მინისტრი, ბატონი გრიგოლ გიორგაძე თავმჯდომარეობდა. შესაბამისად, სამთავრობო დადგენილებებსაც იგი გამოსცემდა.

ალბათ ბედის ირონიაა, რომ სწორედ ამ დროს, 1918 წლის ივნისის თვეში, ოსმალთა იმპერიაში ,,საგარეო ტურნეს" მსვლელობისას, არარატის რესპუბლიკის დაშნაკი ლიდერები ,,ალექსანდრე და გევორქ ხატისიანები, ავეტის აჰარონიანი და მიქაელ პაპაჯანიანი (პაპაჯანოვი)[229] იმის შესახებ მსჯელობდნენ, რომ სომხეთის რესპუბლიკაში ერივანის გუბერნიის, მთიანი ელიზავეტპოლისა (მთიანი ყარაბაღის - ა. ჩ.) და ახალქალაქი-ლორის რაიონების ჩართვით სამ ამიერკავკასიურ სახელმწიფოს შორის თანასწორობისა და ბალანსის მდგომარეობა დამყარდებოდა".[230] 23 ივნისს ოსმალთა იმპერიის დიდ ვეზირთან[231], თალაათ ფაშასთან და კაიზერის[232] წარმომადგენელ ბერნსდორფთან შეხვდრისას, სომეხთა წარმომადგენლებმა აღნიშნეს

---

229 მიხეილ ივანეს ძე პაპაჯანოვი (მიქაელ ოვანესის ძე პაპაჯანიანი) (სომხ. Միխայիլ Իվանի Պապաջանով (Միքայել Պապաջանյան)) (1869-1929 წ.წ.) – სომეხი ეროვნების რუსი და სომეხი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პროფესიით იურისტი. რუსეთის მე-4 მოწვევის დუმის დეპუტატი ბაქოს, ელიზავეტპოლის და ერივანის გუბერნიებიდან. დაამთავრა ტფილისის 1-ლი გიმნაზია. 1890 წელს ამთავრებს ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს. მუშაობდა თბილისისა და ბაქოს საოლქო სასამართლოებში. 1899 წლიდან ცხოვრობს ბაქოში, სადაც სასამართლო და საგანმანათლებლო სისტემებში ეკავა სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობები. 1912 წელს ხდება პარტია ,,დაშნაკცუტიუნის" და მისი აღმოსავლეთის ბიუროს წევრი. 1912 წელსვე ხდება რუსეთის მე-4 მოწვევის სახელმწიფო დუმის დეპუტატი. იყო 1917 წლის თებერვლის რევოლუციის აქტიური მონაწილე და ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა და კომისარიატის წევრი. მონაწილეობდა ბათუმის 1918 წლის მაისის კონფერენციაში და სომხური დელეგაციის სახელით ხელი მოაწერა ბათუმის 4 ივნისის ხელშეკრულებას. 1919 წლის თებერვლიდან მონაწილეობდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში როგორც სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციის წევრი. კონფერენციაზე წარადგინა ,,გაერთიანებული და დამოუკიდებელი" სომხეთის (,,დიადი არმენიის") შექმნის მოთხოვნა. სომხეთის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის გამო, 1921 წლიდან აღარ დაბრუნებულა სამშობლოში და დარჩა საფრანგეთში. 1929 წელს გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში, მაგრამ ავადმყოფობის გამო გზაში გარდაიცვალა, ერთი ცნობით – თბილისში, ხოლო მეორე ცნობით – ერევანში.

230 Richard G. Hovannisian. Armenia on the Road to Independence, 1918. By [Published under the auspices of the Near Eastern Center, University of California, Los Angeles.] (Berkeley and Los Angeles: University of California Press. 1967. Pg. 235.

231 ვეზირი (ვაზირი) (არაბ. وزير) – (ვაზირუნ, მინისტრი) – მინისტრებისა და დიდმოხელეთა ტიტული მრავალ მუსლიმურ სახელმწიფოში. სიტყვა წარმოიშვა ძველი სემიტური W-Z-R-დან, რაც დამხმარეს ან მოხელეს ნიშნავდა. ვეზირის სახელი პირველად გვხვდება სასანიანთა სპარსეთის სახელმწიფო წყობილებაში, საიდანაც იგი გადაიღეს აბასიანთა დინასტიის არაბმა ვეზირებმა. ვეზირს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მნიშვნელობა და ფუნქციები ჰქონდა. ზოგ ქვეყანაში რამდენიმე ვეზირი იყო, ზოგან კი – მხოლოდ ერთი (მაგ. არაბთა სახალიფოში, სელჩუკთა სამეფოში). ზოგჯერ ვეზირად რომელიმე პროვინციის გამგებელიც იწოდებოდა. ოსმალეთის იმპერიაში დიდი ვეზირი სახელმწიფოს აღმასრულებელი ორგანოს უმაღლეს პირს წარმოადგენდა. იგი სათავეში ედგა ქვეყნის მთავრობას, სულთნის სახელით გამოსცემდა ფირმანებს და სახელმწიფო აქტებს, ხელს აწერდა სხვადასხვა დიპლომატიურ დოკუმენტებსა და საზავო ხელშეკრულებებს.

232 კაიზერი (გერმ. der Kaiser) – მონარქის გერმანული ტიტული. წარმოდგება რომაული ტიტულისგან ,,კეისარი" (ლათ. Caesar). ამ ტიტულის აღმნიშვნელი სიტყვის პირველი ასო K მიგვანიშნებს ამ

ახლადწარმოქმნილი სომხური სახელმწიფოს კატასტროფული მდგომარეობა და ,,სასიცოცხლო სივრცის“ აუცილებლობა, იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი იყო დამატებით 600 ათასი ლტოლვილის მიღება.[233]

ვალერი ტუნიანი, სომხური წარმომავლობის რუსი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ტურიზმისა და სერვისის რუსული სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგე, თავის ნაშრომში - ,,Фальсификация истории восстановления армянской государственности в азербайджанской историографии“, აღნიშნავს, რომ თალაათ ფაშასთან და სამხედრო მინისტრ ენვერ ფაშასთან შეხვედრისას ხაზი გაესვა სომხეთისათვის ყარაბაღისა და ზანგეზურის მნიშვნელობას. ,,ახალგაზრდა თურქთა“ ხელმძღვანელობამ კი, აღნიშნა თურქეთისათვის ამ რეგიონების მნიშვნელობა ბაქოსთან კავშირის დასამყარებლად, ხოლო ახალქალაქისა და ლორისა - ყაზახთან და ელიზავეტპოლთან.[234] სომეხთა დემოგრაფიულ ექსპანსიასთან მიმართებაში კი, ხაზგასმით აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისისთვის სომხებმა, რა თქმა უნდა, ცარიზმის შოვინისტური და იმპერიული პოლიტიკის დიდი მხარდაჭერით, ბოლოსდაბოლოს შეძლეს საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ეთნიკური დისბალანსის შექმნა და სომხური უმრავლესობის ხელოვნური სურათის დამყარება. სომეხთა მშვიდობიანი დემოგრაფიული ექსპანსიის პროცესმა საქართველოში, I მსოფლიო ომის მსვლელობისას კი, საბოლოო ჯამში, შეუქცევადი ხასიათი მიიღო და საქართველო ახალი, დიდი განსაცდელის წინაშე დააყენა.

სწორედ ასეთ ბაზისზე დაყრდნობით დაიწყეს სომეხმა დაშნაკებმა თავისი შორს გამიზნული და კარგად გააზრებული ექსპანსიონისტური ჩანაფიქრის განხორციელება ქართველებთან და საქართველოსთან და არა მხოლოდ მათთან მიმართებაში. აქ კი, ზუსტად აღნიშნავს ბატონი შოთა ვადაჭკორია, რომ ,,საქართველოს ხელისუფალთა ტოლერანტობა და ათიათასობით სომეხი ლტოლვილის საქართველოში თავშეფარება დაშნაკცუტიუნის პარტიის მეშვეობით, ქართველ ერს ბუმერანგივით დაუბრუნდა და თავსატეხი პრობლემების წინაშე დააყენა. ერთი შეხედვით დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ სომხის ნაციონალისტურმა პარტიამ ლტოლვილი სომხები ქართველთა წინააღმდეგ მაქსიმალურად გამოიყენა და არსებული ხელისუფლების დასამხობად კიბის ყველა საფეხური მოსინჯა”.[235]

ტერმინის სიძველეზე. გერმანულ ენაში შეესაბამება ტიტულს – ,,იმპერატორი'', ხოლო გერმანულენოვან ქვეყნებში აღნიშნავს ყველა დროისა და ხალხების იმპერატორებს. სხვა ევროპულ ენებში, კაიზერს, როგორც წესი, უწოდებენ 1871-1918 წლების პერიოდის გერმანიის, ანუ, მეორე რაიხის მხოლოდ სამ იმპერატორს – ვილჰელმ I-ს, ფრიდრიხ III-ს და ვილჰელმ II-ს. გერმანიის ისტორიის ამ პერიოდს ,,კაიზერის გერმანიის'' ხანასაც უწოდებენ. უფრო იშვიათად, სიტყვა ,,კაიზერი'' (და არა მხოლოდ გერმანულ ენაში) იხმარება გერმანელი ხალხისა და ავსტრიის იმპერიის (1804-1918წ.წ.) და საღვთო რომის იმპერიის (962-1806წ.წ.) მონარქების აღსანიშნავად, სადაც გაბატონებულ ენას ასევე გერმანული წარმოადგენდა. იგივე რომაული წარმომავლობა აქვს რუსთა ხელმწიფის აღმნიშვნელ სიტყვას – ,,ცარ'' (რუს. Царь).

233 Армянский вопрос и Геноцид армян в Турции (1913-1919). Материалы политического архива Министерства иностранных дел Кайзеровской Германии. Сост.В.А. Микаелян. Стр. 538.

234 В. Г. Тунян. Фальсификация истории восстановления армянской государственности в азербайджанской историографии. Ереванский государственный университет. Институт арменоведческих исследований. Издательство ЕГУ. Ереван. - 396 с. 2018. Стр. 34

235 შოთა ვადაჭკორია. საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. (1918-1920 წ.წ.). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრი. თბილისი. 1999. გვ. 26.

§1.5. ქართველი „პროგერმანელები” და ქართული ლეგიონი

„საქართველოს იმ ხანად ხშირად ადარებდნენ დემოკრატიისა და სამოქალაქო წესიერების ოაზისს ყოფილი იმპერიის ანარქიის უდაბნოში. და უნდა ითქვას, რომ ეს შედარება სავსებით სწორია. ამიტომ იყო, რომ საქართველო წარმოადგენდა იმ ჟამით ყველა დევნილთა, ლტოლვილთა და დამარცხებულთა თავშესაფარს. თურქების მიერ აწიოკებული სომხები და ბერძნები, თათართა მიერ დარბეული სომხები და ამის საპასუხოდ სომეხთა მიერ შევიწროებული მაჰმადიანები, რუსთა მიერ დევნილი მთიელები და აზერბაიჯანელები და სხვა მაჰმადიანთა მიერ აყრილი რუსები...

ერთი სიტყვით, ლტოლვილნი და შევიწროებულნი, მიუხედავად მათი რწმენისა და სარწმუნოებისა, საქართველოში პოულობდნენ მშვიდ თავშესაფარს; და ყველაფერი ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თვით საქართველო დამშეული იყო, ვინაიდან მას ირგვლივ და მის წინააღმდეგ საშინელი ბრძოლა წარმოებდა, როცა ოსმალეთი მას თავის მტრად რაცხდა, დიდ ანტანტას თავისი მოწინააღმდეგე ბანაკის დამხმარედ მიაჩნდა იგი და ფარულ ბოლშევიკობას სწამებდა, თეთრი რუსეთი იმპერიის მთლიანობის დამრღვევად და კომუნიზმის აგენტად ნათლავდა, წითელი რუსეთი კი, კონტრრევოლუციურ ბუდესა და დენიკინის[236] მოკავშირეს უწოდებდა, ხოლო ორივე

---

[236] ანტონ ივანოვიჩ დენიკინი (რუს. Антóн Ивáнович Дени́кин) (1872-1947წ.წ.) – რუსი სამხედრო ოფიცერი და მხედართმთავარი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის გენერალ-ლეიტენანტი, სამხედრო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი მემუარისტი და პუბლიცისტი, რუსეთის „თეთრი მოძრაობის” ერთ-ერთი ლიდერი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის, I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომების აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. დაიბადა ვარშავის გუბერნიის ქალაქ ლოვიჩში. 1882 წელს შედის ვლოცლავეკის რეალურ სასწავლებელში, 1890 წელს კი, ამთავრებს ლოვიჩის რეალურ სასწავლებელს. შემდეგ სწავლობდა კიევის იუნკერთა სასწავლებელში, რომელიც დაასრულა 1892 წელს და მიენიჭა პოდპორუჩიკის წოდება. სამხედრო სამსახური გააგრძელა მე-2 საარტილერიო ბრიგადაში. აქვე ენიჭება პორუჩიკის წოდება. 1899 წელს ამთავრებს გენერალური შტაბის აკადემიას და ენიჭება კაპიტნის წოდება. 1902 წელს ინიშნება ასეულის მეთაურად, 1903 წლის ოქტომბრიდან – მე-2 საკავალერიო კორპუსის შტაბში ადიუტანტად. 1904 წლის თებერვალში დაინიშნა ამურისპირეთის ოლქის მე-3 ბრიგადის შტაბის უფროსად. იმავე წლის ნოემბერში ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. 1905 წლის თებერვალში მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომის მუკდენის ბრძოლაში. იმავე წლის 26 ივლისს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. ომის დასრულების შემდეგ, 1907 წლის იანვარში ინიშნება სარატოვის სარეზერვო კორპუსის 57-ე ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაურად. 1914 წლის 23 მარტიდან იყო კიევის სამხედრო ოლქის სარდლის განსაკუთრებულ დავალებათა გენერალი. I მსოფლიო ომის წინ, 1914 წლის ზაფხულში ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება და ინიშნება მე-8 არმიის გენერალ-კვარტერმეისტერად. I მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1915-1916 წლებში იყო მე-4, ე.წ. „რკინის” მსროლელი ბრიგადის მეთაური, შემდეგ – მე-8 საარმიო კორპუსის სარდალი, 1917 წლიდან – დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების სარდალი. იყო „არმიის დემოკრატიზაციის” წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ყრილობების აქტიური მონაწილე. მეფის გადადგომისა და ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ დაწყებული „თეთრი მოძრაობის” ერთ-ერთი ლიდერი და რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. 1919-1920 წლებში იყო ე.წ. „სამხრეთ რუსეთის” შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და მთავრობის მეთაური. ნომინალურად ითვლებოდა „რუსული არმიის” უმაღლესი მთავარსარდლის, ადმირალ ალექსანდრ კოლჩაკის მოადგილედ. სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით კი, იყო „თეთრი მოძრაობის” ლიდერთა შორის ყველაზე უფრო წარმატებული ხელმძღვანელი. ბოლშევიკებთან მარცხის შემდეგ, 1920 წლის აპრილიდან ემიგრაციაშია. ცხოვრობდა ჯერ ლონდონში, შემდეგ ბრიუსელში, ბუდაპეშტსა და პარიზში. 1945 წელს ტოვებს ევროპას და საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება. შემდგომ წლებში წარმოადგენდა რუსული ემიგრაციის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ მოღვაწეს. ემიგრაციაში ყოფნისას დაწერა რამდენიმე მემუარული და რუსეთის სამოქალაქო ომის თემასთან დაკავშირებული სამხედრო-ისტორიული ხასიათის ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები „Очерки русской смуты”, „Старая армия”, „Путь русского офицера” და სხვა. იყო სხვადასხვა სამხედრო ორდენისა და ჯილდოების კავალერი. გარდაიცვალა 1947 წელს, მიჩიგანის საუნივერსიტეტო კლინიკაში. დაკრძალეს დეტროიტში. 2005 წელს მისი ნეშტი მოსკოვში გადმოასვენეს.

ერთად თანაბარი სისასტიკითა და ვერაგობით, საშინელ სასურსათო და პოლიტიკურ-ეკონომიკურ რკალს არტყამდა ირგვლივ და მოუსვენრად მუშაობდა მის შიგნიდან ასაფეთქებლად".[237] ეს სიტყვები საქართველოს პირველი რესპუბლიკის ცნობილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, ბატონ გრიგოლ ლორთქიფანიძეს[238] ეკუთვნის.

ცალსახად ვეთანხმებით ბატონი გრიგოლის მოსაზრებებს საქართველოში არსებული იმდროინდელი მდგომარეობის შეფასებაში. იგი, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი ჩინოვნიკი, შემდეგ კი, რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, ბუნებრივია, ფლობდა ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას და აკონტროლებდა იმ მოვლენებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიაში 1918-1921 წლების პერიოდში. რაც შეეხება ციტატაში გამოთქმულ მოსაზრებას ანტანტის წევრი ქვეყნების მხრიდან საქართველოს მიმართ გამოხატული უნდობლობის შესახებ. მეტი სიცხადისათვის საკითხი გაშლას და უფრო დაწვრილებით განხილვას მოითხოვს. ასეთი მიდგომა უფრო ნათელს გახდის ჩვენი თემატიკის ძირითადი საკვანძო საკითხების აღქმას. საუბარი I მსოფლიო ომს, დაპირისპირებულ მხარეთა შემადგენლობას და მათთან მიმართებაში სხვადასხვა ქართული პოლიტიკური წრეების მიერ დაკავებული პოზიციების ანალიზს ეხება.

ისტორიული რეალობაა, რომ სახელმწიფოებრივი არსებობის ხანგრძლივი, მთელი სამიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე, თავისი რთული გეოპოლიტიკური მდებარეობიდან

---

[237] გრ. ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე. თბილისი. 1995. გვ. 158-159.

[238] გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881-1937წ.წ.) – ცნობილი ქართველი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, ორთოდოქსი მარქსისტი. ფილოსოფოსი, ლიტერატორი და პუბლიცისტი. დაიბადა ქუთაისის მაზრის სოფელ ისრითში. სწავლობდა სოფელ ამაღლების ოთხწლიან სკოლაში, 1902 წელს კი, დაამთავრა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია, შემდეგ სწავლობდა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, სადაც მჭიდრო კონტაქტები დაამყარა ოდესის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან. აქვე ჩაება აქტიურ რევოლუციურ მოძრაობაში. სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გაყოფის შემდეგ, ქართველთა უმრავლესობის მსგავსად, მიემხრო მენშევიკებს. მონაწილეობდა პოლიტიკურ გამოსვლებსა და გაფიცვებში, რის გამოც 1904 წელს სხვა მეამბოხე სტუდენტებთან ერთად გარიცხეს უნივერსიტეტიდან, დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. 1907 წელს თავი აღიდგინა უნივერსიტეტში, მაგრამ სხვა, ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბრუნდება საქართველოში. აქვე ებმება აქტიურ პუბლიცისტურ და საგამომცემლო საქმიანობაში. იყო საქართველოში გამომავალი გაზეთების, „ეკალისა" და „სოციალ-დემოკრატიული ფურცელის" რედაქტორი. ანტიცარისტული მოღვაწეობის გამო, 1911-1912 წლები მეტეხის ციხეში გაატარა. გასამართლების შემდეგ სასჯელად ერგო გადასახლება ჩრდილოეთ რუსეთში. 1916 წელს მისცეს ვორონეჟის გუბერნიაში დასახლების უფლება. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პერიოდში იყო ბელგოროდის ოლქში გამომავალი ერობის სახალხო გაზეთის რედაქტორი. როგორც დაჯერებული მარქსისტი, იყო ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შეურიგებელი მოწინააღმდეგე და ბოლშევიზმის კრიტიკოსი. 1918 წლის დასაწყისიდან საქართველოში გადმოდის და აქ აგრძელებს აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას. საქართველოს დემოკრატიული რეპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ხდება მისი მთავრობის წევრი, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი, მინისტრის მოადგილე, შემდეგ – განათლების მინისტრი. 1920 წლის დასაწყისში ინიშნება რესპუბლიკის სამხედრო მინისტრად, ხოლო 1920 წლის დეკემბრის ბოლოს – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ. მონაწილეობდა 1921 წლის 18 მარტს ქუთაისში ბოლშევიკებთან გამართულ მოლაპარაკებებში, სადაც ბოლომდე იდგა პრინციპულ პოზიციაზე. ამ ხელშეკრულების თანახმად საქართველომ არ სცნო ბოლშევიკური მთავრობა და არ მიიღო კაპიტულაცია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, მთავრობის სხვა წევრების მსგავსად, ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სამშობლოში. იმყოფებოდა გადასახლებაში, არ ეპუებოდა ბოლშევიკურ რეჟიმს და წერდა პოლიტიკური ხასიათის კრიტიკულ წერილებს. 1925 წელს დასახლდა კურსკში, რადგან საქართველოში ცხოვრება ეკრძალებოდა. ამ პერიოდში ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. თავის წერილებსა და პუბლიკაციებში აკრიტიკებდა თავის ძველ თანამებრძოლს, იოსებ სტალინს და მის მიერ გატარებულ სახელმწიფოებრივ კურსს, რის გამოც ისევ დააპატიმრეს და ვორონეჟში გადაასახლეს, ხოლო 1936 წელს – ციმბირში. დახვრიტეს (ზოგიერთი ცნობით გარდაიცვალა დაკითხვის დროს) 1937 წელს.

გამომდინარე, საქართველო ხშირად მდგარა ,,ნაკლები ბოროტების" არჩევანის წინაშე. საუკუნეების განმავლობაში ამა თუ იმ ფორმით არსებული ქართული სახელმწიფო არაერთხელ მდგარა რთული არჩევანის წინაშე. დღესავით ნათელია, რომ ხელსაყრელი მოკავშირის შერჩევის პრობლემა, არ შევცდებით თუ ვიტყვით - ქართული სახელმწიფოსა და ქართული საზოგადოებისთვის პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენდა მუდამ. XX საუკუნის 10-იანი წლებისთვისაც, ქართული საზოგადოება მსგავსი დილემის წინაშე დადგა. ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობამ სწორად გააანალიზა ის მდგომარეობა, რომ I მსოფლიო ომის შედეგები გადამწყვეტ როლს ითამაშებდა მომავალი მსოფლიოს პოლიტიკურ-ტერიტორიული გადანაწილების პროცესსა და ამ ტერიტორიების შემდგომი მოწყობის საქმეში. მათ მართებულად აღიქვეს ის მდგომარეობაც, რომ ეს იყო საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის შანსი. მაგრამ საკითხი ასე იდგა - ანტანტა და რუსეთი თუ სამთა კავშირი და გერმანია? (,,სამთა კავშირი'' - გერმანია - ავსტრო-უნგრეთი - ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი. უკვე ომის მსვლელობისას მას ბულგარეთიც შეუერთდა და იგი ,,ოთხთა კავშირად'' გარდაიქმნა, თუმცა, უფრო ხშირად მას მაინც ,,სამთა კავშირის" სახელით მოიხსენიებენ. ხანდახან ამ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს ,,ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკსაც" უწოდებენ).

ფაქტია, რომ უკვე 1912 წლისათვის საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში ორი მძლავრი ფრთა ჩამოყალიბდა:

1. ერთი, რომლის ლიდერი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ვარლამ გელოვანი იყო, მხარს უჭერდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს ავტონომიის იდეას;

2. მეორე ფრთა კი, (შალვა ამირეჯიბი, ვასილ წერეთელი, ალექსანდრე ყიფშიძე, დავით მაჩაბელი, მიხეილ მაჩაბელი, გიორგი მაჩაბელი, გიორგი გვაზავა, გიორგი ჟურული, ექვთიმე თაყაიშვილი, ძმები - ლეო და გიორგი კერესელიძეები, რევაზ გაბაშვილი და სხვანი) გამოდიოდა საქართველოს სრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დროშით. ეს ფრთა აშკარად გამოხატული მემარჯვენე, ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჯგუფი იყო, რომელიც 1912-1915 წლებში, ჟურნალის - ,,კლდე" გარშემო იყო თავმოყრილი. 1915 წლიდან კი, დაირაზმა ყოველკვირეული გაზეთის - ,,საქართველო" გარშემო. სწორედ ამ დაჯგუფების ბაზაზე და ილია ჭავჭავაძის მიერ 1905 წელს შემუშავებული პროგრამის საფუძველზე, 1917 წელს დაფუძნდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.[239]

1912-1913 წლების მიჯნაზე ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ არჩილ ჯორჯაძე, მიხაკო წერეთელი, გერონტი ქიქოძე, არჩილ ჯაჯანაშვილი, კიტა აბაშიძე, პეტრე სურგულაძე და ვარლამ ჩერქეზიშვილი, შეადგინა ,,ქართველი ერის მემორანდუმი" დამონებულ ერთა ჰააგის მსოფლიო კონგრესზე წარსადგენად. კონგრესის ოფიციალურ დელეგატებად არჩეულ იქნენ მ. წერეთელი და ვ. ჩერქეზიშვილი.[240] გარდაუვალი გახდა რა, I მსოფლიო ომის დაწყება, საქართველოში მოქმედმა პოლიტიკურმა ძალებმა განსხვავებული პოზიციები დაიკავეს. გარკვეული პარტიები, სოციალ-დემოკრატების თავკაცობით, პროანტანტურ პოზიციას იჭერდნენ. გარკვეული ეროვნული განწყობების მქონე წრეებს კი, გერმანია, როგორც სამთა კავშირის ლიდერი მიაჩნდათ თავის ბუნებრივ მოკავშირედ რუსეთის იმპერიისაგან თავის დასაღწევად. ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანიაში ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა დელეგაციაც გაიგზავნა იმპერიის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების გამართვის მიზნით. გერმანიაში მყოფი ქართული დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, ეროვნულ-დემოკრატი მიხაკო წერეთელი პირადად შეხვდა

---

239 ლევან ურუშაძე. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს სადაზვერვო საქმიანობა კავკასიაში 1900-იან – 1910-იან წლებში. ამირანი XX. თბილისი. 2008. გვ. 135. http://www.caucasology.com/amirani20/urushadze.pdf

240 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 13, ანაწერი 27, საქმე 5412, ფურცელი (18-19).

გერმანიის გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ ლუდენდორფს[241] და სთხოვა მოეწყო მისი აუდიენცია კაიზერ ვილჰელმ მეორესთან,[242] - აღნიშნავს ღრმადპატივცემული ავტორი, ბატონი ლევან სანიკიძე თავის ნაშრომში ,,მესამე დასის საქართველო".

რა თქმა უნდა, სრულად ვიზიარებთ მის პათოსს და ვეთანხმებით ამონარიდში მოყვანილ ისტორიულ ფაქტებს, მაგრამ იმ მცირე შენიშვნით, რომ ერიხ ლუდენდორფს I მსოფლიო ომის დაწყებამდე, და არც ამ ომის მიმდინარეობის პირველ ეტაპზე, იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობა არ ეკავა. უფრო მეტიც, ამ მომენტისათვის იგი გენერალიც კი არ იყო. 1908-1913 წლებში ერიხ ლუდენდორფი პოლკოვნიკის ჩინს ატარებდა და მას გერმანიის გენერალური შტაბის მე-2 განყოფილების უფროსის თანამდებობა ეკავა, ხოლო I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით იგი მე-2 არმიის შტაბის უფროსად დაინიშნა და აქვე მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდებაც. გერმანიის მეორე რაიხის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობას იგი მოგვიანებით, მხოლოდ 1916 წლის აგვისტოდან დაიკავებს.

გარდა ზემოთ თქმულისა - ,,უცხოეთში მყოფი მიხაკო წერეთელი და გიორგი მაჩაბელი შეხვდნენ გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებს. მ. წერეთელმა გრაფ პურტალესს მიმართა თურმე შეკითხვით - მომავალ საზავო კონფერენციაზე იქნებოდა თუ არა მოსმენილი საქართველოს

---

[241] ერიხ ფრიდრიხ ვილჰელმ ლუდენდორფი (გერმ. Erich Friedrich Wilhelm Ludendorff) (1865-1937წ.წ.) – დიდი გერმანელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ,,ტოტალური ომის" კონცეფციის ავტორი, გერმანიის საიმპერატორო ჯარების ინფანტერიის გენერალი. I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე. დაამთავრა კადეტთა სკოლა. სამხედრო სამსახური დაიწყო გენერალურ შტაბში. 1904-1913 წლებში მსახურობდა სამობილიზაციო განყოფილების ოფიცრად. მონაწილეობდა ,,შლიფენის გეგმის" დეტალურ დამუშავებაში. 1913 წელს რაიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მოხსნეს დაკავებული თანამდებობიდან და გადაიყვანეს დივიზიის მეთაურად. I მსოფლიო ომის დასაწყისში დაინიშნა მე-2 არმიის შტაბის უფროსად და აქვე ენიჭება გენერლის წოდება. იმავე წლის 5 აგვისტოს ინიშნება მე-5 კორპუსის სარდლად, შემდეგ – მე-14 ბრიგადის მეთაურად, რომლის დროსაც წარმატებით განახორციელა ლიეჟის ალყა. ორ კვირაში გადაიყვანეს აღმოსავლეთის ფრონტზე, კენიგსბერგთან, მე-8 არმიის შტაბის უფროსად, რომლის სარდლადაც დაინიშნა თადარიგიდან გამოძახებული გენერალ-ობერსტი პაულ ფონ ჰინდენბურგი. მე-8 არმიის მიერ ტანენბერგთან წარმატებით აღსრულებული საფრონტო ოპერაციის შემდეგ ფაქტიურად განადგურდა ორი რუსული, 1-ლი და მე-2 არმიები. ამ გამარჯვების შემდეგ პაულ ფონ ჰინდენბურგს მიენიჭა ფელდმარშლის, ხოლო მას – ინფანტერიის გენერლის წოდება. ამავე დროს, ორივე მათგანი გერმანიის ეროვნული გმირები გახდნენ. 1914 წლის ნოემბრიდან ინიშნება აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობის შტაბის უფროსად, ხოლო 1916 წლის აგვისტოდან – საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ, შემდეგ – შტაბის უფროსად. გერმანული არმიების მიერ დასავლეთის ფრონტზე 1918 წლის გაზაფხულზე დაწყებული სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის ჩავარდნის შემდეგ, 1918 წლის 26 ოქტომბერს გადის თადარიგში. I მსოფლიო ომის დასრულებისთანავე თავი შეაფარა შვედეთს. 1919 წლის გაზაფხულზე ბრუნდება გერმანიაში და იწყებს პოლიტიკურ საქმიანობას, გამოდის ჰიტლერისა და გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტიის მხარდამჭერად. 1924 წელს ირჩევენ რაიხსტაგის დეპუტატად. 1925 წელს კენჭს იყრიდა გერმანიის საპრეზიდენტო არჩევნებში. არჩევნებში დამარცხებისა და ფელდმარშალ პაულ ფონ ჰინდენბურგის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, 1925 წლიდან, პოლიტიკურ ოპოზიციაში უდგება ადოლფ ჰიტლერის პარტიას და ფონ ჰინდენბურგის პოლიტიკურ პლატფორმას. იმავე წელს აარსებს ახალ პოლიტიკურ მოძრაობას ,,ტანენბერგის კავშირი". 1928 წელს მიდის დიდი პოლიტიკიდან, თუმცა 1930 წელს აარსებს ახალ რელიგიურ კავშირს ,,გერმანელი ხალხი". 1933 წელს გერმანიის ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლის შემდეგ პოლიტიკური გაერთიანებები ,,ტანენბერგის კავშირი" და ,,გერმანელი ხალხი" აკრძალულად გამოცხადდა. 1935 წელს ჰიტლერმა პირადად მოინახულა ლუდენდორფი და მას III რაიხის გენერალ-ფელდმარშლის წოდება შესთავაზა. ლუდენდორფმა ეს შეთავაზება უარყო და განაცხადა: ,,ფელდმარშლის წოდებას არ ანიჭებენ, ფელდმარშლებად იბადებიან". გარდაიცვალა 1937 წელს, ბავარიაში. დაკრძალეს სრული სამხედრო პატივით.

[242] ლევან სანიკიძე. მესამე დასის საქართველო. ნაკვეთი პირველი. ,,მერანი". თბილისი. 1989. გვ. 243.

მემორანდუმი, გამარჯვებული გერმანია და მისი მოკავშირეები დაეხმარებიან თუ არა ქართველ ხალხს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენაში. საპასუხოდ გერმანიის რწმუნებულმა განაცხადა, რომ ჩვენი პოლიტიკა განისაზღვრება ქართველთა მიერ დაკავებული პოზიციის შესაბამისად. თუ ისინი აქტიურად იმოქმედებენ რუსეთის წინააღმდეგ, გერმანია დაიცავს საქართველოს ინტერესებს, მხარს დაუჭერს მის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. მიხაკო წერეთელმა ივარაუდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველები 50-ათასიან ლაშქარს შეკრებდნენ. გერმანიის წარმომადგენლებმა კი ივალდებულეს ამ ლაშქრის შეიარაღება, დაარწმუნეს მოლაპარაკებაში მონაწილე ეროვნული დემოკრატები, რომ საომარი საჭურვლის ნაწილი უკვე მიტანილი იყო ტრაპიზონში და თუ შეთანხმება ოფიციალურად გაფორმდებოდა, იგი გადაეგზავნებაო აჯანყებულ ქართველთა ლაშქარს",[243] - გვამცნობს თავის ნაშრომში ,,საქართველოს პირველი რესპუბლიკა" ცნობილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის აღიარებული მკვლევარი, პროფესორი ალექსანდრე ბენდიანიშვილი. და მართლაც, მალე ჩამოყალიბდა აღნიშნულ საკითხებზე და ქართული ლეგიონის[244] ფორმირებაზე მომუშავე საორგანიზაციო ჯგუფი. მსოფლიო ომის დაწყების შემთხვევაში ქართულ ლეგიონს ცარისტული რუსეთის ჯარების წინააღმდეგ უნდა ებრძოლა ამიერკავკასიაში.

კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი. გერმანიის მეორე რაიხის აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურებისა და ამ კონტექსტში ბრიტანეთთან დაპირისპირების ფონზე, კაიზერ ვილჰელმ მეორეს კარგად ესმოდა საქართველოს ფასი, როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ასევე გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. ამიტომ გადაწყდა, რომ გერმანია გარკვეულ დახმარებას გაუწევდა საქართველოს. ამავე დროს, ის სურათიც იკვეთება, რომ გერმანიის მეორე რაიხის ჰოჰენცოლერნების სამეფო დინასტიას მნიშვნელოვანი პოზიციები უნდა მოეპოვებინა იმდროინდელი საქართველოს სინამდვილეში. კაიზერ ვილჰელმ მეორის გეგმით, საქართველოში უნდა აღდგენილიყო მონარქია, თუმცა, სამეფო ტახტზე იგი ბაგრატოვნების აღდგენას არ გეგმავდა. ცნობილი ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის, გენერალ შალვა მაღლაკელიძის აზრით, საქართველოს მეფე უნდა გამხდარიყო ვილჰელმ მეორის უფროსი ვაჟი, რომელსაც საქართველოში გამეფების მიზნით დიდი ძალისხმევით ამზადებდნენ.[245] რა თქმა უნდა, ბატონი შალვა სწორად გადმოსცემს საქმის ძირითად არსს, მაგრამ მსჯელობაში მცირე უზუსტობას უშვებს. საქართველოს სამეფო ტახტისთვის არა კაიზერ ვილჰელმის უფროსი ვაჟი, კრონპრინცი ვილჰელმი, არამედ მისი უმცროსი ძე - იოახიმი

---

243 ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა. თბილისი. 2001. გვ. 14.

244 ლეგიონი (ლათ. Legio – „შეგროვება", „შეკრება") – ძველი რომის გვიანდელი რესპუბლიკური პერიოდისა და იმპერიის ხანის არმიის ძირითადი საბრძოლო ორგანიზაციული ერთეული. რომის სახელმწიფოს სხვადასხვა პერიოდებში იგი შედგებოდა 2-10 ათასი ქვეითისა და ცხენოსანთა რამდენიმე ასეულისაგან. ყოველ ლეგიონს თავისი სახელი, ნომერი და სამხედრო შტანდარტი ჰქონდა. ჩვენამდე შემონახული წერილობითი წყაროების მიხედვით იდენტიფიცირებულ იქნა 50-დე სხვადასხვა ლეგიონი, თუმცა, ითვლება რომ მათი რაოდენობა თვითოეულ ისტორიულ პერიოდში არ აღემატებოდა 28-ს. მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა ახალი ლეგიონების შექმნა. რომაული სამყაროს რესპუბლიკის პერიოდში ლეგიონის სათავეში სამხედრო ტრიბუნი იდგა, იმპერიის ხანაში კი, ლეგატი. ლეგიონი 10 კოჰორტად იყოფოდა, რომელიც რომაელთა ჯარების მთავარ ტაქტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. მისი პირადი შემადგენლობა დაახლოებით 500 ლეგიონერს შეადგენდა და იგი თანამედროვე ბატალიონის ექვივალენტად შეგვიძლია განვიხილოთ. თავის მხრივ კი, კოჰორტა სხვადასხვა პერიოდებში მანიპულებისა და ცენტურიებისგან შედგებოდა. ეს უკანასკნელი საშუალოდ 100 ლეგიონერს ითვლიდა და ბრძოლებში დამოუკიდებელი ტაქტიკური ერთეულის სახით არ ერთვებოდა. მას ცენტურიონი მეთაურობდა. მაგრამ აქ, ტექსტში, XX საუკუნის სინამდვილეში, ამ ტერმინის არქაულ გამოყენებასთან გვაქვს საქმე. ამ შემთხვევაში, ტერმინ ,,ლეგიონის" ქვეშ იგულისხმება სახმელეთო ძალების ძირითადი საჯარისო ერთეული – პოლკი.

245 შალვა მაღლაკელიძე. მოგონებები. ილუსტრირებული ბიოგრაფიები 6. გამომცემლობა ,,პეგასი". თბილისი. 2012. გვ. 89.

მზადდებოდა. იგი ხშირად დადიოდა ქართული ჩოხით, ეცნობოდა ქართულ კულტურას და ქართველებს. ერთი პერიოდი ტრაპიზონშიც იყო ჩასული, სადაც ქართველ მოკავშირეებს ხვდებოდა. იოახიმს ქართველი ქალი უნდა შეერთო ცოლად, მარინე მაჩაბელი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრის, თავად მიხეილ მაჩაბლის ქალიშვილი.

მიუხედავად დიდი მეცადინეობისა და მცდელობებისა, საერთო ჯამში, ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა და საქართველოში ჰოჰენცოლერნების დინასტია ვერ დაფუძნდა, თუმცა, ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებდა იმაზე, რომ ამ პერიოდში გერმანული ინტერესები საქართველოს მიმართ დიდი იყო. ხოლო რაც შეეხება გერმანელთა მხარდაჭერით ქართული ლეგიონის ფორმირებისათვის დაწყებულ მუშაობას, იგი დიდი აქტიურობით დაიწყო. თბილისში გერმანიის იმპერიის ყოფილი კონსულის, გრაფ ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგის[246] (Friedrich-Werner Erdmann Matthias Johann Bernhard Erich Graf von der Schulenburg) აქტიური მხარდაჭერით, გერმანიაში მოღვაწე ქართველმა ნაციონალისტებმა, კერძოდ პეტრე სურგულაძემ, აგრეთვე ძმებმა. ლეო და გიორგი კერესელიძეებმა, ნესტორ მაღალაშვილმა და გიორგი მაჩაბელმა მოსამზადებელი სამუშაოები დაასრულეს და ბერლინში ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" (,,დამკომი") დააფუძნეს. კომიტეტის შტაბი მოკლე ხანში კონსტანტინოპოლში, სამშობლოსთან ახლოს გადმოვიდა. პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით, როგორც ,,დამკომის" დაფუძნების პერიოდში, ასევე კომიტეტის შტაბის კონსტანტინოპოლში გადმოსვლის შემდეგაც, მისი წევრები გერმანელებთან აქტიურ თანამშრომლობას განაგრძობდნენ.

,,დამოუკიდებლობის კომიტეტის" უპირველესი ამოცანა ბრძოლისუნარიანი სამხედრო ნაწილის - ქართული ლეგიონის დაარსება იყო ოსმალეთის ტერიტორიაზე. სამოქმედო ადგილად შეირჩა ჭანეთი (ლაზისტანი) - ვიწე, სადაც მრავლად ცხოვრობდნენ ქართველი მაჰმადიანები, რომლებიც სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი სამშობლოს მომავლით. ლეგიონის შექმნა ლეო კერესელიძეს[247] დაევალა. გერმანელთა მხრიდან ქართველებს დახმარებას უწევდნენ გერმანიის

---

[246] ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგი (გერმ. Friedrich-Werner Erdmann Matthias Johann Bernhard Erich Graf von der Schulenburg) (1875-1944წ.წ.) – ბრანდერბურგულ-პრუსიული თავადური წარმომავლობის გერმანელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. I მსოფლიო ომის მონაწილე, რკინის ჯვრის და ქართული ლეგიონის ,,თამარის ორდენის" კავალერი. დაიბადა ქალაქ კემბერგში. 1894 წელს დაამთავრა ბრაუნშვაიგის გიმნაზია. 1895 წლიდან სამხედრო სამსახურშია. მსახურობდა პოტსდამის მე-9 პოლკში. შემდგომში სწავლობდა სახელმწიფო სამართალს ლოზანის, მიუნხენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. 1900 წელს მიენიჭა სახელმწიფო სამართლის დოქტორის წოდება. 1901 წლიდან დიპლომატიურ სამსახურშია – გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო სამსახური, გერმანიის ვიცე-კონსული ბარსელონაში, შემდეგ პრაღასა და ნეაპოლში. 1906 წლიდან ინიშნება გერმანიის კონსულად ვარშავაში, ხოლო 1911 წლიდან – თბილისში. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ბრუნდება გერმანიაში და კაპიტნის ჩინით ირიცხება მოქმედ არმიაში. იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე. მარნას ბრძოლის შემდეგ ინიშნება საარტილერიო ბატარეის მეთაურად. ამავე პერიოდში ხელმძღვანელობდა ქართული ლეგიონის ჩამოყალიბებას. 1915-1917 წლებში არის კონსული არზრუმში, შემდეგ ბეირუთსა და დამასკოში. 1918 წლიდან ისევ საქართველოშია და აქტიურად მონაწილეობს ქართულ-გერმანული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაში. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ბრუნდება გერმანიაში. 1922-1931 წლებში არის გერმანიის დიპლომატიური წარგზავნილი თეირანში, ხოლო 1931-1934 წლები – ბუქარესტში. გერმანიის ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლის შემდეგ, 1934 წელს, ინიშნება გერმანიის სრულუფლებიან ელჩად საბჭოთა კავშირში. აქტიურად მონაწილეობდა 1939 წლის მოლოტოვ-რიბენტროპის ხელშეკრულების შემუშავებაში. როგორც ბისმარკის იდეოლოგიისა და ფილოსოფიის მიმდევარი, წინააღმდეგი იყო საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებისა. II მსოფლიო ომის პერიოდში გაემიჯნა ჰიტლერის იდეოლოგიას და მის მიერ წარმოებულ პოლიტიკას. მონაწილეობდა ჰიტლერის წინააღმდეგ მოწყობილ 1944 წლის 20 ივლისის შეთქმულებაში. სიკვდილით დასაჯეს 1944 წლის 10 ნოემბერს.

[247] ლეო კერესელიძე (1885-1943წ.წ.) – ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი და ჟურნალისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ქართული არმიის

არმიის ოფიცერი, სამხედრო ატაშე - კიშკე, და ლოის მოზელი - პოლიტიკური ატაშე ქართულ კომიტეტთან. მიხაკო წერეთელს დაევალა გერმანიასა და ავსტრიაში ბანაკების დათვალიერება და ქართველი ტყვეების გამოცალკევება რუსის ჯარის საერთო ტყვეებიდან.[248]

1914 წლის 24 სექტემბერს, გიორგი მაჩაბელმა და მიხაკო წერეთელმა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თავიანთი გეგმა – ,,ამიერკავკასიის ჩამოშორება რუსეთისგან და მისი შემდგომი პოლიტიკური მოწყობა" წარუდგინეს. გეგმის ქვაკუთხედს შეიარაღებული ამბოხების ორგანიზება და ამიერკავკასიაში რუსეთის სამობილიზაციო გეგმის ჩაშლა, კავკასიის რუსული არმიის ბრძოლისუნარიანობის მოშლა და ზოგიერთი სხვა ღონისძიების გატარება წარმოადგენდა. სწორედ ამ გეგმის საფუძველზე, ქართველ ,,მოხალისეთა რაზმების" ფორმირებისათვის ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს" 200 ათასი გერმანული მარკა გამოეყო. სახელმწიფო მოწყობის თვალსაზრისით გეგმაში წარმოდგენილი იყო ამიერკავკასიის სახელმწიფოთა კონფედერაციის მოდელი. თუმცა, მცირე ხნის შემდეგ გეგმის ავტორებმა გერმანიის საგარეო უწყებას წარუდგინეს ახალი დოკუმენტი – ,,კავკასიის ნეიტრალიზაციისა და მისი მომავალი პოლიტიკური

პოლკოვნიკი და კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის გენერალ-მაიორი. დაიბადა ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრის სოფელ სადმელში. 1900 წლიდან ჩაება დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ახალგაზრდულ მოძრაობაში. 1904 წელს ჟენევის უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება და იმავე წელს უკავშირდება პარიზში მოქმედ ქართველ მებრძოლ ნაციონალისტთა ჯგუფს. 1905 წლიდან თანამშრომლობდა სოციალისტ-ფედერალისტებთან და ევროპიდან საქართველოში შემოჰქონდა იარაღი. მონაწილეობდა 1905-1906 წლების რევოლუციურ გამოსვლებში. სახელი გაითქვა თავდასხმებით რუსულ სამხედრო ნაწილებზე და დივერსიული აქტებით დუშეთსა და სოხუმში. რევოლუციური საქმიანობის გამო დააპატიმრეს, თუმცა არასაკმარისი სამხილების გამო მალევე გაანთავისუფლეს. 1906 წლიდან მიდის ემიგრაციაში. შემდგომი წლები ცხოვრობდა ჟენევაში. 1910 წელს დაამთავრა ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მოიპოვა იურიდიული ფაკულტეტის პრივატ-დოცენტის ხარისხი. 1910-იანი წლებში ეწეოდა პუბლიცისტურ საქმიანობას. დაკავებული იყო სამხედრო პუბლიცისტიკით. 1913-1914 წლებში იყო ჟენევაში გამომავალი ქართული გაზეთის ,,თავისუფალი საქართველო'' თანარედაქტორი, რომლის დამფუძნებელიც იყო მისი უმცროსი ძმა, გიორგი კერესელიძე. იმავე პერიოდში მიხაკო წერეთელთან ერთად სათავეში უდგება ,,საქართველოს გათავისუფლების კომიტეტს''. მონაწილეობდა ,,ქართული ლეგიონის'' ჩამოყალიბებაში. აქვე ენიჭება კაპიტნის წოდება. იყო ,,ქართული ლეგიონის'' მეთაური და I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე მონაწილეობდა კავკასიის ფრონტის საბრძოლო მოქმედებებში. 1916-1917 წლებში იყო თურქული საკავალერიო პოლკის მეთაური და პოლკოვნიკი. იბრძოდა მესოპოტამიის ფრონტზე. 1918 წლიდან საქართველოშია და მონაწილეობს ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების საქმეში. 1918 წლის დეკემბერში თავის რაზმთან ერთად იბრძოდა სომხეთ-საქართველოს ომის შულავერის ფრონტზე, ხოლო 1919 წლის გაზაფხულზე – ისლამისტების წინააღმდეგ სამცხე-ჯავახეთში. იმავე წლის აგვისტოში დაინიშნა კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდლად და მიენიჭა გენერლის წოდება. წარმატებით ებრძოდა გენერალ დენიკინის ,,მოხალისეთა არმიას'' ჩეჩნეთსა და დაღესტანში. ბრძოლებით აიღო რამდენიმე ქალაქი და დასახლებული პუნქტი, თუმცა, გროზნოს აღება ვეღარ შეძლო. 1920 წელს იყო საქართველოს სამხედრო წარმომადგენელი პოლონეთში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, მიდის ემიგრაციაში. ცხოვრობდა გერმანიაში, მის დედაქალაქში, სადაც 1925 წელს შალვა ბერიძესთან, მიხაკო წერეთელთან და სხვებთან ერთად ჩამოაყალიბა მემარჯვენე-ნაციონალისტური ორგანიზაცია ,,თეთრი გიორგი'', რომლის მდივანიც თვითონ იყო. 1926-1939 წლებში ორგანიზაცია გამოსცემდა გაზეთს, სადაც პატრიოტული ხასიათის სტატიები იბეჭდებოდა. 1942 წელს მონაწილეობდა გრაფი შულენბურგის მიერ მოწვეულ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად ,,პოლიტიკური კომიტეტისა'' და ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის შექმნაში. პროექტის მიხედვით დამოუკიდებელი კავკასია და საქართველო უნდა გამხდარიყო გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკის დასაყრდენი. დაიღუპა 1943 წლის 23 ნოემბერს, მოკავშირეთა მიერ ბერლინის ერთ-ერთი პირველი დაბომბვის დროს.

[248] თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი. დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარგარეთ – 1914. http://german-georgian.archive.ge/ka/blog/32

ორგანიზაციის პროექტი".[249] აღნიშნული ლეგიონის შესახებ მნიშვნელოვანი კვლევები აქვს ჩატარებული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ-სოციალური მიმართულების ემერიტუს-პროფესორს, ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს, რომელიც აცხადებს: ამ ლეგიონში შედიოდნენ მუსლიმანი ქართველები აჭარიდან, მესხეთ-ჯავახეთიდან, ისტორიული ტაო-კლარჯეთიდან და ლაზეთიდან – სინოპის ჩათვლით. მუჰაჯირებიც[250] იყვნენ და აქაურებიც, მაგრამ სარწმუნოებით მუსლიმანები. ლეგიონმა იარსება 1919 წლის დასაწყისამდე. ჩამოაყალიბა იგი საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიამ. ეს პარტია შეიქმნა ჟენევაში, შემდეგ მისი სათაო ოფისი იყო სტამბოლში, კერძოდ, ქართველ კათოლიკეთა მონასტერში და მას ხელმძღვანელობდნენ ცნობილი პიროვნებები მიხაკო წერეთელი, ივანე მაჩაბელი, ლეო კერესელიძე და სხვები.[251]

მეტად საინტერესო ინფორმაციაა, ქალაქ სტამბოლთან დაკავშირებით კი, მცირე შენიშვნის სახით დავამატებდით, რომ ყოფილ ბიზანტიონს, აღმოსავლეთ რომის, ბიზანტიის, ლათინთა და ოსმალთა იმპერიების დედაქალაქს და თურქეთის რესპუბლიკის უდიდეს ქალაქს, 1930 წლამდე ოფიციალურად კონსტანტინოპოლი, კონსტანტინეს ქალაქი ეწოდებოდა და არა სტამბოლი. ასე, რომ ამ პერიოდამდე მისი სტამბოლად მოხსენიება არაკორექტულია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებული VIII საუკუნიდან, არაბები და მოგვიანებით თურქული მოდგმის ხალხები მას ხანდახან ,,ისტანპოლი"-,,ისტამბოლ"-ის სახელითაც მოიხსენიებდნენ. თუმცა, დავუბრუნდეთ ისევ I მსოფლიო ომის წინა პერიოდს და განსახილველ საკითხს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ ლეგიონს სათავეში გერმანიაში მცხოვრები ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი ლეო კერესელიძე ჩაუდგა. ქ-ნი შუშანა ფუტკარაძე მართებულად აღნიშნავს, რომ ლეგიონის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და სულისჩამდგმელი ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" ერთ-ერთი წევრი, პეტრე სურგულაძე იყო. ქართულ ლეგიონზე პატრონაჟი კი, გრაფმა ფონ შულენბურგმა აიღო

---

249 ზვიად თხელიძე. პირველი მსოფლიო ომის ქართული ფრონტი. ქართულ-გერმანული 15 000000-იანი საიდუმლო ოპერაცია. თბილისი. 2010. გვ. 42-43.

250 მუჰაჯირები (არაბ. مهاجر ,,გადასახლებული, ემიგრანტი'') – ისლამურ ქვეყნებში აღნიშნავს ემიგრანტებს, გადასახლებულებს. მუსლიმური ტრადიციით პირველი მუჰაჯირები იყვნენ წინასწარმეტყველ მეჰამედის მიმდევრები, რომლებიც 622 წელს მასთან ერთად გადასახლდნენ მექადან იასრიბში (მედინაში). თანამედროვე მუჰაჯირობა კი, XVIII-XIX საუკუნეებში რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობისათვის წარმოებულ ხანგრძლივ საომარ კამპანიას, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის მიმდინარე ომებს და კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის იძულებით გადასახლებას წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერიაში. მუჰაჯირობა დაიწყო ოსმალეთის ბატონობის დამყარებიდან კავკასიაში და დროგამოშვებით I მსოფლიო ომამდე გაგრძელდა. ეს დიდი რეგიონალური მოვლენა დაკავშირებული იყო რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის პროცესთან. ეს პროცესები ფაქტობრივად 1817 წლიდან დაიწყო და განსაკუთრებული მასშტაბები 1860-იანი წლების შუა ხანებში შეიძინა. მუჰაჯირობამ მოიცვა ჩერქეზული ტომის ხალხები – აბაზები, აბაძეხები, ბჟედუხები, შაფსუღები, ადიღეველები, აგრეთვე ნოღაელები, უბიხები, ჩეჩნები, ყარაჩაელები, ყაბარდოელები, ოსები, აფხაზები და სამხრეთ საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანი ქართველები. რუსეთს სურდა კავკასიელ მთიელთა ოსმალეთში გადასახლებით მიეღწია პოლიტიკური სიმშვიდისათვის ამ მხარეში, განთავისუფლებული მიწები გამოეყენებინა ფართო კოლონიზატორული პოლიტიკის წარმოებისათვის, მოეხდინა მისი სრული ანექსია და ესარგებლა მხარის ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობით. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ოსმალეთში გადასახლება რუსეთის მიერ წარმოებულ ,,დიდ კავკასიურ ომს'' უკავშირდება და იგი 1858-1859 წლებში დაიწყო, კულმინაციას კი, 1863-1864 წლებში მიაღწია. ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსმალეთში გადასახლებულ მუჰაჯირთა რაოდენობა 750 ათას კაცს შეადგენდა. კავკასიიდან ანატოლიაში გადასახლდნენ ჩერქეზები, უბიხები, ნოღაელები, ჩეჩნები, ინგუშები, დაღესტნელები, აფხაზები და მათ შორის, ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი.

251 შუშანა ფუტკარაძე. ჩვენებურები. ქართული ლეგიონი ტრაპიზონში. ინტერვიუ. აჭარის რადიო. ბათუმი. 2006. http://biblioteka.litklubi.ge/print.php?id=3926

საკუთარ ხელში. სუფთად გერმანული და არა აღმოსავლეთში უკვე წესად ქცეული გერმანულ-თურქული ხელმძღვანელობა ქართველების სურვილი იყო.[252] მაგრამ გერმანელებს თურქები რომ სრულიად არ გაენაწყენებინათ, ქართული ლეგიონი ფორმალურად ოსმალთა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში იქნა ჩართული, ხოლო მთელი ეს წამოწყება იმპერიის სამხედრო მინისტრს, გენერალ ენვერ ფაშას[253] მთავარსარდლობას დაექვემდებარა.

საერთო ჯამში, გრაფ ფონ შულენბურგის მოვალეობა იყო:

1. კავკასიის აჯანყების მომზადება და ,,აჯანყების მოწყობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოგვარება რევოლუციურ კომიტეტთან და თურქული არმიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით".
2. ,,აჯანყებულებსა და პასუხისმგებელ თურქულ და გერმანულ უწყებებთან კავშირის შენარჩუნება..."[254]

ქართული ლეგიონი, რომელიც ამ ეტაპზე ძირითადად ლაზებითა და აჭარლებით იყო დაკომპლექტებული, პოლკოვნიკ ლეო კერესელიძის მეთაურობით, I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში ჩაება და მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებებსაც მიაღწია. ,,ქალაქ ბათუმისა და მისი ოლქის რუსული სამხედრო გარნიზონი მცირერიცხოვანი იყო და მისი მეთაურიც, გენერალი ელშინი საკმაოდ უსუსურ მდგომარეობაში

---

252 ლაშა ბაქრაძე. გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918წ.წ.) გამომცემლობა ,,პეგასი". თბილისი. 2009. გვ. 143. PA AA, R 21012. Wesendonk 10.4. 1915.

253 ისმაილ ენვერ ფაშა (ოსმალ. پاشا انور اسماعیل, თურქ. Ismail Enver Paşa) (1881-1922წ.წ.) – გაგაუზური წარმომავლობის ოსმალეთის იმპერიის სამხედრო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. I მსოფლიო ომის პერიოდში ოსმალთა იმპერიის სამხედრო მინისტრი, 1911-1912 წლების იტალია-თურქეთის, ბალკანური ომებისა და I მსოფლიო ომის მონაწილე, ოსმალო გენერალი. ერთ-ერთი იმ ოფიცერთაგანი, რომელმაც არქაული, სუსტი და ჩამორჩენილი იმპერია შედარებით ძლიერ სახელმწიფოდ აქცია. 1908 წლის ,,ახალგაზრდა თურქთა" რევოლუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, იმპერიის მმართველი ტრიუმვირატისა და პარტია ,,ერთიანობისა და პროგრესის" (Ittihat ve Terakki) ერთ-ერთი ლიდერი. I მსოფლიო ომის მსვლელობისას ოსმალთა იმპერიის შეიარაღებული ძალების ფაქტობრივი მთავარსარდალი. I მსოფლიო ომის დროს რუსეთის იმპერიასთან მოსაზღვრე ტერიტორიებზე მცხოვრები სომხების ოსმალთა იმპერიის შიდა რაიონებში მასობრივი დეპორტაციის პროექტის ერთ-ერთი ავტორი. ოსმალთა იმპერიის I მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ ტრიუმვირატის სხვა წევრებთან, ჯემალ და თალაათ ფაშებთან ერთად გერმანული წყალქვეშა ნავით მალულად ტოვებს კონსტანტინოპოლს და თავს გერმანიას აფარებს. აქვე უკავშირდება რუსი ბოლშევიკების ემისრებს და ამყარებს მათთან მჭიდრო პოლიტიკურ და იდეოლოგიურ კავშირებს. 1920 წელს ჩადის მოსკოვში, სადაც ხვდება ბოლშევიკური რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს გიორგი ჩიჩერინს და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, ვლადიმირ ლენინს, დემონსტრირებას უკეთებს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისა და ისლამური რევოლუციების იდეოლოგიური ერთიანობის იდეას და თავს ,,მსოფლიოს ისლამური რევოლუციური საზოგადოებების ლიგის" თავმჯდომარედ აცხადებს. ამ მომენტიდან დაწყებული, იგი კრემლის რევოლუციურ ორბიტაზე მოძრაობს. მონაწილეობს სხვადასხვა ბოლშევიკურ თავყრილობებში, ბოლშევიკების დახმარებით ცდილობს ანატოლიაში გადასვლას და შეიარაღებული გზით დაკარგული ხელისუფლების ისევ მოპოვებას. 1921 წლის ბოლოდან ოპოზიციაში უდგება ბოლშევიკებს და ჩადის შუა აზიაში. სათავეში უდგება ბუხარის ბასმაჩურ მოძრაობას და შეურიგებელ ბრძოლებში ებმება ბოლშევიკებთან. მოკლულ იქნა წითელარმიელებთან ერთ-ერთ შეტაკებაში 1922 წლის 4 აგვისტოს, დუშანბესთან ახლოს. მისი ცხედარი სასწრაფოდ დაასაფლავეს, საფლავის ადგილმდებარეობა კი, გაასაიდუმლოეს და დაივიწყეს. 1996 წლის 5 აგვისტოს ენვერ ფაშას ნეშტი მოიძიეს, სტამბოლში გადმოასვენეს და სრული სამხედრო პატივით დაკრძალეს.

254 ლაშა ბაქრაძე. გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918წ.წ.) გამომცემლობა ,,პეგასი". თბილისი. 2009. გვ. 144. PA AA, wk 11d, bd.5 Nadolny an AA 2.5. 1915, შულენბურგის შესახებ ამ დროს Sommer 1915, S.31. ტექსტში ნახსენები რევოლუციური კომიტეტის ქვეშ იგულისხმება ოსმალთა იმპერიის მმართველი ,,ერთიანობისა და პროგრესის" (Ittihat ve Terakki) პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

აღმოჩნდა. ლაზებმა და აჭარლებმა, რომლებსაც რუსეთ-თურქეთის განვლილ სამ ომში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ მიღებული, კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავისი მაღალი საბრძოლო თვისებები. თურქებმა ზედმეტი სირთულეების გარეშე შეძლეს 6000-დე რეგულარული ჯარის შეკრება და 15 ნოემბრისათვის შეტევაზე გადავიდნენ",[255] - წერს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში "Caucasian battlefields. A history of the wars on the Turko-Caucasian border. 1828-1921" ბრიტანელი სწავლული და პოლიტიკოსი, საგარეო დაზვერვის ოფიცერი, სამხრეთ კავკასიის სამხედრო ისტორიის აღიარებული მკვლევარი უილიამ ედვარდ დევიდ ალენი (William Edward David Allen) და პოლ მურატოვი (Paul Muratoff).

ახლადჩამოყალიბებულმა ქართულმა ლეგიონებმა საზღვარზე მყოფ რუს კაზაკთა რაზმები გაანადგურეს და აიღეს რამდენიმე სოფელი. მათ ხელში ჩაიგდეს რამდენიმე ქვემეხი და ტყვედ აიყვანეს მრავალი რუსი ჯარისკაცი.[256] ლეგიონის მეთაურის, კაპიტან, შემდგომში პოლკოვნიკ ლეო კერესელიძის მემუარიდან: ,,ოსმალეთ-რუსეთის ომის დაწყებიდან დავინიშნე კაპიტნის ხარისხით 400 მოხალისე ლაზის და ერთ ასეულ ოსმალოს რეგულარულ ჯარის უფროსად. ომის გამოცხადების დღესვე შევუტიე საქართველოს საზღვრებს და ათი დღის განმავლობაში დავიჭირე მურღული, ბორჩხა და მარადიდი, ვიდრე აჭარის წყლამდინ. ამის გამო წარდგენილ ვიყავ ოსმალოს ნახევარმთვარის ორდენზე და გერმანულ რკინის ჯვარზე. ამ ბრძოლებში წამოვიყვანე 600 რუსი ტყვეთ, 8 ზარბაზანი, 14 ტყვიამფრქვეველი, 400 ცხენი და სხვა ბევრი დავლა".[257]

ქართული ლეგიონის მიერ მურღულთან და მაჭახელასთან ჩატარებულმა სწორედ ამ წარმატებულმა ოპერაციამ გაუკაფა გზა გერმანულ-თურქული სადესანტო ნაწილების ელვისებურ წარმატებას ბათუმთან, I მსოფლიო ომის დაწყების პირველსავე ეტაპზე, 1914 წლის ნოემბრის თვეში. ,,ხოფაში გადმოსხმულ იქნა კონსტანტინოპოლის 1-ლი საარმიო კორპუსის მე-7 და მე-8 პოლკების საზღვაო დესანტი, გერმანელი მაიორ შტანკეს მეთაურობით, რომლებიც უეცრად შეიჭრნენ მდ. ჭოროხის ხეობაში, 5 (21) ნოემბრისათვის ბრძოლებით დაიკავეს არტანუჯი, ართვინი, ბორჩხა და რუსებს მდ. აჭარისწყლამდე დაახევინეს",[258] - გვამცნობს ცნობილი რუსი და საბჭოთა სამხედრო ისტორიკოსი და მკვლევარი, ამ ამბების უშუალო თვითმხილველი, პოლკოვნიკი, შემდგომში გენერალ-ლეიტენანტი, ნიკოლაი კორსუნი.[259] მურღულის ხეობის დაკავებით და პოლკოვნიკ

---

255 W. E. D. Alenn, Paul Muratoff. Caucasian battlefields. A history of the wars on the Turko-Caucasian border. 1828-1921. Cambridge University Press. 1953. Pg. 167.

256 ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა. თბილისი. 2001. გვ. 19.

257 გიორგი მამულია. ლეო კერესელიძის (1894-1943) ავტობიოგრაფია. პარიზი. 2014. გვ. 43.

258 И. Г. Корсун. Первая мировая война на кавказском фронте. Воениздат. Москва. 1946 г. გვ. 31.

259 ნიკოლაი გიორგიევიჩ კორსუნი (რუს. Никола́й Гео́ргиевич Ко́рсун) (1877-1958წ.წ.) – რუსი და საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, სამხედრო ისტორიკოსი და გეოგრაფი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-მაიორი და საბჭოთა არმიის გენერალ-ლეიტენანტი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დაიბადა ყარსის ოლქში, ქალაქ ყაგიზმანში. სწავლობდა ვორონეჟის კადეტთა კორპუსში. 1895 წლიდან სამხედრო სამსახურშია. 1897 წელს ამთავრებს კონსტანტინეს საარტილერიო სასწავლებელს. შემდგომ სამხედრო სამსახურს გადიოდა ყუბანის ცალკეულ საკავალერიო-საარტილერიო ბატარეაში. 1905 წელს ამთავრებს სამხედრო აკადემიას და ენიჭება კაპიტნის წოდება. 1907 წლის 28 ნოემბრიდან ინიშნება კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ადიუტანტის თანაშემწედ. 1911 წელს ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება, 1914 წლიდან – პოლკოვნიკია. I მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1915 წლის მაისიდან 1916 წლის სექტემბრამდე იყო უმაღლესი მთავარსარდლობის განსაკუთრებულ დავალებათა შტაბის ოფიცერი. შემდეგ მსახურობს კავკასიის ფრონტზე. არის ყიზლარის კაზაკთა 1-ლი პოლკის მეთაური. 1917 წლის აგვისტოდან – მთავარი შტაბის მორიგე გენერლის თანაშემწეა. შემდეგ – ობერკვარტერმეისტერი. აქვე ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1918 წლის თებერვლიდან წითელი არმიის რიგებშია. ჯერ მსახურობს წითელი არმიის მთავარი შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსის თანაშემწედ, იმავე წლის მარტიდან კი – აღმოსავლეთის ფრონტის მე-2 არმიის ოპერატიული განყოფილების უფროსად. 1921 წლის აგვისტოდან იყო წითელი არმიის შტაბის ოპერატიული

ლავროვის შერეული რაზმის განადგურების შემდეგ, თურქები ძანსულის სპილენძსადნობ ქარხანასაც დაეუფლნენ.[260] ზემოთ ჩამოთვლილ დასახლებულ პუნქტებთან ერთად ოსმალებმა 29 ნოემბერს ხულოც დაიკავეს და ბათუმს მიუახლოვდნენ. ,,რუსული ჯარების წარუმატებელი მოქმედებებისათვის გენერალი ელშინი (ალექსანდრ იაკოვლევიჩი - ა. ჩ.), ბათუმის გამაგრებული რაიონის უფროსი, გადააყენეს და იგი მაღალკომპეტენტურმა სამხედრო პირმა, გენერალმა ვ. ლიახოვმა[261] (ვლადიმერ პლატონოვიჩ - ა. ჩ.) შეცვალა".[262] სწორედ ამ მოვლენებმა ითამაშეს გადამწყვეტი როლი ცარიზმის მკვეთრად ანტიაჭარულ და ანტიქართულ განწყობებზე, ხოლო მაჰმადიან აჭარლებსა და ლაზებზე, რომლებსაც ისედაც არ თვლიდა ქართველებად, დაწოლა გააძლიერა. ცარიზმმა უმალ ,,გამოაცხადა მთელი აჭარა მოღალატედ, ,,ომის დროს აჯანყებულად'' და აპირებდა განმეორებას ძველი ხერხისა, - გაეჟლიტა და გადაერეკა მაჰმადიანი (მათ მუდამ ,,თათრებად'' აცხადებდნენ რუსები და აღწერის დროს ათავსებდნენ თათართა რუბრიკაში მოსახლეობისა) ქართველები ოსმალეთში და მათ ადგილზე დაესახლებინა ქრისტიანი რუსები და სომხები (როგორც ეს წინა ომებში ხდებოდა)'',[263] - აღნიშნავს თავის მემუარში ბატონი რეზო

სამმართველოს სამხედრო-გეოგრაფიული განყოფილების უფროსი. 1922-1954 წლებში აკადემიურ სფეროშია, ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. კითხულობდა ლექციებს სამხედრო ისტორიასა და სამხედრო გეოგრფიაში. იყო აკადემიის სამხედრო-სტატისტიკური სამმართველოს უფროსი. 1940 წელს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. არის I მსოფლიო ომის და სამხედრო გეოგრაფიის თემატიკაზე შექმნილი სამხედრო-ისტორიული ხასიათის ნაშრომების ავტორი. გარდაიცვალა 1958 წელს.

260 Мартиросян Д. Г. Саракамышская операция (12-24 декабря 1914 г.) // Военно-исторические исследования в Поволжье. Выпуск 7. Саратов, 2006. С.55-65. www.august-1914.ru/martirosyan2.html

261 ვლადიმირ პლატონოვიჩ ლიახოვი (რუს. Влади́мир Плато́нович Ля́хов) (1869-1920წ.წ.) – ცარისტი ოფიცერი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-ლეიტენანტი და რუსეთის თეთრი მოძრაობის აქტიური წევრი. I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომების მონაწილე. საწყისი სამხედრო განათლება მიიღო მოსკოვის კადეტთა კორპუსში. სამხედრო სამსახური დაიწყო 1887 წელს. 1889 წელს ენიჭება პოდპორუჩიკის, ხოლო 1893 წელს – პორუჩიკის სამხედრო წოდება. 1896 წელს ამთავრებს გენშტაბის აკადემიას. 1897 წლის 17 მაისიდან შტაბს-კაპიტანია 1898 წელს დაინიშნა კავკასიის საკავალერიო დივიზიის შტაბის უფროს ადიუტანტად. 1900 წლის 5 დეკემბერს ინიშნება კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ოფიცრად და ენიჭება პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდება. 1904 წლის 24 მარტს ინიშნება კავკასიის მე-3 საარმიო კორპუსის 21-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსად. ამავე წელს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. სპარსეთის შაჰის, მოჰამედ ალი შაჰის მმართველობის დროს იყო სპარსეთის კაზაკთა ბრიგადის მეთაური. სპარსეთში სამსახურის დროს თავი გამოიჩინა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი გამოსვლების ჩახშობით. ამის გამო, შაჰის მიერ დაინიშნა თეირანის გენერალ-გუბერნატორად. 1909 წლიდან ბრუნდება რუსეთში და იმავე წლის 31 ივლისს ინიშნება ბელოსტოკის 50-ე ქვეითი პოლკის მეთაურად. 1912 წლიდან არის ყუბანის კაზაკთა ჯარების შტაბის უფროს და აქვე ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. I მსოფლიო ომში კავკასიის ფრონტზეა. იყო ბათუმის მიხეილის სიმაგრის კომენდანტი და ბათუმის სამხედრო ოლქის გენერალ-გუბერნატორი, ტრაპიზონის ოპერაციის მსვლელობისას, 1916 წლის გაზაფხულზე სარდლობდა შავიზღვისპირა რაზმს. 1916 წლის 22 მაისს ინიშნება 39-ე ქვეითი დივიზიის მეთაურად, ხოლო 1917 წლიდან – კავკასიის 1-ლი საარმიო კორპუსის სარდალია. აქვე ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1918 წლიდან თეთრ მოძრაობაშია. მსახურობდა გენერალ ალექსეევის შტაბში. 1918 წლის ოქტომბერში მეთაურობდა ვლადიკავკაზის რკინიგზაზე მოქმედ შერეულ თეთრგვარდიულ საბრძოლო რაზმს, ხოლო 15 ნოემბერს ინიშნება გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმიის მე-3 საარმიო კორპუსის სარდლად. 1919 წლის დასაწყისიდან თერგი-დაღესტნის მხარის ჯარების სარდალია. 1919 წლის აპრილიდან განუდგება გენერალ დენიკინს, თავს ანებებს სამხედრო სამსახურს და საცხოვრებლად ბათუმში ფუძნდება, სადაც მოკლულ იქნა ლაზი შურისმაძიებლების მიერ.

262 W. E. D. Alenn. Caucasian battlefields. A history of the wars on the Turko-Caucasian border. 1828-1921. Cambridge University Press. 1953. Pg. 167.

263 რეზო გაბაშვილი. დაბრუნება. რაც მახსოვს. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. თბილისი. 1992. გვ. 152.

გაბაშვილი.[264] მიუხედავად ცარისტული პოლიტიკის სიხისტისა, რასაც ადგილი ჰქონდა აჭარლებთან მიმართებაში, აქ არაფერია ახალი და გასაკვირი - საომარი მოქმედებების დროს მოწინააღმდეგის მხარის დაჭერა და მისთვის ნებისმიერი სახის დახმარების აღმოჩენა უმძიმესი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა და იგი კანონის მთელი სიმკაცრით უნდა იყოს დასჯილი. აქ საკამათო არაფერია. სხვა საკითხია, თუ რამდენად სამართლიანად და ობიექტურად იქნება გამორჩეული ამ საქმეში მტყუან-მართალი და ვისა აქვს უფლება ილაპარაკოს სახელმწიფოს სახელით.

ისევ რევაზ გაბაშვილის მემუარიდან: ,,ჩვენის მხრით, შიგნით საქართველოში, ჩვენ ვაწყობდით ორგანიზაციებს, გაფაციცებით ვაგროვებდით იარაღს და რამდენიმე საწყობიც გვქონდა უკვე, როდესაც მოულოდნელად ჩამოვიდა გიორგი მაჩაბელი და ჩამოიტანა ხელშეკრულებანი გერმანიის, ავსტრიის და ოსმალეთის მთავრობების, რომ ისინი სცნობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და ყველაფრით ხელს შეუწყობდნენ მას".[265]

ქართული საზოგადოების ფართო ფენებისათვის ალბათ უცნობია ის ფაქტი, რომ უკვე შემდგომ, 1917 წლისათვის, გერმანელთა მიერ მართლაც რამდენჯერმე განხორციელდა გარკვეული რაოდენობის იარაღის ფარულად შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი გერმანული წყალქვეშა ნავებით, რითაც გარკვეული არსენალიც შეიქმნა.[266] 1917 წლის 3

---

264 რევაზ გაბაშვილი (1882-1969წ.წ.) – საქართველოს პოლიტიკური და კოოპერაციული მოძრაობის ცნობილი წარმომადგენელი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი, ცნობილი ქართველი მწერლის, ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი, საქართველოში ეროვნული თავისუფლების იდეის აქტიური მხარდამჭერი, ილია ჭავჭავაძის იდეების მიმდევარი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საადგილმამულო ბანკის მუშაობაში. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. I მსოფლიო ომის მიმდინარეობისას აქტიურად გამოდიოდა გორის მაზრაში, ტირიფონის ველზე სამხედრო პოლიგონის მოწყობის წინააღმდეგ. საფუძველი ჩაუყარა კოოპერაციულ მოძრაობას, შექმნა რამდენიმე გაერთიანება, სხვადასხვა დაწესებულებებიდან შეიძინა და ქართველ გლეხებს უსასყიდლოდ გადასცა 52 ათასი დესეტინა მიწა. ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. 1912 წლიდან იყო საზოგადოებრივი ეკონომიკურ-ლიტერატურული ჟურნალი ,,კლდის" რედაქტორი. 1917 წელს მონაწილეობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნებაში, საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობაში. 1919 წელს საქართველოს ეროვნულ-დმოკრატიული პარტიის სიით გახდა დამფუძნებელი კრების წევრი. ოპოზიციაში ედგა ქართველ სოციალ-დემოკრატებს. რუსეთის მხრიდან საქართველოს ბოლშევიკური აგრესიის დროს, 1921 წლის თებერვალში, თბილისის სამხედრო სკოლის პირად შემადგენლობასთან ერთად იბრძოდა რუსეთ-საქართველოს ომის კოჯორი-ტაბახმელას ფრონტზე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ემიგრაციაში წავიდა. ცხოვრობდა ჯერ კონსტანტინოპოლში, შემდეგ – პარიზში. აქტიურად მონაწილეობდა ქართველ ემიგრანტთა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ფლობდა რამდენიმე უცხო ენას – გერმანული, თურქული, სპარსული, ფრანგული, ინგლისური, ესპანური. პოლიტიკური შრომების გარდა, მუშაობდა ისტორია-არქეოლოგიასა და ეთნოგრაფიაში. მეგობრობდა ცნობილ ქართველ მეცნიერებთან და მოღვაწეებთან, ზურაბ ავალიშვილთან და ვიქტორ ნოზაძესთან. თანამშრომლობდა ემიგრანტულ პრესასთან. 1967 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოსცა "L apport de la race caucasienne dans la civilisation mondiale" (,,კავკასიური რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში"), 1969 წელს კი, მიუნხენში, მოგონებები – ,,რაც მახსოვს" (გერმანულ ენაზე), რომელსაც უარყოფითად შეხვდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები. თანამშრომლობდა და აქვეყნებდა სტატიებს ქართულ ემიგრანტულ ჟურნალებში: ,,კავკასიონი", ,,ქართველი ერი", ,,კრებული", ,,ერის დიდება". გარდაიცვლა 1969 წელს. დაკრძალულია პარიზში, ბანიოს სასაფლაოზე.

265 რეზო გაბაშვილი. დაბრუნება. რაც მახსოვს. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. თბილისი. 1992. გვ. 143.

266 ლაშა ბაქრაძე. გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918წ.წ.) გამომცემლობა ,,პეგასი". თბილისი. 2009. გვ. 229-230.

ოქტომბერს მიხაკო წერეთელი, ოსმან-ბეი (მელიტონ ქარცივაძე) და კიდევ სამი ქართველი, რომელთაც თან დიდძალი იარაღი და ფული მოჰქონდათ, გერმანული წყალქვეშა ნავით "UB-42" საიდუმლოდ საქართველოსკენ გამოემგზავრნენ. 8 ოქტომბერს იარაღი მშვიდობიანად გადაიტანეს ნაპირზე და თავი ჯერ ოხარკალიაში ნიკო ხორავასთან, ხოლო შემდეგ ნოსირში კოკი დადიანთან შეაფარეს. 1917 წლის 5 ნოემბერს შედგა საიდუმლო კრება თბილისში, დათა ვაჩნაძის ბინაზე. მიხაკო წერეთელსა და მელიტონ ქარცივაძეს ფარულად შეხვდნენ იოსებ გედევანიშვილი (სოციალისტ-ფედერალისტი), ნოე ჟორდანია და ევგენი გეგეჭკორი. სწორედ ამ ისტორიულ კრებაზე გადაწყდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, როდესაც ამისათვის შესაფერისი დრო დადგებოდა. ხოლო რაც შეეხება თავად ,,ქართულ ლეგიონს", 1916 წლის დეკემბერში ,,დამოუკიდებლობის კომიტეტმა" მოითხოვა ლეგიონის გადაყვანა გერმანია-რუსეთის ფრონტზე ევროპაში. 1917 წლის მარტში ლეგიონი 120 კაცის შემადგენლობით რუმინეთში გადაიყვანეს (მოგვიანებით, ეს ნაშთი ლეგიონისა თავისი სამხედრო ფორმით და ლეო კერესელიძის მეთაურობით მარშით შევიდა დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქში).[267]

გარკვეული ქართული წრეების მხრიდან გერმანო-თურქებისადმი ასეთი დამოკიდებულება და მაიორ ავგუსტ ფონ შტანკეს დესანტის მიერ განხორციელებული ართვინ-არტანუჯის წარმატებული სამხედრო ოპერაცია დაედო საფუძვლად ანტანტის წევრი ქვეყნების არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებას ზოგადად ქართველებისა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის მმართველი წრეების მიმართ I მსოფლიო ომის მსვლელობისას და მისი დასრულების შემდეგაც. მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც მხოლოდ რუსეთის კავკასიის არმიის შემადგენლობაში მრავალი ქართველი გენერალი და ოფიცერი მსახურობდა, რომლებიც მთელ შენაერთებს მეთაურობდნენ და დიდი პროფესიონალიზმითა და წარმატებით ართმევდნენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

გერმანიის სამხედრო წრეების მიერ თავის სტრატეგიულ მოკავშირესთან, ოსმალეთთან მიმართებაში 1918 წლის გაზაფხულისთვის გატარებული პოლიტიკა გადამწყვეტი აღმოჩნდა ამიერკავკასიისა და საქართველოსთვის. გერმანელთა ზემოთ მოყვანილი ,,პროქართული" განწყობებისა და ანტიოსმალური პოლიტიკის საბოლოოდ გამოკვეთას კი, უკვე 1918 წლის დასაწყისიდან ოსმალთა მიერ ამიერკავკასიის მიმართ გატარებულმა იდეოლოგიურმა და სამხედრო მოქმედებებმა შეუწყვეს ხელი. საუბარი ოსმალთა იმპერიის სამხედრო მინისტრის, გენერალ ისმაილ ენვერ ფაშას და მისი გარემოცვის იდეოლოგიას - პანთურანიზმს[268] ეხება. გენერალი ფრიდრიხ

---

[267] თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი. დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარგარეთ – 1914. http://germa-georgian.archive.ge/ka/blog/32

[268] თურანი და პანთურანიზმი – სიტყვა ,,თურანი" ძველი ირანული ტერმინია, რომელიც, როგორც წესი, უპირისპირდება ტერმინ ,,ირანს" (თურანი – ირანი, თურანი vs. თურანი). ამ სიტყვით აღინიშნებოდა ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მომთაბარე თურქული ტომებით დასახლებული უკიდეგანო ქვეყანა. მაღალი კულტურის მატარებელი ირანისათვის ეს ქვეყანა ტრადიციულად მტრულ, ბნელ, ველურ და ბარბაროსულ სამყაროს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ირანულ კულტურაში სიტყვა ,,თურანს" აშკარად ნეგატიური დატვირთვა ჰქონდა. თურანი წარმოადგენდა დღევანდელი შუა აზიის ტერიტორიებს. უფრო ფართო გაგებით, ,,თურანის" უზარმაზარი სივრცე, რომელიც გრძედით მოიცავდა ირანიდან ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებს, ხოლო განედით – კავკასიიდან საიანამდე არეალს, განიხილება, როგორც ,,თურანული მოდგმის ხალხების" წინარე სამშობლო, რომელსაც მიეკუთვნება ურალურ-ალტაური ენის ყველა ეთნოსი. ამასთან ერთად, თურქული სამყარო განიხილება, როგორც მთავარი ღერძი ამ უკიდეგანო ,,თურანისა". შესაბამისად, პანთურქიზმი განიხილება როგორც ,,თურანიზმის", ამ ძალიან ფართო და ამორფული ცნების უფრო კონცენტრირებული გაგება. სწორედ თურანიდან გამოვიდნენ თავის დროზე სამხედრო-პოლიტიკურ არენაზე ატილას, ალფ-არსლანის, ჯალალ ად-დინის, ჩინგიზ ყაენის, ერთოღრულის, თემურ ლენგისა და აღა-მაჰმად-ხან ყაჯარის ურდოები, რომლებმაც თავის დროზე ირანი, რუსეთი, ამიერკავკასია, ანატოლია, მთელი ახლო აღმოსავლეთი და აღმოსავლეთ ევროპა წალეკეს. ამ ტომების შთამომავლები დღეს მთელს აზიასა და ევროპის ნაწილში არიან გაბნეულნი. ძალიან მარტივად

ფრაიერ კრეს ფონ კრეზენშტაინი[269] (Friedrich Freiherr Kress von Kressenstein), გერმანიის საოკუპაციო ჯარების სარდალი და გერმანიის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი საქართველოში 1918 წელს, თავის მემუარში მოგვითხრობს: ,,1917 წლის ბოლოს თურქეთში ე.წ. თურანიზმი წამოვიდა წინ. რელიგიურ-დინასტიური პანისლამიზმის საპირისპირო სისხლისა და რასობრივი ერთიანობის იდეოლოგია. ეს იდეოლოგია, რომელიც აქამდე მხოლოდ აკადემიურად მიმდინარეობდა - რეალური პოლიტიკის სტადიაში შევიდა… ეს იყო ენვერ ფაშა, რომელიც დესპოტური იდეების განხორციელების დასაცავად გამოდიოდა. მას სურდა თურქული მოდგმა, რომელიც რასით და სისხლით იყო ერთმანეთთან დაკავშირებული, ასევე პოლიტიკურად დაეკავშირებინა ერთმანეთთან და ადრეული ოსმალეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს საპირისპიროდ შეექმნა დიდი თურქული ეროვნული სახელმწიფო. მას თვალწინ ედგა ყირიმში, ვოლგისპირეთში, კავკასიაში და რუსულ და სპარსულ აზერბაიჯანში მცხოვრები თათრების და უპირველეს ყოვლისა კასპიის და არალის ზღვებს შორის მცხოვრები თურქულ-თათრული ერის გაერთიანება".[270]

ფაქტი ის არის, რომ I მსოფლიო ომის წინ, პანთურანიზმის იდეოლოგიამ მკვეთრად განსაზღვრული პოლიტიკური ელფერი შეიძინა. ,,დიდი თურანის" შექმნის დასახული პროექტი კი, I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე, 1914 წლის შემოდგომაზე გააჟღერეს გენერალმა ენვერ ფაშამ და იტიჰადისტთა სხვა ლიდერებმა, როდესაც აღმოსავლეთ ანატოლიაში გაშლილი ოსმალთა მე-3 არმია რუსეთის კავკასიის არმიის წინააღმდეგ შეტევითი სტრატეგიული ოპერაციის დასაწყებად

რომ ვთქვათ, თურანიზმი (პანთურანიზმი) – იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობაა, რომლის მთავარ ამოცანასაც თურანული ხალხების გაერთიანება წარმოადგენს.

269 ფრიდრიხ ფრაიერ კრეს ფონ კრეზენშტაინი (გერმ. Friedrich Siegmund Georg Freiherr Kreß von Kressenstein) (1870-1948წ.წ.) – გერმანელი ოფიცერი და სამხედრო მოღვაწე, არტილერისტი. I მსოფლიო ომის მონაწილე, გერმანიის მეორე რაიხის შეიარაღებული ძალებისა და რაიხსვერის გენერალი. დაიბადა ქალაქ ნიურნბერგში. 1879 წელს შევიდა ნიურნბერგის ჰუმანიტარულ გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1888 წელს. 1889 წლიდან სწავლობდა ჯერ აუგსბურგის, შემდეგ კი, მიუნხენის სამხედრო სასწავლებლებში არტილერიის სპეციალობით. 1892 წელს ამთავრებს სასწავლებელს და როგორც ბავარიის არმიის წარმომადგენელი სამხედრო სამსახურს პრუსიის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში იწყებს. 1901 წელს ენიჭება კაპიტნის, ხოლო 1910 წელს – მაიორის სამხედრო წოდებები. 1914 წლის იანვარში ტოვებს ბავარიის არმიას და მიემგზავრება ოსმალეთში. I მსოფლიო ომის პერიოდში შედიოდა გერმანელი გენერლების იმ ჯგუფში, რომელთაც ხელმძღვანელი სამეთაურო და საშტაბო თანამდებობები ეკავათ ოსმალთა იმპერიის შეიარაღებულ ძალებში. მსახურობდა პალესტინის ფრონტზე, გენერალ აჰმედ ჯემალ ფაშას ოსმალთა მე-4 არმიის საინჟინრო სამსახურის უფროსად და შტაბის უფროსად. მისი ხელმძღვანელობით 1915 წლის იანვარში ოსმალურმა შენაერთებმა შეძლეს სინაის ნახევარკუნძულის დაკავება, თუმცა სუეცის არხის ფორსირება და მისი დაუფლება ვეღარ მოახერხეს. 1916 წელს დაინიშნა პალესტინაში გაშლილი ოსმალთა მე-8 არმიის სარდლად და მაღალი საბრძოლო დამსახურებების გამო დაჯილდოვდა პრუსიის უმაღლესი სამხედრო ორდენით Pour le Mérite. მისი არმია აწარმოებდა ურთულეს ბრძოლებს ბრიტანელების წინააღმდეგ სინაის ნახევარკუნძულზე, პალესტინასა და ღაზაში. 1917 წლის ნოემბერში ტოვებს პალესტინის ფრონტს. 1918 წლის ივნისიდან დაინიშნა გერმანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლად და გერმანიის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ამიერკავკასიაში, სადაც მსახურობდა 1919 წლამდე. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაბრუნდა გერმანიაში და სამხედრო სამსახური გააგრძელა რაიხსვერში. 1924 წელს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება, ხოლო 1928 წელს ხდება არტილერიის გენერალი. თადარიგში გავიდა 1929 წელს და დასახლდა მიუნხენში. 1938 წელს გამოსცა წიგნი, სადაც აღწერილი იყო მისი ხელმძღვანელობით წარმოებული სინაისა და პალესტინის ბრძოლები. II მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1943 წელს, მიუნხენში გამოსცა თავისი მემუარული ხასიათის მეორე წიგნი Meine Mission im Kaukasus (,,ჩემი მისია კავკასიაში"), რომელიც მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო ისტორიის მკვლევართათვის. გარდაიცვალა 1948 წელს.

270 General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München. 1943. Seite 8.

ემზადებოდა: ,,ჩვენი ჩართვა მსოფლიო ომში ადასტურებს ნაციონალური იდეალებისადმი ჩვენს ერთგულებას. ჩვენი ერისა და ხალხის იდეალი მოითხოვს მოსკოვიტი მტრების განადგურებას, რათა ჩვენი იმპერიისათვის მოვიპოვოთ ბუნებრივი საზღვრები, რომელშიც ჩვენი რასის ყველა შტო იქნება ჩართული", - აცხადებდა მაშინ იმპერიის სამხედრო მინისტრი.[271] ნათელია, რომ ,,დიდი თურანის" სახელმწიფო-პოლიტიკური პროექტის რეალიზაცია კავკასიიდან უნდა დაწყებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ კავკასია არანაირად არ განეკუთვნებოდა თურქულ, ან თუნდაც უპირატესად თურქულ რეგიონს, თავისი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის გამო მან თავიდანვე მიიპყრო პანთურქისტთა და პირადად ენვერ ფაშას ყურადღება. ამ თვალსაზრისით, კავკასია ,,დიდი თურანის" გეგმის ხერხემალს წარმოადგენდა, რომელსაც შემაერთებელი ხიდის როლი უნდა ეთამაშა ანატოლიასა და ცენტრალურ აზიას შორის.[272] სწორედ ამ თვალსაზრისს ანვითარებდა ოსმალო გენერალი, ჰალილ ფაშა[273], რომელმაც 1918 წლის აგვისტოში ერევანში მიმდინარე სომხურ-თურქული მოლაპარაკებების დროს, სომხეთის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს

---

[271] Caroline Cox and John Eibner. Ethnic Cleansing in Progress: War in Nagorno Karabakh. The Pincers of Pan Turkism. (Walker, 1980, p. 198). http://sumgait.info/caroline-cox/ethnic-cleansing-in-progress /pincers-of-panturkism.htm

[272] არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ენიგმა (1920-1922). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. თბილისი. 2015. გვ. 86.

[273] ჰალილ ფაშა ქუთი (თურქ. Halil Paşa Kut) (1882-1957) – ოსმალო მხედართმთავარი, გენერალ-ლეიტენანტი (ფერიკი), ოსმალთა იმპერიის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ენვერ და ნური ფაშების ბიძა. 1911-1912 წლების თურქეთ-იტალიის, 1913 წლის ბალკანეთისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. ,,ერთიანობისა და პროგრესის" პარტიის წევრი. 1905 წელს ამთავრებს კონსტანტინოპოლის სამხედრო აკადემიას. მსახურობს მაკედონიაში დისლოცირებულ ოსმალთა მე-3 არმიაში. 1908 წლის ,,ახალგაზრდა თურქთა" რევოლუციის მონაწილე. 1909 წლიდან იგზავნება ირანში აგენტურული და ძირგამმთხრელი მუშაობისთვის. 1910 წლიდან სათავეში უდგება იმპერიის გვარდიას. ბალკანეთის ომებში მეთაურობს მობილური ჟანდარმერიის ქვედანაყოფებს. I მსოფლიო ომის საწყის ფაზაში კავკასიის ფრონტზე დისლოცირებული მე-3 არმიის დივიზიის მეთაურია. 1915 წლიდან მესოპოტამიის ფრონტის სარდალია. მესოპოტამიიდან გენერალ ჩარლზ თაუნშენდის ბრიტანელთა საექსპედიციო ძალების განდევნის შემდეგ, ბაღდადის ვილაიეთის გენერალ-გუბერნატორი და ჯარების სარდალია. 1916 წლიდან ინიშნენა მესოპოტამიაში გაშლილი ოსმალთა მე-6 არმიის სარდლად. 1918 წლის 28 ივნისიდან არმიათა ჯგუფი ,,აღმოსავლეთის" სარდალია. 1918 წლის აგვისტოდან I მსოფლიო ომის დასრულებამდე მსახურობდა ოსმალეთის სახმელეთო ჯარების სარდლად. მუდროსის ზავის დადების შემდეგ ბრიტანელები აპატიმრებენ და ნური ფაშასთან ერთად სვამენ ბათუმის ციხეში. ციხიდან გაქცევის შემდეგ ემხრობა გენერალ მუსტაფა ქემალისა და მისი თანამოაზრეების მიერ ანატოლიაში აგორებულ წინააღმდეგობის ახალ თურქულ მოძრაობას. ინტენსიურ კონტაქტებს ამყარებს რუს ბოლშევკებთან და წარმოადგენს შემაერთებელ რგოლს გენერალ მუსტაფა ქემალის მიერ ანატოლიაში ორგანიზებულ წინააღმდეგობის მოძრაობასა და ბოლშევიკებს შორის. პირადი და საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა ბოლშევიკთა პარტიის უმაღლეს ეშელონებთან, ლენინისა და სტალინის ჩათვლით. მისი მეშვეობით ხდებოდა მოსკოვიდან ქემალისტებისათვის იარაღის, საბრძოლო მასალების, ტექნიკური საშუალებებისა და ოქროს მიწოდება. 1919-1921 წლებში ცხოვრობს ბაქოსა და მოსკოვში, შემდეგ – ბერლინში. ხშირად სტუმრობდა თბილისსაც. წარმოადგენდა ბოლშევიკურ-ქემალისტური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას და ქემალისტთა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური დავალებების შემსრულებელს. 1920 წლის აპრილ-მაისში მისი უშუალო მონაწილეობითა და დახმარებით შეძლეს მე-11 წითელი არმიის ნაწილებმა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოება. ამავე დროს ინარჩუნებს კავშირებს გენერალ ენვერ ფაშასა და ექსიტიჰადისტთა სხვა ლიდერებთან. 1922 წელს ჯემალ ფაშასთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ცენტრალური აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თურქეთის ქემალისტური რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, 1923 წელს, დიდი ეროვნული კრების მთავრობის სპეციალური ნებართვის საფუძველზე საცხოვრებლად ბრუნდება თურქეთის რესპუბლიკაში. ამის შემდგომ, ქვეყნის სამხედრო, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა აღარ მიუღია. ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში. გარდაიცვალა 1957 წელს.

საქართველოში, არშაკ ჯამალიანს,[274] განუცხადა: ,,ჩვენ, თურქები, არ ვფიქრობთ, რომ დავიმონოთ რომელიმე ხალხი. მაგრამ ჩვენ მეტად მნიშვნელოვანი იდეა გაგვაჩნია, რომელიც უნდა აღვასრულოთ. ჩვენ გვსურს კავშირის აღდგენა ჩვენს ძველ სამშობლოსთან - თურანთან. ამიტომ ჩვენი ორი სამშობლოს შემაერთებელი გზები არ უნდა იყოს უცხო ხალხების ბატონობის ქვეშ".[275] ზუსტად ამ საკითხთან დაკავშირებით, ცოტა მოგვიანებით, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა მთავარი კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო, გაზეთი ,,სახალხო საქმე", თავის 794-ე ნომერში დაბეჭდილ სტატიაში, სათაურით ,,ჰალილ ფაშას პროექტები", წერდა:

,,გერმანელ პოლკოვნიკს, ერნესტ ფარაესენს, რომელიც ერთ დროს მსახურობდა ჰალილ ფაშას ჯარში, დაუბეჭდნია ,,ბერლინერ ტაგებლატში" თავისი მოგონებანი. აი, რას წერს ხსენებული პოლკოვნიკი: ,,ჰალილ ფაშას უფრო მეტად ეინტერესებოდა აღმოსავლეთის პოლიტიკა, ვიდრე სამხედრო საკითხი. მას წინ მუდამ ედო ინგლისური რუკა, რომელიც ეპოვა კუტ ელ ამარის გამარჯვების დროს, გენერალ თაუნშენდის ქაღალდებში. კარგი ფრანგული ენით იგი გვიხსნიდა თავისი პანისლამისტური იმპერიის შემდეგ პროგრამას. ლურჯი მელნით ჰხაზავდა თურანის საზღვრებს, რაც არსებობდა მხოლოდ ახალგაზრდა ოსმალთა პოეტების ქმნილებებში, რომელიც განხორციელებული უნდა ყოფილიყო იტტიჰატელების ხელით.

მისი პროგრამის თანახმად საჭირო იყო უპირველესად შეერთება ყველა თურქული ხალხებისა. პირველ რიგში უნდა დაპყრობილიყო თურქესტანი, თურქული იმპერიის აკვანი. შემდეგ უნდა კავშირი დაეჭირათ ციმბირელ იაკუტებთან, რომელთაც ჰალილ ფაშა სთვლიდა აღმოსავლეთის ნაპირის ავანგარდად. შემდეგ ამ კავშირში უნდა შეეყვანათ კავკასიის თათრები, რომლებიც თურქებთან ერთი ტომისანი არიან. კავკასიის ეროვნულ უმცირესობებს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სომხები და ქართველები იყვნენ, უნდა მიეღოთ ქვეშევრდომობა ან საკუთარი ნებით, ან ძალადობით. ამის წყალობით, ,,სომხეთის საკითხი" მიუახლოვდა თავის გადაჭრას. საკითხის ამ შეუბრალებელი გადაწყვეტით სომხობა იჟლიტებოდა როგორც ტომი. ქართველებიც იმავე ბედისწერის შიშით მიეშურნენ გერმანელების კალთაში და გერმანიის იმპერიამ ოფიციალურად თავის მფარველობის ქვეშ მიიღო ქართველობა.

ჰალილ ფაშას პროგრამის თანახმად, როცა დრო მოვიდოდა, ქართველობა, შემორტყმული თურქებითა და თათრებით, უნდა ჩავარდნილიყვნენ თურქული ძალაუფლების ხელში. ამ პროგრამის განსახორციელებლად გადამჭრელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო ბათომის აღება, რომელიც გადაეცათ თურქებს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით. თურქულ იმპერიას

---

[274] არშაკ ჯამალიანი (სომხ. Արշակ Ջամալյան) (1882-1940წ.წ.) – სომეხი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, არარატის რესპუბლიკის მთავრობის წევრი, დაშნაკთა პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრი. დაიბადა 1882 წელს. დაამთავრა ეჩმიაძინის სემინარია, შემდეგ სოციალურ მეცნიერებებს სწავლობდა გერმანიაში. სტუდენტობიდანვე დაინტერესდა პუბლიცისტიკით. აქვეყნებდა სტატიებს სომხეთის ისტორიისა და სომეხი ხალხის შესახებ. 1909 წელს ბრუნდება ამიერკავკასიაში. ასწავლიდა თბილისის სომხურ სკოლებში. აქვე გამოსცემდა სომხურ გაზეთს ,,არაჩ" და აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესებში. I მსოფლიო ომის მსვლელობისას იყო სომხური საბრძოლო რაზმების შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. 1917 წლის ოქტომბრიდან დაშნაკთა პარტიის და სომეხთა ეროვნული საბჭოს წევრია. 1918 წლიდან ამიერკავკასიის სეიმის წევრია. იყო გერმანიაში გაგზავნილი სომხეთის ეროვნული საბჭოს დელეგაციის წევრი. ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ ინიშნება სომხეთის რესპუბლიკის სრულუფლებიან დიპლომატიურ წარმომადგენლად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1920 წლის აგვისტო-ნოემბერში იყო სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის წევრი, იკავებდა სომხეთის კომუნიკაციებისა და გზათა შეტყობინების მინისტრის პოსტს. 1920 წლის ბოლოდან, სომხეთის რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, მიდის ემიგრაციაში და ცხოვრობს საფრანგეთში. ემიგრაციაში ყოფნის დროს გამოსცა წიგნი ,,სომხეთ-საქართველოს პრობლემა". გარდაიცვალა პარიზში, 1940 წელს.

[275] Рубен Шухян. Архив истории: как в 1918 году ,,обменивали" Мегри. https://ru.armeniasputnik.am/exclusive/20170815/8264519/arhiv-istorii-kak-v-1918-godu-obmenivali-megri.html

დიდი გავლენა უნდა მოეხდინა ავღანისტანსა და სპარსეთზე. და ეგონათ, რომ რადგან ავღანელები სუნიტები არიან, დიდი სიმპატია ექნებოდა ოსმალეთისა. მეფის მემკვიდრე უნდა აღზრდილიყო თურქულ ყაიდაზე.

ოსმალეთის საჭირო მოთხოვნილება იყო აგრეთვე სპარსეთის ყველაზე მდიდარი პროვინციის - აზერბეიჯანის შეერთება. სპარსეთის დანარჩენ ნაწილებს დიდად არ აფასებდა. არაბეთის საკითხში ახალგაზრდა თურქები სხვადასხვა თვალსაზრისზე იდგნენ. იმ დროს როცა ჰალილ ფაშა იცავდა პანთურქულ თვალსაზრისს, ენვერ ფაშა ხელოვნურად ასრულებდა პანისლამურ როლს, რომელიც არაბეთს სთვლიდა ხელსაყრელ მასალად მოლაპარაკებების საქმეში. იგი დარწმუნებული იყო, რომ ინგლისი წინააღმდეგობას არ გაუწევდა ოსმალეთს დაეპყრო თურქესტანი, ამის სანაცვლოდ კი, შესთავაზებდა ინგლისს არაბეთს, როგორც ხიდს ეგვიპტესა და ინდოეთს შორის.

ამ პროპაგანდისტებს დიდი გავლენა ჰქონდათ კავკასიის გულუბრყვილო მაჰმადიან მთიელებზე, რომლებიც იღებდნენ მათ როგორც წინასწარმეტყველის წმინდა წარმომადგენლებს.

არაბული დიდი იმპერიის აღორძინებას თურქული ხალიფატის ჰეგემონიის ქვეშ და თურქულ-თათრული ტერიტორიების შეერთებას ოსმალეთი უნდა გადაექცია ურყეველ დიდ სახელმწიფოდ აზიაში. მაჰმადიანების დახმარებით ამ სახელმწიფოს გავლენა აფრიკამდე გავრცელდებოდა“.[276]

აქედან გამომდინარე, I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ,,კავკასიის განთავისუფლებისათვის“ შემუშავებული სამხედრო ოპერაციების გეგმების შედგენა ოსმალთა იმპერიის გენშტაბისა და გერმანული სარდლობის საქმიანობის პრიორიტეტებად დაისახა.[277] მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, სარიყამიშის ოპერაციის წინ იმპერიის სამხედრო მინისტრმა, გენერალმა ისმაილ ენვერ ფაშამ სამხრეთ კავკასიაში გაშლილი ოსმალთა მე-3 არმიის სარდალი გენერალი ჰასან იზეთ ფაშა[278] დაკავებული თანამდებობიდან გადააყენა და არმიის სარდლობა თავად ჩაიბარა.

---

[276] გაზეთი ,,სახალხო საქმე”. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. მთავარი კომიტეტის ორგანო. 1920 წ. შაბათი, აპრილის 3. №794. გვ. 2.

[277] Георгий Чочиев. Кавказская ориентация в политической деятельности представителей северокавказской диаспоры в Турции в период Первой мировой войны. © Бюллетень ВИУ №15 2005 г. http://www.aheku.org/ articles/russian/hist/3645.

[278] ჰასან იზეთ ფაშა (თურქ. Hasan Izzet Paşa) (1871-1931წ.წ.) – ჩერქეზული წარმომავლობის ოსმალო სამხედრო პირი, გენერალ-მაიორი, 1897 წლის საბერძნეთ-თურქეთის ომის, ბალკანური ომებისა და I მსოფლიო ომის მონაწილე. დაიბადა კონსტანტინოპოლში. 1890 წელს ამთავრებს სამხედრო აკადემიას, ხოლო 1893 წელს – სამეთაურო-საშტაბო კოლეჯს და ენიჭება შტაბის კაპიტნის წოდება. სულთან აბდულ ჰამიდ II-ის მიერ 1894 წლის 14 აპრილს ინიშნება იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მეოთხე დეპარტამენტში ოფიცრად. 1895 წლის 7 მაისს ენიჭება უფროსი კაპიტნის წოდება. 1896 წლის 29 ოქტომბრიდან სამსახურს აგრძელებს სამხედრო აკადემიაში. 1897 წელს ენიჭება მაიორის წოდება და ინიშნება ბალკანეთის არმიაში. საბერძნეთ-თურქეთის ომის დროს ინიშნება მე-2 დივიზიაში ბატალიონის მეთაურად. იმავე წლის 17 მაისს კი – საბერძნეთის საზღვრის უფროსად. 1897 წლის 30 ნოემბერს ინიშნება ედირნეს უმაღლესი სამხედრო სკოლის ინსპექტორად, ამავე დროს კითხულობს ლექციებს ტაქტიკასა და არტილერიაში. 1900 წლის 2 ოქტომბერს ენიჭება ვიცე-პოლკოვნიკის წოდება, ხოლო 1905 წლის 23 აპრილს ხდება პოლკოვნიკი. 1908 წელს ინიშნება მე-17, ხოლო 1911 წლის 2 ივლისს – 1-ლი ქვეითი დივიზიის მეთაურად. პირველი ბალკანური ომის დროს დაინიშნა დასავლეთის ფრონტის მე-9 დივიზიის მეთაურად და 1912 წლის 19 დეკემბერს ინიშნება 1-ლი საარმიო კორპუსის სარდლად და ენიჭება მირლივას (გენერალ-მაიორის) წოდება. მეორე ბალკანურ ომში სარდლობდა მე-2 კორპუსს. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით სულთნის ბრძანებით ინიშნება კავკასიის ფრონტზე გაშლილი მე-3 არმიის სარდლად, თუმცა მალევე, სარიყამიშის ოპერაციის წინ გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან და მისი ადგილი თვით იმპერიის სამხედრო მინისტრმა, გენერალმა ისმაილ ენვერ ფაშამ დაიკავა. 1915 წლის 1 ოქტომბერს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის (ფერიკი)

ენვერ ფაშას და მისი თანამებრძოლების პანთურანული იდეის არსებობის შესახებ სხვა გერმანელი სამხედროებისთვისაც გახდა ცნობილი. ასე მაგალითად, გენერალი ოტო ლიმან ფონ სანდერსი[279] (Otto Liman von Sanders), გერმანიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელი ოსმალეთის იმპერიაში და ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების მთავარი სამხედრო ინსპექტორი, მოგვიანებით თავის მემუარებში წერდა: ,,ერთხელ ენვერი კავკასიასთან დაკავშირებით თავისი გეგმების შესახებ მესაუბრებოდა. საუბრის ბოლოს კი, გრანდიოზული და მეტად უცნაური იდეა გამანდო. კავკასიის დაუფლების შემდეგ იგი აღმოსავლეთით წასვლასა და ავღანეთისა და ინდოეთის დაპყრობას აპირებდა".[280] იგივეს აღნიშნავდა გერმანიის საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ერიხ ლუდენდორფიც.

თავდაპირველად ლუდენდორფი მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენდა იტიჰადისტთა[281] ამ ჩანაფიქრისა და თურქეთის თურანული გაფართოების პროექტისადმი - შესაბამისად, არც

წოდება. სამხედრო სამსახურიდან გადამდგარმა დაწერა რამდენიმე ისტორიული ხასიათის ნაშრომი, მათ შორის ,,კავკასიის ისტორია" და ,,ძველი თრაკიელები და ჩერქეზები". გარდაიცვალა 1931 წლის 3 მარტს. დაკრძალულია ალეპოში.

279 ოტო ლიმან ფონ სანდერსი (გერმ. Otto Liman von Sanders) (1855-1929 წ.წ.) – პრუსიული არისტოკრატული წარმომავლობის გერმანელი სამხედრო მოღვაწე, კაიზერის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, I მსოფლიო ომის პერიოდში ოსმალთა იმპერიაში გერმანული სამხედრო მისიის ხელმძღვანელი, იმპერიის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე და ფაქტობრივი მთავარსარდალი. გერმანელი გენერალ-ფელდმარშლების, ჰელმუტ ფონ მოლტკესა (Helmuth Karl Bernhard Graf von Moltke) და ბარონ კოლმარ ფრაიერ ფონ დერ გოლცის (Wilhelm Leopold Colmar Freiherr von der Goltz) შემდეგ იგი იყო უკანასკნელი გერმანელი ოფიცერი, რომელსაც ეს თანამდებობა ეკავა და ოსმალთა იმპერიის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის მისია ჰქონდა დაკისრებული. დაამთავრა ფრიდრიხ ვილჰელმის სახელობის ბერლინის გიმნაზია. სამხედრო სამსახურში შევიდა 1874 წლის 13 მარტს. 1878-1881 წლებში სწავლობდა სამხედრო აკადემიაში. 1885 წელს ენიჭება ობერლეიტენანტის წოდება. 1889 წლიდან ჰაუპტმანია. 1904 წელს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1913 წელს ინიშნება გერმანიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელად ოსმალთა იმპერიაში. I მსოფლიო ომის დროს უშუალოდ მისი წარმატებული ხელმძღვანელობით აღიკვეთა ბრიტანელთა ავსტრალია-ახალი ზელანდიის საარმიო კორპუსის (ANZAC – Australia New Zealand Army Corps) მიერ ჩატარებული საზღვაო დესანტირების ოპერაცია ჰალიპოლისზე, რომელიც 1915 აპრილ-ნოემბერში მიმდინარეობდა. 1917 წლის ბოლოდან სარდლობდა ოსმალთა არმიებს სინაის, პალესტინისა და მესოპოტამიის კამპანიებში და აწარმოებდა წარმატებულ თავდაცვით ბრძოლებს. თუმცა, საბოლოოდ, 1918 წლის შემოდგომაზე, ბრიტანელი გენერლის, ედმუნდ ალენბის სარდლობით პალესტინის ფრონტზე, მეგიდოს (არმაგედონის) შეტევით ოპერაციაში დამარცხდა, რასაც 1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის ზავის დადება და ოსმალეთის იმპერიის კაპიტულაცია მოჰყვა შედეგად. ბრიტანელებმა იგი 1919 წლის თებერვალში დააპატიმრეს და გადაასახლეს კუნძულ მალტაზე სამხედრო დანაშაულების ჩადენაზე ბრალდების ეჭვით, თუმცა უდანაშაულობის გამო მალევე, ერთ თვეში გაათავისუფლეს. ამის შემდგომ დაბრუნდა გერმანიაში. 1927 წელს დაწერა მემუარული ხასიათის წიგნი I მსოფლიო ომის შესახებ. გარდაიცვალა 1929 წელს, 74 წლის ასაკში, ქალაქ მიუნხენში.

280 Suhnaz Yilmaz. An Ottoman Warrior Abroad: Enver Pasha as an Expatriate. Middle Eastern Studies. A Frank Cass Journal. ISSN 0026-3206, p. 47.

281 იტიჰადისტები – თურქი ნაციონალისტი-რევოლუციონერების, ე.წ. ,,ახალგაზრდა თურქთა" პოლიტიკური პარტია İttihat ve Terakki-ის (ერთიანობა და პროგრესი, ოსმალ. ترقی و إتّحاد —, თურქ. İttihâd ve Terakkî) წევრები. პარტია დაარსდა 1889 წლის 21 მაისს პარიზში, დასახელებით – ,,ოსმალური ერთიანობის საზოგადოება". მოგვიანებით იგი გაერთიანდა ახალგაზრდა თურქთა პარიზის ორგანიზაციასთან და მას ,,ერთიანობისა და პროგრესის ოსმალური საზოგადოება" ეწოდა. საზოგადოების ამოცანებს წარმოადგენდა – სულთან აბდულ-ჰამიდის რეჟიმის დამხობა, 1876 წლის კონსტიტუციის აღდგენა, პარლამენტის მოწვევა და პანთურქისტულ საფუძველზე ოსმალთა იმპერიის შემდგომი უნიფიკაცია. საბოლოოდ, 1908 წლის 23 ივლისს მოწყობილი შეიარაღებული გადატრიალების, ე.წ. ,,ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის" შემდეგ, იტიჰადისტები ოსმალთა იმპერიის ხელისუფლების სათავეში მოდიან. აღდგა კონსტიტუცია, ხოლო თავად საზოგადოება პარტიად ტრანსფორმირდა. 1913 წლის დასაწყისიდან კი, როგორც პარტიაში, ასევე სახელმწიფოში სრული ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ე.წ. ,,ტრიუმვირატის"

დაბრკოლებებს ქმნიდა ამისათვის. პირიქით, ამ პროცესების განვითარებიდან იგი გერმანიისათვის გარკვეული სარგებლის მიღებასაც მოელოდა. ეს სარგებელი, პირველ რიგში, გერმანული გავლენის სფეროების გაფართოებაში გამოიხატებოდა აღმოსავლეთის მიმართულებაზე. 1918 წლის 15 მარტს ლუდენდორფი შემდეგი შინაარსის დეპეშას უგზავნის კონსტანტინოპოლში გენერალ იოჰანეს (ჰანს) ფონ სეექტს[282] (Johannes (Hans) von Seeckt), ოსმალთა იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს: ,,თურქული შენაძენის მთავარი არსი აღმოსავლეთში უნდა ვეძებოთ. აქ, მოხერხებული თურქული დიპლომატიისათვის ნიადაგის მოპოვების შესაძლებლობის გვერდით, არსებობს ასევე ჩვენი გავლენის სფეროს შექმნის შანსი ცენტრალურ აზიამდე".

ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ, იდეოლოგიური დაპირისპირების თვალსაზრისით, თურანიზმს მხარს უჭერდნენ გერმანელი იდეოლოგები, როგორც პანსლავიზმის საპირწონეს და ცარისტული რუსეთის აგრესიული ექსპანსიონისტური პოლიტიკის კარგ გამანეიტრალებელ საშუალებას სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებაზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც კავკასიის ფრონტის ოსმალთა მე-3 არმიის გასაძლიერებლად ენვერ ფაშას ბრძანებით პალესტინის ფრონტიდან სამხრეთ კავკასიაში ოსმალური სამხედრო შენაერთები გადმოიყვანეს, იგი ,,კავკასიის ისლამურ არმიად" ტრანსფორმირდა და მის სარდლად ენვერის უმცროსი ძმა, გენერალი ნური ფაშა[283]

წევრებმა – იმპერიის სამხედრო მინისტრმა, გენერალმა ისმაილ ენვერ ფაშამ, დიდმა ვეზირმა მეჰმედ თალაათ ფაშამ და სამხედრო-საზღვაო მინისტრმა – გენერალმა აჰმედ ჯემალ ფაშამ. ამ მომენტიდან დაწყებული ოსმალთა იმპერიის სულთან-ხალიფა მეჰმედ V რეშადი, მხოლოდ ნომინალურად წარმოადგენდა იმპერიის უმაღლეს ხელისუფალს.

282 იოჰანეს (ჰანს) ფონ სეექტი (გერმ. Johannes "Hans" Friedrich Leopold von Seeckt) (1866-1936წ.წ.) – პრუსიული წარმომავლობის გერმანელი სამხედრო მოღვაწე, I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, რაიხსვერის სახმელეთო ჯარების სარდალი და რეფორმატორი, კაიზერის არმიისა და რაიხსვერის გენერალ-ობერსტი (გენერალ-პოლკოვნიკი). 1885 წელს დაამთავრა გიმნაზია და დაიწყო სამხედრო სამსახური გრენადერთა გვარდიულ პოლკში. 1896 წელს ამთავრებს სამხედრო აკადემიას. 1897 წელს ინიშნება მე-3 საარმიო კორპუსის შტაბში. I მსოფლიო ომის წინ ეკავა ამ საარმიო კორპუსის შტაბის უფროსის თანამდებობა. I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე იბრძოდა გენერალ ალექსანდერ ფონ კლუკის 1-ლი არმიის შემადგენლობაში დასავლეთის ფრონტზე. 1915 წლის მარტიდან ინიშნება აღმოსავლეთის ფრონტზე გენერალ ფონ მაკენზენის მე-11 არმიის შტაბის უფროსად. წარმატებით იბრძოდა სერბეთის ფრონტზე, სადაც მისი ხელმძღვანელობით სრულად განადგურდა სერბეთის არმია. 1916 წლის ივნისში ინიშნება ავსტრიის მე-7 არმიის შტაბის უფროსად. 1917 წლის დეკემბრიდან კონსტანტინოპოლშია, სადაც იკავებს ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის თანამდებობას, სადაც მსახურობდა I მსოფლიო ომის დასრულებამდე. ოსმალთა იმპერიის დამარცხების შემდეგ, 1918 წლის 4 ნოემბერს ტოვებს კონსტანტინოპოლს და ბრუნდება გერმანიაში. 1919 წლის თებერვლიდან პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციის გერმანული დელეგაციის წევრია. 1919 წლის ბოლოს ინიშნება გერმანიის ე.წ. ,,ჯარების ოფისის" (Truppenamt), ფაქტობრივად კი, გენშტაბის უფროსად. 1920 წელს დაინიშნა ვაიმარის რესპუბლიკის სახმელეთო ჯარების – რაიხსვერის სარდლად. უდიდესი მუშაობა ჩაატარა ვაიმარის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების – რაიხსვერის აღმშენებლობისა და რეორგანიზაციის საქმეში. იგი იყო ახალი ტიპის გერმანული არმიის შექმნის ინიციატორიც და აღმსრულებელიც. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დამყარდა 1920-იან წლებში საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა კავშირთან ღრმად გასაიდუმლოებული სამხედრო-ტექნიკური კავშირები, რაც გამოიხატებოდა ერთობლივი საომარი თამაშობებისა და წვრთნების ჩატარებაში, აგრეთვე სამხედრო-ტექნოლოგიური სიახლეების დამუშავებასა და დანერგვაში. 1933-1935 წლებში იყო ჩინეთის ლიდერის, ჩან კაიშის სამხედრო მრჩეველი. გარდაიცვალა 1936 წელს. დაკრძალულია ბერლინში.

283 ნური ფაშა ქილიგილი (თურქ. Nuri Paşa Killigil) (1881-1949წ.წ.) – ოსმალო მხედართმთავარი, გენერალ-ლეიტენანტი (ფერიკი), ენვერ ფაშას უმცროსი ძმა. 1911-1912 წლების თურქეთ-იტალიის, 1912-1913 წლების ბალკანეთისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. ,,ერთიანობისა და პროგრესის" პარტიის წევრი. 1914-1915 წლებში იყო ტრიპოლიში მოქმედი საარმიო ჯგუფი ,,აფრიკის" სარდალი. 1918 წლის ზაფხულიდან განჯაში შემდგარი ოსმალურ-აზერბაიჯანული ,,კავკასიის ისლამური არმიის" სარდალია, რომელმაც 15 სექტემბერს დაამხო ბაქოს რუსულ-სომხური ესერულ-დაშნაკური ე.წ. ,,ცენტრალური კასპიისპირეთის დიქტატურა". 1919-1920 წლებში ხელმძღვანელობს აზერბაიჯანის

დაინიშნა, ლუდენდორფის განწყობები დიამეტრალურად შეიცვალა. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ ქმედებებით პალესტინის ფრონტი მნიშვნელოვნად დასუსტდა და აქ ძირითადში სწორედ გერმანული შენაერთები აღმოჩნდნენ ბრიტანელებთან დაპირისპირებულნი. გენერალ გრენერისადმი[284] 12 ივნისს, კიევში გაგზავნილ წერილში გენერალი ლუდენდორფი ხაზგასმით გამოხატავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას გენერალ ენვერ ფაშას ამ თავნება და დაუფიქრებელი გადაწყვეტილების გამო: ,,ენვერ ფაშა და თურქეთის მთავრობა უფრო მეტს ფიქრობენ თავიანთ პანისლამისტურ მიზნებზე კავკასიაში, ვიდრე ინგლისელებთან ომზე. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნებლიეთ აღმოვჩნდით ჩართულნი და იმ მოვლენებთან დაპირისპირებულნი, რასაც თურქები ისახავდნენ მიზნად".[285]

არავინ უარყოფს იმ ფაქტსაც, რომ გერმანელთა ,,პროქართული" პოზიციების გაძლიერების საქმეში, რა თქმა უნდა, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ბაქოს ნავთობისა და ჭიათურის მანგანუმის მოპოვებასა და მათ ტრანსპორტირებაზე გერმანელთა კონტროლის დამყარება წარმოადგენდა. გერმანიის იმპერიის ინტერესები საქართველოსა და საერთოდ კავკასიის მიმართ კი, ლუდენდორფმა იგივე 12 ივნისს გააჟღერა: ,,თუ გერმანია ფეხს მოიკიდებს საქართველოში, შექმნის იქ მცირერიცხოვან ეფექტურ გერმანული ტიპის არმიას და აჩვენებს რომ მზადაა დაიცვას თავისი ინტერესები კავკასიაში, თანდათანობით საქართველოს ავტომატურად შეუერთდებიან ახალი კავკასიური სახელმწიფოები. პერსპექტივაში კი სრულებით რეალურია, რომ გერმანიასთან მყარად შეკრული კავკასიური ბლოკი შეიქმნას, რომელიც ძალიან დიდ როლს ითამაშებს გერმანიისათვის როგორც ომის დროს (ნედლეულისა და ეფექტური სამხედრო ძალის მოწოდებით), ასევე ომის

დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნას. I მსოფლიო ომში ოსმალთა იმპერიის დამარცხებისა და მუდროსის ზავის დადების შემდეგ ტოვებს ,,კავკასიის ისლამური არმიის" სარდლის თანამდებობას. ამიერკავკასიაში ბრიტანელთა შემოსვლის შემდეგ აპატიმრებენ და სვამენ ბათუმის ციხეში. ციხიდან გაქცევის შემდეგ ბიძამისთან, გენერალ ჰალილ ფაშასთან ერთად გადადის განჯასა და ბაქოში და ეკედლება რუს ბოლშევიკებს. სწორედ ნური და ჰალილ ფაშები წარმოადგენდნენ შემაერთებელ ხიდს ახალ თურქულ მოძრაობასა (ქემალისტებსა) და ბოლშევიკებს შორის. თუმცა, ძალიან მალე, უკვე 1920 წლის გაზაფხულიდან, ბოლშევიკთა ამიერკავკასიაში შემოსვლის შემდეგ, იგი უპირისპირდება ბოლშევიკებს და ხელმძღვანელობს ანტიბოლშევიკურ და ანტიდაშნაკურ შეიარაღებულ გამოსვლებს აზერბაიჯანში. ოსმალთა იმპერიის ლიკვიდაციისა და თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ბრუნდება სამშობლოში. 30-იანი წლებიდან მოღვაწეობს სამხედრო მრეწველობის სფეროში. 1938 წელს თურქეთის რესპუბლიკაში აარსებს სამხედრო-სამრეწველო კომპანიას და აწარმოებს ასაფეთქებელ ნივთიერებებს, აირწინაღებსა და ცეცხლსასროლ იარაღს. II მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1941 წლიდან, პანთურქისტული მოძრაობის მხარდასაჭერად, კავშირებს ამყარებს ანკარაში გერმანიის ელჩთან. იმყოფებოდა გერმანიაში, სადაც ცდილობდა ნაცისტების მიერ დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ცნობის მიღწევას. ნური ფაშას უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა III რაიხის "SS"-ის თურქესტანის ლეგიონი. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ბრუნდება თურქეთის რესპუბლიკაში და აგრძელებს სამეწარმეო და კომერციულ საქმიანობას. დაიღუპა 1949 წელს, საკუთარ ქარხანაში მომხდარი აფეთქების შედეგად.

284 ვილჰელმ გრენერი (გერმ. Karl Eduard Wilhelm Groener) (1867-1939წ.წ.) – გერმანელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი, ფელდმარშალ პაულ ფონ ჰინდენბურგის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი. 1914 წლიდან გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის საჯარისო გადაზიდვების სამმართველოს უფროსი, 1916 წლიდან პრუსიის სამხედრო მინისტრის მოადგილე და გერმანიის სამხედრო მრეწველობის კურატორი, 1918 წლის ოქტომბრიდან საიმპერატორო ჯარების პირველი გენერალ-კვარტერმეისტერი და საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე. 1928-1932 წლებში იყო რაიხსვერის მინისტრი, ხოლო 1932 წლიდან – ვაიმარის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი.

285 Е. К. Саркисян. Экспансионистская политика Османской империи в Закавказье. Накануне и в годы Первой Мировой Войны. Академия наук Армянской ССР. Ереван. 1962. Стр 368. Людендорф. Мои воспоминания о войне 1914-1918 гг. Т. II. М. 1924. Стр. 187-188.

შემდეგაც (ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით).[286] თავის გათვლებში ნამდვილად არ ცდებოდა გერმანელი გენერალი. გერმანელთაგან სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მხარდაჭერილ საქართველოს მართლაც ძალუძდა ხელში აეღო ამიერკავკასიისა და კავკასიის ხალხების ანტიბოლშევიკური და ანტირუსული კონსოლიდატის მისია. როგორც ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, ლონდონის დედოფალ მერის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი, დონალდ რეიფილდი (Donald Rayfield) წერს: ,,1918 წელს გერმანიისათვის საქართველოზე წვდომა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს წარმოადგენდა“.[287]

იყო კიდევ ერთი მომენტი, ცოტა არ იყოს ეფემერული და ფუტურისტული მიზეზიც - ამიერკავკასიაში გერმანული და ქართული ფაქტორის გაზრდით ლუდენდორფი იმედოვნებდა, რომ მომავალში, თურქესტანსა[288] და ავღანეთში გერმანული პოზიციების გაძლიერებით, შესაძლებელი იქნებოდა ბრიტანელთა საკომუნიკაციო ხაზების მოშლა ინდოეთში და მათ წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება. გენერალი ფონ კრეზენშტაინი: ,,12 მაისს, საღამოს 10 საათსა და 30 წუთზე გამომიძახეს ლუდენდორფთან ხანგრძლივი საუბრისთვის. იგი უჩვეულოდ თავაზიანად მესაუბრა, კიდევ ერთხელ დეტალურად გამაცნო თავისი მოსაზრებები კავკასიაში გადასაჭრელი ამოცანების შესახებ და მითხრა, იმაზე მეზრუნა, რომ კავკასიის ახალგაზრდა სახელმწიფოებს რაც შეიძლება მალე შეექმნათ ბრძოლისუნარიანი ჯარი. არ იყო გამორიცხული, რომ ჩვენ მოვახერხებდით ინგლისელების საფრანგეთიდან განდევნას, მაგრამ ამით მათ ვერ დავაჩოქებდით. ჩვენ იძულებულნი ვიქნებოდით ინგლისელებს თავს ინდოეთში დავსხმოდით და ჩემი ამოცანა სწორედ ამაში მდგომარეობდა - კავკასიაში შემექმნა ტრამპლინი ინდოეთის წინააღმდეგ მოსალოდნელი ოპერაციისთვის. ტელეგრამაში, რომელიც მე 18 ივნისს მივიღე, ლუდენდორფი კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს იმას, რომ ჩემს წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ქართული ჯარის სწრაფი ორგანიზება წარმოადგენდა“.[289] იგივე ავტორი: ,,სიტუაციის უფრო მეტად სერიოზული და მძაფრი შეფასება მოითხოვდა ჰინდენბურგისგან[290] და ლუდენდორფისგან, რომ თურქებს უარი ეთქვათ

---

286 Послание генерала Людендорфа генералу Грёнеру. Киев, 12 июня 1918 г. ИСТОРИЧЕСКИЕ ИСТОЧНИКИ. http://1914ww.ru/dokum/191_dok/19180612lud.html.

287 ერიკ ლი. ექსპერიმენტი: საქართველოს მივიწყებული რევოლუცია: 1918-1921. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი. თბილისი. 2018. გვ. 91. Donald Rayfield. Edge of Empires: A History of Georgia. London: Reaktion Books. 2012. გვ. 323.

288 ტერმინი ,,თურქესტანი“ (ყაზ. Түркістан, თურქმ. Türküsta, უზბ. Turkiston, ყირგ. Түркистан, უიღ. تۈرکىستان) ცენტრალური აზიის თვითმყოფადი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის დასახელებაა, რომელიც XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში იხმარებოდა. პირველად ტოპონიმი ,,თურქესტანი“ დაფიქსირებულია სოგდიანურ ენაზე 639 წელს შედგენილ დოკუმენტში, რომელიც 1969 წელს აღმოაჩინეს ჩინურ დოკუმენტთან ერთად სინცზიან-უიღურის ავტონომიური რაიონის ქალაქ ტურფანთან. XIII საუკუნიდან მოყოლებული, ამ რეგიონის შემადგენლობაში შედიოდნენ დღევანდელი სახელმწიფოები: უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი და ყაზახეთი, აგრეთვე ჩინეთის კუთვნილი სინცზიან-უიღურის ავტონომიური რაიონი, სამხრეთ ციმბირის თურქულენოვანი რეგიონები, ასევე ირანისა და ავღანეთის ჩრდილოეთი ნაწილი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში თურქესტანი პირობითად იყოფოდა დასავლეთ (რუსულ), აღმოსავლეთ (ჩინურ) და სამხრეთ (ირანისა და ავღანეთის ჩრდილოეთი ნაწილი) თურქესტანად. დასავლეთ და აღმოსავლეთ თურქესტანში უმეტესად თურქულენოვანი ხალხები ცხოვრობდნენ, ხოლო სამხრეთში – ირანულენოვანი. 1920-იანი წლებიდან მოყოლებული, ტერმინი ,,თურქესტანი“ ნელ-ნელა გამოდის ხმარებიდან და მას ტერმინი ,,შუა აზია“ ცვლის. დღეისათვის კი, ამ რეგიონის დასახელებად უკვე მკვიდრდება ტერმინი ,,ცენტრალური აზია“.

289 General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München. 1943. Seite 22.

290 პაულ ფონ ჰინდენბურგი (გერმ. Paul Ludwig Hans Anton von Beneckendorff und von Hindenburg) (1847-1934წ.წ.) – პრუსიელი იუნკერი, XIX-XX საუკუნეების დიდი პრუსიელი და გერმანელი სამხედრო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, II რაიხის შეიარაღებული ძალების გენერალ-ფელდმარშალი და ვაიმარის რესპუბლიკის პრეზიდენტი, გერმანიის ეროვნული გმირი. დაიბადა პოზენში (დღევანდელი

კავკასიაში თავიანთ განზრახვაზე და მხოლოდ ბაღდადის წინააღმდეგ შებრუნებულიყვნენ. საქმე საბოლოოდ მოკავშირეთა შორის ურთიერთობების კრიზისამდე მივიდა, რომელმაც ძალიან სერიოზული ხასიათი მიიღო. მხოლოდ იმით, რომ ჩვენ გარკვეულ დათმობებზე წავედით, შესაძლებელი იყო ენვერის წინსვლის დაბრკოლება და არა ჩვენი დანაშაულის გამო წარმოქმნილი კონფლიქტის მოგვარება. საბოლოოდ ჩვენ მაინც მოგვატყუეს თურქებმა. მათ ჩვენს ზურგს უკან და დანაპირების საწინააღმდეგოდ, ბაქოს ოკუპაცია მოახდინეს," - აღნიშნავს გენერალი ფონ კრეზენშტაინი.[291]

და იყო კიდევ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც გერმანელთა კეთილგანწყობა განაპირობა საქართველოსა და ქართველების მიმართ - საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული გერმანულ-ქართული ისტორიულ-დინასტიური და სოციალურ-კულტურული ურთიერთობები, რასაც წინამდებარე წიგნის მეორე ნაწილში განვიხილავთ უფრო დაწვრილებით. საბოლოოდ, 1918 წლის 28 მაისს, ფოთში, გერმანული ხომალდის SMS Minna Horn-ის ბორტზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის წარმომადგენლებს შორის ხელი მოეწერა დროებით ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც საქართველომ გერმანიის იმპერიის მხრიდან მიიღო აღიარება და იგი გერმანული პროტექტორატით აღიჭურვა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა:

- გერმანული მხარის მიერ საქართველოს რკინიგზითა და პორტებით შეუზღუდავ სარგებლობას;
- გერმანიის საექსპედიციო ძალების მიერ საქართველოს სტრატეგიული ობიექტების ოკუპაციის უფლებას;
- გერმანული ვალუტის თავისუფალ მიმოქცევას;
- ერთობლივი სამთო-მომპოვებელი კორპორაციის დაარსებას;
- დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლების გაცვლას;
- საერთაშორისო აღიარებაში დახმარების გაწევას;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას;

პოზნანი), პრუსიელი არისტოკრატის ოჯახში. სწავლობდა ვალშტადტის, შემდეგ ბერლინის კადეტთა სკოლაში. ავსტრია-პრუსიის (1866წ.), საფრანგეთ-პრუსიისა (1870-1871წ.წ.) და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. 1878 წელს ენიჭება კაპიტნის სამხედრო წოდება, 1893 წლიდან პოლკოვნიკია, 1897 წლიდან – გენერალ-მაიორი, 1900 წლიდან – გენერალ-ლეიტენანტი და კორპუსის სარდალი. 1903 წელს ენიჭება ინფანტერიის გენერლის წოდება. 1911 წელს გადის თადარიგში. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ისევ კადრში იწვევენ. ომის საწყის ეტაპზე ინიშნება აღმოსავლეთის ფრონტზე, პრუსიაში გაშლილი გერმანიის მე-8 არმიის სარდლად. ტანენბერგის წარმატებული ოპერაციის და ორი რუსული არმიის ფაქტობრივი განადგურების შემდეგ, 1914 წლის ნოემბერში ენიჭება ფელდმარშლის წოდება. ამავე დროს, გენერალ ერიხ ლუდენდორფთან ერთად ხდება გერმანიის ეროვნული გმირი. 1914 წლის ბოლოს ინიშნება გერმანიის აღმოსავლეთის ფრონტის სარდლად. 1916 წლის აგვისტოდან საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი და შემდეგ იმპერიის შეიარაღებული ძალების ფაქტობრივი მთავარსარდალია. 1918 წლის გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში მის მიერ შემუშავებული გერმანელთა სტრატეგიული შეტევითი კამპანიის ხელმძღვანელია დასავლეთის ფრონტზე. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1919 წლის დასაწყისიდან ისევ თადარიგში გადის და ერთვება პოლიტიკურ პროცესებში. 1925 წელს ირჩევენ ვაიმარის რესპუბლიკის პრეზიდენტად და სახელმწიფოს მეთაურად. 1932 წელს მეორედ იმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებში და ისევ ხდება გერმანიის რაიხსპრეზიდენტი. 1933 წელს გერმანიის ხელისუფლებაში გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია მოდის. სწორედ ჰინდენბურგის თანხმობით „ეკურთხა" გერმანიის რაიხსკანცლერად ადოლფ ჰიტლერი. პაულ ფონ ჰინდენბურგი გარდაიცვლა 1934 წლის 2 აგვისტოს. მისი გარდაცვალების შემდეგ ჰიტლერმა გააუქმა რაიხსპრეზიდენტის თანამდებობა და რეფერენდუმის გზით სახელმწიფოს მეთაურობა რაიხსკანცლერს დააკისრა.

[291] General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München. 1943. Seite 9.

გერმანიის მხრიდან ამ დოკუმენტს ხელს აწერდა გერმანიის სამხედრო რწმუნებული ოსმალთა იმპერიაში, გენერალი ოტო ჰერმან ფონ ლოსოვი[292] (Otto Hermann von Lossow), ხოლო საქართველოს მხრიდან - რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი.[293]

---

[292] ოტო ჰერმან ფონ ლოსოვი (გერმ. Otto Hermann von Lossow) (1868-1938წ.წ.) – არისტოკრატული წარმომავლობის გერმანელი ოფიცერი, გენერალ-ლეიტენანტი. დაამთავრა ბავარიის კადეტთა კორპუსი. 1886 წელს ენიჭება ოფიცრის პირველადი წოდება და სამხედრო სამსახურს იწყებს ბავარიის არმიის ქვეით პოლკში. 1888 წლიდან ლეიტენანტია. 1892 წლიდან ინიშნება საოლქო სარდლობის შტაბის ადიუტანტად. 1895-1898 წლებში სწავლობდა სამხედრო აკადემიაში. 1900 წლიდან მე-2 აღმოსავლეთაზიური ბრიგადის შტაბის ადიუტანტია. 1902 წელს ენიჭება კაპიტნის წოდება. 1908 წელს ენიჭება მაიორის წოდება და სამსახურს აგრძელებს გენერალურ შტაბში. 1911 წლიდან პოდპოლკოვნიკია. ამავე წელს სამსახურეობრივი მივლინებით იგზავნება ოსმალთა იმპერიის გენერალურ შტაბის განკარგულებაში. იყო სამხედრო აკადემიის ინსტრუქტორი. მონაწილეობდა ბალკანურ ომებში. I მსოფლიო ომის დაწყებისას ბრუნდება გერმანიაში და ინიშნება დასავლეთის ფრონტის მე-2 ბავარიული სარეზერვო კორპუსის შტაბის უფროსად. 1915 წლიდან ინიშნება გერმანიის სამხედრო ატაშედ ოსმალეთში. 1916 წელს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება და ინიშნება გერმანიის სამხედრო რწმუნებულად კონსტანტინოპოლში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. წარმოადგენდა მედიატორს და გერმანული მხარის ცენტრალურ ფიგურას 1918 წლის გაზაფხულზე ოსმალეთისა და ამიერკავკასიის დელეგაციების მონაწილეობით მიმდინარე ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ბრუნდება გერმანიაში და სამსახურს აგრძელებს რაიხსვერში. 1919-1920 წლებში იყო ბავარიის ქვეითი ჯარის სკოლის უფროსი. 1921 წლის 1 იანვარს ინიშნება ბავარიის სამხედრო ოლქის სარდლად. თავდაპირველად თანაუგრძნობდა ბავარიაში ახლადჩასახულ ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობას და ჰიტლერს, თუმცა მალევე უპირისპირდება მას. ამავე პერიოდში წინააღმდეგობაში მოდის რაიხსვერის სარდალთან, გენერალ ჰანს ფონ სექტთან. 1923 წლის 19 ოქტომბერს ატოვებინებენ დაკავებულ თანამდებობას და რაიხსვერის რიგებს. 1924 წლიდან ფონ ლოსოვი მთლიანად მიდის საჯარო სამსახურიდან. გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა თურქეთში, თუმცა მალევე ბრუნდება უკან. შემდგომი წლები ცხოვრობდა მიუნხენში, სადაც გარდაიცვლება კიდეც 1938 წლის 25 ნოემბერს.

[293] აკაკი ჩხენკელი (1874-1959წ.წ.) – ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი რუსეთსა და საქართველოში, იურისტი და პუბლიცისტი. დაიბადა სოხუმის ოკრუგის სოფელ ოქუმში. დაწყებითი განათლება მიიღო ხონის სასწავლებელში. ხონის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გახდა თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტი, სადაც გაერთიანდა სემინარისტების არალეგალურ წრეებში და ეცნობოდა სოციალ-დემოკრატიულ იდეებს. 1893 წელს გარიცხეს სემინარიიდან ანტიქართული რეჟიმის წინააღმდეგ გაფიცვაში მონაწილეობის გამო. იმავე წელს ხდება სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1896-1901 წლებში სწავლობდა კიევის, მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებზე. იყო სტუდენტური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წევრი. ამავე დროს თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან. სტუდენტური გამოსვლების გამო სწავლა ვერ დაასრულა და დაბრუნდა სამშობლოში. 1902-1904 წლებში მუშაობდა ადვოკატად სოხუმის ოკრუგში და აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შემდგომი სწავლა განაგრძო ევროპაში. სამი წლის განმავლობაში ბერლინში სწავლობდა მუშათა მოძრაობის თეორიას და პრაქტიკას, ვენაში – ეროვნულ საკითხს, პარიზში – პოლიტიკურ მოძრაობას, ლონდონში – ინგლისისა და რუსეთის მეტოქეობის საკითხებს აზიაში. ამ პერიოდში აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პრესასთან, ესწრებოდა სოციალისტთა კონგრესებს და კონფერენციებს. 1907 წელს დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტი. ამის შემდგომ სწავლობდა ჟენევაში. 1909 წელს ბრუნდება სამშობლოში და აქტიურად ერთვება პუბლიცისტურ და რევოლუციურ საქმიანობაში. 1910 წელს აპატიმრებენ და როსტოვში ასახლებენ. 1912 წელს ბრუნდება საქართველოში, სადაც ირჩევენ რუსეთის დუმის დეპუტატად ბათუმი-ყარსის ოლქიდან და სოხუმის ოკრუგიდან. იგი იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი მენშევიკი, რომელიც მხარს უჭერდა ეროვნულ-კულტურული ავტონომიის იდეას. 1914 წელს მონაწილეობდა ბრიუსელის თათბირში, რომელიც მოიწვია საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიულმა ბიურომ. რუსეთის სათათბიროს ტრიბუნიდან იცავდა ე.წ. „მოღალატე აჭარლების" უფლებებს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ხდება რუსეთის დროებითი მთავრობის – „ოზაკომის" წევრი ამიერკავკასიაში. 1917 წლის ნოემბრიდან იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი და თავმჯდომარის მოადგილე. 1918 წლის იანვრიდან იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი და ამიერკავკასიის

სწორედ ამიტომ, ყველა ზემოთ აღწერილი ფაქტორის გათვალისწინებით, ბერლინში, გერმანიის საიმპერატორო ჯარების გენერალურ შტაბში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ყირიმიდან საქართველოში გერმანული საექსპედიციო კორპუსი გაგზავნილიყო, არტილერიის გენერლის, ფრიდრიხ ფრაიერ კრეს ფონ კრეზენშტაინის სარდლობით, რომელიც ამავე დროს, გერმანიის პოლიტიკური მისიის ხელმძღვანელიც იქნებოდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ამიერკავკასიაში. გერმანელთა ეს მისია საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნასა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაცვაში დახმარების აღმოჩენასაც გულისხმობდა. და მართლაც, 1918 წლის ივნისის თვიდან ფოთის პორტიდან საქართველოში გერმანული ჯარების სხვადასხვა გვარეობის რჩეული ნაწილები შემოდიან. უილიამ ალენი განსაკუთრებით გამოყოფს გენერალ კრეზენშტაინის როლს ქართველებთან კარგი ურთიერთობების დამყარების საქმეში და აღნიშნავს, რომ ***მთელი მაისის*** განმავლობაში კრეზენშტაინი განსაკუთრებით აქტიურობდა თბილისში.[294] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). აქ პატივცემული ავტორი აშკარად ცდება. გენერალი კრეზენშტაინი მაისის თვეში თბილისში ვერანაირად ვერ იქნებოდა და შესაბამისად, ვერანაირ აქტიურობებს იგი აქ ვერ გამოიჩენდა. პირველმა გერმანულმა სამხედრო ქვედანაყოფებმა ფოთის პორტში 1918 წლის 3 ივნისს დაადგეს ფეხი, გენერალ კრეზენშტაინის გემი კი, მხოლოდ 1918 წლის 23 ივნისს შემოვიდა ფოთის პორტში, ხოლო თბილისში იგი და მისი თანმხლები პირნი 24 ივნისს ჩამოვიდნენ ავსტრო-უნგრეთის და ბულგარეთის სამხედრო დელეგაციებთან ერთად, რაც უტყუარი დოკუმენტებით დასტურდება.[295]

ალენი აქვე აგრძელებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, 1918 წლის 26 მაისს, ფონ კრეზენშტაინმა და ფონ შულენბურგმა სასახლის ფანჯრიდან გამოაცხადეს ახალი ქართული რესპუბლიკის პროტექტორატით აღჭურვა გერმანიის მხრიდან. აქაც ცდება ღრმადპატივცებული ავტორი. მას გენერალი კრეს ფონ კრეზენშტაინი აშკარად კონსტანტინოპოლში გერმანიის საელჩოს სამხედრო წარმომადგენელში, გენერალ ოტო ფონ ლოსოვში ერევა - ეს ცხადია. გენერალი კრეს ფონ კრეზენშტაინი 1918 წლის 26 მაისისათვის თბილისში, და საერთოდ, საქართველოში არ იმყოფებოდა. დიახ, 1918 წლის 26 მაისისათვის თბილისში ნამდვილად იმყოფებოდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ აქ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში გენერალი ოტო ფონ ლოსოვი და ფრიდრიხ-ვერნერ ფონ შულენბურგი. გენერალი კრეს ფონ კრეზენშტაინი და მისი სამხედრო-დიპლომატიური მისია კი, თბილისში 1918 წლის ივნისის ბოლოდან დაფუძნდა. იგი და გერმანული ქვედანაყოფები საქართველოში წლის ბოლომდე დარჩებიან და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლაში გერმანელი ჯარისკაცებიც დაღვრიან სისხლს... თუმცა, ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...

ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1918 წლის 26 იანვარს საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით გახსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი. 1918 წელს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1919-1920 წლებში წარმოადგენდა დამფუძნებელი კრების წევრს. 1921 წლის იანვრიდან დაინიშნა საქართველოს ელჩად საფრანგეთში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, სამშობლოში აღარ დაბრუნებულა და დარჩა საფრანგეთში. ემიგრაციაში ყოფნისას ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ, დიპლომატიურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას. მისი დიპლომატიური მოღვაწეობა გაგრძელდა 13 წლის განმავლობაში, 1934 წლამდე, საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის აღიარებამდე. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ანტიკომუნისტური გაერთიანების შექმნის პროცესში. გარდაიცვალა 1959 წელს, პარიზში. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

294 W. E. D. Allen, Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A History of the Wars on the Turco-Cauacsian Border 1828-1921. Cambridge University Press. 1953. Pg. 469.

295 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 10.

,,გერმანელებთან ხელმოწერისთანავე, ჩხენკელი, ფონ ლოსოვთან, ნიკოლაძესთან (ფოთის მერი) და ქართველ დიპლომატთან, ზურაბ ავალიშვილთან ერთად გერმანიაში გაემგზავრა და გერმანიის დედაქალაქში რამდენიმე თვე დაჰყო. იქ ქართველთა დელეგაციამ გერმანულ მხარეს შესთავაზა საქართველო, როგორც გერმანული რაიხის ,,დომინიონი", ამ ქვეყნის მფარველობის ქვეშ შესულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, მათი წინადადება კაიზერმა უარყო. ალბათ ომი რომ გერმანიის გამარჯვებით დასრულებულიყო, საქართველოზე გერმანიის პროტექტორატი ფორმალურად მაინც დამყარდებოდა. ასევე, არსად ჩანს, როგორ აღიქვამდა გერმანიის მთავრობა იმ ფაქტს, რომ საქართველოს სათავეში სოციალ-დემოკრატები ედგნენ, რადგან გერმანელი სოციალ-დემოკრატები, მათ შორის - კაუცკიც,[296] მსოფლიო ომის წლებში საკუთარი ქვეყნისადმი ,,მოღალატეობრივ" დამოკიდებულებაში იყვნენ მხილებულნი",[297] - აღნიშნავს ამერიკელი მკვლევარი და პუბლიცისტი, ერიკ ლი (Eric Lee). კარლ კაუცკი, ევროპელ სოციალისტთა ლიდერი, მართალია, მთელი თავისი ცხოვრება კაიზერის მმართველობას ებრძოდა, მაგრამ 1918 წელს მხარს უჭერდა საქართველოს გადაწყვეტილებას, ორიენტაცია გერმანიისაკენ მიემართა. გერმანელები, წერდა იგი, ,,საქართველოში მძარცველებად არ მისულან, ისინი მისი საწარმოო ძალების მაორგანიზებელ ძალად შევიდნენ, რადგან ქართული პროდუქტი ესაჭიროებოდათ, განსაკუთრებით - მისი მანგანუმი, და ამას გარდა, მისი რკინიგზა. ამგვარად, ქვეყანაში მათ სწორედ ის შეიტანეს, რაც მას ყველაზე მეტად აკლდა, და რისი სწრაფად მოპოვებაც მას მხოლოდ უცხოელთა დახმარებით შეეძლო - ქვეყნის ეკონომიკური ორგანიზება.[298]

ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო, I მსოფლიო ომის ბოლო წელს საქართველო ერთობ ორჭოფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ისიც დღესავით ნათელია, რომ ანტანტის წევრი ქვეყნების ანტიქართული დამოკიდებულება დამატებითი კოზირი აღმოჩნდა პრაანტანტურად განწყობილი სომეხი დაშნაკებისათვის, რომლებმაც 1918 წლიდან აქტიური პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს მტრის ახალი ხატის შექმნისა და ქართველთა ,,პროგერმანელობის'' წარმოსაჩენად ანტანტის წევრი ქვეყნების, განსაკუთრებით ბრიტანელთა თვალში.

ამ პარაგრაფის დასაწყისში, ბატონ გრიგოლ ლორთქიფანიძის მოყვანილ ციტატაში კი, ვერ დავეთანხმებით მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკისათვის

---

296 კარლ კაუცკი (გერმ. Karl Kautsky) (1854-1938წ.წ.) – ებრაული წარმომავლობის ავსტრო-ჩეხურ ოჯახში დაბადებული მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსი, კარლ მარქსის ,,კაპიტალის" მეოთხე ტომის რედაქტორი, ისტორიკოსი და ფილოსოფოსი, ჟურნალისტი და ეკონომისტი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მეორე ინტერნაციონალის ლიდერი. გამოდიოდა ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალებისა და ზოგადად ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რომელსაც მკაცრად აკრიტიკებდა. აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარების პროცესს, ეხმარებოდა საქართველოს დელეგაციას გერმანიაში. 1920 წლის სექტემბერსა და დეკემბერში, კარლ კაუცკი, როგორც მეორე ინტერნაციონალის ლიდერი, მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა საქართველოში. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას, პრესისა და წიგნების გვერდებზე აკრიტიკებდა საბჭოთა რეჟიმს. პოლიტიკურ დახმარებას უწევდა დევნილობაში მყოფ საქართველოს მთავრობას. 1924 წლიდან ცხოვრობდა ავსტრიაში. 1933 წლიდან, გერმანიის სათავეში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლის შემდეგ, აკრიტიკებდა ნაციზმს და ჰიტლერის რეჟიმს. 1938 წლის მარტიდან, გერმანიის მიერ ავსტრიის ანშლუსის შემდეგ, ებრაული ფესვების გამო, მოუხდა ნაცისტური გერმანიის დატოვება. ამის შემდეგ ცხოვრობდა ჯერ ჩეხოსლოვაკიაში, შემდეგ ნიდერლანდებში. გარდაიცვალა იმავე წელს, ამსტერდამში.

297 ერიკ ლი. ექსპერიმენტი: საქართველოს მივიწყებული რევოლუცია: 1918-1921. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი. თბილისი. 2018. გვ. 95.

298 ერიკ ლი. ექსპერიმენტი: საქართველოს მივიწყებული რევოლუცია: 1918-1921. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი. თბილისი. 2018. გვ. 100. Karl Kautsky. Georgia, a Social-Democratic Peasent Republic. Impresions and Observations. თარგმნილი ჰ. ჟ. სტენინგის მიერ; ავტორისავე მიერ რედაქტირებული გამოცემა. London. International Bookshops. 1921. გვ. 88-89.

მხოლოდ ,,წითელი და თეთრი რუსეთები'' წარმოადგენდნენ დაუძინებელ მტრებს. ამ მიმართებაში, 1918 წლისათვის, სომეხ დაშნაკთა შენიღბული და კარგად გააზრებული ანტიქართული ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენდა ახალგაზრდა ქართული რესპუბლიკისათვის, ვიდრე საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ცარისტული თუ ბოლშევიკური რუსეთის მიერ გამჟღავნებული ღია აგრესიული მოქმედებები. კონკრეტულად 1918 წლისათვის კი, რუსეთი, ,,თეთრიც'' და ,,წითელიც'', სულს ღაფავდა და იგი რევოლუციის, კონტრრევოლუციისა და უცხოური ინტერვენციის ფატალურ რკალში იყო მოქცეული.

ქართული პოლიტიკური წრეების გერმანოფილურმა განწყობებმა კი, I მსოფლიო ომის მსვლელობისას და მთელი 1918 წლის განმავლობაში, ნოყიერი ნიადაგი შექმნა სომეხ დაშნაკთა მიერ ქართველების წინააღმდეგ ანტანტის წევრი ქვეყნებისა და მსოფლიო საზოგადოების წინაშე შემდგომი დასმენებისა და ცილისწამებისათვის. შესაბამისად, დაშნაკ პროვოკატორთა ამ ქმედებებმა თავისი შედეგი გამოიღო. დაშნაკურმა ცრუ პროპაგანდამ ანტანტის ქვეყნების მხრიდან მკვეთრად ანტიქართული განწყობების გამძაფრებას შეუწყო ხელი, რამაც ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო ახალი, დიდი გამოცდის წინაშე დააყენა.

§1.6. სომეხთა ახალი რევოლუციური იდეოლოგია

XIX საუკუნის ,,80-იანი წლები სომხებისათვის საბედისწერო წლები იყო. რუსეთში ფინეთიდან კავკასიამდე გაისმოდა ლოზუნგი ,,რუსეთი რუსებისათვის!“ ამ ლოზუნგს მოჰყვა სომხების ათვალწუნება და მათდამი პოლიტიკური უნდობლობა. 1885 წელს დაიხურა 500-დე სომხური სკოლა, 30 ათასი მოსწავლე ქუჩაში დარჩა. ცარიზმის მოხელეებს გაახსენდათ, რომ ზოგიერთ სომხურ სკოლაში ეკიდა ,,დიდი არმენიის” ისტორიული რუკები, ლოცვა-წირვა სომხურად მიმდინარეობდა. 1903 წლის 12 ივნისის განკარგულებით სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიას ჩამოერთვა საეკლესიო ქონება. შეზღუდეს მისი თვითმმართველობა. სახელმწიფო სამსახურში სომხებს აღარ ღებულობდნენ. ძველ მოსამსახურეებს კი, სამსახურს რუსეთში სთავაზობდნენ. როგორც უკვე ითქვა, სომხები პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად იქნა მიჩნეული...,”[299] - გვამცნობენ პატივცემული ავტორები, შოთა და ოთარ თეთვაძეები თავიანთ წიგნში - ,,სომხები საქართველოში’’. ყოველივე ამის მიზეზად კი, ავტორები იმას თვლიან, რომ ,,რუსეთის ბიუროკრატიას ,,ჩვეულებად” და კანონად ჰქონდა რომელიმე კავკასიელი ერის ნიშანში ამოღება და მისი განსაკუთრებით დევნა-შევიწროება”.[300]

ამონარიდში მოტანილი ფაქტები ისტორიული სიმართლეა. მას, რა თქმა უნდა, ჩვენც ვაღიარებთ და ვიზიარებთ, მაგრამ ავტორთა იმ ნაჩქარევ დასკვნას, რომ ,,რუსეთის ბიუროკრატიას ,,ჩვეულებად” და კანონად ჰქონდა რომელიმე კავკასიელი ერის ნიშანში ამოღება და მისი განსაკუთრებით დევნა-შევიწროება“, ნამდვილად ვერ გავიზიარებთ. არაარგუმენტირებული და ზედმეტად გულუბრყვილო გვეჩვენება იგი. საქმე იმაშია, რომ ყოველივე ზემოთქმულის მიზეზი გაცილებით უფრო სერიოზული, გაცილებით კომპლექსური და ფუნდამენტურია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს და როგორც ამას პატივცემული ავტორები წარმოგვიდგენენ. სომხების მიმართ რუსული ცარიზმის მიერ XX საუკუნის დასაწყისში გატარებული მკაცრი პოლიტიკური კურსის გამომწვევი მიზეზები და ფესვები გაცილებით უფრო ღრმად მიდის წარსულის დროსა და სივრცეში და მას გაცილებით სერიოზული წანამძღვრები გააჩნია.

დავიწყოთ იქიდან, რომ სომეხთა დღევანდელი მსოფლიო ტოტალური აგიტაცია-პროპაგანდის ფონზე, ერთი შეხედვით ყველასთვის თითქოსდა მიღებული, მაგრამ რეალურად მცდარი ცნებები და ლეგენდები უნდა გადავაფასოთ. შეიძლება პარადოქსულადაც კი ჟღერდეს, მაგრამ ისტორიული რეალობაა ის ფაქტი, რომ საუკუნეების განმავლობაში როგორც რუსეთში, ასევე თურქულ სახელმწიფოში მცხოვრები სომხები იმპერიისათვის ყველაზე ერთგულ და მორჩილ ხალხს წარმოადგენდა. დიახ, ისტორიული რეალობაა ის ფაქტი, რომ დაწყებული სელჩუკიანთა ეპოქიდან, თურქულ სახელმწიფოებში მცხოვრები სომხები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. იგივე სურათი იყო თურქ-ოსმალების შემთხვევაშიც. სხვა ხალხებისგან განსხვავებით, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგაც, სომხები ერთადერთ პრივილეგირებულ ხალხად იქცნენ ოსმალთა სახელმწიფოში, სადაც სრულად იქნა შენარჩუნებული მათი კულტურული და კონფესიური თავისუფლება.

საუკუნეთა განმავლობაში იმპერიაში რელიგიათაშორისი მშვიდობის შენარჩუნებას ოსმალეთი ე.წ. ,,მილეთების სისტემის“ გზით ახერხებდა. ცალკე მილეთად (ხალხად) ცნობდნენ ყველა ,,წიგნის ხალხს“ - თავიდან, XV საუკუნიდან - ბერძენ მართლმადიდებლებს, სომეხ გრიგორიანელებს, იუდეველებს, მოგვიანებით კი, XIX საუკუნიდან - კათოლიკეებს (ამ უკანასკნელთ ,,ფრენგის“ უწოდებდნენ) და ქრისტიან პროტესტანტებს. ყველა მილეთს სულთანი გარკვეულ ავტონომიას ანიჭებდა, აძლევდა რელიგიური შენობების აგების, საკუთარ ენაზე განათლების

---

[299] შ. თეთვაძე ო. თეთვაძე. სომხები საქართველოში. თბილისი. 1998. გვ. 83.
[300] იქვე.

მიღებისა და ბეჭდვის უფლებას. ამის გამო წიგნის ბეჭდვა კონსტანტინოპოლში ბერძნულ, სომხურ და ებრაულ ენებზე საუკუნენახევრით ადრე დაიწყო, ვიდრე ოსმალურ-თურქულ ენაზე,[301] - აღნიშნავს თავის ნაშრომში ,,ახლო აღმოსავლეთი. გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები" ცნობილი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი-ორიენტალისტი, გეოგრაფი და დიპლომატი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიკოსი რევაზ გაჩეჩილაძე.

რაც შეეხება კონკრეტულად ოსმალეთში მცხოვრებ სომხებს და მათი რელიგიური შემწყნარებლობის საკითხს. მეჰმედ II-ის მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, 1453 წლიდან, მან სრულად დაუმორჩილა მონარქიის ყველა მართლმადიდებელი როგორც აღმსარებლობის, ასევე სამოქალაქო ცხოვრების წესით პატრიარქს, ხოლო საბერძნეთსა და ანატოლიაში მცხოვრები სომხები მან საწმყსოდ სომხურ-გრიგორიანულ საეპისკოპოსოს გადასცა ბურსაში, რომლის მღვდელთმთავარიც სანეპისკოპოსის (არქიეპისკოპოსის - ა. ჩ.) რანგში იქნა აყვანილი და საცხოვრებლად სტამბოლში (კონსტანტინოპოლში - ა. ჩ.) იქნა გადაყვანილი. ფადიშაჰის (სულთნის - ა. ჩ.) ფირმანი უფლებას აძლევდა მას მინიჭებული დიდი უფლებებით ესარგებლა, მისი და მისი მრევლის მიერ არსებული კანონების პატივისცემის საპასუხოდ.

ოსმალთა მიერ სომხური რელიგიისადმი გამოჩენილი ლოიალობისა და პრივილეგიების მიუხედავად, სწორედ ეს ეპოქა შეიძლება ჩაითვალოს სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის ყველაზე მეტად დაცემის პერიოდად. მაგრამ ამას თავად სომეხი კათოლიკოსები უწყობდნენ ხელს - კონსტანტინოპოლის, სისის, ახტამარის და ეჩმიაძინის. ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილები, ისინი საკუთარი გავლენის სფეროების გაფართოებას ცდილობდნენ, თუნდაც მეზობელი საპატრიარქოების საზიანოდ".[302] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). ეს ციტატა რუს ავტორს, ჩვენთვის უკვე ცნობილ მ. ახოვს ეკუთვნის.

და ასე გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში. თავის მოხსენებაში ეჩმიაძინის სინოდის პროკურორი, ა. ფრენკელი, აღნიშნავდა: ,,XVIII საუკუნემდე, მანამ სანამ დაიწყებოდა რუსეთის წინსვლა მუსულმანური ახლო აღმოსავლეთისაკენ, თურქეთსა და სპარსეთს შორის დაყოფილი სომეხთა დიდი მასა არანაირ რეაგირებას არ ახდენდა მუსლიმთა ბატონობაზე, რადგან სომხების ცხოვრება სულაც არ იყო იმაზე უარესი, ვიდრე ეს სულთნისა და შაჰის სხვა ქვეშევრდომებს ჰქონდათ. სომხებმა სწრაფად შეაღწიეს თავიანთი დამპყრობლების მმართველ და ფინანსურ სფეროებში, რითაც ხელში ჩაიგდეს თითქმის მთელი სავაჭრო და საკრედიტო საქმე. მუსლიმმა მმართველებმა აღიარეს სომეხ კათოლიკოსთა სუვერენიტეტი საეკლესიო მმართველობაზე და სომხეთის ისტორიამ მრავალი პატრიარქი იცის, რომლებიც თავიანთი საწყმსოდან მნიშვნელოვან თანხებს იღებდნენ თურქი ჟანდარმებისა (турецких заптиев - ა. ჩ.) და სპარსი ლაქიების (персидских фаррашей - ა. ჩ.) დახმარებით".[303] XVIII

შემდგომშიც, ოსმალთა იმპერიის ფარგლებში თურქეთის აღმოსავლურ ვილაიეთებში მცხოვრებ სომხებს საბოლოოდ დაუმკვიდრდათ იმპერიის ყველაზე უფრო ,,ლოიალური ერის" სახელი და ეს პროცესი XIX საუკუნის 80-იან წლებამდე აღარც შეცვლილა. ამ პერიოდამდე ჩვენ ვერ აღმოვაჩენთ ვერც ერთ ოფიციალურ დოკუმენტს და ვერ მოვიყვანთ ერთ ისეთ ისტორიულ ფაქტსაც კი, სადაც ეთნიკური ან სხვა რაიმე ნიშნით სომეხთა ჩაგვრასა და შევიწროებაზე იყოს საუბარი უკვე ოსმალთა იმპერიაში. თვით სომეხი ავტორებიც კი აღნიშნავენ ამას, ან უკიდურეს შემთხვევაში,

---

301 რევაზ გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი. გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. ტომი I. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი. 2018. გვ. 199.

302 М. Ахов. Россія и армяне. С.-Петербургъ. 1897. გვ. 11.

303 Справка прокурора Эчмиадзинского синода А.Френкеля, представленная в 1907 г. Святейшему синоду. https://erevangala500.com/book/26.html

დუმილით უვლიან გვერდს სომეხთა კეთილდღეობაზე საუბარს ე.წ. ,,თურქეთის სომხეთში'', როგორც სელჩუკიანთა სამეფოს არსებობისას, ასევე ოსმალთა იმპერიაში.

მხოლოდ რელიგიური შემწყნარებლობითა და კულტურული სიკეთეებით არ სარგებლობდა იმპერიის სომეხი მოსახლეობა. უფრო დიდ წარმატებას ისინი ვაჭრობაში, კომერციულ და ფინანსურ საქმიანობაში აღწევდნენ. ამ ფაქტს სომეხი ავტორებიც ვერ მალავდნენ. ასე მაგალითად, XIX საუკუნის სომხური წარმომავლობის ამერიკელი მწერალი და ისტორიკოსი ქრისტოფერ ოსკანიანი 1857 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში ,,სულთანი და მისი ხალხი" (The Sultan and his People), წერს:

,,სომხური თემი ყოველდღიურ თურქულ ცხოვრებას უზრუნველყოფდა. მბრძანებლობას მიჩვეულმა თურქებმა მომსახურების და მრეწველობის სფეროები მათ დაუთმეს. შედეგად, ყველა ბანკი, ვაჭრობა და ხელოსნობა თურქეთში სომეხთა ხელში აღმოჩნდა. ძნელად თუ იპოვიდით ისეთ ჩინოვნიკს, რომელსაც სომხის ვალი არ ჰქონდა. ნელ-ნელა თურქები სომხებზე დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ".[304] საქმე იმაშია, რომ ისლამის დოგმები მუსლიმ მორწმუნეს უკრძალავდა მევახშეობას და, ფაქტობრივად, საბანკო საქმიანობას. არამუსლიმის მევახშეობაზე კი, სულთნის ხელისუფლება თვალს ხუჭავდა.

ოსმალეთის ბურჟუაზიაც თითქმის მთლიანად კომპრადორული[305] იყო, რომლის სიმდიდრესაც უცხოური საქონლის იმპორტი განაპირობებდა. ასე დაგროვილი სავაჭრო კაპიტალი არ გადაიზრდებოდა სამრეწველო კაპიტალში და არ ხმარდებოდა ადგილობრივი წარმოების განვითარებას. კომპრადორები ძირითადად არათურქები და არამუსლიმები იყვნენ. ასე მაგალითად, 1911 წლისათვის კონსტანტინოპოლში აღრიცხული ათასზე მეტი მსხვილი ვაჭრიდან მხოლოდ 70 იყო ეთნიკური თურქი, დანარჩენები კი - სომხები, ბერძნები ან ებრაელები იყვნენ.[306] თურქებსა და სომხებს შორის თუკი რაიმე წინააღმდეგობას მაინც ჰქონდა ადგილი, ეს არ იყო გამოწვეული სომეხთა დაჩაგრული მდგომარეობით ან მუსლიმთა რელიგიური ფანატიზმით, არამედ იმით, რომ სომხურ საქალაქო ბურჟუაზიულ კაპიტალს მტაცებლური ხასიათი ჰქონდა. უფრო მეტიც, დროის მსვლელობასთან ერთად, სომეხთა საერთო კეთილდღეობის დონე განუხრელად იზრდებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ისევ ენციკლოპედიურ ჭეშმარიტებას წარმოვადგენთ: ,,როდესაც 1876

---

304 Christopher Oscanyan. The Sultan and his People. New-York. 1857. Pg. 353-354.

305 კომპრადორი (პორტ. Comprador, ლათ. Comparare – მყიდველი, შემსყიდველი) – აღმოსავლეთის კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში მცხოვრები ადგილობრივი ვაჭარი და მეწარმე, რომელიც შუამდგომლის როლს ასრულებდა უცხოურ კაპიტალსა და ადგილობრივ ბაზარს შორის. კოლონიალიზმის ეპოქაში ნელ-ნელა ასე ჩამოყალიბდა ე.წ. კომპრადორული ბურჟუაზია. აღმოსავლეთ აზიაში მცხოვრები ევროპელები კომპრადორებს მათთან მომუშავე იმ ადგილობრივებს ეძახდნენ, რომლებთაც ბაზარში აგზავნიდნენ უცხოეთიდან შემოტანილი საქონლით ვაჭრობისათვის. მოგვიანებით, მათი ძირითადი დასაქმების სფერო შეიცვალა და ისინი უცხოურ ბანკებში მუშაობდნენ. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მსოფლიოში ნაციონალური მრეწველობების განვითარებასთან ერთად კომპრადორული ბურჟუაზიის როლი ეკონომიკაში მკვეთრად დაეცა, II მსოფლიო ომის შემდეგ კი, იგი სრულ პოლიტიკურ იზოლაციაში მოექცა. დღევანდელ დღეს ტერმინებს ,,კომპრადორი'' და ,,კომპრადორული ბურჟუაზია'' მკვეთრად უარყოფითი ელფერი გააჩნიათ და რეალურად ნიშნავს ,,ჩინოვნიკ-ბიუროკრატსა'' და ,,ოლიგარქ-ბიზნესმენს'', რომელიც თავის კაპიტალს საკუთარი ქვეყნის ბუნებრივი რესურსების საზღვარგარეთ გაყიდვით მოიპოვებს და უცხოური საქონლით ვაჭრობითაა დაკავებული. ასეთი გზით მოპოვებულ ფულს კომპრადორები, როგორც წესი, უცხოურ ბანკებში აბანდებენ. ისინი მოტივირებულნი არიან მხოლოდ საკუთარი კაპიტალის დაგროვებით, საკუთარი და არა ქვეყნის ინტერესების გატარებით. აქედან გამომდინარე, კომპრადორებს არ აინტერესებთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. XXI საუკუნეში კომპრადორების როლს არა ცალკეული კომპანიები და ბიზნესჯგუფები, არამედ უკვე სახელმწიფო თამაშობს.

306 რევაზ გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსაავლეთი. გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. ტომი I. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი. 2018. გვ. 201.

წელს სულთანი აბდულ-ჰამიდი[307] ავიდა ოსმალეთის ტახტზე, სომხების მდგომარეობა როგორც თურქეთში, ასევე რუსეთში გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე განვლილი საუკუნეების განმავლობაში".[308] ეს ციტატა კი, ენციკლოპედია "Britannica"-დანაა მოყვანილი.

ფაქტები და დოკუმენტები თავად მეტყველებენ სიმართლეზე. დასავლელი მკვლევარების მიერ ამოწეულ იქნა XX საუკუნის დასაწყისის ოსმალური რეესტრები, საიდანაც დგინდება, რომ ოსმალთა იმპერიაში 29 სომეხი ეროვნების პიროვნება ატარებდა იმპერიის უმაღლეს პოლიტიკურ ტიტულს - ფაშა. ასევე 22 სომეხი იყო იმპერიის მინისტრი, 33 - პარლამენტის წევრი, 7 - ელჩი, 11 - გენერალური კონსული. მინისტრთა შორის, სომეხი ეროვნების პირებს ხელთ ეპყრათ მინისტრთა ისეთი უმნიშვნელოვანესი პორტფელები, როგორიცაა საგარეო საქმეთა, ფინანსთა, აგრეთვე ვაჭრობის და ფოსტის. ასე მაგალითად, 1913 წლისათვის ოსმალთა იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა გაბრიელ ნორადუგიანს ეკავა. ისე გამოდის, რომ ოსმალთა იმპერიის მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკთა საშუალოდ 25-30% სომეხი ეროვნების პირი იყო. და ეს მაშინ, როცა იმპერიის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, 1914 წლისათვის სომეხი მოსახლეობის რაოდენობა იმპერიაში 1,294 მილიონ ადამიანს, ანუ იმპერიის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს შეადგენდა... საყოველთაო აღწერის მონაცემებით ამ დროისათვის ოსმალთა იმპერიის მთელი მოსახლეობა 20 მილიონ 975 ათას კაცს შეადგენდა.[309]

სომეხთა მსოფლიო პროპაგანდისა და ტოტალური დეზინფორმაციის გამოისობით, დღეს ერთი შეხედვით დაუჯერებლად გვეჩვენება, მაგრამ ფაქტია, რომ სომხები ოსმალთა იმპერიაში ერთადერთი პრივილეგირებული ხალხი იყო, რომლებიც სრული კულტურული ავტონომიის უფლებებით სარგებლობდნენ, რაც აღმოსავლური მონარქიების ისტორიაში ნამდვილად უპრეცენდენტო შემთხვევაა. ეროვნულ უმცირესობათა ავტონომიის მსგავსი ხარისხი დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროშიც კი იშვიათია. ეს საკითხი კიდევ ერთი დიდი თემაა და ამჯერად მას, ცხადია, სრულად ვერ განვიხილავთ. სომეხთა ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის დონე

---

307 აბდულ-ჰამიდ II (ოსმალ. ثانی الحمید عبد — Abd ül-Hamîd-i sânî, თურქ. İkinci Abdülhamit) (1842-1918წ.წ.) – ოსმალთა იმპერიის 34-ე სულთანი და 99-ე ხალიფა. აბსოლუტური ძალაუფლების მქონე ოსმალთა იმპერიის უკანასკნელი თვითმპყრობელი სულთანი. ოსმალთა იმპერიას მართავდა 1876-1909 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ ტახტზე ასვლისას განაცხადა ქვეყნის კონსტიტუციის მიღება და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, პანისლამიზმის იდეოლოგიაზე დაყრდნობით ცდილობდა დაემყარებინა ერთმმართველობის დესპოტური რეჟიმი და შეენარჩუნებინა სახელმწიფოს ტერიტორიული ერთიანობა. ამავე დროს მის მიზანს ისლამურ სამყაროში მისი, როგორც ხალიფას, ავტორიტეტის შენარჩუნება წარმოადგენდა. მიუხედავად აბსოლუტური ძალაუფლებისა და დიდი მცდელობებისა, სწორედ მისი მმართველობის პერიოდში დაკარგა ევროპულ ნაწილში ოსმალთა იმპერიამ მნიშვნელოვანი ტერიტორიები. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში დამარცხების შემდეგ ოსმალთა იმპერიისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვეს რუმინეთმა და სერბეთმა, ბულგარეთის პროვინციამ კი, თვითმმართველობა მოიპოვა. რუსეთს, სერბეთს და ჩერნოგორიას (მონტენეგრო) ნიშვნელოვანი ტერიტორიები გადაეცა. მიუხედავად გარკვეული რეფორმატორული საქმიანობისა და ქვეყანაში დაწყებული ინდუსტრიალიზაციის პროცესისა, მის მიერ გატარებულმა რეფორმებმა სასურველი შედეგები ვერ გამოიღეს. მისი ერთმმართველობის პერიოდში იმპერია ეკონომიკურად და ფინანსურად იმდენად დასუსტდა, რომ იგი მოწინავე ევროპულ სახელმწიფოებზე დამოკიდებულ, ნახევრადკოლონიურ ქვეყნად იქცა. მმართველობის დესპოტური სტილის გამო სულთან აბდულ-ჰამიდ II-მ ევროპაში „სისხლიანი" ან სხვანაირად, „წითელი სულთნის" ზედსახელი მიიღო. საბოლოოდ, 1908 წლის ახალგაზრდა თურქთა „უსისხლო რევოლუციის" გზით აბდულ-ჰამიდ II გადააყენეს და სალონიკში გადაასახლეს, იმპერიის ახალი სულთანი კი, მემკვიდრეობითი პრინცი, აბდულ-ჰამიდ II-ის ძმა, მეჰმედ რეშად ეფენდი გახდა, დასახელებით – მეჰმედ V. სალონიკში გადასახლებიდან 4 წლის შემდეგ, 1912 წელს, აბდულ-ჰამიდ II კონსტანტინოპოლში დააბრუნეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1918 წლის 10 თებერვალს.

308 Encyclopaedia "Britannica". A new Survey of Universal knowledge. Vol. 2. Chicago, London. Toronto. გვ. 379.

309 „Геноцид армян» Правда ли? / 24 апреля 1915 года. Факты, домыслы и правда. https://erevangala500.com/page/85.html

კი, განუხრელად იზრდებოდა. ,,აღმოსავლეთის ვილაიეთებში ვაჭრების (58%), ექიმებისა და ფარმაცევტების (60%) ნახევარზე უფრო მეტს და მომპოვებელ მრეწველობაში დაკავებული პირების სამ მეოთხედს (75%) სომხები შეადგენდნენ. ამ დარგებში თურქების მხოლოდ ერთი მესამედი იყო დასაქმებული".[310] წარმოდგენილი სტატისტიკური მასალა სომეხი ავტორის, კ. მესროპის მონაცემებს ეყრდნობა, რომელიც მის მიერ 1919 წელს გამოცემული წიგნიდანაა ამოღებული. როგორც ვხედავთ, აქ უკვე თვით სომეხი ავტორებიც ვერ უვლიან გვერდს და აღიარებენ სომეხთა ყოფის პრივილეგირებულ მდგომარეობას ოსმალთა იმპერიის ვილაიეთებში.

დღეისათვის სომეხი და ზოგიერთი დასავლელი ისტორიკოსი ცდილობს იმაში დაარწმუნოს მსოფლიო, რომ ოსმალთა იმპერიის არსებობის პერიოდში სომხებს ყოველმხრივ დევნიდნენ, ავიწროებდნენ, ძრცვავდნენ და კლავდნენ. მაგრამ ამავე დროს, იგივე ,,ისტორიკოსები" გვერდს უვლიან იმ ფაქტებს, რომ სწორედ იმ დროს, როცა მათი აზრით, სომხებს დევნიდნენ, ავიწროებდნენ, ძარცვავდნენ და კლავდნენ, იგივე სომხებს ოსმალთა იმპერიაში ძალიან მაღალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი თანამდებობები ეკავათ. და რა გამოდის? ამ ისტორიკოსთა ლოგიკას თუ გავყვებით, გამოდის, რომ საკვანძო თანამდებობებზე მყოფი სწორედ ეს მაღალჩინოსანი სომხები მონაწილეობდნენ თავიანთი თანამემამულეების შევიწროებისა და უფრო მეტიც, გაჟლეტვის საქმეში.[311] როგორც ვხედავთ, ზოგიერთი სომეხი და პროსომეხი ავტორის გაუაზრებელ ნარატივს სომეხთა დევნა-შევიწროებისა და ხოცვა-ჟლეტის შესახებ, და ამ ნარატივის ლოგიკას, ერთობ აბსურდულ შედეგებამდე მივყავართ.

ვაჭრობისადმი თავიანთი ბუნებრივი მიდრეკილების წყალობით, სომხები მალე იქცნენ იმპერიის ერთ-ერთ უმდიდრეს ხალხად. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში სომხები ოსმალთა იმპერიაში მთავარი ფინანსური ინსტიტუტებისა და თვით ,,ბრწყინვალე პორტას"[312] მინისტრთა მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობებსაც კი ფლობდნენ. უკანასკნელ ათწლეულში კი, ოსმალეთში მოღვაწეობდა 29 გენერალი (ფაშა), 11 უნივერსიტეტის ლექტორი, 41 მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკი.[313]

რაც შეეხება რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ სომეხთა სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას. ეს საკითხი ჩვენ ზემოთაც გვქონდა განხილული და უკვე კარგადაა ცნობილი ის საერთო ეროვნული კეთილდღეობის სურათი, რასაც XIX საუკუნის 80-იან წლებამდე განიცდიდა ეს პრივილეგირებული

---

[310] Firuz Kazemzadeh. The struggle for Transcaucasia (1917-1921). Philosophical Library. New York. 1951. გვ. 8. K. Mesrob. L'Armenie au point de vue geograpique, historique, ethnograpique, statistique, et culturel. Constantinople, 1919. გვ. 85.

[311] ,,Геноцид армян» Правда ли? / 24 апреля 1915 года. Факты, домыслы и правда. https://erevangala500.com/page/85.html

[312] ბრწყინვალე პორტა – სხვანაირად მაღალი პორტა, დიდებული პორტა – დიპლომატიის ისტორიასა და საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებული ტერმინი, რომელიც ოსმალეთის იმპერიის მთავრობას, ანუ, დიდი ვეზირისა და დივნის კანცელარიას აღნიშნავდა. ტერმინი მომდინარეობს კარის ან ჭიშკრის ფრანგული (Porte), ასევე იტალიური (Porta) სახელწოდებიდან, რაც ოსმალური ,,მაღალი კარის" ან ,,მაღალი ჭიშკრის" (ოსმალ. باب عالی — Bâb-ı Âli) კალკს წარმოადგენდა. სტამბოლის (კონსტანტინოპოლის) ცენტრში მდებარე ერთ-ერთ ჭიშკარს, ე.წ. მაღალ პორტას ამშვენებს სულთნის თუღრა. ჭიშკარი სულთნის სასახლე თოფქაფისთან გამავალი ქუჩის გადაღმა მდებარეობს და მას დიდი ვეზირის რეზიდენციასთან მიყავართ. ამ დიპლომატიურმა ტერმინმა საერთაშორისო წრეებში XV საუკუნიდან მოიკიდა ფეხი. თურქი მოხელეების ენაზე ,,მაღალი პორტა" სულთნის რეზიდენციასა და მთავრობის ადგილსამყოფელს, აგრეთვე თავად თურქულ მონარქიასაც ნიშნავდა. ეს სახელწოდება – ,,მაღალი პორტა" (ბრწყინვალე პორტა, დიდებული პორტა) ევროპელ დიპლომატებს შორისაც გავრცელდა.

[313] Амрали Исмаилов. Идеология, философия и преступления армянства и армянского фашизма. Второе исправленное и дополненное издание. – Баку: Фонд «Знание», 2018. Стр. 228. http://anl.az/el_ru/2019/11/cd/Ap2018-270.pdf

ხალხი. ყოველივე ამას კი, იმპერიაში მცხოვრები სომხების და ზოგადად ქრისტიანი ხალხების განათლების მაღალი დონე განაპირობებდა. შოტლანდიელი მეცნიერი და ისტორიკოსი, ბილკენტის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ევროპის ისტორიის დეპარტამენტის პროფესორი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი და 1979-1990 წლებში გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის, მარგარეტ ტეტჩერის მრჩეველი, ნორმან სთოუნი (Norman Stone), აღნიშნავდა, რომ ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიანთა განათლების დონე გაცილებით უფრო მაღალი იყო მუსლიმებთან შედარებით, რაც ამ უკანასკნელთა რიგებში დიდ უკმყოფილებას იწვევდა. ასე მაგალითად, 1861 წლისათვის ოსმალთა იმპერიაში ქრისტიანი მოსახლეობისათვის 571 დაწყებითი და 94 საშუალო სკოლა მოქმედებდა, სადაც 140 000 ბავშვი სწავლობდა. ამ სკოლათა რიცხვი გაცილებით მეტი იყო მუსულმანურ სკოლებთან შედარებით. ქრისტიანთა რიგებში განათლების უფრო მაღალი დონე კი, თავის მხრივ, საშუალებას აძლევდა მათ დიდი როლი ეთამაშათ ეკონომიკაში.[314]

მდიდარმა კონსტანტინოპოლელმა სომხებმა მალე დაიწყეს თავიანთი შვილებისა და სომეხი ახალგაზრდობის ევროპაში გაგზავნა შემდგომი განათლების მიღების მიზნით, და აი, სწორედ აქ მოხდა მათი პირველადი შეხვედრა ევროპულ კულტურასა და იმ ახლად ჩასახულ იდეოლოგიასთან, რასაც მარქსიზმი და რევოლუციური მოძრაობა ერქვა. რევოლუცია, სოციალიზმი, თანასწორობა, ახალი დემოკრატიის, რეალური მოსახლეობის დემოკრატიული პრინციპების აღიარება და ერთა პოლიტიკური თვითგამორკვევის მოდური იდეები მისაღები და სასურველი აღმოჩნდა მათი ცნობიერებისათვის. ამ ახალმა იდეოლოგიამ უდიდესი პოპულარობა სწორედ ოსმალთა იმპერიის სომხურ საზოგადოებაში მოიპოვა, რამაც მისი გარკვეული ნაწილის აქტიური ჩაბმა გამოიწვია მარქსისტულ და რევოლუციურ მოძრაობაში. სომეხთა რევოლუციური აღმავლობის შესახებ ეჩმიაძინის სინოდის პროკურორი, ალექსანდრ ფრენკელი, თავის მოხსენებაში წერდა: ,,სოციალიზმის პროპაგანდა ნაყოფიერი გამოდგა სომეხთა ურბანულ მოსახლეობაში, რადგან ქალაქის მკვიდრ სომეხს გააჩნია არა სამშობლო, რომლითაც იგი იამაყებდა, არამედ იმის მწარე გაცნობიერება, რომ მისი ხალხი უკვე 1300 წელია რაც მონა და ყველასათვის საძულველი პარაზიტია. ასეთი ისტორიული მემკვიდრეობითა და ეროვნული ტვირთით, ძალიან მარტივია ინტერნაციონალზე - ყველა ქვეყნის პროლეტართა გაერთიანების ქადაგებაზე გადასვლა. ასე მოიძებნა სომეხი რევოლუციონერების გაერთიანების მიზეზი“.[315]

სწორედ 80-იანი წლებიდან იწყება სომეხთა პოლიტიკური აქტივობის ზრდის პროცესი, როგორც ოსმალთა იმპერიაში, ასევე რუსეთში. იგივე ფრენკელი აღნიშნავდა: ,,სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ იმის შესახებ, რომ ჩვენი მთავრობა გასული საუკუნის 30-იანიდან 80-იან წლებამდე პერიოდში, სულ მცირე, უგულებელყოფდა (და შესაძლოა სარგებელსაც კი პოულობდა ამაში) იმ მჭიდრო კავშირს, რაც არსებობდა რუსეთისა და თურქეთის სომხურ ორგანიზაციებს შორის.

იარაღი, საბრძოლო მასალები და ფართომასშტაბიანი დახმარებები ფულით, აგრეთვე სომეხი მოხალისეები თავისუფლად იგზავნებოდა რუსეთიდან თურქეთში. პოლიტიკურად ლტოლვილი სომხები საიმედო თავშესაფარს პოულობდნენ ჩვენს სასაზღვრო ოლქებში და ამჟამად ამ ლტოლვილთა რიცხვმა კავკასიაში უკვე 50000-ს გადააჭარბა. ამ დაუპატიჟებელ სტუმართა ნახევარზე მეტი ლეგიტიმაციას არის მოკლებული. აღმოსავლეთ კავკასიაში დამნაშავეთა უმეტესობას თურქი სომხები წარმოადგენენ. რუსული და თურქული სომხური ორგანიზაციების

---

314 Stone, Norman «Turkey in the Russian Mirror» pages 86-100 from Russia War, Peace and Diplomacy edited by Mark & Ljubica Erickson, Weidenfeld & Nicolson: London, 2004, page 95.

315 Справка прокурора Эчмиадзинского синода А.Френкеля, представленная в 1907 г. Святейшему синоду. https://erevangala500.com/book/26.html

მიმართ სოლიდარობის უქონლობამ სხვა საშიში შედეგებიც მოიტანა. 70 წლის განმავლობაში სომეხი ახალგაზრდობის 3-4 თაობა მთავრობის (თუნდაც თურქულის) საწინააღმდეგო იდეოლოგიით იზრდებოდა. მთავრობისათვის (თუნდაც თურქულის) წინააღმდეგობის გაწევის იდეებმა მათში პოლიტიკური აღქმა გამოიწვია და ისინი მიეჩვივნენ მთავრობასთან ბრძოლის კანონიერების იდეას. კავკასიაში სომხური სკოლების დახურვის შემდეგ, სომეხი ახალგაზრდების მასა შვეიცარიასა და გერმანიაში წავიდა, საიდანაც ძირითადში მზა სოციალისტებად დაბრუნდნენ".[316]

ახლო აღმოსავლეთში ეთნიკური ნაციონალიზმის დამკვიდრება უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან შეინიშნებოდა, ხოლო ოსმალეთის შემადგენლობაში მყოფ ბალკანეთის ქვეყნებში ეს იდეები უფრო ადრე გავრცელდა. და ეს არცაა გასაკვირი. ამ პროცესის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის იყო ევროპელი და ამერიკელი ქრისტიანი მისიონერების მიერ დაფინანსებული სკოლების გახსნა კონსტანტინოპოლში, კაიროში, ბეირუთში. რეგიონის მუსლიმურ მოსახლეობაზე ადრე ნაციონალურ იდეას ეთნორელიგიური უმცირესობები - ბერძნები, სომხები და არაბი ქრისტიანები ეზიარნენ, რომელთაც მისიონერულ სკოლებში სწავლის დიდი მოტივაცია ჰქონდათ, ზოგიერთი მათგანი კი, ევროპაში განათლებამიღებულიც იყო.

1860-1870-იან წლებში სომხური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ელიტა დიდ ყურადღებას აქცევდა სამ იმპერიაში განსახლებული სომეხი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკითხებს. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ ბერლინის კონგრესზე მიღებული გადაწყვეტილებები, ოსმალთა იმპერიაში სომეხი ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ, მათ დიდ იმედებს უსახავდა. მაგრამ დარწმუნდნენ რა იმაში, რომ ბერლინის კონგრესის 61-ე სტატიის პირობები არ სრულდებოდა, მათ ნელ-ნელა საიდუმლო საზოგადოებებისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბება დაიწყეს, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გავრცელებას შეუდგნენ.[317] XIX საუკუნის ბოლოსათვის, რეგიონში თითქმის ერთდროულად გაჩნდა თურქული, არაბული, ირანული, სომხური და ებრაული ეთნოტერიტორიული ნაციონალიზმი, რაც ადამიანთა გამაერთიანებელი თვითსახელის მქონე ჯგუფის მიერ გარკვეული ტერიტორიების ფლობაზე პრეტენზიის გამოცხადებას ნიშნავდა.[318]

ოსმალთა იმპერიაში მცხოვრებ ერებს შორის ეთნოტერიტორიული ნაციონალიზმისა და რევოლუციური მარქსიზმის იდეები განსაკუთრებით მძლავრად სომეხმა ხალხმა აიტაცა. ისიც ბუნებრივია, რომ მარქსიზმმა ყველაზე ნოყიერი ნიადაგი ეთნიკური შემადგენლობით ყველაზე ჭრელ და ეკონომიკურად ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებში, ცარისტულ რუსეთში და ოსმალთა იმპერიის გარკვეულ ვილაიეთებში ჰპოვა. ამ იდეოლოგიის ერთ-ერთმა ძირითადმა დებულებამ - ,,რეალური მოსახლეობისა და ერთა თვითგამორკვევის დემოკრატიულმა პრინციპმა" კი, განსაკუთრებული პოპულარობა ორივე იმპერიის სწორედ სომხურ საზოგადოებაში მოიპოვა. ბუნებრივია, რომ სახელმწიფოებრიობადაკარგულმა ერმა გარკვეული ფაქტორების ზემოქმედებით, რასაც ოდნავ ქვემოთ წარმოვადგენთ, თავისი პოლიტიკური აქტივობის აქცენტი რევოლუციასა და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენაზე გააკეთა, რაც საბოლოო ჯამში, ახალი სომხური სახელმწიფოს შექმნაში უნდა გამოხატულიყო.

---

316 Справка прокурора Эчмиадзинского синода А.Френкеля, представленная в 1907 г. Святейшему синоду. https://erevangala500.com/book/26.html

317 Э. В. Осерская. Роль армянских политических партий в эволюции национально-освободительного движения армян в Османской империи (1878 г. — начало XX в.) ((рус.)) // Историческая и социально-образовательная мысль. — 2011. — № 5. — С. 30-32. Архивировано 19 сентября 2016г. https://www.hist-edu.ru/hist/article/view/93

318 რევაზ გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი. გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. ტომი I. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი. 2018. გვ. 137-138.

საწყის ეტაპზე სომეხთა რევოლუციური მოძრაობა მხოლოდ და მხოლოდ შეზღუდული პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნას ითვალისწინებდა ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში. სომხებს ამ ბრძოლაში თავისი მდიდარი საზღვარგარეთელი თანამემამულეებისა და ევროპის შესაბამისი წრეების დიდი მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ კი, სომხებმა შექმნილი ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაციიდან თავისთვის სარგებლის მიღების დიდი შანსი დაინახეს. ამ მიმართებით რუსეთის, და განსაკუთრებით ევროპული ფაქტორის როლია აღსანიშნავი. თავის სტატიაში ,,ისტორიის ლოგიკა და სომხები", საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მწერალი და პუბლიცისტი, სევერიან ურუშაძე აანალიზებს რა, ფრანგი ავტორის, ჟორჟ გოლისის მიერ ,,სომხური საკითხის", ანუ როგორც თვითონ უწოდებს მას, ,,სომხური პრობლემის" წარმოქმნის მექანიზმს, წერს:

,,XIX საუკუნის შუა წლებამდე თურქეთის სომხური მოსახლეობა ძირითადში მიწათმოქმედებას მისდევდა. და მხოლოდ მეორე ნახევარში ევროპული, და პირველ რიგში, ინგლისური კაპიტალის შემოსვლის შემდეგ, იგი სავაჭრო-სამრეწველო განვითარების გზას დაადგა, რაც თავის მხრივ უფრო მაღალი ხარისხის პოლიტიკური უფლებების ქონას მოითხოვდა. მაგრამ ამაზე საქმე არ გათავებულა. გამდიდრებული სომხების მიერ გაკეთებული შემოწირულობებისა და სასულიერო პირების ეროვნულ-ორგანიზაციული როლის გამოისობით, პოლიტიკური თვითგამორკვევის სურვილმა გაიღვიძა მათში.

აი, ზუსტად ამ სწრაფვამ საუკუნის ბოლოს ახალი ბიძგი შეიძინა. სომხები ძალიან ეგზალტირებულნი იყვნენ ბულგარეთის შექმნის ფაქტით, რომელიც ეგრეთ წოდებული ბალკანელი სლავების განმათავისუფლებელი ომის შედეგად იქნა მიღწეული, რასაც მხარს რუსეთი უჭერდა. მათ სჯეროდათ, რომ ძალიან მალე დიდი სახელმწიფოები მათი ბედითაც დაინტერესდებოდნენ, იმდენად, რამდენადაც 1878 წლის ბერლინის შეთანხმებით, თურქეთში არსებულ მდგომარეობაზე კონტროლი ევროპის მთავარ ქვეყნებს და მათ შორის რუსეთს უნდა გაეწიათ. ამ საქმეში ქრისტიანების დაცვის კონფესიური პრინციპი, როგორც უანგარო პრინციპი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში იდგა. ამ მომენტიდან დაწყებული, სომხური საკითხი დიდი ევროპული პოლიტიკის ნაწილი ხდება, სადაც გავლენებისათვის ბრძოლა დაიწყო, ძირითადში ინგლისსა და რუსეთს შორის. სომეხთა ნაციონალური მოძრაობაც უფრო ორგანიზებულ ხასიათს იღებს არა მარტო ოსმალთა იმპერიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც...

ამასთან ერთად, რამსეის პოლიტიკა, რომელიც ძალიან დამაიმედებელი იყო სომეხთათვის რუსეთ-თურქეთის ომის დროს, რომელმაც ბიძგი მისცა მათ მღელვარებებს, მკვეთრად შეიცვალა. შეიძლება ითქვას, რომ ახალი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, რუსეთმა სომხები მიატოვა. და სომხებმაც მთელი თავისი იმედები ინგლისელებზე დაამყარეს, წარმოაჩინეს რა საკუთარი თავი თურქეთში ინგლისური პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გამტარებლებად.[319]

საერთო ჯამში, ამ მომენტისათვის სომხურ საზოგადოებაში ოთხი ძირითადი პოლიტიკური მიმართულება გამოიკვეთა. ეს ჯგუფები არაორგანიზებულები იყვნენ, მაგრამ მათში წამყვან ადგილს მაინც რუსოფილები ფლობდნენ. მეორე ჯგუფს წარმოადგენდნენ ანგლოფილები, რომლებიც ამავე დროს ანტირუსები იყვნენ. შემდეგ ჯგუფს კათოლიკები წარმოადგენდნენ, სადაც ასევე ანტირუსული განწყობები მძლავრობდა, თურქეთის სომეხთა დამცველებად კი, მათ იტალიელები და ფრანგები მიაჩნდათ. მეოთხე ჯგუფს თურქოფილები შეადგენდნენ, რომელთა რიცხვიც მნიშვნელოვნად შემცირდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსების გამარჯვების შემდეგ. ეს განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციები სომხურ საზოგადოებაში ერთმანეთის

---

[319] Севериан Урушадзе. Логика истории и армяне. Кавказ. (Le Caucase). Орган независимой национальной мысли. Париж. Октябрь 1937. №10/46. Стр. 16-17.

გვერდიგვერდ არსებობდნენ, ზოგიერთი მათგანი კი, თავისი ნაციონალური ინტერესების დაცვისა და სომხური საკითხის გადაჭრის მიზნით, გაერთიანდა კიდეც.[320] სწორედ ევროპული ფაქტორის მნიშვნელობასა და სომეხთა რევოლუციური მოძრაობის ზრდაზე ზეგავლენას აღნიშნავდა ცნობილი დაშნაკი იდეოლოგი და ისტორიკოსი მიქაელ ვარანდიანი[321] 1932 წელს პარიზში გამოცემულ თავის წიგნში "History of the A. R. Federation" („სომეხთა რევოლუციური ფედერაციის ისტორია"): „დასაწყისიდანვე სომხური მოძრაობის მიზანს ოსმალთა ტირანიის წინააღმდეგ მიმართული ისეთი საყოველთაო ბრძოლის ორგანიზება და ქვეყანაში მუდმივი რევოლუციური მდგომარეობის შექმნა შეადგენდა, ***რომელიც მესამე ფაქტორის - ევროპული ფაქტორის ჩარევას გამოიწვევდა"***.[322] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

დიახ, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსმალთა იმპერია ევროპის მოწინავე ქვეყნების პირველი რიგის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების სფეროში აღმოჩნდა მოქცეული - ერთის მხრივ, როგორც აზიის კარიბჭე და გასაღების მდიდარი ბაზარი და მეორეს მხრივ, როგორც რუსეთის იმპერიის სამხრეთისაკენ საუკუნოვანი ექსპანსიური ზრახვების წინააღმდეგ მოაზრებული მძლავრი ბუფერი. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ მიძინებული ბუფერის გააქტიურებისათვის ახალი იდეა და ახალი რუსულ-თურქული დაპირისპირების ესკალაცია იყო საჭირო. XIX საუკუნის ბოლოსათვის ეპოქის შესაბამის ყველაზე ხელსაყრელ, ყველაზე სენსიტიურ იდეას კი, მოსახლეობაში რევოლუციური სულისკვეთების გაღვივება და მათ ნაციონალურ გრძნობებზე თამაში წარმოადგენდა...

და ამუშავდა დიდი სახელმწიფოების დიდი დიპლომატიური მანქანა ანატოლიასა და ამიერკავკასიაში... და სომხებიც, როგორც დაპირისპირების ყველაზე ხელსაყრელი ინსტრუმენტი, თავისდაუნებურად აღმოჩნდნენ ჩართულნი დიდი იმპერიების დიდ პოლიტიკურ თამაშებში.

---

320 Louise Nalbandian. The Armenian Revolutionary Movement. The Development of Armenian Political Parties through the Nineteenth Century. University of California Press. Berkeley, Los Angeles, London. 1963. Third Printing, 1975. Pg. 64. https://archive.org/stream/bub_gb__dIsS3aidr0C/bub_ gb __ dIsS3 aidr0C_djvu.txt.

321 მიქაელ არტემის ძე ვარანდიანი (ოგანესიანი) (სომხ. Մայքլ Արտեմիս Վարանդիանի (Օգանեսյանի)) (1870-1934წ.წ.) – სომეხი ეროვნების პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი და ჟურნალისტი. პარტია „დაშნაკცუტიუნის" ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი, სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა ყარაბაღში, ვარანდის პროვინციაში. სწორედ აქედან აიღო მან მოგვიანებით ფსევდონიმი „ვარანდიანი". სწავლობდა შუშის რეალურ სასწავლებელში, შემდეგ – თბილისის სამასწავლებლო სასწავლებელში. ამავე პერიოდიდან იწყებს პუბლიცისტურ საქმიანობას. თავისი თბილისელი ნათესავების დახმარებით სწავლას აგრძელებს ჟენევის უნივერსიტეტში. ამავე დროს ისმენდა ლექციებს ბერლინისა და პარიზის უნივერსიტეტებში. ამ მომენტიდან დაწყებული, ეცნობა მარქსიზმისა და სოციალიზმის იდეოლოგიას და ხდება მისი ერთ-ერთი თავდადებული აპოლოგეტი. 1887 წელს, იმყოფებოდა რა ჟენევაში, იყო სომეხთა რევოლუციური პარტია „ჰუნჩაკის" ერთ-ერთი დამაარსებელი. 1890 წლიდან კი, თბილისში, პარტია „დაშნაკცუტიუნის" შექმნის მომენტიდან, მჭიდრო კავშირები დაამყარა პარტიის მმართველ რგოლთან. 1904 წელს მონაწილეობას იღებდა დაშნაკთა პარტიის მსოფლიო მე-4 კონგრესის მუშაობაში. არჩეულ იქნა პარტია „დაშნაკცუტიუნის" დასავლეთის ბიუროს წევრად. მისი უშუალო ძალისხმევით პარტია II ინტერნაციონალის წევრი ხდება. I მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად იგი ჟენევიდან თბილისში ჩამოდის. პარტია „დაშნაკცუტიუნის" დასავლეთის ბიუროს სახელით იგი მოთხოვნებს უგზავნის რუსეთის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ელჩებს მსხვილი სომხური სამხედრო ნაწილების შექმნის შესახებ. მისი ინიციატივით იგეგმებოდა შექმნილი სომხური რაზმების ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართვა ქილიკიაში. ფრანგებმა დაშნაკელების ეს შეთავაზება უარყვეს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ აქტიურად ებმება ამიერკავკსიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. 1917 წლის ნოემბერში არჩეულ იქნა ამიერკავკასიის დამფუძნებელი კრების წევრად. სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918-1920 წლებში, იყო სომხეთის არარატის რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 1920 წლის ბოლოს დაინიშნა სომხეთის ელჩად იტალიაში. სომხეთის რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1920 წლის დეკემბრიდან, მიდის ემიგრაციაში. გარდაიცვალა 1934 წელს.

322 Mikael Varandian. History of the A. R. Federation. Paris. 1932. გვ. 3.

ეროვნული განსაკუთრებულობისა და აბსოლუტიზმის შეგრძნებიდან გამომდინარე, XIX საუკუნის ბოლოსათვის ორივე იმპერიაში მცხოვრები სომხური საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა უკვე არასაკმარისი აღმოჩნდა. მათ სრული სოციალური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის, სულ მალე კი, რეგიონალური დომინანტობის პრეტენზიებიც გაუჩნდათ.

სომეხთა ამ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მეტამორფოზას ზუსტად აანალიზებდა ყარიბი - პეტრე გელეიშვილი, რომელიც ევროპული ფაქტორის მნიშვნელობას უსვამდა ხაზს: ,,80-იანი წლების ბოლოდან ევროპულმა დიპლომატიამ მოხერხებულად ისარგებლა სომხების ბუნებრივი უკმაყოფილებით თურქთა იმპერიაში. იგი ამ უკმაყოფილების ხელოვნურად გაღრმავებას შეეცადა, რითაც ხელი შეეშლებოდა რუსეთსა და თურქეთს შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას და რუსეთის სწრაფვას სრუტეებისაკენ. ეს კი აუცილებლად დაარღვევდა ახლო აღმოსავლეთში არსებულ პოლიტიკურ წონასწორობას. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ევროპული დიპლომატია ძალას არ იშურებდა, რომ ამა თუ იმ გზით რუსეთი თურქეთის წინააღმდეგ ახალ ომში ჩაეთრია და ამავე დროს, შინაგანი წინააღმდეგობებით დაესუსტებინა თურქეთი...

თავისი მიზნების მისაღწევად დასავლეთევროპული ქვეყნების გარკვეულმა პოლიტიკურმა წრეებმა და მოღვაწეებმა მოხერხებულად ჩააგონეს სომხებს აზრი მათი გაუსაძლის პირობებში ყოფნისა და ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის შესახებ ევროპის დახმარებით".[323] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

ეს კი, კონსტანტინოპოლში საფრანგეთის კონსულის, პიერ პოლ კამბონის (Pierre Paul Cambon) მოხსენებითი ბარათის ამონაწერია, სადაც იგი სომხური საკითხის შესახებ საუბრობს 1894 წელს: ,,ლონდონში სომხებს საუკეთესო მიღება გაუმართეს. გლადსტონის[324] კაბინეტმა ერთად მოუყარა მათ თავი და მხარდაჭერას შეპირდა. ამ მომენტიდან დაწყებული პროპაგანდის კომიტეტი ლონდონში დამკვიდრდა და აქტიური მუშაობა გააჩაღა. მის მთავარ ამოცანას სომეხთა მასებში ორი მარტივი იდეის დამკვიდრება წარმოადგენდა: ,,ნაციონალობის და თავისუფლების იდეა". ამ იდეების ფრთაშესხმა კომიტეტებმა ითავეს... ამგვარად, სულ რამდენიმე წელიწადში საიდუმლო საზოგადოებებმა მთელ სომხეთში დაიწყეს გავრცელება: პროპაგანდა ეწეოდა თურქული ადმინისტრაციის მანკიერებისა და სიბოროტის წარმოჩენას, ხოლო სომეხ ხალხში ნაციონალობისა და დამოუკიდებლობის იდეების გაღვივება მიმდინარეობდა".[325] ,,სომხური რეფორმების გატარებას ისინი მანიფესტაციებისა და ანტისულთანური შეიარაღებული გამოსვლების გზით ცდილობდნენ, რისთვისაც ევროპას უნდა დაეჭირა მხარი'',[326] - შენიშნავს მეორე ავტორი, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე, გენერალ-მაიორი მიხაილ გუტორი, ორიენტალისტი და თურქოლოგი. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი უილიამ ლანგერი (William Langer) კი, აღნიშნავს: ,,ევროპელები ეთანხმებოდნენ იმას, რომ სომეხი აგიტატორების მიზანს (თურქეთში - ა. ჩ.) შინაგანი არეულობებისა და არაადამიანური რეპრესიების მოწყობა შეადგენდა. ამავე დროს, სომხები დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ამ გზით დიდ სახელმწიფოთა ინტერვენციის პროვოცირებას მოახდენდნენ. ამ მიზნის მისაღწევად ცხადია, რომ ისინი განსაკუთრებული სისასტიკით უმეტესად

---

323 Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 25.

324 უილიამ იუარტ გლადსტონი (ინგლ. William Ewart Gladstone) (1809-1898წ.წ.) – შოტლანდიური წარმოშობის ინგლისელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი და ლიტერატორი. დიდი ბრიტანეთის მთავრობის წევრი და დიდი ბრიტანეთის 41-ე (1868 წლის დეკემბერი – 1874 წლის თებერვალი), 43-ე (1880 წლის აპრილი – 1885 წლის ივნისი), 45-ე (1886 წლის თებერვალი – აგვისტო) და 47-ე (1892 წლის აგვისტო – 1894 წლის თებერვალი) პრემიერ მინისტრი.

325 Маевский Владимир Феофилович. Записки Генерального Консула России В Эрзеруме И Ване Генерала Маевского. Типография Штаба Кавказского Военного Округа. г. Тифлис. 1912. http://www.kurdist.ru/ index.php?option=com_content&task =view&id=130&Itemid=1

326 Гутор. М. Д. Новейшая история Турции и Персии. XVIII, XIX и XX столетия. Тифлис. 1913. გვ. 48.

თურქეთის იმ რაიონებში მოქმედებდნენ, სადაც სომხური მოსახლეობა უიმედოდ მცირე იყო. ერთ-ერთი რევოლუციონერი უამბობდა დოქტორ ჰამელინს, რომ ჰუნჩაკთა[327] ბანდებმა თავისი დანიშნულება თურქებისა და ქურთების მკვლელობებში ნახეს, ცეცხლს მისცეს მათი სოფლები, შემდეგ კი მთებში გაქცევით უშველეს თავს. შურისძიებით აღვსილი მუსლიმები საპასუხოდ თავს დაეცნენ დაუცველ სომხებს და ისეთივე ბარბაროსული მეთოდებით გაუსწორდნენ მათ. სომხები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთი შემოვიდოდა (ოსმალეთის იმპერიაში - ა. ჩ.) ჰუმანიზმისა და ქრისტიანული ცივილიზაციის დაცვის საბაბით და შესაბამის ზომებსაც გაატარებდა".[328]

საქმე იმაშია, რომ ანატოლიელი სომხები თავიანთი მომავალ ,,დიადი არმენიაში" იმ მიწების ჩართვას გულისხმობდნენ, რომლებიც ქურთებით იყო დასახლებული. სომხები ქურთებს ,,უცხომიწელებს" ეძახდნენ და მათ ნახევრად ველურ ხალხად თვლიდნენ. ქურთები, რომლებიც შეშფოთებულები იყვნენ სომეხთა რევოლუციური ლოზუნგებით, ეჭვობდნენ, რომ მათ საბოლოო მიზანს არა ავტონომია, არამედ ანატოლიის, სპარსეთისა და ამიერკავკასიის ტერიტორიებზე დამოუკიდებელი სომხური სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა. ეს კი, არანაირად არ იყო მათთვის მისაღები. სომხურ-ქურთულ დაპირისპირებას რელიგიური ფაქტორიც ამძაფრებდა, რის წახალისებასაც ოსმალური ოფიციალური წრეებიც უწყობდნენ ხელს.

თავის ნაშრომში ,,История транснационального армянского терроризма в XX столетии. Историко-криминологическое исследование" (,,XX საუკუნის ტრანსნაციონალური სომხური ტერორიზმის ისტორია. ისტორიულ-კრიმინოლოგიური გამოკვლევა"), ოლეგ კუზნეცოვი - რუსი ისტორიკოსი-კავკასიოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, აღნიშნავს:

,,ქურთები და ჩერქეზები, რომლებიც იმ დროისათვის ნახევრად მომთაბარე ცხოვრების წესს მისდევდნენ, ძარცვის მიზნით თავს ესხმოდნენ სომხურ დასახლებებს და მათ სამეურნეო ინფრასტრუქტურას. თუმცა, თურქულ ისტორიოგრაფიაში არსებობს ჩვენის აზრით საკამათო მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს თავდასხმები მუსლიმთა საპასუხო რეაქციას წარმოადგენდა სომხური სამოციქულო ეკლესიის პროზელიტიზმზე. ეს ქმედებები იმ საპასუხო ნაბიჯს წარმოადგენდა, რასაც ისინი მიმართავდნენ ისლამისგან განდგომილი სომეხი-გრიგორიანელებისაგან. სომეხი ეთნოგრაფები თვლიან, რომ სასუნის მთიანი რეგიონის სომხები ეთნიკური ქურთების შთამომავლები არიან, რომლებიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში სომხური სამოციქულო ეკლესიის ადეპტები გახდნენ.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მძიმე შედეგებიდან გამომდინარე, ოფიციალურ ოსმალურ ხელისუფლებას იმის რესურსები არ გააჩნდა, რომ აელაგმა ეს რელიგიურ-კრიმინალური სტიქია, ამიტომ თურქეთის სომხურ საზოგადოებაში გაჩნდნენ - ე.წ. ,,ჰაიდუკები"[329] - პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც თავიანთი ერთმორწმუნეებისა და თანამემამულეების ქონების დაცვაზე იყვნენ სპეციალიზირებულნი (რაღაც კერძო დაცვის სამსახურის მსგავსი რამ). საბჭოთა პერიოდის არც ერთი სომეხი ავტორის ნაშრომში აღმოსავლეთ თურქეთის ,,ჰაიდუკური მოძრაობის" ისტორიის შესახებ, არ არის ცნობები იმის შესახებ, რომ სომეხ ჰაიდუკებს რაიმე სახის პოლიტიკური მიზნები და იდეალები ჰქონდათ დასახული. შედეგად კი, მათ ყოველდღიური პარტიზანული ბრძოლების

---

327 სოციალ-დემოკრატიული ტიპის პარტია ,,ჰუნჩაკი'' – სომეხთა პირველი მარქსისტული ტიპის პარტია. მასზე ჩვენ ოდნავ ქვემოთ გვექნება უფრო არსებითი საუბარი.

328 William Langer, Alfred A. Knopfe. The diplomacy of Imperializm. New York. 1960. Pg. 157.

329 ჰაიდუკი, ჰაიდუკები (უნგრ. Hajdúk) – ოსმალთა ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი ბალკანელი შეიარაღებული გლეხები. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსეთის ჯართან ერთად ჰაიდუკები იბრძოდნენ ბულგარეთის გასათავისუფლებლად. ზოგიერთი ვერსიით ტერმინი წარმოიშვა უნგრული პროვინციის დასახელებიდან – ჰაიდუ. თავდაპირველად ასე ეწოდებოდათ ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი ნაწილის მთიან ზონაში მცხოვრებ თავისუფალ მწყემსებს. ჰაიდუკების საქმიანობა სახალხო თემას წარმოადგენდა, რეალური პირები კი, ხშირად ლეგენდარულ პერსონაჟებად იქცნენ.

წარმოება დარჩათ, თავისებური Bellum omnium contra omnes - ,,ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“, რომელიც იმ პირობებში მიმდინარეობდა, როცა ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებას არ ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ უცებ ჩაექრო ანარქიის ეს გამძვინვარებული ოკეანე... ოსმალო ჟანდარმერიისათვის კი, სომეხი ჰაიდუკებიც ისეთივე დამნაშავეები იყვნენ, როგორც მათთან კრიმინალურ ოპონირებაში მყოფი რეგიონის ნახევრად მომთაბარე მუსლიმი ხალხების ზოგიერთი წარმომადგენელი.[330]

ანატოლიელი სომხებისა და ქურთების ეთნიკური იდენტობის შესახებ დაახლოებით იგივე მოსაზრებას ავითარებდა ჯერ კიდე XX საუკუნის დასაწყისში ვასილი ველიჩკო თავის ნაშრომში ,,Кавказ 1886-1895“. იგი წერდა: ,,კიდევ უფრო საინტერესო დასკვნას იძლევა სომხურ ჯგუფებთან დაკავშირებით კავკასიელი ანთროპოლოგი, დოქტორი ი. ი. პანტიუხოვი. მხცოვანმა მეცნიერმა ისარგებლა იმ შემთხვევით, რომ ტიფლისი გადაივსო თურქეთიდან გამოქცეული ნახევრად ველური ლტოლვილებით და მრავალ თურქ სომეხს ჩაუტარა ანთროპოლოგიური გაზომვები. აღმოჩნდა, რომ ამ დაუპატიჟებელი სტუმრების უდიდესი ნაწილი, მათი ფიზიკური წყობით, სუფთა სისხლის ქურთები არიან. ეს კი, კარს უხსნის იმ მოსაზრებას, რომ თურქეთში სომხების ხოცვა-ჟლეტის ზოგიერთი ეპიზოდი სხვადასხვა სარწმუნოების ქურთულ ტომებს შორის არსებული დიდი ხნის ოჯახური ანგარიშსწორების შედეგი იყო.[331]

ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლურ ვილაიეთების სომხებში წარმოქმნილი ,,ჰაიდუკური მოძრაობის“ ლეგიტიმური იურიდიული საფუძველი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დადებული 1978 წლის 13 ივლისის ბერლინის ტრაქტატის 61-ე სტატია გახდა, რომლის მოთხოვნათა შესრულების გარანტებად რუსეთის, ავსტრო-უნგრეთის, ბრიტანეთისა და ოსმალეთის იმპერიები, პრუსიის და იტალიის სამეფოები, აგრეთვე საფრანგეთის რესპუბლიკა იყვნენ. ამ სტატიაში ნათქვამი იყო: ,,ბრწყინვალე პორტა ვალდებულებას იღებს დაუყოვნებლივ გააუმჯობესოს სომხებით დასახლებულ ოლქებში ცხოვრების დონე, გაატაროს რეფორმები და უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება ქურთებისა და ჩერქეზების თავდასხმებისგან. ამ მიზნების განსახორციელებლად გატარებული ზომების შესახებ პორტა პერიოდულად მოახსენებს იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც ევალებათ ამ პროცესებზე თვალყურის დევნება“.[332]

ნათელია, რომ ომისშემდგომი ნგრევისა და თურქული ამიერკავკასიის ოლქების ეკონომიკური ვარდნის ფონზე, ოსმალეთის მთავრობა უძლური იყო შეესრულებინა ბერლინის ტრაქტატის მოთხოვნები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ რეგიონში მცხოვრები სომეხთა ნაწილი საბრძოლო მოქმედებებში რუსეთის მხარეზე მონაწილეობდა, შემდეგ კი, მათ რუსეთის ამიერკავკასიას შეაფარეს თავი.[333]

სომეხი აგიტატორების შთაგონებით ოსმალეთის სომხური მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიერ ჩადენილი სიმხეცეების შესახებ ვლადიმერ მაევსკი წერდა: ,,1895-1897 წლებში ხშირად მიხდებოდა ვანის, ბითლისის, არზრუმის და ნაწილობრივ დიარბექირისა და მოსულის ვილაიეთებში სიარული. და ყველაგან რაღაც განსაკუთრებულის მოწმე ვხდებოდი. ზოგადად, რა შეიძლება სამშობლოს სიყვარულზე უფრო მაღლა იდგეს? მაგრამ როგორ ფორმებს იძენდა იგი აქ?

---

330 О. Ю. Кузнецов. История транснационального армянского терроризма в XX столетии. Историко-криминологическое исследование. Издание 2-е, дополненное. Москва. «Аквариус», — 428 с. Ил. Стр. 97-98. http://turktoday.info/cdn/istor.pdf

331 В. Л. Величко. Кавказ 1886-1895. Историческое прошлое. Санкт-Петербург, 1904. http://www.amsi.ge/istoria/somx/velichko.html

332 Сборник договоров России с другими государствами. 1856–1917. М.: Гос. изд-во полит. литературы, 1952. с. 205.

333 О. Ю. Кузнецов. История транснационального армянского терроризма в XX столетии. Историко-криминологическое исследование. Издание 2-е, дополненное. Москва. «Аквариус», — 428 с. Ил. Стр. 97-98. http://turktoday.info/cdn/istor.pdf

ჩემს თვალწინ გრანდიოზული ტრაგედია თამაშდებოდა, რომლის სათაურიც იყო ,,საჭიროა სისხლისღვრა! და სომხებიც ყველაფერს მიაღწევენ“. სომხური ენა მე არ ვიცი, მაგრამ ჩემი თარჯიმნის ამ ფრაზამ აზერბაიჯანისა და თურქეთის ყველაზე მიყრუებული მხარეებიც კი მოიარა. შემიძლია გადაჭრით ვთქვა, რომ სომხური სისხლის დაღვრის ეს მოთხოვნა იმ სომხურ ორგანიზაციებს ეკუთვნოდათ, რომელთა იდეას რაც შეიძლება დიდი არეულობების მოწყობა წარმოადგენდა რაც შეიძლება დიდ ტერიტორიებზე.

მათ იმდენი არაადამიანობა და გულქვაობა გამოიჩინეს თავისივე თანამოძმე სომხების მიმართ, რომ ეჭვიც კი მიჩნდებოდა იმაში, გააჩნდათ კი მათ რაიმე ადამიანური გრძნობის ნატამალიც კი?

...რაც არ უნდა ბრალი დასდონ თურქებს სიმხეცეების ჩადენაში - მე ერთს ვიტყვი: ამბებს, რაც ცნობილია ჩემთვის სხვადასხვა ქალაქებში სომეხთა და მუსლიმთა შეტაკებების შესახებ, იმ დასკვნამდე მივყავარ, რომ ეს სისხლიანი გარჩევები თავად სომხების მიერ იყო ინიცირებული. ასე იყო მაგალითად, ტრაპიზონში, სადაც ქუჩაში ორი თურქი გენერალი, ბაღრი ფაშა და ჰამდი ფაშა დაჭრეს... ამ შეტაკებებში მრავალი მუსლიმი დაიღუპა და ასეთ დროს მხოლოდ გაოცდები კაცი, თუ როგორ გადარჩნენ სომხები იმ ქალაქებში, სადაც სომეხი აგიტატორების საქციელი გაცოფებამდე მიიყვანდა არა მარტო ქურთებსა და თურქებს, არამედ ვისაც გნებავთ იმას“.[334] გავმეორდებით და ვიტყვით, რომ ვლადიმერ მაევსკი XIX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის გენერალურ კონსულს წარმოადგენდა არზრუმსა და ვანში, ამიტომ, მისი შეფასებები ნამდვილად სარწმუნო ცნობად უნდა მივიღოთ. იგივე ავტორი: ,,სომხურმა კომიტეტებმა თავის თავზე აიღეს შთაეგონებინათ სომეხი ხალხისათვის ნაციონალიზმის, თავისუფლებისა და ავტონომიის იდეები. და როგორ უნდა მოქცეულიყო ამ დროს თურქული ადმინისტრაცია სომეხ აგიტატორთა ამ ქმედებებზე, რომელიც თურქეთის სახელმწიფოებრივი საფუძვლების დანგრევისკენ იყო მიმართული? ამ უკანასკნელ წლებში რამდენჯერ მოუწია თურქეთის ადმინისტრაციას ასეულობით პოლიტიკური აგიტატორის განთავისუფლება, რომლებიც განთავისუფლებისთანავე დაუყოვნებლივ ხდებოდნენ ყაჩაღური ბანდის წევრები...

1896 წელს დაშნაკთა ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოშვებული პროკლამაცია, რომელიც თორმეტი პარაგრაფისაგან შედგებოდა და სომხეთისათვის ყველანაირი თავისუფლების მინიჭებას მოითხოვდა, რისი წარმოდგენაც კი შეიძლება, შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: ,,ჩვენ ვიცით, რომ მოვკვდებით!... მაგრამ რევოლუციური სული, რომლითაც სომეხი ერის გონება და სხეულია მოცული, არ შეწყვეტს სულთნის ტახტის მუქარას მანამდე, სანამ ადამიანურ უფლებებს არ მოვიპოვებთ და თუნდაც ერთი სომეხი იქნება ცოცხალი!“ შემდეგ ხელმოწერაა: სომეხთა რევოლუციური ფედერაცია დაშნაკცუტიუნის კონსტანტინოპოლის ცენტრალური კომიტეტი“.[335]

თავიანთი მერკანტილური მიზნების მისაღწევად სომეხი ,,რევოლუციონერები” სხვა ქვეყნების მაგალითს იშველიებდნენ და თვით უკიდურესი ზომების გატარებასაც კი არ უარყოფდნენ. აი, რას აცხადებდა სომეხ რევოლუციონერთა ერთ-ერთი ლიდერი: ,,ჩვენ, სომხებმა თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა ავირჩიეთ. ევროპამ მოუსმინა ბულგარეთს, აღიარა იქ მომხდარი საშინელებები და გაანთავისუფლა იგი. ევროპა ჩვენ ყვირილსაც მოუსმენს, როცა იგი გაუსაძლის ზღვარს მიაღწევს და მილიონობით ქალისა და ბავშვის სისხლსაც დაინახავს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ ამაში და ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ ამას”.[336]

---

[334] Маевский Владимир Феофилович. Записки Генерального Консула России В Эрзеруме и Ване Генерала Маевского. Типография Штаба Кавказского Военного Округа. г. Тифлис. 1912. http:// www. kurdist. ru/index. php?option=com_content&task =view&id=130& Itemid=1

[335] იქვე.

[336] William L. Langer, Alfred A. Knopfe. The diplomacy of Imperialism. New York, 1960. გვ. 159.

და ასე დაიბადა ,,სომხური საკითხის" ცნება მსოფლიო პოლიტიკის სფეროში და შესაბამისად, შეითხზა მითი ,,დიადი არმენიის" შესახებ. დანამდვილებით და გადაჭრით უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის 80-იან წლებამდე თავად ე.წ. ,,თურქეთის სომხეთშიც'' კი, ე.წ. ,,სომხური საკითხის" ცნება, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობდა, ან უკიდურეს შემთხვევაში, თუ არსებობდა, მას სულ სხვა ელფერი ჰქონდა. ოსმალთა იმპერიაში მცხოვრები თურქები, სომხები და ქურთები საუკუნეების განმავლობაში მშვიდობიანად თანაარსებობდნენ გვერდიგვერდ და მათ შორის წარმოქმნილი უთანხმოებები ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო კონფლიქტის საზღვრებს არ ცილდებოდა.

,,თურქეთის სომეხთა ჩაგრული მდგომარეობის შესახებ ხმები არავითარ შემთხვევაში არ ეხება ქალაქელ სომხებს, რომლებიც ყოველთვის სარგებლობდნენ თავისუფლების, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ძალიან მაღალი ხარისხით და მათი საზოგადოებრივი მდგომარეობაც ყოველთვის საშუალოზე მაღალი იყო. ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებიან სოფლელი სომხები. როგორც ცნობილია, მათი ცხოვრებისა და მეურნეობის ძირითად სფეროს მიწათმოქმედება წარმოადგენს. აქ არსებული სარწყავი სისტემა და პურის მოყვანისგან მიღებული შემოსავლები კი, მათ სრულ კეთილდღეობას უზრუნველყოფს. თამამად უნდა ითქვას, რომ თურქეთის სოფლებში მცხოვრები სომხები ყოველთვის უზრუნველყოფილნი იყვნენ სურსათით და მათი მატერიალური მდგომარეობაც გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე მაგალითად რუსეთის შუა ზოლში მცხოვრები რუსი გლეხისა...

...რაც არ უნდა ეძარცვათ, თავისთავად ვერავითარი შრომისმოყვარეობა ვერ უზრუნველყოფდა ოსმალთა იმპერიის სოფლებში მცხოვრები სომხების იმ მატერიალურ კეთილდღეობას, რაც მათ 1895 წლამდე ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, ყოველგვარი მონაყოლი ამბები, თითქოსდა სომხები გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ თურქეთში, ძალიან გადაჭარბებული და გაბუქებულია. ისინი აქ არანაკლებ კარგად ცხოვრობდნენ, ვიდრე სხვა ადგილებში. ის ძარცვა-გლეჯვები და ყაჩაღობები კი, რის შესახებაც თავგამოდებით გაჰყვიროდნენ სომეხი აგიტატორები, თურქეთში გაცილებით ნაკლებად ხდებოდა, ვიდრე კავკასიაში. საქონლის გარეკვა აქ ისეთივე მოვლენა იყო, როგორც ცხენის პარვა რუსეთის სხვადასხვა რაონებში. ხოლო იმ ადგილებში, სადაც თურქული ადმინისტრაცია ძლიერი იყო და მისი ავტორიტეტიც ფასობდა, სომეხთა უსაფრთხოება და კეთილდღეობა უფრო დაცული იყო, ვიდრე მეზობელი რუსეთის ელიზავეტპოლის გუბერნიაში",[337] - აღნიშნავს თავის ჩანაწერებში გენერალი მაევსკი, რუსეთის კონსული არზრუმსა და ვანში. მაგრამ დაწყებული 1895 წლიდან, დაშნაკთა და სხვა ნაციონალისტური პარტიების მზარდმა აგიტაციამ ნელ-ნელა თავისი შხამიანი ნაყოფი გამოიღო და ოსმალეთის სომხობა საბრძოლველად განაწყო. ამ ბრძოლის გზა ერთობ ეკლიანი აღმოჩნდა, ბრძოლის მეთოდად კი, სომეხი ნაციონალისტების მიერ ყაჩაღური თავდასხმები და ტერორი იქნა არჩეული.

სომეხ ნაციონალისტთა მიერ მოწყობილი პირველი რეზონანსული კრიმინალური ქმედება, რეალურად კი, ტერორისტულ აქტი, კონსტანტინოპოლში, ოსმალთა ცენტრალური ბანკის შენობაზე შეიარაღებული თავდასხმა და მძევალთა აყვანა იყო. ეს ტერორისტული აქტი ,,ჰუნჩაკისა" და ,,დაშნაკცუტიუნის" მებრძოლებმა განახორციელეს 1896 წლის 26 აგვისტოს, დაახლოებით 13:00 საათზე. ტერაქტის ობიექტი სპეციალურად იქნა შერჩეული, რადგან ბანკის მოსამსახურეებსა და კლიენტებს შორის ბევრნი იყვნენ ბრიტანეთის და საფრანგეთის მოქალაქეები. ჩანაფიქრი ნათელი იყო - მათი მძევლად აყვანა, რომელიც 14 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, ევროპული

[337] Маевский Владимир Феофилович. Записки Генерального Консула России В Эрзеруме И Ване Генерала Маевского. Типография Штаба Кавказского Военного Округа. г. Тифлис. 1912. http://www. kurdist.ru/ index.php?option=com_content&task=view&id=130&I temid=1

საზოგადოების ყურადღებას მიიპყრობდა. ასეთი გზით თავდამსხმელები ცდილობდნენ მათი პოლიტიკური მოთხოვნების ევროპისათვის გაცნობას.

თავდასხმაში თვითნაკეთი ყუმბარებით, დინამიტითა და რევოლვერებით შეიარაღებული 28 კაცი მონაწილეობდა. მათ მეთაურებს არზრუმელი სომხები, პარტია ,,დაშნაკცუტიუნის" წევრები, გარეგინ პასდერმიჩიანი (იგივე არმენ გარო) (Գարեգին Փաստրմաճեան) და ბაბკენ სუნი (იგივე პეტროს პარიანი) (Պետրոս Փարեան) წარმოადგენდნენ. თავდამსხმელებმა ბანკის შტურმის დროს ოსმალური ჟანდარმერიის ორი ოფიცერი მოკლეს, თავად კი, ათი კაცი დაკარგეს, მათ შორის, ბაბკენ სუნი. ბანკში შეჭრის შემდეგ თავდამსხმელებმა 156 მძევალი აიყვანეს. მათი ლიკვიდაციის და ბანკის აფეთქების მუქარით თავდამსხმელები ე.წ. ,,სომხური საკითხისათვის" საერთაშორისო რეზონანსის გამოწვევას იმედოვნებდნენ. ამავე დროს მოითხოვდნენ, რომ ევროპული სახელმწიფოების მთავრობებს ზეწოლა განეხორციელებინათ სულთან აბდულ-ჰამიდ მეორეზე, სომხებისათვის დამატებითი უფლებების მისანიჭებლად. 14 საათიანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ ბანკის დირექტორმა სერ ედგარ ვინსენტმა (Edgar Vincent, 1st Viscount D'Abernon) ბოლოს და ბოლოს მოახერხა დაერწმუნებინა ტერორისტები რომ დაეტოვებინათ ბანკი და გაენთავისუფლებინათ მძევლები. სამაგიეროდ მათი მოთხოვნების ხმამაღლა განცხადებას და პირადი უსაფრთხოების დაცვას დაპირდა. რუსეთის საელჩოს წარმომადგენლის, მაქსიმოვის თანდასწრებით მან პირადად გამოიყვანა დარჩენილი 18 ტერორისტი ბანკის შენობიდან, საკუთარი იახტაში ჩასვა და ღია ზღვაში გაიყვანა, სადაც ისინი ფრანგულმა ფრეგატმა აიყვანა ბორტზე. საბოლოოდ, ფრანგულმა სამხედრო ხომალდმა ისინი მარსელში ჩაიყვანა.

ერთობ საინტერესოა ამ ტერორისტული ჯგუფის მეთაურის, გარეგინ პასდერმიჩიანის, იგივე ,,არმენ გაროს" შემდგომი ცხოვრებისეული გზის გაცნობა. ბანკზე თავდასხმის დროს იგი ნანსის უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო სკოლის სტუდენტი იყო. ტერაქტის შემდეგ კი, საფრანგეთის ხელისუფლებამ იგი ქვეყნიდან გააძევა. ამის შემდგომ ,,არმენ გარო" შვეიცარიაში ჩადის და ჟენევის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას, ამასთან მჭიდროდ თანამშრომლობს პარტია ,,დაშნაკცუტიუნთან". იგი 1898 წელს გამართული პარტიის მეორე ყრილობის დელეგატი იყო ეგვიპტის კომიტეტიდან. 1890 წელს არმენ გარო ასრულებს უნივერსიტეტის ფიზიკა-ქიმიის ფაკულტეტს და რუსეთში ჩადის, ფუძნდება თბილისში და აქ აგრძელებს თავის შემდგომ ,,მოღვაწეობას". კერძოდ, 1901 წელს ხსნის ქიმიურ ლაბორატორიას, სადაც 1903-1907 წლებში დაშნაკი ტერორისტებისათვის ამზადებდა ყუმბარებს და ასაფეთქებელ მოწყობილობებს, რასაც ეს უკანასკნელნი კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მაღალი ჩინების წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტებში იყენებდნენ. ამავე დროს, 1905-1907 წლების ,,სომეხ-თათართა ჟლეტვის" დროს იყო 500 კაციანი სომხური საბრძოლო რაზმის შემქმნელი და მეთაური.

შემდეგ კი, საოცრებების მთელ კასკადთან გვაქვს საქმე - 1908 წლის ,,ახალგაზრდა თურქთა" რევოლუციის შემდეგ გარეგინ პასდერმიჩიანს ოსმალთა იმპერიის პარლამენტის წევრად ირჩევენ არზრუმის ვილაიეთიდან, 1911 წელს კი, დიდი ვეზირის, თალაათ ფაშას წარდგინებით იგი იმპერიის გზათა შეტყობინების მინისტრად ინიშნება. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ,,არმენ გარო" საბოლოოდ წყვეტს კავშირს ოსმალეთთან და ამიერკავკასიაში გადმოდის, სადაც აქტიურად მონაწილეობდა სომხური შეიარაღებული რაზმების შექმნაში. I მსოფლიო ომის მსვლელობისას იყო დაშნაკთა მეორე საბრძოლო რაზმის წევრი, რომლის მეთაურიც დრასთამატ კანაიანი, მეტსახელად - დრო იყო.[338] გარკვეული პერიოდი არმენ გარო ამ რაზმსაც

[338] დრასთამატ კანაინ-დროზე, ჩვენ ოდნავ ქვემოთ და წიგნის მეორე ნაწილში გვექნება უფრო არსებითი საუბარი, რადგან სწორედ იგი წარმოადგენდა საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული სომხური შეიარაღებული სამხედრო აგრესიის ერთ-ერთ ინიციატორს და სომხეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს სომხეთ-საქართველოს ომში.

ხელმძღვანელობდა. 1917 წელს, როგორც სრულიად სომეხთა კათოლიკოსის წარმომადგენელი, მიემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1920-1921 წლებში კი, წარმოადგენდა დაშნაკური სომხეთის მთავრობის რწმუნებულს აშშ-ში. იყო ოპერაცია ,,ნემეზისის" ხელმძღვანელი ორგანოს ერთ-ერთი ლიდერი. რეალურად გარეგინ პასდერმიჩიანი პირველ სომეხ პოლიტიკურ, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს წარმოადგენდა, რომელმაც საკუთარი ცხოვრებისეული გზით იმის მაგალითი მისცა თავის თანამემამულეებსა და თანამოაზრეებს, თუ რა მარტივად შეიძლებოდა ცხოვრებისეული წარმატების მიღწევა: კარიერის დასაწყისში იყო წარმატებული ტერორისტი, შემდეგ სხვა ტერორისტების კოორდინატორი და მათი ხელმძღვანელი, 1911 წლიდან ოსმალთა იმპერიის მთავრობი წევრი, 1914 წლიდან დაშნაკური საბრძოლო რაზმების შექმნის ერთ-ერთი ერთ-ერთი ინიციატორი და მებრძოლი, ამის შემდგომ სომხური ეკლესიის უმაღლესი იერარქების დახმარებით ტრანსფორმირდება საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწედ და იკავებს მაღალ სახელმწიფო თანამდებობებს.[339]

ოსმალეთის იმპერიაში არსებული ,,სომხური საკითხის" ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა რუსეთის ცარისტულ იმპერიაშიც. XIX საუკუნის ბოლოდან სომხურ-ნაციონალური განსაკუთრებულობის გრძნობით აღვსილებმა, რევოლუციური იდეოლოგიით შთაგონებულებმა და ევროპის ქვეყნების შესაბამისი წრეების მხარდაჭერით გათამამებულმა სომეხმა ნაციონალისტებმა ჩათვალეს, რომ შესაბამისი სიტუაცია მომწიფებულია და წამოაყენეს ფანტასტიკური სახელმწიფოს - ,,დიადი არმენიის" შექმნის იდეა. მაგრამ ისინი ვერც კი ხვდებოდნენ, რომ ამ დიდი პოლიტიკური პროვოკაციის ნამდვილი ავტორები სულ სხვა ქვეყნები და სხვა წრეები იყვნენ, რომლებიც მათთვის კარგად გარკვეულ მიზნებსა და შედეგებზე აკეთებდნენ გათვლებს. სომეხმა ნაციონალისტებმა კი, სომეხი ხალხის საბედისწეროდ, ამ ჰიპოთეზური სომხური სახელმწიფოს საზღვრებში, მიუხედავად მისი ისტორიული და სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა, ყველა იმ ტერიტორიისა და ადგილის ჩართვა მოინდომეს, სადაც კი ოდესმე დაედგა სომეხს ფეხი. ამ საკითხთან მიმართებაში ერთობ ნიშანდობლივია რუსი ავტორის, მ. ახოვის შემდეგი სიტყვები: ,,თუ გავითვალისწინებთ კეთილდღეობის იმ დონეს, რასაც მიაღწიეს ჩვენთან სომხებმა და მათი განსაკუთრებულობის შეგრძნებას დავუმატებთ მათ ბუნებრივ პატივმოყვარეობასა და ბაქიაობას, რამაც მათი საუკეთესო ისტორიკოსი, მოსე ხორენაციც კი იქამდე მიიყვანა, რომ სომეხ მეფეთა, მათ შორის არტაშეს დიდის (უცილობლად დიდის) არაფრით დასაბუთებული და მოგონილი გმირობების შესახებ ეთხზა არაკები, რომელსაც თურმე მხოლოდ სიკვდილმა შეუშალა ხელი ლამის მთვარეც დაეპყრო, ***ისიც გავიხსენოთ, თუ როგორ საგულდაგულოდ იჩქმალება ყველა სომეხ ისტორიკოსთან სომხეთის სრული უსუსურობისა და პოლიტიკური არარაობის არსი. ამის შემდგომ სულაც აღარ არის გასაკვირი, რომ ეს ,,რჩეული ხალხი" უცებ დიად არმენიაზე ალაპარაკდა! ყველაზე საინტერესო და გასაკვირი კი ის არის, რომ ყოველივე ეს რუსეთის საზღვრებში ხდება, იქ, სადაც სომხები ისე კარგად ცხოვრობენ, როგორც არსად და არასდროს არ უცხოვრიათ".***[340] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

სომეხთა სწორედ ამ ,,განუმეორებელი ისტორიისა" და მოღვაწეების შესახებ აღნიშნავდა ვასილი ველიჩკო: ,,სომხეთის ისტორია დახუნძლულია ,,ჭეშმარიტი'' და ,,უეჭველი" ფაქტებით. მისი ფურცლები სავსეა ,,დიდებად'' წოდებული მოღვაწეების სახელებით, რომელთა არსებობის ფაქტი, სომხურის გარდა, ოფიციალური საისტორიო მეცნიერებისათვის უცნობია. ისტორიისათვის ცნობილი პიროვნებების მოღვაწეობა კი, როგორც წესი, მეტად აღმატებულ ფორმებში არის გადმოცემული".

---

339 О. Ю. Кузнецов. История транснационального армянского терроризма в XX столетии. Историко-криминологическое исследование. Издание 2-е, дополненное. Москва. «Аквариус», — 428 с. Ил. Стр. 100-101. http://turktoday.info/cdn/istor.pdf

340 М. Ахов. Россія и армяне. С.-Петербургъ. 1897. გვ. 60.

XIX საუკუნის ბოლოსათვის სომეხმა ნაციონალისტებმა თავისი თავიც და სომეხი ხალხიც დაარწმუნეს იმაში, რომ დასავლეთ ევროპის გავლენიანი წრეები მართლაც წუხდნენ სომეხი ერის ბედზე. სომეხთათვის დამახასიათებელმა ეროვნულმა თვისებებმა კი, მნიშვნელოვანწილად დააჩქარა ეს პროცესები. ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტად აღნიშნავს ბატონი გურამ მარხულია: ,,მრავალწლიანი კოლოსალური თეორიული, საორგანიზაციო და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შედეგად სომხეთის ძველ საზღვრებში აღდგენის იდეის აუცილებლობა სომხური საზოგადოების ყველა ფენის მიერ იქნა შეთვისებული და მიღებული. ამ მისწრაფებებს თურქებისადმი ისტორიული ზიზღი და ქართველებისადმი შური ედო საფუძვლად".[341] ვლადიმერ მაევსკის აზრით კი, დაწყებული XIX საუკუნის ბოლოდან, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებში მცხოვრები სომხების რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა სამი მიზეზით იყო გამოწვეული:

1. სომეხთა პოლიტიკური სიმწიფის ზრდა;
2. მათში ნაციონალიზმის, თავისუფლებისა და სეპარატიზმის იდეების გამოღვიძება;
3. დასავლეთის განათლებული ქვეყნების მიერ ამ იდეების დაუნდობელი ექსპლოატაცია;[342]

სომეხი ულტრანაციონალისტების აზრით, ერთის მხრივ ევროპის იმპერიული წრეების განწყობა და მეორეს მხრივ, ახალი რევოლუციური იდეოლოგია სომეხთა ახალი ეროვნული სახელმწიფოს დაბადების საიმედო წინაპირობა უნდა გამხდარიყო. ე.ი. ყველა შემთხვევაში, სომხებს რომელიმე დაპირისპირებული მხარის (ერთის მხრივ, ევროპის იმპერიალისტური წრეები და მეორეს მხრივ, მარქსისტული იდეოლოგია) და ბუნებრივია, ერთ-ერთი ნებისმიერი გამარჯვებული ბანაკის უეჭველი მხარდაჭერა უნდა მოეპოვებინა. მაგრამ სამწუხაროდ, და სამწუხაროდ პირველ რიგში სომეხი ხალხისათვის, მწარედ ცდებოდნენ სომეხი ნაციონალისტები. მათ ვერ გაითვალისწინეს ის რეალობა, რომ ევროპისათვის სომეხი ხალხი მხოლოდ და მხოლოდ დროებით ხელსაყრელ ინსტრუმენტს წარმოადგენდა ორ დიდ იმპერიას - ოსმალეთსა და რუსეთს შორის არსებული დაპირისპირების კიდევ უფრო გამწვავებისა და გაღვივების საქმეში, რაც მათ წინა აზიაში გავლენის სფეროების შემდგომ გაფართოებაში დაეხმარებოდათ.

სუფთად ეკონომიკურ და საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოქმნილი ,,სომხური საკითხის" დრამატულად გართულება კი, უკვე ამ საქმეში ევროპის დიდი სახელმწიფოებისა და რუსეთის ჩართვამ გამოიწვია. რუსული იმპერიული ამბიცია შავი ზღვისა და სრუტეების ფლობის შესახებ მოხერხებულად შეინიღბა ,,თურქეთში მცხოვრები ქრისტიანი ხალხების განთავისუფლების" ლოზუნგით. ,,თურქეთის სომხებმაც" ერთხმად აიტაცეს ეს მოწოდება და დიდი აგიტაცია-პროპაგანდა გააჩაღეს მთელს იმპერიაში თავისი ნაციონალური და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. დიახ, ევროპის დაინტერესებული წრეების მიერ რუსეთისა და თურქეთის იმპერიების ტერიტორიებზე გაბნეული სომხობის ნაციონალურ გრძნობებზე მანიპულირებას უნდა ეთამაშა სწორედ იმ კატალიზატორის როლი, რომელიც ამიერკავკასიასა და წინა აზიაში არსებულ ისედაც არამდგრად გეოპოლიტიკურ წონასწორობას კიდევ უფრო დაარღვევდა. ამიტომაც, დასავლეთ ევროპის დაინტერესებული პოლიტიკური წრეების ზეგავლენითა და აქტიური მხარდაჭერით ინტენსიურად დაიწყო სომეხთა შორის რევოლუციურ-სეპარატისტული განწყობების ჩასახვა-განვითარება, რაც საწყის ეტაპზე, სომხური ნაციონალისტურ-პოლიტიკური ჯგუფების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში გამოიხატა. ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტად აღნიშნავს თანამედროვე თურქი პოლიტოლოგი და ისტორიკოსი, დოქტორი ერდალ ილთერი (Dr. Erdal İlter):

---

[341] Гурам Мархулия. Армяно-Грузинская мирная конференция 1919 года и создание Лорийской нейтральной зоны. Всегрузинское историческое общество им. Эквтиме Такаишвили. Тбилиси. 2005. გვ. 8.

[342] Маевский Владимир Феофилович. Записки Генерального Консула России В Эрзеруме И Ване Генерала Маевского. Типография Штаба Кавказского Военного Округа. г. Тифлис. 1912. http://www. kurdist.ru/ index.php?option=com_content&task =view&id=130&Itemid=1.

,,ნამდვილი დამნაშავენი იმპერიალისტური ქვეყნები იყვნენ, რომლებმაც სომხური საზოგადოების პროვოცირება მოახდინეს და თავგზა აუბნიეს მას''.[343]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სომხური ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის ყველაზე უფრო დიდ მხარდამჭერად და ანტიოსმალური პოლიტიკის გამტარებლად, დიდი ბრიტანეთი გამოდიოდა. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურად დევიდ ლოიდ-ჯორჯი (David Lloyd-George) ჩაერთო - I მსოფლიო ომის დასაწყისში დიდი ბრიტანეთის ფინანსთა და შეიარაღების მინისტრი, 1916 წლის ივნისიდან - სამხედრო მინისტრი, ხოლო 1916 წლის 5 დეკემბრიდან - ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. როგორც დევიდ ლოიდ-ჯორჯის ერთ-ერთი ბიოგრაფი აღნიშნავს, ლოიდ-ჯორჯს ბავშვობიდანვე ეზიზღებოდა თურქები და ყოველივე თურქული. ძალიან მალე კი, იგი დაჯერებულ თურქოფობად ჩამოყალიბდა. იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ თურქები ევროპის ავაზაკები იყვნენ - სისხლისმსმელთა ბანდა, რომელიც იზოლირებული უნდა ყოფილიყო ცივილიზებული საზოგადოებისაგან - ბანდა, რომელიც უნდა განადგურებულიყო.[344] ხოლო ებრაელი მეცნიერის, დიპლომატიის ისტორიის ცნობილი მკვლევარის, ნეგევის ბენ-ჰურიონის სახელობის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორის, ისაია ფრიდმანის (Isaiah Friedman) მიხედვით, იგი თურქებს ,,მოძალადეებად და ყველანაირი უბედურების წყაროდ" მოიხსენიებდა. მისთვის კონსტანტინოპოლი არა მარტო აღმოსავლური ბოროტების აკვანი იყო, არამედ ის ბუდე, საიდანაც ყველანაირი კორუფციისა და ინტრიგების შხამი ვრცელდებოდა ევროპაში. ბრიტანელი პრემიერი უფრო შორსაც წავიდა, და აცხადებდა, რომ ,,კონსტანტინოპოლი თურქთა ქალაქი არ იყო, ხოლო მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ასევე არ იყო თურქი". უფრო მეტიც - მისი ღრმა რწმენით, სულთანი ,,გადამთიელი მონარქი იყო, რომელიც გადამთიელ ხალხს მართავდა".[345] ამ იდეებს იზიარებდა აღმოსავლეთში მოღვაწე ცნობილი ინგლისელი დიპლომატი მარკ საიქსიც (Mark Sykes), რომლის ზეგავლენა პრემიერ-მინისტრზე ომის მსვლელობისას და მის შემდგომ პერიოდშიც, ძალიან დიდი იყო. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ორი პოლიტიკური მოღვაწის, დევიდ ლოიდ-ჯორჯისა და მარკ საიქსის პოლიტიკურმა ხედვებმა და იდეოლოგიურმა თანხვედრებმა მომავალში მნიშვნელოვნად განსაზღვრა იმდროინდელი დიდი ბრიტანეთის ახლოაღმოსავლური საგარეო პოლიტიკის ძირითადი არსი. დიდი ბრიტანეთის სწორედ ამ ,,ახლოაღმოსავლური საგარეო პოლიტიკის" უნებლიე მოთამაშეებად შეიქმნენ რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების ტერიტორიებზე მცხოვრები სომხებიც. სომეხი ნაციონალისტები თავისდაუნებურად ჩაერთვნენ დიდი იმპერიების დიდ პოლიტიკურ თამაშებში.

---

343 Dr. Erdal Ilter. Armenian and Russian oppresions (194-1916). (Testimonies of witnesses). Series of social and strategical reserches. Ankara. 1999. გვ. 8.

344 Peter Rowland. Lloyd George. London. 1974. https://books.google.ge/books? id=NgZI46xnc C& pg=PA 267&lpg=PA267&dq=Bolsheviks+and+Kemalists&source=bl&ots=zp5A94tlr_&sig=WdF1aVay1uXZinFA6 A2tsIHBJ8&hl=ka&sa=X&ved=0CDYQ6AEwB2oVChMI25-H7KO0yAIVAZc UCh0 EeAzq №v=onepage &q= Bolsheviks%20and%20Kemalists&f=false.

345 Isaiah Friedman. British Miscalculations. The Rise of Muslim Nationalism, 1918-1925. Transaction Publishers. New Brunswick (USA) and London (UK). Printed in the United States of America. 2012. https:// books.google.ge/books?id=N_g_ZI46xncC&pg=PA267&lpg=PA267&dq= Bolsheviks +and +Kemalists & source=bl&ots=zp5A94tlr_&sig=5WdF1aVay1uXZinFA6A2tsIHBJ8&hl=ka&sa=X&ved=0CDYQ6AEwB2 oVChMI25-H7KO0yAIVAZcUCh0EeAzq №v= onepage&q= Bolsheviks%20and% 20Kemalists&f= false.

§1.7. სომხური ნაციონალისტურ-რევოლუციური პარტიები

სომეხთა პირველი ნაციონალისტური პოლიტიკური პარტია - ,,არმენაკანი" (სომხ. Արմենական կուսակցություն), ოსმალთა იმპერიაში, ქალაქ ვანში, 1885 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა. მისი დამაარსებელი, მდიდარი კონსტანტინოპოლელი ფინანსისტისა და ოსმალთა იმპერიის მაღალჩინოსნის, მიქაელ პორტუგალ ფაშას შვილი, მკრტიჩ პორტუგალიანი იყო. თუმცა, ,,არმენაკანის" შექმნამდე, ჯერ კიდევ 1879 წლის ბოლოს, იგივე მკრტიჩ პორტუგალიანის, ასევე მკრტიჩ ხრიმიანის (შემდგომში კონსტანტინოპოლის სომეხთა პატრიარქი, ვანის პრელატი და სრულიად სომეხთა კათოლიკოსი) და კონსტანტინ კამსარაგიანის თაოსნობით ვანში დაარსდა სომეხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია ,,შავი ჯვარი", ხოლო არზრუმში - ,,სამშობლოს დამცველი". თავისი არსით ეს ორგანიზაციები ნაციონალისტურ-ექსტრემისტული ხასიათისა იყო, რომელთა მიზანსაც სომეხი ხალხის შეიარაღება და მათი დაცვა წარმოადგენდა. თუმცა, ამ ორგანიზაციებმა მალე შეწყვიტეს არსებობა, რადგან ხელისუფლებამ ხრიმიანი და პორტუგალიანი ვანიდან გაასახლა, ხოლო კამსარაგიანი სამუშაოდ სხვა ადგილზე იქნა გადაყვანილი. გარდა ამისა, სახელმწიფო აპარატმა თითოეული მათგანი მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ აიყვანა.

პარტია ,,არმენაკანის" დაარსების განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს სომეხი მეცნიერი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი ვარდან ფარსამიანი. ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულში ,,Историографические труды", იგი წერს: ,,პირველ მეტ-ნაკლებად ორგანიზებულ პარტიას ,,არმენაკანი" წარმოადგენდა, რომელიც 1885 წელს დაარსდა საფრანგეთის ქალაქ მარსელში".[346] ავტორის ეს ვერსია პარტიის დაარსების ადგილის შესახებ, ნაკლებ დამაჯერებლად ჟღერს, რადგან იმ დროისათვის პარტიის მარსელში დაარსების არანაირი პოლიტიკური და სოციალური წინაპირობა არ არსებობდა. თუმცა, პარტია ,,არმენაკანის" დევნის გამო, მალე პორტუგალიანი ემიგრაციაში, საფრანგეთში მიდის და შესაბამისად პარტიის შტაბ-ბინა მართლაც მარსელში გადადის. აქვე იწყება პარტიის ბეჭდვითი ორგანოს, გაზეთ ,,არმენიის" გამოშვება.

პარტიის ამოცანას სომხური სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლის პროპაგანდა წარმოადგენდა ევროპაში მაცხოვრებელ სომხებს შორის. პარტიის მიზანს კი, რევოლუციური მოძრაობის გააქტიურების გზით. სომეხთა პოლიტიკური უფლებების დაცვა და ეროვნული თვითგამორკვევის უფლება შეადგენდა ,,დასავლეთ სომხეთში", ანუ ოსმალთა იმპერიაში. იმდროინდელი რეალიების გათვალისწინებით, პორტუგალიანი მალე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შეიარაღებული აჯანყებისა და სისხლისღვრის გარეშე თავისუფლების მოპოვება შეუძლებელი იქნებოდა. ასეთი შეხედულებების ჩამოყალიბებას მას ოსმალთა იმპერიაში შემავალი სხვა ხალხების - ბერძნების, ბულგარელების, ჩერნოგორიელების (მონტენეგროელების) ისტორიული გამოცდილება კარნახობდა.

პარტია ,,არმენაკანის" პროგრამის საბოლოო ფორმულირება, რომელიც საიდუმლო დოკუმენტს წარმოადგენდა, ვანში მოხდა, სადაც პარტიის მიზნები და ამ მიზნების მიღწევის მეთოდები იქნა გაწერილი. სხვათა შორის, პარტიის პროგრამის დედნის მხოლოდ შვიდი თუ რვა ხელნაწერი ასლი არსებობდა, რომელიც მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გამოქვეყნდა. პარტია ,,არმენაკანი" თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად შემდეგი პუნქტების შესრულებას სახავდა:

---

[346] Сурен Саргсян (Армения). Кандидат исторических наук, доцент, ведущий научный сотрудник Института истории НАН РА. Армянское национально-освободительное движение и партия Арменакан. Стр. 7. Парсамян В., Историографические труды, Ереван, 1985, с. 211.

1. ყველა პატრიოტულად განწყობილი სომეხის გაერთიანება, რომლებთაც იგივე იდეალები ჰქონდათ;
2. თანამოაზრეებისათვის მოქმედების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
3. სომეხი ხალხის ორგანიზება და მათზე ზეწოლის გარეშე პარტიის საჭიროებისათვის ფულადი სახსრების გაღება;
4. რევოლუციური იდეების გავრცელება ლიტერატურისა და სიტყვიერი პროპაგანდის გზით;
5. პარტიის წევრებსა და მომხრეებში მებრძოლი სულისა და თავდაცვის უნარ-ჩვევების გამომუშავება - სამხედრო წვრთნა, იარაღის ხმარება, სამხედრო დისციპლინა, იარაღითა და ფულით უზრუნველყოფა, ***პარტიზანული რაზმების ჩამოყალიბება;***
6. ხალხის მომზადება გადამწყვეტი მომენტისათვის, მაშინ როცა ხელსაყრელი საგარეო ფაქტორების დაადგომისთანავე მეზობელ ხალხებთან მიმართებაში დადგებოდა სომხური საკითხი გადაწყვეტის მომენტი;
7. დემონსტრაციების ჩატარებაზე უარის თქმა, ***ბრძოლის მთავარ იარაღად ტერორისა და მკვლელობების გამოყენება***;[347]

(ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

,,არმენაკანის'' წევრები ქალაქ ვანსა და მის შემოგარენში მალე შეიარაღდნენ და დაიწყეს ინტენსიური სამხედრო წვრთნები ,,სომეხთა საყოველთაო რევოლუციის" მოსაწყობად. პარტიას გააჩნდა მართვის ცენტრალური ორგანო და რაიონული კომიტეტები. მეტად საინტერესოა პარტიის წევრთა ორგანიზაციული საკითხი, სადაც პარტიის წევრები იყოფოდნენ აქტიურ და დამხმარე წევრებად. აქტიურ წევრებს პარტიის ის აქტივისტები წარმოადგენდნენ, ვინც სრულად იზიარებდნენ პარტიის იდეოლოგიურ კურსს, შესაბამის თანხებს იხდიდნენ და ზედმიწევნით იცავდნენ პარტიულ დისციპლინას, მონაწილეობდნენ პარტიის ყველა აქტივობაში. დამხმარე წევრებიც აკეთებდნენ პარტიულ შენატანებს და მორალურადაც უჭერდნენ პარტიის საქმიანობას მხარს, მაგრამ ისინი პარტიულ აქტივობებში არ მონაწილეობდენ.

პარტიამ უმთავრეს ამოცანად თავისი თანამემამულეების დაცვა დაისახა ქურთთა თავდასხმებისგან. ,,სომეხთა საყოველთაო რევოლუციის" მოსაწყობად მალე გაიხსნა პარტიის წარმომადგენლობები მუშში, ტრაპიზონში, ბითლისში, კონსტანტინოპოლში, გარდა ამისა - რუსეთში, სპარსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. იარაღის მოსაპოვებლად პარტია ყველა მეთოდს იყენებდა ოსმალო სამხედრო ჩინოსნების მოსყიდვიდან დაწყებული, იარაღის საზღვარგარეთიდან, განსაკუთრებით სპარსეთიდან, შემოტანით დამთავრებული. ცნობილია, რომ ,,არმენაკანის" მებრძოლთათვის სამხედრო საქმის შესწავლაში განსაკუთრებულ როლს რუსეთის კონსული ვანში, კაპიტანი კამსარაგიანი ასრულებდა.[348] მიუხედავად დიდი ძალისხმევის და ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობებისა, საერთო ჯამში, პარტიამ მის წინაშე დასმული ამოცანები ვერ შეასრულა, ხალხის სრული მხარდაჭერა ვერ მოიპოვა და მალე არსებობაც შეწყვიტა. ამერიკელი ისტორიკოსის, ჯონ უოლკერის (John Walker) სიტყვებით - ,,პარტია მალე გაითქვიფა წმინდათ ტერორისტულ აქტებში".

პირველი მარქსისტული ტიპის სომეხთა რევოლუციური პარტია ჩამოყალიბდა კავკასიელი სომეხის, ფანატიკოსი რევოლუციონერის, ავეტის ნაზარბეგიანისა და მისი შვიდი სტუდენტი მეგობრის (მ. ვართანიანი, რ. ხან-აზატი, გ. გაფეიანი და სხვა) მიერ 1887 წლის აგვისტოში,

---

[347] Louise Nalbandian. The Armenian Revolutionary Movement. The Development of Armenian Political Parties through the Nineteenth Century. University of California Press. Berkeley, Los Angeles, London. 1963. Third Printing, 1975. Pg. 98. https://archive.org/stream/bub_gb__dIsS3aidr0C/bub_ gb __ dIsS3 aidr0C_djvu.txt.

[348] Кямуран Гюрюн. Армянское Досье. Перевод с турецкого. Язычи. Баку. 1993. Стр. 84.

შვეიცარიაში, ჟენევაში. ავეტის ნაზარბეგიანის ბიძა, თბილისელი მდიდარი სომეხი, ცნობილი კომერსანტი და კაპიტალისტი, თბილისის პირველი გილდიის[349] დიდვაჭარი, ალექსანდრ მელიქ-აზარიანცი იყო და სწორედ იგი აფინანსებდა ავეტის ნაზარბეგიანის საზღვარგარეთ სწავლას. ავეტისიც და მისი მეგობრებიც მარქსისტები იყვნენ, მათ მიერ დაარსებული პარტიის სიმბოლოს კი, ზარი წარმოადგენდა (სომხურად ზარი - ჰუნჩაკ), სწორედ ამიტომაც ამ პარტიამ სოციალ-დემოკრატიული პარტია ,,ჰუნჩაკის“ (სომხ. Սոցիալ դեմոկրատ Հնչակյան կուսակցություն) სახელწოდება მიიღო. ეს იყო ოსმლეთის ტერიტორიაზე მოქმედი პირველი მარქსისტული ტიპის რევოლუციური პარტია. პარტიის იდეური პლატფორმის ფორმირებაზე დიდი გავლენა იქონია ალექსანდრ გერცენის იდეებმა, რაც მის მიერ ემიგრაციაში დაარსებულ გაზეთის ,,Колокол“ (ზარი) სტატიებსა და წერილებში პოულობდა გამოძახილს. სწორედ გერცენისეული ,,Колокол“-ის გავლენით დაერქვა სომეხთა ამ პარტიას ,,ჰუნჩაკი“. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე რუსული ნაროდნიკული მოძრაობის ზეგავლენა.

ახალგაზრდა სტუდენტი მეგობრებისათვის პარტიის შექმნის მთავარი მოტივატორი მკრტიჩ პორტუგალიანის საქმიანობა და მის მიერ მარსელში გამოცემული ჟურნალი ,,არმენია“ იყო, სადაც ავეტის ნაზარბეგიანიც ბეჭდავდა თავის სტატიებს. აღსანიშნავია, რომ ჰუნჩაკთა პარტიის რიგებში უმეტესობა კავკასიელი სომხები იყვნენ, პარტიის სოციალურ საფუძველს კი, წვრილი მეწარმეები, ხელოსნები, ვაჭრები და გლეხები წარმოადგენდნენ. მოგვიანებით პარტიის შტაბ-ბინა ჯერ ლოზანაში, ხოლო შემდეგ ლონდონში იქნა გადატანილი. ორგანიზაციულად, პარტიის უმაღლეს დირექტიულ-მმართველობით ორგანოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი) წარმოადგენდა, ჰუნჩაკთა რევოლუციური პარტიის მიზანს ,,თავისუფალი თურქეთის სომხეთის” შექმნა წარმოადგენდა, მთავარ მამოძრავებელ ძალად კი, როგორც ეს ეპოქას და ჰუნჩაკის წევრთა მარქსისტულ იდეოლოგიას შეეფერებოდა, მუშათა და გლეხთა ურღვევი კავშირი იყო მიჩნეული. დიახ, რევოლუციური ბრძოლების საწარმოებლად სწორედ მუშათა და გლეხთაგან უნდა შემდგარიყო ორგანიზებული პარტიზანული რაზმები.

საწყის ეტაპზე ამ ბრძოლაში განსაზღვრული იყო აგრეთვე ოსმალთა იმპერიის მოსახლეობის არასომხური ნაწილის ჩართვაც, როგორებიც იყვნენ მაგალითად, ასურელები და არამუსლიმი ქურთი-იეზიდები. ჰუნჩაკისტებმა, რომლებიც მარქსიზმის დეკლარირებულ პროპაგანდისტებად გამოდიოდნენ, ფრიდრიხ ენგელსის ნებართვით, პირველად თარგმნეს და გამოაქვეყნეს სომხურ ენაზე ,,კომუნისტური პარტიის მანიფესტი“.

ჰუნჩაკთა რევოლუციური პარტიის პროგრამის ძირითადი პუნქტების ანალიზი იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, რომ განვაცხადოთ - თავისი არსით ეს პარტია ერთდროულად დეკლარირებულად თითქოს სოციალისტური იყო, მაგრამ რეალურად - ნაციონალისტური და

---

[349] გილდია (კორპორაცია, გაერთიანება) – ფართო გაგებით სხვადასხვა ტიპის (რელიგიური, პოლიტიკური, თავდაცვითი და ა.შ.) გაერთიანება ადრინდელი შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქალაქებში. ვიწრო გაგებით – ვაჭართა კავშირი, რომელიც წარმოიქმნა ადრინდელ შუა საუკუნეებში და გავრცელდა მრავალ ქვეყანაში პროფესიული ინტერესებისა და წოდებრივი პრივილეგიების დაცვის მიზნით. გილდია მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქალაქების თვითმმართველობებში. ძალიან მალე იგი ისეთ მძლავრ ძალად გადაიქცა ევროპაში, რომ აშკარა ბრძოლას უცხადებდა ფეოდალებს. გილდიებმა ხელი შეუწყვეს ფეოდალური წყობილების დაშლას და კაპიტალიზმის განვითარებას. მოგვიანებით ვაჭართა როლი თანდათან დაეცა, მაგრამ გილდიის ვაჭრებმა მაინც შეძლეს სოციალური პრივილეგიების შენარჩუნება. თბილისში გილდიის ანალოგიური ვაჭართა გაერთიანება მე-13 საუკუნეში შეიქმნა და მას ორთაღი ეწოდებოდა. მისი წევრები მონაწილეობდნენ საერთაშორისო სავაჭრო და საკრედიტო ოპერაციებში. მოგვიანებით, დაწყებული მე-17 საუკუნიდან, საგარეო ვაჭრობაში ჩართულ ქართველ სოვდაგართა კავშირს სათავეში ქარავანბაში მოექცა. 1875 წელს კი, თბილისში ვაჭართა კორპორაციები და გილდიური კავშირები შეიქმნა. 1880 წლისათვის ქალაქში აღრიცხული იყო პირველი გილდიის 49 დიდვაჭარი-მრეწველი და მეორე გილდიის 1003 ვაჭარი.

რეაქციული. პარტიის ბრძოლის ტაქტიკას კი, რევოლუციური და ტერორისტული აქტივობის ზრდა წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ ჰუნჩაკთა პარტია შექმნისთანავე ტერორისტულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

პარტიის პროგრამის IV თავი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის პარტიის მიერ დასახული მიზნის მიღწევის მეთოდებსა და საშუალებებზე: ,,ჩვენი მიზნის მიღწევის უმოკლესი გზა რევოლუციური მოძრაობის დაწყებაა, რაც ნიშნავს - ძალის გამოყენებას, თურქეთის სომხეთში ხალხის მომზადებას თურქეთის მთავრობის წინააღმდეგ ომის წარმოებისათვის საყოველთაო რევოლუციის გზით. ამ მოქმედებების არსი შემდეგში მდგომარეობს:

1. პროპაგანდა: პრესის, პროკლამაციებისა და ზეპირსიტყვიერების გამოყენება ჰუნჩაკთა რევოლუციური იდეების გასავრცელებლად სომხურ მოსახლეობაში, განსაკუთრებით, მუშათა კლასში. რევოლუციური ორგანიზაციების ჩამოყალიბება და მუშათა რევოლუციური რაზმების შექმნა;
2. *ტერორი: ტერორისტული აქტების განხორციელება თურქული ადმინისტრაციის წარმომადგენლების, საიდუმლო აგენტების, ინფორმატორებისა და მოღალატეების წინააღმდეგ. ტერორი უნდა გახდეს მთავარი იარაღი და საშუალება რევოლუციური ორგანიზაციებისა და მოძრაობის დასაცავად;*
3. *საბრძოლო რაზმების ორგანიზაცია: რევოლუციური სამხედრო ქვედანაყოფები მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყვნენ სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს ქვედანაყოფები უნდა იქცნენ საყოველთაო რევოლუციური მოძრაობის ავანგარდად;*
4. საყოველთაო რევოლუციის ორგანიზაცია: გარკვეული რევოლუციური ქვედანაყოფები უნდა გაერთიანდნენ ერთიან ჰარმონიულ მთლიანში, სადაც თითოეული მათგანი იმოქმედებს ერთიანი ტაქტიკით უახლოესი და საბოლოო მიზნის მისაღწევად. თითოეული ამ ორგანიზაციის მართვა და ხელმძღვანელობა უნდა ხდებოდეს ერთი ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით;
5. რევოლუციური ქვედანაყოფების ჩამოყალიბება;
6. ნებისმიერი სახელმწიფოს მხრიდან თურქეთის წინააღმდეგ წარმოებული საომარი მოქმედებები უნდა იქცეს ყველაზე უფრო ხელსაყრელ მომენტად საყოველთაო რევოლუციის გზით ჩვენი მიზნების უსწრაფესი მიღწევისათვის''.[350] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

პარტია თვლიდა, რომ საკუთარი მიზნების მიღწევის საუკეთესო დრო თურქეთის ომში ჩართვით დადგებოდა. ასეთ შემთხვევაში ჰუნჩაკი მზად იყო ებრძოლა არა მარტო ოსმალთა რეჟიმის წინააღმდეგ, არამედ ნებისმიერი იმ ძალის წინააღმდეგ, რომელიც თურქეთის სომხეთში დომინირებას მოინდომებდა. ჰუნჩაკთა პროგრამა ბრძოლის გაგრძელებას დამოუკიდებელი თურქეთის სომხეთის მიღწევის შემდეგაც ითვალისწინებდა. პარტია ჰუნჩაკის ლიდერები თვლიდნენ, რომ რევოლუცია ,,თურქეთის სომხეთის“ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც კი არ უნდა შეწყვეტილიყო. იგი ახალი ძალითა და შემართებით რუსეთის იმპერიისა და სპარსეთის იმ რეგიონებში უნდა გაგრძელებულიყო, სადაც სომხური მოსახლეობა დომინირებდა. მათი აზრით, საბოლოო ჯამში, რევოლუცია გაიმარჯვებდა და შედგებოდა ერთიანი, უნიტარული, პოლიტიკურად დამოუკიდებელი სომხეთის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა, თურქეთის, რუსეთისა და სპარსეთის სომხეთების გაერთიანებით. შემდგომში დამოუკიდებელი სომხეთი გაუძღვებოდა სომხებს სამშობლოსაკენ, შემდეგ კი, აასრულებდა ,,მომავალ მიზანს“ -

[350] https://www.google.com/search?q=%D0%B3%D0%BD%D1%87%D0%B0%D0%BA&oq= %D0% 93 %D 0%BD%D1%87 &aqs=chrome.1.0l6.26693j0j7&sourceid=chrome&ie=UTF-8

მთელი კაცობრიობისათვის სოციალისტური საზოგადოების შექმნას,[351] (Sic!) - გვამცნობს თავის ნაშრომში ჩვენთვის უკვე ცნობილი, წარმოშობით სომეხი ამერიკელი მეცნიერი, ისტორიის დოქტორი, კალიფორნიის ფრესნოს უნივერსიტეტის პროფესორი, ლუის ნალბანდიანი.

პარტიას განკარგულებაში სომხური შრიფტი 1887 წელს გადაეცა და მაშინვე დაიწყო სომხურ ენაზე გაზეთ ,,ჰუნჩაკის" გამოშვება. პარტიის პროგრამა გაზეთის 1888 წლის ოქტომბერი-ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა. თუმცა, თავად დასახელება - ,,რევოლუციური პარტია ,,ჰუნჩაკი", პარტიამ მხოლოდ 1890 წელს მიიღო თავისივე ბეჭდვითი ორგანოს დასახელების მიხედვით. თავისი აქტიურობის ცენტრად ,,ჰუნჩაკმა" კონსტანტინოპოლი შეარჩია, პარტიის ხელმძღვანელობამ კი, ემისრები ოსმალეთის სხვა ქალაქებშიც გააგზავნა - მერზიფონში, ამასიაში, თოკატში, იოზგათსა და ტრაპიზონში. ამავე დროს დაიწყო სომეხი ახალგაზრდობის გადმობირებები ოსმალეთში, რუსეთსა და ირანში. თურქი ავტორი, ესათ ურასი (Esat Uras), თავის ნაშრომში "Tarihte ErmeniZer ve Ermeni Meselesi" (,,სომხების ისტორია და სომხური საკითხი"), იმ პირებს ასახელებს, რომლებიც პარტიული ცენტრის ჩამოსაყალიბებლად ჩავიდნენ კონსტანტინოპოლში. ესენი იყვნენ - შმავონი თბილისიდან, მეგოვერიანი ბათუმიდან, დანიელიანი ირანიდან და რუსეთის ქვეშევრდომი რუბენ ხანაზადი.[352] მოკლე ხანში ოსმალთა იმპერიაში შეიქმნა 114 პარტიული ორგანიზაცია. აქედან, ამერიკის შეერთებულ შტატებში - 86, რუსეთში - 36, სპარსეთში - 15, ბულგარეთში - 9, რუმინეთში - 7, ეგვიპტეში - 6 და ა.შ.[353]

თვალის ერთი გადავლებითაც კი ნათლად ჩანს, რომ პარტიის პროგრამის საერთო სულისკვეთებაზე აშკარად შეიმჩნეოდა რუსული რევოლუციური იდეებისა და აზრის ზეგავლენა. პარტიის მიზნების მისაღწევად დაგეგმილი მეთოდიკა ძალიან ახლოს იდგა რუსულ რევოლუციურ-ტერორისტულ ორგანიზაცია ,,ნაროდნაია ვოლიას" პრინციპებთან, რაც რევოლუციურ პროპაგანდას, აგიტაციას და ტერორს გულისხმობდა. რუსული ,,ნაროდნაია ვოლიას" ზეგავლენა იყო ისიც, რომ ჰუნჩაკთა პარტიის ორგანიზაცია ადმინისტრირების ცენტრალიზებულ სისტემაზე იყო დაფუძნებული. ხოლო რაც შეეხება პარტიზანული რაზმების შექმნას და მათ საბრძოლო აქტივობას, ეს ბერძნული და ბულგარული რევოლუციური გამოცდილების ზეგავლენით იყო ნაკარნახევი.[354] ცნობილი თურქი ისტორიკოსი და პოლიტოლოგი, სენტოს[355] უკანასკნელი გენერალური მდივანი

---

351 Louise Nalbandian. The Armenian Revolutionary Movement. The Development of Armenian Political Parties through the Nineteenth Century. University of California Press. Berkeley, Los Angeles, London. 1963. Third Printing, 1975. Pg. 112. https://archive.org/stream/bub_gb__dIsS3aidr0C/bub_ gb __ dIsS3 aidr0C_djvu.txt.

352 Esat Uras, Tarihte ErmeniZer ve Ermeni ıUeselesi'", Belge Yayınları, İstanbul, 1976. Pg. 85.

353 http://www.armenianarthall.com/index.php?newsid=85

354 Louise Nalbandian. The Armenian Revolutionary Movement. The Development of Armenian Political Parties through the Nineteenth Century. University of California Press. Berkeley, Los Angeles, London. 1963. Third Printing, 1975. Pg. 113. https://archive.org/stream/bub_gb__dIsS3aidr0C/bub_ gb __ dIsS3 aidr0C_djvu.txt.

355 სენტო (ინგლ. CENTO, CenTO, Cento – The **C**entral **T**reaty **O**rganization, The Bagdad Pact, თურქ. Merkezi Antlaşma Teşkilatı, Bağdat Paktı, სპარს. سازمان پیمان مرکزی, არაბ. حلف بغداد) – ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია. მახლობელ და შუა აღმოსავლეთში 1955-1979 წლებში სახელმწიფოთა შორის არსებული სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც შეიქმნა დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის ინიციატივით. სენტოს ფუნქციონირების დაწყების თარიღად 1955 წლის 24 თებერვალი ითვლება, თარიღი, როცა ერაყმა და თურქეთმა ბაღდადში ხელი მოაწერეს ხსენებული სამხედრო პაქტის შექმნას. ამის გამო ამ ორგანიზაციას 1955-1958 წლებში ხშირად მოიხსენიებდნენ აგრეთვე ბაღდადის პაქტის დასახელებით. მალე ორგანიზაციაში ოფიციალურად გაერთიანდნენ დიდი ბრიტანეთი (1955 წლის აპრილიდან), ერაყი (1955 წლის თებერვლიდან 1959 წლის მარტამდე), ირანი (1955 წლის ნოემბრიდან 1979 წლის მარტამდე), პაკისტანი (1955 წლის სექტემბრიდან 1979 წლის მარტამდე) და თურქეთი. ამერიკის შეერთებული შტატები ფორმალურად არ იყო სენტოს წევრი, თუმცა, 1956-1957 წლებში მისი წარმომადგენლები შედიოდნენ ამ ორგანიზაციის ძირითადი კომიტეტების შემადგენლობაში. ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და თურქეთი ამავე დროს წარმოადგენდნენ ჩრდილოატლანტიკური სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის, ნატოს

1978-1979 წლებში, ქამურან გურუნი (Kamuran Gürün) თავის ნაშრომში ,,Ermeni Dosyası“ (,,სომხური დოსიე“), აღნიშნავს, რომ ჰუნჩაკთა ლიდერები კონტაქტში იყვნენ იმ დროისათვის ჟენევაში მყოფ პლეხანოვთან[356] და ზასულიჩთან.[357] აშკარად იკვეთება ის ტენდენციები, რომ პარტია ,,ჰუნჩაკი“ თანდათან ტრანსნაციონალურ ტერორისტულ ორგანიზაციად ყალიბდებოდა.

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ტერორისტული საქმინობის კუთხით პარტია დასაშვებად ცნობდა ტერორისტული აქტების განხორციელებას არა მარტო ოსმალო ჩინოვნიკების, არამედ იმ თანამემამულეების წინააღმდეგაც, რომლებიც არ იზიარებდნენ ,,ჰუნჩაკის“ რევოლუციურ იდეოლოგიას და უარს აცხადებდნენ პარტიისათვის ფულადი თანხების შეწირვაზე. ასე მაგალითად, 1907 წლის 22 ივლისს, ნიუ-იორკში მოკლეს მდიდარი სომეხი ხალიჩებით მოვაჭრე თავშანჯიანი. მისმა მკვლელმა პეტროს ამბარცუმიანმა, რომელიც ადგილზევე დააკავეს, განაცხადა, რომ თავშანჯიანის მოკვლით მან თავის ქვეყანას უშველა, იმდენად, რამდენადაც მოკლულს არ სურდა სომხეთის განთავისუფლებისათვის გარკვეული თანხის გადახდა. ამავე დროს გაირკვა, რომ ქალაქის სხვა მდიდარმა სომხებმაც მიიღეს სიკვდილით დასჯის გაფრთხილებები იმ შემთხვევაში, თუ ისინი ათ-ათი ათას დოლარს არ გადაიხდიდნენ ,,თურქეთის სომხეთის“ განთავისუფლების საქმეში, - იტყობინებოდა გაზეთ The New York Times-ის 1907 წლის 23 ივლისის ნომერი.[358] მკვლელობიდან ერთ საათში ამ ხალხმა განმეორებით მიიღო შეტყობინებები, რომ თანხის

წევრებს. დაწყებული 1959 წლიდან, რეგიონში განვითარებული სხვადასხვა წინააღმდეგობრივი სამხედრო-პოლიტიკური პროცესების გამო, ეს ორგანიზაცია ნელ-ნელა დატოვეს მისმა წევრებმა. საბოლოოდ, 1979 წლის მარტისთვის, ამ სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის შემადგენლობაში მხოლოდ ნატოს წევრი ქვეყნები დარჩნენ. ფორმალურად სენტო 1979 წლის აგვისტომდე ფუნქციონირებდა.

356 გიორგი ვალენტინოვიჩ პლეხანოვი (რუს. Гео́ргий Валенти́нович Плеха́нов) (1856-1918წ.წ.) – რუსი პოლიტიკოსი და იდეოლოგი, მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსი და პროპაგანდისტი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი და სოციოლოგი. დაიბადა ტამბოვის გუბერნიის სოფელ გუდალოვკაში. ოქროს მედალზე დაამთავრა ვორონეჟის სამხედრო გიმნაზია. შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის იუნკერთა სასწავლებელში, თუმცა, მისი შემდგომი სამხედრო კარიერული ზრდის გზა ამით ამოიწურა. 1874 წელს სწავლას აგრძელებს პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში, რომელიც არ დაუსრულებია. ახალგაზრდობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1876 წელს ხდება ნაროდნიკული ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი. ამავე დროს დაიწყო პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1883 წელს იყო რუსეთის პირველი მარქსისტული ორგანიზაციის, ხოლო 1894 წელს ,,რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის“ დამფუძნებელი. იგი იყო რუსეთისა და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ცნობილი მოღვაწე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი იდეოლოგი. რსდმპ მენშევიკური ფრთის ლიდერი და გაზეთ ,,ისკრის“ ერთ-ერთი დამაარსებელი. რსდმპ მე-2 დამფუძნებელი ყრილობის ორგანიზატორი. I მსოფლიო ომის მსვლელობისას წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატების ,,ობორონცული“ პოლიტიკის გამტარებელს და დროებითი მთავრობის კურსის მხურვალე მხარდამჭერს. იყო ვლადიმირ ლენინის ცნობილი ,,აპრილის თეზისების“ აშკარა მგმობელი, რომელსაც იგი ,,ბოდვას“ უწოდებდა. იყო ბოლშევიკთა მიერ ხელისუფლების შეიარაღებული გზით მიტაცებისა და ოქტომბრის გადატრიალების ღია მოწინააღმდეგე და ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური და იდეოლოგიური გზამკვლევი. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ჩამოშორდა აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას. თვლიდა რომ ერთი პარტიის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას რუსეთისათვის გამოუსწორებლად მძიმე შედეგები მოჰყვებოდა. გარდაიცვალა 1918 წლის 30 მაისს ფინეთში, დაბა იალკალაში. ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ სწორედ პლეხანოვის სახელის უკვდავსაყოფად ეწოდა თბილისის ერთ-ერთ მთავარ ქუჩას მისი სახელი.

357 Кямуран Гюрюн. Армянское Досье. Перевод с турецкого. Язычи. Баку. 1993. Стр. 85.

358 The New York Times, July 23, 1907. Fanatic murders wealthy Armenian; H.S. Tavshanjian Shot Down in Union Square as Crowd Looks On. https://www.nytimes.com/1907/07/23/archives/fanatic-murders-wealthy-armenian-hs-tavshanjian-shot-down-in-union.html

გადაუხდელობის შემთხვევაში მათაც იგივე ელოდათ, რაც თავშანჯიანს.[359] მოგვიანებით დადგინდა, რომ ამ ტერორისტული აქტივობის ორგანიზატორს ჰუნჩაკთა პარტიის ადგილობრივი განყოფილების ხელმძღვანელი, არზუიანი წარმოადგენდა, რომელიც ეჭვმიტანილი იყო აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები სხვა მდიდარი სომხების მკვლელობებში.[360] ისტორიულ რეტროსპექტივაში კი, ,,ჰუნჩაკთა“ პარტიის მიერ იყო ორგანიზებული 1890 წლის დემონსტრაციები არზრუმსა და კონტანტინოპოლის ერთ-ერთ რაიონ ქუმქაფიში, 1894 წლის შეიარაღებული აჯანყება სასუნში, მანიფესტაციები კონსტანტინოპოლში და შეიარაღებული გამოსვლები ვანსა და ზეითუნში. მიუხედავად ამისა, საერთო ჯამში, ამ ქმედებებმა ვერ მოიტანეს ის სასურველი შედეგი, რასაც პარტია ელოდა. არსებული შიდა უთანხმოებების გამო კი, პარტია მალე ორ ნაწილად გაიყო. ერთი ჯგუფი თვლიდა, რომ ევროპული სახელმწიფოები პარტიას მის იდეოლოგიაში არსებული სოციალისტური და რევოლუციური გადახრების გამო არ უჭერდნენ მხარს. ისინი პარტიის პროგრამიდან სოციალისტური ტიპის თეზისების ამოღებას მოითხოვდნენ, რასაც მეორე, ასე ვთქვათ, ტრადიციული მხარე არ ეთანხმებოდა და ძველი კურსის გაგრძელების მომხრედ გამოდიოდა.

საბოლოოდ, 1898 წლისათვის, გატარდა ორგანიზაციული ხასიათის რეფორმა და ქალაქ ალექსანდრეტაში (დღევანდელი ისქანდერუნი) გამოცხადდა ,,ჰუნჩაკთა“ ახალი პარტიის შექმნა. მიუხედავად ამისა, პარტიას თავის ტერორისტულ საქმიანობაზე ხელი არ აუღია. პარტიისათვის არასასურველი პირების თავიდან მოშორება ისევ რჩებოდა ,,ჰუნჩკთა“ აქტივობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად. ასე მაგალითად, 1908 წელს კაიროში მოკლეს სომეხი ეროვნების მწერალი, ლიტერატურული კრიტიკოსი და პუბლიცისტი არპიარ არპიარიანი, ჰუნჩაკთა უკვე რეორგანიზებული პარტიის წევრი.[361] მას თავისი თანამემამულეების დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ ცნობების გამოქვეყნება ედებოდა ბრალად.[362] ,,ახალგაზრდა თურქთა“ 1908 წლის რევოლუციის შემდეგ, ხელისუფლების მიერ დეკლარირებული ლიბერალიზაციის კურსისა და ოსმალთა იმპერიაში შექმნილი ახალი პოლიტიკური რეალიებიდან გამომდინარე, პარტია ,,ჰუნჩაკმა“ დროებით შეცვალა თავისი ტრადიციული პარტიული ხაზი და მოთხოვნები. იგი კონსტიტუციურ ჩარჩოებში დაადგა ოპოზიციური ბრძოლის გზას და უარი განაცხადა დამოუკიდებელი სომხეთის შექმნის იდეასა და შეიარაღებულ ბრძოლაზე. პარტია ,,ჰუნჩაკის“ ახალ მოთხოვნად დემოკრატიული კონსტიტუციის შემუშავება და სომხეთის ავტონომიის შექმნა იქცა ოსმალეთის იმპერიაში. 1912 წლიდან პარტიის ხელმძღვანელობამ ავტონომიის შექმნაზე მხარდაჭერა რუსეთს მოთხოვა, ხოლო შემდეგ, იმავე პროცესზე კონტროლის განხორციელების თხოვნით ევროპულ ქვეყნებსაც მიმართა.

აი, ასეთი იყო სომეხ ნაციონალისტთა ახლად ჩასახული რევოლუციური მოძრაობის იდეოლოგიური წანამძღვრები და მისი ისტორიული გენეზისი, პირველი სომხური ნაციონალური რევოლუციური პარტიების წარმოქმნის მოკლე ისტორია და მათი სამოქმედო პროგრამების ძირითადი პუნქტები.

---

[359] The New York Times, July 27, 1907. Armenian terrorist hiding; Wealthy Worcester Armenians Said to Fear an Attack at Any Time. https://www.nytimes.com/1907/07/27/archives/armenian-terrorist-hiding-wealthy-worcester-armenians-said-to-fear.html

[360] The New York Times, August 15, 1907. Hunchakist blamed for other murders; Armenian Inquiry Throws Light on the Tashjian Crime, Charged to the Society. https://www.nytimes.com/1907/08/15/archives/hunchakist-blamed-for-other-murders-armenian-inquiry-throws-light.html

[361] Мери Кочар. Армяно-турецкие общественно-политические отношения и армянский вопрос в конце XIX — начале XX веков. http://az-ar.narod.ru/index.html

[362] Anna Geifman. Thou Shalt Kill: Revolutionary Terrorism in Russia, 1894—1917. Princeton University Press, 1995. ISBN 0-691-02549-5, 9780691025490, стр. 111—112.

§1.8. სომეხთა რევოლუციური ფედერაცია - დაშნაკთა სოციალისტური პარტია „დაშნაკცუტიუნი”

სომხური მარქსისტული, სოციალისტური და ამავე დროს, ნაციონალისტური ტიპის რევოლუციური პარტია - სომეხთა რევოლუციური ფედერაცია, ან სხვანაირად - დაშნაკთა სოციალისტური პარტია - „დაშნაკცუტიუნი” (სომხ. Հայ Յեղափոխական Դաշնակցութիւն (Հ.Յ.Դ.)), დაარსდა არა „თურქეთის”, არა „სპარსეთის“ ან „რუსეთის სომხეთში”, ან სადმე სხვაგან ევროპაში, არამედ საქართველოში, მის დედაქალაქში, თბილისში, 1890 წლის ზაფხულში, სხვადასხვა რევოლუციური წრეების სომეხი ეროვნების წარმომადგენლების - დემოკრატი ქრისტოფერ მიქაელიანის (Քրիստափոր Միքայելյան) (მეტსახელად ელენი) (1866-1905წ.წ.), ნაროდნიკი[363] სტეფან ზორიანის (Զորյան Գրիգորիի Ստեփան) (მეტსახელად როსტომი) (1867-1919წ.წ.) და ანარქისტი სიმონ ზავარიანის (Սիմոն Զավարյան) (მეტსახელად ანტონი) (1866-1913წ.წ.) მიერ. ერთი შეხედვით განსხვავებული მათი იდეოლოგიების შემაერთებელ მთავარ იდეას ეროვნული იდენტობის განცდა წარმოადგენდა, მთავარ სამოქმედო ღერძს კი, იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი რევოლუციური იდეოლოგია და მასთან დაკავშირებული ბრძოლა. ამ პერსონებთან დაკავშირებული კიდევ ერთი საინტერესო მომენტი - სამივეს თბილისში ჰქონდა საშუალო განათლება მიღებული, უმაღლესი აგრონომიული განათლება კი, მოსკოვში.

იმდროინდელი რუსეთის პირობებში არსებული პოლიტიკურად ჭრელი ქსოვილის ფონზეც კი, ასეთი ტიპის პარტიის დაარსებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაემსახურებინა, თუმცა, შექმნის პირველივე დღიდან ეს პოლიტიკური გაერთიანება საიდუმლოების მარმაშით იქნა შებურული. პარტიის თავდაპირველი დასახელება იყო „სომეხი რევოლუციონერების ფედერაცია“, სიტყვასიტყვით სომხურიდან - „სომეხ რევოლუციონერთა თანამეგობრობა“. ერთი რამ ნათელი და ცხადია. პარტიის შექმნის წანამძღვრების შესახებ რაიმე ცნობები არ მოიპოვება. ასევე არ მოიპოვება ინფორმაცია პარტიის შექმნის საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობის ან შეკრებაში მონაწილე აქტივისტების ვინაობის, კრების წევრთა რაოდენობისა და შეკრების ადგილის შესახებ. უცნობია ამ პარტიის შექმნის ზუსტი თარიღი და უფრო მეტიც - პარტიის შექმნის თვეც. როგორც მიუნხენის სომხურ პრობლემათა კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, ედუარდ ოგანესიანი, პარტია „დაშნაკცუტიუნის“ ისტორიის ცნობილი მკვლევარი, ავტორი წიგნისა „Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа“, („საუკუნოვანი ბრძოლა. დაშნაკთა პარტიისა და სომეხი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის 100 წლიანი ისტორიის ნარკვევი“), აღნიშნავს - „ჩვენ არ მოგვეპოვება იმ ბობოქარ შეკრებათა ოქმები. იმ დღეთა ის საყოველთაო აღტკინება, კონსპირაციის წესების დაცვა და იმის გაცნობიერება, რომ ამ პარტიის შექმნა სომხეთის უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ბრწყინვალე ფურცელს წარმოადგენდა, იმდროინდელ დოკუმენტთა ხასიათზე აისახა. და შემდგომშიც, პარტიის დამფუძნებლებმა ამ ამბების შესახებ ერთობ ძუნწი მოგონებები

---

363 ნაროდნიკული მოძრაობა, ნაროდნიკობა (რუს. Народничество – ხალხოსნობა), ანუ, ხალხოსნური მოძრაობა – 1860-1910-იან წლებში რუსეთის იმპერიაში არსებული იდეოლოგია, რომელიც პოზიციონირებას უკეთებდა ინტელიგენციის „დაახლოებას” უბრალო ხალხთან, საკუთარი ადგილის დამკვიდრებას სახელმწიფოსა და ქვეყანაში. ნაროდნიკული მოძრაობა დაკავშირებული იყო ინტელიგენციის მხრიდან „სახალხო სიბრძნის”, „სახალხო სიმართლის” დაკარგვის იდეასთან. ეს იყო 1860-1880-ინი წლების რუსული სოციალ-დემოკრატიული აზრის გაბატონებული მიმდინარეობა. უნდა გამოვყოთ ნაროდნიკული მოძრაობის სამი მიმდინარეობა: რევოლუციური, ლიბერალური და ანარქისტული. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ნაროდნიკული მოძრაობა წარმოადგენდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მეორე („რაზნოჩინულ”) ეტაპს მის წინამორბედ „თავად-აზნაურულ” (დეკაბრისტები) და მის მომდევნო „პროლეტარულ” (მარქსისტულ) ეტაპებს შორის.

დაგვიტოვეს“.[364] არსებობს ერთადერთი დოკუმენტი, რომელსაც ამ მოვლენის სათავეებამდე მივყავართ. ესაა პარტიის მანიფესტი. თავდაპირველად პარტიის იდეოლოგია სხვადასხვა რევოლუციური და სოციალისტური, ამავე დროს ნაციონალისტური იდეების ნარევს წარმოადგენდა. აქ აშკარად შეიმჩნეოდა არასოციალისტური ტიპის ნაციონალისტი რევოლუციონერებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების[365] (ესერების) ზეგავლენა. საქმე იმაშია, რომ სომეხი ესერები ორ ძირითად კატეგორიად იყოფოდნენ. პირველები იყვნენ ისინი, ვინც რუს და ქართველ ესერებთან ერთად ფიქრობდნენ რუსეთში ცარისტული რეჟიმის გადაგდებას, ხოლო მეორენი თვლიდნენ, რომ ისინი ზემოთ ხსენებულ ნაციონალისტ რევოლუციონერებთან კოლაბორაციაში იბრძოლებდნენ ,,თურქეთის სომხეთის“ განთავისუფლებისათვის.

პარტიის ფუნქციონირების დასაწყებად თბილისში რამდენიმე სესია გაიმართა, სადაც დელეგატებმა საბოლოოდ დაძლიეს მათ შორის არსებული იდეოლოგიური განსხვავებები და მიაღწიეს საერთო კომპრომისს. ამ ეტაპზე დაშნაკთა პარტიის წინაშე ხუთი მთავარი საკითხის განხილვა და გადაწყვეტა იყო საჭირო:

1. პარტიის მიზანი და სოციალიზმი;
2. პარტიის დასახელება;
3. პარტიის შტაბ-ბინის ადგილმდებარეობა;
4. პარტიის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო;
5. კუკუნიანის[366] ექსპედიცია;[367]

ედუარდ ოგანესიანის მიხედვით, პარტიული უჯრედები შეიქმნა კონსტანტინოპოლში, ტრაპიზონში, ბათუმში, ნორ-ნახიჭევანში, თბილისში, ბაქოში, განჯაში, ყარაბაღში. გარდა ამისა,

---

364 Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство ,,Феникс”. Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 277. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf

365 სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტია – XX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის იმპერიაში მოქმედი და II ინტერნაციონალში შემავალი რევოლუციური ტიპის პარტია. შეიქმნა 1901-1902 წლებში რუსეთში მოქმედი ნაროდნიკული ორგანიზაციების გაერთიანების შედეგად. მათი ძირითადი მოთხოვნა იყო მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება და მათი გადაცემა გლეხური თემებისათვის, ე.წ. მიწის სოციალიზაცია. ისინი უარყოფდნენ პროლეტარიატის დიქტატურას და ებრძოდნენ მარქსისტულ იდეოლოგიას. იბრძოდნენ რევოლუციის გზით მონარქიის დამხობისა და ფედერაციულ პრინციპებზე მოწყობილი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებისთვის. რუსეთში მოქმედი პოლიტიკური პარტიების სისტემაში მას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა, იმდენად, რამდენადაც იმპერიაში არსებულ პოლიტიკურ პარტიათა შორის იგი იყო არამარქსისტული ტიპის ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი პარტია. ინარჩუნებდა რა, ნაროდნიკული იდეებისადმი ერთგულებას, წარმოადგენდა რევოლუციური ტერორის პოლიტიკის გამტარებელ მთავარ პოლიტიკურ ორგანიზაციას. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ესერთა პარტია გარდაიქმნა რუსეთში მოქმედ ყველაზე უფრო მსხვილ პოლიტიკურ ორგანიზაციად. ამ პერიოდში მისი წევრების რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უმრავლესობასა და რუსეთის დამფუძნებელ კრებაში პარტიამ ადგილების უმრავლესობა მოიპოვა. მისმა წევრებმა კი, მთავრობაში საკვანძო თანამდებობები დაიკავეს. ხალხში პარტიის დიდ პოპულარობას მის მიერ დეკლარირებული დემოკრატიული სოციალიზმის იდეები და მასზე მშვიდობიანი გზებით გადასვლის იდეოლოგია განაპირობებდა. მიუხედავად ზემოთქმულისა, ესერებმა საბოლოოდ მაინც ვერ შეძლეს რუსეთში ხელისუფლების შენარჩუნება და 1925 წლისათვის პარტიამ ფაქტიურად არსებობა შეწყვიტა, ემიგრაციაში კი მან ფორმალურად 1940 წლამდე იარსება.

366 სარქის კუკუნიანის ამ ე.წ. ,,ექსპედიციის'' შესახებ მონოგრაფიის ამავე ნაწილში, ოდნავ ქვემოთ გვექნება უფრო არსებითი საუბარი.

367 Louise Nalbandian. The Armenian Revolutionary Movement. The Development of Armenian Political Parties through the Nineteenth Century. University of California Press. Berkeley, Los Angeles, London. 1963. Third Printing, 1975. Pg. 153. https://archive.org/stream/bub_gb__dIsS3aidr0C/bub_ gb __ dIsS3 aidr0C_djvu.txt.

პარტიული კომიტეტები ჩამოყალიბდა ბალკანეთზე, ეგვიპტეში, კვიპროსზე, ჟენევაში, პარიზში, მარსელში, დაწყებული 1896 წლიდან კი - ამერიკის შეერთებულ შტატებში.[368] პარტიის შტაბ-ბინის განთავსების ადგილად ტრაპიზონი დადგინდა. ეს ქალაქი იმიტომ შეირჩა, რომ იგი ჰუნჩაკთა ცენტრს, ჟენევასა და პარტია ,,დაშნაკცუტიუნის“ წევრთა უმეტესობის საცხოვრებელ ადგილს, თბილისს შორის მდებარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის შტაბ-ბინად ტრაპიზონი შეირჩა, მის ფუნქციონალურ ცენტრად მაინც თბილისი დარჩა.

პარტიის უმაღლეს მმართველობით-დირექტიულ ორგანოს პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ან სხვანაირად პარტიის მთავარი ბიურო წარმოადგენდა, აღმასრულებელი ძალაუფლება კი, პარტიის რეგიონალურ კომიტეტებზე გადანაწილდა. სიმონ ვრაციანის[369] ცნობით თავდაპირველად პარტიის მთავარი ბიურო ხუთი წევრისაგან შედგებოდა - ქრისტოფერ მიქაელიანი, სიმონ ზავარიანი, აბრაამ დასტაკიანი, ოვანეს ლორის-მელიქიანი და ლევონ სარქისიანი. ისინი აკონტროლებდნენ პარტიის ადმინისტრაციის ცენტრალიზებულ სისტემას, რაც მიღებულ იქნა 1890 წლის საიდუმლო შეკრებაზე.[370]

მალე რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედი ჰუნჩაკთა პარტიის სხვადასხვა განყოფილებები პარტია ,,დაშნაკცუტიუნს“ შეუერთდა, თუმცა ამ ორი ორგანიზაციის სრულ უნიფიკაციას ადგილი არ ჰქონია. ძალიან მალე, უკვე 1891 წლის 5 ივნისს ჰუნჩაკისტებმა დაშნაკი ლიდერები გაუბედავ მოქმედებებში დაადანაშაულეს და დატოვეს დაშნაკთა რიგები. აქვე ცალსახად და გარკვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ დაარსების მომენტიდან დღემდე, პარტიის უმაღლესი დირექტიული ორგანოს - პარტიის მთავარი ბიუროს სრული შემადგენლობა და მისი იერარქიული კიბის ორგანოთა

---

368 Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство ,,Феникс”. Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 85. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf

369 სიმონ ნაზარის ძე ვრაციანი (გრუზიანი, გრუზინიანი) (სომხ. Վրացյանի որդի Սիմոն Նազար (վրաց., վրացի)) (1882-1969წ.წ.) – სომეხი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, პროფესიით იურისტი, სომხეთის რესპუბლიკის უკანასკნელი პრემიერ-მინისტრი. დაიბადა რუსეთის იმპერიაში, ნორ-ნახიჭევანში. 1906 წელს ამთავრებს ეჩმიაძინის სასულიერო სემინარიას. ამავე დროიდან ხდება პარტია ,,დაშნაკცუტიუნის'' წევრი და ებმება აქტიურ რევოლუციურ მოძრაობაში. საქმიანობს ჯერ ბათუმში, შემდეგ ტრაპიზონსა და კონსტანტინოპოლში. 1907 წელს მონაწილეობს ვენაში გამართული ,,დაშნაკცუტიუნის'' მსოფლიო მე-4 კონგრესის მუშაობაში. 1908 წელს ბრუნდება რუსეთში და სწავლას განაგრძობს სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1911-1913 წლებში იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში გამომავალი სომხური გაზეთი ,,ჰაირენიკის'' (სამშობლო) მთავარი რედაქტორი. 1914 წელს ბრუნდება ოსმალეთში და მონაწილეობს პარტია ,,დაშნაკცუტიუნის'' მსოფლიო მე-8 კონგრესის მუშაობაში. აქვე ირჩევენ პარტიის ბიუროს წევრად. იმავე წელს აპატიმრებენ ჯაშუშობის ბრალდებით, მაგრამ თავს აღწევს ციხეს და გადმოდის ამერკავკასიაში, თბილისში. I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე კავკასიის ფრონტზე იბრძვის სომხური ბატალიონის რიგებში. 1918 წლის გაზაფხულზე ირჩევენ ამერკავკასიის სეიმის წევრად, ხოლო ამერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და სომხეთის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის ივნისიდან – სომხეთის პარლამენტის წევრად. გარკვეული პერიოდი იყო არარატის რესპუბლიკის წარმომადგენელი გენერალ დენიკინის ,,სამხრეთ რუსეთის მთავრობაში''. მოგვიანებით ხდება სომხეთის მთავრობის წევრი. 1920 წლის 25 ნოემბერს ინიშნება ქვეყნის პრემიერ-მინისტრად. სომხეთის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლიდან, ტოვებს სამშობლოს და მიდის ემიგრაციაში. ცხოვრობდა ჯერ საფრანგეთში, ხოლო შემდეგ – ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ლიბანში. 1923-1925 წლებში იყო პარიზში გამომავალი სომხური ჟურნალ ,,დროშაკის'' რედაქტორი. II მსოფლიო ომის პერიოდში, ,,დაშნაკცუტიუნის'' პარტიის სხვა რადიკალურად განწყობილი ლიდერებისგან განსხვავებით არ თანამშრომლობდა ნაცისტურ პარტიასთან და არ მონაწილეობდა ვერმახტის სომხური ნაციონალური ლეგიონის ფორმირებაში. 1951 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა ლიბანში, სადაც წარმოადგენდა ბეირუთის სომხური სემინარიის დირექტორს. გარდაიცვალა ბეირუთში, 1969 წელს.

370 S. Vratzian, "H. H. Dashnaktsuthian Dzenunde yev Himnadirnere," Hushapatum H.H. Dashnaktsuthian 1890-1950, pp. 80-81.

სუბორდინაციის წესები მკაცრად გასაიდუმლოებული იყო მაშინაც და გასაიდუმლოებულია ახლაც. სრულიად საიდუმლოს გრიფი დაშნაკთა პარტიის ხელმძღვანელ კადრებსა და მათ ფუნქციებზე დღესაც ვრცელდება. დღეისათვის, ერთადერთი რაც ცნობილია, ის არის, რომ უკანასკნელ ხანს, დაშნაკთა პარტიის მთავარ ბიუროს ჰარაირ მარუხიანი, ირანში დაბადებული სომეხი ხელმძღვანელობდა, რომელიც მოგვიანებით ლიბანში, ბეირუთში გადასახლდა, სადაც პარტიის მთავარი შტაბ-ბინა იყო დაფუძნებული. შემდგომ იგი საბერძნეთში გადავიდა, სადაც განთავსდა კიდეც პარტია ,,დაშნაკცუტიუნის" ცენტრალური ორგანოები. ჰარაირ მარუხიანი ,,დაშნაკცუტიუნის" თავმჯდომარე 1994 წლამდე იყო, მანამ, სანამ იგი მძიმე ავადმყოფობის გამო, ლოგინად არ ჩავარდებოდა.[371] ჰარაირ მარუხიანი გრძნობაზე მოუსვლელად, 1998 წელს გარდაიცვალა 66 წლის ასაკში.

დაარსების დღიდან პარტიის მთავარ ბიუროს მორიგეობით ხელმძღვანელობდნენ ქრისტოფერ მიქაელიანი, სიმონ ზავარიანი და სტეფან ზორიანი, სომეხთა ულტრანაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგიის ეს ოდიოზური რუხი კარდინალები. სწორედ ამ პარტიული ტრიუმვირატის წევრები წარმოადგენდნენ დიდი სომხური ულტრანაციონალისტური მოძრაობის დიქტატორებსა და მის ლეგენდარულ იდეოლოგიურ ბელადებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეტად ნიშანდობლივი და საინტერესოა ის ფაქტი, რომ ,,დაშნაკცუტიუნის" პარტიას დაარსებისას თავისი პარტიული პროგრამა არ გააჩნდა. საქმე იმაშია, რომ ამ ორგანიზაციამ ბრძოლის ძირითად საშუალებად თავიდანვე აქტიური და რადიკალური მოქმედებები - შეთქმულება, ძალადობა, ტერორიზმი და თავდასხმები აირჩია და არა იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები.

დაარსებისას, 1890 წელს, თბილისში გამართულ საიდუმლო შეკრებაზე ამ ახალი ორგანიზაციის მხოლოდ მანიფესტი იქნა მიღებული. ამ დოკუმენტის მიღებამ სომხური საკითხის ახალ ერაში შესვლა აღნიშნა. ამიერიდან ,,თურქეთის სომხეთი" აღარ წარმოადგენდა ,,მძარცველური მენტალობის მქონე მმართველების კონფისკატორული პოლიტიკის" მსხვერპლს. სომეხთა რევოლუციური ფედერაციის დროშის ქვეშ დეკლარირებულ იქნა ახალი ეტაპის დადგომა - ,,თურქული მმართველობის წინააღმდეგ სახალხო ომის დაწყება", რომლის მიზანსაც ,,თურქეთის სომხეთის" პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების მიღწევა წარმოადგენდა. სომხებმა განაცხადეს, რომ მეტ დამცირებას ვეღარ აიტანდნენ და ისინი ,,თავადვე დაიცავდნენ თავის უფლებებს, თავის ქონებას, საკუთარ ღირსებასა და ოჯახებს. ისინი თავადვე მიაღწევდნენ ,,თურქეთის სომხეთის" თავისუფლებას.

დაშნაკთა პარტიამ მალე დააარსა თავისი დასავლეთის ბიურო, რომელშიც გაერთიანდნენ წარმომადგენლობები პარიზში, ლონდონში, ბრიუსელში, ბერლინში, ლაიფციგში, ჟენევაში, რომსა და მილანში. პარტიის აღმოსავლეთის ბიურომ კი, ოსმალთა იმპერიაში ტერორისტული აქტების დაგეგმვასა და სომეხთა რევოლუციური აქტივობის გაზრდაზე აიღო პასუხისმგებლობა. როგორც ოსმალთა იმპერიის დედაქალაქი და ნახევრადევროპული ქალაქი, კონსტანტინოპოლი ძალიან ხელსაყრელი ადგილი იყო დაშნაკთა საგარეო პროპაგანდის ორგანიზებისათვის. სწორედ ამ მიზნით გააჩაღა პარტიამ თავისი ტერორისტული საქმიანობა იმპერიის დედაქალაქში. თავდაპირველად ერთიმეორის მიყოლებით მოკლეს ის სომხები, რომლებსაც მაღალი თანამდებობები ეკავათ სულთნის კარზე და ერთგულად ემსახურებოდნენ მას. ასე მაგალითად, დაშნაკთა ხელით სიცოცხლეს გამოესალმნენ მაქსუთ სიმონ-ბეი, სულთნის დაზვერვის უფროსი არტაშეკი,

[371] ჰარაირ მარუხიანის შესახებ და პარტია ,,დაშნაკცუტიუნის'' დღევანდელ აქტივობაზე წინამდებარე წიგნის მეორე ნაწილის შესაბამის თავში გვექნება უფრო არსებითი საუბარი.

ჟანდარმერიის უფროსი ტიგრან ადისი, ყოფილი ეპისკოპოსი მამბრე ბენლიანი, ქირურგი მესროპ თუთუნჯიანი და სხვ.“.[372]

ბიუროს მიერ მალე დაისვა ორი - ,,თურქეთისა და რუსეთის სომხეთების'' თვითგამორკვევისა და ავტონომიზაციისათვის ბრძოლის საკითხი. და შესაბამისად, სომეხთა მიერ დაიწყო მეზობლად მცხოვრები ხალხების, პირველ რიგში კი, მაჰმადიანი მოსახლეობის შევიწროების, დარბევებისა და ტერორისტული აქტების ორგანიზებული სერია. ამ კონტექსტში ერთი რამ ნათლად იკვეთება - დაშნაკური იდეოლოგია აშკარად ზედმეტად აფასებდა ინდივიდების როლს ისტორიაში. ასე მაგლითად, 1895 წლის 7 ოქტომბერს, დაშნაკთა ერთ-ერთი ლიდერი, სიმონ ზავარიანი თავის თანამებრძოლებს ჟენევიდან წერდა: ,,მე არ ვეთანხმები სოციალისტთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მასები ახდენენ ადამიანზე ზეგავლენას. პირიქით, პიროვნება, გმირი აღაფრთოვანებს ფსიქოლოგიურად მასებს. როგორც ჩანს, კარლაილი[373] და მიხაილოვსკი[374] უფრო მართლები იყვნენ“.[375]

ისიც ფაქტია, რომ პარტია თავისი მოქმედებების სტილით, ტერორისტული აქტების დაგეგმვისა და აღსრულების სქემით, აშკარად რუსულ ნაროდნიკულ მოძრაობასთან და სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიასთან იდგა უფრო ახლოს, ყოველ შემთხვევაში, მეთოდებით მაინც, ვიდრე მარქსიზმთან და სოციალ-დემოკრატიასთან. სომეხი ავტორი, მ. ვართანიანი წერდა, რომ თავისი არსებობის სამი წლის განმავლობაში, დაშნაკთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც კარლ მარქსის პრინციპებით ხელმძღვანელობდა - ,,იარაღის კომპლექტით აღჭურვილი რაზმი უფრო ეფექტურია, ვიდრე პროგრამების ნებისმიერი კომპლექტი“,

---

372 Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство ,,Феникс”. Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 87. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf

373 თომას კარლაილი (ინგლ. Thomas Carlyle) (1795-1881წ.წ.) – შოტლანდიური წარმომავლობის ბრიტანელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი, მწერალი და პუბლიცისტი, მათემატიკოსი და მთარგმნელი. ავტორი მრავალტომიანი ნაშრომებისა ,,საფრანგეთის რევოლუცია'' (1837წ.), ,,გმირები, გმირების პატივისცემა და გმირული ისტორიები'' (1841წ.), ,,ფრიდრიხ II პრუსიელის ცხოვრების ისტორია'' (1858-1865წ.წ.). იკვლევდა ,,გმირთა კულტის'' რომანტიკულობას – განსაკუთრებულ პიროვნებებს, ისეთებს, როგორიც იყო მაგალითად, ნაპოლეონი. იგი თვლიდა, რომ ცივილიზაციის და მსოფლიოს ისტორია დიდი ადამიანების ისტორია იყო. მისი აზრით მასები ხშირად იარაღს წარმოადგენდნენ დიდი პიროვნებების ხელში. ამ თვალსაზრისით მისი იდეოლოგია გარკვეულწილად ნიცშეს ,,ზეადამიანის'' კულტისა და ნაციზმის წინამორბედადაც შეიძლება ჩაითვალოს. თომას კარლაილი ცნობილი იყო ასევე, როგორც ვიქტორიანული ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ბრწყინვალე სტილისტი. 1841 წელს მისი ინიციატივით დაარსდა ლონდონის ბიბლიოთეკა.

374 ნიკოლაი კონსტანტინოვიჩ მიხაილოვსკი (რუს. Никола́й Константи́нович Михайло́вский) (1842-1904წ.წ.) – რუსი პუბლიცისტი, სოციოლოგი და ლიტერატურისმცოდნე, ლიტერატურული კრიტიკოსი და მთარგმნელი, ფიზიკოსი და მათემატიკოსი. რუსული ნაროდნიკული მოძრაობის თეორეტიკოსი. საზოგადოებრივი პროგრესის უმაღლეს საზომად მას ცალკეული პიროვნებები მიაჩნდა, რამაც მის ნაშრომებში ჰპოვა გამოძახილი – ,,რა არის პროგრესი?'', ,,ანალოგური მეთოდი საზოგადოებრივ მეცნიერებაში'', ,,დარვინის თეორია და საზოგადოებრივი მეცნიერება'', ,,ბრძოლა ინდივიდუალიზმისათვის''. მისი შეხედულებების მიხედვით პროგრესის არსი სახალხო მასების შეგნებულ პიროვნებამდე აყვანა იყო. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ინტელიგენციის წრეებში მიხაილ მიხაილოვსკის ფიგურა კულტად იყო ქცეული. მას განმათავისუფლებელი მოძრაობის ისეთი ცნობილი მოღვაწეების გვერდით აყენებდნენ, როგორებიც იყვნენ ალექსანდრ გერცენი და ნიკოლაი ჩერნიშევსკი. თუმცა, 1917 წლის შემდეგ მისი დიდება გაფერმკრთალდა, რადგან ამ მომენტიდან დაწყებული იგი მარქსიზმის ოპონენტად გამოდიოდა. მისი სოციოლოგიური შეხედულებების განსაკუთრებულ კატეგორიას წარმოადგენდა ის კრიტიკული შენიშვნები და მოსაზრებები, რომელიც დაკავშირებული იყო დარვინიზმის სოციოლოგიასთან შერწყმის მცდელობაზე.

375 Ronald Grigor Suny. Looking toward Ararat. Indiana University Press, 1993. 310 p. ISBN 9780253207739. Pg. 83.

ვერ შეძლო რაიმე სახის პარტიული პროგრამის წარდგენა.[376] პარტიის აქტივობის ტერორისტულ მეთოდებთან დაკავშირებით კი, დაშნაკური იდეოლოგიის ერთ-ერთი ლიდერი, მიქაელ ვარანდიანი კი, გულწრფელად აღიარებდა: ,,ჯგუფი, რომელსაც ათეულობით თოფი და ხანჯალი გადაჰქონდა სომხეთში (ოსმალეთის აღმოსავლეთ ვილაიეთებში - ა. ჩ.), ჩვენს თვალში უფრო მეტად ფასობდა, ვიდრე მომავლის მოწყობის ათეულობით საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა".[377]

სომეხ დაშნაკთა მიერ ოსმალთა იმპერიის თურქი და სხვა მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული მასიური გამოსვლებისა და მკვლელობების პირველი ეტაპი 1890 წელს უკავშირდება. სწორედ ამ წელს დაიწყო იმპერიის აღმოსავლეთ რეგიონებში მცხოვრებ სომეხთა მასიური შეიარაღება, სადაც სომეხ დაშნაკთა ნაციონალისტური აქტივობის ცენტრს ქალაქი არზრუმი წარმოადგენდა. ამ პერიოდში ქალაქის სომხური სკოლები და ეკლესიები იარაღის საწყობებად იქცა.

1890 წლის 30 აპრილს ხელისუფლების ლეგიტიმურ გადაწყვეტილებას ჩხრეკვების ჩატარების შესახებ ქალაქის სომხური მოსახლეობა წინ აღუდგა. დაიწყო დაშნაკთა მიერ წინასწარ პროვოცირებული ეთნიკური დაპირისპირება, რაც მალე მასიურ არეულობებსა და სისხლისღვრაში გადაიზარდა. შეტაკებების შედეგად ორივე მხრიდან დაახლოებით 100 კაცი დაიღუპა, ხოლო სამასმა სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებები მიიღო. დაშნაკი ლიდერები იმედოვნებდნენ, რომ ქალაქში არსებული უცხო ქვეყნის საკონსულოები ამ შეტაკებებს თავიანთი ქვეყნების მთავრობებს როგორც დიდ ტრაგედიას, ისე გააცნობდნენ, თუმცა, მათი მოლოდინები არ გამართლდა. იმავე წლის 15 ივნისს კი, უკვე კონსტანტინოპოლში, ქუმქაფის კვარტალში, პარტია ,,ჰუნჩაკის" მოწოდებით, სომეხთა დიდი საპროტესტო აქცია მოეწყო. ხალხის ნაკადს, რომელიც სულთნის სასახლისკენ დაიძრა, ჯარისკაცებმა გადაუკეტეს გზა. აქციის მონაწილენი არ დაემორჩილნენ ხელისუფლების მოთხოვნებს და ჯარისკაცებზე მიიტანეს იერიში. ამ შეტაკებაში ორი ჯარისკაცი დაიღუპა. შეტაკების ორგანიზატორები დააპატიმრეს, გაასამართლეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, თუმცა სულთანმა აბდულ ჰამიდ II-მ ისინი შეიწყალა. 1891 წელს კი, მან არეულობების მონაწილე ყველა ბრალდებული სომეხიც შეიწყალა.[378]

1892-1895 წლები ,,დაშნაკცუტიუნის" ორგანიზების, მისი შემდგომი გაფართოებისა და გაძლიერების პერიოდი იყო. 1892 წელს თბილისში პარტიის პირველი ყრილობა ჩატარდა, რომელმაც პარტიის პროგრამა დაამტკიცა. ამავე წელს დაიწყო გამოსვლა პარტიის ბეჭდვითმა ორგანომ, გაზეთმა ,,დროშაკმა".[379] ამავე ყრილობაზე პარტიას ,,სომეხი რევოლუციონერების ფედერაციის" დასახელება შეეცვალა და მას ,,სომხური რევოლუციური ფედერაცია", ანუ, ,,დაშნაკცუტიუნი" ეწოდა.[380]

,,დაშნაკცუტიუნის" პირველ პროგრამაში, რომელიც 1894 წელს შემუშავდა და გამოქვეყნდა ჟურნალ ,,დროშაკის" სექტემბრის ნომერში, აქცენტები უფრო ნაციონალურ საკითხებზე იყო გაკეთებული და არა სოციალურზე. ამავე დროს, როგორც ბრძოლის ერთ-ერთ მეთოდს, პროგრამა ოფიციალურად უშვებდა ტერორის წარმოებას, თუმცა, ტერორისტული მეთოდები პარტიის მიერ

---

376 М. Вартанян. История дашнакцутюна (на армянском языке), с. 80, 85. http://maxpark.com/ community /4109/content/2164659

377 Дж. С. Киракосян. Младотурки перед судом истории. Ереван. Айастан. 1989. გვ. 31. Варандян. М. История Арм. Рев. Дашнакцутюн. Том I. Париж. 1932. გვ. 85.

378 Назим Мустафа, научный сотрудник Института истории им. А. А. Бакиханова НАНА. Армянские преступления – Геноцид, Депортация, Терор. http://genocide.preslib.az/ru_a2-10.html

379 Кямуран Гюрюн. Армянское Досье. Перевод с турецкого. Язычи. Баку. 1993. Стр. 86.

380 Vahe Sahakyan. Between Host-Countries and Homeland: Institutions, Politics and Identities in the Post-Genocide Armenian Diaspora (1920s to 1980s). University of Michigan, 2015. Pg. 271.

1892 წლამდეც ინერგებოდა.[381] მასში ვკითხულობთ: ,,სომეხთა რევოლუციური თანამეგობრობა აჯანყების მოწყობის გზით თავისი მიზნების მისაღწევად ორგანიზებას უკეთებს რევოლუციურ ჯგუფებს, რომლებიც ებრძვიან რა მთავრობას, ერთდროულად ებრძვიან იმ საერთო პირობებს, რითაც იტანჯებიან არა მარტო სომხები, არამედ აისორები (ასურელები - ა. ჩ.), იეზიდები, ქურთთა ნაწილი და მშვიდობისმოყვარე თურქები. ამ მიმართულებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ იგი ხელს ვერ შეუწყობს ამ ჯგუფების გაერთიანებას საერთო ბრძოლის საწარმოებლად, უკიდურეს შემთხვევაში - გაანეიტრალებს მაინც სომეხთა ოპოზიციას.

ჩვენი ამოცანაა:

1. დაშნაკთა პარტიის მთავარი პრინციპების, მიზნებისა და საქმისადმი რევოლუციური დამოკიდებულების პროპაგანდა;
2. საბრძოლო ჯგუფების ორგანიზება და მათი როგორც იდეოლოგიური, ასევე პრაქტიკული მომზადება;
3. ხალხში საერთო რევოლუციური სულისკვეთების ამაღლება;
4. ხალხის შეიარაღება;
5. რევოლუციური კომიტეტების ორგანიზება და მათ შორის მჭიდრო კავშირების დამყარება;
6. ქვეყნისა და მისი ხალხის რევოლუციური პოტენციალის კვლევა (იგულისხმება დასავლეთ სომხეთი - ე. ა.) და შესაბამისი ცნობების მიწოდება პარტიის ხელმძღვანელობას;
7. პარტიის მატერიალური უზრუნველყოფის წყაროების მოძიება;
8. ხელისუფლების წარმომადგენლების, გამცემების, მოღალატეების, მჩაგვრელებისა და ყველა სახის ექსპლოატატორების წინააღმდეგ ტერორის წარმოება;
9. ხალხის დაცვა ყაჩაღთა და მძარცველთა თავდასხმებისგან;
10. სამშობლოში ხალხისა და იარაღის გადასაგზავნი არხების მოძიება;
11. სამთავრობო დაწესებულებების ნგრევა და განადგურება;
12. იარაღით, ფულითა და ხალხით ცალკეული ამხანაგების დახმარება;

შენიშვნა: რევოლუციური ძალები ორ, მაორგანიზებელ და საბრძოლო ჯგუფად იყოფიან. პირველი ჯგუფი ანხორციელებს 1-7 პუნქტებს, ხოლო საბრძოლო - 8-12 პუნქტებს“.[382]

პარტიის წევრები ოსმალთა იმპერიის რეგიონებში გავიდნენ, რათა ადგილებზე მოეძიათ სომეხი მოსახლეობის ლიდერები და პროპაგანდისტები, ორგანიზება გაეწიათ შეიარაღებული რაზმების შექმნისა და დარაზმვისათვის. ამ პერიოდში შეიქმნა სწორედ პარტიის დამატებითი რევოლუციური უჯრედები, მისი ადგილობრივი და რეგიონალური ცენტრები, ორგანიზება გაუკეთდა თავდაცვისათვის საჭირო იარაღითა და საბრძოლო მასალებით შემდგომ მომარაგებას. იარაღი შეტანილ იქნა ისეთ რეგიონებში, როგორიც იყო ირანის აზერბაიჯანი, ერევნის გუბერნია, სურმალისა და ალექსანდროპოლისის მაზრები, აგრეთვე ყარსის ოლქი, სადაც ამ მიზნით საჭირო რაოდენობის ადამიანური და მატერიალური რესურსი იქნა მობილიზებული. ირანში კი, კერძოდ

---

381 Louise Nalbandian. The Armenian Revolutionary Movement. The Development of Armenian Political Parties through the Nineteenth Century. University of California Press. Berkeley, Los Angeles, London. 1963. Third Printing, 1975. Pg. 247. https://archive.org/stream/bub_gb__dIsS3aidr0C/bub_ gb __ dIsS3 aidr0C_djvu.txt.

382 Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство ,,Феникс”. Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 83. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf

თავრიზში, იარაღის ქარხანა აშენდა,[383] სადაც ტულიდან ჩამოსული 36 ოსტატი მუშაობდა. თავრიზიდან ეს იარაღი ოსმალეთის იმპერიაში შეჰქონდათ. იარაღის საზღვარზე გადატანის მნიშვნელოვან პუნქტს ქალაქ სელმასში მდებარე დერიკის მონასტერი წარმოადგენდა. 1890 წელს, პარტიების ,,არმენაკანისა" და ,,დაშნაკცუტიუნის" მიერ ეს მონასტერი აღდგენილ იქნა და იგი თამაშობდა როგორც ეკლესიის, ასევე არსენალის როლს. ასეთივე დანიშნულებით გამოიყენებოდა მაქუში მდებარე მენავორის მონასტერი, რომელიც შემაერთებელ პუნქტს წარმოადგენდა სპარსეთს, რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ეს მონასტრები იარაღისა და პარტიული ლიტერატურის ტრანსპორტირების შუალედურ პუნქტებს წარმოადგენდნენ.

ყოველივე ამის საპასუხოდ, 1892 წელს სულთან აბდულ ჰამიდ II-ის მიერ შეიქმნა გასამხედროებული ორგანიზაცია ,,ჰამიდიე" - ცხენოსანი ჯარი, რომელიც მის სახელს ატარებდა. ეს ჯარი ქურთი ცხენოსნებით იყო დაკომპლექტებული და ორგანიზაციულად რუსული კაზაკური პოლკებისა და რაზმების მოდელზე იყო ფორმირებული. იმპერიის დედაქალაქში ისინი სულთნის პირადი გვარდიის როლს ასრულებდნენ, ხოლო პროვინციებში - სასაზღვრო ჯარების ფუნქციას. სომეხთა ტერორისტული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების საპასუხოდ შექმნილი ,,ჰამიდიეს" რაზმები პირადად სულთნის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა და ამ ნიშნით იგი რომაელ პრეტორიანელებს მოგვაგონებდა. სულთნის მიერ მიღებული ასეთი გადამჭრელი ზომების მიუხედავად, დაშნაკებს თავისი რევოლუციური და საბრძოლო აქტივობა არ შეუნელებიათ.

დაწყებული 1892 წლიდან, სპარსეთი ფაქტიურად დაშნაკთა სტრატეგიულ პლაცდარმად იქცა, სადაც რუსეთიდან დევნილი დაშნაკი ტერორისტები აფარებდნენ თავს, და აქვე ხდებოდა მეზობელ თურქეთში განსახორციელებელი ახალი ტერორისტული ოპერაციების დაგეგმვა. ასეთ დაშნაკურ ცენტრებს სპარსეთის ქალაქები თავრიზი, ხოი, სელმასი წარმოადგენდნენ. აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად დაშნაკური იდეოლოგიის აგიტატორები რუსეთ-სპარსეთის საზღვარს მასწავლებლების, სასულიერო პირების, მომლოცველებისა და ვაჭრების სახით კვეთდნენ.[384]

აი, სწორედ ყოველივე ზემოთქმული იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ XIX საუკუნის ბოლოდან რუსეთში, ისევე როგორც ოსმალთა იმპერიაში, სახელმწიფოს მხრიდან სომხებისადმი დამოკიდებულება ნელ-ნელა შეიცვალა და ისინი იმპერიებისათვის არაკეთილსაიმედო ხალხად იქნა მიჩნეული. ამ პროცესებმა კი, განსაკუთრებულად მკვეთრი ხასიათი XX საუკუნის დასაწყისში მიიღო, რუსეთის I რევოლუციის პერიოდში.

XX საუკუნის დასაწყისში სომხურ ანტირუსულ და ანტიიმპერიულ ნაციონალურ-რელიგიურ ექსტრემიზმს მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური შეფერილობა ტერორისტული მიმდინარეობის რამდენიმე გახმაურებულმა დანაშაულმა შესძინა, რომელიც კავკასიაში რუსული ადმინისტრაციის მაღალ ჩინებზე განხორციელდა. ცარიზმის გამკაცრებული პოლიტიკისა და მეფის მოხელეების, აგრეთვე ამიერკავკასიის მაჰმადიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განსაკუთრებული სისასტიკით ბრძოლა ტერაქტების გზით, დაშნაკებმა სწორედ ინფანტერიის გენერალ გრიგორი გოლიცინის ამიერკავკასიაში მთავარმართებლობის პერიოდში გაშალეს. ეს პერიოდი 1903-1906 წლებს მოიცავს და იგი, ბუნებრივია, რევოლუციური აქტივობის პიკს ემთხვევა. სწორედ ეს პერიოდი მოიცავს გოლიცინის მკაცრი მმართველობის ხანას და ცარიზმის მიერ ამიერკავკასიის სომეხთა მიმართ წარმოებული ადეკვატური დისკრიმინაციის პერიოდს. ამ საკითხებთან მიმართებაში ერთობ საინტერესოა რუსი და სომეხი პუბლიცისტისა და ისტორიკოსის, საბჭოთა პერიოდის დისიდენტის, გიორგი ხომიზურის ნაშრომში ,,Социальные потрясения в судьбах

---

383 Jeffrey W. Stebbins. Bell and Banner: Armenian Revolutionaries at the end of the Ottoman Empire. — Naval Postgraduate School, 2011. — C. 80.

384 Richard G. Hovannisian. The Armenian People from Ancient to Modern Times: Foreign dominion to statehood : the fifteenth century to the twentieth century. The Armenian Question in the Ottoman Empire 1876 to 1914. (англ.). — Macmillan Press, 1997. — ISBN 0-333-61974-9.

народов (на примере Армении)“ („სოციალური ძვრები ხალხთა ბედ-იღბალში (სომხეთის მაგალითზე)“) გამოთქმული შემდეგი აზრი:

„მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, როდესაც 1897 წელს მხარის ნაცვალი თავადი გრიგორი გოლიცინი გახდა, რომელმაც დახურა საშუალო სკოლების მოსწავლეთა მხარდამჭერი საქველმოქმედო და თეატრალური საზოგადოებები, სომხურ ენაზე გამომავალი ჟურნალ-გაზეთები. რადგან ამ ზომებს სომხები ენთუზიაზმით არ შეხვდნენ, გოლიცინმა სომხური ეკლესიის წინააღმდეგ გალაშქრებაც გადაწყვიტა. ***დააშინა რა, რუსეთის შინაგან საქმეთა ახლადდანიშნული მინისტრი ვიაჩესლავ პლევე*** (ზუსტად ეს სიტყვებია ტექსტში ***- Запугав нового министра внутренних дел России Вячеслава Плеве)*** „სომეხთა ამბოხებების, სეპარატიზმის, ანტისამთავრობო პროპაგანდისა და რევოლუციური გამოსვლების“ შესახებ მოხსენებითი ბარათებით. მან იმას მიაღწია, რომ 1903 წლის 12 ივნისს გამოვიდა უმაღლესი განკარგულება, რომლის ძალითაც სომხურ ეკლესიას თავისი ქონების განკარგვის უფლება ჩამოერთვა“.[385] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

ყოველივე ზემოთქმულის გამო, სომეხი ხალხის მასა რუსული მმართველობის წინააღმდეგ აღსდგა. სომხურ რევოლუციური ძალები როგორც მორალური მდგომარეობის, ასევე მატერიალური მზადყოფნის თვალსაზრისით, მომზადებულები აღმოჩნდნენ. პროკლამაციებში სიტყვა „თურქეთი“ შეიცვალა სიტყვით - „რუსეთი“. და ისევე, როგორც რამდენიმე წლის წინ, როდესაც რუსეთის სომხები შეიარაღებასა და მოხალისეებს გზავნიდნენ თურქეთში, ახლა, თურქეთის სომეხი „ფიდაინები“ იგივე მიზნებით კვეთდნენ საზღვარს და რუსეთში შემოდიოდნენ. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის იმპერიის უმაღლესი ხელისუფლება თავისი სამართალდამცავი ორგანოების ოპერატიული სამსახურების მიერ კარგად იყო ინფორმირებული სომხური ტრანსნაციონალური ტერორისტული ორგანიზაციების სტრუქტურების კრიმინალურ საქმიანობაში სომხური სამოციქულო ეკლესიის ეჩმიაძინის საპატრიარქოს ხელმძღვანელი როლის შესახებ... კავკასიის მთავარმართებელი გოლიცინი იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრსა და ჟანდარმერიის კორპუსის უფროსს, პლევეს, ჯერ კიდევ 1904 წლის 13 მაისს, წერდა: „დაშნაკური მოძრაობის ჭეშმარიტ ხელმძღვანელს და სულისჩამდგმელს თვით კათოლიკოს-პატრიარქი წარმოადგენს, რომლის სახელითაც მოქმედებენ ამ მოძრაობის ხელმძღვანელები, ვაღარშაპატში (ეჩმიაძინი, სომხური სამოციქულო ეკლესიის ხელმძღვანელის რეზიდენცია - ო. კ.) არსებული კავკასიის სომხური რევოლუციური კომიტეტის განყოფილება კი, თავისი საქმიანობით ფაქტიურად შეერწყა ლეგალურად არსებული კათოლიკოსის კანცელარიას, რომლის გავლითაც ხორციელდება კავშირი კათოლიკოსსა და რევოლუციონერებს შორის“,[386] - აღნიშნავს თავის ნაშრომში „История транснационального армянского терроризма в XX столетии. Историко-криминологическое исследование“, ოლეგ კუზნეცოვი - რუსი ისტორიკოსი კავკასიოლოგი.

იმპერიასთან დაპირისპირების ამ ეტაპზე დაშნაკებმა ცარიზმის გამოწვევას გამოწვევითვე უპასუხეს. რუსეთში „სისხლიანი ტერაქტების შედეგად, რომელიც ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა განსაკუთრებული სისასტიკით, ასეულობით რუსი მეფის მოხელე დაეცა სომეხი ტერორისტების ტყვიების, ხანჯლებისა და ბომბებისაგან. თვით კავკასიის მთავარმართებელი, გოლიცინი, რომელიც მძიმედ დაიჭრა, ძლივს გადაურჩა სიკვდილს”.[387] - აღნიშნავს თავის ნაშრომში სტივენ ჯონსი. 1903 წლის 14 დეკემბერს, თბილისი-კოჯორის გზაზე მიმავალ ინფანტერიის გენერალ

---

385 Хомизури Г. П. Социальные потрясения в судьбах народов (на примере Армении). Москва. ИНТЕЛЛЕКТ, 1997. 416 с. ISBN 5-87047-036-6. Стр. 32.

386 О. Ю. Кузнецов. История транснационального армянского терроризма в XX столетии. Историко-криминологическое исследование. Издание 2-е, дополненное. Москва. «Аквариус», — 428 с. Ил. Стр. 113-114. http://turktoday.info/cdn/istor.pdf

387 Stephen F. Jones. Georgian–Armenian relations in 1918 to 1919 and 1991 to 1994. A comperison. გვ. 18.

გოლიცინს ჰუნჩაკისტებმა ტერორისტული აქტი მოუწყვეს. აფეთქების შედეგად გოლიცინი მძიმედ დაიჭრა. დიახ, სომეხ ნაციონალისტთა პირველი მსხვერპლი, არა ვინმე საშუალო დონის ჩინოვნიკი, არამედ თვით კავკასიის მთავარმართებელი, ინფანტერიის გენერალი, თავადი გრიგორი გოლიცინი იყო, რომელიც სომხური გრიგორიანული ეკლესიის ფინანსებისა და კომერციულ ქონების სეკულარიზაციის 1903 წლის 12 ივლისის კანონის ინიციატორს და ერთ-ერთ აღმასრულებელს წარმოადგენდა.

სუფთად ფორმალური და სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს თავდასხმა ტერორისტული აქტი იყო, თუმცა, იგი ძალიან დილეტანტურად იქნა ჩატარებული. მართალია, თავდამსხმელებმა გოლიცინი დაჭრეს, მაგრამ მიუხედავად თავისი ხანდაზმული ასაკისა, მაშინ გოლიცინი 65 წლის იყო, მან და მისმა მეეტლემ მხოლოდ ხელჯოხით და მათრახით მაინც შეძლეს თავდამსხმელების მოგერიება. ფაქტია, რომ თავდამსხმელთა მხოლოდ რელიგიური ფანატიზმი და თავგანწირვა საკმარისი არ აღმოჩნდა გამოცდილი ოფიცრისა და გენერლის სიცოცხლის მოსასპობად. მოგვიანებით დადგინდა, რომ ამ ტერორისტული აქტის ორგანიზატორი პარტია ,,ჰუნჩაკის“ ბაქოს ორგანიზაციის წევრი, გ. ოვანესიანცი იყო, რომელიც ცნობილი სომეხი ნავთობმაგნატის ალექსანდრ მანთაშოვის სარეწებზე მბურღავად მუშაობდა.[388] ფაქტია, რომ რუსულმა იმპერიამ მიიღო სომეხი ნაციონალისტების ეს გამოწვევა და მისმა სადამსჯელო მანქანამ შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ამ ე.წ. ,,რევოლუციონერებს“. 1904 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში, ,,Кавказ 1886-1895“, ველიჩკო წერდა: ,,სომეხი პოლიტიკანების ბოდვები, როგორც ჩანს, ბოდვებად დარჩება, იმდენად, რამდენადაც ვერავითარი რევოლუციური ავანტიურები ვერ აღუდგება წინ რუსი ჯარისკაცის ხიშტს. ამავე დროს შეუფასებელია ის ეკონომიკური და სულიერი ზარალი, რასაც კავკასიაში სომეხი ბელადები აყენებენ რუსულ სახალხო-სახელმწიფოებრივ საქმეს და თავად სომეხ მოსახლეობას. ეს ბელადები როგორც სოციალური ხრწნის მიკრობები და პარაზიტები, საშინელები და მოძალადეები არიან“.[389]

ეს უკვე განაჩენი იყო, მკაცრი და დაუნდობელი განაჩენი, რომელიც იმპერიამ გამოუტანა დაშნაკ და ჰუნჩაკ ტერორისტ-რევოლუციონერებს. უკან დახევას კი, არც ეს უკანასკნელები აპირებდნენ. ამავე პერიოდში ყუბანზე ,,დაშნაკცუტიუნის“ აქტივისტები, ისევე როგორც პარტია ,,ჰუნჩაკი“, სიკვდილის მუქარით ადგილობრივი სომხური დიასპორის მდიდარ წარმომადგენლებთან და სახელმწიფო დაწესებულებებთან გამოძალვებით იყვნენ დაკავებულნი. სწორედ ასე ჩაიგდეს ხელში მნიშვნელოვანი თანხები პარტიის არმავირისა და ეკატერინოდარის ადგილობრივმა წარმომადგენლობებმა. ხოლო 10 ათასი მანეთის გაცემაზე უარის თქმის გამო სიკვდილით დასაჯეს ვაჭარი ნ. შახნაზაროვი. 1907 წლის გაზაფხულზე კი, პარტია ,,დაშნაკცუტიუნმა“ ბოლშევიკებთან მოლაპარაკებების გზით სანკტ-პეტერბურგიდან კავკასიაში შაშხანებისა და სხვა საბრძოლო მასალების დიდი პარტია შემოიტანა.[390]

აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის პარტია ,,დაშნაკცუტიუნი“ თავისი განტოტვილი ქსელით უკვე საკმაოდ ძლიერ და მრავალრიცხოვან ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც პრობლემებს უქმნიდა როგორც ოსმალეთის, ასევე რუსეთის ხელისუფლებას. მოსკოვში მოღვაწე სომეხი ეროვნების მეცნიერი, ნაირა კირაკოსიანი, თავის სადისერტაციო ნაშრომში ,,История партии ,,Дашнакцутюн“ с 1890 г. по 1907 г.” (,,პარტია ,,დაშნაკცუტიუნის“ ისტორია 1890 წლიდან 1907

---

388 О. Ю. Кузнецов. История транснационального армянского терроризма в XX столетии. Историко-криминологическое исследование. Издание 2-е, дополненное. Москва. «Аквариус», — 428 с. Ил. Стр. 113. http://turktoday.info/cdn/istor.pdf

389 В. Л. Величко. Кавказ 1886-1895. Политическая роль церкви и армянская программа. Санкт-Петербург, 1904. http://www.amsi.ge/istoria/somx/velichko.html

390 Невский С. А. Из истории борьбы с незаконным оборотом оружия, боеприпасов и взрывчатых веществ в России.. — Общество и право, 2007, № 2 (16). — С. 53-62.

წლამდე“), აღნიშნავს, რომ 1907 წლისათვის პარტია ,,დაშნაკცუტიუნი“ 167 ათას წევრს ითვლიდა.[391] მიუნხენის სომხურ პრობლემათა კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, ედუარდ ოგანესიანი კი, წერს: ,,ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაშნაკები არა იმ პარტიის სახით გამოდიოდნენ, რომელიც ხალხის მასებს მართავდა, არამედ შეთქმულ ტერორისტთა დაჯგუფების სახით. საქმე იმაშია, რომ დაშნაკებმა ესერებისგან ზუსტად გადმოიღეს ინდივიდუალური ტერორის ფართოდ წარმოების პრაქტიკა ცარიზმის აგენტების წინააღმდეგ. ამ ამოცანის გადასაჭრელად კი, დაშნაკთა პარტიას განსაკუთრებული რაზმები გააჩნდა. ასე მაგალითად, 1907 წელს შტუტგარტში გამართულ სოციალისტურ კონგრესს დაშნაკებმა მათ მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტების გრძელი სია წარუდგინეს. მიუხედავად ზემოთქმულისა, ტერორისტული საქმიანობა დაშნაკებს ხელს არ უშლიდა რიგ შემთხვევებში, თურქთა წინააღმდეგ მოქმედებების დროს, ცარიზმის აგენტებთან შესულიყვნენ საიდუმლო კავშირებში.[392]

1908 წელს რუსეთის სხვადასხვა ქალაქში ერთდროულად დააპატიმრეს 324 დაშნაკი ლიდერი და ათასობით აქტივისტი. მათ წინააღმდეგ 586 სისხლის სამართლის საქმე აღიძრა სამშობლოს ღალატისა და სხვა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის ბრალდებით. 1908-1913 წლებში ის სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა, რომელთა შედეგების მიხედვით ასეულობით დაშნაკს მიესაჯა ციმბირში გადასახლება.[393] კავკასიის მეფისნაცვლის პოლიციის დეპარტამენტის საარქივო დოკუმენტებში აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკები: გენერალი ალიხანოვ-ავარსკი, გუბერნატორი ნაკაშიძე, ვიცე-გუბერნატორი ანდრეევი, სამაზრო უფროსები: ბოგუსლავსკი, შმერლინგი, ნეშჩანსკი, პავლოვი, პოლიცმეისტერი სახაროვი, პრისტავები ჯავახოვი და შუმაკევიჩი, სასაზღვრო ჯარების პოლკოვნიკი ბიკოვი, პარტია ,,დაშნაკცუტიუნის“ მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტების შედეგად იქნენ მოკლულნი.[394]

დიახ, ბაქოს გუბერნატორი, მიხეილ ნაკაშიძე, დაშნაკების მიერ განხორციელებულ ტერაქტს შეეწირა. ბომბის აფეთქების შედეგად იგი მაშინ სრულიად ახალგაზრდა დაშნაკმა ტერორისტმა, შემდგომში დაშნაკური საბრძოლო რაზმების ცნობილმა მეთაურმა და დამოუკიდებელი სომხეთის არმიის გენერალმა, დრასთამატ კანაიანმა (მეტსახელად ,,დრო“) მოკლა 1905 წლის 11 მაისს. ნაკაშიძის მკვლელობის შემდეგ, დაშნაკთა საბრძოლო რაზმის უფროსმა, ნიკოლ დუმანმა (ნიკოგაიოს ტერ-ოვანესიანი) ახალგაზრდა ტერორისტი დრასთამატ კანაიანი-დრო, ზანგეზურში გაგზავნა, სადაც იგი სომხური საბრძოლო-ტერორისული რაზმების მეთაურების, ჯერ ხეჩოს, შემდეგ კი, კერის მეთაურობით თათრების წინააღმდეგ იბრძოდა.[395]

სწორედ ეს პერსონა, გენერალი დრასთამატ კანაიანი-დრო იქნება ჩვენი ორტომეულის ერთ-ერთი მთავარი ,,გმირი“ და ფიგურა, იმდენად, რამდენადაც სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, სწორედ გენერალი დრო წარმოადგენდა სომხეთის შეიარაღებული ძალების

---

391 Киракосян, Наира Бениковна. Тема диссертации и автореферата по ВАК РФ 07.00.02. История партии ,,Дашнакцутюн“ с 1890 г. по 1907 г. МГУ имени М. В. Ломоносова. 1999. https://www.dissercat.com/content/istoriya-partii-dashnaktsutyun-s-1890-g-po-1907-g

392 Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство ,,Феникс”. Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 13-14. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf

393 Мехмет Перинчек: «Российские военные трибуналы казнили тысячи армянских бандитов, истреблявших мусульман Турции и Кавказа». http://www.1news.az/news/mehmet-perinchek-rossiyskie-voennye-tribunaly-kaznili-tysyachi-armyanskih-banditov-istreblyavshih-musul-man-turcii-i -kavkaza.

394 Назим Мустафа. Научный сотрудник Института истории им. А. А. Бакиханова НАНА. Армянские преступления – Терор против русских. http://genocide.preslib.az/ru_c5.html.

395 James G. Mandalian. The Life and Time of General Dro. The Armenian Review. Volume 10, Number 2, Summer, June 1957. http://asbarez.com/144592/the-life-and-time-of-general-dro/

ფაქტობრივ სარდალს და იგი ედგა სათავეში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ დაწყებულ სამხედრო აგრესიას.

1912 წელს სომეხთა რევოლუციური ფედერაცია - დაშნაკცუტიუნის ასეულობით წარმომადგენელი წარსდგა რუსეთის სასამართლოების წინაშე. მაგრამ ალექსანდრ კერენსკისა[396] და პაველ მილიუკოვის[397] დახვეწილი და მაღალპროფესიული ადვოკატობის წყალობით, მრავალმა

---

[396] ალექსანდრ ფიოდოროვიჩ კერენსკი (რუს. Алекса́ндр Фёдорович Ке́ренский) (1881-1970წ.წ.) – რუსი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ესერთა (სოციალისტ-რევოლუციონერთა) პარტიის წევრი, რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე, პროფესიით იურისტი. რუსეთის სახელმწიფო დუმის IV მოწვევის დეპუტატი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი, რუსეთის დროებითი მთავრობის იუსტიციის მინისტრი, საზღვაო და სამხედრო მინისტრი, შემდეგ კი, მინისტრი-თავმჯდომარე. რუსეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი შემქმნელი. მისი მამა, ფიოდორ კერენსკი იყო სიმბირსკის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი, სადაც მისი მოსწავლე იყო ვლადიმირ ულიანოვი (ლენინი). სწორედ ფიოდორ კერენსკიმ დაუწერა თავისი უფროსის, ილია ულიანოვის ვაჟს და პროლეტარიატის მომავალ ბელადს ერთადერთი ოთხიანი (ლოგიკაში). სიმბირსკშივე დაიბადა ალექსანდრ კერენსკი. წარჩინებით დაამთავრა ტაშკენტის გიმნაზია და ჩაბარა მისაღები გამოცდები პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. რევოლუციურ საქმიანობაში ჩაება 1905 წლიდან. აქვეყნებდა რევოლუციური ხასიათის წერილებს, რისთვისაც დააპატიმრეს. აქვე წაუყენეს ესერთა საბრძოლო რაზმის წევრობის ბრალდება, მაგრამ საკმარისი მტკიცებულებების არქონის გამო, მალევე გაანთავისუფლეს. 1906 წლიდან იწყებს აქტიურ საადვოკატო საქმიანობას, სასამართლოებზე გამოდის რევოლუციური მოღვაწეებისა და ორგანიზაციების დამცველად. 1909 წლიდან იყო პეტერბურგის სასამართლოების ნაფიცი მსაჯული. 1910 წელს იცავდა სოციალისტ-რევოლუციონერებს, ხოლო 1912 წელს დაშნაკებს. იყო რუსეთის IV მოწვევის დეპუტატი. 1914 წელს კიევის სასამართლო კოლეგიის შეურაცხყოფისათვის მიესაჯა 8 თვით თავისულფლების აღკვეთა, მაგრამ როგორც მოქმედ დეპუტატს, სასჯელი მალევე მოეხსნა. 1915-1917 წლებში იყო რუსეთის ერთ-ერთი პარამასონური ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე. 1917 წლის მარტიდან ესერთა პარტიის წევრია. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ეკავა დროებითი მთავრობის ჯერ იუსტიციის მინისტრის, შემდეგ სამხედრო და საზღვაო მინისტრის, ბოლოს კი, მთავრობის თავმჯდომარის პოსტები. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ აქტიურად იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. მოლაპარაკებებს აწარმოებდა ანტანტის ქვეყნებთან რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევისა და ანტიბოლშევიკური მოძრაობისათვის დახმარების გაწევის თაობაზე. 1918 წლის ივნისიდან ემიგრაციაში მიდის. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჯერ ინგლისში, შემდეგ საფრანგეთში. 1940 წლიდან, გერმანელების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადადის, სადაც მუშაობდა რუსულ არქივებზე და ლექციებს კითხულობდა სტენფორდის უნივერსიტეტში. იყო ჰუვერის ომის, რვოლუციისა და მშვიდობის ინსტიტუტის ექსპერტი. ამავე პერიოდში ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობს, აქვეყნებდა დოკუმენტური ხასიათის მემუარებს რუსული რევოლუციის ისტორიის შესახებ. გარდაიცვალა 1970 წელს, ნიუ-იორკის საავადმყოფოში. დაკრძალულია ლონდონში.

[397] პაველ ნიკოლაევიჩ მილიუკოვი (რუს. Па́вел Никола́евич Милюко́в) (1859-1943წ.წ.) – რუსეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი და პუბლიცისტი. რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის (კადეტთა) თავმჯდომარე. 1916 წლიდან კემბრიჯის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. რუსეთის დროებით მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი. დაამთავრა მოსკოვის I გიმნაზია. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს იმყოფებოდა ამიერკავკასიაში და მსახურობდა საჯარისო მეურნეობის ჩინოვნიკად. 1882 წელს დამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1886-18895 წლებში იყო მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი. ამავე პერიოდიდან ყალიბდება რუსული ლიბერალიზმის ერთ-ერთ იდეოლოგად. ოპოზიციური საქმიანობისათვის 1901 წელს რამდენიმე თვე საპატიმროში იმყოფებოდა. 1904-1905 წლებში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და კითხულობდა ლექციებს ჩიკაგოსა და ბოსტონის უნივერსიტეტებში. რუსეთში დაბრუნების შემდეგ, 1905 წლის ოქტომბერში ხდება კადეტთა (კონსტიტუციურ-დემკრატიული) პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1907-1917 წლებში იყო რუსეთის III და IV მოწვევის სახელმწიფო დუმის დეპუტატი. 1916 წელს ირჩევენ კემბრიჯის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ არჩეულ იქნა დროებითი მთავრობის პირველი შემადგენლობის საგარეო საქმეთა მინისტრად. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალებისა და რუსეთის ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ ერთიანდება გენერალ ალექსეევის ორგანიზაციაში, რომელიც მალე თეთრგვარდიულ მოძრაობად გარდაიქმნა. 1918 წლის ნოემბრიდან ემიგრაციაშია. ცხოვრობდა ჯერ

ბრალდებულმა აიცილა თავიდან მძიმე სასჯელი,[398] - აღნიშნავს სომხური წარმომავლობის ამერიკელი ავტორი, რონალდ გრიგორ სუნი (მირზოიანი) (Ronald Grigor Suny), მიჩიგანის უნივერსიტეტის აიზენბურგის კოლეჯის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის მკვლევარი და ჩიკაგოს უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი. როგორც ვხედავთ, სომხები მართლაც წარმოადგენდნენ ,,პიონერებს'', როგორც აღნიშნული იყო წინამდებარე წიგნის შესაბამის პარაგრაფში წარმოდგენილ ,,სომხურ საკითხში'', მაგრამ არა პროგრესის, ცივილიზაციისა და კულტურის გამავრცელებლებისა, არამედ რადიკალიზმის, ექსტრემიზმის და ტერორიზმისა. დიახ, დაშნაკებმა, ტერორისტული აქტების დაგეგმვისა და აღსრულების ამ ნამდვილმა პიონერებმა, სულ მალე გამოამჟღავნეს თავისი რეალური სახე. ამ საკითხთან დაკავშირებით ისევ სომეხი ავტორის ციტატას წარმოვადგენთ. ცნობილი დაშნაკი მოღვაწე, კ. პაპაზიანი თავის მემუარულ ნაშრომში ''Patriotizm Perverted'' (,,გარყვნილი პატრიოტიზმი") გულწრფელად აღიარებს: ,,თავისი მიზნების მისაღწევად, ტერორიზმი, როგორც პოლიტიკა და ბრძოლის მეთოდი, თავდაპირველად დაშნაკცუტიუნის კავკასიის კომიტეტმა დანერგა''.[399]

სწორედ ეს მოვლენები, ე.ი. დაშნაკთა სოციალისტური პარტიის ექსტრემისტულ-ტერორისტული საქმიანობა გახდა სომხების წინააღმდეგ რუსული ცარიზმის მიერ გატარებული მკაცრი პოლიტიკის რეალური მიზეზი და არა ზემოთ ხსენებული პატივცმული ავტორების, შოთა და ოთარ თეთვაძეების მიერ გამოთქმული მოსაზრება ცარიზმის რაღაც ,,განსაკუთრებული ჩვეულების'' შესახებ. ხოლო თუ უფრო პანორამულად შევხედავთ სომხური საკითხისა და დაშნაკთა პოლიტიკის იდეოლოგიურ საწყისებს, მაშინ ისევ დიდ პოლიტიკამდე და დიდ პოლიტიკურ თამაშებამდე მივალთ. სრულად ვიზიარებთ ედუარდ ოგანესიანის მიერ გაკეთებულ შემდეგ დასკვნას: ,,რა თქმა უნდა, ევროპული დიპლომატია მზად იყო გამოეყენებინა სომხური საკითხი ***თურქეთის*** მთავრობაზე დაწოლის საშუალებად, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ ინტერესდებოდა სომხური საკითხის გადაწყვეტით და სომხური სახელმწიფოს შექმნით. განსაკუთრებით შორს ამ საკითხისგან რუსეთი იდგა. სომხური მოძრაობა რუსეთს იმიტომ ჭირდებოდა, რომ ***თურქეთი*** დაესუსტებინა - მისთვის ***სტამბოლი***, სრუტეების რაიონი და ***თავად სომხეთი*** წაერთმია. ამ საზღვრებში დაშნაკთა მიერ წარმოებული პოლიტიკა ცარიზმისათვის მისაღები იყო, მაგრამ გეგმებს დამოუკიდებელი ,,დიადი არმენიის" შესახებ იგი გადაჭრით უარყოფდა. ამ გეგმებს ცარიზმი ,,სომხური სეპარატიზმის" გამოვლინებად განიხილავდა და მის წინააღმდეგ იბრძოდა.[400] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

ხაზგასმებთან მიმართებაში შემდეგს აღვნიშნავთ. უმჯობესი და უფრო კორექტული იქნებოდა, რომ ავტორს თურქეთისა და სტამბოლის მაგივრად, ოსმალთა იმპერია და კონსტანტინოპოლი გამოეყენებინა, ხოლო ,,თავად სომხეთის" მაგივრად - ,,ოსმალთა იმპერიის

თურქეთში, შემდეგ ინგლისსა და საფრანგეთში. ცდილობდა მოეპოვებინა დასავლეთის მხრდაჭერა თეთრი მოძრობისადმი. ამავე პერიოდში ეწეოდა პუბლიცისტურ საქმიანობას. 1921-1940 წლებში იყო პარიზში გამომავალი ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორი\, ხოლო 1937-1939 წლებში – რუსული ჟურნალის მთავარი რედაქტორი. ემიგრაციაში ყოფნის დროს მკაცრად აკრიტიკებდა ბოლშევიკებს, თუმცა, მხარს უჭერდა სტალინის მიერ გატარებულ აგრესიულ საგარეო პოლიტიკურ კურსს. კერძოდ, ღიად მიემხრო საბჭოელთა მიერ 1939 წელს ფინეთში შეჭრას და ომის დაწყებას. II მსოფლიო ომში გამოდიოდა ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ. გარდაიცვალა პარიზში, 1943 წელს.

398 Ronald Grigor Suny. Looking toward Ararat. — Indiana University Press, 1993. — 310 c. — ISBN 9780253207739.

399 K. S. Papazian. Patriotizm Perverted. Boston. 1934. Pg. 10.

400 Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство ,,Феникс". Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 12. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf

აღმოსავლური ვილაიეთები“, ,,ოსმალთა იმპერიის სომხური ვილაიეთები“ ან თუნდაც ე.წ. ,,თურქეთის სომხეთი“.

რუსეთში მიმდინარე პროცესების მსგავსად და მსგავსი სცენარით განვითარდა მოქმედებები ოსმალთა იმპერიაშიც - თავდასხმები და ტერორისტული აქტები იმპერიის მაღალი რანგის მოხელეების წინააღმდეგ, მძევალთა აყვანა, იმპერიის არასომეხი მოსახლეობის მკვლელობები, გამოძალვები და ა.შ. ისტორიული ფაქტები უამრავია. ტერორისტული აქტი თვით სულთნის - აბდულ ჰამიდ II-ის წინააღმდეგაც განხორციელდა 1905 წლის 21 ივლისს, მაგრამ სულთანი სრულიად შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. საინტერესოა, რომ ტერორისტული აქტის დამგეგმავი და ამ ჯგუფის ხელმძღვანელი, დაშნაკთა პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი პირველი იდეოლოგიური მამა, ქრისტოფერ მიქაელიან-ელენი, თავისივე დამზადებული ყუმბარის აფეთქების შედეგად დაიღუპა ჯერ კიდევ ტერაქტის ჩადენამდე, 1905 წლის 1 მარტს. თუმცა, ტერაქტი მისმა მიმდევრებმა მაინც განახორციელეს, მაგრამ საათის მექანიზმიანი ბომბი დროზე ადრე აფეთქდა. სულთანი გადარჩა, ტერაქტის უშულო განმახორციელებელი, ვინმე ზარეხი კი, თავისივე დადებულ ბომბს ემსხვერპლა. აღსანიშნავია, რომ ზარეხი, 1896 წლის 26 აგვისტოს, კონსტანტინოპოლში, ოსმალთა ცენტრალურ ბანკზე განხორციელებული თავდასხმის ერთ-ერთი ფიგურანტი იყო. ცხადია, ყოველივე ამის შესახებ სომხური ისტორიოგრაფია დუმს და ზემოხსენებული ფაქტის გამომზეურებას თავს არიდებს.

გამომდინარე სახელისუფლებო აპარატის საპასუხო რეაქციიდან და ხელისუფლების მხრიდან რეპრესიების კიდევ უფრო გამკაცრების თავიდან აცილების მიზნით, დაშნაკებმა მალე აუღეს ალღო შექმნილ მდგომარეობას და რადიკალურად შეცვალეს თავისი პოლიტიკური კურსი ცარიზმთან მიმართებაში. მათ დროებითი კაპიტულაცია გამოაცხადეს. შესაბამისად, ცარიზმის რეპრესიულმა აპარატმაც შეარბილა სომეხთა დევნა. ამ ახალი, სომხებთან კოლაბორაციონისტული კურსის გატარებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი როლი ამიერკავკასიის ახლადდანიშნულმა მეფისნაცვალმა, გენერალ-ადიუტანტმა, გრაფ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა ითამაშა, რომლის დამოკიდებულება სომხებისადმი ლოიალური, ხოლო მის მიერ გატარებული საერთო ამიერკავკასიური პოლიტიკა უფრო დამთმობი და მოქნილი გახდა. დაშნაკთა ერთ-ერთი ლიდერი, პირწავარდნილი ნაციონალისტი და პროვოკატორი, ალექსანდრ ხატისოვი (სხვათა შორის, ქალაქ თბილისის თავი 1910-1917 წლებში) დაშნაკური რაზმების ქმედებების გამო ასე იმართლებდა თავს მეფისნაცვლის წინაშე და დაშნაკთა მიერ განხორციელებულ ტერაქტებსაც გადაუდებელ აუცილებლობად თვლიდა. ამონარიდი კიევში 1906 წელს გამოცემული წიგნიდან - Грузинско-Армянскія претензии и Закавказская революция (,,ქართულ-სომხური პრეტენზიები და ამიერკავკასიური რევოლუცია“):

,,რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებულ სომხურ ბუნტს ასეთი გულახდილობით ხსნის დელეგატი ხატისოვი მეფისნაცვლის საბჭოს წინაშე, რომელიც მოწვეული იყო სომეხთა და თათართა შერიგების მიზნით. ეს ახსნა-განმარტება ,,Новое время”-მ გადმობეჭდა გაზეთ ,,Кавказ”-დან და იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი მთავრობის მხრიდან თურქეთის სომხებისადმი გამოჩენილმა გულგრილობამ, ვითომცდა უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა რუსეთის სომხები და ,,საიდუმლო-რევოლუციური” დაცვის მიზნით მათ ჩამოაყალიბეს თავით კბილებამდე შეიარაღებული საბრძოლო ორგანიზაცია ,,დაშნაკცუტიუნი”. როდესაც თავად რუსეთში დაიწყო რევოლუციური მოძრაობა, სულაც არ არის გასაკვირი(!) რომ ხსენებულმა ანტირუსულად გარდაქმნილმა ამ ორგანიზაციამ რუსულ რევოლუციასთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებულმა განაგრძო სვლა. კავკასიაში კი, ეს ორგანიზაცია ადგილობრივი სომხების დასაცავად

აღდგა, რადგან ***ისინი უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვიდრე „თურქეთის სომხები".***[401] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

ასეთი იყო იმ პოლიტიკური თვალთმაქცობისა და ლავირების ხარისხი, რაც ასე დამახასიათებელი გახდა შემდეგ, საზოგადოდ, მთელი დაშნაკური მოძრაობისათვის. დიახ, დაშნაკთა პარტია იმ ორსახოვან იანუსად იქცა, რომელმაც შექმნისთანავე განუზომელი ტკივილი მოუტანა სომეხ ხალხს, თუმცა, მალე, კავკასიაში ვორონცოვ-დაშკოვის მმართველობის პერიოდში, მართლაც „ოქროს ხანა" დაუდგათ დაშნაკებს. სწორედ ამ მომენტიდან ეყრება საფუძველი სომეხთა და რუსთა „საუკუნოვან სიყვარულსაც". ამ „სიყვარულის" წარმოშობასა და მიზეზებს კი, შემდეგი არგუმენტებით ხსნის ცნობილი სომეხი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ბახში იშხანიანი, „სომხური ნაციონალური, საზოგადო და პოლიტიკური აზროვნების გიგანტი"[402]: „რუსეთის სომხებისათვის რუსული სახელმწიფოებრიობის იდეა სისხლ-ხორცეულ საკითხად იქცა ჩვენს განაპირა მხარეში (На нашей окрайне - ა. ჩ.). არც ერთი სხვა ერი (ქართველებიც კი) ისე არ იყვნენ დაინტერესებულნი რუსული სახელმწიფოს სიძლიერესა და მისი მძლავრი საფუძვლების შექმნაში, როგორც სომხები. სომეხი ერის ფსიქოლოგიაში არსებული ეს ღრმა ტრადიცია ***(რუსეთისადმი სიყვარული)*** (ზუსტად ეს სიტყვებია ტექსტში - ***Любовъ к Росии*** - ა. ჩ.) შედეგი იყო მთელი რიგი ისტორიული, გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორებისა. აი, რატომ იყვნენ სომხები მზად, მათ ხელთ არსებული ყველა გზებითა და საშუალებებით მხარი დაეჭირათ ძლიერი რუსული სახელმწიფო ხელისუფლებისათვის ჩვენს განაპირა მხარეში. ***მეორეხარისხოვანია ის საკითხი, თუ რა სისტემისა და რეჟიმის მიმდევარი იქნება რუსული სახელმწიფოებრივი ხელისუფლება. ეს იმ რეფორმების პრობლემაა, რომელიც არაფერს არ წარმოადგენს იმ დიდ დილემასთან შედარებით, რომელსაც ჩვენს განაპირა მხარეში რუსული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ყოფნა-არყოფნის საკითხი ჰქვია".***[403] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

დიახ, რუსებისა და რუსეთის მიმართ სომეხთა სწორედ აი ასეთი გაფეტიშებული ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობას ეყრებოდა საფუძველი XX საუკუნის დასაწყისიდან. ბატონ იშხანიანის წიგნიდან მოტანილი ციტატა იმითაც არის საინტერესო, რომ აქ სიტყვათა ერთობ საინტერესო წყობას ვხვდებით - На нашей окрайне. აქ კიდევ ერთ დაშიფრულ სომხურ ეშმაკობას ვაწყდებით. Наша окрайна ერთობ ბუნდოვანი და მრავლისმეტყველი გეოგრაფიული ცნებაა. ზემოთაც ვნახეთ, რომ გეოგრაფიული კატეგორიების ხელოვნური გაბუნდოვანებაც ერთობ დამახასიათებელი შტრიხია დაშნაკთათვის. ეს წიგნი 1919 წელსაა დაწერილი და ჩვენდა გასაკვირად იგი ბაქოშია გამოცემული. ცხადია, ჩვენთვის უცნობია თუ რომელ თვეში გამოიცა იგი, მაგრამ 1919 წელი ზუსტად ის პერიოდია, როცა ერთიანი ფედერაციის დაშლის შემდეგ ამიერკავკასიაში ერთდროულად სამივე დამოუკიდებელი რესპუბლიკა არსებობდა, განსხვავებით თუნდაც 1918, 1920 ან 1921 წლებისაგან. მაშინ საინტერესოა, რას გულისხმობდა ბატონი ბახში იშხანიანი ამ მეტად ბუნდოვან ტერმინ „Наша окрайна"-ს ქვეშ? - სომხეთს? აზერბაიჯანს? საქართველოს? თუ ამიერკავკასიას და სამივე რესპუბლიკას ერთად? იქნებ მთელ კავკასიასაც? ან უფრო მეტსაც? პასუხგაუცემელი კითხვის ნიშნები აქაც საკმარისზე მეტია. იმ დასკვნაში კი, აბსოლუტურად ვეთანხმებით ბატონ შოთა და ოთარ თეთვაძეებს, რომ ***„ი. ვორონცოვ-დაშკოვმა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით მფარველობის ქვეშ აიყვანა სომეხი ნაციონალისტები და სომხური ბურჟუაზია".***

---

[401] Н. М. Грузинско-Армянскія претензии и Закавказская революция. Кіевъ. 1906. გვ. 41.

[402] http://ru.hayazg.info/%D0%98%D1%88%D1%85%D0%B0%D0%BD%D1%8F%D0%BD_%D0 % 91%D0 % B0%D1%85%D1%88%D0%B8

[403] Б. Ишханянъ. Тенденции мусульманскаго движенія. Баку. Типографія „Труженикъ". 1919. გვ. 77.

რუსეთის მთავრობას ამიერკავკასიის ფარგლებში სომეხთა მიერ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ოცნების შესაძლებლობა კი, ფიქრადაც არ მოსდიოდა, ამიტომ, როგორც უკვე აღინიშნა, იმპერიას სომეხთა ჩამოსახლება საქართველოში საშიშროებად არ მიაჩნდა, რადგან სამაგიეროდ რეგიონში ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონა მცირდებოდა და თანაც საქართველოში რუსეთის უერთგულეს ქვეშევრდომთა რიცხვი უმრავლდებოდათ. მაგრამ როდესაც ამიერკავკასიაში ერობის შემოღებაზე დაიწყეს მსჯელობა, მაშინ უკვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ პოლიტიკოსებს ოსმალეთიდან სომეხთა საქართველოში გადმოსახლება, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ***...მარტო ფიზიკურად გადარჩენის თვალსაზრისით კი არ აინტერესებდათ, არამედ გარკვეული პოლიტიკურ-ეროვნული გეგმის განსახორციელებლად, გაბნეული სომხებისათვის ერთიანი მთლიანი ტერიტორიის შესაქმნელად იყო საახალშენო ადგილები არჩეული"...***[404] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

ბატონ დავით ვაჩნაძის შეფასებით კი, ,,ვორონცოვის პოლიტიკამ მოხერხებულად გამოიყენა ქართველი მამულიშვილური წრეების მოწინააღმდეგე ძალები: პოლიტიკური პირველობის მაძიებელი და ,,კლასთა ბრძოლის" მედროშე ქართველი მარქსელების პარტია, მრავლად მოკალათებული საქართველოში სომხის დალალობა და შუაგულ ქართლში ქართველების მამულ-დედულზე დამიზნებული, ხიზნებად ჩამოსახლებული ოსობა... ვორონცოვის პოლიტიკა ზურგს უმაგრებდა სომხების პრეტენზიებს, მიმართულს აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი ტერიტორიის ნაწილების მათ სასარგებლოდ ჩამოჭრაზე (,,თბილისის გუბერნიის გადამიჯვნის პროექტი'').[405]

---

[404] შ. თეთვაძე, ო. თეთვაძე. სომხები საქართველოში. თბილისი. 1998. გვ. 85. ივ. ჯავახიშილი. მოხსენება საბჭოთა საქართველოს მთავრობას 1925 წლის 2 ივლისს. - სახალხო განათლება. 1990. 11 ნოემბერი.

[405] დავით ვაჩნაძე. ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი. თბილისი. 2004. (ორიგინალური გამოცემა - მიუნხენი. 1957. - ა. ჩ.) გვ. 29-30.

§1.9. დაშნაკთა პარტიის პროგრამა მინიმუმი და სომხური ულტრანაციონალიზმის შემდგომი განვითარება

სომეხთა რევოლუციური ფედერაცია - დაშნაკთა სოციალისტური პარტიის მეოთხე მსოფლიო კონგრესზე, რომელიც ვენაში ჩატარდა 1907 წელს, მიღებულ იქნა პარტიის პროგრამა მინიმუმი. ამავე კონგრესზე პარტია ,,დაშნაკცუტიუნი“ მუშათა II ინტერნაციონალში, ანუ, სოცინტერნში გაერთიანდა. 10 წლის შემდეგ კი, 1917 წელს, თბილისში, რუსულ ენაზე, დასახელებით - ,,Программа минимумъ Армянской революціонной партіи Дашнакцутюнъ“, რევოლუციური პარტია ,,დაშნაკცუტიუნის“ პროგრამა-მინიმუმი გამოიცა.

დაშნაკთა პარტიის პროგრამა მინიმუმის შესავალ ნაწილს და ჩვენთვის საინტერესო პუნქტებს შემდეგი სახე ჰქონდა:

,,სომეხთა რევოლუციური პარტია დაშნაკცუტიუნი'', როგორც რევოლუციური და სოციალისტური პარტია ***მიზნად ისახავს სომეხი მშრომელი მასების კლასობრივი და ნაციონალური ინტერესების დაცვას,*** (აქაც ერთობ საინტერესო სიტყვათა წყობაა - ***კლასობრივი და ნაციონალური*** - ა. ჩ.) რაც არსებული მონარქიის სახალხო მმართველობით, ხოლო კაპიტალიზმის, შრომის იარაღებისა და საშუალებების სოციალიზაციით შეცვლას ითვალისწინებს.

ხელმძღვანელობს რა სოციალისტური პრინციპებითა და იმ ოლქების რეალური საჭიროებებით, რომლებიც სომხებითაა დასახლებული, პარტია ხელმძღვანელობს შემდეგი მოთხოვნებით: (პროგრამა - minimum).

პოლიტიკურ და სამართლებრივ სფეროში.

ა) თურქეთის სომხეთისათვის:*

1. ***თურქეთის სომხეთი წარმოადგენს კონსტიტუციური თურქეთის განუყოფელ ნაწილს*** და სარგებლობს ფართო ადგილობრივი ავტონომიით.

* - 1907 წელს მიღებული პროგრამის ის ნაწილი, რომელიც თურქეთს ეკუთვნის, ომის შედეგების გათვალისწინებით შეიძლება შეიცვალოს (აქ პირველ მსოფლიო ომზეა საუბარი - ა. ჩ.).

2. ***ოსმალთა ცენტრალური მთავრობა, ორგანიზებული კონსტიტუციურ და დემოკრატიულ საწყისებზე განაგებს მთელი სახელმწიფოს საერთო საქმეებს*** - საგარეო პოლიტიკას, თავდაცვას, მონეტარულ სისტემას, ფოსტასა და ტელეგრაფს. სხვა სახელმწიფო ფუნქციებს ავტონომიური ოლქები განაგებენ.

ბ) ამიერკავკასიისათვის:

5. ამიერკავკასიის დემოკრატიული და ფედერაციული რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. პირველი მეორეზე დამოკიდებულია სახელმწიფოს დაცვის, საგარეო პოლიტიკის, მონეტარულ და საბაჟო საკითხებში.

8. ამიერკავკასიის რესპუბლიკა კანტონებად იყოფა, რომლებიც სარგებლობენ სრული ადგილობრივი ავტონომიით. კომუნები (თემები) სარგებლობენ თანაბარი უფლებებით შიდა საკითხებში.

9. ***კანტონების საზღვრების დადგენისას ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყნის გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და კულტურულ თავისებურებებს მოსახლეობის რაც შეიძლება ერთგვაროვანი ჯგუფების თავმოყრისათვის.***

11. პირდაპირი კანონმდებლობა: ინიციატივისა და რეფერენდუმის უფლება.

საერთო ორივე ქვეყნისათვის:

14. ერის უფლება თავისუფალ თვითგამორკვევაზე - ყველა ნაციონალური და რელიგიური ჯგუფების სრული თანასწორობა. ყველა მემკვიდრეობითი პრივილეგიების გაუქმება.

16. გადაადგილების თავისუფლება: საპასპორტო რეჟიმის შეცვლა.

20. ორი მთავარი ადგილობრივი ენის აუცილებელი ცოდნა კანტონებისა და თემების თანამდებობის პირთათვის, და სამი ადგილობრივი ენისა - მთელი მხარის ადმინისტრაციისათვის. სახელმწიფო ენის ცოდნა აუცილებელია.

21. ***მუდმივი არმიის შეცვლა სახალხო მილიციით. იარაღის ტარების უნარის მქონე თითოეული მოქალაქე მონაწილეობს მილიციაში. მილიციონერები მოვალეობას იხდიან თავიანთ ოლქებში. მილიციის გაწვევა ხდება მაშინ, როცა სახელმწიფოს თავისუფლებასა და ერთიანობას საფრთხე ემუქრება.*** თითოეული მილიციონერი სამსახურის გავლის პერიოდში იღებს მინიმალური ხელფასის ოდენობის ანაზღაურებას''.[406] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

აი, ასეთი სახე ჰქონდა თბილისში 1917 წელს რუსულ ენაზე გამოცემული დაშნაკთა პარტიის პროგრამა მინიმუმის ჩვენთვის საინტერესო ძირითად პუნქტებს.

წარმოდგენილ დოკუმენტში, ერთი შეხედვით, განსაკუთრებული და მით უმეტეს, საგანგაშო თითქოს არაფერია. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. თუ ყურადღებით წავიკითხავთ და გავაანალიზებთ ამ პუნქტებს, მეტად საინტერესო დასკვნებამდე მივალთ. კერძოდ: პრეამბულაში ცალსახადაა აღნიშნული, რომ დაშნაკთა პარტიის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ სომეხ ერზე ზრუნვაა. 1-ლ და მე-2 პუნქტებში კი, ხაზგასმულია ოსმალთა იმპერიის მთავრობის კონსტიტუციურობა და დემოკრატიულობა.(?!)

ეს თემა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უაღრესად საინტერესო და არაორდინარულია, იგი ცილდება ჩვენი კვლევის სფეროს და აქ დაწვრილებით ვერ განვიხილავთ, თუმცა, გარკვეულ მიმოხილვას მაინც გავაკეთებთ. ამ საკითხთან მიმართებაში კი, ერთ ენციკლოპედიურ ჭეშმარიტებას წარმოვადგენთ: ,,თურქეთის კონსტიტუციის გამოცხადება, 1908 წელს, სომეხთა მიერ ჭეშმარიტად მეგობრობის ახალი ერის დასაწყისად იქნა აღქმული. ახალგაზრდა თურქთა ადმინისტრაციამ (აქ იტიჰადისტებსა და ,,ახალგაზრდა თურქთა" ,,ერთიანობისა და პროგრესის" პარტიაზეა საუბარი - ა. ჩ.) მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სომეხი ხალხის მდგომარეობა. პოლიტიკური დევნილები სახლებში დაბრუნდნენ და მათ ქონებაც დაუბრუნდათ. სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებამ აქამდე არნახულ დონეს მიაღწია. სომეხთათვის სამხედრო სამსახურსა და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში დაშვების შესაძლებლობამ ახალი სტატუსი შესძინა მათ. რუსეთის ამიერკავკასიის სომხებიც არანაკლებ კეთილდღეობას განიცდიდნენ. საზღვრის ორივე მხარეს მაცხოვრებელი სომეხი ხალხი არასდროს ყოფილა ასე ერთიანი და გაფურჩქნული (Prosperous - ა. ჩ.)''.[407]

ეს ციტატაც ენციკლოპედია "Britannica"-დანაა მოყვანილი. ხოლო სომეხი საბჭოთა ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1975-1985 წლებში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჯონ კირაკოსიანი, თავის სქელტანიან მონოგრაფიაში ,,Младотурки перед судом истории" (,,ახალგაზრდა თურქები ისტორიის სამსჯავროს წინაშე"), აღნიშნავს, რომ ,,1911 წლისათვის დასავლეთ სომხეთში (ანუ ოსმალეთში - ა. ჩ.) 1083 სომხური სკოლა მოქმედებდა, რომლებშიც 80 ათასი ბიჭი და 30 ათასი გოგონა სწავლობდა".[408] როგორც ვხედავთ. დაწყებით და საშუალო განათლებას ოსმალეთში მცხოვრები სომეხი ახალგაზრდობა სომხურ ენაზე იღებდა და აქ მოქმედი ნაციონალური სომხური სკოლების რიცხვიც ერთი რიგით მაინც აღემატებოდა რუსეთის იმპერიაში იმ დროისათვის არსებულ იგივე მაჩვენებლებს. არა გვგონია, რომ მსგავს სურათს რომელიმე ეპოქის რომელიმე იმპერიაში მცხოვრებ რომელიმე ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში ჰქონოდა

---

406 Программа минимумъ Армянской революціонной партіи Дашнакцутюнъ. Тифлисъ. Библіотека ,,Арачъ''. №65.

407 Encyclopaedia "Britannica". A new Survey of Universal knowledge. Vol. 2. Chicago, London. Toronto. გვ. 380.

408 Дж. С. Киракосян. Младотурки перед судом истории. Ереван. Айастан. 1989. გვ. 136.

ადგილი. ავტორის მიერ მოყვანილი ეს მონაცემებიც ცალმხრივად მეტყველებენ ოსმალთა იმპერიაში მცხოვრებ სომეხთა პრივილეგირებულ მდგომარეობაზე. აქვე დავამატებდით, რომ ,,ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციის შემდეგ პირველად ხდება პარტია ,,დაშნაკცუტიუნის“ ლეგალიზება, ხოლო თურქეთის პარლამენტის ქვედა პალატაში სომხური თემიდან 14 დეპუტატი აირჩიეს.

დაშნაკურ-იტიჰადისტური ერთიანობისა და ჰარმონიის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს დაშნაკთა პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრისა და ლიდერის, ცნობილი იურისტისა და პუბლიცისტის, ატომ (არუთინ) შახრიკიანის შემდეგი სიტყვები, რომელიც 1910 წელსაა წარმოთქმული: ,,არც ერთი სხვა ერი, გარდა სომეხი ერისა, თავისი განვითარების გეოგრაფიული, ეთნიკური და ისტორიული პირობებით ისე არაა დაინტერესებული იმაში, რომ ***უყვარდეს და დაიცვას*** (ზუსტად ეს სიტყვებია ტექსტში - ***Любить и защищать*** - ა. ჩ.) ოსმალური კავშირი. კავშირის თითოეული წევრის, განსაკუთრებით კი, სომეხი ერის ინტერესები მოითხოვენ, რომ დავეხმაროთ ამ სახელმწიფოს აღორძინებისა და განვითარების საქმეში''.[409]

აი, ასეთი, რუსების შემდეგ ,,მეორე დიდი სიყვარული'' ჩაისახა სომხებსა და ოსმალებს შორის უკვე 1909 წლიდან, ოსმალთა იმპერიის ხელისუფლებაში ,,ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიისა და ,,ახალგაზრდა თურქების'' (იტიჰადისტების) მოსვლის შემდეგ. ერთობ ,,მოსიყვარულე'' ხალხად იქცნენ უცებ სომხები XX საუკუნის 10-იან წლებში. თვით სტეფან ზორიან-როსტომიც კი, პარტია ,,დაშნაკცუტიუნის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი იდეოლოგი, ლონდონში ყოფნისას ღიად და საზეიმოდ აცხადებდა: ,,გარწმუნებთ, რომ თურქეთის სომხეთის სომეხ მოსახლეობას არასდროს არ ჰქონია ასეთი მშვიდი და უსაფრთხო ცხოვრება, როგორც ეს 1909 წლიდან, ახალი რეჟიმის პირობებში იყო. მე ვცხოვრობდი ამ ქვეყანაში და პირადად დავრწმუნდი ამაში''.[410]

როგორც ვხედავთ, 1910 წლისათვის, რუსეთის იმპერიის მსგავსად, აქაც სომხურ-თურქული ურთიერთობების სრული იდილიის სურათი გვაქვს სახეზე. ასეთ ოაზისურ პირობებში აღმოჩნდნენ სომხები ოსმალთა იმპერიის ხელისუფლებაში ,,ახალგაზრდა თურქთა” მოსვლისთანავე, რომლებმაც სომეხ დაშნაკებს გასულ წლებში იმპერიის წინააღმდეგ ჩადენილი ყველა დანაშაული აპატიეს. ,,ახალგაზრდა თურქთა'' იმპერიის სომეხი მოსახლეობისადმი მინიჭებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ავტონომიის ხარისხი კი იმდენად მაღალი იყო, რომ იგი დღევანდელი, XXI საუკუნის დემოკრატიებისთვისაც კი, სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს. ამ კონტექსტში ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ნიშანდობლივ მომენტს გამოვყოფთ:

1. მხოლოდ და მხოლოდ სომხებისათვის შენარჩუნებული და დაცული იყო ეროვნებისა და გვარ-სახელების ჩაწერა პირადობის დამადასტურებელ საბუთებში;
2. ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე სრულდებოდა სომხური ტიპიკონი;
3. ფუნქციონირებდა ასეულობით სომხური სკოლა, სადაც სწავლა-განათლება სომხურ ენაზე მიმდინარეობდა;
4. სომხურ ენაზე გამოდიოდა მრავალი გაზეთი და ჟურნალი. სომხურ ენაზე იბეჭდებოდა წიგნები;
5. ვითარდებოდა და იფურჩქნებოდა სომხური კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგი;
6. და რაც მთავარია - აბსოლუტურად შეუზღუდავი იყო სომეხთათვის იმპერიის სახელმწიფო-ადმინისტრაციული აპარატისა და სამხედრო სამსახურის ნებისმიერი საფეხურის

---

409 Дж. С. Киракосян. Младотурки перед судом истории. Ереван. Айастан. 1989. გვ. 156. Атом. Наша вера в национальном вопросе. Константинополь. 1910.

410 Дж. С. Киракосян. Младотурки перед судом истории. Ереван. Айастан. 1989. გვ. 158. Тонапетян Петрос (Вагинак). Армения и армянский народ через века. Том II. Париж. 1949. გვ. 359.

დაკავების შესაძლებლობა და კარიერული ზრდის პერსპექტივა. სწორედ ამ უფლებების რეალიზაცია იყო ის ფაქტი, რომ თურქეთის პარლამენტში XX საუკუნის 10-იან წლებში მნიშვნელოვანი იყო სომეხი ეროვნების დეპუტატთა რიცხვი, ხოლო სომხებით მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, თვითმმართველობის ორგანოებში საპასუხისმგებლო პოსტები მხოლოდ და მხოლოდ სომეხი ეროვნების წარმომადგენლებზე მოდიოდა. ეს ჩამონათვალიც საკმარისია ალბათ იმ დასკვნის გამოსატანად, რომ სომხური აგრესიული სეპარატიზმი და ექსპანსიონისტური მისწრაფებები თუნდაც ოსმალთა იმპერიაში არ იყო გამოწვეული სომეხთა ცხოვრების მძიმე და აუტანელი მდგომარეობით, რის დახატვასაც ახლა ცდილობენ სომეხი და პროსომეხი ვაი-მეცნიერები და პროვოკატორი ავტორები. ის მოსაზრებებიც, თითქოს თურქეთის სომხური მოსახლეობა რელიგიურ, ეროვნულ ან სოციალურ ჩაგვრას და დევნას განიცდიდა - მტკნარი სიცრუეა. მტკნარი სიცრუეა ისიც, თითქოს XX საუკუნის დასაწყისის სომხურ-აზერბაიჯანულ ან სომხურ-თურქულ პერმანენტულ ტერიტორიულ დავებს რელიგიური სარჩული ედო საფუძვლად და სომხები თავისი სარწუნოებისა და ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენისათვის იბრძოდნენ და იბრძვიან. და საერთოდ, ტოტალურ სიცრუეზეა დაფუძნებული სომეხი დაშნაკების მთელი იდეოლოგია, ამ იდეოლოგიის სტრატეგიული ხაზიც და მათი მოქმედებების ტაქტიკაც.

აი, ასეთი სასტარტო პირობებით შეხვდნენ სომეხი ნაციონალისტები ახალი ერის დადგომას. აქ ჩვენ, XX საუკუნის 10-იანი წლები და I მსოფლიო ომის დაწყება გვაქვს მხედველობაში.

დავუბრუნდეთ დაშნაკთა პარტიის პროგრამა მინიმუმის ჩვენთვის საინტერესო და მეტად ნიშანდობლივ პუნქტებს.

მე-8, მე-9 და მე-11 პუნქტების მიხედვით ამიერკავკასია თანაბარი უფლებების მქონე კანტონებად უნდა დაყოფილიყო, რაც ერთი შეხედვით, მართლაც ძალიან დემოკრატიულად ჟღერს, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ კანტონებში უნდა გაერთიანებულიყვნენ ლოკალური უმრავლესობის მქონე ეროვნული ჯგუფები. უფრო ზუსტად, ამ ე.წ. ,,კანტონების'' საზღვრები შემოიწერებოდა არსებული მომენტისათვის მცხოვრები ეროვნებების მხოლოდ და მხოლოდ რეალური რაოდენობის მიხედვით და ეს პროცესი ,,ინიციატივისა'' და რეფერენდუმის გზით უნდა განხორციელებულიყო. მაგრამ ამ პუნქტებში არ არის მითითებული თუ ვისი ,,ინიციატივით'' უნდა ჩატარებულიყო ეს ე.წ. ,,რეფერენდუმი''. რაც ყველაზე საინტერესოა, ერთა თვითგამორკვევის პრინციპს თანაბრად უნდა ემუშავა როგორც თურქეთის, ასევე რუსეთის (ამიერკავკასიის) ტერიტორიაზე.

მე-14 პუნქტის მოთხოვნები აშკარად ფორმალური ხარკის მოხდა იყო სოციალისტური იდეალებისადმი და კიდევ ერთი ნათელი მაგალითი დაშნაკი ნაციონალისტების ცუდად შენიღბული ხრიკებისა. რომელ ,,ნაციონალურ და რელიგიურ ჯგუფებზე'' შეიძლებოდა საუბარი მონოეთნიკურ ,,დიად არმენიაში''.

მე-16 პუნქტის მიხედვით სომხებით დასახლებულ კანტონებს შორის, მიუხედავად იმისა, ისინი თურქეთში იქნებოდნენ თუ ამიერკავკასიაში, საპასპორტო რეჟიმი უნდა გაუქმებულიყო (გავიხსენოთ გრ. ჩალხუშიანის მოთხოვნების ერთ-ერთი პუნქტი ი. ვორონცოვ-დაშკოვისადმი), ანუ, გარანტირებული უნდა ყოფილიყო სომეხთა შეუზღუდავი მიმოსვლა და ყოველგვარი ურთიერთობების დამყარება სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანამემამულეებს შორის, რაც საერთო ჯამში, კონკრეტული მომენტისათვის, სომეხი მოსახლეობის ლოკალური უმრავლესობის ხელოვნურად შექმნისა და ლოკალური დომინირების შესაძლებლობას ნიშნავდა.

მე-20 პუნქტი დაშნაკთა პარტიის პროგრამის ალბათ ყველაზე უფრო შენიღბული და დაშიფრული ელემენტია. ამ პუნქტში აშკარად სპეციალურადაა აღრეული ისეთი ფუნდამენტური პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და გეოგრაფიული კატეგორიები, როგორიცაა თემი, კანტონი, მხარე, სახელმწიფო. ორი ენის ცოდნაში ალბათ სომხური და თურქულის ენების ცოდნა

იგულისხმებოდა ოსმალთა იმპერიაში მცხოვრები სომხებისათვის. სომხურისა და რუსულის ცოდნა - რუსეთის იმპერიაში მცხოვრები სომხებისათვის. ხოლო სამი ენის ცოდნაში, შესაბამისად - სომხური, თურქული და რუსული ენების ცოდნა. თითქოს გასაგებია, მაგრამ სრულიად გაუგებარია პროგრამა მინიმუმის ამ პუნქტის ბოლო წინადადება - ,,Государственный языкъ обязателенъ''. ძალიან საინტერესოა, კიდევ რომელი სახელმწიფოს რომელი სახელმწიფო ენის ცოდნაზე იყო აქ საუბარი? ყველა ზემოთ დასმული კითხვა რიტორიკულია და მასზე შესაბამისი პასუხების მოძებნა მკითხველისათვის მიგვინდვია.

21-ე პუნქტის მიხედვით სომეხთათვის უნდა გაუქმებულიყო რეგულარულ ჯარში სამსახური, ე.ი. სომეხი ეროვნების მქონე პირები თავიანთი ქვეყნების (თურქეთისა და რუსეთის) წინაშე თავიდან იცილებდნენ ნებისმიერი ქვეყნის თითოეული მოქალაქისათვის პირველად და წმიდათაწმინდა მოვალეობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პარტია თავისი პროგრამის დონეზე მოითხოვდა თითოეული სომეხისაგან სამხედრო სამსახურისგან თავის არიდებას და მასიურ ეროვნულ დეზერტირობას. სამაგიეროდ, საჭიროების შემთხვევაში, სრული მობილიზაცია გამოცხადდებოდა იარაღის ტარების უნარის მქონე თითოეული სომეხი ეროვნების მქონე მოქალაქისათვის. ე.ი. ,,საჭიროების შემთხვევაში" შესაძლებელი იქნებოდა განუზომლად დიდი რაოდენობის სამხედრო კონტინგენტის მობილიზაცია. მაგრამ აქ არ იყოს განსაზღვრული თუ ვინ, რა შემთხვევაში და რომელი ორგანო გამოაცხადებდა სრულ ეროვნულ მობილიზაციას. და რაც მთავარია, ეს ე.წ. ,,მილიციონერები'' თავის სამხედრო მოვალეობას მოიხდიდნენ მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ ,,ნაციონალურ კანტონებში''. აქ დასმულ რიტორიკულ კითხვებსაც, ცხადია, შემდეგი პასუხი მოეძებნება:

საყოველთაო მობილიზაციის საჭიროებას, რა თქმა უნდა, სომეხ დაშნაკთა სოციალისტური პარტია და მისი მთავარი ბიურო განსაზღვრავდა. პარტიის მთავარი ბიურო კი, ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა მაშინ, იქ და ისეთი მასშტაბებით, როდესაც, როგორც და სადაც ამას ჩათვლიდა იგი საჭიროდ. აი, სწორედ აქაა ძაღლის თავი ჩამარხული...

ყოველივე ზემოთქმულისა და ყველა წყალქვეშა დინების გაშიფვრის შემდეგ, ვიღებთ შემდეგ დასრულებულ სურათს: 1907 წლისათვის (და 1917 წელსაც) დაშნაკთა პარტია, ანუ, სომეხთა ყველაზე უფრო რეაქციული და ნაციონალისტური მოძრაობის იდეოლოგიური ფორპოსტი, ცარისტული რუსეთისაგან განსხვავებით, ოსმალთა იმპერიას კონსტიტუციურ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ თვლიდა. მიზეზებზე ზემოთ გვქონდა საუბარი. პარტია 1907 წლის მდგომარეობით აშკარად აღიარებდა ოსმალთა იმპერიის ურღვევობას, თუმცა, 1917 წელს დამატებული შენიშვნის ძალით, I მსოფლიო ომის შედეგების გათვალისწინებით დასაშვები იყო პარტიის პროგრამაში გარკვეული ცვლილებების შეტანა.

ამ პროგრამა მინიმუმის მიხედვით, ყბადაღებული ,,რეალური მოსახლეობისა" და ,,ერთა თვითგამორკვევის დემოკრატიული პრინციპებიდან'' გამომდინარე, ეროვნული კანტონების ჩამოსაყალიბებლად საჭიროა სომეხი ეროვნების მქონე მოსახლეობის ლოკალური სიჭარბის მიღწევა ამიერკავკასიისა და ოსმალთა იმპერიის ტერიტორიების განსაზღვრულ რეგიონებში (რეალური მოსახლეობის პრინციპი) და აქედან გამომდინარე, ,,დიადი არმენიის'' ეთნოჯგუფებისა და ელემენტების შექმნა. ამ ელემენტებს შორის ურთიერთობები და მიმოსვლა თავისუფალი და შეუზღუდავი უნდა იყოს. შემდეგ კი, ,,საერთო რეფერენდუმით" (ერთა თვითგამორკვევის პრინციპი) მოხდება თითოეული ამ ელემენტის ლეგიტიმაცია და შეერთება. აქედან კი, ვირტუალური მონოეთნიკური სახელმწიფოს შეკოწიწებამდე ერთი ნაბიჯია. მაგრამ ამ თითქოს მძივივით ასხმულ ჩანაფიქრში ერთი ძალიან დიდი ,,მაგრამ" იყო გასათვალისწინებელი. საქმე იმაშია, რომ ოსმალთა იმპერიის თვით აღმოსავლეთ ვილაიეთებშიც კი, რომელსაც თავად სომხები ,,დასავლეთ სომხეთად" ან ,,თურქეთის სომხეთად" მოიხსენიებდნენ, სომხები მოსახლეობის

უმრავლესობას არ წარმოადგენდნენ. ამონარიდი ცნობილი რუსი სამხედრო ისტორიკოსისა და გეოგრაფის, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის, გენერალ-მაიორ ნიკოლაი კორსუნის ლექციათა ციკლიდან სამხედრო გეოგრაფიაში, რომელიც წითელი არმიის სამხედრო აკადემიაში იკითხებოდა 1923 წელს: ,,[პირველ] მსოფლიო ომამდე სომეხთა რაოდენობა 1500000-ს შეადგენდა და ისინი ძირითადში სომხურ ვილაიეთებში ცხოვრობდნენ (ძველი დიდი და მცირე არმენიის შემადგენელი ნაწილები). მთელს ამ ტერიტორიებზე მუსლიმანები (თურქები და ქურთები) რიცხობრივად მათ ხუთჯერ აღემატებოდნენ. ჩვენთან მიმდებარე ტერიტორიებზე კი, 1914-1918 წლების ომამდე, თურქეთის აზიურ ნაწილში მცხოვრებ სომეხთა ორი მესამედი იყო კონცენტრირებული, მაგრამ აქაც ისინი მთელი მოსახლეობის მხოლოდ 25%-ს შეადგენდნენ. და საერთოდ, მუსლიმთა რაოდენობა მათ რიცხობრივად სამჯერ აღემატებოდა“.[411]

თვით გენერალი ანტონ დენიკინიც კი, ცნობილი თავისი პროსომხური და არმენოფილური განწყობებით, თავის ცნობილ მემუარულ ნაშრომში ,,Очерки русской смуты“, წერს: ,,როდესაც [1918 წლის] დეკემბრის ბოლოს [სომხეთის] პარლამენტი მსჯელობდა პარიზში გასაგზავნი დელეგაციის შესახებ, აღმოჩნდა, რომ დელეგაციის წევრთა შორის აზრთა წინანდელი ერთიანობა აღარ იყო. დაშნაკცუტიუნის მმართველ პარტიაში ხმები ორად გაიყო: ნაწილი ორივე სომხეთის ავტონომიის ან ფედერაციის მომხრე იყო რუსეთის შემადგენლობაში, მაშინ როცა ნაწილი ,,დიდი და დამოუკიდებელი სომხეთის“ შექმნას მოითხოვდა ქილიკიის შეერთებით და შავსა და ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელების მოპოვებით. ***ეს ამერიკული პროექტი იყო,*** რაც გამარჯვებულთა ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა, რომლებიც ჯერ კიდევ თავიანთი სიძლიერის ილუზიებში ცხოვრობდნენ. საკითხის ასეთი გადაწყვეტის შემთხვევაში, ***ამ ახალ ტერიტორიებზე მცხოვრები სომეხი და მუსლიმი მოსახლეობის რაოდენობებს შორის მივიღებდით თანაფარდობას ოთხს ერთთან, ამ უკანასკნელის სასარგებლოთ“.***[412] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.). ამ ამონარიდიდანაც კარგად ჩანს მომავალი ე.წ. ,,დიადი სომხეთის“ გეოგრაფიული განფენილობის მასშტაბები და ამ ,,ახალ ტერიტორიებზე“ მცხოვრებ ხალხთა რაოდენობებს შორის თანაფარდობა. რაც შეეხება ფორმულირებას - ,,ამერიკული პროექტი“, მასთან მიმართებაში ავტორი ცდება. 1918 წლისათვის ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთ ანატოლიის მიწებზე ამერიკელთა მიერ ,,დიადი სომხეთის“ შექმნის საკითხი არ და ვერ განიხილებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ ტერიტორიებზე მმართველობის მანდატი ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ერთპიროვნულად დიდ ბრიტანეთს ჰქონდა მინიჭებული. ამერიკულმა პროექტმა მოგვიანებით, მხოლოდ 1920 წლისათვის იჩინა თავი, რაც გაფორმდა კიდეც 1920 წლის 10 აგვისტოს სევრის ხელშეკრულების სახით. მასზე ჩვენ მონოგრაფიის მეორე ნაწილში გვექნება უფრო არსებითი საუბარი.

,,დიად არმენიასთან“ დაკავშირებით ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი სომეხი ავტორი, ამ საკითხთან მიმართებაში, დამოუკიდებელი სომხეთის მთავრობის პირველი თავმჯდომარის, ოვანეს კაჩაზნუნის[413] განსაკუთრებულ პოზიციებს უსვამს ხაზს. კერძოდ, ისინი

---

411 Корсун Н. Г. Турция – Курс лекции по военной географии, читанных в Военной академии РККА. Москва. Высший военный редакционный совет. 1923. Стр. 37. По материалам книги «Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов» Перинчека Мехмет Бора. «Лаборатория Книги»-2011, стр.61.

412 Мехмет Перинчек. Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов. М.: ,,Лаборатория Книги ‘‘. 2011. ISBN 978-5-903271-73-3. Стр.169-170. Деникин А. И. Очерки русской смуты. Т. 4. Берлин. 1925. Стр. 173.

413 ოვანეს კაჩაზნუნი (იგითხანიანი) (სომხ. Հովհաննես Քաչազնունի (Իգիթխանանի)) (1868-1938წ.წ.) – წარმოშობით არზრუმელი, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი სომეხი ეროვნების პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, სომხეთის რესპუბლიკის პირველი პრემიერ მინისტრი 1918 წლის 6 ივნისიდან 1919 წლის 7 აგვისტომდე პერიოდში. პარტია ,,დაშნაკცუტიუნის'' აქტიური წევრი. დაიბადა ახალქალაქში. 1886 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა თბილისში. შემდეგ წარჩინებით დაამთავრა

ამტკიცებენ, რომ თითქოს სომხეთის რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრი, ოვანეს კაჩაზნუნი ,,დიადი არმენიის“ იმ საზღვრებში შექმნის წინააღმდეგი იყო, რომელიც პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარსადგენად იყო განსაზღვრული. ასე მაგალითად, ერევნის უნივერსიტეტის პროფესორი გეგამ პეტროსიანი წერს: ,,ამასთან ერთად, როგორც სომხეთის რესპუბლიკის, ასევე სპიურკის (სომხური დიასპორის) მრავალი პოლიტიკური მოღვაწე თვლიდა, რომ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საჭირო იყო სომეხი ხალხის მოთხოვნის წაყენება ,,დიადი არმენიის“ შექმნის შესახებ. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ოვანეს კაჩაზნუნის მიერ. ლექციაში, ,,სომხეთის დამოუკიდებლობა და ჩვენი მომავალი საზღვრები“, რომელიც მან ერევანში წაიკითხა სომეხ ახალგაზრდებთან, იგი ზომიერი პოზიციების მოთხოვნით გამოდიოდა. კაჩაზნუნი აღნიშნავდა, რომ საზღვარგარეთელი სომეხი მოღვაწეების მოთხოვნები ,,განუხორციელებელი, და მეტიც, მავნებლურია ჩვენი მომავლის თვალსაზრისით. თუ ჩვენ ვაღიარებთ დიადი არმენიის საზღვრებს, ასეთ შემთხვევაში ამ სახელმწიფო საზღვრების დაცვისათვის მთელი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა სასაზღვრო ჯარებად უნდა გადაქცეულიყო“.[414] არავითარი საფუძველი არ უნდა გვქონდეს თითქოს იმაში, რომ ეჭვი შევიტანოთ მოყვანილი ცნობის სანდოობაში. ავტორი ერევანში გამომავალი სომხური გაზეთის ,,ზანგ“-ის 1918 წლის 15 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ცნობებს ეყრდნობა. მაგრამ ცოტა გასაკვირია, რომ კაჩაზნუნის მიერ ამ

სანკტ-პეტერბურგის არქიტექტურის ინსტიტუტი 1893 წელს. აქვე ერთვება რევოლუციურ მოძრაობაში და ხდება პარტია ,,დაშნაკცუტიუნის'' აქტიური წევრი. იმავე წელს ბრუნდება ამიერკავკასიაში და იწყებს პროფესიულ საქმიანობას. მუშაობს არქიტექტორად ჯერ ბაქოში (1893-1895წ.წ.), შემდეგ ბათუმში (1895-1897წ.წ.), ბოლოს კი, თბილისში (1897-1899წ.წ.). 1905-1906 წლებში იყო სომეხ-თათართა დაპირისპირების მონაწილე. 1909 წელს აპატიმრებენ, თუმცა, მალევე ათავისუფლებენ. 1911-1914 წლებში, სამართლებრივი დევნისგან თავის არიდების მიზნით, იმყოფებოდა ემიგრაციაში. ოსმალეთის სომხურ მოსახლეობაში ეწეოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეის პროპაგანდას. ცხოვრობდა საფრანგეთში, ბელგიაში, კონსტანტინოპოლში. 1914 წელს ბრუნდება ამიერკავკასიაში და ფუძნდება თბილისში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ხდება მისი პოლიტიკური გააქტიურება. მას სომეხთა ეროვნული საბჭოს წევრად ირჩევენ, ხოლო 1918 წელს ხდება ამიერკავკასიის სეიმის წევრი. 1918 წლის აპრილში ირჩევენ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წევრად. იგი მზრუნველობის მინისტრი ხდება. მონაწილეობდა ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციებს შორის 1918 წლის გაზაფხულზე მიმდინარე ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებში. ალექსანდრ ხატისიანთან ერთად ხელი მოაწერა 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის ხელშეკრულებას. სომხეთის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ხდება მისი პირველი პრემიერ მინისტრი. 1919 წლის აგვისტოში მისი კაბინეტი გადადგა. 1919-1920 წლებში სომხეთისათვის საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვების მიზნით სომხეთის პარლამენტის დავალებით იმყოფებოდა ევროპასა და ამერიკის შერთებულ შტატებში. 1920 წლის სექტემბერში ბრუნდება სომხეთში და ინიშნება სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. 1920 წლის ნოემბერ-დეკემბრის სომხეთის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ მას ბოლშევიკები აპატიმრებენ, თუმცა, დაშნაკები მალევე ათავისუფლებენ. 1921 წლის დადგომისთანავე მიდის ემიგრაციაში და 1921-1924 წლებში იმყოფებოდა ირანში, ინდოეთში, ეგვიპტეში, თურქეთსა და რუმინეთში, ცხოვრობდა ბუქარესტში. 1923 წელს იბეჭდება მისი ცნობილი მემუარული ნაშრომი ,,დაშნაკცუტიუნს აღარაფერი დარჩა გასაკეთებელი''. ამავე წელს ტოვებს ,,დაშნაკცუტიუნის'' რიგებს. მალევე კოლაბორაციაში შედის ბოლშევიკებთან. საბჭოთა სომხეთის მთავრობის ნებართვით 1925 წელს ბრუნდება სამშობლოში და ლენინაკანში იწყებს მუშაობას არქიტექტორად. შემდგომი წლები ცხოვრობდა ერევანში, ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას ერევნის უნივერსიტეტსა და სამშენებლო ინსტიტუტში. 1930 წელს მიიღო პროფესორის თანამდებობა. იყო საბჭოთა სომხეთის სახელმწიფო დაგეგმვის კომიტეტის ტექნიკური საბჭოს წევრი. 1931 წლიდან გადის პენსიაში და წყვეტს აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას. დიდი საბჭოური რეპრესიების დროს, 1937 წელს, დააპატიმრეს. გარდაიცვალა ციხეში 1938 წელს. გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია.

414 Гегам Петросян. Отношения Республики Армения с Россией (1918-1920 гг.). Ереванский Государственный Университет. Ереван. Издательство ЕГУ. 2012. Стр. 113-114. Газета «Занг», Ереван, 15 декабря 1918 г.

ლექციის ჩატარების, და შესაბამისად, ამ საგაზეთო პუბლიკაციის თარიღი სომხეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობის ინტენსიურ ფაზას ემთხვევა. ანუ, ,,დიადი არმენიის" შექმნის სისხლიანი და მეტად ავანტიურისტული პროცესი უკვე დაწყებულია, რომელშიც, ცხადია, სომხეთის პრემიერ-მინისტრის ჩართულობა ნამდვილად არ იყო და ვერც იქნებოდა მეორეხარისხოვანი საკითხი.

დავუბრუნდეთ ისევ განსახილველ საკითხს და ჩვენს მიერ დასმულ ,,მაგრამს"... დიახ, ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების სომეხი მოსახლეობის რაოდენობების შესახებ, ცალსახად მეტყველებენ იმაზე, რომ რეალური მოსახლეობისა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპთან მიმართებაში, დაშნაკებს დიდი პრობლემები ეღობებოდათ წინ. სომხები, საერთო ჯამში, ოსმალეთის აღმოსავლურ ვილაიეთებშიც და ამიერკავკასიაშიც, თურქებთან, ქართველებთან და აზერბაიჯანელებთან მიმართებაში რაოდენობრივად უმცირესობას წარმოადგენდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ეტაპზე პარტია დაშნაკცუტიუნის ამოცანას შეადგენდა სომეხი მოსახლეობის ლოკალური უმრავლესობის მიღწევა წარმოსახვითი ,,დიადი არმენიის" ,,პერსპექტიულ მიწებზე" - ოსმალთა იმპერიის აღმოსავლეთ ვილაიეთებსა და ამიერკავკასიაში, მათ შორის - ისტორიულ ქართულ მიწებზე. ამ უმრავლესობის მიღწევის გზებსა და მეთოდებს კი, არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამ საკითხს უფრო არსებითად ჩვენ ოდნავ ქვემოთ გავშლით.

სწორედ ყოველივე ზემოთქმული იყო მიზეზი იმისა, რომ როცა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ 1918 წელს ოფიციალურად დააყენა სომეხი ლტოლვილების ახალქალაქის მაზრიდან უკან, ახლადგაჩენილ სომხურ სახელმწიფოში დაბრუნების საკითხი, სომხეთის მთავრობამ უარი განაცხადა თავისი ხალხის მიღებაზე. არადა, ამ მომენტისთვის საქართველოში შემოსულ სომეხ ლტოლვილთა რაოდენობა უკვე 300 ათასს აღწევდა.[415] სომხეთის მთავრობის მიერ დაკავებული ასეთი პოზიციის მიზეზების შესახებ გაზეთი ,,ერთობის'' რედაქცია სამართლიანად აღნიშნავდა: ,,ლტოლვილთა მიღებაზე დაშნაკელებმა უარი განაცხადეს, რადგან ისინი ხელმძღვანელობდნენ ,,დიდი სომხეთის'' იდეით, ეშინოდათ რომ ახალქალაქის მაზრაში სომეხ მცხოვრებთა რიცხვი შემცირებულიყო... მათ აზრად ჰქონდათ მომავალში ახალქალაქის მაზრაზე პრეტენზია გამოეცხადებინათ და ამ განზრახვაზე როგორ აიღებდნენ ხელს''. იგივე გაზეთის მეორე სტატიაში კი, ნათლად და გარკვევით არის ნათქვამი, რომ ***,,სომეხი ლტოლვილნი (დაშნაკთათვის) ის მძიმე არტილერიაა, რომლის ყუმბარები მათი აზრით საქართველოს რესპუბლიკას შიგ გულში ხვდება! და განა ამაზე ხელს აიღებენ?"***[416] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკაში" კი, ვკითხულობთ: ,,როგორც ,,მშაკს" ატყობინებენ აღბულაღში (თეთრიწყარო - ა. ჩ.) ჩამოსულა 1500 ლტოლვილი. ეს ლტოლვილები ახალქალაქის 40000 ლტოლვილების ერთი მცირე ნაწილია. აღბულაღში მრავალი ყაზარმებია ყოფილ რუსეთის მთავრობის მიერ მრავალრიცხოვან ჯარებისათვის აშენებული და ამ ყაზარმებში შესაძლებელია ბევრი ათი ათასი კაცის მოთავსება".[417] ამ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობამ თავი შეიკავა გადამწყვეტი ზომების გატარებისაგან და სომეხი ლტოლვილები ახალქალაქის მაზრაში დატოვა, რითაც საქართველოს მომავლისა და ქართველთათვის საბედისწერო და მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. თუ რა შედეგები მოჰყვა ამ ერთი შეხედვით ჰუმანურ, რეალურად კი, ყოვლად უპასუხისმგებლო და ანტიეროვნულ გადაწყვეტილებას, ეს უკვე საუკუნის შემდეგ გაცხადდა სრულად დღევანდელ საქართველოში. ჯავახეთის საკითხი კიდევ ერთი დიდი ანტიქართული ნაღმია დღევანდელ ქართულ სინამდვილეში, რომლის დამანგრეველ შედეგებს სულ მალე მოიმკის საქართველო...

---

[415] გაზეთი ,,სახალხო საქმე''. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. 1918 წ. შაბათი. ნოემბრის 9. №379. გვ. 2.

[416] გაზეთი ,,ერთობა''. 08. 11. 1918.

[417] გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა'' 1918. №34. გვ. 6.

ახალქალაქისაგან განსხვავებით, იგივე 1918 წელს, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობამ უდავოდ მართებული და გადამჭრელი ზომები გაატარა კახეთში, ლაგოდეხის რაიონში თავმოყრილ სომეხ ლტოლვილებთან მიმართებაში, რითაც ეფექტურად აღკვეთა სომხური ექსპანსიის მორიგი მცდელობა საქართველოს კიდევ ერთ რეგიონში. ამ საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტურად ზუსტად აღნიშნავს თანამედროვე აზერბაიჯანელი მკვლევარი, ბახტიარ ნაჯაფოვი: ,,როდესაც 1918 წლის ივლისში სომხები შეეცადნენ 15 ათასი ლტოლვილი ჩაესახლებინათ ლაგოდეხში, ისინი ქართველების მკვეთრ წინააღმდეგობას წააწყდნენ, რომლებმაც საჯარისო ნაწილების მეშვეობით ყოველგვარი ზედმეტი ცერემონიების გარეშე გარეკეს ისინი''. შემდეგ კი, აგრძელებს: ,,თუ წარსულის მწარე გამოცდილებას გავითვალისწინებთ, ეჭვს გარეშეა, რომ ქართველები სწორად მოიქცნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დღეს სომეხთა მიერ ლაგოდეხიც ,,ძირძველ სომხურ მიწად'' იქნებოდა გამოცხადებული და იგი მეორე ყარაბაღად გადაიქცეოდა''.[418] სრულიად ვეთანხმებით ავტორის ამ ისტორიულად გამართლებულ დასკვნას.

დავუბრუნდეთ დაშნაკური იდეოლოგიის ფუძემდებლურ თეზისებს. დაშნაკური ექსპანსიონიზმის სტრატეგიულ ხაზთან დაკავშირებულ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და მრავლისმეტყველ კითხვას კი, შემდეგი სახე აქვს - როგორ უნდა მოხდეს ამიერკავკასიასა და თურქეთის აღმოსავლურ ვილაიეთებში სომხური ეთნოსის სიჭარბის შექმნა?

აი, აქ კი, ჩვენის აზრით, დაშნაკური იდეოლოგიის ყველაზე უფრო საინტერესო და ,,სათუთ'' პუნქტსაც მივადექით. დასმულ კითხვაზე პასუხი გენიალურად მარტივია: საჭიროა ამ სიჭარბის შექმნა სადაც შესაძლებელია ნებაყოფლობით, მშვიდობიანი გზითა და დემოგრაფიული სტატისტიკური მონაცემების ხელოვნური მანიპულაციებით, სადაც კი ეს არაა შესაძლებელი - ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის გასახლებისა და ლიკვიდაციის, დიახ ლიკვიდაციის გზით. გავიხსენოთ ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ბატონ გრიგოლ ჩალხუშიანის ფილოსოფია ამ საკითხთან დაკავშირებით, სომეხთათვის არასასურველი გარემოს, პირობებისა და ვითარების მოსპობის შესახებ. ანუ, პირდაპირ რომ ითქვას, მეზობელი ხალხების დევნა-გასახლებისა და ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში, დაშნაკთა პარტია და მისი მთავარი ბიურო საჭირო დროსა და საჭირო ადგილზე, ,,სახელმწიფოს (რომელი სახელმწიფოს? არარსებული ,,დიადი არმენიის''?) თავისუფლებისა და ერთიანობის'' დაცვის ლოზუნგით აღჭურვილი, სომხური ეთნოსის საყოველთაო მობილიზაციას გამოაცხადებს.

როგორც ვხედავთ, უკვე აშკარად გამოიკვეთა უკიდურესი, უაღრესად აგრესიული და საშიში სომხურ-დაშნაკური ექსპანსიონიზმისა და ულტრანაციონალისტური სეპარატიზმის კონტურები. სოციალისტურ იდეოლოგიაზე ფორმალური დაყრდნობით, რეალურად კი, მკვეთრად ულტრანაციონალისტური და აგრესიული ქმედებებით, აი, ასე მარტივად მოხდება ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორიების სომეხთა მიერ ათვისება, მეზობელ სახელმწიფოებთან არსებული საზღვრების ,,დამრგვალება“ (რისი დიდი გამოცდილებაც მათ ასე უხვად ჰქონდათ წარსულშიც და აქვთ აწმყოშიც) და შესაბამისად - ,,დიადი არმენიის'' შეკოწიწება. ნელ-ნელა იკვეთებოდა სომხური ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი თეზისიც, რომელსაც შემდეგი სახე ჰქონდა: ,,შენ სომეხი ხარ და მსოფლიოზე უნდა იბატონო. ამიტომ უნდა გაანადგურო თურქები, აზერბაიჯნელები, და საერთოდ, კავკასიელი მუსლიმები. ქართველებიც უნდა გაანადგურო, რადგან ისინიც ძირძველ სომხურ მიწებზე ცხოვრობენ“.[419] ამ მიმართებით ზუსტად ახასიათებს დაშნაკთა მოქმედებების სტრატეგიულ ხაზსა და პარტიული იდეოლოგიის არაბუნებრივ სინთეზს სტივენ

---

[418] Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX - начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. გვ. 117.

[419] Амрали Исмаилов. Идеология, философия и преступления армянства и армянского фашизма. Второе исправленное и дополненное издание. – Баку: Фонд «Знание», 2018. Стр. 23. http://anl.az/el_ru/2019/11/cd/Ap2018-270.pdf

ჯონსი - ,,პარტიის სტრატეგია ყოველთვის იყო ნაციონალიზმისა და სოციალიზმის კომბინაცია. პარტიის თეორეტიკოსების აზრით, მხოლოდ საკუთარი ერის ინტერესების გატარება იყო მათი მთავარი მიზნის - სოციალიზმისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა. სომეხი, რომელიც არ იყო ნამდვილი სოციალისტი, (ე.ი. დაშნაკი ნაციონალისტი - ა. ჩ.) არ შეიძლება ყოფილიყო ჭეშმარიტი პატრიოტი''.[420] თავისთავად ცხადია, რომ დაშნაკთა მოქმედებების დიდი სტრატეგიული ხაზი ულტრანაციონალისტური, ხოლო ტაქტიკა - ერთდროულად ნაროდნიკული, ესერული, სოციალისტური და ნაციონალისტური იყო, გააჩნია არსებულ ვითარებებსა და შექმნილ სიტუაციას. უფრო გასაგებად, მარტივად და პირდაპირ რომ ითქვას, ეს იყო არასომეხი, ძირითადში მუსლიმი მოსახლეობის დევნის, ძარცვა-გლეჯის, მათთან სისხლიანი ანგარიშსწორებებისა და პოლიტიკური ტერორისტული აქტების წარმოების ტაქტიკა. ცალსახად აღსანიშნავია, რომ ტერორი, განსაკუთრებით კი, პოლიტიკური ტერორისტული აქტების განხორციელება იყო და დღესაც რჩება დიდი დაშნაკური იდეოლოგიის არსებობისა და აქტივობის ბუნებრივ ფორმად.

რაც შეეხება პოლიტიკურ ტერაქტებს, ისინი მხოლოდ ცარისტი ან ოსმალო მაღალჩინოსნების წინააღმდეგ კი არა, არამედ საკუთარი თანამემამულეების წინააღმდეგაც იგეგმებოდა და ხორციელდებოდა. ამ ტერაქტების მსხვერპლნი ის სომხები გამხდარან, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ დაშნაკთა იდეოლოგიას და პარტიის სისხლიან საქმიანობას, ან უარს ამბობდნენ პარტიისთვის ფინანსური დახმარებების გაწევაზე. ერთობ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ დაშნაკთა მიერ პირველი ტეორისტული აქტი მაშინ განხორციელდა, როცა პარტია ჯერ კიდევ არ იყო ფორმალიზებული. 1891 წელს დაშნაკმა ტერორისტმა არზრუმში სიცოცხლეს გამოასალმა სომხური საზოგადოება ,,სამშობლოს დამცველების" თავმჯდომარე, გერექჩიანი. იგი იმიტომ მოკლეს, რომ არ ემხრობოდა მოვლენების ფორსირებას და ტერორიზმის ტაქტიკაზე გადასვლას. გერექჩიანი ზომიერი მოქმედებების მომხრე იყო, პარტიის ადგილობრივმა კომიტეტმა კი, მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, რითაც ხაზგასმით დაადასტურა შემდეგი პრინციპის ერთგულება - ,,ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია". 1892 წელს დაშნაკთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო ეს დანაშაული, თუმცა, ამ ტერაქტის უშუალო შემსრულებელი არამ არამიანი არ დასჯილა.[421] დაშნაკებმა ტერაქტის შედეგად იმქვეყნად გაისტუმრეს აგრეთვე დამოუკიდებელი სომხეთის პირველი ფინანსთა და მზრუნველობის მინისტრი ხაჩატურ ქარჩიკიანი,[422] რომელსაც მანამდე ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობაში შესაბამისი მინისტრის პოსტი ეკავა. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ეს პოლიტიკური ტერაქტი სწორედ სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას განხორციელდა ერევანში. ხაჩატურ ქარჩიკიანი საკუთარ სამუშაო კაბინეტში მოკლეს, მისი მკვლელი, პრაპორშიკი ტერ-მინასიანცი კი, 15 ნოემბერს ნებაყოფლობით წარუდგა სომხეთის

---

420 Stephen F. Jones. Georgian–Armenian relations in 1918 to 1919 and 1991 to 1994. A comperison. გვ. 22.

421 K. S. Papazian. Patriotism Perverted. Boston. 1934. Pg. 17.

422 ხაჩატურ ოვანესის ძე ქარჩიკიანი (სომხ. Խաչատուր Հովհաննես Կարճիկյան) (1882-1918წ.წ.) – სომეხი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, პარტია ,,დაშნაკცუტიუნის'' წევრი. დაამთავრა ეჩმიაძინის სასულიერო სკოლა და ერევნის ვაჟთა გიმნაზია. შემდეგ – სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1910 წლიდან ცხოვრობდა თბილისში და ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. აქვე ხდება პარტია ,,დაშნაკცუტიუნის'' აქტივისტი და პარტიის აღმოსავლეთის ბიუროს წევრი. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით იყო სომხური საბრძოლო რაზმების შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ამ მოძრაობის აქტიური მონაწილე. 1917 წლის ბოლოდან – სომეხთა ეროვნული საბჭოს წევრია. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ დაინიშნა ამიერკავკასიის მთავრობის ფინანსთა მინისტრად. იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი. ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და დამოუკიდებელი სომხეთის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის 30 ივნისიდან დაინიშნა სომხეთის რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრად და ამავე დროს ასრულებდა რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოვალეობას. 1918 წლის 4 ნოემბერს დაკავებული თანამდებობებიდან გადადგა. იმავე წლის 11 ნოემბერს მოკლა სომხეთის არმიის ოფიცერმა და დაშნაკური პარტიის წევრმა ეგორ ტერ-მინასიანცმა.

სასამართლოს.[423] ზოგადად კი, დაშნაკთა მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტების შესახებ ცალსახად უნდა ითქვას, რომ ეს ტერაქტები არ ხორციელდებოდა წმინდათ ,,კლასობრივი მტრების'' წინააღმდეგ, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე. იმდენად, რამდენადაც დაშნაკური მოძრაობა მკაცრად მონოეთნიკური იყო, აქედან გამომდინარე, დაშნაკთა მთელი აქტივობაც რეალურად ყველა არასომეხის ლიკვიდაციაში გამოიხატებოდა. იდეურ-პოლიტიკური ცნებები - რევოლუცია, სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი, ის მოხერხებული და მოდური შირმა გამოდგა, რომლის უკან ამოფარებული ჰუნჩაკისტები და დაშნაკები თავიანთ ,,დიდ სომხურ'' სისხლიან საქმეს აკეთებდნენ. ახლა კი, რამდენიმე განზოგადებული დასკვნა:

1. თავისი ჩასახვის მომენტიდან სომხურ ტერორიზმი ტრანსნაციონალური ხასიათისა იყო, იმდენად, რამდენადაც მასში ჩართულნი იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, პირველ რიგში - ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებში, ბალკანეთის ქვეყნებში, საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები სომხური გრიგორიანული ეკლესიის ადეპტები;
2. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში სომხური ტრანსნაციონალური ტერორიზმის მუდმივად მზარდი აგრესიული აქტიურობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს სომხური სამოციქულო ეკლესიის იერარქების მხრიდან ტერორისტული ორგანიზაციების - ,,ჰუნჩაკისა“ და ,,დაშნაკცუტიუნის“ მხარდაჭერა წარმოადგენდა, რომელიც პოლიტიკური ტერორის მეთოდებით ზეწოლას ახდენდა კავკასიის რუსულ ადმინისტრაციაზე, რომ უარი ეთქვა 1903 წლის 12 ივლისის სომხური ეკლესიის სეკულარიზაციის კანონზე;
3. სომხური გრიგორიანული ეკლესიის მხრიდან სომხური ტრანსანაციონალური ტერორიზმის მხარდაჭერამ თავის მხრივ ხელი შეუწყო სომეხი ეროვნების მსხვილი მრეწველების, ბანკირების და ვაჭრების მიერ ამ ორგანიზაციების ფინანსირებას, რამაც თავის მხრივ მსოფლიოს სომეხთა ლეგალური და კრიმინალური კაპიტალის ერთმანეთთან შეზრდა გამოიწვია;[424]

სწორედ ასეთი კაცთმოძულეობისა და სხვა ერებისადმი შეუწყნარებლობის იდეოლოგია იყო და არის დაშნაკური ,,ფილოსოფიის'' ქვაკუთხედი. ეს იდეოლოგია თავის მხრივ ,,სომხური საკითხის'' გადაჭრის ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენდა ერთი საუკუნის წინაც და წარმოადგენს დღესაც, XXI საუკუნის 20-იან წლებში. ყოველივე ეს კი, ათასგვარი დემოკრატიული, საგანმანათლებლო, ჰუმანიტარული, სოციალური და კულტურული ინსტიტუტების შირმით ინიღბებოდა მაშინაც და ინიღბება ახლაც.

რუსებსა და თურქებთან ,,საუკუნო სიყვარულის'' ფიცით შეკრულმა სომხებმა დიდხანს ვერ შეინარჩუნეს ეს იდილიური დამოკიდებულება. სულ მალე, ,,ახალგაზრდა თურქებთან" ალიანსში შესულმა დაშნაკებმა, რუსეთთან პარალელურად, ოსმალთა იმპერიაშიც მოახერხეს სომხებისადმი დამოკიდებულების კარდინალურად შეცვლა. საერთაშორისო დაძაბულობის ზრდისა და I მსოფლიო ომის მოახლოებასთან ერთად, დაშნაკთა ულტრანაციონალისტურმა განწყობებმა და მადამ შესაბამისად მოიმატა და პარტიამ სომეხი ხალხი კიდევ უფრო საშიშ პოლიტიკურ თამაშებში ჩააბა, ვიდრე ეს საუკუნის დასაწყისში იყო. დასავლეთ ევროპის ქვეყნების სტრატეგიული საგარეო ხაზიდან გამომდინარე, მომდევნო ეტაპზე, I მსოფლიო ომის წინ, გლობალურად ისევ აგორდა დიდი პროსომხური ტალღა. ევროპის შესაბამისი დაინტერესებული წრეების მხრიდან დაშნაკი პარტიული აქტივისტებისა და დაშნაკური საბრძოლო-ტერორისტული ჯგუფების იდეოლოგიური მხარდაჭერა და დახმარებების გაწევა დაიწყო ფინანსებით, შეიარაღებითა და ა.შ. ჯონ კირაკოსიანი: ,,დაწყებული

---

[423] გაზეთი ,,საქართველო''. სამშაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 19. №221. გვ. 2.

[424] О. Ю. Кузнецов. История транснационального армянского терроризма в XX столетии. Историко-криминологическое исследование. Издание 2-е, дополненное. Москва. «Аквариус», — 428 с. Ил. Стр. 117. http://turktoday.info/cdn/istor.pdf

1912-1913 წლებიდან პრესის ფურცლებზე კვლავ გაჩნდა პუბლიკაციები და მოსაზრებები, რომ საფრანგეთმა, ინგლისმა და რუსეთმა ორგანიზება უნდა გაუკეთონ დახმარებებს, უნდა მოამარაგონ სომხები იარაღითა და ფულით, შეიყვანონ ჯარები და გაათავისუფლონ სომხები თურქთა ბატონობისაგან".[425] ამ საქმიანობაში აქტიურად ჩაებნენ პარტიის საზღვარგარეთული კომიტეტები და თვით სომხური ეკლესია.

ჯერ კიდევ 80-90-იან წლებში ყურადღება გამახვილდა სომხეთის სკოლებში სწავლების მავნე მიმართულებაზე. აშკარად შეიმჩნეოდა ეჩმიაძინის პატრიარქს, ძირძველ მოსახლეობასა და უცხოურ რევოლუციურ ორგანიზაციებს შორის კავშირის დამყარება.[426] უფრო მეტიც, ძალიან მალე სომხური ეკლესიები დაშნაკთა ფარული შეხვედრების ადგილებად და იარაღის საწყობებად იქცა. ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის დაწყებამდე ფიქსირდება ის დიდი ფინანსური დახმარებები, რასაც ეს პოლიტიკური წრეები და გავლენიანი საზღვარგარეთული სომხური დიასპორები იჩენდნენ დაშნაკური საბრძოლო რაზმების მომზადებისა და შეიარაღებისათვის. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ დოკუმენტს. ესაა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამომავალი სომეხთა ნაციონალისტური გაზეთის ,,ჰაირენიკის" 1913 წლის 20 მარტის ნომერში გამოქვეყნებული ამიერკავკასიის სომეხთა ნაციონალური საბჭოს სამადლობელი ტელეგრამა დაშნაკთა ამერიკის ბოსტონის კომიტეტისადმი. ტელეგრამას შემდეგი ლაკონური ტექსტი ჰქონდა:

,,თბილისი.

16 მარტი. 1913 წელი.

სომეხთა ფედერაციის ბოსტონის აღმოსავლურ კომიტეტს.

47061 მანეთი და 11 კაპიკი მივიღეთ. მადლობა ბიუროსა და მოხალისეების (საბრძოლო-ტერორისტული ჯგუფები - ა. ჩ.) მხარდაჭერისათვის. მღვდელი მესროპი".[427]

რუსული ყოვლადმყრობელური პოლიტიკისათვის კი, I მსოფლიო ომის წინ ,,სომხური საკითხის" ხელმეორედ წამოწევა სწორედ ის კოზირი გახლდათ, რაც პანსლავიზმის ცარისტული იდეოლოგებისათვის საუკუნოვანი იმპერიული ოცნების - კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალ გზაზე რუსული აგრესიის გამამართლებელ საბაბად უნდა ქცეულიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტად აღნიშნავდა გერმანიის ელჩი კონსტანტინოპოლში 1912-1915 წლებში, ჰანს ფონ ვანგენჰაიმი (Hans von Wangenheim), 1913 წლის 10 ივნისს: ,,სომხური საკითხი ის გასაღებია, რომელმაც სრუტეები უნდა გახსნას რუსეთისათვის".[428] რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი საზონოვი კი, ,,საჭიროდ თვლიდა, ომის დაწყების შემთხვევაში სომხებთან და ქურთებთან მჭიდრო კავშირების დამყარებას... ნებისმიერ მომენტში მათი გამოყენების მიზნით". მისი გეგმის მიხედვით ომის დაწყების შემთხვევაში, ასევე განსაზღვრული იყო თურქეთის საზღვარს იქით მყოფი მოსახლეობისათვის იარაღის მიწოდება,[429] - აღნიშნავს თავის ნაშრომში "The Great Game of Genocide: Imperialism, Nationalism, and the Destruction of the Ottoman Armenians" (,,გენოციდის დიდი თამაში: იმპერიალიზმი, ნაციონალიზმი და ოსმალო სომხების განადგურება"), ბრიტანელი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორი. დონალდ ბლოქსჰემი (Donald Bloxham). ოსმალთა იმპერიაში აჯანყების მომზადებისა და რუსული

---

425 Дж. С. Киракосян. Младотурки перед судом истории. Ереван. Айастан. 1989. გვ. 163.

426 Справка прокурора Эчмиадзинского синода А.Френкеля, представленная в 1907 г. Святейшему синоду. https://erevangala500.com/book/26.html

427 გაზეთი „Hairenik". 20. 03. 1913. №34.

428 Дж. С. Киракосян. Младотурки перед судом истории. Ереван. Айастан. 1989. გვ. 151. Documents Diplomatiques Français. 1871-1914. Vol. VII.

429 Donald Bloxham. The Great Game of Genocide: Imperialism, Nationalism, and the Destruction of the Ottoman Armenians. — Oxford University Press, 2005. — ISBN 0-19-927356-1.

ადმინისტრაციის მიერ აჯანყებულთა შეიარაღების საკითხს ეხება აგრეთვე ქვემოთ მოყვანილი ეს დოკუმენტიც.

,,მესამე პოლიტგანყოფილების მრჩევლის ტელეგრამა
რუსეთის ელჩს სტამბოლში მ. ნ. გირსს.
№2851. 1914 წლის 10 სექტემბერი

თურქეთთან ომის დაწყების შემთხვევაში, უმაღლეს მთავარსარდალთან და კავკასიის მეფისნაცვალთან შეთანხმებით, გადაწყდა თავის დროზე მომზადდეს სომხების, აისორებისა და ქურთების აჯანყება. ამ ბანდების ფორმირება, სპარსული ადმინისტრაციისათვის სრულიად საიდუმლო ვითარებაში მოხდება აზერბაიჯანში ჩვენი კონსულისა და ჩვენი სამხედრო რაზმების მეთაურთა მეთვალყურეობის ქვეშ. უკვე მომზადებული გვაქვს შაშხანები, რომლებიც დაურიგდებათ მხოლოდ საჭირო მომენტში. გვაქვს ფულადი სუბსიდიებისათვის საჭირო კრედიტიც. აქტიური მოქმედებებისათვის ბანდები დაიშვებიან მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ნებართვით...

კლემი“.[430]

სომეხთა მოლოდინებისა და საომარი სამზადისის შესახებ ამბებს იმდროინდელი ქართული პრესაც აშუქებდა. აი, მაგალითად, 1914 წლის 3 ივნისის გაზეთ ,,სახალხო საქმის“ №55 ნომერი, სტატიაში ,,ოსმალეთი და სომხები“, იტყობინებოდა: ,,გაზეთი ,,უტრო იუგა” სწერს: ,,ოსმალეთის მთავრობა პირდაპირ ემზადება რუსეთის წინააღმდეგ. ვანი და მისი მიდამოები მიტოვებულია, იქ ჯარი აღარაა. არზრუმში მხოლოდ ქვეითი ჯარის ერთი პოლკია[431] და ცოტა არტილერია. შემდეგ არის ციხე ბაიბურდი (ბაიბურთი - ა. ჩ.), რომელსაც ამაგრებენ და სადაც სამხედრო მასალას აგროვებენ. ხოლო უმთავრესი ძალა, მეოთხე კორპუსი, შეკრებილია უფრო სამხრეთით ერზანგიანსა (ერზინჯანი - ა. ჩ.) და სივასში. აშკარაა, ოსმალეთი ჯერჯერობით ნეიტრალიტეტს იცავს, მაგრამ ემზადება, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის შესევას. მცირე აზიაში ოსმალეთი რუსეთის წინააღმდეგ ემზადება, სხვა მტერი იქ არა ჰყავს. ***რამდენად დაცემულნი არიან სულით თვითონ ოსმალოები, იმდენად აღფრთოვანებულნი არიან ოსმალეთისა და რუსეთის სომხები. კავკასიაში სომხები პირდაპირ საჯვაროსნო ომისთვის ემზადებიან ოსმალთა წინააღმდეგ, კოჭლებიც კი ითხოვენ ჯარში ჩაწერას***”.[432] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). სახეზეა როგორ ოსმალეთის, ასევე რუსეთის სომეხთა სრული ნაციონალური კონსოლიდაცია.

---

430 Мехмет Перинчек. Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов. М.: ,,Лаборатория Книги ‘‘. 2011. ISBN 978-5-903271-73-3. Стр. 74. Международные отношения в эпоху империализма. Документы из архивов царского и временного правительства 1878-1917 г.г. Сер. 3. Т. 6. Ч. 1. Москва – Ленинград. Государственное социально-экономическое издательствою 1935. Стр. 282-283.

431 პოლკი (ლათ. Regime, ფრანგ. Régiment, ინგლ. Regiment, გერმ. Volk, ლიტ. Pulkas, რუს. Полк) – სამხედრო ნაწილი, ფორმირება, სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში არსებული ჯარების ძირითადი ტაქტიკური და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეული, რომელიც ბატალიონების, ასეულებისა და სხვა ქვედანაყოფებისაგან შედგება. პოლკს უჭირავს შუალედური მდგომარეობა ბატალიონსა და ბრიგადას შორის. პოლკები არსებობს სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკულად ჯარების ყველა სახეობასა და გვარეობაში. საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად პოლკები მოქმედებენ დამოუკიდებლად ან შენაერთის შემადგენლობაში. პირველი პოლკების ფორმირება ევროპაში XVI საუკუნის ბოლოდან ხდება, როცა რაინდებისა და მათი ამალის წევრებისაგან პირველი ორგანიზებული და სტრუქტურულად გამართული მუდმივი ჯარები ჩამოყალიბდა. სხვადასხვა ქვეყნების არმიებში პოლკის პირადი შემადგენლობის რაოდენობა 1000-3000 სამხედრო მოსამსახურეს შეადგენს. საორგანიზაციო-საშტატო განრიგით, პოლკს, როგორც წესი, მეთაურობს პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი.

432 გეორქ იაგუტოვ, რაზმიკ ბადალიან, არტურ მირზოიან, ედუარდ სააკიან, ალექსანდრ ოჰანიან. სომეხთა გენოციდი ქართულ პერიოდიკაში 1914-1918 წლებში წლებში (საარქივო მასალების კრებული). საქართველოს სომეხთა სათვისტომო. თბილისი. 2011. გვ. 17.

საერთო ჯამში, 1914 წლის ივლისისათვის, არზრუმში გამართულ პარტიის VIII საიდუმლო ყრილობაზე დაშნაკებმა მართალია დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიიღეს შემდეგი შინაარსის დადგენილება - ,,ადგილებზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სომეხი მოსახლეობის საიდუმლო შეიარაღება".[433] მოვლენების ასეთი სცენარით განვითარებაში პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რუსეთი იყო დაინტერესებული. შესაბამისად, იგი ენერგიულად ჩაერთო დაშნაკური საბრძოლო რაზმების დაფინანსებისა და შეიარაღების საქმეში. ქვემოთ მოყვანილ დოკუმენტში წარმოდგენილია ,,დაშნაკცუტიუნის" პარტიის სამხედრო განყოფილების წარმომადგენლის მოხსენების ამონარიდი, რომელიც წაკითხულ იქნა 1915 წლის თებერვალს, თბილისში გამართულ საერთო სომხურ ეროვნულ ყრილობაზე. ამ გამოსვლაში დაშნაკური რაზმების შეიარაღებისთვის გამოყოფილ თანხებზეა საუბარი - ,,როგორც ცნობილია, რუსეთის მთავრობამ ომის დასაწყისში გამოყო 242900 მანეთი თურქეთის სომეხთა მომზადების, შეიარაღების და ასევე მიმდინარე ხარჯებისათვის. ომის დაწყების შემთხვევაში ქვეყანაში ორგანიზებული უნდა ყოფილიყო საერთო აჯანყება. ჩვენმა მოხალისეთა რაზმებმა უნდა გაარღვიონ თურქული არმიის ჯაჭვი, შეუერთდნენ აჯანყებულებს და მტრის ზურგსა და ფრონტზე, ე.ი. თურქეთში, შექმნან ანარქია. ამით ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ რუსული ჯარების წინსვლა და მათ მიერ თურქეთის სომხეთის დაკავება".[434]

თავისთავად ცხადია, რომ ამ პერიოდისათვის ,,თურქეთის სომხეთშიც'' მკვეთრად გაიზარდა რუსეთის პოლიტიკის აშკარად ძირგამომთხრელი საქმიანობაც. ფაქტია, რომ გლობალური მასშტაბით ოსმალთა იმპერია ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა მოქცეული. ამ თვალსაზრისით ინტერესს არაა მოკლებული ,,ოსმალთა იმპერიის გენერალური შტაბის უფროსის, ***გენერალ ფონ ლიმანის*** (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.) მემუარი, რომელიც 1921 წლის 4 ივნისის Deutche Algemaine Zeitung-ში გამოქვეყნდა: ,,სომხებით დასახლებული ადგილებიდან ჩვენს ხელთ მოხვედრილი სააგიტაციო ფურცლებიდან, ძირგამომთხრელი ინფორმაციის შემცველი ბროშურებიდან, აგრეთვე საბრძოლო მასალებისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების ამოღებით მტკიცდება, რომ აჯანყება რუსების დახმარებით მზადდებოდა. სტამბოლში სომეხთა მიერ თურქეთის მაღალი ჩინის სახელმწიფო მოღვაწეებსა და სამხედრო პირებზე იგეგმებოდა ტერორისტული აქტები...,''[435] - გვამცნობს აზერბაიჯანელი ავტორი, საბირ ასადოვი თავის წიგნში Миф о ,,Великой Армении''. ამ ამონარიდში აშკარად შეცდომითაა დასახელებული ოსმალთა იმპერიის გენერალური შტაბის უფროსის გვარი. უნდა იყოს - გენერალი ფრიდრიხ ბრონზარტ ფონ შელენდორფი (Friedrich Bronsart von Schellendorff). ხოლო რაც შეეხება ,,გენერალ ფონ ლიმანს" - როგორც წინამდებარე წიგნის §1.9. პარაგრაფში იყო წარმოდგენილი, გენერალი ოტო ლიმან ფონ სანდერსი ოსმალთა იმპერიაში გერმანიის საიმპერატორო ჯარების სამხედრო მისიის ხელმძღვანელი და ერთდროულად ოსმალთა იმპერიის შეიარაღებული ძალების მთავარი სამხედრო ინსპექტორი იყო.[436]

საერთო ჯამში, I მსოფლიო ომის დასაწყისიდანვე, ოსმალეთის რუსეთთან მოსაზღვრე რაიონების მცხოვრები სომხების დიდი ნაწილი უკვე კარგად იყო შეიარაღებული და ორგანიზებული, რათა რუსული შენაერთების ოსმალთა ტერიტორიებზე შემოსვლასთან ერთად

---

433 Дж. С. Киракосян. Младотурки перед судом истории. Ереван. Айастан. 1989. gv. 163. Архив Армянского филиала ИМЛ. Фонд 4047.

434 Борьян Б. А. Армения, международная дипломатия и СССР. Москва-Ленинград. Государственное издательство. 1928 г. Т. 1. Стр. 360. По материалам книги «Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов» Перинчека Мехмет Бора. «Лаборатория Книги»-2011, стр.96.

435 Сабир Асадов. Миф о „Великой Армении". Баку. 1999. Стр.222.

436 История Первой Мировой Войны 1914-1918 гг. А.М. Агеев, Д.В. Вержховский, В.И. Виноградов, В.П. Глухов, Ф.С. Криницын, И.И. Ростунов, Ю.Ф. Соколов, А А. Строков. Под редакцией доктора исторических наук И.И. Ростунова — М.: Наука, 1975 г. Стр. 229.

ზურგში დაეწყოთ ,,საბრძოლო მოქმედებები“, რეალურად კი, ტერიტორიების გაწმენდა არასომეხი მოსახლეობისგან. ისიც ისტორიული ფაქტია, რომ I მსოფლიო ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, 1915 წლის ზაფხულში, მუსა-დაღის ავანტიურისტულ შეტაკებაში დამარცხების შემდეგ, ფრანგული გემებით იქნა ევაკუირებული ერთ-ერთი სომხური საბრძოლო რაზმის ნარჩენები პორტ-საიდში. საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ სწორედ მათ ბაზაზე მოხდა შემდეგ სომხური ე.წ. ,,აღმოსავლური ლეგიონის'' (La Légion d'Orient) ფორმირება და დაიწყო ინტენსიური საბრძოლო წვრთნები. ინგლისელების დახმარებით კი, ბევრი მათგანი ბალკანეთზე, სალონიკში, სამხედრო სასწავლებლებში გაიგზავნა.

საბოლოოოდ, უკვე I მსოფლიო ომის მსვლელობისას, სამხედრო ბაზაზე, ფამაგუსტადან (კვიპროსი) 58 კილომეტრში ჩამოყალიბდა სომხური ,,აღმოსავლეთის ლეგიონი", რომელიც პალესტინის ფრონტზე გაიგზავნა და იგი ბრიტანელი გენერლის, ედმუნდ ალენბის[437] შენაერთში იქნა ჩართული.[438] ამ ინფორმაციის წყარო, ზემოთ ხსენებული ლუის ნალბანდიანის ნაშრომია - ''The Armenian Revolutionary Movement. The Development of Armenian Political Parties through the Nineteenth Century“ (,,სომხური რევოლუციური მოძრაობა. სომხური პოლიტიკური პარტიების განვითარება მეცხრამეტე საუკუნეში“). მეორე სომეხი ავტორი ,,აღმოსავლური ლეგიონის“ პირადი შემადგენლობის რიცხოვნობაზე გვაწვდის ცნობებს: ,,პოღოს ნუბარ ფაშას აქტიური მეცადინეობით, საფრანგეთის მთავრობამ იჩქარა და დაშლილი სომხური ნაწილებისგან ,,აღმოსავლური ლეგიონი“ შექმნა. ლეგიონში ის სომხები ჩაეწერნენ, რომლებიც მუსა-დაღის ოპერაციის შემდეგ გადარჩნენ. ეს იყო 600 კაცი. მალე ლეგიონს ეგვიპტიდან დამატებით 300, ხოლო ინდოეთიდან 236 კაცი შეუერთდა.

---

437 დმუნდ ჰენრი ალენბი (ინგლ. Edmund Henry Hynman Allenby) (1861-1936წ.წ.) – ცნობილი ბრიტანელი სამხედრო მოღვაწე, საიმპერატორო ჯარების ფელდმარშალი, ალენბის 1-ლი ვიკონტი. ინგლის-ბურების მეორე ომისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1880 წელს შევიდა და 1882 წელს დაამთავრა სენდჰერსტის სამხედრო აკადემია. ლეიტენანტის ჩინით სამხედრო სამსახური დაიწყო მე-6 დრაგუნთა ბატალიონში. შემდეგ გაგზავნილ იქნა აფრიკაში. მსახურობდა ჯერ ბოტსვანაში, შემდეგ – ,,ზულულენდში''. 1884-1885 წლებში მონაწილეობდა ბეჩუანალენდის ექსპედიციაში. 1888 წლის 10 იანვარს ენიჭება კაპიტნის წოდება. 1890 წელს ბრუნდება ინგლისში. 1897 წელს ენიჭება მაიორის სამხედრო წოდება. 1898 წელს მსახურობდა ირლანდიაში, მე-3 საკავალერიო ბრიგადაში. 1899 წელს ისევ აგზავნიან აფრიკაში, სადაც მონაწილეობს ინგლის-ბურების II ომში. ომი დაასრულა პოლკოვნიკის ჩინით. 1902 წელს ბრუნდება ინგლისში, სადაც ინიშნება მე-5 საკავალერიო პოლკის მეთაურად. 1905-1910 წლებში იყო მე-4 საკავალერიო ბრიგადის მეთაური. I მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე. იყო საკავალერიო დივიზიის მეთაური. თავი გამოიჩინა მონსის ბრძოლაში. იპრის მეორე ბრძოლაში სარდლობდა მე-5 კორპუსს. 1915 წლის ოქტომბერში დაინიშნა ინგლისელთა მე-3 არმიის სარდლად, რომელმაც მონაწილეობა მიიღო არასის ბრძოლაში. 1917 წლიდან ახლო აღმოსავლეთშია. ინიშნება ბრიტანელთა ეგვიპტის საექსპედიციო კორპუსის სარდლად. 1917 წლის დეკემბერში მისი შენაერთის ნაწილებმა აიღეს იერუსალიმი. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა მეგიდოს (არმაგედონი) ბრძოლაში, რომელიც სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, ავიაციის მოქმედებებით და მსხვილი საკავალერიო შენაერთით სტრატეგიული გარღვევის ნიმუშად არის შეფასებული. ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან, ინდოეთიდან და სამხრეთ აფრიკიდან მიღებული დამატებითი ძალების გადაჯგუფების შემდეგ, სექტემბრის ბოლოს დაიწყო სტრატეგიული შეტევითი ოპერაცია. წარმატებით დაგეგმილი და აღსრულებული ოპერაციის შედეგად მისმა შენაერთებმა 1918 წლის ოქტომბერში დაიკავეს ახლო აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანესი დასახლებული პუნქტები დამასკო, ბეირუთი, ალეპო. საბოლოოდ, 1918 წლის 30 ოქტომბერს ოსმალთა იმპერიამ კაპიტულაცია გამოაცხადა და გამოეთიშა სამთა კავშირს. 1919 წელს ედმუნდ ალენბის ენიჭება ფელდმარშლის სამხედრო წოდება და მეგიდოს ვიკონტის ტიტული. I მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ, 1925 წლამდე იყო ეგვიპტისა და სუდანის უმაღლესი კომისარი. თადარიგში გასვლის შემდეგ, 1926 წლიდან იყო ედინბურგის უნივერსიტეტის რექტორი. გარდაიცვალა ლონდონში, 1936 წელს.

438 Louis Nalbandian. Assembly of Turkish American Assosiation. The Armenian Revolutionary Movement. WWW.ataa.org.

ლეგიონი კვიპროსზე ფორმირდებოდა და 1918 წლის დასაწყისისათვის უკვე 4000 მოხალისეს ითვლიდა.[439]

მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების მიერ გაცემული ნებართვისა ამერიკის მოქალაქეების უცხოურ არმიებში სამსახურის დაშვებისა, ამ ,,აღმოსავლური ლეგიონის" პირადი შემადგენლობის რაოდენობა მაინცდამაინც სწრაფად არ იზრდებოდა, თუმცა, სომხები იმ სურვილით იწვოდნენ, რომ თავისი სამშობლოსათვის ებრძოლათ. მათ მაინცდამაინც არ აინტერესებდათ სირიისა და პალესტინის ფრონტები. მათ სურვილს ქილიკიაში გადმოსხდომა და შურისძიება, თურქებისათვის სამაგიეროს გადახდა წარმოადგენდა. ისინი ოსმალთა იმპერიის ნამსხვრევებზე შავ და ხმელთაშუა ზღვებს შორის გადაჭიმულ თავისი ახალი და დიადი სომხური სახელმწიფოს აშენებაზე ოცნებობდნენ, ისევე როგორც ეს ძველ დროებაში იყო,[440] - აღნიშნავს სამარის უნივერსიტეტის ისტორიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და წყაროთმცოდნეობის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი იაროსლავ გოლუბინოვი, რასაც ჩვენც ვეთამხმებით.

და აი, უკვე I მსოფლიო ომის დასაწყისისათვის, პარიზში გამომავალი ჟურნალ ,,ჰუნჩაკის" მოწინავე სტატიის მოწოდება მსოფლიოს სრულიად სომეხთა მიმართ: ,,სრულიად სომეხმა ხალხმა უნდა მოუხმოს თავის მორალურ და მატერიალურ ნებას და მაღლა ასწიოს რევოლუციის მახვილი! სრულიად სომხეთი უნდა ჩაერთოს ამ მსოფლიო კონფლიქტში, როგორც ანტანტისა და განსაკუთრებით რუსეთის იარაღის ამხანაგი. ისინი უნდა გაერთიანდნენ და სრული სარგებელი უნდა მიიღონ იმ საბოლოო გამარჯვებისგან, რასაც სომხეთი, ქილიკია, კავკასია მიაღწევს... იმ გმირების სისხლისაგან, რომლებიც მსხვერპლად შეეწირებიან ამ დიად სომხურ საქმეს... და სომხეთი იამაყებს დიადი სომხური საქმისათვის დაღვრილი მათი სისხლით".[441]

მაგრამ ეს ყველაფერი I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე, 1914-1915 წლებში იყო, მანამდე კი, დაშნაკურმა ,,საბრძოლო რაზმებმა" ჩამოყალიბებისა და განვითარების გრძელი და სისხლიანი გზა განვლეს...

---

439 Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство ,,Феникс". Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 200-201. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf

440 Голубинов Ярослав Анатольевич. Армянский легион: история разочарования. 2017. https://warspot.ru/9702-armyanskiy-legion-istoriya-razocharovaniya

441 Hrach Dasnabedian. History of the Armenian Revolutionary Federation-Dashnaktsutiun 1890/1924. Milan. 1989. Pg. 21.

§1.10. დაშნაკური მოძრაობის საბრძოლო-ტერორისტული რაზმები და მათი ლეგენდარული ბელადები

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში, ე.წ. ,,რუსეთის სომხეთში'' ინტენსიურად დაიწყო სომეხთა საბრძოლო-ტერორისტული რაზმების, ხუმბების ჩამოყალიბება, რომლებსაც არჩეული ბელადი-წინამძღოლები, ხუმბაპეტები ჩაუდგნენ სათავეში. ძალიან მალე დაშნაკთა პარტბიუროს მითითებით, რომელიც ამ წამოწყებას ედგა სათავეში, დაიწყო ამ რაზმების საიდუმლოდ შეგზავნა ოსმალთა ტერიტორიებზე. ხაზგასმით აღსანიშნავია ის გარემობა, რომ სომხური საბრძოლო-ტერორისტული რაზმების აქტივობა მათი ,,მოღვაწეობის'' საწყის ეტაპზე არა თურქების, არამედ იმპერიის სხვა არაქრისტიანი ხალხების წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს განსაკუთრებით ქურთებს ეხებათ, რამდენადაც ამ ორი ხალხის გეოგრაფიული საცხოვრისი ოსმალთა იმპერიაში პრაქტიკულად ერთად მდებარეობდა. რა თქმა უნდა, ამ ფაქტების კონსტატირებას სომეხი ავტორები დღეს უკვე თავს არიდებენ. საქმე იმაშია, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ოსმალთა იმპერიაში ეკონომიკური და შესაბამისად, სოციალური ცვლილებების ერა დაიწყო. ამ ცვლილებებმა სომხებისა და ქურთების ინტერესთა შეჯახება გამოიწვია. ოსმალთა იმპერიის სოფლად მცხოვრები სომხების მდგომარეობა გადასახადების გაზრდისა და ქურთებთან ურთიერთობების გამწვავების გამო, გაუარესდა. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალთა იმპერიის ხუთ აღმოსავლურ ვილაიეთში (ვანი, არზრუმი, ბითლისი, ხარფუთი და სივასი) სომხები მოსახლეობის მცირე ნაწილს (20-დან 40%-დე) შეადგენდნენ, დანარჩენები კი, ქურთები იყვნენ, სომხები ქურთებთან დაპირისპირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ყოველივე ამას გარკვეული ისტორიული წანამძღვრები განაპირობებდა.

საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთში მცხოვრები ქურთული ტომები კლანებად იყვნენ დაჯგუფებულნი და მომთაბარე ცხოვრების წესს მისდევდნენ. ამ ხნის განმავლობაში მათ ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა წარმოადგენდა და მათი სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები ბინადარი ცხოვრების წესის მიმდევარ სომხებთან არ იკვეთებოდა. თუმცა, XIX საუკუნის მესამე მეოთხედიდან ქურთთა დიდი ნაწილი ბინადარი ცხოვრების წესზე გადადის და მცირემიწიანობის გამო ნელ-ნელა სოფლებში მცხოვრები სომეხი მოსახლეობის შევიწროებას იწყებს. ოსმალეთის ხელისუფლებაც, რომელიც ცდილობდა გავლენები გაეზარდა ნახევრად დამოუკიდებელ მეომარ ქურთულ ტომებზე, ამ პროცესების სტიმულირებას იწყებს. ისინი ქურთთა ტომის ბელადებს სომხებისათვის წართმეულ მიწებს უკანონებდნენ და მათ გარკვეულ სამხედრო-ადმინისტრაციულ ფუნქციებსაც გადასცემდნენ, რითაც ქურთული ფეოდალიზმის გამყარებას და ქურთთა ლოიალური და სახელმწიფოებრივი განწყობების ზრდას უწყობდნენ ხელს. ამასთან ერთად, თურქული ხელისუფლება გარკვეულწილად აქეზებდა ქურთებს სომხების წინააღმდეგ და ამ საქმეში მარჯვედ იყენებდა რელიგიურ ფაქტორს, რის გამოც ქურთებსა და სომხებს შორის არსებულმა წინანდელმა სპორადულმა დაპირისპირებებმა და ძალმომრეობამ ნელ-ნელა მასობრივი და უკიდურესად დაუნდობელი ფორმები შეიძინა. ამ ანტაგონიზმის გაძლიერების მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ჩამორჩენილ მუსლიმურ მოსახლეობასთან მიმართებაში მდიდარი სომხები მტაცებლური ხასიათის მატარებელ ბურჟუაზიული კაპიტალის წარმომადგენლებად გამოდიოდნენ.[442] შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან სომხურ-ქურთულმა დაპირისპირებამ გარკვეული კლასობრივი ანტაგონიზმის ფორმებიც კი შეიძინა.

,,თურქეთის სომხეთში" დაწყებულ ამ პროცესებზე რეაგირებისათვის ,,რუსეთის სომხეთში" მოქმედმა დაშნაკებმა ,,შესაბამისი გააქტიურებით" უპასუხეს. დაიწყო დაშნაკური საბრძოლო

---

[442] Армянский вопрос. Большая Советская Энциклопедия. 1-ое издание. Том 3. Гл. редактор О. Ю. Шмидт. М. 1926г. Стр. 436.

რაზმების ოსმალეთში ფარულად შეგზავნა და იქ ,,სადამსჯელო ოპერაციების“ წარმოება. დაშნაკთა ეს ,,საბრძოლო აქტივობები'' ქურთული დასახლებებისა და სოფლების აწიოკებითა და ძარცვა-გლეჯით იწყებოდა და მათთან შეიარაღებული შეტაკებებით სრულდებოდა. მდგომარეობის გართულებისას კი, ეს რაზმები სასწრაფოდ ტოვებდნენ შეტაკების ადგილს და როგორც წესი, თავს ისევ ,,რუსეთის სომხეთს'' აფარებდნენ, ხოლო ადგილობრივ სომხურ მოსახლეობას ქურთებისა და თურქული ადმინისტრაციის ადეკვატური შურისძიებისათვის წირავდნენ. სომეხი ავტორი ჰრაჩ დასნაბედიანი თავისი წიგნში ''History of the Armenian Revolutionary Federation-Dashnaktsutiun 1890/1924'' (,,სომეხთა რევოლუციური ფედერაცია - დაშნაკცუტიუნის ისტორია 1890/1924“), აღნიშნავს: ,,თბილისში სომხური ორგანიზაციები იქმნებოდა. მათი წევრები პერიოდულად ჩადიოდნენ ოსმალეთის სომხეთში, რომ უკეთ გაცნობოდნენ არსებულ სიტუაციას და იქ მაცხოვრებელი სომხების განწყობებს. საზღვრის ორივე მხარეს ისინი სამხედრო რაზმებს, ,,დროშაკებს'' ქმნიდნენ. დასავლეთ სომხეთის სხვადასხვა რეგიონში ,,ყაჩაღთა“ (ასეა ტექსტში - Brigands - ა. ჩ.) ბანდები და პარტიზანთა რაზმები მოქმედებდნენ ან იქმნებოდნენ... ამ დროს რუსეთის ქალაქები - მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი და თბილისი, სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობის ცენტრებს წარმოადგენდნენ. 1890 წელს, სარქის კუკუნიანმა, სანკტ-პეტერბურგელმა სტუდენტმა, 125 კაციანი[443] შეიარაღებულ პატრიოტთა რაზმი შექმნა, რომელიც ყარსის გზით თურქეთის სომხეთში გადავიდა''.[444]

იგივე ფაქტოლოგიურ მასალასთან დაკავშირებით კი, პეტრე გელეიშვილი (ყარიბი) წერს: ,,1890 წლის სექტემბრის ბოლოს თურქეთში რუსეთიდან გადასული პირველი ასეთი ერთეული, კუკუჯანიანის (უნდა იყოს კუკუნიანის - ა. ჩ.) რევოლუციური ჯგუფი გამოჩნდა, რომელმაც ქურთებთან მცირე შეტაკების შემდეგ, სასწრაფოდ შეაფარა თავი ისევ რუსეთის ტერიტორიას. მაგრამ აქ მათ მოუსწრეს რუსმა ჯარისკაცებმა და ორმხრივი სროლისას, სანამ ჯგუფის ხელში ჩაგდება მოხერხდებოდა, რუსების მხარეს რამდენიმე ჯარისკაცი მოკლეს“.[445] თავად სარქის კუკუნიანი კი, მესაზღვრეებმა შეიპყრეს და ხელისუფლებას გადასცეს. იგი გაასამართლეს და 20 წლით სახალინზე გადაასახლეს. თუმცა, მას სასჯელი ბოლომდე არ მოუხდია. 1905 წლის საყოველთაო ამნისტიის მუხლით კუკუნიანი გაანთავისუფლეს, 1906 წლისათვის კი, იგი სამშობლოში დაბრუნდა. ,,სხვა ბანდები თურქეთში სპარსეთის გზით იგზავნებოდნენ, რომლებიც მრავალ თავსატეხს უჩენდნენ თურქეთის ხელისუფალთ'',[446] - აღნიშნავს მესამე ავტორი.

მალე დაშნაკებმა თავისი მოქმედებების არეალი და აქტივობის მასშტაბებიც გაზარდეს. ამ რაზმების საქმიანობასა და მიზნებს ზუსტად ახასიათებს იგივე პეტრე გელეიშვილი: ,,1898-1899 წლებში რევოლუციური ჯგუფების აქტივობის არეალი მუშისა და სასუნის რაიონებში გადადის, სადაც მოქმედებდა სეროპის, მოგვიანებით კი, ანდრანიკის ჯგუფები. ***ყველა ამ მოქმედების შედეგი ერთი იყო - სოფლის სომეხი მოსახლეობის საერთო კეთილდღეობის დანგრევა, რომლებზედაც გადმოვიდოდა მუსლიმთა მთელი შურისძიების სისასტიკე... დარწმუნებულნი იმაში, რომ დიდი სახელმწიფოები მათ დაეხმარებიან, სომეხთა რევოლუციური მოღვაწეები შემდეგი პრინციპით მოქმედებდნენ: ერთის მხრივ, რაც შეიძლება მეტი გამოსვლებისა და ბუნტის პროვოცირება და მეორეს მხრივ, სისხლისღვრასა და ბუნტებზე რაც შეიძლება ხმამაღალი ყვირილის ატეხვა, ამასთან ერთად - მათი მასშტაბების უზომოდ გაბერვა''.***[447] და ბოლოს ავტორი ანზოგადებს: ***,,თავიანთ მოთხოვნებს***

---

443 ზოგიერთი წყაროს მონაცემებით კუკუნიანის რაზმი 78-80 მებრძოლისგან შედგებოდა.

444 Hrach Dasnabedian. History of the Armenian Revolutionary Federation-Dashnaktsutiun 1890/1924. Milan. 1989. გვ. 21.

445 Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. Стр. 28.

446 Firuz Kazemzadeh. D. Ph. The struggle for Transcucasia (1917-1921). Philosophical Library. New York. 1951. გვ. 229.

447 Кариби. Красная книга. Тифлисъ. 1919 г. Стр. 30-31.

ისინი ყოველთვის უზომოდ გაზრდილად აყენებდნენ". (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). ცალსახად ვეთანხმებით ავტორის ისტორიულად გამართლებულ დასკვნას. ასეთი იყო სომეხ ნაციონალისტთა ე.წ. საბრძოლო რაზმების, ფაქტობრივად კი, ბანდიტური დაჯგუფებების შექმნის ისტორიული წანამძღვრები და მათი აქტივობების ზოგადი სქემა, დაწყებული XIX საუკუნის ბოლოდან. XX საუკუნიდან კი, მსოფლიოში, და შესაბამისად, რუსეთსა და ოსმალეთში განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური პროცესების შესაბამისად, იზრდება ამ რაზმებისა და ბანდების როგორც მოქმედების არეალი, ასევე მათი ინტენსივობა. მხედველობაში გვაქვს I მსოფლიო ომი და მასთან დაკავშირებული ე.წ. ,,სომხური წინააღმდეგობის" მოძრაობა. უფრო ზუსტად, სომხურ-დაშაკური საბრძოლო-ტერორისტული რაზმების შექმნისა და მათი აქტივობის საკითხები, რასაც ჩვენ ოდნავ ქვემოთ განვიხილავთ უფრო დაწვრილებით. მანამდე კი, ჩვენთვის საინტერესო პერსონალიებზე შევჩერდეთ, რომლებსაც საკვანძო ადგილი უკავიათ ჩვენი ნაშრომის მთავარ თემასთან მიმართებაში.

დიახ, თემის გახსნას ამ საკითხით დავიწყებთ, რადგან ერთობ საინტერესო და ნიშანდობლივია ,,სომხური წინააღმდეგობის'' ლიდერებისა და დაშნაკური საბრძოლო-ტერორისტული რაზმების მეთაურების ,,მოღვაწეობისა'' და მათ მიერ განვლილი ,,საბრძოლო გზის" განხილვა. ეს გზები პრაქტიკულად ერთმანეთის იდენტურია, ამიტომ ჩვენ მხოლოდ განსაკუთრებით ცნობილი სომხური საბრძოლო რაზმების მეთაურთა მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებს განვიხილავთ, რაც მეტად ნიშანდობლივ ინფორმაციას იძლევა შემდგომი განსჯისა და ანალიზისათვის. ეს დაშნაკი ბელადები და საველე მეთაურები არიან: სომეხთა ,,ჯორჯ ვაშინგტონად" და ,,აქილევსად" შერაცხული - გენერალი ანდრანიკ ტოროს ოზანიანი, ***(ანდრანიკი)***, ,,ზანგეზურის ლომად" წოდებული - გარეგინ ტერ არუთიუნიანი ***(ნეჯდე),*** ცნობილი დაშნაკი ჯალათი და ბაქოს მოვლენების ,,გმირი'' - ამაზასპ სრვანცტიანი ***(ამაზასპი)*** და ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ოდიოზური პერსონა, სომეხთა ,,ჰანიბალი'' და ეროვნული გმირი, გენერალი დრასთამატ კანაიანი ***(დრო).***

ანდრანიკ ტოროს ოზანიანი (ანდრანიკი) (სომხ. Անդրանիկ Թորոսի Օզանյան) (1865-1927წ.წ.), ***ზორავარ ანდრანიკი*** - ,,დაიბადა 1865 წლის 25 თებერვალს სოფელ შაბინ-ყარაისარში. (დღევანდელი გირესუნის პროვინცია - ა. ჩ.). დედა ადრე მოუკვდა. იგი მხოლოდ 15 წლისა იყო, როცა პირველად მოკლა თურქი მოხელე და თავი მთებს შეაფარა. აქ ახალგაზრდა ანდრანიკი წინააღმდეგობის სხვა მებრძოლებს შეუერთდა და ფიდაინებს[448] დაუკავშირდა. მალე მის კვალს მიაგნეს და დააპატიმრეს.

---

448 ფიდაი, ფიდაინები (არაბ. الفِدَائِيٌّ, სპარს. فدائیون — ,,შეწირული'', ,,რწმენისა და იდეისათვის შეწირული ადამიანი'') — ტერმინი, რომელიც აღნიშნავს რიგი რევოლუციური ომის პარტიების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ტერორისტული ორგანიზაციისა თუ ჯგუფის წევრს. პირველადი ფორმით ეს ტერმინი გაჟღერებულ იქნა ჰაშაშინების (ასასინების) მიერ, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენდა სამხედრო-რელიგიურ მოძრაობას და XI-XIII საუკუნეებში არსებულ ცალკეულ ისმაილიტურ-ნიზამიტურ სახელმწიფოს, რომელიც ირანისა და სირიის მთიანეთში მდებარეობდა. ამ ფანატიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები თავს არიდებდნენ მოწინააღმდეგესთან ღია და აშკარა დაპირისპირებას, მოქმედებდნენ ჩუმად და ფარულად, და ასე აწარმოებდნენ მკვლელობებსა და ტერორისტულ აქტებს, რითაც დიდ პრობლემებს უქმნიდნენ მათ პოლიტიკურ ოპონენტს, სელჩუკთა სუნიტურ სახელმწიფოს. რაც შეეხება სომეხ ფიდაინებს (სომხ. Ֆէտայի). სომეხთა მიერ ეს ტერმინი ასასინებიდან პირდაპირ იქნა გადმოტანილი. ეს იყო აბდულ-ჰამიდ II-ის სულთნობის პერიოდში, 1876-1909 წლებში, იმპერიის ზოგიერთ აღმოსავლურ ვილაიეთში (განსკუთრებით ბითლისში), სომეხი მოსახლეობის მიერ ქურთთა წინააღმდეგ საბრძოლველად ორგანიზებული შეიარაღებული რაზმები და მათი წევრები. ამ რაზმების შექმნა და მათი მოქმედებები სომხური ნაციონალური პოლიტიკური პარტიების — ,,არმენაკანი'', ,,ჰუნჩაკი'', ,,დაშნაკცუტიუნი'', თაოსნობითა და ხელმძღვანელობით ხდებოდა. სომეხი ფიდაინების მიერ მკვლელობებისა და ტერაქტების ჩატარების ტაქტიკა ასასინების ტაქტიკის მსგავსი იყო, მათ რიგებში კი, მრავალი შემდგომში ცნობილი სომეხი პოლიტიკური, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე იყო ჩართული. ,,ახალგაზრდა თურქთა'' 1908 წლის რევოლუციისა და ოსმალთა იმპერიის ხელისულფლების სათავეში ,,ერთიანობისა და პროგრესის'' პარტიის მოსვლის შემდეგ

საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ ანდრანიკი კონსტანტინოპოლში გადადის და ხალიჩებით ვაჭრობას იწყებს. აქ თავდაპირველად ანდრანიკი ჰუნჩაკთა პარტიაში გაერთიანდა, მაგრამ იდეოლოგიური უთანხმოებების გამო, მალევე დატოვა ეს პარტია, გადავიდა ბათუმში და იქ დაშნაკთა პარტიის წევრი გახდა. აქ ანდრანიკი დაუახლოვდა დაშნაკთა ერთ-ერთ ბელადს, როსტომს (სტეფან ზორიანი - ა. ჩ.), რომელიც მას ,,ფიდაინების ღმერთს" უწოდებდა. დროთა განმავლობაში იგი ჩამოყალიბდა როგორც პროფესიონალი მებრძოლი და პარტიის აქტივისტი. (ე.ი. პროფესიონალი ტერორისტი - ა. ჩ.). ფიდაინების ბელადის, სეროფ ფაშას სიკვდილის შემდეგ, ბელადად ანდრანიკი იქნა არჩეული. 1901 წლიდან მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა წარმატებული ბრძოლები სასუნთან, დარონთან, ვანქთან, რამაც მას სომეხთა შორის დიდი სახელი და პატივისცემა მოუპოვა. მალე მან სეროფ ფაშას მკვლელი, ქურთთა ტომის ბელადი ჰალილ ფაშაც გამოასალმა სიცოცხლეს. ანდრანიკს დიდად სწყალობდა ბედი და ყველა დიდ-პატარა ბრძოლიან თუ შეტაკებიდან ხელუხლებელი გამოდიოდა, რითაც მალე ,,სომეხთა აქილევსის" სახელიც მოიპოვა. ანდრანიკის პიროვნება ლეგენდებით შეიმოსა და სომეხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. ,,ანდრანიკი არაა ჩვეულებრივი მოკვდავი, იგი ადამიანი-მოჩვენებაა," - აღიარებდნენ, როგორც მტრები, ასევე მოყვრები.

1904 წელს ანდრანიკი თავის რაზმთან ერთად ირანში გადადის, შემდეგ სამხრეთ ამიერკავკასიაში. მალე კი, კავკასიასაც ტოვებს. 1905 წლიდან იგი ჟენევასა და ვენაში ცხოვრობდა, შემდეგ ბულგარეთში გადადის. 1912 წლამდე იგი მოგზაურობს საფრანგეთში, ბელგიასა და ინგლისში, სადაც პოლიტიკური საქმიანობითაა დაკავებული. დაშნაკური იდეოლოგიით შთაგონებული, ბალკანური ომების დროს, 1912-1913 წლებში, ანდრანიკი აქტიურად ჩაერთო თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში, სადაც იგი მეორე ცნობილ ხუმბაპეტთან - გარეგინ ნეჯდესთან ერთად ბულგარეთში თავის მიერ შექმნილ ერთ-ერთ სომხურ შენაერთს მეთაურობდა. ამ ბრძოლებში მან უდიდესი წარმატება და სახელი მოიპოვა როგორც თანამებრძოლებში, ასევე მოკავშირეებში. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით იგი ამიერკავკასიაში ბრუნდება და მეფის რუსეთის კავკასიის არმიის შემადგენლობაში მეთაურობს სომეხთა ერთ-ერთ საბრძოლო რაზმს, მოგვიანებით - სომეხთა პირველ ნაციონალურ პოლკს''...

ანდრანიკ ოზანიანის ,,მოღვაწეობას" პირველ მსოფლიო ომში ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ უფრო დაწვრილებით.

,,1918-1919 წლებში ანდრანიკი ზანგეზურსა და ყარაბაღში მიმდინარე ბრძოლების ერთ-ერთი ხელმძღვანელია. მალე იგი წინააღმდეგობაში მოდის დაშნაკთა იდეოლოგიურ ხელმძღვანელებთან, უარს ამბობს ყველა საბრძოლო ჯილდოსა და ინსიგნიებზე და სამუდამოდ ტოვებს სამშობლოს. იგი გადადის სპარსეთში, მოგვიანებით კი, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ფუძნდება კალიფორნიის შტატის ქალაქ ფრესნოში, სადაც გარდაიცვლება კიდეც 1927 წლის 31 აგვისტოს. მისი ნეშტი საფრანგეთში გადმოასვენეს და პერ-ლაშეზის სასაფლაოზე მიაბარეს მიწას. 2000 წელს სომხეთის მეორე რესპუბლიკის მთავრობამ მისი სამშობლოში გადმოსვენების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. მას სომეხთა ,,ჯორჯ ვაშინგტონს'' უწოდებდნენ...''[449]

ასეთია გენერალ ანდრანიკ ტოროს ოზანიანის მოკლე ცხოვრებისეული და საბრძოლო ბიოგრაფია სომეხი ავტორის, დოქტორ ჰრაჩ ვართაპეტიანის მიხედვით. ლეგენდების, ტყუილ-მართლისა და თვალებში ნაცრის შეყრის საუკეთესო მაგალითია. აი, ასეთი ,,ღრმად მეცნიერული'' დონითა და ობიექტურობით გამოირჩევა პრაქტიკულად ყველა სომეხი ავტორის ,,ნაშრომი''. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ამ ,,ნაშრომებში'' დროის მსვლელობასა და წლების მატებასთან

გატარებული გარკვეული დემოკრატიული რეფორმების შედეგად, სომხურმა ფიდაისტურმა ჯგუფებმა დაშლა დაიწყეს, მათი წევრები კი, თავთავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ.

449 დოქტორი ჰ. ვართაპეტიანი. სომხეთი: მოგზაურობა ისტორიაში. გვ. 311-314.

ერთად გეომეტრიული პროგრესიით მატულობს მოვლენებისა და ისტორიული ფაქტების თავაწყვეტილი ფალსიფიკაციის ხარისხიც. გენერალ ანდრანიკ ოზანიანის ეს ,,ბიოგრაფიაც'' ამის ნათელი დადასტურებაა. წარმოდგენილი მასალა კი, ინტერნეტშია განთავსებული და მას მთელი მსოფლიო ეცნობა.

ახლა ჩვენ შევიტანთ ,,მცირე კორექტივებს'' ამ ბიოგრაფიაში და შევეცდებით აღვადგინოთ ისტორიული რეალობა. დიახ, ავტორი სწორად იქცევა, როცა ანდრანიკის ,,საბრძოლო გზის'' აღწერას მისი ადრეული სიჭაბუკის წლებიდან იწყებს. მაგრამ იგი დუმს იმაზე, რომ ეს იყო არასრულწლოვანი ანდრანიკის ტერორისტული და კრიმინალური ცხოვრების გრძელი გზის დასაწყისი. სეროფ ფაშა, რომელიც მოგვიანებით შეცვალა ანდრანიკმა, არა ფიდაინების ჯგუფის ბელადი, არამედ ჩვეულებრივი ყაჩაღთა ბანდის მეთაური იყო, რომლის მთავარ ფუნქციასა და ცხოვრების კრედოს მშვიდობიანი ქურთი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა, აწიოკება და მკვლელობები წარმოადგენდა. ფიდაიზმი შიიტი ისლამისტების ყველაზე უფრო რეაქციულ ფილოსოფიურ-კასტურ მოძღვრებას წარმოადგენდა და აქედან გამომდინარე, გამორიცხულია, რომ სომეხი მონოფიზიტები, რევოლუციონერი-ტერორისტები და პროფესიონალებად ჩამოყალიბებული კრიმინალები, სეროფი და ანდრანიკი ამ მოძღვრების მიმდევრები, ან კიდევ უფრო არარეალური, ერთ-ერთი ასეთი ჯგუფის ხელმძღვანელები ყოფილიყვნენ.

ფიდაინები მართლაც მეამბოხეებს წარმოადგენდნენ წინა საუკუნეებში და მათი ამბოხის მიზეზებს ძირითადში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ედო საფუძვლად. სომხური რაზმები კი, ჩვეულებრივი ყაჩაღური ბანდები იყო, რომელთა წიაღშიც იშვა ეს ე.წ. ,,საბრძოლო რაზმები''. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სომეხ ავტორთა მეორე ჯგუფი დაშნაკურ ბანდებს ჰაიდუკურ მოძრაობას ადარებს ბალკანეთის მაგალითზე, რითაც ამ კრიმინალური ბანდების საქმიანობის ასევე ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობასთან გაიგივებას ცდილობს. საზოგადოდ კი, ფიდაინებთან და ჰაიდუკებთან პარალელების გავლებით, სომეხი ავტორები ცდილობენ გარკვეული ლეგენდარულობის საფარველით შებურონ საზოგადოდ დაშნაკურ რაზმთა მეთაურები და ამ შემთხვევაში ანდრანიკის პერსონა. ასეთი გზით კი, მოხერხებულად იჩქმალება დაშნაკური ბანდებისა და მათი ხუმბაპეტების რეალური კრიმინალური საქმიანობის არსი.

ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ ფაქტიურად, 1901 წლიდან იწყება მისი აქტიური ტერორისტული და კრიმინალური მოღვაწეობა. მაგრამ ავტორი იმას აღარ ამბობს, თუ რატომ შეაფარა 1904 წლიდან მან და მისმა რაზმმა ირანს თავი. არ ამბობს, რომ ირანში გადასვლა თურქული და რუსული ადმინისტრაციის ადეკვატური სისხლის სამართლებრივი დევნის შედეგი იყო.

მოყვანილი ბიოგრაფიის ავტორისეული ვარიანტიდანაც კარგად ჩანს ანდრანიკ ოზანიანის ის უპრინციპობა, სხვადასხვა ბატონთა წინაშე მუხლმოყრა და ის უკიდურესი ექსტრემიზმი, რითაც იგი დაშნაკელის კვალობაზეც კი გამოირჩევა. ჯერ ფიდაინები, უფრო ზუსტად - ყაჩაღთა ბანდა, შემდეგ ჰუნჩაკები, შემდეგ დაშნაკები. უკიდურესი ექსტრემისტული პოზიციების გამო პირველი განხეთქილება დაშნაკებთან უკვე 1907 წელს. 1912 წლიდან ბატონთა მორიგი გამოცვლა და ბულგარეთში წასვლა. ხოლო 1914 წლიდან ისევ ბატონთა გამოცვლა და ამჯერად თავისი მოსისხლე მტრის, რუსეთის იმპერატორის სამსახურში ჩადგომა.

თითოეული ეს თარიღი რუსეთისა და ოსმალთა იმპერიებისათვის უმნიშვნელოვანესი თარიღებია და ისინი ამ სახელმწიფოთა ახალ ეტაპებსა და ახალი სისხლიანი მოვლენების ესკალაციას უკავშირდება. ყველა ამ სისხლიანი მოვლენების ეპიცენტრში კი სწორედ ანდრანიკი გვევლინებოდა - სომეხთა ,,აქილევსი“ და ,,ჯორჯ ვაშინგტონი''. იმაზეც დუმს ავტორი, რომ I მსოფლიო ომის პირველ ეტაპზევე, 1916 წლის დასაწყისში, ანდრანიკი თადარიგში გადის, ტოვებს თავის საბრძოლო რაზმს, მთლიანად კავკასიის ფრონტს და თავს თბილისსა და ჩრდილოეთ კავკასიას აფარებს. 1917 წლის ბოლოს კავკასიის ფრონტის სარდლობა ანდრანიკს ისევ ფრონტზე

აბრუნებს და მას არზრუმის დაცვის უფროსად და დასავლეთის ფრონტზე გაშლილი სომხური შენაერთის სარდლად ნიშნავს. ამავე დროს, მას ავანსად რუსეთის არმიის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდებასაც ანიჭებენ.

1918-1919 წლებში, უკვე გენერლამდე გაზრდილი ანდრანიკ ოზანიანის ,,მოღვაწეობის“ ამ პერიოდს და მის ,,მხედრულ სიმამაცესა და მებრძოლ სულს'', ამჯერად არ შევეხებით. მას ჩვენ ქვემოთ, წიგნის შესაბამის თავში განვიხილავთ უფრო დაწვრილებით. 1919 წლის აპრილიდან ანდრანიკი ტოვებს თავის რაზმს და თბილისში ჩამოდის. მალე კი, მისი, თავად დაშნაკური იდეოლოგიისათვისაც მიუღებელი უკიდურესად ექსტრემისტული და რეაქციული მოქმედებებისა და შეხედულებების გამო, იძულებული გახდა მშობლიურ პარტიასაც ჩამოშორებოდა. იმავე წელს იგი სამუდამოდ ტოვებს სამშობლოს და ემიგრაციაში მიდის. ცხოვრობდა ჯერ საფრანგეთში, შემდეგ ინგლისში, ბოლოს კი, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება.

ანდრანიკთან დაკავშირებული ერთი შტრიხი - სომეხთა ,,ჯორჯ ვაშინგტონის“ სახელის უკვდავსაყოფად, ჯერ კიდევ საბჭოთა სომხეთის პერიოდში, 1967 წელს, არაგაწონის რაიონის სოფელ უჯანში, ადგილობრივმა მოსახლეობამ ანდრანიკის ძეგლი აღმართა. ამაზე სახელმწიფომ რეაგირება არ მოახდინა.[450] 1991 წელს ერევნის მეტროპოლიტენის ერთ-ერთ სადგურს, ანდრანიკის სახელი - ,,ზორავარ ანდრანიკი“ ეწოდა. 2000 წელს კი, ანდრანიკ ოზანიანის ნეშტი ერევანში გადმოასვენეს და სრული მხედრული პატივით ერაბლურის გმირთა სასაფლაოზე დაკრძალეს.

დაბოლოს, ანდრანიკთან დაკავშირებული თანამედროვე იდეოლოგიური შტრიხი - ანდრანიკი და ე.წ. ,,ანდრანიკიზმი“, როგორც ფილოსოფია და რუსული იმპერიული სულის რეინკარნაციის მცდელობა კავკასიაში: ,,ანდრანიკ ოზანიანის სახელმა თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ,,ანდრანიკიზმის“ გაგება შვა, რომელმაც დღეისათვის არა მარტო ისტორიული, არამედ ფილოსოფიური აზრიც შეიძინა. თავის ნაშრომში ,,...რუსეთს არ შეუძლია დატოვოს კავკასია“, თადარიგის პოლკოვნიკი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ა. ბ. პუპკო ანდრანიკს ,,კავკასიაში რუსული ორიენტაციის იდეოლოგს“ უწოდებს, ხოლო ტერმინი ,,ანდრანიკიზმი“, მისი აზრით, ,,კავკასიისა და რუსეთის საერთო ბედის იდეოლოგიური სიმბოლო ხდება“. ა. ბ. პუპკოს მიერ გამოთქმულ აზრს რუსი ჟურნალისტი და ისტორიკოსი კ. ა. ზალესსკიც ავითარებს თავის სტატიაში, სათაურით ,,რუსეთის გეოპოლიტიკური პერსპექტივები და ბიზანტიზმი“. ,,კავკასიის საკითხის“ განსჯისას, რომელიც დღევანდელი რუსეთისათვის მწვავე პრობლემას წარმოადგენს, კ. ა. ზალესსკი ორ გაგებას აერთიანებს - პანთურქიზმის იდეასთან დაპირისპირებულ ანდრანიკიზმს და ბიზანტიზმს, რომელიც კავკასიის რეგიონში აშშ-ის ეგიდით თურქეთის ზეგავლენის გაძლიერებას ემსახურება. ეს ზეგავლენა კი, აღვნიშნავთ, რომ რუსეთისათვის დამღუპველია, რადგან მას კავკასიაზე რუსების პოზიციების სრულ დაკარგვამდე მივყავართ. და ამიტომაც, ანდრანიკიზმის საკითხი, როგორც რუსული პოლიტიკის ,,კავკასიური ალტერნატივა“, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს...“[451] დიახ, აქ უკვე რუსული შოვინისტური და იმპერიალისტური იდეოლოგიების, ,,მესამე რომისა“ და ,,ბიზანტიზმის“ დომინანტობის ქვეშ ახალი სომხური ფსევდოიდეოლოგიის, ე.წ. ,,ანდრანიკიზმის“ დაბადებასა და მისი რუსულ ,,მესამე რომთან“ და ,,ბიზანტიზმთან“ შერწყმის მცდელობასთან გვაქვს საქმე. და რადგან ახალ ნაციონალისტურ იდეოლოგიებსა და მასთან დაკაშირებულ ფილოსოფიურ საკითხებს შევეხეთ, ამ თვალსაზრისით, ჩვენი ჩამონათვლის შემდეგი სუბიექტი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

---

450 Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство ,,Феникс”. Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 18. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf

451 Андраник Озанян: герой Армении на службе России. https://sochi24.tv/kurort/news/andranik-ozanyan-geroi-armenii-na-sluzhbe-rossii

სომხური ნაციონალისტური იდეოლოგიის - ცეხაკრონიზმის[452] ერთ-ერთი ფუძემდებელი, რევოლუციონერი, ტერორისტი და დაშნაკური საბრძოლო რაზმების მეთაური, სომეხთა იდუმალებით მოცული გმირი - ***გარეგინ ტერ-არუთიუნიანი (ნეჯდე)*** (სომხ. Գարեգին Նժդեհ) (1886-1957წ.წ.). დაიბადა ერევნის გუბერნიაში, ნახიჭევანის მაზრის სოფელ კუზნუთში, 1886 წელს. დაწყებითი განათლება ნახიჭევანის რუსულ სკოლაში მიიღო, შემდგომ სწავლა თბილისის გიმნაზიაში განაგრძო. 1902 წელს ნეჯდე პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, საიდანაც გარიცხეს რევოლუციონერებთან კავშირის გამო. ამავე პერიოდში უახლოვდება პარტია ,,დაშნაკცუტიუნს“ და მალე მისი ერთ-ერთი აქტიური წევრიც ხდება. სწორედ დაშნაკთა პარტიის უშუალო დახმარებით გაიკეთა მან ბრწყინვალე სამხედრო კარიერა. ოთხ სომეხ ახალგაზრდასთან ერთად როსტომ ზორიანისა და ბულგარეთის დაშნაკთა პარტიის ბიუროს ინიციატივით 1906 წელს გაგზავნილ იქნა ბულგარეთში, კენიაშევოს (სოფია) სამხედრო აკადემიაში ოფიცერთა კურსების გასავლელად. მაშინ იგი 19 წლისა იყო. 1907 წელს ასრულებს ოფიცერთა კურსებს და ბრუნდება ამიერკავკასიაში. აქ იგი ერთ-ერთი ფიდაინური რაზმის მებრძოლი ხდება.

1909 წელს რუს მოხელეთა წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტების გამო მას აპატიმრებენ, მაგრამ ციხიდან გაპარვას ახერხებს და 1912 წელს ლტოლვილის სტატუსით ისევ ბულგარეთში გადადის. ბალკანეთის პირველი ომის დაწყებასთან დაკავშირებით ერთიანდება ანდრანიკ ოზანიანის ბრიგადაში და აქედან იწყება მისი, როგორც სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის დიდი კარიერა. 1912 წლის 20 ოქტომბერს ინიშნება მეორე სომხური ასეულის მეთაურად. ბალკანეთის ომის დროს მან თავი გამოიჩინა როგორც კარგმა ორატორმა და ოფიცერმა. მისი მეთაურობით ტყვედ იქნა აყვანილი თურქთა არმიის გენერალი, მისმა ნაწილმა კი, წარმატებული ბრძოლებით გაიარა გზა მარმარილოს ზღვამდე. ბალკანეთის ომის დასრულებისას იგი უკვე ცალკეული სომხური რაზმის მეთაურია. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით იგი, ისევე როგორც სხვა დაშნაკი მებრძოლი-ტერორისტები მეფის მთავრობამ შეიწყალა. ნეჯდე თბილისში ჩამოდის და ისევე როგორც ანდრანიკი, რუსეთის კავკასიის არმიის შემადგენლობაში ერთიანდება. აქ იგი დრასთამატ კანაიანი-დროს საბრძოლო რაზმში ირიცხება და მისი მოადგილის თანამდებობაზე მსახურობს. შემდგომში იგი ცალკეული სომხურ-იეზიდური საბრძოლო რაზმის მეთაური ხდება. 1915 წელს ენიჭება რუსეთის საიმპერატორო არმიის პორუჩიკის სამხედრო წოდება. 1917 წლის მაისიდან ალექსანდროპოლისის კომისარია.

1918-1920 წლებში იგი თურქთა და აზერბაიჯანელთა წინააღმდეგ მებრძოლი სომხური რაზმის მეთაურია და აქტიურად მონაწილეობს ამიერკავკასიის მუსლიმი მოსახლეობისაგან მომავალი ,,დიადი სომხეთის“ მიწების გამოთავისუფლებაში. მისი რაზმის მიერ პირისგან მიწისა იქნა აღგვილი 32 აზერბაიჯანული სოფელი. ნეჯდეს უკიდურესად ნაციონალისტური იდეოლოგიის მთავარ თეზას კი, შემდეგი სახე აქვს: ,,ერთი ერის მშობლიური მიწა ვერ გახდება სხვა ერის საცხოვრისი“.[453] სწორედ მისი ბანდის წევრების მიერ განხორციელდა ქართველ მაჰმადიანთა ხოცვა-

---

452 ცეხაკრონიზმი (სომხ. Ցեղակրոնություն) – სომხური ნაციონალისტური იდეოლოგია, რომლის მიხედვითაც ინდივიდუუმის უმაღლეს ღირებულებას მისი ერი, ნაცია წარმოადგენს. კონცეფციის თანახმად ამ ღირებულების გარეშე ინდივიდუუმს არ ძალუძს სრულფასოვანი ცხოვრება. ცეხაკრონიზმის მიზანს წარმოადგენს სომეხი ერის გაერთიანება ერთ მთლიან სომხურ სახელმწიფოდ ამ ხალხის ისტორიული სამშობლოს ტერიტორიაზე. ამ ტერმინის და თავად იდეოლოგიის ავტორი ჰაიკ ასატრიანთან ერთად გარეგინ ნეჯდეა. თავად ტერმინი კი, ორი სომხური სიტყვის შერწყმის შედეგს წარმოადგენს ცეხ (სომხ. ցեղ – ტომი, მოდგმა) და კრონ (სომხ. կրոն – რელიგია, რწმენა). ამ იდეოლოგიის მიმდევართა ლოგიკით, ცეხაკრონიზმი უფრო მეტია, ვიდრე პატრიოტიზმი. ეს არის საკუთარი მოდგმისა და ერის პატივისცემა და სიყვარული. სწორედ ამიტომ შეირჩა ამ ნაციონალური კონცეფციისათვის ავტორთა მიერ ახალი ტერმინი.

453 Garegin Nzhdeh: National Hero or War Criminal? http://vestnikkavkaza. net/ analysis/ Garegin- Nzhdeh-national-hero -or-war-criminal.html

ჟლეტა ახალქალაქში 1918 წლის გზაფხულზე. სომეხი ავტორი ვ. ოვსეფიანი თავის ნაშრომში „Гарегин Нжде и КГБ — воспоминания разведчика“ („გარეგინ ნეჯდე და სუკი - მზვერავის მოგონებები“), აღნიშნავს: „1918 წლის ბოლოდან, მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიიდან თურქული ჯარები გავიდნენ, ანდრანიკის, დროსა და ნეჯდეს სომხური რაზმები ზანგეზურში ეთნიკური წმენდითა და მაჰმადიანური სოფლების განადგურებით იყვნენ დაკავებულნი. მათ კაპანისა (ზანგეზურის სამხრეთი) და გორისის შემაერთებელი ზეგნიდან აზერბაიჯანული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი განდევნეს. ***1919 წლის სექტემბერში, ამიერკავკასიიდან ბრიტანული ჯარების გაყვანის შემდეგ კი,*** გარეგინ ნეჯდე კაპანის რაიონის თავდაცვის უფროსად დაინიშნა“.[454] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ზუსტად ამ დროს, სომხეთის სამხედრო მინისტრის ბრძანებით, გარეგინ ნეჯდეს კაპიტნის წოდება ენიჭება. რაც შეეხება ჩვენ ხაზგასმას. აქ ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს. მართალია, ბრიტანული საოკუპაციო ჯარების გაყვანა ამიერკავკასიიდან მართლაც 1919 წელს დაიწყო, მაგრამ ამ წელს ბრიტანული ქვედანაყოფები მთლიანად არ იქნა რეგიონიდან გაყვანილი. ბოლო ბრიტანულმა შენაერთმა ამიერკავკასია მხოლოდ 1920 წლის ივლისში დატოვა. ეს იყო აჭარა და ბათუმი, სადაც დაუყოვნებლივ იქნა შეყვანილი ქართული საჯარისო შენაერთები. დიახ, 1920 წლის ივლისიდან აჭარაში ქართული სახელმწიფოს დე ფაქტო იურისდიქცია აღდგა.

დავუბრუნდეთ ისევ ნეჯდეს და მისი ცხოვრების შემდგომ გზას. 1920 წლის 25 აგვისტოს მას სპარაპეტის წოდება ენიჭება. ამ ტიტულს ატარებდა ისტორიულად სომხეთის არმიის მთავარსარდალი.[455] 1921 წლის დასაწყისიდან ნეჯდე ბოლშევიკთა წინააღმდეგ მიმართული აჯანყების ერთ-ერთი მეთაურია ზანგეზურში. ზანგეზურის ზოგიერთი მაღალმთიანი რაიონის კონტროლქვეშ აყვანის შემდეგ აგრძელებდა მუსლიმი მოსახლეობის დარბევებს. აქვე ყალიბდება ადგილობრივი მმართველობითი ორგანო „მთიანი სომხეთის“ მთავრობა. ამ ორგანოს 1921 წლის 1 მაისის დეკლარაციის თანახმად ნეჯდე „მთიანი სომხეთის“ პრეზიდენტად და ერთდროულად „რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად“ ინიშნება.[456] 1921 წლის 20 ივნისი - 15 ივლისი, ზანგეზურში წითელი არმიის შენაერთებსა და „მთიანი სომხეთის“ თავდაცვის ძალებს შორის მიმდინარე დიდი ბრძოლების პერიოდია. ზანგეზურში დამარცხების შემდეგ ნეჯდე სპარსეთში გაქცევით შველის თავს. საინტერესოა, რომ ზანგეზურის დატოვებასთან დაკავშირებით, დაშნაკთა პარტიის უმაღლესმა სასამართლო ინსტანციამ ნეჯდეს წინააღმდეგ საქმეც კი აღძრა. ზანგეზურის დატოვებისა და სპარსეთში გადასვლის შემდეგ იგი ბულგარეთში აღმოჩნდება. ბულგარეთში ყოფნისას ნეჯდე აქტიურ პარტიულ მოღვაწეობაზე გადადის. როგორც დაშნაკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, აარსებს და ხელმძღვანელობს ბულგარეთის დაშნაკთა ახალგაზრდულ პარტიას.

1933 წელს ამერიკის დაშნაკთა მიწვევით ნეჯდე ჩადის ამერიკის შეერთებულ შტატებში და აგრძელებს აქტიურ პარტიულ მოღვაწეობას. აქაც იგი ამერიკის ახალგაზრდა დაშნაკთა პარტიის დამფუძნებელი და ხელმძღვანელია.

30-იანი წლების ბოლოს ნეჯდე თავის მეთაურსა და სულიერ ძმას, დრასთამატ კანაიანს უკავშირდება და მასთან ერთად გერმანელი ნაცისტების პროტექტორატის ქვეშ იწყებს სომეხთა ცნობილი 812-ე ნაცისტური ბატალიონის[457] ჩამოყალიბებას. II მსოფლიო ომში ამ ბატალიონთან

---

[454] Овсепян В. Гарегин Нжде и КГБ — воспоминания разведчика. http://www.bvahan.com/armenianway/AW/Njdeh_KGB/Part02.html

[455] Richard G. Hovannisian. The Republic of Armenia. — University of California Press. — 1996. — T. IV. — Pg. 110.

[456] დასახელებული ნაშრომი. გვ. 405.

[457] ბატალიონი (ფრანგ. Bataillon, იტალ. Battaglione) – სხვადასხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარებში არსებული ძირითადი სამხედრო ტაქტიკური ერთეული. ბატალიონი შედგება

ერთად იგი მონაწილეობს სისხლიან სადამსჯელო ოპერაციებში გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყირიმსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაკუთრებით ბოლშევიკთა და ებრაელთა წინააღმდეგ. ამ პერიოდში მისი ცხოვრების კრედო შემდეგნაირად ჟღერდა: ,,ის ვინც თავს წირავს გერმანიას, თავს წირავს სომხეთს".[458] ნაცისტებთან კოლაბორაციის პროცესს ნეჯდე სომხური დიასპორის გადარჩენის წინაპირობად თვლიდა, თავის ყველაზე დიდ დამსახურებად კი, იმას მიიჩნევდა, რომ სწორედ მან, გარეგინ ნეჯდემ გაათვითცნობიერებინა პირველად გერმანელ ნაცისტებს, რომ სომხები ნამდვილი ,,არიელები" იყვნენ.[459]

1944 წლიდან, აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელთა უკანდახევასთან დაკავშირებით, იგი ისევ ბულგარეთში გადადის და აქ აფარებს თავს. საბჭოთა ჯარების ბულგარეთში შესვლის შემდეგ ნეჯდეს აპატიმრებენ, ჩამოჰყავთ საბჭოთა კავშირში, ასამართლებენ და ციმბირში ასახლებენ. დიდი ამნისტიის დროს იგი გაანთავისუფლეს. მას განსაზღვრული ჰქონდა სომხეთში, შემდეგ კი რუმინეთსა და ამერიკაში გამგზავრება, მაგრამ მოსკოვში ჩამოსვლისთანავე ხელმეორედ აპატიმრებენ და უკან, ციმბირში აგზავნიან, სადაც გარდაიცვლება კიდეც 1957, ზოგიერთი მონაცემით - 1955 წელს. გარეგინ ნეჯდე დაკრძალეს ქალაქ ვლადიმირის სასაფლაოზე. 1983 წელს მისი ნეშტი ფარულად სომხეთში გადაასვენეს. რამდენიმე წლის განმავლობაში მისი ნეშტის ნაწილები სხვადასხვა ოჯახებში ინახებოდა. შემდგომში, 1987 წლის 8 მაისს, მისი ნეშტის ერთი ნაწილი საიდუმლოდ დაასაფლავეს სპიტაკავორის ეკლესიაში, მეორე ნაწილი - ზანგეზურის მთებში, ხოლო მესამე ნაწილი, მარჯვენა ხელის ორი ძვალი - კაპანის მემორიალზე.

დღეისათვის გარეგინ ნეჯდე სომხეთის ეროვნულ გმირადაა შერაცხული. სომეხთათვის იგი ,,ყველა დროის უდიდესი მხედართმთავარი და... ფილოსოფოსია".(Sic!) 2016 წელს ერევნის ცენტრალურ მოედანზე გარეგინ ნეჯდეს 6 მეტრიან ბრინჯაოს მონუმენტურ ქანდაკებას დგამენ. ამ საზეიმო ცერემონიალს რესპუბლიკის პრეზიდენტი სერჟ სარქისიანიც ესწრებოდა. თანამედროვე სომხეთში ნეჯდეს კულტია გაბატონებული. მისი სახელი ენიჭება ქუჩებს და სკვერებს, მის შესახებ იღებენ დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს, წერენ წიგნებს, მის სახელზე ჭრიან მონეტებს და მედლებს.

სომეხთა სათაყვანებელი გმირი, მოხალისეთა რაზმების უცვლელი მეთაური და ცნობილი ჯალათი - ***ამაზასპ სრვანცტიანი (ამაზასპი)*** (სომხ. Համազասպ Սրվանձթյան) (1873-1921წ.წ.). დაიბადა 1873 წელს ქალაქ ვანში. ახალგაზრდობიდანვე აღმოჩნდა ჩართული რევოლუციურ-ტერორისტულ

რამდენიმე ასეულისა და ოცეულისაგან. პირველად ეს საჯარისო ერთეული ნიდერლანდებში შემოიღეს XVII საუკუნეში. მისი ფორმირება მორის ნასაუელს მიეწერება. სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყნებში ბატალიონების პირადი შემადგენლობის რაოდენობა მერყეობდა 400-დან 1000 კაცამდე. 1918 წლის ნიმუშის ქართული ცალკეული ქვეითი ბატალიონი 5 ასეულისაგან შედგებოდა და მისი პირადი შემადგენლობა 20 ოფიცერს და 470 ჯარისკაცს ითვლიდა. (საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 13, ფურცელი 1-1 უკ.). შესაბამისი საჯარისო ერთეული არტილერიაში დივიზიონად იწოდება. I მსოფლიო ომის შემდეგ ყალიბდება სხვადასხვა დანიშნულების ბატალიონები – სატანკო, საარტილერიო, ნაღმსატყორცნი, მენაღმეთა, საინჟინრო, ელექტროტექნიკური, კავშირგაბმულობის, უზუნველყოფის და ა.შ. უახლოეს წარსულში, საკავალერიო ჯარების ანალოგიურ ერთეულსაც დივიზიონი ეწოდებოდა. ბატალიონი წარმოადგენს უმცირეს საჯარისო ტაქტიკურ ერთეულს, რომელსაც გააჩნია ჯარების მართვის საკუთარი ორგანო – შტაბი. ბატალიონი შეიძლება წარმოადგენდეს როგორც პოლკის, ასევე სხვა უფრო მსხვილი სამხედრო ნაწილის, მაგალითად, ბრიგადის ან დივიზიის სტრუქტურულ ქვედანაყოფს. არსებობენ ცალკეული ბატალიონებიც. საშტატო-საორგანიზაციო განრიგით, ბატალიონს, როგორც წესი, მეთაურობს მაიორის/ვიცე-პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი.

458 Garegin Nzhdeh: National Hero or War Criminal? http://vestnikkavkaza.net/analysis/Garegin-Nzhdeh-national-hero-or-war-criminal.html

459 Дмитрий Семушин. «Деликатный вопрос» Нжде: сотрудничество с гитлеровской Германией. 2019. Подробнее: https:// eadaily. Com / ru /news /2019 /12/ 13/ delikatnyy – vopros – nzhde – sotrudnichestvo – s -gitlerovskoy-germaniey

საქმიანობაში. თავდაპირველად იყო პარტია ,,არმენაკანის“, შემდეგ - ,,დაშნაკცუტიუნის“ წევრი. ოსმალური ხელისუფლების მხრიდან დევნის გამო გადადის ერევანში, შემდეგ - შუშაში. აქვე აგრძელებს ტერორისტულ საქმიანობას. თავდაპირველად იგი ჰუნჩაკთა რევოლუციური რაზმის თავკაცია, მოგვიანებით დაშნაკთა ტერორისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ხდება. აქედანვე იწყება მისი როგორც მებრძოლისა და მეთაურის კარიერა. 1906 წლიდან ამაზასპი ხელმძღვანელობს ამიერკავკასიის მუსლიმთა და მეფის მოხელეთა წინააღმდეგ მიმართულ სასტიკ ანგარიშსწორებებს, რის გამოც სხვა დაშნაკ მოღვაწეებთან ერთად მეფის ხელისუფლების მიერ იქნა დაპატიმრებული და ციმბირში გადასახლებული. ჩადენილი დანაშაულობებისათვის მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, მაგრამ სასჯელი ბოლომდე არ მოუხდია. 1913 წელს იგი ახერხებს გადასახლებიდან გაქცევას. გადადის ევროპაში, შემდეგ - კონსტანტინოპოლში. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით მეფის ხელისუფლებამ თავის შორს მიმავალ გეგმებზე გათვლით მას დანაშაულობები აპატია და რუსეთში დაბრუნებაზეც დართო ნება. მალე ამაზასპი საბრძოლო აქტივობებშიც ერთვება - დაშნაკთა პარტიის ეგიდით ქმნის მოხალისეთა საბრძოლო რაზმს, რომელიც რუსეთის კავკასიის არმიაში ერთიანდება. აქ იგი მოხალისეთა მე-3 რაზმის მეთაურად ინიშნება. აქტიურად მონაწილეობს ვანსა და ბითლისთან წარმოებულ ,,ბრძოლებში'', ხოლო 1917 წლიდან ალაშკერტის რაიონის საპოლიციო ძალების უფროსად ინიშნება, სადაც განსაკუთრებული გულმოდგინებით აწარმოებს მშვიდობიანი მაჰმადიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ სისხლიან ანგარიშსწორებებს.

1918 წლიდან იგი უკვე დაშნაკურ ,,აღმოსავლეთის ფრონტზეა'' და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ბაქოს დაშნაკურ-ბოლშევიკურ და დაშნაკურ-ესერულ ავანტიურაში. აქ იგი სომეხთა ნაციონალურ მე-3 ბრიგადას მეთაურობს, რომელიც ბაქოს ბოლშევიკური კომუნისა და ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის შეიარაღებული ძალების მთავარ დამრტყმელ საბრძოლო შენაერთს წარმოადგენდა. სწორედ ამ ბრიგადის ქვედანაყოფები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სისასტიკით აზერბაიჯანის მაჰმადიანი მოსახლეობის, მათ შორის ბავშვების, ქალებისა და მოხუცების ხოცვა-ჟლეტის საქმეში. გენერალ ნური ფაშას ,,კავკასიის ისლამური არმიის“ - თურქულ-აზერბაიჯანული ჯარების მიერ ბაქოს აღების შემდეგ კი, 1918 წლის სექტემბრის ბოლოდან, ამაზასპი ირანში გადადის. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ამაზასპი სომხეთში ბრუნდება და ნორბაიაზეთში დისლოცირებული სომხური შენაერთის მეთაურად ინიშნება. 1920 წელს მონაწილეობდა სომხეთ-თურქეთის ომში, იყო სომხური ერ-ერთი საბრძოლო რაზმის მეთაური. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1920 წლის დეკემბერში მას ბოლშევიკები აპატიმრებენ და სხვა სომეხი ოფიცრების მსგავსად ერევნის ციხეში სვამენ, სადაც სიკვდილით დასჯიან 1921 წლის 17 თებერვალს. ,,განსაკუთრებით აღსანიშნავია ამაზასპის ორგანიზატორული თვისებები. კავკასიის მე-3 ბრიგადა, რომელიც მხოლოდ სომხებისაგან შედგებოდა და ყველაზე დიდ შენაერთს წარმოადგენდა, თავისი ბრწყინვალე შტაბითა და სამეთაურო შემადგენლობით, მის უდიდეს ნიჭსა და ენერგიაზე მეტყველებდა”...[460]

ეს სიტყვები სომეხ საბჭოთა ავტორს, სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს გრანტ ავეტისიანს ეკუთვნის. ეს კი, დოკუმენტურად დადასტურებული ამაზასპის პიროვნების მთავარი იდეოლოგიური კრედოა: ***,,ყოველი მუსლიმი მისთვის მტერი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მუსლიმი იყო”.***[461] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). ისტორიის დოქტორის, იელის უნივერსიტეტის ემერიტუს-

[460] Г. Аветисян. Армянское войнство. Журнал ,,Армянский вестник”. 1999 г. №1-2. Стр. 5.

[461] Firuz Kazemzadeh. D. Ph. The struggle for Transcucasia (1917-1921). Philosophical Library. New York. 1951. Pg. 130.

პროფესორის, ფირუზ კაზიმზადეს ეს ციტატა, ამხანაგ სტეფანე შაუმიანის[462] მიერ ლენინისა და სტალინისადმი გაგზავნილი ცნობილი ტელეგრამის ტექსტიდან აქვს აღებული. ,,Телеграма Шаумяна Ленину Сталину, 12 июля, 1918''. Памяти 26 бакинских комиссаров. Красный архив. №4-5. (89-90) 1938. გვ. 16.

ყოველთა სომეხთა სათაყვანებელი პიროვნება და ცოცხალი ლეგენდა, სომეხთა ,,ჰანიბალი'', გენერალი ***დრასთამატ კანაიანი (დრო)*** (სომხ. Դրաստամատ Մարտիրոսի Կանայան) (1883-1956წ.წ.). დაიბადა 1883 წლის 1 მაისს, ქ. იგდირში. ერევნის რუსული გიმნაზიის დასრულების შემდეგ იგი ახალგაზრდობიდანვე დაუკავშირდა დაშნაკებს და ამ პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრი ხდება. სულ 16 წლისა იყო, როცა პირველად მიიღო მონაწილეობა დაშნაკების მიერ განხორციელებულ ტერორისტულ აქტში. თურქი მოხელის მოკვლის შემდეგ კი, რუსეთის ტერიტორიაზე გადმოდის და 1904 წელს სწავლას პიატიგორსკის სამხედრო სასწავლებელში აგრძელებს. მისი პირველი მსხვერპლი იგდირის მაზრის გუბერნტორი ბოგუსლავსკი იყო.[463] 1905 წლიდან იგი უკვე აქტიურად მონაწილეობს სადამსჯელო მოქმედებებში თურქთა და კავკასიის აზერბაიჯანელთა წინააღმდეგ, აგრეთვე - მეფის მოხელეების წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორისტულ აქტებში.

1905 წლის 11 მაისს წარმატებულად განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად დრო კანაიანმა მოკლა ბაქოს გუბერნატორი, მიხეილ ნაკაშიძე, ხოლო 1907 წლის 3 ივლისს, მარტიროს ჩარუხჩიანთან ერთად - თბილისის და შემდეგ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი. ასევე, ელიზავეტპოლის გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლაი ლუტცაუ. ცარისტული ხელისუფლების მხრიდან დევნის გამო,

---

462 სტეფანე გიორგის ძე შაუმიანი (სომხ. Ստեփան Գևորգի Շահումյան) (1878-1918წ.წ.) – ძველი რევოლუციონერი და ბოლშევიკი, თბილისში დაბადებული და გაზრდილი სომეხი ეროვნების პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი, პუბლიცისტი და ლიტერატურული კრიტიკოსი. კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) წევრი 1900 წლიდან. ლენინის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი. ამიერკავკასიის ბოლშევიკთა არაფორმალური ლიდერი. ე.წ. ,,ბაქოს ბოლშევიკური კომუნის'' ერთ-ერთი კომისარი და ხელმძღვანელი. სწავლობდა თბილისში, კატანიანის სკოლაში. 1898 წელს დაამთავრა თბილისის რეალური სასწავლებელი. 1899 წელს სომხეთში აარსებს პირველ მარქსისტულ წრეს. 1900 წლიდან სწავლობდა რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტზე, საიდანაც გაირიცხა რევოლუციური მოღვაწეობის გამო. 1902 წელს აყალიბებს სომეხ სოციალ-დემოკრატების კავშირს, რომელიც დაუყოვნებლივ ხდება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) შემადგენელი ნაწილი. იმავე წლიდან ემიგრაციაშია, ცხოვრობდა გერმანიაში. მდიდარი თბილისელი სომეხი მრეწველისა და ნავთობმაგნატის, ალექსანდრ მანთაშევის დახმარებით სწავლობდა ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. სწავლის პარალელურად ეწეოდა აქტიურ პარტიულ მუშაობას. 1903 წელს ჟენევაში ყოფნის დროს პირადად ეცნობა ლენინს და ევროპის სოციალისტური მოძრაობის ლიდერებს. 1905 წელს ამთავრებს ბერლინის უნივერსიტეტს. ევროპაში ყოფნის დროს სომხურ ენაზე თარგმნა მარქსის, ენგელსისა და ლენინის ნაშრომები. 1912 წელს პრაღაში გამართულ რსდმპ სრულიად რუსეთის კონფერენციაზე ამტკიცებენ ბოლშევიკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბრუნდება ამიერკავკასიაში და აქტიურობს თბილისში. 1917 წლის ოქტომბერში ხელმძღვანელობდა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების 1-ლ ყრილობას. დეკემბრის ბოლოს ლენინის მიერ ინიშნება კავკასიის საქმეთა განსაკუთრებულ კომისრად. თბილისიდან განდევნის შემდეგ გადადის აზერბაიჯანში და სათავეში უდგება ბოლშევიკთა პარტიის ბაქოს კომიტეტს. 1918 წლის აპრილიდან იყო ე.წ. ,,ბაქოს კომუნის'' სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი. ესერების მიერ ბაქოს 25 კომისართან ერთად დახვრეტილ იქნა 1918 წლის სექტემბერში დღევანდელი თურქმენეთის ტერიტორიაზე. 2009 წლის 12 იანვარს, სხვა ადგილზე გადასვენების მიზნით, დაიწყო 26 ბაქოელი კომისრის ექსჰუმაციის პროცესი, მაგრამ აღმოჩენილი იქნა მხოლოდ 23 კომისრის ნეშტი. შაუმიანისა და კიდევ ორი კომისრის ნაშთები მათ შორის არ იმყოფებოდა.

463 James G. Mandalian. The Life and Time of General Dro. The Armenian Review. Volume 10, Number 2, Summer, June 1957. http://asbarez.com/144592/the-life-and-time-of-general-dro/

1907 წლიდან გადადის ბაიაზეთში და წვრილი ბიზნესის საფარქვეშ აქტიურად იწყებს მოღვაწეობას სომეხთა ახალ-ახალი საბრძოლო-ტერორისტული რაზმების შექმნისა და შეიარაღებისათვის. ,,სურენ ეფენდის“ პატარა სავაჭრო სახლის სახელს შეფარებული, რეალურად იგი იარაღისა და საბრძოლო მასალების არალეგალური შემენითა და მისი ,,რუსეთის სომხეთის'' ტერიტორიაზე შემოტანითაა დაკავებული. თუმცა, მეფემ მას დანაშაული აპატია და I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ნება დართო მას თავის საბრძოლო რაზმთან ერთად გაერთიანებულიყო რუსეთის კავკასიის არმიის შემადგენლობაში. აქ იგი მე-2 სომხური რაზმის მეთაურად ინიშნება და მონაწილეობს კავკასიის ფრონტზე წარმოებულ სომარ მოქმედებებში.

- ,,მე ჯარისკაცი ვარ და პოლიტიკის არაფერი გამეგება. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს ჩვენი გადამწყვეტი ბრძოლა იქნება. თავისუფლება ან სიკვდილი. სხვა გზა ჩვენ არ გაგვაჩნია. მე ისიც კარგად ვიცი, რომ ბევრი ჩვენგანი ბრძოლის ველიდან ვერ დაბრუნდება, მაგრამ ***დიდი საქმეები*** დიდი მსხვერპლის გაღებას მოითხოვს''... (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.). ვერაფერს ვიტყვით. მეტად პატრიოტული და ამაღელვებელი სიტყვებია. სომხური და პროსომხური ჰეროიკული ისტორიოგრაფია ამ ფრთოსან ციტატას გენერალ დროს მიაწერს. საფუძველშივე ჩანს, რომ ეს ლამაზი ციტატა იდეური ფალსიფიკაციაა. საქმე იმაშია, რომ გენერალი დრასთამატ კანაიანი, ყმაწვილკაცობიდან სამარის კარამდე, პირწავარდნილი დაშნაკისტი და ტერორისტი, პარტიის აქტიური წევრი და მისი ერთ-ერთი იდეოლოგიური ლიდერი გახლდათ. სწორედ პარტიული ბრძოლა, ანუ, სისხლიანი ტერორი და არასომხური მოსახლეობისაგან აღმოსავლეთ ანატოლიისა და ამიერკავკასიის ტერიტორიების ეთნიკური წმენდა, ანუ, რეგიონის მუსლიმი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა შეადგენდა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად არსს. 1917 წლიდან დაშნაკთა პარტბიუროს გადაწყვეტილებით, დრო კანაიანი სომხური ნაციონალური საარმიო კორპუსის კომისრად ინიშნება, ე.ი. იგი სომხეთის შეიარაღებული ძალების მთავარ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ბელადად გვევლინება. ასე, რომ მის აპოლიტიკურობაზე აპელირება თვალებში ნაცრის შეყრის კიდევ ერთი უსუსური მცდელობაა. სულ მალე კი, ისიც დადასტურდება დოკუმენტურად, თუ რა წარმოადგენდა გენერალ დრასთამატ კანაიანისათვის ,,დიდი საქმეების'' კეთება.

ზემოთ მოყვანილის მსგავს სენტენციას, სხვათა შორის, იგი სომხეთ-საქართველოს ომის დასაწყისშიც წარმოთქვამს, რომელიც უფრო მეტი დრამატიზმითა და ტრაგიზმითაა აღსავსე. 1918 წლის 12 დეკემბერს, ყარაქილისაში, გენერალმა დრომ ბატონ სვიმონ მდივანს,[464] საქართველოს

---

464 სვიმონ მდივანი (1876-1937წ.წ.) – ქართველი რევოლუციონერი და პოლიტიკოსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, სოციალ-დემოკრატი. დაიბადა ხონში, ადგილობრივი ინტელიგენტების ოჯახში. პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. უმაღლესი განათლება მიიღო ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდშივე ჩაება აქტიურ რევოლუციურ საქმიანობაში და იყო ანტიცარისტული მოძრაობის წევრი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გარკვეული პერიოდი მსახურობდა ქალაქ ოდესის თვითმმართველობაში. 1905 წელს ბრუნდება სამშობლოში. ხდება სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი და აქტიურად იბრძვის ცარიზმის წინააღმდეგ. მონაწილეობას იღებს ტერორისტული შეიარაღებული რაზმების შექმნაში. რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ფუძნდება ბათუმში, სადაც იწყებს პუბლიცისტურ საქმიანობას, რედაქტორობს ადგილობრივ ყოველდღიურ გაზეთს. იყო ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის ხმოსანი, ამავე დროს ხდება სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი და ბათუმის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გადადის თბილისში, სადაც მას ეროვნული საბჭოს წევრად ირჩევენ, ხოლო 1918 წლიდან ხდება საქართველოს პარლამენტის წევრი. 1918 წლის 24 ოქტომბერს ინიშნება საქართველოს სრულუფლებიან ელჩად სომხეთის რესპუბლიკაში. 1919 წლის მარტიდან არის საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი და თავმჯდომარის მოადგილე. 1921 წლის თებერვლიდან არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი თურქეთის ქემალისტურ მთავრობაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, რჩება ანგორაში,

რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელს სომხეთში, რომელიც ამ თანამდებობაზე 1918 წლის 24 ოქტომბერს დაინიშნა,[465] განუცხადა, რომ ,,იგი უკან არ დაიხევს საქართველოს წინააღმდეგ ღია საომარი მოქმედებების დაწყების წინაშეც, რადგან საქართველოს მთავრობის მოქმედებები ახალქალაქსა და ბორჩალოში აშკარად აგრესიულია სომხეთის მიმართ და საჭიროა მისი დროული აღკვეთა. იგი თვლის, რომ სომხეთისათვის დადგა ის ჟამი, როცა სომხეთი რისკზე უნდა წავიდეს. თუ მას უბედურება დაატყდება თავს და იგი განადგურებულ იქნება, ე.ი. ასეთი ყოფილა მისი ბედი, მაგრამ მან ყოველგვარი ზომები უნდა გაატაროს, რომ მიიღოს ის, რაც მის უცილობელ კუთვნილებას წარმოადგენს''.[466] აი, ასეთი ისტორიული დილემების წინაშე იდგა თურმე გენერალი დრო 1914 წელს და 1918 წელსაც, როდესაც უალტერნატივო გადაწყვეტილებებს იღებდა, ერთ შემთხვევაში ოსმალთა იმპერიისა და მეორე შემთხვევაში საქართველოს პირველი რესპუბლიკის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დასაწყებად. 1918 წლის განმავლობაში მისი მოღვაწეობისა და საბრძოლო აქტივობის დეტალებს ჩვენ წიგნის მეორე ნაწილში განვიხილავთ უფრო დაწვრილებით, რამეთუ სწორედ იგი წარმოადგენდა სომხეთ-საქართველოს ომში სომეხთა შეიარაღებული ძალების ფაქტობრივ მთავარსარდალს და ამ ომის ერთ-ერთ მთავარ ფიგურას.

1920 წლის ბოლოს გენერალი დრო სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრად ინიშნება და ერთდროულად რესპუბლიკის დიქტატორად ცხადდება (ეს სულაც არ არის ხუმრობა ან სიტყვის გაქცევა. ამ ფაქტს ჩვენ წიგნის მეორე ნაწილის შესაბამის თავში განვიხილავთ უფრო დაწვრილებით). რაც ყველაზე საინტერესოა, სომხეთის გასაბჭოებისთანავე, გენერალი დრო გარიგებაში შედის რუს ბოლშევიკებთან და გარკვეული პერიოდი საბჭოთა სომხეთის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობასაც ასრულებდა. მაგრამ ბოლშევიკები რისი ბოლშევიკები იქნებოდნენ, ბოლომდე რომ მინდობოდნენ მას. ან დრო რისი დრო იყო, რომ ბოლომდე ეერთგულა ახალი პატრონებისათვის. მათ კარგად იცოდნენ ერთმანეთის ზნე. მართალია, დრო კანაიანი 1924 წლამდე ოჯახთან ერთად მოსკოვშიც კი ცხოვრობდა და იქ თამბაქოთი ვაჭრობდა, მაგრამ 1924 წლის თებერვლიდან სომეხთა ,,ჰანიბალი“ ტოვებს საბჭოთა კავშირს და რუმინეთში ახერხებს გამგზავრებას. შემდეგ იგი ბულგარეთსა და ლიბანში გადადის.

1940-იანი წლებიდან დრო აქტიურ თანამშრომლობას იწყებს ნაცისტებთან და ხელმძღვანელობს სომხური ნაციონალური ბატალიონის ჩამოყალიბებას ვერმახტის შემადგენლობაში. II მსოფლიო ომის მსვლელობის პერიოდში ცნობილ 812-ე სომხურ ნაცისტურ ბატალიონს აყალიბებს, სადაც მის მოადგილედ ნეჯდე ინიშნება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხსენებული ბატალიონი საბრძოლო დამსახურებებით არ გამოირჩეოდა, იგი სულ სხვა ფრონტზე იჩენდა გულმოდგინებას - განსაკუთრებული სისასტიკით მონაწილეობდა ნაცისტთა სადამსჯელო ოპერაციებში გერმანელთა მიერ დაპყრობილი უკრაინისა და ყირიმის ტერიტორიებზე. ამ ფაქტს სომეხი ავტორებიც ვერ უვლიან გვერდს. აი მაგალითად, სომხური წარმომავლობის რუსი ავტორი, ესეისტი და მთარგმნელი, აშოტ საგრატიანი, რომლის ბებიაც პირადად იცნობდა ძმებს, დრასთამატ და ვრეჟ კანაიანებს, თავის სტატიაში, ,,Сердца нет у времени...“ (,,დროს გული არა აქვს“), წერს:

შემდეგ კი, მიდის ემიგრაციაში. იცავდა საქართველოს ინტერესებს 1922 წლის გენუის კონფერენციაზე, სადაც ქართული დელეგაციის წევრებს მის გარდა წარმოადგენდნენ აკაკი ჩხენკელი, ირაკლი წერეთელი, გრიგოლ ვეშაპელი და ზურაბ ავალიშვილი. ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში, როგორც ბოლშევიზმთან შეურიგებელი მებრძოლი და კავკასიის ერთიანობის აპოლოგეტი, იყო თითქმის ყველა ანტიბოლშევიკური და დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იყო საქართველოს ეროვნული ინტერესების ერთგული და შეუპოვარი დამცველი. გარდაიცვალა 1937 წელს, საფრანგეთის ქალაქ სოშოში. დაკრძალულია ლევილში.

465 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 190უკ.

466 Изъ исторіи Армяно-Грузинскихъ отношеній. 1918 годъ. (пограничные конфликты; переговоры; война; соглашеніе). Государственная Типографія. Тифлисъ. 1919. Стр. 109.

,,გარეგინ ნეჯდესთან ერთად იგი [დრო] სომეხი ტყვეებისაგან აღმოსავლეთის ფრონტზე გადასასროლად, ჰიმლერის[467] თხოვნით სომხური ლეგიონის ფორმირებას შეუდგა. გერმანული ჯარების სწრაფი წინსვლის გამო, გერმანელებისა და დროსათვის სამწუხაროდ, დიდ ჯგუფებად ჩავარდნილ სომეხ ტყვეთა შორის საბჭოთა ხელისუფლებით უკამყოფილო სომხები არც თუ ისე ბევრნი აღმოჩნდნენ. ასე რომ, გერმანელები ცოცხალი ძალის ამ რეზერვს დამხმარე სამუშაოებისა და პარტიზანთა წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციების ჩასატარებლად იყენებდნენ".[468] 812-ე სომხური ბატალიონის ამ ,,საგმირო საქმეების" შესახებ უფრო ზუსტ ცნობებს სხვა წყაროები გვაწვდიან: ,,ეს 812-ე ბატალიონი, მოგვიანებით, ალფრედ მურადიანის, გერმანელი სომეხის და არმიკ ჯამალიანის, მოკლე პერიოდში სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის, არშაკ ჯამალიანის ვაჟის ძალისხმევით ეგრეთ წოდებულ "სომხურ ლეგიონად" გარდაიქმნა, ამ ლეგიონის პირად შემადგენლობას წვრთნიდნენ და ხელმძღვანელობდნენ SS[469]-ის და მისი უშიშროების სამასახურის

---

467 ჰაინრიხ ლუიტპოლდ ჰიმლერი (გერმ. Heinrich Luitpold Himmler) (1900-1945წ.წ.) – გერმანიის მესამე რაიხისა და ნაცისტური პარტიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი და გავლენიანი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის წევრი 1923 წლიდან. გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის მიერ 1923 წლის 9 ნოემბერს მიუნხენში მოწყობილი და არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების აქტიური მონაწილე, სადაც დაიჭრა კიდეც. სს-ის რაიხსფიურერი 1929 წლიდან და სს-ის ჯარების (Waffen-SS) სარდალი. სწორედ მან გადააქცია თავდაპირველი 290 მებრძოლისაგან შემდგარი სს-ის პირველი ბატალიონი მილიონიან უმძლავრეს სამხედრო ორგანიზაციად. 1933 წლისათვის ეკავა რაიხსლაიტერის, 1942-1943 წლებში იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსის, ხოლო 1943-1945 წლებში – გერმანიის შინაგან საქმეთა რაიხსმინისტრის თანამდებობები. მესამე რაიხის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ოდიოზური ლიდერი, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დევნისა და ჰოლოკოსტის მთავარი ორგანიზატორი.

468 Ашот Сагратян. Сердца нет у времени... Ноев ковчег. № 5 (211) Март (16–31) 2013 года. https://noev-kovcheg.ru/mag/2013-05/3742.html

469 ,,სს" (გერმ. SS, შემოკლებით გერმანულიდან SchutzStaffel) – პირდაპირი მნიშვნელობით – ,,დაცვის რაზმები". გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის (გნსმპ) სპეციალური გასამხედროებული ფორმირებები, რომლებიც თავდაპირველად შედიოდნენ მოიერიშე რაზმების – ,,სა" (გერმ. SA – SturmAbteilung) შემადგენლობაში და მათ დანიშნულებასაც პარტიის ლიდერის, ადოლფ ჰიტლერის პირადი დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. 1933-1945 წლებში გერმანიაში არსებული ამ ნაცისტური გასამხედროებული ორგანიზაციის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ,,ზიგ"-ის ორმაგი რუნის მქონე სპეციალური ტიპოგრაფიული ლიგატურა – ϟϟ. 1934 წლიდან ,,სს" გამოყვანილ იქნა მოიერიშე რაზმების შემადგენლობიდან როგორც ნაციონალ-სოციალისტური პარტიის დამოუკიდებელი სამხედრო სტრუქტურა. იგი დაემორჩილა უშუალოდ ჰიტლერს და სს-ის რაიხსფიურერს, ჰაინრიხ ჰიმლერს. სს-ის დევიზი იყო – ,,ჩვენს ღირსებას ერთგულება ჰქვია" (გერმ. Unsere Ehre heißt Treue). 1934 წლის დეკემბრიდან, შექმნილი პოლიტიკური ვითარებების შესაბამისად, დაიწყო სს-ის სპეცრაზმების გაერთიანება და გაძლიერებული სამხედრო რაზმების შექმნა, რომლებმაც 1939 წლის ივნისიდან ,,ვაფენ-სს" (გერმ. Waffen-SS) – ,,სს-ის ჯარების" დასახელება მიიღეს. 1939 წლის დეკემბრისათვის სს-ის პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა უკვე 243,6 ათასს შეადგენდა. სს-ის რაიხსფიურერის, ჰაინრიხ ჰიმლერის 1939 წლის 1 დეკემბრის ბრძანებით, ,,სს-ის ჯარების" შემადგენლობაში შევიდა ოთხი გერმანული დივიზია – სს-ის 1-ლი სატანკო დივიზია ,,ლეიბშტანდარტი ადოლფ ჰიტლერი" (გერმ. SS-Panzer-Division "Leibstandarte SS Adolf Hitler"), სს-ის მე-2 სატანკო დივიზია ,,დიდი გერმანია" (გერმ. SS-Panzer-Division "Das Reich"), სს-ის მე-3 სატანკო დივიზია ,,მკვდარი თავი" (გერმ. SS-Panzer-Division "Totenkopf"), სს-ის მე-4 გრენადერთა საპოლიციო დივიზია და ასევე, ერთი უცხოური (ნიდერლანდები, ბელგია, სკანდინავია) – სს-ის მე-5 სატანკო დივიზია ,,ვიკინგი" (გერმ. SS-Panzer-Division "Wiking"). ომის მომდევნო წლებში ,,ვაფენ-სს" – ,,სს-ის ჯარები" რაიხსფიურერ ჰაინრიხ ჰიმლერის ერთგვარ ელიტარულ არმიად ჩამოყალიბდა და გერმანიის შეიარაღებული ძალების იერარქიულ კიბეზე ყველაზე მაღალი ადგილი დაიკავა. ,,ვაფენ-სს" აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ბრძოლებში და იგი ნაცისტური გერმანიის მთავარი დამრტყმელი ძალა იყო II მსოფლიო ომის ყველა ფრონტზე. ომის მიწურულს, 1945 წლის მარტისთვის, სს-ის ჯარების რიცხოვნობა უკვე 830 ათასს შეადგენდა. სს-ის გამგებლობაში იმყოფებოდა აგრეთვე მესამე რაიხის ტერიტორიებზე არსებული

SD-ის[470] თანამშრომლები. სომხური ლეგიონის ქვედანაყოფები ნაცისტთა Einsatz Gruppen-ს[471] (აინზაც გრუპენ) ყირიმსა და ჩრდილოეთ კავკასიაში შეუერთდნენ. ეს სომხური ბატალიონები ნაცისტებს ემსახურებოდნენ და როგორც პოლიციური განყოფილებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე შიდა უსაფრთხოების სამსახურის უზრუნველყოფით იყვნენ დაკავებულნი. მათი მოვალეობა იყო ებრაელების და სხვა ,,არასასურველი" ელემენტების მოძიება, შეგროვება და მათი სასიკვდილო ლაშქრობების ორგანიზება საკონცენტრაციო ბანაკებში.[472] ამ საკითხთან დაკავშირებით, საერთაშორისო ურთიერთობების ცნობილი ექსპერტი, არიე გუტი (Arye Gut), Jewish Journal-ის 2015 წლის 28 აპრილის ნომერში დაბეჭდილ სტატიაში, სათაურით, "Armenia immortalizes fascists, anti-Semites who participated in the Holocaust" (,,სომხეთი ჰოლოკოსტში მონაწილე ფაშისტებისა და ანტისემიტების ხსოვნას ამკვიდრებს"), წერს: ,,ისტორიას არ დავიწყებია მეორე მსოფლიო ომში ვერმახტის შემადგენლობაში არსებული სომხური ლეგიონის მიერ ჩადენილი სისასტიკეები. სომხური ლეგიონის მიზანს, რომელსაც ნაციონალისტი დრო მეთაურობდა (ვინც პირადად მონაწილეობდა ათასობით ებრაელის განადგურებაში), რეიდების ჩატარება და ებრაელების და გერმანელთათვის სხვა ,,მიუღებელი" ერების წარმომადგენელთა განადგურება იყო. აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის სამართლისა და ადამიანთა უფლებების ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ როვშან მუსტაფაევის წიგნში ,,სიკვდილის ტანგო" კი, ვკითხულობთ: ,,სომხური ლეგიონი საკონცენტრაციო ბანაკებში განხორციელებულ სიკვდილის მარშებშიც მონაწილეობდა... დასავლეთ ყირიმში 1941 წლის 16 ნოემბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით განხორციელებული ოპერაციის დროს სომხურმა ზონდერჯგუფმა ,,დრომედარმა" 17645 ებრაელი, 2504 ყარაიმი[473], 824 ბოშა და 212 პარტიზანი დახვრიტა. სიმფეროპოლი, ევპატორია, ალუშტა,

---

საკონცენტრაციო და სიკვდილის ბანაკების მთელი ქსელი, სადაც ნაცისტთა იდეოლოგიამ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

470 ,,სდ" – ,,სს"-ის რაიხსფიურერის უშიშროების სამსახური (გერმ. Sicherheitsdienst des Reichsführers SS) – მესამე რაიხის ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფო აპარატის ნაწილი. შეიქმნა 1931 წელს, როგორც გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის და მასთან არსებული ,,სს"-ის რაზმების სპეცსამსახური. 1934 წლიდან გარდაიქმნა როგორც ნაცისტური ხელმძღვანელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამოუკიდებელი სტრუქტურა. 1939 წლიდან დაექვემდებარა იმპერიის უშიშროების მთავარ სამმართველოს. იმპერიის ფარგლებში ებრძოდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, ხოლო ამ ორგანიზაციის საგარეო განყოფილებები დაკავებულლნი იყვნენ შპიონაჟისა და საიდუმლო ოპერაციების წარმოებით.

471 Einsatz Gruppen – უშიშროების პოლიციისა და სდ-ის აინზაცჯგუფები (გერმ. Einsatzgruppen der Sicherheitspolizei und des SD) – ნაცისტური გერმანიის გასამხედროებული სიკვდილის ესკადრონები, რომლებიც ევროპისა და საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ანხორციელებდნენ სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივ მკვლელობებს. აინზაცჯგუფები თამაშობდნენ გადამწყვეტ როლს ე.წ. ,,ებრაული საკითხის საბოლოო მოგვარებაში", რაც ებრაელი ხალხის გენოციდს ითვალისწინებდა. ამ რაზმების სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ ებრაელები, ბოშები და სხვა ე.წ. ,,რასობრივად არასრულფასოვანი" ხალხები. აგრეთვე კომუნისტები, წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები და ,,ასოციალური ელემენტები". აინზაცჯგუფები სს-ის და იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსების, ჰაინრიხ ჰიმლერისა და რაინჰარდ ჰაიდრიხის ორმხრივ დაქვემდებარებაში იყვნენ. პირველი აინზაცჯგუფები შეიქმნა 1938 წლს, ავსტრიის ანშლუსის შემდეგ. მათმა საქმიანობამ კი, სრული მასშტაბები 1939 წლის სექტემბრიდან, გერმანიის მიერ პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ შეიძინა.

472 A Fabricated Genocide. A half truth is a whole lie… General Dro (Drastamat Kanayan), Nazi war criminal an Armenian national hero. https://armeniangenocidelies.wordpress.com/2012/10/19/general-dro-drastamat-kanayan-a-national-hero-2/

473 ყარაიმი (ძვ. ებრ. קָרָאִים – პირდაპირი მნიშვნელობით ,,მკითხველები") – აღმოსავლეთ ევროპაში განსახლებული ყივჩაღური თურქულენოვანი მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი. რუსეთის იმპერიაში იყო რელიგიური ჯგუფის, ხოლო საბჭოთა კავშირში – ნაციონალობის აღმნიშვნელი ტერმინი. არსებობს ყარაიმების წარმოშობის ორი ვერსია – სემიტური და ხაზარული. ორივე ეს ვერსია დღევანდლამდე შეადგენს მეცნიერული დისკურსის საგანს და არც ერთი მათგანი არ გამორიცხავს ბოლომდე მეორეს.

ყარასუბაზარი, ქერჩი და ფეოდოსია, ასევე დასავლეთ ყირიმის დანარჩენი რაიონები ებრაელებისაგან გაიწმინდა“.[474]

II მსოფლიო ომის დასრულებისას, 1945 წელს, დრო კანაიანს ამერიკელები აპატიმრებენ, მაგრამ მალევე ათავისუფლებენ. ნეჯდესგან განსხვავებით იგი ფარულად ტოვებს ევროპას და თავს ამერიკის შეერთებულ შტატებს აფარებს. 50-იანი წლებიდან იწყება მისი პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის ახალი ეტაპი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნისას იგი ხელმძღვანელობს ერთ-ერთ სომხურ დიასპორას და აქტიურად იღწვის დაშნაკური იდეოლოგიის ამოსავალი წერტილის - ,,დიადი არმენიის” იდეის პროპაგანდისათვის. მალე, 1947 წლისათვის, თავისი ნაციონალისტური შეხედულებების გამო, იძულებულია დატოვოს შტატები. იგი არალეგალურად გადადის საცხოვრებლად ლიბანში და ფუძნდება ბეირუთში. ლიბანში ყოფნისას, დრო დაშნაკთა პარტიის მსოფლიო მე-14 კონგრესის მუშაობაში მონაწილეობს და როგორც დაშნაკთა პარტიის ბიუროს წევრი აქტიურადაა ჩართული პოლიტიკაში. ამავე დროს სომხეთის დამოუკიდებლობის აღდგენის იდეის პროპაგანდას ეწევა. შემდეგ იგი ისევ ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრუნდება, სადაც გარდაიცვლება კიდეც 1956 წელს. დაასაფლავეს მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ უოთერთაუნში, ზოგიერთი ცნობით - ბოსტონში. მაგრამ ამით მისი ცოდვილი სულის ვოიაჟები არ დასრულებულა.

44 წლის შემდეგ, 2000 წლის მაისში, მისი ნეშტი დიდი პატივით გადმოასვენეს სომხეთში და 28 მაისს ოფიციალური სამთავრობო ცერემონიალების შემდეგ დაკრძალეს ბაშ-აბარანის მემორიალურ მთაზე, ერევნიდან 50 კილომეტრზე ჩრდილოეთით, სწორედ იმ ადგილას, სადაც მისი მეთაურობით სომხურმა ქვედანაყოფებმა წარმატებული თავდაცვითი საბრძოლო მოქმედებები აწარმოეს 1918 წლის მაისის ბრძოლებში თურქთა წინააღმდეგ. 2005 წელს სომხეთის მთავრობამ სომხეთის რესპუბლიკის თავდავის სამინისტროს გენერალ დრასთამატ კანაიანის სახელობის ნაციონალური სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი დააარსა,[475] ხოლო რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ მისი სახელობის მედალი გამოუშვა, რომელიც სამხედრო საქმეში წარმატებულ სამხედრო და სამოქალაქო პერსონალს გადაეცემა.

,,იგი სომხეთის რევოლუციის ჯარისკაცი იყო, სომეხი ხალხის ტანჯვისათის შურისმაძიებელი ანგელოზი, სამართლიანობისათვის თავდადებული, ფედერაციის (აქ დაშნაკთა პარტია იგულისხმება - ა. ჩ.) დაუმარცხებელი რაზმის მეთაური, უშიშარი მებრძოლი, პირველ მსოფლიო ომში სომეხ მოხალისეთა მეორე ბატალიონის მეთაური, პირველი ფედერაციის (აქაც დაშნაკთა პარტია იგულისხმება - ა. ჩ.) პარტიზანი მებრძოლების კოორდინატორი და იმ სამხედროთა აღმზრდელი, რომლებიც სომხეთის არმიის ბირთვს ქმნიდნენ. იგი ორჯერ ერევნის მხსნელი და ბაშ-აბარანის გმირი იყო, იმ გადამწყვეტი ბრძოლისა, რომელმაც სომხეთს თურქეთისგან დამოუკიდებლობა მოუპოვა, ყველაზე წარმატებული სამხედრო ლიდერი, ეროვნული მოღვაწე და ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება სომეხი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლას მიუძღვნა“.[476] ამ სტრიქონების ავტორი ჯეიმს გარაბედ (კარაპეტ) მანდალიანია (James Garabed Mandalian) - სომხური წარმომავლობის ამერიკელი ჟურნალისტი, პუბლიცისტი და გამომცემელი,

---

სემიტური თეორიის თანახმად, ყარაიმები წარმოადგენენ ებრაელთა ეთნოლინგვისტურ ან ეთნოკონფესიურ ჯგუფს, რომლებიც იუდაიზმის ყარაიმულ ვერსიას მისდევენ. ხაზარულ-თურქული თეორიის მიხედვით კი, ყარაიმები იმ მომთაბარე ხაზართა შთამომავლები არიან, რომლებიც ყირიმში განსახლდნენ და აქ მიიღეს იუდაიზმი.

474 Arye Gut. Jewish Journal. Armenia immortalizes fascists, anti-Semites who participated in the Holocaust. 2015. https://justiceforkhojaly.org/ru/content/%E2%80%9Cjewish-journal%E2

475 Институт национальных стратегических исследований (ИНСИ) имени Драстамата Канаяна НОИУ МО РА. https://www.mil.am/ru/pages/12

476 James G. Mandalian. The Life and Time of General Dro. The Armenian Review. Volume 10, Number 2, Summer, June 1957. http://asbarez.com/144592/the-life-and-time-of-general-dro/

მასაჩუსეტსის შტატში ინგლისურ ენაზე გამომავალი სომხური გაზეთის “Hairenik Weekly“ რედაქტორი. ერთ-ერთი ვეტერანი ფიდაინი და დაშნაკი მებრძოლი აზინ სტეფანიანი კი, დრო კანაინს ასე ახასიათებდა: ,,მე ვიბრძოდი ანდრანიკის, სეფუსა და სხვა მეთაურების დროს. ჩემი მოკრძალებული აზრით, დრო ყველა მათგანზე უდიდესი იყო, როგორც პირადი სიმამაცის, ისე სამხედრო ცოდნის თვალსაზრისით. ის იყო კარგი ორგანიზატორი, უაღრესად კომუნიკაბელური, მოკრძალებული და სიცოცხლით სავსე კაცი. მას შეეძლო სწორი გადაწყვეტილების მიღება ყველაზე რთულ ვითარებაშიც კი. იგი განსაკუთრებული ძალა იყო, ასევე გამორჩეული ლიდერი და მეთაური. ბრძოლაში მთავარ დარტყმას თავის თავზე იღებდა. პირად ცხოვრებაში კი, კარგი მეგობარი, გულუხვი და გულითადი ადამიანი იყო ”.[477] ,,იგი სომხური წინააღმდეგობის სიმბოლო იყო... მისმა მოქმედებებმა განსაზღვრა თითოეული სომხის ცნობიერებაში ეროვნული თვითიდენტიფიკაციის შეგრძნება” - ეს ფრთოსანი სიტყვებიც, ცხადია, სომეხ ავტორს ეკუთვნის.

აი, ასეთია დაშნაკთა საბრძოლო რაზმების მეთაურთა გრძელი და სისხლიანი საბრძოლო ბიოგრაფიების ძირითადი შტრიხები. მათ განსხვავებული გარეგნობა, განსხვავებული ასაკი და განსხვავებული გვარ-სახელები აქვთ, მაგრამ ისე გვანან ერთმანეთს, რომ მკითხველს ერთი პიროვნების ბიოგრაფია ეგონება. და მართლაც იდენტურია მათ მიერ გავლილი ცხოვრებისეული გზები. იდენტურია მათი მსოფლმხედველობა, აზრები და მიზნები. იდენტურია ამ მიზნების განხორციელების გზებიც. რაც ყველაზე ნიშანდობლივი და საგანგაშოა - იდენტური და დღესაც აღმატებულად ლეგენდარულია სომეხი ხალხის დამოკიდებულება დაშნაკთა პარტიისა და მისი უკიდურესად აგრესიული იდეოლოგიის ამ ერთგული შვილების მიმართ. მათ აქებენ და ადიდებენ, მათზე ლეგენდებს თხზავენ და ეთაყვანებიან, მათ ძეგლებს უდგამენ და აღმერთებენ. არადა, ამ ,,გმირ-ფიდაინებს“ სისხლისღვრისა და უბედურების მეტი არაფერი მოუტანიათ სხვა ხალხებისა და პირველ რიგში, თვით სომეხი ერისათვის. ზუსტად აღნიშნავს თავის ნაშრომში ,,История транснационального армянского терроризма в XX столетии. Историко-криминологическое исследование“, ოლეგ კუზნეცოვი - რუსი ისტორიკოსი კავკასიოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი: ,,დღეს სომხები მსოფლიოში ერთადერთი ეთნიკური ჯგუფია, რომლის წარმომადგენელთა უმრავლესობისათვის ტერორისტები, თავისი არსით მარგინალები, სულთამხუთავები და მკვლელები, რომელთა აღსანიშნავად სპეციალური სიტყვაც კი იქნა მოგონილი - ,,ფიდაინები“, ის გმირები და მისაბაძი მაგალითები არიან, რომელთა საპტივცემულოდ სომხეთის რესპუბლიკაში აგებენ მემორიალურ კომპლექსებს და დგამენ ძეგლებს“.[478] და აქვე იძლევა დროულ, და ჩვენის აზრით, მეტად სასარგებლო რჩევას: ,,თავისი ისტორიული მემკვიდრეობის რეტროსპექტული ანალიზის ჩატარება, რომლის განუყოფელ და მნიშვნელოვან ნაწილს ტერორისტული პრაქტიკა შეადგენს, უპირველეს ყოვლისა, თვით სომეხი ხალხისთვის არის აუცილებელი, როგორც უშუალოდ სომხეთის რესპუბლიკაში მცხოვრებთათვის, ასევე დიასპორისათვის. ხალხი, რომელიც ტერორისტთა გმირობებს უმღერის, არასოდეს იქნება გაგებული და მიღებული მსოფლიოს სხვა ხალხების მიერ როგორც თანასწორი. ეჭვს გარეშეა, რომ ამ უცილო ფაქტის გააზრება სომხური ეთნოსის ინტელექტუალური ელიტისა და სომხეთის რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გონებაშიც ხდება. მათ კი, მხოლოდ უნდა ვუთანაგრძნოთ, რადგან დღეს იმ ორნახევარი მილიონი ადამიანის მართვა უწევთ, რომელთა

---

477 James G. Mandalian. The Life and Time of General Dro. The Armenian Review. Volume 10, Number 2, Summer, June 1957. http://asbarez.com/144592/the-life-and-time-of-general-dro/

478 О. Ю. Кузнецов. История транснационального армянского терроризма в XX столетии. Историко-криминологическое исследование. Издание 2-е, дополненное. Москва. «Аквариус», — 428 с. Ил. Стр. 8. http://turktoday.info/cdn/istor.pdf

უმეტესობას მტკიცედ სჯერა, რომ ტერორისტი-ფიდაინები გმირები იყვნენ, ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილი კი, ცდილობს მათ მიბაძოს“.[479]

I მსოფლიო ომის წინა პერიოდისათვის დაშნაკთა პარტიამ ნათლად ჩამოაყალიბა პარტიის მოქმედებების სტრატეგია და ტაქტიკა ოსმალთა იმპერიის ომში ჩართვის შემთხვევაში: თუ რუსეთის არმია გადმოკვეთავს ოსმალთა იმპერიის საზღვრებს, უნდა დაიწყოს სომეხთა საყოველთაო და დაუყოვნებლივი აჯანყება. თურქეთის ჯარი ორ ცეცხლს შუა უნდა მოჰყვეს. თურქეთის სამთავრობი ჯარები უნდა დაკავდნენ შიდა ფრონტის საბრძოლო მოქმედებებით. თურქეთის არმიის სომეხი ეროვნების ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა კი, იარაღიანად უნდა მიატოვონ თავიანთი ნაწილები და შექმნან ორგანიზებული შეიარაღებული რაზმები. რუსეთთან მოსაზღვრე რაიონების მოსახლეობა უნდა გადავიდეს რუსეთში და მათგან შეიქმნას მოხალისეთა საბრძოლო რაზმები.

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის წერილი
გენერალური შტაბის გენერალ-კვარტერმეისტერს
საიდუმლო.
1913 წლის 26 თებერვალი.
№2900. ქ. ტფილისი

,,მოგახსენებთ აზიური თურქეთიდან უკანასკნელ ხანს მიღებულ პოლიტიკურ ცნობებს.

...30 იანვარს ბაიაზეთიდან გვატყობინებენ, რომ ომის დაწყების შემთხვევაში რუსული ჯარები არავითარ წინააღმდეგობას არ წააწყდებიან ბაიაზეთის სანჯაყის ფარგლებში... ქრისტიანული მოსახლეობა, ე.ი. სომხები, მოუთმენლად ელოდებიან რუსული ჯარების შემოსვლას და მზად არიან გაუწიონ მათ ყოველგვარი დახმარება. თურქთა მიმართ ზიზღისა და თურქთა უღლისგან განთავისუფლების ოცნებებში თურქეთის ყველა სომეხი ერთიანია, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებისა და სოციალური მდგომარეობისა“.[480] აი, მეორე დოკუმენტიც. ამონარიდი ყარსის გუბერნიის ყაგიზმანის (აღზევანის) სამხედრო ოლქის უფროსის წერილიდან:

1914 წლის 4 აგვისტო.
№85. ქ. ყაგიზმანი.

...თურქეთის სომხებს შორის არსებობს საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც რუსეთსა და თურქეთს შორის ომის დაწყების შემთხვევაში, თურქების წინააღმდეგ აპირებს განსაკუთრებული რაზმების (დრუჟინების) შექმნას თურქების ზურგში სამოქმედოთ. თუ ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდება, მაშინ ეს დრუჟინები[481] გადავლენ რუსეთში და იბრძოლებენ რუსულ ჯარებთან ერთად...''[482] გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა მოუწოდა საზღვრის იქით მცხოვრებ სომხებს, რომ მზადყოფნაში ყოფილიყვნენ. მისი გეგმა ითვალისწინებდა რუსული მეთაურობის ქვეშ სომხური

---

[479] О. Ю. Кузнецов. История транснационального армянского терроризма в XX столетии. Историко-криминологическое исследование. Издание 2-е, дополненное. Москва. «Аквариус», — 428 с. Ил. Стр. 8. http://turktoday.info/cdn/istor.pdf

[480] Мехмет Перинчек. Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов. Документ №12. Из письма начальника штаба Кавказского военного округа генерал-квартермейстеру Генеральрого штаба. РГВИА. Ф. 2000. Оп. 1. Д. 7716. Л. 405 об. 406. М.: ,,Лаборатория Книги ''. 2011. ISBN 978-5-903271-73-3. Стр. 49.

[481] დრუჟინა (რუს. Дружина) – ეს ტერმინი სხვადასხვა ისტორიულ პერიოდსა და სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა აზრობრივ დატვირთვას ატარებდა. აქ – რუსეთის იმპერიაში არსებული სახალხო ლაშქრის შემადგენელი სტრუქტურული დანაყოფი. პირადი შემადგენლობის რიცხოვნობის მხრივ დრუჟინა რეგულარული არმიის ბატალიონის ტოლფასი იყო.

[482] Мехмет Перинчек. Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов. Документ №26. Из письма начальника Кагизманского округа. РГВИА. Ф. 2100. Оп. 1. Д. 528. Л. 1-1 об. 2-2 об. М.: ,,Лаборатория Книги ''. 2011. ISBN 978-5-903271-73-3. Стр. 72.

საბრძოლო რაზმების შექმნას ოლთისში, სარიყამიშში, ყაგიზმანსა და იგდირში, ასევე სპარსეთის ტერიტორიაზე - ხოისა და დილმანში.[483]

მობილიზაციის გამოცხადებასთან ერთად, რუსულ არმიაში აქტიურად დაიწყო მოხალისეთა, ან როგორც მათ მაშინ უწოდებდნენ, ,,მონადირეთა" მიღების პროცესი. მრავალი სომეხი საზოგადო მოღვაწე, და რაც განსაკუთებით აღსანიშნავია, მაღალი იერარქიის სასულიერო პირები, მოითხოვდნენ სომეხ მოხალისეთა რაზმების შედგენას. 12 აგვისტოს ვორონცოვ-დაშკოვმა თბილისში მიიღო ცნობილი საზოგადო მოღვაწე ანდრანიკ ოზანიანი - პარტიზან-ფიდაინთა ხელმძღვანელი და პირველი ბალკანური ომის მონაწილე, სადაც იგი ბულგარეთის არმიის შემადგენლობაში იბრძოდა თურქების წინააღმდეგ. თათბირზე, რომელშიც სამხედრო ნაწილში მეფისნაცვლის მოადგილე, ინფანტერიის გენერალი ა. ზ. მიშლაევსკი მონაწილეობდა, საბოლოოდ გადაწყდა სომხური რაზმების შედგენა. სექტემბრის შუა რიცხვებში ეს გადაწყვეტილება მთავრობამ დაამტკიცა. ამ რაზმებში ჩაწერა არა მარტო რუსეთის ქვეშევრდომ სომხებს, არამედ საზღვარგარეთიდან ჩამოსულ სომხებსაც შეეძლოთ. და განცხადებებმაც ყოველი მხრიდან დაიწყო დენა - ევროპა, ამერიკის შეერთებული შტატები და აფრიკაც კი,[484] - აღნიშნავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვადიმ მიხაილოვი. ამავე დროს, სომეხთა დიდ საომარ აღტკინებასთან დაკავშირებით, ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავდა, რომ ,,გუბერნატორებისა და პირადად თბილისში ჩემი დაკვირვების შედეგად... ბევრი გაწვეული სომეხი სინანულს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი დასავლეთის ფრონტზე ინიშნებიან. ამ დროს კი, მათ თურქეთში სურდათ წასვლა".[485]

I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე სომხური ნაციონალისტური პრესა წერდა: ,,...ისტორიის განაჩენი მკაცრი და ულმობელია: თურქეთს არ შეუძლია იარსებოს როგორც შემდგარმა, დამოუკიდებელმა ორგანიზმმა. იგი უნდა მოკვდეს და დაიშალოს, ხოლო მის ნარჩენებზე ახალი სახელმწიფოები უნდა გაჩნდნენ, რომლებიც დაიწყებენ დამოუკიდებელ, თავისუფალ და ცივილიზებულ ცხოვრებას. თურქეთი ნაწილებად უნდა დაიყოს - ამას ითხოვს ულმობელი ისტორია და მოვლენების განვითარების ლოგიკა".[486] გაზეთ ,,სახალხო ფურცლის" 1916 წლის 13 მარტის ნომერი, სტატიაში ,,ოსმალეთის სომხეთი და კავკასიის სომხები", იუწყებოდა: ,,რუსეთ-ოსმალეთის ომის გამოცხადების შემდეგ ტფილისში სომეხ საზოგადო მოღვაწეთა ერთს ჯგუფს დაებადა აზრი მოეწყო სომეხ მოხალისეთა რაზმები ოსმალეთის წინააღმდეგ აქტიური მოქმედებისათვის. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ უმაღლესი მთავრობა ამ აზრს სრულის თანაგრძნობით მოეპყრობოდა. მალე მოხალისეთა რაზმები შესდგა და ომის დაწყებისთანავე აქტიური მოქმედება დაიწყო. ოსმალეთის სომხებმაც რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე გარკვეული პოზიცია დაიჭირეს და რუსეთს თანაუგრძნობდნენ".[487] სწორედ ამ მიზნებისათვის დაფუძნდა თბილისში სომეხთა ეროვნული საბჭო, ქალაქის მერის, პირწავარდნილი დაშნაკისტისა

---

483 Donald Bloxham. The Great Game of Genocide: : Imperialism, Nationalism, and the Destruction of the Ottoman Armenians. — Oxford University Press, 2005. — ISBN 0-19-927356-1.

484 Вадим Михайлов, доктор исторических наук, г. Санкт-Петербург. «В их Действиях было замечено мною полное презрение к смерти...» Армянские добровольческие дружины в русской армии. Родина. – 2014. - № 11. http://www.kavkazoved.info/news/2015/03/03/mikhailov-armjanskie-dobrovolcheskxaie-druzhiny-v-russkoj-armii.html

485 Арутюнян А. 0. Кавказский фронт 1914-1917 гг. Ереван. 1971. С. 294.

486 Джон Киракосян. Западная Армения в годы Первой мировой войны. Ереван. Издательство Ереванского университета. 1974. Стр. 212. ,,Мшак". 1914. 20 сентября. №208.

487 გევორქ იაგუტოვ, რაზმიკ ბადალიან, არტურ მირზოიან, ედუარდ სააკიან, ალექსანდრ ოჰანიან. სომეხთა გენოციდი ქართულ პერიოდიკაში 1914-1918 წლებში (საარქივო მასალების კრებული). საქართველოს სომეხთა სათვისტომო. თბილისი. 2011. გვ. 85.

და პროვოკატორის, ალექსანდრ ხატისოვის[488] ხელმძღვანელობით. სომეხთა ნაციონალური საბჭოს მთავარ ფუნქციას ამ ეტაპზე მოხალისეებისაგან საბრძოლო რაზმების ჩამოყალიბება, მათი ორგანიზება და შეიარაღება შეადგენდა. აღნიშნული სამუშაოების ჩატარებაც ინტენსიური ტემპებით დაიწყო.

პირველი ორგანიზებული ქვედანაყოფი (დრუჟინა) ანდრანიკ ოზანიანის მეთაურობით შეიქმნა, რომელიც ჩრდილოეთ ირანში შეუერთდა რუსეთის ჯარს. მეორე იყო დროს, მესამე და მეოთხე კი, შესაბამისად, ამაზასპის და კერის[489] რაზმები, რომლებმაც საბრძოლო აქტივობა დასავლეთის მიმართულებაზე გადაიტანეს. 1-მა რაზმმა, ანდრანიკის მეთაურობით, 1914 წლის 23 ოქტომბერს დაიწყო გადაადგილება ჯულფიდან ყოი-ბაშყალა-ვანის მიმართულებით, დროს მე-2 რაზმმა, 24 ოქტომბერს - იგდირი-ბაიაზეთი-დიარბერქირი-ვანის მიმართულებით, ამაზასპის მე-3 რაზმმა, 1 ნოემბერს - ყაგიზმანი-ალაშკერტი-მანასკერტი-ბითლისის მიმართულებით, ხოლო კერის მე-4 რაზმმა, 6 ნოემბერს - ყარაჯაორენი (ყარაურგანი - ა. ჩ.)-კაპრიკეი-არზრუმის მიმართულებით. ამ

---

488 ალექსანდრ ივანეს ძე ხატისოვი (ალექსანდრ ოვანესის ძე ხატისიანი) (სომხ. Ալեքսանդր Իվան Խատիսով (Ալեքսանդր Իվան Խատիսյան)) (1874-1945წ.წ.) – თბილისში დაბადებული და გაზრდილი, ქართული წარმომავლობის სომეხი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. 1891 წელს დაამთავრა თბილისის გიმნაზია. შემდეგ სწავლობდა მოსკოვის და ხარკოვის უნივერსიტეტების სამედიცინო ფაკულტეტებზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1897 წელს. ფლობდა სომხურ, ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებს. შემდგომ ცოდნას იღრმავებდა ევროპაში. 1900 წელს ბრუნდება თბილისში და ებმება პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1905 წელს ირჩევენ ქალაქის თვითმმართველობის წევრად. 1910-1917 წლებში იყო ქალაქ თბილისის თავი. ამავე დროს, 1914 წლიდან იყო ,,კავკასიის ქალაქთა კავშირის" თავმჯდომარე. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ხდება დაშნაკური საბრძოლო რაზმების შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ოფიციალურად შედის პარტია ,,დაშნაკცუტიუნის'' რიგებში. იყო სომეხთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1918 წლის აპრილიდან – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსთა და სურსათის მინისტრია. მონაწილეობდა ტრაპიზონისა და ბათუმის სამშვიდობო მოლაპარაკებებში. 1919 წლის ოქტომბრიდან სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრია, ხოლო 1919 წლის აგვისტოდან 1920 წლის მაისამდე – სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი. 1920 წლის 2 დეკემბერს ხელი მოაწერა ალექსანდროპოლისის ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ხელისუფლება გადააბარა ბოლშევიკთა რევკომს. შემდგომ მიდის ემიგრაციაში. ცხოვრობდა პორტუგალიასა და საფრანგეთში. ემიგრაციაში ყოფნისას აგრძელებდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იყო სხვადასხვა მასონური ლოჟისა და ორგანიზაციის წევრი. მონაწილეობდა ლოზანის კონფერენციის მუშაობაში. გარდაიცვალა პარიზში, 1945 წელს. დაკრძალულია პერ ლაშეზის სასაფლაოზე.

489 კერი – არშაკ გაფავიანი (სომხ. Գաֆավյան Արշակ (Քեռի) (1858-1916წ.წ.) – სომეხი ნაციონალისტი და ტერორისტი, დაშნაკთა პარტიის წევრი, სომეხთა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და I მსოფლიო ომში ერთ-ერთი დაშნაკური საბრძოლო რაზმის მეთაური. დაიბადა არზრუმში. იქვე დაამთავრა დაწყებითი სკოლა. ახალგაზრდობიდანვე ჩაება თურქეთის სომეხთა ნაციონალურ მოძრაობაში. იყო ერთ-ერთი სომხური ნაციონალისტური ორგანიზაცია ,,სომეხთა დამცველების'' წევრი. შემდგომში ირიცხებოდა სხვადასხვა საბრძოლო-ტერორისტულ რაზმში. მონაწილეობდა რუსეთიდან ოსმალეთში გადასული სარქის კუკუნიანის 1890 წლის სამხედრო ლაშქრობაში, თუმცა, წარუმატებლად. გაფავიანი და მასთან ერთად რაზმის ზოგიერთი სხვა წევრი რუსმა კაზაკებმა მონაწილეობდა დაშნაკთა მიერ ორგანიზებულ 1895 წლის არზრუმისა და 1904 წლის სასუნის სისხლიან გამოსვლებში, იყო ერთ-ერთი საბრძოლო რაზმის მეთაური. 1905-1906 წლებში ზანგეზურის მხარეში წარმოადგენდა სომეხ-თათართა (აზერბაიჯანელთა) სისხლიანი დაპირისპირების ერთ-ერთ თავკაცს. რუსული ხელისუფლების მხრიდან დევნის თავიდან ასაცილებლად ტოვებს კავკასიას და ემიგრირებს ირანში, სადაც მონაწილეობდა 1908-1912 წლების ირანის საკონსტიტუციო რევოლუციურ მოძრაობაში. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით დაშნაკი ტერორისტების მიმართ რუსეთის იმპერიაში ცხადდება ამნისტია, რის საფუძველზეც კერი ბრუნდება ამიერკავკასიაში და დგება მეფის სამსახურში. აქვე იწყებს მე-4 დაშნაკური საბრძოლო რაზმის ფორმირებას. 1914-1916 წლებში რუსული არმიის ფეხდაფეხ მონაწილეობდა კავკასიის ფრონტის სხვადასხვა, მათ შორის, სარიყამიშის ოპერაციებში. დაიღუპა ერთ-ერთი შეტაკების დროს, 1916 წელს. დაკრძალულია თბილისში, ხოჯევანქის სასაფლაოზე. ცნობილია კერიზე დაწერილი სახალხო სიმღერები.

რაზმებს ათასობით ადგილობრივი სომეხი შეუერთდა.[490] გენერალ გაბრიელ ყორღანოვის მონაცემებით, ამ რაზმების პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა 2500 კაცს შეადგენდა, კიდევ 600 კი, რეზერვი იყო.[491] ზემოთ ჩამოთვლილი რაზმების გარდა, ფორმირებულ იქნა კიდევ ორი რაზმი, რომელიც სომეხი მოხალისეებისგან შედგებოდა. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც პარტია ,,ჰუნჩაკის" წევრებისგან შედგებოდა, სათავეში კაპიტანი ჯამბოლადიანი ედგა და იგი სარიყამიშში ჩამოყალიბდა, ხოლო მეორე ვანში შეიქმნა და მას ბანდიტი არამი მეთაურობდა.[492] ყველაფერი კი შემდეგი სიტყვებით დაიწყო: ,,გადაეცით თქვენს მრევლს, რომ სომეხ ხალხს ბრწყინვალე მომავალი ელის". ეს სიტყვები 1914 წლის ნოემბრის თვეში, თბილისში ჩამოსულ იმპერატორ ნიკოლაი მეორეს ეკუთვნის, რომელიც მან სომეხთა კათოლიკოსს შემოუთვალა იმ წერილის პასუხად, რომელშიც კათოლიკოსი გევორქ V[493] იმპერატორს ,,თურქეთის სომეხთა საბოლოო გათავისუფლებას თხოვდა თურქთა ბატონობისაგან და დიდი რუსული ,,დერჟავის" ძლიერი პროტექტორატის ქვეშ სომხური ავტონომიის შექმნას".[494] კავკასიის მეფისნაცვალი გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი კი, კათოლიკოსი გევორქ V-ის მიმართ გაგზავნილ წერილში აფრთხილებდა ამ უკანასკნელს, რომ სომეხთა ყოველგვარი მოქმედებები მასთან ყოფილიყო შეთანხმებული და ,,ჩვენი სომხები საზღვარგარეთელ სომხებთან ერთად მზად ყოფილიყვნენ შეესრულებინათ... ის დავალებები, რასაც დროის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, იგი წაუყენებდა მათ შესასრულებლად".[495] წარმოდგენილი ტექსტიდან ჩანს, რომ კავკასიის მეფისნაცვალი აშკარად ფრთხილობდა დაშნაკური საბრძოლო

---

490 Назим Мустафа, научный сотрудник Института истории им. А. А. Бакиханова НАНА. http:// genocide. preslib.az/ru_a2-10.html

491 Корганов Г.Г. Участие армян в мировой войне на Кавказском фронте (1914-1918). М.2011. С. 8.

492 Назим Мустафа, научный сотрудник Института истории им. А. А. Бакиханова НАНА. http:// genocide.preslib.az/ru_a2-10.html

493 გევორქ სურენიანცი თხპისეცი (გევორქ V) (სომხ. Գևորգ Ե Սուրենյանց Տփղիսեցի) (1846-1930წ.წ.) – თბილისში დაბადებული და გაზრდილი სომეხი განმანათლებელი, საზოგადო და სასულიერო მოღვაწე, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ხელმძღვანელი, სრულიად სომეხთა კათოლიკოს პატრიარქი 1912-1930 წლებში. დაიბადა თბილისში. დაწყებითი განათლება მიიღო კარაპეტ ბალახიანის სკოლაში, შემდეგ სწავლობდა დავიდ არზამიანის პანსიონში. 1868 წელს დაამთავრა თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია. ამის შემდგომ გაემგზავრა ეჩმიაძინში, სადაც ბერად აღიკვეცა და დიაკვნად დაიწყო ღვთის სამსახური. ამავე დროს ადგილობრივ ჟარანგავორცის სკოლაში ასწავლიდა ისტორიას, გეოგრაფიასა და არითმეტიკას. 1872 წელს გახდა ვართაპეტი, ხოლო 1874 წელს – ეპისკოპოსი. 1875 წლიდან არქიმანდრიტია. 1886 წელს დაინიშნა ასტრახანის, ხოლო 1894 წელს – საქართველოს სომხური ეპარქიის ხელმძღვანელად. 1907 წლიდან სრულიად სომეხთა კათოლიკოსის მოადგილეა, ხოლო 1911 წელს კათოლიკოსი ხდება, შეცვალა რა, ამ თანამდებობაზე მათევოს II იზმირლიანი. 1912 წლიდან სათავეში უდგება მსოფლიოში სომხური საკითხის პოპულარიზაციის საქმეს. I მსოფლიო ომის წინ თანაუგრძნობდა სომხური შეიარაღებული რაზმების შექმნას. I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, 1914 წლის 28 დეკემბერს შექმნა სომეხ დაჭრილ მებრძოლთა და ლტოლვილთა დახმარების კომიტეტი. ამ ორგანიზაციის ფილიალები შეიქმნა ერევანში, ალექსანდროპოლისში, თბილისში, პეტროგრადში, მოსკოვში. ამავე პერიოდში სომეხთა მხარდაჭერის თხოვნით მიმართვა გაუგზავნა იმპერატორ ნიკოლაი II-ს. 1918 წლის გაზაფხულზე სარდარაბადისა და ბაშ-აბარანის ბრძოლების დროს არ დაუტოვებია ეჩმიაძინი და სულიერ მხარდაჭერას უცხადებდა ფრონტზე მყოფ მეომრებს. სომხეთის რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1920 წლის ბოლოდან, საშობლო არ დაუტოვებია. ლოიალობა გამოავლინა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და მოუწოდებდა მსოფლიოს სომხებს მხარი დაეჭირათ ახალი ხელისუფლებისათვის. გარდაიცვალა 1930 წლის 8 მაისს. დაკრძალულია ეჩმიაძინში.

494 Хомизури Г. П. Социальные потрясения в судьбах народов (на примере Армении). Москва. Интелект, 1997. - 416 с. ISBN 5-87047-036-6. Стр. 48. Чалхушьян wГ. Красная книга. Ростов на Дону, Ашхатанк, 1919. Стр. 27.

495 С. М. Степанянц. Армяно-Казачье боевое сотрудничество на Кавказском фронте в годы первой мировой войны. Наука юга России. Т. 14. №3.Стр. 112-118. http://www.ssc-ras.ru/ckfinder/ userfiles/ files /112-118%20Stepanyants.pdf

რაზმების შექმნასთან დაკავშირებით. მეტად საინტერესო არის I მსოფლიო ომის დაწყებისას, სომეხთა ეროვნული საბჭოს ბიუროს მიერ იმპერატორ ნიკოლაი მეორისადმი გაგზავნილი შეტყობინება, რომელიც დაშნაკთა პარტიის ბეჭდვითი ორგანოს, გაზეთ ,,მშაკის“ 271-ე ნომერში გამოქვეყნდა: ,,...როდესაც სახელგანთქმული რუსული ჯარები თავისი მონარქი-წინამძღოლის მეთაურობით სომხეთის დათოვლილ სიმაღლეებსა და ალაშკერტის ზეგნებზე იბრძვიან იმ თურქეთის წინააღმდეგ, რომელმაც გერმანიის იძულებით გაბედა და ხელი ასწია მძლავრ რუსეთზე, თავის წინაპართა ანდერძის ერთგული სომხები, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგნენ და მზად არიან შესწირონ თავიანთი ქონება და სიცოცხლე დიდ რუსეთს და მის ტახტს.

თურქეთის წინააღმდეგ დაწყებული ომის ცნობამ მთელი სომეხი ხალხი ააღელვა. სომხები სხვადასხვა ქვეყნებიდან მოეშურებიან, რათა ჩაეწერონ სახელგანთქმული რუსული არმიის რიგებში და თავისი სისხლით უზრუნველყონ რუსული იარაღის გამარჯვება. მაღალ ღმერთს ვევედრებით, რომ მტრებზე გამარჯვება გამოაგზავნოს დასავლეთსა და აღმოსავლეთში. ჩვენი გულები იმ სურვილითაა აღსავსე, რომ ჩვენს ძვირფას სამშობლოზე მოწეული ეს განსაცდელი, რუსული იარაღის ახალი დიდებითა და აღმოსავლეთში რუსეთის წინაშე მდგარი ისტორიული ამოცანების გადაჭრით დასრულდება. დაე, თავისუფლად იფრიალოს რუსულმა დროშამ ბოსფორსა და დარდანელზე. დაე, თქვენი ნება-სურვილით, დიდო ხელმწიფეო, მიიღონ თავისუფლება იმ ხალხებმა, რომლებიც თურქული უღლის ქვეშ იტანჯებიან“.[496] ოსმალური დაზვერვისათვის კარგად იყო ცნობილი რუსული გეგმის არსებობა. 1914 წლის 24 სექტემბერს, კავკასიის ფრონტზე გაშლილი ოსმალთა მე-3 არმიის სარდალი, ჰასან იზეთ ფაშა, აცხადებდა: ,,რუსებმა კავკასიის სომხების საშუალებით ჩვენ ქვეყანაში მცხოვრები სომხების პროვოცირება მოახდინეს... იქმნება შეიარაღებული ბანდები, სხვადასხვა ადგილებში კი, სომხებისათვის გადასაცემად მიმდინარეობს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაგროვება“.[497]

ახლა კი, დგება წარმოდგენილი თემის უმნიშვნელოვანესი ასპექტის - სომეხთა ამ საბრძოლო რაზმების ბრძოლისუნარიანობის საკითხების განხილვა. კითხვები კი, რომელთაც პასუხი უნდა გაეცეს, მრავალია...

- საინტერესოა, რას წარმოადგენდნენ დაშნაკთა ეს ქებული ,,რაზმები” და რა ,,საბრძოლო დამსახურებები” ჰქონდათ მათ რუსეთის არმიისა და მოკავშირეების წინაშე?
- როგორი იყო ამ რაზმების პირადი შემადგენლობის მორალური სახე და საბრძოლო სულისკვეთება?
- მართლა ისეთი შთამბეჭდავი იყო ამ რაზმების საბრძოლო წარმატებები, რაზედაც მაშინაც საქვეყნოდ გაჰკიოდნენ და ახლაც უსაზღვრო ხოტბას ასხამენ დაშნაკი პროპაგანდისტები და პროსომეხი ავტორები?
- რა ამოცანების იქნა დასმული ამ რაზმების წინაშე და რას ისახავდნენ ისინი მიზნად?
- მართლა ერთგულად ედგნენ ისინი გვერდში რუსეთის კავკასიის არმიის რეგულარულ ნაწილებს?
- მართლა ასეთი მამაცი და სწორუპოვარი მეთაურები იყვნენ ზემოთ დასახელებული ხუმბაპეტები?

თემა საკმაოდ მოცულობითია და მოცემულ ფორმატში, რა თქმა უნდა, მისი სრულყოფილად წარმოდგენა შეუძლებელია. ჩვენ მხოლოდ მოკლე დოკუმენტურ ცნობებს წარმოვადგენთ ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად. თემასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ნიშანდობლივ საკითხს კი,

---

496 Мехмет Перинчек. Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов. Документ №25. (Мшак. 1914. №271. Цит. по: Маренц. Лицо армянского сменовеховства. Большевик Закавказья. 1928г. №3-4. Стр. 89.) М.: ,,Лаборатория Книги ‘‘. 2011. ISBN 978-5-903271-73-3. Стр. 71.

497 Donald Bloxham. The Great Game of Genocide: imperialism, nationalism, and the destruction of the ottoman armenians (англ.). — Oxford University Press, 2005. — ISBN 0-19-927356-1.

წიგნის შესაბამის თავში განვიხილავთ უფრო დეტალურად. ფაქტი ის არის, რომ I მსოფლიო ომის დაწყებიდან სულ მალე მეფის მთავრობა და იმპერიის ადმინისტრაცია დარწმუნდა სომხების, როგორც მოკავშირეების არასაიმედოობაში. ჩვენი ეს დასკვნა ისტორიულად დასაბუთებული ფაქტია. რუსეთის კავკასიის არმიის შტაბის უფროსის, გენერალ-მაიორ ლეონიდ ბოლხოვიტინოვის[498] 65 გვერდიან პატაკში ,,თურქეთსა და ამიერკავკასიაში სომხური შეიარაღებული რაზმების საქმიანობის შესახებ პირველ მსოფლიო ომში", კავკასიის მეფისნაცვლისადმი, პირდაპირ და ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ეს სომხური რაზმები (Дружины - ა. ჩ.) არასომეხი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. იგი აცხადებდა, რომ დაშნაკთა შეიარაღებული რაზმები კი არ იბრძოდნენ, არამედ თურქული მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტითა და მოროდიორობით იყვნენ დაკავებულნი.[499] ამავე პატაკში გენერალი აღნიშნავს, რომ ,,თავიანთი არსებობის მთელი ხნის განმავლობაში სომეხ მოხალისეთა დრუჟინების მიერ განცდილი დანაკარგების ზუსტი რაოდენობის დასახელება ძნელია, რადგან მათი ახლადფორმირების მომენტისათვის, ანუ, ამა წლის 6 პრილამდე (აქ 1915 წელზეა საუბარი - ა. ჩ.), დრუჟინებში დანაკარგების ზუსტი აღრიცხვა არ ხდებოდა.

6 აპრილიდან 1 დეკემბრამდე განცდილ დანაკარგებს კი, შემდეგი სახე აქვს: მე-2 დრუჟინაში მოკლულია 33, დაჭრილი - 46; მე-3-ში მოკლულია 14, დაჭრილი - 36; მე-4-ში მოკლულია 40, დაჭრილი - 48; 1-ლი, მე-5 და მე-6 დრუჟინების შესახებ ზუსტი ცნობები ვერ დგინდება, მაგრამ არმიის შტაბში არსებულ მიახლოებულ მონაცემებზე დაყრდნობით, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჩანაწერში მოყვანილი მოკლულების რიცხვი გადამეტებულია. ხოლო რაც შეეხება მწყობრიდან გამოსულებს და უგზოუკვლოდ დაკარგულებს - მათი მონაცემები სიმართლესთან ახლოს დგას, რადგან დეზერტირობა სომხურ დრუჟინებში ძალიან გავრცელებულია".[500]

---

498 ლეონიდ მიტროფანოვიჩ ბოლხოვიტინოვი (რუს. Леонид Митрофанович Болховитинов) (1871-1925წ.წ.) – რუსი სამხედრო ოფიცერი. რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-ლეიტენანტი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის, I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომების მონაწილე. დაწყებითი განათლება მიიღო ვორონეჟის რეალურ სასწავლებელში. 1890 წელს ჩაირიცხა მოსკოვის იუნკერთა სასწავლებელში. სამხედრო სამსახურს იწყებს მე-14 გრენადერთა ქართულ პოლკში. 1895 წელს ხდება გენერალური შტაბის აკადემიის მსმენელი. აკადემიის დასრულების შემდეგ ენიჭება შტაბს-კაპიტნის წოდება. 1899 წლიდან მსახურობს ამურისპირა სამხედრო ოლქში. 1900 წელს ენიჭება კაპიტნის წოდება. 1902 წლიდან ხდება კვანტუნის სამხედრო ოლქის შტაბის ობერ-ოფიცერი. 1903 წელს ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. რუსეთ-იაპონიის ომში მეთაურობდა ქვეით ბატალიონს, შემდეგ – ქვეით პოლკს. მონაწილეობდა პორტ-არტურისა და მუკდენის ბრძოლებში. 1905 წელს ენიჭება პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. შემდეგ წლებში მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში. 1914 წლის 21 ივნისს ინიშნება კავკასიის სამხედრო ოლქის გენერალ-კვარტერმეისტერად და ენიჭება გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. 1915 წლის 31 იანვარს ინიშნება კავკასიის არმიის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. 1917 წლის 9 ივნისს გადაყვანილ იქნა დასავლეთის ფრონტზე და ჩაირიცხა პეტროგრადის სამხედრო ოლქის რეზერვში. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალებისა და რუსეთის ხელისუფლებაში ბოლშევიკთა მოსვლის შემდეგ თანაუგრძნობს მათ და 1918 წლიდან გადადის წითელ არმიაში. ჩრდილოეთ კავკასიაში გენერალ დენიკინის შენაერთებთან ბრძოლის დროს ტყვედ ვარდება. გადადის თეთრგვარდიულ არმიაში და იბრძვის ამჯერად უკვე ბოლშევიკების წინააღმდეგ. საბოლოოდ, გენერლების დენიკინისა და ვრანგელის დამარცხების შემდეგ, ტოვებს რუსეთს და ყირიმიდან მიდის ემიგრაციაში. ცხოვრობდა ჯერ კუნძულ ლემნოსზე, შემდეგ ბულგარეთში, სადაც 1925 წელს სიცოცხლეს ასრულებს თვითმკვლელობით.

499 Мехмет Перинчек: «Российские военные трибуналы казнили тысячи армянских бандитов, истреблявших мусульман Турции и Кавказа». http://www.1news.az/news/mehmet-perinchek-rossiyskie-voennye-tribunaly-kaznili-tysyachi-armyanskih-banditov-istreblyavshih-musul-man-turcii-i-kavkaza.

500 Рапорт генерал-майора Болховитинова о деятельности армянских вооруженных отрядов в Турции и Закавказье в Первую Мировую войну. Баку, Азернешр, 2011, 144 стр. http://ebooks.azlibnet.az/book/57nat120715.pdf

მალე თავისი მუდმივი პრეტენზიებით, ინტრიგებით, სიხარბითა და ლაჩრობით, სომხებმა თავის წინააღმდეგ აამხედრეს როგორც კავკასიის არმიის რუსი ოფიცრები, ასევე კავკასიის მმართველობითი-ადმინისტრაციული აპარატიც. ამ სომხურ-რუსული დროებითი ანტაგონიზმის მიზეზები კარგადაა წარმოდგენილი კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციის კანცელარიაში არსებულ ერთ პატაკში. ამონარიდები ამ მეტად საინტერესო დოკუმენტიდან: ,,თურქეთთან ომის დასაწყისი, როგორც ცნობილია სომხური მოხალისეთა რაზმების ჩამოყალიბებით აღინიშნა, რომელთა წევრები სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ და მათი აზრით აქ დაღვრილ სისხლს მომავალი ავტონომიური სომხეთი უნდა განებანა, ხოლო აქაური სამხედრო კადრი მომავალი ავტონომიური სომხეთის შეიარაღებული ძალების კადრის საფუძველი უნდა გამხდარიყო. ეს იმედები არ გამართლდა. ომის დაწყებიდან უკვე 1/2 წლის შემდეგ კავკასიის არმიის მთავარსარდლის (სომეხთაგან ერთობ სათაყვანებელი პიროვნება, იგივე ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი - ა. ჩ.) მიერ გადაუდებლად ჩაითვალა ,,დრუჟინების" ნაცვლად სამხედრო ორგანიზაციის - სომხური მსროლელი ბატალიონების ჩამოყალიბება, რომლებსაც სამწყობრო ოფიცრები ჩაუდგებოდნენ სათავეში. ასეთ გადაწყვეტილებას მოხალისეთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გამოეხმაურა. ამით მოხალისეთა ,,დრუჟინებმა" ფაქტიურად არსებობა შეწყვიტეს''.[501]

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის არმიის სარდლის ეს გადაწყვეტილება მოხალისეთა რაზმების გარდაქმნის შესახებ დაშნაკი ლიდერებისა და ამ რაზმების თავკაცთა მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა და ეს ბრძანებაც შეუსრულებელი დარჩა. ,,ანდრანიკს სურს, რომ სომხური რაზმები არ იყვნენ დამოკიდებულნი სამხედრო მეთაურებზე და ისინი პარტიზანული ომით (ე.ი. მკვლელობებითა და ძარცვა-გლეჯით - ა. ჩ.) იყვნენ დაკავებულნი თურქებისა და ქურთების წინააღმდეგ... იგდირში სომეხ მოხალისეთა თავკაცების შეკრება გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ანდრანიკი, ბასთურმაჯიანი, დრო, ბრაციანი და სხვები. ამ შეკრებაზე ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ მოხალისეთა რაზმები არ დაშლილიყო, ხოლო დაწყებული საქმე უფრო დიდი ენერგიითა და მასშტაბებით გაგრძელებულიყო",[502] - ვკითხულობთ ერთ-ერთ დოკუმენტში. სხვა დოკუმენტი: ,,პარტიამ (დაშნაკცუტიუნი) გადაწყვიტა ყოველმხრივ აღდგომოდა წინ ამ პროექტის განხორციელებას, მაგრამ თუ მაინც მოხდებოდა რაზმების პოლკებად გარდაქმნა, მაშინ ისინი გადაწეულნი იქნებიან სამხრეთით, ინგლისელების ჯარებთან შესაერთებლად, რადგან პარტია თვლის, რომ ეს რაზმები მისი საკუთარი შეიარაღებული ძალებია, რომელთა ხელმძღვანელობა მხოლოდ პარტიის პრეროგატივაა''.[503]

როგორც ვხედავთ, დაშნაკთა საბრძოლო თავკაცები უკვე მზად იყვნენ განდგომოდნენ თავიანთ მფარველ რუსებს და ახალი ფავორიტის, ბრიტანელების ფრთებქვეშ ეპოვათ საიმედო თავშესაფარი. ერთობ დიდი საშიშროების წინაშე დადგა უცებ სომეხთა მხრიდან რუსეთისადმი ,,საუკუნო სიყვარულის'' გრძნობა. ყოველივე ამას კი, შედეგად ის მოჰყვა, რომ 1916 წლიდან სომხურმა ე.წ. საბრძოლო რაზმებმა, იგივე დრუჟინებმა, ფაქტიურად არსებობა შეწყვიტეს. საყოველთაოდ ქებული 1-ლი სომხური რაზმისა თუ დრუჟინის მეთაური, ანდრანიკ ოზანიანი კი, 1916 წლის მარტიდან ,,თადარიგში'' გავიდა. მან მთელი 1916-1917 წლები ღრმა ზურგში, თბილისსა და ჩრდილოეთ კავკასიაში გაატარა და I მსოფლიო ომის უმნიშვნელოვანეს ბრძოლებს თავი აარიდა.

---

501 Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX - начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. გვ. 12-13. ЦГАПП и ОД АР, ф.276, оп.8, д.463, გვ. 43.

502 Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX - начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. გვ. 13. ЦГАПП и ОД АР, ф.276, оп.8, д.463, გვ. 43. 12-13. ЦГАПП и ОД АР, ф.276, оп.8, д.463, გვ. 43.

503 Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX - начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. გვ. 13. ЦГАПП и ОД АР, ф.276, оп.8, д.512, გვ. 2.

აი, ასეთი იყო რეალური სურათი და საქმის რეალური ვითარება სომხურ ,,დრუჟინებთან'', ,,პოლკებთან'' თუ ,,ბრიგადებთან" მიმართებაში.

ზემოთ მოყვანილ მეტად საინტერესო საარქივო დოკუმენტებზე კი, ჩვენს მიერ გაკეთებული დასკვნები შემდეგია. სომხური ე.წ. ,,მოხალისეთა დრუჟინები'' მართლაც მხოლოდ დაშნაკთა პარტიის სადამსჯელო სამხედრო ფორმირებებს წარმოადგენდნენ, რომელთა მთავარ დანიშნულებასა და მიზანს ამიერკავკასიისა და ანატოლიის ტერიტორიების არასომეხი მოსახლეობისაგან ,,გაწმენდა'', ე.ი. მათი ყოველმხრივი დევნა, შევიწროება და დემოციდი წარმოადგენდა. სომეხი ავტორი, ედუარდ ოგანესიანი ძალიან მოკლედ და სამართლიანად აღწერს საქმის ნამდვილ ვითარებას, თუ რატომ იქნა ლიკვიდირებული ეს ე.წ. სომხური საბრძოლო რაზმები და ,,მოხალისეთა ბრიგადები": ,,1915 წლის დეკემბრისათვის უმაღლესმა სარდლობამ (რუსეთის არმიის - ა. ჩ.) მოხალისეთა ბრიგადების დაშლისა და მათგან ქვეითი ბატალიონების ჩამოყალიბების გადაწყვეტილება მიიღო. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ეროვნული საბჭო (დაშნაკთა - ა. ჩ.) მთავრობის (რუსეთის - ა. ჩ.) ნდობით არ სარგებლობდა. ამ ახალ პირობებში თურქმა და ამერიკელმა სომხებმა მოხალისეთა არმიის რიგები დატოვეს. 1916 წლის იანვარი-ივნისის პერიოდში მოხალისეთა 8 ათასიანი არმია 3176 კაცმა დატოვა. ერთი წლის შემდეგ კი, მთავრობამ დარჩენილი სამხედრო ნაწილებიც დაშალა".

ამ ამონარიდში ცოტა გაურკვეველია საბრძოლო რაზმებში ჩართულ რომელ ,,ამერიკელ სომხებს" ახსენებს ავტორი. სხვაგან არსად, არც ერთ ავტორთან და არც ერთ ნაშრომში არავითარ ,,ამერიკელ სომხებზე" არაა საუბარი. სომხური ,,დრუჟინების" შესახებ გენერალი კორსუნი გვამცნობს: ,,შინაგან საქმეთა სამინისტროს შეტყობინებით, სომხურ რაზმებს (Дружин) თავისი განსაკუთრებული მთავარი შტაბი ჰქონდათ. მათ კორესპონდენციაში ვკითხულობთ:

ტფილისი.

მთავარი სომხური შტაბი,

ხატისოვს (ქალაქის თავი)

ამასთან ერთად, ამ რაზმების ორგანიზაციამ და მათმა განსაკუთრებულმა მფარველობამ სომხებსა და კავკასიის სხვა ხალხებს შორის ურთიერთობების დაძაბვა გამოიწვია..."[504]

თუ გავიხსენებთ ჩვენს მიერ წიგნის შესაბამის პარაგრაფში წარმოდგენილ დაშნაკთა პარტიის პროგრამის სამოქმედო მინიმუმს, ადვილად მივხვდებით, რომ სწორედ ასეთი ე.წ. ,,მილიციის'' ორგანიზება იყო პარტიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. თავისთავად ცხადია, რომ დაშნაკები თავიანთი ,,საბრძოლო რაზმების'' არავითარ სამხედრო ორგანიზაციულ სტრუქტურაში ჩართვაზე არ დათანხმდებოდნენ. ამ რაზმების დანიშნულებას არა კავკასიის ფრონტის საომარ მოქმედებებში რეალური მონაწილეობა შეადგენდა რეგულარული ჯარების სტატუსით, არამედ საომარი მოქმედებების საფარქვეშ, დაშნაკთა პარტბიუროს დირექტივით განსაზღვრული ბინძური საქმის კეთება - რეგიონის არასომეხი მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა, მათი დემოციდი და შესაბამისად, ტერიტორიების გამოთავისუფლება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცალსახად უნდა ითქვას, რომ დაშნაკთა მიერ კარგად მოგონილი და შეთხზულია მითი სომხური საბრძოლო რაზმების დიდი საბრძოლო დამსახურებების შესახებ I მსოფლიო ომის კავკასიის საომარ მოქმედებათა თეატრებზე. სომხებმა უმალ დაივიწყეს თავიანთი ,,საუკუნო სიყვარული'' რუსებისადმი და პირველივე უთანხმოების დროს მზად იყვნენ ეღალატნათ მათთვის, გადაეყვანათ რა საბრძოლო რაზმები ბრიტანელთა დაქვემდებარებაში. აი, დაშნაკთა ერთგულებისა და საიმედოობის კიდევ ერთი დასტური. სხვათა

---

504 Корсун Н. Г. Алашкертская и Хамаданская операция на Кавказском фронте мировой войны в 1915 году. Москва. Государственное военное издательство Наркомата Союза ССР. 1940 г. Стр. 153. По материалам книги «Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов» Перинчека Мехмет Бора. «Лаборатория Книги»-2011, стр. 63.

შორის, სომეხთა არასაიმედოობისა და ,,რევოლუციონერობის'' შესახებ კიდევ ერთ დოკუმენტშია საუბარი, რომელიც კავკასიის არმიის სამხედრო სარდლობის მიერაა შედგენილი და მას რუსეთის კავკასიის არმიის შტაბის უფროსი, მოგვიანებით კი თვით არმიის სარდალი, გენერალი ნიკოლაი იუდენიჩი[505] აწერს ხელს. ეს დოკუმენტი იმითაც არის საინტერესო, რომ აქ უკვე კავკასიის რუსული ადმინისტრაცია აფიქსირებს თავის პოლიტიკურ ნებას ,,სომეხთა ავტონომიის'' მიზანშეუწონლობის შესახებ. ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: ,,თუმცა სომხებმა დიდი მსხვერპლი (მივაქციოთ ყურადღება - დიდი მსხვერპლი და არა ღვაწლი - ა. ჩ.) გაწიეს მოკავშირეებისათვის, მაგრამ ისინი მაინც არ იმსახურებენ ავტონომიას, რადგან მათ სხვა ორგანიზაციები გარდა რევოლუციურისა (უფრო სწორია იკითხებოდეს - ტერორისტულისა - ა. ჩ.) არ გააჩნიათ, რომლებიც სომეხთა აზრს გამოხატავენ. და რადგანაც ეს ორგანიზაციები მტრულად არიან განწყობილნი რუსეთისადმი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ავტონომიაც, რომელიც ამ ორგანიზაციების ხელში აღმოჩნდება, მტრულად იქნება რუსეთისადმი განწყობილი''.[506]

სწორედ ზემოთ მოყვანილი მოვლენები იყო იმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ ყველაზე ,,კრიტიკულ მომენტში" ევროპას სომხები და სომხეთი, როგორც ასეთი, საერთოდ ,,დაავიწყდა". საუბარი I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ოსმალთა იმპერიის ტერიტორიების გადანაწილების საკითხს და ოსმალთა იმპერიის აღმოსავლური ვილაიეთების ახალი სომხური სახელმწიფოსათვის გადაცემას ეხება. არადა, ამ ,,მოუნადირებელი დათვის" ტყავის განაწილება ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის მსვლელობისას დაიწყო. კერძოდ, 1916 წელს საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლებს შორის დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ომის

---

505 ნიკოლაი ნიკოლაევიჩ იუდენიჩი (რუს. Никола́й Никола́евич Юде́нич) (1862-1933წ.წ.) – წარმოშობით ბელარუსი, რუსი მხედართმთავარი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის ინფანტერიის გენერალი, რუსეთ-იაპონიის, I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე, I მსოფლიო ომის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი და წარმატებული სარდალი, თეთრგვარდიული მოძრაობის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. გიორგის II ხარისხის ჯვრის უკანასკნელი კავალერი. დაიბადა მოსკოვში. აქვე მიიღო დაწყებითი განათლება. 1879 წელს დაამთავრა ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი. 1881 წლიდან პოდპორუჩიკის ჩინით სამსახურს იწყებს ლეიბ-გვარდიის ლიტვის პოლკში. 1885 წელს ენიჭება პორუჩიკის წოდება. 1887 წლიდან შტაბს-კაპიტანი და გენერალური შტაბის აკადემიის კურსდამთავრებულია. 1892 წლიდან თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ადიუტანტი და პოდპოლკოვნიკია. 1894 წელს მონაწილეობდა პამირის ექსპედიციაში. 1896 წლის 24 მარტს ენიჭება პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. 1900 წლიდან თურქესტანის 1-ლი მსროლელი ბრიგადის შტაბის ოფიცერია. 1902 წლის 16 ივლისს ინიშნება მე-18 მსროლელი პოლკის მეთაურად. მონაწილეობდა რუსეთ-იპინიის ომის მუკდენის ბრძოლაში, სადაც ორჯერ დაიჭრა. 1905 წლის 19 ივნისს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1907 წელს ინიშნება კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის გენერალ-კვარტერმეისტერად. 1912 წლის 6 დეკემბრიდან გენერალ-ლეიტენანტი და კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსია. I მსოფლიო ომის საწყის ფაზაში იყო კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი. სარიყამიშის წარმატებული ოპერაციის შემდეგ, 1915 წელს ენიჭება ინფანტერიის გენერლის წოდება და ინიშნება კავკასიის ფრონტის სარდლად. 1916 წელს არზრუმისა და ტრაპიზონის წარმატებული ოპერაციების გამო დაჯილდოებულ იქნა გიორგის II ხარისხის ჯვრით. ეს იყო რუსეთის იმპერიის მიერ გაცემული ამ სინჯის უკანასკნელი სამხედრო ჯილდო. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ინიშნება კავკასიის ფრონტის მთავარსარდლად, მაგრამ როგორც დაჯერებული ცარისტი, უნდობლობას უცხადებს დროებით მთავრობას. იუდენიჩი ტოვებს კავკასიის ფრონტს და გადის თადარიგში. მალევე ტოვებს თბილისს და მიდის პეტროგრადში. 1918 წლის ბოლოდან თეთრგვარდიული მოძრაობის ერთ-ერთი იდეური ლიდერი და ხელმძღვანელია ჩრდილოეთ რუსეთსა და ბალტიისპირეთში. 1918-1919 წლებში იყო თეთრგვარდიელთა ე.წ. ,,ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის'' სარდალი. პეტროგრადზე განხორციელებული რამდენიმე უშედეგო შეტევის შემდეგ, 1920 წლის დასაწყისში, ტოვებს ფრონტის სარდლის თანამდებობას და მიდის ემიგრაციაში. ცხოვრობდა ჯერ ლონდონში, შემდეგ ნიცაში. გარდაიცვალა 1933 წელს. დაკრძალულია კანში.

506 Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX - начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. გვ. 6. ЦГАПП и ОД АР, ф.276, оп.8, д.513. Стр. 17.

დასრულებისას ამ ქვეყნებს შორის ოსმალთა იმპერიის აზიური ტერიტორიები უნდა გადანაწილებულიყო. ხელშეკრულების პირობები 1915 წლის ბოლოს ფრანგი დიპლომატის, ბეირუთის ყოფილი გენერალური კონსულის, ფრანსუა ჟორჟ-პიკოსა (François Georges-Picot) და ბრიტანელი დიპლომატის მარკ საიქსის (Mark Sykes) მიერ იქნა შემუშავებული. შესაბამისად, ამ ხელშეკრულებამაც ,,საიქს - ჟორჟ-პიკოს" ხელშეკრულების სახელი მიიღო. ერთი არაარსებითი დეტალი. რატომღაც ქართულ, რუსულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში ამ ხელშეკრულებას ხშირად ,,საიქს - პიკოს" ხელშეკრულების სახელით მოიხსენიებენ, რაც არასწორია. ფრანგი დიპლომატის გვარი ჟორჟ-პიკო იყო და არა უბრალოდ პიკო, სახელი კი, ფრანსუა. ბრიტანელ დიპლომატს, საიქსს კი, მარკი ერქვა. ამიტომ ამ ხელშეკრულების დასახელების სწორი ფორმულირება იქნება ,,საიქს - ჟორჟ-პიკოს შეთანხმება". აქ დაახლოებით იგივე მდგომარეობაა, რაც დევიდ ლოიდ-ჯორჯის შემთხვევაში. მრავალ ავტორთან ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯადაა მოხსენიებული, სადაც სახელი ლოიდია, ხოლო გვარი - ჯორჯი, რაც ასევე არასწორია. ლოიდ-ჯორჯი გვარია. ამ პერსონის შესახებ საუბრისას კი უნდა დაიწეროს გვარი - ლოიდ-ჯორჯი (Lloyd-George) ან, გვარ-სახელი სრულად - დევიდ ლოიდ-ჯორჯი (David Lloyd-George).[507]

გავაგრძელოთ ,,საიქს - ჟორჟ-პიკოს შეთანხმების" განხილვა. ამ დიპლომატიურ გარიგებას გაეცნო რუსეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი საზონოვი და შეთანხმებას რუსეთის იმპერიის მთავრობაც შეუერთდა. ამის გამო ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი ისტორიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლის დარგში, დევიდ ფრომკინი (David Fromkin), თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში "A Peace to End of All Peace: Creating the Modern Middle East 1914-1922" (,,მშვიდობა ყველა მშვიდობის დასრულებისთვის: თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის შექმნა 1914-1922 წლებში"), ახსენებს ,,საიქს - ჟორჟ-პიკო - საზონოვის შეთანხმებას". ამ ფორმულირებას ჩვენც ცალსახად ვეთანხმებით, თუმცა ეს ტერმინი ვერ დამკვიდრდა.[508] მოგვიანებით, 1916 წლის 19 ნოემბერს ამ დიდ პოლიტიკურ გარიგებას იტალიაც შეუერთდა, რომელთანაც ხელშეკრულება სენ-ჟან-დე მორიენის კონფერენციაზე გაფორმდა 1917 წლის 19 აპრილს.[509] ამ ხელშეკრულების თანახმად, ოსმალეთის იმპერიის აზიური ნაწილის მნიშვნელოვანი ტერიტორიები ე.წ. ,,ფერად ზონებად" დაიყო და თითოეული ზონა ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებზე გადანაწილდა. ხელშეკრულების მიხედვით ბრიტანეთი მიიღებდა ტერიტორიებს, რომელიც შეესაბამებოდა დღევანდელ იორდანიას, ერაყს და პალესტინის ნაწილს. საფრანგეთი იღებდა სამხრეთ და ცენტრალურ ანატოლიას, ჩრდილოეთ ერაყს, სირიასა და ლიბანს. რუსეთის იმპერიას კი, უნდა გადასცემოდა კონსტანტინოპოლი და სრუტეების რაიონი, აგრეთვე აღმოსავლეთ ანატოლიის მნიშვნელოვანი ტერიტორიები - არზრუმის, ტრაპიზონის, ვანის, ბითლისის პროვინციები და ქურთისტანის გარკვეული ნაწილი; იტალიას - დასავლეთი და ცენტრალური ანატოლიის ნაწილი.[510] რაც მთავარია, ,,საიქს - ჟორჟ-პიკოს" შეთანხმებით, რუსეთის ხელში მისი

---

507 არჩილ ჩაჩხიანი. ანატოლიური გამბიტი – ქემალისტური მოძრაობის სათავეებთან. ,,ანალები". ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი. გამომცემლობა ,,უნივერსალი". თბილისი. 2015. (11). გვ. 58.

508 რევაზ გაჩეჩილაძე. ,,გეოგრაფიული შეცდომები" დიპლომატიურ პრაქტიკაში (პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ახლო აღმოსავლეთის მაგალითზე). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი. 2013 (2). გვ. 97.

509 მიხეილ სვანიძე. ოსმალეთის ისტორია (1600-1923). ნაწილი II. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი. თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. თბილისი. 2002. გვ. 266.

510 Ключников Ю. В. И Сабанин А. В., Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях, ч. 2, М., 1926; Константинополь. По секретным документам бывшего Министерства

იმპერიული სულისა და აზროვნების საუკუნოვანი ოცნება - ,,თბილ ზღვებზე გასასვლელი“ - კონსტანტინოპოლი, აგრეთვე ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების რაიონი გადადიოდა. ფაქტია, რომ ,,მესამე რომის“[511] რუსული იდეოლოგემა[512] ახალი ჰორიზონტების დასალაშქრად ემზადებოდა. ამ ტერიტორიების გადაცემაზე კომპენსაციის სახით კი, რუსეთი სპარსეთის გარკვეულ ტერიტორიებს დიდი ბრიტანეთის გავლენის სფეროდ აღიარებდა.

დიახ, აი, ასე უნდა განაწილებულიყო ჯერ კიდევ მოუნადირებელი დათვის ტყავი დიდ მოკავშირეებს შორის და ამ აქტით ოსმალთა საუკუნოვანი იმპერიის არსებობასაც უნდა დასმოდა წერტილი. ამ დროს კი, სომხები და ,,სომხეთი“, როგორც ასეთი, არავის გახსენებია. დიახ, ,,დიდ სამეულს'' სომხური ავტონომიისა და სომხური სახელმწიფოს შექმნის საკითხი საერთოდ ,,დაავიწყდა''. ანტანტამ თავისი ''Nos petits allé“ - ,,პატარა მოკავშირისათვის“, რომელიც დიდი სამეულის იმედებს ,,ვერ ამართლებდა'', ვერაფერი გაიმეტა. და ვერც გაიმეტებდა, რადგან სომეხ ნაციონალისტთა ილუზორული იმედები ევროპის მოწინავე ქვეყნების, და მით უმეტეს, რუსეთის მხრიდან ახალი სომხური სახელმწიფოს - ,,დიადი არმენიის'' ნათლიებად მოვლინების შესახებ, ჩანასახშივე ქიმერული და მარცხისათვის განწირული იყო. რაც შეეხება პარაგრაფში მოხსენიებულ სომეხთა ამ ე.წ. ,,ბატალიონებსა'' თუ ,,პოლკებზე'', აგრეთვე დაშნაკური საბრძოლო რაზმების პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთებასა და მათ რეალურ საქმიანობაზე რუსეთის კავკასიის არმიის მიერ ოკუპირებულ თურქულ ტერიტორიებზე, ქვემოთ, შესაბამის პარაგრაფში გვექნება უფრო არსებითი საუბარი.

иностранных дел, под ред. Е. А. Адамова, [т.] 1-2, М., 1925-26; Раздел Азиатской Турции по секретным документам бывшего Министерства иностранных дел, под ред. Е. А. Адамова, М., 1924. Г. Л. Бондаревский.

511 ,,მესამე რომი'' – იდეა მართლმადიდებლური სამეფოს შექმნისა, რომელიც რუსეთის დიდმა მთავარმა ივანე III-მ (1456-1505წწ.) დაცემული ბიზანტიისაგან იმემკვიდრა. რუსეთმა ბიზანტიის გერბის, ორთავიანი არწივის – ეკლესიისა და სახელმწიფოს სიმფონიის სიმბოლოს რუსეთში გადმოტანით თავი კონსტანტინოპოლის მემკვიდრედ გამოაცხადა და მესამე რომის ფუნქცია იტვირთა. იდეა – ,,მოსკოვი – მესამე რომია'' არა მხოლოდ იდეოლოგიურ საფუძვლად, არამედ თვით რუსული სახელმწიფოებრიობის არსებობის აზრადაც იქცა. ეს ისტორია არ დასრულებულა, მან დღევანდელ რუსეთში გადმოინაცვლა. დღესაც ხომ რუსული და პანსლავისტური იმპერიული მესიანიზმის სული ბობოქრობს იქ და ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეს მზირალი იგივე ფრთაგაშლილი ორთავიანი მონსტრი გამოხატავს რუსული ყოვლადმპყრობელობის იგივე დიად იდეას. მესამე რომის იდეოლოგემა კი, ვლადიმირისა და მოსკოვის დიდი მთავრის, ივანე III-ის ძისა და ივანე IV მრისხანის მამის, ვასილი III-ის მმართველობის პერიოდს მოიცავს და იგი ერთ მნიშვნელოვან და ისტორიკოსებისათვის კარგად ცნობილ რუსულ მანუსკრიპტს უკავშირდება. ეს არის 1515-1521 წლებში ფსკოვის სპასო-ელეაზარის მონასტრის ბერის, უხუცესი ფილოფეის წერილი მოსკოვის დიდ მთავარ ვასილი III-თან, რომელშიც ,,მესამე რომზეა'' მსჯელობა. ამ წერილის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ რომაულ სამეფოს ამიერიდან წარმოადგენს რუსი ხელმწიფის სამეფო. ,,ორი რომი დაეცა, მესამე დგას და მეოთხე რომი აღარ იქნება'', ანუ – ,,პირველი რომი იყო რომი, მეორე რომი – კონსტანტინოპოლი, მესამე რომი მოსკოვია, და მეოთხე რომი აღარ იქნება''.

512 იდეოლოგემა – პოლიტიკური ტერმინია, რომელიც ამა თუ იმ იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილს, ამ იდეოლოგიური სისტემის ფუნდამენტალურ ელემენტს წარმოადგენს.

§1.11. დაშნაკთა შეიარაღებული ექსპანსიის დასაწყისი ამიერკავკასიაში

მაშ ასე - სამ ზღვას შუა...

სამ ზღვას შუა ,,დიადი არმენიის" რუკა შემოიხაზა და რა თქმა უნდა, მასში საქართველოს ლორე-ბამბაკისა და ახალციხე-ახალქალაქის რეგიონებიც მოექცა. თუ ამ ე.წ. ,,ისტორიული სომხეთის" ,,ისტორიულ რუკას" გადავხედავთ, კიდევ უფრო განსაცვიფრებელ სურათს წავაწყდებით. ,,დიადი არმენიის'' ჩვენთვის საინტერესო ჩრდილოეთის საზღვრები მოიცავს მთელს ქვემო და ზემო ქართლს, თრიალეთს, გარე კახეთსა და შუა ქართლსაც - ფაქტობრივად მდინარე მტკვრის საქართველოს აუზის მთელ მარჯვენა სანაპიროს. აი, ასეთი იყო ,,დიადი არმენიის" მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილი, რომლის აღდგენაც დაისახეს სომეხთა რევოლუციური ფედერაციის - პარტია ,,დაშნაკცუტიუნის" ლიდერებმა. ,,დიადი არმენიის" ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორიებზე, ანუ, ე.წ. ,,მცირე არმენიაზე" ამჯერად არ გავამახვილებთ განსაკუთრებულ ყურადღებას, თუმცა აღვნიშნავთ, რომ მასში ჩართული იყო ძირძველი ქართული მიწები - მთელი ტაო-კლარჯეთი და ისტორიული სპერი, აგრეთვე ლაზეთის ნაწილი. XIX საუკუნის ბოლოდან, დაშნაკთა მიერ, ამ ეფემერული სახელმწიფოს დედაქალაქად აღმოსავლეთ ანატოლიის უდიდესი დასახლებული პუნქტი, თურქეთის სომეხთა პოლიტიკური აქტივობის ცენტრი, ქალაქი არზრუმი, ისტორიული თეოდოსიოპოლისი[513] მოიაზრებოდა.

არზრუმის ძველი დასახელება კარინია, რომელიც სომეხი არშაკიდების დომენს წარმოადგენდა, ხოლო სომხური სამეფოს ორ ნაწილად გაყოფის შემდეგ, 387 წლიდან, იგი დასავლეთ სომხეთის უკანასკნელი მმართველების რეზიდენცია იყო.[514] ქართველები თეოდოსიოპოლისს ოდითგან კარნუ ქალაქს ეძახდნენ. სომეხთა მეორე ქალაქთან, ერევანთან მიმართებაში კი, აღსანიშნავია, რომ შაჰ აბასის მიერ დაარსებული ყოფილი სახანოს ცენტრის, ერევნის (რევანი, ირევანი, ერივანი,) მოსახლეობა XIX საუკუნის 30-იან წლებში სულ რაღაც 10 ათას კაცს შეადგენდა, ხოლო XX საუკუნის დასაწყისისთვის - 20 ათასს. გასაგებია, რომ 300 ათასიან თბილისთან, ,,კავკასიის ამ დიდებულ დედაქალაქთან" შედარებით, ერევანი პატარა, მტვრიანი და საცოდავი მიწურების ქალაქი იყო, რომელსაც თბილისელი სომხები არასდროს თვლიდნენ ყურადღების ღირსად. ყველაზე საინტერესო კი, ის არის, რომ ერევნის სახანოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, 1832 წლისათვის, სომხები ერევნის მოსახლეობის მხოლოდ 24,4%-ს შეადგენდნენ, ხოლო მუსლიმები - 75,6%-ს.[515] მოტანილი დემოგრაფიული მონაცემები მოწმობს, რომ რუსეთთან შეერთებიდან ოთხი წლის შემდეგ, ერევანი ისევ მუსლიმთა ქალაქია. ამ ისტორიული ფაქტის გაგონება და აღიარება სომხებს, ცხადია, არ სურთ.

---

[513] არზრუმი – ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, ქართულად – კარნუ ქალაქი, სომხური წყაროებით კარინი. აღმოსავლეთ ანატოლიის უდიდესი ქალაქი. ეს დასახლება ძველთაგანვე გამაგრებულ პუნქტს წარმოადგენდა. III-IV საუკუნეებში იგი რომისა და სასანიანთა ირანის ქიშპობის ობიექტი იყო. აღმოსავლეთ რომის იმპერატორმა ფლავიუს თეოდოსიუს II-მ 421 წელს კარნუ ქალაქი გაამაგრა და საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად მას ,,თეოდოსიუსის ქალაქი'' – ანუ ,,თეოდოსიოპოლისი'' უწოდა. არაბთა მიერ სომხეთის დაპყრობის შემდეგ არაბები მას ქალიყალას ეძახდნენ. სახალიფოს დაშლის შემდეგ ქალაქი ბიზანტიელთა ხელში გადავიდა, ხოლო 976-979 წლებში ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში დახმარებისათვის დავით კურაპალატმა ბიზანტიის იმპერატორის, ბასილისგან მფლობელობაში მიიღო კარნუ ქალაქი, ბასიანის ოლქი და სხვა. გარკვეული ხანი კარნუ ქალაქის გამგებელი დომესტიკოსი გრიგოლ ბაკურიანის ძე იყო. 1071 წელს, მანასკერტთან თურქ სელჩუკთა მიერ ბიზანტიელების დამარცხების შემდეგ, ქალაქი თურქებმა აიღეს და მას არზრუმი გადაარქვეს. 1161 წელს მეფე გიორგი III-მ ხელმეორედ აიღო არზრუმი, ხოლო მომდევნო წელს გაათავისუფლა და საქართველოს შემოუერთა ძველი ქალაქი დვინი.

[514] The Oxford Dictionary of Byzantium / Editor in chief Alexander P. Kazhan. Theodosioupolis // — Oxford University Press, 1991. — Vol. 3. — P. 2054.

[515] ანზორ თოთაძე. დიდი სომხეთის ,,დიდი შემოქმედნი''. თბილისი. 2015. გვ. 18.

სომეხთა რევოლუციური აქტიურობის ზრდის საყურადღებო დასაწყისი ამიერკავკასიის სეიმის პერიოდში დაიწყო, 1918 წლიდან, როცა ბოლშევიკი სტეფანე შაუმიანი თბილისში, ,,ალექსანდროვის ბაღში“ გამართული მასობრივი პროვოკაციული გამოსვლის გზით შეეცადა ხელისუფლების სადავეების ხელში ჩაგდებას, თუმცა, ამაოდ. ამიერკავკასიის სეიმის გადაწყვეტილებით, წითელი გვარდიის რაზმმა იარაღის ძალით ჩაშალა ბოლშევიკთა ეს ჩანაფიქრი. ამ პროვოკაციის ჩავარდნის შემდეგ შაუმიანი იძულებული გახდა მიმალულიყო, კონსპირაციულად დაეტოვებინა ქალაქი და ბაქოში გადასულიყო. სტეფანე შაუმიანის შესახებ ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ ვკითხულობთ: ,,1917 წლის 16 დეკემბერს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ვ. ი. ლენინი თავმჯდომარეობდა, განხილულ იქნა საკითხი კავკასიაში შექმნილი ვითარების შესახებ. მოხსენება რუსეთის ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარმა ი. ბ. სტალინმა გააკეთა. სახალხო კომისართა საბჭომ გაითვალისწინა კავკასიაში შექმნილი ვითარების სერიოზულობა, ის, რომ ამიერკავკასია კონტრრევოლუციური და რევოლუციური ძალების გადამწყვეტი შეჯახების პერიოდში იმყოფებოდა, მიიღო დადგენილება ს. გ. შაუმიანის კავკასიის საგანგებო კომისრად დანიშვნის შესახებ. ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის ამიერკავკასიას 500 000 მანეთი გამოეყო და კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრის განკარგულებაში გადაეცა. 1918 წლის 22 იანვარს სტეფანე შაუმიანი კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.[516]

ნოე ჟორდანია: ,,ლენინმა თავის ნამესტნიკად დანიშნა შაუმიანი. ეს ვაჟბატონი ჩქარა ისე დაფრთხა, რომ მიიმალა. მათ საიდუმლო ორგანიზაციამ მოაწყო მიტინგი ალექსანდროვის ბაღში იმ მიზნით, რომ იქიდან წასულიყვნენ სეიმის გასარეკად და შაუმიანის ხელისუფლების გამოსაცხადებლად. ბიურო აღმასკომისა შეიყარა საჩქაროთ და გაგზავნა თავისი განსაკუთრებული რაზმი ვლ. იმნაძის წინამძღოლობით მიტინგის გასარეკათ და ურჩების დასაჭერად. შედეგი ცნობილია. რაზმმა იარაღით გარეკა კრება”.[517] იმაზედ კი კი აღარას ამბობს ჟორდანია, შაუმიანს რომ დაეჩემებინა: ამიერკავკასია სამ ნაწილად უნდა დაიყოს - დასავლეთი (ყოფილი ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიები) შუა (სომხეთი და აღმოსავლეთი საქართველო) და აღმოსავლეთი (აზერბაიჯანი და დაღესტანი). კარგად მოეფიქრებინა ,,ლენინელ ნამესტნიკს”: ნახევარზე მეტი საქართველო სომხეთად უნდა გამოეცხადებინა, რასაკვირველია, ,,პროლეტარული ინტერნაციონალიზმის” მოტივით! ხოლო, სანამ ეს შავი ოცნება მხოლოდ ოცნებადვე რჩებოდა, მანამ მისმა ავტორმა თბილისის ალექსანდრეს ბაღში სისხლის დაქცევას მიაღწია“,[518] - აღნიშნავდა ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პარლამენტის წევრი, ბატონი რევაზ გაბაშვილი.

მოლოდინისდა საწინააღმდეგოდ, 1918 წლიდან დაშნაკთა მთელი ყურადღება და სომხური სამხედრო შენაერთების ძალთა სრული კონცენტრაცია დასავლეთისა და ანატოლიის ფრონტისკენ კი არა, არამედ აღმოსავლეთისაკენ იქნა გადატანილი. მიზეზი - 1918 წლის დასაწყისისათვის სომხურ-დაშნაკური აგრესიული ექსპანსიონიზმისათვის ხელსაყრელი სიტუაციის დადგომა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში...

საქმე იმაშია, რომ 1918 წლის იანვრიდან სარკინიგზო შეტყობინება ბაქო-თბილისი გაწყდა, რადგან რკინიგზის განჯა-შამქორის უბანი თურქთა და თათართა რაზმების კონტროლქვეშ გადავიდა. ეს რაზმები ერთის მხრივ კავკასიის ფრონტიდან (სარიყამიში) ბაქოსკენ წამოსული რუსული ეშელონების განიარაღებით იყვნენ დაკავებულნი, ხოლო მეორეს მხრივ - ბაქოდან

---

[516] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. საქართველო 1900-1921 წლებში. (რედ: აკ. სურგულაძე, ნ. მარგიანი, ა. ბენდიანიშვილი, ა. კიკვიძე და სხვ. თბილისი. 1972. გვ. 412.

[517] ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული. (მოგონებანი) პარიჟი. 1953. გვ. 123-124.

[518] ლევან სანიკიძე. მესამე დასის საქართველო. ნაკვეთი პირველი. ,,მერანი”. თბილისი. 1989. გვ. 232.

წამოსულ ეშელონებს ჩხრეკდნენ. ამის გამო, თავად ბაქოსა და მის შემოგარენში I მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტიდან სამშობლოსაკენ დაძრული ათასობით სომეხი ეროვნების ჯარისკაცი და ოფიცერი დაგროვდა. გასაგებია, რომ რუსეთიდან რკინიგზის მაგისტრალით ამიერკავკასიაში მოხვედრა მხოლოდ ბაქოს გზით შეიძლებოდა, რადგან იმ დროისათვის საქართველოს შავიზღვისპირეთის აფხაზეთის უბანზე გამავალი რკინიგზის მშენებლობა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ბაქოში თავმოყრილი ეს არაკონტროლირებადი შეიარაღებული მასა - სომეხი ეროვნების სამხედრო მოსამსახურეები, უსაქმოდ დახეტიალობდნენ ქალაქში და დიდ საფრთხეს უქმნიდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და მთლიანად ქალაქს. მოსალოდნელი იყო, რომ ეს ფეთქებადი დაჯგუფება ადვილად შეიძლება მოხვედრილიყო რუსული ბოლშევიკური და სომხური ნაციონალისტური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ.

ასეც მოხდა. დაშნაკებმა არ დააყოვნეს და მსწრაფლ გადავიდნენ მოქმედებაზე. სომეხთა ეროვნული საბჭოსა და დაშნაკი ლიდერების ძალისხმევით დაიწყო ამ შეიარაღებული მასისგან სამხედრო შენაერთის შექმნა. ამ საქმის ორგანიზებას პირველ მსოფლიო ომში ერთ-ერთი დაშნაკური საბრძოლო რაზმის ცნობილი მეთაური, ზემოთ ხსენებული ამაზასპ სრვანცტიანი (ამაზასპი) ჩაუდგა სათავეში. ედუარდ ოგანესიანის მიხედვით, თავიდან განსაზღვრული იყო ერთი რაზმის შექმნა 1200 კაცის ოდენობით, თუმცა, მსურველები მეტნი აღმოჩნდნენ და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ერთი 3000 კაციანი ბრიგადა. მას ამაზასპის ბრიგადას ეძახდნენ. გარდა ამისა, სომეხთა ეროვნულმა საბჭომ აღადგინა მე-2 სათადარიგო პოლკი, რომლის მეთაურობაც პოლკოვნიკ ს. ეგიაზაროვს დაევალა. მასვე გადაეცა ყოფილი რუსული 279-ე პოლკის დარჩენილი ქონება.[519]

და აქ ვაწყდებით ერთობ საინტერესო და ერთი შეხედვით არაორდინარულ საკითხს, რაც 1918 წელს დაშნაკთა და ბოლშევიკთა შორის ურთიერთდამოკიდებულებას ეხება. ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც ამ ორ იდეოლოგიას შორის ახლო კონტაქტების დამყარებასა და მათ შორის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შეკვრაში გამოიხატა. ეს საიდუმლო კონტაქტები ბოლშევიკებსა და დაშნაკებს შორის ერთ-ერთი იმ საინტერესო ისტორიულ ფენომენთაგანია, რომელიც ყოველთვის გასაიდუმლოებული და ტაბუდადებული თემა იყო ჯერ საბჭოთა, ხოლო შემდეგ, რუსულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში. თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ბაქოს ბოლშევიკური დიქტატურის პერიოდში ბოლშევიკთა და დაშნაკთა ასეთი არაბუნებრივი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი არსებობდა. ბოლშევიკები ხომ ყოველთვის მათთან დაპირისპირებულ ძალად, პირსისხლიან ჯალათებად და იდეოლოგიურ მტრებად სახავდნენ დაშნაკებს. არადა, კარგად შენიღბულ-შელამაზებული ამ სისხლიანი ალიანსის ნამდვილი სახე და ისტორიული რეალობა სულ სხვა იყო.

ამ ალიანსის შექმნის მიზეზებისა და მიზნების, აგრეთვე მისი სამხედრო-პოლიტიკური აქტივობის სრულყოფილი ანალიზია ჩატარებული აზერბაიჯანელი მეცნიერის, ბახტიარ ნაჯაფოვის ფუნდამენტურ ნაშრომში ,,Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX-начале XX в. Часть вторая'' (,,მტრის სახე. სომხური ნაციონალიზმის ისტორია ამიერკავკასიაში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. ნაწილი მეორე.“).

,,ბოლშევიკებისა და დაშნაკების ეს არააფიშირებული და არსებითად ,,იატაკქვეშა'' კავშირი მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს არაბუნებრივი. თითქოს ინტერნაციონალისტი ბოლშევიკები ,,მსოფლიო რევოლუციისათვის'' იბრძვიან, დაშნაკები კი, პირიქით, ულტრანაციონალისტები არიან და ,,დიადი არმენიის'' შექმნისათვის იღწვიან. მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს იდეოლოგიური

519 Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство ,,Феникс”. Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 266-267. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf

განსხვავება არც ისეთი დიდი დაბრკოლება აღმოჩნდა მათი გაერთიანებისთვის, მით უმეტეს, რომ ორივე შემთხვევაში, მათი საბოლოო მიზნები ქიმერული აღმოჩნდა. (მართლაც, მითი ,,მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისა და კომუნიზმის'' შესახებ ისეთივე უსაფუძვლო აღმოჩნდა, როგორც მითი ,,დიადი არმენიის'' შესახებ). ამ ეტაპზე კი, ბოლშევიკებსა და დაშნაკებს ერთი მიზანი ამოძრავებდათ - ჩამოეშორებინათ ხელისუფლებისაგან აზერბაიჯანელები, პირველ რიგში კი, ,,მუსავატი''. აახლოებდათ მათ აგრეთვე სრული უპრინციპობა, ტოტალური ტერორის პრაქტიკა, დემოკრატიის ნებისმიერი ფორმებისადმი შეუთავსებლობა, ყველა საკითხის ძალოვანი მეთოდებით გადაჭრის გამოცდილება.

დაშნაკებსა და ბოლშევიკებს აერთიანებდათ აგრეთვე რევოლუციური ფრაზეოლოგიისადმი ერთნაირი მიდრეკილებები, დემაგოგიური ლოზუნგები, პოპულისტური ჟესტები, ხმამაღალი მოწოდებები სოციალიზმის იდეების ერთგულებისადმი. ამავე დროს, ამ კავშირით ორივე მხარე დიდ სარგებელს ნახულობდა: დაშნაკები რუსეთის ბოლშევიკებისა და ესერების მხარდაჭერას მოიპოვებდნენ, რომლებიც უკვე მაშინ წარმოადგენდნენ სერიოზულ ძალას. ბოლშევიკები კი, იძენდნენ დაშნაკთა მზა სამხედრო ორგანიზაციას - დამრტყმელ ძალას, რომელსაც შეეძლო გადამწყვეტი როლი ეთამაშა ამიერკავკასიაში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობის გამო''.[520]

ყოვლისმომცველი და სრული ანალიზია წარმოდგენილი. აბსოლუტურად ვეთანხმებით ავტორის ისტორიულად გამართლებულ მოსაზრებებს.

ბოლშევიკურ-დაშნაკურ ალიანსზე მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სტივენ ჯონსიც. იგი ამჯერად ბოლშევიკთა ერთ-ერთი იდეოლოგიური მამისა და მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსის, საბჭოთა რუსეთის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურის, ლევ ბრონშტეინ-ტროცკისა[521] და სომეხ დაშნაკთა იდეოლოგიური ბელადების - ,,დოქტორ'' ზავრიევის[522] (ექიმ აკოფ

---

520 Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX - начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. Стр. 27-28.

521 ლევ დავიდოვიჩ ტროცკი (რუს. Лев Дави́дович Тро́цкий) (ნამდვილი გვარ-სახელი ლეიბა დავიდოვიჩ ბრონშტეინი – Лейба Давидович Бронштейн) (1879-1940წ.წ.) – ძველი რევოლუციონერი, საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსი, ლიტერატორი და კრიტიკოსი, პუბლიცისტი და რეპორტიორი, გაზეთ „Искра"-ს კორესპონდენტი და რედკოლეგიის წევრი. რუსეთის რევოლუციური მოძრაობის შესახებ გამოცემული კაპიტალური ნაშრომებისა და სტატიების ავტორი. კომინტერნის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი და ფუძემდებელი, საბჭოთა კავშირიდან გაძევების შემდეგ – IV ინტერნაციონალის მთავარი თეორეტიკოსი და შემქმნელი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი – მენშევიკი. რუსეთის მუშურ-გლეხური წითელი არმიის ერთ-ერთი შემქმნელი. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა პირველი სახალხო კომისარი, შემდეგ – სამხედრო და საზღვაო საქმეთა პირველი სახალხო კომისარი. მარქსიზმის ერთ-ერთი იდეოლოგიური მიმდინარეობის – ტროცკიზმის ფუძემდებელი. 1905 წელს მის მიერ შექმნილი პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს ხელმძღვანელი. 1908 წლიდან ემიგრაციაშია. 1908-1912 წლებში ვენაში გამომავალი გაზეთის „Правда"-ს გამომცემელი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბრუნდება რუსეთში. 1917 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრია, საბჭოების მე-2 ყრილობისა და დამფუძნებელი კრების დელეგატი. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალებისა და მუშურ-გლეხური წითელი არმიის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ორგანიზატორი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის (კომინტერნი) შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და იდეოლოგი, კომინტერნის აღმასკომის წევრი. საბჭოთა რუსეთის მთავრობის პირველი შემადგენლობის წევრი, 1918-1925 წლებში საბჭოთა რუსეთის, შემდგომ კი, საბჭოთა კავშირის საგარეო და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი, რსფსრ სამხედრო რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე. 1923 წლიდან დაუპირისპირდა სტალინს – შიდა პარტიული მემარცხენე ოპოზიციის ლიდერი. 1919-1926 წლებში იყო კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი. 1927 წელს მოხსნეს ყველა დაკავებული თანამდებობიდან და გადასახლებაში გაგზავნეს. 1929 წელს გააძევეს საბჭოთა კავშირიდან, 1932 წლიდან ჩამოერთვა საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა. ემიგრაციაში ყოფნისას ეწეოდა ნაყოფიერ ლიტერატურულ-კრიტიკულ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. თავის შემოქმედებაში მკვეთრად აკრიტიკებდა სტალინს და მის მიერ გატარებულ პოლიტიკას. ლევ ტროცკი 1940 წლის 20 აგვისტოს მექსიკაში მოკლა საბჭოთა კავშირის შინაგან

ზავარიანის), სტეფან ზორიანისა (როსტომი) და სხვათა ერთი შეხედვით არაორდინარულ ურთიერთდამოკიდებულებაზე ამახვილებს ყურადღებას: ,,ტროცკი პერსონალურად უზრუნველყოფდა დაშნაკთა წარმომადგენლების უსაფრთხოებასა და გადაადგილებას ცენტრალურ რუსეთში. მაშინ, როცა ბევრი არაბოლშევიკი გაიქცა პეტროგრადიდან, ,,დოქტორი'' ზავრიევი, დაშნაკთა ერთ-ერთი ლიდერი და დაშნაკელთა ,,საგარეო საქმეთა მინისტრი'', ამიერკავკასიიდან დაბრუნდა დედაქალაქში (იგულისხმება პეტროგრადი - ა. ჩ.) ლიპარიტ ნაზარიანცთან ერთად, რომელთა მიზანსაც სოვნარკომთან[523] შეთანხმების დადება იყო. ამის მსგავსად, ბაქოს სომეხთა საბჭოს დავალებით როსტომ ზორიანი, შემდეგ კი არტაშეს ჩილინგარიანი მიწვეულ იქნენ რუსეთის ახალი პატრონების მიერ. თბილისში კი, მენშევიკთა ზეწოლით, კომისარიატის მიერ ბოლშევიკური პრესა აიკრძალა, ხოლო შაუმიანზე დაპატიმრების ბრძანება გაიცა. სომეხთა ნაციონალისტურმა პარტიამ დაიცვა თავისი ბოლშევიკი თანამემამულე და იგი საიდუმლოდ უსაფრთხო ადგილას გააპარა. ეს ორი ორგანიზაცია ოფიციალურად შემდგომშიც აგრძელებდა ერთმანეთთან თანამშრომლობას''.[524]

სტეფანე შაუმიანის თბილისიდან ბაქოში გაპარების ამბავთან დაკავშირებით არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ჩვენის აზრით ერთობ საინტერესო და ჩვენთვის ცოტა ძნელად ასახსნელ მოვლენას. სტივენ ჯონსის მიხედვით შაუმიანი თბილისიდან დაშნაკებმა გააპარეს, რაც რა თქმა უნდა, ლოგიკის ჩარჩოებში ჯდება, თუმცა, ამ ფაქტთან დაკავშირებით სხვა რეალობაც არსებობს. ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი და ძველი რევოლუციონერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ფიგურა და სამხედრო მოღვაწე, მართლაც ლეგენდარული და დაუმარცხებელი მეთაური, ,,რევოლუციის პირველ რაინდად'' წოდებული ვალოდია გოგუაძე,[525] თავის მემუარში წერს:

საქმეთა სახალხო კომისარიატის (НКВД) აგენტმა, რომელსაც ამ ტერორისტული აქტის წარმატებით აღსრულების გამო, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

522 იაკობ ქრისტოფორის ძე ზავრიევი (აკოფ ქრისტოფორის ძე ზავარიანი) (სომხ. Յակոբ Քրիստոֆեր Զավրիև (Ակոպ Քրիստոֆեր Զավարիանի)) (1866-1920წ.წ.) – თბილისში დაბადებული და გაზრდილი სომეხი ეროვნების პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პროფესიით ექიმი, დაშნაკთა პარტიის წევრი. დაწყებითი განათლება მიიღო თბილისში. შემდეგ დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია. სტუდენტობის წლებში ჩაება რევოლუციურ და პოლიტიკურ საქმიანობაში. 1902 წლიდან მუშაობდა ბაქოში, იყო ბალახანის რაიონის საავადმყოფოს მთავარი ექიმი. ხშირად გადადიოდა ოსმალთა იმპერიის აღმოსავლურ ვილაიეთებში, სადაც სომეხ მოსახლეობაში ეწეოდა რევოლუციური იდეების პროპაგანდას. თურქული ხელისუფლების მხრიდან დევნის გამო ტოვებს კავკასიას და მიდის ევროპაში. 1912-1913 წლებში იმყოფებოდა ემიგრაციაში, სადაც დიდ მუშაობას ეწეოდა დაშნაკური იდეების გავრცელებისა და სომხური საკითხის პოპულარიზაციის საქმეში. გერმანიაში ყოფნის დროს აყალიბებს გერმანია-სომხეთის საზოგადოებას. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ბრუნდება ამიერკავკასიაში. წარმოადგენდა სომხური შეიარაღებული რაზმების შექმნის ერთ-ერთ ორგანიზატორს. იყო ანდრანიკ ოზანიანის საბრძოლო რაზმის წევრი. მონაწილეობდა კავკასიის ფრონტის საბრძოლო მოქმედებებში. 1917 წელს იყო რუსთა მიერ ოკუპირებული თურქეთის აღმოსავლური ვილაიეთების კომისრისა და გენერალ-გუბერნატორის მოადგილე. სომხეთის რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, 1918 წლის ზაფხულში დაშნაკთა პარტიის წევრებთან, ლიპარიტ ნაზარიანცთან და რუბენ დარბინიანთან ერთად, გაგზავნილ იქნა მოსკოვში ბოლშევიკებთან მოლაპარაკებების საწარმოებლად. ამავე დროს საიდუმლო კონტაქტები ჰქონდა სტეფანე შაუმიანთან. ბაქოს კომუნის დაცემის შემდეგ, 1918 წლის ივლისში, დაპატიმრებულ იქნა მოსკოვში. გარდაიცვალა 1920 წლის 20 თებერვალს.

523 სოვნარკომი (რუს. Совнарком - Совет народных комиссаров) – სახკომსაბჭო – სახალხო კომისართა საბჭო. ასე იწოდებოდა საბჭოთა რუსეთის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა (სსრკ) და მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობები 1918-1946 წლებში. შემდგომ წლებში ეს ფრაზა – სახკომსაბჭო, ,,მინისტრთა საბჭოთი'' შეიცვალა.

524 Stephen F. Jones. Georgian–Armenian relations in 1918 to 1919 and 1991 to 1994. A comperison. გვ. 112.

525 ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძე (1880-1954წ.წ.) – ცნობილი ქართველი რევოლუციონერი და ტერორისტი, სამხედრო მოღვაწე, ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკისა და

„რუსის ჯართან ერთად გავიყვანე მათი მეთაური კუზნეცოვი და შაუმიანი. მათ მადლობა გადამიხადეს. ამ ოპერაციებისა გამო რუსის ჯარის უფროსებისაგან მივიღე დოკუმენტები, რომელსაც მარცხენა მხარეზე აზის შემდეგი ბეჭედი: სამხედრო რევოლუციონური შტაბი. მე-17, 22, 23, 24 და 28 კავკასიის, მე-13 და მე-15 თურქესტანის და მეორე ეკატერინეს ყაზახთა პოლკის შერეული რაზმის.

19 თებერვალი, 1918 წ.

№18

სადგური ევლახი, ამიერკავკასიის რკინის გზა.

დოკუმენტის შინაარსი იყო: ჯავშნიანი მატარებლის უფროსს. სამხედრო რევოლუციონური შტაბი უღრმეს მადლობას უძღვნის ჯავშნიანი მატარებლის უფროსს, კაპიტან გოგუაძეს, რომელმაც გააცილა ჩვენი რაზმები მესამასე ვერსიდან[526] (სადგური ნავთლუღი - ა. ჩ.) ამიერკავკასიის

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის ლეგენდარული სამხედრო მეთაური, სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი. ქართველი სამხედრო მოღვაწე, რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე ამიერკავკასიაში. საქართველოს სახალხო გვარდიის ჯავშნოსანი მატარებლების უცვლელი უფროსი, ამიერკავკასიის მთავრობის მიერ „რევოლუციის რაინდად" წოდებული. მოღვაწეობდა ბაქოში, თბილისსა და ბათუმში. გამოირჩეოდა განსაკუთრებული პირადი სიმამაცითა და შეუპოვრობით. დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ჭანჭათში. ბავშვობიდანვე ჩაერთო შრომით საქმიანობაში. იყო ბათუმის ქარხნის მუშა. 1900 წელს გაიწვიეს საიმპერატორო არმიაში. მსახურობდა ოდესაში. 1901 წელს მონაწილეობდა მანჯურიის ლაშქრობაში. 1903 წლიდან მუშაობდა ბაქოს რკინიგზაზე. აქვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1904 წლიდან რსდმპ წევრია. იყო 1905-1907 წლების საპროტესტო გამოსვლებისა და რევოლუციის აქტიური მონაწილე ამიერკავკასიაში. 1906 წლის მარტში აირჩიეს ბაქოს სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრად. ამ პერიოდში მონაწილეობდა იარაღით დატვირთული ვაგონების გატაცებაში, ხელმძღვანელობდა იარაღის არალეგალურ დამზადებას, აწყობდა ტერორისტულ აქტებს ჩინოვნიკების წინააღმდეგ და შეიარაღებულ შეტაკებებს პოლიციასთან. ამ ბრძოლებში იგი რამდენჯერმე დაიჭრა. 1909 წლიდან იმყოფებოდა სოხუმში, შემდეგ ბრუნდება გურიაში. 1910-1916 წლებში მონაწილეობდა ოზურგეთის მაზრაში მოთარეშე ყაჩაღთა ბანდების განიარაღებაში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გადადის თბილისში. იყო ამიერკავკასიის წითელი (მოგვიანებით სახალხო) გვარდიის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი. 1917 წლის 12 დეკემბერს, იყო კავკასიის ფრონტის სტრატეგიული მარაგების ბაზის, არსენალის აღების ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილე და ხელმძღვანელი. 1918 წლის დასაწყისში იყო კავკასიის ფრონტის „რევოლუციონერი" რუსი ჯარისკაცების შეიარაღებული აგრესიისაგან თბილისის დაცვის ოპერაციის აქტიური მონაწილე. 1918 წლის 13 აპრილს, ამიერკავკასიის საოლქო დელეგატების სხდომაზე ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთლის და ევგენი გეგეჭკორის წარდგინებით მიენიჭა „რევოლუციის პირველი რაინდის" წოდება. 1918-1921 წლებში იყო ამიერკავკასიის ფედერაციისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ წარმოებული ყველა დიდ-პატარა ომისა და ბრძოლის აქტიური მონაწილე და წარმატებული მეთაური. თავისი რევოლუციური და საბრძოლო მოღვაწეობის პერიოდში რამდენჯერმე მძიმედ დაიჭრა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, მთავრობის წევრებთან და სხვა სამხედროებთან ერთად მიდის ემიგრაციაში. იმყოფებოდა ჯერ კონსტანტინოპოლში, სადაც მკურნალობდა ფრანგულ ჰოსპიტალში, შემდეგ კი, რუმინეთისა და პოლონეთის გავლით, ჩადის საფრანგეთში. ემიგრაციაში ყოფნის დროს იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროსა და საფრანგეთის ქართული სათვისტომოს გამგეობის წევრი, თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ პრესასთან. დაწერა ვრცელი „მოგონებები", თუმცა II მსოფლიო ომის დროს გერმანელების საფრანგეთში შესვლისას, ავტორმა ხელნაწერები ცეცხლს მისცა. მისი „მოგონებების" ფრაგმენტები, რომელიც ძირითადად 1890-1919 წლებს ასახავს, გადაარჩინა და 1963 წელს პარიზში ქართულად გამოსცა მისმა მეუღლემ, ნამეტია ბერძენიშვილმა. ვალოდია გოგუაძე გარდაიცვალა 1954 წელს. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

526 ვერსი – სიგრძის საზომი ძველებური რუსული ერთეული. უდრის 1,06კმ-ს. იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე. პირველად გვხვდება XI საუკუნის ისტორიულ წყაროებში. მიუხედავად იმისა, რომ ვერსი დღეს უკვე აღარ გამოიყენება, რადგან მისი სიდიდე ახლოსაა კილომეტრთან, რუსეთში მას ახლაც ხმარობენ სალაპარაკო ენაში.

რკინიგზის სადგურ ევლახამდე; მიიღო მხურვალე მონაწილეობა განჯასთან მომხდარ შეტაკებაში და ჯავშნიანი მატარებლის არტილერიის ცეცხლით გაანთავისუფლა გზა ეშელონებისათვის შეიარაღებული თათრებისაგან. შტაბი გულითად მადლობას უძღვნის აგრეთვე ჯავშნიანი მატარებლის კომანდას მისი თავგანწირული მონაწილეობისათვის ბრძოლაში.

სამხედრო შტაბის თავმჯდომარე - (ხელმოწერა გაურკვეველია - ა. ჩ.).

რაზმის უფროსი - პოლუმორდვინოვ;

შტაბის უფროსი - ჟურავიოვ''.[527] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

გოგუაძის მიერ შაუმიანისადმი გაწეული სამსახური ჩვენთვის ცოტა ძნელად ასახსნელი მოვლენაა. გაუგებარია, რომ გოგუაძემ, ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთმა ბურჯმა და მენშევიკების პარტიული სამხედრო ორგანიზაციის ერთ-ერთმა უთვალსაჩინოესმა ლიდერმა, თავის მოწინააღმდეგეს გაუწია მსგავსი სამსახური. როგორც ჩანს ცნებები - რევოლუცია და რევოლუციონერი, მართლაც რაღაც ზეაღმატებულ, განსხვავებულ კატეგორიებს წარმოადგენდა ,,რევოლუციის პირველი რაინდისათვის'' და იმ მომენტისთვის ამ ცნებებს გაცილებით უფრო მაღალი ნიშნული ეკავათ ბოლშევიკურ-მენშევიკური სოლიდარობის შკალაზე, ვიდრე ეს შემდგომში იყო. თბილისიდან ბაქოში ფარულად გადავიდა აგრეთვე კავკასიის ფრონტის გაბოლშევიკებულ ჯარისკაცთა ლიდერი, ფრონტის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, გრიგორი ყორღანოვი.[528]

შემდგომშიც, საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდშიც, სხვა მსგავს გაუგებარ და რბილად რომ ვთქვათ, აუხსნელ მოვლენებს ჰქონდა ადგილი, მაგალითად, ბოლშევიკურ-მენშევიკური ურთიერთთანამშრომლობის რაკურსში. აქ არ არის საუბარი რიგით პოლიტიკოსებსა და რიგით მოვლენებზე. აქ საუბარი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირს, თვით რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, ბატონ ნოე ჟორდანიას ეხება. უფრო ზუსტად - ჟორდანიას მიერ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწისა და ძველი რევოლუციონერის, ქართველ ბოლშევიკთა ლიდერის და დემოკრატიული საქართველოს დაუძინებელი მტრის, ფილიპე მახარაძისთვის[529] გაწეულ სამსახურს.

---

527 ვალოდია გოგუაძე. დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. თბილისი. 1992. გვ. 429.

528 გრიგორი ნიკოლოზის ძე ყორღანოვი (ყორღანიანი) (სომხ. Գրիգորի Նիկոլայի Կորղանով (Կորղանյան)) (1886-1918წ.წ.) – თბილისში დაბადებული და გაზრდილი სომეხი რევოლუციონერი, ბოლშევიკი, ბაქოს ბოლშევიკური კომუნის მთავრობის წევრი და ერთ-ერთი ლიდერი. დაამთავრა თბილისის ნერსესის სომხური სკოლა. რევოლუციურ მოძრაობაში ჩაერთო 1905 წლიდან. 1907 წელს სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელიც ვერ დაამთავრა. გარიცხეს რევოლუციური საქმიანობის გამო. ამის შემდგომ გაწვეულ იქნა სამხედრო სამსახურში. სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ ისევ უბრუნდება სწავლას და 1914 წელს ამთავრებს მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტს. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით გაწვეულ იქნა ნამდვილ სამხედრო სამსახურში. მსახურობდა კავკასიის ფრონტზე, სადაც აქტიურ რევოლუციურ პროპაგანდას აწარმოებდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო კავკასიის არმიის თვითმმართველობის ორგანოების ერთ-ერთი ორგანიზატორი. ხელმძღვანელობდა ბოლშევიკთა ფრაქციას კავკასიის არმიის პირველ ყრილობაზე, რომელიც ჩატარდა თბილისში, 1917 წლის მაისში. იმავე წლის დეკემბერში ირჩევენ კავკასიის არმიის სამხედრო რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ. 1918 წლის დასაწყისიდან გადადის ბაქოში, სადაც ბოლშევიკური კომუნის ერთ-ერთი ლიდერი ხდება. იმავე წლის მარტიდან იყო ბაქოს დაცვის კომიტეტის წევრი, ხოლო აპრილიდან – ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს წევრი, სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი და ერთდროულად ,,კავკასიის წითელი არმიის'' მთავარსარდალი. ბაქოს ბოლშევიკური კომუნისა და 1918 წლის სექტემბერში ,,კავკასიის ისლამის არმიის'' მიერ ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის დამხობის შემდეგ გარბის ქალაქიდან, მაგრამ აკავებენ და სხვა 26 კომისართან ერთად ხვრეტენ კრასნოვოდსკში.

529 ფილიპე მახარაძე (1868-1941წ.წ.) – ქართველი ბოლშევიკი, ძველი რევოლუციონერი, საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და პუბლიცისტი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის ერთ-ერთი შემოქმედი და ხელმძღვანელი,

საქმე იმაშია, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმე, მაშინ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, კვლავ ამოტივტივდა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის[530] განკარგულებით, 1919 წელს დააპატიმრეს ქართველ ბოლშევიკთა

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ კარისყურში. 1877 წელს შევიდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, სადაც იმ დროისათვის ნოე ჟორდანია სწავლობდა. 1884 წლიდან სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1891 წლიდან სწავლობდა ვარშავის ვეტერინარულ ინსტიტუტში, სადაც გაეცნო მარქსიზმისა და სოციალ-დემოკრატიის იდეებს. აქტიურად ჩაება მარქსისტული წრეების მუშაობაში და აქვე ხდება სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1893 წელს აპატიმრებენ და 1895 წელს ასახლებენ საქართველოში. 1896-1897 წლებში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრობდა სიღნაღის მაზრაში და არალეგალურად ჩადიოდა თბილისში. აქვე ჩაერთო ქართული პოლიტიკური ჯგუფის „მესამე დასის" საქმიანობაში. 1897-1900 წლებში დაუახლოვდა სტალინს, ალექსანდრე წულუკიძეს, ლადო კეცხოველს. 1901 წელს ისევ აპატიმრებენ. 1903 წელს მონაწილეობას იღებს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კავკასიის პირველ ყრილობაში. 1905 წელს ისევ აპატიმრებენ და სვამენ მეტეხის ციხეში, საიდანაც გაანთავისუფლეს 1906 წელს. აქტიურად მონაწილეობდა 1905-1907 წლების რევოლუციურ გამოსვლებში. შემდგომ წლებში ეწეოდა პარტიულ-პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ მუშაობას, თანამშრომლობდა ლეგალურ ბოლშევიკურ პრესასთან. 1915 წელს აირჩიეს რსდმპ კავკასიის ბიუროს შემადგენლობაში. იყო ბოლშევიკური პარტიის თბილისის საბჭოს ერთ-ერთი ორგანიზატორი. რედაქტორობდა ბოლშევიკურ გაზეთებს „კავკასიელი მუშა" და „ბრძოლა". ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ იყო ე.წ. „თერგის საბჭოთა რესპუბლიკის" მთავრობის წევრი. 1919 წელს არალეგალურად ბრუნდება საქართველოში და იწყებს ანტისახელმწიფოებრივი ბოლშევიკური აჯანყების მომზადებას, რის გამოც დააპატიმრეს, მაგრამ 1920 წლის მაისში ახერხებს ციხიდან თავის დაღწევას და გადადის ჩრდილოეთ კავკასიაში. 1921 წლის თებერვალში იყო მე-11 წითელი არმიის ერთ-ერთი პოლიტიკური ხელმძღვანელი და საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციისა და გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლიდან, საბჭოთა საქართველოსა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში ეკავა სხვადასხვა პარტიული და სახელმწიფო თანამდებობები – საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ) თავმჯდომარე. 1936 წლამდე, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლამდე იყო ამ რესპუბლიკის ცაკ-ის ერთ-ერთი თავმჯდომარე. 1938 წლის 10 ივლისიდან 1941 წლის 10 დეკემბრამდე იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. გარდაიცვალა 1941 წელს. დაკრძალეს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. 1987 წელს მისი საფლავი ააფეთქეს. 1989 წელს კი, მისი ცხედარი მიხა ცხაკაიას ცხედართან ერთად ხუდადოვის სასაფლაოზე გადაასვენეს. მათ ადგილას 2008-2009 წლებში ანა კალანდაძე და ნოდარ დუმბაძე დაკრძალეს.

[530] ნოე რამიშვილი (1881-1930წ.წ.) – ძველი რევოლუციონერი, ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთისა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ერთ-ერთი ლიდერი და ხელმძღვანელი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი და მისი პირველი თავმჯდომარე. დაიბადა სოფელ ქვემო სურებში. 1887 წელს შევიდა სოფლის სკოლაში, სადაც მისი მასწავლებელი იყო ცნობილი ქართველი პედაგოგი, რევოლუციონერი და პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი, ისიდორე რამიშვილი. 1890-1894 წლებში სწავლობდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. შემდგომ სწავლა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა, სადაც აქტიურად ჩაება სოციალურ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში. 1900 წელს ჩააბარა იურევის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. აქვე დაიწყო აქტიური რევოლუციური საქმიანობა, რის გამოც უნივერსიტეტიდან გარიცხეს. უნივერსიტეტიდან გარიცხვისა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაიწყო აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა. იყო ბათუმისა და გურიის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. ჟანდარმერიის მხრიდან დევნის გამო მალე ტოვებს საქართველოს და გადადის რუსეთში. 1908-1910 წლებში ცხოვრობდა გერმანიაში და საფუძვლიანად სწავლობდა მარქსიზმს, იყო ლაიფციგის უნივერსიტეტის მსმენელი. 1908 წელს მონაწილეობდა რსდმპ ჟენევის კონფერენციის მუშაობაში, სადაც დაუპირისპირდა სტალინს, რასაც ფიზიკური შეხლა-შემოხლაც კი მოჰყვა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ინიშნება თბილისის მაზრის კომისრად. ამავე დროს არის თბილისის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წევრი და

ლიდერი და საქართველოში ბოლშევიკური აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფილიპე მახარაძე. მასვე წაუყენეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზების ბრალდება. ამავე დროს დააპატიმრეს ილიას მკვლელობის უშუალო შესრულებაში ეჭვმიტანილი გიგლა ბერბიჭაშვილიც. ბრალდებულები მეტეხის ციხეში მოათავსეს. რამიშვილი მიიჩნევდა, რომ ეს გარემოება საბოლოოდ გაუტეხდა სახელს ქართველ ბოლშევიკებს საქართველოში. გამოძიება ყველა მიმართულებით ენერგიულად წარიმართა, რადგან იგი უშუალოდ შინაგან საქმეთა მინისტრის კონტროლზე იყო აყვანილი. თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნოე რამიშვილმა მკვლელობის გამოსაძიებლად მასალები დამფუძნებელ კრებას[531] გადასცა. შეიქმნა საგანგებო კომისია. ამ დროს კი, ნოე ჟორდანიამ ფარულად გამოაშვებინა ციხიდან დაკავებულები და ,,თავის მძღოლს, თავისივე სახელმწიფო მანქანით ჩააყვანინა ისინი ვლადიკავკაზში",[532] - აღნიშნავს თავის მემუარულ ნაშრომში ,,ჩვენი შეცდომები, 1918-1921 წლები", ნოე რამიშვილის ვაჟი, ბატონი აკაკი რამიშვილი. ოფიციალური ვერსიით კი, ფილიპე მახარაძემ დამოუკიდებლად მოახერხა მეტეხის ციხიდან გაქცევა და ვლადიკავკაზში ფარულად გადასვლა, რაც ნამდვილად ძნელად დასაჯერებელ ამბად გვესახება.

სამხედრო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1918 წლის თებერვლიდან იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი. 1918 წლის 22 აპრილს დაინიშნა ამიერკავკასიის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრად. ბათუმის სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს იყო ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარე. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. იმავე დღეს ირჩევენ ახლადშექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად და მთავრობის თავმჯდომარედ. 24 ივლისს პრემიერ მინისტრის თანამდებობაზე იგი ნოე ჟორდანიამ შეცვალა. 1919 წლის 12 მარტს ირჩევენ დამფუძნებელი კრების წევრად. ამავე თვის ბოლოდან ინიშნება რესპუბლიკის სამხედრო მინისტრად და შინაგან საქმეთა მინისტრის სკამს უთავსებს სამხედრო მინისტრის თანამდებობას. თანამდებობაზე ყოფნის დროს დამფუძნებელ კრებას დააშვებინა სიკვდილით დასჯა, რისთვისაც ხშირად აკრიტიკებდნენ გატარებული მკაცრი პოლიტიკისა და დიქტატორული მისწრაფებების გამო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, მთავრობის სხვა წევრებთან ერთად მიდის ემიგრაციაში. ოჯახთან ერთად ცხოვრობდა პარიზთან ახლოს, ლევილის მამულში, სადაც აგრძელებდა შეურიგებელ პოლიტიკურ ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ. იყო 1924 წლის საქართველოს ანტიბოლშევიკური აჯანყების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. ემიგრაციაში ყოფნის დროს, პარიზში, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ქართველმა ემიგრანტმა 1930 წლის 7 დეკემბერს. ჯერ დაკრძალეს ბანიოს სასაფლაზე, შემდეგ გადაასვენეს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

531 საქართველოს დამფუძნებელი კრება (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება) – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლეგიტიმური, საყოველთაო არჩევნებით არჩეული საკანონმდებლო წარმომადგენლობითი ორგანო, რომელმაც შეცვალა საქართველოს ეროვნული საბჭო – პარლამენტი. საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევას ითვალისწინებდა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი. 1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა დაამტკიცა დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება, რომელიც ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე პარტიული სიების მიხედვით. დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებული იყო 15 პოლიტიკური პარტია. არჩევნები ჩატარდა 1919 წლის 14-16 თებერვალს, თუმცა საქართველოს ზოგიერთ რეგიონში არჩევნები ვერ ჩატარდა მძიმე კლიმატური პირობებისა და რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო. საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა თბილისში იმავე წლის 12 მარტს ჩატარდა. სხდომას თავმჯდომარეობდა მისი უხუცესი წევრი, ძველი რევოლუციონერი და ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი, სილიბისტრო (სილვა) ჯიბლაძე, ხოლო კრების მდივანს – მისი ყველაზე ახალგაზრდა წევრი, გოგიტა ფაღავა წარმოადგენდა.

532 ქეთევან ჯინჭარაძე, ავთანდილ სონღულაშვილი. სასამართლო ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წლები). გამომცემლობა ,,მერიდიანი''. თბილისი. 2019. გვ. 71. ა. რამიშვილი. ჩვენი შეცდომები, 1918-1921 წლები. ქართულ-ინგლისური ხელოვნებისა და კულტურის საერთაშორისო ასოციაცია. ISBN 99940-58-64-9. თბილისი. 2000. გვ. 91.

დიახ, ვალოდია გოგუაძისა არ იყოს, ნოე ჟორდანიასთან მიმართებაშიც იძალა პარტიული თუ პირადი მეგობრობისა და რევოლუციური სოლიდარობის გრძნობამ. თუმცა, დღესავით ნათელია, რომ დიდ პოლიტიკაში პირადი გრძნობებისა და სენტიმენტების ადგილი ნამდვილად არ არის. საქმე იმაშია, რომ ფილიპე მახარაძე ნოე ჟორდანიას ბავშვობისა და სიყრმის მეგობარი იყო. ისინი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში თანაკურსელები იყვნენ და ვარშავის ვეტერინარულ ინსტიტუტშიც ერთად სწავლობდნენ. და შემდგომშიც, რევოლუციური მოღვაწეობის გარიჟრაჟზე, მათ ერთნაირი პოლიტიკური ბიოგრაფიები და ერთნაირი საბრძოლო გზა ჰქონდათ გავლილი. ფილიპე მახარაძე სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ორგანიზაცია ,,მესამე დასის“ წევრი გახდა, რომლის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და ლიდერს სწორედ ნოე ჟორდანია წარმოადგენდა. მაშინ, ახალგაზრდობაში, ორივე მათგანი დაჯერებულ მარქსისტებსა და მგზნებარე რევოლუციონერებს წარმოადგენდნენ და ერთად იბრძოდნენ რუსული ცარიზმისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. თუმცა, შემდგომში მათი გზები გაიყარა და ისინი იდეოლოგიურად დაპირისპირებულ ბანაკებში აღმოჩნდნენ. ნოე ჟორდანია ქართველ მარქსისტთა ლიდერად დარჩა, ფილიპე მახარაძე კი, სოციალ-დემოკრატთა უფრო რადიკალურ, ბოლშევიკურ ფრთას მიემხრო. მიუხედავად ამისა, ნოე ჟორდანია ყოველთვის ცდილობდა თავისი სიყრმის მეგობრისა და ყოფილი თანაპარტიელის, ბოლშევიკი ფილიპეს გადმობირებას თუ არა, განეიტრალებას მაინც. ისიც ცნობილია, რომ ჟორდანიამ მახარაძეს გარკვეული თანამდებობაც კი მისცა თბილისის მუნიციპალიტეტში. საერთო ჯამში კი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ეს ,,ჰუმანური“ აქტი - მეტეხის ციხიდან ფილიპე მახარაძის გამოხსნა და მისი რუსეთში გაპარება, სულ მოკლე ხანში ბუმერანგივით დაუბრუნდება საქართველოს, რაც მას ძალიან ძვირი დაუჯდება. 1921 წლის თებერვლიდან სწორედ მოსკოველი ბოლშევიკი, ფილიპე მახარაძე მოევლინება საქართველოს ავადსახსენებელი ,,შულავერის კომიტეტის“ და შემდგომ, ,,საქართველოს რევკომის“ თავმჯდომარის რანგში. თუმცა, ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...

დავუბრუნდეთ ისევ სტეფანე შაუმიანს და მისი ბაქოში ,,მოღვაწეობის“ ამბებს. ფაქტი ის არის, რომ ბოლშევიკი სტეფანე შაუმიანი პირსისხლიან ჯალათად სწორედ თბილისიდან გაქცევისა და ბაქოში დაფუძნების შემდეგ იქცა, როცა მან დაშნაკებთან შეკრა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. სწორედ დაშნაკურ-ბოლშევიკური ურთიერთთანამშრომლობის შედეგი იყო ის, რომ საქართველოში ხელმოცარული შაუმიანი, ,,ლენინის ნაცვალი ამიერკავკასიაში“, ამჯერად ბაქოსა და აზერბაიჯანის გასაბჭოების ავანგარდში აღმოჩნდა ჩართული. 1918 წლის მარტის ბოლოს რუსულ-სომხურმა ბოლშევიკურ-დაშნაკურმა შეიარაღებულმა რაზმებმა ბაქოს მუსლიმი მოსახლეობის დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა გამართეს, რასაც 25 აპრილიდან ბაქოსა და ბაქოს გუბერნიის ნაწილში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება და ე.წ. ,,ბაქოს კომუნის“ შექმნა მოჰყვა შედეგად. სომხურ-რუსული დაშნაკურ-ბოლშევიკური კოალიციის საბოლოო პოლიტიკურ მიზანს და ,,ბაქოს კომუნის“ საგარეო სტრატეგიის მთავარ მამოძრავებელ ძალას განჯაში (განძა, ელიზავეტპოლი, საბჭოთა პერიოდის კიროვაბადი, დღეს ისევ განჯა) განთავსებული აზერბაიჯანის კანონიერი ხელისუფლების დამხობა წარმოადგენდა.

რეალობა ის იყო, რომ სომხეთის ნაციონალური საარმიო კორპუსის აღმოსავლეთის დაჯგუფება დაუყოვნებლივ გადავიდა რუს ბოლშევიკთა დაქვემდებარებაში. და შესაბამისად, დაშნაკური სომხეთის შეიარაღებული ძალების ეს საბრძოლო შენაერთი საბჭოთა პროპაგანდისტულმა ისტორიოგრაფიამ უმალ ,,ბაქოს მშრომელთა წითელ არმიად'' მონათლა. საქმე იმაშია, რომ ,,სომხური შეიარაღებული ძალები (იგულისხმება აღმოსავლეთის დაჯგუფება - ა. ჩ.) ბაქოს კომისართა საბჭოს დაქვემდებარებაში გადავიდა. ჩამოყალიბდა სამი ბრიგადა, რომელთაც ამაზასპი, პოდპოლკოვნიკები ბექ-ზურაბიანი და არუთიუნიანი ჩაუდგნენ სათავეში. კორპუსის

სარდალი პოლკოვნიკი კაზარიანი იყო, შტაბის უფროსის თანამდებობა კი, პოლკოვნიკ ავეტისიანს ეკავა. ჯარები ემზადებოდნენ მარშისათვის დასავლეთის მიმართულებით, სადაც სომხურ შენაერთებს გააფთრებული ბრძოლები ჰქონდათ გამართული თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ".[533]

ამ პათეტიკური სტრიქონების ავტორიც აკადემიკოსი გრანტ ავეტისიანია. ამავე საკითხთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით ცნობებს იძლევა მეორე სომეხი მეცნიერი, აკადემიკოსი არმაის მნაცაკანიანი. თავის ნაშრომში ,,К истории Кавказской красной армии (1918 г.)" (,,კავკასიის წითელი არმიის ისტორიისათვის (1918 წ.)"). იგი აღნიშნავს, რომ ბაქოს დამცველთა 1-ლი ბრიგადის მეთაური კაზარიანი იყო, კომისარი - აბრამ გულოიანი, მე-2 ბრიგადის მეთაური - არუთიუნიანი, კომისარი - გაბიშევი, ხოლო მე-3 ბრიგადის მეთაური - სრვანცტიანი (ამაზასპი), კომისარი - ანასტას მიქოიანი.[534] ავეტისიანი ძალიან გულუბრყვილო ტონით წერს, რომ ,,ჯარები ემზადებოდნენ მარშისათვის დასავლეთის მიმართულებით"... და ცდილობს შენიღბოს შაუმიან-ზორიანის იდეური ხელმძღვანელობით შემზადებული ბოლშევიკურ-დაშნაკური შეიარაღებული აგრესიის დასაწყისი განჯისაკენ, სადაც აზერბაიჯანის კანონიერი მთავრობა იყო დროებით განთავსებული. ეს სისხლიანი ავანტიურა კი, საბჭოთა ისტორიოგრაფიამ უმალ ,,ამიერკავკასიის მშრომელი მასების რევოლუციურ მოძრაობად'' მონათლა.

ისტორიული ფაქტების გამაოგნებელ ფალსიფიკაციასთან გვაქვს საქმე. ბაქოს ოკუპაციის სომხური ოპერაციის იდეოლოგიურ დაგეგმვას სათავეში ჩვენთვის კარგად ცნობილი, ,,დიდი დაშნაკური სამეულის" უკანასკნელი ცოცხალი წევრი და პარტიის ,,იდეოლოგიური მამა" - როსტომი ედგა სათავეში, რომელიც ,,ი. ბაგრამიანთან[535] და ა. ბაგრატუნისთან[536] ერთად 7 მარტიდან ჩავიდნენ

---

533 Г. Аветисян. Армянское войнство. Журнал ,,Армянский вестник". 1999 г. №1-2. Стр. 4.

534 А. Н. Мнацаканян. К истории Кавказской красной армии (1918 г.). Стр. 14. http://lraber.asj-oa.am/1210/1/3.pdf

535 ივან ქრისტოფორის ძე (ოვანეს ხაჩატურის ძე) ბაგრამიანი (სომხ. Իվան Քրիստոֆեր (Ջոն Խաչատուրյանի որդին) Բաղրամյան) (1897-1982წ.წ.) – სომეხი ეროვნების სამხედრო და პარტიული მოღვაწე, რუსეთის საიმპერატორო არმიის პრაპორშიკი, დამოუკიდებელი სომხეთის არმიის ოფიცერი, რუსული წითელი არმიის უფროსი და საბჭოთა არმიის უმაღლესი რანგის ოფიცერი, საბჭოთა კავშირის მარშალი, I და II მსოფლიო ომების მონაწილე, სხვადასხვა ორდენებისა და ჯილდოების კავალერი. დაიბადა ელიზავეტპოლის გუბერნიის სოფელ ჩარდახლიში. დაწყებითი განათლება მიიღო ელიზავეტპოლის საეკლესიო სკოლაში. 1907-1912 წლებში სწავლობდა თბილისის რკინიგზის სასწავლებელში. 1915 წლიდან იბრძვის I მსოფლიო ომის ფრონტზე. 1917 წელს დაამთავრა პრაპორშიკთა სკოლა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ხდება პარტია ,,დაშნაკცუტიუნის" წევრი. სომხეთის რესპუბლიკის არსებობის წლებში იბრძოდა გენერალ სილიკოვის მე-2 ქვეითი დივიზიის საკავალერიო ქვედანაყოფში. 1920 წლიდან გადადის ბოლშევიკების მხარეს, ხდება ესკადრონის მეთაური და შედის მე-11 წითელი არმიის შემადგენლობაში, რომლის შენაერთებიც 1920 წლის დეკემბერში ახდენენ ჯერ სომხეთის, ხოლო შემდეგ, 1921 წლის მარტში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკების ოკუპაციას. 1923 წელს ინიშნება ლენინაკანის წითელი საკავალერიო პოლკის მეთაურად. 1925 წელს ამთავრებს წითელი არმიის სამეთაურო შემადგენლობის უმაღლეს კურსებს. 1934 წელს ამთავრებს ფრუნზეს აკადემიას და ინიშნება მე-5 საკავალერიო დივიზიის შტაბის უფროსად. 1935 წელს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1940 წლის სექტემბერში ინიშნება კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის მე-12 არმიის ოპერატიული განყოფილების უფროსად. II მსოფლიო ომის წლებში მეთაურობდა და სარდლობდა სხვადასხვა ნაწილებსა და შენაერთებს. 1942 წლის ივლისიდან სარდლობდა არმიას, 1943 წლის ნოემბრიდან – 1-ლ ბალტიისპირულ ფრონტს, ხოლო 1945 წლის აპრილიდან – მე-3 ბალორუსიის ფრონტს. ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისთვის ორჯერ ენიჭება საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მსახურობდა სხვადასხვა უმაღლეს სამხედრო თანამდებობებზე. 1955 წელს ენიჭება უმაღლესი სამხედრო წოდება – საბჭოთა კავშირის მარშალი. 1952 წლიდან იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის (სკკპ ცკ) წევრობის კანდიდატი. 1955 წლის 11 მარტს მიენიჭა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება. 1961 წლიდან არჩეულ იქნა სკკპ ცკ-ის წევრად. 1946-1982 წლებში უცვლელად იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს II-

ბაქოში".[537] ბოლშევიკთა და დაშნაკთა სამხედრო-პოლიტიკური კოალიცია სახეზეა. ,,ორივე პარტია ერთი და იმავე მტრებად აღიარებდნენ როგორც მუსავატელთა პარტიას, ასევე მუსლიმთა ,,ველურ დივიზიას''. ბაქოელი სომხებისათვის ბოლშევიზმი ,,რუსიზმის'', ხოლო მუსავატიზმი ,,თურქიზმის'' ექვივალენტური ცნებები იყო''[538] - აღნიშნავს სტივენ ჯონსი.

ბაქოს სომხურ-რუსული, სხვანაირად, დაშნაკურ-ბოლშევიკური გადატრიალება შედგა. ფაქტობრივად ეს იყო ,,დიადი არმენიის" ბოდვითი იდეის ფრთაშესხმისათვის გადადგმული პირველი დიდი, რეალური ნაბიჯი. უფრო ადრე, სომეხთათვის სამწუხაროდ, ,,პირველ, ხმელთაშუა ზღვამდე" გასვლის იდეა ჩაიშალა, როცა ქილიკიაში მოქმედ სომხურ რაზმს, ზემოხსენებულ ,,სომეხთა აღმოსავლურ ლეგიონსა'' და ადგილობრივ სომეხ მოსახლეობას, ფრანგებმა ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის მსვლელობის დროს, 1915 წლისათვის არაერთმნიშვნელოვნად აგრძნობინეს, რომ ქილიკია ფრანგთა სტრატეგიული ინტერესების სფეროში შედიოდა. სამაგიეროდ, სომეხ დაშნაკთათვის რეალურად შეიქმნა ,,მეორე ზღვაზე" გასვლის პერსპექტივა. ,,პირველი - ხმელთაშუა ზღვა" ჯერ-ჯერობით დაკარგულია. სამაგიეროდ მიღწეულია ,,მეორე - კასპიის ზღვამდე". მართალია, ეს დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებით მდებარე და ჩაკეტილი ზღვაა, მაგრამ ეს არაფერია, ეს იდეას არ ცვლის. მთავარია, რომ დასახული პროგრამა მინიმუმი შესრულებულია - დასაწყისისათვის ერთ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებაც საკმარისია. ბაქოს სისხლიანი გადატრიალების დროს, 1918 წლის მარტში, აუცილებლად აღსანიშნავია სომხური სამხედრო ქვედანაყოფებისა და საბრძოლო რაზმების მიერ მშვიდობიანი მაჰმადიანური მოსახლეობის ის უმოწყალო ხოცვა-ჟლეტის ფაქტები, რასაც ამ დროს ჰქონდა ადგილი ბაქოსა და მის შემოგარენში. ბოლშევიკებმა და დაშნაკებმა შეტევა ქალაქის აზერბაიჯანულ კვარტლებზე მიიტანეს, რომლებსაც კასპიის ზღვის ფლოტილიის არტილერია ბომბავდა. ცუდად აღჭურვილმა და ორგანიზაციულად მოუმზადებელმა აზერბაიჯანულმა სამხედრო ფორმირებებმა ჯეროვანი

X მოწვევების დეპუტატი. გარდაიცვალა 85 წლის ასაკში, 1982 წელს. დაკრძალულია მოსკოვში, წითელ მოედანზე, კრემლის კედელში.

[536] აკოფ გერასიმეს ძე ბაგრატუნი (სომხ. Հակոբ Գերասիմի Բագրատունի) (1879-1943წ.წ.) – საქართველოში დაბადებული და გაზრდილი სომეხი ეროვნების მხედართმთავარი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი და სომხეთის არმიის გენერალი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომის მონაწილე. დაიბადა ახალციხეში. წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა გიმნაზია, შემდეგ კიევის სამხედრო სასწავლებელი 1900 წელს. აქვე ენიჭება ოფიცრის პირველადი წოდება. 1904 წლიდან პორუჩიკია. 1905 წელს გაიგზავნა რუსეთ-იაპონიის ომის ფრონტზე. აღმოსავლეთ ციმბირის პოლკში მეთაურობდა ასეულს. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა სხვადასხვა ორდენებით. 1907 წელს ამთავრებს საიმპერატორო არმიის გენშტაბის აკადემიას. 1910 წლიდან კაპიტანი და თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბის ადიუტანტია. 1914 წლის სექტემბრიდან იბრძვის I მსოფლიო ომის ფრონტებზე. ასრულებდა საარმიო კორპუსის შტაბის უფროსის მოვალეობას, აქვე ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. 1916 წლიდან იყო 76-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი, შემდეგ – თურქესტანის მე-8 პოლკის მეთაური. აქვე ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მსახურობს კერენსკის მთავრობის სამხედრო მინისტრის კაბინეტში. 1917 წლის 12 ივლისიდან პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსია. იმავე წლის აგვისტოში ენიჭება გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. აქვე იქნა არჩეული სომხეთის სამხედრო საბჭოს კომისრად და იწყებს მუშაობას სომხური საარმიო კორპუსის ჩამოსაყალიბებლად. 1918 წლის მარტში ჩამოდის ბაქოში, სადაც იყო ბოლშევიკურ-დაშნაკური შეიარაღებული გამოსვლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ბაქოს კომუნის ლიკვიდაციისა და ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის დამყარების შემდეგ ინიშნება ცენტროკასპიისპირეთის მთავრობის სამხედრო მინისტრად. ,,კავკასიის ისლამური არმიის'' მიერ ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის დამხობის შემდეგ, 1918 წლის ოქტომბრიდან, თავს აფარებს ირანს. მალე ისევ ბრუნდება ამიერკავკასიაში. იყო სომეხთა ეროვნული საბჭოს წევრი. 1919 წელს იგზავნება საზღვარგარეთულ მისიებში. იმყოფებოდა ჯერ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში, 1920 წლიდან კი – ინგლისში, სადაც ცხოვრობდა გარდაცვალებამდე.

[537] Г. Аветисян. Армянское войнство. Журнал ,,Армянский вестник''. 1999 г. №1-2. გვ. 4.

[538] Stephen F. Jones. Georgian-Armenian relations in 1918 to 1919 and 1991 to 1994. A comperison. Стр. 113.

წინააღმდეგობა ვერ გაწიეს. 1918 წლის 31 მარტის საღამოსათვის ყველაფერი დასრულებული იყო - ბაქო მთლიანად ბოლშევიკურ-დაშნაკური ძალების კონტროლქვეშ აღმოჩნდა გადასული, თუმცა მუსლიმთა დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა აპრილის პირველ რიცხვებშიც გრძელდებოდა. მოგვიანებით, ამ ამბების შესახებ შაუმიანი წერდა: ,,ჩვენ ვისარგებლეთ შემთხვევით და მთელ ფრონტზე შევუტიეთ. ადგილობრივი საბჭოსა და თბილისიდან და სარიყამიშიდან აქ გადმობარგებული კავკასიის არმიის რევოლუციური კომიტეტის წყალობით ჩვენ უკვე გვყავდა შეიარაღებული ძალები - დაახლოებით 6 ათასი კაცი. დაშნაკებსაც 3-4 ათასიანი ნაციონალური ძალები ჰყავდათ, რომლებიც ჩვენს განკარგულებაში იმყოფებოდნენ. ***რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელთა მონაწილეობამ სამოქალაქო ომს გარკვეულად ნაციონალური ჟლეტის ხასიათი მისცა, მაგრამ ამის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. ჩვენ შეგნებულად წავედით ამაზე“.***[539] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). აზერბაიჯანელთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოხდა აგრეთვე შემახაში, ყუბასა და სხვა დასახლებულ პუნქტებში, ყველგან, სადაც კი, ბაქოს საბჭომ ,,საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად“ თავისი შეიარაღებული რაზმები გააგზავნა. 10 ივნისს დაიწყო შეტევითო მოქმედებები განჯაზე. 11 ივნისს კომუნის ჯარებმა დაიკავეს სადგური საღარი, 12 ივნისს - ქურდამირი. წითელი ბატალიონები, - ვკითხულობთ მე-3 ბრიგადის მეთაურის ამაზასპისა და ბრიგადის კომისრის, ანასტას მიქოიანის 16 ივნისით დათარიღებულ მოხსენებით ბარათში ,,ბრძოლებით შევიდნენ ყარამარიანის რაიონში, სადაც 2000 კაციანი მოწინააღმდეგის კოლონა აზერბაიჯანელების, ქართველებისა და დაღესტნელებისაგან შედგებოდა. შვიდსაათიანი ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგემ გაქცევით უშველა თავს“.[540]

დღეს დაშნაკურ-ბოლშევიკური ალიანსის ამ ქმედებას შესაბამისი კვალიფიკაცია შეგვიძლია მივანიჭოთ. ეს იყო დემოციდი - კაცობრიობისა და ადამიანურობის წინაშე ჩადენილი დანაშაული - ბოლშევიკებად წოდებული სომეხი დაშნაკების მიერ ბაქოს და აზერბაიჯანის სხვა დასახლებული პუნქტების თათრული მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა. ,,როგორც კი სომხებმა წითლების მხარდაჭერა მოიპოვეს (რომლებიც თათრებს კონტრრევოლუციურ ელემენტებად თვლიდნენ), ბრძოლა მალე გადაიზარდა თათარი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტაში. რამდენიმე ათასი თათარი დახოცეს, ხოლო ბაქოს მუსლიმი მოსახლეობის თითქმის ნახევარმა ქალაქი დატოვა”[541] - წერს უილიამ ალენი. მაგრამ ეს მოვლენებიც არ იყო დაშნაკთა მიერ აზერბაიჯანელი ხალხის დემოციდის ხანგრძლივი პროცესის დასაწყისი.

დაშნაკთა სისხლიანი ,,მოღვაწეობის'' დასაწყისი ამიერკავკასიაში, 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდს უკავშირდება, როცა დაშნაკურმა ე.წ. ,,საბრძოლო რაზმებმა'' ოსმალთა იმპერიაში დაწყებული მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ უკვე ამიერკავკასიაშიც მოსინჯეს თავიანთი ძალები. დაშნაკური იდეოლოგიით, აქაც, ისევე როგორც ოსმალეთში, საჭირო იყო მომავალი ,,დიადი არმენიისათვის“ თათარი მოსახლეობისაგან მიწების ,,გამონთავისუფლება“. ამ საკითხთან დაკავშირებით რუსულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით გერმანელი მეცნიერი, ლაიფციგის და ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტების პროფესორი, იორგ ბაბეროვსკი (Jörg Baberowski) წერს: ,,ჯერ კიდევ 1905 წლის ნოემბერში ბაქოში გამართული ,,დაშნაკცუტიუნის“ რაიონული კონფერენციის ერთ-ერთმა დელეგატმა ძალიან ნათლად და ღიად გამოხატა თავისი მომავლის ხედვა. იგი ამტკიცებდა, რომ მუსლიმებთან მშვიდობიანი

---

539 Артем Кречетников. Бакинская резня: трагедия, откликающаяся поныне. https://www.bbc.com/ russian/ international/2015/03/150331_baku_azeris_massacre_history. Шаумян, Степан Георгиевич. Письма. 1896-1918 / [Подгот. к печати и авт. предисл. Х. А. Барсегян]. — Ереван: Айпетрат, 1959. — С. 63-64. — 298 с.

540 Газ. «Бакинский рабочий», № 211, 1922 г. http://lraber.asj-oa.am/1210/1/3.pdf

541 W. E. D. Allen and Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A history of the wars on the Turco-Caucasian border 1828-1921. Cambridge. 1953. გვ. 483.

თანაცხოვრება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ ისინი იგრძნობდნენ თავიანთ სისუსტეს და ეცოდინებოდათ, რომ არსებობს ძალა, რომელსაც ძალუძს მათი დამარცხება თუ არა, დასჯა მაინც. აქედან გამომდინარე, იგი თათრულ-სომხური შერეული მოსახლეობის რაიონებიდან ყველა ,,თათრის" გაყრის რეკომენდაციას იძლეოდა".[542]

მალე დაშნაკებმა ამ იდეოლოგიის ფრთაშესხმაც დაიწყეს. ამ ფაქტებს მრავალი ავტორი და ისტორიული მასალა ადასტურებს. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ მხოლოდ ერთ მემუარს მოვიყვანთ, რომელიც ბაქოში დატრიალებული ამბების თვითმხილველს ეკუთვნის. ამ მემუარების ავტორი ეროვნებით სომეხი, ო. არუთიუნიანია. აი, რას წერს იგი: ,,1905 წლის დასაწყისში ბაქოში დატრიალებული ძმათამკვლელი ჟლეტა ქამარლის რაიონში გრძელდებოდა, სადაც შეიარაღებული ბანდიტი-მაუზერისტები დათარეშობდნენ. აზერბაიჯანული მოსახლეობის განადგურებას ისინი შემდეგი ლოზუნგით ახორციელებდნენ: ,,განურჩევლად დახოცე რაც შეიძლება მეტი, დაუნდობლად ძარცვე ყველა''. ისინი სომხურ სოფლებში დაძრწოდნენ, სიტყვით გამოდიოდნენ, მოუწოდებდნენ მშრომელ გლეხობას იარაღით ხელში ,,დაეცვათ სომეხთა ღირსება და სიცოცხლე'' და ამით ცდილობდნენ აემხედრებინათ სომეხი მოსახლეობა აზერბაიჯანელების წინააღმდეგ. დაშნაკელი ბანდიტები ძარცვავდნენ და ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, წვავდნენ მათ სოფლებს. ხოლო ამ ამბების დასრულების შემდეგ, სომეხი ხალხის ეს ეგრეთ წოდებული ,,მხსნელები'' სახლებში ბრუნდებოდნენ და ღრეობებს მართავდნენ თავიანთი ,,გამარჯვებების'' აღსანიშნავად''.[543] ფაქტი ის არის, რომ 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში პარტია ,,დაშნაკცუტიუნი" იბრძოდა როგორც ცარიზმის, ასევე არასომეხი ხალხების, და პირველ რიგში მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ.

აღნიშნულ საკითხებში დამატებითი ინფორმაციის მოპოვებისა და შემდგომი განსჯისათვის კი, მკითხველს ორი ნაშრომის გაცნობას ვურჩევთ. პირველი ნაშრომი სამტომეულია, მეორე კი, ენციკლოპედიური ხასიათის ცნობარი. პირველში სომეხი ნაციონალისტებისა და სომხური ტერორისტული ჯგუფების მიერ კავკასიაში ჩადენილი ურიცხვი დანაშაულებრივი ფაქტია აღნუსხული ავტორთა ჯგუფის (ტ. კ. ჰაიდაროვი, ტ. რ. ბაგიევი, კ. კ. შუქუროვი) მიერ შედგენილ ფუნდამენტალურ სამტომეულში ,,Армянский вопрос на Кавказе. 1724-1914 гг. По материалам российских архивов и изданий". (,,სომხური საკითხი კავკასიაში. 1724-1914 წ.წ. რუსული არქივებისა და საგამომცემლო მასალების მიხედვით"). კულტურის კვლევის აკადემიის გამომცემლობა. სანკტ-პეტერბურგი. 2011. მეორე, ენციკლოპედიურ გამოცემაში კი, სათაურით - ,,Преступления армянских террористически и бандитских формирований против человечества (XIX-XXI вв.)". (,,სომხური ტერორისტული და ბანდიტური ფორმირებების მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულობები (XIX-XXI ს.ს.)". აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ადამიანის უფლებების ინსტიტუტი. გამომცემლობა ЭЛМ. ბაქო. 2002 - ქრონოლოგიური სიზუსტით არის გადმოცემული სომხური ტერორისტული ჯგუფების მიერ მსოფლიო მასშტაბით 1860-2002 წლებში განხორციელებული კრიმინალური ქმედებები.

---

542 Баберовский Й. Враг есть везде. Сталинизм на Кавказе. М. 2010. Подробнее: https://erevangala 500. com/news/166.html. Стр.134.

543 О. Арутюнян. Воспоминания. Ереван. Армянское государственное издательство 1956. გვ. 47. По материалам книги «Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов» Перинчека Мехмет Бора. «Лаборатория Книги»-2011, стр.43-44.

§1.12. დაშნაკურ-ბოლშევიკური და დაშნაკურ-ესერული კოალიციების რეალური სახე

დავუბრუნდეთ ისევ 1918 წელს, ბაქოს ამბებს და იქ განვითარებულ მოვლენებს. 1918 წლის მარტის თვიდან, ბაქოში დატრიალებული სისხლიანი მოვლენების პარალელურად, გენერალ ანდრანიკ ოზანიანის ბრიგადა ანალოგიურ ,,ოპერაციებს" ატარებდა ნახიჭევანში. მუსლიმთა წინააღმდეგ განხორციელებული ამ ,,წარმატებული" სადამსჯელო ოპერაციების დასრულებისას, 1918 წლის 14 ივნისს, ანდრანიკი პატაკს უგზავნის... სტეფანე შაუმიანს. დიახ, სტეფანე შაუმიანს, ლენინის ,,ნამესტნიკს" და ბოლშევიკთა ,,კავკასიის საგანგებო კომისარს", სადაც მას დიდი სიამაყით ატყობინებდა, რომ იგი, ანდრანიკი, ნახიჭევანის მაზრას რუსეთის რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად თვლის და ,,იგი და მისი რაზმი რუსეთის ცენტრალური მთავრობის სრულ გამგებლობასა და დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ''. საპასუხო ტელეგრამაში შაუმიანი პასუხობდა:

,,ჯულფა.

ანდრანიკს - სახალხო გმირს.

თქვენი ტელეგრამა მივიღეთ. მისი სრული ტექსტი ცენტრალურ მთავრობას გადავეცით მოსკოვში. ჩემის მხრივ მოგესალმებით, როგორც ნამდვილ სახალხო გმირს...''[544]

აი, ასეთი გულისამაჩუყებელი და პათეტიკით აღსავსე იყო სომეხი ხალხის ამ ორი დიდი შვილის - ,,ამიერკავკასიაში ლენინის სომეხი ნამესტნიკის" და სომეხთა ,,ჯორჯ ვაშინგტონის" მიმოწერა. ამ კორესპონდენციაში სომეხთა ,,ჯორჯ ვაშინგტონი" ნახიჭევანის მაზრას ,,რუსეთის რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად" მიიჩნევდა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ გეოგრაფიულ კატეგორიებთან მიმართებაში, დაშნაკთა იდეოლოგიური და სამხედრო ბელადები ისე მანიპულირებდნენ, როგორც ცირკის ჟონგლიორები ფერად-ფერადი რგოლებით... და გენერალი ანდრანიკ ოზანიანიც, ყველაზე უფრო ოდიოზური, ექსტრემისტულად განწყობილი და უაღრესად რადიკალი სომეხი ნაციონალისტი, 1918 წლის ივნისისათვის უკვე აშკარად ,,რუსეთის ცენტრალური მთავრობის'', ე.ი. ბოლშევიკების ხელქვეითად აღიარებდა თავს.

მანამდე კი, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლიდან ორ დღეში, 1918 წლის 28 მაისს, სომეხთა ეროვნულმა საბჭომ აიღო ,,მმართველობითი ფუნქციები" ამიერკავკასიის სომხურ გუბერნიებზე, ხოლო 1918 წლის 29 მაისს გაიმართა დაშნაკთა პარტიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ბიუროების გაერთიანებული სხდომა, სადაც სომხეთის პრემიერ-მინისტრად ოვანეს კაჩაზნუნი დაამტკიცეს, სომხეთის დედაქალაქად ერევანი შეირჩა.[545] ვალერი ტუნიანი კი - სომხური წარმომავლობის რუსი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ტურიზმისა და სერვისის რუსული სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგე, თავის ნაშრომში - ,,Фальсификация истории восстановления армянской государственности в азербайджанской историографии" (,,სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენის ისტორიის ფალსიფიკაცია აზერბაიჯანულ ისტორიოგრფიაში"), აღნიშნავს, რომ სომხეთის მინისტრთა კაბინეტი და პრემიერ-მინისტრი არა დაშნაკთა გაერთიანებულმა ბიურომ, არამედ თბილისის სომეხთა ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა.[546] და ამავე დღეს, 1918 წლის 29 მაისს, ბაქოს დაშნაკურ-

---

544 Ст. Степанян. Армения в политике империалистической Германии. ,,Айастан''. Ереван. 1975. Стр. 191.

545 Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство ,,Феникс". Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 264. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf

546 В. Г. Тунян. Фальсификация истории восстановления армянской государственности в азербайджанской историографии. Ереванский государственный университет. Институт арменоведческих исследований. Издательство ЕГУ. Ереван. - 396 с. 2018. Стр. 23.

ბოლშევიკური საბჭო შემდეგ რეზოლუციას იღებს: ,,ბაქოს დემოკრატია და მთელი ამიერკავკასიის მუშები და გლეხები არაფრით არ შეურიგდებიან რევოლუციური რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფას და იარაღით ხელში იბრძოლებენ თურქულ-გერმანული ბანდებისა და მათი მოკავშირეების, მოღალატე ჩხენკელის, ზიათხანოვის, ხოელისა და მათი კომპანიის წინააღმდეგ". და მოწოდებაზე - ,,წითელი არმიის ამხანაგო ჯარისკაცებო! ბაქოს არმიას როგორც განმანთავისუფლებლებს, ისე გველიან... დახმარება ჩრდილოეთ კავკასიიდან, რუსეთიდან მოდის",[547] - დაიწყო ბაქოს დაშნაკურ-ბოლშევიკური შენაერთის საბრძოლო მარში განჯისა და თბილისის მიმართულებაზე.

მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სომხეთის დამოუკიდებლობა ოფიციალურად და ფორმალურად არ გამოცხადებულა. სომხეთის პარლამენტის (ეროვნული საბჭო) პირველი სხდომა 1918 წლის 1 აგვისტოს გაიმართა, სადაც გადაწყდა, რომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი დამოუკიდებლობის გამოცხადება მანამ, სანამ არ იქნებოდა გადაწყვეტილი ახალი სომხური სახელმწიფოს საზღვრების საკითხი. სომხეთი თვლიდა, რომ მისგან ჩამოცილებული იყო ყარსის ოლქი, ახალქალქი, სურმალი, ნახიჭევანი, ყარაბაღი, ერევნისა და ეჩმიაძინის პროვინციების დიდი ნაწილი, ბორჩალო, პამბაკი, ალექსანდროპოლისი, დარალაგეზისა და ზანგეზურის დიდი ნაწილი.[548]

მიუხედავად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისა და სომხური სახელმწიფოს დე ფაქტო ფორმალიზებისა, საქართველოში მოქმედი გარკვეული სომხური პოლიტიკური წრეები, მათ შორის დაშნაკები, აშკარად უარყოფითად შეხვდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ფაქტს. ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ისინი მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით არც დამოუკიდებელი სომხური სახელმწიფოს შექმნის ფაქტს შეხვდნენ. საქმე იმაშია, რომ მათთვის სომხეთის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება და რესპუბლიკის გამოცხადება გარკვეულ რისკებთან და ხიფათთან იყო დაკავშირებული. ამ მომენტისათვის, საქართველოში მოღვაწე ზოგიერთი დაშნაკი ლიდერი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ანტიდემოკრატიულ აქტად აფასებდა, სომეხთათვის სტაბილურობის გარანტად და შექმნილი რთული სიტუაციიდან იდეალურ გამოსავლად კი, ისინი, საქართველოს შემადგენლობაში სომეხთა კულტურული ავტონომიის შექმნას მიიჩნევდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ ,,საქართველოს" 1918 წლის 9 ივნისის ნომერში ვკითხულობთ:

,,საქართველოში დაშნაკცუტიუნის პარტიის სარაიონო კრებამ მოისმინა გ. კ. გაზაზიანის მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული კულტურული ავტონომიის შესახებ და დაადგინა:

საქართველოს დამოუკიდებლობა შედეგია იმ არა ნორმალური ცუდი შექმნილი პოლიტიკური პირობებისა, რომლის გამოც დაირღვა რუსეთის მთლიანი მშრომელი ხალხის ფრონტი, დაიმსხვრა მთლიანობა ამიერ კავკასიის მშრომელი მასისა და წარმოიშვა ეროვნული საქართველო. იღებს რა მხედველობაში, რომ ეს მდგომარეობა ანტიდემოკრატიულია,

---

547 არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. თბილისი. 2014. გვ. 113. Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX - начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. გვ. 131. ЦГАОР АР, ф.894, оп.10, д.80, გვ. 101.

548 Михайлов Вадим Викторович. Отношения республики Армении и руководства Вооруженных сил Юга России в 1918 - начале 1919 года. https://cyberleninka.ru/article/n/ otnosheniya-respubliki-armenii-i-rukovodstva-vooruzhennyh-sil-yuga-rossii-v-1918-nachale-1919-goda. Петросян Г. А. Отношение Республики Армения с Россией (1918-1929 гг.). Ереван. 2012. Стр. 424.

დაშნაკცუტიუნის პარტია ანგარიშს უწევს საქართველოს დამოუკიდებლობას როგორც უკვე მომხდარ ფაქტს.

რაიონული კრება შეუძლებლად თვლის რაიმე უფლებების ან თანასწორობის შეზღუდვას რომელიმე ერისას, განსაკუთრებით იმ ერისა, რომელიც უმცირესობას შეადგენს რომელი სახელმწიფოს საზღვრებშიაც არ უნდა იყოს იგი. ***სომხის დაშნაკცუტიუნის პარტიის პროგრამა თხოულობს ეროვნულ კულტურულ ავტონომიას ეროვნული უმცირესობისათვის*** და ამისათვის კრებამ დადგინა:

1. მიიღოს აქტიური მონაწილეობა საქართველოს მთავრობაში როგორც სწორ უფლებიან მოქალაქეთ;
2. მოთხოვნა უმცირესობის უფლებების უზრუნველყოფისა;
3. ***მოთხოვნა ეროვნულ ექსტერიტორიულ (საქართველოს სომხეთისათვის) ავტონომიისა ეროვნულ-კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად";***[549] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

მაგრამ დაშნაკური პარტიის ,,დიადმა იდეამ" ყველაფერი გადაწონა - პარტიის ცალკეული ორგანიზაციებისა და წევრების სურვილი დარჩა ,,ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა"...

დავუბრუნდეთ ბაქოს და იქ მიმდინარე მოვლენებს. 14 აპრილიდან ბაქოში ფორმირებული და გაშლილი სომხური არმია ბოლშევიკთა დაქვემდებარებაში გადავიდა. ამ დროისათვის მისი რიცხოვნობა უკვე 12 ათასს შეადგენდა 50 ქვემეხით. აკადემიკოს არმაის მნაცაკანიანის ცნობით, 1918 წლის თებერვალ-მარტში, ბაქოში გაშლილი დაშნაკურ-ბოლშევიკური არმიის პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა 13 ათასს შეადგენდა,[550] ხოლო მაისის ბოლოს ამ რიცხვმა 20 ათასს მიაღწია.[551] პირადი შემადგენლობის 80%-ს სომხები შეადგენდნენ.[552] შემდგომში ,,კავკასიის წითელ არმიაში" შემავალი ბატალიონების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. შესაბამისად გაიზარდა მისი პირადი შემადგენლობაც.

ამ არმიაში შედიოდნენ აგრეთვე დაშნაკთა პარტიისა და ესერთა საბრძოლო რაზმები, რომლებიც ფაქტიურად ამ პარტიების განკარგულებაში იმყოფებოდნენ და განსაკუთრებულ შემთხვევებში მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში. დაშნაკთა საბრძოლო ჯგუფი 6000-იანი რჩეული მებრძოლისგან შედგებოდა, რომელსაც გ. ბალაიანი მეთაურობდა. უკვე 25 აპრილისათვის ხელისუფლება ბაქოში სრულად გადავიდა ბოლშევიკების ხელში. ამავე დღეს შეიქმნა ბაქოს მშრომელთა საბჭო სტეფანე შაუმიანის თავმჯდომარეობით, ყველა სხვა პარტია და ეროვნული საბჭო კი, მიმდინარე საქმეებს ჩამოშორდა. ასეთ ვითარებაში ერთადერთი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც ბაქოს სომეხთა თემში, ასევე სამხედრო შენაერთებში, სომეხთა ეროვნული საბჭო იყო.[553] ამ მომენტიდან დაწყებული, ბაქოს ბოლშევიკურ კომუნას დაქვემდებარებულ სომხურ-რუსულ დაშნაკურ-ბოლშევიკურ სამხედრო შენაერთს ,,კავკასიის წითელის არმია" ეწოდა.[554](Sic!) არმიის სარდლად სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო

---

549 გაზეთი ,,საქართველო". სამშაბათი, 1918 წ. მკათათვის 9. №133. გვ. 3.

550 А. Н. Мнацаканян. К истории Кавказской красной армии (1918 г.). Стр. 6. http://lraber.asj-oa.am/1210/1/3.pdf

551 ЦГА СА, ф. 1, оп. 2, д. 8 с, лл. 417—419. http://lraber.asj-oa.am/1210/1/3.pdf

552 Партархив ЦККП Армении, ф. 49, д. 52, л. 26. Партархив ЦККП Азербайджана, док. № 269, фотокопия; также кн. болгарского профессора Г. Коцарова «Армения и армянский вопрос», София, 1927, стр. 47; А. Б. Кадышев «Интервенция и гражданская война в Закавказье», военииздат СССР, Москва, 1960, стр. 120. http://lraber.asj-oa.am/1210/1/3.pdf

553 Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство ,,Феникс". Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 269. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf

554 Газ. «Бакинский рабочий», № 78 от 30 апреля 1918 г. http://lraber.asj-oa.am/1210/1/3.pdf

კომისარი გრიგორი ყორღანოვი დაინიშნა. სხვათა შორის, ამ არმიაში შემდგომში ცნობილი ქართველი ჩეკისტი ეპიფანე კვანტალიანი მსახურობდა, რომელსაც იმ დროისათვის არმიის შეიარაღების სამსახურის უფროსის თანამდებობა ეკავა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შაუმიანის ბრძანებით ბაქოს კომუნის ბოლშევიკურ-დაშნაკურმა ე.წ. ,,წითელმა არმიამ" შეტევითი მოქმედებები დაიწყო დასავლეთისაკენ, განჯისა (ელიზავეტპოლი) და თბილისის მიმართულებაზე. მაგრამ ბოლშევიკურ-დაშნაკური ალიანსის ამ ავანტიურისტულ ჩანაფიქრს ასრულება არ ეწერა და იგი სრული კრახით დასრულდა. ბაქოს კომუნის ჯარებმა ვერ შეძლეს განჯაში შესვლა და აზერბაიჯანის კანონიერი ხელისუფლების დამხობა.

1918 წლის ზაფხულის მიწურულს რუს ბოლშევიკთათვის საერთო სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. სამხრეთ რუსეთში მოქმედმა გენერალ ალექსეევის[555] თეთრგვარდიულმა ე.წ. ,,მოხალისეთა არმიამ" წითელი არმიის შენაერთების წინააღმდეგ წარმატებული სამხედრო მოქმედებები დაიწყო. ამავე დროს, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ უცხოური ინტერვენციაც განხორციელდა. ცხადია, ბოლშევიკებს ბაქოსა და ამიერკავკასიისათვის დროებით აღარ ეცალათ და მათი პოზიციებიც აქ ძალიან შესუსტდა. ამავე დროს, ოსმალთა კავკასიის მე-3 (მე-9) არმიის მე-15 საარმიო კორპუსის შენაერთები განჯაში შედიან, მას უერთდებიან ადგილობრივი შეიარაღებულ თათართა რაზმები და იგი ,,კავკასიის ისლამის არმიად" ტრანსფორმირდება. იმდროინდელი ქართული პრესა იტყობინებოდა ,,ოსმალთა ჯარების შტაბის უფროსის, ნაზიმ ფაშას და მისი ამალის ჩასვლის ამბავს განჯაში, სადაც იგი დიდი სიხარულითა და ზარ-ზეიმით მიიღეს".[556] მალე ამ არმიას ენვერ ფაშას ბრძანებით ტრიპოლიდან გამოძახებული

---

555 მიხაილ ვასილევიჩ ალექსეევი (რუს. Михаил Васильевич Алексеев) (1857-1918წ.წ.) – რუსი მხედართმთავარი, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის საიმპერატორო არმიის ინფანტერიის გენერალი. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის, 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის, I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე, სარდალი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ინფანტერიის გენერალი და გენერალ-ადიუტანტი 1916 წლის 10 აპრილიდან. გიორგის ჯვრის კავალერი. დაამთავრა ტვერის კლასიკური გიმნაზია, 1876 წელს – მოსკოვის იუნკერთა სასწავლებელი. სამხედრო სამსახური დაიწყო 64-ე ყაზანის ქვეით პოლკში. 1881 წელს ენიჭება პორუჩიკის წოდება, 1883 წლის მაისში კი, შტაბს-კაპიტანი ხდება. 1885-1887 წლებში მეთაურობდა ასეულს. 1890 წელს ამთავრებს გენერალური შტაბის აკადემიას და ენიჭება კაპიტნის წოდება. 1894 წლიდან პოდპოლკოვნიკია და სამსახურს მთავარ შტაბში აგრძელებს. 1900 წლის მარტში ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. რუსეთ-იაპონიის ომის დროს იყო მე-3 მანჯურიის არმიის გენერალ-კვარტერმეისტერი. 1904 წელს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება, ხოლო 1908 წლიდან გენერალ-ლეიტენანტია. ამავე პერიოდში იყო სამხედრო აკადემიის პროფესორი და კითხულობდა ლექციებს სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. 1908 წელს ინიშნება კიევის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად. ამავე წელს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1914 წელს ინიშნება მე-13 საარმიო კორპუსის სარდლად. აქვე ენიჭება ინფანტერიის გენერლის წოდება. I მსოფლიო ომის მსვლელობისას იყო სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შტაბის უფროსი, დასავლეთის ფრონტის ჯარების მთავარსარდალი. მას შემდეგ კი, რაც იმპერატორმა ნიკოლაი II-მ თავის ხელში აიღო უმაღლესი მთავარსარდლის უფლებამოსილება, გენერალი ალექსეევი ინიშნება უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსად. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის 2 აპრილს ინიშნება რუსული არმიის მთავარსარდლად. იმავე წლის სექტემბერში გადადგა, ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ კი, 1918 წლიდან იყო ნოვოჩერკასკში შექმნილი რუსეთის თეთრი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ე.წ. ,,რუსეთის მოხალისეთა არმიის", ე.წ. ,,სამხრეთ რუსეთის მთავრობის" უმაღლესი ხელმძღვანელი და რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. დიდი მუშაობა ჩაატარა ,,მოხალისეთა არმიის" არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურების, არამედ მთელი ანტიბოლშევიკური მოძრაობის ორგანიზების საქმეში. წარმოადგენდა ,,ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" მთავარ აპოლოგეტს. გარდაიცვალა 1918 წლის 8 ოქტომბერს. მისი სიკვდილის შემდეგ აღნიშნულ პოლიტიკურ და სამხედრო ორგანიზაციას სათავეში გენერალი ანტონ დენიკინი ჩაუდგა.

556 გაზეთი ,,ერობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზციებისა. 1918 წლის 30 მაისი. №110. გვ. 3.

ოსმალო გენერალი, მისი უმცროსი ძმა, ნური ფაშა უდგება სათავეში და ,,კავკასიის ისლამის არმია“ გენერალ ნური ფაშას საერთო სარდლობით წარმატებულ საბრძოლო სვლას იწყებს ბაქოსაკენ. ,,კავკასიის ისლამის არმიის“ პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა დაახლოებით 12 ათასი კაცი იყო. აქედან ნახევარი ოსმალთა რეგულარული არმიის ჯარისკაცები იყვნენ, ხოლო მეორე ნახევარი - სამხრეთ კავკასიელი მუსლიმები.[557]

სამხედრო-პოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლასა და საბჭოთა რუსეთის პოზიციების შესუსტებასთან ერთად დაშნაკები მყის იცვლიან პოზიციას და ისევე, როგორც 1915 წელს, ახლაც ბრიტანული ჯარების ფრთებქვეშ ცდილობენ პოზიციების შენარჩუნებას, ანუ, მთავარია სასურველი შედეგის დადგომა და არა დასახული მიზნის მიღწევის გზები. ამ ეტაპზე, დაშნაკები უმალ ახდენენ შაუმიანისა და მისი სახით გაკოტრებული რუსული ბოლშევიზმის იგნორირებას და ამჯერად უკვე ახალი ,,ძველი ფავორიტის'' - ბრიტანელთა საექსპედიციო ჯარების კონტინგენტის წინაშე იხრიან ქედს.

საქმე იმაშია, რომ რუსული საექსპედიციო კორპუსის მიერ ირანის დატოვებასთან ერთად ამ ტერიტორიებზე მესოპოტამიის ფრონტის ბრიტანული შენაერთები იწყებენ შემოსვლას და სულ მცირე დროში ახდენენ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციას. ბრიტანელთა საბოლოო ინტერესების ვექტორი ამიერკავკასიაში ბაქოსა და ბათუმისკენ იყო მიმართული: ,,ჯერ კიდევ გერმანელების კავკასიიდან წასვლამდე დაშნაკები ინგლისელთა სარდლობასთან დელეგაციებს აგზავნიდნენ და მათ ამიერკავკასიის ოკუპაციისათვის იწვევდნენ. კაპიტანი კოლმანიანი, რომელიც 1918 წლის სექტემბერში სპეციალურ მივლინებაში იმყოფებოდა ბაქოში, ენზელისა და პეტროვსკში, თავის სრულიად საიდუმლო პატაკში სომხეთის საგარეო მინისტრისადმი წერდა: ინგლისელთა მოწვევის ინიციატივა, ფაქტიურად, სომხებისაგან მომდინარეობდა (სომეხთა ეროვნული საბჭო). ამასვე ადასტურებს ბაქოს რუსთა ეროვნული საბჭოს ერთ-ერთი წევრი, თეთრგვარდიელი ბ. ბაიკოვი თავის მოგონებებში, რომელიც მან ბერლინში გამომავალ ,,რუსული რევოლუციის არქივის" ფურცლებზე გამოაქვეყნა: ,,სომეხთა ეროვნული საბჭოს ერთ-ერთი წევრი, სათანადო რწმუნებებით აღჭურვილი ს. ა. გაზაროვი, - წერდა ბაიკოვი, - ენზელიში იქნა მივლინებული გენერალ დანსთერვილთან[558] (Lionel Charles Dunsterville), ინგლისის ჯარების სარდალთან სპარსეთში, მოლაპარაკებების წარმოებისა და ბაქოში მოწვევისათვის, ქალაქის დასაცავად".[559]

---

557 Major-General L. C. Dunsterville. C. B., C. S. I. The Adventures of Dunsterforce. Illustrated. London. Edward Arnold. 1920. Pg. 167.

558 ლაიონელ ჩარლზ დანსთერვილი (ინგლ. Lionel Charles Dunsterville) (1865-1946წ.წ.) – ბრიტანელი სამხედრო ოფიცერი, გენერალ-მაიორი, ბრიტანული საექსპედიციო კორპუსი ,,დანსთერფორსის'' სარდალი. დაიბადა შვეიცარიაში, ქალაქ ლოზანაში, ბრიტანეთის კოლონიური ჯარების ინდოეთის არმიის სამხედრო მოსამსახურის, გენერალ-ლეიტენანტ ლაიონელ დარკი დანსთერვილის ოჯახში. 1865 წელს შევიდა სამხედრო სკოლაში, სადაც მასთან ერთად სწავლობდა შემდგომში ბრიტანეთის არმიის დაზვერვის ოფიცერი და ცნობილი მწერალი რედიარდ კიპლინგი. 1884 წლიდან ჯარშია. ლეიტენანტის ჩინით დაიწყო სამხაედრო სამსახური სასექსის პოლკში. შემდგომ წლებში მსახურობდა ინდოეთის არმიის შემადგენლობაში. მეთაურობდა ასეულს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარზე, შემდეგ – ვაზირისტანსა და ჩინეთში. 1902 წელს ენიჭება მაიორის წოდება. I მსოფლიო ომის დაწყებას იგი ინდოეთში შეხვდა. 1917 წლის ბოლოს ინიშნება ავსტრალიური, კანადური და ახალზელანდიური ქვედანაყოფებისგან შემდგარი საექსპედიციო კორპუსის სარდლად, რომლის ამოცანასაც ბაღდადიდან სპარსეთში შესვლა და იქ გერმანული გავლენის აღკვეთა წარმოადგენდა. აქვე ენიჭება ბრიტანეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-მაიორის წოდება. 1918 წლის ზაფხულში მისი ჯარები შევიდნენ ბაქოში და ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის პოლიტიკური ზედამხედველობის ქვეშ მონაწილეობდნენ ,,კავკასიის ისლამური არმიისგან'' ქალაქის დაცვაში. იმავე წლის სექტემბერში მისი შენაერთი ტოვებს ბაქოს. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ბრუნდება ინგლისში და გადის თადარიგში. გარდაიცვალა 1946 წელს.

559 И. Шахдин. Дашнакцютюн на службе русской белогвардейщины и английсского командования на Закавказье. Заккнига. 1931. стр. 35-36. Архив русской революции. Том IX. Стр. 129.

სომეხ დაშნაკთა აქტიურ მოლაპარაკებებს ბრიტანელებთან ზემოთ აღნიშნულ თარიღზე გაცილებით უფრო ადრე და მათი ბაქოში მოწვევის ფაქტს, სხვათა შორის, ვერც სომეხი ავტორები უარყოფენ. იგივე გრანტ ავეტისიანი წერს: ,,1918 წლის ივნისში ინგლისელებთან მოლაპარაკებების გამართვის მიზნით ბაქოს სომეხთა ნაციონალური საბჭოს მიერ მივლინებულ იქნენ მ. ტერ-პოღოსიანი და სარქის არარატიანი".[560]

მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ სომეხი დაშნაკები სომეხთა ნაციონალური საბჭოს დავალებით უკვე ივნისის თვიდან აწარმოებდნენ ბოლშევიკების ზურგს უკან სეპარატისტულ მოლაპარაკებებს ბრიტანელებთან ბაქოს ოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ივნისის თვეში ეპყრათ ბაქოში ყველაზე მყარად ხელისუფლების სადავეები რუს ბოლშევიკებს. აი, სომეხ დაშნაკთა იდეურობისა და ერთგული პარტნიორობის კიდევ ერთი ნათელი ნიმუში. დაშნაკთა მორიგი მეტამორფოზა დაფარული არ ყოფილა და ისიც ფაქტია, რომ ბრიტანულ-დაშნაკური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შეკვრის შესაძლობლობას ბაქოელი ბოლშევიკები დიდი აღშფოთებით შეხვდნენ.

ალიოშა ჯაფარიძე[561]: ,,გეუბნებით მე თქვენ, რომ ნუ უძახით ინგლისელებს, რადგან ამით საბჭოთა ხელისუფლებას დაღუპავთ, რუსეთისგან მოწყვეტთ ბაქოს და გამოუსწორებელ შეცდომას დაუშვებთ".[562]

---

560 Г. Аветисян. Армянское войнство. Журнал ,,Армянский вестник". 1999 г. №1-2. Стр. 5.

561 პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძე (1880-1918 წ.წ.) – ქართველი ბოლშევიკი, ძველი რევოლუციონერი, ბაქოს ბოლშევიკური კომუნის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. დაიბადა რაჭის მაზრის სოფელ შარდომეთში. დაწყებითი განათლება საცხენისის სკოლაში მიიღო, შემდეგ სწავლა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში გააგრძელა. ამავე პერიოდს უკავშირდება მისი დაახლოება თბილისელ მუშებთან. 1898 წელს ხდება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) წევრი. ამ პერიოდიდან დაწყებული, აქტიურად ჩაერთო რევოლუციურ მოძრაობაში, მონაწილეობდა ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა გაფიცვების მომზადებასა და ჩატარებაში, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტი ხელმძღვანელობდა. რევოლუციური საქმიანობის გამო 1900 წელს დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ კი, პოლიციის ზედამხედველობა მიუჩინეს და აუკრძალეს ცხოვრება ამირკავკასიის თითქმის ყველა დიდ ქალაქში – თბილისში, ბაქოში, ელიზავეტპოლში (განჯა), ბათუმში, ფოთსა და მიხაილოვოში (ხაშური). 1902 წელს ჩადის ხონში და იქ აყალიბებს ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ უჯრედს. 1904 წელს, ჟანდარმერიის დევნის გამო, იძულებული ხდება დატოვოს საქართველო და ბაქოში გადავიდეს. აქ იგი აგრძელებს რევოლუციურ აქტივობას და მუსლიმთა სოციალ-დემოკრატიული პარტია ,,ჰუმეტის" ერთ-ერთი დამაარსებელია. 1905 წელს იყო ლონდონის რსდმპ მე-3 ყრილობის დელეგატი კავკასიიდან. 1909 წელს ისევ აპატიმრებენ და ასახლებენ რუსეთში. ცხოვრობდა დონის როსტოვში, საიდანაც თბილისში 1913 წელს ბრუნდება. 1915 წელს საპირველმაისო დემონსტრაციის მომზადების ბრალდებით ისევ აპატიმრებენ და ასახლებენ ვოლოგდის გუბერნიაში, საიდანაც გაქცევით შველის თავს ჯერ პეტროგრადში, შემდეგ – თბილისში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ გადადის ბაქოში, სადაც მას რსდმპ ბაქოს კომიტეტის წევრად ირჩევენ. 1917 წლის 8 დეკემბერს ირჩევენ ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1918 წლის 1 იანვარს – თავმჯდომარედ. 1918 წლის 19 მარტიდან იყო ,,ბაქოს რევოლუციური თავდაცვის კომიტეტის" წევრი. 1918 წლის 12 აპრილს ხდება ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, 3 მაისიდან კი, დამატებით – სურსათის სახალხო კომისარი. ბაქოს ბოლშევიკური კომუნის და ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის დამხობის შემდეგ, ბაქოდან გაქცევისას ადგილობრივი მუშათა კომიტეტის გადაწყვეტილებით დააპატიმრეს და ბაქოს სხვა კომისრებთან ერთად დახვრიტეს 1918 წლის 20 სექტემბერს. 1980 წელს მას ძეგლი დაუდგეს ბაქოში.

562 Хомизури Г. П. Социальные потрясения в судьбах народов (на примере Армении). Москва. Интелект 1997. 416 с. ISBN 5-87047-036-6. Стр. 94. Стенограмма Чрезвычайного заседания Бакинского Совета Рабочих, Красноармейских, Матросских и Крестьянских Депутатов совместно с районными Советами, судовыми комитетами и Военно-Революционным Комитетом Кавказской Красной Армии от 25-26 июля 1918 г. – В книге С. Г. Шаумян. Статьи и речи 1917—1918 гг. Баку, Красный Восток, 1929. Стр. 282.

სტეფანე შაუმიანი: ,,ინგლისელების მოწვევას მე რევოლუციური რუსეთის ღალატად ვთვლი“.[563]

ავეტის ნურიჯანიანი[564]: ,,ჩვენ მოვკვდებით, მაგრამ არ დავუთმობთ ბაქოს იმპერიალისტებს. ბაქო ან რევოლუციური რუსეთისა იქნება, ან არავისი“.[565]

აი ასეთი ჰეროიკული ჰიპერბოლებით იყო გაჟღენთილი ბაქოელ ბოლშევიკთა ეს თავყრილობა. ზოგადად, ისტორიის კრიტიკული მოვლენების განხილვისას არც ჰეროიზმი გვიკვირს და არც პათეტიკა. და ისიც კარგად გვესმის, რომ ამა თუ იმ ეპოქის აღწერისას მის მაჯისცემას უნდა გრძნობდე - ეპოქას გმირები სჭირდება. და ეს საყოველთაოდაა ცნობილი. თუმცა, გვეჩვენება, რომ აქ ყალბი ნოტებით შეზავებულ ჰეროიკასთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე ნამდვილ განცდებთან. რუსებთან და ბოლშევიკებთან, და ბაქოს კუთვნილებასთან მიმართებაში კი, მხოლოდ ერთ რიტორიკულ კითხვას დავსვამდით - რატომ უნდა ყოფილიყო ბაქო მაინცდამაინც ,,რევოლუციური რუსეთის“ და არა უბრალოდ ბაქოელების?.. მთავარი კი, ის არის ზემოთ მოყვანილ

---

563 Хомизури Г. П. Социальные потрясения в судьбах народов (на примере Армении). Москва. Интелект 1997. 416 с. ISBN 5-87047-036-6. Стр. 94. Стенограмма Чрезвычайного заседания Бакинского Совета Рабочих, Красноармейских, Матросских и Крестьянских Депутатов совместно с районными Советами, судовыми комитетами и Военно-Революционным Комитетом Кавказской Красной Армии от 25-26 июля 1918 г. – В книге С. Г. Шаумян. Статьи и речи 1917—1918 гг. Баку, Красный Восток, 1929. გვ. 286.

564 ავეტის (ავის) სოგომონოს ძე ნურიჯანიანი (სომხ. Ավետի (Ավի) Սողոմոն ձե Նուրիջանյան) (1896-1937წ.წ.) – სომეხი რევოლუციონერი, დაშნაკი და ბოლშევიკი, საბჭოთა სომხეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა ელიზავეტპოლის გუბერნიის კაპანის მაზრის სოფელ ვაჩაგანში. სწავლობდა ადგილობრივ დაწყებით სკოლაში. 1913 წელს დაამთავრა შუშის რეალური სასწავლებელი. შემდეგ სწავლა განაგრძო კიევის კომერციულ ინსტიტუტში, რომელიც ვერ დაასრულა. I მსოფლიო ომის მსვლელობისას იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. მონაწილეობდა ვანისა და ბითლისის ბრძოლებში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ხდება პარტია ,,დაშნაკცუტიუნის'' წევრი. 1918 წლის გაზაფხულიდან ბაქოშია, სადაც შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში. ბაქოს ბოლშევიკური კომუნის დამხობის შემდეგ, 1918-1919 წლებში იყო ბაქოს იატაკქვეშა ბოლშევიკური კომიტეტის წევრი და აქტიურად მონაწილეობდა სომხეთში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. 1919 წელს აპატიმრებენ და ასახლებენ აზერბაიჯანიდან. 1919 წლის აგვისტოდან იყო რკპ(ბ) ალექსანდროპოლისის კომიტეტის წევრი. წარმოადგენდა 1920 წლის 10 მაისის ალექსანდროპოლისის ბოლშევიკური აჯანყების ერთ-ერთ ხელმძღვანელს. 1920 წლის 29 ნოემბრიდან 1920 წლის 4 დეკემბრამდე – სომხეთის რევოლუციური კომიტეტის წევრი. 1920 წლის დეკემბერი – 1921 წლის მაისის პერიოდში იყო საბჭოთა სომხეთის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი. იმავე წლის მაისიდან სექტემბრამდე ხელმძღვანელობდა საბჭოთა სომხეთის სპეციალური დანიშნულების ნაწილებს. 1921 წლის ნოემბერში დანიშნეს საბჭოთა სომხეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად. 1922 წლის დასაწყისიდან იყო საბჭოთა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი და რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. 1923 წლიდან გადაჰყავთ პარტიულ სამუშაოზე ლენინგრადში. 1926-1929 წლებში იყო ტროცკისტული ჯგუფის წევრი, რის გამოც 1927 წელს გარიცხეს პარტიიდან, თუმცა, აღადგინეს 1929 წელს. 1930-იან წლებში მუშაობდა რუსეთის ფედერაციაში სხვადასხვა ხელმძღვანელ და სამეურნეო თანამდებობებზე. 1935 წლიდან გადმოჰყავთ საქართველოში. 1937 წლის დასაწყისიდან სამუშაოდ ისევ სომხეთში გადაჰყავთ, სადაც 27 ივლისს დააპატიმრეს ტროცკისტული ჯგუფის წევრობის, ჯაშუშობის, კონტრრევოლუციური და ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. დახვრიტეს 1938 წლის 19 ივლისს. სხვა მონაცემებით, გარდაიცვალა პატიმრობაში.

565 Хомизури Г. П. Социальные потрясения в судьбах народов (на примере Армении). Москва. Интелект, 1997. 416 с. ISBN 5-87047-036-6. Стр. 94. Стенограмма Чрезвычайного заседания Бакинского Совета Рабочих, Красноармейских, Матросских и Крестьянских Депутатов совместно с районными Советами, судовыми комитетами и Военно-Революционным Комитетом Кавказской Красной Армии от 25-26 июля 1918 г. – В книге С. Г. Шаумян. Статьи и речи 1917—1918 гг. Баку, Красный Восток, 1929. Стр. 271.

ამონარიდში, რომ რამდენად ვაჟკაცურადაც არ ჯღერდა ბაქოელი ,,კომისრების“ ეს ლოზუნგები, იმდენად დემაგოგიური შინაარსისა იყო იგი - ,,რევოლუციური რუსეთის ღალატი“, ,,ჩვენ არ დავთმობთ“, ,,ჩვენ მოვკვდებით“ და ა.შ. მაგრამ მაინცდამაინც არც არავის შეუწუხებია თავი ,,რევოლუციისა“ და ,,რუსეთის“ გულისთვის და მით უმეტეს, არც არავის მოუკლავს მისთვის თავი. ბაქოს ბოლშევიკმა ,,კომისრებმა“ პირველი შესაძლებლობისთანავე მარდად მოკურცხლეს ბაქოდან და მათი მომხრე ქალაქის მოსახლეობა ბედის ანაბარა მიატოვეს. ამავე დროს, ბაქოს ,,27-ე კომისარი” - ამხანაგი ანასტას მიქოიანი[566] კი, რაღაც ჯადოსნური მანქანებით ახერხებს თავის დახსნას... და ბაქოს 26 კომისრის შემდგომი ბედი ყველასათვის ცნობილია.

გაკოტრებული ბაქოს ბოლშევიკური კომუნა კი, ისევ სომეხ დაშნაკთა ხელით დაემხო და ამჯერად უკვე ესერებთან ალიანსში ე.წ. ,,ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურა”[567] დამყარდა. ეს

---

566 ანასტას ოვანესის ძე მიქოიანი (სომხ. Անաստաս Հովհաննեսի Միկոյան) (1895-1978წ.წ.) – საბჭოთა სახელმწიფო, პარტიული და პოლიტიკური მოღვაწე, დაშნაკი და ბოლშევიკი პროფესიონალი რევოლუციონერი, საბჭოთა წითელი ტერორის ერთ-ერთი ორგანიზატორი. დაიბადა თბილისის გუბერნიაში, ბორჩალოს მაზრის სოფელ სანაინში. 1914 წლიდან ცნობილი ანდრანიკ ოზანიანის (ანდრანიკი) დაშნაკური, ე.წ. ,,პარტიზანული“ საბრძოლო რაზმის წევრია, რაზმის შემადგენლობაში იბრძოდა I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე 1915 წლის ზაფხულამდე. გენერალ იუდენიჩისა და კავკასიის არმიის სარდლობის მიერ დაშნაკური რაზმების დაშლის შემდეგ პრობოლშევიკურ პოზიციებზე დგება. აქტიურად ებმება რევოლუციურ საქმიანობაში, შემდგომში პროფესიონალი რევოლუციონერია. 1915 წლის შემოდგმიდან თბილისშია, სადაც ხდება რსდმპ(ბ) წევრი. 1917 წლის თებერვლამდე იატაკქვეშეთშია, ატარებს სააგიტაციო მუშაობას. 1918 წლის გაზაფხულიდან ბაქოშია, იყო ბაქოს ბოლშევიკურ-დაშნაკური კომუნის ერთ-ერთი აქტივისტი, ცნობილი ამაზასპის (ამაზასპ სრვანცტიანი) დაშნაკურ-ბოლშევიკური საბრძოლო რაზმის პოლიტიკური კომისარი. ბაქოს კომუნის დამხობისა და ბაქოს კომისრების დაპატიმრების შემდეგ, ცენტრალური კასპიისპირეთის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებით მიაღწია მათ განთავისუფლებასა და კრასნოვოდსკისკენ გამგზავრებას, სადაც აშხაბადის იმიერკასპიისპირეთის დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით დააპატიმრეს და დახვრიტეს 1918 წლის 20 სექტემბერს, 1919 წლის დასაწყისიდან ბაქოს რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიუროს ხელმძღვანელია. 1919 წლის ოქტომბრიდან იყო პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1920 წლის აპრილში წარმოადგენდა ბაქოს ბოლშევიკური ოკუპაციის მონაწილეს და ოკუპაციის ერთ-ერთი იდეოლოგს, მე-11 წითელი არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს რწმუნებულს. 1922 წელს იოსებ სტალინის რეკომენდაციით ინიშნება რკპ(ბ)-ის ცენტრალური კომიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთის ბიუროს ხელმძღვანელად, შემდეგ კი, ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნად. იყო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი 1922 წლიდან, ხოლო 1923 წლიდან – ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1926 წლიდან იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი და ვაჭრობის სახალხო კომისარი. გარდაიცვალა 1978 წელს. ანასტას მიქოიანი ერთადერთი მაღალი რანგის საბჭოთა მოღვაწე იყო, რომელიც მოესწრო და მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ხელმძღვანელის მმართველობის პერიოდში, ვლადიმირ ლენინიდან დაწყებული, ლეონიდ ბრეჟნევით დამთავრებული.

567 ,,ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურა” – ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს დამხობის შემდეგ, 1918 წლის 31 ივლისიდან იმავე წლის 15 სექტემბრამდე ბაქოში არსებული მთავრობა. დასახელება მოდის კასპიის სამხედრო ფლოტილიის ცენტრალური კომიტეტის დასახელებიდან, რომელიც წარმოადგენდა 1917 წლის 18 ნოემბერს შექმნილ ამ ფლოტილიის უმაღლეს არჩევით ორგანოს. იგი ამავდროულად იწონებდა ბაქოში საბჭოების ხელისუფლებას. ცენტროკასპიისპირეთის პირველ შემადგენლობაში უმეტესობას ესერები და მენშევიკები წარმოადგენდნენ. 1918 წლის აპრილიდან ცენტროკასპიისპირეთის თორმეტი წევრიდან ხუთი ბოლშევიკი იყო, ცენტროკასპიისპირეთის თავმჯდომარის, არკადი კუზმინსკის ხელმძღვანელობით. დანარჩენი შვიდი კი, უპარტიო მატროსები იყვნენ, რომლებიც ბოლშევიკებს უთანაგრძნობდნენ. ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს (სოვნარკომი – სახკომსაბჭო) გადადგომის შემდეგ, აგვისტოს ბოლოს არჩეულ იქნა ცენტროკასპიისპირეთის მესამე შემადგენლობა, რომელიც ესერების, მენშევიკებისა და დაშნაკებისგან შედგებოდა. აქ უკვე დაშნაკები წარმოადგენდნენ მთავარ ძალას. სწორედ მათი მოწვევით შემოვიდა გენერალ-მაიორ ლაიონელ დანსთერვილის სარდლობით 1918 წლის ზაფხულის ბოლოს სპარსეთიდან ბაქოში ბრიტანული საექსპედიციო კორპუსი. საინტერესოა, რომ

დაშნაკთა კიდევ ერთი მეტამორფოზა იყო. გენერალმა აკოფ ბაგრატუნიმ კი, ამჯერად ,,ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის" ე.წ. მთავრობაში სამხედრო მინისტრის პოსტი დაიკავა. ედუარდ ოგანესიანის მიხედვით ბაქოს ჯარების საერთო სარდლად ,,დიქტატურამ" გენერალი დოკუჩიანი დანიშნა, შტაბის უფროსად - გენერალი ბაგრატუნი.[568]

ამხანაგ შაუმიანის თავკაცობით ბაქოს ბოლშევიკური კომუნის გემით გაქცეული და თითქმის უკვე სამშვიდობოს გასული ხელმძღვანელები კი, უკან, ბაქოში მოაბრუნეს და დააპატიმრეს. მათ ბრალად წაუყენეს ,,ხალხის ფულის ხარჯვის შესახებ ანგარიშის ჩაბარების გარეშე გაქცევის მცდელობა, სამხედრო ქონების გატანა და ღალატი"...

ყველაფერთან ერთად, ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურას სამხედრო თვალსაზრისითაც არ წყალობდა ბედი. ,,კავკასიის ისლამის არმია" უკვე ქალაქის მისადგომებთან იდგა. 13 სექტემბერს ბრიტანელები ტოვებენ ქალაქს, მეორე დღეს კი, მათ კვალს ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის მთავრობაც მიჰყვა. ქალაქის დაცემამდე ერთი დღით ადრე კომუნის წევრებს ათავისუფლებენ და ბოლო ერთი თვის განმავლობაში ისინი გემით უკვე მეორედ ტოვებენ ბაქოს. 15 სექტემბრის გამთენიისას ისინი დაშნაკებთან ერთად გემით კრასნოვოდსკისკენ იღებენ გეზს, სადაც მათ აშხაბადის იმიერკასპიისპირეთის დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით აპატიმრებენ და ხვრეტენ 1918 წლის 20 სექტემბერს.

ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა და რუსული ისტორიოგრაფია ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის გადაწყვეტილების მიღებას ბრიტანეთის ინდოეთის არმიის ოფიცერს, თურქესტანში ბრიტანული სამხედრო მისიის ხელმძღვანელს, გენერალ-მაიორ სერ უილფრიდ მოლისონს (Sir Wilfrid Malleson) აბრალებდა, რაც რა თქმა უნდა, მორიგი მტკნარი სიცრუეა. საქმე იმაშია, რომ იმ დროისათვის ბრიტანელები კრასნოვოდსკში საერთოდ არ იმყოფებოდნენ. საბჭოელებისათვის სიმართლე კი, ჯერ კიდევ 1922 წლიდან იყო ცნობილი, მაშინ როდესაც რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოს - ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალურმა კომისიამ მათ მიერ მოძიებული ამ ამბებთან დაკავშირებული მასალები გამოაქვეყნა. და მიუხედავად ამისა, იდეოლოგიური და პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, რუსული ისტორიოგრაფია ჯიუტად ადგა ბოლშევიკური პარტიის ხაზს ,,ინგლისელი იმპერიალისტების" მიერ ბაქოს 26 კომისრი დახვრეტის შესახებ.

გასაგებია, რომ საქმის ამ რაკურსში წარმოდგენა ბოლშევიკი იდეოლოგებისათვის მეტად მომგებიანი იყო. ამ საკითხთან დაკავშირებული ერთობ საინტერესოა ერთი პასაჟის წარმოდგენაც, რომელიც ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ფრანგი ისტორიკოსისა და ჟურნალისტის, ანრი ბარბის წიგნში - ,,ბოლშევიზმის უკიდურესობანი და სომხური ეპოპეა" (,,Les Extravagances bolcheviques et l'épopée arménienne") არის გადმოცემული. ავტორი წერს: ,,ბოლშევიკთა ძირითადი ხელმძღვანელები - შაუმიანი, ფიოლეტოვი და ჯაფარიძე დააპატიმრეს. შაუმიანის ბარგში კი, 80 მილიონი რუბლი იპოვეს ოქროთი"...[569]

დიახ, ეს ის ანრი ბარბია, XX საუკუნის დასაწყისში სომეხთაგან ლამის გაღმერთებული ანრი ბარბი, რომელიც იმჟამად ისე ღრმად იყო დაბანგული დაშნაკური პროპაგანდის ზეგავლენით, რომ თავის ნაშრომში ,,Въ странъ ужаса. Мученица Арменія"-ში აშკარად ტენდენციურად აშუქებდა

ბრიტანელები ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის წევრებს ,,დიქტატორებს" და არა კომისრებს უწოდებდნენ. საბოლოოდ, ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურა ,,კავკასიის ისლამის არმიამ" დაამხო 1918 წლის 15 სექტემბერს.

568 Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство ,,Феникс". Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 272. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf

569 Henry Barby. Les exstravagances bolcheviques et I'epoppee Armenienne. Paris. 1921.

,,სომხური საკითხის" არსს. საქმე იმაშია, რომ ანრი ბარბი არ იყო რიგითი ჟურნალისტი. იგი საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული გაზეთის, "Le Journal"-ის სამხედრო კორესპონდენტი იყო და I მსოფლიო ომის მსვლელობისას, კერძოდ, 1916 წლის გაზაფხულიდან კავკასიის ფრონტზე იმყოფებოდა. იგი ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენების უშუალო თვითმხილველი და მონაწილეც კი იყო. ასე რომ, მის მიერ მოწოდებული ცნობები სანდოობის მაღალი ხარისხით უნდა შეფასდეს. მისი საფრონტო კორესპონდენციები თითქმის ერთი წლის განმავლობაში იბეჭდებოდა ფრანგულ გაზეთში, შემდეგ კი, იგი ცალკე წიგნებადაც გამოიცა. სწორედ ერთ-ერთ ასეთ წიგნს წარმოადგენდა ზემოთ ხსენებული ,,ბოლშევიზმის უკიდურესობანი და სომხური ეპოპეა", რომელიც ბაქოს ბოლშევიკურ კომუნას შეეხებოდა. არა გვგონია ამ წიგნის გამოცემისა და წაკითხვის შემდეგ ანრი ბარბი ისევ სათაყვანებელ პიროვნებად დარჩენილიყოს სომეხთათვის.

- საინტერესოა, მკვლელების - ამაზასპისა და ლალაევის ბანდების მიერ ყუბასა და დივიჩში ნაძარცვი ოქროს გატანა ხომ არ სურდა შაუმიანს?[570] - ამ ამბავთან დაკავშირებით რიტორიკულ კითხვას სვამს მეორე ავტორი.

ჯერ კიდევ ბაქოს კომუნის დამხობამდე, საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად, სომეხმა დაშნაკებმა დიდი მეცადინეობის შედეგად იმასაც კი მიაღწიეს, რომ I მსოფლიო ომის დროიდან სპარსეთში დარჩენილი უკანასკნელი რუსული სამხედრო მაღალორგანიზებული კაზაკთა საკავალერიო ნაწილი შემოიყვანეს ენზელიდან ბაქოში, პოლკოვნიკ ლაზარ ბიჩერახოვის[571] მეთაურობით. როგორც ვხედავთ, ამჯერად დაშნაკებმა ბრიტანელებთან ერთად ცარისტ და თეთრგვარდიელ პოლკოვნიკთანაც დაამყარეს მჭიდრო კონტაქტები. გამაოგნებელი იყო დაშნაკთა ყველა ეს მეტამორფოზა, ხოლო ამ რუსულ საკავალერიო პოლკთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვაჩნია ორიოდე სიტყვის თქმა. მას შემდეგ, რაც სპარსეთში შეყვანილმა რუსულმა საექსპედიციო

---

570 Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX - начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. Стр. 109.

571 ლაზარ ფიოდოროვიჩ ბიჩერახოვი (რუს. Лазарь Фёдорович Бичерахов) (1882-1952წ.წ.) – სამხედრო ოფიცერი, ოსური წარმომავლობის რუსეთის საიმპერატორო არმიის პოლკოვნიკი და რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, კავლერისტი. I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომების აქტიური მონაწილე. დაამთავრა პეტერბურგის რეალური სასწავლებელი, შემდეგ, 1905 წელს – მოსკოვის სამხედრო სასწავლებელი. სამხედრო სამსახური დაიწყო ოლთისში დისლოცირებულ მოზდოკის კაზაკთა 1-ლ პოლკში. 1909 წლიდან პოლკი შეყვანილ იქნა სპარსეთში, სადაც გამართულ ბრძოლებში მძიმედ დაიჭრა და პოდიასაულის ჩინით დათხოვნილ იქნა თადარიგში 1914 წლის 3 აგვისტოს. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ისევ კადრში იქნა გაწვეული მოზდოკის მე-2 სამთო პოლკში. იბრძოდა სამხრეთ-დასავლეთის, ავსტრიის ფრონტზე. 1915 წლის 29 სექტემბერს ენიჭება იასაულის სამხედრო წოდება. 191 წლის ბოლოდან კავკასიის ფრონტზეა და ენიჭება კაზაკთა საჯარისო ზემდეგის წოდება, რაც არმიის პოდპოლკოვნიკის ექვივალენტური იყო. 1916-1918 წლებში მსახურობდა გენერალ ბარათოვის სპარსეთის საექსპედიციო კორპუსში. მეთაურობდა თერგის კაზაკთა ათასკაციან საკავალერიო რაზმს. წარმატებული საბრძოლო მოქმედებების შემდეგ, 1917 წლის ბოლოს, კომუნიკაციაში შედის მესოპოტამიის ფრონტზე გაშლილ ბრიტანული ჯარების სარდლობასთან. 1918 წლის დასაწყისიდან მოლაპარაკებებს აწარმოებს ბაქოს ბოლშევიკური კომუნის კომისრებთან. 1918 წლის ივლისის დასაწყისში იგი და მისი რაზმი შემოდის ბაქოში და დგება ბოლშევიკური კომუნის სამსახურში. კომუნის ლიკვიდაციის შემდეგ კი, ხდება ბაქოს ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის რუსულ-დაშნაკური არმიის ფაქტობრივი სარდალი. ივლისის ბოლოს გადადის დაღესტანში. რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება და ინიშნება ,,რუსული ძალების სარდლად კასპიისპირეთში". 1918 წლის ნოემბერში თავის 6 ათასიან ჯართან ერთად ტოვებს პორტ-პეტროვსკს და ისევ შემოდის ბაქოში. 1919 წლის იანვარში მისი რაზმი გადაყვანილ იქნა ბათუმში, სადაც იგი ბრიტანელებმა დაშალეს. 1919 წელსვე მიდის ემიგრაციაში. ცხოვრობდა დიდ ბრიტანეთში, სადაც სამხედრო დახმარების მიღების იმედით ხვდებოდა სხვადასხვა ოფიციალურ პირებს, მათ შორის ლორდ კერზონს, 1928 წლიდან ცხოვრობდა გერმანიაში, სადაც ჩრდილო კავკასიის ეროვნული კომიტეტის ერთ-ერთ ხელმძღვანელს წარმოადგენდა. გარდაიცვალა დორნშტადტში, 1952 წელს.

კორპუსმა (სხვათა შორის, მას წარმოშობით ქართველი, და ალბათ XX საუკუნის რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალიტეტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული, ამავე დროს ჩვენთვის ყველაზე ნაკლებად ცნობილი მხედართმთავარი, კავალერიის გენერალი ნიკოლაი ბარათოვ-ბარათაშვილი[572] სარდლობდა) რუსული მონარქიის დამხობის შემდეგ დატოვა ირანი, ერთადერთი ორგანიზებული სამხედრო ნაწილი, რომელიც იქ დარჩა, დონის კაზაკთა პოლკი იყო პოლკოვნიკ ლაზარ ბიჩერახოვის მეთაურობით. ,,ბიჩერახოვი ტიპიური რუსი იმპერიალისტი იყო. მისი ქვედანყოფები საშინელი რეპუტაციით სარგებლობდნენ სპარსეთში, რომლის სახელიც დღევანდლამდე ახსოვთ იქ. (ეს სტრიქონები 1951 წელსაა დაწერილი - ა. ჩ.) იგი მკვეთრად ანტიბოლშევიკი იყო. მისი ყველაზე დიდი ოცნება ბაქოს საბჭოთა კომუნის დამხობა იყო, მაგრამ უფრო მეტად მას თურქები სძულდა და ამ ეტაპზე მის მთავარ მიზანსაც ბაქოს ოკუპაციაში თურქთათვის დასწრება წარმოადგენდა'',[573] - გვამცნობს თვის ნაშრომში დოქტორი ფირუზ კაზიმზადე. ერთი შეხედვით თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ 1918 წლის ივნისის თვისათვის ზორიან-შაუმიან-ბიჩერახოვის დაშნაკურ-ბოლშევიკურ-ცარისტული კოლაბორაცია შესდგა და აზერბაიჯანში ირანიდან ლაზარ ბიჩერახოვის საკავალერიო პოლკი შემოვიდა. თავად

---

572 ნიკოლაი ნიკოლაევიჩ ბარათოვი (ბარათაშვილი) (რუს. Николай Николаевич Баратов) (1865-1932წ.წ.) – ჩრდილოეთ კავკასიაში დაბადებული და გაზრდილი ქართული წარმოშობის რუსი მხედართმთავარი, თერგის კაზაკთა ჯარების მეთაური და სარდალი, რუსეთის საიმპერატორო არმიის კავალერიის გენერალი, იდეოლოგიურად დაჯერებული მონარქისტი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე და წარმატებული სარდალი. გიორგის ჯვრისა და სხვა სამხედრო ჯილდოების კავალერი. დაამთავრა ვლადიკავკაზის რეალური სასწავლებელი. 1882 წლიდან სამხედრო სამსახურშია. დაამთავრა კონსტანტინეს მე-2 სამხედრო სასწავლებელი, ხოლო 1885 წელს – საინჟინრო სასწავლებელი. 1887 წლიდან პოდიასაულია. 1891 წელს ამთავრებს გენერალური შტაბის აკადემიას და ენიჭება იასაულის სამხედრო წოდება. სხვადასხვა თანამდებობებზე მსახურობდა კავკასიისა და ოდესის სამხედრო ოლქებში. 1896 წლიდან პოდპოლკოვნიკია, 1900 წლიდან – პოლკოვნიკი, სუნჟის 1-ლი პოლკის მეთაური. 1905-1906 წლებში იყო შერეული საკავალერიო კორპუსის შტაბის უფროსი. 1906 წლიდან გენერალ-მაიორი და საკავალერიო დივიზიის მეთაურია. 1907 წლის ივლისიდან ინიშნება მე-2 კავკასიური საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად. 1912 წლის 26 ნოემბერს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1912 წლის ნოემბრიდან 1-ლი კავკასიური კაზაკთა დივიზიის მეთაურია. I მსოფლიო ომში იბრძვის კავკასიის ფრონტზე. 1915 წლის ოქტომბრიდან ირანში შეყვანილი კავკასიის არმიის ცალკეული საექსპედიციო კორპუსის სარდალია. კორპუსის ამოცანას წარმოადგენდა გერმანული ძალების წინააღმდეგ მოქმედება და მესოპოტამიის ფრონტზე მოქმედ ბრიტანულ ძალებთან შეერთება. 1916 წლის 28 აპრილს კორპუსს გადაერქვა სახელი და ეწოდა კავკასიის საკავალერიო კორპუსი. 1917 წლის მარტიდან არის კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი. იმავე წლის მაისიდან კავკასიის მე-5 საარმიო კორპუსის სარდალია. 1917 წლის 8 სექტემბერს ენიჭება კავალერიის გენერლის წოდება. ამავე დროს უნდობლობას უცხადებს დროებით მთავრობას და ტოვებს სარდლის თანამდებობას. დაუყოვნებლივ გადადის ბრიტანული სარდლობის დაქვემდებარებაში და რამდენიმე თვის განმავლობაში ცხოვრობდა ინდოეთში. 1918 წლიდან ბრუნდება რუსეთში და უერთდება გენერალ ალექსეევის თეთრი მოძრაობის სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციას. ხდება თეთრგვარდიული მოძრაობის აქტიური წევრი და მისი ერთ-ერთი ლიდერი. 1919 წლიდან გენერალ დენიკინის ე.წ. ,,სამხრეთ რუსეთის მთავრობის'' სპეციალური სამხედრო და დიპლომატიური წარმომადგენელია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ამიერკავკასიაში. თბილისში ერთ-ერთი ვიზიტის დროს, 1919 წლის 13 სექტემბერს, მასზე და გენერალ ოდიშელიძეზე ბოლშევიკი ტერორისტის მიერ ხორციელდება შეიარაღებული ტერაქტი, რის გამოც კარგავს კიდურს. 1920 წლის მარტი-აპრილში იყო ე.წ. ,,სამხრეთ რუსეთის მთავრობის'' საგარეო საქმეთა სამინისტროს მმართველი. რუსეთის სამოქალაქო ომში დენიკინელთა დამარცხების შემდეგ, 1920 წლის ბოლოდან ტოვებს რუსეთს და მიდის ემიგრაციაში. ცხოვრობდა საფრანგეთში და 1927 წლიდან ხელმძღვანელობდა მის მიერ ჩამოყალიბებული რუსი სამხედრო ინვალიდების ორგანიზაციას. ამავე დროს იყო ჟურნალ ,,რუსი ინვალიდის'' მთავარი რედაქტორი. ერთდროულად, 1931 წლიდან, ემიგრაციაში ეკავა კავკასიის არმიის ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობა. გარდაიცვალა 1932 წელს. დაკრძალულია ქალაქ სენ-ჟენევიე დე ბუას რუსულ სასაფლაოზე.

573 Firuz Kazemzadeh. D. Ph. The struggle for Transcucasia (1917-1921). Philosophical Library. New York. 1951. გვ. 133. Suren Shaumian. O Bakinskoi Komune, MS. Cited by Ratgauzer, op. cit., p. 137.

პოლკოვნიკი ბიჩერახოვი კი, ბაქოს დამცველთა ე.წ. ,,აქტიური ჯგუფის" მეთაურად დაინიშნა. უფრო საინტერესო კი, ის არის, რომ თავისი პოლკი მან უმალ წითელი არმიის ერთ-ერთ ნაწილად გამოაცხადა(?!)...

წარმოუდგენელი და ერთი შეხედვით ალოგიკური ისტორიული პროცესების გამაოგნებელი განვითარებაა, რის ახსნასაც ამაოდ შევეცდებით დიალექტიკისა და ლოგიკის კანონების გამოყენებით. მიზეზები და რეალობა კი, მარტივია, გაცილებით მარტივი და პროზაული, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. რა თქმა უნდა, მოცემულ მომენტში, პოლკოვნიკი ბიჩერახოვი კონიუნქტურული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა და მისი წითელი არმიის ოფიცრად და ბაქოს ბოლშევიკური რევოლუციის ერთ-ერთ ბელადად გარდასახვა (ისევე, როგორც გენერალ ანდრანიკისა, ან ცნობილი ჰუნჩაკი ამაზასპისა, ან არანაკლებ ცნობილი კრიმინალის, სტეფანე ლალაევისა) ისტორიის ბოროტი ხუმრობა უფრო იყო, ვიდრე ობიექტური რეალობა. რეალობა კი, მარტივი იყო - პოლკოვნიკი ლაზარ ბიჩერახოვი სამართლიანად თვლიდა, რომ ამ ეტაპზე მისი რაზმისთვის ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლა შეუძლებელი იქნებოდა ბოლშევიკებთან კოოპერაციის გარეშე.

ჯერ კიდევ ენზელიში ყოფნის დროს, 1918 წლის 27 ივნისს, მან შეტყობინება გაუგზავნა ბაქოს ბოლშევიკთა კომიტეტს, სადაც აცხადებდა, რომ ,,მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო რუსეთი ხსნა". ლაზარ ბიჩერახოვის ეს მოწოდება მსწრაფლ აიტაცეს ბაქოს ბოლშევიკურმა გაზეთებმა.[574] ზუსტად ამ დროს კი, ლაზარის უმცროსი ძმა, გიორგი ბიჩერახოვი, მთიელთა ე.წ. ,,თერგის რესპუბლიკაში'' ანტისაბჭოთა შეიარაღებულ აჯანყებას ხელმძღვანელობდა. სინამდვილეში ლაზარ ბიჩერახოვს თავისი იდეოლოგიური ვექტორები არ გადაულაგებია და რა თქმა უნდა, იგი ისევ დაჯერებულ ცარისტად რჩებოდა. ჩვენი ეს დასკვნები ,,ბაქოს ბოლშევიკურ კომუნაში" მიმდინარე მოვლენების შემდგომმა განვითარებამაც დაადასტურა. ბიჩერახოვის ქვედანაყოფები ქალაქის დაცვის პერიმეტრზე განლაგდნენ, მაგრამ სულ მალე, კრიტიკულ სიტუაციაში, პოლკოვნიკმა ბიჩერახოვმა საკუთარი პოლკი საბრძოლო პოზიციებიდან მოხსნა და პორტ-პეტროვსკის (დღევანდელი მახაჩყალა) გავლით ჩრდილო კავკასიაში გადაიყვანა, სადაც თავისი ძმის შენაერთს დაუკავშირდა.

აი, ასეთი გამაოგნებელი, წარმოუდგენელი, მრავალფეროვანი და ერთი შეხედვით ალოგიკური იყო ის იდეოლოგიური, პოლიტიკური და სამხედრო ვნებათა ღელვანი, რასაც მთელი 1918 წლის განმავლობაში ჰქონდა ადგილი ამიერკავკასიის ,,საბჭოთა ოაზისში".

ბიჩერახოვის თერგის კაზაკთა პოლკის აზერბაიჯანში შემოსვლიდან სულ მცირე ხანში კი, უკვე ,,ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის'' დაშნაკი ლიდერების დაჟინებული მოთხოვნით, ბაქოში ზღვით ირანში დისლოცირებული ბრიტანული საოკუპაციო ჯარების კონტინგენტი იწყებს შემოსვლას.

და აქ ერთი კომიკური პასაჟი...

ბრიტანელთა საექსპედიციო კორპუსის სპარსეთში შემოსვლის შემდეგ, მათ პორტ ენზელიში მყოფი ყველა რუსული გემი ჩაიგდეს ხელში. მათ შორის საუკეთესო - ,,პრეზიდენტი კრიუგერი",[575]

---

574 Major-General L. C. Dunsterville. C. B., C. S. I. The Adventures of Dunsterforce. Illustrated. London. Edward Arnold. 1920. Pg. 166-167.

575 პაულ კრიუგერი (სტეფანუს იოჰანეს პაულუს კრიუგერი) (აფრიკ. Stephanus Johannes Paulus Kruger) (1825-1904წ.წ.) – სამხრეთ აფრიკის ბურთა რესპუბლიკა ტრანსვაალის პრეზიდენტი 1883-1900 წლებში. 1877 წელს გამოდიოდა დიდი ბრიტანეთის მიერ ტრანსვაალის ანექსიის წინააღმდეგ. 1880 წელს ბრიტანელების წინააღმდეგ დაწყებული ბურთა აჯანყების ერთ-ერთი ლიდერი და გენერალი, რაც საბოლოოდ 1880-1881 წლების ინგლის-ბურების პირველ ომში გადაიზარდა, რომელიც ბურების ფაქტობრივი გამარჯვებით დასრულდა. 1883 წელს კრიუგერი ტრანსვაალის რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა. ინგლის-ბურების მეორე ომში, რომელიც 1899-1902 წლებში მიმდინარეობდა, მართალია ბურები

ენზელიდან ბაქოში წამოსასვლელად, კორპუსის სარდალს, გენერალ დანსთერვილს და მის შტაბს ერგო წილად. წითელი ალამი, რომელიც გემის ანძას ამშვენებდა, ბრიტანელებმა ცხადია დაუშვეს, რადგან ბრიტანელებისათვის რევოლუციურ წითელ დროშაზე სწორება წარმოუდგენელი ამბავი იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით, ბაქოში არსებული სხვადასხვა რევოლუციური კომიტეტები შეშფოთდნენ და მათ შეკითხვა გაუგზავნეს ბრიტანელ გენერალს, შემთხვევით იგი კონტრრევოლუციონერი ხომ არ იყო.(Sic)

დანსთერვილი რეაქციონერია და იგი მეფის რუსეთის დროშას აღიარებს, - ამბობდნენ კომიტეტში და მისი წევრები ისევ წითელი ალმის, რევოლუციის ამ ,,უკვდავი სიმბოლოს" აღმართვას ითხოვდნენ გემებზე. დღეს შეიძლება კომიკურადაც ჟღერს, მაგრამ იმ დროს სიმბოლოებთან დაკავშირებული ეს კონფლიქტი მხარეებს შორის საკმაოდ დაიძაბა. დიდი ფიქრის შემდეგ გამოსავალი, და ძალიან ,,ორიგინალური", მაინც იქნა მოძიებული. გენერალ დანსთერვილს რევოლუციურმა კომიტეტებმა ნება დართეს გემებზე სამფეროვანი რუსული დროშა აღემართა, ოღონდ გადაბრუნებული სახით. მათი აზრით, პრობლემის ასეთი გადაწყვეტა საუკეთესო ვარიანტს წარმოადგენდა, მაგრამ გაუნათლებელმა რევოლუციონერებმა არ იცოდნენ, რომ გადაბრუნებული რუსული დროშა სერბეთის სახელმწიფო დროშას წარმოადგენდა.(Sic) მოგვიანებით, ამ სამხედრო-პოლიტიკურ სიმბოლიკებთან დაკავშირებული კურიოზული დაპირისპირების, სახალისო განწყობების, და მთლიანად ამ სამხედრო ექსპედიციის ექსტრავაგანტურობის შესახებ, გენერალი დანსთერვილი, თავის მემუარში, "The Adventures of Dunsterforce" (,,დანსთერვილის ძალების თავგადასავლები"), დაუფარავი სარკაზმით წერდა: ,,კასპიის ზღვაზე, იმ ერთადერთ ზღვაზე, სადაც ბრიტანული გემები ჯერ კიდევ არ დაცურავდნენ, და გემზე, რომელსაც ჩვენი ყოფილი მტრის, სამხრეთაფრიკელი პრეზიდენტის სახელი ერქვა, თავი ბრიტანელ ადმირალად და იმ გენერლად წარმომედგინა, რომელიც სპარსეთის პორტიდან სერბეთის დროშის ქვეშ მცურავი გემებით იმ რევოლუციური რუსული ქალაქისაკენ გადიოდა, სადაც ერთი მუჭა სომხები თურქებისაგან უნდა მეხსნა"...[576]

ვერაფერს ვიტყვით დამატებით... ერთი რამ კი აშკარაა - იუმორის დეფიციტს ნამდვილად არ უჩიოდა ამ სტრიქონების ავტორი.

დამარცხდნენ, მაგრამ მრავალი თვალსაზრისით ეს სამხედრო დაპირისპირება ახალი ტიპის ომს წარმოადგენდა მსოფლიოს ომების ისტორიაში. ინგლის-ბურების ომი იყო ომების ისტორიაში ყველაზე უფრო ხანგრძლივი პარტიზანული ომი, რომელსაც ,,დაპყრობილი" ქვეყნის სამხედრო ფორმირებები აწარმოებდნენ ,,გამარჯვებული" არმიის წინააღმდეგ. ამ ომმა ბრიტანულ არმიას ბევრი რამ ასწავლა თანამედროვე ომის შესახებ, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, თუ როგორ უნდა იმოქმედო კარგად შეიარაღებული და მაღალპროფესიული მსროლელებით დაკომპლექტებული არასტანდარტულად მოქმედი მოწინააღმდეგის პირისპირ. ეჭვს გარეშეა, რომ ამ გამოცდილების გარეშე I მსოფლიო ომის მსვლელობა სულ სხვა სახეს მიიღებდა. ომის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე, კრიუგერი ევროპაში გაემგზავრა, ევროპული ქვეყნების მხრიდან ბურთა დაცვისა და დახმარების მიღების მიზნით, თუმცა ამაოდ. ომის დასრულების შემდეგ პაულ კრიუგერს დიდხანს აღარ უცოცხლია. ცხოვრობდა და გარდაიცვალა შვეიცარიაში, 1904 წელს.

576 Major-General L. C. Dunsterville. C. B., C. S. I. The Adventures of Dunsterforce. Illustrated. London. Edward Arnold. 1920. Pg. 215.

§1.13. სომხურ-რუსული დაშნაკურ-ესერული ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის დასასული

გენერალ-მაიორ ლაიონელ ჩარლზ დანსთერვილის საექსპედიციო კორპუსის პირველი ქვედანაყოფები ბრიტანეთის დაზვერვის ოფიცრის, პოლკოვნიკ კლოდ ბეიფილდ სტოქსის (Claude Bayfield Stokes) მეთაურობით, ირანის პორტ ენზელიდან, სერბეთის დროშის ქვეშ მცურავი გემებით, ბაქოში აგვისტოს დასაწყისში გადმოსხდნენ. 1918 წლის 17 აგვისტოს კი, თვით გენერალი დანსთერვილი შემოდის ბაქოში ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების ძირითად კონტინგენტთან ერთად. ესერები და დაშნაკები კი, გენერალ აკოფ ბაგრატუნისა და სტეფან ზორიანის მეთაურობით, ერთგულებისა და თავდადების ნიშნად, პატიმრობაში აყვანილ ბაქოს 26 ბოლშევიკ კომისარს ბრიტანელებს აბარებენ...

ესეც ასე... ახალ პატრონებს ერთგულების დემონსტრირება სჭირდებათ. მაგრამ სულ მალე დაშნაკთა დიდ იმედებს უფრო დიდი იმედების გაცრუება მოჰყვა. დაშნაკების დიდი მოლოდინისდა მიუხედავად, გენერალ დანსთერვილის საექსპედიციო ჯარების კონტინგენტი სულ რაღაც 1200 კაცისა და ორი ჯავშანმანქანისაგან შედგებოდა. ეს არის და ეს. თავად გენერალი დანსთერვილი კი, აღნიშნავდა, რომ ,,პოზიციებზე მყოფი ბრიტანელი ჯარისკაცების რეალური რაოდენობა არასდროს არ აღემატებოდა 900 კაცს“.[577] არადა, ბაქოში შემოსვლისთანავე გენერალი დანსთერვილი კატეგორიულად აფრთხილებდა სომეხთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებს, რომ ქალაქის დაცვას მხოლოდ ინგლისელები ვერ უზრუნველყოფდნენ - ,,როგორც თქვენთვისაა ცნობილი ბრიტანელები იძულებულნი არიან თავიანთი დიდი არმიები სხვადასხვა ფრონტებზე ჰყავდეთ გაშლილი, რკინიგზის გარეშე კი, ბაღდადიდან ბაქომდე მანძილი მეტად აძნელებს ჩვენი ჯარების შენახვას“.[578] ბაქოს ,,გმირული დაცვის ეპოპეაში” კი, მთავარი ის იყო, რომ ,,ჩამოსვლიდან სულ მოკლე ხანში, დანსთერვილი დარწმუნდა, რომ რეალურად ქალაქის დაცვა შეუძლებელი იყო. სომეხი და რუსი ჯარისკაცები აბსოლუტურად დემორალიზებულნი იყვნენ, მათ რიგებში კი, რევოლუციური იდეოლოგიის ქაოსი და ანარქია გაბატონებულიყო. იმართებოდა გაუთავებელი მიტინგები, ,,ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურა” ინტრიგებით იყო დაკავებული, მათი ლიდერები კი, ინგლისელების ზურგსუკან, გენერალ ლუდენდორფის სახით, გერმანელებთან აწარმოებდნენ სეპარატისტულ მოლაპარაკებებს.[579]

აი, სომეხ დაშნაკთა ,,ერთგულებისა და პრინციპულობის” კიდევ ერთი დასტური. ბრიტანელებთან და ესერებთან არსებული ალიანსის პარალელურად, დაშნაკებმა ამჯერად საიდუმლო სეპარატისტული კავშირები გერმანელებთანაც გააბეს. გერმანელებთან ალიანსის ამ ფაქტს თვით რიჩარდ ოვანესიანიც ადასტურებს.

,,ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის” დამცველთა ესერულ-დაშნაკური ე.წ. საბრძოლო რაზმები კი, ტრადიციულად, დემორალიზებულნი და ბრძოლისუუნარონი იყვნენ. გენერალ დანსთერვილის საექსპედიციო კონტინგენტის ოფიცრის, მაიორ დონოჰიუს (Donohoe) მოგონებიდან: ,,ჩვენ გაკვირვებულნი ვიყავით ბაქოს დამცველთა უცნაური სამხედრო ეთიკით, რომლებიც ხშირად ფრონტის მთელ უბნებს ტოვებდნენ და გაუთავებელ პოლიტიკურ მიტინგებში მონაწილეობდნენ, ან თავიანთ მეგობარ გოგონებთან ერთად ქალაქში ჩაის სმით იყვნენ

---

577 Major-General L. C. Dunsterville. C. B., C. S. I. The Adventures of Dunsterforce. Illustrated. London. Edward Arnold. 1920. გვ. 230.

578 ,,Искра”. №12. Баку. 1918г.

579 Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX - начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. გვ. 110. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. №223. გვ. 440-441.

დაკავებულნი".[580] ბაქოს თავდაცვის საბრძოლო პოზიციებზე არსებულ მდგომარეობას კი, თავად გენერალ-მაიორი დანსთერვილი ასე აღწერს:

,,ერთ დღეს პოლკოვნიკ არუთიუნოვთან (სომეხი) ერთად პოზიციების შემოვლა დავიწყე, რაც მიზნად ისახავდა ჯარების მდგომარეობის გაუმჯობესებას. მეტი დრო რომ გვქონოდა, ჩვენ ბოლოს და ბოლოს შევძლებდით მათ კარგ კონდიციამდე მიყვანას. მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ, ხდებოდა როგორც საარტილერიო ჭურვების, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნების უმიზნოდ ხარჯვა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახის საბრძოლო მასალის ნაკლებობას განვიცდიდით. ეკონომიურად ხარჯვის მაგივრად, მათ უმიზნოდ გამოყენებას ჰქონდა ადგილი.

მე მივუთითე სომეხ პოლკოვნიკს, რომელიც მარჯვენა სექტორს მეთაურობდა, რომ მისი არტილერია უმიზნოდ ახდენდა გასროლებს. ამაზე მან შემდეგი პასუხი გამცა - ,,დიახ, ისინი არაფერს ესვრიან, მაგრამ იმ ჯარისკაცებს, რომლებიც სანგრებში სხედან, სიამოვნებთ საკუთარი არტილერიის სროლის ხმის გაგონება. ასე რომ არ იყოს, ისინი სანგრებიდან ამოვლენ და პოზიციებსაც მიატოვებენ".[581]

ამ ამონარიდის გაცნობაც კი საკმარისია იმისთვის, რომ ბაქოს დამცველთა სამხედრო დისციპლინისა და ორგანიზებულობის შესახებ გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები. ისიც გასაგებია, თუ რა საბრძოლო სულისკვეთებასა და შემართებასთან გვაქვს საქმე. დანსთერვილი იმედოვნებდა, რომ იგი, როგორც პროფესიონალი სამხედრო და გენერალი, ქალაქის დაცვის საერთო სარდლობას ჩაიბარებდა, მაგრამ ერთნი არ ენდობოდნენ ,,ინგლისელ იმპერიალისტებს", სხვებს კი, თავად სურდათ მეთაურების რანგში ყოფნა. ასე რომ, ჯარების მართვა მთლიანად მოშლილი იყო. გასაგებია თუ ჯარების მართვის რა ,,სისტემის", ან უფრო ზუსტად, რა უსისტემობის შესახებ გვაქვს საუბარი. და ისიც გასაგებია, რომ ასეთი სისტემა უდღეურია. მის არსებობას დღეები ჰქონდა დათვლილი.

ბაქოში მიმდინარე მოვლენების პარალელურად, დაშნაკებმა მთელი მსოფლიო შეძრეს სომეხთათვის დახმარებების გაწევისა და მოკავშირეთა მხრიდან პირდაპირი სამხედრო ჩარევის მოთხოვნით. სრული სიმძლავრით ამუშავდა დაშნაკთა პროპაგანდისტული მანქანაც და გლობალური მასშტაბებით დაიწყო ბაქოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით დეზინფორმაციების გავრცელება. დაშნაკთა ამ აქტივობის ყველაზე დიდ მხარდამჭერად, ცხადია, დიდი ბრიტანეთი და მისი პარლამენტი გამოდიოდა, მაგრამ ბრიტანულ პარლამენტს არც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი ჩამორჩა. და აქ კიდევ ერთ კომიკურ პასაჟამდე მივდივართ. ასე მაგალითად, ერთ-ერთმა კონგრესმენმა თავის გამოსვლაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისგან მოითხოვა, რომ სომეხი მოსახლეობის დასაცავად მას სასწრაფოდ გაეგზავნა ბაქოში ლინკორი[582](?!)...

---

580 Firuz Kazemzadeh. D. Ph. The struggle for Transcucasia (1917-1921). Philosophical Library. New York. 1951. გვ. 141. Donohoe. Op. Cit. P. 213

581 Major-General L. C. Dunsterville. C. B., C. S. I. The Adventures of Dunsterforce. Illustrated. London. Edward Arnold. 1920. Pg. 257.

582 ლინკორი, იგივე სახაზო გემი (რუს. Линкор - Линейный корабль, ინგლ. Ship of the line, ფრანგ. Navire de ligne.) – აქ XX საუკუნის დასაწყისის სამხედრო გემების ყველაზე უფრო მძლავრ კლასზეა საუბარი, 20-70 ათასი ტონა წყალწყვით, საგემბანო არტილერიის 280-460მმ მთავარი კალიბრით და 1500-2800 კაციანი ეკიპაჟით. თუმცა, სახაზო გემებად XVII-XIX საუკუნის აფრიანი გემებიც იწოდებოდნენ. იმდროინდელი აფრიანი ფლოტის სახაზო გემებს შემდეგი მახასიათებლები ჰქონდათ: სრული წყალწყვა 500-5500 ტონა, ბორტებში განლაგებული 50-135 ზარბაზანი, ეკიპაჟი 300-800 კაცი. აფრიანი სახაზო გემები გავრცელებული იყო 1860-იან წლებამდე, ორთქლისძრავიანი გემების ეპოქამდე. აფრიანი ფლოტის სახაზო გემები საზღვაო ბრძოლის ხაზოვან ტაქტიკას იყენებდნენ. 1907 წლიდან სახაზო გემებად, ან მოკლედ, ლინკორებად უკვე იწოდებოდა 20-64 ათასი ტონა წყალწყვის მქონე შეჯავშნული კორპუსის მქონე და მსხვილკალიბრიანი საგემბანო არტილერიით აღჭურვილი ხომალდთა ახალი კლასი.

ამ ფაქტის კომენტირებისას ისტორიკოსი ირონიულად აღნიშნავს: ,,თუ როგორ აპირებდნენ ამერიკელები, რომ ბაქოში მათი ლინკორი მოხვედრილიყო, თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს საიდუმლოებად რჩება''.[583]

- ბაქოს დამცველთა წითელის არმიის პირადი შემადგენლობის რაოდენობა დაახლოებით 10 ათასი იყო. ისინი მართლა რომ ჯარისკაცები ყოფილიყვნენ და ჰქონოდათ საბრძოლო გამოცდილება, ასეთ შემთხვევაში ბიჩერახოვის მოქმედებები წარმატებული იქნებოდა. მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, ამ შემთხვევაშიც რევოლუციური ჯარები მხოლოდ ქაღალდზე არსებობდნენ და ბრძოლის ველზე, სადაც თითოეული კაცი სათვალავშია მისაღები, მათ არაფერი ესაქმებოდათ. ისინი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობდნენ, - აღნიშნავდა გენერალი დანსთერვილი.[584]

საბოლოოდ, 1918 წლის სექტემბერშიც ზუსტად ისეთივე წარმატებით უღალატეს სომხურმა სამხედრო შენაერთებმა ბრიტანელებს, როგორც ორიოდე თვის წინ ბოლშევიკური კომუნის ბელადებს, და ოსმალთა მიერ ბაქოზე შეტევითი ოპერაციის დაწყებამდე მიატოვეს ქალაქის თავდაცვითი პოზიციები. ღალატი, სიტყვის გატეხვა, სრული უპრინციპობა, ინტრიგების ხლართვა და საკუთარი ,,დიადი იდეის“ ნებისმიერი გზებით მიღწევის მეთოდიკა იყო დაშნაკთა მოქმედებების უცვლელი ტაქტიკა.

1918 წლის 14 სექტემბერს გენერალმა დანსთერვილმა შემდეგი სიტყვებით მიმართა ცენტროკასპიისპირეთის ბელადებს:

,,ძალიან მოკლედ მოგახსენებთ, რაც უნდა გითხრათ. ბატონებო, არ არსებობს ძალა, რომელიც ბაქოს იხსნის თურქებისგან. წინააღმდეგობის გაწევა ზედმეტი სისხლისღვრისა და გაუმართლებელი მსხვერპლის გაღების გადადებას ნიშნავს მხოლოდ. მოცემულ მომენტამდე ჩემი ჯარისკაცები გააფთრებულ ბრძოლაში არიან ჩართულნი, მაგრამ მათი გმირული ბრძოლის მიუხედავად თურქები ადგილობრივი ქვედანაყოფების სუსტი წინააღმდეგობის გამო თანდათან იკავებენ ჩვენს პოზიციებს. მე ვერ დავუშვებ ჩემი ჯარისკაცების უაზროდ დაღუპვას. ჩვენ აქ იმისთვის ჩამოვედით, რომ დაგხმარებოდით თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში და არა იმისთვის, რომ თქვენს მაგივრად ყველაფერი ჩვენ გვეკეთებინა, თქვენ კი მხოლოდ მაყურებლის როლით დაკმაყოფილებულიყავით...

მე გავეცი ბრძანება ჩემს ჯარებს, რომ დატოვონ საბრძოლო პოზიციები. ამაღამ ჩვენ დავტოვებთ ქალაქს...“[585]

,,15 სექტემბერს როსტომთან და ტერ-პოღოსიანთან (ფრონტის მომარაგების უფროსი) ერთად, ბაგრატუნიმ ქალაქი დატოვა და ენზელიში გაემგზავრა. ბაქოდან პეტროვსკში გაემგზავრა 26 ათასი კაცი. ენზელიში - 9500 (მათგან 8 ათასი ლტოლვილი), კრასნოვოდსკში - 4500 კაცი (მათგან 4 ათასი ლტოლვილი). სულ 40000 ათასი კაცი, აქედან 10 ათასი ჯარისკაცი”, - წერს აკადემიკოსი

აღსანიშნავია, რომ ახალი ტიპის ლინკორებიც საზღვაო ბრძოლის იგივე ტაქტიკით მოქმედებდნენ, როგორითაც შუა საუკუნეების აფრიანი სახაზო გემები. ამის შემდგომ აფრიანი სახაზო გემები ლინკორებად აღარ იწოდებოდნენ. XX საუკუნის დასაწყისიდან II მსოფლიო ომამდე ლინკორები საომარ მოქმედებათა თეატრებზე საზღვაო ქვეყნების სამხედრო ფლოტების ძლიერების სიმბოლოს წარმოადგენდნენ. თუმცა, II მსოფლიო ომის შემდეგ მდგომარეობა კარდინალურად იცვლება. ლინკორები კარგავენ დომინანტურ მდგომარეობას, ისინი უკანა პლანზე გადადიან და ასპარეზზე ახალი კლასის ხომალდები ჩნდებიან.

583 Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX - начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. gv. 122. Firuz Kazemzadeh. D. Ph. The struggle for Transcucasia (1917-1921). Philosophical Library. New York. 1951. Стр. 158.

584 Major-General L. C. Dunsterville. C. B., C. S. I. The Adventures of Dunsterforce. Illustrated. London. Edward Arnold. 1920. Pg. 167.

585 დასახელებული ნაშრომი. გვ. 179-180.

ავეტისიანი.[586] ხოლო გენერალი დანსთერვილი მოგვიანებით თავის მემუარში აღნიშნავდა: ,,სომხების მიერ მიტოვებული ბრიტანული ჯარები, რომელსაც მხოლოდ რუსები ედგნენ მხარში, 16 საათიანი ბრძოლების შემდეგ, იძულებულნი გახდნენ დაეცალათ ბაქო".[587] აქაც, ისევე როგორც ოსმალთა იმპერიის სინამდვილეში, დაშნაკებმა ჩვეულებისამებრ, ბედის ანაბარა მიატოვეს ბაქოს სომეხი მოსახლეობა და თანამემამულეები თურქულ-აზერბაიჯანული საპასუხო აგრესიისა და შურისძიების პირისპირ დატოვეს. სომეხ დაშნაკთა უზარმაზარმა, 10 ათასიანმა საყოველთაოდ ნაქებმა სამხედრო კონტინგენტმა და გენერალიტეტმა კი, ფაქტობრივად უბრძოლველად, პანიკით დატოვა ქალაქი.

ბაქოს თურქულ ოკუპაციასთან დაკავშირებით, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ჩვენის აზრით, კიდევ ერთ მეტად საინტერესო და გროტესკულ ეპიზოდს. თურქულ-აზერბაიჯანული გაერთიანებული ძალების მიერ ბაქოს აღების ოპერაციის წინ, გენერალ ბაგრატუნის მიუმართავს თურმე გენერალ დანსთერვილისთვის: ,,ჩვენ თქვენს გამო დავკარგეთ პეტროვის ორიათასიანი რაზმისა და რუსეთის, თუნდაც ბოლშევიკურის დახმარების იმედი, ამაზე რას ფიქრობთ?" დანსთერვილმა უპასუხა, რომ იგი ,,განუწყვეტლივ ითხოვს დახმარებას ბაღდადიდან (მან აჩვენა შესაბამისი ტელეგრამები). სამ ბატალიონს შემპირდნენ, მაგრამ მომცეს მხოლოდ ერთი, ბოლოსდაბოლოს კი, უარი მითხრეს ყოველგვარი დახმარების გაწევაზე და ***აცრემლებულმა*** (ზუსტად ეს სიტყვებია ტექსტში - ***Со слезами на глазах*** - ა. ჩ.) დაამატა: ,,შემპირდნენ, მაგრამ არ მომცეს".[588]

ეს სტრიქონებიც აკადემიკოს გრანტ ავეტისიანს ეკუთვნის. არ ვიცი, რა უნდა ითქვას. ალბათ ძნელია საზოგადოდ უფრო გროტესკული სცენის წარმოდგენა, ვიდრე დაშნაკურ-ბოლშევიკურ-ესერული სომხურ-რუსული ალიანსის სიმტკიცისათვის აცრემლებული ბრიტანელი როიალისტი გენერლის წარმოდგენა... ამ ამონარიდთან დაკავშირებით, ალბათ კომენტარის გაკეთებაც კი უხერხულია.

,,დიადი არმენიისა" და ამიერკავკასიის რუსული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის ილუზიამ ამ ეტაპზე მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან რუსეთის ცარისტული არმიის ეროვნებით სომეხი გენერალი აკოფ ბაგრატუნი და ოვანეს ბაგრამიანი, რუსი ბოლშევიკები - გრიგორი პეტროვი და ივან ფიოლეტოვი, სომეხი ბოლშევიკები - სტეფანე შაუმიანი და აკოფ ნურიჯანიანი, დაშნაკი გენერალი გაბრიელ ყორღანოვი,[589] ოსური წარმომავლობის ცარისტი კაზაკი პოლკოვნიკი ლაზარ ბიჩერახოვი,

---

586 Академик Г. Аветисян. Армянское войнство. Журнал ,,Армянский вестник". 1999г. №1-2. Стр. 1-2.

587 დასახელებული ნაშრომი. გვ. 6.

588 დასახელებული ნაშრომი. გვ. 7.

589 გაბრიელ გრიგოლის ძე ყორღანოვი (ყორღანიანი) (სომხ. Գաբրիել Գրիգոլ Կորղանով (Կորղանյան)) (1880-1954წ.წ.) – თბილისში დაბადებული და გაზრდილი სომეხი ეროვნების მხედართმთავარი, კავალერისტი, რუსეთის საიმპერატორო არმიის პოლკოვნიკი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი და სომხეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალი. I მსოფლიო ომის მონაწილე. დაიბადა თბილისში. 1897 წელს დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ მიხაილის საარტილერიო სასწავლებელი. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იღებს პორუჩიკის წოდებას და იწყებს სამხედრო სამსახურს. 1905 წელს ამთავრებს ნიკოლოზის გენშტაბის აკადემიას. 1907 წელს ენიჭება კაპიტნის წოდება, 1911 წლიდან – პოდპოლკოვნიკია. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ინიშნება 39-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსად და ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. შემდგომ წლებში მსახურობდა მე-15 დრაგუნთა პოლკის მეთაურად, ამის შემდგომ – საკავალერიო დივიზიის შტაბის უფროსად, კავკასიის ფრონტის სარდლობის მორიგე გენერლისა და სომხეთის ნაციონალური საარმიო კორპუსის საკავალერიო ბრიგადის მეთაურის თანამდებობებზე. 1917 წლის დეკემბერში ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის მიერ ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. სომხეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1918-1920 წლებში მსახურობდა სომხეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში, იყო საკავალერიო შენაერთის მეთაური. პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზე, 1919 წელს წარმოადგენდა სომხური დელეგაციის წევრს და სამხედრო მრჩეველს. სომხეთის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-

ჰუნჩაკთა პარტიის ვეტერანი ჯალათი ამაზასპ სრვანცტიანი, ადგილობრივ ბანდიტთა თავკაცი და სისხლის სამართლის დამნაშავე ლალაევი და ყველა ისინი, ფაქტობრივად ერთიანი დაშნაკური დროშის ქვეშ გააერთიანა.

აი, ასეთი ამოუხსნელი სამხედრო-პოლიტიკური რებუსები ითხზვებოდა ამიერკავკასიის ,,კომუნისტურ მექაში'' მთელი 1918 წლის განმავლობაში. რა თქმა უნდა, ბაქოზე საკუთარი ინტერესები ცარისტებსაც ჰქონდათ და ბრიტანელებსაც, რითაც მშვენივრად ისარგებლა სომეხთა ბოლშევიკურ-დაშნაკურმა ალიანსმა ჯერ ,,ბაქოს კომუნის", შემდეგ კი სომხურ-რუსულმა ესერულ-დაშნაკურმა ალიანსმა, ,,ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურის" უდღეური რესპუბლიკების არსებობის პერიოდებში.

თავისი სისხლიანი რეჟიმის დროებით შესანარჩუნებლად დაშნაკებმა დიდი წარმატებით გამოიყენეს ბრიტანული საექსპედიციო კორპუსის პირადი შემადგენლობა გენერალ დანსთერვილის მეთაურობით, აგრეთვე რუსი ოფიცრების - პეტროვისა და ბიჩერახოვის ბოლშევიკური და ცარისტული შეიარაღებული საბრძოლო რაზმები. ამ დიდი დაჯგუფების იდეოლოგიურ ბელადს არა სომეხთა ბოლშევიკი ლიდერი შაუმიანი, ცარისტი-დაშნაკელი გენერალი ბაგრატუნი, ან კიდევ ვინმე სხვა, არამედ გამოკვეთილად უნდა აღინიშნოს - ყოველივე ამის უკან სომეხთა პარტიული მამა და დიდი მოძღვარი, დაშნაკთა ლეგენდარული ბელადი და მისი იდეოლოგიური კურსის რუხი კარდინალი - სტეფან ზორიან-როსტომი ედგა სათავეში. როგორც იტყვიან, ,,მიზანი ამართლებს საშუალებას". დიახ, მაკიაველიზმი წარმოადგენდა ყოველთვის და წარმოადგენს ახლაც სომეხი დაშნაკების საბრძოლო, უტყუარ იდეოლოგიურ იარაღსა და ზნეობრივ საყრდენს. დაშნაკთა მოქმედებების უცვლელ სტრატეგიას კი ის წარმოადგენდა, რომ ისინი, საბოლოო ჯამში, ნებისმიერი გამარჯვებული ბლოკის მხარეს უნდა აღმოჩენილიყვნენ. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, ამიერკავკასიაში საბოლოოდ გამარჯვებულ მხარედ ოსმალები გამოვიდოდნენ თუ გერმანელები, რუსი ცარისტები თუ ბოლშევიკები, ანტანტის წევრი ქვეყნები თუ რუსი ესერები. ასეთი იყო ისტორიული რეალობა.

ბაქოს ამბების პარალელურად, 1918 წლის მარტის თვეშივე იწყება სომხური საარმიო კორპუსის დასავლეთის დაჯგუფების აქტიური თავდაცვითი (ჯერ-ჯერობით თავდაცვითი) საბრძოლო მოქმედებები ოსმალთა მე-3 კავკასიური არმიის შენაერთების წინააღმდეგ, გენერალ-ლეიტენანტ თომა ნაზარბეგოვის[590] (თოვმას ნაზარბეგიანი) სარდლობით.

ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1920 წლის ბოლოდან, მიდის ემიგრაციაში და ფუძნდება საფრანგეთში. 1929 წელს აარსებს, ხოლო 1930-1934 წლებში ხელმძღვანელობდა ,,1914-1921 წლების ომის სომეხ ვეტერანთა კავშირს". იყო ერთ-ერთი ფრანგულ-ამერიკული ლოჟის წევრი და საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი. გარდაიცვალა პარიზში, 1954 წელს. დაკრძალულია პერ-ლაშეზის სასაფლაოზე.

590 თომა ივანეს ძე ნაზარბეგოვი (თოვმას ოვანესის ძე ნაზარბეგიანი) (სომხ. Թոմաս Իվան Նազարբեգով (Թովմաս Նազարբեգիանի)) (1855-1931წ.წ.) – თბილისში დაბადებული და გაზრდილი სომეხი ეროვნების მხედართმთავარი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-მაიორი და სომხეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის, 1904-1905 წლების რუსეთ-იპონიისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე, გიორგის ჯვრის კავალერი. დაიბადა თბილისში. დაამთავრა მოსკოვის სამხედრო გიმნაზია, შემდეგ ალექსანდრეს სასწავლებელი. სამხედრო სამსახური დაიწყო 1876 წელს, მე-13 გრენადერთა ერევნის პოლკში. შემდეგ მსახურობდა გრენადერთა მე-14 ქართულ პოლკში, სადაც გაიარა ყველა სამწყობრო-სამეთაურო თანამდებობა ბატალიონის მეთაურის ჩათვლით. 1902 წლიდან პოლკოვნიკია. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა მუკდენის ბრძოლაში, სადაც დაჯილდოვდა ოქროს ხმლით. რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ, 1906 წელს, გენერალ-მაიორის ჩინით გადის თადარიგში. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ისევ იძახებენ კადრში. კავკასიის ფრონტზე ინიშნება 66-ე ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაურად. 1915 წლის 25 მარტიდან იყო მე-2 კავკასიური მსროლელი ბრიგადის მეთაური, რომელიც მოგვიანებით დივიზიად გაიშალა. მოგვიანებით არის დივიზიის მეთაური და კორპუსის სარდალი. 1917 წლის იანვარში ინიშნება ვანის რაიონისა და

,,თურქებმა, რომელთა მიზანსაც ბაქოს დაპყრობა შეადგენდა, დაარღვიეს რა ყოველგვარი მოლაპარაკებები, აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ. მათ დაიპყრეს ***ახალქალაქი,*** შირაქი, არარატის ველი, ***ლორი*** და ყარაბაღსა და ნახიჭევანს უმიზნებდნენ. ყარაბექირის[591] კორპუსის მეწინავე ქვედანაყოფები 7 კილომეტრზე იმყოფებოდნენ ერევნიდან".[592]

აკადემიკოს გრანტ ავეტისიანის ამ მოკლე ციტატაში ტყუილ-მართლის ისეთი კორიანტელია დაყენებული და ისე ოსტატურადაა ყოველივე შეზავებული, რომ გაუთვითცნობიერებული მკითხველისათვის მეტად დამაჯერებლადაც კი ჟღერს. მაგრამ აქ ერთი საკითხია საინტერესო. რა საქმე აქვს ბატონ ავეტისიანსა და სხვა სომეხ ავტორებს ახალქალაქსა და ლორესთან? ნუთუ ასე შესტკივათ მათ გული ამ ქართულ მიწებზე?

ჩრდილოეთ სპარსეთში გაშლილი მე-7 ცალკეული კავკასიური კორპუსის სარდლად. 1917 წლის დეკემბრის ბოლოს ინიშნება სომხური ნაციონალური კორპუსის სარდლად. სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა სომხეთის ეროვნული შეიარაღებული ძალების ფორმირების პროცესში. 1918-1920 წლებში იყო სომხეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. სარდლობდა ბაშ-აბარანისა და სარდარაბადის ბრძოლებს, სადაც სომხურმა ნაწილებმა შეძლეს ოსმალთა მე-3 არმიის შენაერთების შეტევის შეჩერება ერევანთან. 1919 წლის 25 მარტიდან იყო რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე. 1919 წლის 15 ივლისს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. სომხეთის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციისა და გასაბჭოების შემდეგ, 1920 წლის დეკემბერში დააპატიმრეს და მოათავსეს რიაზანის საკონცენტრაციო ბანაკში, მაგრამ მალევე, 1921 წლის მაისში გაანთავისუფლეს. შემდგომი წლები ცხოვრობდა თბილისში, განიცდიდა ხელმოკლეობას, წერდა მემუარებს. გარდაიცვალა 1931 წელს.

591 მუსა ქიაზიმ ყარაბექირი (თურქ. Musa Kâzım Karabekir) (1882-1948.წ.წ.) – ოსმალო და თურქი სამხედრო, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალ-მაიორი (მირლივა) და ქემალისტთა არმიის გენერალ-ლეიტენანტი/პოლკოვნიკი (ფერიკი). ბალკანეთის, I მსოფლიო ომისა და თურქეთის დამოუკიდებლობის ომის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი სარდალი. ,,ერთიანობისა და პროგრესის" პარტიის წევრი. I მსოფლიო ომში ამიერკავკასიის ფრონტზე მოქმედი ქვეითი პოლკის მეთაური, ხოლო 1917 წლის ბოლოდან ამიერკავკასიაში გაშლილი ოსმალთა მე-3 არმიის დივიზიის მეთაური. I მსოფლიო ომის ბოლოს ამიერკავკასიაში მოქმედი ოსმალთა აღმოსავლეთის არმიის მე-2 კორპუსის სარდალი. 1919 წლის გაზაფხულიდან გენერალ მუსტაფა ქემალთან (შემდგომში – ათათურქი) ერთად სათავეში უდგება ანატოლიაში აგორებულ ანტისაოკუპაციო და ანტისულთანურ წინააღმდეგობის მოძრაობას. თურქეთის ნაციონალისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა, გენერალ მუსტაფა ქემალ ფაშას უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, 1919 წლიდან არზრუმის ვილაიეთში დისლოცირებული ოსმალთა მე-15 საარმიო კორპუსის სარდალი და რეგიონის ფაქტობრივი მმართველი, შემდეგ – ქემალისტთა შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი. რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა და ფაქტობრივი კოორდინატორი. 1920 წელს, სომხეთ-თურქეთის ომის მსვლელობისას, მისი სარდლობით განახორციელეს მე-15 საარმიო კორპუსის ქვედანაყოფებმა სომხეთის დასავლეთი ნაწილის (სარიყამიში, ყარსი, ალექსანდროპოლისი) ოკუპაცია. ასევე, 1921 წლის თებერვალში მისი კორპუსის ქვედანაყოფებმა მოახდინეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არტაანის, ხოლო მარტში – ბათუმის ოლქების დაკავება. 1921 წლის ოქტომბერში იგი წარმოადგენდა თურქეთისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის დადებული ყარსის ისტორიული ხელშეკრულების სულისჩამდგმელსა და ქემალისტთა მხრიდან ცენტრალურ, სრული რწმუნებებით აღჭურვილ პირს. თურქთა მხრიდან სწორედ მან მოაწერა ხელი ამ ხელშეკრულებას. შემდგომ წლებში აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1922 წლიდან თურქეთის დიდი ეროვნული კრების (პარლამენტის) წევრი და ქემალისტთა 1-ლი არმიის გენერალური ინსპექტორია. პარლამენტმა დააჯილდოვა თურქეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი – ,,დამოუკიდებლობის ორდენით". 1924 წლიდან ოპოზიციაში უდგება მუსტაფა ქემალ ფაშას, თანამოაზრეებთან ერთად აფუძნებს ,,პროგრესულ რესპუბლიკურ პარტიას" და მისი პირველი თავმჯდომარე ხდება. 1925 წელს დააპატიმრეს მუსტაფა ქემალის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით. 1938 წელს, მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალების შემდეგ რეაბილიტირებულ იქნა. 1946 წელს აირჩიეს თურქეთის პარლამენტის სპიკერად. გარდაიცვალა 1948 წელს.

592 Академик Г. Аветисян. Армянское войнство. Журнал ,,Армянский вестник". 1999г. №1-2. Стр.4.

რა თქმა უნდა, არა. ახალქალაქის პერმანენტული მოხსენიებით, იგი კიდევ ერთხელ ცდილობს გაუსვას ხაზი ხსენებული რაიონების ვითომც სომხურ კუთვნილებას და ამით დიდ შეცდომაში შეჰყავს მკითხველი. თურქების მიერ ლორეს რაიონის დაპყრობაც მორიგი სომხური ეშმაკობაა. ავტორი ვითომცდა ,,სომხური მიწების'' საყოველთაო ოკუპაციის ფაქტით, სომხების მძიმე მდგომარეობის კიდევ ერთხელ აფიშირებას ცდილობს აღმატებულ ფორმებში.

ისტორიული რეალობა კი შემდეგში მდგომარეობს. თურქებს ლორეს რაიონი არ დაუპყრიათ. ალავერდი-წითელ ხიდთან გამართულ პირველსავე ბრძოლაში 1918 წლის გაზაფხულზე, ივნისის დასაწყისში, ქართული რეგულარული ჯარისა და წითელი გვარდიის რაზმებმა, გერმანული ქვედანაყოფების დახმარებით უკან დაახევინეს თურქული ნაწილებს და ისინი რამდენიმე ათეულ კილომეტრზე გადაისროლეს სამხრეთით, რკინიგზის სადგურ შაღალის იქით. ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ შევეხებით უფრო დაწვრილებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთის შეიარაღებული ძალების დასავლეთის დაჯგუფებამ გენერლების ანდრანიკის, ნაზარბეგოვის, არეშიევის, არარატოვის მეთაურობით, უიმედოდ დაიწყო უკანდახევა აღმოსავლეთისაკენ და ერთმანეთის მიყოლებით დატოვა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ქალაქები და ციხე-სიმაგრეები. ოსმალთა მე-3 არმიამ შეტევითი მოქმედებები 1918 წლის 12 თებერვალს დაიწყო. უკვე მეორე დღეს, 13 თებერვლისათვის არმიის შენაერთებმა ერზინჯანი აიღეს, ხოლო 21 თებერვალს - ტრაპიზონი. 12 მარტს ოსმალებმა არზრუმი დაიკავეს, 5 აპრილს - სარიყამიში. 7 აპრილს - ვანი, ხოლო 25 აპრილს - ყარსი...

სომხური შენაერთის პანიკურ უკანდახევას და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს, ჩვენ ქვემოთ, წიგნის შესაბამის პარაგრაფში განვიხილავთ უფრო დაწვრილებით. გენერლებმა - დრასთამატ კანაიანმა და მოვსეს სილიკოვმა[593] (სილიკიანი) კი, ოსმალთა მე-11 დივიზიის ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლებში გარკვეული წარმატების მოპოვება მხოლოდ 1918 წლის 21-28 მაისის სარდარაბადისა და ბაშ-აბარანის რაიონებში შეძლეს. მათ მტრის შეტევა შეაჩერეს, რითაც ყოფილი ერევნის გუბერნიის გარკვეული ნაწილიც შეინარჩუნეს. სხვათა შორის, სარდარაბადის ბრძოლაში გენერალ სილიკოვის შენაერთის შემადგენლობაში მონაწილეობდა ყოფილი მეფის

---

593 მოვსეს მიხეილის ძე სილიკოვი (სილიკიანი) (სომხ. Մովսես Միխայիլ Սիլիկով (Սիլիկյան)) (1862-1937წ.წ.) – უდიური წარმომავლობის რუსი და სომეხი მხედართმთავარი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-მაიორი და სომხეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. გიორგის ჯვრის კავალერი. დაიბადა ელიზავეტპოლის გუბერნიის სოფელ ვართაშენში. დაამთავრა მოსკოვის სამხედრო გიმნაზია და ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი. 1882 წლიდან სამხედრო სამსახურშია. მეთაურობდა ოცეულს და ასეულს. 1884 წლის 14 აგვისტოს ენიჭება პოდპორუჩიკის წოდება, ხოლო 1888 წლიდან პორუჩიკია. 1909 წლის 1 ოქტომბერს ინიშნება 153-ე ბაქოს ქვეითი ბატალიონის მეთაურად. 1910 წლიდან პოლკოვნიკია. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. იყო კავკასიის მე-2 მსროლელი ბრიგადის მე-6 პოლკის მეთაური. რუსული ჯარების მიერ არზრუმის აღების შემდეგ ინიშნება ქალაქის სამხედრო კომენდანტად. 1917 წელს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1918 წლის იანვრიდან იყო სომხური საარმიო კორპუსის ჯერ 1-ლი, ხოლო შემდეგ – მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაური. 1918 წლის მაისში სარდლობდა სრდარაბადის ბრძოლას, სადაც სომხურმა კორპუსმა შეაჩერა ოსმალთა შეტევა ერევანზე. სომხეთ-საქართველოს ომში მისი შენაერთის ნაწილები წარმოადგენდნენ მთავარ დამრტყმელ ძალას უზუნლარი-სანაინისა და სადახლო-შულავერის მიმართულებებზე. მის დაქვემდებარებაში მსახურობდა შემდგომში საბჭოთა კავშირის მარშალი ივან (ოვანეს) ბაგრამიანი, რომელიც აღნიშნავდა, რომ სილიკოვი ,,იმდროინდელ სომეხ გენერლებს შორის ყველაზე უფრო ნიჭიერი მხედართმთავარი იყო''. 1919 წელს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1920 წლის სომხეთ-თურქეთის ომში ქემალისტთა წინააღმდეგ სარდლობდა ყარსი-ალექსანდროპოლისის ფრონტს. სომხეთის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1920 წლის დეკემბრიდან, ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სომხეთში. 1922-1923 წლებში უკვე გასაბჭოებულ სომხეთში მუშაობდა სხვადასხვა სამეურნეო თანამდებობებზე. 1937 წელს გენერალ ქრისტოფორე არარატოვთან და სარდარაბადის ბრძოლის სხვა გმირებთან ერთად დააპატიმრეს და დახვრიტეს იმავე წლის 10 დეკემბერს. რეაბილიტირებულ იქნა 1987 წელს.

არმიის პორუჩიკი ოვანეს ბაგრამიანი, შემდგომში საბჭოთა კავშირის მარშალი. ბაგრამიანი ცოტა მოგვიანებითაც, კერძოდ, 1920 წელს მონაწილეობდა უკვე ქემალისტთა მე-15 საარმიო კორპუსის ნაწილების წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლებში, რომლებიც მე-11 წითელი არმიის შენაერთებთან ერთად აწარმოებდნენ სომხეთის რესპუბლიკის დაპყრობასა და ბოლშევიზაციას. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ სხვა სომეხი სამხედროების მსგავსად, საბჭოთა ხელისუფლებამ მას შემდგომი დევნა აღარ დაუწყო. ფაქტი ისაა, რომ 1918 წლის სარდარაბადისა და ბაშ-აბარანის ბრძოლების, ასევე 1920 წელს ქემალისტებთან ომის მონაწილე სომხეთის რესპუბლიკის არმიის ოფიცერთა დიდი ნაწილი, შემდგომში 1937-1938 წლების საბჭოურ რესპრესიებს შეეწირნენ.

გენერლების - ანდრანიკ ოზანიანისა და თომა ნაზარბეგოვის 1918 წლის მარტის თვის მთელი საბრძოლო ეპოპეა პანიკური გაქცევა უფრო იყო, ვიდრე ორგანიზებული უკანდახევა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფაქტიურად სინქრონულად იხევდნენ უკან პარალელური მარშრუტებით დილიჟანისაკენ, სამხედრო ისტორიოგრაფიამ სომეხთა ეს სამარცხვინო მარცხი რატომღაც მხოლოდ გენერალ ნაზარბეგოვის უღიმღამო ხელმძღვანელობას მიაწერა და სომეხ მხედართმთავრებში მას ,,ყველაზე უიღბლო გენერალი'' უწოდა. ,,ნაზარბეგოვის ჩავარდნამ თურქთა 36-ე და მე-5 კავკასიის დივიზიების წინააღმდეგ ერევნის დაჯგუფების მდგომარეობაზეც არსებითად იმოქმედა''.[594]

საბოლოოდ, პანიკურად უკან დახეულმა სომხურმა შენაერთებმა გეოქჩაის (სევანის) ტბის მაღლობებს შეაფარეს თავი. მალე კი, თურქები განჯაშიც შევიდნენ, სადაც აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა იმყოფებოდა. სწორედ აქედან, თურქულ-აზერბაიჯანულმა გაერთიანებულმა სამხედრო ძალებმა, ე.წ. ,,კავკასიის ისლამურმა არმიამ", ტრიპოლიდან გამოძახებული ოსმალი გენერლის, ისმაილ ენვერ ფაშას უმცროსი ძმის, ნური ფაშას საერთო სარდლობით, წარმატებული წინსვლა დაიწყო აღმოსავლეთისაკენ. ბაქოს დასაუფლებლად 26 აგვისტოს დაწყებული ბრძოლების შემდეგ, 1918 წლის 15 სექტემბრისათვის, ,,კავკასიის ისლამური არმიის" ქვედანაყოფები ბაქოში შედიან. 16 სექტემბერს სამხედრო აღლუმი ჩატარდა, ბაქო აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქად გამოცხადდა, სადაც მეორე დღეს, 17 სექტემბერს, განჯიდან აზერბაიჯანის მთავრობა გადავიდა.

სომხურ-რუსული დაშნაკურ-ბოლშევიკური და დაშნაკურ-ესერული ბაბილონის გოდოლი დაინგრა. ბაქოს ,,ბოლშევიკურმა კომუნამ" და ,,ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურამ" კი, ამ ავანტიურისტულმა და მახინჯმა სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივმა წარმონაქმნებმა, შეკოწიწებიდან სულ რამდენიმე თვის თავზე თავისი არსებობა შეწყვიტეს. მათი მთავარი შემოქმედნი, დაშნაკი ნაციონალისტები და ბაქოს სომხური მოსახლეობა კი, ისტორიაში უკვე მერამდენედ, ამიერკავკასიის, შუა აზიის, სპარსეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიებზე მიმოიფანტნენ. ,,კავკასიის ისლამის არმიის" მიერ თურანული იდეის ფრთაშესხმისათვის გადადგმული პირველი დიდი ნაბიჯი კი, პანთურქისტებისათვის წარმატებული გამოდგა.

საბჭოთა ისტორიოგრაფიას 1918 წლის განმავლობაში ბაქოში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში საკუთარი ვერსია გააჩნდა. იგი ბაქოს ბოლშევიკურ კომუნასა და ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურასთან დაკავშირებულ ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილ დრამატულ მოვლენებს მისთვის ჩვეული იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული სტილით, გაუგებარი ფრაზეოლოგიით და მეტად ბუნდოვანი ფორმით გადმოგვცემს. ასე მაგალითად, საბჭოური ისტორიოგრაფიის მონუმენტურ გამოცემაში, ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევებში", ვკითხულობთ:

---

594 W. E. D. Alenn. Caucasian battlefields. A history of the wars on the Turko-Caucasian border. 1828-1921. Cambridge University Press. 1953. Pg. 476.

,,ამ პერიოდში ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების რეალური შანსები არსებობდა. ბაქოს კომუნა მძლავრი ციხე-სიმაგრე იყო რევოლუციური ძალებისა. შეიქმნა წითელი არმიაც, რომელიც ბეგ-ხანურ კონტრრევოლუციას ზედიზედ ამარცხებდა და მიიწევდა წინ საქართველოსა და სამხრეთის რევოლუციურ ძალებთან გასაერთიანებლად. თვით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პლაცდარმი ფართოვდებოდა, მაგრამ კონტრრევოლუცია ამიერკავკასიაში ამჯერადაც გამარჯვებული გამოვიდა. საბჭოთა რესპუბლიკამ სამხრეთში კონტრრევოლუციის მძლავრობის გამო ამიერკავკასიის მებრძოლებს დახმარების ხელი ვერ გაუწოდა. კონტრრევოლუციამ კი ინტერვენტები მოიშველია. ბაქოს კომუნას ჯერ თურქი დამპყრობლები მიუსიეს, ***შემდეგ ინგლისელი ინტერვენტები.*** მენშევიკურმა მთავრობამ ზავი დადო თურქეთთან და ***თავისი ძალები სოფლებს მიუსია. თურქეთის მეშვეობით საქართველოში გერმანელი ოკუპანტები გაბატონდნენ.*** ინტერვენტთა ხიშტების დახმარებით ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა კონტრრევოლუციამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არსებობა სამი წლით გაიხანგრძლივა“...[595] (ხაზგასმები ჩემი - ა. ჩ.).

ძნელია, შეუძლებელი თუ არა, ამ ამონარიდიდან რაიმე აზრის გამოტანა და მიმდინარე პროცესების არსში გარკვევა. ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევებიდან“ მოტანილი ეს მცირე ამონარიდი უხვადაა გაჯერებული საბჭოური იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი ისეთი ბუნდოვანი და გაუგებარი ფრაზებით, როგორიცაა ,,რევოლუციური ძალები“, ,,ბეგ-ხანური კონტრრევოლუცია“, ,,სამხრეთის რევოლუციური ძალები“, ,,სამხრეთის კონტრრევოლუცია“, ,,ამიერკავკასიის მებრძოლები“, ,,კონტრრევოლუციამ ინტერვენტები მოიშველია“, ,,მენშევიკურმა მთავრობამ... თავისი ძალები სოფლებს მიუსია“, ,,ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუცია“ და ა.შ.... აზრობრივად მეტად ბუნდოვანი და გაუგებარია ამონარიდის შემდეგი ფრაზა - ,,თურქეთის მეშვეობით საქართველოში გერმანელი ოკუპანტები გაბატონდნენ“... ყველაზე მეტად კი, ეს რაღაც ,,სამხრეთის რევოლუციური ძალები“ თუ ,,სამხრეთის კონტრრევოლუცია“ დარჩა ჩვენთვის ამოუცნობ ფენომენად...

სომხურ-რუსული დაშნაკურ-ბოლშევიკური კოალიციის სამხედრო ძალების, ანუ, ე.წ. ,,კავკასიის წითელის არმიის“ მარცხის მიზეზებს აკადემიკოსი მნაცაკანიანი ასე აღწერს: ,,ბიჩერახოვმა გააშიშვლა ფრონტი, ღალატი ჩაიდინა და ***მტრის რიგებში გადავიდა. კავკასიის წითელია არმიის ზურგში მოქმედებდნენ თურქი და ინგლისელი აგენტები. ესერებმა, მუსავატელებმა, მენშევიკებმა*** და დაშნაკთა თავკაცებმა თავიანთი მოქმედებებით დეზორგანიზაცია გაუკეთეს ბაქოს დაცვას. კონტრდაზვერვის ახლადდანიშნული უფროსი ჯიგატოვი მოღალატე აღმოჩნდა. ბატალიონის მეთაური ტერ-ავაქიმოვი თვითნებურად მოქმედებდა.[596] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

აქაც ყველაფერი აღრეულია. ინგლისელი გენერალი დანსთერვილი და მისი კორპუსი, რომელიც ბაქოს დაცვის მთავარ ელემენტს წარმოადგენდა, საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ აგრესორად არის წარმოდგენილი. ბაქოს ბოლშევიკური კომუნის ერთ-ერთი იდეოლოგიური ლიდერი და კომისარი, ალიოშა ჯაფარიძე კი, ჯერ კიდევ აგვისტოს პირველ რიცხვებში აღნიშნავდა:

,,ჩვენი არმიის უკანდახევის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჩვენ ვერ შევძელით ზურგში იმ რეზერვის შექმნა, რომელიც ფრონტის გადაღლილ ამხანაგებს შეცვლიდა. ჩვენმა ჯარებმა, ახალგაზრდა წითელარმიულმა ნაწილებმა გაუძლეს რეგულარული თურქული ნაწილების შემოტევას. ყველა აღიარებს იმას, რომ ვერანაირი სხვა არმია ვერ შეძლებდა იმ ამოცანის გადაწყვეტას, რაც შეძლო ჩვენმა ახალგაზრდა წითელმა არმიამ. ჩვენმა არმიამ შეძლო

---

595 საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. საქართველო 1900-1921 წლებში. (რედ: აკ. სურგულაძე, ნ. მარგიანი, ა. ბენდიანიშვილი, ა. კიკვიძე და სხვ.) თბილისი. 1972. გვ. 446.

596 А. Н. Мнацаканян. К истории Кавказской красной армии (1918 г.). Стр. 20-21. http://lraber.asj-oa.am/1210/1/3.pdf

რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფურცლის ჩაწერა. და მათ, ვინც ამბობს, რომ ჩვენ ვერაფერი შევძელით ამ სამი თვის განმავლობაში - უბრალოდ არაფერი არ იციან".[597]

პარაგრაფის ბოლოს კი, ისევ აკადემიკოს არმაის მნაცაკანიანის ნაშრომიდან მოვიყვანთ ამონარიდს, სადაც იგი მეტად პათეტიკური ტონით ასრულებს ,,კავკასიის წითელის არმიის" ბაქოურ საგას: ,,კავკასიის წითელი არმია დამარცხდა. ინგლისელმა და შემდეგ თურქულ-მუსავატურმა ყაჩაღურმა ურდოებმა ხელში ჩაიგდეს ბაქო. წითელი არმიის ზოგიერთი ნაწილი და მრავალი მებრძოლი სასწაულით გადაურჩნენ სიკვდილს, ისინი ასტრახანში გადავიდნენ და მომავალი მე-11 წითელი არმიის ნაწილებში გაერთიანდნენ. 1918 წლის კავკასიის წითელი არმია - სახელოვანი მე-11 არმიის წინამორბედი გახდა. ბაქოს კომუნისდროინდელი კავკასიის წითელი არმიის გამოცდილება ახალგაზრდობის აღზრდის კარგი სკოლა აღმოჩნდა. კავკასიის წითელი არმიის ისტორია კავკასიის სოციალისტური რევოლუციის ანალების დაუვიწყარი ფურცელია".[598]

---

[597] «Бюллетень Диктатуры Центрокаспия», № 2 от 3 августа 1918 г., то же, П. Джапаридзе, Избр. статьи, речи и письма, М., 1958, стр. 269—270. http://lraber.asj-oa.am/1210/1/3.pdf

[598] А. Н. Мнацаканян. К истории Кавказской красной армии (1918 г.). Стр. 21. http://lraber.asj-oa.am/1210/1/3.pdf

პოღოს ნუბარ ფაშა
(1851-1930)

ავეტის აჰარონიანი
(1866-1948)

ანრი ბარბი
(1876-1935)

პეტრე გელეიშვილი (ყარიბი) (1870-1937)

ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი (1837-1916)

ჰიპოთეზური „დიადი არმენია"

„დიადი არმენია" თავისი პროვინციებით. ლონდონი, 1738 წელი.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე სომხური დელეგაციის მიერ წარდგენილი „დიადი არმენიის" რუკა

სამხრეთ-დასავლეთი ამიერკავკასია და აღმოსავლეთი ანატოლია 1917 წლის სექტემბრის მდგომარეობით. ყვითელი ფერით აღნიშნულია რუსეთის მიერ ოკუპირებული ოსმალური ტერიტორიები. ეს ტერიტორიები უკან იქნა დაბრუნებული თურქების მიერ 1918 წლის თებერვალი-აპრილის პერიოდში.

XIX საუკუნის დასაწყისის კავკასიის ადმინისტრაციული რუკა. რუკაზე კარგად ჩანს თბილისის გუბერნიის სამხრეთი საზღვარი, რომელიც ერევნის (ბამბაკის) ქედზე გადის.

ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგი .
(1875-1944)

ქართული ლეგიონი. შუაში – პოლკოვნიკი ლეო კერესელიძე
თბილისი, 1918 წელი



ქართული ლეგიონი ტრაპიზონში

X საუკუნის ფორტიფიცირებული მართლმადიდებლური სამონასტრო კომპლექსი ახტალაში

სანაინის მონასტერი

ახპატის მონასტერი



ქობერის (ქობაირის) მონასტრის ნანგრევები

კონსტანტინოპოლის სომხური კვარტალი. 1894 წელი

მკრტიჩ პორტუგალიანი (1848-1921)	მკრტიჩ I (ხრიმიანი) (1820-1907)	ავეტის ნაზარბეგიანი (1866-1939)

ჰუნჩაკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები. მარცხნიდან მარჯვნივ. სხედან: რუბენ ბერბერიანი, მარო ნაზარბეგი (პარტიის დამაარსებელი), ავეტის ნაზარბეგი (პარტიის დამაარსებელი), არაპ აგაგბაში. დგანან: გარო ზაქარიანი, საქო აგამიტზიანი. ფოტო გადაღებულია 1898 წელს, ათენში.

პარტია „ჰუნჩაკის'' დროშა

პარტია „დაშნაკცუტიუნის'' დამაარსებლები (მარცხნიდან მარჯვნივ) – სტეფანე ზორიანი (1867-1919), ქრისტოფორ მიქაელიანი (1859-1905) და სიმონ ზავარიანი (1866-1913)

Arménien ayant pris part à l'attaque de la Banque ottomane de Constantinople.

კონსტანტინოპოლის ოსმალთა ბანკზე განხორციელებული თავდასხმის მონაწილე დაშნაკ ტერორისტთა ჯგუფი

სარქის კუკუნიანი
(1863-1913)

გევორქ V (სურენიანცი)
(1847-1930)

პარტია „დაშნაკცუტიუნის"
დროშა

დაშნაკთა ერთ-ერთი საბრძოლო რაზმი. დროშაზე გამოსახულია თავის ქალა გადაჯვარედინებული ძვლებით და წარწერა – შურისძიება

დაშნაკთა ერთ-ერთი საბრძოლო რაზმი



ერთ-ერთი სომხური საბრძოლო-ტერორისტული რაზმისათვის ჩამორთმეული იარაღი

ახალგაზრდა ანდრანიკი

ანდრანიკ ოზანიანი – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი

ანდრანიკი (შუაში) და მისი რაზმი I მსოფლიო ომში

დრასთამატ კანაიანი-დრო (შუაში) თავის რაზმელებთან ერთად

სიმონ ვრაციანი (მარცხნივ) და დრასთამატ კანაიანი-დრო

დრასთამატ კანაინი (დრო)
ვერმახტის ოფიცერი

გარეგინ ნეჯდე
(1886-1955)

არშაკ გავაფიანი
(1858-1916)

ამაზასპი
(1873-1921)

სტეფანე შაუმიანი
(1878-1918)

ალიოშა ჯაფარიძე
(1880-1918)

გრიგორი ყორღანოვი
(1886-1918)

ანასტას მიქოიანი
(1895-1978)

1918 წელს დახვრეტილი ბაქოს 25 კომისარი. ფოტოზე არ არის ერთი დახვრეტილთაგანი – ი. ნიკოლაიშვილი, ბაქოს საბჭოს თავმჯდომარის, ალიოშა ჯაფარიძის დაცვის უფროსი.

ლაიონელ დანსთერვილი
(1865-1946)

ლაზარ ბიჩერახოვი
(1882-1952)

ნური ფაშა
(1889-1949)



1918 წლის აგვისტო – ბრიტანული კონტინგენტის გადმოსხმა ბაქოში

ბრიტანელები ბაქოში

ბრიტანელი და სომეხი ჯარისკაცები
ბაქოში საბრძოლო პოზიციებზე

ბრიტანელი ჯარისკაცების დაკრძალვის
ცერემონიალი ბაქოში. 1918 წლის აგვისტო

ბრიტანელთა ჯავშნოსანი მანქანები ბაქოში

ბრიტანელი ოფიცერი და სომეხი ჯარისკაცი ბაქოს დაცვის პოზიციებზე



„კავკასიის ისლამის არმიის" ერთ-ერთი ნაწილი

თურქული არტილერია ბაქოს მისადგომებთან

ნური ფაშას „კავკასიის ისლამის არმია" შედის ბაქოში

თავი II

საქართველოსა და სომხეთის ეროვნული შეიარაღებული ძალები, სტრუქტურა, პირადი შემადგენლობა და შეიარაღება 1918 წელს

§2.1. არშემდგარი სამხედრო პროექტი - ,,ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმია“

მეფის რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების საუკუნეობრივმა მტრულმა დამოკიდებულებამ, სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, თავის პიკს, I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე მიაღწია. ჯარების საბრძოლო მზადყოფნის, საომარი ოპერაციების დაგეგმვის, მართვა-კონტროლისა და ოპერაციების აღსრულების თვალსაზრისით, კავკასიის ფრონტზე გაშლილმა ოსმალთა მე-3 არმიის სარდლობამ აშკარად წააგო პაექრობა რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობასთან. სწორად დაგეგმილი, მართული და აღსრულებული სამხედრო ოპერაციების შედეგად რუსეთის კავკასიის ფრონტის შენაერთებმა ძლევამოსილი შეტევითი მოქმედებებით 1915-1917 წლებში ოსმალთა იმპერიის აღმოსავლური ვილაიეთების უმნიშვნელოვანესი დასახლებული პუნქტები - არზრუმი, ტრაპიზონი, ერზინჯანი, ბაიბურთი დაიკავეს. შავი ზღვის სანაპიროზე გირესუნს მიაღწიეს, ხოლო ხმელეთის სიღრმეში გავიდნენ მუშთან, ბითლისთან და სტრატეგიული პლაცდარმი შექმნეს ცენტრალური ანატოლიის ზეგანზე გასასვლელად. ამავე დროს, ფაქტიურად ზურგში მოექცნენ მესოპოტამიის ფრონტზე მოქმედ ოსმალთა მე-6 არმიას და მისი შენაერთები იზოლაციისა და გარშემორტყმის საშიშროების წინაშე დააყენეს. რუსულ-ოსმალური ისტორიული დაპირისპირების ორსაუკუნოვანი პერიოდის განმავლობაში ეს იყო რუსული სამხედრო შენაერთების ყველაზე უფრო ღრმა შეჭრა ოსმალთა იმპერიის ტერიტორიებზე. მაგრამ 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციამ და პეტერბურგში მომხდარმა ბოლშევიკურმა გადატრიალებამ სულ სხვა მიმართულება მისცა I მსოფლიო ომის შემდგომ მსვლელობას. საყოველთაო ეგზალტაციის ფონზე რევოლუციურმა იდეოლოგიამ სწრაფად დაიწყო გავრცელება I მსოფლიო ომის რუსულ ფრონტებზე, განსაკუთრებული მასშტაბები კი, მან ბოლშევიკთა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეიძინა.

საერთო უბედურებისა და ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსის ფონზე ბოლშევიკებმა კაცობრიობის ისტორიაში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე უფრო ოდიოზური ლოზუნგი წამოაყენეს: ,,გადავაქციოთ მსოფლიო ომი სამოქალაქო ომად!” ,,კლასთა ბრძოლის”, ,,კომუნისტური ინტერნაციონალიზმისა” და ,,მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის” თეორიებით შეიარაღებული რუსეთის ბოლშევიკური მთავრობისა და მისი მეთაურის - ვლადიმერ ლენინის მოწოდებებმა 1917 წლის ბოლოდან კიდევ უფრო დააჩქარა I მსოფლიო ომის თეატრებზე მოქმედი რუსული სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების ფრონტებიდან მასიურად მოხსნა და მათი პირადი შემადგენლობის რევოლუციურ რელსებზე გადაყვანა.

კავკასიის ფრონტზე, ისევე როგორც I მსოფლიო ომის რუსეთის სხვა ფრონტებზე, ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელებამ უაღრესად უარყოფითად იმოქმედა ჯარების საბრძოლო მზადყოფნასა და მორალურ მდგომარეობაზე. დაიწყო უმართავი პროცესები: ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შექმნა, გაუთავებელი მიტინგები, ბოლშევიკური აგიტაცია, ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის საწესდებო ურთიერთობების მოშლა, მასობრივი დაუმორჩილებლობა, დაპირისპირებულ მხარეთა ჯარისკაცების დაძმობილება, დეზერტირობა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა, სისხლიანი ანგარიშსწორებები. ასობით და ათასობით ჯარისკაცმა მასობრივად დაიწყო ფრონტების მიტოვება და რუსეთში დაბრუნება რევოლუციის მონაპოვრების დაცვის საბაბით. ზუსტად აღნიშნავს პროფესორი ალექსანდრე დაუშვილი: ,,მართალია ,,ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა“ და რუსეთის კავკასიის ფრონტის ხელმძღვანელობას შორის ძალიან მალე დამყარდა ლოიალური დამოკიდებულება, მაგრამ რევოლუციურმა ენთუზიაზმმა (განსხვავებით საფრანგეთის დიდი რევოლუციისაგან) ჯარისკაცებში

საბრძოლო აღტკინება კი არ გამოიწვია, არამედ გააძლიერა მოროდიორობა, სახლში დაბრუნების ძლიერი სურვილი, ბოლშევიკური განწყობები“.[599]

საქართველოსა და სომხეთის ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების რთული და არაერთგვაროვანი პროცესიც ფაქტიურად 1917 წლის ბოლოდან იწყება, მას შემდეგ, რაც რუსეთში ავანტიურისტული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ხელისუფლების სადავეები ბოლშევიკებმა იგდეს ხელთ. საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნებისა და გაძლიერების მიზნით, მათ დიდი პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს I მსოფლიო ომის ფრონტებზე მებრძოლი რუსული არმიების პირადი შემადგენლობის რევოლუციურ რელსებზე გადასაყვანად. ომიდან გამოსვლის მიზნით კი, სეპარატისტული საზავო მოლაპარაკებები დაიწყეს ოთხთა კავშირის წევრებთან. მართალია, I მსოფლიო ომის რუსეთის ფრონტებზე რღვევის პროცესები ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციის პერიოდიდან იწყება, ე.ი. აპრილის თვიდან, მაგრამ ამ მოვლენებმა განსაკუთრებული მასშტაბები 1917 წლის ბოლოდან შეიძინა და შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

I მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტის მსგავსად, რუსეთის კავკასიის ფრონტმაც იწყო რღვევა და მისი შენარჩუნებისათვის ფრონტის სარდლობის წინაშე ეროვნულ პრინციპზე აგებული შეიარაღებული ძალების შექმნის ამოცანაც დადგა. როგორც საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, პროფესორი სტივენ ჯონსი აღნიშნავს: ,,კავკასიის არმიის სარდლობა საბოლოოდ იმ აზრამდე მივიდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მოტივირებულ ნაციონალურ შენაერთებს შეეძლოთ შექმნილი სიტუაციის გადარჩენა''.[600]

ვეთანხმებით ავტორის ამ დასკვნას, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ნააზრევი მხოლოდ კავკასიის არმიის სარდლობას არ გასჩენია. ამ საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართულნი იმ დროისათვის ამიერკავკასიაში მოქმედი უამრავი რევოლუციური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეროვნული, საზოგადოებრივი თუ პროფესიული მიმართულების და ათასგვარი კონფიგურაციის მქონე ორგანიზაციები, საბჭოები, კავშირები თუ კომიტეტები. ასეთ ორგანიზაციათა სპექტრი ძალიან მრავალრიცხოვანი და ჭრელი იყო. თითოეული მათგანი კი ცდილობდა საკუთარი თავი მთავარ ძალად, მთავარ პოლიტიკურ ცენტრად გამოეყვანა და შესაბამისი ადგილიც მოეპოვებინა რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეტად უცნაური და ეგზოტიკურიც კი იყო ამ ორგანიზაციათა ჩამონათვალი, რაც ნათლად მიგვანიშნებს იმდროინდელ ამიერკავკასიაში არსებულ ურთულეს პოლიტიკურ მდგომარეობასა და იქ მიმდინარე პროცესების ქაოტურობაზე. ეს ორგანიზაციები იყო: ამიერკავკასიის კომისარიატი, ფრონტის კომისარიატი, ოლქის კომისარიატი, სამხარეო საბჭო, მუშათა და ჯარისკაცთა თბილისის საბჭო, ესერთა პარტიის საოლქო კომიტეტი, კავკასიის საოლქო მუსულმანთა სამხედრო ორგანიზაცია ,,შურა”, სომეხთა ეროვნული საბჭო, თბილისის მუსულმანთა კომიტეტი, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების რევოლუციური პარტია, უკრაინული საჯარისო რადა, ამიერკავკასიის მუსულმანთა ცენტრალური კომიტეტი, დაშნაკცუტიუნის პარტია, ბერძნული სამხედრო დელეგაცია, კავკასიის ელინთა სამხედრო კავშირი, ებრაელ მეომართა კავშირი, კავკასიის ფრონტის მთავარსარდლობის შტაბი, მოხალისეთა არმიის კავკასიის საოლქო კომიტეტი, მენშევიკთა სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო კომიტეტი, ბოლშევიკთა სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო კომიტეტი, პოლონელთა ეროვნული კავშირი, ქართველთა სამხედრო კავშირი, ლატვიელთა სამხედრო კავშირი, ოლქის შტაბი[601] და ა.შ. და ა.შ. და ა.შ. (Sic!) კავკასიის ფრონტის იმდროინდელი ფაქტობრივი სარდალი, გენერალი ილია ოდიშელიძე,

---

599 ალექსანდრე დაუშვილი. კავკასია თებერვლის რევოლუციის შემდეგ. ,,ანალები''. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი. გამომცემლობა ,,უნივერსალი''. თბილისი. 2019. (15). გვ. 75.

600 Stephen F. Jones. Georgian-Armenian relations in 1918 to 1919 and 1991 to 1994. A comperison. გვ. 114.

601 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 22, ფურცელი 116.

თავის ნაშრომში ,,როგორ დაიბადა ქართული არმია“, აღნიშნავს, რომ ,,ნაციონალური ნაწილების ჩამოყალიბების აუცილებლობა კავკასიის ფრონტზე, საკმაოდ გვიან, 1917 წლის ოქტომბრის ბოლოს დადგა“.[602] თუმცა, ამ მომენტისათვის ჯერ კიდევ არ იყო გაცნობიერებული იმ კატასტროფის მასშტაბები, რაც ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებას უნდა მოჰყოლოდა მთლიანად რუსეთშიც და ამიერკავკასიაშიც. რუსული არმიების პირადი შემადგენლობა, რევოლუციური და ბოლშევიკური პროპაგანდის გამო, უკიდურესად დემორალიზებული და ბრძოლისუუნარო იყო. ბოლშევიზმის შხამიან ვირუსს აქაც ღრმად შეეღწია. ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 12 იანვარს გამოქვეყნებული მიმართვიდან კარგად ჩანს თუ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მთლიანად რუსეთი და კერძოდ ამიერკავკასია ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების გამო. ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 12 იანვრის მიმართვაში ვკითხულობთ:

,,რუსული სახელმწიფო, როგორც ასეთი, მოცემულ მომენტში აღარ არსებობს. გადატრიალების შემდეგ უუნარო მმართველობამ მიიყვანა იგი სრულ კრახამდე და გახრწნამდე. ბოლშევიკების პოლიტიკამ სახელმწიფოს საფუძვლებს ბოლო დარტყმა მიაყენა და საბოლოოდ გახრწნა არმია და ფლოტი. ზავის დადების მცდელობა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ჩავარდა. (საბჭოთა რუსეთსა და ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკს შორის საზავო მოლაპარაკებების პროცესი ჯერ კიდევ 1917 წლის 20 ნოემბერს (3 დეკემბერს) დაიწყო, რომელიც საბოლოოდ მხოლოდ 1918 წლის 3 მარტს დასრულდა - ა. ჩ.) ბოლშევიკთა პროპაგანდის გამოისობით შეიარაღებულ ბანდათ გადაქცეულმა არმიამ იხუვლა (Хлынула - ა. ჩ.) ქვეყნის სიღრმისაკენ, რომელიც თავის გზაზე ყველაფერს ანგრევს და ანადგურებს. ბოლშევიკთაგან შეგულიანებულმა ხალხთა ბნელმა მასებმა სამოქალაქო ომი წამოიწყეს, რომელმაც უკვე მიაღწია გრანდიოზულ მასშტაბებს...“[603]

საბოლოოდ, ამიერკავკასიის ინტერნაციონალური მოხალისეთა არმიის შექმნა ,,ეროვნული და დემოკრატიული ორგანიზაციების” წარმომადგენლების მიერ 1917 წლის 9 დეკემბერს გამართულ სხდომაზე გადაწყდა. სხდომას თავმჯდომარეობდა აპენიანსკი, მდივანი კი, ოსბერგი იყო.[604] ჩანაფიქრის მიხედვით, უნდა ჩამოყალიბებულიყო ამ არმიის მართვის ერთიანი ორგანო (შემდგომში მას სამხედრო საბჭო ეწოდა), რომელშიც უნდა შესულიყვნენ თითო-თითო წარმომადგენელი სხვადასხვა პოლიტიკური და ეროვნული ორგანიზაციებიდან: ეროვნული საბჭოებიდან, ეროვნული სამხედრო საბჭოებიდან, სამხარეო ცენტრიდან, სამხარეო საბჭოდან, ფრონტის შტაბიდან, ოლქის შტაბიდან, ფრონტის კომისარიატიდან და ოლქის კომისარიატიდან. ეს ორგანო უნდა შემდგარიყო ამიერკავკასიის კომისარიატის სამხედრო და საზღვაო კომისართან არსებულად.[605]

სწორედ ამ ,,ნაციონალური და დემოკრატიული ორგანიზაციების“ მიერ 1917 წლის 9-11 დეკემბერს გამართულ სხდომებზე გადაწყდა კავკასიის ფრონტის შენარჩუნებისათვის შექმნილიყო ახალი ტიპის საჯარისო გაერთიანება - ,,ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმია“. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: ,,დაუყოვნებლივ გატარდეს საჯარისო ნაწილების ნაციონალიზაცია. სასწრაფოდ შეიქმნას ახალი ნაციონალური საჯარისო ნაწილები და შეივსოს იგი ნაციონალურ პრინციპზე აგებული მოხალისეებისაგან. არმიის ნაციონალიზაციის გამაერთიანებელი ორგანო შედგეს შემდეგი წარმომადგენლებისაგან: ეროვნული საბჭოები, ეროვნული სამხედრო

---

602 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 8, ფურცელი 4.

603 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 22, ფურცელი 52.

604 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 22, ფურცელი 128.

605 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 22, ფურცელი 8.

კავშირები, სამხარეო ცენტრი, სამხარეო საბჭოები, ფრონტის შტაბი, ოლქის შტაბი, ფრონტისა და ოლქის კომისარიატები. ეს ორგანო იქმნება სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარიატთან".[606]

კონფერენციაში მონაწილე ამ ,,ნაციონალური და დემოკრატიული ორგანიზაციების" რაოდენობა სამ ათეულამდე იყო, ხოლო მათ მიერ შემოტანილ პროექტს ნაციონალური შენაერთებისა და ნაწილების რაოდენობრივი სტრუქტურების შესახებ, შემდეგი სახე ჰქონდა: სომხები - 1¾ კორპუსი, ასურელები და სხვა წვრილი ეროვნებები - 1¾ კორპუსი, ქართველები - 1¾ კორპუსი, მუსულმანები - 1 კორპუსი, პოლონელები - 1 კორპუსი, რუსები - 1 კორპუსი, უკრაინელები - 1 კორპუსი, ელინები - ½ კორპუსი. ანუ სულ - 8¼ - 8¾ კორპუსი.[607] ერთი არაარსებითი დეტალი - კონფერენციაში მონაწილე ამ ,,ნაციონალური და დემოკრატიული ორგანიზაციების" რაოდენობა სამ ათეულამდე იყო, ხოლო ,,დაშნაკცუტიუნის" პარტიას მისი ერთ-ერთი ლიდერი, დრასთამატ კანაინი - ,,ამხ. დრო" წარმოადგენდა. სწორედ ასეა დოკუმენტში - ,,тов. Дро".

ასე ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭო, რომელიც კავკასიის ფრონტის ნაციონალური შენაერთების ფორმირების, ორგანიზაციისა და მომარაგების ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენდა. იგი შედგებოდა ეროვნული საბჭოების წარმომადგენლების, კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის, სამხარეო გაერთიანებული ცენტრისა და სამხარეო ცენტრისაგან. ამ საბჭოში წარმომადგენლობა კი, დამოკიდებული იყო არმიის სტრუქტურაში ჩართული ნაციონალური შენაერთების სიდიდეზე. კერძოდ - ერთი, ორი ან სამი წარმომადგენელი. ამა თუ იმ ეროვნულ საბჭოს, რომელსაც უნდა მოეხდინა დივიზიამდე სიდიდის ნაწილის შექმნა, ეროვნებათაშორის სამხედრო საბჭოში უნდა ჰყოლოდა ერთი წევრი, დივიზიას და მეტს - 2 წევრი, ხოლო კორპუსს და მეტს - 3 წევრი. მთავარსარდალს - 1 წევრი, სამხარეო გაერთიანებულ ცენტრს - 1 წევრი და სამხარეო ცენტრს - ასევე 1 წევრი.[608]

საერთო ჯამში, შენაერთების ეს რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა I მსოფლიო ომის მსვლელობაში არსებულ კავკასიის არმიას. ამასთან დაკავშირებით კავკასიის ფრონტის შტაბის გენერალ-კვარტერმეისტერის მოვალეობის შემსრულებელი, გენერალი პაველ შატილოვი, რიტორიკულ კითხვას სვამდა - შეეძლო კი, ამიერკავკასიას ასეთი არმიის თუნდაც დროებით შენახვა? აქვე გენერალი შატილოვი დაუშვებლად თვლიდა ისეთი ნაციონალური ნაწილების ფორმირებას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ხალხის დასაცავად უნდა შექმნილიყო ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში. იგი თვლიდა, რომ უკეთესი იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის შეიარაღება, მილიციის ორგანიზება და მათი მხოლოდ და მხოლოდ საბრძოლო მასალებით უზრუნველყოფა. დანარჩენს კი, მოსახლეობა თვითონ გააკეთებდა. ამ მოსაზრებას იზიარებდნენ კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ლევანდოვსკი და არმიის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი, გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი გოროვცევი. ეროვნებათაშორისი საბჭოს მმართველი ორგანო, მისი პრეზიდიუმი კი, მართლაც ინტერნაციონალურ და დემოკრატობაზე ორიენტირებულ ორგანიზაციას წარმოადგენდა. მასში შევიდნენ - ქართველი ნოე რამიშვილი, სომეხი მიქაელ პაპაჯანოვი, რუსი ლიახნიცკი, მუსულმანი ხურამოვიჩი, პოლონელი იარეცკი, ბერძენი სპილიოტი, უკრაინელი

606 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 22, ფურცელი 116.

607 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 18, ფურცელი 58.

608 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 18, ფურცელი 20.

ხიმენკო, ოსი ვანეევი.[609] პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ნოე რამიშვილი აირჩიეს. როგორც ვხედავთ, საკმაოდ ბუნდოვანი სურათი და ჭრელი საზოგადოებაა, მაგრამ ერთ რამეზე ყველა თანხმდებოდა: ,,კავკასიის მოხალისეთა არმიის ნაციონალური შენაერთებისათვის მთავარი უნდა ყოფილიყო პრინციპი - დაეცვათ საკუთარი ხალხით დასახლებული ტერიტორიები".[610]

ასე იწყებოდა ამიერკავკასიის ინტერნაციონალური არმიის ჩამოყალიბების რთული და არაერთგვაროვანი პროცესი, რომლის საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურაც მისი ეროვნული შენაერთებით დაკომპლექტების პრინციპებზე უნდა ყოფილიყო აგებული. საერთო ჯამში, ,,ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმია" უნდა შემდგარიყო რუსული მოდელით, ქართული, რუსული, სომხური და მაჰმადიანური კორპუსებისგან. გარდა ამისა, მასში უნდა ჩართულიყო ბერძნული, პოლონური და უკრაინული დივიზიები, ასევე სხვა ეროვნული ნაწილები.[611] შემუშავებული სქემის მიხედვით, მოცემულ მომენტში, ,,ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალურ არმიას" პოლკურ-დივიზიური წყობა უნდა ჰქონოდა, რომლის სტრუქტურაც მშვიდობიან პერიოდში ბატალიონი-ბრიგადის წყობამდე იქნებოდა დაყვანილი.

ასეთი ამოცანის დასმა, შეცდომა იყო, დიდი შეცდომა! ყოველივე ეს, რბილად რომ ვთქვათ, საფუძველშივე უქმნიდა საფრთხეს დასახული ამოცანის შესრულებას. ჩვენი უფრო რადიკალური შეფასება კი შემდეგია - იდეური ჩანაფიქრითა და არსებული ძალებისა და საშუალებების ასეთი კონფიგურაციით, ნაციონალურ პრინციპზე აგებული არმიის შექმნისა და მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულების მოლოდინი, თავიდანვე განწირული იყო მარცხისთვის. ქართულ კორპუსს შემდეგი სტრუქტურა უნდა ჰქონოდა: სამი იდენტური ქვეითი დივიზია, ერთი საკავალერიო ბრიგადა, საინჟინრო ბატალიონი, მორტირების[612] დივიზიონი და საეტაპო ბატალიონი. თითოეული ქვეითი დივიზია შედგებოდა 4-4 პოლკისაგან და სამთო არტილერიის ბრიგადისაგან. სამთო არტილერიის ბრიგადა შეიცავდა 2 დივიზიონს და ერთ მეტყვიამფრქვევეთა გუნდს.[613] თავის მხრივ, საარტილერიო დივიზიონები შეიცავდნენ სამ-სამ ბატარეას.[614]

---

609 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 1.

610 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 18, ფურცელი 58.

611 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 13, ფურცელი 49.

612 მორტირა (ნიდერ. ორტიერ) – მოკლე ლულის მქონე მსხვილკალიბრიანი საარტილერიო დანადგარი დაკიდებული ტრაექტორიით სროლის წარმოებისთვის. მორტირა ძირითადში გამოიყენება განსაკუთრებით მძლავრი თავდაცვითი ნაგებობების დასანგრევად და საფარში და სანგრებში მყოფი ცოცხალი ძალის გასანადგურებლად. გამოიყენება XV საუკუნიდან.

613 გუნდი – აქ სამხედრო ტაქტიკური საჯარისო ერთეულის – ასეულის არქაული დასახელება.

614 ბატარეა (ფრანგ. Batterie) – სამხედრო ტერმინი, რომელიც აღნიშნავს საჯარისო ტაქტიკურ ერთეულს არტილერიაში. დაახლოებით შეესაბამება ქვეითი ჯარების ასეულს. დანიშნულებისა და კალიბრის მიხედვით არჩევენ საველე, მსუბუქ, მძიმე, სამთო, ჰაუბიცების, საალყო, სიმაგრის, საჰაერო და სანაპირო დაცვის ბატარეებს. როგორც წესი, თანამედროვე საარტილერიო ბატარეა შედგება ორი-სამი საცეცხლე ოცეულისგან და გააჩნია 4-8 ქვემეხი (ნაღმსატყორცნი, ჰაუბიცა, მორტირა, რეაქტიული საარტილერიო დანადგარი და ა.შ.). მშვიდობიანობის დროს 1918 წლის ნიმუშის ქართული ჰაუბიცების ბატარეის პირადი შემადგენლობა 7 ოფიცერს, 139 ჯარისკაცს და 6 ზევადიან სამხედრო მოსამსახურეს ითვლიდა, 4 ჰაუბიცით, 55 ცხენითა და 7 საზიდრით. (საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 13, ფურცელი (8-8 უკ.), მძიმე საველე ბატარეა – 7 ოფიცერს, 166 ჯარისკაცს და 6 ზევადიან სამხედრო მოსამსახურეს, 4 მძიმე ქვემეხით, 78 ცხენითა და 9 საზიდრით (საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 13, ფურცელი 9 უკ.), ხოლო სამთო ბატარეა – 7 ოფიცერს, 172 ჯარისკაცს და 6 ზევადიან სამხედრო მოსამსახურეს, 4 მსუბუქი ქვემეხით, 77 ცხენითა და 7 საზიდრით.

ცხენოსან ბრიგადაში უნდა ყოფილიყო ცხენოსანი პოლკი და ორი საარტილერიო ბატარეა. სათადარიგო ნაწილებად კი, განსაზღვრული იყო მხოლოდ ორი ერთეული - ერთი მსროლელი ქვეითი პოლკი და ერთიც საკავალერიო ესკადრონი.[615] დაახლოებით იდენტური უნდა ყოფილიყო სხვა კორპუსების საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურებიც. არმიის სტრუქტურის შესახებ გენერალი კვინიტაძე წერდა: ,,განსაზღვრული იყო ერთი საჯარისო გაერთიანების - ამიერკავკასიის არმიის ჩამოყალიბება ქართული, სომხური და მაჰმადიანური საარმიო კორპუსების, ბერძნული დივიზიისა და გერმანული პოლკის შემადგენლობით".[616] გენერალ კვინიტაძის მემუარში ,,გერმანული პოლკის" ქვეშ, ცხადია, საქართველოში მცხოვრები გერმანელებისგან შემდგარი სამხედრო ნაწილი იგულისხმება და არა მოგვიანებით, 1918 წლის ივნისიდან, საქართველოში შემოყვანილი გერმანული საექსპედიციო კორპუსის ნაწილები და ქვედანაყოფები. გარდა გერმანული პოლკისა, ამიერკავკასიის ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოს 1918 წლის 18 იანვრის №146 გადაწყვეტილებით დაგეგმილი იყო აგრეთვე მსგავსი სტრუქტურის ოსური პოლკის ფორმირებაც.[617] მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ოსთა ეროვნული საბჭო ოსური პოლკის ქართული კორპუსის შემადგენლობაში ჩართვას მოითხოვდა, რასაც ოსთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ა. გაგლოევი თავის 1918 წლის 25 იანვრის №226 წერილით იტყობინებოდა.[618] საბოლოოდ, ოსთა ეროვნული საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე, ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ნოე რამიშვილის გადაწყვეტილებით, სწორედ ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული - ოსური პოლკი სტრუქტურულად ქართულ კორპუსში იქნა ჩართული.[619]

ქართული კორპუსის პირადი შემადგენლობით დაკომპლექტების საქმეში, როგორც ოფიცრების, ასევე რიგითი შემადგენლობის თვალსაზრისით, თითქოს პრობლემები არ უნდა ყოფილიყო, რადგან I მსოფლიო ომის სხვადასხვა ფრონტებზე საქართველოდან გაწვეულთა რაოდენობა ძალიან დიდი იყო. ეს მებრძოლები, როგორც რიგითი შემადგენლობა, ასევე ოფიცერთა კორპუსი, წარმატებით მოქმედებდნენ სხვადასხვა ოპერაციებში და დამსახურებულ სახელს იხვეჭდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით გენერალი ოდიშელიძე თავის რუსულ ენაზე შესრულებულ ნაშრომში, ,,როგორ დაიბადა ქართული არმია" (,,Как родилась Грузинская Армия"), რომელიც პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზე წარსადგენად იყო მომზადებული, აღნიშნავდა: ,,მსოფლიო ომში (აქ I მსოფლიო ომზეა საუბარი და მისი საინტერესო ფომულირებაა მოყვანილი - Всемирная война - ა. ჩ.) რუსეთის არმიის შემადგენლობაში იბრძოდა 180-200 ათასი კაცი საქართველოდან. ამ რიცხვში ჩათვლილია მოხალისეებიც, მაგრამ არა ქართველი ოფიცრები და გენერლები, რომლებიც რუსეთის არმიაში ძალიან ბევრი იყო. ეს რიცხვი საქართველოს მამრობითი მოსახლეობის 20%-ს შეადგენს თუ ჩავთვლით მხოლოდ ქართველ ქრისტიანებს (საქართველოს მთლიანი მოსახლეობა 2 მილიონი), იმდენად, რამდენადაც ქართველი მაჰმადიანები სამხედრო

(საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 13, ფურცელი 11 უკ.).

615 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 13, ფურცელი 42.

616 გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ტომი I. ,,ლომისი". თბილისი. 1999. გვ. 45.

617 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 2.

618 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 4.

619 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 29, ფურცელი 2.

ვალდებულებას არ ექვემდებარებოდნენ.[620] ამგვარად, მოკავშირეთა რიგებში საქართველოს მოსახლეობის გასაწვევი ასაკის მამრობითი მოსახლეობა სამი წლის განმავლობაში მთელი ღირსებითა და დიდებით ეწეოდა დიადი ომის მთელ სიმძიმეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველ ოფიცერთა შემადგენლობის ღვაწლი, რასაც მუდმივად აღნიშნავდნენ რუსი მხედართმთავრები".[621]

როგორც ვხედავთ, საქართველოდან პირველ მსოფლიო ომში მონაწილეთა რაოდენობა ძალიან დიდია, რუსეთის საიმპერატორო არმიის რიგებში მომსახურე ქართველი ეროვნების ოფიცერთა პროფესიონალიზმი კი, ძალიან მაღალი. ამ თემასთან მიმართებაში თავის მემუარში გენერალი კვინიტაძე აღნიშნავდა, რომ პირველ მსოფლიო ომში საქართველოდან 155 ათასი კაცი მონაწილეობდა.[622]

სომხური კორპუსის სტრუქტურა შემდეგნაირად განისაზღვრა: ორი ქვეითი დივიზია, ერთი განსაკუთრებული დივიზია, ცხენოსანი ბრიგადა, საინჟინრო პოლკი და მორტირების დივიზიონი. გარდა ამისა - 5 ცალკეული პოლკი, შემდეგი დისლოკაციებით: შულავერი, შუშა, ვართაშენი, ახალქალაქი, ნახიჭევანი. და კიდევ ერთი დამატებითი პოლკი რკინიგზის დასაცავად. ჩანაფიქრის მიხედვით, ეს ე.წ. ,,განსაკუთრებული დივიზია" უნდა შემდგარიყო ოსმალეთის სომხებისაგან. მისი პოლკები კი, შესაბამისად უნდა დისლოცირებულიყვნენ ოსმალეთის შემდეგ ქალაქებში - არზრუმი, ყარაქილისა, ხნისი (ხნუსი) და ვანი. საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურით თითოეული დივიზია ოთხპოლკიანი უნდა ყოფილიყო თავისი საარტილერიო ბატარეებით. ,,განსაკუთრებულ დივიზია" კი, ,,ჩვეულებრივ" დივიზიებთან შედარებით უფრო მძლავრი სამხედრო ნაწილი უნდა ყოფილიყო. მასში დამატებით განსაზღვრული იყო საკავალერიო დივიზიონისა და სამთო არტილერიის ერთი ბრიგადის შექმნა. თავის მხრივ, სამთო არტილერიის ბრიგადაში განსაზღვრული იყო სამი დივიზიონის ჩართვა სამ-სამი ბატარეით. საკავალერიო დივიზიონში კი, განსაზღვრული იყო დამატებით საარტილერიო ბატარეის ჩართვა. ცხენოსანი ბრიგადა შედგებოდა ორი ცხენოსანი პოლკისა და ორი საარტილერიო ბატარეისაგან. ამ ყველაფერთან ერთად თითოეული დივიზიისათვის განსაზღვრული იყო აგრეთვე თითო სათადარიგო მსროლელი პოლკის შექმნა. ასევე სათადარიგო საინჟინრო პოლკი, სათადარიგო ესკადრონი და ორი სასწავლო საარტილერიო ბატარეა.[623] ამავე დროს, სომხური სამხედრო საბჭო თავისი 1917 წლის 29 დეკემბრის №664 წერილით

---

620 მეფის რუსეთში არა მარტო ქართველი მაჰმადიანები, არამედ საერთოდ იმპერიაში მცხოვრები მაჰმადიანები არ ექვემდებარებოდნენ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას, რადგან იმპერია მათ არასანდო ელემენტად მიიჩნევდა. გამონაკლისს წარმოადგენდა I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, 1914 წლის 23 აგვისტოს კავკასიის ფრონტზე შექმნილი რუსეთის საიმპერატორო არმიის ერთ-ერთი გამორჩეული საკავალერიო შენაერთი – ,,კავკასიის ადგილობრივი ცხენოსანი დივიზია" (Кавказская туземная конная дивизия), რომელიც უფრო ცნობილი იყო ,,ველური დივიზიის" (Дикая дивизия) დასახელებით. ეს შენაერთი, რომლის პირადი შემადგენლობის 90% მოხალისე კავკასიელი მუსლიმებით იყო დაკომპლექტებული, დივიზიის მმართველობისგან და ორ-ორ საკავალერიო პოლკიანი სამი ბრიგადისგან შედგებოდა. ამ დივიზიაში რუსეთის თავადაზნაურობის მრავალი წარმომადგენელი მსახურობდა ოფიცრად. დივიზიის პირველ მეთაურს კი, თვით იმპერატორის უმცროსი ძმა, მისი უდიდებულესობის ამალის წევრი, გენერალ-მაიორი, დიდი მთავარი მიხაილ ალექსანდროვიჩ რომანოვი წარმოადგენდა. შემდგომში კავკასიის ველურ დივიზიას მეთაურობდნენ გენერალ-ლეიტენანტი თავადი დიმიტრი ბაგრატიონი, გენერალ-ლეიტენანტი პიოტრ პოლოვცევი, გენერალ-მაიორი ალექსანდრ გაგარინი, სპარსეთის პრინცი ფაიზულა მირზა ყაჯარი.

621 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 8, ფურცელი 2.

622 გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ტომი I. „ლომისი". თბილისი. 1999. გვ 49.

623 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 13, ფურცელი 41.

თხოვდა სომხური კორპუსის სარდალს, რომ თბილისში დამატებით შემდგარიყო სომხური სათადარიგო ბატალიონი, ქალაქიდან მე-3 სომხური მსროლელი პოლკის წასვლის გამო ,,თბილისის გუბერნიაში დეზერტირობის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისა და საყარაულო სამსახურის საწარმოებლად".[624]

მუსულმანური კორპუსის საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურას კი, შემდეგი სახე უნდა ჰქონოდა: ორი ქვეითი დივიზია, ერთი საკავალერიო ბრიგადა, მორტირების დივიზიონი და მესანგრეთა ბატალიონი. ქართული და სომხური ქვეითი დივიზიებისაგან განსხვავებით აქ განსაზღვრული იყო არა სამი ქვეითი პოლკი, არამედ ოთხი. ქვეით დივიზიებში არსებული საარტილერიო ბრიგადის სტრუქტურა კი, იდენტური იყო. ანუ - სამ-სამ ბატარეიანი ორი საარტილერიო დივიზიონი და პარკი. განსაზღვრულ იყო აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი თითო-თითო სათადარიგო ნაწილის შექმნა - მსროლელი პოლკი, სასწავლო ბატარეა, მესანგრეთა ასეული და ცხენოსანი ესკადრონი.[625] როგორც ვხედავთ, თავისი სტრუქტურითა და პირადი შემადგენლობის რიცხოვნობით სომხური კორპუსი აღემატებოდა ქართულ და მუსულმანურ კორპუსებს, მაგრამ ყველაზე დიდი და მრავალფეროვანი ,,ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმიის" შემადგენლობაში რუსული კორპუსი უნდა ყოფილიყო: ორი ქვეითი დივიზია, ერთი ცხენოსანი ბრიგადა, საარტილერიო ბრიგადა, მესანგრეთა ბატალიონი. გარდა ამისა, დამატებით - მეტყვიამფრქვევეთა ასეული, საავიაციო რაზმი, მოტოციკლისტთა რაზმი, რადიოსატელეფონო რაზმი, ჯავშანმანქანების რაზმი, საეტაპო ბრიგადა და საჭაპანე ბატალიონი. სხვა ეროვნული დივიზიებისაგან განსხვავებით, რუსულ ქვეით დივიზიაში დამატებით განსაზღვრული იყო ერთი საკავალერიო ესკადრონი და მეტყვიამფრქვევეთა ასეული. სხვა კორპუსების საკავალერიო ბრიგადებისგან განსხვავებით აქ დამატებით იყო განსაზღვრული კიდევ ერთი სათადარიგო ესკადრონი. სათადარიგო ნაწილებად კი, მოაზრებული იყო ქვეით დივიზიებში შემავალი ორ-ორი ქვეითი პოლკი და ერთი სასწავლო ბატარეა.

ქართულ, რუსულ, სომხურ და მუსულმანურ კორპუსებთან ერთად ,,ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმიის" შემადგენლობაში უნდა ჩართულიყო აგრეთვე ერთი ბერძნული დივიზია სამი ქვეითი პოლკის, საარტილერიო დივიზიონის, საინჟინრო ასეულის, ცხენოსანი დივიზიონისა და ერთი სათადარიგო მსროლელი პოლკის შემადგენლობით.[626] 1918 წლის 7 იანვრის ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოს სხდომაზე დაისვა საკითხი აგრეთვე ებრაული ბატალიონის შექმნის შესახებ. პრეზიდიუმმა ამ საკითხის განხილვა და გადაჭრა პლენარულ სხდომას მიანდო.[627] ნაციონალური ნაწილების შექმნის საკითხი ,,საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომისიის" მიერაც განიხილებოდა, რაც დაფიქსირდა კიდეც ამ ორგანიზაციის 1918 წლის 14 თებერვლის სხდომის №1 ოქმში.[628] სხდომის თავმჯდომარეს ვალიკო ჯუღელი წარმოადგენდა. დიახ, ,,საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომისია" - ასეთი დასახელება ჰქონდა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა იმ გასამხედროებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას,

---

624 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 20, ფურცელი 3.

625 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 13, ფურცელი 43.

626 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 13, ფურცელი 49.

627 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 10.

628 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდის და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 48.

რომელსაც მალე ,,წითელი გვარდიის შტაბი“,[629] ხოლო 1918 წლის 2 ივლისიდან ,,სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი“ ეწოდა. მთავარი შტაბის თავმჯდომარედ ვალიკო ჯუღელი იქნა არჩეული. სხდომაზე გამოტანილ დადგენილებას შემდეგი სახე ჰქონდა: ,,დაისვას საკითხი სამხარეო ცენტრის წინაშე ნაციონალური საჯარისო ნაწილების არსებობის შესახებ“. განსაზღვრული იყო ასევე პოლონური და უკრაინული დივიზიების შექმნა, მაგრამ ყველა ეს გეგმა და ჩანაფიქრი, გასაგები მიზეზების გამო, აღარ განხორციელებულა და იგი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

რაც შეეხება ნაციონალური კორპუსების სამეთაურო შემადგენლობას. მუსულმანური კორპუსის სარდლად გენერალ-ლეიტენანტი ალი-აღა შიხლინსკი დაინიშნა, შტაბის უფროსად - პოლკოვნიკი მენშუკოვი, სომხური კორპუსის სარდლად - გენერალ-მაიორი თომა ნაზარბეგოვი, შტაბის უფროსად - პოდპოლკოვნიკი სკლიარევიჩი, განსაკუთრებული შერეული სომხური კორპუსის სარდლად - გენერალ-მაიორი ანდრანიკ ოზანიანი, მისი შტაბის უფროსად - პოლკოვნიკი ზინკევიჩი, ქართული კორპუსის სარდლად - პოლკოვნიკი ალექსანდრე ახმეტელაშვილი, შტაბის უფროსად კაპიტანი გედევანიშვილი, ბერძნული დივიზიის მეთაურად - პოლკოვნიკი ანანიო, შტაბის უფროსად - კაპიტანი ნიკიფორაკი, რუსული კორპუსის სარდლად - პოლკოვნიკი დრაცენკო, შტაბის უფროსად - პოლკოვნიკი პიკოვსკი. პოლონური დივიზიის სარდლად - პოდპოლკოვნიკი მაკარევიჩი.

,,ამიერკავკასიის მოხალისეთა არმიის“ ნაციონალური კორპუსების პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა შემდეგი იყო:

სომხური საარმიო კორპუსის პირადი შემადგენლობა: 1287 ოფიცერი და 10388 ჯარისკაცი. სულ - 11675 სამხედრო მოამსახურე;

განსაკუთრებული შერეული სომხური კორპუსის პირადი შემადგენლობა: 179 ოფიცერი, 13679 ქვეითი ჯარისკაცი და 1000 ცხენოსანი. სულ - 14858 სამხედრო მოსამსახურე;

ქართული საარმიო კორპუსის პირადი შემადგენლობა: 924 ოფიცერი, 9746 ქვეითი ჯარისკაცი და 611 ცხენოსანი. სულ - 11281 სამხედრო მოსამსახურე;

რუსული საარმიო კორპუსის პირადი შემადგენლობა: 577 ოფიცერი და 663 ჯარისკაცი. (შეიძლება ეს მონაცემები არასრული იყოს) სულ - 1240 სამხედრო მოსამსახურე;

მუსულმანური კორპუსის პირადი შემადგენლობა: 1 მარტისათვის კორპუსი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, არსებობდა მხოლოდ შტაბი 150 ოფიცრის შემადგენლობით;

ბერძნული დივიზიის პირადი შემადგენლობა: 175 ოფიცერი და 3800 ჯარისკაცი. სულ - 3975 სამხედრო მოსამსახურე;

1918 წლის 1 მარტის მდგომარეობით პოლონური დივიზიის შესახებ კონკრეტული ცნობები არ მოიპოვება. ერთი თვის შემდეგ კი, პირადი შემადგენლობის არ არსებობი გამო, გენერალ ლებედინსკის ბრძანებით, ამ დივიზიის ფორმირება შეწყდა.

საერთო ჯამში, 1918 წლის გაზაფხულისათვის კავკასიის ფრონტის ნაციონალური შენაერთები ითვლიდნენ 23029 ოფიცერსა და ჯარისკაცს.[630] ,,ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმიის“ პირადი შემადგენლობის ფინანსური დაინტერესება კი, შემდეგი იყო - ყოველ დღეზე ოფიცრებს არსებულ ხელფასზე 5 რუბლი ეძლეოდათ, ხოლო ჯარისკაცებს - 2 რუბლი. მოხალისეთა არმიაში სამხედრო სამსახურის ყოველი დღე 2 დღედ ჩაითვლებოდა. მიუხედავად დიდი მოსამზადებელი სამუშაოებისა, 1918 წლის დასაწყისიდან I მსოფლიო ომის კავკასიის

---

629 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდის და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 50.

630 Ваагн Аглян, кандидат исторических наук. О формировании Армянского корпуса (1917–1918). Русский Сборник: Исследования по истории России / Ред.сост. О. Р. Айрапетов, Мирослав Йованович, М. А. Колеров, Брюс Меннинг, Пол Чейсти. Том VI. М.: Модест Колеров, 2009, с. 144. http://ysu.am/files/Aglyan_O_ Formirovanii%20_Armyanskogo%20Korpusa.pdf

ფრონტზე მიმდინარე მოვლენების, აგრეთვე ამიერკავკასიაში არსებული რევოლუციური ქაოსისა და ჯარისკაცთა მასების ბოლშევიზაციის გამო, დასმული ამოცანა ვერ შესრულდა.[631] ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, 1917 წლის ბოლოსთვის, ,,ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალურ არმია“ სტრუქტურულად შემდეგი სქემის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:



რეგიონში განვითარებული ცნობილი სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების გამო, რომელიც ზემოთ, წიგნის შესაბამის ნაწილში გვქონდა განხილული, დაგეგმილი სამხედრო პროექტი ვერ შედგა. საერთო-კავკასიური საჯარისო გაერთიანება - ,,ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმია“ ვერ ჩამოყალიბდა. 1918 წლის მაისის ბოლოს ამიერკავკასიის ფედერაცია ცალკეულ რესპუბლიკებად დაიშალა...

[631] А. Ю. Безугольный – кандидат исторических наук, старший научный сотрудник Института военной истории МО РФ. Демократическая республика Грузия и ее вооруженные силы. 1918-1921 гг. Вопросы истории. №10, 2009. Стр. 88.

§2.2. საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება და ჯარების საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურა 1918 წელს

Si vis pacem, para bellum...

1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიაში შექმნილი რთული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო სეიმის[632] უკანასკნელი სხდომა გაიმართა, რომელმაც ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობითმა ორგანომ - საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. სწორედ მისმა თავმჯდომარემ, ბატონმა ნოე ჟორდანიამ წაიკითხა ,,საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი", რის საფუძველზეც გაჩნდა საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტი - ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა". ამავე დღეს ჩამოყალიბდა რესპუბლიკის მთავრობაც.

ამჯერად არ განვიხილავთ მთელი 1918 წლის განმავლობაში ამიერკავკასიის რეგიონში მიმდინარე რთული სამხედრო-პოლიტიკურ პროცესების სრულ სპექტრს. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ პირველი ქართული რესპუბლიკა ომში იშვა, მისი სამხედრო უწყების დაქვემდებარებაში კი, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ქართული საჯარისო ნაწილები და ქვედანაყოფები გადავიდა. სამხედრო აპარატისა და სამხედრო ნაწილების მართვა-ფუნქციონირება, დროებით, ამიერკავკასიის ფედერაციის შესაბამისი უწყებრივი რგოლების ფუნქციონირების ანალოგიით წარიმართა. ბუნებრივია, ახალგაზრდა სახელმწიფოს პირველ რიგში შესაბამის საკანონმდებლო ბაზაზე დაფუძნებული საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნა სჭირდებოდა, რაზე მუშაობაც რესპუბლიკის შექმნის პირველივე დღეებიდან დაიწყო.

დასმული საკითხის განხილვასა და შემდგომ ანალიზს საარქივო დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე მოვახდენთ და საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების მიერ

---

632 ამიერკავკასიის სეიმი – ამიერკავკასიის სახელმწიფოს საკანონმდებლო წარმომადგენლობითი ორგანო. მოწვეულ იქნა თბილისში ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ 1918 წლის 10 (23) თებერვალს. იგი შედგებოდა ამიერკავკასიიდან არჩეული სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრებისაგან. ესენი იყვნენ ათი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები: სოციალ-დემოკრატები, კადეტები, ესერები, დაშნაკები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, მუსავატელები, იტიჰადისტები, მუსლიმი სოციალისტები და პარტია ,,ჰუმეტი". ყველაზე მეტი წარმომადგენლები ჰყავდათ სოციალ-დემოკრატებს – 32, მუსავატელებს – 30, დაშნაკებს – 27. სეიმის თავმჯდომარეს ქართველი სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე წარმოადგენდა. სეიმის მოსაწვევად არჩევნები არ ჩატარებულა და იგი რეგიონის ერთა შეთანხმების მაკოორდინირებელ საშუალებად გამოცხადდა. ამიერკავკასიის სეიმის უფლებამოსილების შესახებ მოხსენება ამიერკავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ გააკეთა. დამტკიცდა სეიმის ხუთი კომისია – აგრარული, თავდაცვის, საპარლამენტო, მუშათა და სასურსათო. ეს კომისიები ამიერკავკასიის ერთიან მთავრობას უნდა დაქვემდებარებოდა და რეგიონის მართვაში ხელშემწყობი ორგანოს ფუნქცია უნდა ეტვირთა. ამიერკავკასიის სეიმის 22 აპრილის სხდომაზე გამოცხადდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, ხოლო ერთი თვის შემდეგ, იმავე წლის 26 მაისს, რეგიონში შექმნილი უმძიმესი სამხედრო-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, სეიმმა თვითლიკვიდაცია გამოაცხადა.

გამოცემული სამართლებრივი აქტებით შემოვიფარგლებით. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ დროისათვის არსებული პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობითი ორგანო - საქართველოს ეროვნული საბჭო, სახელმწიფოს ფაქტობრივ საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა, რომელსაც 1918 წლის 8 ოქტომბრიდან ,,საქართველოს პარლამენტი" ეწოდა.[633]

1918 წლის მაისის ბოლოს ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ერთდროულად თითოეული რესპუბლიკისათვის დღის წესრიგში საკუთარი ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის ამოცანაც დადგა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე, 1918 წლის 26 მაისს შეიქმნა საქართველოს მთავრობაც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით. სამხედრო მინისტრად ამიერკავკასიის ფედერაციის ყოფილი სამხედრო მინისტრი, გრიგოლ გიორგაძე დაინიშნა. მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა კი, წინა დღით, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 25 მაისის ღამით გამართულ სხდომაზე დამტკიცდა, რომელიც მე-5 საკითხად იყო გატანილი.[634] აქვე დადგინდა, რომ ,,დამოუკიდებელ საქართველოში დროებით იმოქმედებდა ყველა ის ძველი კანონები და სეიმის დადგენილებანი, რომელნიც მოქმედებდნენ დღევანდლამდის ამიერკავკასიაში".[635] როგორც ზემოთ ითქვა, აუცილებლად ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ პირველი ქართული რესპუბლიკა გლობალურ ომში იშვა. ამ მომენტისათვის ბათუმის ოლქი უკვე ოკუპირებულია გენერალ მეჰმედ ვეჰიბ ფაშას[636]

---

633 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი 44უკ.

634 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 49, ფურცელი 3უკ.

635 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 49, ფურცელი 3.

636 მეჰმედ ვეჰიბ ფაშა (თურქ. Mehmed Vehib Paşa) (1877-1940წ.წ.) – ალბანური წარმომავლობის ოსმალო სამხედრო მოღვაწე და სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი (ფერიკი), იტალია-თურქეთის (1911წ.), ბალკანური ომების (1912-1913წ.წ.), I მსოფლიო ომისა და იტალია-აბისინიის (1935-1936წ.წ.) ომის აქტიური მონაწილე, იტიჰადისტთა პარტიის წევრი. 1899 წელს ამთავრებს სამხედრო-საინჟინრო სკოლას, შემდეგ იმპერიის სამხედრო კოლეჯს. კაპიტნის ჩინით სამსახურს იწყებს იემენში დისლოცირებულ ოსმალთა მე-4 არმიაში. 1909 წელს სამსახურს აგრძელებს იმპერიის სამხედრო სამინისტროში. იმავე წელს იღებს მაიორის წოდებას და ინიშნება კადეტთა სკოლის უფროსად. ბალკანური ომების დროს მსახურობს თავისი უფროსი ძმის, გენერალ მეჰმედ ესად ფაშას საარმიო კორპუსის შემადგენლობაში. 1913 წლის 20 თებერვალს ბერძნებთან ბრძოლის დროს ტყვედ ვარდება. ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ იგზავნება ჰიჯაზის არმიაში, სადაც იღებს პოლკოვნიკის სამხედრო წოდებას. I მსოფლიო ომში მონაწილეობდა ჰალიპოლისის (გალიპოლი) ოპერაციაში, სადაც სარდლობდა XV საარმიო კორპუსს, შემდეგ – მე-2 არმიას. აქვე იღებს ბრიგადის გენერლის წოდებას. 1917 წლისათვის ოსმალთა კავკასიის ფრონტის სარდალი და გენერალ-ლეიტენანტია. კავკასიის არმიათა ჯგუფში გაერთიანდა მე-9 (გენერალი იაყუბ შევქი ფაშა), მე-3 (გენერალი მეჰმედ ესად ფაშა) და მე-6 (გენერალი ჰალილ ფაშა ქუთი) არმიები. 1918 წლის თებერვალ-მარტში წარმატებული შეტევითი კამპანიის შედეგად იღებს I მსოფლიო ომის მსვლელობაში რუსული შენაერთების მიერ დაკავებულ ერზინჯანს, არზრუმსა და ტრაპიზონს. იმავე წლის აპრილ-მაისში მისი არმიების შენაერთები ახდენენ არდაგანის, ყარსის, ბათუმისა და ალექსანდროპოლისის ოლქებისა და ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ოკუპაციას. 1918 წლის ოქტომბრიდან ინიშნება სრუტეების რაიონში გაშლილი ოსმალთა 1-ლი არმიის სარდლად. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მას ბრიტანელები აპატიმრებენ, მაგრამ ახერხებს ციხიდან გაქცევას და ემიგრაციაში მიდის საზღვარგარეთ. თავს აფარებს ჯერ იტალიას, შემდეგ გადადის გერმანიაში, რუმინეთში, საბერძნეთსა და ეგვიპტეში. ოპოზიციაში უდგება გენერალ მუსტაფა ქემალის მიერ ანატოლიაში დაწყებულ წინააღმდეგობის ახალ თურქულ მოძრაობას, რის გამოც იძულებული გახდა დარჩენილიყო ემიგრაციაში. აქტიურად მონაწილეობდა 1935-1936 წლების იტალია-აბისინიის ომში აბისინიელთა მხარეს სამხრეთის ფრონტის შტაბის უფროსის თანამდებობაზე. ხელმძღვანელობდა მძლავრი თავდაცვითი ზღუდის, აბისინიური ე.წ. ,,ჰინდენბურგის ხაზის" ორგანიზებას.

მე-3 არმიის ბაზაზე ფორმირებული მე-9 არმიის შენაერთების მიერ. მათი წინსვლა ჩრდილო-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით გრძელდება და საფრთხე უკვე არა მხოლოდ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებს, არამედ უშუალოდ თბილისსაც ემუქრება. ამავე დროს, ჩრდილოეთით, დუშეთის მაზრაში, ვლადიკავკაზის მხრიდან იწყება ბოლშევიკური ბანდების გააქტიურება და საბრძოლო მოქმედებები არაგვის ხეობაში. აფხაზეთის რეგიონში კი, ვალიკო ჯუღელის[637] მეთაურობით ამიერკავკასიის წითელი გვარდია აწარმოებს საბრძოლო მოქმედებებს იქ შემოჭრილი რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ. ამ მდგომარეობით კარგად ისარგებლეს ჩრდილო კავკასიელმა ბოლშევიკებმა და სრულიად ახალგაზრდა ქართული რესპუბლიკის წინააღმდეგ ძალთა კონსოლიდაციის სტრატეგიას მიმართეს. მაისის ბოლოს ყუბანისა და შავიზღვისპირეთის საბჭოების III ყრილობაზე ე.წ. ,,ყუბანისა" და ,,შავიზღვისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკები" ერთ წარმონაქმნად ერთიანდებიან.[638] გარდა ამისა, ახლადგაჩენილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

ომის დასრულებისა და იტალიური ოკუპაციის შემდეგ ტოვებს ეთიოპიას და გადადის ეგვიპტეში. თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალების შემდეგ, 1938 წლიდან, ბრუნდება თურქეთის რესპუბლიკაში და ფუძნდება კონსტანტინოპოლში. გარდაიცვალა 1940 წელს.

637 ვლადიმერ (ვალიკო) ჯუღელი (1887-1924წ.წ.) – ქართველი რევოლუციონერი, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა. საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო წარმომადგენლობითი ორგანოს – დამფუძნებელი კრების წევრი, ამიერკავკასიის წითელი და საქართველოს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უცვლელი უფროსი და ფაქტობრივი სარდალი, საქართველოს ,,დამოუკიდებლობის კომიტეტის" წევრი. დაიბადა სოფელ სვირში. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. აქვე ეზიარა მარქსისტულ იდეოლოგიას და აქტიურად ჩაება სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში. მონაწილეობას იღებდა 1904-1905 წლების საპროტესტო გამოსვლებში. 1912 წელს დაამთავრა სოხუმის გიმნაზია და სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში. სტუდენტობის წლებში აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, მუშაობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკურ ფრაქციაში. 1916 წელს ჩამოდის თბილისში და აგრძელებს რევოლუციურ და ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. მალე აპატიმრებენ და სვამენ მეტეხის ციხეში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ პატიმრობიდან თავისუფლდება. ამის შემდგომ ემხრობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკურ ფრაქციას. იყო თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, 1918 წლიდან – ამიერკავკასიის სეიმისა და საქართველოს პარლამენტის წევრი. 1917 წლის 12 დეკემბერს მისი და ვალოდია გოგუაძის მეთაურობით თბილისის რევოლუციურად განწყობილმა მუშათა ჯგუფმა დაიკავა თბილისის არსენალი და განაიარაღა მისი გაბოლშევიკებული დაცვა. ამ აქტით საფუძველი ჩაეყარა წითელი, მოგვიანებით სახალხო გვარდიის შექმნას, რომელსაც სათავეში ვალიკო ჯუღელი ჩაუდგა. იყო უაღრესად პრინციპული და პირდაპირი პიროვნება, გამოირჩეოდა არნახული პირადი სიმამაცითა და შეუპოვრობით. მონაწილეობდა 1918-1921 წლებში საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ წარმოებულ ყველა დიდ-პატარა ომსა თუ ბრძოლაში, იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის და რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, მთავრობის წევრებთან და ქართველ სამხედროებთან ერთად ტოვებს სამშობლოს და მიდის ემიგრაციაში. ემიგრაციაში ყოფნის დროს, საფრანგეთში ამუშავებდა საქართველოში ანტიბოლშევიკური აჯანყების გეგმას. 1923-1924 წლებში სამხედრო წვრთნებს გადიოდა საფრანგეთის რესპუბლიკის არმიის 35-ე ქვეითი პოლკის პირად შემადგენლობასთან ერთად. 1924 წელს, საქართველოში დაგეგმილ აჯანყებაში მონაწილეობის მიზნით, თანამებრძოლებთან ერთად არალეგალურად ბრუნდება სამშობლოში, სადაც შედის დამოუკიდებლობის კომიტეტის (დამკომი) სამხედრო კომისიის შემადგენლობაში და სათავეში უდგება ანტისაბჭოთა აჯანყების სამზადისს. 1924 წლის 6 აგვისტოს ბოლშევიკებმა დააპატიმრეს და მალევე, 30 აგვისტოს დახვრიტეს. მისი საფლავი არ არსებობს. ვალიკო ჯუღელმა დაგვიტოვა რუსულ ენაზე 1920 წელს გამოცემული მეტად საინტერესო მემუარული ხასიათის ნაწარმოები – ,,მძიმე ჯვარი. (სახალხო გვარდიელის ჩანაწერები). ე. პ. გეგეჭკორის წინასიტყვაობით." Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегеткори.

638 Осадчий И. П. За власть трудового народа. - Краснодар, 1987. გვ. 97.

მისამართით მუქარის ხმები უკვე ,,ამიერკავკასიის ბოლშევიკური მოძრაობის მექადან", ბაქოდანაც გაისმა. ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებთან პარალელურად, ამიერკავკასიის ფედერაციის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად დაშლიდან ორ დღეში, 1918 წლის 29 მაისს, შაუმიანის ბრძანებით, ბაქოს კომუნის ბოლშევიკურ-დაშნაკურმა ე.წ. ,,წითელმა არმიამ" შეტევითი მოქმედებები დაიწყო დასავლეთისაკენ, განჯისა (ელიზავეტპოლი) და თბილისის მიმართულებაზე. ფაქტია, რომ ახალგაზრდა ქართული რესპუბლიკა სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთიდან ოსმალური, ხოლო ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან რუსული ბოლშევიკური აგრესიის რკალში ექცეოდა. ერთის მხრივ, ოსმალეთის სამხედრო მინისტრსა და იმპერიის ფაქტიურ მმართველს, გენერალ ისმაილ ენვერ ფაშას თავისი ,,დიდი თურანული პროექტის" აღსრულება ამოძრავებდა, ხოლო მეორეს მხრივ, ლენინი ამიერკავკასიას და საქართველოს ისევ რუსეთის შემადგენლობაში მოიაზრებდა და ასე ადვილად ვერ ელეოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ნათელია, რომ ბოლშევიკური რუსეთი პროვოკაციებისა და პირდაპირი სამხედრო ჩარევების გზით საქართველოს გასაბჭოებას შეეცდებოდა. აი, ასეთი ურთულესი სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების ფონზე მიმდინარეობდა ქართული ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის პროცესი.

28 მაისს გამართულ საქართველოს მთავრობის სხდომას სამხედრო მინისტრი, გრიგოლ გიორგაძე თავმჯდომარეობდა. სულ განხილული იყო 15 საკითხი. მე-13 საკითხად რესპუბლიკის სამხედრო მინისტრისა და სხდომის თავმჯდომარის მიერ გამოტანილ იქნა ,,ამიერკავკასიის ჯარების ყოფილი მთავარსარდლის კომპეტენციის ფარგლების განსაზღვრის საკითხი".[639] ამიერკავკასიის ფედერაციის ყოფილი სამხედრო მინისტრის თანაშემწე და ამიერკავკასიის ჯარების მთავარსარდალი, გენერალ-მაიორი გიორგი კვინიტაძე საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილედ და საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა. სხდომას ესწრებოდნენ მინისტრები: იუსტიციის - შ. ვ. ალექსი-მესხიევი, სახალხო განათლების - გ. მ. ლასხიშვილი; ვაჭრობის, მრეწველობის და ფინანსების - გ. დ. ჟურული; მიწათმოქმედების და შრომის - ნ. ი. ხომერიკი: გზათა შეტყობინების და სურსათის - ი. ნ. ლორთქიფანიძე; მინისტრის ამხანაგები: სამხედრო - გ. ი. კვინიტაძე; მიწათმოქმედების - პ. პ. გელეიშვილი; შინაგან საქმეთა - გვარჯალაძე; შრომის - ფირცხალაიშვილი; გზათა შეტყობინების - მალანია; ფინანსთა - კ. პ. კანდელაკი; ქართულ პრესაში ეს დანიშვნა 31 მაისს გამოქვეყნდა.[640]

ბუნებრივია, დამოუკიდებელ სახელმწიფოს საკუთარ საკანონმდებლო სივრცეში მოქცეული სამხედრო უწყება ესაჭიროებოდა და უკვე 2 ივნისს გამართულ მთავრობის სხდომაზე, რომელსაც ისევ გრიგოლ გიორგაძე თავმჯდომარეობდა, გენერალმა კვინიტაძემ მე-6 საკითხად განსახილველად შემოიტანა კანონ-პროექტი ,,სამხედრო უწყების დროებითი მმართველობის შექმნის შესახებ". მთავრობის წევრების გარდა სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე ალექსანდრე წერეთელი, ნოე ჟორდანია და სილიბისტრო ჯიბლაძე.

მოხსენების თეზისებს შემდეგი სახე ჰქონდა:

- სამხედრო მმართველობის სათავეში დგას სამხედრო სამინისტრო, რომელიც იმართება:

1. სამხედრო მინისტრით;
2. სამხედრო მინისტრის ამხანაგით;
3. სამხედრო საბჭოთი;
4. კანცელარიით;

---

639 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი 4.

640 გაზეთი ,,ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. №111. 1918 წლის 31 მაისი.

აქვე ხაზგასმული იყო, რომ სამხედრო მინისტრის ამხანაგი ამავე დროს წარმოადგენდა ჯარების მთავარსარდალს;

- ჯარების მართვა იყოფა ორ კატეგორიად:

1. საველე შტაბები;
2. გენერალური შტაბი;

საველე შტაბი განკარგავს სამწყობრო ნაწილების სწავლებას, თანამდებობებზე დანიშვნას, მორიგი სამხედრო წოდების მინიჭებას. აქვე არის მომარაგების უფროსის სამმართველოც (საარტილერიო, საინჟინრო, საინტენდანტო). საველე შტაბი, რომელიც ემსახურება მშვიდობის საქმეს, ნებისმიერ მომენტში მზად უნდა იყოს ომისათვის.

გენერალური შტაბი - აკადემიური დაწესებულებაა, რომელიც დაკავებულია ზურგის საკითხების გადასაჭრელად: ქვეყნის თავდაცვა, მობილიზაცია, ტოპოგრაფია, კანონ-პროექტების შემუშავება და სხვა.[641]

მიღებულ იქნა დადგენილება:

1. სამხედრო უწყების მართვის დროებითი პროექტი დამტკიცდეს;
2. ეთხოვოს მთავარსარდალს დაუყოვნებლივ შეუდგეს დაგეგმილი რეორგანიზაციის განხორციელებას;
3. ეთხოვოს მთავარსარდალს გადაბეჭდოს მოხსენება და გაგზავნოს იგი დასკვნისათვის ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიაში;[642]

1918 წლის 5 ივნისს გამართულ მთავრობის სხდომაზე, რომელსაც ისევ სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე თავმჯდომარეობდა, განხორციელდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სინამდვილეში პირველი სამხედრო გაწვევა.[643] იგივე საკითხი იყო განხილული 1918 წლის 12 ივნისს გამართულ რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზეც, რომელიც წარადგინა სამხედრო მინისტრმა. მიღებულ იქნა დადგენილება, რომ ,,დაეტოვებინათ საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში 19-23 წლის ასაკის ახალგაზრდები. 23 წლის ახალგაზრდები დაეთხოვათ სამხედრო სამსახურიდან თანდათან, მინისტრის შეხედულების შესაბამისად".[644] იგივე საკითხი პარალელურად განიხილებოდა საქართველოს ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის მიერ თავის პირველ სხდომაზე, რომელიც 1918 წლის 17 ივნისს ჩატარდა.

როგორც ნაშრომის შესაბამის თავში იყო ნახსენები, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანული პროტექტორატით აღიჭურვა, სადაც ივნისის დასაწყისიდან გერმანული ქვედანაყოფები იწყებენ შემოსვლას. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, გერმანელთა ამოცანას, ყველაფერთან ერთად, ბრძოლისუნარიანი ქართული ჯარის ჩამოყალიბებაც შეადგენდა, რომელიც დამოუკიდებლად შეძლებდა მის წინაშე მდგარი რთული ამოცანების შესრულებს. შესაბამისად, ქართული რეგულარული ჯარის ორგანიზების საქმეში გერმანელებიც ჩაერთვნენ. გერმანიის სამხედრო და დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელმა ამიერკავკასიაში, არტილერიის გენერალმა კრეს ფონ კრეზენშტაინმა, სამხედრო კომისიას სამხედრო სამინისტროსა და ჯარების სტრუქტურული მოწყობის საკუთარი პროექტიც წარუდგინა განსახილველად. ამ საკითხებზე მუშაობა კომისიის 11 და 12 ივლისს გამართულ

---

641 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი (16-17).

642 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 59.

643 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი 24.

644 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი 34.

სხდომებზეც გაგრძელდა. საბოლოოდ, კომისია სამხედრო სამინისტროს შვიდგანყოფილებიანი სტრუქტურის ქართულ-გერმანულ შეჯერებულ ვარიანტზე შეთანხმდა. ეს განყოფილებები იყო - საერთო, პირადი შემადგენლობის, გენერალური შტაბის, ადმინისტრაციული, სანიტარული, საპენსიო და იურიდიული.[645] 29 ივლისს ,,სრულიად საიდუმლო" გრიფით გენერალური შტაბი ამუშავებს ,,საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანიზაციის კანონ-პროექტს".[646] პროექტი გადაეცა საქართველოს ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიას, რომელმაც საკითხი 1918 წლის 5 აგვისტოს №13 სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა.[647] 13 აგვისტოს გამართულ სხდომაზე კი, დამუშავებული კანონ-პროექტი გადასცა სარედაქციო კომისიას.[648] 17 აგვისტოს კანონ-პროექტის რედაქტირებული ვარიანტი განხილვისათვის ეროვნულ საბჭოს გადაეცა.[649]

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1918 წლის 6 აგვისტოს მთავრობის სხდომაზე მე-2 საკითხად გატანილ იქნა ,,აფხაზეთის თავდაცვისა და სამხედრო ნაწილთა შედგენის", ასევე, მობილიზაციის შესახებ კანონი.[650] საქმე იმაშია, რომ აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლება - აფხაზთა სახალხო საბჭო, თავიდანვე მიესალმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ფაქტს და მან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აღიარა. აფხაზთა სახალხო საბჭომ თხოვნით მიმართა საქართველოს ეროვნულ საბჭოს ,,აფხაზეთში ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანიზებისათვის აფხაზთა სახალხო საბჭოს განკარგულებაში დაეტოვებინა საქართველოს წითელი გვარდიის რაზმი, რომელიც იმჟამად იმყოფებოდა სოხუმში".[651] ცხადია, ასეთივე გადაწყვეტილება იქნა მიღებული აფხაზეთის ფაქტიურ სამთავრობო ორგანოებშიც. ამონაწერი გვარდიის მთავარი შტაბის სხდომის ოქმიდან:

,,შეტყობინება სოხუმიდან, 1918 წლის 2 ივნისი. ათონის კომისართა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, გამოაცხადა სოხუმის ოკრუგი დამოუკიდებელ ერთეულად. აფხაზური საბჭო მხარს უჭერს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

დაადგინეს: დატოვებულ იქნას რაზმი სოხუმში და აფხაზთა ეროვნულ საბჭოსთან კონტაქტში გაგრძელდეს მუშაობა".[652]

1918 წლის 11 ივნისს კი, ოფიციალურად მოეწერა ხელი ხელშეკრულებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და ,,აფხაზთა სახალხო საბჭოს" შორის, რომლის თანახმადაც საქართველოს მთავრობასთან აფხაზთა სახალხო საბჭოს წარდგინებით ინიშნებოდა აფხაზეთის საქმეთა მინისტრი, ხოლო ცენტრალური ხელისუფლება, ანუ, საქართველოს მთავრობა იღებდა ვალდებულებას გამოეყო ,,აფხაზთა სახალხო საბჭოს" მიერ ჩამოსაყალიბებელი

---

645 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 165, ფურცელი 3.

646 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 187, ფურცელი 2.

647 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 187, ფურცელი 3.

648 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 187, ფურცელი 13.

649 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 187, ფურცელი 16.

650 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 69 უკ.

651 Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия - историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 413.

652 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდის და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 2.

ინტერნაციონალური რაზმისათვის საჭირო აღჭურვილობა და ფული.[653] 1918 წლის 11 ივნისის ხელშეკრულება უმნიშვნელოვანეს იურიდიულ აქტს წარმოადგენდა, რომლის ძალითაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიურ საწყისებზე მისი ძირძველი ისტორიული კუთხე - აფხაზეთი შევიდა. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ნ. ხომერიკმა და შ. ალექსი-მესხიშვილმა, აფხაზური მხრიდან კი - რ. კაკუბავამ, ვ. გურჯუამ და გ. აჯამოვმა.[654] საქართველოს ცენტრალურ მთავრობაში აფხაზეთის საქმეთა მინისტრის თანამდებობა აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრმა, რობერტ ჩხოტუამ დაიკავა. სწორედ 1918 წლის 11 ივნისის ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო საქართველოს მთავრობამ 1918 წლის 6 აგვისტოს გამართულ სხდომაზე ,,აფხაზეთის თავდაცვისა და სამხედრო ნაწილთა შედგენის", ასევე, მობილიზაციის შესახებ კანონი.

რა თქმა უნდა, ქართული სამხედრო უწყებისა და რეგულარული ჯარის შექმნის კანონ-პროექტზე მუშაობის პროცესი მარტივად არ მიმდინარეობდა. გარკვეულ საკითხებზე განსხვავებული პოზიციების არსებობას ჰქონდა ადგილი. ეს ეხებოდა როგორც გენერალური შტაბის, ასევე ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიისა და გერმანული სამხედრო მისიის ხედვებს. გენერალი ფონ კრეზენშტაინი, თავის მემუარში ,,Meine Mission Im Kaukasus" (,,ჩემი მისია კავკასიაში"), რომელიც მან 1943 წელს გამოსცა მიუნხენში, ქართული რეგულარული ჯარის შექმნის პროცესს ასე იხსენებს: ,,თვალშისაცემ ჯიუტ წინააღმდეგობას შევხვდი საქართველოს მთავრობის მხრიდან ჩემს მცდელობაზე შემეგულიანებინა ისინი, რომ ჩამოეყალიბებინათ ვარგისი, რეგულარული ჯარი. აქ იგრძნობოდა განსაკუთრებით მარქსისტული უტოპიის, მინისტრის პარტიაზე მიჯაჭვულობისა და წითელი არმიისადმი შიშის ზეგავლენა. ბოლოს ზეწოლის საშუალებებს მივმართე. მოვახსენე პრემიერ-მინისტრს თავიდან სიტყვიერად და შემდეგ ნოტის გაგზავნით, რომ საქართველოს მთავრობა დიდხანს ვერ იქნებოდა დამოკიდებული გერმანიაზე, თუ ისინი საკმარისად ძლიერი ჯარის ჩამოყალიბების საშუალებით არ შექმნიდნენ საჭირო გარანტიას..."[655] საბოლოოდ, თითქოს ყველაფერი მოგვარდა - გენერალი კრეზენშტაინი:

,,კმაყოფილი ვიყავი, რომ 14 აგვისტოს ეროვნულმა საბჭომ მხოლოდ მცირე შესწორებებით, ერთსულოვნად მიიღო ჩემს მიერ გერმანულ ნიმუშზე შედგენილი კანონი. რევოლუციის დროს გაუქმებული სამხედრო ვალდებულებაც აღდგა. თავდაპირველად უნდა ჩამოყალიბებულიყო ორი ქვეითი დივიზია და საზღვრის დაცვის დივიზია რუსული ნიმუშის მიხედვით, საკავალერიო დივიზია სამ პოლკად და საარტილერიო ბრიგადა.

მშვიდობიანობის პერიოდში საქართველოს 30-40 ათასიანი არმია ეყოლებოდა. სამხედრო მინისტრმა შეარჩია გენერალ გედევანოვის[656] პერსონა, ძალიან მოწესრიგებული და სიმპათიური

---

653 Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия - историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 345.

654 Сагария Б. Е. Национально-государственное строительство в Абхазии (1921-1931). Сухуми, 1970. Стр. 14.

655 General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München. 1943. 18-19.

656 აქ გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილზეა საუბარი. გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი (1870-1933წ.წ.) – რუსეთის საიმპერატორო არმიისა და პირველი ქართული რესპუბლიკის ცნობილი სამხედრო მოღვაწე, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი და ქართული არმიის გენერალი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. გენერალ იოსებ გედევანიშვილისა და პოლკოვნიკ ნიკოლოზ გედევანიშვილის უფროსი ძმა. დაიბადა თბილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ ახაშენში. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ – პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელი. სამხედრო სამსახური დაიწყო ბაქოს 153-ე ქვეით პოლკში. 1900 წლიდან შტაბს-კაპიტანია, 1901 წლიდან – კაპიტანი, ხოლო 1907 წლიდან – პოდპოლკოვნიკი. ამთავრებს გენშტაბის აკადემიას, 1910 წლიდან ინიშნება ყუბის 155-ე პოლკის მეთაურად და აქვე ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. I მსოფლიო ომის მსვლელობისას მეთაურობდა 203-ე სოხუმის ქვეით პოლკს, ხოლო შემდეგ, 1917 წლიდან – 51-ე ქვეით

დამხმარე, რომელთანაც სიამოვნებითა და ნდობით ვმუშაობდით. მის განკარგულებაში მაიორი გრაფი ვოლფსკელი და რამდენიმე ოფიცერი მივავლინე. მე დავამუშავე ჩამოსაყალიბებელი ქვედანაყოფების საშტატო განრიგი, ასევე სამხედრო სამინისტროს ორგანიზაციის სქემა. ქართველების მიერ განსახილველად წარმოდგენილი ამ სამინისტროს ორგანიზაციის გეგმა ძალიან პატარა ჯარისათვის აღმოსავლური ტიპის ბევრად დიდ და ძვირადღირებულ აპარატს ითვალისწინებდა. ჯარის ორგანიზების სამუშაოები შედარებით ნელა მიიწევდა წინ, რადგან ქართველი ოფიცრების ნაწილი, გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ ანდრონიკოვით სათავეში, რომელთაც სჯეროდათ, რომ უკეთ ესმოდათ ეს საკითხი ვიდრე ჩვენ, წინააღმდეგობას უწევდნენ ჩვენს მოსაზრებებს."[657]

საბოლოოდ, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს გამართულ სხდომაზე დამტკიცდა ,,დებულება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა", რომელიც 12 მუხლისაგან შედგებოდა.[658] აგრეთვე ,,კანონი საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანიზაციისა", რომელიც 7 მუხლისაგან შედგებოდა,[659] ,,საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსების ძირითადი დებულება", რომელიც 12 მუხლისაგან შედგებოდა[660] და ,,კანონი ნამდვილ სამხედრო სამსახურში დატოვებისა და ჯარში გაწვევისა იმ პირთა, რომელნიც დაბადებულან 1896-1899 წლებში".[661] ყველა ამ საკანონმდებლო აქტს ხელს აწერდნენ საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო - ა. ჩ.) ჩხეიძე[662] და რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.

დივიზიას. აქვე ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1918 წლის დასაწყისში იყო ქალაქ ბათუმის გამაგრებული რაიონისა და ციხე-სიმაგრის კომენდანტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში, 1918-1921 წლებში, თითქმის უწყვეტად იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მოადგილე (ამხანაგი) სამწყობრო-ოპერატიულ დარგში და საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი 1918 წლის ივლისი – 1919 წლის აპრილის პერიოდში. 1920-1921 წლებში იყო რესპუბლიკის თავდაცვისა და სამხედრო საბჭოების წევრი. ამ პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნის საქმეში. სხვადასხვა საბრძოლო ორდენებისა და გიორგის ჯვრის კავალერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ არ მიდის ემიგრაციაში და რჩება საქართველოში. გარკვეული წლები მსახურობდა წითელ არმიაში. შემდეგ მუშაობდა საბჭოთა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. სხვადასხვა წყაროებით გარდაიცვალა 1933 ან 1937 წელს.

657 General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München. 1943. 22-23.

658 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი (20უკ-21).

659 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი 21უკ.

660 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი 22.

661 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი 22უკ.

662 ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864-1926წ.წ.) – ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი, რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიული, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის რევოლუციური და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და ხელმძღვანელი. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, შემდეგ სწავლა განაგრძო უკრაინაში, ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტში, საიდანაც გარიცხეს რევოლუციური იდეების გამო. სწავლა განაგრძო ხარკოვის ვეტინსტიტუტში თავისუფალ მსმენელად, საიდანაც ასევე გარიცხეს რევოლუციური მოღვაწეობის გამო. 1892 წელს ნოე ჟორდანიასთან, მიხა ცხაკაიასთან, სილიბისტრო ჯიბლაძესთან, ეგნატე ნინოშვილთან, ისიდორე რამიშვილთან და სხვებთან ერთად ერთად აყალიბებს სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს, ე.წ. ,,მესამე დასს", რომელიც მალე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ნაწილი

და აქვე, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული სრულიად წარმოუდგენელი და ძნელად ასახსნელი გადაწყვეტილება - 1918 წლის 22 აგვისტოს მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით გაუქმდა პირველადი სამხედრო განათლების კერა - თბილისის კადეტთა კორპუსი, და იგი განათლების სამინისტროს გადაეცა.[663](?!) ზემოთ მოყვანილი პირველი სამი კანონი შეტანილ იქნა უკვე მოგვიანებით, 1990 წელს გამოცემულ ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებულში (1918-1921)".[664] ,,საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის" დებულების მე-6 მუხლის თანახმად, სამხედრო სამინისტროს სტრუქტურა ასე იყო წარმოდგენილი: ,,სამხედრო სამინისტროს ხელშია გამგებლობა სამხედრო მმართველობისა. სამხედრო სამინისტროში შემდეგი ექვსი განყოფილებაა:

1. საერთო განყოფილება;
2. პირადი შემადგენლობის განყოფილება;
3. გენერალური შტაბის განყოფილება;
4. საადმინისტრაციო განყოფილება;
5. სამხედრო სასანიტარო განყოფილება;
6. სამხედრო საბეითლო განყოფილება;"[665]

მე-9 მუხლის თანახმად კი: ,,გენერალური შტაბის განყოფილებას სათავეში უდგას გენერალური შტაბის გენერალი. ომის დროს სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსი არმიის საველე შტაბის უფროსის თანამდებობას ასრულებს. გენერალურ შტაბში შემდეგი 6 სექციაა:

1. საოპერაციო;
2. საორგანიზაციო;
3. საარტილერიო;
4. საინჟინრო-სატეხნიკო;
5. სამხედრო-საზღვაო;
6. სამხედრო-საისტორიო არქივის;"[666]

ხდება. 1903 წლიდან ხდება პარტიის მენშევიკური ფრთის წევრი. 1907-1912 და 1912-1917 წლებში იყო რუსეთის სახელმწიფო დუმის მე-3 დ მე-4 მოწვევების დეპუტატი თბილისის გუბერნიიდან, სადაც იგი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე იყო 1912 წლიდან. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო პეტერბურგის, ხოლო შემდეგ სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. 1918 წლის დასაწყისში ბრუნდება საქართველოში და აპრილის თვეში ხდება ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე, ხოლო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს, ანუ პარლამენტის თავმჯდომარე. 1919 წლის 12 მარტიდან ხდება საქართველოს საკანონმდებლო წარმომადგენლობითი ორგანოს – დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე. 1919-1920 წლებში, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარე, მონაწილეობას იღებდა პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციის მუშაობაში. საქარველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, მთავრობის სხვა წევრებთან ერთად მიდის ემიგრაციაში. ცხოვრობდა საფრანგეთში, პარიზთან ახლოს, სოფელ ლევილში. ემიგრაციაში ყოფნისას აგრძელებდა აქტიურ პოლიტიკურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. 1924-1925 წლებში საქართველოში ჩავარდნილი წარუმატებელი აჯანყებისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარების გამო ეუფლება უიმედობა, რაც საბოლოოდ ტრაგიკულად სრულდება. 1926 წლის 9 ივნისს კარლო ჩხეიძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. დაკრძალულია პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე.

663 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 93.

664 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). შემდგენელი ვ. გურგენიძე, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე. თბილისი. 1990. გვ. 49-57.

665 დასახელებული ნაშრომი. გვ. 50.

სწორედ ზემოთ მოყვანილი სამართლებრივი აქტების საფუძველზე შეიქმნა და დაკანონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტრო და მისი სტრუქტურა. დაგეგმილი იყო ქართული რეგულარული არმიის შექმნა იმდროინდელი სტანდარტით მიღებული ერთი პარადიგმული საარმიო კორპუსის მასშტაბით, რომლის სტრუქტურაც პოლკურ-დივიზიური წყობითა და ტრიანგულარული სისტემით იქნებოდა აგებული, ორი ქვეითი დივიზიისა და სხვა ნაწილების შემადგენლობით. I დივიზიის ნაწილები გაშლილი უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოში, შტაბით ქუთაისში, ხოლო II ქვეითი დივიზიისა - აღმოსავლეთ საქართველოში, შტაბით თბილისში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არც 1918 წელს და არც პირველი ქართული რესპუბლიკის არსებობის მანძილზე, ქართულ რეგულარულ ჯარს აღნიშნული შენაერთის დონემდე პირადი შემადგენლობის რაოდენობის ფაქტობრივი მონაცემებით არ მიუღწევია.[667] ,,საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანიზაციის კანონის" პირველი მუხლის შესაბამისად: ,,საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარულ ჯარს შეადგენდა ორი ქვეითი დივიზია, სანაპირო ჯარი,[668] ცხენოსანი ჯარის ერთი ბრიგადა, ერთი საარმიო არტილერიის ბრიგადა, საპიორთა[669] ერთი ბატალიონი, ერთი სატეხნიკო ბატალიონი, ერთი საავტომობილო ასეული, ერთი ჯავშნოსანი ასეული და ერთი საავიაციო გუნდი. მეორე მუხლის ა) პუნქტის თანახმად კი, ქვეით დივიზიას შეადგენდა: სამი ქვეითი პოლკი, ცხენოსანთა ერთი ესკადრონი,[670] ერთი ბრიგადა არტილერიისა, ერთი ასეული საპიორთა, საბარგო ქარავანი დივიზიისა და სანიტარული დაწესებულება".[671]

სამხედრო ნაწილების - ბრიგადების, პოლკების, ბატალიონების, ასევე ცალკეული ასეულებისა და მათი შტაბების სტრუქტურა გაწერილი იყო ,,საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანიზაციის კანონის" მესამე, მეოთხე და მეხუთე მუხლებში. ამავე კანონის მე-6 მუხლის თანახმად კი, არსდებოდა სამხედრო სკოლები ,,ქვეითი მსროლელი ჯარისა, მსროლელი საარტილერიო, საინჟინრო-სატექხნიკო და საავიაციო".[672]

პირველი ქართული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს გამგებლობაში უკვე არსებული საჯარისო ნაწილების საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურა და პირადი შემადგენლობით მათი დაკომპლექტების მდგომარეობა ,,სრულიად საიდუმლო" გრიფით სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის მიერ სამხედრო მინისტრს 1918 წლის 25 სექტემბერს წარედგინა. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი[673] და გენშტაბის ოპერატიული სექციის უფროსი,

---

666 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). შემდგენელი ვ. გურგენიძე, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე. თბილისი. 1990. გვ. 51.

667 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 11, ფურცელი 13.

668 სანაპირო ჯარი – სასაზღვრო ჯარის არქაული დასახელება.

669 საპიორთა – რუსული ბარბარიზმია. იგულისხმება მესანგრეთა.

670 ესკადრონი (ლათ. Exquadra – ჯარების ოთხკუთხა საბრძოლო წყობა) – საკავალერიო ჯარების ტაქტიკური და ადმინისტრაციული ერთეული, ქვედანაყოფი ან სამხედრო ნაწილი 100-150 ცხენოსნის შემადგენლობით. შეესაბამება ქვეით ასეულს (ბატალიონს) და საარტილერიო ბატარეას. ნაკლები სიდიდის საკავალერიო ტაქტიკური ერთეული იყო ნახევარესკადრონი – დაახლოებით 60-70 მხედარი. 1918 წლის ნიმუშის ქართული ესკადრონის პირადი შემადგენლობა 5 ოფიცერს და 127 ჯარისკაცს ითვლიდა, 122 ცხენით. (საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 13, ფურცელი 2 უკ.)

671 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). შემდგენელი ვ. გურგენიძე, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე. თბილისი. 1990. გვ. 53.

672 დასახელებული ნაშრომი. გვ. 55.

673 ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (1871-1923წ.წ.) – რუსეთის საიმპერატორო არმიის ქართველი ოფიცერი, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი და ქართული არმიის გენერალი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პირველი უფროსი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო

გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ალექსანდრე ზაქარიაძე.[674] 10 ოქტომბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე გენერალმა ალექსანდრე გედევანიშვილმა განსახილველად გამოიტანა გენერალ ფონ კრეზენშტაინის შემოთავაზება, ქართული ჯარის ინსტრუქტორებად გერმანელი ოფიცრების უსასყიდლოდ დაყენების შესახებ. საკითხი ერთხმად იქნა მოწონებული და მიღებული.[675]

1918 წლის 18 ოქტომბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე, რომელსაც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი თავმჯდომარეობდა, სამხედრო მინისტრმა წარადგინა ,,კანონ-პროექტი სამხედრო სამინისტროს უწყების შტატებითა და ოფიცერთა და სამხედრო მოხელეთა ხარჯთაღრიცხვის შესახებ", რაც მოწონებულ იქნა და გადაიგზავნა პარლამენტში დასამტკიცებლად. აქვე იქნა განხილული ჯართან დაკავშირებული სხვადასხვა კანონ-პროექტები - ,,ჯარისკაცთა შენახვის შესახებ", ,,ცხენების შენახვისა", ,,ჯარისკაცთა ნივთიერი დაკმაყოფილებისა", ,,ჯარისკაცთა ჯამაგირის შესახებ", ,,ვადაგასულთა შესახებ" - ,,სვერხურობნიე" (ზუსტად ასეა ტექსტში ,,სვერხურობნიე" - ა. ბ.), ,,სამხედრო სამინისტროს შტატების შესახებ", ,,ქვეითი ჯარის შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ".[676] ერთობ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ სხდომის მდივანი, შემდგომში ცნობილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი, ბატონი გრიგოლ რობაქიძე

ომების მონაწილე. დაიბადა თელავის მაზრის სოფელ სიღნაღში. 1891 წელს დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის კონსტანტინეს მე-2 სამხედრო სასწავლებელი, 1905 წელს – გენერალური შტაბის აკადემია I თანრიგით. 1889 წლიდან სამხედრო სამსახურშია, ყარსის საციხოვნო არტილერიაში. მოგვიანებით მსახურობდა ალექსანდროპოლისის (კომუნისტური ეპოქის ლენინაკანი, დღევანდელი გიუმრი) საციხოვნო არტილერიაში და კავკასიის საალყო საარტილერიო პოლკში. 1906-1907 წლებში მსახურობდა ლეიბ-გვარდიის მე-13 ერევნის პოლკში. 1907-1908 წლებში მსახურობდა უსურიის ცხენოსანი ბრიგადის შტაბის უფროს ადიუტანტად, 1908-1909 წლებში – ობერ-ოფიცრად ომსკის სამხედრო ოლქის შტაბში. 1909-1912 წლებში იყო 36-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი ადიუტანტი. 1914 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. 1912-1914 წლებში მივლინებული იყო ალექსეევის სამხედრო სასწავლებლის ტაქტიკის კურსის მასწავლებლად. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. მსახურობდა მე-2 არმიის შტაბში. 1914-1916 წლებში დროებით ასრულებდა 75-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსის მოვალეობას. 1916-1917 წლებში იყო 298-ე მსტისლავის (ბელორუსია) ქვეითი პოლკის მეთაური, შემდეგ – 177-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი. აქვე ენიჭება გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. 1917 წლის 10 ივნისს დაინიშნა მე-20 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად. საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისთვის 1916 წელს დაჯილდოვდა წმინდა გიორგის ოქროს იარაღით და გიორგის ჯვრით. 1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი და რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრი. 1918 წლის ივნისიდან გარკვეული ხნით ასრულებდა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოვალეობას. გენშტაბის უფროსობიდან გადადგომის შემდეგ, 1920 წლის მაისიდან 1921 წლის თებერვლამდე იყო ქართული სამხედრო სკოლის უფროსი. 1921 წლის თებერვალში, რუსეთთან ომის დროს, მეთაურობდა თბილისის ფრონტის კოჯორი-ტაბახმელას მონაკვეთს. უკან დახევისას მეთაურობდა არიერგარდს. 1921 წლის მარტში იყო დასავლეთ საქართველოს ჯარების სარდალი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტში, ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სამშობლოში. 1921-1923 წლებში მსახურობდა საქართველოს წითელ არმიაში. იყო ქართული წითელი არმიის მთავარსარდალი, შემდეგ ქართული სამეთაურო კურსების უფროსი და ამავე დროს ანტიბოლშევიკური შეთქმულებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დამოუკიდებლობის კომიტეტის ,,სამხედრო ცენტრის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი. შეთქმულთა გაცემის შემდეგ, 1923 წლის 19 მაისს დააპატიმრეს და მეორე დღეს, 1923 წლის 20 მაისს, ,,სამხედრო ცენტრის" სხვა წევრებთან ერთად დახვრიტეს დღევანდელი ,,ვაკის პარკის" ტერიტორიაზე. მისი საფლავი არ არსებობს.

674 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 2, საქმე 18, ფურცელი (47-47უკ).

675 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 163.

676 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი (179-180).

იყო. სამხედრო მინისტრი გიორგაძე მთავრობის თავმჯდომარეს 21 ოქტომბრის №0838 მოხსენებით უგზავნის მის ,,გამგებლობაში მყოფის ყველა ნაწილების და დაწესებულებების ნუსხას, რომელშიც აღნიშნულია თუ რომელი მათგანი ჯერ არ არის მოწყობილი".

,,საიდუმლო. მთავრობის თავმჯდომარეს.

21 ღვინობისთვე.

№0838. პასუხად №120-ისა

საქართველოს მთავრობის საქმეთა მმართველობაში შესულია 22 ოქტომბერს №2558-ით.

ამასთანავე წარმოგიდგენთ ჩემს გამგებლობაში მყოფის ყველა ნაწილების და დაწესებულებების ნუსხას, რომელშიც აღნიშნულია თუ რომელი მათგანი ჯერ არ არის მოწყობილი. მოგახსენებთ, რომ რადგან შტატები ჯერ არ არიან დამტკიცებულნი პარლამენტის მიერ, ყველა ეს დაწესებულებები ეწყობიან ჩემს მიერ წარმოდგენილი შტატების პროექტის მიხედვით. შტატის გარეშე დარჩენილი ოფიცრები და მოხელეები გადაცემული მყამს სალიკვიდაციო განყოფილებაში ანგარიშის გასასწორებლად. რაიცა შეეხება ჯარისკაცთა რიცხვს, მას აკლია 60%-მდე, ხოლო ცხენებისას 80%-მდე.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

მოხსენებით ბარათს თან ერთვის სამხედრო ნაწილების, მათი შტაბების, სამმართველოებისა და დაწესებულებების ჩამონათვალი და მათი დისლოკაციები".[677]

ეს მართლაც უმძიმესი დოკუმენტია, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ 1918 წლის ოქტომბრის მდგომარეობით პირველი ქართული რესპუბლიკის ჯარების რიცხოვნობის საკითხი ერთობ სავალალო მდგომარეობაში იყო. ყველა გვარეობის ჯარებში პირადი შემადგენლობით დაკომპლექტების მაჩვენებელი 40%-ია, ხოლო საკავალერიო ნაწილებში - მხოლოდ და მხოლოდ 20%. და მიუხედავად ამისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის პირველივე დღეებიდან ქართული რეგულარული ჯარის მცირერიცხოვანი ქვედანაყოფები სახალხო გვარდიის საბრძოლო რაზმებთან ერთად წარმატებით მოქმედებდნენ ჩოლოქის ზონასა და ბორჩალოს მაზრაში ოსმალო ინტერვენტების, ხოლო შიდა ქართლში, აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში რუსული ბოლშევიკური რაზმებისა და მათ მიერ ინსპირირებული ადგილობრივი მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლების წინააღმდეგ.

1918 წლის 21 ოქტომბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე მინისტრ გიორგაძის მიერ განსახილველად შეტანილ იქნა მთელი რიგი კანონ-პროექტებისა, რომელიც ქართული არმიის შემდგომი აღმშენებლობის საკითხებს ეხებოდა. კერძოდ:

1. შტატები და ხარჯთაღრიცხვა კავალერიის ბრიგადისა;
2. ავიოსპეციალისტებისათვის დამატებითი ჯამაგირების შესახებ; (აქ ფრენა-საათებზეა საუბარი - ა. ჩ.).
3. არტილერიის ნაწილების შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ;
4. თბილისის არტილერიის საწყობის შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ;
5. საქართველოს არსენალის შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ;
6. საინჟენერო-სატეხნიკო ჯარებისა და დაწესებულებათა შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ;
7. საქართველოს სანაპირო რაზმის შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ;
8. სამხედრო საადმინისტრაციო განყოფილების შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ;[678]

---

[677] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 2, საქმე 18, ფურცელი 52.

ყოველივე ზემოთქმულისდა მიუხედავად, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ მთელი 1918 წლის განმავლობაში საქართველოს შეიარაღებული ძალები ძირითადში მაინც მილიციური ტიპისა იყო და ლაშქრის (ლაშქრის, და არა ჯარის) შეკრებაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდებოდა. სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობის დროს სწორედ ასეთი ლაშქარი შეადგენდა საქართველოს შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვან ნაწილს, რომლის საბრძოლო და პროფესიული მომზადების ხარისხი ვერ იდგა სათანადო დონეზე. ჩვენს მიერ გაკეთებული ეს დასკვნა, ცხადია, მხოლოდ რიგით შემადგენლობას ეხება. სწორედ ამაზე მეტყველებს საქართველოს რეგულარული ჯარის მე-2 ქვეითი დივიზიის მე-5 პოლკის დამრტყმელი შერეული ბატალიონის მეთაურის, პოდპოლკოვნიკ დავით მიქაბერიძის პატაკიც, რომელიც სომხეთ-საქართველოს ომის ერთ-ერთ საბრძოლო ეპიზოდს აღწერს: ,,ყველა ბრძოლაში აღსანიშნავია კაპიტან ამაშუკელის, პოდპორუჩიკების - ჩაჩავას, ჩხენკელის, პრაპორშიკების - დოლიძისა და კანდელაკის საბრძოლო დამსახურება, რომლებიც თავისი მოქმედებებითა და სიმამაცით მაგალითს აძლევდნენ ***გაუწვრთნელ, გამოუცდელ ჯარისკაცებს, რომელთა შორი ბევრი იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პოლკში სულ რამდენიმე დღის მოსულები იყვნენ. მეც და ჩემს ოფიცრებსაც პირდაპირ პოზიციებზე გვიხდებოდა ჯარისკაცთათვის იარაღის დატენვის, სამიზნის დაყენებისა და სროლის სწავლება".*** [679] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). და ეს მაშინ, როცა საბრძოლო ორგანიზებისა და საერთო დისციპლინის მხრივ, სწორედ მე-2 დივიზიის მე-5 და მე-6 ქვეითი პოლკები ითვლებოდნენ საქართველოს რეგულარული ჯარის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მაღალორგანიზებულ ნაწილებად.

ქართული ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის პროცესზე გენერალი გიორგი მაზნიაშვილი[680] მოგვითხრობს: ,,ქართული საარმიო კორპუსის ბირთვი 1917 წლის ბოლოს

---

678 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი (183-185).

679 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 2, საქმე 19/გ, ფურცელი 64.

680 გიორგი მაზნიაშვილი (1870-1937წ.წ.) – ქართველი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი, საქართველოს ეროვნული გმირი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე, გიორგის ჯვრის კავალერი. რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-მაიორი და ქართული არმიის გენერალი. რუსეთ-იაპონიის ომში მძიმედ დაიჭრა. I მსოფლიო ომის მსვლელობისას, დასავლეთის ფრონტზე მეთაურობდა დივიზიას. 1917 წლის ბოლოდან საქართველოშია. მონაწილეობდა ქართული არმიის აღმშენებლობის საქმეში. ინიშნება ქართული ნაციონალური საარმიო კორპუსის მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაურად. 1918 წლის დასაწყისიდან თბილისის გარნიზონისა და ბორჩალოს მაზრის დაცვის უფროსია. 1918 წლის აპრილში იყო ჩოლოქის ფრონტის სარდალი, სადაც აღკვეთა ოსმალთა შემდგომი ექსპანსია საქართველოში. 1918 წლის მაისიდან აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორი და შავიზღვისპირეთის ჯარების სარდალია. 1918 წლის ნოემბრიდან ინიშნება ქალაქ თბილისისა და თბილისის გუბერნიის სამხედრო ოლქისა და აღმოსავლეთ საქართველოს რკინიგზების გენერალ-გუბერნატორად. 1918 წლის დეკემბრიდან სომხეთ-საქართველოს ომის შულავერის ფრონტის სარდალი და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოადგილეა. 1919 წლის თებერვლიდან ინიშნება ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად და რეგიონში დისლოცირებული ქართული გარნიზონის ჯარების სარდლად. 1919 წლის მარტი – 1920 წლის ნოემბრის პერიოდში ჩამოშორებულ იქნა საქმიანობას. 1920 წლის შემოდგომაზე ისევ იწვევენ კადრში და 1920 წლის 8 ნოემბერს იგი ქალაქ თბილისის გენერალ-გუბერნატორად, გარნიზონის ჯარების უფროსად და დიდუბე-ნავთლუღის რკინიგზის მონაკვეთის კომენდანტად ინიშნება. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ომის სოღანლუღის ფრონტის სარდალია, 1921 წლის მარტში – დასავლეთ საქართველოს ფრონტის აქტიური ჯგუფის უფროსი და ბათუმის გარნიზონის ჯარების სარდალი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან არ მიდის ემიგრაციაში და რჩება სამშობლოში. მონაწილეობდა ქართული წითელი შენაერთის ფორმირებაში. ინიშნება საბჭოთა საქართველოს წითელი ქვეითი დივიზიის მეთაურად, შემდეგ – რესპუბლიკის ჯარების მთავარ სამხედრო ინსპექტორად. 1921 წლის 6 სექტემბერს აპატიმრებენ, ხოლო 1923 წელს ,,სამხედრო ცენტრის'' საქმესთან დაკავშირებით დახვრეტას უსჯიან, თუმცა, სასჯელი მალევე შეუცვალეს საზღვარგარეთ გადასახლებით. მცირე ხნით

ფრონტიდან დაბრუნებული ორი ქართული პოლკი (ერთი ქვეითი, ერთი საკავალერიო) და ქუთაისში შემდგარი ერთი სათადარიგო ბატალიონი (ათასეული) უნდა გამხდარიყო".[681]

საერთო ჯამში, საომარი მოქმედებების დროს, ქართული კორპუსის სტრუქტურა სამი დივიზიით მოიაზრებოდა. ,,იგეგმებოდა მესამე დივიზიის შექმნა და მისი დაბანაკება ბათუმ-ართვინ-არდაგან-ახალციხის რაიონებში, რომ რაღაც გვყოლოდა ოსმალეთის წინააღმდეგ",[682] - იხსენებს გენერალი ზაქარიაძე.[683] ქართული ჯარის სტრუქტურასთან მიმართებაში ერთმნიშვნელოვნად უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხეთთან საომარი მოქმედებების დროს, ე.წ. ,,ქართული სააარმიო კორპუსი" 1918 წლის ბოლოსათვის ორ არასრულ ,,დივიზიად" იყო წარმოადგენილი. თუმცა, მათ დივიზიებიც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ, რადგან ისინი არც სტრუქტურით, არც შეიარაღებითა და მით უმეტეს, არც პირადი შემადგენლობის რიცხოვნობით, ნამდვილად არ შეესაბამებოდნენ აღნიშნულ შენაერთებს. მე-2 ქართული ქვეითი დივიზიის კომპლექტაცია და საბრძოლო სტრუქტურამდე აყვანა მხოლოდ სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, დეკემბრის ბოლოს დასრულდა. ცხენოსანი ბრიგადის სრული ფორმირება კი, საერთოდ აღარ განხორციელებულა. 1-ლი ქვეითი დივიზიის ნაწილები დასავლეთ საქართველოში

ცხოვრობდა ირანში, შემდეგ გადადის საფრანგეთში, საიდანაც უკან 1925 წელს დაბრუნდა. ამის შემდგომ აქტიურ სამხედრო და საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩამოშორდა. სიცოცხლის ბოლო წლები ოჯახთან ერთად თავის მშობლიურ კასპის რაიონის სოფელ სასირეთში გაატარა. დიდი საბჭოური რეპრესიების დროს, 1937 წელს დააპატიმრეს და თავის დაბადების დღეს, 6 მაისს თავის უფროს შვილთან, ივანესთან ერთად დახვრიტეს. მისი საფლავი არ არსებობს. 2013 წლის 26 მაისს გენერალ მაზნიაშვილს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

681 გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებები. 1917–1925. გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 4.

682 გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. ჟურნალი ,,მხედარი". 1992. №2. გვ. 45.

683 ალექსანდრე ზაქარიაძე (1884-1957წ.წ.) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი, ქართული არმიის გენერალი და პოლონეთის არმიის დივიზიის გენერალი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I და II მსოფლიო ომების მონაწილე. გიორგის ჯვრის კავალერი. დაამთავრა ქუთაისის საქალაქო სასწავლებელი, შემდეგ, 1903 წელს – თბილისის იუნკერთა სასწავლებელი. იმავე წლის 9 სექტემბერს ენიჭება პოდპორუჩიკის წოდება და სამსახურს იწყებს 79-ე ქვეით პოლკში. საბრძოლო ნათლობა მიიღო რუსეთ-იაპონიის ომში, სადაც მსახურობდა სამარის 147-ე ქვეით და თბილისის გრენადერთა პოლკებში. 1907 წელს ენიჭება პორუჩიკის, ხოლო 1911 წელს – შტაბს-კაპიტნის წოდება. 1912 წელს ამთავრებს გენერალური შტაბის აკადემიას. 1913 წლის 10 ოქტომბრიდან კაპიტანია. I მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1915 წლის 3 მარტს ინიშნება კაზაკთა მე-3 კავკასიური დივიზიის შტაბის ადიუტანტად, ხოლო 1915 წლის 13 დეკემბრიდან – 27-ე საარმიო კორპუსის შტაბის ობერ-ოფიცრად. აქვე ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. 1917 წლის 18 თებერვალს დაინიშნა ლიტვის მე-2 მსროლელთა ბრიგადის შტაბის უფროსად და ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1917 წლის ბოლოდან საქართველოშია და მონაწილეობს ქართული არმიის შექმნის პროცესში. 1918 წლის დასაწყისიდან იყო ქართული საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი და საველე შტაბის უფროსი. 1918 წლის ივნისში ინიშნება საქართველოს სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის განყოფილების საერთო, შემდეგ კი, ოპერატიული სექციის უფროსად. 1919 წელს ინიშნება საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უდროსად და აქვე ენიჭება ქართული არმიის გენერლის სამხედრო წოდება. იყო საქართველოს სამხედრო საბჭოსა და რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, საქართველოს მთავრობის წევრებთან და სხვა ქართველ გენერლებთან ერთად ტოვებს სამშობლოს და მიდის ემიგრაციაში. იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში, შემდეგ გადადის პოლონეთში. 1922 წლიდან მსახურობდა პოლონეთის არმიაში. მეთაურობდა ბრიგადას და დივიზიას, სადაც მიენიჭა პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერლის და შემდეგ დივიზიის გენერლის სამხედრო წოდებები. II მსოფლიო ომში იყო 1939 წლის გერმანია-პოლონეთის ომის აქტიური მონაწილე. დაჯილდოებული იყო პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდოებით. რამოდენიმე ხანს ცხოვრობდა ქალაქ ზალცბურგის შემოგარენში. II მსოფლიო ომის შემდეგ, 1945-48 წლებში იმყოფებოდა გერმანიაში, ინგლისელების საოკუპაციო ზონაში. საბოლოოდ დასახლდა და ცხოვრობდა საფრანგეთში, ქართველთა მამულში - ლევილში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1957 წელს. დაკრძალულია იქვე, ქართველთა სასაფლაოზე.

იყო დისლოცირებული, დივიზიის შტაბით ქ. ქუთაისში, ხოლო მე-2 დივიზიისა - აღმოსავლეთ საქართველოში, შტაბით ქ. თბილისში. 1918 წლისათვის მათ შესაბამისად გენერლები არჯევანიძე[684] და მაზნიაშვილი მეთაურობდნენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლამდე დე ფაქტო უკვე არსებობდა გასამხედროებული პოლიტიკური ორგანიზაცია - ,,წითელი (მოგვიანებით სახალხო) გვარდია", რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის საბრძოლო რაზმს წარმოადგენდა. 1918 წლის 18 ივნისს გამართულ მინისტრთა კაბინეტის მორიგ სხდომაზე ამ ორგანიზაციის სრული ფორმალიზება მოხდა. პირველ საკითხად მთავრობის თავმჯდომარის, ნოე რამიშვილი მიერ შემოტანილ იქნა ,,კანონ-პროექტი სახალხო გვარდიის შესახებ", რომელიც მოწონებულ და მიღებულ იქნა.[685] საქართველოს წითელი, მოგვიანებით სახალხო გვარდია, ძირითადში მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის პარამილიტარულ შენაერთს წარმოადგენდა და მისი სამეთაურო შემადგენლობაც ამ პარტიის წევრებითა და აქტივისტებით იყო დაკომპლექტებული. არსებობდა აგრეთვე ანალოგიური პრინციპით აგებული სხვა საბრძოლო რაზმებიც (მაგ. სოციალისტ-ფედერალისტთა რევოლუციური პარტიის), რომლებიც სულ მალე სახალხო გვარდიაში გაერთიანდნენ.

გვარდიის უმაღლეს დირექტიულ-მმართველობით სტრუქტურას მთავარი შტაბი წარმოადგენდა, რომელიც არჩევითი ორგანო იყო. იგი ჯერ 13, შემდეგ კი, 21 კაცის შემადგენლობით იყო წარმოდგენილი და მას უცვლელად სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი (გამენშევიკებული ბოლშევიკი) და თავდადებული რევოლუციონერი ვალიკო ჯუღელი ედგა სათავეში, ხოლო გვარდიის საპატიო სარდლის (თავმჯდომარის) თანამდებობა თვით რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, ბატონ ნოე ჟორდანიას ეკავა. ამონარიდი ნოე ჟორდანიას მემუარიდან: ,,გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარეთ ვითვლებოდი მე, როგორც მუშათა საბჭოს თავმჯდომარე, თუმცა, მის მუშაობაში მონაწილეობას არ ვიღებდი. ეს ჩემი ფიქტიური უფროსობა გამოიწვია პოლიტიკურმა მომენტმა".[686] სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის პირველ შემადგენლობას შემდეგი სახე ჰქონდა: ნ. ჟორდანია (საპატიო თავმჯდომარე), ვ. ჯუღელი

---

684 გიორგი არჯევანიძე (1863-1940წ.წ.) – ქართველი ოფიცერი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-მაიორი და ქართული არმიის გენერალი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. დაიბადა თბილისის გუბერნიის თელავის მაზრის სოფელ სიღნაღში. დაამთავრა პოლტავის სამხედრო გიმნაზია. სამხედრო სამსახურშია 1881 წლიდან. 1883 წელს ამთავრებს ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელს. ამავე წლიდან მსახურობდა მეგრელთა მე-16 გრენადერთა პოლკში. იყო ასეულისა და ბატალიონის მეთაური. 1910 წლის 6 დეკემბერს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1913-1915 წლებში გრენადერების მეგრელთა პოლკის მეთაურის მოადგილეა, 1915-1916 წლებში – ბაქოს 153-ე პოლკის მეთაური, I მსოფლიო ომის მსვლელობისას იყო კავკასიის ფრონტის არზრუმის ოპერაციის მონაწილე და ერთ-ერთი გმირი. 1916 წლის 15 ივნისს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1917 წლის სექტემბრიდან 1917 წლის ოქტომბრამდე იყო 127-ე ქვეითი დივიზიის მეთაური. 1918 წლიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებშია, ეკავა დასავლეთ საქართველოში გაშლილი I ქვეითი დივიზიის მეთაურის თანამდებობა. 1920 წლიდან იყო საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებული და ქალაქ ფოთის სამხედრო გარნიზონის უფროსი. გიორგის ჯვრის კავალერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, საქართველოს მთავრობის წევრებისა და სხვა გენერლების მსგავსად, ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სამშობლოში. მსახურობდა წითელ არმიაში, არმიის სარდლის განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებელ გენერლად. 1922 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის, ხოლო 1927 წლიდან – ამიერკავკასიის ქვეითთა სკოლის მასწავლებელი. 1928 წლიდან გადის თადარიგში და იყო პერსონალური პენსიონერი. გარდაიცვალა 1940 წელს.

685 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 1.

686 ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული. (მოგონებანი) პარიჟი. 1953. გვ. 130.

(თავმჯდომარე), ალ. დგებუაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ალ. მაისურაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ს. ჯიბლაძე (საპატიო წევრი), ვლ. ჯიბლაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ან. ჭიაბრიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), დ. საღირაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), რ. აუშტროვი[687] (მდივანი), გ. ფაღავა (მდივანი), ალ. ფარნიევი, ნ. ქარცივაძე, ზ. გურული, ვ. გოგეშვილი, ემ. სირბილაძე, ი. ხარაში, თ. შენგელია, მ. ვარდოიანი, ტ. ფარქოსაძე, ლ. რუხაძე, ვ. მუხარინსკი.[688]

სახალხო გვარდიის რეგიონალური მართვის სტრუქტურა ნელ-ნელა გაფართოვდა და იგი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს მოიცავდა, სადაც მას გვარდიის რაიონული შტაბები ჰქონდა დაფუძნებული. სახალხო გვარდიას გააჩნდა ქვეითი, საკავალერიო და საარტილერიო ნაწილები, მის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე ჯარების ტექნიკური სახეობა - ჯავშანმატარებლების პარკი. ჯავშნოსან მატარებლებს სათავეში სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული პიროვნება, პორუჩიკი ვალოდია გოგუაძე ედგა. 1917 წლის ბოლოდან ამიერკავკასიის წითელმა, შემდეგში საქართველოს სახალხო გვარდიამ არაერთი ლოკალური ხასიათის საბრძოლო ამოცანის გადაწყვეტას გაართვა თავი, რაც ძირითადში ზოგიერთი გაბოლშევიკებული სამხედრო ნაწილის განიარაღებაში, მცირე მასშტაბის ადგილობრივი კონფლიქტებისა და ბოლშევიკთა რეგიონალური გამოსვლების ჩახშობაში გამოიხატებოდა.

გვარდიაში უცხო ხილი არ იყო უდისციპლინობა და არაორგანიზებულობა. უფრო მეტიც, საბრძოლო მოქმედებების დროსაც კი, ხშირად ჰქონდა ადგილი თავნებობას და დაუმორჩილებლობას. ,,გვარდიამ არ იცოდა რაა თავდაცვა, რაა ბრძოლა, ომში არ ყოფილან უმეტესობა. დაზვერვა არ არსებობდა... აბა შეიძლება ჯარი გყავდეს და დაზვერვა არ იყოს? დაზვერვისათვის თანხა არ არსებობდა. ორად ორი კაცი იყო დაზვერვის მთელი უწყებისათვის - ალექსანდრე ბაგრატიონი, პოლკოვნიკი და ვალიკო თევზაძე. მე იმას ვერ ვიტყვი, რომ გვარდია ბრძოლის ველზე არ გამოდიოდა თქო, მაგრამ რა ძალა იყო, ეს სხვა ამბავია. როგორც სამხედრო

---

687 რუბენ აუშტროვი (1887-1937წ.წ.) – ძველი რევოლუციონერი, სოციალ-დემოკრატი, საქართველოში მოღვაწე ეროვნებით სომეხი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, პროფესიით იურისტი, ამიერკავკასიის წითელი და საქართველოს სახალხო გვარდიის ერთ-ერთი შემქმნელი და მისი მთავარი შტაბის უცვლელი წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა ქუთაისში. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. აქვე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. სტუდენტობისას გახდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) წევრი. სტუდენტობის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში. მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების და თბილისში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ადვოკატად. ამავე დროს, არალეგალურად იყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პროპაგანდისტი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მუშაობდა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში. იმავე წლის დეკემბერში მონაწილეობდა საქართველოს წითელი, მოგვიანებით სახალხო გვარდიის შექმნაში. მეთაურობდა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გვარდიულ რაზმს. შემდგომში იყო სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი და მუდმივი მდივანი. მისი უშუალო მონაწილეობით წყდებოდა სახალხო გვარდიის წინაშე მდგარი ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ერთ-ერთი ხელმომწერი. 1919 წლის 12 მარტიდან იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების და მისი სამხედრო კომისიის წევრი. გამოირჩეოდა სამართლიანობითა და იდეური პრინციპულობით, იყო საქართველოს დამოუკიდებლობის ენერგიული დამცველი და კავკასიის ერთა შორის ძმობის მქადაგებელი. 1921 წლის მარტიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, ტოვებს სამშობლოს და მთავრობის სხვა წევრებთან და სამხედროებთან ერთად მიდის ემიგრაციაში. არც სამშობლოს მოწყვეტილი ემიგრანტის მძიმე ხვედრს შეუცვლია მისი რწმენა და იდეოლოგიური ხედვა. მუშაობდა მუშად ქარხანაში, შემდეგ – საკუთარ სახელოსნოში. საქართველოს მთავრობის სხვა წევრებთან ერთად ცხოვრობდა საფრანგეთში, პარიზთან ახლოს. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1937 წელს. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

688 ჟურნალი ,,სახალხო გვარდიელი". სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორგანო. 1920 წლის 12 დეკემბერი. №1. გვ. 3.

ძალა, გვარდია გამოუსადეგარი იყო",[689] - აღნიშნავდა თავის მემუარში გენერალი შალვა მაღლაკელიძე. პატივცემული ავტორი აქ უტრირებას უკეთებს საკითხს - ,,ორად ორი კაცი დაზვერვის მთელი უწყებისათვის" ნამდვილად არ იყო. დაზვერვის ოფიცრების ჩამოთვლისას, იგი საერთოდ არ ახსენებს, მაგალითად, გენშტაბის სადაზვერვო ქვეგანყოფილების უფროსს, გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკ ძაგანიას.

სახალხო გვარდიის ნაწილების არაორგანიზებულობამ და უდისციპლინობამ მასშტაბურად სწორედ სომხეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობისას იჩინა პირველად თავი, როცა ორ უმნიშვნელოვანეს ბრძოლაში, ეკატერინენფელდთან და განსაკუთრებით შულავერთან, გვარდიის ქვედანაყოფებისა და რაზმების ყოვლად უპასუხისმგებლო მოქმედებებმა სასწორზე შეაგდო ამ ბრძოლების ბედი და დიდ ხიფათში ჩააგდო სხვა ქართული ქვედანაყოფები. უფრო მეტიც, სახალხო გვარდიის ყოვლად უპასუხისმგებლო მოქმედებებმა შულავერის ოპერაციის მსვლელობისას, გარკვეულწილად განსაზღვრა კიდეც ამ ომის საბოლოო შედეგები. გვარდიის სწორედ ეს მოქმედებები უნდა გამხდარიყო საყოველთაო განგაშის წინაპირობა, რომლის გაუთვალისწინებლობამაც, სამწუხაროდ, მოგვიანებით, უკვე 1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ რუს ბოლშევიკებთან და თურქ ქემალისტებთან წარმოებულ ომში სრული კატასტროფის წინაშე დააყენა ქართული ჯარი და მთლიანად ქართული სახელმწიფო.

სახალხო გვარდიის საბრძოლო მოქმედებების ტაქტიკურ ანალიზსა და შეფასებას სომხეთ-საქართველოს ომში, ეკატერინენფელდთან და შულავერთან, ჩვენ წიგნის მეორე ნაწილში, საბრძოლო მოქმედებათა განხილვისას შევეხებით უფრო დაწვრილებით. ამჯერად კი ვიტყვით, რომ ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ზემოთქმულისა ისიც იყო, რომ გვარდიის ხელმძღვანელობასა და სამეთაურო რგოლში თითქმის არ იყო კადრის, პროფესიონალი და გამოცდილი ოფიცერი. კადრის ოფიცრები მხოლოდ საომარი მოქმედებების დროს მიევლინებოდნენ გვარდიაში, რასაც მინიმალური ეფექტი მოჰქონდა. გენერალი კვინიტაძე თავის ნაშრომში, ,,ჩემი პასუხი", სახალხო გვარდიის შესახებ წერდა: ,,[გვარდიაში} უნდა შექმნილიყო მხოლოდ ბატალიონები. არ არსებობდა არც პოლკები, არც ბრიგადები, არც დივიზიები. რიცხვი ბატალიონებისა თანდათან მიიყვანეს 24-მდე. მართვა გვარდიისა და მისი ნაწილებისა იყო ხელში კოლეგიური დაწესებულებებისა. როცა დასჭირდებოდათ რამდენიმე ბატალიონის შეკავშირება, განსაკუთრებით სამხედრო მოქმედებისათვის, ითხოვდნენ სამხედრო უწყებიდან პოლკოვნიკს ან გენერალს. რასაკვირველია, ასეთი ორგანიზაცია, განსაკუთრებით ომის დროს, იყო მავნებელი. მით უმეტეს, რომ მასში აშკარად სჩანდა პრეტორიანების თვისებები, რაც დამტკიცდა შემდეგ ბევრი მაგალითებით".[690]

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს რეგულარული ჯარიც არ გამოირჩეოდა საზოგადოდ სანიმუშო მდგომარეობით, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე უფრო შემაშფოთებელი მოვლენა საქართველოს შეიარაღებული ძალების სისტემაში, წითელ (სახალხო) გვარდიასა და რეგულარულ ჯარს შორის არსებული იდეოლოგიური სხვაობა და დაპირისპირება იყო:

,,ჯარისკაცები იყვნენ სახლებში თოფებითა და ტანსაცმლით და საჭიროების შემთხვევაში ცხადდებოდნენ თავთავიანთ ნაწილებში, ისე, როგორც ეს შვეიცარიაშია. სახალხო გვარდიაში ოფიცრების ხარისხები (იგულისხმება სამხედრო წოდებები - ა. ჩ.) არ იყო.

გვარდიას უმეტესად შეადგენდნენ უმთავრესად პარტიის წევრები, მენშევიკები. მხოლოდ ერთი ათასეული იყო შედგენილი სოციალისტ-ფედერალისტების მიერ გენ. იოსებ

---

689 შ. მაღლაკელიძე - მოგონებები. ვ. რცხილაძე. ჟურნალი ,,განთიადი". ქუთაისი. 1991. №3. გვ. 136.

690 გენ. გ. კვინიტაძე. საქართველოს ჯარების ყოფილი მთავარ-სარდალი. ჩემი პასუხი. (ნოე ჟორდანიას ,,ჩემი წარსული"-ს შესახებ). პარიზი. 1954. გვ. 7.

გედევანიშვილის[691] უფროსობით, რომელიც I მსოფლიო ომის წინ, პოლიტიკური საქმიანობისათვის ჯარიდან იყო განთავისუფლებული. ჯარსა და გვარდიას შორის ურთიერთობა ვერ იყო იდეალური. გვარდიის ოფიცრებს ჰქონდათ ზოგიერთი პრივილეგია, რაც მუდმივ ჯარს აღიზიანებდა“,[692] - აღნიშნავს თავის მემუარში პოლკოვნიკი თევზაძე. ძალიან მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, რეგულარულ ჯარსა და გვარდიას შორის დიდი სოციალური უფსკრული იყო. ასე მაგალითად, მაშინ როცა არმიაში ოფიცერთა ხელფასი 150-250 მანეთს შეადგენდა, გვარდიაში ანალოგიური მაჩვენებელი ერთი რიგით მაღალი მაინც იყო და იგი 3-დან 6 ათას მანეთამდე მერყეობდა.[693] აქ, შენიშვნის სახით დავამატებდით, რომ იოსებ (სოსო) გედევანიშვილი კადრის ოფიცერი იყო, რუსეთის საიმპერატორო არმიაში იგი კაპიტნის ჩინს ატარებდა. 1905 წლისათვის, რევოლუციური საქმიანობის გამო, იგი დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან, ხოლო 1918 წლისათვის მისი

---

691 იოსებ (სოსო) გედევანიშვილი (1873-1939წ.წ.) – ქართველი პოლიტიკოსი და სამხედრო პირი, დრამატურგი, მწერალი და პუბლიცისტი. რუსეთის საიმპერატორო არმიის კაპიტანი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწისა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილის და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის საორგანიზაციო, და შემდეგ ოპერატიული სექციის უფროსის, პოლკოვნიკ ნიკოლოზ გედევანიშვილის ძმა. დაიბადა თბილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ ახაშენში. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ – სამხედრო სასწავლებელი. 1905 წლამდე მსახურობდა 66-ე სარეზერვო დივიზიის შტაბში, სადაც მიაღწია კაპიტნის წოდებამდე. იყო რევოლუციონერი ოფიცერი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი 1905-1923 წლებში. რკპ(ბ) წევრი 1924 წლიდან. დუშეთის კომენდანტი. 1905-1907 წლების რევოლუციის ანტიცარისტული მოძრაობის აქტიური მონაწილე და ექსპროპრიატორი, რის გამოც კაპიტნის წოდებით დათხოვნილ იქნა რუსეთის საიმპერატორო არმიის რიგებიდან. მას შემდეგ ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ და რევოლუციურ საქმიანობას. ამავე დროს დაკავებული იყო თეატრალური ცხოვრებითა და დრამატურგიით. 1910 წლიდან ეწეოდა პუბლიცისტურ საქმიანობას. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო ამიერკავკასიის ნაციონალური არმიისა და ქართული საარმიო კორპუსის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი. იყო პირველი ფორმაციის ქართული საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აღმასკომის წევრი და სოციალისტ-ფედერალისტთა ბათუმის ე.წ. „პარტიზანული რაზმის" მეთაური. 1918 წლის აგვისტოდან ინიშნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსად. ამავე პერიოდიდან აქვეყნებს სტატიებს სამხედრო ისტორიასა და სამხედრო ხელოვნებაში. 1919 წლის დასაწყისიდან ინიშნება აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის გენერალ-გუბერნატორდ და ქართული გარნიზონის სარდლად. 1919 წლის 12 მარტიდან იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. 1920 წლიდან ინიშნება აღმოსავლეთ საქართველოში გაშლილი მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაურად, ხოლო 1920 წლის დეკემბრიდან – ბორჩალოს მაზრის ქართული გარნიზონის სარდლად. 1921 წლის თებერვლიდან, რუსული ბოლშევიკური სამხედრო ინტერვენციის დაწყების საშიშროებასთან დაკავშირებით, ინიშნება სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდლად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, მთავრობის წევრებისა და სხვა სამხედროების მსგავსად ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა საქართველოში. მალევე შეეგუა საქართველოს ბოლშევიკურ მმართველობას. 1924 წლიდან ხდება კომუნისტური პარტიის წევრი და მუშაობს სხვადასხვა სახელმწიფო და სამეურნეო თანამდებობებზე. ამავე პერიოდში დაკავებული იყო შემოქმედებითი, სამეცნიერო და პუბლიცისტური საქმიანობით. 1926-1928 წლებში იყო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორი. 1928-1929 წლებში – ამიერკავკასიის რადიოგადაცემათა რწმუნებული, ხოლო 1929 წლიდან მუშაობდა საქართველოს ცენტრალურ არქივში. ავტორია სამხედრო-ისტორიული ხასიათის შრომებისა „სამხედრო ხელოვნება საქართველოში", „სამხედრო ხელოვნება ვეფხისტყაოსანში", „მოთხრობათა კრებული" და სხვა. გარდაიცვალა 1939 წელს. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის ეზოში.

692 ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. „მეცნიერება". თბილისი. 1990. გვ. 38.

693 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1970, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცელი 6.

გაგენერლებაც, გასაგები მიზეზების გამო, საკმაოდ სწრაფად მოხდა. ხოლო ის ფაქტი, რომ გვარდიასა და რეგულარული ჯარის ნაწილებს შორის პრივილეგიებში დიდი სხვაობა იყო, წარმოადგენდა სწორედ ქართული შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ უდიდეს დამანგრეველ ფაქტორს. გარდა ამისა, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ წითელი გვარდია პოლიტიზირებული, ფაქტიურად ერთპარტიულობის პრინციპზე აგებული პრეტორიანული საბრძოლო შენაერთი იყო და მისი მთელი პირადი შემადგენლობის იდეოლოგიაც, როგორც რიგითი, ასევე სამეთაურო შემადგენლობისა, გასაგები მიზეზების გამო, სოციალისტური და ინტერნაციონალისტური უფრო იყო, ვიდრე ეროვნული და პატრიოტული. თავად ნოე ჟორდანია აღნიშნავდა: ***„გვარდია იყო პოლიტიკურ-სამხედრო ორგანიზაცია*** და გამოდიოდა ბრძოლის ველზე პოლიტიკური ამოცანების გადასჭრელად ხმალით. ვინ იყო იმის თავდები, რომ ***მოწინავე მუშათა სისხლი დაიღვრებოდა მიზანშეწონილად, სწორედ პოლიტიკური საქმისათვის***. ასეთი თავდები დაინახეს მუშათა საბჭოს თავმჯდომარეში, მის პოლიტიკურ მეთაურში. ამის გამო გვარდიის მობილიზაციის ბრძანება უნდა ყოფილიყო დადასტურებული ჩემს მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშები არ გამოვიდოდნენ. მაშასადამე, ჩემი თავმჯდომარეობა იხატებოდა მთავარი შტაბის განაჩენის დამტკიცებაში საკუთარი ხელის მოწერით“.[694] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

დიახ, გვარდიის საპატიო სარდალი, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების თავმჯდომარე და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ბატონი ნოე ჟორდანია, ღიად აცხადებდა, რომ გვარდია არა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ერთ-ერთი ფორპოსტი და გარეშე მტრების წინააღმდეგ მებრძოლი ძალა, არამედ ***„სწორედ პოლიტიკური საქმისათვის“*** შექმნილი და არსებული სამხედრო ორგანიზაცია იყო. სწორედ ამიტომ, რესპუბლიკის საკანონმდებლო უწყების, ეროვნული საბჭოს მიერ, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ მოკლე ხანში მოხდა არა რეგულარული ჯარის, არამედ ამ სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმალიზება. კერძოდ, 1918 წლის 17 ივნისს, ვლადიმერ გობეჩიას თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის პირველი სხდომა, სადაც განიხილებოდა კანონ-პროექტი საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის შესახებ. კომისიის წევრების გარდა (ჟორდანია, აფხაზი, ვაჩნაძე, თევზაია, მდივანი, გედევანიშვილი) სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე ,,მოწვეული სპეციალისტები”: გენერლები კვინიტაძე და ახმეტელაშვილი, და პოლკოვნიკი ზაქარიაძე.[695] და ძალიან მალე, 1918 წლის 2 ივლისს, მიღებულ იქნა კანონი ,,საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიისა“. სწორედ ამ კანონის ძალით ეწოდა 1917 წლის 12 დეკემბერს შექმნილ ,,საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომისიას“ და ,,წითელ გვარდიას“ სახალხო გვარდია. მიღებული კანონი 12 მუხლისგან შედგებოდა. მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია კანონის მე-11 მუხლი. მასში ვკითხულობთ:

,,სახალხო გვარდიის ვერც ერთ ნაწილს ვერ გამოიწვევენ ისე, თუ არა მთავარი შტაბის საშუალებით. სახალხო გვარდიის გამოწვევის უფლება ეკუთვნის მთავრობის თავმჯდომარეს. თუ თავმჯდომარისთვის შეუძლებელია ამ უფლებით სარგებლობა, სახალხო გვარდია შეიძლება გამოწვეულ იქმნეს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მიერ.

საგანგებო მნიშვნელობის შემთხვევაში სახალხო გვარდიის გამოწვევის უფლება გადადის პირდაპირ მის მთავარ შტაბზე და რაიონულ შტაბებზე. მხოლოდ რაიონული შტაბი ამ შემთხვევაში აცნობებს მთავარ შტაბს”. მე-12 მუხლში კი, ეწერა: ,,სახალხო გვარდიის ყველა ნაწილი, გამოწვეული თანახმად მე-11 მუხლისა, ემორჩილება იმ პირს და უწყებას, რომლის განკარგულებაშიც იგზავნება

---

694 ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული. (მოგონებანი) პარიჟი. 1953. გვ. 130-131.

695 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 193, ფურცელი 1.

გამომწვეველთა მიერ".[696] როგორც ვხედავთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდია სახელმწიფოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ექვემდებარებოდა და არა რესპუბლიკის სამხედრო უწყებას.

თავის მეტად საინტერესო წიგნში - ,,ექსპერიმენტი: საქართველოს მივიწყებული რევოლუცია 1918-1921", (Experiment: Georgia's Forgotten Revolution 1918-1921) გვარდიის შესახებ გარკვეულ ცნობებს გვაწვდის ამერიკელი მკვლევარი და პუბლიცისტი, ერიკ ლი (Eric Lee). პირველად ეს წიგნი ინგლისურ ენაზე გამოიცა ლონდონში, 2017 წელს. ქართულად კი, ერთი წლის შემდეგ ითარგმნა და გამოიცა საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს ფარგლებში - 2018 წელს. ავტორი წერს: ,,1917 წლის 5 სექტემბერს ტფილისში სახალხო გვარდია (თავდაპირველად მას მუშათა გვარდია, ან, სხვანაირად, წითელი გვარდია ეწოდებოდა) შეიქმნა. ეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთგვარი პრეტორიული გვარდია იყო, რომელიც შეიარაღებული ქალაქელი მუშებისგან შედგებოდა, და რომლებიც პარტიის მხურვალე მხრდამჭერები იყვნენ. გვარდიას სათავეში ოცდაათი წლის ვლადიმერ (ვალიკო) ჯუღელი ედგა. მას მართავდა გვარდიის ყრილობა, ხოლო ***გენერალური შტაბი*** ერთი წლის ვადით ირჩეოდა. სახალხო გვარდიაში არსებობდა საგანმანათლებლო და სასოფლო-სამეურნეო განყოფილებებიც. როდესაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, გვარდია სამხედრო სამინიტროს კი არა, მეტწილად მენშევიკებისგნ დაკომპლექტებული პარლამენტის უშუალო დაქვემდებარების ქვეშ გადავიდა და საბოლოოდ მას ***ეროვნული გვარდია*** ეწოდა".[697] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

ამ მოკლე ამონარიდში ძირითადში სწორად არის გადმოცემული განსახილველ საკითხთან დაკავშირებული ფაქტები და მოვლენები, მაგრამ მცირე კომენტარს მაინც საჭიროებს. სახალხო გვარდიის მმართველ ორგანოს არა გენერალური შტაბი, არამედ მთავარი შტაბი ეწოდებოდა და მასში არა მხოლოდ ,,საგანმანათლებლო და სასოფლო-სამეურნეო განყოფილებები", არამედ სხვა სრუქტურული ქვედანაყოფებიც შედიოდა. ჯერ კიდევ წითელი გვარდიის პირობებში, კერძოდ, 1918 წლის 6 ივნისის მდგომარეობით, მისი მთავარი შტაბი შემდეგი განყოფილებებისგან შედგებოდა: სამობილიზაციო, სწავლების, მომარაგების, რეკვიზიციების, შეიარაღების, კავშირგაბმულობის, საევაკუაციო, ნარიადების და კონტროლის.[698]

გარდა ამისა, ამ სამხედრო ორგანიზაციას ,,ეროვნული გვარდია" არც ,,საბოლოოდ" და არც არასდროს არ რქმევია. ერთი შეხედვით თითქოს არაარსებითი და უმნიშვნელო უზუსტობაა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. საქმე იმაშია, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის, და მით უმეტეს, მათი საბრძოლო ორგანიზაციის წევრებისათვის, ვალიკო ჯუღელით სათავეში, სიტყვა და ცნება - ,,ეროვნული", ისეთივე უცნობი, გაუგებარი და მიუღებელი იყო, როგორც მაგალითად, იმპერატორ ნიკოლაი მეორის, ან ლენინისა და სტალინისათვის - დემოკრატია და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ცნება. საკითხის სისრულისათვის კი, იმასაც აღვნიშნავთ, რომ სამხედრო ორგანიზაცია, ასეთი დასახელებით - ,,ეროვნული გვარდია", საქართველოში მართლაც არსებობდა, მაგრამ იგი მხოლოდ ამ ამბებიდან შვიდი ათეული წლის შემდეგ, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა, რომელიც დღევანდელი საქართველოს თავდაცვის ძალების სტრუქტურაში ცალკეული შენაერთისა და სამხედრო დეპარტამენტის სახით არის შესული.

რაც შეეხება საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის რიცხოვნობას და ჯარების გვარეობებს. ამის შესახებ ერიკ ლი შემდეგ ცნობებს გვაწვდის: ,,ქართულ ჯარს ჰყავდა

---

696 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 85, ფურცელი (2-3).

697 ერიკ ლი. ექსპერიმენტი: საქართველოს მივიწყებული რევოლუცია: 1918-1921. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი. თბილისი. 2018. გვ. 72-73.

698 საქართველოს ეროვნულ არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი (57-58).

27000 მობილიზებული ჯარისკაცი და კიდევ 60000 - რეზერვში. არსებობდა ასევე მცირე ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელიც ერთი საესკადრო ნაღმოსნისგან, ***ოთხი საბრძოლო თვითმფრინავისგან,*** ოთხი სატორპედო კატარღისა და ათი თბომავლისგან შედგებოდა".[699] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). აღნიშნულ ,,ოთხ საბრძოლო თვითმფრინავთან" მიმართებაში კი, წიგნის სამეცნიერო რედაქტორი აღნიშნავს, რომ ,,ავტორის მიერ მოხსენიებული აეროპლანები არ შედოდა ფლოტის დაქვემდებარებაში, არამედ ექვემდებარებოდა საინჟინრო-სატექნიკო ჯარის საავიაციო შენაერთს".

ამონარიდში მოხსენიებულ თვითმფრინავებთან დაკავშირებით წიგნის ავტორიც და სამეცნიერო რედაქტორიც მცირე უზუსტობას უშვებენ. აქ გარკვეული განმარტების გაკეთებაა საჭირო. საქმე იმაშია, რომ 1918 წლისათვის ქართული ფლოტის შემადგენლობაში მართლაც ირიცხებოდა ოთხი საფრენი აპარატი, მაგრამ ეს არა ჩვეულებრივი თვითმფრინავები, არამედ ჰიდროთვითმფრინავები იყო.[700] ასე, რომ როგორც წიგნის ავტორის, ასევე მისი სამეცნიერო რედაქტორის მიერ მოწოდებული ცნობები ბოლომდე კორექტული არ არის. ხოლო რაც შეეხება ზოგადად ქართულ ავიაციას, მის სტრუქტურულ ორგანიზაციას, პირად შემადგენლობას, საფრენ აპარატებსა და მათ რაოდენობას, მასზე ჩვენ ოდნავ ქვემოთ, წიგნის ამ ნაწილის შესაბამის პარაგრაფში გვექნება უფრო არსებითი საუბარი.

,,ძველი ჯარისკაცი ჯარში არა ჩერდებოდა. შეკრებდნენ პოლკს, მისცემდნენ იარაღს, ჩაცმევდნენ (საწყობებში იარაღი და ტანისამოსი ჯერ კიდევ ბევრი იყო), ავარჯიშებდნენ რამდენიმე დღეს და ერთ მშვენიერ დღეს ყაზარმა ცარიელი დახვდებოდათ. მიდიოდნენ იარაღიანად. მთავრობამ ჩამოაყალიბა წითელი გვარდია, რომლის სათავეში დააყენა ვალერიან ჯუღელი. გვარდია იყო უფრო საეგზეკუციო ნაწილი, ხალხში თავიდანვე გაუტყდა სახელი, როგორც დამსჯელ შენაერთს",[701] - წერდა მოგვიანებით თავის მემუარში ამ ამბების უშუალო მომსწრე და თვითმხილველი, იმ დროისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურე და სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე, ბატონი ნიკო კეცხოველი.[702]

---

699 ერიკ ლი. ექსპერიმენტი: საქართველოს მივიწყებული რევოლუცია: 1918-1921. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი. თბილისი. 2018. გვ. 87-88.

700 აქ საუბარია ერთადგილიან ბიპლანებზე, რუსი ავიაკონსტრუქტორის, დმიტრი გროგოროვიჩის საკონსტრუქტორო ბიუროში შექმნილ M-11 ტიპის ჰიდროთვითმფრინავებზე, ეს საფრენი აპარატები, ე.წ. ,,გამანადგურებელი-მფრინავი ნავები'' ბაზირებულნი იყვნენ რუსეთის საიმპერატორო ფლოტის შავ და ბალტიის ზღვებზე. I მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1915-1916 წლებში, სულ აგებულ იქნა და საზღვაო უწყებას გადაეცა 61 ერთეული აღნიშნული ტიპის ჰიდროთვითმფრინავი.

701 ნიკო კეცხოველი. პირადი არქივი - ,,ნარ-ეკლებით მოფენილი გზა''. თბილისი. გვ. 279.

702 ნიკო კეცხოველი (1897-1982წ.წ.) – დიდი ქართველი მეცნიერი, ბოტანიკოსი. პუბლიცისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი. ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში და ბოტანიკის პოპულარიზატორი. 1929 წლიდან ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, კათედრის დოცენტი. 1937 წლიდან ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის გამგე 1933 წლიდან გარდაცვალებამდე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი ვიცე-პრეზიდენტი 1943-1945 წლებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი 1945-1952 წლებში. 1957 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად. საქართველოს ბოტანიკოსთა საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი უცვლელი თავმჯდომარე 1958 წლიდან. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი უცვლელი დირექტორი 1963 წლიდან გარდაცვალებამდე. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი. 1918 წელს დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია. 1918-1919 წლებში ბატონი ნიკო კეცხოველი ქართულ რეგულარულ ჯარში მსახურობდა, საარტილერიო ბატარეაში. იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი და ამავე პარტიის ბეჭდვითი ორგანოს, გაზეთ ,,საქართველოს'' კორესპონდენტი. 1918 წლის დეკემბერში მონაწილეობდა გენერალ აბელ მაყაშვილის შენაერთების მიერ

საწყის ეტაპზე საქართველოს პირველი, ორგანიზებული საჯარისო შენაერთი შედგებოდა ,,ერთი ქვეითი ბატალიონის, ერთი გვარდიის ბატალიონის, ერთი ბატარეის, გვარდიის ერთი ცხენოსანი დივიზიის, ერთი გერმანული - ბავარიელ ეგერთა[703] ბატალიონისაგან'',[704] - აღნიშნავს გენერალი კვინიტაძე თავის მემუარში. ჩვენის მხრივ დავამატებით, რომ 1918 წლისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე ჯავშანმატარებლების პარკი, ჯავშნოსანი მანქანების რაზმი, საავიაციო რაზმები თბილისსა და ქუთაისში, და მცირე ფლოტი[705] - ბაზირებით ფოთში. ჯარების იმჟამინდელი საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურით, ზემოთ ხსენებული ქვეითი ჯარის საბრძოლო ერთეული, ფაქტიურად ერთ სრულ დივიზიას წარმოადგენდა. გენერალ კვინიტაძის ზემოთ მოყვანილ ამონარიდში აშკარად შეცდომაა დაშვებული საკავალერიო დივიზიასთან დაკავშირებით. საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში საკავალერიო დივიზია არასოდეს არ არსებობდა. უნდა იყოს მაქსიმუმ საკავალერიო ბრიგადა. გენერალ კვინიტაძის ამ მემუარში კი, მხოლოდ და მხოლოდ საკავალერიო დივიზიონზე შეიძლება იყოს საუბარი, რომელიც სახალხო გვარდიის სტრუქტურაში იყო ჩართული - დივიზიონზე, და არა დივიზიაზე. როგორც ჩანს, თარგმანის დროს აქ ტექნიკური შეცდომაა

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების დაკავებაში და ამ რეგიონების ქართული სახელმწიფოსათვის შემომტკიცებაში. იყო სომხეთ-საქართველოს ომში ახტალა-ალავერდის ბრძოლის აქტიური მონაწილე, სადაც 1918 წლის 16 დეკემბერს მძიმედ დაიჭრა კიდეც. მას შემდეგ ნიკო კეცხოველი დაინვალიდდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე. 1921 და 1923 წლებში დაპატიმრებული იყო. 1924 წლის აჯანყების შემდეგ ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას და თავი მეცნიერებას უძღვნა. 1926 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1941-1942 წლებში სხვა ცნობილ მოღვაწეებთან ერთად (ნიკო მუსხელიშვილი, მიხეილ ზანდუკელი, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, გიორგი წერეთელი, სიმონ ყაუხჩიშვილი, პავლე ინგოროყვა და სხვანი) თანაუგრძნობდა ფარულ პატრიოტულ ორგანიზაციას ,,სამანი''. მისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ნაშრომები და კვლევები ეხება საქართველოს მცენარეული საფარის გეობოტანიკურ, ბოტანიკურ-გეოგრაფიულ და სისტემურ გამოკვლევებს, მისი აღდგენისა და დაცვის პრობლემებს. გარდაიცვალა 1982 წელს, 85 წლის ასაკში. დაკრძალულია თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

703 ეგერები (გერმ. Jäger – პირდაპირი მნიშვნელობით ,,მონადირე'') – მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში არსებული მსუბუქი ქვეითი ჯარის სამხედრო მოსამსახურე. პირველად ეს ტერმინი ჩნდება 1618-1648 წლების ოცდაათწლიანი ომის დროს. შემდგომში, უკვე 1756-1763 წლების შვიდწლიანი ომის მსვლელობისას, ქვეითი ჯარის ეს ტიპი უფრო ვრცელდება, განსაკუთრებით, პრუსიის არმიაში. საქმე იმაშია, რომ პრუსიაში ეგერებად მიჰყავდათ მეტყევეების, მონადირეებისა და კვალმაძიებლების შვილები, რომლებიც თავისი ცხოვრების წესიდან და პროფესიიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს ფლობდნენ. გამოცდილებამ აჩვენა, რომ რთული რელიეფის, კლიმატისა და ლანდშაფტის პირობებში უფრო ეფექტურად მოქმედებდნენ ის მცირერიცხოვანი ქვედანაყოფები, რომლებიც კარგად იცნობდნენ ადგილმდებარეობას, ბუნებრივ პირობებსა და რელიეფს. შესაბამისად, ისინი სწრაფად ახდენდნენ ადგილზე ორიენტაციას. და რაც მთავარია, ისინი კარგი კვალმაძიებლები და მსროლელები იყვნენ. დღესავით ნთელია, რომ რთულ და მთაგორიან რელიეფზე ქვეითი ჯარის დიდი შენაერთების მოქმედებები არაეფექტური იყო, რადგან მათი სამარშო კოლონებად გადაადგილება და მით უმეტეს, საბრძოლო გაშლა, რთული იყო. ამ დროს დიდი იყო საბრძოლო დანაკარგები. მათგან განსხვავებით, ეგერები, როგორც წესი, მოქმედებდნენ ინდივიდუალურად ან მცირე ტაქტიკურ საცეცხლე ჯგუფებად. საბოლოოდ, როგორც მუდმივი ქვეითი ჯარის ერთ-ერთი ტიპი, ეგერები პრუსიაში, ფრიდრიხ II დიდის დროს ყალიბდებიან. ამის შემდგომ, ეგერები სხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებშიც ვრცელდებიან.

704 გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ტომი I. ,,ლომისი''. თბილისი. 1999.გვ 27.

705 ფლოტი (ფრანგ. Flotte, ნიდერ. Vloot) – ერთიანი სარდლობის ქვეშ თავმოყრილი საზღვაო ხომალდებისა და დამხმარე მცურავი საშუალებების, აგრეთვე მათი ეკიპაჟების მსხვილი გაერთიანება ოპერატიული და ოპერატიულ-სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად.

გაპარული. აღსანიშნავია, რომ გვარდიის ცხენოსანი დივიზიონის ფორმირება, მისი მეთაურის, პოლკოვნიკ გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილის მიერ მხოლოდ 1918 წლის ბოლოდან დაიწყო.[706] ამ საკითხთან დაკავშირებით, 1918 წლის 14 და 15 ნოემბერს გამართულ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის პრეზიდიუმის სხდომებზე საუბარია იმაზე, რომ პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი დივიზიონის საჭიროებისათვის თავად კრეფდა ცხენებს, უნაგირებს, აღჭურვილობასა და სანივთე ქონებას.[707] რეგულარული ჯარის ყველაზე სუსტ რგოლსაც კავალერია წარმოადგენდა არა მხოლოდ 1918 წლის მდგომარეობით, არამედ მთლიანად, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მთელი სამწლიანი პერიოდის განმავლობაში. საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოში, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის გენერალ-მიორი და შემდგომში ბოლშევიკური წითელი არმიის კომანდარმი (არმიის გენერალი) ,,ვოენსპეცი"[708] პაველ სიტინი[709] (Павел Павлович Сытин) თავის საიდუმლო მოხსენებებში წითელი არმიის მთავარი საველე შტაბის უფროსს, პაველ

---

706 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 199.

707 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 204.

708 შექმნის საწყის ეტაპზე რუს ბოლშევიკთა მუშურ-გლეხური წითელი არმიის – РККА (Рабóче-Крестья́нская Крáсная Армия) ახალი ტიპის სამხედრო ნაწილების პირადი შემადგენლობის დაკომპლექტება და ფორმირება ფრონტებიდან დაბრუნებული რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცებისა და ძველი არმიის იმ სამხედრო მოსამსახურეებისაგან ხდებოდა, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ემსახურათ წითელ არმიაში. მათ შორის იყვნენ საიმპერატორო არმიის გენერლები, ადმირალები, ოფიცრები და სამოქალაქო ჩინები. წითელი არმიის ამ მოსამსახურეებს ,,სამხედრო სპეციალისტებს" – ,,Военные специалисты", მოკლედ, ,,Военспец"-ებს, ან კიდევ უფრო მოკლედ – ,,Спец"-ებს უწოდებდნენ.

709 პაველ პავლეს ძე სიტინი (რუს. Павел Павлович Сытин) (1870-1938წ.წ.) – რუსი და საბჭოთა მხედართმთავარი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი და წითელი არმიის კომანდარმი (არმიის გენერალი). 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის, I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომის მონაწილე. დაიბადა რიაზანის გუბერნიის ქალაქ სკოპინში. დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის პირველი რეალური სასწავლებელი. სამხედრო სამსახური დაიწყო 1890 წელს. 1892 წელს ამთავრებს კიევის იუნკერთა სამხედრო სასწავლებელს, ხოლო 1899 წელს – გენშტაბის აკადემიას. 1892 წელს ენიჭება პოდპორუჩიკის, 1895 წელს პორუჩიკის, ხოლო 1898 წელს – შტაბს-კაპიტნის წოდება. 1892 წლიდან მსახურობდა მე-16 საარტილერიო ბრიგადაში. 1906-1908 წლებში მსახურობდა კავკასიის გრენადერთა დივიზიაში. 1908-1909 წლებში იყო ბრესტ-ლიტოვსკის ციხესიმაგრის შტაბის სამწყობრო ნაწილის უფროსის მოადგილე. 1909 წელს იყო სამხედრო სასწავლებლის პედაგოგი, შემდეგ – კრონშტადტის ციხესიმაგრის შტაბის უფროსი ადიუტანტი. 1911 წლის 6 დეკემბერს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. I მსოფლიო ომში მეთაურობდა საარტილერიო ბატარეას, დივიზიონს, ბრიგადას. 1916 წელს ინიშნება 37-ე ქვეითი დივიზიის მეთაურად. 1917 წლის 23 იანვარს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისა და თავდადების გამო დაჯილდოებულ იქნა სხვადასხვა ორდენებითა და გიორგის ხმლით. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, 1917 წლის დეკემბერში ჯარისკაცთა ყრილობის მიერ არჩეულ იქნა მე-18 სარმიო კორპუსის სარდლად, რომელთან ერთადაც გადავიდა ბოლშევიკთა მხარეს. წითელ არმიაში ეკავა სხვადასხვა ნაწილებისა და შენაერთების მეთაურის თანამდებობები, ხოლო 1918 წლის სექტემბერ-ოქტომბერში იყო ბოლშევიკთა სამხრეთის ფრონტის სარდალი. 1920-1921 წლებში იყო საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის სამხედრო ატაშე საქართველოში. 1922 წლის ოქტომბრიდან გადაყვანილ იქნა წითელი არმიის სამხედრო აკადემიაში მასწავლებლად. 1924-1927 წლებში მუშაობდა სამხედრო-ისტორიულ სამმართველოში. 1927 წლიდან იყო საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციური საბჭოს განსაკუთრებულ დავალებათა რწმუნებული. 1934 წლის დეკემბრიდან გადის თადარიგში. მუშაობდა წითელი არმიის ცენტრალური სამხედრო არქივის მეცნიერ-თანამშრომლად. დიდი საბჭოური რეპრესიების პერიოდში, 1938 წლის 27 თებერვალს დააპატიმრეს და წაუყენეს კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობის ბრალდება. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. დახვრიტეს 1938 წლის 22 აგვისტოს. რეაბილიტირებულ იქნა 1957 წელს.

ლებედევს, 1920 წელს წერდა: მოხსენებითი ბარათი N7. 1920 წლის 28 ივნისი - ,,საქართველოს არმიის ცხენოსანი ჯარი ერთი დივიზიონისაგან შედგება. საცხენოსნო შემადგენლობა ძალიან სუსტია".[710] მოხსენებითი ბარათი N58. 1920 წლის 20 ივლისი - ,,არმიის კავალერია შედგება სულ 1 ცხენოსანი პოლკისგან. დისლოკაცია მანგლისი. პოლკი ძალიან ცუდი მომზადებისაა და მას მეთაურობს ქვეითი ჯარის ოფიცერი".[711] მოხსენებითი ბარათი N85. 1920 წლის 5 სექტემბერი - ,,ქართველებს სრულიად არა ჰყავთ კავალერიის ტიპის ცხენები".[712]

ბოლშევიკი ემისრის მიერ გაკეთებული ეს შეფასებები, სამწუხაროდ, სრულად გამოხატავდა ქართულ არმიაში არსებულ მდგომარეობას. 1920 წლის ნიმუშის ქართული არმიის სახმელეთო ჯარების ყველაზე უფრო სუსტ და მოუმზადებელ გვარეობას მართლაც კავალერია წარმოადგენდა. და მით უმეტეს, 1918 წლისათვის, ქართული კავალერია შექმნისა და ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფებოდა. საინტერესოა გენერალური შტაბის ოფიცრის, პოლკოვნიკ ვალერიან თევზაძის მოგონება ქართული ჯარის ჩამოყალიბების საკითხთან დაკავშირებით:

,,ჩვენი მთავრობა, როგორც მოვიხსენიე, სოციალისტური იყო და დიდ სურვილს არ იჩენდა რეგულარული ჯარის მოწყობისათვის. საკმარისად მიაჩნდა ისეთი ორგანიზაციის შექმნა, როგორიც შვეიცარიაში იყო, ე.ი. მილიციური სისტემის. არ ვიცი თუ ეს მიზანშეწონილი იყო ისეთ მძიმე პირობებში, როდესაც საქართველო გარშემორტყმული იყო მტრულად განწყობილი სახელმწიფოებით.

მახსოვს, გენ. ოდიშელიძე, დიდად განათლებული და დამსახურებული ოფიცერი მხარს უჭერდა ამ წინადადებას, საჭიროდ არ სცნობდა ოფიცერთა ხარისხებს, მათ მაგიერ უკეთესად მიაჩნდა ოფიცერთა წოდება დაკავებული თანამდებობის თანახმად აღნიშნულიყო, როგორც გუნდის (ასეულის - ა. ჩ.), ათასეულის (ბატალიონის - ა. ჩ.), პოლკის უფროსი (მეთაური - ა. ჩ.) და სხვა. კომისიამ საბოლოოდ გადაწყვიტა შექმნილიყო სამი ქვეითი ბრიგადა, ერთი ცხენოსანი პოლკი და ცალკეული ბრიგადები - არტილერიის, საპიორთა და სხვა დარგების".[713]

საერთო ჯამში, საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო სტრუქტურად მშვიდობიანი პერიოდისათვის ქვეითი ჯარის სამი ბრიგადის შექმნა განისაზღვრა, რომელიც ომის შემთხვევაში სამ დივიზიად უნდა გაშლილიყო. 1918 წლისათვის, რეალურად, დასახული ამოცანა ვერ შესრულდა და შესაბამისი ნაწილები და შენაერთები ვერ ჩამოყალიბდა. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ცალსახად უნდა დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია - ქართული მაღალორგანიზებული და ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალების არშექმნის მთავარი მიზეზი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების იდეოლოგიური პოზიცია და შეიარაღებული ძალების დანაშაულებრივი გაპარტიულების პრინციპი იყო. სწორედ ამის გამო არ იქნა მიღებული ამიერკავკასიაში გერმანელთა საიმპერატორო ჯარების სარდლის, გენერალ კრეს ფონ კრეზენშტაინის რჩევა ქართული ჯარის სტრუქტურისა და კომპლექტაციის საკითხების შესახებ. ,,გერმანელების დროს მიღებული სამხედრო პროექტები - ორი ქვეითთა და ერთი ცხენოსანი დივიზიის შექმნა მოხდა ნაწილობრივ და არა სრული შემადგენლობით და ცხენოსანი დივიზიის სრული გამოკლებით. ამის მიზეზი განმარტა ცნობილმა მენშევიკმა ზაქარია გურულმა:[714] ცხენოსანი

---

[710] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 10.

[711] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 66-66 უკ.

[712] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი (8-10 უკ.).

[713] ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. ,,მეცნიერება". თბილისი. 1990. გვ. 29.

[714] ზაქარია გურული (1878-1937წ.წ.) – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ძველი რევოლუციონერი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მენშევიკი. დაამთავრა წირქვალის ერთკლასიანი სამონასტრო

დივიზია გადაიქცევა თავად-აზნაურთა საჯირითო სარბიელად და ჩვენ არ გვესაჭიროებაო",[715] - აღნიშნავდა თავის მემუარულ ნაშრომში ,,ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი", ცნობილი ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პოლკოვნიკი დავით ვაჩნაძე.[716] ზაქარია გურულის

სკოლა 1890 წელს, 1902 წელს – ჭიათურის ოთხთვიანი ტექნიკური კურსები. ახალგაზრდობიდანვე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. 1905 წლიდან მუშაობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) „მენშევიკთა" ფრაქციაში. 1906 წელს, რეაქციის დაწყების შემდეგ, დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს, საიდანაც მალევე გაიქცა. 1907-1910 წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა ბაქოში. იყო ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკები) ორგანიზაციების ერთ-ერთი ლიდერი. აქაც დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გადააგზავნეს. შემდეგ როსტოვში გადაასახლეს, საიდანაც გაქცევა მოახერხა და დაბრუნდა ჭიათურაში. აგრძელებდა პარტიაში მუშაობას და თანამშრომლობდა პრესასთან სხვადასხვა ფსევდონიმით. 1912 წლის 14 ოქტომბერს ისევ დააპატიმრეს და დააბრუნეს როსტოვში, საიდანაც მიმალვა მაინც მოახერხა და დაბრუნდა კავკასიაში. მუშაობდა ბაქოში, თბილისსა და ბათუმში. 1916 წლის 14 სექტემბერს კვლავ დააპატიმრეს რსდმპ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის წევრობის ბრალდებით და გადაასახლეს ციმბირში, ირკუტსკის გუბერნიაში, სადაც 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მოუსწრო და სამშობლოში დაბრუნდა. ამ პერიოდიდან აქტიურად ჩაერთო ამიერკავკასიის ფედერაციის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ საქმიანობაში. იყო საქართველოს ეროვნული საბჭოსა და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი. 1919 წელს არჩეულ იქნა დამფუძნებელ კრებაში. მუშაობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ემიგრაციაში არ წასულა, დარჩა სამშობლოში და ჩაება ანტიბოლშევიკური წინააღმდეგობის მოძრაობაში. მალევე დააპატიმრეს და მოათავსეს მეტეხის ციხეში, შემდეგ კი, წლების განმავლობაში იმყოფებოდა რუსეთის სხვადასხვა ციხეებსა, გადასახლებებსა თუ საკონცენტრაციო ბანაკებში. 1936 წელს ისევ ციმბირში, ომსკის მხარეში გადაასახლეს. 1937 წლის 16 სექტემბერს გაასამართლა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ომსკის მხარის სამმართველოსთან არსებულმა განსაკუთრებულმა სამეულმა და დახვრეტის განაჩენი გამოუტანა. დახვრიტეს იმავე წლის 1 დეკემბერს.

715 დავით ვაჩნაძე. ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი. თბილისი. 2004. (ორიგინალური გამოცემა მიუნხენი. 1957.) გვ. 71.

716 დავით ვაჩნაძე (1884-1962წ.წ.) – ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი, რუსეთის საიმპერატორო არმიის პორუჩიკი და ქართული არმიის პოლკოვნიკი. დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. შემდეგ სწავლობდა თბილისის კადეტთა კორპუსში, რომელიც დაამთავრა 1902 წელს. სწავლა გააგრძელა პეტერბურგის პავლე I-ის სახელობის სამხედრო სასწავლებელში. სამსახური დაიწყო ვარშავის მე-15 მესანგრეთა ბატალიონში. 1905 წლიდან სამხედრო სამსახური განაგრძო თბილისში. 1907 წელს სამხედრო სამსახურიდან გადადგა პოდპორუჩიკის წოდებით და აქტიურად ჩაერთო ქართულ საზოგადოებრივ და ეროვნულ საქმიანობაში. 1909-1910 წლებში დაიწყო სამწერლო-პუბლიცისტური მოღვაწეობა. 1912 წელს რევაზ გაბაშვილთან ერთად დააარსა ყოველკვირეული ეროვნული მიმართულების ჟურნალი „კლდე". 1914-1915 წლებში მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. ჩართული იყო „თბილისის ქართული დრუჟინის" შედგენაში, რომლის დანიშნულებაც იყო რუსული ჯარებისგან დეცვა ოსმალეთის ფრონტზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ქართველი მუსლიმები და მათი სოფლები. 1915 წელს უკავშირდება ჟენევაში პეტრე სურგულაძის მიერ დაარსებულ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს". ეხმარებოდა გიორგი მაჩაბელს გერმანული წყალქვეშა ნავებით საქართველოში იარაღისა და ფულის შემოტანის ორგანიზებაში. 1917 წელს თავის თანამოაზრეებთან ერთად აარსებს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. 1917 წელს ხდება საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1918 წლიდან იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის წევრი. იმავე წლის ივნისში პოლკოვნიკი ვაჩნაძე საქართველოს მთავრობის წარდგენით ინიშნება „გერმანიის საიმპერატორო სამხედრო-დიპლომატიურ მისიაში" საქართველოს რწმუნებულად. 1918 წლის ნოემბერში მონაწილეობდა გერმანული მისიის საქართველოდან უსაფრთხო ევაკუაციაში. იმავე წლის დეკემბერში მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში. 1921 წლის თებერვალში წითელ არმიასთან საბრძოლველად შეადგინა განსაკუთრებული რაზმი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაში არ მიდის და რჩება

ამ ,,მოსაზრებას“ ქართველ სოციალ-დემოკრატთა სხვა ლიდერებიც იზიარებდნენ. ამონარიდი ცნობილი ქართველი ინჟინერ-გეოლოგისა და პუბლიცისტის, ბატონ გრიგოლ ვაშაძის მემუარიდან, რომელიც 1918-1921 წლებში, მაშინ სრულიად ახალგაზრდა კაცი, როგორც არტილერიის ჯარისკაცი, მე-4 ბატარეაში მსახურობდა - ,,მახსოვს, 1920 წელს ცხენოსანთა დივიზიის სარდალთან,[717] პოლკოვნიკ წერეთელთან მივედი წერილით, ნოემბრის დასაწყისი იყო. მასთან კაბინეტში ფეხზე მდგომი მამაკაცი ცხარედ ესაუბრებოდა. მაშინვე ვიცანი ქაქუცა ჩოლოყაშვილი.[718] დამინახა და ბაასი შეწყვიტა, ჩამაცქერდა. მერე მომმართა – რაღაც მეცნაურებით, სადღაც მინახიხართო. მე შევახსენე და მხედრულად გავეჭიმე. აი, შევეკითხოთ – მიმართა მან წერეთელს – ამ ნაბრძოლ ახალგაზრდას, ვარ

სამშობლოში. მონაწილეობდა იატაკქვეშა წინააღმდეგობის მომზადებაში. 1922 წელს დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, თუმცა ავადმყოფობის გამო მალევე გაათავისუფლეს. 1924 წელს ანტისაბჭოთა აჯანყებისათვის უცხოეთიდან დახმარების მიღების ორგანიზების მიზნით საიდუმლოდ გადადის თურქეთში. აჯანყების დამარცხების შემდეგ კი, რჩება ემიგრაციაში. 1927 წლიდან ცხოვრობდა საფრანგეთში, იტალიასა და გერმანიაში. ემიგრაციაში ყოფნისას ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. კითხულობდა ლექციებს და მოხსენებებს. იყო რამდენიმე ქართული ემიგრანტული ორგანიზაციის წევრი. მონაწილეობდა პარიზის ქართული სათვისტომოს კულტურულ საქმიანობაში. II მსოფლიო ომის შემდეგ დასახლდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც გარდაიცვალა კიდეც ქალაქ ესენში, 1962 წელს.

717 აქ ტერმინ ,,სარდლის'' მაგივრად უნდა იყოს ტერმინი ,,მეთაური''. სარდლად იწოდება სამხედრო შენაერთის (საარმიო კორპუსი და ზემოთ – არმია, ფრონტი (არმიათა ჯგუფი)) ხელმძღვანელი პირი, ხოლო სამხედრო ქვედანაყოფისა და ნაწილის (ათეულიდან ზემოთ, დივიზიის ჩათვლით) ხელმძღვანელ სამხედრო პირს ეწოდება მეთაური.

718 ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი (1888-1930წ.წ.) – ქართველი სამხედრო მოღვაწე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური ლიდერი და თავისი ქვეყნის პატრიოტი, რუსეთის საიმპერატორო არმიის კაპიტანი და საქართველოს არმიის პოლკოვნიკი, კავალერისტი. საქართველოს ეროვნული გმირი. დაიბადა სოფელ მატანში. 1907 წელს დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია. 21 წლის ასაკში გაიწვიეს ჯარში. მსახურობდა ტვერის დრაგუნთა პოლკში. 1912 წელს ბრუნდება საქართველოში. I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე იბრძოდა აღმოსავლეთის ფრონტზე, სადაც დაიჭრა. 1914 წლის ბოლოდან კავკასიის ფრონტზეა. თავი გამოიჩინა სარიყამიშის ოპერაციის დროს, ტაქტიკური სიმაღლის, ე.წ. ,,არწივის ბუდის'' დაცვისას, რისთვისაც დაჯილდოვდა ოქროს ხმლით. 1915 წელს ჩაირიცხა ქართულ ცხენოსან პოლკში, რომელიც შეყვანილ იქნა გენერალ ბარათოვის (ბარათაშვილი) საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაში. კორპუსმა წარმატებით მოახდინა სპარსეთის დიდი ნაწილის ოკუპაცია და მესოპოტამიაში გასვლა, სადაც კონტაქტი დაამყარა ბრიტანულ ჯართან. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბრუნდება საქართველოში და ხდება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. ამავე დროს აქტიურად მონაწილეობს ქართული კავალერიის შექმნაში. ქართულ საკავალერიო დივიზიონში მეთაურობდა ესკადრონს. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში და 1919 წლის გაზაფხულზე შავიზღვისპირეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. აქვე ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. გარკვეული პერიოდი, დივიზიონის სხვა ოფიცრებთან ერთად, სახალხო გვარდიის ლიდერებისა და მთავრობის მხრიდან განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს დასავლეთ საქართველოში აყალიბებდა საკავალერიო ნაწილს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ემიგრაციაში არ წასულა, დარჩა სამშობლოში და აქტიურად ჩაება ანტიბოლშევიკურ და ანტისაოკუპაციო მოძრაობაში. 1922 წლის მარტიდან თავის თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა ე.წ. ,,შეფიცულთა რაზმი'' და ოკუპანტების წინააღმდეგ დაიწყო პარტიზანული ბრძოლა, სადაც გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. მისი რაზმი წარმოადგენდა ანტიბოლშევიკური ორგანიზაცია ,,დამოუკიდებლობის კომიტეტის'' (დამკომი) მთავარ სამხედრო ძალას, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა თურქეთის გავლით ემიგრაციაში წასულიყო. ცხოვრობდა საფრანგეთში, საქართველოს ემიგრირებული მთავრობის რეზიდენციაში. გარდაიცვალა ტუბერკულოზით, 1930 წლის 27 ივნისს. დაკრძალეს პარიზის მახლობლად, სენტუანის სასაფლაოზე. მოგვიანებით გადაასვენეს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. 2005 წელს მიენიჭა საქართველოს ეროვნული გმირის წოდება, მისი ნეშტი კი, საქართველოში გადმოასვენეს და 23 ნოემბერს სრული სამხედრო პატივით დაკრძალეს მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

თუ არა მართალი. მერე მე მომიბრუნდა: მე ვამბობ, რომ მთავრობას, რომლის სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძეა და რომელიც ამბობს, რომ კავალერია თავად-აზნაურობის მოგონილი საჯარისო სახეობა არის, რადგან მათ ფეხით სიარული ეუკადრისებათო, შეიძლება ხეირი დაადგეს? წერეთელი იცინოდა და აოკებდა ქაქუცას – არა უშავს, ქვეყნის მართვას ისწავლიან და ამაშიდაც გაერკვევიანო...“[719] კავალერიის არშექმნის გამაოგნებელი არგუმენტებია წარმოდგენილი ზემოთ მოყვანილ მემუარებში. აქ, ჩვენის აზრით, ყოველგვარი კომენტარის გაკეთებაც კი ზედმეტია. ერთმნიშვნელოვნად ვეთანხმებით საქართველოს პარლამენტის წევრის, ეროვნულ-დემოკრატის, პოლკოვნიკ დავით ვაჩნაძისა და გვარდიის საკავალერიო დივიზიონის ესკადრონის მეთაურის, პოლკოვნიკ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოსაზრებებს ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ ისინი პროფესიონალი სამხედროები იყვნენ. დავით ვაჩნაძე:

,,ს.-დ. (იგულისხმება სოციალ-დემოკრატთა - ა. ჩ.) მთავრობა თავიდან ცივად და უნდობლად დახვდა გენერალ ფონ კრესის წინადადება-რჩევას ერთი მთლიანი ეროვნული ჯარის საჩქაროდ შედგენისათვის, ნაცვლად საომრად უვარგისი პარტიული გვარდიისა.

- ჩვენ ვართ მოსულნი დროებით და ალბათ მოგვიხდება უკან დაბრუნება. უჯაროდ თქვენი სამშობლო ადვილად წაილეკება მეზობლებისაგან. ისარგებლეთ ჩვენი აქ ყოფნით, გამოცდილებით, ყოველგვარი დახმარებით და შეადგინეთ წესიერი, მაგარი ქართული ჯარი და გაიმაგრეთ თქვენი ქვეყანაო - მოუწოდებდნენ გერმანელი მრჩევლები ს.-დემოკრატების მეთაურებს პარლამენტის სამხედრო კომისიაში, მაგრამ ამაოდ. ს.-დემოკრატები უარით დახვდნენ მათ წარმოდგენილ სამხედრო გეგმას, რომელიც მოითხოვდა ერთგვაროვანი მუდმივი ქართული ეროვნული ჯარის მოწყობას (როგორც მთავარ ძალოვან ნაწილს მომავალი საერთო კავკასიის ჯარისა) და პარტიული გვარდიის გაუქმებას...

მიზეზი ასეთი გახელებული წინააღმდეგობისა ყველასათვის ნათელი იყო: პარტიული გვარდია მათ ესაჭიროებოდათ დაწყებული მიწების კონფისკაციის საქმის უზრუნველყოფისათვის და მომავალ დამფუძნებელ კრებაში სოფლის ხალხის უმრავლესობის ხმის მიღებისათვის თავისი პარტიული დიქტატურის განმტკიცებისათვის. ამასთანავე მათ ეშინოდათ და ამას არც მალავდნენ, რომ ეროვნულ ჯარს სათავეში, მათი აზრით, ,,რეაქციონერი” ოფიცრები, თავადაზნაურობის ჩამომავლობისა, ჩაუდგებოდნენ”.[720] რა თქმა უნდა, მოყვანილ ციტატაში ავტორის გერმანოფილური განწყობა იგრძნობა, (გაგახსენებთ, რომ მან თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები გერმანიაში გაატარა, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1962 წელს) მაგრამ ფაქტია, რომ ავტორისეული მოსაზრება იმდროინდელ რეალობას ასახავს და დოკუმენტურადაც დადასტურებულია.

საერთო ჯამში, 1918 წლის შემოდგომამდე ქართული შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში - არც არმიაში და არც სახალხო გვარდიაში, ჯარების ორგანიზებული საკავალერიო გვარეობა არ არსებობდა. ასე, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში როგორც სახალხო გვარდიას, ასევე რეგულარული არმიის ჩანასახოვან ქვედანაყოფებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საბრძოლო მოქმედებების წარმოება ოსმალური ინტერვენციისა და ბოლშევიკური აგრესიის ჩასაქრობად, ცხენოსანი ჯარის მონაწილეობის გარეშე მოუწიათ. ხოლო 1918 წლის ზაფხულიდან აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ დაწყებულ საომარ კამპანიაში, გენერალ მაზნიაშვილის შენაერთში აფხაზური კავალერია იქნა ჩართული. და ეს მაშინ, როდესაც მაღალი ბრძოლის უნარის მქონე ქართული ნაციონალური საკავალერიო ნაწილი ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის მსვლელობისას არსებობდა. აქ, ირანში შეყვანილ გენერალ ბარათოვის

---

[719] გრიგოლ ვაშაძის პირადი არქივი. რედაქტორ-შემდგენელი მანანა ყვავილაშვილი. საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი. 2009. გვ. 50.

[720] დავით ვაჩნაძე. ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი. თბილისი. 2004. (ორიგინალური გამოცემა მიუნხენი. 1957.) გვ. 61-62.

საექსპედიციო კორპუსში ჩართულ ქართულ საკავალერიო პოლკსა და მის წარმატებულ საბრძოლო მოქმედებებზეა საუბარი.[721]

1916 წლის მდგომარეობით 1-ლი ქართული ცხენოსანი პოლკი ოთხი ესკადრონისა და ერთი საჭაპანო ბატალიონისგან შედგებოდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ამ პოლკის როგორც უფროს, ასევე უმცროს ოფიცერთა პირადი შემადგენლობა მაღალი პროფესიული და პიროვნული თვისებებით იყო დაჯილდოებული. პოლკის მეთაური იყო პოლკოვნიკი ჭავჭავაძე, მისი მოადგილე სამწყობრო ნაწილში - როტმისტრი, თავადი ამილახვარი,[722] მოადგილე სამეურნეო დარგში - პოლკოვნიკი ნაცვალოვი (ნაცვლიშვილი - ა. ჩ.), რომელიც მალე პორუჩიკმა ერისტოვმა (ერისთავი - ა. ჩ.) შეცვალა,[723] ხოლო საპოლკო ადიუტანტის თანამდებობა პორუჩიკ ნიჟარაძეს ეკავა. თუმცა, ისიც უნდა ითქვს, რომ რესპუბლიკის როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო ხელმძღვანელები, და განსაკუთრებით სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრები, მაინცდამაინც არ წყალობდნენ ამ პოლკის ბაზაზე შექმნილი ქართული საკავალერიო დივიზიონის ოფიცერთა პირად შემადგენლობას.

აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში წარმოებული საომარი კამპანიის გამოცდილებიდან გამომდინარე, ბოლოს და ბოლოს, 1918 წლის შემოდგომისათვის ფორმირებულ იქნა ერთი საკავალერიო დივიზიონი და იგი სახალხო გვარდიის სტრუქტურაში იქნა შეყვანილი, სადაც ქართული ცხენოსანი პოლკის ოფიცერთა პირადი შემადგენლობის ერთი ნაწილიც იქნა ჩართული. ცხენოსანი დივიზიონის ფორმირებაში უდიდესი როლი მის მეთაურს, პოლკოვნიკ გოგი (გიორგი) ხიმშიაშვილს მიუძღოდა, რომელიც თავად კრეფდა ამისათვის საჭირო ცხენებს, უნაგირებს, სხვადასხვა საჭირო აღჭურვილობასა და სანივთე ქონებას.[724] ეს საკითხები 1918 წლის 15 ნოემბერს გამართულ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის პრეზიდიუმის სხდომის ოქმშია განხილული.[725]

ჯარების საბრძოლო ორგანიზაციის მხრივ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს იგივე საბრძოლო-საორგანიზაციო სტრუქტურა გააჩნდათ და აქაც იგივე სისტემა მოქმედებდა, რაც რუსეთის საიმპერატორო არმიაში. საყოველთაოდ მიღებული სქემის მიხედვით, ქართული არმიის ტრიანგულარული სისტემა ომიანობის დროს პოლკურ-დივიზიურ წყობაზე იყო აგებული, ხოლო მშვიდობიანობის დროს უნდა მომხდარიყო მისი დაყვანა ბატალიონი-ბრიგადის დონემდე. თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავისი არსებობის არასრული სამი წლის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის შეიარაღებულ ძალებს მშვიდობიანობის პერიოდი ფაქტიურად არც ჰქონია, და შესაბამისად, არმიის სისტემის ბატალიონი-ბრიგადის დონეზე დაყვანა არც მომხდარა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ქართული საარმიო კორპუსის საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურა 1918 წლისათვის, სქემატურად შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

---

721 არჩილ ჩაჩხიანი. პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლოყაშვილი – „ჩვენ დამნაშავენი არა ვართ მთავრობისა და სამშობლოს წინაშე...” „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები”. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „უნივერსალი”. თბილისი. 1 (16). 2015. გვ. 196.

722 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1161, ანაწერი 1, საქმე 5, ფურცელი 37.

723 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1161, ანაწერი 1, საქმე 5, ფურცელი 23.

724 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 199.

725 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 204.



სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, ფრონტებზე შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე, ინტენსიურად დაიწყო მოხალისეთა რაზმების ჩამოყალიბებაც, რომლებსაც გამოცდილი ოფიცრები ჩაუდგნენ სათავეში, მაგრამ საერთო სამხედრო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადების მხრივ ეს რაზმები პრაქტიკულად არაბრძოლისუნარიანი ქვედანაყოფები აღმოჩნდნენ და მათ წინაშე დასმულ ამოცანასაც ვერ გაართვეს თავი. ამ რაზმებში არსებული მდგომარეობა თითქმის ყველა პარამეტრით ანალოგიური აღმოჩნდა სახალხო გვარდიაში არსებული მდგომარეობისა, იმ განსხვავებით, რომ ეს რაზმები არაპარტიულობის პრინციპით იქნა ჩამოყალიბებული. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაურის, სომხეთ-საქართველოს ომში შულავერი-სადახლოს ფრონტის სარდლის, გენერალ-მაიორ მაზნიაშვილის შემდეგი სიტყვები: ,,დანარჩენი სამხედრო ნაწილები სხვადასხვა დასახელებებით ,,განსაკუთრებული რაზმი ჟორდანიასი", ,,კერესელიძის", ,,ფხაკაძის" და სხვა, არაფერს წარმოადგენდნენ, ყველა ეს რაზმები ქაღალდზე ირიცხებოდნენ, იღებდნენ სურსათს, ტანსაცმელს და საჭმელს არა ჯარისკაცების არსებული რიცხვის მიხედვით, არამედ თანახმად შედგენილი სიებისა. საგულისხმოა ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ მაყაშვილი[726] და სხვა

[726] აბელ (ბალო) მაყაშვილი (1860-1920წ.წ.) – ქართველი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი, საქართველოსა და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკების შეიარაღებული ძალების გენერალი. 1904-1905 წლების რუსეთ-

უფროსები მოითხოვდნენ მთავრობისაგან, თავიდან მოეშორებინა მათთვის ამგვარი ჯარის ნაწილები, მათ ხელი არავინ არ ახლო, მხოლოდ შემდეგში, დაჟინებით მოთხოვნის შემდეგ ეს რაზმები დაშალეს სამუდამოდ".[727] სულ მალე, სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, საქართველოს სამხედრო უწყების ხელმძღვანელობისათვის ნათელი გახდა მოხალისეთა რაზმების ლიკვიდაციის აუცილებლობაც და მთავრობამაც, მართალია დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაშალა ისინი. ეს ფაქტი სამხედრო მინისტრის ქვემოთ მოყვანილი ბრძანებით დასტურდება:

,,ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ

№134. 28. 12. 1918.

გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ მოხალისეთა ცალკე რაზმების შედგენა მეტად ფერხდება და შესაფერ ნაყოფს არ გვაძლევს. გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ ასეთი რაზმებისათვის მომარაგეობის მოწყობა, მათი მოძრაობა და გამოკვება იმდენად მძიმე პირობებში გვიხდება, რომ მოხალისეთა რაზმები ვერ ასრულებენ და ვერც შეასრულებენ საომარ დავალებას. აუარებელ ხარჯებს იწვევს ხსენებული რაზმების დაარსება, სამაგიეროდ კი რადგანაც ოფიცრობა არა ჰყავთ, მჭიდრო ორგანიზაცია არ არსებობს, იგინი ვერ იჩენენ საკმაო უნარს მოქმედების დროს და ვერც აანაზღაურებენ მათთვის დახარჯულ აუარებელ ფულს.

ვბრძანებ:

შეჩერებულ იქმნას მოხალისეთა რაზმების შედგენა. ისინი, რომლებიც ეხლა დგებიან უნდა დაიშალონ და მათი როგორც ცალკე რაზმების ლიკვიდაცია უნდა მოხდეს. ჯარის კაცნი, ვინც

იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. გიორგის ჯვრის კავალერი. დაიბადა სოფელ იყალთოში. დაამთავრა ელიზავეტგრადის სამხედრო პროგიმნაზია და ყაზანის იუნკერთა სასწავლებელი. 1877 წლიდან სამხედრო სამსახურშია. 1880 წლიდან მსახურობდა 164-ე ზაქათალის ქვეით პოლკში. 1881 წლის 15 მარტიდან პოდპორუჩიკია. 1885 წლის 17 დეკემბერს ენიჭება პორუჩიკის, ხოლო 1890 წლის 15 მარტს – შტაბს-კაპიტნის სამხედრო წოდებები. 1895 წელს ამთავრებს ოფიცრების მსროლელთა სკოლას და ენიჭება კაპიტნის წოდება. ამავე წლის აპრილიდან ინიშნება ასეულის მეთაურად. 1905 წლიდან მეთაურობს ბატალიონს და შესაბამისად, იმავე წლის 26 თებერვალს ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. 1910 წლიდან მეთაურობს 185-ე ქვეით პოლკს და იღებს პოლკოვნიკის სამხედრო წოდებას. 1914 წლის 25 ივნისს ინიშნება გორის 202-ე ქვეითი პოლკის მეთაურად. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით იბრძვის I მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტზე გენერალ ბრუსილოვის არმიის შემადგენლობაში. 1914 წლის 9 ოქტომბრიდან მეთაურობს მეგრელთა მე-16 გრენადერთა პოლკს. 1916 წლის იანვარში ენიჭება გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. 1916 წლის დეკემბრიდან კავკასიის ფრონტზეა, 7 დეკემბერს ინიშნება კავკასიის გრენადერთა დივიზიის ბრიგადის მეთაურად. 1917 წლიდან კი, მეთაურობს ამავე დივიზიას. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ თავს ანებებს სამხედრო სამსახურს, გადის თადარიგში და ბრუნდება სამშობლოში. 1918 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაშია. იმავე წლის ბოლოს ინიშნება ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად და რეგიონის საჯარისო კონტინგენტის სარდლად. 1919 წლის თებერვლიდან მცირე ხნის განმავლობაში იყო თბილისის გარნიზონის უფროსი. მალევე გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და ჩამოაშორეს აქტიურ სამხედრო სამსახურს. 1919 წლის აგვისტოში აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით ტოვებს საქართველოს და ინიშნება აზერბაიჯანის არმიის 1-ლი ქვეითი დივიზიის მეთაურის მოადგილედ და ერთდროულად – ხანკენდის გარნიზონის უფროსად. 1920 წლის მარტიდან ინიშნება განჯის გამაგრებული რაიონის უფროსად და ერთდროულად სათავეში უდგება განჯის სამხედრო სკოლას. აზერბაიჯანის რუსული ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1920 წლის მაისში, ანტისაბჭოთა შეთქმულების ბრალდებით ბოლშევიკებმა დააპატიმრეს და ,,საგანგებო კომისიის" (,,ჩეკას") დადგენილებით იმავე წლის 14 ივნისს დახვრიტეს. სხვა ვერსიით კასპიის ზღვაში დაახრჩვეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა მისი ვაჟიც, მაიორი ნიკოლოზ მაყაშვილი, ქართული სამხედრო საავიაციო რაზმის უფროსი, რომელიც საფრენი აპარატის გაუმართაობის გამო, ტრაგიკულად დაიღუპა ერთ-ერთი საწვრთნელი გაფრენის დროს, 1920 წლის 13 აგვისტოს.

[727] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებები. 1917-1925. გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 144.

სამხედრო ბეგარის მოვალეა, დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნონ რეგულარულ ნაწილებში; მოხალისენიც უნდა შევიდნენ აგრეთვე რეგულარულ ნაწილში. ნაწილის არჩევა მათს სურვილზეა დამოკიდებული. მინისტრი გიორგაძე".[728] აქ ცოტა გაუგებარ და აუხსნელ სიტუაციასთან გვაქვს საქმე. გავუსწრებთ მოვლენებს წინ და პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის ეს ბრძანება 1918 წლის 28 დეკემბერსაა გამოცემული, იმ დროს, როცა სომხეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებები თავის გადამწყვეტ ფაზაშია შესული და ყველა ფრონტზე ქართული ჯარი და სახალხო გვარდია ეს-ესაა წარმატებით ავითარებდა დაწყებულ კონტრშეტევით ოპერაციას. ასეთ დროს სამხედრო ნაწილების დაშლისა და რეორგანიზაციის ბრძანების გამოცემა სამხედრო სამინისტროს პირველი პირის მიერ, ჯარების არაორგანიზებული და უთავბოლო მართვის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია.

გარდა ზემოთ ხსენებულისა, სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, მოხალისეთა სხვა რაზმების ფორმირებაც ხდებოდა, მაგალითად, ,,გრიგოლ ლაღიძის", ,,ფრიდონ წულუკიძის", ,,ავქსენტი აბესაძის"[729] და სხვა. აღსანიშნავია, რომ სამხედრო მინისტრის ზემოთ მოყვანილ ბრძანებაში ხსენებული რაზმებისგან განსხვავებით, ამ რაზმებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამა თუ იმ ბრძოლის წარმატებით დასრულების საქმეში. მოხალისეთა რაზმების ლიკვიდაციასთან პარალელურად, ასევე გაუგებარია ის ფაქტი, რომ ,,მოხალისეთა რაზმების" შედგენის შეჩერების ბრძანებამდე რამდენიმე დღით ადრე, კერძოდ, 1918 წლის 20 დეკემბერს, რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, ახალციხე-ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების გენერალ-გუბერნატორები, გენერლები აბელ მაყაშვილი და გიორგი წულუკიძე, განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან და მათ მხოლოდ ,,სამხედრო მოქმედებების ხელმძღვანელობა" დაეკისრათ. ამ მაზრების ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი კი, შინაგან საქმეთა მინისტრის პრეროგატივა გახდა.[730] გასაგებია, რომ ზოგადად, ამა თუ იმ რეგიონის ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი, მართლაც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეროგატივას წარმოადგენდა, მაგრამ, ეს იმ შემთხვევაში, თუ იქ საომარ მოქმედებებს არა აქვს ადგილი. 1918 წლის 20 დეკემბერს კი, როგორც ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში, ასევე ბორჩალოს მაზრაში, ანუ, საქართველოს ისტორიულ კუთხეებში - სამცხე-ჯავახეთსა და ლორე-ბამბაკში სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. ასე, რომ შინაგან საქმეთა უწყებაზე პასუხისმგებლობის დელეგირება სრულიად გაუგებარ ქმედებას წარმოადგენდა.

უცხოური წყაროები საქართველოს შეიარაღებული ძალების საერთო რიცხოვნობის შესახებ შემდეგ ინფორმაციას გვაწვდიან: ,,ქართველებს ჰყავდათ მხოლოდ არასტაბილური ნაციონალური არმია (არაუმეტეს 10000 კაცისა)",[731] - აღნიშნავენ უილიამ ალენი და პოლ მურატოვი თავიანთ ფუნდამენტურ ნაშრომში "Caucasian Battlefields. A history of the wars on the Turco-Caucasian border 1828-1921". (,,კავკასიის ბრძოლის ველები. 1828-1921 წლებში თურქეთ-კავკასიის საზღვარზე მიმდინარე ომების ისტორია"). მოგვიანებით, 1918 წლის ბოლოსათვის, სტრუქტურულად, მაგრამ არა რიცხოვნობით, მოხერხდა ქართული რეგულარული ჯარის ორ ქვეით დივიზიამდე აყვანა, 1920 წლისათვის კი, მე-3 ქვეითი დივიზიაც ფორმირდა შტაბით გორში, რომელიც მალე ახალციხეში იქნა გადატანილი. თუმცა, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ პირველი ქართული რესპუბლიკის სამხედრო ორგანიზაციას არასდროს სრულ საარმიო კორპუსამდე და მით უმეტეს, არმიამდე, არ მიუღწევია,

---

728 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 98, ფურცელი 38.

729 გაზეთი ,,საქართველო". კვირა, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 22. №246. გვ. 3.

730 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი (255-255 უკ.).

731 W. E. D. Allen and Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A history of the wars on the Turco-Caucasian border 1828-1921. Cambridge. 1953. გვ. 452.

მიუხედავად იმისა, რომ საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობისა და მისი სამხედრო უწყების მიერ 60000-იანი ჯარის მომზადება და მობილიზაცია იყო დაგეგმილი, ზურგის ქვედანაყოფების ჩათვლით კი - 75000-მდე. კიდევ 75000 რეზერვში უნა ყოფილიყო.[732] 1920 წლის დეკემბრის მონაცემებით ბოლშევიკური რუსეთისა და ქემალისტური თურქეთის მხრიდან მოსალოდნელი სამხედრო აგრესიის აღსაკვეთად საბრძოლო მწყობრში მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის რაოდენობა 25000 კაცს შეადგენდა.[733] ეს მონაცემები 1918 და 1920 წლებში საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის და რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მოადგილის, გენერალ ილია ოდიშელიძის საიდუმლო ოპერატიული მოხსენების მასალებშია მოყვანილი, რომელიც მან მოსალოდნელ რუსულ სამხედრო აგრესიასთან დაკავშირებით, პირველად 1920 წლის ოქტომბერში გააჟღერა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე.

საერთო ჯამში, საქართველოს პირველი რესპუბლიკის სინამდვილეში, მშვიდობიანობის პერიოდში, რეგულარული ჯარის პირადი შემადგენლობა, რეალურად, 15 ათასზე მეტი არასოდეს ყოფილა. ამ რიცხვზე ნაკლები იყო სახალხო გვარდიელთა რაოდენობა. დანამდვილებით უნდა ითქვას, რომ როგორც რეგულარული ჯარის, ასევე სახალხო გვარდიის პირადი შემადგენლობის მკაცრად განსაზღვრულ და სტაბილურად უცვლელ რიცხოვნობას პირველი ქართული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სინამდვილეში, არასდროს ჰქონია ადგილი.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების პირველი სამხედრო აღლუმი, რომელშიც გერმანული ქვედანაყოფებიც მონაწილეობდნენ, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლიდან და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ რაღაც ორ კვირაში, 1918 წლის 11 ივნისს ჩატარდა თბილისში, რომელიც რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, ბატონმა ნოე რამიშვილმა ჩაიბარა. იმდროინდელი პრესა წერდა: ,,ივნისის 11-ს, საღამოს 5 საათზე თბილისში გაიმართა ქართველ-გერმანელთა ჯარების აღლუმი. ჯარების სამთავე ჯური[734] სამხედრო იარაღით გამწკრივებული იყვნენ სასახლიდან დიდების ტაძრამდე.[735] ერთის მხრივ იდგნენ ქართველი ჯარები, ხოლო მეორეს მხრით, გერმანელები. ჯარები თავით-ფეხამდე შეიარაღებული იყვნენ. პროსპექტი აუარებელი

---

732 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი (27-28).

733 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 18, ფურცელი 12.

734 ჯარების სამთავე ჯური – აქ არქაული ფრაზეოლოგიის გამოყენებასთან გვაქვს საქმე. მოცემულ ფრაზაში სახმელეთო ჯარების სახეობის სამი გვარეობა (ჯური) – ქვეითი ჯარი (ინფანტერია), არტილერია და კავალერია იგულისხმება.

735 დიდების ტაძარი – თბილისში, დღევანდელ რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ამჟამინდელ საქართველოს მხატვართა გალერეას, რომელსაც თბილისელები ,,ცისფერ გალერეას'' უწოდებენ, წარსულში ,,დიდების ტაძარი'' ერქვა. იმპერიის მიერ, იგი, როგორც სამხედრო მუზეუმი, კავკასიაში რუსეთის არმიის წარმატებული საბრძოლო ოპერაციებისა და ,,დიდი კავკასიური ომის'' დასრულების უკვდავსაყოფად იქნა აგებული. სამხედრო ისტორიული მუზეუმის პროექტის ავტორი, თბილისში მცხოვრები და მოღვაწე გერმანელი არქიტექტორი, ალბერტ ზალცმანი იყო. სამუშაოების ხელმძღვანელობისათვის კომისია 1889 წელს გამოიყო, ხოლო მშენებლობა 1890 წელს დაიწყო. მშენებლობა ორ წელიწადში, 1892 წელს დასრულდა, თუმცა, მისი მოწყობა და გახსნა, მწირი დაფინანსებისა და ფორმალურ-ბიუროკრატიული მიზეზების გამო, ძალიან გაჭიანურდა. საბოლოოდ, ქალაქის თვითმმართველობის მოთხოვნითა და დიდი ძალისხმევის შემდეგ, მუზეუმის მშენებლობა და მოწყობა მხოლოდ 1907 წლის თებერვლისათვის მოხერხდა. მშენებლობის დასრულების შემდეგ სამხედრო-ისტორიულ მუზეუმს ,,დიდების ტაძარი'' ეწოდა. მასში იარაღის, სამხედრო ეკიპირების, აღჭურვილობის, საბრძოლო მასალებისა და მცირე სამხედრო ტექნიკის გარდა, განთავსდა აგრეთვე ცნობილ მხატვართა ნამუშევრები და ძვირფასი სურათები, რომლებზეც ასახული იყო ისტორიული ამბები და ეპიზოდები რუსეთის კავკასიური ომიდან, სამხედრო პირთა პორტრეტები და ა.შ.

ხალხით იყო სავსე. საღამოს ხუთ საათზე სასახლიდან გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა თავმჯდომარე ნ. ვ. რამიშვილი (ასეა ტექსტში ,,ნ. ვ.“ - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრის, ბატონ ნოე ბესარიონის ძე რამიშვილის ინიციალები - Ной Виссарионович (Н. В.), როგორც ჩანს, რუსულიდან პირდაპირ და შეცდომით რუსული კალკით არის გადმოტანილი - ა. ჩ.)[736], გერმანეთის (ასეა ტექსტში ,,გერმანეთი“ - ა. ჩ.) ელჩი გრაფი შულლენბურ-ბერგი (ასეა ტექსტში, უნდა იყოს შულენბურგი - ა. ჩ.), სამხედრო მინისტრი გიორგაძე, გენერალ-ლეიტენანტი გაბაშვილი, ობერ ლეიტენანტი კაიზერი და მრავალი აფიცრობა.

დიდების ტაძრის წინ ნ. ვ. რამიშვილმა სიტყვით მიმართა გერმანელთა ჯარებს, მიესალმა მათ ჩამოსვლას კავკასიაში და გამოსთქვა სრული იმედი, რომ პირისპირ მდგარი ქართველი და გერმანელი ჯარები შეძლებენ ერთურთთან შეთანხმებით დაიცვან ჩვენი ქვეყნის წესიერება და მშვიდობიანი ცხოვრება. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა გრაფმა შულენბურგმა, რომელმაც სრული რწმენა გამოთქვა იმისა, რომ საიმპერატორო გერმანეთის (ასე წერია ტექსტში - ,,გერმანეთი“ - ა. ჩ.) ჯარები [და] ქართული რესპუბლიკის ჯარები მეგობრულს განწყობილებაში იქნებიან და ერთურთის ინტერესებს დაიცავენ. ორივე სიტყვა დაფარულ იქმნა ,,ვაშასი“ და ,,ჰოხის“ ძახილით! (ჰოხ - გერმანულია, და ნიშნავს - გაუმარჯოს). დასასრულს ჯარებმა საცერემონიო მარშით გაიარეს“.[737]

1918 წლის შემოდგომის მდგომარეობით კი, აღმოსავლეთ საქართველოში გაშლილი საქართველოს რეგულარული ჯარის შემადგენლობის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის გაზეთი ,,საქართველო” პუბლიკაციაში, სათაურით - ,,ქართული ჯარის პარადი”, რომელიც სწორედ სომხეთ-საქართველოს ომის საწყის ეტაპზე, ოქტომბრის ბოლოს ჩატარდა თბილისში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ აღლუმზე მიზიდულ ქართულ საჯარისო ნაწილებსა და ქვედანაყოფებთან ერთად, ისევე როგორც ქართული ჯარის პირველი აღლუმის დროს, 1918 წლის 11 ივნისს, გერმანული ქვედანაყოფებიც მონაწილეობდნენ. უფრო საინტერესო და საყურადღებო კი ის არის, რომ ეს სწორედ ის პერიოდია, როცა ბორჩალოს მაზრის ლორეს ზონაში უკვე დაწყებულია სომხეთ-საქართველოს ომის ოქტომბრის თვის ბრძოლები. ამ საკითხებს ჩვენ წიგნის მეორე ნაწილში განვიხილავთ უფრო დეტალურად. პირველი ერთობლივი აღლუმის მსგავსად, აქაც სახმელეთო ჯარების ქართულ-გერმანულმა ქვეითმა, საარტილერიო და საკავალერიო ქვედანაყოფებმა მწყობრი სვლით ჩაიარეს ქალაქის მთავარ, გოლოვინის პროსპექტზე. საგაზეთო პუბლიკაციაში ვკითხულობთ: ,,გუშინ, 21 ღვინობისთვეს გოლოვინის პროსპექტზე საქართველოს პარლამენტის წინ გაიმართა საქართველოს ჯარების პარადი.[738] საუცხოოდ მოწყობილი რაზმები, მამაცი აფიცრები და მძიმე არტილერია ხალხზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. პარადი მთელი საათი

---

736 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრემიერ მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის, ბატონ ნოე რამიშვილის მამას ბესარიონი ერქვა. ამ საგაზეთო პუბლიკაციის ავტორს თავის სტატიაში ბატონი ნოეს მამის სახელის ინიციალად რუსული კალკით - ,,ვ” (Виссарион) აქვს გამოტანილი.

737 გაზეთი ,,საქართველო”. ხუთშაბათი, 1918 წ. თიბათვის 13. №116. გვ. 3.

738 პარადი — ქართულ ენაში რუსული ენიდან შემოსული ბარბარიზმი. ქართულად — აღლუმი (რუს. Парад, ფრანგ. Parade, ინგლ. Parade, ესპ. Parada, ლათ. Paro) — ჯარების დათვალიერების მიზნით ჯარების საზეიმო მარში ტექნიკით ან მის გარეშე, ასევე ოფიციალურ საზეიმო დღეებში ჯარების პირადი შემადგენლობისა და საბრძოლო ტექნიკის საჩვენებელი მოწყობა. როგორც წესი, აღლუმები იმართება სახელმწიფო და დიდი სამხედრო მნიშვნელობის ოფიციალურ დღესასწაულებზე, მსხვილი სამხედრო სწავლებების, მანევრების დასრულების შემდეგ, ასევე სამხედრო მოსამსახურეების, სახელმწიფოთა მეთაურებისა და იმ მნიშვნელოვან პირთა დაკრძალვებზე, რომელთაც არსებული კანონმდებლობით ეკუთვნით სამხედრო პატივის მიძღვნა. აღლუმების ჩატარებას დიდი ისტორია აქვს. აღლუმები ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, სპარსეთში, რომსა და სხვა ქვეყნებში ტარდებოდა. აღლუმის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა ძველ რომში მოწყობილი ტრიუმფები — სამხედრო ექსპედიციებიდან და საომარი კამპანიებიდან დაბრუნებული რომის გამარჯვებული სარდლისა და მისი ჯარების საზეიმო შესვლა დედაქალაქში.

გაგრძელდა, რის დროსაც ტრამვაის მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. ჯარის გამოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. პარადში მონაწილეობდა ქვეითი ჯარის მე-4 და მე-5 პოლკები და გუსართა[739] მე-2 პოლკი, საარტილერიო ბრიგადის 1-ლი ბატარეა, ქართულ-გერმანული ლეგიონი, მფრინავთა და საავტომობილო როტები,[740] სანაპირო როტა, სამორტირო დივიზიონის ნაწილი და სხვა. პარადზე ხალხის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ქართულ-გერმანული ლეგიონი. პარადს ხელმძღვანელობდა გენერალ-მაიორი მაზნიაშვილი. პარადი მიიღო სამხედრო მინისტრმა გრიგოლ გიორგაძემ სამხედრო სამინისტროსთან მყოფ გერმანელი მრჩევლის ფონ-ფოლფსველის თანდასწრებით. პარადს დაესწრნენ საქართველოს გენერალიტეტი და პარლამენტის წევრები“.[741]

---

739 ჰუსარები (უნგრ. Huszár, პოლ. Huzar, ხორვ. Husar, სერბ. Husar, ლათინ. Xycap) – სახმელეთო ჯარების ერთ-ერთი გვარეობა, XV-XX საუკუნეებში ევროპულ არმიებში ფართოდ გავრცელებული მსუბუქი კავალერიის კლასი, რომლის წევრებიც გამოირჩეოდნენ დამახასიათებელი ჩაცმულობით: კივერი (მაღალი ცილინდრისებური წინაფრიანი ქუდი), მენტიკი (ბეწვის მოსასხამი), დოლომანი (მოკლე მუნდირი), რეიტუზები და მაღალყელიანი ჩექმები. პირველი ფორმაციის ჰუსარები XV-XVII საუკუნეებში ატარებდნენ მსუბუქ ჯავშანს. პირველად ჰუსარები უნგრეთში გამოჩნდნენ, მეფე მათიაშ კორვინის დროს, რომელმაც 1458 წელს ოსმალთა აგრესიის აღსაკვეთად შექმნა სპეციალური მსუბუქი საკავალერიო ლაშქარი. მისი ბრძანებით ყოველი ბრძოლისუნარიანი 20 ყმისგან უნდა შემდგარიყო ერთი მხედარი. რუსეთში უნგრული კავალერიის მიბაძვით, ჰუსართა პირველი ესკადრონები XVII საუკუნის შუა წლებიდან იქმნება. დროთა განმავლობაში რუსეთის იმპერიაში ჰუსარები კავალერიის მაღალი საბრძოლო სულისკვეთების და ნაკლებად დისციპლინირებულ გვარეობად ჩამოყალიბდნენ. უკვე XIX საუკუნეში, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, 1882 წელს, რუსეთის საიმპერატორო არმიაში ჩატარდა გარკვეული რეფორმა, რომლის თანახმადაც ჰუსართა ნაწილები ფაქტიურად გაუქმდა. მათი საარმიო პოლკები დრაგუნთა პოლკებად გადაკეთდა, მაგრამ რუსეთ-იაპონიის ომში იაპონიასთან დამარცხების შემდეგ, 1907 წლიდან, რუსული არმიის საბრძოლო სულისკვეთების ამაღლების მიზნით, იმპერატორ ნიკოლაი II-ის გადაწყვეტილებით აღდგენილ იქნა ჰუსართა პოლკები და მათი 1870 წლის ნიმუშის მუნდირები.

740 როტა – ქართულ ენაში რუსულიდან შემოსული ბარბარიზმი. ქართულად – ასეული, სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალების სახმელეთო ჯარებში არსებული ტაქტიკური საჯარისო ერთეული. (რუს. Рота, პოლ. Rota, გერმ. Rotte, ფრანგ. Compagnie, ინგლ. Company, ლათ. Kompanie). ასეული შედის ბატალიონის (პოლკის) შემადგენლობაში. არსებობს ასევე ცალკეული ასეული, რომელიც დამოუკიდებელი ტაქტიკური და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულია. თავისი შემადგენლობითა და დანიშნულებით არსებობს მსროლელი (მოტომსროლელი), ქვეითი, სატანკო, სადაზვერვო, ნაღმსატყორცნი, მეტყვიამფრქვევეთა, რადიოტექნიკური, საინჟინრო-მენაღმეთა, საავტომობილო, საზღვაო ქვეითთა, დაცვის, საპატრულო, სამეურნეო, სამედიცინო, უზრუნველყოფის, საშტაბო, სარემონტო და ა.შ. ასეულები. ასეული შედგება ოცეულებისა და ათეულებისაგან. ასეულის პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა ნომინალურად ასი კაცით განისაზღვრება, თუმცა, ეს რიცხვი მერყეობს და სხვადასხვა ქვეყნის არმიებში და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ასზე მეტიც იყოს და ნაკლებიც. ასეულს, როგორც წესი, მეთაურობს კაპიტნის (მაიორის) სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი.

741 გაზეთი „საქართველო”. 22 ოქტომბერი. 1918. №199.

§2.3. სომხეთის შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება და ჯარების საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურა 1918 წელს

სომხეთის ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების პროცესი მთელი 1917 წლის განმავლობაში ამიერკავკასიაში განვითარებულ სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებს და ,,ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმიის“ შექმნის მცდელობას უკავშირდება. სომხური ნაციონალური კორპუსის შექმნასაც იგივე სარჩული დაედო საფუძვლად, რაც ქართულისას, კერძოდ, უცხოელი დამპყრობლებისაგნ ,,სომხური ტერიტორიების'' ოკუპაციის აღკვეთა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვა, მაგრამ აქ სხვა საკითხიც იდგა დღის წესრიგში. ქართველებისგან განსხვავებით, სომეხი პოლიტიკური და სამხედრო ლიდერები თავიანთ დაუძინებელ მტრად მხოლოდ ოსმალო-თათრებს მოიაზრებდნენ და კავკასიის ფრონტის მოშლასაც სომეხი ეთნოსის, როგორც ასეთის, პირდაპირ ლიკვიდაციასთან აიგივებდნენ. აკადემიკოს გრანტ ავეტისიანის მიხედვით, გენერალი გულბექიანი წერდა: ,,სომეხი ჯარისკაცები აცნობიერებდნენ, რომ კავკასიის ფრონტის მორღვევა მათი საუკუნოვანი, დაუძინებელი მტრის შემოჭრას მოასწავებდა მათ მშობლიურ, სისხლით მორწყულ ,,ჰაიასტანში”. ისინი გრძნობდნენ, რომ კავკასიის ფრონტის ლიკვიდაცია სომეხი ერის დაღუპვის ტოლფასი იყო”.[742]

სომხური ნაციონალური კორპუსი სტრუქტურულად განსხვავდებოდა ქართული კორპუსისგან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი შემდეგი შენაერთებითა და ნაწილებით განისაზღვრა: ორი ქვეითი დივიზია, ერთი განსაკუთრებული დივიზია, ცხენოსანი ბრიგადა, საინჟინრო პოლკი და მორტირების დივიზიონი. გარდა ამისა - ხუთი ცალკეული პოლკი, შემდეგი დისლოკაციებით: შულავერი, შუშა, ვართაშენი, ახალქალაქი, ნახიჭევანი. კიდევ ერთი დამატებითი პოლკი რკინიგზის დასაცავად - ე.წ. ,,განსაკუთრებული დივიზია”, უნდა შემდგარიყო ოსმალეთის სომხებისაგან. ამ პოლკების დისლოკაციის ადგილებად კი, შესაბამისად, შემდეგი დასახლებული პუნქტები განისაზღვრა - არზრუმი, ყარაქილისა, ხნუსი და ვანი.

საშტატო განრიგის მიხედვით თითოეული დივიზია ოთხპოლკიანი უნდა ყოფილიყო თავისი საარტილერიო ბატარეებით, განსაკუთრებულ დივიზიაში კი, დამატებით განსაზღვრული იყო აგრეთვე საკავალერიო დივიზიონისა და სამთო არტილერიის ერთი ბრიგადის ჩართვა. სამთო არტილერიის ბრიგადაში განსაზღვრული იყო სამი დივიზიონი სამ-სამი ბატარეით. საკავალერიო დივიზიონში კი, დამატებით - ერთი საარტილერიო ბატარეა. ცხენოსანი ბრიგადა შედგებოდა ორი ცხენოსანი პოლკისა და ორი საარტილერიო ბატარეისგან. ამ ყველაფერთან ერთად თითოეული დივიზიისათვის განსაზღვრული იყო აგრეთვე თითო სათადარიგო მსროლელი პოლკის შექმნა. ასევე - სათადარიგო საინჟინრო პოლკი, სათადარიგო ესკადრონი და ორი სასწავლო საარტილერიო ბატარეა.[743] ამავე დროს, სომხური სამხედრო საბჭო, თავისი 1917 წლის 29 დეკემბრის №664 წერილით თხოვდა სომხური კორპუსის სარდალს, რომ თბილისში დამატებით შექმნილიყო სომხური სათადარიგო ბატალიონი, ქალაქიდან მე-3 სომხური მსროლელი პოლკის წასვლის გამო ,,თბილისის გუბერნიაში დეზერტირობის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისა და საყარაულო სამსახურის საწარმოებლად”.[744]

ამ დოკუმენტში გაჟღერებული მოთხოვნა, სომხური სათადარიგო ბატალიონის შექმნის შესახებ, კიდევ ერთი წყალქვეშა ნაღმია, რომლის ჩადებასაც გეგმავდნენ სომეხი დაშნაკები

---

742 Г. Аветисян. Армянское войнство. Журнал ,,Армянский вестник”. 1999г. №1-2. გვ. 2.

743 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 13, ფურცელი 41.

744 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 20, ფურცელი 3.

იმდროინდელი საქართველოსა და ამიერკავკასიის დედაქალაქის მეტად ჭრელ და არასტაბილურ სამხედრო-პოლიტიკურ ქსოვილში. მოთხოვნის არსი გასაგებია. ეს ე.წ. ,,სომხური სათადარიგო ბატალიონი", რომელიც ,,თბილისის გუბერნიაში დეზერტირობის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისა და საყარაულო სამსახურის საწარმოებლად" უნდა შექმნილიყო, რეალურად თბილისში დისლოცირებულ და სომეხთა ეროვნულ საბჭოს დაქვემდებარებულ დიდი ძალაუფლების მატარებელ პრეტორიანული ტიპის სამხედრო შენაერთად უნდა ქცეულიყო. ეს კი, რეალურად, დაშნაკთა მიერ ,,ამიერკავკასიის დიდებული დედაქალაქის" გაკონტროლებას ნიშნავდა.

ამ საკითხის გადაჭრა, ცხადია, სულაც არ წარმოადგენდა სომხური კორპუსის სარდლის პრეროგატივას და იგი შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ - ეროვნებათაშორისმა სამხედრო საბჭომ განიხილა. ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭო თანახმა იყო შექმნილიყო ეს ე.წ. ,,სათადარიგო ბატალიონი" თუ ,,პარტიზანული პოლკი", ოღონდ ერთი მოთხოვნით - იგი არ უნდა ყოფილიყო ცალკეული სამხედრო ნაწილი და უნდა შესულიყო სომხური კორპუსის შემადგენლობაში. ეს ცნობა №50 წერილის სახით, საბჭოს თავმჯდომარემ, ნოე რამიშვილმა 1918 წლის 8 იანვარს გაუგზავნა კავკასიის ფრონტის გენერალ-კვარტერმეისტერს. პოლკის სტრუქტურა კი, შემდეგი უნდა ყოფილიყო - 2 ბატალიონიანი ქვეითი პოლკი 16 ტყვიამფრქვევითა და 3 ცხენოსანი ასეულით.[745] რა თქმა უნდა, ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოს ამ გადაწყვეტილებამ სომეხთა ეროვნული საბჭოს დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მათ განაცხადეს, რომ ,,სომეხთა ეროვნული საბჭო ეროვნებათაშორის სამხედრო საბჭოს განიხილავდა როგორც მხოლოდ საორგანიზაციო ორგანიზაციად და მისი ფუნქციები შემოიფარგლებოდა მხოლოდ ტექნიკური საკითხებით და არა პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტით".[746]

ამ განცხადებების გაცვლით მოცემულ საკითხზე არსებული დაპირისპირება ამოიწურა. ფაქტი ის არის, რომ ამ ეტაპზე ,,პარტიზანულ პოლკთან" დაკავშირებით, სომეხმა დაშნაკებმა თავისი ჩანაფიქრი ვერ აღასრულეს. თუმცა, ზემოთ, სომეხთა საარმიო კორპუსის სტრუქტურის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ჩანს, რომ სომხური კორპუსი სტრუქტურითა და რიცხოვნობით საკმაოდ მძლავრ საჯარისო შენაერთად უნდა ჩამოყალიბებულიყო. ამ თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა ჩვენს მიერ მოპოვებული კიდევ ერთი საარქივო დოკუმენტი. ეს არის კავკასიის ფრონტის ჯარების სარდლობის 1918 წლის 13 იანვრის №1280 მიმართვა სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისარსა და ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოსადმი, სადაც ,,ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმიის" შემადგენლობაში თავისი რიცხოვნობითა და შეიარაღებით 1,75 სიდიდის სომხური ნაციონალური საჯარისო კორპუსის შექმნა იყო მოთხოვნილი.[747] ამავე დროს, ერთმნიშვნელოვნად უნდა აღვნიშნოთ, რომ ახლადფორმირებული სომხური სამხედრო შენაერთების საბრძოლო მოქმედებების პერსპექტივაში სულ სხვა რამ იყო ჩადებული - მძლავრი ეროვნული საჯარისო შენაერთის შექმნა, დაშნაკთა ექსპანსიონისტურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული შეიარაღებული აგრესია და ამიერკავკასიისა და ოსმალეთის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია ან უკვე ოკუპირებული ტერიტორიების შენარჩუნება.

ჯარების ორგანიზაციის მხრივ, სომხური კორპუსის ფორმირებისას რუსული სისტემა იყო დატოვებული და ცხადია, იგი ქართულის ანალოგიური იყო. ქართველ მენშევიკთა იდეოლოგიის საწინააღმდეგოდ, სომეხ დაშნაკთა პოლიტიკური ხედვა და მიზნები აღმატებულად ეროვნული და

---

745 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 20, ფურცელი 1.

746 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 20, ფურცელი 5.

747 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 18, ფურცელი 40.

პატრიოტული იყო და იგი აბსოლუტურად ჯდებოდა თითოეული სომეხი ეროვნების სამხედრო მოსამსახურის ნაციონალისტურ მისწრაფებებთან. და ეს ეხება არა მარტო საკუთრივ სომხეთსა და თურქეთში მაცხოვრებელ სომხებს, არამედ რუსეთის არმიაში მოსამსახურე სომეხი ეროვნების თითქმის ყველა გენერალსა და ოფიცერს. საერთო ჯამში, სომხებმა ქართველებთან შედარებით, რიცხოვნობით გაცილებით უფრო დიდი არმიის შექმნა შეძლეს.

მართალია, რეალურად სომხური საარმიო კორპუსის ჩამოყალიბება 1917 წლიდან დაიწყო, მაგრამ პირველი სომხური ეროვნული სამხედრო ნაწილების ჩანასახი, როგორც უკვე ჩვენთვის ცნობილია, მეფის რუსეთის კავკასიის არმიის წიაღში იშვა ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე, 1914 წელს. ედუარდ აბრამიანი: ,,ეს იყო ოთხი სომხური საბრძოლო რაზმი. მალე მათ კიდევ სამი დაემატა. მათ მეთაურობდნენ (რიგითობის მიხედვით - ა. ჩ.): ანდრანიკ ოზანიანი, დრასთამატ კანაიანი, ამაზასპ სრვანცტიანი, კერი, ვარდან მეღრაბიანი, არშაკ ჯამბოლადიანი და ოვსეპ არღუთიანი. ეს რაზმები მოგვიანებით გამსხვილდა და მათი რაოდენობა ოთხამდე შემცირდა. ამ რაზმებს შორის ყველაზე დიდი იყო გენერალ ანდრანიკ ოზანიანის რაზმი - 1500 კაცი. 1915 წლის აპრილიდან მე-2, მე-3 და მე-4 რაზმები გაერთიანდა და შეიქმნა სომხური პოლკი, რომელსაც სათავეში მეღრაბიანი ჩაუდგა. 1916 წლის ზაფხულიდან შეიქმნა ხუთი სომხური ქვეითი ბატალიონი, რომლებიც რუსეთის კავკასიის არმიაში გაერთიანდნენ".[748] მოყვანილ ციტატაში ავტორი აშკარად ცდება ან ხელოვნურად ავრცელებს მცდარ ცნობებს. პირველი - 1914-1915 წლებისათვის ანდრანიკ ოზანიანს სამხედრო წოდება, მით უმეტეს გენერლისა, არ ჰქონია. მეორე და მთავარი - 1916 წლის ზაფხულიდან გამსხვილებული სომხური ბატალიონები რუსეთის კავკასიის არმიის სტრუქტურაში არ გაერთიანებულან. ყველაფერი პირიქით იყო, სწორედ 1916 წლიდან შეწყვიტეს ფაქტობრივად თავისი არსებობა ამ ე.წ. სომხურმა ბატალიონებმა თუ ,,დრუჟინებმა''.

სომხური ,,დრუჟინების" რეგულარულ ნაწილებად გარდაქმნის მცდელობა 1916 წლის დასაწყისში განხორციელდა. ჩანაფიქრის მიხედვით უნდა შემდგარიყო ოთხ-ოთხ ასეულიანი, თითოეული 984 კაციანი პირადი შემადგენლობის 6 მსროლელი ბატალიონი. გარდა სამანევრო ქვედანაყოფებისა ამ ბატალიონებში უნდა ყოფილიყო აგრეთვე მეტყვიამფრქვევეთა და კავშირგაბმულობის ქვედანაყოფები, ასევე მზვერავები. სომეხთა 1-ლი მსროლელი ბატალიონის მეთაური გახდა თბილისის კადეტთა კორპუსის კურსდამთავრებული, რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე, პოლკოვნიკი ბეჟანბეგოვი, მე-2 ბატალიონის მეთაური - პოლკოვნიკი სამარციანი, მე-3 ბატალიონის მეთაური - პოლკოვნიკი ტერ-ნიკოგოსოვი, მე-4 ბატალიონის მეთაური - პოლკოვნიკი ოვსეფიანი, მე-5 ბატალიონის მეთაური - პოლკოვნიკი ფირუმოვი, ხოლო მე-6 ბატალიონის მეთაური - პოლკოვნიკი მელიქ-მურადოვი.[749]

სომხური კორპუსის შესახებ ედუარდ ოგანესიანი წერს: ,,1917 წლისათვის რუსეთის არმიაში დაახლოებით 80 ათასი სომეხი ჯარისკაცი მსახურობდა. ამდენივე სომეხი ჯარისკაცი იმყოფებოდა რუსეთის არმიის კავკასიის ფრონტზე. ამგვარად, ეს უნდა ყოფილიყო 160 ათასიანი სომხური არმია და კარგი მეთაურების ხელში მას შეეძლო მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა თურქეთის ფრონტზე. დროებითი მთავრობა და არმიის უმაღლესი სარდლობა დადებითად შეხვდა სომეხთა წინადადებას სომხური კორპუსის შექმნის შესახებ და უკვე 11 ივლისისათვის თურქეთის ფრონტზე შეიქმნა 6 სომხური პოლკი. ოქტომბრისათვის კი, ამ ფრონტზე უკვე ორი სომხური დივიზია მოქმედებდა. 1917 წლის 13 დეკემბერს კავკასიის ფრონტის სარდლის №136 ბრძანების თანახმად ჩამოყალიბდა სომხური კორპუსი, რომლის სარდლად გენერალი თომა ნაზარბეგოვი (ნაზარბეგიანი) დაინიშნა,

---

748 WWW. htm. Eduard Abrahamian.

749 Вадим Михаилов, доктор исторических наук. Армянские добровольческие дружины в русской армии. В их действиях было замечено мною полное презрение к смерти... Родина. – 2014. — № 11. Масловский Е. В. Мировая война на Кавказском фронте 1914-1917 г. Париж. 1933. http://defacto.am/97576.html

ხოლო შტაბის უფროსად - გენერალი ევგენი ვიშინსკი. სომეხთა ეროვნული საბჭოს თხოვნით სამხედრო მინისტრმა დონსკოიმ კორპუსის კომისრად გენერალი დრო დანიშნა, მის თანაშემწედ კი - სარქის მანასიანი. მალე სომხურ კორპუსში ჩართულ იქნა დასავლეთსომხური დივიზიაც. მას ანდრანიკი მეთაურობდა, რომლის პოპულარობა ჯარისკაცებს შორის იმდენად დიდი იყო, რომ დაშნაკთა პარტიის შუამდგომლობით მას თავდაცვის საბჭომ გენერლის ჩინი უბოძა, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული საბჭო ამის წინააღმდეგი იყო, რადგან თვლიდა, რომ ანდრანიკს არ გააჩნდა საკმარისი სამხედრო კომპეტენცია“.[750] სომხური სამხედრო ნაწილების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ბატონი ნიკო კეცხოველი წერდა: ,,ამ დროს დაიწყო სხვა ნაწილების ჩამოყალიბებაც. სომხური ნაწილებიც ყალიბდებოდა თბილისში, მაგალითად, ე.წ. ზეითუნის პოლკი. მეტად აგრესიულად იყვნენ განწყობილნი. ერთხელ დილით, უფრო სწორად გამთენიისას, უეცრად ხმა გავარდა, არ ვიცი კი საიდან, ზეითუნის პოლკი ჩვენკენ მოდის, იარაღი უნდა აგვყაროსო. ჩვენი ყაზარმის წინ კინოთეატრი ,,აპალო“ იყო, ზეითუნის პოლკი კი, იმის უკან იდგა, მაშასადამე იქვე”.[751]

სომხეთის ეროვნული კორპუსის შესახებ შემდეგ ცნობებს ვკითხულობთ უილიამ ალენისა და პოლ მურატოვის ზემოხსენებულ ნაშრომში - “Caucasian Battlefields. A history of the wars on the Turco-Caucasian border 1828-1921: ,,1918 წლის 1 იანვრისათვის სომხური საარმიო კორპუსი შედგებოდა ორი მსროლელი დივიზიის, მოხალისეთა სამი ბრიგადის, ცხენოსანი ბრიგადისა და მილიციის (მოხალისეთა ლაშქრის - ა. ჩ.) რამდენიმე ბატალიონისაგან. თითოეული მსროლელი დივიზია შედგებოდა სამ-სამ ბატალიონიანი ოთხ-ოთხი პოლკისაგან. მოხალისეთა ბრიგადები მოიცავდა ოთხ ბატალიონს თითოეული, ხოლო ცხენოსანი ბრიგადა შედგებოდა ორი ცხენოსანი პოლკისაგან, თითოეული ოთხ-ოთხი ესკადრონით. მსროლელი დივიზიები იმ სომხური რაზმების პირადი შემადგენლობებით იყვნენ დაკომპლექტებულნი, რომლებიც 1914-1916 წლებში საომარი კამპანიის დროს აწარმოებდნენ წარმატებულ საბრძოლო მოქმედებებს რუსეთის არმიის შემადგენლობაში. სწორედ იუდენიჩის არმიის სომეხი სამხედროებით იყო დაკომპლექტებული ეს დივიზიები. ქვეითი ჯარი კარგად იყო აღჭურვილი ტყვიამფრქვევებით. არტილერია კი, უფრო ძლიერიც შეიძლება ყოფილიყო, რადგან სომხები პროფესიონალი და გაწვრთნილი არტილერისტების სიმცირეს განიცდიდნენ. მძიმე არტილერიის ექვსი ბატარეა (თითოეული ოთხი საველე ქვემეხით) ამ ორ მსროლელ დივიზიაში შედიოდა სტრუქტურულად, მაშინ, როცა მსუბუქი სამთო ბატარეები მოხალისეთა ბრიგადებში იყვნენ ჩართულნი’’.[752]

1917 წლის ბოლოსათვის ფაქტობრივად უკვე ჩამოყალიბებული იყო კავკასიის სომეხთა საარმიო კორპუსი გენერალ თომა ნაზარბეგოვის სარდლობით, რომელიც მანამადე რუსეთის კავკასიის არმიის მე-2 მსროლელ დივიზიას მეთაურობდა. პოლკოვნიკ ვალერიან თევზაძის მოგონებიდან: ,,ვმსახურობდი კავკასიის მსროლელთა მე-8 პოლკში, სადაც სამასამდე ქართველი ირიცხებოდა, ხოლო დივიზიას უფროსობდა გენერალი ნაზარბეგოვი, დიდად სიმპათიური და პატივსაცემი სომეხი”.[753] საერთო ჯამში, სომხური საარმიო კორპუსის პირადი შემადგენლობა 1918 წლის დასაწყისისათვის დაახლოებით 40000 კაცს შეადგენდა, რომელიც სამ - დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის დაჯგუფებად დაიყო. სხვათა შორის, ამ დროისათვის სომხური ნაწილები თვით თბილისშიც კი იქმნებოდა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით,

---

750 Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство ,,Феникс”. Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 212. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf

751 ნიკო კეცხოველი. გამოუქვეყნებელი პირადი არქივი - ,,ნარ-ეკლებით მოფენილი გზა”. გვ. 279.

752 W. E. D. Allen and Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A history of the wars on the Turco-Caucasian border 1828-1921. Cambridge. 1953. გვ. 458-459.

753 ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. ,,მეცნიერება”. თბილისი. 1990. გვ. 9.

სომხეთის ნაციონალური საარმიო კორპუსის სტრუქტურა, 1918 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, სქემატურად ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ:



გენერალ დენიკინის მიხედვით ,,სომხეთის არმია“ შედგებოდა ქვეითი დივიზიისგან (1918 წლის ზაფხულისთვის - სამი ცალკეული ბრიგადისგან), საარტილერიო ბრიგადისგან, ცხენოსანი პოლკისა და პატარა ტექნიკური ნაწილებისგან. მისი საშტატო შემადგენლობა ,,მშვიდობიანობის

პერიოდში“ 22 ათასი უნდა ყოფილიყო, ხოლო ომიანობის დროს - 44 ათასი. თუმცა, ეს რიცხვი ძალიან მერყეობდა და იგი 10-15 ათასს შეადგენდა.[754]

ჩვენს მიერ მოპოვებული ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს სომხეთ-საქართველოს ომის 1918 წლის 18 დეკემბრის სადახლოს ბრძოლაში ტყვედ აყვანილი სომეხი ოფიცრის, შტაბის როტმისტრ სამველ მარტიროსიანცის ჩვენებას, სომეხთა ცხენოსანი პოლკი ორი დივიზიონისაგან შედგებოდა, რომლებიც თავის მხრივ შედგებოდნენ სამ-სამი ესკადრონისგან. ესკადრონების პირადი შემადგენლობა 60-80 ხმალი იყო.[755] სტივენ ჯონსი კი, დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის სომხური ნაციონალური კორპუსის ნაწილების დისლოკაციაზე: ,,1918 წლის იანვრის ბოლოსათვის ნაზარბეგიანის დივიზიებს დაკავებული ჰქონდათ ძირითადი პოზიციები ერევნიდან ვანამდე და არზრუმამდე. მათი დისლოკაციები ასე გამოიყურებოდა:

I დივიზია - გენერალი არეშიანი. 1-ლი პოლკი. (არზრუმი-ერზინჯანი). მე-2 პოლკი (ხნუსი). მე-3 პოლკი. (ერევანი). მე-4 პოლკი. (ერზინჯანი - ერევანი).

II დივიზია - პოლკოვნიკი სილიკიანი. 1-ლი პოლკი. (ვანი). მე-2 პოლკი. (ერევანი). მე-3 პოლკი (ალექსანდროპოლისი). მე-4 პოლკი. (ალექსანდროპოლისი).

III დივიზია - გენერალი ანდრანიკი (ოზანიანი). 1-ლი ბრიგადა. (ერზინჯან-არზრუმი). მე-2 ბრიგადა. (ხნუსი). მე-3 ბრიგადა. (ვანი).

ვანის, ერზინჯანისა და არზრუმის მიდამოებში იყვნენ განლაგებულნი აგრეთვე თურქეთის სომხეთის მოხალისეთა პატარ-პატარა ჯგუფები... სომხური კორპუსის ძალებს ნამდვილად აღემატებოდა 250 მილის სიგრძის მქონე ერზინჯანი-ვანის ფრონტის დაჭერა. კავშირგაბმულობის სისტემის მოუწყობლობა, ***რუსეთისა და თურქეთის სომხებს შორის გარკვეული უთანხმოებები, გამოცდილი რეგულარული ჯარის უქონლობა და უდისციპლინობა, მეტად ზღუდავდა ნაზარბეგიანის ძალების სიძლიერეს. ამავე დროს, რამდენიმე ათასი გაწვრთნილი სომეხი ჯარისკაცი ბაქოში იყო თავმოყრილი, ხოლო დამატებით ათასობით ბრძოლისუნარიანი მამაკაცი ერივანის, ტფილისის, ელიზავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებში იმყოფებოდა, სადაც მუსლიმანურ-სომხური დაპირისპირება საშიშ მდგომარეობამდე მიდიოდა”.***[756] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

ხაზგასმული ნაწილის კომენტირებისას დავამატებდით, რომ ჩვენთვის უკვე კარგადაა ცნობილი, თუ 1918 წლისათვის რატომ იყო თავმოყრილი ბაქოსა და მის შემოგარენში სომხური ნაწილები და საბრძოლო რაზმები (რამდენიმე ათასი გაწვრთნილი სომეხი ჯარისკაცი) და რა საქმიანობით იყვნენ ისინი დაკავებულნი. ხოლო ძალიან მალე ისიც გაცხადდება, თუ რისთვის იყო თავმოყრილი თბილისის, ელიზავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებში სომეხი ეროვნების ,,ათასობით ბრძოლისუნარიანი მამაკაცი”, და არა ოსმალური შენაერთების წინააღმდეგ, დასავლეთის მიმართულებაზე.

დამოუკიდებელი სომხური სახელმწიფოს შექმნისას, 1918 წლის ივნისისათვის, სომხეთის ეროვნული შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა 12 ათას კაცს ითვლიდა. ეს რიცხვი თანდათან იზრდებოდა და მალე 40 ათასს მიაღწია. ოფიცერთა კორპუსის წარმომადგენლები ყოფილი ცარისტული არმიის ოფიცრები იყვნენ - როგორც სომხები, ასევე ეთნიკური რუსები.[757] უცხოელი ავტორები სომხური შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის შესახებ შემდეგ ინფორმაციას

---

754 Деникин Антон Иванович. Очерки русской смуты. Том 4. Глава XIX. Армения. Результаты английской политики. http://militera.lib.ru/memo/0/one/russian/denikin_ai2.rar.

755 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 131.

756 Stephen F. Jones. Georgian-Armenian relations in 1918 to 1919 and 1991 to 1994. A comperison. გვ. 114-115.

757 Илья Полонский. День армянской армии. Как сформировались и развиваются вооружённые силы Армении. https://svpressa.ru/authors/ilya-polonskiy/

იძლევიან. უილიამ ალენი და პოლ მურატოვი: ,,სომხური ნაწილები სუსტი და ნაკლებად ეფექტური იყო. ბატალიონების პირადი შემადგენლობა 400-დან 600 კაცამდე მერყეობდა. ამის გათვალისწინებით, ოცდაოთხი მსროლელი ბატალიონისა და რვა მოხალისეთა ბატალიონის საერთო რიცხოვნობით, სომეხთა ნაციონალური არმია არ აღემატებოდა 16000 მსროლელს, 1000 ცხენოსანს და 4000 სახალხო მოლაშქრეს (მილიციას)''.[758]

1918 წლის 26 ივლისიდან გენერალ ნაზარბეგიანის №99 ბრძანებით სომხური ნაციონალური კორპუსის ცალკეულ დივიზიამდე დაყვანა მოხდა.[759] სომხური მხარის ეს იძულებითი ნაბიჯი იმით იყო გამოწვეული, რომ 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის საზავო პირობებით სომხურმა მხარემ თავისი შეიარაღებული ძალების დივიზიამდე დაყვანა ივალდებულა. სომხებმა ამ ვალდებულების ფაქტობრივი იგნორირება მარტივი და მეტად ეფექტური გზით მოახდინეს, თან ისე, რომ ფორმალურად მოლაპარაკებების პირობები არ დაურღვევიათ. კერძოდ, მათ თავიდანვე არ შეიყვანეს ცალკეული სომხური კორპუსის შემადგენლობაში გენერალ ოზანიანის მოხალისეთა ბრიგადა - ერთ-ერთი მსხვილი საჯარისო შენაერთი და შესაბამისად, სომხეთის ოფიციალურმა მთავრობამ მასზე პასუხისმგებლობაც მოიხსნა თავიდან. ასეთი დასკვნის საფუძველს ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტიც იძლევა, სადაც სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი საქართველოში, ბატონი არშაკ ჯამალიანი, რომელმაც ამ პოსტზე ბ. ევანგულოვი შეცვალა, შემდეგი სახის ,,ახსნა-განმარტებას" აძლევს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ბატონ ევგენი გეგეჭკორს:

,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს

10. 10. 1918.

თქვენი ამა წლის 25 ივლისის №2325 მომართვაზე ჩემი მთავრობის დავალებით პატივი მაქვს მოგახსენოთ შემდეგი: გენერალ ანდრანიკის რაზმის მოქმედებებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაისის შუა რიცხვებში, ანუ, ამიერკავკასიის რესპუბლიკის ცალკეულ სახელმწიფოებად დაშლამდე, პასუხისმგებლობის აღება სომხეთის მთავრობას არ შეუძლია, რადგან გენერალ ანდრანიკის რაზმი ცალკეული სომხური კორპუსის შემადგენლობაში არ შედიოდა და იგი მოქმედებდა სომხეთის ფარგლებს გარეთ.

ჯამალიანი".[760]

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს საპროტესტო ნოტა ანდრანიკის რაზმის მიერ ქართველი თავადის ადგილ-მამულის გაპარტახების გამო იყო წარდგენილი. ბატონ არშაკ ჯამალიანის პასუხიდან ნათლად ჩანს, თუ რა მარტივად და მოხერხებულად ,,გადაჭრა" სომხეთის მთავრობამ ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა. სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ თავიდან მოიშორა პასუხისმგებლობა. მოიშორა ფორმალურად, რეალურად კი, ანდრანიკის ბრიგადა დაშნაკური აგრესიის მთავარ დამრტყმელ შენაერთს წარმოადგენდა ზანგეზურსა და ყარაბაღში. აი, საბუთიც: ,,ზანგეზურის მაზრის უფროსისაგან განჯის გუბერნატორმა დეპეშა მიიღო არდრანიკისა და მისი რაზმის მოქმედების შესახებ, რომლიდანაც ჩანს, რომ ანდრანიკს საკმარისი ძალები ჰყავს შევსებული ადგილობრივი სომხებისაგან და აპირებს ქ. შუშას ახლოს სარიბაბის მხარეზე გაჭრას. ანდრანიკს ჰყავს 10000 კაცზე მეტი, აქვს ტყვიამფრქვევები და ზარბაზნები".[761]

ედუარდ აბრამიანის მიხედვით, 1918 წლის ზაფხულისათვის ცალკეულ დივიზიამდე დაყვანილი სომხური საარმიო კორპუსი შემდეგი შენაერთებისა და ქვედანაყოფებისაგან შედგებოდა:

---

758 W. E. D. Allen and Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A history of the wars on the Turco-Caucasian border 1828-1921. Cambridge. 1953. გვ. 452.

759 WWW. htm. Eduard Abrahamian.

760 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 5, ფურცელი 19.

761 გაზეთი ,,საქართველო". 24 ოქტომბერი. 1918. №201.

,,2 მსროლელი დივიზია ოთხ-ოთხი მსროლელი პოლკისა და საარტილერიო ბრიგადის შემადგენლობით, ცალკეული საკავალერიო ბრიგადა, ორი პოლკითა და ერთი სამთო ბატალიონით, ალექსანდროპოლისის მსროლელი ბრიგადა. თავის მხრივ ბრიგადა შედგებოდა 5 მსროლელი პოლკისა და 3 ცალკეული ბატალიონისაგან. კორპუსის შემადგენლობაში იყო აგრეთვე მეტყვიამფრქვევეთა ქვედანაყოფები და საარტილერიო დივიზიონები. პარტიზანული და ცხენოსანი პოლკი ყარსში, ***ქვეითი პოლკები ლორიში, შუშაში, ახალქალაქში, ნუხსა და ახალცხეში, სარეზერვო პოლკი ლორიში.*** გარდა ამისა, 2 მსროლელი ბატალიონი, 2 მენაღმეთა, 3 საავტომობილო ოცეული, ***მე-3 კავკასიური საავიაციო რაზმი,*** 4 რადიოსადგური. კორპუსს გააჩნდა ოფიცერთა სკოლა, საწვრთნელი ბატალიონი, 10 ჰოსპიტალი, საოპერაციო რაზმები და სხვა. 1918 წლის 31 ივლისის მონაცემებით კორპუსის პირადი შემადგენლობა იყო: ერევნის გარნიზონი - 491 ოფიცერი და 14040 ჯარისკაცი, ნერკინ ახტაის გარნიზონი - 150 ოფიცერი და 2172 ჯარისკაცი, დილიჟანის გარნიზონი - 162 ოფიცერი და 2157 ჯარისკაცი, ნორ-ბაიაზეთის გარნიზონი - 15 ოფიცერი და 403 ჯარისკაცი. საერთო ჯამში - 19500 სამხედრო მოსამსახურე, აქედან: ოფიცერი - 818, ხოლო ჯარისკაცი - 18772".[762] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

ამონარიდში მოყვანილი ხაზგასმული დასახელებები - ,,ლორი'' და ,,ახალცხე'', ისევ და ისევ ლორესა და ახალციხის გადასომხურებული ვარიანტებია. ამ საკითხთან მიმართებაში კი, ერთობ გასაკვირია, რომ სომხებმა ახალქალაქს აქამდე ჯერ-ჯერობით ვერაფერი მოუხერხეს და არ უცდიათ მისი სახელის გადასომხურება. მოყვანილი ამონარიდის კომენტირებისას კი, განსაცვიფრებელია, ზოგადად, სომეხი ავტორებისა და ამ შემთხვევაში ედუარდ აბრამიანის ფანტაზიის მასშტაბები და უცილო ჭეშმარიტების ის ვირტუალური ხედვა, რითაც მისთვის სასურველის რეალობად წარმოსახვას ცდილობს. არავითარი მითიური სომხური გარნიზონები და ქვეითი პოლკები ახალქალაქში, ახალციხესა და ლორეში არც 1918 წელს, არც მანამდე და არც შემდეგში არ მდგარა. არ მდგარა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს მიწები დასაბამიდან ქართული იყო. აქ ისტორიული ფაქტებისა და რეალობების ტიპიურ ფალსიფიკაციასთან გვაქვს საქმე, რაც ასე უხვად მოიპოვება სომეხ და პროსომეხ ავტორთა ,,ნაშრომებში''.

აბსურდული მოსაზრებების გამუდმებითი კონსტატირება, ამ აზრის მართებულობის დამკვიდრებას უწყობს ხელს გაუთვითცნობიერებელი მკითხველისათვის. გარდა ამისა, არავითარი მითიური ,,მე-3 კავკასიური საავიაციო რაზმი'' სომხეთის შეიარაღებულ ძალებს, ცხადია, არ გააჩნდა, რასაც ჩვენ ქვემოთ, წიგნის შესაბამის პარაგრაფში განვიხილავთ უფრო დაწვრილებით. არავითარი მითიური ,,სომხური პოლკები'' არ მდგარა აგრეთვე ნუხსა და შუშაში. ესეც მტკნარი სიცრუეა. ასეთი ქმედებით ავტორი თავისთვის სასურველის რეალობად წარმოსახვას ცდილობს. ამავე დროს, ასეთი ტაქტიკა გარკვეულ პროპაგანდისტულ დატვირთვასაც ატარებს. საქმე იმაშია, რომ სომხურ ნაწილებსა და ქვედანაყოფებს ხშირად ენიჭებოდათ სახელები, რომლებიც გარკვეულ მოვლენებს, მემორიალურ-გეოგრაფიულ კატეგორიებსა თუ პიროვნებებს უკავშირდებოდა და არა სამხედრო ნაწილების დისლოკაციის ადგილებს. მაგალითად ,,ვანის პოლკი", ,,მუშის პოლკი", ,,სასუნის პოლკი", თუნდაც იგივე თბილისში ფორმირებული და დისლოცირებული ე.წ. ,,ზეითუნის პოლკი", ან სულ უახლოეს წარსულში, აფხაზეთის რეგიონში მოქმედი სომეხთა ავადსახსენებელი ე.წ. ,,ბაგრამიანის ბატალიონი". მაგალითად, დასახელება ,,ვანის პოლკი" სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს სომხური პოლკი ქალაქ ვანში იყო ფორმირებული და დისლოცირებული, ისევე როგორც, ვთქვათ ,,ზეითუნის პოლკი''. ვანის პოლკი, ვანის მოვლენების ხაზგასმის, დაშნაკთა ნაციონალისტური იდეების აგიტაციისა და პროპაგანსისათვის ატარებდა მხოლოდ ამ სახელს. და საერთოდ აღსანიშნავია, რომ წარმოსახვების ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობდა მთელი სომხური სამყარო 1918-1920 წლებში.

---

[762] WWW. htm. Eduard Abrahamian.

სომხური საარმიო კორპუსის სტრუქტურისა და სამეთაურო შემადგენლობის შესახებ ზემოთ მოყვანილისგან განსხვავებულ ცნობებს იძლევა მეორე სომეხი ავტორი, ბატონი ედუარდ ოგანესიანი. იგი წერს: ,,1917 წლის ბოლოსთვის სომხური კორპუსი საბოლოოდ ჩამოყალიბდა და მას შემდეგი სახე ჰქონდა: კორპუსის სარდალი - გენერალი ნაზარბეგიანი, შტაბის უფროსი - ვიშინსკი. ოთხპოლკიანი 1-ლი დივიზიის მეთაური - გენერალი არამიანი, ოთხპოლკიანი მე-2 დივიზიის მეთაური - პოლკოვნიკი სილიკიანი. ორპოლკიანი ცხენოსანი ბრიგადის მეთაური - პოლკოვნიკი გორგანიანი. დასავლეთსომხური დივიზია სამი ბრიგადისგან შედგებოდა. პირველ ბრიგადაში ჩართული იყო არზრუმის და ერევნის პოლკები, მეორეში - ხნუსის და ყარაქილისას, ხოლო მესამეში - ვანის და ზეითუნის პოლკები. კორპუსის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობისაგან შემდგარი ***ქვედანაყოფები,*** რომლებიც ***ლორის,*** შუშის, ახალქალაქისა და ყაზახის პოლკებისაგან შედგებოდნენ.[763] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული შენიშვნები მითიური ვანის, ზეითუნის, ახალქალაქის, ლორესა და ა.შ. პოლკების შესახებ ბატონ ოგანესიანსაც ეხება, ხოლო ტექსტის ხაზგასმასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ქვედანაყოფები პოლკების, ანუ, სამხედრო ნაწილებისგან არ შედგებიან. პირიქით - კი ბატონო.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, 1918 წლისათვის სომხეთის შეიარაღებული ძალები, პირადი შემადგენლობის რიცხოვნობით, საკმაოდ მძლავრ სამხედრო ორგანიზაციას წარმოადგენდა. ქართველებისგან განსხვავებით, სომხებმა პრაქტიკულად შეძლეს ერთი სრული საარმიო კორპუსის სტრუქტურის ჩამოყალიბება, რითაც დაწინაურებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქართულ მხარესთან შედარებით. რუსულ ენაზე შესრულებულ თავის მეტად საინტერესო ანალიტიკური ხასიათის ნაშრომში ,,როგორ დაიბადა ქართული არმია“, გენერალი ილია ოდიშელიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სომხებს ნაციონალური ნაწილების შექმნის თვალსაზრისით უპირატესობა ჰქონდათ ქართველებთან შედარებით, რადგან პირველი სომხური (დაშნაკური) ნაციონალური ნაწილები ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის მსვლელობისას ჩამოყალიბდა, რომლებიც ჩართულ იქნა რუსეთის იმპერიის კავკასიის ფრონტის შემადგენლობაში.[764] როგორც ამ მოვლენების უშუალო მონაწილე და კავკასიის ფრონტის უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელი, იგი ნამდვილად კარგად ერკვეოდა რეგიონში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების არსში. ამიტომ მისი ეს დასკვნები ნამდვილად რელევანტურია, რასაც ჩვენც ვიზიარებთ.

საერთო ჯამში, მთელი 1918 წლის მონაცემებით, სომხეთის შეიარაღებული ძალები რიცხობრივად მნიშვნელოვნად აღემატებოდა საბრძოლო მწყობრში მდგომი საქართველოს შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას, თუმცა, ეს ძალები არ იყო კონცენტრირებული სომეხთათვის სტრატეგიულ, დასავლეთის მიმართულებაზე. სომხეთის შეიარაღებული ძალების ნაწილი საქართველოს წინააღმდეგ ჩრდილოეთით, ნაწილი კი, აღმოსავლეთით, ბაქოსკენ იქნა მიმართული. თუ რატომ, ამ საკითხებთან დაკავშირებით, ჩვენ ქვემოთ გვექნება უფრო არსებითი საუბარი.

---

763 Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство ,,Феникс”. Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 212-213. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991 __ocr.pdf

764 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1869, ანაწერი 4, საქმე 8, ფურცელი 6.

§2.4. საქართველოსა და სომხეთის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა კორპუსი და სამეთაურო შემადგენლობა 1918 წელს

I მსოფლიო ომის დასაწყისიდან რუსეთის კავკასიის არმიას კავკასიის მეფისნაცვალი, კავალერიის გენერალი და გენერალ-ადიუტანტი, გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი სარდლობდა, მისი მოადგილე ინფანტერიის გენერალი ალექსანდრ მიშლაევსკი[765] იყო, არმიის შტაბის უფროსის თანამდებობა კი, ცარისტული გენერალიტეტის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, გენერალ-ლეიტენანტ (1915 წლიდან ინფანტერიის გენერალი) ნიკოლაი იუდენიჩს ეკავა, რომელიც სულ მალე მოექცა კიდეც რუსეთის კავკასიის არმიას სათავეში. 1917 წლის მარტიდან, ცარიზმის დამხობის შემდეგ, გენერალმა იუდენიჩმა, როგორც დაჯერებულმა მონარქისტმა, არ აღიარა დროებითი მთავრობა და გადადგა. 1917 წლის ივნისიდან იგი გენერალმა მიხაილ პრჟევალსკიმ[766] (Михаил Алексеевич Пржевальский) შეცვალა, ხოლო თავის მხრივ

---

765 ალექსანდრ ზახარევიჩ მიშლაევსკი (რუს. Александр Захарьевич Мышлаевский) (1856-1920წ.წ.) – რუსი სამხედრო მოღვაწე, ისტორიკოსი, რუსეთის სამხედრო-ისტორიული საზოგადოების ორგანიზატორი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის ინფანტერიის გენერალი, გენერალური შტაბის აკადემიის პროფესორი. დაწყებითი განათლება ჟიტომირის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო. შემდეგ სწავლობდა კონსტანტინეს სამხედრო სასწავლებელსა და მიხეილის საარტილერიო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1877 წელს. პრაპორშიკის წოდებით სამხედრო სამსახური დაიწყო მე-15 საარტილერიო ბრიგადაში. 1878 წლიდან პორუჩიკია, ხოლო 1883 წელს ენიჭება შტაბს-კაპიტნის წოდება. 1886 წელს ინიშნება ეკატერინოსლავის 1-ლი გრენადერთა პოლკის ასეულის მეთაურად. 1888 წლიდან იყო კიევის სამხედრი ოლქის შტაბის განსაკუთრებულ დავალებათა ოფიცერი. ამავე წელს ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. 1892 წლიდან პოლკოვნიკია. 1895 წლიდან იყო მე-3 გრენადერთა პოლკის ბატალიონის მეთაური. 1899 წლიდან ეკავა მთავარი შტაბის სამხედრო-სამეცნიერო არქივის უფროსის თანამდებობა. 1900 წლის 6 დეკემბერს ენიჭება გენერალ-მაიორის, ხოლო 1906 წელს – გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1905-1908 წლებში იყო მთავარი შტაბის მორიგე გენერალი, ხოლო 1908 წლის 22 მაისიდან – მთავარი შტაბის უფროსი. 1909 წლის 19 ოქტომბერს ინიშნება კავკასიის მე-2 საარმიო კორპუსის სარდლად. 1912 წლის 6 დეკემბერს ენიჭება ინფანტერიის გენერლის წოდება. 1914 წლის 30 ივნისს ინიშნება კავკასიის არმიის სარდლის მოადგილედ და წარმოადგენდა კავკასიის ფრონტის ჯარების ფაქტობრივ სარდალს. I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე, სარიყამიშის ოპერაციის მსვლელობისას, 1914 წლის დეკემბერში, ვერ გაერკვა შექმნილ ვითარებაში, გასცა უკანდახევის დანაშაულებრივი ბრძანება, მიატოვა არმია და ფრონტიდან თბილისში გამოემგზავრა. აქ მან წაიკითხა პანიკური მოხსენება თურქული შენაერთების ამიერკავკასიაში შემოჭრის შესახებ, რითაც დიდი დეზორგანიზაცია გამოიწვია ზურგში. 1915 წლის იანვარში გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან. თუმცა, მალევე დააბრუნეს კადრში და 1916 წლის აგვისტოდან იყო მეტალურგიული მრეწველობის მომარაგების უფროსი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაიკავა ყაზანის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანამდებობა. იმავე წლის დეკემბრიდან იყო კავკასიის სამხედრო-ისტორიული კომისიის თავმჯდომარე. გარდაიცვალა 1920 წელს.

766 მიხაილ ალექსეევიჩ პრჟევალსკი (რუს. Михаил Алексеевич Пржевальский) (1859-1934წ.წ.) – რუსი სამხედრო ოფიცერი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის ინფანტერიის გენერალი, გიორგის ჯვრის კავალერი. ცნობილი მოგზაურისა და გეოგრაფის, გენერალ ნიკოლაი პრჟევალსკის ბიძაშვილი. 1876 წელს დაამთავრა პოლტავის სამხედრო გიმნაზია და საარტილერო სასწავლებელი 1879 წელს. პოდპორუჩიკის წოდებით დაიწყო სამხედრო სამსახური ლეიბ-გვარდიის მე-2 საარტილერიო ბრიგადაში. 1884 წელს დაამთავრა მიხეილის საარტილერიო აკადემია, ხოლო 1888 წელს – გენშტაბის აკადემია. აქვე ენიჭება შტაბს-კაპიტნის წოდება და ინიშნება ბათუმის მიხეილის სიმაგრის სამწყობრო ნაწილის განყოფილების უფროსად. 1891 წელს ინიშნება კავკასიის სამხედრი ოლქის სარდლის საგანგებო დავალებათა ობერ-ოფიცრად. 1892 წლის მარტიდან დიპლომატიურ სამსახურშია. მსახურობდა არზრუმის გენერალური საკონსულოს მდივნად. 1896 წელს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1901 წლიდან ისევ სამხედრო სამსახურშია. 10 ივლისს 39-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსად ინიშნება. 1903 წლის ივლისიდან კი, 155-ე ქვეითი პოლკის მეთაურია. 1906 წლის 5 მაისს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1908 წლის 13 დეკემბერს კი, ინიშნება ყუბანის პლასტუნთა ბრიგადის მეთაურად. ამ თანამდებობაზე შეხვდა იგი I მსოფლიო ომის დაწყებას. წარმატებით მონაწილეობდა სარიყამიშის

გენერალი პრჟევალსკი - თბილისში დაბადებულმა და გაზრდილმა რუსმა გენერალმა ევგენი ლებედინსკიმ[767] (Евгений Васильевич Лебединский), რომელიც ფრონტს 1918 წლის იანვარ-მაისში სარდლობდა. 1917 წლის ბოლოსათვის უილიამ ალენისა და პოლ მურატოვის მიხედვით: ,,ქართული და სომხური კორპუსების მეთაურის თანამდებობა ნომინალურად კავკასიის ფრონტის სარდალს, ეროვნებით რუსს, გენერალ ლებედინსკის ეკავა, მაგრამ რეალური ძალაუფლება ამიერკავკასიის მთავრობის მიერ ქართველ გენერალს, ოდიშელიძეს ჰქონდა მინიჭებული".[768]

ასეთი იყო კავკასიის არმიის უმაღლესი სამეთაურო შემადგენლობა 1917 წლის ბოლოდან, რომლის სტრუქტურაც რეალურად ორი, სომხური და ქართული საარმიო კორპუსებით იყო წარმოდგენილი, თუმცა, ,,კავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმიის" შემადგენლობაში ნომინალურად აზერბაიჯანული კორპუსიც არსებობდა, იმდროინდელი ტერმინოლოგიით - ,,მუსულმანური კორპუსი", შესაბამისი საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურითა და შესაბამისი შტატით, მაგრამ რეალურად იგი კავკასიის არმიის შემადგენლობაში არ იყო ჩართული. მის ბირთვს ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე, 1914 წელს ფორმირებული ე.წ. ,,ველური დივიზია" (,,Дикая дивизия") წარმოადგენდა.

ოპერაციაში. 1915 წლის 13 იანვარს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება და აქვე ინიშნება თურქესტანის მე-2 საარმიო კორპუსის სარდლად. შემდგომში წარმატებით მონაწილეობდა არზრუმისა და ერზინჯანის ბრძოლებში. 1916 წლიდან ინფანტერიის გენერალია. 1917 წლის 3 აპრილს კავკასიის არმიის სარდლად, ხოლო 31 მაისიდან კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარსარდლად ინიშნება, შეცვალა რა, ამ თანამდებობაზე ინფანტერიის გენერალი ნიკოლაი იუდენიჩი. 1917 წლის ბოლოს ფრონტზე განვითარებული დეზინტეგრაციული პროცესების გამო მოიხსნა მთავარსარდლის უფლება-მოსილებები და გადადგა თანამდებობიდან. მალევე შეუერთდა გენერალ ალექსეევის თეთრ მოძრაობას და 1919 წლის დასაწყისში გენერალ დენიკინის მიერ კასპიისპირეთის რაიონის ჯარების უფროსად დაინიშნა. მეთაურობდა ბაქოს რუსულ ფორმირებებს. 1920 წლის მარტში წითელი არმიისგან იცავდა მაიკოპს. 1920 წლის 16 ოქტომბრიდან გენერალ ვრანგელის დაქვემდებარებაშია. წითელ არმიასთან განცდილი მძიმე მარცხების შემდეგ ტოვებს რუსეთს და მიდის ემიგრაციაში. ცხოვრობდა იუგოსლავიაში. გარდაიცვალა ბელგრადში, 1934 წელს.

767 ევგენი ვასილევიჩ ლებედინსკი (რუს. Евгений Васильевич Лебединский) (1873-?) – რუსი სამხედრო ოფიცერი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი, გიორგის ჯვრის კავალერი. დაიბადა თბილისში, გენერალ ვასილი ლებედინსკის ოჯახში. თბილისის კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ, 1891 წლიდან სწავლა გააგრძელა პეტერბურგის იუნკერთა სასწავლებელში. 1892 წელს ამთავრებს სასწავლებელს, ენიჭება პოდპორუჩიკის წოდება და სამხედრო სამსახურს იწყებს კავკასიის 1-ლ მსროლელ ბატალიონში. 1896 წლიდან პორუჩიკია და სწავლობს გენერალური შტაბის აკადემიაში. 1900 წლის 4 აგვისტოს ენიჭება შტაბს-კაპიტნის წოდება. 1901 წელს ამთავრებს აკადემიას, იმავე წლის 23 მაისს ენიჭება კაპიტნის სამხედრო წოდება და სამსახურს აგრძელებს კავკასიის სამხედრო ოლქში. 1903-1907 წლებში იყო კავკასიის საკავალერიო დივიზიის შტაბის ადიუტანტი. 1904 წლის 6 დეკემბერს ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. 1908 წელს ინიშნება არდაგანის 204-ე ქვეითი პოლკის ბატალიონის მეთაურად, აქვე ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1909 წლის 22 დეკემბერს ინიშნება კავკასიის მე-2 კაზაკთა დივიზიის შტაბის უფროსად. I მსოფლიო ომის დაწყებას შეხვდა კავკასიის ფრონტზე. 1915 წლის 5 მარტს ინიშნება აფშერონის 81-ე ქვეითი პოლკის მეთაურად. 1915 წლის 6 მაისს ენიჭება გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. 1916 წლის 3 ოქტომბერს ინიშნება მე-6 განსაკუთრებული ქვეითი ბრიგადის მეთაურად. ხოლო 1917 წლის 30 იანვრიდან – მე-4 განსაკუთრებული ქვეითი დივიზიის მეთაურად. იმავე წლის ივლისიდან ინიშნება კავკასიის მე-7 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად. 1917 წლის 13 აგვისტოდან კავკასიის ფრონტის შტაბის მორიგე გენერალია. იმავე წლის 5 ოქტომბრიდან ეკავა კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსის თანამდებობა. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალებისა და ფრონტის სარდლის, გენერალ მიხაილ პრჟევალსკის მიერ თანამდებობის დატოვების შემდეგ, სათავეში ჩაუდგა კავკასიის ფრონტს. ეს თანამდებობა ნომინალურად ეკავა ფრონტის დაშლამდე, 1918 წლის ივნისამდე. მისი შემდგომი ბიოგრაფიული მონაცემები, გარდაცვალების დრო და ადგილი უცნობია.

768 W. E. D. Allen and Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A history of the wars on the Turco-Caucasian border 1828-1921. Cambridge. 1953. გვ. 458.

,,მუსულმანური კორპუსის“ სარდლად არტილერიის ოფიცერი, გენერალ-ლეიტენანტი ალი-აღა შიხლინსკი[769] დაინიშნა, რუსეთის საიმპერატორო არმიის ერთ-ერთი თვალსაჩინო და პატივსაცემი ოფიცერი. ,,მუსულმანურ კორპუსს“ სტრუქტურულად შემდეგი სახე ჰქონდა: ორი ქვეითი დივიზია, ერთი საკავალერიო ბრიგადა, მორტირების დივიზიონი და მესანგრეთა ბატალიონი. ქართული და სომხური ქვეითი დივიზიებისაგან განსხვავებით აქ განსაზღვრული იყო არა სამი ქვეითი პოლკი, არამედ ოთხი. ქვეით დივიზიებში არსებული საარტილერიო ბრიგადის სტრუქტურა კი, ტრიანგულარული და ქართულის და რუსულის იდენტური იყო - სამ-სამ ბატარეიანი ორი საარტილერიო დივიზიონი და პარკი. განსაზღვრული იყო აგრეთვე თითო-თითო შემდეგი სათადარიგო ნაწილების შექმნა - მსროლელი პოლკი, სასწავლო ბატარეა, მესანგრეთა ასეული და ცხენოსანი ესკადრონი.[770] გასაგები მიზეზების გამო, ,,მუსულმანური კორპუსის“ წინაშე სულ სხვა სტრატეგიული ამოცანები იყო დასმული და ბუნებრივია, მისი საჯარისო ნაწილები და ქვედანაყოფები ელიზავეტპოლის რაიონში იყო გაშლილი.

დავუბრუნდეთ ისევ განსახილველ თემას - საქართველოსა და სომხეთის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა კორპუსს და მათ სამეთაურო შემადგენლობას.

1918 წლის განმავლობაში ქართულ ჯარში იგივე სამხედრო წოდებები იყო, რაც მეფის რუსეთის არმიაში. უმცროსი და უფროსი ოფიცრებისათვის: პოდპორუჩიკი, პორუჩიკი, შტაბის კაპიტანი (შტაბს-კაპიტანი), კაპიტანი, პოდპოლკოვნიკი, პოლკოვნიკი. მოგვიანებით შემოვიდა ლეიტენანტის, უფროსი ლეიტენანტისა და მაიორის წოდებები. ამ უკანასკნელმა პოდპოლკოვნიკი შეცვალა. კავალერიაში შენარჩუნებული იყო სპეციალური სამხედრო წოდებები - კორნეტი, ვახმისტრი, როტმისტრი. სახალხო გვარდიაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამხედრო ან სხვა სპეციალური წოდებები არ იყო. რეგულარულ ჯარში უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობისთვისაც

---

769 ალი-აღა ისმაილ-აღა ოღლი შიხლინსკი (აზერ. Əli Ağa İsmayıl Ağa oğlu Şıxlinski) (1863-1943წ.წ.) – აზერბაიჯანელი ეროვნების სამხედრო ოფიცერი და მოღვაწე, არტილერისტი. რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-ლეიტენანტი, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების არტილერიის გენერალი და წითელი არმიის გენერალ-ლეიტენანტი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე, სხვადასხვა სამხედრო ნაწილების მეთაური და მსხვილი საჯარისო შენაერთების სარდალი. ზოგადი განათლება მიიღო თბილისში, ტერ-აკოფოვის კერძო გიმნაზიაში. 1883 წელს ამთავრებს თბილისის კადეტთა კორპუსს. იმავე წელს ხდება სანკტ-პეტერბურგის საარტილერიო სასწავლებლის იუნკერი. 1886 წელს ენიჭება პოდპორუჩიკის სამხედრო წოდება და იწყებს სამხედრო სამსახურს 39-ე საარტილერიო ბრიგადაში ფეიერვერკერად. 1887 წლის 23 ნოემბერს ენიჭება პორუჩიკის წოდება. 1900 წლის 17 თებერვალს კაპიტანი შიხლინსკი სამსახურს აგრძელებს ბაიკალის ცალკეულ საარტილერიო დივიზიონში. 1901 წელს ინიშნება ბატარეის მეთაურად. რუსეთ-იაპონიის ომს შეხვდა ბატარეის უფროსი ოფიცრის თანამდებობაზე, მონაწილეობდა პორტ-არტურის დაცვაში. 1905 წლის 26 ნოემბერს მიენიჭა პოდპოლკოვნიკის წოდება, ხოლო 1908 წელს ხდება პოლკოვნიკი. 1913 წლის 14 აპრილს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ინიშნება პეტროგრადის საარტილერიო დაცვის უფროსად. 1917 წლის 2 აპრილიდან იყო დასავლეთის ფრონტის არტილერიის ინსპექტორი. აქვე ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1917 წლის 9 სექტემბერიდან ინიშნება დასავლეთის ფრონტის მე-10 არმიის სარდლად. იმავე წლის ბოლოს ჩამოდის თბილისში, სადაც ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის ბრძანებით ინიშნება მუსულმანური (აზერბაიჯანული) კორპუსის სარდლად. 1918 წლის ივლისიდან აზერბაიჯანული კორპუსი ოსმალთა მე-5 და მე-15 კორპუსებთან ერთად შევიდა ე.წ. ,,კავკასიის ისლამური არმიის'' შემადგენლობაში. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, კერძოდ, 1918 წლის 29 დეკემბრიდან 1920 წლის 28 აპრილამდე იყო აზერბაიჯანის სამხედრო მინისტრის, გენერალ სამედ-ბეგ მეხმანდაროვის მოადგილე. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციისა და გასაბჭოების შემდეგ, 1920 წლის მაისიდან, გადადის წითელ არმიაში და აქ ინიშნება იდენტურ თანამდებობაზე – საბჭოთა აზერბაიჯანის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე. 1929 წლიდან თადარიგშია. გარდაიცვალა 1943 წელს. დაკრძალულია ბაქოში.

770 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 13, ფურცელი 43.

დაცული იყო ის წოდებრივი რანგირება, რაც ცარისტული არმიიდან იყო გადმოყოლილი. სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობის პერიოდში დოკუმენტურ მასალებში გვხვდება ქართველ და სომეხ უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის რანგირებული სამხედრო წოდებები - გენერალ-მაიორი და გენერალ-ლეიტენანტი, რაც მათ რუსული არმიიდან გადმოყვათ. რუსეთის გენერალურ შტაბის აკადემიადამთავრებულ ოფიცრებს წოდების წინ ემატებოდათ ფრაზა ,,გენერალური შტაბის". მაგალითად, ,,გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი კვინიტაძე", ,,გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ზაქარიაძე", ,,გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი ძაგანია", ,,გენერალური შტაბის კაპიტანი გედევანიშვილი" და ა.შ. ძალიან მალე, 1919 წელს განხორციელებული რეფორმების შემდეგ, სხვა ცვლილებებთან ერთად, საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლეს ოფიცერთა კორპუსისათვის წოდებრივი რანგირება მოიხსნა და მხოლოდ ერთი უმაღლესი სამხედრო წოდება - ,,გენერალი" დამკვიდრდა.

სამხედრო წოდებების მხრივ ანალოგიური მდგომარეობა იყო სომხეთის შეიარაღებულ ძალებშიც, ხოლო სომეხ გენერალიტეტში 1918 წლისათვის უმაღლესი სამხედრო წოდების მატარებელი მხოლოდ ერთი პიროვნება, სომხეთის ნაციონალური საარმიო კორპუსის სარდალი - გენერალ-ლეიტენანტი თომა ნაზარბეგოვი იყო. 1919 წლის გაზაფხულისათვის გენერალ-ლეიტენანტის მაღალი სამხედრო წოდება არარატის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრმა, გენერალ-მაიორმა ივანე (ოვანეს) ახვერდოვმაც[771] (ახვერდიანი) მიიღო საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ომში მიღწეული წარმატებისათვის.

ქართული ნაციონალური კორპუსის სამეთაურო შემადგენლობის შესახებ გენერალ კვინიტაძის მოგონებებში ვკითხულობთ: ,,კორპუსის მეთაურად დანიშნული იყო პოლკოვნიკი

---

771 ივან ვასილის ძე ახვერდოვი (ოვანეს ბარსეგის ძე ახვერდიანი) (სომხ. Իվան Վասիլի Ախվերդով (Հովհաննես Բարսեղ Ախվերդիանի)) (1873-1931წ.წ.) – სომეხი ეროვნების მხედართმთავარი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი და სომხეთის შეიარაღებული ძალების გენერალ-ლეიტენანტი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. გიორგის ჯვრის კავალერი. გენერალ-მაიორ გაბრიელ და პოდპოლკოვნიკ გიორგი ახვერდოვების უმცროსი ძმა. დაიბადა სანკტ-პეტერბურგში. 1890 წელს დაამთავრა 1-ლი კადეტთა კორპუსი. იმავე წელს დაიწყო სამხედრო სამსახური. 1892 წელს ამთავრებს სამხედრო სასწავლებელს და ენიჭება პოდპორუჩიკის სამხედრო წოდება. სამხედრო სამსახურს აგრძელებს 147-ე სამარის ქვეით პოლკში. 1895 წელს ენიჭება პორუჩიკის წოდება. 1900 წლიდან შტაბს-კაპიტანია. 1902 წელს ამთავრებს გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიას და იმავე წელს ენიჭება კაპიტნის წოდება. რუსეთ-იაპონიის ომის დროს იყო ციმბირის 1-ლი საარმიო კორპუსის შტაბის განსაკუთრებულ დავალებათა ობერ-ოფიცერი. 1906 წლის 27 ივნისს ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. 1909 წლის 9 ოქტომბრიდან 1913 წლის 23 ივლისამდე მსახურობდა თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ადიუტანტის თანამდებობაზე. 1910 წლის 18 აპრილს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1913 წლის 23 ივლისს დაინიშნა თურქესტანის კაზაკთა დივიზიის შტაბის უფროსად. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. 1914 წლის 18 ივლისს ინიშნება ფინეთის სუომენლინის (სვეაბორგის) ციხესიმაგრის შტაბის უფროსად. 1915 წლის 1 მაისიდან იყო მე-3 ფინეთის მსროლელი პოლკის მეთაური. 1916 წლის 21 იანვარს ენიჭება გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. 1916 წლის მაისიდან კავკასიის ფრონტზეა, სადაც ინიშნება ტრაპიზონის 127-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსად. 1916 წლის 26 ივლისიდან იყო ირანში შეყვანილი კავკასიის მე-2 საკავალერიო კორპუსის შტაბის უფროსი. 1917 წლის 10 ოქტომბერს ინიშნება მე-3 ფინეთის მსროლელი პოლკის მეთაურად. სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ინიშნება რესპუბლიკის სამხედრო მინისტრად. 1919 წლის დასაწყისში ენიჭება სომხეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1920 წლის მაისიდან 1921 წლის ნოემბრამდე იყო სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწე. სომხეთის რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის დასაწყისიდან, მიდის ემიგრაციაში, თუმცა მალევე ბრუნდება უკან და კოლაბორაციაში შედის ბოლშევიკებთან.. ცხოვრობდა ლენინგრადში და მსახურობდა წითელ არმიაში, შემდეგ მუშაობდა ვაჭრობის სისტემაში. 1930 წლის 23 დეკემბერს დააპატიმრეს და წაუყენეს კონტრრევოლციური ჯგუფის წევრობის ბრალდება. სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით გამოუტანეს სასჯელის უმაღლესი ზომა. დახვრიტეს 1931 წლის 28 აპრილს.

ახმეტელი,[772] მისი შტაბის უფროსად - იოსებ გედევანიშვილი. კორპუსში სამი დივიზია ჰყავდათ: ერთს მეთაურობდა გენერალი ართმელაძე, მეორეს - პოდპოლკოვნიკი კარგარეთელი და მესამეს - გენერალი ***ანჯაფარიძე".***[773] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.)". და იქვე: ,,მოგვიანებით კორპუსის სარდლობა შეიცვალა და შესაბამისად დაინიშნენ - კორპუსის მეთაურად გენერალი გაბაშვილი (ვასილ - ა. ჩ.), ხოლო შტაბის უფროსად პოდპოლკოვნიკი ზაქარიაძე (ალექსანდრე - ა. ჩ.)".[774] თავად გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის ცნობით კი: ,,კორპუსის მეთაურად დანიშნულ იქნა პოლკ. სტეფანე ახმეტელი, მისი შტაბის უფროსად - კაპ. სოსო გედევანიშვილი, 1-ლი დივიზიის მეთაურად (ქუთაისში) - ღენ. არჯევანიძე, 2-ე დივიზიის მეთაურად (თბილისში) პპოლ. კარგარეთელი, ცხენოსანი ბრიგადისა - ღენ. რატიშვილი. ქართული ცხენოსანი რაზმი უკვე არსებობდა სპარსეთში და ელოდნენ მის დაბრუნებას. (აქ სწორედ გენერალ ნიკოლაი ბარათოვ-ბარათაშვილის სპარსეთის საექსპედიციო კორპუსის ერთ-ერთ ნაწილზეა საუბარი - ა. ჩ.) შემდეგში ცხენოსანი ბრიგადის მეთაურად დაინიშნა ღენ. გიგუშა ერისთავი".[775]

გენერალ კვინიტაძის ზემოთ მოყვანილ მემუარში, ჩვენს მიერ ხაზგასმულ ადგილას, ალბათ კორექტურული შეცდომაა გაპარული. ასეთი პიროვნება - დივიზიის მეთაური გენერალი ანჯაფარიძე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის სინამდვილეში არ არსებობდა. ეჭვს გარეშეა, უნდა იყოს გენერალი გიორგი არჯევანიძე - საიმპერატორო არმიის პოლკოვნიკი, I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტის არზრუმის ოპერაციის გმირი და რუსეთის კავკასიის არმიის ერთ-ერთი წარმატებული ოფიცერი - ,,დამსახურებული მეთაური და ნამდვილი ქართველი",[776] - როგორც მოიხსენიებდა მას პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდეგ საქართველოს მთავრობა პროფესიონალური, რეგულარული ჯარის ჩამოყალიბებისა და ორგანიზების მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს შეუდგა. მაგრამ შეუდგა თითქმის იგივე იდეოლოგიითა და

---

[772] სტეფანე ახმეტელაშვილი (ახმეტელი) (1877-1922წ.წ.) – მეფის არმიის ქართველი ოფიცერი, რუსეთის საიმპერატორო არმიის პოლკოვნიკი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. გიორგის ჯვრის კავალერი. დაიბადა თბილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგაში. დაწყებითი განათლება მიიღო სიღნაღის საქალაქო სასწავლებელში. შემდეგ დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი და სუმის სამხედრო სასწავლებელი. სამხედრო სამსახურს იწყებს თურქესტანის მე-4 ბატალიონში. 1895 წელს ენიჭება პოდპორუჩიკის სამხედრო წოდება, 1899 წელს ხდება პორუჩიკი, ხოლო 1903 წელს – შტაბს-კაპიტანი. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი რუსეთ-იაპონიის ომში. 1907 წლის 14 აგვისტოს ენიჭება კაპიტნის წოდება. 1915 წლიდან რუსეთის საიმპერატორო არმიის პოლკოვნიკია. 1917 წლის მაისში ინიშნება პოლკის მეთაურად. 1917 წლის ბოლოდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებშია და აქტიურად მონაწილეობს ქართული ნაციონალური საარმიო კორპუსის შექმნაში. 1918 წლის დასაწყისში ინიშნება ქართული საარმიო კორპუსის სარდლად და აქვე ენიჭება ქართული არმიის გენერლის წოდება. 1918 წლის ბოლოს და 1919 წლის დასაწყისში, სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, ინიშნება ეკატერინენფელდის ფრონტის სარდლად. ამავე დროს იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოადგილე. 1919 წლის დასაწყისში ინიშნება თბილისის სამხედრო გარნიზონის უფროსად და სახალხო გვარდიის შენაერთის სარდლად. 1920 წელს ინიშნება რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების სარდლად. 1921 წლის საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ომში მტრის აღმატებულ ძალებთან ბრძოლაში თავის შენაერთთან ერთად იძულებული გახდა ახმეტაზე და დუშეთზე გავლით გამოსულიყო საქართველოს სამხედრო გზაზე, სადაც გენერალ თავაძესა და გენერალ ჭავჭავაძესთან ერთად ტყვედ ჩაუვარდა ვლადიკავკაზიდან მომავალ ბოლშევიკთა წითელ არმიას. ბოლშევიკები მას ასამართლებენ და სასჯელის მოსახდელად რუსეთში აგზავნიან. გარკვეული ცნობებით მოკლეს რიაზანის საკონცენტრაციო ბანაკში, 1922 წელს. ოფიციალური ვერსიით გარდაიცვალა ტიფით. მისი საფლავი არ არსებობს.

[773] გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ტომი I. ,,ლომისი". თბილისი. 1999. გვ. 28.

[774] იქვე.

[775] გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. ჟურნალი ,,მხედარი". 1992. №2. გვ. 45.

[776] ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. მეცნიერება. თბილისი. 1990. გვ. 25.

მეთოდებით, როგორითაც თავის დროზე ყალიბდებოდა წითელი გვარდია. საყოველთაოდ აღიარებულია ის მოსაზრება, რომ თუნდაც მხოლოდ რუსეთის კავკასიის არმიის შემადგენლობაში იმდენი ნიჭიერი და წარმატებული ქართველი გენერალი და ოფიცერი მსახურობდა, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის არმიას დაამშვენებდა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მეფის არმიის ქართველ სამხედრო მოსამსახურეთათვის, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა მისაღები აღმოჩნდა და მათი უმეტესობა მზად იყო სათანადო წვლილი შეეტანა დამოუკიდებელი საქართველოს არმიის აღმშენებლობის საქმეში. მაგრამ აქაც, ხშირად, სამეთაურო კადრების შერჩევასა და თანამდებობრივ გადაადგილებებში მმართველი პარტიის მხრიდან ადგილი ჰქონდა პირადი ნდობისა და სიმპათიების მიხედვით დანიშვნებს, ან პირდაპირ რომ ვთქვათ, დანიშვნებსა და სამსახურეობრივ გადაადგილებებს იდეოლოგიური და პოლიტიკური საიმედოობის პრინციპიდან გამომდინარე.

ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ერთი შეხედვით სრულიად გაუგებარი და კურიოზული გადაწყვეტილებები ოფიცერთა გარკვეული ჯგუფისათვის სამხედრო წოდებების მინიჭების თაობაზე. გენერალი კვინიტაძე: ,,კაპიტანი გედევანიშვილი კაპიტნობიდან ჯერ პოლკოვნიკად გადახტა, მერე - გენერლად. კაპიტან ჯიჯიხიასაც ეკატერინენფელდის ბრძოლებისათვის პოლკოვნიკობა მიანიჭეს. არ არსებობდა სამართლიანი შეფასება. პოლკოვნიკებს რატიშვილსა და თავაძეს (შესაბამისად, 1-ლი ცხენოსანი პოლკის და მე-2 დივიზიის მე-6 ქვეითი პოლკის მეთაურები - ა. ჩ.) გენერლობა უბოძეს იმისათვის, რომ მათმა ნაწილებმა სომხეთ-საქართველოს ომში თავი გამოიჩინეს. არადა, არც რატიშვილი და არც თავაძე ამ ომში არ მონაწილეობდნენ".[777] დიახ, პოლკოვნიკებს დავით რატიშვილსა[778] და გიორგი თავაძეს,[779]

---

[777] გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ტომი I. ,,ლომისი". თბილისი. 1999. გვ. 96.

[778] დავით რატიშვილი (1881-1937წ.წ.) – ქართველი სამხედრო ოფიცერი, კავალერისტი. რუსეთის საიმპერატორო არმიის პოლკოვნიკი და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. საწყისი ბიოგრაფიული ცნობები მიუწვდომელია. I მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1915 წლის 31 მაისს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1917 წლის ბოლოს ინიშნება კავკასიის ფრონტის ქართული საარმიო კორპუსის ცხენოსანი ბრიგადის მეთაურად. 1918 წლიდან მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. იყო 1-ლი ცხენოსანი პოლკის მეთაური. სომხეთ-საქართველოს ომში მეთაურობდა მე-5 ქვეით პოლკს. 1919 წლის 23 იანვარს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. მონაწილეობდა თვითგამოცხადებული ე.წ. ,,ყარსის რესპუბლიკის" შეიარაღებული ძალების აგრესიის აღკვეთაში. 1919 წლის 3 მარტს დაინიშნა ახალციხის სამხედრო კომენდანტად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, საქართველოს მთავრობის წევრებისა და ქართველი გენერალიტეტის მსგავსად ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სამშობლოში. ცხოვრობდა თბილისში. საბჭოთა პერიოდში მისი საქმიანობის ტიპი უცნობია. დიდი საბჭოური რეპრესიების დროს, 1937 წელს, დააპატიმრეს და დახვრიტეს. დეტალები უცნობია. მისი საფლავი არ არსებობს.

[779] გიორგი თავაძე (1872 -) – ქართველი სამხედრო ოფიცერი, რუსეთის საიმპერატორო არმიის პოლკოვნიკი და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. დაიბადა ქუთაისში, დაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1896 წელს ამთავრებს თბილისის იუნკერთა სასწავლებლს. 7 აგვისტოს ენიჭება პოდპორუჩიკის წოდება. ამავე წელს იწყებს სამხედრო სამსახურს. 1909 წლის 1 იანვრიდან შტაბს-კაპიტნის წოდებით მსახურობდა კავკასიის მე-2 მსროლელ ბატალიონში. 1912 წელს I თანრიგით ამთავრებს ნიკოლოზის საინჟინრო სასწავლებელს. 1914 წლის 27 ივლისს ენიჭება კაპიტნის წოდება. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. 1916 წლიდან მსახურობდა კავკასიის მე-3 ქვეით პოლკში. 1916 წლის 8 აგვისტოს ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. 1917 წლის 14 იანვარს ინიშნება ამავე პოლკის მეთაურად და ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1918 წლიდან მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. იყო მე-2 ქვეითი დივიზიის მე-6 პოლკის მეთაური. 1919 წლის 23 იანვარს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. მონაწილეობდა თვითგამოცხადებული ე.წ. ,,ყარსის

სომხეთ-საქართველოს ომის დასრულების შემდეგ, კერძოდ, 1919 წლის 23 იანვარს, საქართველოს სამხედრო მინისტრის №61 ბრძანებით მართლაც გენერალ-მაიორების მაღალი წოდებები მიენიჭათ. და ამავე ბრძანებით მიენიჭა მე-2 ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსს, გენერალური შტაბის პოლკოვნიკ არტემ ჯიჯიხიას აგრეთვე გენერალ-მაიორის წოდება.[780] ჩვენის მხრივ კი, დავამატებთ, რომ ამ ომის ნამდვილი გმირები - გენერალი მაზნიაშვილი და გენერალი კვინიტაძე, მადლობის გამოცხადების ღირსადაც არ ჩათვალეს. ასეთი მდგომარეობა შემდგომშიც გრძელდებოდა. უკვე მოგვიანებით, 1920 წელს, საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოში, გენერალი პაველ სიტინი თავის 1920 წლის 27 ივლისის N42 მოხსენებით ბარათში, ქართველი ოფიცრების შესახებ აღნიშნავდა: ,,ძველი არმიის კადრის ოფიცრებმა, რომლებსაც ჰქონდათ ფართო ზოგადი განათლება და ბრწყინვალე სამხედრო მომზადება, ვერ ნახეს ადგილი მშობლიურ არმიაში, ან მათ ვერ მოუნახეს სათანადო ღირსეული ადგილი“.[781]

სომხეთ-საქართველოს ომის დასაწყისისათვის საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანამდებობა პროფესიით იურისტს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრს, გრიგოლ გიორგაძეს[782] ეკავა. მას ორი მოადგილე ჰყავდა: გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი -

---

რესპუბლიკის'' ჯარების აგრესიის აღკვეთაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის პერიოდში, 1921 წლის თებერვლის ბოლოს საბჭოთა ხელისუფლება მას აპატიმრებს და გენერალ ჭავჭავაძესა და გენერალ ახმეტელაშვილთან ერთად აგზავნის მოსკოვში. მოკლეს რიაზანის საკონცენტრაციო ბანაკში. გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია. მისი საფლავი არ არსებობს.

780 სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი''. (სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილებით). 1919. №12. გვ. 4.

781 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი (88-90 უკ).

782 გრიგოლ გიორგაძე (1879-1937წ.წ.) – ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, იურისტი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი, რესპუბლიკის პირველი სამხედრო მინისტრი. დაიბადა 1879 წელს ქუთაისში. 1902 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარია, 1909 წელს – ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ადრევე ჩაერთო პოლიტიკურ მოძრაობაში. 1905 წლიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) წევრი. სწავლის დასრულების შემდეგ დაბრუნდა ქუთაისში და მუშაობდა ადვოკატად, ამავე დროს, აგრძელებდა პოლიტიკურ მოღვაწეობას და დაკავებული იყო პუბლიცისტური საქმიანობით, 1909 წლიდან გამოსცემდა ყოველკვირეულ გაზეთს „ფონი''. 1917-1918 წლებში იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1918 წლის აპრილში ინიშნება ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის, ხოლო იმავე წლის მაისის ბოლოდან – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრად. 1919-1921 წლებში არჩეულ იქნა რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების წევრად. 1919 წლის მარტიდან სამხედრო მინისტრის პოსტზე იგი ნოე რამიშვილმა ჩაანაცვლა, რომელსაც ამავე დროს ეკავა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა. 1920 წელს გრიგოლ გიორგაძე ინიშნება საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებულად ბათუმსა და აჭარაში. შექმნა დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „ახალი სხივი'' და დამფუძნებელ კრებაში ხელმძღვანელობდა სხიველების ფრაქციას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, მთავრობის სხვა წევრების მსგავსად ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სამშობლოში. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საქმესთან დაკავშირებით ბოლშევიკებმა იგი დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს. 1922-1937 წლებში ეწეოდა საადვოკატო მოღვაწეობას. იყო საქართველოს დამცველთა კოლეგიის წევრი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. იკვლევდა საქართველოს ფეოდალური ურთიერთობების, სამართლის ისტორიის და ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემატურ საკითხებს. 1930 წელს ისევ დააპატიმრეს და ყაზახეთში გადაასახლეს, სადაც სხვადასხვა ორგანიზაციებში მუშაობდა იურისკონსულტად. 1936 წელს სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა მალევე, 1937 წლის დიდი რეპრესიების დროს ისევ დააპატიმრეს და გადაასახლეს ყაზახეთში, სადაც იმავე წელს

სამწყობრო-ოპერატიულ ნაწილში და გენერალი ზაქარია მდივანი[783] - სამეურნეო ნაწილში. ეს თანამდებობა 1918 წლის 24 ოქტომბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე (თავმჯდომარე - ნ. რამიშვილი, მდივანი - გრ. რობაქიძე) დამტკიცდა.[784] ამავე სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სამხედრო ქუდზე გამოსახულიყო ქართული სამფერიანი კოკარდა და სამხრეებზე დაწერილიყო ორი ასო - ,,ქ" და ,,ლ" (ქართული ლაშქარი). არაქართული ლაშქრის ოფიცრებს კი, გარდა გერმანელებისა და ავსტრიელებისა, საერთოდ აეკრძალათ სამხრეების ტარება.[785] მანამდე კი, რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს მხოლოდ ერთი მოადგილე ჰყავდა, რაც ერთობ უარყოფითად მოქმედებდა სისტემის გამართულად მუშაობაზე. საინტერესოა, რომ ამ ფაქტს თვით სამხედრო მინისტრიც კი აღიარებდა. ასე მაგალითად, საქართველოს ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის 12 ივლისის სხდომაზე, სამხედრო მინისტრმა გრიგოლ გიორგაძემ გულწრფელად განაცხადა:

,,მე აქამდის ვერ გამომეკვლია იმ არანორმალურ მდგომარეობის მიზეზები, რომელშიაც ვიმყოფები მე, როგორც სამხედრო მინისტრი და ჩემი თანაშემწე. მე ვხედავდი რომ ჩვენ შორის არ არის ორგანიული დამოკიდებულება, არის მხოლოდ მექანიკური. ბევრჯელ მე ვახდენ განკარგულებას, რომელიც არ იცის ჩემმა თანაშემწემ და ზოგჯერ ჩემი თანაშემწე გასცემს ისეთ ბრძანებებს, რომლებიც ჩემთვის არ მოუხსენებია.

ერთი სიტყვით, რაღაც გაორკეცებული მმართვლობაა. ჩემ კანცელარიაში შემოდის ისეთი აუარებელი მთხოვნელი, რომ სამინისტრო რაღაც ბაზარს წარმოადგენს და მე კი დრო არა მაქვს

გარდაიცვალა. შემდგომში რეაბილიტირებულ იქნა ყაზახეთის და საქართველოს უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებით. მისი საფლავი არ არსებობს.

783 ზაქარია (შაქრო) მდივანი (1867-1933წ.წ.) – ქართველი მხედართმთავარი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-მაიორი და ქართული არმიის გენერალი, 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე, გიორგის ჯვრის კავალერი. დაიბადა თბილისში. 1884 წელს დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი, ხოლო 1886 წელს – კონსტანტინეს სამხედრო სასწავლებელი. აქვე ენიჭება პოდპორუჩიკის წოდება. სამხედრო სამსახურს იწყებს ვარშავის საციხოვნო არტილერიაში, შემდეგ მსახურობდა კავკასიის გრენადერთა ბრიგადაში. 1889 წლის 7 აგვისტოს ენიჭება პორუჩიკის, ხოლო 1895 წლის 25 ივლისს – შტაბს-კაპიტნის წოდება. 1898 წელს ამთავრებს გენერალური შტაბის აკადემიას. იმავე წელს იღებს კაპიტნის წოდებას. 1899 წლის 10 აპრილიდან მსახურობს გენერალურ შტაბში. 1899 წლის 10 აპრილიდან 1902 წლის 4 ოქტომბრამდე მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ადიუტანტის თანაშემწედ. შემდეგ მეთაურობდა ბატალიონს. აქვე ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. 1903 წლის 2 ივნისს ინიშნება მე-13 ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსად. 1906 წლის 6 დეკემბერს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. იყო ბათუმის მიხეილის ციხესიმაგრის, ხოლო 1910-1912 წლებში – სევასტოპოლის სიმაგრის კომენდანტი. 1912 წლის 30 მაისს ინიშნება ლეიბ-გვარდიის მე-13 ერევნის პოლკის მეთაურად. 1913 წლიდან იყო იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი. 1915 წლის 18 იანვარს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება და ჩაირიცხა ნიკოლაი II-ის ამალაში, შედიოდა იმპერატორის უახლოეს გარემოცვაში. 1915 წლის 7 აპრილიდან იმავე წლის 18 ივლისამდე იმყოფებოდა კავკასიის არმიის სარდლის განკარგულებაში. მსახურობდა კავკასიის მე-4 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად, ხოლო 1917 წლის 20 მარტიდან ეკავა 39-ე ქვეითი დივიზიის მეთაურის თანამდებობა. შემდეგ – ბათუმის ციხესიმაგრის შტაბის უფროსის და ბათუმის სამხედრო კომენდანტის თანამდებობები. 1918 წლიდან ქართული არმიის შემადგენლობაშია. მონაწილეობდა ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების საქმეში. იყო რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მოადგილე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, საქართველოს მთავრობის წევრებისა და სხვა გენერლების მსგავსად, ოჯახთან ერთად მიდის ემიგრაციაში. ცხოვრობდა ჯერ კონსტანტინოპოლში, სადაც 1924 წლამდე ხელმძღვანელობდა ლტოლვილთა კომისიას, შემდეგ გადადის საფრანგეთში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1933 წლის 18 აპრილს. დაკრძალულია სენტ ჟენევიე დებუას სასაფლაოზე.

784 საქართველოს ერ ვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 190.

785 საქართველოს ერ ვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 190 უკ.

გადავშინჯო უმნიშვნელო რაღაც თხოვნები. ახლა გერმანელების პროექტის და მათთან მოლაპარაკების შემდეგ ***მე ვცანი, რომ ამის მიზეზი ის არის, რომ სამხედრო მინისტრი და მისი თანაშემწე უნდა იყვნენ სამხედრო პირნი - სპეციალისტები. მარტო მაშინ შეუძლიათ მათ საქმის გაზიარება და მთელი ჯარის აღზრდა-მოწყობის თვალ ყურის დევნება.*** ამისათვის ჩემის აზრით, კომისიამ უნდა გადაწყვეტით გამოსთქვას თავისი აზრი ამაზედ.

აქ გენერალმა ანდრონიკაშვილმა შემოიტანა მოსაზრება, რომ მინისტრის სამხედრო თანაშემწეც ძალიან დაკავებულია კანცელარიის ამბებით და ამიტომ საჭიროა იგი გამონთავისუფლდეს ამ საქმისაგან. საუკეთესო გამოსავალი კი, მეორე თანაშემწის თანამდებობის დაშვებაა, რომელიც უშუალოდ უხელმძღვანელებს ჯარების ოპერატიული მართვის საქმეს“.[786] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

როგორც ვხედავთ, თვით გრიგოლ გიორგაძეც აღიარებდა იმ გადაუდებელ აუცილებლობას, რომ სისტემის გამართული მუშაობისთვის უმჯობესი იქნებოდა, რომ სამხედრო მინისტრი სამხედრო პირი ყოფილიყო და არა სამოქალაქო აქტივისტი, პოლიტიკური მოღვაწე ან იდეოლოგიური ლიდერი. ქართულ რეალობაში, ომებისა და დიდი ბრძოლების დროს, ასევე პოლიტიკური და იდეოლოგიური ნიშნით ყოველმხრივ გაუმართლებელი საველე შტაბები ყალიბდებოდა, თავისი თანდართული შტატებით, რომლებსაც ფაქტიურად გენერალური შტაბის ფუნქციები ჰქონდა შეთავსებული. უნდა ითქვას, რომ ეს საველე შტაბები არმიის მართვის პარტიულ-იდეოლოგიურ ორგანოებს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისა და ოპერატიული მართვის ორგანოებს. თავისი არსით და ფუნქციებით ქართული საველე შტაბები ძალიან მოგვაგონებდნენ რუსული ბოლშევიკური არმიების რევოლუციურ სამხედრო საბჭოებს, რომელთა შემადგენლობაშიც სამხედრო ხელმძღვანელებთან ერთად პოლიტიკური წითელი კომისრებიც იყვნენ ჩართულნი. ქართულ რეალობაში საომარი მოქმედებების წარმოებისას მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების დროს და ისიც დიდი დაგვიანებით ინიშნებოდა შენაერთისა თუ ფრონტის სარდლად ღირსეული და გამორჩეული გენერალი. გვარდია კი, ფაქტობრივად, დამოუკიდებლად მოქმედებდა.

გენერალი კვინიტაძე ქართული რეგულარული ჯარის ჩამოყალიბების საკითხისადმი არასწორი მიდგომის მთავარ მიზეზად მთავრობის წევრთა პარტიულ-იდეოლოგიურ შეხედულებებს ასახელებს. თავის მამუარში იგი წერს: ,,მაშინ, როცა მეზობელ ამიერკავკასიურ სახელმწიფოებში სამხედრო ორგანიზაციას მეთაურობდნენ: აზერბაიჯანში - გენერლები მეხმანდეროვი[787] და შიხლინსკი, სომხეთში - გენერალი ნაზარბეგოვი, ჩვენი მთავრობა სამხედრო

---

[786] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 193, ფურცელი 1.

[787] სამედ-ბეგ სადიხ-ბეგ ოღლი მეხმანდაროვი (აზერ. Səməd bəy Sadıx bəy oğlu Mehmandarov) (1855-1931წ.წ.) – აზერბაიჯანელი ეროვნების რუსი, აზერბაიჯანელი და საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, რუსეთის საიმპერატორო არმიისა და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის არტილერიის გენერალი. სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო ორდენებისა და ჯილდოების კავალერი. დაამთავრა ბაქოს გიმნაზია. 1873 წელს ხდება სანკტ-პეტერბურგის სამხედრო სასწავლებლის იუნკერი. 1875 წელს ამთავრებს სასწავლებელს, ენიჭება პრაპორშიკის წოდება და ინიშნება თურქესტანის 1-ლი საარტილერიო ბრიგადის მე-3 ბატარეის ოცეულის მეთაურად. 1876 წელს ხდება პოდპორუჩიკი, ხოლო 1877 წელს – პორუჩიკი. 1882 წელს ენიჭება შტაბს-კაპიტნის წოდება. 1898 წელს ინიშნება ბატარეის მეთაურად და ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებასთან დაკავშირებით, 1904 წლის 18 თებერვალს, ინიშნება აღმოსავლეთ ციმბირის საარტილერიო დივიზიონის მეთაურად. მონაწილეობდა პორტ-არტურის დაცვაში. 1904 წლის ივნისში ხდება პოლკოვნიკი, ხოლო 13 ოქტომბერს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1905 წლის 13 დეკემბერს ინიშნება 75-ე საარტილერიო ბრიგადის მეთაურად, 1910 წელს კი, 1-ლი კავკასიური არმიის არტილერიის ინსპექტორად. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, 1914 წლის აგვისტოში ინიშნება 21-ე ქვეითი დივიზიის მეთაურად. იმავე წლის 14 დეკემბერს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება და ინიშნება მე-2 კავკასიური საარმიო კორპუსის

მინისტრად ნიშნავდა ხან სახალხო მასწავლებელს, ხან საერო მოღვაწეს, ხან ექიმს, ოღონდ მეთაური სოციალ-დემოკრატი ყოფილიყო.[788] ერთ-ერთი მათგანის თანაშემწე გახლდი; ერთხელ ბატალიონის გასტუმრებისას, მეთაურს ვუთხარი, ორი ქვემეხი (Орудие - ა. ჩ.) წაიღე-მეთქი და სამხედრო მინისტრმა მკითხა: ,,ბატონო გიორგი, ორი ქვემეხი რამდენი ზარბაზანია?

- ეგეც თქვენი ჯარის ,,აღმშენებელი" და ,,მეთაური".[789]

იმჟამად საქართველოში არსებული რუსულის იდენტური არმიის მართვის უმაღლესი სტრუქტურისათვის აუცილებელი იყო, რომ სამხედრო სამინისტროს სათავეში სამხედრო პირი მდგარიყო. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ შეიარაღებული ძალების მთავარი საბრძოლო-დაგეგმვითი ორგანო - ,,არმიის ტვინი", ანუ, გენერალური შტაბი, სტრუქტურულად უშუალოდ სამხედრო სამინისტროში შედიოდა და მის ერთ-ერთ განყოფილებას წარმოადგენდა. ცხადია, აქ სამხედრო მინისტრი იყო მთავარი განმმკარგველი და პირველი პირი წმინდათ სამხედრო პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. ევროპის მოწინავე ქვეყნებში, უკვე XX საუკუნის დასაწყისიდან, სამხედრო სამინისტრო და გენერალური შტაბი გაყოფილი იყო და გენერალური შტაბი სამხედრო სამინისტროს შემადგენლობაში არ შედიოდა. შესაბამისად, მათი ფუნქციებიც მკვეთრად იყო გამიჯნული. აქ სწორედ გენერალური შტაბის უფროსი იყო ჯარების საბრძოლო მზადყოფნაზე პასუხისმგებელი და სტრატეგიულ-ოპერატიული ხასიათის შესაბამის ბრძანებებსა და განკარგულებებსაც ის გასცემდა ერთპიროვნულად. ცხადია, ასეთ შემთხვევაში სამხედრო მინისტრი წმინდათ პოლიტიკური ფიგურა იყო და იგი თავისი უწყების მხოლოდ ძირითად სტრატეგიულ-პოლიტიკურ კურსს, აგრეთვე ჯარების მომარაგებისა და უზრუნველყოფის საკითხებს განაგებდა. ასეთი მდგომარეობაა უკვე დღეს საქართველოს სამხედრო და თავდაცვის ძალების უწყებაში, ისევე როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში.

XX საუკუნის დასაწყისისათვის არსებული ,,სამხედრო სამინისტრო - გენერალური შტაბის'' არადიფერენცირებული სისტემისათვის კი არანაირად არ იყო მართებული სამოქალაქო პირის, არაპროფესიონალი სამხედრო მინისტრის არსებობა. სხვათა შორის, ასეთი უნიკალური

სარდლად. 1915 წლის 22 მარტს ენიჭება არტილერიის გენერლის წოდება. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ჯარში დაწყებული ანარქიული პროცესების გამო, ტოვებს თანამდებობას, სამხედრო სამსახურს და საცხოვრებლად ფუძნდება ვლადიკავკაზში. 1918 წელს ბრუნდება აზერბაიჯანში და 25 დეკემბერს ინიშნება აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრად. აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ, 1920 წლის მაისში, აპატიმრებენ, თუმცა, მალევე იწყებს თანამშრომლობას ბოლშევიკებთან. 1920 წლის აგვისტოში ჩადის მოსკოვში და დგება წითელი არმიის მთავარი შტაბის განკარგულებაში. ნარიმან ნარიმანოვისა და სერგო ორჯონიკიძის რეკომენდაციების შემდეგ მსახურობდა საბჭოთა აზერბაიჯანის სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატში სამხედრო მრჩევლის თანამდებობაზე. 1924-1928 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ბაქოს სამხედრო სასწავლებელში. გარდაიცვალა 1931 წლის 12 თებერვალს, ბაქოში. 1939 წელს, იმ სასაფლაოს ადგილზე, სადაც იგი იყო დაკრძალული, სერგეი კიროვის სახელობის პარკი გაშენდა (დღევანდელი შაჰიდთა ხეივანი), გენერალ მეხმანდაროვის საფლავი კი, დაიკარგა.

788 აქ პატივცემული ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს. გენერალ სამედ-ბეგ მეხმანდაროვს მართლაც ეკავა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანამდებობა, მაგრამ მხოლოდ 1918 წლის 25 დეკემბრიდან. საქმე იმაშია, რომ რესპუბლიკის სამხედრო სამინისტრო და შესაბამისად, სამხედრო მინისტრის თანამდებობა აზერბაიჯანში მხოლოდ 1918 წლის 1 ნოემბერს დაფუძნდა. ამ მომენტში სამხედრო მინისტრის პორტფელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ფათალი ხან ხოისკიმ შეითავსა, მის მოადგილედ კი, თადარიგიდან გამოწვეული არტილერიის გენერალი მეხმანდაროვი გამწესდა, რომელიც გეგმიურად შეუდგა აზერბაიჯანის ეროვნული არმიის შექმნაზე მუშაობას. სულ მალე კი, 1918 წლის 25 დეკემბერს, იგი სამხედრო მინისტრის თანამდებობაზეც დაინიშნა. ამ მომენტიდან დაწყებული, ბოლშევიკთა მიერ აზერბაიჯანის ოკუპაციამდე იგი რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე მსახურობდა.

789 გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ტომი I. ,,ლომისი". თბილისი. 1999. გვ. 23.

მდგომარეობა იმდროინდელ რეალობაში, გლობალური მასშტაბით, მხოლოდ ორ ქვეყანაში - ,,მენშევიკურ“ საქართველოსა და ,,ბოლშევიკურ“ რუსეთში იყო. სამხედრო უწყების პოლიტიკურ ხელმძღვანელს საქართველოში სამხედრო მინისტრი ერქვა, რუსეთში კი - სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი.

ისმის კითხვა - რატომ იყო ასეთი უნიკალური მდგომარეობა მხოლოდ რუსეთსა და საქართველოში? პასუხი მარტივია. პირველ რიგში, იმიტომ, რომ როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ასევე საბჭოთა რუსეთი დეკლარირებულად სოციალისტურ ქვეყნებს, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოებს წარმოადგენდა. როგორც პირველ, ასევე მეორე ქვეყანაში, სოციალ-დემოკრატთა მარქსისტული, რევოლუციური და კლასთა ბრძოლის ყოვლისმომცველი იდეოლოგიიდან გამომდინარე, სამხედრო უწყების პირველი პირები ღრმად პოლიტიზირებული პერსონები და მმართველი პოლიტიკური პარტიის წევრები უნდა ყოფილიყვნენ.

საქართველოში ეს თანამდებობა მორიგეობით ეკავათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიურ წევრებს გრიგოლ გიორგაძეს, ნოე რამიშვილს, გრიგოლ ლორთქიფანიძეს და პარმენ ჭიჭინაძეს. რუსეთში და შემდგომ საბჭოთა კავშირში კი, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობა 1918-1925 წლებში უწყვეტად ეკავა ბოლშევიკთა ცნობილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს, რუსეთის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარეს, ლენინის თანამებრძოლსა და მისი უახლოესი გარემოცვის წევრს, ლევ ბრონშტეინ-ტროცკის.[790] სხვათა შორის, ლევ ბრონშტეინ-ტროცკის, ბოლშევიკური რუსეთის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის მუშაობის შესახებ, ლენინი ძალიან კმაყოფილი იყო. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა: ,,მაჩვენეთ მეორე ისეთი კაცი, ვინც რეალურად შეძლებდა ერთ წელიწადში შეექმნა ისეთი არმიის მოდელი, რომელიც ახალი არმიის პირადი შემადგენლობისა და ამავე დროს, ძველი სამხედრო სპეციალისტების პატივისცემას მოიპოვებდა”.[791]

მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის წითელი და მოგვიანებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდია რუსული წითელი გვარდიის ანალოგიური სქემით შეიქმნა, რუსეთისაგან განსხვავებით მისი ჩართვა რეგულარული ჯარის სტრუქტურაში არ მომხდარა. ასე რომ, პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, ქართული შეიარაღებული ძალების სინამდვილეში ერთდროულად არსებობდა ორი სამხედრო ორგანიზაცია, როგორც არმია (ჯარი), ასევე მილიციური ლაშქარი (წითელი, 1918 წლის ივლისიდან სახალხო გვარდია). რუსეთში კი, წითელი გვარდიის ნაწილების შეყვანა ,,მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში” (РККА - Рабоче-Крестьянская Красная Армия) 1918 წლის იანვრიდან დაიწყო. ეს პროცესი საკმაოდ სწრაფად და ეფექტურად მიმდინარეობდა და 1919 წლისათვის დასრულდა კიდეც. 1917 წელს საბჭოთა რუსეთში შექმნილი და მოქმედი ბოლო წითელგვარდიული რაზმები ბოლშევიკურ წითელ არმიას 1919 წლის ოქტომბერში გადაეცა, რომლებიც თურქესტანში იყო განლაგებული.[792]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1918 წლისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს, ქვეყნის მმართველი მენშევიკთა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, გრიგოლ გიორგაძე წარმოადგენდა, საბჭოთა რუსეთის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარს კი - ასევე ქვეყნის მმართველი ბოლშევიკთა სოციალ-დემოკრატიული

---

790 არჩილ ჩაჩხიანი. პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლოყაშვილი – ,,ჩვენ დამნაშავენი არა ვართ მთავრობისა და სამშობლოს წინაშე...”, კრებულში ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები”. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა ,,უნივერსალი”. თბილისი. 1 (16). 2015. გვ. 189.

791 V. I. Lenin. Tasks of the Proletariat in Our Revolution, Collected Works, Vol. 24, pp. 55.

792 Конев А. М. Организация первых отрядов Красной гвардии и их вооружение // Красная гвардия на защите Октября / Отв. редактор Н. Н. Азовцев. — 2-е изд. — М.: Наука, 1989. Стр. 28. — ISBN 5-02-008463-8.

პარტიის ასევე ერთ-ერთი ლიდერი - ლევ ტროცკი. ორივე მათგანი პარტიული ლიდერები იყვნენ და არა სამხედრო პირები. გრიგოლ გიორგაძე კვალიფიციური სპეციალისტი, პროფესიით იურისტი იყო, ლევ ტროცკის კი, პროფესიული, სპეციალური და დასრულებული უმაღლესი განათლება საერთოდ არ ჰქონდა მიღებული. იგი პროფესიონალი რევოლუციონერი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროფესიის არმქონე პირი იყო. მაგრამ ორივე მათგანი ღრმად პოლიტიზირებულ ფიგურებს წარმოადგენდნენ. როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს სამხედრო უწყებების სათავეში სამოქალაქო პირების ყოფნის მიზეზი გასაგებია - როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში ხელისუფლების სათავეში სოციალ-დემოკრატები იდგნენ და მათი იდეოლოგიისათვის მიუღებელი იყო მათი ,,კლასობრივი მტრების" - ე.წ. ,,ცარისტი ოფიცრების" მიერ მართული არმიები. თავის მემუარში ,,ჩემი წარსული", ეხება რა, ქართულ არმიაში არსებულ ზოგად ქაოტურ მდგომარეობას, ქართველ ოფიცრებს ნოე ჟორდანია სხვა სახის ბრალდებებსაც უყენებს:

,,გამოკვლევამ დაამტკიცა ნაწილობრივ ბრალდება, ასეთი ხულიგნები ერიენ ჯარში, მაგრამ ეს იყო უმცირესობა რუსის ჯარში ნამსახურები ოფიცრების მეთაურობით. საზოგადოდ ჩვენ დაგვღუპა ამნაირმა ოფიცრობამ. მას არ ჰქონდა არავითარი პატრიოტიზმი, ყველაფერს უყურებდა გამორჩენის თვალსაზრისით, ცარცვავდნენ სისტემატიურად პოლკებს - ერთი სიტყვით ეს რუსეთუმე ხალხი იყო ნამდვილი რისხვა ჩვენი საქმისათვის...

ჩვენი მთავარი სატკივარი იყო სამხედრო ძალის მეთაურობის მოწყობა. ქართული ოფიცრობა იყო გაზრდილი რუსის ჯარში და შკოლაში, იყო იმავე დროს რუსის ორიენტაციის, მხოლოდ არა ბოლშევიკურის, არამედ თეთრის. ჩვენთან მოდიოდა უმთავრესად ბოლშევიზმის სიძულვილით და არა თავისუფლების სიყვარულით... დარჩა უხელმძღვანელობა, უპლანობა, მოუმზადებლობა, ალალ-ბედობა. შემოდიოდა საჩივრები ჯარის ნაწილებიდან, რომ ფული იფლანგებოდა, ხოლო სასმელ-საჭმელი უვარგისიაო და სხვ. ვნიშნავდით რევიზიებს, მაგრამ არა გამოდიოდა რა. ერთი გამფლანგველის ალაგს იჭერდა ასეთივე სხვა ოფიცერი. ჩვენი ოფიცრობის უმრავლესობა მთელს ჩვენს საქმეს უყურებდა როგორც დროებით წარმავალ მოვლენას, რომელიც შესწყდება, როგორც კი რუსეთი აღდგებაო, ამიტომ ,,ხელს ითბობდნენ" როგორც კი შეეძლოთ. საზოგადოდ, წრეს და კლასებს შორის ერთადერთი ამ ოფიცრობის უმრავლესობა არ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე, მოკლებული ყოველივე პატრიოტულ რწმენას".[793]

სამწუხარო და ძალიან ტრაგიკულია ის სურათი, რისი მოწმენიც ვართ - მთავრობის მეთაურის დამოკიდებულება საკუთარი სამხედრო უწყებისა და ოფიცერთა კორპუსის მიმართ კრიტიკას ვერ უძლებს. არ ენდობოდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები მეფის არმიის ყოფილ ოფიცრებსა და გენერლებს არა პროფესიული თვისებების ან ეროვნული თვითშეგნების, არამედ იდეოლოგიური არათავსებადობის გამო. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ხომ ქართულ არისტოკრატულ წრეებს მიეკუთვნებოდნენ და ქართველი ორთოდოქსი მარქსისტებისათვის ,,კლასობრივ მტრებად" მოიაზრებოდნენ. მთავრობის მხრიდან სამხედროებთან მიმართებაში არსებული ეს აბსურდული განწყობა იქამდეც კი მივიდა, რომ 1918 წლის 12 სექტემბრის მთავრობის სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება, სადაც ნათქვამი იყო - ,,პაგონების და საზოგადოდ, მხარზე რაიმე ნიშნების ტარება ამიერიდან მოისპოს საქართველოს ჯარში"...[794]

არ იცოდნენ, ვერ გრძნობდნენ და არ უნდოდათ იმის გაგება ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომ ოფიცრისათვის სამხრე და მასზე გამოსახული სამხედრო წოდება პიროვნული პატივის, მუნდირის ღირსებისა და განვლილი საბრძოლო გზის აღმნიშვნელ სიმბოლიკას წარმოადგენდა და არა რომელიმე სოციალური თუ პოლიტიკური კლასის ახირების გამოხატულებას.

---

[793] ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული (მოგონებანი). პარიჟი. 1953. გვ. 171-172.

[794] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 120.

და ეს ის ხალხი, ის სამხედროები იყვნენ, რომელთა გარკვეულმა ნაწილმა ოდნავ მოგვიანებით, უკვე საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გმირულად შესწირეს თავი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, მაგრამ არა ომში, არა ბრძოლის ველზე, რაც ისედაც შეადგენდა მათ თუნდაც პროფესიულ მოვალეობას, არამედ ისინი ბოლშევიკებმა დახვრიტეს ჩეკას ჯურღმულებსა და სასაკლაოებზე, რისი თავიდან აცილებაც მათ თავისუფლად შეეძლოთ. ისინი ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ თავისი ეროვნული და პატრიოტული მრწამსისა. მათ პირნათლად მოიხადეს მხედრული ვალი სამშობლოს, ღვთისა და ერის წინაშე. მენშევიკური მთავრობა კი გაიქცა. გაიქცა სამუდამოდ და ემიგრაციაში ყოფნისას პრაქტიკულად აღარაფერი გაუკეთებია საქართველოსა და ქართველი ერის სასიკეთოდ.

სომხეთ-საქართველოს ომში მონაწილე სარდალთა და მეთაურთა უმრავლესობამ მოგვიანებით ზვარაკად მიიტანა საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს საკეთილდღეო საკურთხეველზე. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ უმაღლესი სამხედრო სამეთაურო შემადგენლობიდან ზოგიერთ მათგანს მაინც დავასახელებთ. გენერლები: გიორგი მაზნიაშვილი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, აბელ მაყაშვილი, ალექსანდრე ჩხეიძე, გიორგი და ვარდენ წულუკიძეები, სტეფანე ახმეტელაშვილი, არტემ ჯიჯიხია... ქართველი ხალხისდა საუბედუროდ, მამულისათვის შეწირულ ამ კაცებს ქრისტიანული დასაფლავებაც კი არ ღირსებიათ. მათი საფლავები კი დაკარგულია... და ალბათ სამუდამოდ. ყველაზე ამაზრზენი კი გენერლების - ალექსანდრე ანდრონიკაშვილისა და ვარდენ წულუკიძის[795] (საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უკანასკნელი მთავარსარდალი) საქმესთან მიმართებაში ისაა, რომ ეს ორი დიდი მამულიშვილი ისევ ქართველის, ოფიცრისა და მათი ,,თანამებრძოლის'' მიერ იქნა გაცემული.

ჩვენ არ ვაპირებთ მისი ვინაობის დაფარვას, რაოდენ გულდასაწყვეტიც არ უნდა იყოს ეს ფაქტი. ქართველ სამხედროთა ეს შეთქმულება მათმა თანამონაწილემ, პოლკოვნიკმა ნარეკელაძემ გასცა, რომლის ბინაზეც იმართებოდა ,,სამხედრო ცენტრის" წევრთა საიდუმლო შეხვედრები. საქმე საქართველოს 1922 წლის აჯანყების მოწყობას ეხება, რომელსაც სწორედ ეს გენერლები

---

795 ვარდენ წულუკიძე (1865-1923წ.წ.) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-მაიორი და ქართული არმიის გენერალი. I მსოფლიო ომის მონაწილე, გიორგის ჯვრის კავალერი. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ – სამხედრო სასწავლებელი. 1884 წლიდან მსახურობდა იმიერკასპიისპირეთის მე-8 მსროლელ ბატალიონში. 1898 წელს ენიჭება შტაბს-კაპიტნის, ხოლო 1900 წლის 6 მაისს – კაპიტნის წოდება. მეთაურობდა ასეულს, შემდეგ ბატალიონს. 1905 წლიდან პოდპოლკოვნიკია, ხოლო 1910 წელს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. I მსოფლიო ომის დასაწყისში მსახურობდა ლორეს 208-ე პოლკის მეთაურის თანაშემწედ. 1915 წელს ინიშნება შემახის 205-ე ქვეითი პოლკის მეთაურად. 1916 წლის 10 აპრილს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. მიღებული საბრძოლო ჭრილობის გამო, 1916-1917 წლებში იმყოფებოდა ჯერ მინსკის სამხედრო ოლქის შტაბის რეზერვში, შემდეგ – კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის რეზერვში. 1918 წლიდან ქართული არმიის რიგებშია. მსახურობდა რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს პირადი შემადგენლობის განყოფილების უფროსად. 1920 წელს ინიშნება მე-3 ქვეითი დივიზიის მეთაურად. 1921 წლის თებერვალ-მარტში იყო ბათუმის გამაგრებული რაიონის უფროსი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის დროს, 1921 წლის მარტში, ბათუმის ბრძოლაში გენერალ მაზნიაშვილის შენაერთის შემადგენლობაში მეთაურობდა ერთ-ერთ მიმართულებას. სწორედ მისი უნარიანი ხელმძღვანელობით ჩატარებული ოპერაციის შედეგად მოხერხდა ბათუმისა და აჭარის ნაწილის გათავისუფლება ქემალისტთა მე-15 საარმიო კორპუსის ჯარებისგან. ამ პერიოდშივე დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების უკანასკნელ ფორმალურ მთავარსარდლად, თუმცა, ამ თანამდებობაზე სამსახური არ დასცალდა. საქართველოს რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტში ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სამშობლოში. 1922-1923 წლებში იყო ანტიბოლშევიკური და ანტისაოკუპაციო შეთქმულების ,,სამხედრო ცენტრის'' ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. 1923 წლის 19 მაისს ,,სამხედრო ცენტრის'' 14 სხვა წევრთან ერთად დააპატიმრეს და დახვრიტეს მეორე დღეს, 1923 წლის 20 მაისს, დღევანდელი ,,ვაკის პარკის'' ტერიტორიაზე. მისი საფლავი არ არსებობს.

ხელმძღვანელობდნენ: ,,1922 წლის აჯანყების ,,სამხედრო ცენტრის" წევრები 1923 წლის 19 მაისს ერთი უდიდესი ქართველი მოღალატე რენეგატის, სერგო ორჯონიკიძის ხელმოწერით თბილისში ჩასაფრებულმა მოსკოვის ჯალათებმა დახოცეს 15 გამოჩენილი ქართველი მხედარი და მამულიშვილი, რომელთაც ბრალდებოდათ ქართველი ხალხის დაწყებული ეროვნული აჯანყების შემზადება-მონაწილეობა. გამცემი პოლკოვნიკი ნარეკილაძე კი გააპარეს სადღაც რუსეთის მიყრუებულ მხარეში...

აი, მათი ბოლო სიტყვებიც. გენერალი წულუკიძე: ,,სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ! ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების ტოლფასია. იგი დაასალკლდევებს ერის სიმტკიცეს და ერთი ათასად გაამრავლებს მებრძოლებს". გენერალი ანდრონიკაშვილი: ,,სახეზე გეტყობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე... იქნება ქართველები ყველა ამისთანები გეგონათ (მიუთითებს კვანტალიანზე[796]). მრავალი ათასი, ჩვენზე უკეთესნი ზრდიან თავიანთ გულში თქვენდამი სიკვდილს".[797]

რაც შეეხება საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების შეიარაღებული ძალების სამეთაურო შემადგენლობის პროფესიული მომზადების დონეს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები, განვლილი საბრძოლო გზის, პროფესიული მომზადებისა და გამოცდილების მხრივ გენერალთა და ოფიცერთა საუკეთესო კადრებით იყო დაკომპლექტებული. პრაქტიკულად ყველა ისინი ცარისტული რუსეთის არმიების შემადგენლობაში მსახურობდნენ I მსოფლიო ომის დროს, დიდი საბრძოლო გზა ჰქონდათ გავლილი და ამდენად, უმდიდრესი საბრძოლო გამოცდილებაც ჰქონდათ მიღებული. უშუალოდ სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე ქართველი ოფიცრებიდან კი, ისეთების დასახელებაც კმარა, როგორებიც იყვნენ: გიორგი კვინიტაძე, გიორგი მაზნიაშვილი, აბელ (ბალო) მაყაშვილი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ალექსანდრე გედევანიშვილი, გიორგი წულუკიძე, ანდრია ბენაშვილი, ქრისტეფორე ჩხეტიანი, ვლადიმერ იმნაძე, გრიგოლ სუმბათაშვილი, ივანე ციციშვილი, სტეფანე ახმეტელაშვილი, ლევან (ლენკო) მაღალაშვილი, ზაქარია (შაქრო) ბაქრაძე, კირილე ქუთათელაძე, ალექსანდრე ზაქარიაძე, კონსტანტინე გელოვანი, არტემ ჯიჯიხია, ალექსანდრე ქონიაშვილი, თენგიზ დადეშქელიანი,

---

[796] ეპიფანე კვანტალიანი (1889-1937წ.წ.) – ეროვნებით ქართველი ცნობილი საბჭოთა ჩეკისტი, სამხედრო, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. ძველი ბოლშევიკი, რკპ(ბ) წევრი 1906 წლიდან, დაიბადა სოფელ კულაშში. ადრევე ჩაერთო რევოლუციურ მოძრაობაში. 1911-1917 წლებში რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული და გადასახლებული კავკასიიდან. 1917 წელს რევოლუციურ საქმიანობაში იყო ჩართული ტომსკში. 1918 წელს იყო ,,კავკასიის წითელ არმიად" წოდებული ბაქოს ბოლშევიკური კომუნის რუსულ-სომხური ბოლშევიკურ-დაშნაკური საბრძოლო შენაერთის ოფიცერი და შეიარაღების სამსახურის უფროსი. შემდგომში ეკავა ბოლშევიკთა სამხრეთის ფრონტის მე-8 არმიის საარტილერიო შეიარაღების მომარაგების კომისრის თანამდებობა. 1919-1920 წლებში იყო იატაკქვეშა პარტიულ სამუშაოზე ბაქოში. 1920 წლის ბოლოდან იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოების აქტიური მონაწილე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე. 1921-1922 წლებში იყო ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტსამმართველოს (ასე ერქვა მაშინ სახელმწიფო უშიშროების ორგანოს) კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსი, 1922-1926 წლებში ეკავა რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტსამმართველოს უფროსის თანამდებობა, შემდგომ იყო – ამიერკავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის რწმუნებული. მის მაგივრად პოლიტსამმართველოს უფროსის თანამდებობაზე ლავრენტი ბერია დაინიშნა. კარიერის ბოლოს მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილედ. იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სხვადასხვა უწყებრივი და სახელმწიფო ჯილდოების კავალერი. 1937 წლის გაზაფხულზე დააპატიმრეს და გარიცხეს კომუნისტური პარტიის რიგებიდან. აქვე წაუყენეს ბრალდება – ,,ტროცკისტული საქმიანობა და კონტრრევოლუციური მოღვაწეობა, აგრეთვე ხალხის მტერთან და ფაშისტ როზენცვეიგთან კავშირები". დახვრიტეს 1937 წლის 10 მაისს.

[797] დავით ვაჩნაძე. ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი. თბილისი. 2004. გვ. 95-96.

ირაკლი ცაგურია, ვალერიან თევზაძე, იოსებ ჩეჩელაშვილი, დავით ვაჩნაძე, ვიქტორ და ნიკოლოზ ჯაფარიძეები, ელიზბარ შერვაშიძე, ნესტორ გარდაფხაძე, ლეო კერესელიძე, ფრიდონ წულუკიძე, ილია ხერხეულიძე, დავით მიქაბერიძე, ანდრია დადიანი, კონსტანტინე საგინაშვილი, არჩილ ფურცელაძე, გიორგი გუგუშვილი, მიხეილ მუჩაიძე, დავით ბარნაბიშვილი, რუბენ პაპუაშვილი, და კიდევ მრავალი, მრავალი სხვა. ბევრი მათგანი რუსეთის არმიებში მთელ შენაერთებსა და დივიზიებს მეთაურობდა და სამხედრო დამსახურებებისათვის რუსეთის იმპერიის უმაღლესი საბრძოლო ჯილდოების კავალრები იყვნენ. ზოგი მათგანი კი, რუსეთის კავკასიის არმიის მიერ განხორციელებული ყველაზე დიდი საარმიო ოპერაციის - არზრუმის აღების გმირებადაც იყვნენ აღიარებულნი.

ამავე კონტექსტში უნდა მოვიხსენიოთ ამიერკავკასიის წითელი და მოგვიანებით საქართველოს სახალხო გვარდიის თავდადებული მეთაურები და მებრძოლები - ვალიკო ჯუღელი, ალექსანდრე დგებუაძე, ალექსანდრე მაისურაძე, ვალიკო შარაშიძე, გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილი, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, რუბენ აუშტროვი, ილიკო ჯუღელი, ლევ ნოვიკოვი, სიმონ ხუხუნაიშვილი, იაკობ ხარაში, ვლადიმერ ჯიბლაძე, მიკირტიჩ ვარდოიანი, ვლადიმერ მუხარინსკი, ილია ჩაჩიბაია, ვლადიმერ ჩაფრაძე, ევტიხი ხუნგია, იაშა ცქიტიშვილი, ვარლამ შერაზადიშვილი, არჩილ კურტანიძე, ალექსანდრე დარსაველიძე და სხვანი და სხვანი, რომლებმაც მთელი 1918 წლის განმავლობაში არაერთი სახელოვანი ბრძოლა აწარმოეს ოსმალო თუ რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ. ალბათ ცალკე უნდა გამოვყოთ ოთხი გვარდიელი ძმა - ქართული ჯავშნოსანი მატარებლების გმირულად მებრძოლი ეკიპაჟების წევრები - ვალოდია, ალფეზ, ნოე და მელენტი გოგუაძეები... ოთხი ლეგენდარული ძმა... თუმცა, სამხედრო უწყებაში მომსახურე ოთხ ქართველ ძმაზე საუბარი ამით არ სრულდება.

თავის მემუარში გენერალი კვინიტაძე აღნიშნავდა: ,,გენერლების თაობაზე შემოგთავაზებთ ჩემს მიერ 1919 წელს შედგენილ მცირე სტატისტიკას. თურმე 25 ქართველი გენერლიდან რუსის არმიის რიგებში სამსახურისათვის გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა 23 გენერალი. საგულისხმო ფაქტია. საეჭვოა, რომ ყოველი 25 რუსი გენერლიდან 23 გიორგის კავალერი ყოფილიყოს. შტაბ და ობერ-ოფიცრებზე აღარაფერს ვამბობ".[798]

გასაგებია, რომ გენერალ კვინიტაძეს ეამაყება პირველ მსოფლიო ომში მონაწილე რუსეთის არმიის ეთნიკურად ქართველ გენერალთა სიმრავლე. უფრო მეტად კი, მათი რეგალიები და დამსახურებები ეამაყება მას. და ამაში არაფერია გასაკვირი. ჩვენ გარკვეულ კორექტივებს შევიტანთ სახელოვანი გენერლის მიერ წარმოდგენილ სტატისტიკაში და ვიტყვით, რომ პირველ მსოფლიო ომის პერიოდში არა 25 ეთნიკურად ქართველი გენერალი მსახურობდა რუსეთის არმიაში, არამედ ამ რიცხვზე გაცილებით მეტი - 104.[799] დიახ - 104... უფრო მეტიც, ამ გენერლებს შორის ოთხი ძმა - ივანე, იოსებ, სამსონ და ნიკოლოზ დუმბაძეებიც იყვნენ. ეს კი, მართლაც განსაცვიფრებელი ამბავია. ასეთი მოვლენა ნებისმიერი ეპოქის, ნებისმიერი ქვეყნისა და ნებისმიერი ერისთვის მართლაც უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენს და არა გვგონია რომ მას ანალოგი მოეპოვებოდეს გლობალური მასშტაბით. მაგრამ აქაც არ მთავრდება ყველაფერი. დიდ აღმაფრენას ხშირად დიდი იმედგაცრუება მოჰყვება თან, და ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაშიც, ამ მოვლენასთან გვაქვს საქმე. საქმე კი იმაშია, რომ არც ერთს ამ ოთხთაგანს, უკვე შემდგომ, დამოუკიდებელი სახელმწიფოს - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში არ უმსახურია. ისინი რუსული არმიის

---

[798] გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ტომი I. „ლომისი". თბილისი. 1999. გვ. 21.

[799] М. Гогитидзе, В. Михайлов. Генералы-грузины русской армии в Первой мировой войне 1914-1918гг. Издательство ,,Полторак". Саркт Петербург. 2020. Стр. 143.

ეთნიკურად ქართველი ოფიცრები იყვნენ და ასეთებადვე დარჩნენ ისტორიაში - ქართული წარმომავლობის რუსი ოფიცრები... ოთხი გენერალი ძმა დუმბაძე...

ამ ხაზს გავაგრძელებთ და კიდევ ერთ ავტორს წარმოვადგენთ, რომელიც საინტერესო ცნობებს გვაწვდის კიდევ სხვა ოთხ ოფიცერ ძმასთან დაკავშირებით. პოლკოვნიკი ავქსენტი აბესაძე, ყოველკვირეულ ჟურნალში ,,ჯარი და ერი" გამოქვეყნებულ თავის სტატიაში ,,ქართველ ოფიცრებს", კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ქართველ ოფიცერთა არა მარტო რიცხოვნობას, არამედ მათ პროფესიონალიზმს, თავდადებას და მაღალ საბრძოლო სულისკვეთებას. სტატიაში ვკითხულობთ:

,,ქართველთა ფართო საზოგადოება გულის ფანცქალით შეჰყურებს დღეს ჩვენი ჯარის მოწყობის საქმეს. შინ თუ გარეთ, მუდამ ჩვენის ჯარის ამბავს გვეკითხებიან. ყველას აინტერესებს მათი რიცხვი, მომზადებულობა და დისციპლინა...

დღეს სამხედრო საქმეს მეტად კარგი მცოდნე ხელმძღვანელნი უდგანან სათავეში. ჩვენი მოვალეობაა მათ ყოველგვარი დახმარება გავუწიოთ და ჯარის მოწყობისა და აღზრდის საქმე მტკიცე საფუძველზე დავაყენოთ. ამისათვის ქართველ ოფიცრებს უნარიც შესწევთ. ვგონებ არც ერთ პატარა ერს არა ჰყავს იმდენი ოფიცრები, რამდენიც ჩვენა. მე მარტო რიცხვზე არ მოგახსენებთ, თვისებითაც არ ჩამოუვარდებიან ჩვენი ოფიცრები სხვა ერის ოფიცრებს. ამ უკანასკნელ ომში (აქ პირველ მსოფლიო ომზეა საუბარი - ა. ჩ.) ქართველმა ოფიცრებმა თვისის ცოდნითა და სიმამაცით გაითქვეს სახელი და გმირ მამ-პაპათა სახელი აღადგინეს. აი დამამტკიცებელი მაგალითებიც: 1916 წელს პეტროგრადში გახლდით. ნოემბრის 26-ში იქ მეტად ლამაზად დასურათებული ჟურნალი გამოვიდა: ,,სია გიორგის კავალერთა".

ამ ჟურნალში მოთავსებული იყო გვარები ყველა იმ ოფიცრებისა, რომლებმაც 1916 წლის 26 ნოემბრამდის ბრძოლაში სიმამაცე გამოიჩინეს და წმინდა გიორგის ჯვრებით იქმნენ დაჯილდოებულნი. ჟურნალს, სხვათა შორის, ქართველი ოფიცრების გვარებიც ამშვენებდნენ: სულ 56 ქართველი ოფიცრის გვარი იყო შიგ. ყველას დიდ ყურადღებას იქცევდა ძმათა, ფურცელაძეთა გვარები გიორგისა, ალექსანდრესი და ირაკლისა. მათზე ნაკლებ არც მათს მეოთხე ძმას, ოთარს უსახელებია თავი 1914 წლის ნოემბერში, როდესაც მის მცირე გუნდს გერმანელთა ათჯერ მეტმა ჯარმა შემოარტყა ალყა. ოთარ ფურცელაძე ისე გაუმკლავდა მტერს, რომ ძვირად დაუსვა თავს დასხმა".[800]

ამ კონტექსტში არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კიდევ ერთი ქართველი ოფიცრის პერსონალური დახასიათების საკითხს, სადაც კარგად იკითხება მისი პიროვნული თვისებებიც, მეომრული შემართებაც და სხვათა შორის, მისი იდეოლოგიური კრედოც. ეს ოფიცერი პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილია, გვარდიის ცხენოსანი დივიზიონის, და შემდეგ - საკავალერიო პოლკის მეთაური. პოლკოვნიკი ხიმშიაშვილი იმიტომ შევარჩიეთ, რომ იგი იმ ეპოქის ქართველი მებრძოლის კარგ პროტოტიპს წარმოადგენს. მიუხედავად თავისი სამხედრო წოდებისა, პოლკოვნიკი ხიმშიაშვილი ასაკით ახალგაზრდა ოფიცერი იყო, მაგრამ იგი არა რეგულარულ ჯარში, არამედ სახალხო გვარდიაში მსახურობდა. მისი დახასიათება კი, საქართველოს დაუძინებელ მტერს, საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის სამხედრო ატაშეს საქართველოში, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის გენერალ-მაიორს, პაველ სიტინს ეკუთვნის. ეს სადაზვერვო მასალები სიტინის 1920 წლის 6 ნოემბრის N147 საიდუმლო მოხსენებითი ბარათშია დაფიქსირებული: ,,ცხენოსანი პოლკის მეთაური ხიმშიევი. ბრწყინვალე ოფიცერია. მაგრამ საუბედუროდ ძალიან ახალგაზრდაა, რითაც სარგებლობენ როგორც მისი ქვეშევრდომები, ასევე კადრის უფროსი ასაკის ოფიცრები, რომლებიც მისდა დაუკითხავად ზეგავლენას ახდენენ მის

[800] ავქსენტი აბესაძე. ქართველ ოფიცრებს. ყოველკვირეული ჟურნალი ,,ჯარი და ერი". 1918 წ. №4. ორშაბათი, 9 დეკემბერი. ტფილისი. გვ. 5-6.

განკარგულებებზე. პოლიტიკური თვალსაზრისით დიდი პატრიოტია და ყველაზე მაღლა საქართველოს დამოუკიდებლობას აყენებს. სოციალ-დემოკრატიული შეხედულებებისგან ძალიან შორს დგას. გვარდიის მთავარი შტაბის უმთავრესი წევრების, ჯუღელისა და დგებუაძის მხრიდან დიდი სიყვარულითა და ნდობით სარგებლობს".[801]

პაველ სიტინი ქართველი გენერალიტეტის ზოგიერთი წარმომადგენლის მოკლე პროფესიონალურ დახასიათებასაც იძლევა. ამ შემთხვევაში გენერლებზე გრიგოლ სუმბათაშვილსა და ვარდენ წულუკიძეზეა საუბარი: ,,გენერალი სუმბათოვი, და განსაკუთრებით ბარდავი (ასეა ტექსტში. უნდა იყო ვარდენ - ა. ჩ.) წულუკიძე კარგი სამწყობრო ოფიცრები არიან, რომლებმაც ჯარისკაცული ცხოვრების დიდი გზა განვლეს".[802]

პოლკოვნიკი ხიმშიაშვილი პირველი ქართული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სინამდვილეში იმ სანიმუშო ოფიცრად შეიძლება განვიხილოთ, რომელსაც თავისი აპოლიტიკურობისდა მიუხედავად, არა მარტო სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სამეთაურო შემადგენლობა, არამედ მტერიც კი აღიარებდა. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება გამონაკლისი იყო, დიდი გამონაკლისი. არისტოკრატული წარმომავლობის კადრის ოფიცრებთან მიმართებაში ქართველ სოციალ-დემოკრატებს და მათ ლიდერებს, რბილად რომ ვთქვათ, ,,განსაკუთრებული" და დაძაბული დამოკიდებულება ჰქონდათ. ამ მიმართებით, გასაგები ხდება ის მოვლენა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელი, ბატონი ნოე ჟორდანია და მისი პარტიული გარემოცვა აშკარა უნდობლობას უცხადებდა ქართველი გენერალიტეტისა და ოფიცერთა კორპუსის დიდ ნაწილს.

აღმაშფოთებელია ის ფაქტები, რომ ასეთი დამოკიდებულებები ყველაზე უფრო გამოკვეთილად ყველაზე უფრო თავდადებულ და წარმატებულ გენერლებთან - გიორგი კვინიტაძესთან, გიორგი მაზნიაშვილთან, ბალო მაყაშვილთან მიმართებაში იკვეთება. ფართო საზოგადოებისათვის შეიძლება ცნობილიც კი არ არის ის ფაქტები, რომ ამ დიდი მხედართმთავრებისა და მამულიშვილების წინააღმდეგ რამდენჯერმე განხორციელდა სახელმწიფო აპარატის მხრიდან დევნის, შევიწროებისა და ოფიცრის მუნდირის ღირსების შემლახველი მოქმედებები, როგორიცაა - ზეწოლა, უმიზეზოდ თანამდებობიდან გადაყენება, ყოვლად უკანონო და უსაფუძვლო ჩხრეკვები, თვით დაპატიმრებაც კი. გენერალ აბელ (ბალო) მაყაშვილს კი იმაში ადანაშაულებდნენ, რომ იგი თავის ფაქსიმილეს თავადის წოდებას ურთავდა - Князъ...

ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული კულტურის დიდი მოამაგისა და მეცენატის, იოსებ იმედაშვილის თქმით - ,,გენერალი მაყაშვილი ნამდვილი მხედარი იყო, ნამდვილი ქართველი მეომარი: მშვიდობის მოყვარე, მოყვასთ შემწყნარე და ქვრივ-ობოლთა მფარველი, გმირი და თავმდაბალი, მაგრამ მტრის თავზარ-დამცემი!"[803] საქართველოს დიდი სარდლის, გენერალ გიორგი კვინიტაძის მთელი დანაშაული კი, იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ყოფილი ,,მეფის არმიის ოფიცერი" იყო, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არ აღიარებდა იდეოლოგიზირებული სახალხო გვარდიის პრიმატს და 1918 წლისათვის, სამწუხაროდ, ქართულ ენასაც სრულყოფილად ვერ ფლობდა.

ქართული ენის არასათანადო ცოდნას, იგი, სხვათა შორის, ძალიან განიცდიდა. საქართველოს სამსახურში ჩამდგარი გენერალი მაინც პოულობდა დროს და ინტენსიურად

---

801 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 186 უკ.

802 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 6, ფურცელი 14 უკ.

803 იოსებ იმედაშვილი. ჭეშმარიტი გენერალი ბალო მაყაშვილი. სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივი შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი ,,თეატრი და ცხოვრება". კვირა, მკათათვის 4. №24. 1920 წ. გვ. 6.

სწავლობდა მშობლიურ ენას. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ეს საკითხი გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილის მიერაც სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ იყო დასახული, რაც ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტითაც დასტურდება.

,,სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის განყოფილების უფროსის

ბრძანება №2

1918 წლის 31 აგვისტო

ქ. ტფილისი

§2. ჩემდამი დაქვემდებარებული განყოფილების ყველა მოსამსახურე, რომლებიც ჩაწერილნი არიან ქართული ენის შემსწავლელ კურსებზე, ვალდებულნი არიან თავის დროზე გამოცხადდნენ ლექცია-გაკვეთილებზე და საპატიო მიზეზების გარეშე არ გააცდინონ ისინი. მათ კი, ვისაც არა აქვს სურვილი გააგრძელონ მეცადინეობები, ვალდებულნი არიან დროზე აცნობონ ამის შესახებ კურსების გამგეს, - პოდპორუჩიკ ლეჟავას.

გენერალური შტაბის უფროსი, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი ანდრონიკაშვილი.

კანცელარიის უფროსი, პოლკოვნიკი პეტრიევი".[804]

საქართველოს სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის ხელმძღვანელ შემადგენლობაზე 1918 წლის შემოდგომისათვის სრულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს მთავრობის ქვემოთ მოყვანილი ბრძანება.

,,საქართველოს მთავრობის ბრძანება სამხედრო სამინისტროსადმი.

№43

27. 08. 1918

სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის განყოფილებაში ინიშნებიან:

გენერალური შტაბის განყოფილების უფროსად - საქართველოს რესპუბლიკის ჯარების გენერალური შტაბის სამმართველოს ყოფილი უფროსი - გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი ანდრონიკოვი.

გენერალური შტაბის განყოფილების ოპერატიული სექციის უფროსად - საქართველოს რესპუბლიკის ჯარების საველე შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი, ზაქარიაძე.

სადაზვერვო ქვეგანყოფილების უფროსად - საქართველოს რესპუბლიკის ჯარების საველე შტაბის სამწყობრო ქვეგანყოფილების ყოფილი უფროსი, გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი ძაგანია.

გენერალური შტაბის განყოფილების საორგანიზაციო სექციის უფროსად, გენერალური შტაბის სამმართველოს ყოფილი გენერალ-კვარტერმეისტერი, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი გედევანოვი.

ჯარების კომპლექტაციის ქვეგანყოფილების უფროსად - გენერალური შტაბის სამმართველოს სამობილიზაციო ქვეგანყოფილების ყოფილი უფროსი, გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი ივანოვი. (სამწუხაროდ, გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი ნიკოლაი ივანოვი ბოლშევიკური რუსეთის აგენტი იყო, რომელიც რესპუბლიკის შესაბამისმა სამსახურებმა ძალიან დიდი დაგვიანებით, მხოლოდ 1921 წლის თებერვალში გამოააშკარავეს, დააპატიმრეს და დახვრიტეს - ა. ჩ.).

ჯარების განთავსების ქვეგანყოფილების უფროსად - საქართველოს რესპუბლიკის ჯარების საველე შტაბის დაზვერვის ქვეგანყოფილების ყოფილი უფროსი, გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი ჩეჩელაშვილი.

---

[804] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 99, ფურცელი 4.

კანცელარიის უფროსად - პეტრიევი.

საარტილერიო სექციის უფროსად - გენერალ-ლეიტენანტი ქუთათელაძე".[805]

საქართველოსაგან განსხვავებით, სომხეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისათვის ხელმძღვანელი სამეთაურო კადრების შერჩევა განსხვავებული პრინციპით ხორციელდებოდა. სომხეთის არმიისათვის გენერალთა კორპუსისა და ოფიცერთა შერჩევა და მათი მოზიდვა ეროვნულ კადრში ძირითადში განვლილი საბრძოლო გზისა და პროფესიული ნიშნით ხდებოდა. სომხური ნაციონალური კორპუსის ჩამოყალიბების ინიციატივას რუსეთის არმიის ოფიცრები, პოდპოლკოვნიკები ი. ტიგრანიანი და ნ. მელიქ-ფარსადანიანი, პეტროგრადის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი ლევონ ტიგრანიანი და პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი აკოფ ბაგრატუნი ჩაუდგნენ სათავეში. თუმცა, გენერალ-მაიორი ტიგრანიანი მალევე ჩამოშორდა სომხური ნაციონალური კორპუსის შექმნის საქმეს. უკვე 1918 წლის თებერვალში იგი რუს ბოლშევიკთა წითელ არმიაში გადავიდა. როგორც ,,ვოენსპეცი", შემდგომ წლებში იგი წითელი არმიის პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბში მსახურობდა მომარაგების სამსახურის სხვადასხვა თანამდებობებზე. 1917 წლის აგვისტოში სომხური კორპუსი რუსული საარმიო კორპუსის ანალოგიური სტრუქტურით დაიგეგმა. სომეხი ეროვნების საბჭოთა ავტორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ცატურ აღაიანის მიხედვით სომხური კორპუსის ჩამოყალიბება გენერალ აკოფ ბაგრატუნის დაევალა. მისი გათვლებით სომხური კორპუსის პირადი შემადგენლობის რაოდენობას 80000-თვის უნდა მიეღწია.[806] სომხური ნაციონალური კორპუსის მონახაზი პეტროგრადში რუსეთის სამხედრო მინისტრის მოადგილეს სავენკოვს წარედგინა განსახილველად. დაფუძნდა სომეხთა სამხედრო კომისრის თანამდებობა თბილისში(?!) და კომისრად დაშნაკთა პარტბიუროს გადაწყვეტილებით გენერალ-მაიორი ივანე (ოვანეს) ახვერდოვი დაინიშნა, რომელიც სომხეთის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის ივნისიდან, სომხეთის პირველი სამხედრო მინისტრიც გახდა.

საერთო ჯამში, I მსოფლიო ომის ფრონტებიდან კავკასიის ფრონტზე 40000 სომეხი ეროვნების ოფიცრისა და ჯარისკაცის გადმოყვანა დაიგეგმა. ამ მუშაობაში აქტიურად ჩაებნენ გენერლები ი. ახვერდიანი, ბოზოიანი, პოდპოლკოვნიკი ნ. მელიქ-ფარსადანიანი და სხვები. 15 დეკემბრიდან კი, გენერალი ბაგრატუნიც ჩაერთო აქტიურ მუშაობაში. დასავლეთის მიმართულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა და ამ მიმართულების სარდლობა გენერალმა თომა ნაზარბეგოვმა შეითავსა. ამ მიმართულებაზევე მოიყარეს თავი გენერლებმა არეშიევმა,[807] სილიკოვმა,

---

[805] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 99, ფურცელი 10.

[806] Ц. П. Агаян. Великий Октябрь и борьба трудящихся Армении за победу советской власти. АН Армянской ССР. Ереван. 1962. გვ. 93.

[807] მიხეილ ვასილის ძე არეშიევი (არეშოვი) (მიქაელ ვასილის ძე არეშიანი) (სომხ. Միխայիլ Վասիլի Արեշիև (Արեշով) (Միքայել Վասիլի Արեշիանի)) (1876-1921წ.წ.) – თბილისში დაბადებული და გაზრდილი სომეხი ეროვნების რუსეთის საიმპერატორო არმიის პოლკოვნიკი, რუსული არმიის გენერალ-მაიორი და სომხეთის რესპუბლიკის ოფიცერი, სომხეთის არმიის გენერალ-მაიორი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. გიორგის ჯვრის კავალერი. დაიბადა თბილისში, აქვე მიიღო დაწყებითი განათლება და დაამთავრა კადეტთა კორპუსი. 1894 წლიდან სამხედრო სამსახურშია. 1896 წელს დაამთავრა თბილისის იუნკერთა სასწავლებელი და მიენიჭა პოდპრაპორშიკის სამხედრო წოდება. სამსახური გააგრძელა 45-ე აზოვის ქვეით პოლკში. 1898 წელს ენიჭება პოდპორუჩიკის წოდება. 1900 წლის 16 თებერვალს გადაყვანილ იქნა მე-14 გრენადერთა ქართულ პილკში. 1903 წლის 1 ივლისიდან პორუჩიკია. 1904 წლის 15 პრილს სამსახურს აგრძელებს ციმბირის ომსკის მე-10 ქვეით პოლკში, სადაც შეხვდა რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებას. 1905 წელს ენიჭება შტაბის კაპიტნის და კაპიტნის წოდებები. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა გიორგის ჯვრით. 1906 წლიდან ისევ უბრუნდება მე-14 გრენადერთა ქართულ პოლკს. ამავე წელს ამთავრებს ოფიცერთა

დრომ, ყორღანოვმა, არარატიანმა.[808] სამხრეთის მიმართულებაზე მოქმედებდა გენერალი ანდრანიკ ოზანიანი, რომლის დაქვემდებარებაში იყო როგორც რეგულარული, ასევე ძირითადში მოხალისეთა ნაწილები, აღმოსავლეთისაზე კი - გენერლები ბაგრატუნი და ბაგრამიანი, აგრეთვე - ამაზასპი.

სომხური საარმიო კორპუსის სამეთაურო შემადგენლობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს სტივენ ჯონსის სქელტანიანი მონოგრაფია Georgian-Armenian relations in 1918 to 1919 and 1991 to 1994. A comperison: ,,კორპუსის მეთაურად დანიშნული იყო რუსეთ-იაპონიისა და ჩრდილოეთ სპარსეთის 1914-1917 წლების საომარი მოქმედებებისათვის მრავალჯერ დაჯილდოებული გენერალი თომა ნაზარბეგოვი. დრო (დრასთამატ კანაიანი), მეფის რამდენიმე მაღალი რანგის მოხელის მკვლელი და 1914-1915 წლებში მოხალისეთა ერთ-ერთი რაზმის მეთაური, კორპუსის კომისარი იყო. კორპუსის ორ დივიზიას კი, შესაბამისად მეთაურობდნენ გენერალი

სპეციალურ კურსებს. 1907 წლის 23 ნოემბერს გადაყვანილ იქნა 249-ე მაიკოპის სარეზერვო ბატალიონში. 1910 წლიდან მსხურობდა კავკასიის მე-3 მსროლელ პოლკში, სადაც მეთაურობდა ერთ-ერთ ასეულს. I მსოფლიო ომის დასაწყისში მეთაურობდა ბატალიონს და ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის 1915 წლის 15 აპრილს ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. 1916 წლიდან პოლკოვნიკია. 1917 წლის დასაწყისში ინიშნება კავკასიის 1-ლი მსროლელი დივიზიის ბრიგადის მეთაურად. იმავე წლის 20 სექტემბერს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ჩამოდის თბილისში და აქტიურად მონაწილეობს სომხური კორპუსის ფორმირებაში. ინიშნება სომხური ნაციონალური კორპუსის 1-ლი ქვეითი დივიზიის მეთაურად, ოსმალთა წინააღმდეგ ალექსანდროპოლისთან განცდილი მარცხის შემდეგ 1918 წლის 15 მაისს ათავისუფლებენ დაკავებული თანამდებობიდან. 1918 წლის ბოლოს მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში. ეკავა ერთ-ერთი შენაერთის მეთაურის თანამდებობა. 1919 წლიდან ირიცხებოდა პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზე წარგზავნილი სომხური დელეგაციის წევრად. იყო ამ დელეგაციის სამხედრო კონსულტანტი. სომხეთის რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1920 წლის დეკემბერში, ბოლშევიკები მას აპატიმრებენ. მისი შემდგომი ბედი უცნობია. სავარაუდოდ დახვრიტეს.

808 ხაჩატურ ხაჩატურის ძე არარატიანი (ქრისტოფორ გერასიმეს ძე არარატოვი) (სომხ. Խաչատուր Խաչատուրիձե Արարատյան (Քրիստոֆեր Գերասիմոս Արարատով)) (1876-1937წ.წ.) – რუსეთის საიმპერატორო არმიის პოლკოვნიკი და სომხეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. 1904-1905 წლების რუსეთ-იპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის კადეტთა სკოლა, შემდეგ პეტერბურგის ქვეითთა სასწავლებელი და ცარსკოე სელოს ოფიცერთა სკოლა. 1902 წლიდან შეიარაღებულ ძალებშია. მსახურობდა კავკასიის მე-2 საარმიო კორპუსის საარტილერიო ბრიგადის მეთაურის უფროსი ადიუტანტის თანამდებობაზე. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში. 1908 წელს ენიჭება კაპიტნის წოდება. 1910-1916 წლებში პოდპოლკოვნიკი არარატიანი მსახურობს გრენადერთა ბრიგადაში. I მსოფლიო ომის დროს მსახურობდა სამხრეთ-დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთის და კავკასიის ფრონტებზე. იყო 21-ე საარტილერიო ბრიგადის ბატარეის და დივიზიონის მეთაური. 1917 წლის ბოლოდან აქტიურად ებმება სომხური ნაციონალური კორპუსის ჩამოყალიბების საქმეში. 1918 წლიდან სომხური კორპუსის მსროლელი ბრიგადის მეთაურია. მონაწილეობდა ოსმალთა წინააღმდეგ 1918 წლის მაისში წარმოებულ სარდარაბადისა და ბაშ-აბარანის ბრძოლებში. 1918 წლის დეკემბერში მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში. 1919 წლის მარტში ენიჭება არტილერიის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. იმავე წლის 27 მარტს ინიშნება სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრად. 1920 წელს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. მონაწილეობდა სომხეთ-თურქეთის 1920 წლის სექტემბერი-დეკემბრის ომში, სადაც ყარსის ბრძოლის დროს სხვა ოფიცრებთან ერთად ტყვედ ვარდება. ტყვეობიდან თავისუფლდება საბჭოთა მთავრობის შუამდგომლობით. სომხეთის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის დეკემბრიდან დგება ბოლშევიკების სამსახურში. 1923-1925 წლებში იყო საბჭოთა სომხეთის წითელი არმიის მსროლელი დივიზიის მეთაურის მოადგილე. შემდგომ წლებში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ერევნის უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო კათედრებზე. შემდეგ ამთავრებს ფრუნზე სახელობის სამხედრო აკადემიის უმაღლესი სამეთაურო შემადგენლობის კურსებს. დიდი საბჭოური რეპრესიის დროს, 1937 წლის 2 სექტემბერს დააპატიმრეს სარდარაბადის სხვა გმირებთან, გენერლებთან მოვსეს სილიკოვთან და დიმიტრი მირიმანოვთან ერთად, წაუყენეს ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდება და დახვრიტეს იმავე წლის 10 დეკემბერს. რეაბილიტირებულ იქნა 80-იანი წლების ბოლოს.

არეშოვი (მიხაილ არეშიევი - ა. ჩ.) და პოლკოვნიკი (შემდგომში გენერალი - ა. ჩ.) სილიკოვი (მოვსეს - ა. ჩ.), მესამეს - ანდრანიკი (ოზანიანი - ა. ჩ.), ხოლო ცხენოსან ბრიგადას - პოლკოვნიკი (შემდგომში გენერალი - ა. ჩ.) ყორღანოვი (გაბრიელ - ა. ჩ.)...''[809]

ზემოთ წარმოდგენილი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ განვლილი საბრძოლო გზითა და პროფესიონალური მომზადების დონით, როგორც საქართველოს, ასევე სომხეთის შეიარაღებული ძალების სამეთაურო შემადგენლობა და რეგულარული ჯარის ნაწილები ოფიცერთა გამოცდილი კადრებით იყო დაკომპლექტებული. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ სომხეთის შეიარაღებულ ძალებში მნიშვნელოვან წილს ყოფილი საიმპერატორო არმიის ეროვნებით რუსი ოფიცრები შეადგენდნენ. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით რუსი ოფიცრებისა სომხეთის გენშტაბის ცენტრალურ აპარატსა და შენაერთების სამეთაურო შემადგენლობაში მსახურობდა. რაც შეეხება სომხეთის არმიის უმცროს ოფიცერთა შემადგენლობას და რიგითებს, აქ საკმაოდ მძიმე მდგომარეობა იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით, უკვე მოგვიანებით, 1920 წლის 13 ოქტომბრის N115 საიდუმლო მოხსენებით ბარათში, საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოში, გენერალი სიტინი წერდა: ,,ნაზარბეგოვი ძალიან პოპულარულია... მაგრამ ოფიცერთა შემადგენლობა უკიდურესად არადამაკმაყოფილებელია. კადრის ოფიცერი თითქმის არ არის. საუკეთესო ელემენტი - რუსი ოფიცერია".[810] ჩვენი წიგნის მეორე ნაწილში, სადაც უშუალოდ სომხეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებები იქნება განხილული, ნათლად დავინახავთ, რომ სომხური შენაერთებისა და ნაწილების სამეთაურო შემადგენლობაში მნიშვნელოვან წილს მართლაც რუსი ოფიცრები შეადგენდნენ.

რაც შეეხება მიზანდასახულობის ფაქტორსა და სახელმწიფოს მხრიდან ეროვნული შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის ერთიან სამხედრო-პოლიტიკურ ხედვას, აქ, სომხური მხარე ქართულთან შედარებით დიდ უპირატესობას ფლობდა.

---

809 Stephen F. Jones. Georgian–Armenian relations in 1918 to 1919 and 1991 to 1994. A comperison. გვ. 114-115.

810 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1974, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი (110-111 უკ).

§2.5. სომხური საბრძოლო რაზმების პირადი შემადგენლობის მორალური სახე

საზოგადოდ, სამხედრო შენაერთების, საჯარისო ნაწილებისა და ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთება და მათი ზნეობრივ-მორალური სახე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისათვის. ხშირ შემთხვევებში კი, კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისას, მას გადამწყვეტი მნიშვნელობაც ენიჭება. ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიას მრავლად ახსოვს ისეთი ფაქტები, როდესაც სხვადასხვა ოპერაციების მსვლელობისას ამ ფაქტორს გადამწყვეტი როლი უთამაშია და ერთი შეხედვით მარცხისათვის განწირული მხარე გამარჯვებულიც კი გამოსულა. ისტორიულ წიაღსვლებს ამჯერად თავს ავარიდებთ და არ განვიხილავთ ქართველი და სომეხი ეთნოსის დამოკიდებულებას ზოგადად ომისადმი, მათთვის ისტორიულად დამახასიათებელ და საყოველთაოდ ცნობილ საბრძოლო სულისკვეთებას. ერთი კია, რომ ,,ომი სომეხთათვის შემთხვევითი საქმე იყო. მათ სპეციალურ საყვარელ საქმიანობას ვაჭრობა და რეწვა წარმოადგენდა".[811] ეს შეფასება რუს ავტორს ეკუთვნის.

ნაშრომის ფორმატის გათვალისწინებით, ამ პარაგრაფში ჩვენ მხოლოდ XX საუკუნის 10-იანი წლების მდგომარეობას განვიხილავთ. ქართული და სომხური საჯარისო ნაწილებისა და საერთოდ, მათი შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ზნეობრივ-მორალური დონისა და საბრძოლო სულისკვეთების მდგომარეობა მთელი 1918 წლის განმავლობაში ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული იყო. გარდა ამისა, ეს სულისკვეთება პერმანენტულად იცვლებოდა მთელი 1918 წლის განმავლობაში.

არსებითად რომ გავერკვეთ ამ საკითხში, აუცილებელია იმ განვლილი საბრძოლო გზის მოკლე მიმოხილვა, რომელიც ქართულმა და განსაკუთრებით სომხურმა საჯარისო შენაერთებმა და ნაწილებმა გაიარეს მთელი 1918 წლის განმავლობაში. ამ კუთხით, ჩვენ ზემოთ, ეპიზოდურად მოგვიწია სომხური საბრძოლო რაზმებისა და ნაწილების აქტივობის ცალკეულ დეტალებთან შეხება, ამჯერად კი, უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ამ საკითხს, სწორედ ჯარების პირადი შემადგენლობის მორალურ-ზნეობრივი და საბრძოლო სულისკვეთების რაკურსში. იმდენად, რამდენადაც სომხეთის შეიარაღებული ძალები ცალკეული ე. წ. ,,საბრძოლო რაზმების'' სახით ჩაისახა რუსეთის კავკასიის არმიის წიაღში, ამიტომ აუცილებელია მცირე ისტორიული ექსკურსი ჩავატაროთ და მოკლედ მიმოვიხილოთ ამ რაზმების მიერ განვლილი ,,სახელოვანი საბრძოლო გზა'', დაწყებული 1914 წლიდან.

ზემოთ ვნახეთ, რომ რუსეთის კავკასიის არმიას ომის დაწყების პირველივე ეტაპზე შეუერთდა უკვე არსებული (მაგ. ანდრანიკის რაზმი), ან ახლად ჩამოყალიბებული სომხური ეროვნული ე.წ. ,,ოპოლჩენიის'' საბრძოლო რაზმები, რომლებიც კავკასიის არმიის რეგულარულ ნაწილებთან ერთად ჩაებნენ სომარ მოქმედებებში. სომხური საბრძოლო რაზმების შესახებ მეტ-ნაკლებად სრულ ინფორმაციას გვაძლევს ჩვენთვის უკვე ცნობილი ფრანგი სამხედრო ჟურნალისტი და მკვლევარი ანრი ბარბი თავის წიგნში ,,Въ странъ ужаса. Мученица Арменія'': ,,ბიურომ (აქ დაშნაკთა პარტბიურობეა საუბარი - ა. ჩ.) გამოიძახა ცნობილი ბელადები ანდრანიკი, კერი, დრო, ამაზასპი და აბდულ-ჰამიდ II-ის ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლი სხვა მეთაურები... მოხალისეთა პირველი რაზმი ანდრანიკის მეთაურობით გაიგზავნა სპარსეთის ფრონტზე, მეორე, დროს მეთაურობით - ბაიაზეთში, მესამე, ამაზასპის რაზმი - ყაგიზმანში (აღზევანი), ხოლო მეოთხე, კერის რაზმი - ოლთისზე... 1915 წლის აპრილში კერის, დროსა და ამაზასპის სამი რაზმი გაერთიანდა ვარდანის (მეღრაბიანი - ა. ჩ.) საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ და მან იერიში მიიტანა ვანზე... როცა

[811] М. Ахов. Россія и армяне. С.-Петербургъ. 1897. გვ. 6.

სომეხი მოხალისეები ვანის კედლებს მიუახლოვდნენ - თურქები გაიქცნენ და 1915 წლის 6 მაისს რუსეთის არმია ძლევამოსილად შევიდა ვანში''.[812]

აი, ასეთი ჰეროიკული ეპოსის დონეზე ხდებოდა სომეხ მოხალისეთა საბრძოლო რაზმების დამსახურებების წარმოდგენა სომეხი და პროსომხური ორიენტაციის უცხოელი ავტორების მიერ. ამ რაზმების ,,სახელოვანი საბრძოლო გზისა და მიღწეული წარმატებების'' შესახებ სომხურმა ისტორიოგრაფიამ ლამის ლეგენდარულ სიმაღლეებამდე აიყვანა ამ რაზმების მეთაურებისა და პირადი შემადგენლობის დამსახურებები არა მარტო სომეხი ხალხის, არამედ რუსეთის კავკასიის არმიის წინაშეც. ,,თურქეთთან ომში სომეხთა ლიდერებმა მთელ მსოფლიოს მოსდეს ამბავი თავიანთი მოხალისე რაზმების დამსახურებებზე, რომლებიც ყველგან და ყოველთვის ამარცხებდნენ თურმე თურქეთის არმიას,"[813] - წერდა თავის წიგნში ,,Красная Книга'', ყარიბი - პეტრე გელეიშვილი.

ისმის კითხვა, იყო კი ნამდვილად ეს ასე? ნამდვილად ასე მამაც მებრძოლებს წარმოადგენდნენ სომეხი მეომრები და მათი ხუმბაპეტები? რა ძალას წარმოადგენდა ეს ყბადაღებული ,,სომხური პოლკები'' თუ ,,ბატალიონები" და რა საბრძოლო დამსახურებები ჰქონდათ მათ? და საერთოდ, როგორი იყო ამ ,,პოლკების'' პირადი შემადგენლობის მორალური სახე და საბრძოლო სულისკვეთება?

დასმული კითხვები ნამდვილად არ არის ტრივიალური და მარტივი. იგი საფუძვლიან და არგუმენტირებულ განხილვას მოითხოვს. ,,1915-1916 წლებში კავკასიის ფრონტზე რუსული ჯარების ფართომასშტაბიანმა შეტევებმა და მსხვილი ქალაქების - რიზეს, ტრაპიზონის, ოგნოთის, მუშის აღებამ, ფრთები შეასხა სომეხ სეპარატისტებს. ,,დიადი არმენიის" შექმნაში დარწმუნებული და ,,გენოციდის" მითით შეიარაღებული სომხური რაზმები როგორც ოსმალთა იმპერიის, ასევე ამიერკავკასიის ტერიტორიებზე მასშტაბურ ეთნიკურ წმენდებს ატარებდნენ",[814] - აღნიშნავს აზერბაიჯანელი მეცნიერი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობის პოლიტიკურ დოკუმენტთა არქივის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ხაჯარ ვერდიევა. სრულად ვიზიარებთ ავტორის ამ მოსაზრებას, თუმცა, აქვე მცირე შენიშვნის სახით დავამატებდით, რომ აქ სიტყვა ,,გენოციდის" ხმარება ცოტა უადგილოდ გვეჩვენება, რამეთუ ტერმინი და ცნება ,,გენოციდი", როგორც ასეთი, გაცილებით გვიან, მხოლოდ 1945 წელს ჩნდება. თუმცა, ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, სრულებით არ ცვლის საქმის არსს.

1915 წლის მაისისათვის ოსმალთა იმპერიის მდგომარეობა I მსოფლიო ომის ფრონტებზე მძიმდება. რუსული ჯარები აღმოსავლეთ ანატოლიაში შევიდნენ, ბრიტანელებმა და ფრანგებმა ჩანაყალე დაიკავეს, ხოლო ზეითუნში, ვანსა და მუშში სომხებმა აჯანყება და ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის დარბევები დაიწყეს. ვანში დაწყებულმა ამ მოვლენებმა რუსული ჯარების მიერ ქალაქის დაკავებისთვის ნოყიერი ნიადაგი შექმნა. ფრონტის მთელი ხაზის გასწვრივ ოსმალეთის ჯარში მომსახურე სომეხი ოფიცრები და ჯარისკაცები იარაღიანად რუსული არმიის მხარეს გადავიდნენ, მოსახლეობამ და სომხურმა საბრძოლო რაზმებმა კი, დივერსიული მოქმედებები დაიწყეს.

ამერიკელი ავტორი, სტენფორდ ჯეი შოუ (Stanford Jay Show), ოსმალეთის იმპერიისა და თურქეთის რესპუბლიკის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, აღნიშნავს: ,,1915 წლის 14 მაისს, რუსული არმია, რომელსაც მხარს სომხური საბრძოლო რაზმები უჭერდნენ, შეტევაზე გადავიდნენ და ქალაქი ვანი დაიკავეს. ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა 2 დღის

---

[812] Анри Барби. Въ странъ ужаса. Мученица Арменія. Изданіе С. Меликова. Тифлисъ. 1919. gv. 80-81.

[813] Кариби. Красная Книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 87.

[814] Хаджар Вердиева. «Ничто так не безобразно и непримиримо с разумом, как ложь». Полемика с автором книги «Последняя битва императоров. Параллельная история Первой Мировой» Валерием Шамбаровым. Подробнее: https://erevangala500.com/news/166.html.

განმავლობაში მიმდინარეობდა... რუსების დახმარებით ქალაქ ვანში სომხური სახელმწიფოს შექმნა გამოცხადდა... უკვე ივლისის შუა რიცხვებისათვის კი, ქალაქში 250 ათასმა სომეხმა მოიყარა თავი. ომის დაწყებამდე ვანის პროვინციაში სომხები მთელი მოსახლეობის 42,3%-ს შეადგენდნენ, ანუ, 33789 სულს".[815]

სომეხთა მხრიდან მსგავსი ქმედებებისა და ზურგში მიყენებული შემდგომი დარტყმების თავიდან ასაცილებლად, ოსმალეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, 1915 წლის მაისის ბოლოდან დაიწყო საომარი მოქმედებების ზონაში მცხოვრები სომხების დაპატიმრება და გადასახლების პროცესი იმპერიის ზურგის რაიონებში. გაზეთ ,,საქართველოს" 1915 წლის 24 ივლისის სტატიაში, სათაურით ,,სომეხთა ცხოვრება", ვკითხულობთ: ,,ჰორიზონ"-ს ბუქარესტიდან ატყობინებენ, „ოსმალეთის მთავრობამ რუმინულ, ფრანგულ და გერმანულ გაზეთებში შემდეგი ამბავი გამოაქვეყნა: „მოწინააღმდეგე სახელმწიფონი ბრალს გვდებენ თუ რატომ ვეპყრობით სომხებს ასე მტრულად: ჩვენი სამხედრო უწყებანი ყოველდღე აქვეყნებენ ახალ-ახალს ფაქტებს, რომლითაც მტკიცდება, რომ სომხები დიდი ხანია ასაჯანყებლად ემზადებოდნენ. უკანასკნელი ფაქტი ეხება შაპინ-ყარანსარინის (შაბინ-ყარაისარი - ა. ჩ.) ამბებს, როდესაც 500 სომეხმა ჯარისკაცმა რევოლიუციონერების დახმარებით 150 ოსმალო მოჰკლეს და მთელი ქალაქი გადასწვეს. ყოველ შეკითხვაზე, რომ მშვიდობიანად გავათავოთ საქმე და მოვრიგდეთო, სომხები ყუმბარებითა და ტყვიებით უმასპინძლდებოდნენ ოსმალებს. მთავრობა იძულებული გახდა უკიდურესი ზომებისთვის მიემართა და 20 ივნისს ყველა აჯანყებული დაატუსაღა".[816]

შემდგომში ამ მოვლენების არსსა და მიზეზებს დაშნაკი და პროდაშნაკი იდეოლოგები დაივიწყებენ და ხაზს გადაუსვამენ, ხოლო თავად ამ პროცესის ,,სომეხთა გენოციდად" მონათვლას შეეცდებიან. ცალსახად აღსანიშნავია, რომ ზუსტად ასეთ ქმედებებს ჰქონდა ადგილი მოგვიანებით, 1918 წლის დეკემბერში, უკვე სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში, ლორე-ტაშირისა და შულავერის საბრძოლო მოქმედებათა რაიონებში, სადაც საქართველოში მცხოვრებმა ადგილობრივმა სომეხმა მოსახლეობამ, ანუ საქართველოს სომეხი ეროვნების მოქალაქეებმა ჯერ ამ ომის დაწყების პროვოცირება მოახდინეს, შემდეგ კი აქტიური დივერსიული და საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს ქართული ჯარისა და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ. მათ ზურგში დაარტყეს ქვეყანას. ამ ქმედებების პასუხად, საქართველოს მთავრობაც იძულებული გახდა დანაშაულებრივ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში ჩართული ასობით სომეხი დაეპატიმრებინა და გადაესახლებინა ისინი საომარი მოქმედებების ზონიდან მოშორებით, დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის გუბერნიაში. და აქაც, ქართული მხარის ეს იძულებითი ნაბიჯი დაშნაკმა იდეოლოგებმა 1915 წელს ოსმალთა იმპერიაში მიმდინარე პროცესებთან გააიგივეს, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია კი, ოსმალთა პოლიტიკური ტრიუმვირატის ლიდერს, ენვერ ფაშას შეადარეს. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ წიგნის მეორე ნაწილში გვექნება უფრო არსებითი საუბარი.

დავუბრუნდეთ ისევ I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტს და აქ მიმდინარე პროცესებს. ფაქტი ის არის, რომ სანამ რუსეთის კავკასიის არმიის შენაერთები ომის პირველ ეტაპზე წარმატებულ შეტევით ოპერაციებს ანხორციელებდნენ, სომეხ მოხალისეთა რაზმებიც რეგულარულ ჯართან ერთად მედგრად მიიწევდნენ წინ და ,,ომის სისხლიანი კვალის ლიკვიდაციით იყვნენ დაკავებულნი. ისინი ქურთებისა და თათრების მიერ დატოვებულ სოფლებსა და სავარგულებს აძლევდნენ ცეცხლს, ხოცავდნენ ბრძოლის ველზე დარჩენილ დაჭრილებს, სიკვდილით

---

815 Назим Мустафа, научный сотрудник Института истории им. А. А. Бакиханова НАНА. http:// genocide. preslib.az/ru_a2-10.html

816 გევორქ იაგუტოვ, რაზმიკ ბადალიან, არტურ მირზოიან, ედუარდ სააკიან, ალექსანდრ ოჰანიან. სომეხთა გენოციდი ქართულ პერიოდიკაში 1914-1918 წლებში (საარქივო მასალების კრებული). საქართველოს სომეხთა სათვისტომო. თბილისი. 2011. გვ. 46.

უსწორდებოდნენ თვით რუსი ჯარისკაცებისა და კაზაკების მიერ კონვოირებულ ტყვეებს'',[817] - გვამცნობს ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ქართველი ავტორი, პეტრე გელეიშვილი-ყარიბი, თავის წიგნში ,,Красная Книга". ცალმხრივობაში რომ არ დაგვდონ ბრალი, მოცემულ სკითხთან დაკავშირებით ამონარიდს მოვიყვანთ სომეხი ავტორის, სახელმწიფო მოღვაწისა და მეცნიერის, 1921-1923 წლებში საბჭოთა სომხეთის იუსტიციის მინისტრის, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის და საბჭოთა სომხეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, არტაშეს კარინიანის ნაშრომიდან ,,К характеристике армянских националистических течений" (,,სომხური ნაციონალისტური მიმდინარეობების დახასიათების შესახებ"). ავტორი გვამცნობს:

,,რუსული ჯარის გამარჯვებებით ფრთაშესხმული ,,მოხალისეები" იჭრებოდნენ დაკავებულ ოლქებში და ყველანაირად ცდილობდნენ თავისი გავლენების გაძლიერებას. ამასთან, ყოველივე ამას არასომეხი მოსახლეობის ჟლეტვა ახლდა თან. რუსული არმიის მეთაურთა მოხსენებითი ბარათებიდან და ბრძანებებიდან ჩანს, რომ სომეხ მოხალისეთა რაზმები ძირითადში არაქრისტიანი მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტით იყვნენ დაკავებულნი".[818] მეორე სომეხი ავტორი, ანაიტ ლალაიანი კი, თავის ნაშრომში ,,Контрреволюционный Дашнакцутюн и империалистическая война 1914-1918 г.г." (,,კონტრრევოლუციური დაშნაკცუტიუნი და 1914-1918 წლების იმპერიალისტური ომი"), აღნიშნავდა - ,,მოხალისეთა მოძრაობა" იმით ხასიათდებოდა, რომ ისინი დაშნაკური რაზმების სისხლისმსმელი ხუმბაპეტების (ანდრანიკ ფაშა, ამაზსპი და სხვა) მეთაურობით მაქსიმალურ ,,სიმამაცეს" თურქი ქალებისა და ბავშვების, მოხუცებისა და ავადმყოფების გაჟლეტვის საქმეში ავლენდნენ. დაშნაკური რაზმებით დაკავებული თურქული სოფლები ცოცხალი ადამიანებისაგან იწმინდებოდა და ნანგრევებად იქცეოდა, რომლებიც დასახიჩრებული გვამებით იყო მოფენილი…"[819]

აი, ასეთი ,,საბრძოლო დამსახურებებით" გამოირჩეოდნენ ნაქები სომხური ნაწილები, ეს ე.წ. ,,სომხური პოლკები" და ასე მამაცურად იბრძოდნენ სომეხი მეომრები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაშნაკური საბრძოლო რაზმები ე.წ. ,,პარტიზანული ომით'', რეალურად კი, თურქეთის მუსლიმი მოსახლეობის (და არა მხოლოდ მათი) ხოცვა-ჟლეტით, მათი ქონების ძარცვით, გაპარტახებითა და განადგურებით იყვნენ დაკავებულნი. აი, რას ვკითხულობთ რუსეთის კავკასიის არმიის შტაბის განსაკუთრებულ საქმეში, სადაც ერთ-ერთი რუსი ოფიცერი ამბობს: ,,თითქმის ყველა ჩვენი ოფიცერი მოწმე იყო იმისა, თუ როგორ არღვევდნენ სამხედრო დისციპლინას არა მარტო [სომხური] რაზმების წევრები, არამედ მათი მეთაურებიც. ჩვენ ვხედავდით მათ შორის განხეთქილებებსა და ინტრიგებს, ამპარტავნობას, სიმხდალეს, ძარცვისა და ყაჩაღობის ფაქტებს, და რაც მთავარია, ჩვენს მიერ დაკავებულ თურქულ ოლქებში, ზოგჯერ კი კავკასიის მუსლიმ მოსახლეობაზე ძალადობას''.[820]

ასეთი ქმედებების აღსაკვეთად ვანში შედგენილ იქნა სამხედრო-საველე სასამართლო, რომელმაც ,,ტყვე ქურთების მკვლელობისათვის სამ მოხალისეს: კუტრიკ ტიოსოვს, აზის მინასოვს და მესროპ მელიქოვს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა''.[821] ამით აღშფოთებულმა ვანის გუბერნატორმა, არამმა მოითხოვა: ,,რუსეთის არმიას ტყვედ ჩაბარებული ყველა ქურთი ჩათვლილ იქნას სამხედრო დამნაშავედ და მათ მიმართ გატარდეს დასჯის უკიდურესი ზომა, ე.ი. სიკვდილით დასჯა''.[822]

---

[817] Кариби. Красная Книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 72.

[818] Каринян А. Б. К характеристике армянских националистических течений. Большевик Закавказья. 1928. №9-10. Стр. 65-66.

[819] Лалаян А. А. Контрреволюционный ,,Дашнакцутюн" и империалистическая война 1914-1918 гг. Революционный Восток. 1936. №2-3. Стр. 92-93.

[820] Кариби. Красная Книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 76.

[821] დასახელებული ნაშრომი. გვ. 78.

[822] დასახელებული ნაშრომი. გვ. 79.

I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე კავკასიის ფრონტზე მიმდინარე მოვლენების, რუსული სამხედრო შენაერთებისა და სომხური საბრძოლო ,,დრუჟინების“ საბრძოლო აქტივობების თავისებურ ინტერპრეტაციებს გვთავაზობს ჩვენთვის უკვე ცნობილი სომეხი ავტორი, გიორგი ხომიზური:

,,რაც შეხება რუსეთის სამხედრო მოქმედებებს I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე. წარმატებით განხორციელებული სამხედრო ოპერაციების შედეგად რუსული ჯარები თურქთა დიდ ტერიტორიებს იკავებდნენ, მაგრამ შემდეგ ყოველგვარი მიზეზების გარეშე იხევდნენ უკან, რაც თურქებს სომეხთა განადგურების საშუალებას აძლევდა. საჭიროდ ვთვლი, რომ ეს საკითხი უფრო დაწვრილებით განვიხილო.

იწყებდა რა კავკასიის ფრონტზე სამხედრო მოქმედებებს, რუსეთმა გადაწყვიტა არა მხოლოდ სომხების, არამედ ქურთი ბეგების მხარდაჭერითაც ესარგებლა. მაგრამ ვერც ერთმა ქურთმა ბეგმა ვერ გაამართლა მათი იმედები. ქურთები არაერთხელ ღალატობდნენ რუსებს და მათ მიერ მიცემული იარაღიანად გადადიოდნენ თურქების მხარეს. 1914 წლის 5 ნოემბერს ანდრანიკის დრუჟინამ გაანადგურა თურქთა მხარეს მებრძოლი ქურთები. ანდრანიკმა ტყვედ აიყვანა ისინი, მიუყვანა რუსული არმიის გენერალს, ნაზარბეგოვს და თხოვა მას, რომ სრულიად განეიარაღებინა ქურთული რაზმები. მაგრამ ეს თხოვნა არ შესრულდა, განთავისუფლებული ქურთი ბეგები კი, ისევ თურქების მხარეს გადავიდნენ და იარაღით ხელში გააგრძელეს რუსების წინააღმდეგ ბრძოლა. ანდრანიკზე შურისძიების ნიშნად კი, რამდენიმე სომხური სოფელი ამოწყვიტეს. და ასეთი ფაქტი ბევრია...“[823] (?!) (Sic!)

მართალია ავტორი გაუგებარ წყაროზე (Месроп, Хатисов А. И., Арутюнов С. С. Записка об Армянском вопросе и армянских дружинах. – ,,Голос Армении“, 1995, 20 и 22 апреля.) მითითებით გვაწვდის ამ ცნობებს, მაგრამ ცოტა არ იყოს მაინც მოულოდნელი იყო საბჭოთა დისიდენტისაგან მსგავსი ხასიათის გაუგებარი ამბებისა და არაკების თხზვა. აქ ყველაფერი დარღვეულია - არა ისტორიული რეალიები და წანამძღვრები, არა ლოგიკა, არა დიალექტიკა, არა არგუმენტაცია, არა არაფერი...

ახლა კი, ჩვენ მოვიყვანთ მოცემულ თემასთან დაკავშირებულ ერთ საარქივო დოკუმენტს. ეს არის იმ მომენტისთვის კავკასიის არმიის შტაბის კვარტერმეისტერის, გენერალ პიოტრ ტომილოვის შიფროგრამა არმიის სარდალს, გენერალ იუდენიჩს, სადაც გენერალ ტომილოვთან ერთად ამ ,,სომხური დრუჟინების“ წევრთა საბრძოლო სულისკვეთებისა და მოქმედებების შესახებ სხვა რუს გენერალთა პატაკებიცაა მოყვანილი.

შიფროგრამა №3409.

10. 08. 1915. ტფილისი

გენერალი ჩერნოზუბოვი მოგვახსენებს:

,,გენერალ ტრუხინთან ერთად დილიჟანში კერისა და ამაზასპის ორი სომხური დრუჟინა შემოვიდა. სრულიად დეზორგანიზებულნი და დაღლილნი, ისინი ითხოვენ რეორგანიზაციისათვის ერივანში ჩასვლის ნებართვას, რაზეც კორპუსის სარდალმა მათ უარი განუცხადა. ამ უარმა ამაზასპის ერთ-ერთ ასეულში დიდი უკმაყოფილებები გამოიწვია, რომელიც მე ჩავახშე. ახლახანს მივიღე ინფორმაცია უკვე სხვა ასეულში დაწყებული უკმაყოფილებების შესახებ. ამ მღელვარებების ძალით ჩახშობა აზერბაიჯანელ სომხებსა და თურქ დევნილებზე (იგულისხმება თურქეთში მაცხოვრებელი სომხები - ა. ჩ.), ვანში არსებული მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, ძალიან დამთრგუნველად იმოქმედებს. ამიტომ, მიუხედავად ქვეითი ჯარის უკიდურესი საჭიროებისა,

---

[823] Хомизури Г. П. Социальные потрясения в судьбах народов (на примере Армении). Москва. Интелект, 1997. 416 с. ISBN 5-87047-036-6. Стр. 48-49.

ვშუამდგომლობ იმ საკითხს, რომ ორივე დრუჟინა ორი კვირით გაიგზავნოს ერივანში, რითაც თავს დავაღწევთ მდგომარეობის შემდგომ გართულებას.

2157. ჩერნოზუბოვი“.

ჩემის მხრიდან მოგახსენებთ, რომ საჭიროა ვაიძულოთ ეს ,,დრუჟინები“ დაგვემორჩილონ და დარჩნენ ვანის ვილაიეთში, ან წინასწარ ჩამოვართვათ იარაღი და დავშალოთ ისინი, რითაც არ დავუშვებთ იმას, რომ სამხედრო ორგანიზაციის მქონე სომხურმა დრუჟინებმა რაიმე ფორმით წამოაყენონ მოთხოვნები და დაიწყონ თვითნებური მოქმედებები.

პირველი კორპუსის სარდალი, გენერალი კალიტინი მოგვახსენებს: ,,საჯარისო მეთაურები გვიპატაკებენ, რომ მათ რაიონებში იარაღითა და ყოველგვარი დოკუმენტების ქონის გარეშე შედიან სომეხი-დრუჟინიკები. არის ცნობები, რომ ისინი დაკავებულნი არიან ძარცვა-გლეჯით. გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რომ სომეხი-დრუჟინიკები არ იქნან გამოშვებულნი თავისი დრუჟინებიდან მეთაურების წერილობითი განკარგულების გარეშე. დოკუმენტების არქონის შემთხვევაში კი, მათი პირადობების გამორკვევამდე დრუჟინიკები განიარაღებულნი და დაპატიმრებულები უნდა იქნან.

1277. კავალერიის გენერალი კალიტინი“.

გადაუდებლად ვთვლი მოგახსენოთ, რომ ეს დრუჟინიკები ალბათ მე-6 დრუჟინიდან უნდა იყვნენ, რომლებიც გაგზავნილ იყვნენ გენერალ ბარათოვის რაზმთან ერთად. შესაძლებელია ესენი არიან ადგილობრივი სომეხი მოსახლეობა, რომლებმაც, ისევე როგორც სარიყამიშის ოპერაციის შემდეგ, იხუვლეს (Хлынули - ა. ჩ.) და დაიწყეს ბრძოლის ველზე დაყრილი, განსაკუთრებით ჩვენი იარაღის შეგროვება. ამიტომ, სასარგებლო იქნება მათ მიმართ გატარდეს რაც შეიძლება მკაცრი გადამჭრელი ზომები და დაპატიმრებულ იქნან დრუჟინიდან გაქცევის, იარაღის გატაცებისა და ძარცვა-გლეჯის გამო.

ველი განკარგულებებს. 4174.

ტომილოვი“.[824]

რა თქმა უნდა, ზემოთ მოყვანილი არასასიამოვნო ცნობები მხოლოდ ანატოლიელ და კავკასიელ სომხებს არ ეხებათ, რაც ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტითაც დასტურდება. ეს არის I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, და შემდგომში რუსეთის იმპერიის უკანასკნელი სამხედრო მინისტრის, ინფანტერიის გენერლის, მიხაილ ბელიაევის წერილი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ანატოლი ნერატოვს.

წერილი №8158.

22/9 ოქტომბერი. 1915.

ამა წლის 18[5] ოქტომბრის №1162 წერილის პასუხად, თურქეთის სომეხი მოხალისეების კავკასიაში დაშვების შესახებ, რომლებიც ამჟამად ბულგარეთში იმყოფებინ, მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას, რომ კავკასიის არმიის სარდალი (გენერალი იუდენიჩი - ა. ჩ.) არასასურველად თვლის აღნიშნული სომხების რუსეთში დაშვებას, ***იმდენად, რამდენადაც ისინი პარტია დაშნაკცუტიუნის წევრები არიან და ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მათ ბნელი წარსული გააჩნიათ.*** (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.) საბრძოლო თვალსაზრისით კი, აღნიშნულ ელემენტს არავითარი ფასი არა აქვს. ამიტომაც მათი არსებობით ბულგარეთის არმიაც ვერავითარ სარგებელს ვერ ნახავს. პირიქით, ბრძოლიდან თავის არიდებით, დეზერტირობით, სხეულის თვითდაზიანებებითა და პოლიტიკანობით, ეს სომხები აღნიშნულ არმიაზე გამხრწნელად იმოქმედებენ. აღნიშნულ არმიაში მათმა დარჩენამ კი, გარკვეულად შეიძლება გაგვიადვილოს დაზვერვის ორგანიზება როგორც მთლიანად ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ასევე კონკრეტულად, თავად ბულგარეთში.

---

[824] Мехмет Перинчек. Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов. М.: ,,Лаборатория Книги ‘‘. 2011. ISBN 978-5-903271-73-3. Стр. 118. РГВИА. Ф.2100. Оп.1. Д.982. Л.34-35.

სრულად ვეთანხმები რა, გენერალ იუდენიჩის მოსაზრებებს, ვთვლი რომ აღნიშნული სომხების რუსეთის საზღვრებში დაშვება არ შეიძლება.

მ. ბელიაევი“.[825]

როგორც ვხედავთ, კავკასიელი და ანატოლიელი სომხების მსგავსად, ბალკანეთში მყოფი ,,მოხალისე“ სომხებიც ,,ბრძოლიდან თავის არიდებით, დეზერტირობით, სხეულის თვითდაზიანებებითა და პოლიტიკანობით“ იყვნენ დაკავებულნი. ამ წერილის შინაარსი იმითაც არის საინტერესო, რომ მასში უკვე უცილობელ ჭეშმარიტებადაა ხაზგასმული შემდეგი თეზა - ***პარტია დაშნაკცუტიუნის წევრებს უეჭველად ბნელი წარსული გააჩნიათ!*** ეს კი, გერმანელი ოფიცრის, ოსმალეთის იმპერიაში გერმანიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელისა და ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების მთავარი სამხედრო ინსპექტორის, გენერალ ლიმან ფონ სანდერსის მემუარია: ,,იარაღის ტარების უნარის მქონე ყველა მუსლიმანი თურქეთის არმიაში იმყოფებოდა, ამიტომ სომეხთათვის სირთულეს არ წარმოადგენდა მშვიდობიანი მოსახლეობის უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა. სომხები მხოლოდ ზურგიდან და ფლანგებიდან ქურდული თავდასხმებით არ შემოიფარგლებოდნენ. ისინი მშვიდობიანი მუსლიმი მოსახლეობის ჟლეტით იყვნენ დაკავებულნი. სომეხთა მიერ ჩადენილი ჩემთვის ცნობილი მხეცობის ფაქტები მრავალჯერ აღემატებოდა თურქთათვის მიწერილ ულმობლობას”.[826]

ამ საკითხთან დაკავშირებით, სრული ობიექტურობისათვის ისევ სომეხი ავტორის, ანაიტ ლალაიანის სიტყვებს დავიმოწმებთ მისი ნაშრომიდან ,,Контрреволюционный Дашнакцутюн и империалистическая война 1914-1918 г.г.”, სადაც ვარამი, სომეხთა ერთ-ერთი ,,საბრძოლო რაზმის” თავკაცი, ასე გადმოგვცემს თავისი ,,გმირობის” ამბებს: ,,მე ყველაფრის განურჩევლად გავანადგურე თურქული სოფელი ბასარ-გეჩარი. მაგრამ ხანდახან ტყვიები დაგენანება კაცს. ჩემის აზრით, ამ ძაღლების წინააღმდეგ ყველაზე საიმედო გზა შემდეგია - ბრძოლის შემდეგ უნდა შეაგროვო ყველა ცოცხლად გადარჩენილი, ჩაყარო ღრმა ჭაში და ზემოდან მძიმე ქვებით ჩაქოლო, ისე, რომ ვერავინ გადარჩეს. ეს საუკეთესო გზაა და მეც ასე მოვიქეცი: შევაგროვე ყველა მამაკაცი, ქალი და ბავშვი, ჩავყარე ჭაში და ქვებით ამოვავსე იგი”.[827]

სხვათა შორის, XX საუკუნის 90-იან წლებში ასეთი ჭების გათხრები ჩატარდა. ამ ღონისძიებების შესახებ შესაბამისი დოკუმენტური ვიდეო მასალებიც არსებობს, საიდანაც კარგად ჩანს ზემოთ მოყვანილი ფაქტების რეალობა. ცნობილი თურქოფობი, ხოსე არფა კი, წერს: ,,1914 წელს თურქთა დამარცხების შემდეგ სარიყამიშთან, რუსთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე თურქეთისა და კავკასიელი სომხების მოხალისეთა რაზმები გამოჩნდნენ. ერთ-ერთ მათგანს სისხლისმსმელი, ვინმე ანდრანიკი მეთაურობდა... ეს სომხები შურს იძიებდნენ ქურთებზე და გაუგონარ მხეცობებს ჩადიოდნენ მათ წინააღმდეგ. 1915-დან 1918 წლამდე პერიოდში თურქეთის აღმოსავლეთ ვილაიეთებში 600000-დე ქურთი იქნა მოკლული”.[828]

ფაქტია, რომ აღმოსავლეთ ანატოლიიდან თურქთა უკან დახევის შემდეგ სომეხთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მუსლიმი მოსახლეობის მკვლელობებმა და ძარცვა-გლეჯამ წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია. ეროვნებით სომეხი, საბჭოთა ისტორიკოსი ბაგრატ ბორიანი

---

825 Мехмет Перинчек. Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов. М.: ,,Лаборатория Книги ‘‘. 2011. ISBN 978-5-903271-73-3. Стр.119. Международные отношения в эпоху империализма. Документы из архивов царского и временного правительства 1878-1917 г.г. Сер. 3. Т. 9. Ч. 1. Москва – Ленинград. Государственное социально-экономическое издательствою 1937. Стр. 252.

826 Сабир Асадов. Миф о ,,Великой Армении’’. Баку. 1999. გვ. 223.

827 Бахтияр Наджафов. Лицо врага… გვ. 124. Лалаян. А. Контрреволюционный Дашнакцутюн и империалистическая война 1914-1918 г.г. В сб. История Азербайджана по документам и публикациям. Баку. Элм. 1990. გვ. 100.

828 Сабир Асадов. Миф о ,,Великой Армении’’. Баку. 1999. გვ. 222-223.

ამტკიცებდა, რომ სომხეთის პოლიტიკური მოღვაწეები სახელმწიფო ხელისუფლებას არა სახელმწიფოს მართვის, არამედ მუსლიმი მოსახლეობის გაჟლეტისა და მათი ქონების დაუფლების მიზნით იყენებდნენ. როდესაც სომხეთში ამ სისხლიანი პოლიტიკის საწინააღმდეგო ხმები გაისმა, ქვეყნის ხელმძღვანელებმა უპასუხეს: ,,თურქები სულ ძარცვავდნენ სომხებს, და სომხებმა ერთხელ მაინც რატომ არ უნდა გაძარცვონ თურქები?“ ბორიანს შემდეგი დასკვნა გამოაქვს: ,,...ეს ფაქტები იმის საფუძველს გვაძლევს, რომ სომეხმა დაშნაკებმა თურქებს გადააჭარბეს“.[829] ბორიანის ამ მოსაზრებას ამერიკელი ოფიცერი, გენერალ ჯონ პერშინგის (John Joseph Pershing) სარდლობით I მსოფლიო ომის ევროპის საომარ მოქმედებათა თეატრზე გადასროლილი ამერიკის საექსპედიციო კორპუსის შტაბის უფროსი, გენერალი ჯეიმს ჰარბორიც (James Guthrie Harbord) ადასტურებს. 1919 წლის ნოემბერში აშშ-ის პრეზიდენტის, ვუდრო ვილსონის გადაწყვეტილებით სომხეთისა და მიმდებარე ქვეყნების ,,ადგილზე გაცნობისა“ და მათი ,,პოლიტიკური, სამხედრო, გეოგრაფიული, ადმინისტრაციული, ეკონომიკური და სხვა მონაცემებით შესწავლის მიზნით ამ ქვეყნებში მოსალოდნელ ამერიკულ ინტერესებთან“ (ამონარიდი პრეზიდენტის ინსტრუქციიდან) დაკავშირებით გაგზავნილ იქნა ამერიკელ უფროს ოფიცერთა 14 კაციანი სპეციალური ექსპედიცია. სწორედ ამ ექსპედიციის ხელმძღვანელს წარმოადგენდა გენერალი ჰარბორი; ექსპედიციამ დეტალურად შეისწავლა რეგიონში არსებული მდგომარეობა და შესაბამისი ანგარიშიც წარმოადგინა. თავის ანგარიშში სომხურ-თურქული დაპირისპირების შესახებ ამერიკელი გენერალი წერდა, რომ თურქებმა მართალია ბევრი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს, მაგრამ ,,იქ, სადაც რუსებთან ერთად სომხები მიიწევდნენ წინ, მათი საპასუხო ნაბიჯები, ეჭვს გარეშეა, თურქთა მიერ ჩადენილი არაადამიანობის ტოლფასი იყო“.

1983 წლის ჟურნალ ”San Francisco Chronicle”-ის 11 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა ვინმე ბ. ამარიანის სტატიის (იგი ე.წ. ,,სომეხთა გენოციდზე” მოთქვამდა) საპასუხო პუბლიკაცია, სადაც არზრუმელი ებრაელი ავტორი ღიად საუბრობს სომეხთა დაუნდობლობებზე, რასაც ისინი I მსოფლიო ომის მსვლელობისას ჩადიოდნენ ებრაელების წინააღმდეგ. სტატიაში ვკითხულობთ: ,,ჩვენ ხელთა გვაქვს უტყუარი და პირველადი ინფორმაცია სომეხთა მხეცობების შესახებ ჩვენი ხალხის (ებრაელების) წინააღმდეგ, რომელიც წინ უსწრებდა ე.წ. 1915 წლის სომეხთა ჟლეტას, როგორც ამას თქვენ ამტკიცებთ. ჩვენ მოწმენი ვართ 148 ჩვენი თანამემამულის სიკვდილით დასჯისა არზრუმთან ახლოს ჩვენი სომეხი მეზობლების მიერ, რომლებმაც ამავე დროს გაანადგურეს ყველა და ყველაფერი, რაც აქამდე ებრაელებსა და მუსლიმანებს ეკუთვნოდათ...

ელიჰუ ბენ ლევი. ვაკავილი, კალიფორნია”.

ამერიკელი მკვლევარები, ლუისვილის უნივერსიტეტის პროფესორი ჯასთინ მაკარტი და კაროლინ მაკარტი (Justin Mccarthy, Carolyn Mccarthy), თავინთ ნაშრომში, ”Turks and Armanians, a Manual on the Armenian Question” (,,თურქები და სომხები, სომხური საკითხის სახელმძღვანელო“), რომელიც 1989 წელს გამოიცა ვაშინგტონში, ხოლო 1996 წელს ითარგმნა რუსულ ენაზე, აღნიშნავენ, რომ ერზინჯანში შესული ოსმალო ჯარისკაცები იმის მოწმენი გახდნენ, თუ როგორ იქნა სრულებით განადგურებული ქალაქში 1000 შენობა, საზოგადო და კულტურული ძეგლი. ასობით მშვიდობიანი მოკლული თურქი ქუჩებში ეყარა, კიდევ ასობით გვამით კი, ქალაქის არხები იყო ამოვსებული. დასახლებული პუნქტი ტერჯანი აფეთქებული და სრულებით გადამწვარი იყო.[830] იგივე საკითხების უფრო სიღრმისეული კვლევა მიეძღვნა იმავე ავტორის, პროფესორ ჯასთინ მაკარტის მონოგრაფია ”Death and Exile: The Ethnic Cleansing of Ottoman Muslims, 1821-1922“ (,,სიკვდილი და

[829] Б. А. Борян. “Армения, международная дипломатия и СССР”, Москва, 1928. т.2-й, стр. 82.

[830] Justin Mccarthy, Carolyn Mccarthy. Turks and Armanians, a Manual on the Armenian Question. Committee on Education Assembly of Turkish American Associations. Washington, D. C. 1989. Pg. 76.

გადასახლება: ოსმალეთის მუსლიმთა ეთნიკური წმენდა, 1821-1922“), სადაც ავტორი, ზემოთ ხსენებული მოვლენების გამო, ქალაქ ერზინჯანს ,,ტრაგედიის პანორამად“ იხსენიებს.[831]

ოსმალთა მე-2 საარმიო კორპუსის სარდალი, გენერალი ქიაზიმ ყარაბექირ ფაშა კი, ასე აღწერს სომეხთა მიერ ჩადენილი მხეცობების ამბავს არზრუმთან ახლოს, სოფელ ალაჯაყეიში: ,,დახოცილთა გვამები ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ეს ძნელად წარმოსადგენია საღად მოაზროვნე კაცისთვის. ბავშვები ხიშტებით იყვნენ დახოცილნი, ქალები და მოხუცები შენობაში გამოკეტეს და დაწვეს. ახალგაზრდები კი, ნაჯახით იყვნენ დაჩეხილები. მათი შიგნეულობა ლურსმნებზე იყო ჩამოკიდებული“.[832] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალთა იმპერიის უმაღლესმა ხელისუფლებამ სომეხთა ამ ქმედებების საპასუხოდ, 1915 წლიდან ადეკვატური ზომების გატარება დაიწყო, კერძოდ - იმპერიის აღმოსავლური ვილაიეთებიდან სომეხი ხალხის გადასახლება საომარი მოქმედებების რაიონიდან შორს, ქვეყნის სიღრმეში, მესოპოტამიაში. თავის წიგნში - ,,Алашкертская и Хамаданская операция на Кавказском фронте мировой войны в 1915 году“, გენერალი ნიკოლაი კორსუნი, რომელსაც ვერაფრით ვერ მივაწერთ არმენოფობობას, წერდა: ,,... აღნიშნულ პერიოდში მილიონამდე ადამიანი იქნა ევაკუირებული. სამხედრო ხელისუფლება და თურქი ხალხი კორექტულად იქცეოდნენ ევაკუირებულებთან მიმართებაში... ეპიდემიებმა და სხვადასხვა სირთულეებმა ევაკუირებულთა დაახლოებით 50%-ის დაღუპვა გამოიწვია. ამ ევაკუაციამ თურქთა მე-3 არმია სომეხი ეროვნების ჩინოვნიკების, სპეციალისტებისა და მუშების გარეშე დატოვა“.[833] როგორც ვხედავთ, გენერალი კორსუნი აღმოსავლეთ ანატოლიიდან დეპორტირებული სომეხი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დაღუპვის მიზეზად ეპიდემიებს და ,,სხვადასხვა სირთულეებს“ ასახელებს, რაც თან ახლდა ამ პროცესს.

1918 წლის დასაწყისისათვის კი, 1914-1915 წლებში არსებული სურათი ისევ განმეორდა. ერზინჯანიდან უკანდახეულმა სომხურმა ნაწილებმა და დაშნაკურმა საბრძოლო რაზმებმა ადგილობრივი მუსლიმებისა და სხვა არასომეხი მშვიდობიანი მოსახლეობის მორიგი დემოციდი მოაწყვეს. დაშნაკთა პარტიის აპოლოგეტი და მეხოტბე ედუარდ ოგანესიანი ასე აღწერს ამ ამბებს:

,,რამდენიმედღიანი შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ სომხურმა ჯარებმა სომხურ მოსახლეობასთან ერთად ერზინჯანი დატოვა. თურქები მათ ფეხდაფეხ მიყვებოდნენ, ქურთები კი, ხან მარჯვნიდან და ხან მარცხნიდან ესხმოდნენ მათ თავს, რაც წარმოუდგენლად ართულებდა უკანდახევას, რომელიც ფაქტიურად ბრძოლით უკანდახევას წარმოადგენდა. მალე უკანდახეულებს სხვა სამხედრო ქვედანაყოფები და ლტოლვილებიც შეუერთდნენ. ეს უზარმაზარი მრავალათასიანი ბრბო მკაცრი ზამთრის პირობებში დიდ დანაკარგებს განიცდიდა: ვის ხელი მოეყინა, ვის ფეხი, უმრავლესობა კი, უბრალოდ თოვლში მწოლიარე დარჩა. ასე რომ, ჯარისკაცთა 40% მწყობრიდან გამოვიდა, ასეულობით კი, ბრძოლებში მოკლეს და დაჭრეს.

გასაგებია, რომ ტანჯვისგან გავეშებული ადამიანთა ეს მასა იმ თურქებს ესხმოდა თავს, ვისაც გზაში ხვდებოდა. ასე რომ, ერზინჯანიდან არზრუმამდე არც ერთი თურქული სოფელი არ დარჩა ხელუხლებელი: ყველა ეს სოფელი ან გადაწვეს ან გაანადგურეს, ხოლო მოსახლეობამ ან გაქცევით უშველა თავს ან ყველა ამოხოცეს. სომეხთა ამ შურისძიებამ კიდევ უფრო გააბრაზა თურქები და ეს ომი სომხურ-თურქულ ხოცვა-ჟლეტად გადაიქცა. მეომარი მხარეები ტყვეებს არ იყვანდნენ - მათ

---

831 McCarthy, Justin. Death and Exile: The Ethnic Cleansing of Ottoman Muslims, 1821-1922. Darwin Press, Incorporated. 1996. ISBN 0-87850-094-4. Pg. 199.

832 Назим Мустафа, научный сотрудник Института истории им. А. А. Бакиханова НАНА. http:// genocide. preslib.az/ru_a2-10.html

833 Корсун Н. Г. Алашкертская и Хамаданская операция на Кавказском фронте мировой войны в 1915 году. Москва. Государственное военное издательство Наркомата Союза ССР. 1940 г. Стр. 153. По материалам книги «Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов» Перинчека Мехмет Бора. «Лаборатория Книги»-2011, стр. 63.

დაუყოვნებლივ ხოცავდნენ. მხარეები ომის წარმოების არანაირ წესს აღარ იცავდნენ და ადამიანებიც მხეცებად იქცნენ.

11 თებერვლისათვის უკანდახეულმა სომხურმა არმიამ და ერზინჯანის მოსახლეობამ არზრუმს მიაღწიეს. იმავე დღეს თურქულმა ჯარებმა ტრაპიზონი დაიკავეს და ხელში ჩაიგდეს რუსული არმიის მიერ დატოვებული უზარმაზარი მარაგები. ფასეულობები, რაც თურქებმა ჩაიგდეს ხელში, მილიონობით რუსული ოქროს რუბლით ფასდებოდა. დასავლეთელი სომხები თავქუდმოგლეჯილები გამორბოდნენ აღმოსავლეთ სომხეთში და მათმა პირველმა ქარავნებმა უკვე მოაღწიეს ერევნამდე და თბილისამდე. არზრუმის გადამწყვეტ ბრძოლაში სომხები დამარცხდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ანდრანიკი სარდლობდა, რომლის სიმამაცეც ყოველთვის იწვევდა ხალხის აღფრთოვანებას“.[834] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

აქ თვით ოგანესიანიც კი აღიარებს იმ ფაქტს, რომ შიშით თავგზააბნეული სომეხი ზინვორები ერზინჯანიდან უკანდახევის დროს მშვიდობიანი თურქი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტით იყვნენ დაკავებულნი. ხოლო რაც შეეხება სომეხთა მიერ ერზინჯანისა და არზრუმის დატოვებას, აგრეთვე იქ მიმდინარე ,,შეუპოვარ ბრძოლებს“ და სომხური საბრძოლო რაზმების პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთებას, მას მომდევნო პარაგრაფში განვიხილავთ უფრო დაწვრილებით.

[834] Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство ,,Феникс”. Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 220. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf

§2.6. სომხური საბრძოლო რაზმების პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთება

1917 წლის 18 დეკემბერს, კავკასიის ფრონტზე, რუსული და ოსმალური არმიების სარდლობებს შორის ერზინჯანში იდება ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტისა და დაზავების შესახებ. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ რუსეთის კავკასიის არმიის შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ევგენი ვიშინსკი და ოსმალთა მე-3 არმიის შტაბის უფროსი, გენერალი მაჰმუდ ქამილ ფაშა. იმის მაგივრად, რომ დროებით ზავს რუსების მხრიდან კავკასიის ფრონტის შენაერთების მობილიზაცია-შევსება, მათი გარკვეული რეორგანიზაცია და ძალთა გადაჯგუფება მოჰყოლოდა, მოხდა პირიქით. კავკასიის ფრონტმა ინტენსიურად იწყო რღვევა. ბოლშევიზმის სენით დაავადებულმა რუსმა ჯარისკაცებმა მასობრივად დაიწყეს დეზერტირობა და რუსეთისაკენ დენა. მას შემდეგ კი, რაც კავკასიის ფრონტი მოირღვა, ბუნებრივია, ფრონტის შეკავების ძირითადი სიმძიმე სწორედ სომხური კორპუსის პირად შემადგენლობაზე უნდა გადასულიყო. აი, აქ კი, სომხები უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. დადგა დრო, როცა მათ ნაქებ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც მთელი ოთხი წლის განმავლობაში საიმედოდ იმალებოდნენ რუსული ხიშტების უკან, უნდა ეჩვენებინათ თუ რას წარმოადგენდნენ ისინი რეალურად, რა საბრძოლო ძალა იყო ეს სომხური ბატალიონები და სომხური კორპუსი. დაშნაკებმა სასწრაფოდ გამოაცხადეს საყოველთაო მობილიზაცია. სომხური ნაციონალური კორპუსის სარდალმა, გენერალმა ნაზარბეგოვმა კი, სომეხ ხალხს შემდეგი ტექსტით მიმართა: ,,მოდით ყველა, ვისაც კი იარაღის ხმარება შეგიძლიათ. მოდით თქვენი იარაღითა და ვაზნებით და თან იქონიეთ ხუთი დღის საკვები მარაგი''.[835] წარმოდგენილი მიმართვა დაყრდნობილია გაზეთ ,,არენას'' 1918 წლის №109-ში გამოქვეყნებულ მასალაზე.

ქალაქ არზრუმის დაცვა და დასავლეთის ფრონტის სარდლობა ,,სომეხთა ჯორჯ ვაშინგტონს'', ანდრანიკ ტოროს ოზანიანს დაევალა, რომელიც 1916 წლიდან ღრმა ზურგში, თბილისსა და ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა. ამ მისიისათვის იგი სასწრაფოდ იქნა კადრში გაწვეული და ამიერკავკასიის მთავრობამ მას ,,ავანსად" რუსეთის არმიის გენერალ-მაიორის ჩინიც უბოძა.

თუ რას წარმოადგენდნენ სამხედრო თვალსაზრისით სომეხთა ეს ე.წ. ,,ბატალიონები" და დაშნაკური საბრძოლო რაზმები, კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტიდან. ეს დოკუმენტი იმ მომენტისათვის რუსეთის კავკასიის არმიის ფაქტობრივი სარდლის, გენერალ ილია ოდიშელიძის პატაკს წარმოადგენს ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარისადმი.

რუსეთის კავკასიის არმიის სარდლის, გენერალ ი. ზ. ოდიშელიძის
ტელეგრამა №7732/365/11464.
სარიყამიშიდან.
ტფილისი. ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარეს.
ასლი: მთავარსარდალს.
1918 წლის 16 თებერვალი.

სომხური ნაწილები სჩადიან მასობრივ მხეცობებს მშვიდობიანი თურქი მოსახლეობის წინააღმდეგ. არ ინდობენ არც ქალებს და არც ბავშვებს. სომხური ჯარი ძალიან სუსტი აღმოჩნდა. მიუხედავად ქურთი ყაჩაღების დახმარებისა, ისინი წინააღმდეგობას ვერ უწევენ თურქთა

[835] Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX - начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. გვ. 124. Лалаян. А. Контрреволюционный Дашнакцутюн и империалистическая война 1914-1918 г.г. В сб. История Азербайджана по документам и публикациям. Баку. Элм. 1990. გვ. 33.

რეგულარულ ჯარს და არ ასრულებენ სამხედრო ბრძანებებს. რუსული ჯარის მსგავსად, ისინიც მალე დეგრადირდებიან, რასაც ხელს უწყობს მათი მხეცური თვითნებობა და დაუსჯელობა.

დარჩენილი საკვების მარაგი ძალიან მცირეა. რევოლუციური კომიტეტის ბრძანებით, არზრუმსა და სარიყამიშში რუსთა მიერ გაძარცვულია სასურსათო და შეიარაღების საწყობები. ყველაფერი წაღებულია. თუ არმია და 12 ათასიანი სომხური მოსახლეობა იძულებული გახდება ამ გზით დაიხიოს უკან, ისინი შიმშილისათვის არიან განწირულები. ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რა მოუვა ამ შემთხვევაში ჯარს და მოსახლეობას. ამიტომ, საკუთარ თავს ვაძლევ უფლებას, მოვთხოვო მთავრობას სარიყამიშის რაიონის საკვებითა და ფურაჟით უზრუნველყოფა, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსალოდნელი მღელვარებები. სიმშვიდის შესანარჩუნებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას რუსების გაქცევის შემდეგ დატოვებული მილიონიანი ქონება.

გენერალი ოდიშელიძე.[836]

გენერალი ანდრანიკ ოზანიანი, რომელსაც ფრონტზე მყოფი სომხური ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების სარდლობა უნდა აეღო თავის თავზე, არზრუმში 1918 წლის 17 თებერვალს ჩამოვიდა. მაგრამ მისი ჩამოსვლისთანავე აღმოჩნდა, რომ სომეხთა ,,რჩეული ნაწილები'' უკვე სრულიად დეზორგანიზებული და გახრწნილები იყვნენ მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯისა, ხოცვა-ჟლეტისა და მოროდიორობისგან.

ასეთი სურათი შეიქმნა რეალურად I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე 1918 წლის დასაწყისისათვის. ძალიან გასაკვირი იქნებოდა, რომ ენვერ ფაშას ახალგაზრდა თურქთა მთავრობას არ გამოეყენებინა რუსეთის რევოლუციის მიერ მიცემული ეს შანსი თავისი ამბიციური გეგმების განხორციელებისათვის კავკასიის მიმართულებაზე. ზუსტად აღნიშნავს დოქტორი ფირუზ კაზიმზადე: ,,ზრუნვა, რომელიც თურქებმა გამოიჩინეს მუსლიმების მიმართ, არ უნდა განვიხილოთ როგორც ფილანტროპიის აქტი. დიდი ალბათობით, იგი დეკემბრის საზავო ხელშეკრულების დარღვევის საბაბად იქნა გამოყენებული".[837]

ენვერ ფაშას პანთურანული ექსპანსია გარკვეული კომპენსაცია უნდა გამხდარიყო იმ დანაკარგების სანაცვლოდ, რომელიც მოსალოდნელი იყო იმპერიის არაბულ პროვინციებში. ამ ეტაპზე ოსმალთა არმიის ამოცანას აღმოსავლეთისკენ წინსვლა, ამიერკავკასიის დაკავება, ბაქოში შესვლა და იქ არსებული ბოლშევიკური რეჟიმის ლიკვიდაცია წარმოადგენდა. გარდა ამისა, აღმოსავლეთისაკენ სვლა და თურქული ექსპანსია ოსმალთა იმპერიისათვის გარკვეული კომპენსაცია უნდა ყოფილიყო მესოპოტამიის ფრონტზე მიწების დაკარგვის სანაცვლოდ. მოვლენების უფრო ნაკლებ რომანტიკულად განვითარების შემთხვევაშიც კი, ოსმალურ არმიას ეძლეოდა შანსი აღედგინა 1878 წლის მდგომარეობით არსებული საზღვრები.

რეალობა ისაა, რომ 1917 წლის მეორე ნახევრიდან დაწყებული, თურქები დიდი ინტერესით აკვირდებოდნენ მოვლენათა განვითარებას რუსეთსა და ამიერკავკასიაში. წლის ბოლოსათვის კი, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საჭირო მომენტი დადგა და გადაუდებელი იყო აქტიური მოქმედებების დაწყება. ამ ამოცანის გადასაწყვეტად გენერალ მეჰმედ ვეჰიბ ფაშას მე-3 არმია განისაზღვრა.[838]

1917 წლის ბოლოსთვის მე-9 არმიად ტრანსფორმირებული ოსმალთა მე-3 არმია შედგებოდა პირველი და მეორე კავკასიური საარმიო კორპუსებისაგან, რომლებიც თავის მხრივ მოიცავდნენ მე-9, მე-10, 36-ე კავკასიურ, და მე-5, მე-11 და 37-ე კავკასიურ დივიზიებს შესაბამისად. ამას კიდევ

---

[836] გურამ მარხულია. ,,დაშნაკცუტუნის'' სისხლიანი ნაკვალევი. გამომცემლობა ,,მერიდიანი''. თბილისი. 2015. გვ. 335. РГВИА. 2100. Опись 1. Дело 698. Лист 4-5.

[837] Фируз Каземзаде. Борьба за Закавказье (1917-1921). Институт стратегических исследований Кавказа. Серия ,,История Кавквза''. CA&CC Press®, 328 стр. Стокгольм. 2010. Стр. 89.

[838] W. E. D. Allen, Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A History of the Wars on the Turco-Cauacsian Border 1828-1921. Cambridge University Press. 1953. Pg. 459.

ემატებოდა მეორე არმიის მე-5 და მე-12 ქვეითი დივიზიები. არმიის პირადი შემადგენლობა 50000 კაცამდე იყო, ხოლო მისი არტილერია 160 ერთეული ქვემეხითა და რამდენიმე გერმანული და ავსტრიული ჰაუბიცით იყო წარმოდგენილი. როგორც უილიამ ალენი აღნიშნავს ,,ეს ძალები საკმარისზე მეტიც კი იყო იმისათვის, რომ სომეხთა და ქართველთა წინააღმდეგობა დაეძლია".[839]

და მართლაც, 1918 წლის 5 თებერვლისათვის იწყება ოსმალთა მე-3 არმიის ნაწილების შეტევითი ოპერაცია აღმოსავლეთის მიმართულებაზე გენერალ მეჰმედ ვეჰიბ ფაშას სარდლობით და...

აქ უცებ აღმოჩნდა, რომ სომხეთის ნაციონალური შეიარაღებული ძალები, რომელზეც საქვეყნოდ გაჰყვიროდნენ დაშნაკები, რომ შექმნეს ,,უძლეველი არმია'', აბსოლუტურად უსუსურები აღმოჩნდნენ საომარი მოქმედებების დამოუკიდებლად წარმოებისათვის. დიახ, გენერალ ილია ოდიშელიძის ზემოთ მოყვანილ პატაკში გამოთქმული მოსაზრებები სწორი აღმოჩნდა. უცებ იჩინა თავი სომეხ მებრძოლთა არაორგანიზებულობამ, სიმხდალემ, დეზერტირობამ. სომხურმა ნაწილებმა სასწრაფოდ დაიწყეს პანიკური უკანდახევა, თუმცა ჩვეულ ძარცვა-გლეჯასა და მშვიდობიანი არასომეხი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტაზე არც ახლა უთქვამთ უარი. მოკლე დროში თურქულმა ქვედანაყოფებმა დაიკავეს აღმოსავლეთ ანატოლიის მნიშვნელოვანი ქალაქები - ბაიბურთი, ერზინჯანი, არზრუმი, ტრაპიზონი. ამ ამბების აღწერისას, სამართლიანობა იმასაც მოითხოვს, რომ თურქი ჯარისკაცის საბრძოლო სულისკვეთებაზეც ითქვას ორიოდე სიტყვა. ამ მიმართებაში გენერალი ევგენი მასლოვსკი აღნიშნავდა:

,,თურქები, როგორც საბრძოლო მასალა, მაღალი ხარისხით ხასიათდებოდნენ. ისინი იყვნენ მამაცნი, გამბედავები, განსაკუთრებულად ამტანნი და თავმდაბლები. მცირედს ითხოვდნენ და ამავე დროს დისციპლინირებულნი იყვნენ... ისინი ვაჟკაცურად იბრძოდნენ. თითქმის ყოველთვის ერთვებოდნენ ხიშტით ხელჩართულ ბროლებში, კარგად იყენებდნენ ადგილმდებარეობას, გაბედულად მიდიოდნენ შეტევაში და თავდაცვით ბრძოლებსაც კარგად ატარებდნენ".[840] როგორც ვხედავთ, თურქი ჯარისკაცის მაღალ საბრძოლო სულისკვეთებას და განსაკუთრებულ ამტანობას მოწინააღმდეგეც კი აღიარებდა.

რაც შეეხება სომეხი ჯარისკაცის ბრძოლისუნარიანობის საკითხებს. სომეხთა შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მორალურ მდგომარეობასა და საბრძოლო სულისკვეთებაზე სრულ წარმოდგენას გვიქმნის ქვემოთ მოყვანილი საარქივო მასალები. ისინი სრულად ხდიან ფარდას იმ მდგომარეობას, თუ რა ხდებოდა 1918 წლის დასაწყისისათვის ერზინჯანი-არზრუმის სომხურ გარნიზონებში და რას წარმოადგენდნენ რეალურად სომეხთა ეს ნაქები ჯარები. არზრუმის დაკარგვასთან დაკავშირებით სასწრაფოდ დაინიშნა სპეციალური საველე მომკვლევი კომისია გენერალ ევგენი გერასიმოვის ხელმძღვანელობით. სწორედ ამ კომისიის მასალების გაცნობაა მეტად მნიშვნელოვანი ჩვენთვის. ერთობ საინტერესოა ცარისტული არმიის ოფიცრის, დევე-ბოინუს საარტილერიო პოზიციის უფროსის, არზრუმის მე-2 საალყო საარტილერიო პოლკის მეთაურის, პოდპოლკოვნიკ ტვერდოხლებოვის მემუარების გაცნობაც არზრუმში დატრიალებული მოვლენების შესახებ 1918 წლის დასაწყისისათვის, რომლის უშუალო თვითმხილველსაც იგი წარმოადგენდა.[841] თავის მემუარში იგი წერს, რომ რუსების წასვლის შემდეგ არზრუმის კომენდანტად დაინიშნა

---

[839] W. E. D. Allen, Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A History of the Wars on the Turco-Cauacsian Border 1828-1921. Cambridge University Press. 1953. Pg. 460.

[840] Вадим Михаилов, доктор исторических наук. Армянские добровольческие дружины в русской армии. В их действиях было замечено мною полное презрение к смерти... Родина. – 2014. — № 11. Масловский Е. В. Мировая война на Кавказском фронте 1914-1917 г. Париж. 1933. Стр. 18. http: //defacto.am/97576.html

[841] Твердохллебов. Мемуары русского офицера. Архив Генштаба Турецкой республики. (I მსოფლიო ომის არქივი. თარო 401. საქმე 1578. ფურც. 1-67).

ბულგარელი სომეხი - ტორგომი. და ერთდროულად დაიწყო მშვიდობიანი თურქი მოსახლეობის მასიური დარბევები და ხოცვა-ჟლეტა. ტვერდოხლებოვის მონაცემებით, ერზინჯანში სომხებმა დახოცეს 800 მშვიდობიანი თურქი. სოფელ ილიჯაში, არზრუმთან ახლოს, ასევე ამოწყვიტეს მთელი მოსახლეობა. (სხვათა შორის, ისევე როგორც ბასარ-გეჩარის შემთხვევაში, სოფელ ილიჯაში ჩატარებული გათხრების შესახებაც არსებობს ვიდეო მასალა, სადაც კარგად ჩანს ,,უძლეველ სომეხ მეომართა საგმირო საქმეები'' - ა. ჩ.). სომხები თავიანთ საქციელს იმით ამართლებდნენ, თითქოს ოკუპირებული ქალაქების მოსახლეობა შეიარაღებულ გამოსვლებს აპირებდა სომხების წინააღმდეგ. შემდეგ პოდპოლკოვნიკი ტვერდოხლებოვი აგრძელებს: ,,ჩვენ, რუს ოფიცრებს, რომლებიც თითქმის ორი წელი გვერდიგვერდ ვცხოვრობდით ქალაქის მოსახლეობასთან და მშვენივრად ვიცნობდით მათ, არ გვჯეროდა მოსახლეობის ვითომდა აჯანყების შესახებ და დაუფარავად დავცინოდით სომეხთა სიმხდალეს''.[842]

1918 წლის იანვრის დასაწყისში ტორგომმა ქვემეხთა ზალპების ქვეშ დიდი აღლუმი მოაწყო, რომელსაც კავკასიის არმიის ფაქტობრივი მთავარსარდალი, გენერალი ოდიშელიძეც ესწრებოდა. ტორგომმა სომხურ ენაზე წაკითხულ თავის გამოსვლაში არზრუმში ,,სომხური ავტონომიის" დაარსება და საკუთარი თავის მის მმართველად დანიშვნა გამოაცხადა. ასეთი საქციელისთვის გენერალმა ოდიშელიძემ იგი სასწრაფოდ გააძევა არზრუმიდან.[843]

აანალიზებს რა გენერალ ანდრანიკისა და საერთოდ სომხური ნაწილების პირადი შემადგენლობის ქმედებებს, ტვერდოხლებოვი ასკვნის: ,,არ ვიცი, იქნებ ანდრანიკი ძალიანაც კომპეტენტური იყო საომარ საქმეებში, მაგრამ მისი განკარგულებები, რომლებიც ეხებოდა არტილერიას და მე გადმომეცემოდა პოლკოვნიკ დოლუხანოვის პირით, გამაოგნებელი იყო თავისი არაპროფესიონალიზმითა და დილეტანტობით. აშკარად ჩანდა, რომ სომხები, ანდრანიკის მეთაურობით, მთელ იმედებს რუსულ ზარბაზნებსა და არტილერიის რუს ოფიცრებზე ამყარებდნენ... მათი მთავარი მიზანი თავიდანვე ნათელი იყო: თავიანთი გაქცევა რუსული ზარბაზნებით დაეფარათ. სინამდვილეშიც ასე მოხდა''.[844]

თურქული ქვედანაყოფები კი ქალაქს უახლოვდებოდნენ. ასეთ ვითარებაში სომეხი ჯარისკაცების მხრიდან კიდევ უფრო გაიზარდა არზრუმის მოსახლეობის ძარცვა-გლეჯვის, ქონების განადგურებისა და ხოცვა-ჟლეტვის მასშტაბები. იგივე მემუარიდან: ,,მე საქმის კურსში ჩავაყენე ,,დოქტორი'' ზავრიევი (ჩვენთვის უკვე ცნობილი ექიმი აკოფ ზავარიანი, რომელსაც იმ მომენტისათვის მეტად ორიგინალური პოსტი ეკავა - ,,დაპყრობილი ოლქების მთავარი გენერალ-კომისრის თანაშემწე'' - ა. ჩ.), რომ ქალაქში დარბევები და ქონების ულმობელი გაჩანაგება დაიწყო... შემდეგ მე შევეკითხე მას, თუ რისთვის მიჰყავს მილიციას სადღაც ქალაქის მუსლიმანი მოსახლეობა. მან მიპასუხა, რომ მათ რკინიგზის ხაზის გასაწმენდათ აგროვებენ. ჩემს შენიშვნაზე კი, თუ რატომ ხდება მათი გარეკვა მაინცდამაინც შუაღამისას და ისიც უმეტესად მოხუცებისა და ხეიბრებისა, მან დაამატა, რომ ამის შესახებ არაფერი იცის''.[845] ,,დაპყრობილი ოლქების მთავარი გენერალ-კომისრის'' თანამდებობაზე დროებითი მთავრობის მიერ გენერალი პიოტრ ავერიანოვი[846] იყო დანიშნული,

---

842 Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 99. Твердохллебов. Мемуары русского офицера. Архив Генштаба Турецкой республики. (I მსოფლიო ომის არქივი. თარო 401. საქმე 1578). ფურც. 131.

843 Назим Мустафа, научный сотрудник Института истории им. А. А. Бакиханова НАНА. http:// genocide. preslib.az/ru_a2-10.html

844 Твердохллебов. Мемуары русского офицера. Архив Генштаба Турецкой республики. I მსოფლიო ომის არქივი. თარო 401. საქმე 1578. ფურც. 137.

845 Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX - начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. გვ. 131. ЦГАОР АР, ф. 894, оп.10, д. 80, გვ. 38.

846 პიოტრ ივანოვიჩ ავერიანოვი (Пётр Ива́нович Аверья́нов) (1867-1937წ,წ,) – რუსი სამხედრო მოღვაწე და სამხედრო ისტორიკოსი-აღმოსავლეთმცოდნე, საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის გენერალ-ლეიტენანტი. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი. სამხედრო სამსახური დაიწყო 1885 წელს. 1888

თუმცა რეალურ ძალაუფლებას დაშნაკი ლიდერები, გენერალი ანდრანიკ ოზანიანი და აკოფ ზავარიანი ფლობდნენ.

ქალაქის მისადგომებთან თურქთა მცირერიცხოვანი ავანგარდის[847] გამოჩენისთანავე კი, ნაქებმა სომხურმა ჯარებმა უმალ დაიხიეს უკან და ყოველგვარი შებრძოლების გარეშე დათმეს საგულდაგულოდ გამაგრებული პოზიციები. ოსმალთა მიერ არზრუმის აღების შესახებ გენერალი ოდიშელიძე შემდეგ ცნობას აწვდიდა ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარეს: ,,არზრუმის დატოვება უმთავრესად გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჯარმა სამხედრო ბრძანება არ შეასრულა. გარდა ამისა, რუსეთის ქვეშევრდომ სომხებში თავი იჩინა სახლში წამოსვლის სურვილმა, ხოლო ოსმალეთის სომხები სრულიად გაუწვრთნელები იყვნენ. ამიტომ არზრუმში მყოფი 3 ათასიანი ქვეითი ჯარი ერთ დიდ ბრბოდ გადაიქცა და უკან წამოვიდა სარიყამიშისაკენ, აფიცერთა უმრავლესობა კი, გასანკალაში დარჩა. საიმედო ჯარის ნაწილებია მხოლოდ მურადის (ამბარცუმ ბოიაჯიანი - ა. ჩ.) და სეფუს (არშაკ ნერსესიანი - ა. ჩ.) ჯართა ცხენოსანი რაზმი, რომელთაც ნაბრძანები აქვთ უზრუნველყოს ჩვენი ჯარის უკან დახევა და რომელიც წამოვა სამხედრო წესით. თან აქვთ 6 სამთო ზარბაზანი. გასანკალა დაარბიეს და იწვის. არზრუმის აღების დროს განკარგულება იყო გაცემული გაენადგურებიათ მთელი არტილერია, მაგრამ პოლკ. ზინკევიჩი (მიხაილ - ა. ჩ.) თითქმის დარწმუნებულია, რომ ამის სისრულეში მოყვანას ვერ შესძლებდნენ, ვინაიდან უკან დახევა ისე მოულოდნელად მოხდა, რომ 20 აფიცერი არზრუმში დარჩა.

დასწვეს საინტენდანტო და სხვა საწყობები, გარდა დიდი სასურსათო მაღაზიისა. ზინკევიჩის აზრით არზრუმში შემოვიდა ოსმალთა 3 ათასი კაცისგან შემდგარი რეგულიარული ჯარი 4 ზარბაზნითა და 4 ტყვიის მფრქვეველით, 3 ცხენოსანი პოლკი ერთი აეროპლანით. ჩვენ დავკარგეთ დაახლოებით 200 დაჭრილი და დახოცილი. გენ. ანდრანიკი თავისი შტაბით გადავიდა კაპრიკეიში. 28 თებერვალს გენ. ანდრანიკმა მაცნობა, რომ კაპრიკეი იცლება და ჯარი გასანკალადან

წელს ამთავრებს საინჟინრო სასაწავლებელს და იღებს პოდპორუჩიკის წოდებას, 1890 წელს ამთავრებს გენერალური შტაბის აკადემიას. 1894 წელს ენიჭება შტაბს-კაპიტნის წოდება. იმავე წელს ინიშნება კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ობერ-ოფიცრად. 1896 წელს ენიჭება კაპიტნის წოდება. 1897 წელს ერთი წლის განმავლობაში მივლინებულ იქნა თურქეთში რუსეთის საელჩოს სამხედრო ატაშატში. 1900 წლიდან მსახურობდა არზრუმში რუსეთის გენერალური საკონსულოს მდივნად და აქვე ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. 1904 წლის 6 დეკემბერს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1905 წელს ინიშნება ლიბავის ციხესიმაგრის უფროსად, ხოლო 1908 წელს – გრენადერთა მეგრული პოლკის მეთაურად. 1910 წლიდან იყო გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს ობერკვარტერმეისტერი. იმავე წელს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1914 წლის 27 მარტს ინიშნება ირკუტსკის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად, ხოლო ომავე წლის 20 ნოემბრიდან გენერალური შტაბის სამობილზაციო განყოფილების უფროსად. 1915 წელს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1916 წლის 10 აგვისტოდან ასრულებდა გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობას. 1917 წლის 15 მაისს გადმოყავთ კავკასიის ფრონტზე, სადაც ფრონტის მომარაგების უფროსად ინიშნება. იმავე წელს იყო ,,რუსეთის ჯარების მიერ დაკავებული თურქული ტერიტორიების გენერალური კომისარი''. 1918 წლის 14 მაისს ინიშნება კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსის მოადგილედ, თუმცა, მალევე ტოვებს კავკასიის ფრონტს და უერთდება თეთრგვარდიულ მოძრაობას. თეთრგვარდიელთა რუსული არმიის რუსეთიდან ევაკუციის შემდეგ გადადის თურქეთში, შემდეგ – იუგოსლავიაში (სერბების, ხორვატებისა და სლოვენიელების სამეფო), სადაც მსახურობდა სერბეთის არმიაში. გარდაიცვალა 1937 წლის 13 ოქტომბერს, ბელგრადში. დაკრძალულია იქვე. თავისი კარიერის განმავლობაში გამოქვეყნებული ჰქონდა რამდენიმე სამეცნიერო და სამხედრო ხასიათის ნაშრომი რუსულ-თურქულ სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობებზე – ,,მოხსენება თურქეთის დაზვერვის ორგანიზაციის შესახებ საომარ დროს'', ,,კავკასია-თურქეთის მოკლე სამხედრო მიმოხილვა'', ,,ერივანის საომარ მოქმედებათა თეატრის მიმოხილვა'', ,,ქურთები და რუსეთის ომები თურქეთთან და სპარსეთთან XIX საუკუნის განმავლობაში'' და სხვა.

847 ავანგარდი (ფრანგ. Avant-garde, სიტყვასიტყვით: Avant - წინ, Garde - დაცვა) – არმიასა და ფლოტში ტაქტიკური დანიშნულების მეწინავე, სათაო საჯარისო ფორმირება, რომელიც სამარშო კოლონაში მოძრაობს ჯარებისა და ფლოტის ძირითადი ნაწილებისა და ქვედანაყოფების წინ და ასრულებს საბრძოლო დაცვის ფუნქციას.

უკან იხევს, თუმცა მოწინააღმდეგე ჯერ არსად ჩანს. გენ. ანდრანიკის ხნისის (ხნუსი - ა. ჩ.) რაზმს ნაბრძანები აქვს დაიძრას ყარაურგანისკენ, სადაც უნდა შეჩერდეს და მიიღოს ზომები თავის დასაცავად. ჯარისკაცთა ბრბოს სტიქიური მოძრაობა სარიყამიშისკენ გრძელდება...“[848]

აი, ასეთი მოუწესრიგებელი და შიშით მოცული იყო სომხური ქვედანაყოფების უკანდახევა, რომლებიც გამაგრებულ საბრძოლო პოზიციებს ჯერ კიდევ მოწინააღმდეგის გამოჩენამდე ტოვებდნენ.

- ,,უკანდახეულები საცოდავ და ამაზრზენ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. ისინი ხან მოკლე საბრძოლო მწკრივებად გაიშლებოდნენ, ხან ისევ შეგროვდებოდნენ ერთად. აშკარად ჩანდა, რომ სიმხდალისა და შიშისაგან წინ წაწევას ვერ ბედავდნენ”,[849] - აღნიშნავდა თავის ჩანაწერებში პოდპოლკოვნიკი ტვერდოხლებოვი.

,,მოხდა ზუსტად ისე, როგორც წარმომედგინა. გარბოდნენ და ზურგს რუსული ზარბაზნებითა და რუსი ოფიცრებით იმაგრებდნენ. მაშინ, როცა რუსი ოფიცრები ბრძოლაში თავისი ხელით ტენიდნენ და უმიზნებდნენ ზარბაზნებს, რითაც შეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს აკავებდნენ, სომეხი ,,მეომრები'' მათ ზურგს უკან ხოცავდნენ და კუწავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას... აღმოჩნდა, რომ სომეხთა მამაცი ქვეითი ჯარი, ღამით, სიბნელის საფარქვეშ, თითქმის სრულად გაიქცა ბრძოლის ველიდან, თავს უშველა და ყარსის შოსესაკენ გაიფანტა. ამ გაქცევას ურაგანის სახე ჰქონდა...

თუმცა არა... ურაგანიც კი ვერ შეძლებდა ასე ჩქარა დაეცალა არზრუმი სომხებისაგან, რა სიჩქარითაც თავად სომხებმა მიატოვეს ქალაქი. თავად ის ფაქტი, რომ თავდაცვის ხაზზე და ქალაქში ფაქტიურად არ აღმოჩნდნენ მოკლული და დაჭრილი სომეხი ჯარისკაცები, თავისთავად მეტყველებდა იმაზე, თუ როგორ მედგრად და დიდხანს იბრძოდნენ ისინი''.[850]

წარმოდგენილი დოკუმენტური მასალების გაცნობისას, დამატებითი კომენტარების გაკეთებაც კი ზედმეტია, იმდენად ნათელია ყველაფერი. ეს ისტორია ძალიან მალე კიდევ ერთხელ გამეორდება - ქართული შენაერთის შეტევის პასუხად, ზუსტად ასეთ ტემპში და ასეთივე წარმატებით დაცალეს სომხურმა ნაწილებმა და საბრძოლო რაზმებმა ქალაქი შულავერი სომხეთ-საქართველოს ომის დროს, 1918 წლის 29 დეკემბრის გამთენიისას და თავქუდმოგლეჯილებმა მოჰკურცხლეს უკან, აირუმისაკენ. ამ საკითხს ჩვენ წიგნის მეორე ნაწილის შესაბამის თავში განვიხილავთ უფრო დაწვრილებით.

დოკუმენტურად და ფაქტობრივად დადასტურებულია, რომ არზრუმის დაცვის ხაზზე, ბოლომდე მხოლოდ რამდენიმე რუსი და ქართველი ოფიცერი იდგა. მხოლოდ ეს ოფიცრები დარჩნენ არზრუმის მთავარ ფორტთან და თურქთა იერიშებს ჩადგმული ლულიდან კარტეჩის[851] საარტილერიო ცეცხლით იგერიებდნენ. და აქ ისმის კითხვა - ვინ იყვნენ ეს თავგადადებული ოფიცრები?

,,ეს ოფიცრები იყვნენ: პოლკ. ალექსანდროვი, შტ. კაპიტანი მიკულინი და რამდენიმე სხვა რუსი ოფიცერი. ქართველი ოფიცრები კი ოთხნი იყვნენ: მდივანი, ხუციევი, ზუხბაია და ხუციევი.

---

848 გაზეთი ,,ერთობა''. 1918. №50. გვ. 2.

849 Твердохллебов. Мемуары русского офицера. Архив Генштаба Турецкой республики. I მსოფლიო ომის არქივი. თარო 401. საქმე 1578. ფურც. 137-138.

850 დასახელებული ნაშრომი. I მსოფლიო ომის არქივი. თარო 401. საქმე 1578. ფურც. 147.

851 კარტეჩი (იტალ. Cartoccio) – საბრძოლო მოქმედებებში ახლო მანძილებზე (300 მეტრამდე) და ღია ადგილზე მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის გასანადგურებლად გამოყენებული საარტილერიო ჭურვის ტიპი. თავდაპირველად კარტეჩის ჭურვი წარმოადგენდა წვრილი ქვებისა და რკინის ნატეხების გროვას, რომელიც იყრებოდა ზარბაზნის ლულაში და მაგრდებოდა ხუფით. მაგრამ შემდეგ, ლულის შიდა არხის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, კარტეჩს ჯერ პატარა ტომარაში ყრიდნენ და შემდეგ ათავსებდნენ ლულაში. თანამედროვე კარტეჩის ჭურვი წარმოადგენს სფეროს ფორმის თუჯის ან ტყვიის ბურთულებს, რომელიც ლითონის ან მუყაოს შეფუთვაშია მოთავსებული.

ისინი თავის საბრძოლო პოზიციებზე ბოლომდე, უკანასკნელი ჭურვის გასროლამდე დარჩნენ, შემდეგ კი მწყობრიდან გამოიყვანეს ქვემეხები და წავიდნენ".[852] ობიექტურობა იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ ქართველ და რუს ოფიცერთა ამ ჯგუფთან ერთადერთი სომეხი ოფიცერიც იმყოფებოდა - პორუჩიკი აკოფიანი.

აი, პასუხიც სომეხ დაშნაკთა ბრალდებების ერთ-ერთ პუნქტზე ქართველთა მიმართ, სადაც ისინი ღალატში ადანაშაულებდნენ ქართველებს თურქთა შემოტევის დროს, არზრუმის მიმართულებაზე წარმოებულ ბრძოლებში. ზემოთ მოყვანილი დოკუმენტური მასალების წარმოდგენით კი, ღალატის რეალური სურათი და ნამდვილი მოღალატეების ვინაობა უკვე ცალსახად გარკვეულია.

საზოგადოდ კი, აი, ასეთი გმირული სულსკვეთებისა აღმოჩნდნენ ,,მამაცი სომეხი ზინვორები''[853] და ასეთი ბრძოლისუნარიანები გამოდგნენ რეალურად მათი ნაქები ,,პოლკები''. ცალმხრივობაში რომ არ დაგვდონ ბრალი, ჩვენს ამ მოსაზრებებს სხვა დოკუმენტური მასალებითაც გავამაგრებთ. ამჯერად, გენერალ გერასიმოვის სამხედრო-საველე კომისიის მასალებს მოვიყვანთ. კომისიის ამ მასალებში თვით გენერალ ანდრანიკ ოზანიანის ჩვენებებია დაფიქსირებული, რომელიც მას არზრუმის სამარცხვინოდ დატოვების გამო ჩამოერთვა. ამ ჩვენებებში კარგად ჩანს როგორც სომხური ნაწილების პირადი შემადგენლობის სრული მორალური გახრწნისა და გადაგვარების სურათი, ასევე თვით გენერალ ანდრანიკ ოზანიანის უსუსური და ყოვლად გაუმართლებელი მცდელობა თავისი დანაშაულებრივი უმოქმედობისა და სიმხდალის გამართლებისათვის: ,,არზრუმში ჩემი ჩამოსვლიდან მცირე ხანში ჩემთან სომეხ ჯარისკაცთა დელეგაცია მოვიდა თხოვნით, რომ ისინი სახლში გამეშვა. მე გაშვებას მათ 10 დღის შემდეგ შევპირდი, როცა არზრუმში გამაგრება მოვიდოდა გენერალ ნაზარბეგოვისა და გენერალ ორდიშევის მეთაურობით. 2 საათის გასვლის შემდეგ ჩემთან ისევ გამოცხადდა 8 კაცი იგივე თხოვნით, რომლებიც მე იგივე პასუხით გავისტუმრე უკან. მალე მე-4 პოლკის ჯარისკაცებმა თვითნებურად დაიწყეს პოზიციებიდან ქალაქში წასვლა. მე გადამწყვეტი ზომების მიღება მომიხდა, რომ აღმეკვეთა მსგავსი ქმედებები (ერთ-ერთ ჯარისკაცს ბრტყლად შემოვკარი შიშველი მახვილი).

1-ლი სომხური პოლკის ოფიცრებმაც დაიწყეს თვითნებურად პოზიციების დატოვება. ასევე იქცეოდნენ ჯარისკაცები სოფელ ილიჯასთან. მე პირადად გავემართე მათთან, რომ დამერწმუნებინა ისინი არ მიეტოვებინათ პოზიციები, მაგრამ ჩემს მიახლოებაზე მათ ჰაერში რამდენჯერმე გაისროლეს, ხოლო ორმა ჯარისკაცმა მკერდში დამიმიზნა შაშხანა... მე ვუბრძანე პოლკოვნიკ ბეჟანბეგს, რომ ხელში აეღო 1-ლი პოლკის საერთო ხელმძღვანელობა და დაეკავებინა პოზიციები ილიჯა - თექე-დარასის შორის, მაგრამ ეს ბრძანება არ შესრულდა...

26 თებერვალს თურქებმა შეტევა წამოიწყეს... ჩვენთან პანიკა დაიწყო და (სომეხმა - ა. ჩ.) ჯარისკაცებმა გაარღვიეს რა მავთულხლართები, ქალაქში შემოვარდნენ, 27 თებერვალს კი, ქალაქიდანაც დაიწყეს გაქცევა... ჩემს არზრუმში ჩასვლამდე უკვე დაეტოვებინა ქალაქი 4000 ჯარისკაცს და ეს პროცესი მერეც გრძელდებოდა. 2 მარტს მე ფეხით გავემართე ყარსის შოსეს გასწვრივ, სადაც ჩვენი ბატარეა იყო განლაგებული. აღმოჩნდა, რომ ბატარეა არ ისროდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში შოსეზე უწყვეტად მოედინებოდნენ ჯარისკაცები. აქვე გამოიარა პოლკოვნიკმა ბეჟანბეგმა... მე გავაგრძელე გზა და ჩავედი ჰასან-ყალაში. გზაში დაახლოებით 8 ათას კაცს გადმოვასწარი. მათ შორის ოფიცრებიც იყვნენ: პოლკოვნიკი დოლუხანოვი, კაპიტანი ჯამგოცოვი თავისი ბატარეით და კაპიტანი ჯამბოლადოვი''.[854]

---

[852] Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 196.

[853] ზინვორი (სომხ. զինվոր) – ჯარისკაცი, მეომარი.

[854] Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 191-194. Показаніе ген.-м. Андраника. Дъло. Разследованіе обстоятельств очищенія Эрзерума произвденное ген.-м. Герасимовымъ. Дъло. 1918.

აი, ასეთია სომეხთა ,,ცოცხალი ლეგენდისა'' და ,,ჯორჯ ვაშინგტონის'' ჩვენების ძირითადი მომენტები, რომელიც მისცა მან გენერალ-მაიორ გერასიმოვის საგამოძიებო კომისიას ქალაქ არზრუმის სამარცხვინოდ დატოვების შემდეგ. ამ ჩვენებებში აშკარად ჩანს ის სულიერი, მორალური და ზნეობრივი მდგომარეობა, რითაც ხასიათდებოდა მთლიანად არზრუმის სომხური გარნიზონის ჯარები. აქვეა შესაძლებელი გარკვეული დასკვნების გამოტანა თვით მათი სარდლის, გენერალ ანდრანიკ ოზანიანის სამეთაურო თვისებებსა და საბრძოლო სულისკვეთებაზე.

ზუსტად ამ დროს კი, როცა თურქთა გარდაუვალი შეტევითი ოპერაცია უნდა დაწყებულიყო არზრუმზე, სომეხთა სხვა საბრძოლო ნაწილები არა დასავლეთის ფონტზე და არზრუმის მიდამოებში იყო გაშლილი, არამედ ერევნის გუბერნიაში და აქ მშვიდობიანი აზერბაიჯანული მოსახლეობის - მოხუცების, ქალებისა და ბავშვების მორიგი ძარცვა-გლეჯითა და სისხლიანი ანგარიშსწორებებით იყვნენ დაკავებულნი. ამ ,,საბრძოლო ნაწილებს'' გენერალი დრასთამატ კანაიანი-დრო მეთაურობდა. აი ერთ-ერთი ცნობა: ,,სომეხ დაშნაკთა ერთ-ერთი თავკაცი ა. ამირიანი წერდა, რომ მხოლოდ ირევნის გუბერნიაში დაშნაკთა მიერ 200 აზერბაიჯანული სოფელი იქნა განადგურებული".[855]

ბრიტანელი მეცნიერის, საუთჰემპტონის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორის მარკ ლევენის (Mark Levene) მტკიცებით, სომხური რაზმების მიერ ერზინჯანსა და არზრუმში 1918 წლის იანვრის ბოლო - თებერვლის შუა რიცხვებამდე მიმდინარე მასობრივი მკვლელობების დროს თითქმის 10 ათასი კაცი იქნა მოკლული. ყარსის რეგიონში სომხურმა რაზმებმა, განსაკუთრებით კი, იმან, რომელსაც ანდრანიკი მეთაურობდა, სისხლის კალო გალეწა და ,,ერთიმეორის მიყოლებით გაანადგურა თათრული სოფლები".[856]

ამ რაზმების საქმიანობის აღწერისას, სრული დამაჯერებლობისა და ობიექტურობისათვის კი. ისევ ნაცად ხერხს მივმართავთ. მოვიყვანთ ამონარიდს სომეხი ავტორის, პროფესორის და აკადემიკოსის, ცატურ აღაიანის ნაშრომიდან: ,,1918 წლის 20 თებერვალს ნაციონალური ბრძოლის არენად ერივანი იქცა. ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ერივანის მოვლენები ინსცენირებულ იქნა დროსა და პოლკოვნიკ ფირუმიანის[857] მიერ. 1918 წლის 22 თებერვალს დაშნაკურმა ჯარებმა ალყაში[858]

---

855 Бакинский Рабочий, 28.05.1918. №53 http://maxpark.com/community/4109/content/2164659.

856 Mark Levene. The Crisis of Genocide. Devastation: The European Rimlands 1912-1938. Oxford University Press, 2013. Vol. I. Pg. 217.

857 დანიელ ბეგ-ფირუმიანი (ფირუმოვი) (სომხ. Դանիել Բեգ-Փիրումյան (Փիրումով)) (1861-1922წ.წ.) – სომეხი ეროვნების რუსი და სომეხი სამხედრო ოფიცერი, რუსეთის საიმპერატორო არმიის და სომხეთის ნაციონალური არმიის პოლკოვნიკი, გიორგის ჯვრის კავალერი. დაამთავრა შუშის საქალაქო სასწავლებელი. 1881 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის იუნკერთა სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1883 წელს. აქვე ენიჭება პოდპორუჩიკის სამხედრო წოდება. 1886 წლიდან პორჩიკია, ხოლო 1900 წლიდან – კაპიტანი. 1902-1910 წლებში მსახურობდა კავკასიის 1-ლი საარმიო კორპუსის 39-ქვეითი დივიზიის 153-ე ბაქოს პოლკში. 1914 წელს ინიშნება იმავე პოლკის ბატალიონის მეთაურად და ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ინიშნება ელიზავეტპოლის 156-ე ბატალიონის მეთაურად. იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. 1915 წელს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. მონაწილეობდა არზრუმის აღების ოპერაციაში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ტოვებს რუსეთის საიმპერატორო არმიას და მონაწილეობს სომხური საარმიო ნაციონალური კორპუსის ფორმირებაში. 1918 წლის დასაწყისში ინიშნება სომეხთა ნაციონალური არმიის მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაურის, ერევნის სამხედრო გარნიზონის უფროსის, გენერალ მოვსეს სილიკოვის (სილიკიანი) მოადგილედ და სურმალის უბნის მეთაურად. ფრონტის სარდლის, გენერალ სილიკოვის მოადგილის რანგში მონაწილეობდა 1918 წლის 21-28 მაისის სარდარაბადის ბრძოლაში, სადაც სომხურმა შენაერთებმა შეაჩერეს ოსმალური შენაერთების შემდგომი წინსვლა. ამავე ბრძოლაში მონაწილეობდა მისი ბიძაშვილი, პოლკოვნიკი პოღოს ბეგ-ფირუმიანი, რომელიც მე-5 ყარაბაღის პოლკს მეთაურობდა. 1919 წელს პოლკოვნიკი დანიელ ბეგ-ფირუმიანი ინიშნება ყარსის ოლქის სამხედრო კომენდანტად. მონაწილეობდა სომხეთ-თურქეთის 1920 წლის ომში, სადაც 1920 წლის 30 ოქტომბერს თურქი ქემალისტების მიერ ყარსის აღების შემდეგ, ტყვედ ბარდება. ტყვეობიდან განთავისუფლდა 1921 წლის

მოაქციეს აზერბაიჯანული სოფელი ულუხანლო და დროს ბრძანებით მას საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს. სისხლიანი ეროვნებათაშორისი შეტაკებები მიმდინარეობდა აგრეთვე სურმალიში, კამარლუსა და სხვა ადგილებში. დავალუს რაიონში დაშნაკური რაზმები კურო თარხანიანისა და პოლკოვნიკ ტერ-სარქისიანის მეთაურობით ადგილობრივი აზერბაიჯანელი მოსახლეობის წინააღმდეგ ძალადობისა და მხეცობის გაუგონარ ქმედებებს ჩადიოდნენ".[859]

როგორც ვხედავთ, სახეზეა სომხური ,,საბრძოლო რაზმების დიდი ბელადებისა" და პირადი შემადგენლობის გახრწნისა და გადაგვარების სრული სურათი... მაგრამ აღწერილი ფაქტები კიდევ არაა ყველაფერი. იგივე გენერალ ანდრანიკ ოზანიანის ჩვენებიდან: ,,ჰასან-ყალაში, კაპრი-ქაისა და ხორასანში 7 მატარებელი იდგა ლტოლვილი ქალებისა და ბავშვებისათვის. მაგრამ დაახლოებით 4000-მა ჯარისკაცმა - მათ შორის ოფიცრებიც იყვნენ - გადმოყარეს ისინი მატარებლებიდან და თავად უშველეს თავს''.[860]

როგორც ვხედავთ, სომეხთა ეს ნაქები ,,ჯარები" საკუთარი ტყავის გადასარჩენად არც საკუთარ ლტოლვილებს ინდობდნენ და თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ უკან. და ეს მაშინ, როცა თურქთა საბრძოლო ავანგარდი სულ რაღაც 2500 კაცს შეადგენდა. სომხური ნაწილები კი, პირველხარისხოვან გამაგრებულ ქალაქ-სიმაგრეში იმყოფებოდნენ 600 ზარბაზნითა და ქვემეხით და მათი პირადი შემადგენლობაც 15000 კაცს შეადგენდა. სომხებმა კი, ყოველგვარი ბრძოლების გარეშე დატოვეს არზრუმი. მოვლენებს ცოტა წინ გავუსწრებთ და დავამატებთ, რომ ასეთივე ,,წარმატებით'' და ,,სახელოვნად" მოქმედებდნენ სომხური გარნიზონები სარიყამიშიდან და ყარსიდან გაქცევისას, სომეხთა 1-ლი დივიზიის მეთაურის, გენერალ არეშიევის მეთაურობით. წარმოდგენილი მასალების ანალიზის საფუძველზე, ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ სომხური ნაწილების პირადი შემადგენლობის არავითარ მორალურ მდგრადობასა და საბრძოლო სულისკვეთებაზე ლაპარაკიც კი, ცხადია, არ შეიძლება.

აი, სომხური საარმიო კორპუსის შტაბის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ევგენი ვიშინსკის[861] შეტყობინებაც, რომელიც 1918 წლის 2 მარტითაა დათარიღებული, სადაც სომხური კორპუსის ის ნარჩენებია დასახელებული, რომლებიც 1 მარტისათვის დარჩა სომეხთა ,,ქებული ჯარებიდან'':

შემოდგომაზე. იმავე წლის ბოლოს ბოლშევიკებმა იგი დააპატიმრეს და დახვრიტეს ყარაქილისაში (დღევანდელი ვანაძორი) 1922 წლის 10 ოქტომბერს. დაკრძალულია ეჩმიაძინში.

858 ალყა – შეტევითი სამხედრო სტრატეგიის ერთ-ერთი სახეობა. მოწინააღმდეგის საჯარისო დაჯგუფების (ძალების) განადგურების ან ცოცხალი ძალის ტყვედ ჩაგდების მიზნით მისი ძირითადი ძალებისგან ან მოკავშირეებისგან იზოლაციაში მოქცევის ფანდი. საალყო ბრძოლა წარმოადგენს მოწინააღმდეგის გამაგრებულ პოზიციებზე სტატიკური ხასიათის და ხანგრძლივი დროის, დაბალი ინტენსივობის ბრძოლას, რომლის დროსაც ხშირად გამოიყენება დაუძლურების სტრატეგია. ალყის მასშტაბებისა და კონფიგურაციის შესაბამისად ხშირად იხმარება შემდეგი სამხედრო ტერმინები – სტრატეგიული ქვაბი, ტომარა, ჯიბე, წრე.

859 Ц. П. Агаян. Великий Октябрь и борьба трудящихся Армении за победу советской власти. А. Н. Армянской ССР. Ереван. 1962. გვ. 150.

860 Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 195. Показаніе ген.-м. Андраника. Дъло Разследованіе обстоятельств очищенія Эрзерума произвденное ген.-м. Герасимовымъ. Дъло. 1918.

861 ევგენი ევგენევიჩ ვიშინსკი (რუს. Евгений Евгеньевич Вышинский) (1873-1920წ.წ.) – პოლონური წარმომავლობის რუსი სამხედრო ოფიცერი და მოღვაწე, მკვლევარი აღმოსავლეთმცოდნე, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-მაიორი და რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, გიორგის ჯვრის კავალერი, I მსოფლიო ომის მონაწილე. დაამთავრა სუვალკის კლასიკური გიმნაზია. 1892 წლიდან სამხედრო სამსახურშია. 1894 წელს ამთავრებს მოსკოვის იუნკერთა სასწავლებელს. მსახურობდა საარტილერიო ბრიგადაში. 1900 წელს ამთავრებს გენშტაბის აკადემიას და იღებს შტაბს-კაპიტნის სამხედრო წოდებას. 1902 წელს ენიჭება კაპიტნის წოდება. სამსახურს აგრძელებს კავკასიის მე-3 მსროლელ ბატალიონში. ეკავა შტაბის ოფიცრის, შემდეგ კი, ბატალიონის მეთაურის თანამდებობები. 1905 წელს ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. 1906 წლიდან კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ადიუტანტია. 1909 წელს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1908-1914 წლებში იყო არზრუმის

,,გაწვდით ცნობებს მოწინააღმდეგესა და სომხურ ნაწილების საერთო მდგომარეობაზე. 1-ლი მარტისათვის ჰასან-ყალაში მტერი არ ჩანდა ათიოდე ცხენოსნის გარდა. დილის 10 საათის მოხსენებებში მტრის არსებობა არ ფიქსირდება. როგორც ჩანს, იგი ჰასან-ყალადან ჯერ არ იძვრება. სომეხთა რეგულარულმა ჯარის ნაწილებმა არსებობა შეწყვიტეს და სათითაოდ მიაშურეს სახლებს. ჩვენი არიერგარდული ნაწილები (ფაქტობრივად კი საფრონტო ავანგარდები - ა. ჩ.) ასეა განლაგებული: სანახევროდ გაქცეული ცხენოსანი ასეული ხორასანშია, ცხენოსანი პოლკის ესკადრონი ყარა-ურგანში. სეფუსა და მურადის ცხენოსნები, დაახლოებით 100 კაცი, ყარაქილისასა და ყარაყურთისაკენ გაემართნენ".[862] აი, ასეთი იყო იმ ნაქები და საქვეყნოდ აფიშირებული სომხური ჯარის საცოდავი ნარჩენები, რომლებიც 1918 წლის 1 მარტისათვის სარიყამიშის მისადგომებთან იყვნენ თავმოყრილნი.

გამოკვეთილად უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ გენერალმა ოზანიანმა ერთ-ერთმა პირველმა უშველა თავს არზრუმიდან გაქცევით და თან ისე, რომ არავითარი უკანდახევის საბრძოლო ბრძანება მის მიერ გაცემული არც ყოფილა. სარიყამიშიდან თბილისში მის მიერ 1918 წლის 3 მარტით დათარიღებულ მთავარსარდლისადმი გამოგზავნილ ტელეგრამას კი შემდეგი სახე ჰქონდა:

,,ტფილისი.

სასწრაფო.

კავკასიის არმიის მთავარსარდალს.

03. 03. 1918.

მე მოღალატეებისა და გამცემების გარემოცვაში აღმოვჩნდი. გთხოვთ, სამუდამოდ გამათავისუფლოთ თქვენს მიერ დანიშნული სომხური შერეული რაზმის უფროსის თანამდებობიდან. მიზეზების დასახელებისაგან თავს ვიკავებ. ხვალ მივემგზავრები სარიყამიშიდან.

გენერალი ანდრანიკი.

სომხური შერეული რაზმის უფროსის ადიუტანტი, პოდპ. თუმანოვი".[863]

ესეც ჩვენი ნაქები ზორავარი და ,,სომეხთა ჯორჯ ვაშინგტონი". შიშისგან თავგზააბნეული ანდრანიკი ისე ტოვებს დაკავებულ თანამდებობას, თავის შენაერთს და ქალაქ სარიყამიშს, რომ ტელეგრამის პასუხსაც არ ელოდება არმიის სარდლობისაგან. და მართლაც, რეალური საბრძოლო მოქმედებები და საომარი ფრონტი ხომ ასე უცხო ხილი იყო სომეხთა ნაქები ჯარებისათვის. ისინი ხომ მხოლოდ მშვიდობიანი და უიარაღო მოსახლეობის წინააღმდეგ იჩენდნენ უზომო ვაჟკაცობასა და გამბედაობას რუსული ხიშტების საფარქვეშ. ასე იყო მსოფლიო ომის მიმდინარეობისას 1914-1915 წლებში და ასე გაგრძელდება დამოუკიდებელი სომხეთის რესპუბლიკის არსებობის დროსაც. ზუსტად ასევე წარიმართება მოვლენები სომხეთ-საქართველოს ომშიც, სადაც სომხებმა

რუსული საკონსულოს მდივანი. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ინიშნება კავკასიის გრენადერთა დივიზიის ერევნის მე-13 პოლკის მეთაურად. 1915 წელს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1916 წლის 13 ოქტომბერს ინიშნება კავკასიის არმიის შტაბის მორიგე გენერლად. მოგვიანებით არის კავკასიის არმიის გენერალ-კვარტერმეისტერის მოადგილე. 1917 წლის 9 ივნისს ინიშნება კავკასიის არმიის შტაბის უფროსად და ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. კავკასიის ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ, რუსეთში არ ბრუნდება, რჩება ამიერკავკასიაში და სამხედრო სამსახურს სომხურ კორპუსში აგრძელებს. 1918 წლის 5 მარტს ინიშნება ცალკეული სომხური კორპუსის შტაბის უფროსად. 1918 წლის სექტემბრიდან, სომხური კორპუსის დაშლასთან დაკავშირებით, გადადის სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში. გარდაიცვალა 1918 წლის 30 სექტემბერს, დილიჟანში. დაკრძალეს იქვე, სრული სამხედრო პატივის დაცვით. ეწეოდა კვლევით მუშაობას ამიერკავკასიისა და თურქეთის ისტორიის საკითხებზე. დაწერა გეოგრაფიული და სტატისტიკური ხასიათის რამდენიმე ნაშრომი.

862 Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. გვ. 198.

863 დასახელებული ნაშრომი. გვ. 199.

ქართველების წინააღმდეგ ომი ,,თავისი დიდი მოკავშირეების", ბრიტანელებისა და ცარისტი გენერლების მხარდაჭერის იმედით წამოიწყეს.

და აქ სცენაზე შემოდის კიდევ ერთი რუსი ავტორი, ალექსანდრ ბორისოვიჩ შიროკორადი და მისი მონოგრაფია ძალიან ამბიციური და მყვირალა სათაურით - ,,Война и мир Закавказья за последние три тысячи лет". ბუნებრივია, ასეთი ხმამაღალი სათაურის მქონე ნაშრომმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო და დიდი ინტერესიც გამოიწვია. ალბათ ჰეროდოტესა და თუკიდიდეს დარი ისტორიკოსი თუ გაბედავდა მსგავსი მოცულობისა და სირთულის პრობლემასთან შეჭიდებას. დავიწყეთ კითხვა და... აი ამ ,,ნაშრომის" პირველი თავის პირველი პარაგრაფის პირველივე სტრიქონებიც:

§ 1. Расцвет и гибель армянских государств.

Историю Закавказья, точнее, краткий ее очерк я вынужден для удобства читателей искусственно разделять на историю Грузии, Армении и Азербайджана в границах соответствующих советских республик. Советские, а ныне ,,демократические" историки внушили нашим читателям, что эти государства существовали еще до Рождества Христова. На самом деле термин Грузия произошел от персидского слова ,,Гюрджистан", то есть ,,страна волков". Так персы именовали княжества Картли, Мингрелию, Сванетию и другие. А первое государство, в названии которого появилось слово ,,Грузия", была меньшевистская республика, созданная с помощью немецких войск в 1918 г. До этого не было ни одного княжества или царства с таким названием.

Термин ,,Азербайджан" до 1917 г. обозначал часть Северной Персии, а те, кого мы называем азербайджанцами, официально именовались в Российской империи татарами.

До Рождества Христова было известно лишь одно Армянское царство. С него и начну рассказ о событиях в Закавказье...[864]

ჰოოო, აქ მართლაც უმძიმეს შემთხვევასთან გვაქვს საქმე... ბატონ შიროკორადის მიხედვით, ქრისტეშობამდე თურმე ამიერკავკასიაში მხოლოდ ერთადერთი სახელმწიფო - სომხური სამეფო არსებობდა თურმე და ტერმინი ,,საქართველოც", როგორც ასეთი, 1918 წლამდე არც არსებულა. ,,ნაშრომში" წარმოდგენილი შემდგომი პასაჟები და დასკვნები კიდევ უფრო გამაოგნებელია, მაგრამ მის სრულ განხილვას ამჯერად არ შევუდგებით. მოკლედ რომ ვთქვათ, არმენოფილი ალექსანდრ ბორისოვიჩის ეს ოპუსი აბსტინენციის სინდრომით შეპყრობილი რუსი დედაკაცის ისტერიულობით დაწერილი, უნიჭო ციინიზმით, თვითკმაყოფილების სიბრიყვითა და ქართველოფობური ოდეოლოგიით უხვად შეზავებული ნაცოდვილარია - ესაა და ეს.

დავინტერესდით ამ ვინმე ალექსანდრ ბორისოვიჩის პერსონით და აღმოჩნდა, რომ იგი თურმე ყოფილა – Современный российский военный специалист, публицист. Автор нескольких десятков научно-популярных книг по артиллерии, военной технике. Его работы в технических вопросах — области артиллерийского вооружения признаются как авторитетные (Широкорад является одним из ведущих специалистов по отечественной артиллерии). ასეთ კვალიფიკაციას აძლევენ მას რუსი ავტორები ა. ლობანოვი[865] და ო. აშჩეულოვი[866] თავიანთ ნაშრომებში. თურმე ალექსანდრ ბორისოვიჩი პროფესიონალი სამხედრო, თან თანამედროვე რუსული არტილერიის მამაც ყოფილა. ანუ, რაღაც ქსენოფონტეს მსგავსი - თან ისტორიკოსი, თან სამხედრო. და აქ ერთი

---

[864] Александр Борисович Широкорад. Война и мир Закавказья за последние три тысячи лет. — Москва: АСТ, ВКТ., 2009. — ISBN 978-5-17-059463-4. Стр. 25. https://www.litmir.me/br/?b=188781&p=25

[865] А. В. Лобанов. Артиллерия резерва Верхового главнокомандования в Великой Отечественной войне — Военно-исторический журнал, № 2, 2006.

[866] О. Е. Ащеулов. Роль советской артиллерии в решающих битвах и операциях великой Отечественной войны — Автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата исторических наук, 2008.

გენიალური ქართველი რეჟისორის მიერ გადაღებული ერთ-ერთი საყოველთაოდ ცნობილი საბჭოთა ფილმიდან მოვიყვანთ ამ შემთხვევასთან დაკავშირებულ ძალიან ცნობილ ფრაზას - „Вообще то летчик, но иногда – эндокринолог".

დიახ, ასეთ პასუხს იძლევა ფილმ „მიმინოს" მთავარი პერსონაჟი, ვალიკო მიზანდარი საკუთარი პერსონის წარდგენისას. და მაინც რომელ მეცნიერებებშია ალექსანდრ ბორისოვიჩი უფრო განსწავლული - ისტორიაში, პუბლიცისტიკაში, არტილერიაში თუ სამხედრო ხელოვნებაში ზოგადად? იქნებ სტრატეგიაში ან ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიაში? და ბოლოს და ბოლოს, ვინ არის რეალურად ეს ალექსანდრ ბორისოვიჩ შიროკორადი - летчик თუ эндокринолог? ყველაფერთან ერთად, ბატონი შიროკორადის შესახებ კიდევ ერთ ფენომენალურ მონაცემსაც მივაკვლიეთ - თურმე ეს „ღრმად განსწავლული" ავტორი პუბლიცისტური მოღვაწეობის გიგანტიც ყოფილა. ამ თვალსაზრისითაც იგი ერთობ მწარმოებლური აღმოჩნდა - მისი ავტორობით 1995-2017 წლებში ასზე მეტი სამხედრო-ისტორიული ხასიათის მხოლოდ წიგნია გამოცემული(?!)Sic! წარმოგიდგენიათ? წელიწადში საშუალოდ ხუთი წიგნი(?!)

მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთლად ასე არც თვით რუსეთში ბნელა. რუსეთშიც არსებობენ აკადემიური პერსონები, მეცნიერები, მკვლევარები, რომლებიც ობიექტურობის მისაღებ ხარისხში აწარმოებენ სამეცნიერო მუშაობას. აი რას წერს ალექსანდრ ბორისოვიჩზე პოლკოვნიკი ანატოლი არტემიევი, პირველი კლასის სამხედრო მფრინავი, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდლობის სამხედრო-საისტორიო ჯგუფის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, თავის კრიტიკულ სტატიაში „Гаврилы" против торпедоносцев, или что получается, когда о войне пишут дилетанты-циники": „После просмотра книги г-на Широкорада у меня появилось более сотни замечаний различного содержания, свидетельствующих о некомпетентности автора по ряду вопросов и его циничном отношении к людям… Средства массовой информации постоянно сообщают о погромах мест захоронений, издевательствах над памятниками, а есть интеллектуальные специалисты „широкого" профиля, которые ради своих корыстных целей готовы исказить и показать все, что происходило ранее, в невыгодном свете. Пиар на костях - излюбленная традиция „Гаврил"![867] და კიდევ ერთი - პროფესორ ევგენი პოგორელოვის წერილი „Военные тайны" ПИСАТЕЛЯ (ეს სიტყვა მთავრულით არის გამოყოფილი - ა. ჩ.) Широкорада" ჟურნალ „Военно-исторический журнал"-ის რედაქციას:

„Уважаемая редакция!

В „Военно-историческом журнале" №10 за 2007 год были опубликованы две статьи под заголовком "Неизвестные войны" историка Александра Широкорада". Целиком разделяю мнение авторов подполковника А. В. Лобанова и капитана I ранга Е. Г. Мачикина о книге А. Б. Широкорада, но не могу согласиться с тем, что в названиях статей А. Б. Широкорад именуется историком. Так, статья А. В. Лобанова озаглавлена: „Псевдонаучное исследование военных действий в Северном Причерноморье", а Е. Г. Мачикина — „Разбавленная анекдотами хроника с многочисленными ошибками и неточностями". Историк не может заниматься псевдонаукой и анекдотами. Творения А. Б. Широкорада — не что иное, как фальсификация истории.

Действительно, те войны, о которых пишет А. Б. Широкорад, не известны никому, кроме него самого и ему подобных фальсификаторов".[868]

---

867 Анатолий Артемьев. Полковник в отставке, военный летчик 1-го класса, с 1983 по 1991 г. Старший научный сотрудник исторической группы главкома ВМФ. „Гаврилы" против торпедоносцев, или что получается, когда о войне пишут дилетанты-циники". Военно-промышленный курьер ВПК. Общероссийская еженедельная газета. http://vpk-news.ru/articles /3459.

868 Е. Погорелов. „Военные тайны" ПИСАТЕЛЯ Широкорада. „Военно-исторический журнал". http:// history.milportal.ru/arxiv/voenno-istoricheskij-zhurnal-2009-g/voenno-istoricheskij-zhurnal-3-2009-g/.

ფსევდომეცნიერობასთან ერთად სხვა რუსი ავტორები შიროკორადს პლაგიატშიც სდებენ ბრალს,[869] ზოგიერთები კი, მოგონილი ამბების ტირაჟირებასა[870] და ისტორიული ფაქტების პირდაპირ ფალსიფიკაციაში ამხელენ მას.[871] საერთო ჯამში, ა. არტემიევის, ე. მაჩიკინის, ე. პოგორელოვისა და რ. სოლომონოვის ამ შეფასებებით ყველაფერი თავ-თავის ადგილებზე დგება. ალექსანდრ შიროკორადის, ისტორიის ამ ფალსიფიკატორის წინააღმდეგ, ცხადია, მოცემულ ფორმატში ფართო მეცნიერული კამათის გამართვას არ ვაპირებთ, რადგან აღნიშნულ თემას უამრავი ქართველი და არაქართველი მეცნიერის სერიოზული კვლევა მიეძღვნა, სადაც მაღალპროფესიულ და აკადემიურ დონეზეა წარმოდგენილი ,,ველიკოდერჟავული" და რუსული შოვინიზმით უხვად გაჟღენთილი ასეთი ე.წ. ,,ნაშრომების" იმპერიული არსი.

თავის წიგნში 1918 წლის ზამთარი-გაზაფხულის პერიოდში კავკასიის ფრონტზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ალექსანდრ ბორისოვიჩ შიროკორადი წერს: ,,30 იანვარს თურქებმა დაიკავეს ერზინჯანი, 4 თებერვალს - ბაიბურთი, 8 თებერვალს - მემეხათუნი, 29 თებერვალს - არზრუმი, მარტისათვის მათ უკვე ყველა ის თურქული ტერიტორია ჰქონდათ დაკავებული, რომელიც პირველ მსოფლიო ომში იყო რუსების მიერ ოკუპირებული. ***და აქ ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარემ, ა. ჩხენკელმა უკან დახევის ბრძანება გასცა გენერალ ნაზარბეგოვს.***

15 აპრილს თურქებმა ბრძოლის გარეშე დაიკავეს ბათუმი, 25 აპრილს კი - ყარსი. სომხურ ჯარს შეეძლო როგორც მინიმუმ, რამდენიმე თვით მაინც შეენარჩუნებინა ახლო აღმოსავლეთის ყველაზე უფრო მძლავრი სიმაგრე, ***მაგრამ ჩხენკელის დანაშაულებრივი ბრძანების გამო, სომხებმა ყარსი დატოვეს.*** თურქებს დარჩათ დაახლოებით 600 გამართული რუსული ქვემეხი, ათეულ ათასობით შაშხანა, ათობით ავტომობილი, საბრძოლო მასალებითა და სამხედრო სამოსით გადავსებული საწყობები. ყარსში თურქებმა მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ძარცვა და სომეხთა ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს. თუმცა, 1918 წლის 24 მაისს, სარდარაბადთან სომხური არმია ამარცხებს თურქებს და ინარჩუნებს თავის დედაქალაქს, ერევანს. ***თურქთა დამარცხებაში გადამწყვეტი როლი გენერალმა ანდრანიკ სასუნიმ*** (ანდრანიკ ოზანიანი - ა. ჩ.) ***შეიტანა***".[872] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

სომხების მიერ ყარსის დატოვებასთან დაკავშირებით, ავტორი ისტორიული ფაქტების წარმოუდენელ ფალსიფიკაციას ახდენს. თურმე ნუ იტყვით და, სომხური შენაერთები იმიტომ იხევდნენ უკან და დატოვეს საარაკოდ გამაგრებული ქალაქი ყარსი, რომ მათ სარდალს, გენერალ ნაზარბეგოვს, თურმე ბატონმა აკაკი ჩხენკელმა უბრძანა ეს(?!) ე.ი. აქაც ქართველები ყოფილან თურმე დამნაშავენი. ხოლო მეორე ხაზგასმაში გამოტანილ ინფორმაციასთან დაკავშირებით ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ანდრანიკ ოზანიანმა (ანუ ანდრანიკ სასუნიმ, როგორც მას ბატონი შიროკორადი მოიხსენიებს) არა თუ გადამწყვეტი როლი ითამაშა სარდარაბადის ბრძოლაში, არამედ საერთოდ არ მიუღია მასში მონაწილეობა. სარდარაბადის ბრძოლებამდე (1918 წლის 21-28 მაისი) ლამის სამი კვირით ადრე, არზრუმიდან სამარცხვინო გამოქცევის შემდეგ, გენერალმა ანდრანიკ ოზანიანმა თვითნებურად მიატოვა მის დაქვემდებარებაში მყოფი სომხური შენაერთი და თავი სევანის მაღლობებს შეაფარა.

---

869 К. и. н. А. Н. Лобин. «А. Б. Широкорад, плагиат, копи-паст и артиллерия». https://alexuslob.livejournal.com/115193.html

870 Критика книги: А. Широкорад "Северные войны России". Минск, "Харвест", 2001. https://www.Aroundspb.ru/variety/plagiat.php

871 Соломонов Р. Черноморский флот. Дуэль. - №23 (422). - 14. 06. 2005.

872 Александр Борисович Широкорад. Война и мир Закавказья за последние три тысячи лет. — Москва: АСТ, ВКТ., 2009. — ISBN 978-5-17-059463-4. Стр. 25. https://www.litmir.me/br/?b=188781&p=25

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ შიროკორადის მიხედვით საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა თავიანთი სახელმწიფოებრიობა, თურმე, შესაბამისად, 1918 წლის 8, 9 და 10 ივნისს მოიპოვეს. ვერაფერს ვერ ვიტყვით... და საერთოდ, თარიღების, ფაქტების, მოვლენების საკუთარი შეხედულებებით ინტერპრეტირება და მათი ფალსიფიკაცია ბატონი შიროკორადის ერთობ დამახასიათებელი ნიშანია. ამ მიმართებით მოცემული მონოგრაფიის განხილვა აღარც ღირს. ,,თანამედროვე რუსული არტილერიის მამას" და ამ ე.წ. ,,ისტორიკოსს", ალექსანდრ ბორისოვიჩს კი, ვურჩევდით მოღვაწეობის სფერო შეცვალოს და სხვა დარგში გაცვითოს თავის ,,წვეტიან" აზრებთან ჰარმონიაში მყოფი მახვილი კალამი.

დავუბრუნდეთ ისე I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტს და აქ მიმდინარე პროცესებს. საველე საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი ევგენი გერასიმოვი, ასეთ დასკვნას ურთავს ზემოთ აღწერილ ამბებთან დაკავშირებულ საგამოძიებო მასალებს, რომელსაც არ შეიძლება ცალსახად არ დაეთანხმოს კაცი:

,,მე ვფიქრობ, რომ სომეხთა ასეთი მოქმედებები (სომეხთა პანიკური გაქცევა ფრონტის ხაზიდან და პოზიციების მიტოვება - ა. ჩ.) აიხსნება მათი ტყვედ ჩავარდნის შიშით. იმდენად, რამდენადაც სომეხთა და თურქთა, ***განსაკუთრებით კი, სომეხთა და ქურთთა შორის*** არსებული საუკუნოვანი მტრობის გამო, ტყვედ ჩავარდნილი სომხები არ იმედოვნებდნენ რომ მათ ცოცხლად დატოვებდნენ, ***განსაკუთრებით იმ ექსცესების შემდგომ, რასაც ისინი ჩადიოდნენ მშვიდობიანი თურქი და ქურთი მოსახლეობის წინააღმდეგ***".[873] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.). იგივეს ადასტურებდა იმ ამბების უშუალო მომსწრე კიდევ ერთი რუსი ოფიცერი, ყუბანის კაზაკთა ჯარების პოლკოვნიკი ფიოდორ ელისეევი: ,,არც თურქები და არც ქურთები სომხებს, ისევე როგორც სომხები ამ უკანასკნელთ, ტყვედ არ იყვანდნენ. ისინი ბრძოლებში ერთმანეთს ულმობლად ანადგურებდნენ".[874]

დიახ, I მსოფლიო ომის საომარ მოქმედებათა თეატრებზე, სომხები ,,დიდი წარმატებით" ანხორციელებდნენ ოსმალთა იმპერიის მუსლიმი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტასა და ძარცვა-გლეჯას. ეს ისტორიული ფაქტია, რასაც თვით გენერალი ოდიშელიძეც აღნიშნავდა. მას, როგორც კავკასიის ფრონტის ფაქტობრივ სარდალს, ცხადია მოეპოვებოდა ამ ამბების შესახებ სანდო ინფორმაციები. თავის ისტორიული ხასიათის ნაშრომში ,,საქართველოს საზღვრები" (,,Границы Грузіи"), რომელიც 1919 წელსაა დაწერილი, იგი აღნიშნავს, რომ ,,თურქთა გაჟლეტვის ხელოვნებაში სომხები უფრო დაუნდობლები, უფრო ლოგიკურები და უფრო მეთოდურები იყვნენ, ვიდრე თურქები".[875] ამ ამბების კიდევ ერთი უშუალო თვითმხილველი, ავსტრიელი ჟურნალისტი სტეფან ეშნანი კი, წერდა: ,,თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებოდი სომეხთა მხეცობის კვალს. ტრაპიზონიდან ერზინჯანამდე და ერზინჯანიდან არზრუმამდე ყველა სოფელი განადგურებული იყო".[876] სომხების მისამართით გენერალ ოდიშელიძის მიერ მეტად არასასიამოვნო, მძიმე და სამწუხარო ეპითეტებია გამოთქმული. უფრო მძიმე კი ის არის, რომ დაშნაკური საბრძოლო რაზმების მიერ მშვიდობინი მაჰმადიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა ასეთივე ,,წარმატებით'' გაგრძელდა ამიერკავკასიაშიც, მათ შორის ქართველი მაჰმადიანებისა, საქართველოს იმ ისტორიულ მიწებზე, სადაც მოიყარეს თავი უკანდახეული სომხური რაზმების ნარჩენებმა.

---

873 Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г. гз. 197.

874 Безугольный А. Ю. Генерал Бичерахов и его Кавказская армия. Неизвестные страницы истории Гражданской войны и интервенции на Кавказе. 1917—1919. — М.: Центрполиграф, 2011. — 348 с. — ISBN 978-5-227-02536-4. Стр. 213.

875 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 9, ფურცელი 17.

876 Justin Mccarthy, Carolyn Mccarthy. Turks and Armanians, a Manual on the Armenian Question. Committee on Education Assembly of Turkish American Associations. Washington, D. C. 1989. Pg. 77. Reported to the Nues Wiener Tagblatt, Prester Lloyd, etc.

ბევრისათვის არცაა ცნობილი და დღეს უკვე დავიწყებასაა მიცემული ის ფაქტებიც, რომ 1918 წლის დასაწყისიდან ახალციხე-ახალქალაქის რეგიონში სომეხთა მიერ მშვიდობიანი მაჰმადიანური მოსახლეობის (მათ შორის ქართველების) დემოციდიც მიმდინარეობდა, რომლის ავანგარდშიც, ამჯერად, ნეჯდეს სადამსჯელო ქვედანაყოფები იმყოფებოდნენ. დოკუმენტური მასალა უამრავია. აი ერთ-ერთი მათგანი: ,,თუ გოკიოში მუშაობდა ჯალათი უსულო ხეჩო, დანარჩენ სოფლებში იყვნენ გაგზავნილნი ანდრანიკის მოწაფენი, ნიკოლა და ნეჟდე... ყუდალიაში გადაარჩიეს მამაკაცები ცალკე, ამოარჩიეს მათ შორის 12 ყველაზე უფრო შეგნებული, გადააბეს ბაწრით ერთიმეორეზე და შიგ სოფელში თავიანთ ცოლ-შვილის წინ დახვრიტეს. იქვე, იმ აუარებელი ხალხის თვალწინ გააუპატიურეს ორი ქალიშვილი. მსხვერპლებმა ბარბაროსების ქვეშ დალიეს სული. ფარავნის ტბა აივსო საღამოელი მაცხოვრებლების გვამებით. არ დაინდეს არც დიდი და არც პატარა... არ დაინდეს არც უწყინარი, თავმდაბალი და გულ-უხვი შავქათ-ბეგ ფალავანდიშვილი, რომლის კარი მუდამ ღია იყო ყველასათვის. მოჰკლეს ერთადერთი ვაჟიშვილი თავის დედის თვალწინ. გაათრიეს და წამებაში მოჰკლეს 80 წლის მოხუცნი: ჰაქ-ხოჯა და ქამალ-ბეგ ფალავანდიშვილები, რომლებმაც არ იცოდნენ მეჩეთისა და სახლის გარდა სხვა არაფერი. მაჰმადიანთა სოფლებიდან დახოცილთა გარდა ჰყავდათ დატუსაღებული 230 მამაკაცი. მათ შორის იყვნენ ხუთი ძმა ფალავანდიშვილები ოთხი გიმნაზიელი შვილითურთ.

ვინ მოიფიქრებდა და წარმოიდგენდა, თუ ამოდენა ხალხს, როგორც პირუტყვს ამოჰხოცავდნენ და ისიც ტანჯვით. გაჰყავდათ სამ-სამი კაცი ერთმანეთზე გადაბმულნი ყველას თანდასწრებით და ესროდნენ ტყვიას. თუ მსხვერპლი არ დაეცემოდა, მისცვივდებოდნენ ხიშტებით, დანებით და ცულებით ჟლეტდნენ ბოლოს. ამ ტრაგედიაში სომხების ბავშვებიც კი იღებდნენ მონაწილეობას, აივაზიანის (ახალქალაქის თავი - ა. ჩ.) სიძის, ჰაიროს მეთაურობით",[877] - იტყობინებოდა გაზეთ ,,სახალხო საქმის" 436-ე ნომერი. გაზეთ ,,საქართველოს" 220-ე ნომერში კი, დაშნაკთა ,,საბრძოლო რაზმების" მიერ ჩადენილი მხეცობების შესახებ, ვკითხულობთ:

,,აქედან დაიწყო ის უბედურება, რომელსაც შემდეგ მოჰყვა მთელი მაჰმადიანი სოფლების ფეხზე ადგომა და განუწყვეტელი სისხლის ღვრა. სწორედ ამ ხანებში ახალციხის მიდამოებში ასეთივე გართულებული მდგომარეობა იყო და დაშნაკელთა ,,ზინვორები" ყოველ დღე ატყვევებდნენ მაჰმადიანთა ბავშვებს და ქალებს, მოჰყავდათ ახალციხეში და შემდეგ იწყებოდა მოლაპარაკება და ნამდვილი ვაჭრობა. დაშნაკელ ზორიანს[878], ახალციხის ყოფილ ქალაქის თავს და

---

[877] გაზეთი ,,სახალხო საქმე". №436. 20. 01. 1919.

[878] აქ საუბარია ზორი ნავასარდის ძე ზორიანზე (სომხ. Զորի Նավասարդի Զորյան) (1885-1943წ.წ.) – სომეხი ეროვნების პოლიტიკოსზე, პარტია ,,დაშნაკცუტიუნის" აქტიურ წევრზე, პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლის, სტეფანე ზორიან-როსტომის ბიძაშვილზე. დაიბადა თბილისში. თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა რუსულ პოლიტექნიკურ სასწავლებელში, თუმცა იგი არ დაუმთავრებია. 1910-იან წლებში მუშაობდა ფაბრიკაში. აქვე ხდება პარტია ,,დაშნაკცუტიუნის" წევრი. იყო ამ პარტიის ავლაბრის კომიტეტის თავმჯდომარე. 1917 წლის ნოემბერში ხდება ახალციხის ქალაქის თავი. ამავე წლის ბოლოდან, ახალციხის მაზრაში დაწყებული ეთნიკური დაპირისპირებებისა და ოსმალური აგრესიის პერიოდში, ხელმძღვანელობდა რეგიონის მუსლიმი მოსახლეობის, მათ შორის ქართველების წინააღმდეგ მოქმედ სომხურ დაშნაკურ საბრძოლო რაზმებს. 1918 წლის ივნისიდან იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი ,,დაშნაკცუტიუნის" პარტიიდან. სომხეთ-საქართველოს ომის დროს პარლამენტიდან დაითხოვეს და დააპატიმრეს, თუმცა, მალევე გაათავისუფლეს. 1919 წლის მარტში ,,დაშნაკცუტიუნის" პარტიული სიით ირჩევენ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს, დამფუძნებელი კრების წევრად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა საქართველოში. 1922 წელს ბოლშევიკები მას აპატიმრებენ, თუმცა, მალევე ათავისუფლებენ. შემდგომი წლები ცხოვრობდა თბილისსა და ახალციხეში. დიდი საბჭოური რეპრესიების დროს, 1937 წლის 14 სექტემბერს აპატიმრებენ კონტრრევოლუციური პარტია ,,დაშნაკცუტიუნის" წევრობისა და ,,საბჭოთა ხელისუფლებისადმი უკიდურესად მტრული" დამოკიდებულების გამო. იმავე წლის 26

ეხლა კი, საქართველოს პარლამენტის წევრს, ალბათ ახსოვს ეს სურათები. მას ეხსომება ის შემთხვევებიც, როცა დაშნაკელი ,,ზინვორები“ ყუმბარებით მისცვივდნენ ახალციხის ციხეში ჩაყრილ მაჰმადიან ბავშვებს და ქალებს, და რომ ამას ახალციხეში მაშინ მყოფი ყვირილელი[879] სახალხო გვარდიელიები არ მისწრებოდნენ, შეიძლება ახალქალაქის მსგავსად, აქაც დაღვრილიყო უდანაშაულო ხალხის სისხლი...

ახალქალაქის ახლოს არის ძველი ქართული სოფელი ხოსპია. სადაც ახლა გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობენ. დაშნაკელებმა მთელი ეს სოფელი ტყვედ წამოიყვანეს ახალქალაქში, ქალაქის დატოვების წინ მოხდა ერთი უდიდესი მხეცობა, რომლის მსგავსიც ჯერ არ მინახავს. ქალაქის დატოვების წინ გამოიყვანეს ხოსპიელი მაჰმადიანები და ახალქალაქის ქუჩებში ყველას თავები მოჰკვეთეს...

აი, ბატონებო, ნამდვილი დამნაშავენი ბაკურიანის ტყეებში ძმათა სასაფლაოში უდროოდ აყრილ ხალხისა, აი მიზეზი იმ ცრემლებისა, იმ მოთქმა-გოდებისა, რომელიც ცივ მთებში მიწას ალბობდა და დაუსრულებელი ტანჯვა გამოიწვია“.[880] გენერალი დრასთამატ კანაიანი-დრო კი, ნეჯდეს პირდაპირი მეთაური და მისი სულიერი ძმა, თავისი ქვედანაყოფების ასეთ მოქმედებებს ამიერკავკასიაში, გულგრილად და ცინიკურად ,,ზურგის წმენდის სტრატეგიული აუცილებლობით'' ხსნიდა.[881]

ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს კიდეც, რომ ამიერკავკასიის მაჰმადიანურ მოსახლეობის მიმართ სომხეთის საჯარისო ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების მოქმედებათა შეფასებისას ზედმეტად მკაცრი და ტენდენციურებიც კი ვართ. თითქოს არ გვსმენია და თითქოს არ ყოფილა საქართველოს მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტის ფაქტები სომხური ქვედანაყოფების მიერ სომხეთ-საქართველოს ომის დროს? თითქოს არ არის ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაში აღბეჭდილი მსგავსი ფაქტები? მართალია... ჩვენ არ გვახსოვს და არ მოგვეპოვება ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევისა და ხოცვა-ჟლეტის ცნობები სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, მაგრამ, საქმე იმაშია, რომ საბედნიეროდ (საბედნიეროდ მხოლოდ ამ მიმართებაში) სომხეთ-საქართველოს საომარ მოქმედებათა თეატრები, განსაკუთრებით ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონა, 1918 წლისათვის, პრაქტიკულად მხოლოდ საქართველოს სომეხი ეროვნების მოქალაქეებით დასახლებულ რეგიონებს მოიცავდა, სადაც ბრძოლისუნარიანი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სომხეთის რეგულარული ჯარის მხარდამხარ ებრძოდა ქართული არმიისა და სახალხო გვარდიის ქვედანაყოფებს. სწორედ ამიტომაა, რომ ქართველი ეროვნების მშვიდობიანი მოსახლეობა გადაურჩა სომხური საჯარისო ქვედანაყოფებისა და საბრძოლო რაზმების დაუნდობელ და ყოვლად არაქრისტიანულ მოპყრობას. სამაგიეროდ, სომხური საბრძოლო ქვედანაყოფების გამხეცებული, ყოვლად არაადამიანური და უმოწყალო ანგარიშსწორებები ქართველ სამხედრო

დეკემბერს უსჯიან 10 წლიან პატიმრობას. სამწლიანი პატიმრობისა და გადასახლების შემდეგ ათავისუფლებენ და ბრუნდება თბილისში. გარდაიცვალა ავტოკატასტროფაში, 1943 წელს. დაკრძალულია თბილისში, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

879 ყვირილა – ასე ერქვა 1920 წლამდე ქალაქ ზესტაფონს. წყაროებში ყვირილა პირველად მოიხსენიება XVI საუკუნის 60-იან წლებში. გადმოცემის თანახმად, სახელწოდება ,,ზესტაფონი''. მომდინარეობს მდ. ყვირილაზე არსებული ზედა ფონისგან. XIX საუკუნის 20-იან წლებში აქ იყო კაზაკთა ჯარის ე.წ. პოსტი – ყვირილის საგუშაგო და დასახლებასაც ყვირილა დაერქვა. 1872 წელს ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანის შემდეგ აქ ვაგზლის შენობა აშენდა, ნელ-ნელა მოსახლეობამაც იმატა და ეს დასახლებული პუნქტი ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. 1892 წელს აქ გაიმართა ზესტაფონის კრება, რომლითაც დაფუძნდა პირველი სოციალ-დემოკრატიული ტიპის პოლიტიკური ჯგუფი ,,მესამე დასი''.

880 ,,დაშნაკელების'' წარსულიდან. გაზეთი ,,საქართველო''. კვირა, 1918 წ. გიორგობისთვის 17. №220. გვ. 2.

881 Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX - начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. გვ. 131. ЦГАОР АР, ф.894, оп.10, д.80, გვ. 39-44.

ტყვეებზე, დაჭრილებსა და ბრძოლაში დაღუპულ მეომრებზე გადმოვიდა სრული სისასტიკით. საარქივო დოკუმენტებში უამრავია ქართველ ტყვეთა წამებისა და დახვრეტის, დაღუპულთა გვამების დამახინჯებისა და შეურაცხყოფის დამადასტურებელი მასალა. უნებურად იბადება კითხვები: რატომ? სად გაქრა მათი ,,ჰუნანიზმი"? რამ გაამხეცა ასე ,,პირველი ქრისტიანული ქვეყნის" შვილები? სად გაქრა მათი ,,ქრისტიანული სული და სათნოება"? ანდა, რა შეიძლება ვუწოდოთ ბრძოლაში დაღუპულთა გვამების შეურაცხყოფასა და ყოვლად არაადამიანურ მოპყრობას? აი, ზოგიერთი ფაქტიც:

- 1918 წლის 20 დეკემბრის გაზეთ ,,საქართველოს" ნომერში ვკითხულობთ: ,,პირველ დღეებში ტყვედ წაყვანილი 5 ჯარისკაცი სომხებს დაუხვრეტიათ".[882]
- საარქივო დოკუმენტი გვამცნობს: ,,როდესაც მივიდნენ იმ სოფელში, სადაც ჩვენი ჯარისკაცები მოკლეს, ამ სოფელს ეწოდება აგარაკი, ამათ ის ორი [ქართველი] ჯარისკაცი ეპოვნათ საშინლად დამახინჯებული და მაშინვე ურმით გამოეგზავნათ ვორონცოვკაში"....[883]
- ან კიდევ: ,,მოკლულები საშინლად დაემახინჯებინათ. რუბენისთვის რამდენიმე შტიკი ეკრათ ლაჩარ მტერს. თვალებიც შტიკით დაემახინჯებინათ. აფხაზავაც და სხვებიც უწვალებიათ და ურმებით წაუღიათ. უზუნლიარის შესავალში მარცხნივ პატარა მდინარე მოდის. მას გვერდით ორი არშინის სიმაღლეზე გზატკეცილი მიჰყვება და ეს შეურაცხოფილი გვამები ამ ღელის პირად დაეყარათ, ზევიდან ცოტა მიწა წაეყარათ და თავი მიენებებინათ... მხოლოდ ორი თვის შემდეგ ეღირსათ ქრისტიანული დასაფლავება".[884]
- ეს კი, ამ ომში გმირულად დაღუპული ქართველი ოფიცრის, პორუჩიკ დავით ბარნაბიშვილის ბიოგრაფიიდან ამონარიდია: ,,გაატიტვლეს სულ მთლად და შიშველი ეგდო მინდორში ნადირთა შესაჭმელად 15 დღე. მერე კი დაასაფლავეს 9 მხედართან ერთად".[885]

ასეთივე არაადამიანური დაუნდობლობით მოქმედებდნენ სხვა სომხური რაზმებიც. ასე მაგალითად, იმავე პერიოდის გაზეთ ,,საქართველოში" ანდრანიკ ოზანიანის ,,ყარაბაღის ბრიგადის'' მოქმედებებზე ზანგეზურში, შემდეგს ვკითხულობთ: ,,ადერბეიჯანის მთავრობამ განჯიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: იმის შემდეგ, რაც ინგლის-საფრანგეთის დელეგაციამ ანდრანიკას წინადადება მისცა შეეწყვიტა საომარი მოქმედებები მაჰმადიანთა წინააღმდეგ, მაჰმადიანები დაენდვნენ დიდი სახელმწიფოს დელეგაციას და ჯარმა თავისი პოზიციები მიატოვა, საიდანაც სომხებს იგერიებდნენ და სახლებში გაიფანტა. ამით ისარგებლა ანდრანიკამ და უბრძანა თავის ჯარს, რომელიც შესდგება ოსმალეთისა და ადგილობრივი სომხებისაგან, შეჰსეოდნენ მაჰმადიანთა სოფლებს. ბრძანებისთანავე მთელი სომხობა იარაღით ფეხზე დადგა, დაეცნენ მაჰმადიანთა სოფლებს და მხეცურად ჟლეტდნენ ხალხს განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა, აწვალებდნენ გვამებს, დედებს სჭრიან ძუძუებს და პირში უდებენ ბავშვებს. ორი ქალი მთლად გაატიტვლეს და ისე გაუშვეს სასაცილოს გულისთვის. 12 სოფელზე მეტი მთლად გადაწვეს. 10 ქალი სომხებმა თან წაიყვანეს. გთხოვთ განკარგულება მოახდინოთ და ჯარი გამოაგზავნოთ.

ზანგეზურის ჯარის უფროსი,

მელიქ-ნამაზალიევი".[886]

---

[882] გაზეთი ,,საქართველო''. №244. ქრისტეშობისთვის 20. 1918.

[883] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 14.

[884] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 15.

[885] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 18.

[886] გაზეთი ,,საქართველო''. №243. ქრისტეშობისთვის 19. 1918.

,,დეპეშა ჯებრაილიდან: ზანგეზურში სომხებმა დაქციეს თათრების 50-ზე მეტი სოფელი. მოკლულნი და დაჭრილნი ათასობით არიან. ანდრანიკი 5 ათასი კაცით ეს სამი დღეა გარშემორტყმულია ზუბახს და უნდა შუშისკენ გაიჭრას. ოსმალეთის კომენდანტი წავიდა, მაზრის უფროსი არ მოქმედებს. თავზარდაცემული მოსახლეობა სპარსეთში გარბის. მთლად გაანადგურეს მეხუთე საბოქაულოს ყველა სოფელი. ასე დააქციეს მეორე, მესამე და მეოთხე საბოქაულოების ნაწილების სოფლები.

ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ჯამილ სულთანოვი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მიიღო სოფელ ტერტერიდან 29 გიორგობისთვეს დეპეშა: სომხები დაეცნენ სოფელ გიუნცკაიას, დასწვეს იგი მთლად, გარეკეს საქონელი, წაიყვანეს მაჰმადიანი ქალები. მცხოვრებნი ილტვიან და იხიზნებიან.

მაზრის უფროსი მელიქ-აბასოვი".[887]

და ბოლოს, ამონარიდი დაშნაკ მებრძოლთა საზარელი ქმედებების უშუალო თვითმხილველის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ქართული კულტურის დიდი მოამაგისა და მეცენატის, ბატონ იოსებ იმედაშვილის[888] პუბლიკაციიდან, რომელიც სომხეთ-საქართველოს ომის ერთ-ერთი საბრძოლო ეპიზოდის შემდგომ სიტუაციას აღწერს:

,,ქრისტეშობის თერთმეტმა კიდევ ერთხელ გაატიტვლა ადამიანის სულის სიბნელე და გამოაჩინა მისი სიმხეცე. ამ დღეს გამოჩნდა ვერაგი, უნამუსო მტრის საზიზღრობა: თოვლით გადაპენტილ ფერდობზე, მოწმენდილ დილით გენერალმა წულუკიძემ ჭოგრით გახედა ბრძოლის ველს, ფერდობს, სადაც საზარელი სურათი დაეხატა, სურათი, რომლის მსგავსი არც ერთ ომში არ შეხვედრია - ეს იყო აქა-იქ დაყრილი ნათრევ-ნაწამები გვამები მეომართა...

---

887 გაზეთი ,,საქართველო". ხუთშაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 12. №238. გვ. 4.

888 იოსებ იმედაშვილი (1876-1952წ.წ.) – ცნობილი ქართველი მწერალი და კრიტიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი და თეატრალური მოღვაწე, რეჟისორი და მეცენატი, ძველი რევოლუციონერი. დაიბადა სოფელ ხაშმში. ბავშვობა მწყემსობაში გაატარა. შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელოსნო სასწავლებელში. ადრეული ახალგაზრდობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1890-იანი წლებიდან ეწეოდა რევოლუციურ აგიტაციას თბილისის ქარხნებსა და რკინიგზის სახელოსნოებში, ავრცელებდა სოციალ-ფემოკრატიული მიმართულების არალეგალურ ლიტერატურას. ამავე დროს ჩართული იყო კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში. 1893 წლიდან იყო ავჭალის, ხოლო 1902 წლიდან – ავლაბრის მუშათა თეატრების პირველი რეჟისორი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) წევრი 1903 წლიდან. 1905-1906 წლებში ხელმძღვანელობდა ივრის ხეობის, ე.წ. ,,გარეკახეთის ერთობის" რევოლუციურ მოძრაობას. 1910 წელს რევოლუციურ-პროპაგანდისტული მუშაობისათვის დააპატიმრეს და 4 წლით კატორღა მიუსაჯეს, თუმცა, ავადმყოფობის გამო სასჯელი მეტეხის ციხეში პატიმრობით შეუცვალეს. 1895 წლიდან ეწეოდა საგანმანათლებლო და პუბლიცისტურ საქმიანობას. ნაყოფიერად იღწვოდა ქართული ლიტერატურისა და კულტურის სარბიელზე. იყო რამდენიმე ქართული თეატრის დამაარსებელი და პირველი რეჟისორი. წერდა პიესებს, პოემებს, მოთხრობებსა და რომანებს, თავის ნაწარმოებებს აქვეყნებდა ,,იოსებ არიმათიელის" ფსევდონიმით. მავე დროს ეწეოდა ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას. თარგმნიდა რუსული, სომხური და აზერბაიჯანული ენებიდან. 1902 წელს გამოსცა მაქსიმ გორკის მოთხრობათა პირველი ქართული თარგმანების კრებული. 1903 წლიდან აქვეყნებდა ურბანისტული შინაარსის მოთხრობებს. გამოსცა ლექსტა ტამდენიმე წიგნაკი. მიხეილ ჯავახიშვილის თქმით, სწორედ იოსებ იმედაშვილი წარმოადგენდა მის პირველ მასწავლებელს ქართულ ენაში. 1904 წელს გამოსცა პირველი ,,უცხო სიტყვათა ლექსიკონი". იოსებ იმედაშვილი იყო მის მიერვე დაარსებული ჟურნალის ,,თეატრი და ცხოვრება", აგრეთვე გაზეთების ,,ხალხის ერთობა" და ,,ხალხის თავისუფლება" მთავარი რედაქტორი. 1918 წელს თავის შვილებთან და ძმასთან ერთად მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში. ამ ომის თემატიკაზე დაწერა რამდენიმე მოთხრობა და რომანი ,,განახლებული სიცოცხლე", 1920-იან წლებში კი, ცალკე წიგნებად გამოიცა მისი პიესები. შეადგინა ,,ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი" (ძვ. წთ. აღ. IV – ახ. წთ. აღ. XX სს.). გარდაიცვალა 1952 წელს. დაკრძალულია თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გენერალმა თვალთ არ დაუჯერა და პორუჩიკი კორძაია გაგზავნა, რომ ყოველივე ეს შეემოწმებინა. პორუჩიკმა კორძაიამ დაჰხედა და რა ნახა - ღამით სომხებს დაეტიტვლებინათ და შეეპილწათ მუხანათურ თავდასხმაში დახოცილი ქართველი ოფიცერ ჯარისკაცნი. აგერა ტიტლიკანა მეომარი, რომელსაც სასირცხო ასო მოჭრილი აქვს და პირში სჩრია. აგერ ლერწამ-ტანის ვაჟკაცი ახალად წვერ-ულვაშ აკოკრებული, ქოჩორ-გადავარცხნილი, ბაგეზე ღიმ-გაუქრობელი, - ვინ იცის რა წუთებში აღმოხდა სული, მკვდრად გაპობილია, ეტყობა უკვე გაციებულისათვის დაუციათ ხანჯალი. აგერ ჩასხმული ბიჭი, ვეფხვს რომ ჰგავს, კეფაგახეთქილი, მკლავებ-შემოკაწრული, სახსრებში გადაღრღნილი. აგერ ცხვირ-მოჭრილები, მთლად გატიტვლებულნი. აგერ შუბით თვალებჩათხრილნი, აგერ ასო-ასო აკუწული...

და ყოველივე ეს მოიმოქმედა ადამიანის ხელმა, - სომეხთა მეწინავე ჯარმა, ბრბოს სახელით მონათლულმა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სომხის ცნობილი და რევოლუციონერებად წოდებულნი ბელადნი...''[889]

ეს საშინელებებით აღსავსე სტრიქონები ტყუილად არ მოგვიტანია. იგი არ ითვალისწინებს ზოგადად სომეხი ხალხისადმი სიძულვილისა და ზიზღის გაღვივებას, მაგრამ მოყვანილი დოკუმენტური მასალები კიდევ ერთი დიდი გაფრთხილებაა იმის შესახებ, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს ცრუ იდეალებითა და მიზნებით დაბინდული ადამიანის გონება.

ყოველივე ზემოთქმული ცალსახად ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სომხეთის შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში გაერთიანებული ყველა სამხედრო ნაწილი და ქვედანაყოფი მოროდიორობით, ძარცვა-გლეჯითა და მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტით იყო დაკავებული. რა თქმა უნდა, არა. სომხეთის არმიაშიც არსებობდნენ ისეთი ნაწილები, რომლებიც მართლაც წარმოადგენდნენ ორგანიზებულ და ბრძოლისუნარიან სამხედრო ერთეულებს. ეს პირველ რიგში სომეხთა მე-2 მსროლელი დივიზიის პოლკებს შეეხებათ, რომელსაც გენერალი მოვსეს სილიკოვი (სილიკიანი) მეთაურობდა. ფაქტია, რომ ოსმალური შენაერთების ძლევამოსილ წინსვლას ერევნის მიმართულებით, სწორედ ამ დივიზიის ნაწილები აღუდგნენ წინ და წარმატებული საბრძოლო მოქმედებებით ყოფილი გუბერნიის ცენტრიც შეინარჩუნეს. სწორედ მაშინ, როცა გენერლები ნაზარბეგოვი და ანდრანიკი უიმედოდ იხევდნენ უკან, გენერალი სილიკოვი თავის წილ ბრძოლებს აწარმოებდა ერევნის რაიონში. 15 მაისს სილიკოვი, რომლის ძალებიც 6000-დან 7000-მდე კაცს შეადგენდა (მე-5 და მე-6 მსროლელი პოლკები, მე-4 პოლკის ერთი ბატალიონი, მოხალისეთა ვანის 1-ლი და მე-2 პოლკები, ერთი საკავალერიო პოლკი და 28 ქვემეხი), წარმატებულად აღუდგა წინ თურქთა აგრესიას.[890]

სწორედ მე-2 მსროლელი დივიზიის მე-5, მე-6 და ნაწილობრივ მე-4 პოლკები წარმოადგენდნენ სომხეთის შეიარაღებული ძალების ყველაზე ორგანიზებულ და ბრძოლისუნარიან სამხედრო ნაწილებს და სწორედ ამ დივიზიის ნაწილები აღმოჩნდნენ ჩართულნი სომხეთ-საქართველოს ომში 1918 წლის ოქტომბრიდან.

---

889 იოსებ იმედაშვილი. განახლებული სიცოცხლე. სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივი შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება''. 1920. №11.

890 W. E. D. Allen and Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A history of the wars on the Turco-Caucasian border 1828-1921. Cambridge. 1953. გვ. 475.

§2.7. საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მორალური სახე და საბრძოლო სულისკვეთება

რაც შეეხება საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მორალურ სახეს და საბრძოლო სულისკვეთებას. ქართველი ჯარისკაცის, მისი მებრძოლი სულისა და თვისებების შესახებ, 1954 წელს, პარიზში გამოცემულ თავის მემუარულ ნაშრომში, ,,ჩემი პასუხი", გენერალი გიორგი კვინიტაძე წერდა:

,,ქართველ ხალხზე, როგორც სამხედრო მასალაზე, მე მუდამ კარგი აზრისა ვიყავი. დავანებოთ ოფიცრობას თავი.

როცა უკანასკნელ რუსეთ-ოსმალოს ომში (აქ ავტორი არა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის, არამედ პირველ მსოფლიო ომსა და კავკასიის ფრონტზე საუბრობს - ა. ჩ.) ავიღეთ არზრუმი, იქ ჩაგვივარდა 8 დროშა ოსმალოსი. სურათის გადაღებისათვის ამ დროშებისა, დაიბარეს ჯარიდან 8 ჯარის-კაცი. რასაკვირველია, ამოარჩიეს უფრო დაჯილდოვებულნი. ქართველები იყვნენ გაწვეულნი დასავლეთის ფრონტზე, რუსეთში, კავკასიის ჯარში კი, იყვნენ თითო-ოროლა. მაინც ამ 8 ჯარის-კაცთა შორის იყო ორი ქართველი, ერთი გელოვანი, მეორეს გვარი კი, დამავიწყდა, თავდებოდა ძე-ზე".[891]

ასეთი იყო ქართველი ჯარისკაცი და ასეთი იყო საზოგადოდ საქმის ვითარება საუკუნეების განმავლობაში. მაგრამ I მსოფლიო ომის მიწურულს, სურათი შეიცვალა. რა თქმა უნდა, საერთო ანარქიისა და განუკითხაობის, რევოლუციური ეიფორიისა და ქაოსის ფონზე ზოგიერთი ქართული საჯარისო ნაწილის პირადი შემადგენლობის მორალური მდგომარეობა არ იყო სანიმუშო. ჩვენი ეს შეფასება თანაბრად ეხება როგორც რეგულარული ჯარის ზოგიერთ ქვედანაყოფს, ასევე წითელი თუ სახალხო გვარდიის ცალკეულ წარმომადგენლებს. აქაც შეპარულიყო ბოლშევიზმის უკურნებელი სენი, აქაც ჰქონდა ადგილი სამხედრო წესდებების მოთხოვნების უგულებელყოფას, ნორმატიული ურთიერთობების რღვევას, პირადი შემადგენლობის მხრიდან მეთაურებისა და უფროსებისადმი დაუმორჩილებლობას, დეზერტირობას, სახელმწიფო ქონების დატაცებისა და ქურდობის ფაქტებს.

- ძველი ჯარისკაცი ჯარში არა ჩერდებოდა. შეკრებდნენ პოლკს, მისცემდნენ იარაღს, ჩააცმევდნენ ფორმებს (საწყობებში იარაღი და ტანისამოსი ჯერ კიდევ ბევრი იყო), ავარჯიშებდნენ რანდენიმე დღეს და ერთ მშვენიერ დღესაც ყაზარმა ცარიელი დახვდებოდათ. მიდიოდნენ სათითაოდ, ჯგუფ-ჯგუფად და იარაღიანად,[892] - წერდა ამ ამბების თვითმხილველი, ბატონი ნიკო კეცხოველი.

პირდაპირ ვიტყვით, რომ არანაკლებ სამარცხვინო იყო ქართული ქვედანაყოფების დაბალი საბრძოლო სულისკვეთება კავკასიის ფრონტის ტრაპიზონის, და საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთისათვის წარმოებულ ბრძოლებში. ოსმალთა მე-3 არმიის შენაერთების ძლევამოსილი წინსვლის ფონზე, ბათუმის მოსალოდნელი ბრძოლისა და იმ დროისათვის არსებული საერთო განწყობების შესახებ გაზეთ ,,საქართველოს" 1918 წლის 20 მარტის ნომერში ვკითხულობთ:

,,ფრონტის დაცვა.

როგორც სჩანს ფრონტის დაცვა მოგვიხდება მხოლოდ ორი ძალით, სახელდობრ: ქართველების და სომხების ძალებით. შესაძლოა ჩვენ რუსები და ბერძნებიც მოგვეშველონ. ჩვენ უნდა დავიცვათ ბათომის ოლქი. უნდა ვსთქვათ, რომ ბათომის ოლქის მცხოვრებლები მეტად შეაშფოთა მოსალოდნელ ამბებმა. მთელი გურია ფეხზე სდგას. ზოგიერთი სოფლები განაჩენებსაც კი

---

[891] გენ. გ. კვინიტაძე. საქართველოს ჯარების ყოფილი მთავარ-სარდალი. ჩემი პასუხი. (ნოე ჟორდანიას ,,ჩემი წარსული"-ს შესახებ). პარიზი. 1954. გვ. 29.

[892] ნიკო კეცხოველი. პირადი არქივი - ნარ-ეკლებით მოფენილი გზა. თბილისი. გვ. 279.

ადგენენ და მთლად ერთიანად ჩამოდიან ჯარის ნაწილებში ჩასარიცხავად. დღეს საჭიროა მხოლოდ ჯარის გაწრთვნა.

ჩემს ბათუმში ყოფნის დროს ხშირად მოდიოდნენ ჯარების წარმომადგენლობა და ხელმძღვანელობას მოითხოვდნენ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თვით ოფიცრები არ სდგანან ზოგიერთს შემთხვევაში მომენტის ჯეროვანად შეგნების სიმაღლეზე. ამ გარემოებას ჩვენ ყურადღება უნდა მივაქცევინოთ სამხედრო სექციასაც. ჩვენ იმედს ვამყარებთ აგრეთვე საქართველოს ლაშქრის ახალ მთავარ სარდალ გაბაშვილზე.[893] იმედია იგი შესძლებს ამ საქმის გამოკეთებას".[894]

ქართულ პრესაში გაჟღერებული ოპტიმისტური ნოტების მიუხედავად, იმედები არ გამართლდა. ამიერკავკასიაში მოქმედი პოლიტიკური ძალები და ქართული ნაციონალური საარმიო კორპუსის ქვედანაყოფები აბსოლუტურად მოუმზადებლები აღმოჩნდნენ ახალი დიდი საფრთხის გასანეიტრალებლად. ოსმალურმა ქვედანაყოფებმა აქაც დიდი წინააღმდეგობის გარეშე შეძლეს ქართული ნაწილების უკუგდება, რომელთა პირადი შემადგენლობაც რევოლუციური და ბოლშევიკური პროპაგანდის გამო, უკიდურესად დემორალიზებული და ბრძოლისუუნარო იყო. ბოლშევიზმის შხამიან ვირუსს აქაც ღრმად შეეღწია.

საქართველოს სამხედრო ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს ფურცელს 1918 წლის ბათუმის ბრძოლა წარმოადგენს, სადაც ქართულმა შენაერთებმა ფაქტიურად წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დათმეს ქვეყნის ეს უმნიშვნელოვანესი ქალაქი და მთლიანად აჭარა. 1918 წლის დასაწყისისათვის შავიზღვისპირეთში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის შესახებ კავკასიის ფრონტის ჯარების

---

[893] ვასილ გაბაშვილი (1853-1933წ.წ.) – რუსეთისა და საქართველოს სამხედრო მოღვაწე. რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-ლეიტენანტი და ქართული არმიის გენერალი. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის, 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის და I მსოფლიო ომების მონაწილე, სხვადასხვა საბრძოლო ჯილდოებისა და გიორგის ჯვრის კავალერი. დაიბადა თბილისში. აქვე დაამთავრა კლასიკური გიმნაზია. 1869 წელს დაამთავრა თბილისის სამხედრო სასწავლებელი. პოდპორუჩიკის ჩინით სამხედრო სამსახურს შეუდგა მე-20 ქვეითი დივიზიის 77-ე პოლკში. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში მეთაურობდა ასეულს. აქვე ენიჭება პორუჩიკის წოდება. 1879-1885 წლებში მონაწილეობდა რუსეთის არმიის თურქესტანის ლაშქრობაში. 1881 წლიდან შტაბს-კაპიტანია, 1888 წლის 3 თებერვალს ენიჭება კაპიტნის, ხოლო 1895 წლის 26 თებერვალს – პოდპოლკოვნიკის წოდებები. 1897 წელს მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში. 1901 წლიდან ბატალიონის მეთაურია. 1902-1904 წლებში მსახურობდა კავკასიის 1-ლი ქვეითი მსროლელი პოლკის მეთაურად. აქვე ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1904-1908 წლებში იყო 79-ე პოლკის მეთაური. 1908 წელს ინიშნება კავკასიის გრენადერთა დივიზიის 1-ლი ბრიგადის მეთაურად. 1908 წლის 28 ნოემბერს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1909-1912 წლებში იყო სპარსეთის ლაშქრობის მონაწილე, მეთაურობდა ყაზვინის რაზმს. I მსოფლიო ომის წინ, 1913 წელს, ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება და გადის თადარიგში, თუმცა, I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ისევ კადრში იწვევენ, სადაც ინიშნება ჯერ მე-3 მსროლელი ბრიგადის, ხოლო შემდეგ –კავკასიის გრენადერთა დივიზიის მეთაურად. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სარიყამიშის ოპერაციის მსვლელობისას, სადაც მისმა შენაერთმა არდაგანის მიმართულებაზე აღკვეთა ოსმალთა შენაერთის წინსვლა. 1916 წლიდან ქალაქ თბილისისა და თბილისის გამაგრებული რაიონის სამხედრო კომენდანტია. 1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და კავკასიის ფრონტის მოშლის შემდეგ, მონაწილეობდა ქართული ეროვნული საარმიო შენაერთის ჩამოყალიბების საქმეში. 1917 წლის ბოლოს ინიშნება ქართული ნაციონალური საარმიო კორპუსის სარდლად, თუმცა, მალევე გადადგა. მონაწილეობდა ქართული რეგულარული არმიის აღმშენებლობის საქმეში. 1919 წელს მუშაობდა ქართული არმიის რეორგანიზაციის საკითხებზე. იყო საქართველოს სამხედრო უწყების „წმ. გიორგის იარაღის სათათბიროს" თავმჯდომარე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა საქართველოში, სადაც გარდაიცვალა 1933 წლის 17 მარტს. დაკრძალულია თბილისში, ვერის სასაფლაოზე.

[894] გევორქ იაგუტოვ, რაზმიკ ბადალიან, არტურ მირზოიან, ედუარდ სააკიან, ალექსანდრ ოჰანიან. სომეხთა გენოციდი ქართულ პერიოდიკაში 1914-1918 (საარქივო მასალების კრებული). საქართველოს სომეხთა სათვისტომო. თბილისი. 2011. გვ. 143.

მთავარსარდალი, გენერალი ლებედინსკი ამიერკავკასიის რესპუბლიკის სამხედრო და საზღვაო მინისტრს 28 იანვრის №1550 ტელეფონოგრამით ატყობინებდა:

,,მიხეილის სიმაგრის კომენდანტი მოგვახსენებს, რომ მისი ძალების იმდენად მცირეა, რომ მას არ შეუძლია საგარნიზონო სამსახურის წარმოება. ფორტები კი არა მხოლოდ გარნიზონის, არამედ დაცვის გარეშე არიან. მოცემულ მომენტში ჩეტნიკების მიერ დაკავებულია მთელი სანაპირო ზოლი ტრაპიზონიდან პირონიტამდე, რომელიც სულ რაღაც 50 ვერსითაა დაშორებული ბათუმს. ახალი არმიის ჯარისკაცებისათვის ახალი ხელფასების გამოუცხადებლობამ ჯარის ფორმირების მთელი პროცესი შეაჩერა და იმასაც კი ანგრევს, რაც უკვე შექმნილია.

აქედან გამომდინარე, გატყობინებთ, რომ უახლოეს მომავალში ჩვენ დავკარგავთ ტრაპიზონს, ახლა კი ბათუმის დაკარგვის საშიშროებაც დგება, რომლის ფორტებიც დღე-დღეზე შეიძლება დაიკავონ არა მხოლოდ ჩეტნიკებმა, არამედ უბრალო ყაჩაღურმა ბანდებმა. თუ უახლოეს დღეებში არ გამოცხადდება ფორმირების პროცესში მყოფი ჯარებისათვის სამსახურის პირობები, უახლოეს მომავალში ასეთ მოვლენებს უნდა ველოდოთ.

ჩემს მოვალეობად ვთვლი, რომ განგიცხადოთ, უკვე ახლა კალკიტაში შეიქმნა წარმოუდგენელი სურათი: მოხალისეთა არმიის ფორმირების წარუმატებელი პროცესის გამო, ჯარებმა დატოვეს კალკიტა. ამიტომ თურქული არმიის სარდალმა ვეჰიბ ფაშამ კალკიტაში გააგზავნა თურქული რაზმი, რომელმაც დაიკავა ჩვენს მიერ მიტოვებული საწყობები და ქონება.

გენერალი ლებედინსკი“.[895]

ტრაპიზონის აღების შემდეგ ოსმალთა მე-3 არმიის შეტევითი მოქმედებები ორი, ბათუმისა და ალექსანდროპოლისის მიმართულებებზე განვითარდა. ოსმალთა არმიის სარდალი მეჰმედ ვეჰიბ ფაშა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების შესრულებას მოითხოვდა. ჯულფა-ალექსანდროპოლის რკინიგზით სარგებლობაზე თანხმობა რომ მიიღო, თურქეთის დელეგაციამ ახალი პრეტენზიები წამოაყენა. 26 მაისს თურქებმა ულტიმატუმით მოითხოვეს ამიერკავკასიის რკინიგზაზე თავისი ჯარების გატარების ნებართვა, წინათ წამოყენებული მოთხოვნის (ალექსანდროპოლი-ჯულფას რკინიგზის სარგებლობის) ფორმალური აღიარება, მუსლიმანური მოსახლეობის მიმართ „ძალადობის“ შეწყვეტა და სხვ. ულტიმატუმი პასუხისათვის ვადას 72 საათით განსაზღვრავდა და მიუთითებდა, რომ ამიერკავკასიასა და თურქეთს შორის მეგობრული ურთიერთობა შენარჩუნებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეს მოთხოვნა ზუსტად იქნება შესრულებულიო.[896]

ოსმალთა ჯარის შემოტევის პარალელურად აქტიურად ამოქმედდა სასაზღვრო რაიონებში მცხოვრები ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობა და დაიწყეს მოხალისეთა ე.წ. ,,ჩეთეს“[897] რაზმების

---

[895] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 22, ფურცელი 49.

[896] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. საქართველო 1900-1921 წლებში. (რედ: აკ. სურგულაძე, ნ. მარგიანი, ა. ბენდიანიშვილი, ა. კიკვიძე და სხვ. თბილისი. 1972. გვ. 429. სსცია, ფ. 1863, საქ. 26, ფურც. 66-67.

[897] ჩეთე (ჩეთეს რაზმები, ჩეტნიკები) (სერბ. Четници, სერბოხორვ. Četnici, თურქ. Çete) – პირდაპირი მნიშვნელობით ბანდა, რაზმი. XX საუკუნის დასაწყისში, ბალკანური ომებისა და I მსოფლიო ომის მსვლელობის დროს ჩეტნიკებად იწოდებოდნენ სერბი ეროვნების დივერსიული და პარტიზანული რაზმების წევრები, ჰაიდუკები, რომლებიც ოსმალთა წინააღმდეგ იბრძოდნენ. ეს იყო ირედენტული, ნაციონალისტური (ველიკოსერბული), მონარქიული და ანტიკომუნისტური ტიპის პარტიზანული მოძრაობა. ჩეტნიკების წინამორბედებს ჰაიდუკები წარმოადგენდნენ. პირველი პარტიზანული ჩეთეს ორგანიზაციები ბულგარელებმა შექმნეს XIX საუკუნის ბოლოს. შემდგომში ამ ტერმინის მნიშვნელობა უფრო განზოგადდა და ოსმალეთში ჩეთედ იწოდებოდნენ ზოგადად მოხალისე-პარტიზანები. I მსოფლიო ომის მსვლელობისას ქართულ რეალობასთან მიმართებაში ჩეთედ ძირითადში იწოდებოდნენ რუსეთის იმპერიის ექპანსიონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლი აჭარელი და ლაზი პარტიზანებისგან

ჩამოყალიბება. მათ იარაღითა და ოფიცრებით ოსმალეთი ეხმარებოდა. ოსმალები სწრაფად მოიწევდნენ წინ. მოწინააღმდეგის შეტევის ძირითადი მიმართულება ქალაქი ბათუმი იყო. უნდა ითქვას, რომ ბათუმის ციხე-სიმაგრე თავისი ფორტებით ,,ანარია", ,,სამება", ,,კახაბერი", ,,ერგე", ,,ბარცხანა", ,,ბურუნთაბიე", ,,სტეფანოვკა" და სხვა, წარმოადგენდა ერთიან გამაგრებულ რაიონს. ციხე-სიმაგრის ფორტებზე 70-მდე ქვემეხი იყო განლაგებული. ბათუმის თავდაცვის შტაბის ხელმძღვანელი, გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი მიიჩნევდა, რომ პირადი შემადგენლობა სახალხო ლაშქართან ერთად, 12 ათასი კაცი, საკმარისი იყო ბათუმის შენარჩუნებისათვის და მისი რიცხობრივი გაზრდა აღარ იყო საჭირო. ამავდროულად სამხედრო ხელმძღვანელობა მიიჩნევდა, რომ რეზერვის თავმოყრა აუცილებლად უნდა მომხდარიყო ჩაქვის რაიონში, რომ გარედან შემოვლითი მოქმედებებით არ დაენებებინათ მოწინააღმდეგისათვის ბათუმის ალყაში მოქცევა. მტრის ზემოაღნიშნული რაოდენობა ვერ ჩაითვლებოდა ქალაქის გარნიზონისათვის სერიოზულ მოწინააღმდეგედ, მაგრამ სამოქალაქო ხელმძღვანელობის თვითნებობა და სამხედრო მართვაში უხეში ჩარევა აშკარა დაუდევრობაში გადადიოდა.

ბათუმის გამაგრებული რაიონის კომენდანტი გენერალი ზაქარია მდივანი, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი და ბათუმის თავდაცვის ხელმძღვანელი ნოე რამიშვილი და სხვები, მოითხოვდნენ ციხე-სიმაგრის გარნიზონის პირადი შემადგენლობის რიცხობრივ გაზრდას, ნაცვლად იმისა, რომ საფორტიფიკაციო თვალსაზრისით გამაგრებულიყო სამხედრო ფორტების პერიმეტრი, გარე პოზიციები და შემოვლითი გზები. ამის გამო სამტრედიიდან ბათუმისაკენ მოხალისეთა ახალ-ახალი რაზმები იგზავნებოდა, რომელთა საბრძოლო გაშლა არასწორად ხდებოდა. ამ შეცდომას ბოლოს სოციალ-დემოკრატთა ლიდერებიც მიხვდნენ, მაგრამ უკვე გვიანი იყო...

1918 წლის მარტის დამლევს ბათუმის მისადგომებს იცავდნენ არასრულად დაკომპლექტებული ქართული სამხედრო ნაწილები. მე-3 ცხენოსანი პოლკის ერთი ასეული; მე-4 ქვეითი პოლკის სამი ასეული; გვარდიული რაზმი აფხაზავას მეთაურობით; 250 კაციანი ოფიცერთა რაზმი პოდპოლკოვნიკ დევიძის მეთაურობით; ბათუმის პოლკის ორი არასრული ასეული - სულ 80 კაცი; მე-5 ქვეითი პოლკის ორი არასრული ასეული ოთხი ტყვიამფრქვევით პოლკოვნიკ შერვაშიძის მეთაურობით ზღვიდან იცავდა ბათუმს. 1918 წლის მარტის თვისათვის ბათუმის ნავსადგურში რეიდზე მდგარი ყოფილი რუსეთის იმპერიის სამხედრო სანაოსნო საშუალებები ეროვნული საბჭოს დადგენილებით საქართველოს კუთვნილებად გამოცხადდა. ეს მცურავი საშუალებები იყო:

- დამხმარე კრეისერი[898] ,,კაროლ კარლი",[899] სიჩქარე 18 კვანძი.[900] შეიარაღება - ოთხი 152მმ-იანი და ორი 72მმ-იანი ქვემეხი;

შემდგარი რაზმები. ტერმინი საბოლოოდ XX საუკუნეში ჩამოყალიბდა და განსაკუთრებით ცნობილი II მსოფლიო ომის მსვლელობისას გახდა. ჩეტნიკების სიმბოლიკას წარმოადგენდა შავი დროშა თეთრი თავის ქალითა და გადაჯვარედინებული ძვლებით, დროშის ქვემოთ წარწერით – ,,თავისუფლება ან სიკვდილი".

898 კრეისერი (ნიდერლ. Kruiser, წარმოდგება სიტყვისაგან Kruisen – გარკვეულ სვლაგეზზე ცურვა) – წყალზედა მცურავი საბრძოლო ხომალდების კლასი, რომლებსაც ძირითადი ფლოტისგან დამოუკიდებლად შეუძლიათ გარკვეული საბრძოლო ამოცანების შესრულება. ეს ამოცანები შეიძლება იყოს მოწინააღმდეგის ფლოტის სუსტი ძალების ან სავაჭრო გემების წინააღმდეგ ბრძოლა, საკუთარი საბრძოლო ხომალდების შენაერთთა დაცვა და გემების კონვოირება, ზღვიდან საკუთარი სახმელეთო ძალების საცეცხლე მხარდაჭერა და საზღვაო დესანტის გადმოსხმის უზრუნველყოფა, საზღვაო ნაღმების დადება, საზღვაო რეიდების შესრულება და სხვა. ტერმინი ,,კრეისერი" ფართოდ XVII საუკუნიდან გავრცელდა. ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმებოდა მცურავი საშუალებების დანიშნულებითი ნაწილი – დამოუკიდებლად მოქმედი ხომალდთა კლასი და არა მათი კონსტრუქციული თავისებურება. XVIII საუკუნიდან კრეისერებად გამოიყენებოდა ფრეგატები – საშუალო ზომის, სწრაფი და მანევრირებადი ხომალდები. გარდა ამისა, კრეისერებს წარმოადგენდნენ კორვეტები, ბრიგები და კლიპერები. თავისი დანიშნულებისა

- ოთხი სადარაჯო კატარღა, სიჩქარე 24 კვანძი, თითოეული 47 მმ-იანი და 27მმ-იანი ქვემეხებით და ორი ტყვიამფრქვევით;
- ოთხი ერთეული ჰიდროთვითმფრინავი აღჭურვილი მძიმე ტყვიამფრქვევებით (გაუმართავი);

უარყოფით გავლენას ახდენდა აგრეთვე ფრონტზე ნამყოფი ჯარისკაცების რევოლუციური განწყობები, რომლებიც თვითნებურად ტოვებდნენ პოზიციებს. ამის გამო ოსმალებმა თითქმის უბრძოლველად დაიკავეს მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირი. მუსლიმ მოხალისეთა ,,ჩეთეს" რაზმებმა კი, ჩაქვის მთიანი ზოლიდან შემოვლით დაიკავეს სოფელი ხალთა. მალე დაეცა ,,ერგეს" ფორტიც, გადაიკეტა სამტრედიისაკენ მიმავალი სატრანსპორტო მაგისტრალები და სარკინიგზო ხაზი.

მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაური, გენერალი მაზნიაშვილი იხსენებდა: ,,ოფიცრები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ აეხსნათ ჯარისკაცებისათვის თუ რა სერიოზული საკითხი იდგა ქართველების წინაშე, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავდა. ამგვარად, ქართველს დაავიწყდა გამბედაობა და ვაჯკაცობა წინაპრებისა, რომლებიც ათეული საუკუნეობით სიცოცხლეს წირავდნენ და გააფთრებულად იცავდნენ სამშობლოს საზღვრებს. მთავრობის წევრნი მოდიოდნენ ბათუმში პოზიციების დასათვალიერებლად, მაგრამ იმის მაგივრად რომ აეხსნათ ჯარისკაცებისათვის რა ხიფათი მოელოდა საქართველოს, შეიარაღებული მტრის თვალწინ მართავდნენ განუწყვეტელ მიტინგებს და ელაპარაკებოდნენ რევოლუციის მონაპოვრებზე. ეს თემა ჯარისკაცებს უკვე

და საბრძოლო მაჩვენებლებიდან გამომდინარე, კრეისერები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ I და II მსოფლიო ომებში. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი, მოწინააღმდეგის ავიაციისგან თავდაცვის მიზნით საზღვაო შენაერთების გამსხვილების ტენდენციამ, აგრეთვე სპეციალიზებული ხომალდების გაჩენამ, ზოგიერთ ქეყანაში ზოგადი დანიშნულების ხომალდების გაქრობა გამოიწვია. ასეთ ხომალდთა კლასს მიეკუთვნებოდა სწორედ კრეისერები. დღეისათვის კრეისერები მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში გვხვდება.

899 ,,კაროლ კარლი'' – ,,რუმინეთის'' ტიპის დამხმარე კრეისერი. დასახელება მიიღო ვლახეთისა და მოლდავეთის გაერთიანებული სამთავროს მმართველისა და რუმინეთის პირველი მეფის კაროლ (კარლ) ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენის პატივსაცემად. რუმინეთის შეკვეთით აშენდა ინგლისში როგორც სამგზავრო-სატვირთო ხომალდი. წყალში ჩაუშვეს 1898 წელს გლაზგოში. შემდგომში გადააკეთეს დამხმარე კრეისერად. I მსოფლიო ომში ანტანტის მხარეზე რუმინეთის ჩართვის შემდეგ, 1916 წლის 9 სექტემბერს, გადაეცა რუსეთს, სადაც შეყვანილ იქნა შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობაში. 1917 წელს ხელმეორედ ჩაუტარდა მოდერნიზაცია და გადაკეთებულ იქნა როგორც ჰიდროთვითმფრინავების მოძრავი ბაზა. 1918 წლის მარტში ბათუმის რეიდზე დგომის დროს, სხვა მცურავ საშუალებებთან ერთად ხელში ჩაიგდო ქართულმა საბრძოლო რაზმმა, რის შემდეგაც შეყვანილ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში. 1921 წელს ხომალდი რუმინეთს დაუბრუნდა. 1940 წელს მას ისევ ჩაუტარდა მოდერნიზაცია და ნაღმოსნად გადააკეთეს. აფეთქდა და ჩაიძირა II მსოფლიო ომის მსვლელობისას, საბჭოთა წყალქვეშა ნავის მიერ დადებულ ნაღმზე, ვარნასთან ახლოს, 1941 წლის 10 ოქტომბერს.

900 კვანძი (საზღვაო კვანძი) – სიჩქარის სისტემგარეშე საზომი ერთეული. უდრის თანაბარი მოძრაობის სიჩქარეს, როდესაც სხეული ერთ საათში გადის ერთი საზღვაო მილის ტოლ მანძილს. როგორც წესი, გამოიყენება საზღვაო საქმესა და საავიაციო პრაქტიკაში. საზღვაო მილი კი, ზღვაოსნობასა და ავიაციაში გამოყენებული მანძილის საზომი ერთეულია. თავდაპირველად ერთი საზღვაო მილი განისაზღვრებოდა როგორც დედამიწის მერიდიანის ერთი მინუტის რკალის სიგრძე. იმდენად, რამდენადაც ეკვატორთან შედარებით პოლუსებზე დედამიწა ოდნავ ჩაზნექილია, ანუ, დედამიწის რეალური გეომეტრიული ფორმა გეოიდია და არა სფერო, ამიტომ, ერთი საზღვაო მილის სიგრძე პოლუსებსა და ეკვატორზე რამდენადმე განსხვავებულია. პოლუსებზე გამავალ მერიდიანზე იგი 1862, ხოლო ეკვატორზე 1843 მეტრის ტოლი იყო. თანამედროვე განსაზღვრებით, რომელიც მიღებულ იქნა მონაკოში 1929 წელს გამართულ ჰიდროგრაფიის საერთაშორისო კონფერენციაზე, ეს მონაცემები გაასაშუალეს და დღეისათვის ერთი საზღვაო მილი შეესაბამება ზუსტად 1852 მეტრს.

მობეზრებული ჰქონდათ, მთავრობის წევრთა გაუთავებელი სიტყვები მათზე აღარავითარ შთაბეჭდილებას აღარ ახდენდა.

ცხადი იყო ერთი, რომ ჯარისკაცს დავიწყებული ჰქონდა დისციპლინა, მოვალეობა და მხოლოდ თავისთავის გადარჩენაზე ფიქრობდა...”[901]

გენერალ ვეჰიბ ფაშას მიერ გამოგზავნილმა ოფიცერმა ბათუმის კომენდანტს, გენერალ ზაქარია მდივანს გადასცა ულტიმატუმი, რომელიც მოითხოვდა 48 სთ-ის განმავლობაში ქალაქის დაცლას და 1877 წლის საზღვრებში ქართული ჯარების გაყვანას. ამავე დღეს გაბოლშევიკებული მეამბოხე მეზღვაურების გავლენით კრეისერი ,,კაროლ-კარლი” და სამხედრო-სანაოსნო საშუალებების დიდი ნაწილი თვითნებურად მოიხსნა საბრძოლო პოზიციებიდან, დატოვა ბათუმის აკვატორია და ღია ზღვაში გავიდა. პარალელურად, აჭარისწყლის მაღლობები და ბორჩხა-მარადიდის მიმართულება მთლიანად გადაკეტეს ,,ჩეთეს” რაზმებმა. ამავე დროს ადგილი ჰქონდა კიდევ ერთ გაუგებრობას. ბათუმის მთელს გარნიზონში, ისევე როგორც ყარსის შემთხვევაში, გავრცელდა დეზინფორმაცია მხარეთა შორის დაზავების და საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. ამის შედეგად, როგორც ბათუმის გორაკების კალთებიდან, ასევე ჭოროხის ნაპირებიდან მოიხსნენ ქართული სამხედრო დანაყოფები და უსისტემოდ დაიძრნენ ქალაქისაკენ. მხოლოდ ანარიის ფორტის მებრძოლთა ასეული კაპიტან სიმონ შავგულიძის მეთაურობით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდა პოზიციებს. მეთაურთან ერთად გმირულად დაეცნენ კაპიტანი დოლიძე, პრაპორშჩიკები ხარაიძე, ვანიძე და სხვები.

დაბოლოს, მოხდა ის, რაც არ უნდა მოხდარიყო... ბათუმის ევაკუაცია უგეგმოდ და სტიქიურად ჩატარდა, ამის გამო ქალაქიდან ვერ გაიყვანეს რამდენიმე სამხედრო ნაწილი, რომელთა პირადი შემადგენლობა ტყვედ ჩავარდა. ნათლად გამოიკვეთა, რომ ბათუმის დაცვა შეუძლებელი იყო.

1918 წლის 1 (14) აპრილს ოსმალთა 37-ე დივიზიის ნაწილებმა ლაზი და აჭარელი ჩეთეს მებრძოლების მხარდაჭერით შეტევა მიიტანეს ბათუმზე და რამდენიმესაათიანი ბრძოლის შემდეგ ბათუმი მთელი თავისი ფორტებით ჩაბარდა. ბათუმის სიმაგრის კომენდანტი 3000-იან გარნიზონთან და 600 ოფიცერთან ერთად დანებდა. ტყვედ ჩავარდნენ აგრეთვე გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი და გენერალი ზაქარია მდივანი... დარჩენილმა ქართულმა ქვედანაყოფებმა უკან დაიხიეს მუხა-ესტატეს პოზიციებზე, სადაც ყირიმისა და 1877-1878 წლების ომში ქართული რაზმები წარმატებით იბრძოდნენ ქობულეთსა და ოზურგეთს შორის.

ასე დასრულდა ბათუმისათვის ბრძოლა. ქართულმა მხარემ სამარცხვინო მარცხი განიცადა. ამ ამბების შესახებ შემდგომ ვალიკო ჯუღელი იხსენებდა: ,,შემდეგ ჩვენ [გვარდიას] ყველაზე მძიმე და შესაძლებელია ყველაზე სამარცხვინო ფრონტზე წასვლამ მოგვიწია. მხედველობაში მაქვს ბათუმის ფრონტი… მაგრამ ჩვენმა ნაწილებმა ძლივს მოასწრეს სამტრედიამდე ჩასვლა, რომ მოვიდა ცნობა ბათუმის დაცემის შესახებ“.[902]

ქართული მხარის მარცხისა და ბათუმის დაცემის მიზეზები იყო:

- ბათუმის დამცველთა პირადი შემადგენლობის რევოლუციური განწყობები და უდისციპლინობა;
- არაკომპეტენტური სამოქალაქო ხელისუფლების სამხედრო საქმეში ჩარევა (ოპერაციის მართვა) და მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღება;
- თავდაცვის მოძველებული სისტემა, ე.წ. ,,საკორდონო სტრატეგია” (მტრის შემოტევის შესაძლო მიმართულებების გადაკეტვა);

---

[901] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებები. 1917–1925. გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა“. ბათუმი. 1990. გვ. 56.

[902] Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегеткори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. გვ. 16.

- ქართული მხარის არაკოორდინირებული მოქმედებები;
- ბათუმის აღების ოპერაციაში ადგილობრივი მოსახლეობის, ე.წ. ,,ჩეთეს" რაზმების მონაწილეობა;
- საბრძოლო საშუალებების (ჰიდროთვითმფრინავები) გაუმართაობა;
- კრეისერ ,,კაროლ კარლის" თვითნებური მოხსნა ბათუმის აკვატორიიდან და ღია ზღვაში გასვლა;

ბათუმი 1 აპრილს დაეცა. ბათუმის აკვატორიაში, ზღვის დაუცველ მონაკვეთზე კი, ოსმალებმა 7 ათასკაციანი დესანტი, ძირითადში ჰალიპოლისის (გალიპოლის) დივიზიის ნაწილები გადმოსხეს. ეს ის კარგად ნაცადი დივიზია იყო, რომელმაც უმძიმესი და ხანგრძლივი ბრძოლებით წარმატებით მოიგერია 1915 წლის თებერვალი - 1916 წლის იანვრის პერიოდში ბრიტანული საზღვაო დესანტის გადმოსხმა სრუტეების რაიონში, ჰალიპოლისის (გალიპოლი) ნახევარკუნძულზე და ოსმალთა დედაქალაქი, კონსტანტინოპოლი, ანტანტის ჯარების ოკუპაციისგან იხსნა. ჰალიპოლისის ოპერაცია ოსმალეთის არმიის ალბათ ყველაზე უფრო წარმატებულ ოპერაციად უნდა შეფასდეს პირველ მსოფლიო ომში. ახლა კი, სწორედ ბრძოლაში ნაცადი ეს ნაწილები ემზადებოდნენ ქართული ტერიტორიების ოკუპაციისათვის.

აშკარად ჩანდა, რომ ოსმალები საფუძვლიანად ემზადებოდნენ საქართველოს სიღრმეში შემოჭრისათვის. ქართული მხარის წინაშე იდგა ამოცანა, შეეჩერებინათ ოსმალეთის ჯარების წინსვლა და არ დაეშვათ მათ მიერ მდინარე ჩოლოქის გადმოლახვა. ბათუმის დაკარგვით საქართველომ დაკარგა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, ერთადერთი ნავსადგური და ევროპაში გასასვლელი კარიბჭე, ხოლო ჩოლოქის გადალახვის შემდეგ ოსმალებს შესაძლებლობა ეძლეოდათ შეტევა ორი მიმართულებით განევითარებინათ: ბათუმი-ფოთი, ბათუმი-ოზურგეთი, რომლის შემდგომი შეჩერებაც მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვდა. ასეთ ვითარებაში სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გამაგრებული თავდაცვის რაიონი მოეწყოთ მდინარე ჩოლოქისა და ნატანების ნაპირებზე წმინდა ნიკოლოზის ფორტიდან (სოფ. შეკვეთილი) სოფელ შემოქმედამდე. ამ უბანზე ფრონტის სიგრძე 25კმ-ს შეადგენდა. ფრონტის ამ მიმართულების ხელმძღვანელობა მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაურს, გენერალ გიორგი მაზნიაშვილს დაევალა, რომელმაც ბრწყინვალედ გაართვა თავი დასმულ ამოცანას. ჩოლოქის ბრძოლაში მოპოვებულმა გამარჯვებამ ოსმალთა შემდგომი წინსვლა შეაჩერა დასავლეთ საქართველოში. სხვათა შორის, ჩოლოქის ბრძოლას თავის ნაშრომში ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი სომეხი ავტორი, ედუარდ ოგანესიანიც ეხება, თუმცა ერთობ თავისებურად. მართალია, ჩოლოქის ბრძოლის შედეგი და მისი მნიშვნელობა ავტორის მიერ სულ რაღაც ერთ წინადადებაშია გადმოცემული, მაგრამ მასში ფაქტობრივი უზუსტობებისა და კარგად შეზავებული ტყუილ-მართლის მთელი კორიანტელია დაყენებული. ავტორი წერს:

,,მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა ჯარებმა ***ბრწყინვალე გამარჯვების მიღწევა შეძლეს*** **(არა გაიმარჯვეს, არამედ შეძლეს გამარჯვება - удалось одержать победу** - ა. ჩ.) ჩოლოქთან, თურქთა რეგულარული ჯარის ზეწოლის გამო, ***ისინი იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ.*** ქართული არმია უკან იხევდა მაშინაც, როდესაც თურქები ***საკუთრივ საქართველოში შევიდნენ*** და გურია და ოგურზეთი (ასეა ტექსტში - ,,Огурзети" - ა. ჩ.) დაიკავეს".[903] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

აქ საუბარი არ არის იმაზე, რომ ოზურგეთი ოგურზეთადაა მოხსენიებული. ეს ალბათ ყველაზე უმნიშვნელო და არაარსებითი შეცდომაა ამ ამონარიდში. ბატონი ოგანესიანი მართებულად

---

903 Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство ,,Феникс". Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 224. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf

აღნიშნავს ქართველების გამარჯვების ფაქტს, მაგრამ თავად ამ ფაქტის ფორმულირებაა შეუსაბამო. ავტორი სიტყვა-სიტყვით წერს, რომ ,,ქართულმა ჯარებმა შეძლეს მიეღწიათ ბრწყინვალე გამარჯვებისათვის“ (Грузинским войскам удалось одержать блестящую победу), მაგრამ იმას კი ვერ ითავისებს, რომ ბრწყინვალე გამარჯვებას არ აღწევენ, ,,ბრწყინვალე გამარჯვებას“ მოიპოვებენ. მიღწევით კი, მებრძოლმა მხარემ შეიძლება მცირე უპირატესობას ან სულაც ცეცხლის შეწყვეტა-დაზავებას მიაღწიოს. ამ მნიშვნელოვანი ფაქტის აღნიშვნის შემდეგ კი, ავტორი სრულიად წარმოუდგენელ პასაჟს ანვითარებს და წერს, რომ ამ გამარჯვების მოპოვების შემდეგაც, ქართველები უკან იხევდნენ. ანბანურ ჭეშმარიტებას გაგახსენებთ და რიტორიკულ კითხვასაც დავსვამ - ვის ან სად გაუგონია, რომ გამარჯვებულები უკან იხევდნენ? ან რას ნიშნავს, ,,თურქები საკუთრივ საქართველოში შევიდნენ და გურია დაიკავეს“? ანუ, ბათუმი და აჭარა საქართველო არ არის?..(Sic) დღესავით ნათელია, რომ აქ კიდევ ერთ პატარა იდეოლოგიურ ეშმაკობასთან გვაქვს საქმე, რასაც პერიოდულად ვაწყდებით სხვადასხვა ანტიქართულად განწყობილ ავტორებთან, რომლებიც თავიანთ პასკვილებში მიზანმიმართულად ავრცელებენ სხვადასხვა სახის დეზინფორმაციებს. ასეთ დროს კი, ტყუილ-მართლის ზომიერად შეზავება და მათი ერთად წარმოდგენა, მკითხველის შეცდომაში შეყვანის საუკეთესო გზაა.

რეალობა კი, გაცილებით მარტივი და საყოველთაოდ ცნობილია. ჯერ ერთი -აჭარაც, გურიაც და საქართველოს ნებისმიერი სხვა მხარეც, განუყოფელი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხეებია. მეორე - თურქებს არც გურია დაუკავებიათ მთლიანად და არც ოზურგეთის მაზრა, მათ ოზურგეთის მაზრის ნაწილიც კი არ დაუკავებიათ, არამედ მხოლოდ საკუთრივ ქალაქ ოზურგეთის ოკუპაცია მოახდინეს და ისიც მცირე ხნით. და მესამე - გამარჯვებულ ქართულ ჯარს ჩოლოქიდან ცხადია, უკან არ დაუხევია - გამარჯვებულები უკან არ იხევენ. ქართული მხარის ამ მართლაც ლეგენდარული გამარჯვების გამო, სწორედ მდინარე ჩოლოქზე დაფიქსირდა საქართველოსა და ოსმალთა იმპერიას შორის დე ფაქტო და დე იურე საზღვარი 1918 წლის 4 ივნისიდან.

საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მორალური სახის კონტექსტში ჩვენ არ უარვყოფთ იმასაც, რომ სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, ქართველთა მხრიდანაც ჰქონდა ადგილი სომეხი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ ყოვლად გაუმართლებელი ანგარიშსწორებების ფაქტებს, მაგრამ ეს მოქმედებები მხოლოდ ცალკეული პიროვნებების მხრიდან იყო ინიცირებული შურისძიების მიზნით და იგი არაფრით არ იყო მოტივირებული ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური და იდეოლოგიური კურსით, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით არარატის რესპუბლიკის მმართველ წრეებზე. ჩვენ აქაც არ ვაპირებთ ხელი დავაფაროთ ქართული მხარის მსგავს ქმედებებს და მისი ნამოქმედარი მხოლოდ ნათელ ფერებში დავხატოთ.

ქართულ გვარდიასთან დაკავშირებით კი, ერთ ამონარიდს მოვიყვანთ ცნობილი ეროვნულ-დემოკრატის, რევაზ გაბაშვილის მოგონებიდან, რომელიც გვარდიის ყოვლად უღირს ქმედებებს ეხება, ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთში'' ბოლშევიკური აჯანყების ჩაქრობის დროს: ,,სახელოვანმა ჩვენმა გვარდიამ გაცარცვა, გადასწვა ოსების სოფლები, გააუპატიურა დედაკაცები... მე კი ჩემი თვალით ვუყურებდი გორზე გამოტარებული ნადავლი საქონლისა და ურმების ქარავანს, დატვირთულს საოჯახო ნივთებით - წინ და გვერდებიდან შეიარაღებული გვარდიელების თანხლებით. მერე კი, სად და საით გადაატარეს ეს ქარავანი არავინ იცის, არც მე - ოღონდ ის კი ვიცი, ,,სახელმწიფო შემოსავალში'' არ გატარებულა არასოდეს''.[904]

საყოველთაოდაა ცნობილი ის ფაქტიც, რომ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსმა, ვალიკო ჯუღელმა, ყოვლად უღირსი საქციელისათვის პირადად დახვრიტა ერთ-ერთი გვარდიელი

---

[904] რეზო გაბაშვილი. დაბრუნება. რაც მახსოვს. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. თბილისი. 1992. გვ. 234.

დაღეთ-ხაჩინის ოპერაციის დროს, სწორედ სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას. ამ ომში ქართული რეგულარული ჯარის პირადი შემადგენლობის მხრიდანაც ჰქონდა ადგილი ყოვლად უღირს და არასაწესდებო ქცევებს, ასევე ისეთი უმძიმესი სამხედრო დანაშაულობების ჩადენის ფაქტებს, როგორიცაა მეთაურისადმი დაუმორჩილებლობა, ბრძანების არშესრულება, საბრძოლო პოზიციების თვითნებური მიტოვება, დეზერტირობა და ა.შ. რა თქმა უნდა, ასეთ მოვლენებს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მსგავსი ქმედებების პრევენციისა და თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს სამხედრო მინისტრის მიერ სათანადო ბრძანება იქნა გამოცემული.

ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

№120.

დეკემბრის 21. 1918 წ.

ვუცხადებ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო უწყების ყველა ჯარის კაცთა და ოფიცერთა საგულისხმოდ, რომ ფრონტიდან ან საზოგადოდ ჯარის ნაწილიდან გაქცეული, თავის უფროსის საბრძოლო ბრძანების არ შემსრულებელნი და ყველა ისინი, ვინც ჯაშუშობას და სახელმწიფოს საწინააღმდეგო აგიტაციას გასწევს, სიკვდილით დაისჯებიან.

ხელს აწერს სამხედრო მინისტრი გიორგაძე.[905]

აღსანიშნავია, რომ სიკვდილით დასჯის აღდგენაზე მსჯელობა საქართველოს მთავრობაში ჯერ კიდევ 1918 წლის 29 ივნისს გამართულ მთავრობის სხდომაზე განიხილებოდა, სადაც რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა შემოიტანა ეს საკითხი დუშეთისა და ლეჩხუმის მაზრებში ,,ანარქიული გამოსვლებისა და უწესრიგობის გახშირების“ გამო. მთავრობის სხდომაზე ეს კანონ-პროექტი მოიწონეს და დასამტკიცებლად ეროვნულ საბჭოს გადაუგზავნეს.[906]

ზემოთ წარმოდგენილი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ დაშნაკთა ე.წ. ,,საბრძოლო რაზმები'', ფაქტობრივად კი, სადამსჯელო-ტერორისტული ბანდები, სომეხ და პროსომეხ ავტორთა მიერ ,,სომხურ პოლკებად'' მონათლული, რეალურად ოსმალეთისა და ამიერკავკასიის მშვიდობიანი მუსლიმი მოსახლეობის ჟლეტით იყვნენ დაკავებულნი, ხოლო მათი ქცევა საომარ მოქმედებათა რაიონებში, ცალსახად მეტყველებს მათ მხედრულ სულისკვეთებასა და მორალურ სახეზე. ამ თვალსაზრისით, ისიც უნდა ითქვას, რომ არც ქართულ შეიარაღებულ ძალებში იყო სანიმუშო მდგომარეობა. თუმცა, საბრძოლო სულისკვეთების საერთო მაჩვენებლის მხრივ, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთელ სტრუქტურას, როგორც რეგულარულ ჯარს, ასევე სახალხო გვარდიასა და მოხალისეთა რაზმებს, დიდი უპირატესობა გააჩნდა სომხებთან შედარებით, რამაც დიდი როლი ითამაშა სომხეთ-საქართველოს ომის საერთო მსვლელობაზე.

---

905 გაზეთი ,,სახალხო საქმე''. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. 1918 წ. სამშაბათი. დეკემბრის 24. №415. გვ. 2.

906 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 17.

§2.8. დაპირისპირებულ მხარეთა შეიარაღება

1918 წლის მდგომარეობით, საქართველოსა და სომხეთის პირველი რესპუბლიკების შეიარაღებულ ძალების პირადი შემადგენლობის შეიარაღების სისტემებით აღჭურვის საქმეში, განსხვავებული სურათი იყო. ეს განსხვავება, განსაკუთრებით, შეიარაღების ტექნიკურ სახეობებში გამოიხატებოდა. რაც შეეხება, ზოგადად, ქართული და სომხური კორპუსების შეიარაღების საკითხებს, იგი ჯერ კიდევ ,,ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმიის" ფორმირების პროცესში, 1918 წლის 2 იანვარს გამართულ ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე იხილებოდა, სადაც მესამე საკითხად გამოტანილ იქნა ცნობა კავკასიის ფრონტის 1-ლი და მე-7 კორპუსების დაშლის შესახებ, ხოლო მათი ქონების გადაცემა ქართულ და სომხურ კორპუსებზე გადაწყდა.[907]

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ძირითად ინდივიდუალურ სასროლ იარაღად 1918 წლის ბოლოსათვის მიღებული იყო რუსული წარმოების 1891 წლის ნიმუშის მოსინის სისტემის, ე.წ. სამხაზიანი, 7,62მმ კალიბრის შაშხანა, რომელიც იმ დროისათვის ერთ-ერთი საუკეთესო ბალისტიკური მაჩვენებლებით გამოირჩეოდა.[908] თუმცა, ამიერკავკასიისა და საქართველოს წითელი გვარდია ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, ძირითადში მოძველებული შვეიცარული შაშხანებით იყო აღჭურვილი.

- ,,ამხანაგებო, ჩვენ მივმართეთ ჯარისკაცთა სამხარეო საბჭოს და აქ ძალიან დიდი დახმარება გაგვიწია ამხანაგმა ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორმა. ის გაგებით მოეკიდა ამ თხოვნას და ჩვენ მივიღეთ 500 შაშხანა და 15 ათასი ვაზნა. იმედი გვქონდა, რომ გამოგვიყოფდნენ რუსული წარმოების სამხაზიან შაშხანებს, მაგრამ სამწუხაროდ, ბატონმა გენერლებმა, გენერალ ლებედინსკის მეთაურობით, რომლებიც ჯერ ისევ შტაბში იყვნენ განთავსებულნი, ძველი, შვეიცარული წარმოების შაშხანები[909] მოგვცეს",[910] - აღნიშნავდა ვალიკო ჯუღელი სახალხო გვარდიის დაარსების ერთი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო გამოსვლაში პარლამენტის წინაშე, 1918 წლის 12 დეკემბერს. შეიარაღებაში მცირე რაოდენობით იყო აგრეთვე ფრანგული ლებელისა[911] და გრას[912] სისტემის

---

907 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 1.

908 რუსული წარმოების 1891 წლის ნიმუშის მოსინის სისტემის 7,62მმ-იანი სამხაზიანი მჭიდიანი შაშხანა (რუს. Русская 3-линейная (7,62-мм) винтовка Мосина образца 1891 года) რუსეთისა და საბჭოთა კავშირის არმიების შეიარაღებაში მასიურად გამოიყენებოდა 1892-1950 წლებში. მას გააჩნდა როგორც შაშხანის, ასევე კარაბინის სხვადასხვა მოდერნიზებული ვარიანტი. დასახელება ,,სამხაზიანი" მომდინარეობს შაშხანის ლულის კალიბრიდან, რომელიც უტოლდებოდა სამ ,,ხაზს". თავად ,,ხაზი" კი, წარმოადგენდა სიგრძის საზომ რუსულ მოძველებულ ერთეულს, რომელიც დუიმის მეათედის ტოლი იყო და უდრიდა 2,54მმ-ს. შესაბამისად, სამი ხაზი უდრიდა 7,62მმ-ს.

909 აქ საუბარია შვეიცარული წარმოების მანლიხერის 1895 წლის მოდელის (გერმ. Mannlicher M1895) მჭიდიან შაშხანაზე. იგი შემუშავებული იქნა ფერდინანდ მანლიხერის მიერ და ავსტრო-უნგრეთის არმიამ შეიარაღებაში მიიღო 1895 წელს. თავდაპირველად მისი კალიბრი შეადგენდა 11მმ-ს, შემდეგ – 8მმ-ს. I მსოფლიო ომის მსვლელობისას ნაალაფარი მანლიხერის ტიპის შაშხანები ფართოდ გამოიყენებოდა რუსეთის არმიის შეიარაღებაში. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ შაშხანის ვაზნების წარმოება პეტროგრადის საიარაღო ქარხანაში ხდებოდა.

910 Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегеркори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920г. გვ. 13.

911 1886 წლის ნიმუშის ლებელის სისტემის შაშხანა (ფრანგ. Fusil Modèle 1886 dit "Fusil Lebel") – ფრანგული წარმოების 8მმ-იანი კალიბრის მჭიდიანი შაშხანა. იგი წარმოადგენდა მასობრივ წარმოებასა და შეიარაღებაში მიღებულ მსოფლიოში პირველ კუთხვილლულიან და უკვამლო დენთიან ვაზნაზე მომუშავე შაშხანას. 1893 წელს მის კონსტრუქციაში შეტანილი გარკვეული ცვლილებების შემდეგ შაშხანამ მიიღო დასახელება Fusil Mle 1886 93. მიუხედავად გარკვეული ნაკლისა და ხარვეზებისა,

შაშხანები. კავალერიისათვის კი, მიღებული იყო ამ მოდელის შაშხანების დამოკლებული ვერსიები - კარაბინები. ოფიცერთა შემადგენლობისათვის, დამატებით - ცივი იარაღი, ბელგიური ნაგანის ტიპის რევოლვერი (ფრანგ. Nagant 1895) და მცირე რაოდენობით ბრაუნინგის პისტოლეტები (ინგლ. Browning M1900), მაღალი რანგის მეთაურებისთვის კი, გერმანული წარმოების მაუზერის სისტემის პისტოლეტი (გერმ. Mauser C96), რომელიც ფაქტობრივად მოკლელულიან კარაბინს წარმოადგენდა.

საგრძნობლად გაუმჯობესდა წითელი გვარდიის პირადი შემადგენლობის თანამედროვე ტიპის იარაღით აღჭურვის საქმე გვარდიის მიერ თბილისის არსენალის აღებით, 1917 წლის 12 დეკემბერიდან. წითელი გვარდიის ამ წარმატებულ ოპერაციას სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული მეთაური, მეფის არმიის ყოფილი პორუჩიკი, ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძე ხელმძღვანელობდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი მეტად თავდადებული და უზომოდ გაბედული, შეიძლება ითქვას თავზეხელაღებული კაცი იყო, მრავალი ბრძოლისა და შეტაკების მონაწილე, რომელიც ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა იქიდან. დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ რობაქიძე ასე ახასიათებდა ვალოდია გოგუაძეს: ,,ვალოდია ამოზრდილი იყო ქართული ეპოსითგან. ფესვმაგარი, მტკიცე, ურყევი, უდრეკი, უტეხი, უშიშარი: როგორც თავგამოდებული მებრძოლი თავისუფლებისათვის სამშობლოისა, თვითონ ჯავშანი - საარაკო ბელადი შემმართებელი ,,ჯავშნოსანისა". არავითარი სიძნელის წინაშე უკან-არ-დამხევი - ძალაყრით მომშვილდული, ყოველი დაბრკოლების გადამლახავი. ამასთანავე: ხალისიანი, მონადიმე, მომლხენი, მოშაირე - ქართულ სუფრასთან".[913]

რა თქმა უნდა, აქ ვერ განვიხილავთ ვალოდია გოგუაძის რევოლუციური თუ საბრძოლო მოღვაწეობის ყველა დეტალს. იგი ისედაც სომხეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო, ამიტომაც მის შესახებ არაერთხელ გვექნება საუბარი წიგნის მეორე ნაწილში, როდესაც უშუალოდ სომხეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების განხილვას დავიწყებთ. ამჯერად კი, მოვლენებს ცოტათი წინ გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ საბედნიეროდ, ვალოდია გოგუაძე იმ მცირერიცხოვან ქართველ მეომართა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც ბოლშევიკთა რეპერესიებს გადაურჩა და სიცოცხლე ემიგრაციაში დაასრულა. მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული ბოლშევიკთა კონტროლქვეშ მოქცეული თბილისის რუსულ-ბოლშევიკური არსენალის აღების ზემოხსენებული ოპერაცია კი, გვარდიის ერთ-ერთ საუკეთესო ოპერაციათა რიცხვს განეკუთვნებოდა.

,,ეს გაბედული თავდასხმა, რომლის დროსაც რუსი ბოლშევიკები განიარაღებულები აღმოჩნდნენ, იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ მას შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში 12 დეკემბერი ეროვნულ დღესასწაულად აღინიშნებოდა და მნიშვნელობით მხოლოდ დამოუკიდებლობის დღეს ჩამოუვარდებოდა",[914] - აღნიშნავს ერიკ ლი, რასაც ვეთანხმებით, მაგრამ იმ მცირე შენიშვნით, რომ პირველი რესპუბლიკის ზოგიერთი სამხედრო-პოლიტიკური ლიდერი,

---

ლებელის სისტემის ეს შაშხანა 1930-იანი წლების მეორე ნახევრამდე წარმოადგენდა ფრანგული ქვეითი ჯარის საშტატო იარაღს.

912 1874 წლის ნიმუშის გრას სისტემის შაშხანა (ფრანგ. Fusil Gras M80 Modèle 1874) – ფრანგული წარმოების 11მმ-იანი კალიბრის შავი დენთის უნიფიცირებული ერთვაზნიანი შაშხანა. 1878 წელს შეიარაღებაში მიღებულ იქნა იგივე კალიბრის გრა-კროპაჩეკის 9 და 10 ვაზნიანი მჭიდიანი შაშხანა. 1886 წლისათვის კი, გრას სისტემის შაშხანები ლებელის შაშხანებმა შეცვალა. ამ შაშხანების გარკვეული რაოდენობა ლებელის 8მმ-იანი კალიბრის ვაზნაზე გადაკეთდა. მიუხედავად მორალური მოძველებისა, I მსოფლიო ომის დროს საფრანგეთმა რუსეთს 450 ათასი გრას და 105 ათასი გრა-კროპაჩეკის სისტემის შაშხანა მიაწოდა. ამ შაშხანების გარკვეული ნაწილი გადაეცა კავკასიის ფრონტს, საიდანაც ისინი ქართული არმიის შეიარაღებაშიც აღმოჩნდა.

913 შოთა ვადაჭკორია. ქართული ეპოსიდან ამოზრდილი ლეგენდა. თბილისი. 2015. გვ. 54.

914 ერიკ ლი. ექსპერიმენტი: საქართველოს მივიწყებული რევოლუცია: 1918-1921. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი. თბილისი. 2018. გვ. 74.

და განსაკუთრებით, ვალიკო ჯუღელი, სახალხო გვარდიის შექმნის დღეს, 12 დეკემბერს უფრო აღიარებდა, ვიდრე საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს. ვალიკო ჯუღელისათვის 12 დეკემბერს გამორჩეული, ერთგვარი საკრალური დატვირთვაც კი ჰქონდა. უფრო მეტიც, ეს დღე, 12 დეკემბერი, სახელმწიფო დღესასწაულის რანგში იქნა აყვანილი. რესპუბლიკის უქმე დღედ 12 დეკემბერი, 1918 წლის 5 დეკემბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე გამოცხადდა.[915] ამ თარიღის, 12 დეკემბრის საკითხს და მის მნიშვნელობას ქართული სამხედრო-პოლიტიკური ელიტისათვის, ჩვენ წიგნის მეორე ნაწილის შესაბამის თავში, უკვე უშუალოდ სომხეთ-საქართველოს ომის ერთ-ერთი ბატალური სცენის განხილვისას გავხსნით უფრო დეტალურად.

რაც შეეხება სომხური მხარის შეიარაღების საკითხს. სომხეთის არმიის შეიარაღებაშიც, რა თქმა უნდა, ძირითად სასროლ იარაღს ასევე რუსული წარმოების მოსინის სისტემის სამხაზიანი შაშხანა წარმოადგენდა, მაგრამ ამავე დროს, გასაგები მიზეზების გამო, დიდი რაოდენობით იყო აგრეთვე უცხოური წარმოების იარაღი - ბრიტანული, ფრანგული, თურქული, შვეიცარული, თვით ე.წ. ,,ბერდანკებიც"[916] კი. ძლიერი საცეცხლე საშუალებებით - ტყვიამფრქვევებით, ორივე მხარე კარგად იყო შეიარაღებული - ძირითადში მაქსიმის ტიპის[917] დაზგის, და მსუბუქი - ლუისის ტიპის[918]

---

915 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 242.

916 ბერდანა – (ბერდანკა), ბერდანის შაშხანა. XIX საუკუნის ზოგიერთი ქვეყნის არმიის შეიარაღებაში არსებული ამერიკელი კონსტრუქტორის, ამერიკის სამოქალაქო ომის მსვლელობისას ერთ-ერთი მსროლელი პოლკის მეთაურის, პოლკოვნიკ ჰაირამ ბერდანის (ინგ. Hirem Berdan) მიერ შემუშავებული ერთვაზნიანი შაშხანა. არსებობდა ორი ტიპის ბერდანის სისტემის შაშხანა – №1 და №2. №1-ის წარმოება დაიწყო 1868 წელს და მისი კალიბრი იყო რუსული 4,5 ხაზი, ანუ, 11,43მმ. ხოლო №2-ის წარმოება დაიწყო 1870 წელს და მისი კალიბრი იყო 4,2 ხაზი, ანუ, 10,67მმ. ორივე ტიპის შაშხანისთვის ლითონის მასრიან, ცენტრალური აალების უნიტარულ ვაზნაში შავი დენთი იყო გამოყენებული. რუსეთის საიმპერატორო არმიის შეიარაღებაში ამ ტიპის შაშხანა მალევე იქნა მიღებული, ხოლო გარკვეული კონსტრუქციული ცვლილებების შეტანის შემდეგ 1870 წლის ნიმუშის ბერდანის შაშხანის წარმოება 1878 წელს დაიწყო, ტულის იარაღის ქარხანაში. 1891 წლიდან, რუსული არმიის გადაიარაღებისა და ქვეით ჯარში მოსინის სისტემის სამხაზიანი 7,62მმ კალიბრის შაშხანის დანერგვის შემდეგ, ბერდანის შაშხანები რჩებოდა სახელმწიფო სახალხო ლაშქრის რაზმების შეიარაღებაში, ხოლო I მსოფლიო ომის მსვლელობისას ეს შაშხანები გამოიყენებოდა სამობილიზაციო რეზერვის შესაიარაღებლად.

917 მაქსიმის ტვიამფრქვევი (ინგლ. Maxim gun) – ამერიკული წარმოშობის ინგლისელი ინჟინრისა და მეიარაღის, ჰაირამ მაქსიმის (ინგლ. Hiram Maxim) მიერ 1883 წელს კონსტრუირებული წყლით გაცივების სისტემის მქონე მძიმე, დაზგის ტყვიამფრქვევი. ეს მეტად პოპულარული საკულტო იარაღი კალიბრით 7,62მმ შემდგომ წლებში სხვადასხვა ქვეყნებში შექმნილი სხვადასხვა ავტომატური იარაღის პროტოტიპად იქცა. ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა არმიების მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოებულ კოლონიურ ომებში, 1899-1902 წლების ინგლის-ბურების მეორე ომში, 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში, I და II მსოფლიო ომებში, ასევე XX საუკუნეში წარმოებულ ყველა დიდ-პატარა ომსა თუ ცალკეულ სამხედრო კონფლიქტებში. მიუხედავად თავისი მორალური მოძველებისა, ამ ტიპის ტყვიამფრქვევის სხვადასხვა ვერსია დღესაც გამოიყენება მსოფლიოს ამა თუ იმ კუთხის ცხელ წერტილში. მაქსიმის ტყვიამფრქვევის ნოვატორულმა კონსტრუქციამ და მისმა მაღალმა ტექნიკურ-ტაქტიკურმა მაჩვენებლებმა დიდი ზეგავლენა იქონია სხვადასხვა სისტემის ავტომატური იარაღის შემდგომ განვითარებასა და დახვეწაში.

918 ლუისის ტყვიამფრქვევი (ინგლ. Lewis gun) – I მსოფლიო ომისდროინდელი ბრიტანული წარმოების 7,62მმ და 7,92მმ კალიბრის მქონე ხელის მსუბუქი ტყვიამფრქვევი. მისი შემქმნელი იყო ამერიკელი თადარიგის პოლკოვნიკი აიზეკ ლუისი (ინგლ. Isaac Newton Lewis). ლუისის ხელის ტყვიამფრქვევს გააჩნდა ლულის ჰაერით გაცივების სისტემა, საბრძოლო ნათლობა კი, მან I მსოფლიო ომის დაწყებისას, 1914 წელს მიიღო. 1930-იანი წლების ბოლოს იგი მოხსნეს შეიარაღებიდან, თუმცა მალევე, II მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, მცირე მოდერნიზაციის შემდეგ, ისევ მიიღეს შეიარაღებაში. გამოიყენებოდა როგორც I, ასევე II მსოფლიო ომების პერიოდის საავიციო შეიარაღების ტიპი. მისი ფართოდ გამოყენება დასრულდა კორეის ომის დასრულებისთანავე, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში

ტყვიამფრქვევებით. მცირე რაოდენობით იყო აგრეთვე დაზგის 7,62მმ კალიბრის ინგლისური ვიკერსისა და მსუბუქი ფრანგული 8მმ-იანი ჰოჩკისის ტყვიამფრქვევები.

საარტილერიო სისტემების ტიპების მხრივაც იდენტური მდგომარეობა იყო. ორივე მხარეს შეიარაღებაში მემკვიდრეობით ერგოთ რუსეტის საიმპერატორო არმიის კუთვნილი ,,დანგლიზ-შნაიდერის“ 1909 წლის ნიმუშის 3 დუიმიანი, ანუ, 76,2მმ კალიბრის სწრაფმსროლი სამთო ქვემეხი, 1900 წლის ნიმუშის საველე და 1902 წლის ნიმუშის მსუბუქი ქვემეხები. მცირე რაოდენობით - 1904 წლის ნიმუშის მძიმე 4,8 დუიმიანი (122მმ) ჰაუბიცა.

მძიმე საალყო არტილერიით არც ერთი მხარე არ იყო აღჭურვილი, რადგან რუსეთის კავკასიის არმიის შეიარაღებაში არსებული მთელი საალყო არტილერია არზრუმის, ბათუმისა და ყარსის სტრატეგიულ სიმაგრეებში იყო თავმოყრილი და იგი თურქებს დარჩათ სამხედრო ალაფად სომხური და ქართული ქვედანაყოფების სამარცხვინო უკანდახევის შემდეგ.

არაორდინარულად ჟღერს, მაგრამ სასროლი იარაღის, საბრძოლო აღჭურვილობისა და არტილერიის რაოდენობის მხრივ, სომხურ მხარეს ქართულთან შედარებით უპირატესობა გააჩნდა. და აი, რატომ: საქმე იმაშია, რომ 1917 წლის გაზაფხულისათვის კავკასიის არმიის სარდლობის მიერ დიდი შეტევითი ოპერაცია იყო დაგეგმილი ცენტრალური ანატოლიისა და სამხრეთის ოპერატიულ მიმართულებებზე, მესოპოტამიაში გაშლილი დიდი ბრიტანეთის საექსპედიციო ძალებთან ალიანსში. ამის გამო, კავკასიის არმიის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების მთელი სასაწყობო რესურსები ფრონტთან ახლოს, თურქეთისა და ირანის ტერიტორიებზე იქნა გადატანილი, რითაც ფაქტობრივად საქართველოში არსებული არსენალები და საწყობები დაცლილი აღმოჩნდა.[919] 1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის იმპერიაში განვითარებული გასაგები პოლიტიკური მოვლენების გამო, აღნიშნული ოპერაცია ვერ განხორციელდა და 1917 წლის ბოლოდან მთელი ეს აუარებელი საფრონტო მარაგი ფაქტობრივად სომხური ნაციონალური კორპუსის ხელში აღმოჩნდა. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ერთობ საინტერესო ცნობებს გვაწვდის სტივენ ჯონსი: ,,ალბათ ირონიის მომგვრელია ის მდგომარეობა, რომ ბევრ რაიონში, სადაც თავმოყრილი იყო რუსეთის კავკასიის არმიის სურსათის, საბრძოლო მასალების, კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო საშუალებების, აგრეთვე საველე სამედიცინო აღჭურვილობის აურაცხელი მარაგები, მათი დაცვისათვის (სომხურ - ა. ჩ.) კორპუსს ჯარისკაცები არ ჰყოფნიდა”.[920]

მართლაც, ისტორიული ფაქტია, რომ სომხურ საარმიო კორპუსს მოულოდნელად უზღვავი სამხედრო ქონება ჩაუვარდა ხელთ. მისი დაცვისა და განკარგვისათვის კი, კორპუსის პირადი შემადგენლობა საკმარისი არ აღმოჩნდა. ასე, რომ სომეხი და პროსომეხი ავტორების ტენდენციური მსჯელობები სომეხთა არასათანადო შეიარაღებასა და საბრძოლო უზრუნველყოფის შესახებ, მორიგი დეზინფორმაცია და მტკნარი სიცრუეა, რასაც ძალიან ხშირად მიმართავენ და ავრცელებენ ისინი. სტივენ ჯონსის ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას ჩვენს მიერ მოპოვებული საარქივო დოკუმენტებიც ადასტურებენ. ეს არის ჩვენთვის უკვე ცნობილი, სადახლოს პირველ ბრძოლაში ტყვედ აყვანილი სომეხთა ცხენოსანი პოლკის შტაბის როტმისტრ მარტიროსიანცის მიერ 1918 წლის 20 დეკემბერს მიცემული ჩვენება, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ,,ალექსანდროპოლისში თურქებმა დატოვეს სამხედრო პრიპასების დიდი მარაგი - 11 ქვემეხი და დაახლოებით 10 მილიონი ლებელის ვაზნა. ცხენებიც ბევრია თურქთაგან ნაყიდი“.[921]

დაპირისპირებული მხარეების მიერ გამოიყენებოდა 1948 წლის არაბეთ-ისრაელის, ვიეტნამისა და ალჟირის ომებში.

[919] გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. ჟურნალი ,,მხედარი”. 1992. №2. გვ. 45.

[920] Stephen F. Jones. Georgian–Armenian relations in 1918 to 1919 and 1991 to 1994. A comperison. გვ. 114.

[921] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 131.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას სომხური კორპუსის პირადი შემადგენლობის სიმცირესთან დაკავშირებითაც. ამ საკითხთან მიმართებაშიც სომხურ ისტორიოგრაფიაში ორგვარი დამოკიდებულება შეინიშნება. მაშინ, როცა საჭიროა ამა თუ იმ ომსა და ბრძოლებში სომეხთა მასიური ჩართულობისა და ჰეროიკულ ფორმებში მათი საბრძოლო დამსახურებების წარმოჩენა, სომეხი ავტორები ძალას არ იშურებენ და ამ მოვლენების შესახებ ფანტასტიკურ ცნობებს გვაწვდიან, ხოლო როცა მათ სომეხთა საბრძოლო მარცხების აღწერა უწევთ, მაშინ მუდმივად პირადი შემადგენლობის სიმცირესა და მათ ცუდ შეიარაღებაზე აპელირებენ. ასე მაგალითად, დოქტორი გაიანე მახმურიანი პირველ მსოფლიო ომში მონაწილე სომეხთა რაოდენობის შესახებ მართლაც ფანტასტიკურ ცნობებს გვაწვდის. ჩვნთვის უკვე ცნობილ ნაშრომში ,,სომხეთი და მისი ტერიტორიული საკითხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე (1919 წლის 18 იანვარი-28 ივნისი)“, ავტორი წერს: ,,I მსოფლიო ომის ოპერაციებში 68,2 მილიონი ჯარისკაცი იქნა ჩართული. მათ შორის 250 ათასი სომეხი მონაწილეობდა აღმოსავლეთის, დასავლეთის, ბალკანეთისა და კავკასიის ფრონტების საბრძოლო მოქმედებებში, და კიდევ 50 ათასი კაცი მსახურობდა საფრანგეთის, ინგლისისა და აშშ-ის არმიებში“,[922] - ე.ი. სულ 300 ათასი. XX საუკუნის 10-იანი წლებში სომეხთა საერთო რიცხოვნობის გათვალისწინებით, პირველ მსოფლიო ომში მონაწილე 300 ათასი სომეხი მებრძოლის დასახელება, სრულიად წარმოუდგენელი და არარეალური რიცხვია.

სომხური საბრძოლო რაზმების ეკიპირებისა და მათი საბრძოლო აღჭურვილობის შესახებ, ერთ-ერთი თვითმხილველი, რუსი ოფიცერი, ყუბანის კაზაკთა ჯარების პოლკოვნიკი, ფიოდორ ელისეევი თავის მემუარებში გვამცნობს:

,,ტფილისში, სომეხთა ნაციონალურ ბიუროსთან შეიქმნა სამხედრო საბჭო, რომელიც რაზმების კომპლექტაციის, მათი იარაღით უზრუნველყოფის და საბრძოლო მასალებით მომარაგების საკითხებით იყო დაკავებული. რაზმების ეკიპირება ბრწყინვალე იყო: დამცავი ფერის კიტელი დიდი ჯიბეებით და შარვალი. ყველაფერი მშვენიერი ხარისხის. ამბობდნენ - ,,ამერიკულიაო“. შეიარაღებულნი იყვნენ რუსული შაშხანებით. ძალიან ბევრს კი ხისბუდიანი ,,მაუზერის“ სისტემის გრძელი რევოლვერები[923] ჰქონდათ...

სომეხი მებრძოლების მკერდსა და წელზე გადაჯვარედინებული პატრონტაჟის ლენტის მთელი ჯავშანი ერთობ მეომრულ შეხედულებას აძლევდა მათ. თავზე კი, თითქმის ყველას, შავი ფერის კავკასიური კრაველის ქუდები ეხურათ...“[924]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სომხეთის ეროვნული შეიარაღებული ძალების შეიარაღების მთავარ წყაროს რუსეთის კავკასიის ფრონტის საწყობები წარმოადგენდა. გენერალი ანდრანიკ ოზანიანი მოგვიანებით იხსენებდა, რომ კავკასიიდან წასვლისას რუსეთის არმიამ აქ დატოვა 3000 საარტილერიო ქვემეხი, 100 ათასი შაშხანა, 1 მილიონი ყუმბარა, 1 მილიარდი ვაზნა, სხვა უამრავი შეიარაღება და საბრძოლო მასალა. გარდა ამისა, ახლადშექმნილ სომხურ არმიას შეიარაღების მხრივ დიდი დახმარება გაუწია დიდმა ბრიტანეთმა, რომელიც სომხეთის, როგორც ოსმალთა იმპერიის საპირწონის გაძლიერებით იყო დაინტერესებული.[925]

---

922 Гаяне Махмурян. Армения и ее територимальный вопрос на парижской мирной конференции (18 января – 28 июня 1919 г.). К 100-летию Первой мировой войны. http://hpj.asj-oa.am/6473/1/104.pdf

923 აქ ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს, უნდა იყოს პისტოლეტი ან, უკიდურეს შემთხვევაში, პისტოლეტ-კარაბინი.

924 Елисеев Ф. И. Казаки на Кавказском фронте. Записки полковника Кубанского казачьего войска в тринадцати брошюрах-тетрадях. М. 2001. Стр. 85-86.

925 Илья Полонский. День армянской армии. Как сформировались и развиваются вооружённые силы Армении. https://svpressa.ru/authors/ilya-polonskiy/.

რაც შეეხება ქართული მხარის იარაღითა და საბრძოლო მასალებით უზრუნველყოფის საკითხს. ქართული მხარის შეიარაღების საკითხთან მიმართებაში, აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ,,დამოუკიდებლობის მთელი სამი წლის განმავლობაში საქართველოს დახმარების სახით დასავლეთიდან არ მიუღია არც ერთი ერთეული თოფი, ქვემეხი და საბრძოლო მასალა''.[926] ეს ინფორმაცია კი, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის მიერ 1955 წელს გამოქვეყნებული ოფიციალური მემორანდუმიდან "Communist Takeover and Occupaton of Georgia" (,,საქართველოს კომუნისტური სამხედრო გადატრიალება და ოკუპაცია") არის წარმოდგენილი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი 1918 წლის განმავლობაში ქართული შეიარაღებული ძალები, როგორც რეგულარული ჯარის ნაწილები, ასევე გვარდიული რაზმები, რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართულ და მათ მიერ ინსპირირებულ საბრძოლო მოქმედებებში იყვნენ ჩართულნი. ეს საბრძოლო მოქმედებები დუშეთის მაზრასა და ცხინვალის რეგიონში, რაჭა-ლეჩხუმსა და სამეგრელოში, აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში მიმდინარეობდა. ყველა ეს ბრძოლა ბოლშევიკების დამარცხებით დასრულდა, რის შედეგადაც ქართულმა მხარემ სამხედრო ალაფის სახით დიდი რაოდენობით მძიმე და მსუბუქი სასროლი იარაღი, სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალები და აღჭურვილობა ჩაიგდო ხელში. რუს ბოლშევიკთა წინააღმდეგ წარმოებულ ამ ბრძოლებს და საომარ კამპანიებს საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი დივიზიის მეთაური, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი, ვალიკო ჯუღელი სარდლობდნენ. მათი საბრძოლო პატაკები, საარქივო დოკუმენტები და იმდროინდელი პრესა გვამცნობს:

,,...[მოწინააღმდეგის] მებრძოლებს საცოდავი, შეშინებული სახეები აქვთ. ჩვენები მათ ანიარაღებენ და თავზე აბიჯებენ, მაგრამ მათზე არ ძალადობენ. ენერგიულად ვდევთ მოწინააღმდეგეს. ვიყვანთ ტყვეებს. ხელში ჩავიგდეთ ქვემეხები, ტყვიამფრქვევები და სასურსათო საწყობები. დიდი წარმატებაა. ჩვენ მხოლოდ 7 მსუბუქად დაჭრილი გვყავს".[927]

,,...სწრაფად განვითარებული შეტევის წყალობით გვარდიის ნაწილებმა გაგრაც გაათავისუფლეს, გააგრძელეს წინსვლა და ახალ ათონსა და გუდაუთაშიც შევიდნენ. მოეწყო თავდაცვითი პოზიციები. წითლებმა ადგილზე დატოვეს 11 ზარბაზანი, 21 ტყვიამფრქვევი, დიდძალი ტყვია-წამალი. გუდაუთასთან დააკავეს წითლების 1 ხომალდიც".[928]

,,...ჩვენი ალაფია: 400 ტყვე ბოლშევიკი, 11 ქვემეხი, მათ შორის ორი საალყო, 21 ტყიამფრქვევი, შაშხანებისა და სამხედრო სამოსელის დიდი რაოდენობა. ჩვენმა გამანადგურებელმა №525 გუდაუთასთან დააკავა დიდი სატრანსპორტო ხომალდი, რომელიც სურსათის დიდი რაოდენობითა და ამბოხებულებით იყო სავსე. ისინი ტყვედ იქნენ წამოყვანილნი".[929]

,,…ჩვენი ჯარისაკაცებისა და აფიცრების მამაცობა გამბედაობას საზღვარი არა აქვს. მოწინააღმდეგის მხარით მოკლულია 200, ტყვედ წამოყვანილია 100, დიდძალი თოფები და ტყვიები".[930]

---

926 Communist Takeover and Occupation of Georgia. Special Report No6 of the Select Committee on Communist Aggression. House of Representatives. Eighty-third Congress. Second Session. Under Authority of H. Res. 346 and H. Res. 438. United States Government Printing Office. Washington. 1955. გვ. 9.

927 Валико Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори. Тифлисъ. Тіпографія Правительства. 1920 г. Стр. 9.

928 გაზეთი ,,ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 21 მაისი. გვ. 2.

929 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 11, ფურცელი 12.

930 გაზეთი ,,ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 5 ივლისი №138. გვ. 2.

,,…5 ივლისს ჩვენმა ჯარმა ხოსტასთან, ადლერიდან 12 ვერსის მანძილზე, მოწინააღმდეგე უკუაქცია. ჩვენ წამოვიღეთ 6 ზარბაზანი, 8 ტყვიისმფრქვეველი და 200 კაცამდე ტყვე".[931]

,,…23 ივლისს, დილის 9 საათზე ჩვენ ბრძოლით მივიწევდით სოფ. ლოოდან სოფ. გოლოვინკაზედ. აქ მოგვიხდა შეტაკება მოწინააღმდეგის უმთავრეს ძალებთან. მოწინააღმდეგე დავამარცხეთ, ისინი უწესრიგოდ გაიქცნენ ტუაფსეში. ხელთ ვიგდეთ ერთი ზარბაზანი, ორი ტყვიისმფრქვეველი, ერთი ავტომობილი და ტყვიები, რომელთა რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის".[932]

,,…გატყობინებთ, რომ 12 საათიანი მძიმე ბრძოლების შემდეგ, 26 ივლისის 20 საათზე ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი ჯარები ტუაფსეში შევიდნენ. მიწინააღმდეგე გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა. თითოეული სიმაღლის აღება ბრძოლებით გვიხდებოდა. ავიყვანეთ მრავალი ტყვე, ალაფად ავიღეთ 4 ქვემეხი, 12 ტყვიამფრქვევი, საბრძოლო მასალების დიდი რაოდენობა, სხვადასხვა ტიპის ხომალდი, ავტომობილები, 5 ორთქლმავალი ვაგონებით და დიდი საინტენდანტო ქონება".[933]

,,…ბრძოლა სოფ. გრეშესკოდან ოთხ ვერსზე დაიწყო. ექვსსაათიანი გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ანტონოვის ჯარებმა მარცხი განიცადეს და დაიფანტნენ. ბოლშევიკებმა ასეულობით მებრძოლი დაკარგეს მოკლულებისა და დაჭრილების სახით. ჯავშანმატარებელი განადგურებულია, ორთქლმავალი - დამწვარი. მატარებლის მთელი პირადი შემადგენლობა დაკავებულია, მოპოვებულია ოცი ზარბაზანი, 30 ტყვიამფრქვევი, ვაზნების დიდი რაოდენობა, ყუმბარები და შაშხანები. ხელში ჩავიგდეთ აგრეთვე გამართული საველე სამზარეულო, მატარებლის მთელი შემადგენლობა, თხრილების ამოსათხრელი მანქანები, ფქვილი, კონსერვები, კავშირგაბმულობის საშუალებები, ცხვრის ფარა, მატარებლების ოთხი შემადგენლობა"[934]...

უდიდესი განსხვავება იყო საქართველოსა და სომხეთის ეროვნული შეიარაღებული ძალების ბრძოლის ტექნიკური საშუალებებით - ჯავშნოსანი მატარებლებით აღჭურვის საქმეში. საქართველოს წითელი გვარდიის ხელმძღვანელობამ და პირადად ვლადიმერ გოგუაძემ ამ მხრივ ჯეროვანი ინიციატივა გამოიჩინა და ქართული შეიარაღებული ძალები შესაბამისად აღჭურვა ჯავშანმატარებლებითა და ჯავშნოსანი მანქანებით. ფაქტიურად რუსეთის კავკასიის არმიის ჯავშანმატარებლების მთელი პარკი საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საკუთრებაში აღმოჩნდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, წითელი გვარდიის მთავარი შტაბის 1918 წლის 4 მარტის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას შემდეგი სახე ჰქონდა.

ოქმი №5

სხდომაზე დაადგინეს, რომ ,,ყველა ჯავშნოსანი მატარებელი და ავტომობილი, რომელიც იმყოფება მუშათა და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის დაქვემდებარების ქვეშ, გადაეცეს ვლ. გოგუაძეს".[935] უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ თბილისის რკინიგზის დეპოებში ხდებოდა ახალი ჯავშნოსანი მატარებლების აგება და დაზიანებულების შეკეთებაც.

---

[931] გაზეთი ,,ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 13 ივლისი №145. გვ. 2.

[932] გაზეთი ,,ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 25 ივლისი №155. გვ. 1.

[933] არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. თბილისი. 2014. გვ. 153. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა". 1918 წლის 30 ივლისი.

[934] გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა". 1918 წლის 8 აგვისტო.

[935] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 50.

ასე, რომ ამ მაჩვენებლით, ქართული მხარე აბსოლუტურ უპირატესობას ფლობდა სომხებთან შედარებით. ეს ,,შაითან მაშინა'', როგორც მას ადგილობრივი თათრები უწოდებდნენ, დამოუკიდებლად ბრძოლის წარმოებისა და ქვეითთა საცეცხლე მხარდაჭერის მაღალეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა, რომელიც ცეცხლის წარმოების მძლავრი საშუალებებითა (მსუბუქი და დაზგის ტყვიამფრქვევები) და საარტილერიო დანადგარებით (სამთო ქვემეხი) იყო აღჭურვილი. ამ თვალსაზრისით, კარგად აღჭურვილ და მომზადებულ ჯავშანმატარებელს მოწინააღმდეგის ქვეითი ბატალიონისა თუ მთელი პოლკის წინააღმდეგაც შეეძლო ბრძოლის წარმოება.

ქართულ სინამდვილეში, ბრძოლის მძლავრი საცეცხლე მხარდაჭერის გარდა, ჯავშანმატარებელი გამოიყენებოდა აგრეთვე როგორც მცირე, ტაქტიკური დესანტის გადასხმის მობილური საშუალება. ქართული მხარის მიერ მანევრის ეს ფორმა სწორედ სომხეთ-საქართველოს ომის ერთ-ერთ ეპიზოდში იქნა განხორციელებული. ნიშანდობლივია, რომ ჯავშანმატარებლებს, გარდა რიგობრივი, საბორტო ნომრისა, საკუთარი სახელებიც ჰქონდათ მინიჭებული. მაგალითად, ჯავშანმატარებელი №1 - ,,რესპუბლიკელი'', ჯავშანმატარებელი №2 - ,,მუშა", ჯავშანმატარებელი №3 - ,,სიკვდილი ან გამარჯვება", ჯავშანმატარებელი №4 - ,,თავისუფლების სიმაგრე'' და ა.შ. თავად ვალოდია გოგუაძე ასე აღწერს ჯავშანმატარებლის საბრძოლო შესაძლებლობებსა და ეკიპაჟის ფუნქციებს: ,,მე გადავწყვიტე მეშოვნა მეომრები ჯავშნოსანისათვის. ისინი მე განსაკუთრებული რაზმიდან მომცეს, სულ 70 კაცი. ამათში სამი ჩემი ძმა იყო (ნოე, მელენტი და ალფეზი - ა. ჩ.). ყველა იყო ომში გამოცდილი ჯარისკაცი. კომანდის წევრები იყვნენ ნაცვლები და ზემდეგები, ორდენებით დაჯილდოებულნი, მეტყვიამფრქვევლები და ქვეითი ჯარისკაცები. ჯავშნოსანზე იდგა ორი სამთო ქვემეხი, მაქსიმისა და ლუისის ტყვიამფრქვევები, მათი ვაზნებითა და ყუმბარებით. ყველა მეომარს ჰქონდა რევოლვერი და კარაბინი.

ჯავშნოსანი შესდგებოდა ორი საბრძოლო ვაგონიდან, ერთი ცეიჰგაუზიდან[936] და ერთი ორთქლმავალისაგან. ორთქლმავალი შუაში იყო მიბმული. ვაგონებიდან ორთქლმავალზე ტელეფონი იყო გაყვანილი. მეთაურის კოშკი აღმართული იყო ორთქლმავალზე. ჯავშნოსანის ნაყოფიერი ბრძოლა დამოკიდებულია მის მოხერხებულ მანევრებზე და სწორედ ამიტომ კოშკი მოწყობილია ორთქლმავალზე. მატარებელზე იყო ერთი მემანქანე, ორი მისი თანაშემწე, ერთი უფროსი კონდუქტორი და ორი მისი თანაშემწე, ერთი მატარებლის შემკეთებელი, ერთი რკინის გზის ოსტატი ხიდების და რელსების მცოდნე, ერთი დამწმენდი ვაგონისა. ჯავშნოსანზე იყო სამი ვაგონი, სადაც მეომრები ცხოვრობდნენ. როდესაც ჯავშნოსანი ომში შედიოდა, მაშინ ვაგონებს მშვიდობიან სადგურზე ვტოვებდით. მატარებელზე იყო მუდმივი ტელეფონისტი და უფროსი ადიუტანტი.

სულ ჯავშნოსანის პერსონალი შესდგებოდა 80 კაცისაგან. ზოგი მეომრის გვარი აღარ მახსოვს. იყვნენ: ძმები ლომჯარია, მოგველაძე, სერაპიონ ჭელიძე, კონ. ჭელიძე, ცეცხლაძენი, ჯაში, სამი ჩემი ძმა, ხუხუნაიშვილი, ბერძენიშვილი, ვანო სარიევი, საშა გოგავა, უფროსი კონდუქტორი სკამკოჩაიშვილი, რაჟდენ სალუქვაძე, (ჩემი თანაშემწე), გრიშა კვინიკაძე (ჩემი ადიუტანტი), ანდრო ცეცხლაძე და სხვანი''.[937] ჩვენის მხრივ დავამატებდით, რომ ქართული ჯავშანმატარებლის საბრძოლო ეკიპაჟებში ვალოდია გოგუაძის ძმების - ალფეზის, ნოესა და მელენტის გარდა, 1919 წლიდან დაწყებული, თვით მისი მეუღლე - ნამეტია ბერძენიშვილი-გოგუაძისაც ირიცხებოდა. მაღალ მობილურობასა და დიდ საცეცხლე ძალასთან ერთად ჯავშანმატარებელს ერთი დიდი უარყოფითი მხარეც ჰქონდა - ერთობ შეზღუდული სამანევრო სივრცე. თავისთავად ცხადია,

---

[936] ცეიჰგაუზი (გერმ. Zeughaus – აღჭურვილობის სახლი) – სამხედრო იარაღის, საბრძოლო მასალების, ტყვია-წამლისა და აღჭურვილობის საწყობი.

[937] ვ. გოგუაძე. დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. თბილისი. 1992. გვ. 426-427.

გადაადგილება და ბრძოლის წარმოება ჯავშანმტარებელს მხოლოდ რკინიგზის ხაზის გასწვრივ შეეძლო.

აღსანიშნავია, რომ მთელი 1918 წლის განმავლობაში ქართულმა ჯავშანმატარებლებმა დიდი როლი ითამაშეს ამა თუ იმ ლოკალური საბრძოლო ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩოლოქის ბრძოლა, სადაც სწორედ ვალოდია გოგუაძის ჯავშანმატარებლის უნარიანმა ტაქტიკურმა მოქმედებებმა გადაწყვიტა კიდეც ამ მეტად მნიშვნელოვანი და შეიძლება ითქვას, საეტაპო ბრძოლის ბედი. უდიდესი იყო ჯავშანმატარებლების როლი სომხეთ-საქართველოს ომის დროსაც, განსაკუთრებით მის პირველ ეტაპზე, ოქტომბრის ბრძოლების დროს.

1918 წლისათვის საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების განკარგულებაში 6 ჯავშანმატარებელი ირიცხებოდა. წლის დასაწყისისათვის ,,ჯავშნოსნები ასე იყო განაწილებული: ორი იყო ბორჩალოს მაზრაში, ერთი იყო კახეთში, ორი ნატანებში და ერთი განჯაში".[938]

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს გარკვეული რაოდენობის ჯავშნოსანი ავტომობილებიც გააჩნდა. ჯავშანმატარებლების მსგავსად ჯავშნოსან მანქანებსაც საკუთარი სახელები ჰქონდა მინიჭებული - ,,იმტერნაციონალი", ,,გლეხი", ,,პროლეტარი" და ა.შ. თუმცა, ჯავშნოსანი მატარებლებისგან განსხვავებით, შეიარაღების ეს გვარეობა ბრძოლის ველზე ამინდს ვერ ქმნიდა. ჯავშანმატარებლების მსგავსად, 1918 წლის 4 მარტს გამართული გვარდიის მთავარი შტაბის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ჯავშნოსანი მანქანებიც პორუჩიკ ვალოდია გოგუაძის განკარგულებაში იქნა გადაცემული,[939] თუმცა, მალევე, იგი რეგულარულ ჯარს გადაეცა. კერძოდ, 1918 წლის ოქტომბრისათვის საინჟინრო-ტექნიკური ნაწილში (ჯარებში) ფორმირებულ იქნა ჯავშნოსანი ავტომობილების ასეული,[940] რომელიც თბილისში, ,,სობოროს" რაიონში იყო დისლოცირებული. საინჟინრო-ტექნიკურ ჯარებში იყო ჩართული რადიო-სატელეგრაფო ასეულიც, რომელიც მატერიალური ნაწილის თვალსაზრისით კარგად იყო უზრუნველყოფილი, მაგრამ მომზადებული სპეციალისტების დეფიციტს განიცდიდა.[941]

ჯავშანმანქანა, ან სხვანაირად ჯავშნოსანი, ჯავშნოსანი მატარებლის მსგავსად, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენდა მძლავრ საბრძოლო საშუალებას იგი დამოუკიდებელი ამოცანების გადასაწყვეტად არ გამოიყენებოდა, მაგრამ გამომდინარე თავისი სიჩქარისა და მანევრულობიდან, იგი შეუცვლელი იყო ტაქტიკური სადაზვერვო ამოცანების შესასრულებლად - ასევე, როგორც ოპერატიული საკომუნიკაციო საშუალება. გარდა ამისა, ხაზი უნდა გავუსვათ ჯავშანმანქანას, როგორც მოწინააღმდეგის დათრგუნვისა და მასზე ზემოქმედების ფსიქოლოგიურ ფაქტორს. მაგრამ, ცხადია, ჯვშანმანქანასაც ჰქონდა სუსტი მხარეები - შედარებით სუსტი ჯავშანი და შეიარაღება, და უსწორმასწორო და რთულ, დასერილ რელიეფზე გადაადგილების შეუძლებლობა.

ქართული მხარის ჯავშანმატარებლებით უზრუნველყოფის ანალოგიური მდგომარეობა იყო აგრეთვე ჯარების ყველაზე ახალგაზრდა და პერსპექტიული სახეობის - ავიაციით უზრუნველყოფის საქმეშიც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, იმ დროისათვის ავიაცია, როგორც ასეთი, ჯარების ცალკეულ სახეობას არ მიეკუთვნებოდა და ისევე როგორც ჯავშნოსანი მანქანები, იგი სტრუქტურულად საინჟინრო-ტექნიკურ ჯარებში იყო ჩართული.

---

938 ვ. გოგუაძე. დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. თბილისი. 1992. გვ. 440.

939 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 50.

940 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 66-66 უკ.

941 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 2, საქმე 18, ფურცელი 48.

ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ, რუსეთის კავკასიის არმიის მთელი საავიაციო პარკიც, ჯავშანმატარებლების მსგავსად, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საკუთრებაში დარჩა. I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე რუსული 1-ლი ავიარაზმი ყარსში იყო ბაზირებული, საავიაციო სკოლა კი, თბილისის მახლობლად, ნავთლუღში განთავსდა. თბილისშივე იყო განთავსებული საავიაციო რაზმის სარემონტო ასეულიც.[942] 1915 წლიდან კავკასიის ფრონტზე მე-2 საავიაციო რაზმიც ფორმირდა. კავკასიის არმიის ავიაციის უფროსი ნ. გ. ბარათოვი იყო.[943] რუსეთის კავკასიის არმიის საავიაციო რაზმის შეიარაღებაში იყო ფრანგული წარმოების ,,ვუაზენისა'' (Voisin) და ,,ფარმანის'' (Farman) მოდელის ბიპლანები[944] და ასევე ფრანგული წარმოების ,,ნიუპორტისა" (Nieuport) და ,,მორან-სოლნიეს" (Morane-Saulnier) (იგივე ,,მორან-პარასოლი") მონოპლანები.[945] მოგვიანებით, საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის სამხედრო ატაშე საქართველოში, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი, და მოგვიანებით წითელი არმიის კომანდარმი (არმიის გენერალი - დასავლური სტანდარტის ოთხვარსკვლავიანი გენერალი), პაველ სიტინი, თავის 1920 წლის 20 ივლისის N29 მოხსენებით საიდუმლო ბარათში, რომლის ადრესატიც საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის საველე შტაბის უფროსი, ასევე რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი და მოგვიანებით, საბჭოთა კომანდარმი პაველ ლებედევი იყო, მოკლედ და კონკრეტულად წერდა, რომ ქართველებს გააჩნდათ მორანი, ნიუპორტი და ვუაზენი, თუმცა, იქვე აღნიშნავდა: ,,მაგრამ საწვავისა და საპოხი მასალების, აბუსალათინის ზეთის დიდი დეფიციტის გამო, ფაქტიურად უმოქმედო მდგომარეობაშია".[946] კავკასიის ფრონტის დაშლის შემდეგ, ფრონტის კუთვნილი მთელი საავიაციო პარკი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში აღმოჩნდა ჩართული, რაშიც დიდი წვლილი ქართველ ოფიცერს, შტაბს-კაპიტან მიხეილ მაჭავარიანს[947] მიუძღოდა, რომელიც I მსოფლიო ომის წლებში კავკასიის არმიის 1-ლი საავიაციო რაზმის მფრინავი იყო.

---

942 Елисеев С.П. Организационное строительство военной авиации России (1910—1917 гг.). М.: ВВИА имени профессора Н.Е. Жуковского, 2008. Стр. 69.

943 Аверченко С.В., Кушнерёв В.В. Российская авиация на Кавказском фронте в годы Первой мировой войны (1914—1918 гг.) // Военно-исторический журнал. 2014. № 8. С. 10-18. http://www.retroplan.ru/encyclopaedia.html?sobi2Task=sobi2Details&sobi2Id=1107

944 ბიპლანი (ბერძ. Bi – ,,ერთი'' და ლათ. Planum – ,,სიბრტყე'') – ორი მზიდი ზედაპირის (ორი ფრთის) მქონე თვითმფრინავი. საფრენი აპარატის მოცემული კონსტრუქცია საშუალებას იძლეოდა გაზრდილიყო ფრთის ზადაპირის ფართობი და ამწევი ძალაც. შესაბამისად, ბიპლანებს მიწიდნ მოწყვეტის სიჩქარეც უფრო დაბალი იყო, ვიდრე ერთფრთიანი მონოპლანებისა, რაც თავისთავად იმას ნიშნავდა, რომ მათ უფრო მოკლე ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი ჭირდებოდათ. ბიპლანები კარგი მანევრულობით გამოირჩეოდნენ, თუმცა, ფრენის მაქსიმალური სიჩქარისა და ხედვის არეალის მიხედვით ჩამორჩებოდნენ მონოპლანებს.

945 მონოპლანი (ბერძ. Μόνος – ,,ერთი'' და ლათ. Planum – ,,სიბრტყე'') – ერთი მზიდი ზედაპირის (ერთი ფრთის) მქონე თვითმფრინავი. მისგან განსხვავებით, ბიპლანებს და ტრიპლანებს, შესაბამისად, ორი და სამი მზიდი ზედაპირი ჰქონდათ. ავიაციის გარიჟრაჟზე ბიპლანებისა და ტრიპლანების რაოდენობა გაცილებით სჭარბობდა მონოპლანებისას. მონოპლანები უფრო მაღალი ფრენის სიჩქარით ხასიათდებოდნენ, მაშინ როცა ბი და ტრიპლანები ფრენისა და საჰაერო ბრძოლების დროს უფრო მანევრულები იყვნენ.

946 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი (66-66 უკ).

947 მიხეილ მაჭავარიანი (1888-1973წ.წ.) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, ავიატორი, ქართული სამხედრო და სამოქალაქო ავიაციის ფუძემდებელი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რუსეთის საიმპერატორო არმიის შტაბს-კაპიტანი და ქართული არმიის პოლკოვნიკი. I მსოფლიო ომის მონაწილე, გიორგის ჯვრის კავალერი. დაიბადა ქუთაისში. 1907 წელს დაამთავრა სუვოროვის კადეტთა კორპუსი, შემდეგ – საარტილერიო სასწავლებელი. სამხედრო სამსახური პორუჩიკის ჩინით დაიწყო 39-ე საარტილერიო ბრიგადაში. 1913 წლის 1 სექტემბერს მივლინებულ იქნა ყარსის საავიაციო რაზმში მფრინავი-დამკვირვებლის კურსებზე, ხოლო 1914 წლის 1 იანვარს – ოფიცერთა საფრენოსნო სკოლაში. 1914

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საფრენი აპარატებისა, საქართველოში გერმანელთა შემოსვლის შემდეგ, ბაზირებულ იქნა აგრეთვე გერმანული თვითმფრინავები თავისი ეკიპაჟებითურთ: ,,3 ივნისს მოვიდა გერმანელთა მცირე ნაწილი. 10 რიცხვში, დღის 3 საათზე ფოთიდან მოვიდა გერმანელთა ეშელონები, რიცხვით 1000 კაცზე მეტი. ეშელონის შემადგენლობაში შედიან მსროლელები, მოიერიშე ჯგუფები, მფრინავები, ბომბდამშენები და სხვა. უახლოეს დღეებში თბილისში მოელიან ეშელონების დიდ რაოდენობას იარაღით, საჭურვლითა და სანიტარული ქონებით. ყველაფერი ეს მოვა ფოთიდან, სადაც ხდება გადმოტვირთვა გერმანიის გემებიდან. ფოთშივე დგას გერმანიის წყალქვეშა ნავების ფლოტილია".[948] გარდა ამისა: ,,ქუთაისში მოვიდა გერმანელთა სამხედრო ნაწილი, აღჭურვილი ტყვიამფრქვევებითა და თვითმფრინავებით",[949] - აღნიშნავდა იმდროინდელი პრესა.

ჩვენთვის უცნობია, თუ ზუსტად რა მოდელის და რა რაოდენობის თვითმფრინავები შეადგენდნენ გერმანული საოკუპაციო ჯარების საავიაციო პარკს, მაგრამ სავარაუდოა, რომ საქართველოში განლაგებული გერმანიის საიმპერატორო ჯარების შეიარაღებაში ,,ავიატიკისა" (Aviatik) და ,,ფოკეს" (Fokker) მოდელის ბიპლანები და ტრიპლანები[950] უნდა ყოფილიყო. უკვე მოგვიანებით, ქართულ სამხედრო-საჰაერო ძალებს საფრენოსნო და საბრძოლო მახასიათებლებით გამორჩეული რამდენიმე ბრიტანული ბიპლანი, გამანადგურებელი ,,სოფვიჩ ქემელ სკაუტიც" (Sopwith Camel Scout) შეემატა. საქმე იმაშია, რომ გენერალ ანტონ დენიკინის ე.წ. ,,მოხალისეთა არმიის" ბოლშევიკებთან დამარცხების შემდეგ, ამ არმიის მე-6 ავიარაზმის მფრინავები ჩრდილოეთ კავკასიიდან თბილისში გადმოფრინდნენ. გარდა ამისა, გენერალ დრაცენკოს რაზმის ინტერნირების შემდეგ საქართველოს სამხედრო-საჰაერო ფლოტს კიდევ 5 თვითმფრინავი შეემატა.[951]

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის თაობაზე საქართველოს პარლამენტის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს დამტკიცებული დებულების მიხედვით, სამხედრო ავიაციამ შესაბამისი ადგილი დაიკავა ქართული შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში. კერძოდ, ჯავშანმანქანების მსგავსად, იგი შევიდა გენერალური შტაბის განყოფილების ,,საინჟინრო-სატექნიკო

წლის 22 ივლისიდან მსახურობდა მე-10 კორპუსის საავიაციო რაზმში. 1915 წლის ივნისში დაამთავრა სევასტოპოლის სამხედრო-საავიაციო სკოლა და დაინიშნა იმპერატორის რეზიდენციის დაცვის განსაკუთრებულ საავიაციო რაზმში. აქვე ენიჭება შტაბს-კაპიტნის წოდება. 1916 წლის 3 იანვრიდან გადმოყვანილ იქნა კავკასიის ფრონტზე. იმავე წლის მარტში დაინიშნა ჰასან-ყალას საავიაციო რაზმის უფროსად. 1918 წლიდან მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. იყო ქართული სამხედრო ავიაციის შექმნის ინიციატორი და ორგანიზატორი, პოლკოვნიკის ჩინით ხელმძღვანელობდა ქართულ სამხედრო ავიაციის აღმშენებლობის საქმეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ემიგრაციაში არ წასულა, დარჩა სამშობლოში და წითელ არმიაში გააგრძელა სამსახური. 1921 წლის 1 მაისს დაინიშნა ქართული წითელი არმიის საავიაციო დივიზიონის მეთაურად, შემდეგ – წითელი საჰაერო ფლოტის ტექნიკური განყოფილების უფროსად. 1924 წლის 19 მაისიდან 47-ე ცალკეული სადაზვერვო რაზმის უფროსია, ხოლო 1926 წლის 10 დეკემბრიდან დაინიშნა წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების 44-ე საავიაციო რზმის უფროსად. 1927 წლიდან იყო მფრინავთა სამხედრო სკოლის პედაგოგი-ინსტრუქტორი. სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ ხელმძღვანეობდა საქართველოს სსრ სამოქალაქო ავიაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეს, ამავე დროს ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. გარდაიცვალა 1973 წელს ქუთაისში, 85 წლის ასაკში.

948 მ. გაბრიჩიძე. გერმანელი ოკუპანტები საქართველოში. დოკუმენტებისა და მასალების კრებული. თბილისი. 1942. გვ. 68.

949 გაზეთი ,,ბორბა". №131. 31. 07. 1918.

950 ტრიპლანი (ბერძ. Tri – ,,სამი" და ლათ. Planum – ,,სიბრტყე") – სამი მზიდი ზედაპირის (სამი ფრთის) მქონე თვითმფრინავი.

951 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 5.

სექციის'' შემადგენლობაში, ხოლო ამავე რიცხვით დათარიღებული საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ მიღებული კანონის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის რეგულარულ ჯარს, სხვა ნაწილებთან ერთად შეადგენდა 1 საავიაციო გუნდი, რომელიც თავის მხრივ ორი რაზმისა და ერთი პარკისაგან შედგებოდა.[952]

1918 წლისათვის საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებული თვითმფრინავების ზუსტი რაოდენობა უცნობია. სავარაუდოდ, იგი სამ ათეულამდე უნდა ყოფილიყო, ბაზირებით - თბილისსა და ქუთაისში. თუ თვითმფრინავების აღნიშნულ რაოდენობას გერმანულ ავიაციასაც დავუმატებთ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ 1918 წლისათვის ქართულ-გერმანულ კოალიციას იმ დროისათვის საკმაოდ ძლიერი საავიაციო პარკი ჰყავდა. თუმცა, იგივე სიტინი, მოგვიანებით, თავის 1920 წლის 9 ივლისის N18 საიდუმლო მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ ,,საავიაციო საშუალებების დიდი რაოდენობა დაშლილ მდგომარეობაში იმყოფებოდა და დღეისათვის აწყობილი მხოლოდ 8 აეროპლანი იყო".[953] თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იმ დროისათვის საჰაერო თავდაცვის სპეციალური საბრძოლო საშუალებები, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობდა და საკმაოდ ძნელი იყო სახმელეთო საცეცხლე საშუალებებით ავიაციის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება, გასაგები გახდება, თუ რამდენად მობილური და ტაქტიკურად ეფექტური იყო ავიაციის გამოყენება ლოკალური ხასიათის საბრძოლო მოქმედებებში. ,,საავიაციო ფორმირებების პირადი შემადგენლობა მთლიანობაში (საავიაციო სკოლის გარდა) შტატით მოიცავდა 34 ოფიცერს, 496 ჯარისკაცს და 9 მოსამსახურეს''.[954] ქართული საავიაციო ასეულის პირადი შემადგენლობა ,,24 ოფიცერსა და ჩინოვნიკს, 128 ვადიან ჯარისკაცს და 40 ზევადიან სამხედრო მოსამსახურეს ითვლიდა, 3 საზიდრით, 5 ცხენით, 8 ავტომობილითა და 4 მოტოციკლით. გარდა ამისა, საავიაციო ასეულში ირიცხებოდა 12 მოტორისტი, 2 მძღოლი, 2 მეტყვიამფრქვევე, 1 აეროლოგი და 1 ფოტოგრაფი".[955] ქართული საავიაციო სკოლის შტატს კი, შემდეგი სახე ჰქონდა - ოფიცერი და ჩინოვნიკი 6, ვადიანი ჯარისკაცი 60, ზევადიანი სამხედრო მოსამსახურე 15.[956]

დოკუმენტურად არ მტკიცდება, მონაწილეობდა თუ არა გერმანული ავიაცია და გერმანული ეკიპაჟები სომხეთ-საქართველოს ომში, მის საწყის ეტაპზე. მაგრამ გერმანული თვითმფრინავების საბრძოლო გამოყენების ფაქტი, ბოლშევიკთა წინააღმდეგ დუშეთის მაზრაში, ეჭვს არ იწვევს. ,,აჯანყების ჩახშობაში უშუალო მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მყოფმა გერმანელმა იმპერიალისტებმა. ისინი მენშევიკებს ეხმარებოდნენ სამხედრო ინსტრუქტორებით, არტილერიითა და თვითმფრინავებით... ამბოხებულთა ბანაკი გერმანელთა აეროპლანებით იბომბებოდა",[957] - გვამცნობს თავის ნაშრომში ,,ქართველის ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად", ქართველი საბჭოთა ისტორიკოსი, აკადემიკოსი გიორგი ხაჭაპურიძე. ასევე დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს ქართული ავიაციისა და ქართული ეკიპაჟების მონაწილეობა სომხეთ-საქართველოს ომში. ამ ფაქტს წიგნის მეორე ნაწილის შესაბამის თავში მოყვანილი უტყუარი მასალა ადასტურებს. ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტიც. ეს

---

952 ნუგზარ გელოვანი. სამხედრო-საჰაერო ძალები 1918-1921 წლების საქართველოში. ჟურნალი ,,მხედარი''. 1994. №1-4. გვ. 43.

953 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 32.

954 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1936, ანაწერი 1, საქმე 192, ფურცელი 3.

955 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 13, ფურცელი 29 უკ.

956 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 13, ფურცელი 30 უკ.

957 გ. ვ. ხაჭაპურიძე. ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. პოლიტლიტერატურა. მოსკოვი. 1956. გვ. 140.

არის სომხეთ-საქართველოს ომის ისტორიის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის, გენერალ კვინიტაძის ოფიციალური მიმართვა გენერალური შტაბის განყოფილების საინჟინრო-ტექნიკური სექციის უფროსის, პოლკოვნიკ თაყაიშვილისადმი. საქმე იმაშია, რომ იმ დროისათვის საჰაერო ძალები, როგორც ასეთი, ჯარების ცალკეულ სახეობად ან გვარეობად არ იყო გამოყოფილი. იგი ადმინისტრაციულად გენშტაბის სტრუქტურაში შედიოდა ცალკეული საინჟინრო-ტექნიკურ სექციის სახით. გენერალ კვინიტაძის მიმართვაში ვკითხულობთ:

,,მოთხოვნა №29

12. 02. 1919.

გენერალური შტაბის განყოფილების საინჟინრო სექციის უფროსს.

თავდაცვის მინისტრის მიერ მე დავალებული მაქვს საქართველო-სომხეთის ომის ისტორიის საკითხების შესწავლა. გთხოვთ სასწრაფოდ მომაწოდოთ ხსენებულ ომში საინჟინრი უწყების მოღვაწეობის მოკლე ანგარიში. აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, კეთდებოდა თუ არა რამე საომარ მოქმედებათა თეატრის მოსაწყობად საინჟინრო უზრუნველყოფის მხრივ. ***ამასთან ერთად, გთხოვთ მომაწოდოთ ანგარიში ავიაციის მოქმედებების შესახებ".*** [958] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.) სამწუხაროდ, საინჟინრო სექციის უფროსის მიერ ამ მოთხოვნაზეც პასუხი კომისიაში არ გაიგზავნა, რადგან 1919 წლის დასაწყისისათვის ახალციხეში განვითარებული მოვლენების გამო, სომხეთ-საქართველოს ომის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე, გენერალი კვინიტაძე, ახალციხის გენერალ-გუბერნატორად და ფრონტის სარდლად დაინიშნა. ამით ხსენებულმა კომისიამ ფუნქციონირება შეწყვიტა.

ისევე, როგორც ზოგადად ეროვნული შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის საქმეში, ავიაციასთან დამოკიდებულებაშიც არ იჩენდა საქართველოს მთავრობა ჯეროვან ყურადღებას, რაც საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ბრძოლისუნარიანობის გაზრდას შეუწყობდა ხელს. ამ საკითხებისადმი უყურადღებობა, არაპროფესიული, უფრო მეტიც - არასახელმწიფოებრივი მიდგომა გახდა სწორედ მიზეზი იმისა, რომ ამიერკავკასიის ერთადერთმა რესპუბლიკამ, რომელიც იმდროინდელი საზომებით საკმაოდ მძლავრ საავიაციო პარკს ფლობდა, არსებობის მთელი სამწლიანი პერიოდის განმავლობაში, თვით 1921 წლის ბოლშევიკური აგრესიის დროსაც კი, ჯეროვნად ვერ გამოიყენა ეს დიდი უპირატესობა. მაგალითად, ,,მხოლოდ 1918 წელს, ფრენისას დაიმსხვრა 18 აპარატი (აქედან 4 თვითმფრინავი მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან)... მაგრამ რაც ყველაზე მძიმე და აუნაზღაურებელი იყო, ამ კატასტროფებს ქართველი მფრინავები ეწირებოდნენ''.[959] ყოველივე ამის მიზეზი კი, საავიაციო ტექნიკის ექსპლუატაციისა და სარეგლამენტო მომსახურების ნორმებისა და მოთხოვნების დარღვევა იყო, რაც მთავრობის მხრიდან სათანადო დაუფინანსებლობით იყო გამოწვეული.

რაც შეეხება სომხეთის შეიარაღებულ ძალებს. პირდაპირ და ნათლად უნდა ითქვას, რომ სომხურ მხარეს ჯავშანმატარებლების პარკი და ავიაცია საერთოდ არ გააჩნდა. უფრო მეტიც, მას არ გააჩნდა არც სპეციალური სარკინიგზო შემადგენლობა (სანიტარული მატარებელი). და საერთოდ, სომხეთის რესპუბლიკის საკუთრებაში 1918 წლისათვის სამგზავრო მატარებლის ერთადერთი შემადგენლობა იყო, რომელიც ძირითადში სამთავრობო გადაზიდვებით იყო დაკავებული. ამ დასკვნას, ჩვენ ოდნავ ქვემოთ, შესაბამის თავში წარმოდგენილ პირველწყაროებზე დაყრდნობით დავამტკიცებთ. მიუხედავად ამისა, სომეხი ავტორები (ედუარდ აბრამიანი, გრანტ ავეტისიანი და სხვა) დღემდე ჯიუტად ამტკიცებენ არარატის რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, 1918-1920

---

[958] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი 3.

[959] ნუგზარ გელოვანი. სამხედრო-საჰაერო ძალები 1918-1921 წლების საქართველოში. ჟურნალი ,,მხედარი''. 1994. №1-4. გვ. 46.

წლებში, სომხური ჯავშანმატარებლების, საბრძოლო ავიაციისა და სხვა ჯავშანტექნიკის არსებობის ფაქტს, თუმცა სრულიად გაუგებარია ამ არაარგუმენტირებულ მტკიცებულებათა მიზანი. როგორც ჩანს, ლორესა და ახალქალაქში დისლოცირებული მითიური სომხური პოლკებისა არ იყოს, სომხური ავიაციისა და ჯავშანტექნიკის ვითომცდა არსებობით, ისინი სომხური საარმიო კორპუსის სიძლიერისა და მთლიანად არარატის რესპუბლიკის ინსტიტუციური სტრუქტურების მოწყობისა და დასრულებული სახის სისტემად წარმოჩენას ცდილობენ.

ისტორიული რეალობა კი დიამეტრალურად საწინააღმდეგო იყო. აკადემიკოსი გრანტ ავეტისიანი წერს: ,,ერთდროულად გაიმართა დიდი მუშობა სომხური კორპუსისა და მისი პირადი შემადგენლობის ჯავშნოსანი მატარებლებით, ავტომობილებით, ტექნიკური საშუალებებით უზრუნველსაყოფად. ***სომხური კორპუსის საჭიროებისათვის გაიგზავნა რამდენიმე ჯავშანმატარებელი, ავტომობილი, ტექნიკური საშუალებები და მოწყობილობები, სანიტარული მატარებელი”***.[960] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.)

აქ ბატონი აკადემიკოსი აშკარად ცდება, ან უკიდურეს შემთხვევაში, არაობიექტურ ინფორმაციას ფლობს და ავრცელებს. სომხურ საარმიო კორპუსს, არც ამიერკავკასიის ფედერაციის და არც დამოუკიდებელი სომხეთის რესპუბლიკის არსებობისას, მით უმეტეს, 1918 წლისათვის, არავითარი ჯავშანმატარებლები, ავიაცია, ავტომობილები და სპეციალური სარკინიგზო შემადგენლობა არ ჰყოლია თავის განკარგულებაში, მიუხედავად იმისა, რომ გენერალი ნაზარბეგოვი დაჟინებით მოითხოვდა ამიერკავკასიის არმიის შტაბიდან მათ გამოყოფას სომხური კორპუსისათვის. წარმოდგენილ ამონარიდში, ავტორი, ჩვენის აზრით, დაშიფრულ დეზინფორმაციას ავრცელებს. კონტექსტიდან ამოგლეჯილი ნახევარსიმართლე კი, დეზინფორმაციაზე უარესია. ბატონი აკადემიკოსის მოყვანილ ციტატაში უპირო ზმნაა ნახმარი - ,,გაიგზავნა...” ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ ,,სომხური კორპუსის საჭიროებისათვის გაიგზავნა...’’, მაგრამ იმას კი აღარ აკონკრეტებს, თუ ვის მიერ, სად და რა დანიშნულებით იქნა გაგზავნილი ზემოხსენებული სამხედრო ტექნიკა.

ისტორიული რეალობა კი ის არის, რომ 1918 წლის ზაფხულისათვის აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დასამხობად ბაქოს ბოლშევიკურ-დაშნაკური დიქტატურის ჯარების, ფაქტობრივად კი სომხური ნაციონალური კორპუსის აღმოსავლეთის დაჯგუფების დიდი შეტევითი ოპერაცია დაიწყო განჯისაკენ. სტეფანე შაუმიანის მოთხოვნის საფუძველზე, აგრესიის სამხედრო-ტექნიკური მხარდაჭერისათვის ლენინის პირადი ბრძანებით ასტრახანიდან ბაქოში გაიგზავნა: ,,80 ქვემეხი, 160 ტყვიამფრქვევი, 10000 შაშხანა, 200000 ვაზნა და სამოსი. ***20 ივნისს ბაქოში ჩამოვიდა 4 ჯავშნოსანი და 13 თვითმფრინავი...“*** [961] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

დიახ, ლენინის მიერ ,,ბაქოს ბოლშევიკური კომუნისათვის’’ გაგზავნილ ამ რუსულ თვითმფრინავებსა და ჯავშნოსან მატარებლებზეა საუბარი სწორედ ზემოთ მოყვანილ ციტატაში, რითაც სომეხმა ავტორებმა მოხერხებულად ისარგებლეს და ეს ტექნიკა სომხეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების კუთვნილებად მონათლეს უმალ. არაერთხელ ვაჩვენეთ, რომ სასურველის რეალობად წარმოჩენის სურვილი ერთობ დამახასიათებელი შტრიხია სომეხი და პროსომეხი ავტორებისათვის. თავისი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე ისინი არაფერს დაგიდევენ და დაუჯერებელ ამბებსაც თხზავენ. ცხადია, არავითარი სომხური კორპუსის ჯავშანმატარებლები და არავითარი სომხური სამხედრო ავიაცია იმ დროისათვის არ არსებობდა. ასეთი ლოგიკით, ბაქოს დაშნაკური-

---

[960] Г. Аветисян. Армянское войнство. Журнал ,,Армянский вестник”. 1999г. №1-2. Стр. 4.

[961] Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX - начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. Стр. 107. Большевики в борьбе за победу социалистической революции в Азербайджане. Документы и материалы. 1917-1918 г.г. Баку. 1957. Стр. 518.

ბოლშევიკური და დაშნაკურ-ესერული დიქტატორული ალიანსების კონტროლქვეშ არსებული კასპიის ზღვის მთელი ფლოტიც სომხეთის შეიარაღებული ძალების კუთვნილებად შეიძლება იქნას მიჩნეული. კიდევ კარგი, ,,სომხური ავიაციისაგან'' განსხვავებით, აქ სომეხი ავტორები ზომიერების გრძნობას ვეღარ ღალატობენ, მეტად კომიკურ სიტუაციაში არ იგდებენ თავს და ,,სომხეთის სამხედრო-საზღვაო ძალებსა და სომხეთის ფლოტებსა თუ ფლოტილიებზე'' არ საუბრობენ.

ობიექტურობის დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ე.წ. სომხური ავიაციისა და ჯავშანმატარებლების შესახებ გარკვეულ ცნობებს გვაწვდის საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოში გენერალ-მაიორი პაველ სიტინი. მაგრამ აქ საუბარია 1920 წელზე და არა 1918 წელზე. თუმცა, იქაც, თავის 1920 წლის 28 ივნისის N6 საიდუმლო მოხსენებით ბარათში სომხეთის შეიარაღებული ძალების შესახებ, სიტინი წერს: ,,[სომხებს] გააჩნიათ ამერიკიდან მიღებული 8 აეროპლანი, 2 ჯავშანმატარებელი (2 ქვემეხი და 4 ტყვიამფრქვევი)".[962] ხოლო თავის 1920 წლის 31 ივლისის N49 მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ: [სომხებს გააჩნიათ] 3 ჯავშანმატარებელი - ერევანში, ალექსანდროპოლისში და ყარსში". თუმცა, აქვე ამატებს, რომ ,,ჯავშანმატარებლების აღჭურვილობა პრიმიტიულია. მათ გვერდებზე ჩამოფარებულია ლითონის ფურცლები ბეტონის შიგთავსით. ჯავშანმატარებლები კი, შეიარაღებულია საველე ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით".[963] მოგვიანებით, იმავე წლის 13 ოქტომბრის N115 მოხსენებით ბარათში სომხეთის შეიარაღებული ძალების შესახებ, პავალ სიტინს მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს ადრე მოწოდებულ ცნობებში და აღნიშნავს, რომ ,,[სომხეთის] საჰაერო ძალები ფაქტიურად არ არსებობს. მათ გააჩნიათ მხოლოდ 1 აეროპლანი და გარკვეული ცნობებით - ახლახანს მიღებული კიდევ 2 აეროპლანი".[964] ამავე დროს, გარკვეული წყაროები გვამცნობენ იმის შესახებ, რომ სომხეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის მიმდინარე ომის მსვლელობისას, 1920 წლის ოქტომბერში, სომხური ავიაცია ფრონტის სხვადასხვა უბანზე ბომბავდა ქემალისტთა პოზიციებს. ასე მაგალითად, 1919-1921 წლებში თბილისში გამომავალ ყოველდღიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთში, ,,Слово'', ვკითხულობთ:

- სომხეთის დემოკრატიული პარტიის მიერ შეძენილი 50 თვითმფრინავიდან 10 გაგზავნილია ქილიკიელ სომხებთან.[965]
- 4 ოქტომბერს სომხურმა ავიაციამ სარიყამიშთან ახლოს დაბომბა თურქული პოზიციები".[966]
- 12 ოქტომბერს სომხურმა ავიაციამ დაბომბა თურქული პოზიციები, რომელიც დიდ შეშფოთებას იწვევს თურქებში".[967]

სომხეთის სატელეგრაფო სააგენტო კი, შემდეგ ცნობებს იძლეოდა:

- ,,8 ოქტომბერს ჩვენმა აეროპლანებმა დაბომბეს თურქული პოზიციები სუბადაში-კანის რაიონში".[968]
- 13 ოქტომბერს სომხურმა ავიაციამ დაბომბა დასახლებული პუნქტი დოლბავუ".[969]

---

962 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი (9-9 უკ).

963 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი (116-117).

964 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი (110-111 უკ).

965 Газета ,,Слово''. 23. 09. 1920.

966 Газета ,,Слово''. 09. 10. 1920.

967 Газета ,,Слово''. 12. 10. 1920.

968 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 133 უკ.

საერთო ჯამში, ძალიან ბუნდოვანი და ერთმანეთის გამომრიცხავი, დაბალი სანდოობის მატარებელი ინფორმაციაა, რასაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივიღებთ უცილობელ ჭეშმარიტებად. განსაკუთრებით საეჭვო კი, ,,სომხეთის დემოკრატიული პარტიის მიერ შეძენილი 50 თვითმფრინავის“ ამბავია. არავითარი სხვა დოკუმენტური ან ფაქტობრივი მასალა აღნიშნული საკითხების შესახებ, არ არსებობს. ერთი რამ კი, ფაქტია - 1918 წლისათვის სომხეთის რესპუბლიკას საჰაერო ძალები არ გააჩნდა.

აი, ასეთი იყო მითიური ,,სომხური ავიაციისა და ჯავშანმატარებლების'' შესახებ არსებული ისტორიული რეალობები. ზემოთ წარმოდგენილ ეპიზოდში კი, სადაც სომხური კორპუსის საჭიროებისათვის გაგზავნილ სამხედრო ტექნიკაზეა საუბარი, ბატონი აკადემიკოსის მიერ საგულდაგულოდ ინიღბება 1918 წლის დაშნაკურ-ბოლშევიკური ალიანსის ფაქტი. მეტი სიცხადისა და დამაჯერებლობისათვის ისევ ნაცად ხერხს მივმართავთ და ბატონ აკადემიკოსს ისევ სომეხ ავტორს, რიჩარდ ოვანესიანს დავუპირისპირებთ, რომელიც თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში “The republic of Armenia, Volume I. The first year, 1918-1919“, ამ საკითხთან დაკავშირებით ლაკონურად აღნიშნავს: ,,სომხეთის შეიარაღებულ ძალებს 1918 წლისათვის თვითმფრინავები არ გააჩნდა''.[970] არა გვგონია ბატონი ავეტისიანი ხსენებულ ნაშრომს არ იცნობდეს.

საკითხის ამოწურვისა და სისრულისათვის კი, შენიშვნის სახით დავამატებდით, რომ სომხეთის პირველი რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს არავითარი ავიაცია, სპეციალური სარკინიგზო შემადგენლობა და ჯავშანმანქანები არ გააჩნდა არა მარტო 1918 წელს, არამედ არც 1919 წელს, ხოლო 1920 წლისათვის არსებული მდგომარეობა, ერთობ ორჭოფულია. გავუსწრებთ მოვლენებს წინ და აქვე აღვნიშნავთ, რომ სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, კერძოდ, 1918 წლის 12-15 დეკემბრის ალავერდი-ახტალის ბრძოლების დროს, სომხებმა შეძლეს ერთი ქართული ჯავშანმატარებლის ხელში ჩაგდება, რომელსაც სახელიც გადაარქვეს და მას ,,ვარდან ზორავარი“ უწოდეს. ქართული ჯავშანმატარებლების ამ აქტოვობას უფრო დაწვრილებით წიგნის მეორე ნაწილში წარმოვადგენთ, სადაც კონკრეტულ საბრძოლო მოქმედებებს და მათ ტაქტიკურ ანალიზს განვიხილავთ. ასეთი იყო ისტორიული რეალობა.

ქვემოთ მოყვანილია იმ ძირითადი ცეცხლსასროლი იარაღისა და საარტილერიო შეიარაღების ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები, რომლითაც აღჭურვილნი იყვნენ საქართველოსა და სომხეთის შეიარაღებული ძალები 1918 წლის ბოლოსთვის:

საარტილერიო სისტემა	**კალიბრი (მმ)**	**ჭურვის მასა (კგ)**	**სროლის ზღვრული მანძილი (კმ)**
1902 წლის ნიმუშის საველე ზარბაზანი	76,2	6,5	8,5
1909 წლის ნიმუშის სამთო ქვემეხი	76,2	5,5	5
1909 წლის ნიმუშის საველე ჰაუბიცა	122	23,3	7,7
1910 წლის ნიმუშის სწრაფმსროლი ქვემეხი	107	16,4	10,7

969 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 136 უკ.

970 Richard Hovannisian. The republic of Armenia, Volume I. The first year, 1918-1919. Near eastern center, UCLA. 1971. Pg. 114.

სასროლი იარაღის სისტემა	ვაზნა (მმ)	სროლის ზღვრული მანძილი (მ)
მოსინის სისტემის 1891 წლის ნიმუშის შაშხანა მაქსიმის სისტემის დაზგის ტყვიამფრქვევი	7,62×54 7,62×54	2000 2000

რეზიუმეს სახით კი უნდა ითქვას, რომ საქართველოსა და სომხეთის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა ინდივიდუალური სასროლი იარაღისა და საარტილერიო შეიარაღების ტიპებით დაახლოებით ერთნაირად იყო უზრუნველყოფილი. თუმცა, საომარ მოქმედებათა პირველ ეტაპზე, საერთო სამზადისისა და მზადყოფნის მდგომარეობიდან გამომდინარე, სომხური მხარე გარკვეულ უპირატესობას ფლობდა. რაც შეეხება ცეცხლის წარმოებისა და ქვეითთა საბრძოლო მხარდაჭერის ისეთ მძლავრ ტექნიკურ საშუალებებს, როგორიცაა ჯავშნოსანი მატარებლები და ჯავშანმანქანები, მით უმეტეს - ავიაცია, აქ, ქართული მხარის უპირატესობა აშკარა იყო.

§2.9. სომხეთ-საქართველო და მათი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეები 1918 წელს

ზოგადად, მოკავშირისა და მოკავშირეობის პრობლემა, ხელსაყრელი სტრატეგიული პარტნიორის სწორად განსაზღვრა და შერჩევა ყოველთვის წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს საკითხს ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორად გადაჭრილი ეს ამოცანა ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობდა ამა თუ იმ სახელმწიფოს შემდგომ ბედსა და მომავალზე. და პირიქით, გაუთვლელ გადაწყვეტილებებსა და სტრატეგიულ შეცდომებს არაერთი სახელმწიფოსა თუ ერის ყოფნა-არყოფნის საკითხზე უთამაშია გადამწყვეტი როლი. პატარა სახელმწიფოებისათვის კი, ეს საკითხი ყოველთვის ორმაგად საპასუხისმგებლო პრობლემას წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით, საქართველოსა და სომხეთთან მიმართებაში, სტრატეგიული პარტნიორის შერჩევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ოდითგან, როგორც ევროპა-აზიის გზაშესაყარი და აზიის მუსლიმური სამყაროს ბუფერი დანარჩენ სამყაროსთან.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ორივე რესპუბლიკის წინაშე მწვავედ დაისვა სტრატეგიული სამხედრო-პოლიტიკური პარტნიორისა თუ მოკავშირის სწორად განსაზღვრისა და შერჩევის პრობლემა. თუ ისტორიულად, აქამდე, საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოებრივი სტრატეგიული გეგმები ასე თუ ისე ემთხვეოდა ერთმანეთს, რაც პირველ რიგში მათ სახელმწიფოებრივ და ფიზიკურ გადარჩენას გულისხმობდა საერთო გარეშე მტრებთან ბრძოლაში, ახლა, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მათი საერთო პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული გეზი მკვეთრად იყო შეცვლილი.

რა თქმა უნდა, ორივე სახელმწიფოს წინაშე ისევ მათი ბრძოლის საუკუნოვანი პრობლემა იდგა - ეროვნული თვითგადარჩენა, მაგრამ ამ ეტაპზე საქართველოსა და სომხეთის ახალგაზრდა რესპუბლიკების თვითგადარჩენის პრობლემა სომეხთა ნაციონალისტური იდეოლოგიის, გლობალური პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებითა და ამიერკავკასიის რეგიონში არსებული საერთო მდგომარეობის გამო, უკვე ამოვარდნილი იყო ურთიერთინტერესებიდან. შესაბამისად, მათი მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზებიც საფუძველშივე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. უფრო მეტიც, ამ ეტაპზე, სომხეთისა და საქართველოს ახლადგამოცხადებული რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ ინტერესთა ვექტორები მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს.

ქართველთათვის ქართული სახელმწიფოებრივი ყოფის ეროვნული მეხსიერება ჯერ კიდევ ცოცხალი და რეალური იყო, ანუ, ქართველებს საკმაოდ ნათლად ესახებოდათ ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმი მისი ყველა ასპექტის ჩათვლით, თუნდაც 1801 წლის მდგომარეობით. სომხებისათვის კი, არსებული მდგომარეობა განსხვავებული იყო. აქ დამოუკიდებელი სომხური სახელმწიფოს ცნება ეროვნული ცნობიერების ღრმა პლასტში იყო გადატანილი. იგი მხოლოდ და მხოლოდ ღრმად მივიწყებული, სადღაც დალექილი იდეის დონეზე იყო მოაზრებული. რვაასწლიანმა უცხოურმა ბატონობამ სომეხთა ახლადგამოჩეკილ ეროვნულ აზროვნებას რეალიზმის გრძნობა დაუკარგა და იგი დიდი დილემის წინაშე დააყენა - ან კულტურული ავტონომია, ანუ, აღდგენილი ყოფილი ,,რუსეთის სომხეთი'' (ერევნის გუბერნია) და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა, ან ავტონომიური ,,თურქეთის სომხეთი'' და მასზე მიბმული ე.წ. ,,დიადი არმენიის'' ეფემერული იდეის გამოცოცხლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მრავალსაუკუნოვანი ეროვნული იდეოლოგიის მიძინებული მდგომარეობიდან გამოსული სომხები ეპოქის მიერ შექმნილ საერთაშორისო ურთულეს მდგომარეობაში ვერ გაერკვნენ ჯეროვნად და ილუზორულ მიზნებზე გააკეთეს გათვლები. დაშნაკური იდეოლოგიის ბელადებმა მეორე, ავანტიურისტული არჩევანი მიიღეს და ამით ამიერკავკასიისა და ანატოლიის ხალხები და თვით სომეხი ერი, დიდი საფრთხის წინაშე დააყენეს.

დიდმა პოლიტიკამ ისე ინება, რომ სომხეთი და საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ფაქტიურად ერთმანეთს დაპირისპირებულ ბანაკებში აღმოჩნდნენ ჩართულები. ,,დიადი არმენიის" დაშნაკმა აპოლოგეტებმა ანტანტის - ანტიკაიზერული და ანტიოსმალური ალიანსის მხარე დაიჭირეს, ხოლო საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, გამოუვალი მდგომარეობიდან გამომდინარე, იძულებითი პროგერმანული კურსი დაიკავა. სომეხთა მიერ პრონანტანტური კურსის არჩევა თავისთავად გულისხმობდა პროცარისტულ კურსსაც, რაც თავის მხრივ ,,სამხრეთ რუსეთის უმაღლეს მმართველთან", გენერალ ანტონ დენიკინთან მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური კონტაქტების დამყარებას ითვალისწინებდა, ხოლო ქართველთათვის ამ ეტაპზე მხოლოდ და მხოლოდ გერმანელები აღმოჩნდნენ რეალური მოკავშირეების როლში. ამ საკითხთან დაკავშირებით, თანამედროვე რუსი ავტორი, ალექსეი ბეზუგოლნი, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის სამხედრო ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ძალიან მოკლედ და გასაგებად აღნიშნავს, რომ ,,ქართველებმა პროგერმანული პოზიცია აირჩიეს, სომხებმა - პროინგლისური, ხოლო აზერბაიჯანელებმა - პროთურქული".[971] დღესავით ნათელი და უეჭველი ფაქტია.

სომეხი ავტორები, რა თქმა უნდა, დღემდე ჯიუტად ამტკიცებენ არარატის რესპუბლიკის მთავრობაზე პრონანტანტური და პროდენიკინური ფაქტორების არარსებობას, მაგრამ არსებული დოკუმენტები და ისტორიული ფაქტები თავისთავად მეტყველებენ ამაზე. სანკტ-პეტერბურგის აეროკოსმოსური მანქანათმშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისტორიისა და ფილოსოფიის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ვადიმ მიხაილოვი, თავის ნაშრომში ,,Отношения республики Армении и руководства Вооруженных сил Юга России в 1918 - начале 1919 года" (,,სომხეთის რესპუბლიკისა და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას შორის არსებული ურთიერთობები 1918 – 1919 წლების დასაწყისში"), წერს: ,,მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი სომხეთის შექმნისთანავე სომხეთის პრემიერ-მინისტრი ოვანეს კაჩაზნუნი თავის სამთავრობო პროგრამაში აცხადებდა ,,...ჩვენი მიმდინარე პოლიტიკა არ შეიძლება შენდებოდეს პრორუსულ პოლიტიკაზე", უკვე 1918 წლის ზაფხულში სომხეთის მთავრობის წარმომადგენლები საიდუმლო მუშაობას აწარმოებდნენ როგორც საბჭოების, ასევე თეთრი მოძრაობის ლიდერების მხრიდან პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო დახმარებების მიღების თაობაზე.[972]

კიდევ ერთი რუსი ავტორი, ჩვენთვის კარგად ცნობილი ი. შახდინი, თავის ნაშრომში ,,Дашнакцютюн на службе русской белогвардейщины и английского командования на Закавказье" (,,დაშნაკცუტიუნი რუსეთის თეთრი გვარდიისა და ინგლისური სარდლობის სამსახურში ამიერკავკასიაში"), წერდა: ,,დაშნაკელები ყოველმხრივ იყვნენ დაკავშირებულნი რუს თეთრგვარდიელებთან, დაწყებული მთავრობის წევრებიდან და დამთავრებული ცნობილი ანდრანიკით".[973]

დაშნაკთა გათვლა გენერალ დენიკინსა და მის მხარდაჭერაზე შემდეგში მდგომარეობდა: ,,პოლკოვნიკ ვლასოვის აზრით, დახმარება, რაზეც შეიძლება დაშნაკელებს გაეკეთებინათ

---

971 А. Ю. Безугольный – кандидат исторических наук, старший научный сотрудник Института военной истории МО РФ. Демократическая республика Грузия и ее вооруженные силы. 1918-1921 гг. Вопросы истории. №10, 2009. Стр. 87.

972 Михайлов Вадим Викторович. Отношения республики Армении и руководства Вооруженных сил Юга России в 1918 - начале 1919 года. https://cyberleninka.ru/article/n/ otnosheniya-respubliki-armenii-i-rukovodstva-vooruzhennyh-sil-yuga-rossii-v-1918-nachale-1919-goda

973 И. Шахдин. Дашнакцютюн на службе русской белогвардейщины и английского командования на Закавказье. Заккнига. 1931. გვ. 13.

მოხალისეთა არმიაზე გათვლა მენშევიკურ საქართველოსთან საბრძოლველად, შემდეგში მდგომარეობდა:

ა) საბრძოლო რაზმების ჩამოყალიბება და მათი გაგზავნა ბათუმის გავლით სომხეთში, რომლებიც შეძლებდნენ დამოუკიდებელი ამოცანების გადაჭრას;

ბ) საბრძოლო მასალებისა და სურსათის გაგზავნა;

გ) სოჭის დაკავება და ამით საქართველოზე ზეწოლის განხორციელება სოხუმის შემდგომი დაკავების მუქარით;

დ) გერმანიიდან და ავსტრიიდან წამოსული ტყვეების შეიარაღება და მათი გაგზავნა სომხეთში სომხური ნაციონალური ნაწილების შესავსებად";[974]

მართლაც, შემდგომში განვითარებულმა სამხედრო-პოლიტიკურმა მოვლენებმა ცალსახად დაგვანახა, რომ საქართველოსთან მიმართებაში ამ გათვლის ყველა პუნქტი ზუსტად შესრულდა, რამაც უკვე სომხეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედებების დროს, 1918 წლის ბოლოს, უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო ქართული მხარე.

ხაზგასმით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სომხეთის შეიარაღებული ძალების სამეთაურო და რიგით შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ კავკასიის არმიის ეროვნებით რუს სამხედრო მოსამსახურეებს. ვალერიან თევზაძე: ,,სომხეთის მდგომარეობაც კრიტიკული იყო. საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ეროვნების სიძულვილი სომხებს აზერბაიჯანისადმი და ოსმალეთისადმი აიძულებდა მათ მფარველის ძებნას, ამად რუსეთს თვლიდნენ და თავისი ჯარის მოწყობა ყოფილი რუსეთის ოფიცრებს, ტომით რუსებს დააკისრეს. მუდმივ კავშირში იყვნენ კონტრრევოლუციონერ გენერლებთან. ესენი სომხეთის ჯარს თავის გამოყოფილ კორპუსად სთვლიდნენ. რიცხვითაც ბევრნი იყვნენ, რადგან დიდი სიძნელეების გამო ომის შემდეგ რუსეთში დაბრუნებას, სომხეთში დარჩენას არჩევდნენ".[975]

ყოფილი მეფის რუსეთის არმიის რუს ოფიცრებს სომხეთის არმიაში მნიშვნელოვანი სამეთაურო თანამდებობები ეკავათ. ისინი მთელ ნაწილებსა და მიმართულებებსაც კი მეთაურობდნენ, ხოლო საშტაბო თანამდებობები, ფაქტობრივად, მთლიანად გენერალ დენიკინის ,,დობროარმიის" ოფიცრებით იყო დაკომპლექტებული. გენერალ კვინიტაძის თქმით: ,,ჩვენმა ოფიცრობამ სომხურ ჯარს ,,დენიკინის მე-7 კორპუსი" შეარქვა".[976] და მართლაც, ი. შახდინის მიხედვით, 1918 წლის 1 ნოემბერს გამართულ ყუბანის სამხარეო რადის საზეიმო სხდომაზე გენერალი ანტონ დენიკინი დიდი სიამაყით აცხადებდა: ,,მიუხედავად ცალკეული განსხვავებისა, მაინც შესაძლებელია ჩვენი გაერთიანება დონთან, ყირიმთან, თერგთან, ***სომხეთთან,*** კასპიისპირა ოლქთან".[977] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

ამ საკითხთან მიმართებაში გენერალი შალვა მაღლაკელიძე თავის მემუარში აღნიშნავს: ,,სომხები კი თბილისზე მოდიან, ე.ი. დენიკინი მოდის თბილისზე, რადგანაც ჩვენ რომ გვგონია ჩვენი მოკავშირეა, თუმცა სამხედრო კავშირი კი არა გვაქვს მათთან დადებული, საიდუმლოდ კი ითვლება გენერალ დენიკინის მეოთხე არმიად. ჩვენ სამხედრო კავშირი აზერბაიჯანთან გვაქვს. სომხეთს სულ იმას ვთავაზობთ, შემოდით ჩვენთან სამხედრო კავშირში-თქო. თურმე დენიკინთან არიან და რაში ჭირდებათ ჩვენთან სამხედრო კავშირი, თანაც იმას გვეუბნებიან, თქვენ თათრებს

---

974 И. Шахдин. Дашнакцютюн на службе русской белогвардейщины и английского командования на Закавказье. Заккнига. 1931. გვ. 14.

975 ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. ,,მეცნიერება". თბილისი. 1990. გვ. 17.

976 გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ტომი I. ,,ლომისი". თბილისი. 1998. გვ. 56.

977 И. Шахдин. Дашнакцютюн на службе русской белогвардейщины и английского командования на Закавказье. Заккнига. 1931. გვ. 5.

შეუთანხმდითო, ე.ი. იმიზეზებენ".[978] ბატონ შალვა მაღლაკელიძის ამ მემუარში დაშნაკურ-დენიკინური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შესახებ საკითხი გარკვეულია, მაგრამ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ სამხედრო ხელშეკრულებასთან მიმართებაში ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს. საქართველოსა და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკების მთავრობებს შორის მართლაც არსებობდა სამხედრო ხასიათის ხელშეკრულება, მაგრამ იგი არა სომხეთ-საქართველოს ომამდე ან მისი მიმდინარეობის დროს, ანუ, 1918 წლის განმავლობაში, არამედ მოგვიანებით, 1919 წლის 16 ივნისს დაიდო.[979] ეს თორმეტპუნქტიანი დოკუმენტი წმინდათ თავდაცვითი ხასიათის ხელშეკრულებას წარმოადგენდა. მოვლენების შემდგომმა განვითარებამაც აჩვენა, რომ დენიკინის ე.წ. ,,მოხალისეთა არმიასთან" სამხედრო-პოლიტიკური კავშირის გამო, სომხეთმა უარი განაცხადა სამხედრო ალიანსში შესულიყო ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან. გაზეთ ,,საქართველოს" 1919 წლის 19 ივნისის ნომერში ვკითხულობთ: ,,სომხეთის იზოლაცია რეალურ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ამიერ-კავკასიისათვის საბედისწერო ჟამს, როდესაც მოხალისე არმია სრულს განადგურებას უქადდა კავკასიის სახელმწიფოებს, სომხის ხალხი აშკარად მიემხრო ამ ჯარს და მაშასადამე დაამტკიცა გენერალ დენიკინთან მოკავშირეობა".[980] სომხებმა საქართველოსა და აზერბაიჯანთან სამხედრო კავშირის დამყარებზე უარი განაცხადეს. რა თქმა უნდა, ისინი დენიკინის წინააღმდეგ არ წავიდოდნენ.

დავუბრუნდეთ ისევ არარატის რესპუბლიკასა და დენიკინს შორის არსებულ სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ურთიერთობებს. და ისევ ი. შახდინი: ,,სომხეთის არმიაში უმაღლესი სამეთაურო თანამდებობების დიდი ნაწილი დენიკინელ ოფიცრებს ეკავათ. სომხეთის ჯარის შარურის რაიონის სამხედრო უფროსად სომხეთის მთავრობის მიერ დენიკინელი პოლკოვნიკი - სპიცინი დაინიშნა, ხოლო სომხური შეიარაღებული ძალების შტაბი ფაქტიურად მთლიანად დენიკინელების ხელში იყო".[981] ჩვენის მხრივ დავამატებდით, რომ სომხეთის ცალკეული საარმიო კორპუსის, ხოლო შემდეგ, სომხეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობა 1918 წლის სექტემბერ-ოქტომბერში რუსეთის ცარისტული არმიის ყოფილ ოფიცერს, კავკასიის არმიის ყოფილ შტაბის უფროსს, ეროვნებით რუსს, გენერალ-ლეიტენანტ ევგენი ვიშინსკის ეკავა. სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას კი, სომხეთის შეიარაღებული ძალების მთავარი საველე შტაბის უფროსის თანამდებობაზე მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი, ასევე ეროვნებით რუსი, პოდპოლკოვნიკი ალექსანდრ შნეური[982] იყო დანიშნული. ასევე, ამ ომში ქართველთა წინააღმდეგ

---

978 შალვა მაღლაკელიძე. მოგონებები. ილუსტრირებული ბიოგრაფიები 6. გამომცემლობა ,,პეგასი". თბილისი. 2012. გვ. 82.

979 გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა". №133. 20. 06. 1919 წ.

980 გაზეთი ,,საქართველო". ხუთშაბათი. 19 თიბათვე. 1919 წ. №125. გვ. 1.

981 И. Шахдин. Дашнакцютюн на службе русской белогвардейщины и английского командования на Закавказье. Заккнига. 1931. გვ. 10-11.

982 ალექსანდრ კონსტანტინოვიჩ შნეური (რუს. Александр Константинович Шнеур) (1884-1977წ.წ.) – გერმანული წარმომავლობის რუსი ოფიცერი, რუსეთის საიმპერატორო არმიის პოდპოლკოვნიკი და რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, მკვლევარი ზოოლოგი, ენტომოლოგი და ჰერპეტოლოგი. I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომის მონაწილე. დაიბადა სანკტ პეტერბურგში. დაამთავრა გურევიჩის რვაწლედი და მიხაილის საარტილერიო სასწავლებელი 1906 წელს. აქვე ენიჭება პოდპორუჩიკის წოდება. სამხედრო სამსახურს იწყებს მე-9 ცხენოსან ბატარეაში. 1909 წელს მსახურობდა მე-5 ცხენოსანი არტილერიის დივიზიონში. აქვე ენიჭება პორუჩიკის წოდება. 1913 წლის 30 ივნისს ენიჭება შტაბს-კაპიტნის წოდება. იბრძოდა I მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტზე, სადაც დაიჭრა. 1917 წლის დასაწყისიდან მსახურობდა მე-19 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსის საქმეთა მწარმოებლად. იმავე წლის 30 მარტს ენიჭება კაპიტნის წოდება. 1917 წლის ბოლოდან იყო არზრუმის სიმაგრის შტაბის უფროსი. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, 1918 წლის დასაწყისიდან თეთრ მოძრაობაშია. ამავე წლის 9 აპრილს ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. იყო სხვადასხვა თეთრგვარდიული ნაწილის შტაბის უფროსი. ამავე პერიოდიდან მსახურობდა სომხეთის შეიარაღებული

მოქმედი სომეხთა სამი დამრტყმელი პოლკიდან ორს - რუსი ოფიცრები, პოდპოლკოვნიკი კოროლკოვი და პოლკოვნიკი ნესტოროვსკი მეთაურობდნენ. ზოგიერთი წყაროს მონაცემით პოდპოლკოვნიკი კოროლკოვი სომეხთა შერეული საკავალერიო პოლკის მე-2 დივიზიონის მეთაური იყო.

ზემოთ აღწერილი ბაქოს ამბების შემდეგ კი, სომეხთა აღმოსავლეთის დაჯგუფების გაფანტულმა ზოგიერთმა ქვედანაყოფმა პორტ-პეტროვსკში ავადსახსენებელი ბიჩერახოვის რაზმში დაიწყო გაერთიანება, რომელიც უკვე ბრიტანელთა მიერ ბაქოს მეორედ ოკუპაციისთანავე, 1918 წლის დეკემბრიდან, მეორედ შემოვიდა ბაქოში და ისევ თავისი ჩვეული სისხლიანი საქმიანობა განაგრძო: ,,შტაბის კაპიტანმა კოლმანიანმა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა, 1918 წლის 14 ოქტომბერს შემდეგი სახის ტელეგრამა გამოუგზავნა თბილისში განლაგებულ სომეხთა ეროვნულ საბჭოს: ,,სომხური ნაწილები პეტროვსკში ჯგუფდებიან და შედიან ბიჩერახოვის რაზმში''.[983] სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის, ოვანეს ახვერდოვის 1918 წის 1 ოქტომბრის №21 ბრძანების თანახმად, სომხეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის მოადგილე, პოდპოლკოვნიკი ვლასევი საკუთარი პატაკის საფუძველზე განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და იგი მივლინებით გაიგზავნა ეკატერინოდარში სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების სარდლობის ,,საგანგებო საბჭოსთან'' კავშირების დასამყარებლად.[984] რა თქმა უნდა, პოდპოლკოვნიკ ვლასევის ვიზიტი ეკატერინოდარში ნახევრად ოფიციალურ ხასიათს ატარებდა და იგი გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობდა, რადგან ბათუმის 4 ივნისის ხელშეკრულების პირობების თანახმად ხელშეკრულებაში მონაწილე სუბიექტებს ეკრძალებოდათ ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების დამყარება და სამხედრო ალიანსების შეკვრა.

თავად გენერალი დენიკინი კი, ასეთ კომენტარს აკეთებს დაშნაკურ-დენიკინური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შესახებ: ,,სომხეთის თურქულ-გერმანული ოკუპაციის დროს სომხეთიდან ჩვენთან მალულად ჩამოდიოდნენ სომხეთის მთავრობის ემისრები, რომლებიც ფარულად მოქმედებდნენ, რათა დამპყრობელთა თვალში საკუთარი თავის ,,კომპრომეტირება'' არ მოეხდინათ. ისინი გვიდასტურებდნენ რუსეთის სახელმწიფოსადმი სომხეთის ერთგულებას და დახმარების

ძალების სხვადასხვა შენაერთში. 1918 წლის მაისში მონაწილეობდა სარდარაბადის ბრძოლაში, სადაც ეკავა სომხეთის მე-5 ქვეითი პოლკის შტაბის უფროსის თანამდებობა. იყო სომხური არმიის სამხედრო დაზვერვის ფუძემდებელი და პირველი ხელმძღვანელი. 1918 წლის ოქტომბრიდან, სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას მსახურობდა სომხეთის შეიარაღებული ძალების საველე შტაბის უფროსის თანამდებობაზე. 1919 წლის 10 ოქტომბრიდან პოლკოვნიკია. ამ პერიოდში მსახურობდა ტაგანროგში, გენერალ დენიკინის სამხრეთ რუსეთის მოხალისეთა არმიის მთავარსარდლობის შტაბში. სომხეთისათვის იარაღის მოწოდების მიზნით აწარმოებდა მოლაპარაკებებს ბრიტანელებთან. თეთრგვარდიული მოძრაობის დამარცხების შემდეგ მიდის ემიგრაციაში. ცხოვრობდა ჯერ კონსტანტინოპოლში, შემდეგ ბულგარეთში, სადაც მსახურობდა ბულგარეთის არმიაში. იყო სამხედრო-საინჟინრო სასწავლებლის ლექტორი. მალე გადადის საფრანგეთში და სამხედრო სამსახურს აგრძელებს უცხოურ ლეგიონში. 1930 წლიდან ტუნისშია, სადაც საგზაო ინჟინრად მუშაობდა. ამავე დროს იკვლევდა ტუნისის ბიომრავალფეროვნებას. 1956 წლიდან საცხოვრებლად გადადის ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მუშაობდა საბუნებისმეტყველო მუზეუმში და ეწეოდა ნაყოფიერ კვლევით მუშაობას ენტემოლოგიასა და ჰერპეტოლოგიაში. ამავე დროს ჩართული იყო სამეცნიერო-პოპულარულ და საზოგადოებრივ მუშაობაში. იყო რუსი ვეტერანების საზოგადოების წევრი. წლების განმავლობაში აქვეყნებდა სტატიებს სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემებში. გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული, 1977 წელს. დაკრძალულია სან-ფრანცისკოს სერბულ სასაფლაოზე.

983 И. Шахдин. Дашнакцютюн на службе русской белогвардейщины и английского командования на Закавказье. Заккнига. 1931. გვ. 6.

984 Гегам Петросян. Отношения Республики Армения с Россией (1918 – 1920 гг.) Ереванский Государственный Университет. Ереван. Издательство ЕГУ. 2012. Стр. 97. Фонд 204, опись 1, дело 41, лист 23. Стр. 91.

გაწევას გვთხოვდნენ. ნოემბერში (1918 წლის - ა. ჩ.) ეკატერინოდარში უკვე ოფიციალურად ჩამოვიდა პოლკოვნიკი ვლასევი, რომლის ტიტული იყო ,,მოხალისეთა არმიასთან არსებული სომხეთის არმიის წარმომადგენელი". იგი მეტად ნათელ ფერებში აღგვიწერდა სომხეთის რუსოფილურ განწყობებს და კერძოდ, მოხალისეთა არმიისადმი სომხების განსაკუთრებულად დადებით დამოკიდებულებას. ვლასევი გვთხოვდა სომხური რაზმის შექმნას და მის სომხეთში გადაგზავნას ბათუმის გზით, პურისა და საბრძოლო ვაზნების მიწოდებას, სომეხი ლტოლვილებისა და დასავლეთიდან მომავალი ტყვედყოფილებისათვის დახმარების აღმოჩენას.

თვით სომეხი ავტორებიც კი ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის ,,განსაკუთრებულ სათათბიროსა" და სომხეთის რესპუბლიკას შორის, პირველ რიგში, სამხედრო ხასიათის კავშირები დამყარდა.[985] ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ნოემბრის ბოლოს, ,,განსაკუთრებული სათათბიროს" თავმჯდომარისა და ,,მოხალისეთა არმიის" უმაღლესი ხელძღვანელის თანაშემწის, კავალერიის გენერალ აბრამ დრაგომიროვის მიერ ერევანში, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, სირაკან ტიგრანიანთან გაგზავნილ იქნა ,,მოხალისეთა არმიის" გადაბირების ბიუროს უფროსი, პოლკოვნიკი გიორგი ლესლი შემდეგი უფლებამოსილებებით - ,,პოლიტიკურ საკითხებში სომხეთის წარმომადგენლებთან დაემყარებინა ურთიერთობები". ამავე დროს მას უნდა გადაეცა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრისათვის წერილი, რომელშიც მოთხოვნილი იყო ,,ადგილობრივ საჭიროებებზე ინფორმაციის მოწოდების მიზნით სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლების ქ. ეკატერინოდარში დელეგირება...[986] დეკემბერის თვეში ა. ი. დენიკინმა და სომხეთის ეროვნულმა კრებამ მისასალმებელი ადრესები გაცვალეს.[987] პირველ ეტაპზე განსაზღვრული იყო სომხეთსა და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის ,,განსაკუთრებულ სათათბიროს" შორის სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა. 1918 წლის ნოემბერში სომხეთის სამხედრო მინისტრი მოხალისეთა არმიის შტაბს უგზავნიდა წერილს სომხეთში პურის სასწრაფოდ გამოგზავნის შესახებ.[988] მიუხედავად დიდი სირთულეებისა, მაინც მოხერხდა ბათუმისა და არდაგანის გზით სომხეთისათვის რამდენიმე მილიონი ვაზნის გადაგზავნა.

ქართული მხარისათვის კარგად იყო ცნობილი დაშნაკურ-დენიკინური ალიანსის არსებობის ფაქტი. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა 1918 წლის 14 დეკემბერს გამართული სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ შტაბის წევრები: ჯუღელი, ჯიბლაძე, ორაგველიძე, ვარდოიანი, გოგიშვილი, აუშტროვი, კახიანი, ხარაში, დგებუაძე და საღირაშვილი. ასევე - რაიონული შტაბების წარმომადგენლები. სხდომას თავმჯდომარეობდა ჯუღელი, მდივანი - აუშტროვი. სხდომა გახსნა ვალიკო ჯუღელმა, ზოგადად მიმოიხილა შექმნილი მდგომარეობა და ყველაფერში დაშნაკცაკანები დაადანაშაულა, რომელიც ,,სომხეთშიც კი ატერორებს საკუთარ ხალხს. დაშნაკებმა მოკლეს ქარჩიკიანი და აზატიანი". ალექსანდრე დგებუაძემ კი განაცხადა, რომ ომი წარმოებს არა ტერიტორიებისათვის, არამედ პოლიტიკურ ნიადაგზე. ,,დაშნაკები განწყობილნი არიან დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ***ისინი დენიკინთან შეერთებას ესწრაფვიან.*** (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). ამის წინააღმდეგ გაძლიერებული მუშაობაა საჭირო". იგივეს იმეორებს ვარდოიანი. ჯუღელი ავითარებს ,,ამხანაგების, ვარდოიანისა და დგებუაძის აზრებს. სამხედრო

---

985 Гегам Петросян. Отношения Республики Армения с Россией (1918 – 1920 гг.) Ереванский Государственный Университет. Ереван. Издательство ЕГУ. 2012. Стр. 97. Фонд 204, опись 1, дело 41, лист 23. Стр. 91.

986 Деникин Антон Иванович. Очерки русской смуты. Том 4. Глава XIX. Армения. Результаты английской политики. http://militera.lib.ru/memo/0/one/ russian/denikin_ai2.rar.

987 НАА. (Национальный архив Армении). Ф. 200. Оп. 1. Д. 11. Л. 32.

988 Пученков А. С. Национальная политика генерала Деникина (весна 1918 - весна 1920 г.). СПб., 2012. 338 с.

მინისტრი გიორგაძე კი კი, ამატებს, რომ ***საქართველოს მთავრობას გააჩნია ზუსტი ცნობები იმის შესახებ, რომ სომხეთის მთავრობასა და დენიკინის მოხალისეთა არმიას შორის დამყარებულია მჭიდრო ურთიერთობები. დენიკინთან დანიშნულია სომხეთის წარმომადგენელი.***[989] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). დიახ, ნამდვილად მართლები იყვნენ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრები და საქართველოს სამხედრო მინისტრი. სომხები ყველანაირი გზებით ცდილობდნენ სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შეკვრას გენერალ დენიკინის ე.წ. სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების ე.წ. ,,საგანგებო საბჭოსთან".

დაშანაკურ-დენიკინური ალიანსის შეკვრის მიზეზების შესახებ ერიკ ლი წერს: ,,ქართველები დარწმუნებულნი იყვნენ, და ბრიტანელებსაც ასე უთხრეს, რომ სომხეთი გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმიასთან იყო კავშირში. თეთრი არმიებიდან ყველაზე მნიშვნელოვან წინააღმდეგობას სწორედ ანტონ დენიკინი უწევდა ბოლშევიკურ მმართველობას რუსეთის სამხრეთში, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თუკი თურქები ორ მხარეს ჯარის გაყვანის ორ სხვადასხვა თარიღს უსახელებდნენ, რათა კონფლიქტი გამოეწვიათ, დენიკინი სომხებს აქეზებდა, რომ იმ რეჟიმის - ქართველი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ებრძოლათ, რომელიც მას ლამის ისევე სძულდა, როგორც რუსი ბოლშევიკები".[990]

დაშნაკურ-დენიკინურ ალიანსზე საუბარს კი, ისევ ნაცადი ხერხით და ისევ სომხური წყაროების წარმოჩენით დავასრულებთ. ესაა, ერევანში, 1991 წელს დაბეჭდილი ენციკლოპედიური გამოცემა, უკვე ბანალურად ცნობილი სათაურით - ,,Армянский вопрос. Энциклопедия". მასში ვკითხულობთ: ,,სიმონ ვრაციანი (გრუზიანი, გრუზინიანი. 1882-1969წ.წ.) - სომხეთის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე... სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918), რესპუბლიკის წარმომადგენლად დაინიშნა სამხრეთ რუსეთის მოხალისეთა არმიაში".[991]

და მართლაც, 1918 წლის ივნისის ბოლოს ცნობილი სომეხი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე სიმონ ვრაციანი თბილისიდან განსაკუთრებული მისიით იქნა გაგზავნილი რუსეთის სხვადასხვა რაიონში. 1918 წლის ოქტომბრის ბოლომდე იგი აქტიურად მუშაობდა კავშირების დასამყარებლად მოხალისეთა არმიასთან, რომელსაც ,,ქმედითი დახმარების აღმოჩენა შეეძლო სომხეთისათვის".[992] ვრაციანი რამდენჯერმე შეხვდა სამხრეთ რუსეთის მოხალისეთა არმიის სამეთაურო შემადგენლობას. განსაკუთრებით თბილად კი, იგი გენერალმა მიხაილ ალექსეევმა მიიღო, რომლის ,,დამოკიდებულებაც სომხების მიმართ ზედმიწევნით კეთილგანწყობილი იყო",[993] - აღნიშნავს გეგამ პეტროსიანი. როგორც ვხედავთ, არარატის რესპუბლიკის მთავრობას 1918-1919 წლებში თავისი ოფიციალური წარმომადგენელიც კი ჰყავდა წარგზავნილი გენერალ დენიკინის ,,სამხრეთ რუსეთის მთავრობაში". ერთობ ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ბატონი სიმონ ვრაციანი, დაშნაკური იდეოლოგიის ერთ-ერთი ლიდერთაგანი, 1917 წლიდან თბილისში გამომავალი დაშნაკური იდეოლოგიის რუპორის, გაზეთ ,,ჰორიზონის" მთავარი რედაქტორი იყო, ხოლო 1920 წლის ნოემბრიდან - თვით სომხეთის რესპუბლიკის დაშნაკური მთავრობის უკანასკნელი, მეოთხე თავმჯდომარე. აქვე დავამატებთ, რომ 1919 წლიდან არარატის რესპუბლიკის წარმომადგენელს

---

989 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი (254-255).

990 ერიკ ლი. ექსპერიმენტი: საქართველოს მივიწყებული რევოლუცია: 1918-1921. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი. თბილისი. 2018. გვ. 364.

991 Армянский вопрос. Главная редакция Армянской энциклопедии. Ереван. 1991. gv. 104.

992 Врацян С. По дорогам жизни. События. Лица. Впечатления, т. 5. Бейрут, 1966, стр. 14 (на арм. яз.).

993 Гегам Петросян. Отношения Республики Армения с Россией (1918 – 1920 гг.) Ереванский Государственный Университет. Ереван. Издательство ЕГУ. 2012. Стр. 87. НАА, ф. 223, оп. 1, д. 113, л. 21.

მოხალისეთა არმიაში მე-3 სახელმწიფო დუმის ყოფილი წევრი საგათელიანი წარმოდგენდა.[994] მეორე სომხური წყარო უკვე თანამედროვე სომეხი ავტორი, ალექსანდრ სვარანცია, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო სამართლისა და პოლიტოლოგიის მოსკოვის სომხური ინსტიტუტის პროფესორი, ავტორი წიგნისა ,,პანთურქიზმი და თურქეთის კავკასიური გეოსტრატეგიები“. ალექსანდრ სვარანცს კიდევ ერთი პროფესიული კვალიფიკაცია თუ აკადემიური ტიტული აქვს - ,,გენოციდმცოდნე“(Sic!) (?!) ასეთი რამ კი, ნამდვილად არ გვსმენია! და ჩვენ არ ვხუმრობთ, სვარანცის ოფიციალურ ტიტულატურაში სწორედ ასე არის მოხსენიებული მისი პროფესიული კვალიფიკაცია - Геноцидовед.[995] თავის ერთ-ერთ ნაშრომში ,,АРФ ,,Дашнакцутюн“ и идея общенациональной политической организации“ იგი პირდაპირ, ძალიან მოკლედ და გასაგებად ამბობს: ,,ორწლიანი დამოუკიდებელი არსებობის პერიოდში სომხეთს პოლიტიკური კავშირი ჰქონდა დამყარებული გენერალ ანტონ დენიკინის სამხრეთ რუსეთის დროებით მთავრობასთან და ანტანტის ქვეყნებთან“.[996]

შემდეგი ავტორი მინას (რუბენ) ტერ-მინასიანია,[997] ცნობილი რევოლუციონერი და დაშნაკთა პარტიის ძველი წევრი, მისი ერთ-ერთი ლიდერი და იდეოლოგი, სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრი 1920 წელს. თავის ცნობილ მემუარულ ნაშრომში ,,Mémoires d'un cadre révolutionnaire arménien“ (,,სომეხი რევოლუციონერის მოგონებები“) იგი ძალიან ზუსტად აღწერს სომხეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საორგანიზაციო და საკადრო სტრუქტურას:

---

994 З. Аваловъ. Независимость Грузии въ международной политике 1918 н 1921 г.г. Воспоминания. Очерки. Париж 1924. Стр. 209.

995 http://ru.hayazg.info/%D0%A1%D0%B2%D0%B0%D1%80%D0%B0%D0%BD%D1%86_%D0% 90%D 1%81 %D0%B0%D0%BD%D0%B4%D1%80%D0%BE%D0%B2%D0%B8%D1%87

996 Сваранц Александр Александрович. ,,АРФ ,,Дашнакцутюн“ и идея общенациональной политической организации“. http://noev-kovcheg.ru/mag/2012-08/3215.html.

997 მინას კარაპეტის ძე ტერ-მინასიანი (სომხ. Մինաս Կարապետի որդի Տեր-Մինասյանը) (1882-1951წ.წ.) – პარტიული მეტსახელი ,,რუბენი''. საქართველოში, ახალქალაქში დაბადებული და გაზრდილი სომეხი ეროვნების პოლიტიკური, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, პარტია ,,დაშნაკცუტიუნის'' აქტიური წევრი და მისი ერთ-ერთი ლიდერი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ოჯახთან ერთად არზრუმში გადადის საცხოვრებლად. სწავლობდა ეჩმიაძინის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ – მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში. ინსტიტუტის დასრულების შემდეგ სწავლას აგრძელებს საზღვარგარეთ. 1913 წელს ამთავრებს ჟენევის უნივერსიტეტს. ადრიდანვე ჩაერთო წინააღმდეგობის შეიარაღებულ მოძრაობაში. პარტია ,,დაშნაკცუტიუნის'' წევრი 1902 წლიდან. 1902-1903 წლებში მუშაობდა ბათუმში. შემდეგ გადადის ყარსში. 1904 წლიდან იყო სომეხ ნაციონალისტთა საბრძოლო ჯგუფის წევრი. იბრძოდა ნიკოლა დუმანისა და გევორქ ჩავუშის რაზმების შემადგენლობაში. 1913 წელს იყო ქალაქ მუშის სომხური სკოლის დირექტორი. I მსოფლიო ომის პერიოდში ირიცხებოდა სხვადასხვა სომხური საბრძოლო რაზმის წევრად. 1917 წლის დასაწყისიდან თბილისშია, სადაც თებერვლის რევოლუციის შემდეგ არჩეულ იქნა სომეხთა ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წლის გაზაფხულზე მონაწილეობდა ტრაპიზონისა და ბათუმის სამშვიდობო კონფერენციების მუშაობაში. სომხეთის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის ივნისიდან იყო რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 1919 წლიდან ხდება პარტია ,,დაშნაკცუტიუნის'' ბიუროს წევრი. 1920 წლის მაისიდან სომხეთის მთავრობის წევრია, ინიშნება სომხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად. ამავე დროს ეკავა სამხედრო მინისტრის თანამდებობა. სომხეთის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1920 წლის დეკემბრიდან იმყოფებოდა ზანგეზურში, სადაც შეიარაღებული აჯანყების გზით გამოცხადდა სომხეთის მთიელთა რესპუბლიკა. ბოლშევიკებთან მარცხის შემდეგ მალევე ტოვებს სამშობლოს და მიდის ემიგრაციაში. იმყოფებოდა ჯერ ირანში, საიდანაც გადადის საფრანგეთში. შემდგომ პერიოდში მოგზაურობდა ეგვიპტესა და შუა აღმოსავლეთში, სადაც ეწეოდა სომხეთის დამოუკიდებლობის იდეების პოპულარიზაციას. 1948 წლიდან ცხოვრობდა საფრანგეთში. ემიგრაციაში ყოფნისას ეწეოდა აქტიურ პუბლიცისტურ საქმიანობას, ეკავა შეურიგებელი ანტისაბჭოთა პოზიცია. თანამშრომლობდა პრესასთან. გამოსცა რამდენიმე ნაშრომი, მათ შორის თავისი მემუარების შვიდტომეული ,,სომეხი რევოლუციონერის მოგონებები''. გარდაიცვალა პარიზში, 1951 წელს.

,,სომხეთის რესპუბლიკის არმია რუსეთის არმიის პრინციპებით იყო შექმნილი, რომელიც რუსული სამხედრო წესდებებით იმართებოდა. და სულაც არ არის შემთხვევითი, რომ სომხეთის არმიას მოხალისეთა არმიის ნაწილად თვლიდნენ. ,,[სომხეთის] სამხედრო სამინისტრო, - წერდა რუბენ ტერ-მინასიანი, - რუსული სამხედრო სამინისტროს მინიატურული ვარიანტი იყო, ხოლო არმია, თავისი სულით, განსწავლულობითა და მოქმედებების ტიპით, ისეთივე იყო, როგორც რუსული ჯარი. ტყუილად არ თვლიდნენ სომხეთის არმიას ა. დენიკინის არმიის ნაწილად. უამრავი საერთო ნიშანი იყო როგორც ორგანიზაციაში, ასევე მისწრაფებებში...

ჯარების სათავეში ის პროფესიონალი სამხედრო მეთაურები იდგნენ, რომლებსაც რუსული სამსახურის მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდათ მიღებული. თუ ვერ პოულობდნენ სომხური წარმომავლობის ხელმძღვანელებს, მაშინ სამსახურში რუს ხელმძღვანელებს იღებდნენ, რომელთა რიცხვი ოთხასამდე აღწევდა თუ არ ჩავთვლით დაბალ ჩინებსა და თანამდებობებს. ამგვარად, სომხური არმია პროფესიონალური მოთხოვნების შესაბამისად იყო ორგანიზებული. [ტექნიკური] თვალსაზრისით იგი გარკვეულ ღირსებებს ფლობდა, მაგრამ აშკარად აკლდა ეროვნული სულისკვეთება“.[998]

თავად გენერალ დენიკინისა და მისი ე.წ. ,,სამხრეთ რუსეთის მთავრობის“ საგარეო პოლიტიკის ამოსავალ წერტილს ,,ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ რესტავრაციის იდეა წარმოადგენდა, რომელიც 1914 წლის საზღვრებში უნდა აღდგენილიყო. ამ იდეის განხორციელების გზაზე, ამიერკავკასიასთან მიმართებაში, დენიკინი სომხეთს თავის სტრატეგიულ პარტნიორად თვლიდა, სომხეთის შეიარაღებულ ძალებს კი, შესაბამისად - მოხალისეთა არმიის სარეზერვო შენაერთად. ამ შენაერთს გენერალ დენიკინის არსენალში მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა მიჩენილი. ამიერკავკასიაში დენიკინელთა ექსპანსიონისტური პოლიტიკის განხორციელების პარალელურად, სომხეთს ზურგიდან დამხმარე დარტყმები უნდა განეხორციელებინა ქართველებისა და საქართველოს წინააღმდეგ. ამ სქემაში პირველ რიგში, აფხაზეთი და აჭარა მოიაზრებოდნენ - დენიკინის გათვლით, სომხების მხარდაჭერით, სწორედ აფხაზეთიდან და აჭარიდან უნდა დაწყებულიყო საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიის რუსული ოკუპაციისა და ახალ რუსულ სახელმწიფოში შემდგომი ანექსიის პროცესი.

1918 წლის 29 ოქტომბრის №1442 წერილში სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი საქართველოში, ბატონი არშაკ ჯამალიანი სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სირაკან ტიგრანიანს თბილისიდან ატყობინებდა: ,,...გენერალი დენიკინი უკვე ემზადება ამ ქალაქის (მხედველობაშია ბათუმი - გ. პ.) ასაღებად... დღე-დღეზე ისინი შემდეგი წინადადებით მომმართავენ (საუბარია მოხალისეთა არმიის წარმომადგენელზე - გ. პ.): თუ ბათუმის აღებისას გენერალი დენიკინი ქართველთა მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდება, ჰქონდეს თუ არა მას იმის იმედი, რომ სომხები საზღვარზე მოიქცევინ ისე, რომ ქართველებმა ვერ შეძლონ მთელი თავისი სამხედრო ძალების თავმოყრა გენერალ დენიკინის წინააღმდეგ?“. შემდეგ ჯამალიანი გამოთქვამს თავის მოსაზრებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: ,,...ჩვენ ძალიან შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ ჩვენს მეზობელს ზურგიდან დავარტყათ, ეს დღესავით ნათელია. და მიუხედავად ამისა, თუ ამ წინადადებით მომმართავენ, რა უნდა ვუპასუხო, რომ ჩვენს წინააღმდეგ არ გავაღიზიანო რუსული მხედრობა? მათი გამარჯვება ჩვენთვის მძიმე შედეგების მომტანი იქნება. გთხოვთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომცეთ გარკვეული ინსტრუქციები“.[999]

---

[998] Mémoires d'un cadre révolutionnaire arménien : édition complète / auteur(s) : ROUBEN (Minas ter-Minassian) - trad. de l'armenien par Souren L. Chnath. Editeur :Publications de la F.R.A. Dachnaktsoutioun. Année :1994. Sujets :Armenie -- Histoire -- 1901-.... * Parti Dachnak Armenie -- Histoire -- 1870-1914.

[999] Гегам Петросян. Отношения Республики Армения с Россией (1918 – 1920 гг.) Ереванский Государственный Университет. Ереван. Издательство ЕГУ. 2012. Стр. 105. НАА, ф. 200, оп. 1, д. 66, л. 95-96.

მართალია, 1918 წლის ოქტომბრისათვის არშაკ ჯამალიანი თვლიდა, რომ საქართველოსათვის ზურგიდან დარტყმის მიყენება ერთობ უკადრისი საქციელი იყო, მაგრამ უკვე 1918 წლის დეკემბერსა და 1919 წლის თებერვალში, ბორჩალოს მაზრასა და სოჭის ოლქში განვითარებულმა მოვლენებმა საპირისპირო აჩვენა. როგორც ჩანს, ჯამალიანის განწყობების საწინააღმდეგოდ, აღნიშნული მომენტისათვის სომხეთის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას სულ სხვა მოსაზრებები გააჩნდათ. დიახ, 1918 წლის დეკემბერში დაშნაკური სომხეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო შენაერთებმა საქართველოს წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები დაიწყეს ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონასა და ახალქალაქის მაზრაში, ხოლო 1919 წლის თებერვალში სოჭის ოლქის სომხურმა მოსახლეობამ და საბრძოლო რაზმებმა გენერალ დენიკინის მიერ დაწყებული შეტევის პარალელურად ზურგიდან დაარტყეს ქართულ გარნიზონს.[1000]

რაც შეეხება ბრიტანელებს და ბრიტანულ ფაქტორს. ამჯერად, დაშნაკთა უშუალო კავშირებზე ბრიტანელებთან, აღარ გავამახვილებთ ყურადღებას, რამეთუ ზემოთ, ბაქოს მოვლენების განხილვისას, გარკვეულწილად უკვე შევეხეთ მას, ხოლო დაშნაკურ-ბრიტანულ ალიანსსა და ბრიტანულ ფაქტორზე უფრო დაწვრილებით ნაშრომის შესაბამის თავსა და პარაგრაფში გვექნება საუბარი. საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეებზე საუბრისას კი, პირველ რიგში ის უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და სამხედრო სამინისტროს, სახელმწიფოს მიერ წარმოებული საომარი მოქმედებების შემთხვევაში, საერთო-სამობილიზაციო გეგმა და პოტენციური მოკავშირეების როლი და ადგილი განსაზღვრული არ ჰქონდა. არ ჰქონდა იმიტომ, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკა, ,,ზოგადკაცობრიული ღირებულებებისა და საერთაშორისო დემოკრატიის'' პრინციპებიდან გამომდინარე, არ თვლიდა საჭიროდ სამხედრო დოქტრინის შემუშავებას, არ ჰქონდა განსაზღვრული მოსალოდნელი სამხედრო-პოლიტიკური საფრთხეების მიმართულებები და დონეები, გამოცხადებული ჰქონდა მკაცრი საგარეო ნეიტრალიტეტის პოლიტიკა და კავკასიაში განვითარებულ უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებს ვარდისფერი სათვალით აკვირდებოდა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ბრიტანელების ამიერკავკასიაში შემოსვლასთან დაკავშირებით, გარკვეული ოპტიმისტური მოლოდინები ზოგიერთ ქართველ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწესაც გაუჩნდა. ასეთი განწყობები განსაკუთრებით ამ უკანასკნელთ ჰქონდათ. მათი ოპტიმიზმის საფუძველს ორი ფაქტორი განაპირობებდა:

1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასაც და დიდ ბრიტანეთსაც ერთი და იგივე მტერი - ბოლშევიკური რუსეთი ჰყავდა;

2. ის რეალობა, რომ I მსოფლიო ომში ბრიტანელთა მოკავშირე რუსეთის არმიის შემადგენლობაში უამრავი ქართველი გენერალი და ოფიცერი იბრძოდა.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ქართველი გენერალიტეტის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს, ე.წ. ,,კავკასიის ველური დივიზიისა" და ,,მუსულმანური საარმიო კორპუსის" ერთ-ერთ მეთაურს, გენერალ ლევან (ლენკო) მაღალაშვილს,[1001] საკმაოდ რეალურად

[1000] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 158.

[1001] ლევან (ლენკო) მაღალაშვილი (1879-1926წ.წ.) – ქართველი ოფიცერი, რუსეთის საიმპერატორო არმიის პოლკოვნიკი და ქართული არმიის გენერალი, კავალერისტი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. გიორგის ჯვრის კავალერი. დაიბადა თბილისში. დაამთავრა პაჟთა კორპუსი და ნიკოლოზის საკავალერიო სასწავლებელი. აქვე ენიჭება პოდპორუჩიკის წოდება. მსახურობდა თერგის კაზაკთა ჯარების სუნჟას 1-ლ პოლკში ხორუნჟის თანამდებობაზე. შემდეგ ირიცხებოდა ამურის კაზაკთა ჯარებში. მონაწილეობდა 1900-1901 წლების ჩინეთის ლაშქრობაში. 1909 წლიდან შტაბს-როტმისტრია. I მსოფლიო ომში იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. 1915 წელს ენიჭება პოდპოლკოვნიკის, ხოლო 1916

ესახებოდა მძლავრი ქართული შენაერთის შექმნა ბრიტანელთა პატრონაჟით. ქვემოთ მოყვანილი საარქივო დოკუმენტიც ამაზე მეტყველებს.

1918 წლის 14 დეკემბერი.

ტფილისი. სასტუმრო ,,ორიანტი".

მის აღმატებულება, ბატონ სამხედრო მინისტრს.

მოხსენებითი ბარათი[1002]

შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, აზრად მომივიდა შევქმნა კორპუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად, მოკავშირეთა მთავრობებთან შეთანხმებით. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ინგლისელები თანახმა იქნებიან მომცენ ყოველივე, რაც ამისათვის მჭირდება: ფული, ქვემეხები, ტყვიამფრქვევები და აღჭურვილობა. ამ კორპუსის შექმნით, ერთის მხრივ ახლო მომავალში ჩვენ გვექნება ძლიერი საჯარისო შენაერთი ყოველგვარი დანახარჯების გარეშე, და მეორეს მხრივ - მოვიპოვებთ მოკავშირეთა დიდ სიმპათიებს. რაც მთავარია, მივიღებთ უეჭველ შანსებს მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე მივიღოთ ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობა.

ზემოთ დასახელებულ ამოცანებთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია სამსახურში მოეწყოს ის ათასობით ქართველი ოფიცერი, რომლებიც უსამსახურობის გამო, ერთობ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი. ამ მოხსენებით ბარათში განუხილველ საკითხებს მოგახსენებთ მოგვიანებით, პირადად, როდესაც თქვენ ამას ინებებთ.

გენერალ-მაიორი მაღალოვი".[1003]

ეს ის გენერალი მაღალაშვილია, თავადი ლევან (ლენკო) მაღალაშვილი, რომლის უშუალო მეთაურობითაც ,,კავკასიის ველური დივიზიის" ქვედანაყოფების მიერ 1918 წლის იანვარში კავკასიის ფრონტიდან დაძრული გადეზერტირებულ და გაყაჩაღებულ რუს ჯარისკაცთა ეშელონები იქნა განადგურებული სადგურ შამქორთან. მანამდე კი, ამ ეშელონებმა წაყენებული ულტიმატუმის ძალით დიდი რეკვიზიციები აართვეს ამიერკავკასიის მთავრობას სურსათ-სანოვაგის, სამოსის, ცხენებისა და სხვადასხვა აღჭურვილობის სახით. ამ ,,ხარკის" გადახდის საფასურად, ამიერკავკასიის დედაქალაქი, თბილისი, მაშინ დიდ ,,რევოლუციურ" მოთარეშებას გადაურჩა. ,,მაგრამ მთავრობა მაინც შიშობდა, ვაი თუ ეშელონები ფოილოს ხიდთან გადმოსხდნენ და ტფილისისაკენ წამოვიდნენო"[1004] - იხსენებდა გენერალი მაზნიაშვილი, იმ დროისათვის ქალაქ თბილისის გენერალ-გუბერნატორი და ოპერაციის საერთო ხელმძღვანელი. სწორედ ამიტომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მათი განადგურების შესახებ.

ბედის ირონიაა ალბათ ის რეალობა, რომ გენერალ მაღალაშვილის სარდლობის ქვეშ არსებული კარგად აღჭურვილი, შეიარაღებული და მომზადებული ქართული კორპუსის შექმნა არა

წლის 11 სექტემბერს – პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. 1917 წლის ივლისიდან ,,კავკასიის ველური დივიზიის" პოლკის მეთაურია. 1918 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაშია. აქვე ენიჭება ქართული არმიის გენერლის სამხედრო წოდება. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში. იყო ბორჩალოს მაზრის მოხალისე მუსლიმთა პოლკის მეთაური. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, საქართველოს მთავრობის წევრებისა და გენერალიტეტის სხვა წევრების მსგავსად მიდის ემიგრაციაში. იმყოფებოდა ჯერ კონსტანტინოპოლში, შემდეგ ცხოვრობდა გერმანიაში, მიუნხენში, სადაც გარდაიცვალა კიდეც ტუბერკულოზისგან 1926 წელს. დაკრძალულია იქვე.

[1002] ეს მოხსენებითი ბარათი წარმოადგენს ორიგინალურ საარქივო დოკუმენტს, მანქანაზე ნაბეჭდ ერთ ფურცელს. მოხსენებით ბარათს ადევს რეზოლუცია – ,,შენახულ იქნას საიდუმლოების განსაკუთრებული დაცვით".

[1003] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 130.

[1004] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა". ბათუმი. 1990. გვ. 19.

თუ ბრიტანელების, არამედ საქართველოს მმართველი პოლიტიკური წრეების ინტერესებშიც არ შედიოდა. ხოლო მოხსენებით ბარათში წარმოდგენილი ერთ-ერთი არგუმენტი ქართველი ოფიცრების დასაქმების შესახებ, სრულიად მიუღებელ იდეას წარმოადგენდა ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის. ეს გზა, ანუ ევროპული ტიპის მძლავრი ქართული საარმიო კორპუსის შექმნა, ერთხელ უკვე გათელილ და უარყოფილ იქნა ნოე ჟორდანიასა და მისი თანაპარტიელების მიერ.

საუბარი გენერალ კრეს ფონ კრეზენშტაინსა და ქართული არმიის შექმნის მისეულ პროექტს შეეხება, რაც ზემოთ, წიგნის შესაბამის პარაგრაფში გვქონდა უკვე განხილული. საბოლოოდ, გერმანული პროექტი ჩაიშალა. აღნიშნული კორპუსის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა, რადგან ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა აქცენტები და მთელი ძალისხმევა სახალხო გვარდიის შექმნისაკენ მიმართეს. პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, სწორედ სახალხო გვარდიას თვლიდნენ ნოე ჟორდანია და მისი თანაპარტიელები რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარ სამხედრო და ძალოვან სტრუქტურად, და არა რეგულარულ არმიას.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ისტორიის ბოროტ ხუმრობად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ გენერალ მაღალაშვილს მაინც მიეცა საშუალება ჩამოეყალიბებინა სამხედრო შენაერთი, მაგრამ არა ქართული პირადი შემადგენლობით, და არა ბოლშევიკების წინააღმდეგ, არამედ სომხების წინააღმდეგ საბრძოლველად სომხეთ-საქართველოს ომში და მოხალისეთა ინტერნაციონალური შემადგენლობით. გენერალ მაღალაშვილის ამ საბრძოლო რაზმის პირადი შემადგენლობის დიდ ნაწილს ბორჩალოელი თათრები შეადგენდნენ.[1005] ბრიტანელთათვის კი ის არგუმენტი, რომ საქართველოს მთავრობას I მსოფლიო ომის მიმდინარეობის ბოლო წელს აშკარა პროგერმანული პოზიციები ეკავა, უფრო წონადი აღმოჩნდა. ამან საბოლოოდ განსაზღვრა კიდეც ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლობის ზოგადი დამოკიდებულება ახლადშექმნილი რესპუბლიკის მთავრობისა და მისი შეიარაღებული ძალების მიმართ. ეს დამოკიდებულება კი, მათი დენიკინელებთან ურთიერთობებისგან განსხვავებით, ნამდვილად არ იყო მეგობრული, ალბათ უფრო პირიქით.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ საქართველოს მთავრობა ერთადერთ დასაყრდენ ძალად და მოკავშირედ, პირველ რიგში, მხოლოდ და მხოლოდ ,,მსოფლიოს ინტერნაციონალურ დემოკრატიას" მიიჩნევდა და არა რეალურ სამხედრო ძალას. სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების პანაცეად კი, მხოლოდ ცივილიზებული მსოფლიოს მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფორმალურად ცნობასა და ერთა ლიგაში გაერთიანებას თვლიდა. და ეს იყო პირველი ქართული რესპუბლიკის მმართველი პარტიის, მთავრობისა და მთლიანად ქართველი ხალხის უდიდესი ტრაგედია. გრიგოლ ლორთქიფანიძე: ***,,ერთადერთი ჩვენი მოკავშირე, რასაკვირველია, მორალური მოკავშირე იყო ინტერნაციონალური სოციალ-დემოკრატია.*** და ჩვენ მის წინაშე წმიდა სინდისით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მიუხედავად შეიძლება ამა თუ იმ კერძო შეცდომისა და ელამი ნაბიჯებისა, მსოფლიო პროლეტარიატის პატარა ქართულმა რაზმმა ყველაზე რთულ და საშიშ მდგომარეობაში უმწიკვლოდ გაიტანა შრომის დიდი დროშა. ის მას არავითარ შემთხვევაში, მაშინაც კი არ დაუხრია, როცა მედროშეს აუცილებელი ფიზიკური სიკვდილი ემუქრებოდა".[1006] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). ამ მიმართებით, ცალსახად და გადაჭრით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ გატარებული პროგერმანული კურსი იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და ხსნა, რამაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სწორედ

[1005] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 98, ფურცელი 32.

[1006] დაბრუნება. ემიგრანტული ლიტერატურა. გრიგოლ ლორთქიფანიძე. თბილისი. 1992. გვ. 337.

გერმანული საოკუპაციო ჯარების სარდლობისა და პირადად გენერალ კრეს ფონ კრეზენშტაინის დიდი დამსახურების წყალობით გადაურჩა ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი თურქულ ოკუპაციას. ფაქტია, რომ ქართულ-გერმანულმა მეგობრულმა ურთიერთობებმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ საქართველოში დისლოცირებული გერმანული საოკუპაციო კონტინგენტის გარკვეული საჯარისო ქვედანაყოფები ქართული რეგულარული ჯარის შემადგენელ ნაწილადაც კი იქცა, ხოლო ე.წ. ,,ქართულ-გერმანული ლეგიონი" რეგიონის საუკეთესო სამხედრო ნაწილს წარმოადგენდა.

პირველი გერმანული საჯარისო ნაწილები საქართველოში 1918 წლის ივნისის დასაწყისში გამოჩნდნენ. ,,გერმანიის ჯარების რაოდენობასა და განზრახვაზე შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც იმით, რომ მარტო ფოთში მათი რაოდენობა 10000 კაცს აღემატებოდა. თბილისში დამატებით ჩამოვიდა გერმანიის დიდი სამხედრო ნაწილები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა საავიაციო ქვედანაყოფები, კავალერიის ბრიგადები და მძიმე არტილერია. მარტოოდენ გერმანელი მფრინავები, შოფერები, რკინიგზელები და სხვა სამხედრო სპეციალისტები თბილისში ითვლებოდნენ 2000-ზე მეტი კაცი".[1007] გარდა ამისა, აფხაზეთში (ქუთაისის გუნერნიის სოხუმის ოლქში) და შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოლქში 1918 წლის აგვისტოდან ოქტომბრის ჩათვლით მცირერიცხოვანი გერმანული გარნიზონები განლაგდნენ სოხუმში, ოჩამჩირესა და ადლერში,[1008] თუმცა, ეს ქვედანაყოფები მხოლოდ საგარნიზონო სამსახურის წარმოებით იყვნენ დაკავებულნი და საქართველოში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში მათ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღიათ. გერმანელთა საოკუპაციო ჯარების პირადი შემადგენლობის შესახებ დაახლოებით იგივე მონაცემებია ნაჩვენები სხვა ავტორთანაც - ,,ივნისის ბოლოსათვის საქართველოს ტერიტორიაზე უკვე იმყოფებოდა 15 ათასი გერმანელი სამხედრო მოსამსახურე, არტილერიით, ავიაციითა და ტყვიამფრქვევებით, გენერალ კრეს ფონ კრეზენშტაინის სარდლობით. აქედან 10000 კაცი - ფოთში და 5000 კაცი - თბილისში".[1009]

ჩვენის აზრით, საქართველოში შემოსული გერმანული ჯარების პირადი შემადგენლობის რაოდენობის შესახებ აქ მოტანილი ცნობები ცოტა გადაჭარბებულია, კავალერიის ნაწილებთან მიმართებაში მაინც. დოკუმენტების იგივე კრებულში მოყვანილია გაზეთ ,,ბორბას" ინფორმაცია, სადაც გარდა გერმანელთა საჯარისო ნაწილებისა და ქვედანაყოფების ჩამონათვლისა, დაფიქსირებულია გერმანული მხარის სარდლობაც ამიერკავკასიასა და საქართველოში: ,,შეეხო რა საქართველოში გერმანელთა რაზმის სარდლად პოლკოვნიკ ფონ დერ ჰოლცის დანიშვნას, ბატონმა ცუგმაიერმა განაცხადა, რომ ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება გერმანელთა ორი ორ-ორბატალიონიანი პოლკი, აღჭურვილი არტილერიისა და ტყვიამფრქვევების სათანადო რაოდენობით. გარდა ამისა, აქ იმყოფება ყოველგვარი სპეციალისტების - მფრინავების, რკინიგზელების, ავტომობილისტების, ელექტროტექნიკოსების, რადიოტელეგრაფისტების, მედიცინის პერსონალისა და სხვათა დიდი რაოდენობა. პოლკოვნიკ ფონ დერ ჰოლცთან ერთად ახლად მოვიდა 1100 სპეციალისტი. ფონ დერ ჰოლცს უჭირავს ბრიგადის მეთაურის თანამდებობა და ის უშუალოდ ემორჩილება გენერალ ფონ კრესს, როგორც გერმანიის დელეგაციის მეთაურს საქართველოში".[1010] აქ უნდა შევეხოთ ერთ არაარსებით საკითხს. ამიერკავკასიაში გერმანიის საიმპერატორო ჯარების სარდლის სახელი და გვარი იყო - კრეს ფონ კრეზენშტაინი. კრესი მისი

[1007] მ. გაბრიჩიძე. გერმანელი ოკუპანტები საქართველოში. დოკუმენტებისა და მასალების კრებული. თბილისი. 1942. გვ. 16.

[1008] W. E. D. Allen, Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A History of the Wars on the Turco-Cauacsian Border 1828-1921. Cambridge University Press. 1953. Pg. 447.

[1009] История Первой Мировой Войны. Москва. ,,Наука". 1975 г. гз. 438.

[1010] მ. გაბრიჩიძე. გერმანელი ოკუპანტები საქართველოში. დოკუმენტებისა და მასალების კრებული. თბილისი. 1942. გვ. 85. (გაზეთი ,,ბორბა". №149. 1918.).

სახელი იყო და არა გვარი, მაგრამ რატომღაც ყველგან, თვით ოფიციალურ დოკუმენტებშიაც კი, იგი მხოლოდ სახელით - გენერალ ფონ კრესად მოიხსენიება.

საერთო ჯამში, 1918 წლის ზაფხულიდან საქართველოში გერმანული საექსპედიციო კორპუსის შემდეგი ნაწილები და ქვედანაყოფები იქნა შემოყვანილი: ორ-ორბატალიონიანი სამეფო მე-15 და 29-ე ბავარიელ ეგერთა პოლკი, მე-10 მოიერიშეთა ბატალიონი, ორპოლკაინი სამეფო კავალერიის მე-7 ბავარიული ბრიგადა, საველე არტილერიის 65-ე პოლკი, ჯავშანმანქანების ასეული, 176-ე ნაღმმტყორცნელთა ასეული, კავშირგაბმულობის ქვედანაყოფი, საავიაციო რაზმი.[1011]

აღსანიშნავია, რომ გერმანულ სამხედრო ნაწილებს სომხეთ-საქართველოს ომში მონაწილეობა არ მიუღიათ, ყოველ შემთხვევაში, მის გადამწყვეტ ფაზაში, დეკემბრის ბრძოლების დროს, რადგან უკანასკნელმა გერმანულმა სამხედრო ეშელონმა 1918 წლის 13 დეკემბერს დატოვა ფოთის პორტი.[1012] თუმცა, პირველ ეტაპზე, ოქტომბრის თვეში წარმოებულ ბრძოლებში, სწორედ გერმანული სასაზღვრო ქვედანაყოფები აღმოჩნდნენ დაპირისპირებულნი სომხურ ავანგარდებთან. სწორედ გერმანული სასაზღვრო რაზმების მეთაურთა ოპერატიულმა და უაღრესად პროფესიონალურმა ქმედებებმა ითამაშეს უმნიშვნელოვანესი როლი დაწყებული კონფლიქტის პირველსავე ეტაპზე სასწრაფოდ ამოსაწურად. თუმცა, როგორც ნაშრომის შესაბამის პარაგრაფში იყო აღნიშნული, გერმანულმა ქვედანაყოფებმა ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში, სანაინი - წითელი ხიდის უბანზე, აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1918 წლის ივნისის თვეში საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული ოსმალურ-თათრული აგრესიის აღკვეთის საქმეში.

უნდა ითქვას, რომ გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურმა მისიამ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის საიმპერატორო ჯარების სარდლობამ და მთლიანად საქართველოში მყოფმა გერმანულმა სამხედრო კონტინგენტმა, მეტად დადებითი როლი ითამაშა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საქმეში, აღკვეთა რა თურქთაგან მომავალი სამხედრო აგრესია.

საერთო ჯამში კი, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მთელი 1918 წლის განმავლობაში გერმანელებმა თავიანთი მოღვაწეობის ყველა ასპექტში, მართლაც ნათელი კვალი დატოვეს საქართველოში. ცალსახად ვეთანხმებით ცნობილ ქართველ მეცნიერსა და დისიდენტს, ბატონ ვიქტორ რცხილაძეს 1918 წლის ქართულ-გერმანული ურთიერთობების შეფასებაში: ,,განათლებულ ქართველობას შესანიშნავად ახსოვდა ახლო წარსულის ბრწყინვალე ფურცელი 1918 წლის გერმანულ-ქართული ურთიერთობისა, როდესაც საქართველოს მისი დამოუკიდებლობის გარანტად გერმანული ჯარი მოევლინა. დიახ, მათ კარგად ახსოვდათ გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების კეთილშობილება და რაინდობა და აგრეთვე ქართველთა დიდსულოვნება, როდესაც პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანულ ჯარს საქართველოდან მუსიკითა და ყვავილებით აცილებდნენ გემებამდე, და ეს მაშინ, როდესაც, უმეტეს ქვეყნებში, დამარცხებულ უცხო ჯარს მოსახლეობა ზურგში ჩასცემდა ხოლმე მახვილს“.[1013]

1011 E. J. Erickson. Ordered to Die: a History of the Ottoman Army in the First World War. Westport. 2000. Pg. 245.

1012 ყოველკვირეული სამხედრო ჟურნალი ,,რესპუბლიკის ჯარი''. (სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილებით). კვირა, 15 დეკემბერი. 1918. №3. გვ. 16.

1013 შალვა მაღლაკელიძე. მოგონებები. ილუსტრირებული ბიოგრაფიები 6. გამომცემლობა ,,პეგასი''. თბილისი. 2012. გვ. 6.

თბილისის წითელი (მოგვიანებით სახალხო) გვარდიის რაზმი არსენალზე გალაშქრების წინ. 1917 წლის 11 დეკემბერი. შუაში თეთრი შინელითა და წინაფრიანი ქუდით ვალიკო ჯუღელი, მისგან მარჯვნივ, კოსტუმსა და ჰალსტუხში ვლასა მგელაძე



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სასახლე



PROVISORISCHEN ABKOMMEN.

zur vorläufigen Regelung der Beziehungen zwischen Georgien und Deutschland.

Zwischen der Georgischen Regierung einerseits, vertreten durch den Minister des Aeussern, Herrn A k a k i T s c h e n k e l i ,
und der
Kaiserlich Deutschen Regierung anderseits, vertreten durch den Königlich Bayerischen Generalmajor v o n L o s s o w ,
ist in der Absicht, die Beziehungen zwischen den beiden Völkern vorläufig zu regeln, folgendes vereinbart worden.

ARTIKEL I.

Die Georgische Regierung erkennt die Bestimmungen des Friedensvertrages zwischen Deutschland, Oesterreich-Ungarn Bulgarien und der Türkei einerseits und Russland anderseits vom 3 März 1918 als Grundlage ihrer Beziehungen zu dem Deutschen Reiche an, soweit die Bestimmungen ihrer Natur nach auf diese Beziehungen anwendbar sind. Daher werden Deutschland gegenüber die Anlage 2 des Hauptvertrages sowie der Deutsch-russische Zusatzvertrag anzuwenden sein.

ARTIKEL II.

Für die Dauer des Krieges wird die Georgische Regierung der Deutschen Regierung gestatten, die auf Georgischem Gebiet gelegenen Eisenbahnen für Transports von Truppen und Kriegsmaterial der vier verbündeten Mächte zu benutzen. Zu diesem Zweck wird in Tiflis eine unter deutscher Leitung stehende Militärkommission eingesetzt werden, die in Verbindung mit der Georgischen Regierung den Betrieb der genannten Eisenbahnen regeln soll. Dieser Militärkommission können Mitglieder der vier verbündeten Mächte angehören. Die an den Durchfuhrlinien liegenden Bahnhöfe sowie der Hafen von P o t i werden von deutschen Stationskommandos und Kommandanten besetzt.

ARTIKEL III.

Eine Georgische diplomatische Vertretung wird in Berlin eingesetzt und desgleichen eine deutsche diplomatische Vertretung am Sitz der Georgischen Regierung eingerichtet werden.

ARTIKEL IV.

Die Georgische Regierung wird in allen Orten des Staates wo es der Kaiserlich Deutschen Regierung erforderlich erscheint, deutsche Konsule zu lassen.

Für die Georgischen Konsule wird seitens der Deutschen Regierung entsprechend verfahren werden.

ARTIKEL V.

Vorstehendes provisorisches Abkommen, das mit dem Tage seiner Unterzeichnung in Kraft tritt, wird, sobald wie möglich, durch einen zwischen den beiden Parteien zu vereinbarenden Staatsvertrag ersetzt werden, der die Beziehungen zwischen Georgien und Deutschland festsetzen wird, sofern nicht Teile dieses Abkommens durch einen allgemeinen Vertrag ersetzt werden zwischen der Georgischen Regierung einerseits und den vier verbündeten Regierungen anderseits.

Zu Urkund dessen haben die Bevollmächtigten dieses Abkommen eigenhändig unterschrieben.

Ausgefertigt in zweifacher Urschrift.

P o t i , den 28 Mai 1918.

(Unterschrieben) A. Tschenkeli

V. Lossow.

Für Richtigkeit J. Wetzel

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ გერმანიასთან გაფორმებული პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება გერმანულ ენაზე. ფოთი, 1918 წლის 28 მაისი.



გერმანული ხომალდი SMS Minna Horn, რომლის ბორტზეც 1918 წლის 28 მაისს საქართველოსა და გერმანიის წარმომადგენლებს შორის ხელი მოეწერა დროებით ხელშეკრულებას. ეს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ დადებული პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მან მიიღო გერმანიის იმპერიის მხრიდან პროტექცია და აღიარება



საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობა

სამხედრო სამინისტრო
21 ღვინობისთვე 1918 წ.

№ 0838

ტფილისი.

ფურცელ № 120

საქართველოს მთავრობის
საქმეთა მართველობა
22 OKT 1918
მიღ. № 2558

№ 89

საიდუმლოდ

მთავრობის თავმჯდომარეს

მიღ. № 611
24/X 918.

52

ამასთანავე წარმოგიდგენთ რემს კამკეტლობაში მყოფის ყველა ნაწილების და დაწესებულებების ნუსხას, რომელნიც აღნიშნულია თუ რომელი მათგანი ჯერ არ არის მოწყობილი, [illegible].

მოგახსენებთ, რომ, რადგან შტატები ჯერ არ არიან დამტკიცებული პარლამენტის მიერ, ყველა ეს დაწესებულებები ეწყობიან რემ მიერ წარმოდგენილის შტატების პროექტის მიხედვით. შტატის გარეშე დარჩენილი ოფიცრები და მოხელეები გადაცემული მყავს საღიკვიდაციო განყოფილებაში ანგარიშის გასასწორებლად. რაიცა მეეხება ჯარისკაცთა რიცხვს, მას აკლია 60%-მდე, ხოლო ცხენებისას 80%-მდე.-

სამხედრო მ ი ნ ი ს ტ რ ი

საქართველოს სამხედრო მინისტრის მოხსენებითი ბარათი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს



1918 წლის 20 აგვისტოს დამტკიცებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო უწყების სტრუქტურა

წითელი (სახალხო) გვარდიის მთავარი შტაბის პრეზიდიუმის პირველი შემადგენლობა. შუაში გვარდიის საპატიო თავმჯდომარე, ნოე ჟორდანია. მისგან მარჯვნივ გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი, ვალიკო ჯუღელი და ალექსანდრე მაისურაძე. მარცხნივ – ალექსანდრე დგებუძე და რუბენ აუშტროვი.

გიორგი კვინიტაძე
(1874-1970)

ალექსანდრე გედევანიშვილი
(1871-1923)

ალექსანდრე ანდრონიკაშვილი
(1870-1933)

ქართველ და გერმანელ ოფიცერთა და პოლიტიკოსთა ჯგუფი. მეორე რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): საქართველოს პარლამენტის წევრი იოსებ გობეჩია, სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი, გენერალი კოტე აფხაზი, მაიორი ებერჰარდ ფონ ფოლკსველი, სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე, გენერალი კრეს ფონ კრეზენშტაინი, საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, გენერალი ილია ოდიშელიძე, დათა ვაჩნაძე, ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგი. მესამეე რიგში: პოლკოვნიკი კალისტრატე ბერიძე, უცნობი პირი, გენერალი გრიგოლ სუმბათაშვილი, ორი უცნობი პირი, პოლკოვნიკი ფილიპ აშაუერი, ლეიტენენტი ფლობი, ფრიდრიხ ნიდერმაერი, უცნობი პირი, ბარონი გამი, გენერალი სტეფანე ახმეტელაშვილი. მეოთხე რიგში: გენერალი ზაქარია ყიფშიძე, პოლკოვნიკი ალექსანდრე ზაქარიაძე, ბოლო რიგში: მარცხნიდან მეოთხე გენერალი ვარდენ წულუკიძე, მეექვსე – გენერალი ანდრია ბენაშვილი.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი. ქართული რეგულარული ჯარის ერთ-ერთი ნაწილის პირადი შემადგენლობა ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძრის, ე.წ. ,,სობოროს'' ეზოში

ვალოდია გოგუაძე და ვალიკო ჯუღელი
(1880-1954) (1887-1924)

რუბენ აუშტროვი
(1887-1937)

სტეფანე ახმეტელი
(1877-1922)

სახალხო გვარდიის თბილისის განსაკუთრებული რაზმი. შუაში, თეთრი ფაფახით, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი რუბენ აუშტროვი

საქართველოს სახალხო გვარდიის ჯავშნიანი ავტომობილების ასეულის მეტყვიამფრქვევე მოტოციკლისტთა ოცეული

ქართველი არტილერისტები

სახალხო გვარდიის საარტილერიო ბატარეა საველე სწავლებაზე. დგანან: მარცხნიდან მესამე – სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსის მოადგილე ალექსანდრე დგებუაძე, მეოთხე – რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე, და მეშვიდე – გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი ვალიკო ჯუღელი

გვარდიის მეტყვიამფრქვევეთა ასეულის ქვედანაყოფი. მეთაური გიორგი ლომთათიძე

სახალხო გვარდიის რაზმი



ქართული ბიპლანი „სოფვიჩ ქემელ სკაუტი". ფრთის ქვედა მხარეზე მოჩანს განმასხვავებელი ნიშანი – წმ. ნინოს ჯვარი

ვალოდია გოგუაძე და მისი ძმები – ნოე, მელენტი და ალფეზი

სამხედრო ტაძრის ეზოში გამოფენილი ქართული ჯარის მიერ რუსი ბოლშევიკებისა და თეთრგვარდიელებისაგან მოპოვებული ნაალაფარი არტილერია. ძირითადში არის 1909 წლის ნიმუშის 76მმ-იანი „დანგლიზ-შნაიდერის" სისტემის სამთო ქვემეხები. ასევე, ახლო პლანზე, სახაზინო ნაწილით ჩვენსკენ, ჩანს 3 ცალი გრძელლულიანი 76,2მმ-იანი რუსული წარმოების ე.წ. „სამდუიმიანი" მსუბუქი სწრაფმსროლი ქვემეხი.

ფრიდრიხ კრეს ფონ კრეზენშტაინი
(1870-1948)

ოტო ფონ ლოსოვი
(1868-1938)

ლიმან ფონ სანდერსი
(1855-1929)

გერმანელი ჯარისკაცები თბილისში. უკანა პლანზე კარგად ჩანს ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარი, ე.წ. ,,სობორო'', უფრო შორს – ფუნიკულიორი და მამადავითის ეკლესია

საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი გიორგი კვინიტაძე ქართველ და გერმანელ ოფიცრებთან ერთად. 1918 წელი.

1918 წლის 10 ივნისის ბორჩალოს ბრძოლაში დაღუპული გერმანელი ჯარისკაცების დაკრძალვის ცერემონიალი. ფოტოზე ჩანან გენერალი ვასილ გაბაშვილი (ჩოხა-ახალუხში) და გრაფი ვერნერ ფონ დერ შულენბურგი (შუაში).


69
10453

ერევანი. სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სასახლე

ოვანეს კაჩაზნუნი
(1868-1938)

სირაკან ტიგრანიანი
(1875-1947)

ალექსანდრ ხატისოვი
(1874-1945)

არშაკ ჯამალიანი
(1882-1940)

თომა ნაზარბეგოვი (1855-1931) | ოვანეს ახვერდოვი (1873-1931) | მოვსეს სილიკოვი (1862-1937) | მიქაელ არეშიევი (1876-1921)

ოსმალთა არმიაში მომსახურე სომეხ ოფიცერთა ჯგუფი

სომეხი მოხალისეები ეწერებიან „აღმოსავლურ ლეგიონში"

„აღმოსავლური ლეგიონის" სომეხი ჯარისკაცები. კვიპროსი, 1918 წელი

Հայ կամաւորները ֆրանսիական բանակում.
Армяне-добровольцы во французской армии.
Volontaires arméniens dans l'armée française.

საფრანგეთის არმიის სომეხი ჯარისკაცები

ანდრანიკ ოზანიანის (ანდრანიკი) 1-ლი ბატალიონი



დრასთამატ კანაიანის (დრო) მე-2 ბატალიონი

ამაზასპ სრვანცტიანის (ამაზასპი) მე-3 ბატალიონი

არშაკ გავაფიანის (კერი) მე-4 ბატალიონი

რუსი ჯარისკაცები და სომეხი მებრძოლები ვანის დაცვის პოზიციებზე. 1915 წლის მაისი

კათოლიკოსი გევორქ V სურენიანცი კურთხევას აძლევს სომეხი მოხალისეების რაზმს

თავი III

ომისათვის სამზადისი, საომარ მოქმედებათა თეატრი და დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიები

§3.1. დაპირისპირებულ მხარეთა სამზადისი ომისათვის

დაპირისპირებულ მხარეთა ომისათვის სამზადისის საკითხში დიამეტრალურად განსხვავებული მდგომარეობაა. ჩვენს მიერ მოპოვებული საარქივო და სხვა უტყუარი დოკუმენტური მასალების შეჯერების საფუძველზე ერთმნიშვნელოვნად შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ სომხური მხარე ომისათვის მის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, გამალებით, მეთოდურად და საგულდაგულოდ ემზადებოდა, მაშინ, როცა საქართველოს მთავრობა და სამხედრო უწყება არა თუ ომის დაწყებამდე და ომის წარმოების პირველ ეტაპზე, არამედ 1918 წლის დეკემბრის შუა რიცხვებშიც კი, სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების გაშლის ეტაპზე, არ იჯერებდა სომეხთა მხრიდან დაწყებულ სამხედრო აგრესიას. უფრო მეტიც, ქართული პოლიტიკური ელიტა 1918 წლის 16 დეკემბრამდე ჯიუტად არ აღიარებდა ომის დაწყების ფაქტს და სომხურ სამხედრო აგრესიას ცალკეული დაშნაკური ბანდების გამოხდომებად აღიქვამდა მხოლოდ. 1918 წლის 16 დეკემბრისათვის კი, საომარ მოქმედებათა ფრონტებზე უკვე ასეულობით ქართველი მეომარი იყო დაღუპული, ხოლო ძირძველი ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი - ოკუპირებული.

დაწყებული 1917 წლის ბოლოდან, სომეხთა ,,საგარეო საქმეთა მინისტრი" ავეტის აჰარონიანი და ქალაქ თბილისის ყოფილი თავი - სომეხთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრ ხატისიანი თავის მხლებლებთან ერთად საზღვარგარეთულ ტურნეებს მართავდნენ ანტანტისა და ოთხთა კავშირის ქვეყნებში მომავალი სომხური სახელმწიფოს შექმნისათვის შესაძლო პარტნიორებისა და მხარდამჭერების მოძიების მიზნით. დადასტურებული ფაქტია ისიც, რომ ამ ვოიაჟების დროს სომხური წარმომადგენლობითი დელეგაცია თვით კრემლის უმაღლეს ხელმძღვანელობასაც კი შეხვდა. ამ პოლიტიკური ვოიაჟების სპექტრში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ უკვე 1918 წლისათვის, სომხეთის რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე, დაშნაკებმა მყის შეცვალეს თავისი ,,შეურიგებელი პოზიციები'' თურქების მიმართ და მათთან სეპარატისტული მორიგებების გზას დაადგნენ. ეს სეპარატისტული შეხვედრები სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, 1918 წლის ივნისში შედგა თურქეთის მმართველი ტრიუმვირატის წევრებთან, ისმაილ ენვერ ფაშასა და მეჰმედ თალაათ ფაშასთან.[1014] ხოლო 1918 წლის

[1014] მეჰმედ თალაათ ფაშა (ოსმალ. يا شا طلعت, თურქ. Mehmed Talat Paşa) (1874-1921წ.წ.) – ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, 1913-1917 წლებში იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი, 1917-1918 წლებში – დიდი ვეზირი, იმპერიის მმართველი ტრიუმვირატის ერთ-ერთი წევრი. „ახალგაზრდა თურქთა" „ერთიანობისა და პროგრესის" პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი ლიდერი. I მსოფლიო ომის დროს რუსეთის იმპერიასთან მოსაზღვრე ტერიტორიებზე მცხოვრები სომხების ოსმალთა იმპერიის შიდა რაიონებში მასობრივი დეპორტაციის პროექტის ერთ-ერთი ავტორი. დაიბადა ადრიანოპოლისის (ედირნე) ვილაიეთის ქალაქ ქარზაიში. დაამთავრა ედირნეს უმაღლესი სკოლა. სამსახურებრივი კარიერა დაიწყო ტელეგრაფისტობით. მონაწილეობდა სულთან აბდულ ჰამიდ II-ის წინააღმდეგ დაწყებულ გამოსვლებში. ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლების გამო დააპატიმრეს 1893 წელს. ორი წლის შემდეგ სათავეში ჩაუდგა ,,ახალგაზრდა თურქთა'' პარტიის სალონიკის განყოფილებას. 1898-1908 წლებში მუშაობდა ფოსტალიონად. ,,ახალგაზრდა თურქთა" 1908 წლის რევოლუციის შემდეგ აირჩიეს მეჯლისის დეპუტატად ადრიანოპოლისიდან. 1909 წლის ივლისში ინიშნება იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრად, ხოლო 1912 წელს ხდება ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი. იმავე წელს იკავებს ,,ერთიანობისა და პროგრესის'' პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამდებობას. მონაწილეობდა 1912-1913 წლების ბალკანეთის ომში. 1913 წლის იანვარში, ,,ახალგაზრდა თურქთა'' რეოლუციის შემდეგ, იმპერიის მართვის სათავეში ერთპარტიული დიქტატურით ,,ერთიანობისა და პროგრესის'' პარტია მოდის. 1913 წლის ივლისიდან მეჰმედ თალაათ ფაშა ხელმეორედ ინიშნება იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრად, ხოლო 1914 წლის დასაწყისიდან მმართველი ტრიუმვირატის წევრია. იმპერიის სამხედრო მინისტრთან, ისმაილ ენვერ ფაშასთან ერთად იყო ოსმალთა იმპერიის I მსოფლიო ომის ჩართვის ინიციატორი. 1917 წლის 4 თებერვალს ინიშნება იმპერიის დიდ ვეზირად. I მსოფლიო

6 ივნისს სომხური დელეგაციის წევრები თვით ოსმალთა იმპერიის სულთანმა, ***მეჰმედ VI-მ*** მიიღო,[1015] - გვამცნობს ჩვენთვის უკვე ცნობილი თურქი ავტორი, ქამურან გურუნი. (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.). ამ ამონარიდში, პატივცემულ ავტორთნ მცირე უზუსტობასთან გვაქვს საქმე. მეჰმედ VI ვაჰიდედინმა ოსმალთა იმპერიის ტახტი თავისი უფროსი ძმის, იმპერიის მე-100 სულთნის, მეჰმედ V რეშადის სიკვდილის შემდეგ, 1918 წლის 3 ივლისს დაიკავა. ასე, რომ სომხური დელეგაცია არა მეჰმედ VI-მ, არამედ მეჰმედ V-მ მიიღო. როგორც ჩანს, აქ ტიპოგრაფიული უზუსტობა არის გაპარული.

დაშნაკთა პოლიტიკური ლიდერების ეს შეხვედრები ბათუმის საზავო ხელშეკრულების პირობების შერბილების თხოვნების სერიას მოიცავდა. რიჩარდ ოვანესიანის მიხედვით, აჰარონიან-ხატისოვის მისია შემდეგ გეგმებს ისახავდა მიზნად:

1. ოსმალთა მთავრობასა და გავლენიან წრეებში კეთილგანწყობისა და მხარდაჭერის მოპოვება.

2. თურქთაგან პამბაკ-ლორის (ლორე-ბამბაკის გადასომხურებული ვარიანტი - ა. ჩ.) დაცლაზე ზეგავლენის მოხდენა.

3. სომეხი ლტოლვილების დაბრუნების პროცესის ფორსირება ბათუმის საზავო პირობებით თურქთათვის გადაცემულ ტერიტორიებზე.

4. დაერწმუნებინათ თურქი ლიდერები იმაში, რომ **სიცოცხლისუნარიანი სომხეთის გარეშე, ამიერკავკასიაში შეუძლებელი იქნებოდა მშვიდობისა და სამართლიანობის დამყარება. ამიტომ, საჭირო იყო საქართველოსთან და აზერბაიჯანთან საკამათო ამიერკავკასიური მიწების სომხებისათვის მიკუთვნება.**

5. გერმანიის მიერ რესპუბლიკის (სომხეთის - ა. ჩ.) ცნობა ,,ბრწყინვალე პორტაზე'' შემდგომი ზეგავლენის მოსახდენად.[1016] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

ჯონ კირაკოსიანის მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით კი, რაც სომხურ საარქივო მასალებზე დაყრდნობითაა წარმოდგენილი, ამ შეხვედრისას ახალქალაქთან გაჟღერებული მთავარი თეზა შემდეგი იყო:

,,ახალქალაქის გუბერნიის თურქეთთან მიერთება, სადაც მოსახლეობის 76%-ს სომხები წარმოადგენენ - ძალადობაა, რაც **გუბერნიის** მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მოთხოვნებს არ შეესაბამება...

ახალქალაქის გუბერნიის სომხურ მოსახლეობას თურქეთიდან გამოყოფა და თავისი ბედის სომხეთის რესპუბლიკასთან დაკავშირება სურს''.[1017] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

ომში მას მიეწერება ოსმალთა იმპერიაში ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ გატარებული სისხლიანი რეპრესიების ინიცირება. ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო მოლპარაკებების დროს, 1918 წლის თებერვალ-მარტში, იყო ოსმალური დელეგაციის ხელმძღვანელი. 1918 წლის 7 ოქტომბერს გადადგა იმპერიის დიდი ვეზირის თანამდებობიდან, ხოლო I მსოფლიო ომის ბოლო ეტაპზე, ტრიუმვირატის სხვა წევრებთან, ენვერ და ჯემალ ფაშებთან ერთად გერმანული წყალქვეშა ნავით ფარულად დატოვა კონსტანტინოპოლი და კონსპირაციულად ჩავიდა ბერლინში. აქ იგი გარკვეული პერიოდი გამოგონილი სახელით ცხოვრობდა. 1921 წლის 15 მარტს იგი ერთი გასროლით მოკლა არზრუმელმა სომეხმა დაშნაკმა, სოღომონ ტერილიანმა. ბერლინის სასამართლომ ტერილიანი გაამართლა, 1943 წელს მეჰმედ თალაათ ფაშას ნეშტი ბერლინიდან თურქეთში გადაასვენეს და დაკრძალეს კონსანტინოპოლის მემორიალურ სასაფლაოზე.

1015 Кямуран Гюрюн. Армянское Досье. Перевод с турецкого. Язычи. Баку. 1993. Y. H. Bayur. Turk Inkilabi Tarihi. Gilt II, kisim III. S. 250.

1016 Richard G. Hovannisian. Armenia on the Road to Independence, 1918. By [Published under the auspices of the Near Eastern Center, University of California, Los Angeles.] (Berkeley and Los Angeles: University of California Press. 1967. გვ. 231.

1017 Дж. С. Киракосян. Младотурки перед судом истории. Ереван. Айастан. 1989. გვ. 245. სომხეთის სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 222, აღწერა 1, საქმე 13, ფურცელი (186–187).

აი, ასეთი იყო სომეხ დაშნაკთა პოლიტიკურ-იდეოლოგიური აქტივობის სტრატეგია 1918 წლის ზაფხულისათვის და კიდევ უფრო გამაოგნებელია ამ ოდიოზური მიზნების მისაღწევად თურქებთან ალიანსში შესვლა. კირაკოსიანთან წარმოდგენილ მასალებში ერთი უზუსტობაა დაშვებული. ახალქალაქის გუბერნიად მოხსენიება შეცდომაა. ასეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული არასდროს არსებობდა. უნდა იყოს - მაზრა. მაგრამ ეს არ არის არსებითი ამ ამონარიდში. მთავარი ის არის, რომ ცოტა გაურკვეველია, საერთოდ რა კატეგორიებით აზროვნებდნენ ბატონები ავეტის აჰარონიანი და ალექსანდრ ხატისოვი. რომელი ,,ძალადობის აღიარებასა" და რომელი ,,სომხური მოსახლეობის სურვილებზე" შეიძლებოდა ომში გამარჯვებულ, და მით უმეტეს, თურქულ მხარესთან საუბარი.

რიჩარდ ოვანესიანთან წარმოდგენილი მოთხოვნების მე-4 პუნქტში კი, ცალსახად იყო ჩამოყალიბებული ის შენიღბული ულტიმატუმი, რომ ,,სიცოცხლისუნარიანი სომხეთის", უფრო ზუსტად - ,,დიადი არმენიის" შექმნის გარეშე, ამიერკავკასიაში ყოველგვარი მშვიდობის დამყარებაზე ლაპარაკიც კი, ზედმეტი იყო. ამავე პუნქტში, ამჯერად, ყოველგვარი შენიღბვის გარეშე, სომეხი დაშნაკები საქართველოსა და აზერბაიჯანთან ე.წ. ,,სადავო მიწების'' არარატის რესპუბლიკისათვის გადაცემას და ამ საქმეში თურქთა მხარდაჭერას ითხოვდნენ. ყოველივე ამას კი, ყოვლად გაუგებარი ,,სამართლიანობის'' პრინციპების დაცვით ამყარებდნენ.

როგორც ვხედავთ, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და დამოუკიდებელ რესპუბლიკათა დეკლარირებიდან სულ რამდენიმე დღეში, სომეხ დაშნაკთა სამთავრობო დელეგაციის წევრები აშკარა სეპარატისტულ ალიანსში შევიდნენ ოსმალთა იმპერიის მმართველ წრეებთან და საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვა დაიწყეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული რიჩარდ ოვანესიანის შემდეგი პასაჟი კი, ყოველგვარ საღ აზრს ცილდება და იგი აშკარად ფანტასტიკის სფეროში გადადის. ავტორი გვამცნობს: ,,ივლისის ბოლოსათვის ხატისიანის შეტყობინებით, თურქები ბოლოსდაბოლოს დათანხმდნენ ორი რეგიონის (ალბათ ლორე-ბამბაკი და ახალქალაქი - ა. ჩ.) დაცლას და ნება დართეს სომხურ ნაწილებს მოეხდინათ მათი ოკუპაცია".[1018] მართლაც გამაოგნებელია სომეხ ავტორთა მიერ ისტორიული ფაქტებით, რეალიებით, სივრცით, დროით, სახელმწიფოთა ინტერესებითა და სხვა ფუნდამენტური ცნებებით მსგავსი ხასიათის ჟონგლიორობა. სხვა შეფასება წარმოდგენილ ციტატას ნამდვილად არ მოეძებნება.

დაშნაკურ-ბოლშევიკური ალიანსის მიერ ბაქოს სისხლიანი ოპერაციის ჩავარდნის შემდეგ, სექტემბრის შუა რიცხვებში ,,ბოლშევიკური კომუნის" მემკვიდრე ,,ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურა" დაეცა და მისი მთავარი საჯარისო ძალა - სომხეთის საარმიო კორპუსის აღმოსავლეთის დაჯგუფების ძირითადმა ნაწილმა პანიკით დატოვა ქალაქი. ამ შენაერთებმა ბაქოს სომხურ მოსახლეობასთან ერთად ბაქო-ენზელის, ბაქო-კრასნოვოდსკის და ბაქო-პორტ-პეტროვსკის საზღვაო გზით ირანს, შუა აზიასა და ჩრდილოეთ კავკასიას შეაფარეს თავი. მალე აღმოსავლეთის დაჯგუფების სომხური შენაერთის გარკვეული ნაწილი და ლტოლვილები ენზელიდან ირანის გავლით ისევ ამიერკავკასიაში, ჯულფაში გადმოვიდნენ და უკვე ნოემბრისათვის სამხრეთ სომხეთში აღმოჩნდნენ. მათ წინაშე ახალი ამოცანა დადგა... მთელი 1918 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სომხების დასავლეთის დაჯგუფების შენაერთები და სამხედრო ნაწილები მეტ-ნაკლებად წარმატებულ თავდაცვით ოპერაციებს აწარმოებდნენ ოსმალთა მე-3 არმიის შენაერთების წინააღმდეგ. სარდარაბადისა (21-28 მაისი) და ბაშ-აბარანის (23-29 მაისი) ბრძოლებში მოპოვებულმა გამარჯვებებმა ერევნის გუბერნიის აღმოსავლეთი ნაწილი

[1018] Richard G. Hovannisian. Armenia on the Road to Independence, 1918. By [Published under the auspices of the Near Eastern Center, University of California, Los Angeles.] (Berkeley and Los Angeles: University of California Press. 1967. გვ. 233.

ოსმალური ოკუპაციისგან იხსნა. უკვე სექტემბრის თვისათვის საერთო მდგომარეობა დასტაბილურდა და სომხეთის დაშნაკური მთავრობის წინაშე შეიარაღებული აგრესიიის ამოცანაც დადგა ჩრდილოეთისაკენ, რამაც სომხური შენაერთების საომარი მზადყოფნის რეჟიმში გადაყვანა გამოიწვია.

სომხეთის მთავრობა კომპლექსური გზით დაადგა დასახული გეგმის განხორციელებას. ომისათვის მზადების გეგმა მოიცავდა არა მარტო საკუთრივ საჯარისო შენაერთების საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლებას, არამედ საქართველოს სომხებით დასახლებული რაიონების სომეხი მოსახლეობის შესაბამის მომზადებას, რაც უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი საბრძოლო შტაბების ჩამოყალიბებას, მოსახლეობის შეიარაღებას, საბოტაჟს, ტეროროსტული აქტების დაგეგმვასა და განხორციელებას, მოქმედებების საერთო კოორდინაციასა და სხვა ღონისძიებების გატარებას ისახავდა მიზნად. რაც მთავარია, სხვადასხვა ქვეყნებში და საქართველოში მცხოვრები სომხების სამობილიზაციო შეკრებას, შეიარაღებასა და მოგვიანებით მათ საომარ მოქმედებათა თეატრებზე გაგზავნას, აგრეთვე იარაღისა და საბრძოლო მასალების თავმოყრას, საიდუმლო საწყობების მოწყობას, მათ დაცვას და ა.შ. ეს პროცესები აშკარად სექტემბრის თვიდან დაიწყო და სომხეთ-საქართველოს შორის ომის წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა.

გენერალი გიორგი კვინიტაძე, როგორც სომხეთ-საქართველოს ომის ისტორიის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე, ომის დასრულებისთანავე სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსს შემდეგი სახის მოთხოვნას უგზავნის: ,,პოლკოვნიკ თულაევის[1019] მოხსენებითი ბარათის თანახმად, მან თქვენ წარმოგიდგინათ სომხეთის მთავრობის 1918 წლის 10 სექტემბრის ბრძანება ბორჩალოს მაზრის ქვედა ნაწილის საომარ მდგომარეობაზე გადაყვანის შესახებ, აგრეთვე საქართველოსა და სომხეთს შორის ომის წარმოებისას ამ ბრძანებით გათვალისწინებული მოსახლეობის მოქმედებების ინსტრუქციები”.[1020]

სამწუხაროდ, სომხეთის მთავრობის ეს ბრძანება ქართულ არქივებში დაცული არ აღმოჩნდა, ამიტომ უშუალოდ მისი წარმოდგენა ჩვენს მიერ არ ხერხდება. მიუხედავად ამისა, სხვა მრავალი პირდაპირი თუ ირიბი მტკიცებულების საფუძველზე აშკარად იკვეთება ის ფაქტი, რომ სომხური მხარე საომარი მოქმედებებისათვის წინასწარ, გამალებით და საგულდაგულოდ ემზადებოდა. რა თქმა უნდა, სომხური მხარე ყოველივე ამას ჯიუტად უარყოფდა ომის პირველი ეტაპის დასრულებისასაც კი, კერძოდ 1918 წლის ოქტომბრის ბოლოს. საქართველოს მთავრობის პროტესტზე სომხეთის მთავრობის მიერ საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების შესახებ სომხეთის რწმუნებული საქართველოს რესპუბლიკაში, ბატონი არშაკ ჯამალიანი ასეთ პასუხს სცემს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს: ,,თქვენი 1918 წლის 28 ოქტომბრის №4503 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ არავითარი ბრძანება ჯარების მობილიზაციის შესახებ სომხეთის მთავრობას არ გაუცია. გაზეთებში გაჟღერებული ცნობა კი, ალბათ ეხება სომხეთის მთავრობის მიერ გამოცხადებულ ჩვეულებრივ, მორიგ გაწვევას, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს არსებულ კონფლიქტთან და იგი თვენახევრის წინ გაიცა”.[1021] მიუხედავად დაშნაკთა პარტბიუროს მიერ გამოცხადებული საყოველთაო მობილიზაციის უარყოფისა, ბატონი ჯამალიანი თავისდაუნებურად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სომხეთის მთავრობის მიერ სამობილიზაციო გაწვევის ბრძანება, მართლაც სექტემბრის დასაწყისში იქნა გაცემული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ცნობას, რაც გენერალ კვინიტაძის ზემოთ განხილულ წერილშია მოყვანილი.

[1019] პოლკოვნიკი თულაევი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსი. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 1.

[1020] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი 5.

[1021] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 5, ფურცელი 86.

მოგვიანებით, 1919 წლის 5 იანვრის გაზეთი ,,საქართველო“, სტატიაში, სათაურით ,,საყურადღებო დოკუმენტები“, წერდა: ,,ჩვენ ჯარებს ბოლნის-ხაჩინთან ბრძოლის დროს ხელში ჩაუვარდა სომხეთის გაქცეული შტაბის დოკუმენტები, საიდანაც სჩანს, რომ სომხის ჯარის სარდლობას ჯერ კიდევ 10 ღვინობისთვეს შეუმუშავებია საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრების გეგმა. პირველი ბრძანება ჯარისადმი 25 გიორგობისთვეს გაუცია. საბუთებიდან სჩანს თუ რამდენი კონტრიბუცია დაუდვიათ ადგილობრივ მცხოვრებთათვის ომის სასარგებლოდ. საბუთებზე თვითონ ჰდროს (ჰდრო - გენერალი დრასთამატ კანაინი-დრო - ა. ჩ.) უწერია ხელი“.[1022] სომხეთის მხრიდან მოსალოდნელი შეიარაღებული აგრესიის შესახებ კი, საქართველოს მთავრობა და სამხედრო სამინისტრო არავითარ ინფორმაციას არ ფლობდა. საველე შტაბის დაზვერვის სამსახურის უფროსის, პოლკოვნიკ (იმჟამად პოდპოლკოვნიკ) ვალერიან თევზაძის მოგონებიდან: ,,1918 წლის დამდეგს (თარიღი არ მახსოვს) ***სრულიად მოულოდნელად*** სომხეთის ჯარი შემოიჭრა ბორჩალოს მაზრაში და დაგვიწყო ომი. ***ჩვენთვის ეს დიდი მოულოდნელობა იყო. საზღვრებიც სუსტად იყო დაცული...”***[1023] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაქოს კამპანიის ჩავარდნის შემდეგ, დაშნაკთა ექსპანსიონისტური აგრესიის ვექტორმა საქართველოსკენ გადმოინაცვლა. 1918 წლის შემოდგომიდან თბილისის გუბერნიის ახალციხის, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების სომეხ მოსახლეობაში დიდი იდეოლოგიური ანტიქართული მუშაობა გაიშალა, რომელსაც ჩვენთვის კარგად ცნობილი დაშნაკთა ,,დიდი სამეულის უკანასკნელი მოჰიკანის”, დაშნაკური იდეოლოგიის რუხი კარდინალის, სტეფან ზორიან-როსტომის ბიძაშვილი, ჩვენთვის უკვე ცნობილი ზორი ზორიანი ჩაუდგა სათავეში. 1917 წლიდან იგი პარტია ,,დაშნაკცუტიუნის“ ავლაბრის კომიტეტის თავმჯდომარე იყო, იმავე წლის ნოემბრიდან - ახალციხის თავი, შემდეგ კი, საქართველოს პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების წევრი. ეს იმ როსტომის ბიძაშვილია, რომელიც 1913 წლისათვისაც კი, თურქთა მზეს ფიცულობდა, ხოლო I მსოფლიო ომის მსვლელობისას და ბაქოს მოვლენების დროს, თურქეთისა და ამიერკავკასიის მუსლიმი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის მთავარი იდეოლოგი და სულისჩამდგმელი იყო. რუს ბოლშევიკებსა და ბრიტანელებთან ალიანსში შესვლის შემდეგ, ბაქოს ოკუპაციისას, ალბათ ძნელია იმის წარმოდგენაც კი, რომ საქართველოს წინააღმდეგ სომხები თავის ,,საუკუნეობრივ დაუძინებელ მტერს'' - ოსმალებს დაუკავშირდებოდნენ. მართლაც რომ გამაოგნებელია ის გარდაქმნები და პოზიციებისა თუ შეხედულებების ის რადიკალური ცვლილებები, რასაც ,,დიადი მიზნის” მისაღწევად აწარმოებდნენ დაშნაკთა იდეოლოგიური მამები. ჩვენ კატეგორიულად ვამტკიცებთ, რომ ამ ეტაპზე სომეხი ნაციონალისტები საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში, თურქებთან და ამიერკავკასიის ადგილობრივ მაჰმადიან ბეგებთან შევიდნენ ალიანსში. ,,სომხები და მაჰმადიანები (ახალციხეში) დაპირისპირებულნი იყვნენ და მათ შემრიგებელ როლს ქართველები თამაშობდნენ, მაგრამ როცა საქმე საქართველოს ეხებოდა, სომხები და მაჰმადიანები მის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ეს მოვლენა მეტად მნიშვნელოვანი, დამაფიქრებელი და საშიში იყო...”[1024]

მოყვანილი ციტატა ,,სამუსულმანო საქართველოში“ საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულის, ბატონ შალვა მაღლაკელიძის მოგონებებიდანაა მოყვანილი. ახალციხე-ახალქალაქის სომეხთა და ადგილობრივ ბეგთა ალიანსს საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, გაზეთ ,,სახალხო საქმის” 9 ნოემბრის შემდეგი პუბლიკაციაც ადასტურებს: ,,დღეს მესამე დღეა, რაც სომხების მეთაურობით კერძო კრებები იმართება ქალაქის თვითმმართველობაში ბეგებთან ერთად. რა თქმა უნდა, სომეხთა მიზანია შეერთდნენ მაჰმადიანებთან და არ შემოუშვან

[1022] გაზეთი ,,საქართველო”. კვირა, 1919 წ. იანვრის 5. №4. გვ. 2.
[1023] ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. ,,მეცნიერება”. თბილისი. 1990. გვ. 27.
[1024] გ. ივანიძე, მ. ივანიძე. ბრძოლა მესხეთისათვის. თბილისი. 1998. გვ. 19-20.

ახალციხეში ქართველები".[1025] საქართველოს დამფუძნებელი კრების ახალციხის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის, გ. ანჯაფარიძის მოხსენების სტენოგრაფიულ ჩანაწერში კი ვკითხულობთ:

,,…მეორეს მხრივ, საუბედუროდ, ახალციხეში ოსმალოს ხალხის ერთი ჯგუფი, ტომით არაქართველი, დაინტერესებული იყო იმაში, რომ ქართველები არ ამოსულიყვნენ ახალციხეში, ახალციხის მაზრაში, რადგან მათ სურდათ სულ სხვა სახელმწიფოს ფარგლებში ყოფნა - მე ვამბობ სომხებზე. წარმოიდგინეთ, რომ მოხდა შეთანხმება ქართველი ბეგებისა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ სომხებისა. რასაკვირველია, მთელი სომხის ხალხი არ ერია ამ შეთანხმებაში, მაგრამ მათი მეთაურები კი თითქმის ყველა! მოხდა შეთანხმება იმ ნიადაგზე, რომ მესხეთი და ჯავახეთი უნდა დაეყოთ ერთმანეთს შორის.

ჯავახეთი უნდა მისცემოდა სომხებს, მესხეთი კი იმ სახელმწიფოს, რომელსაც ქმნიდნენ სერვერ-ბეგი და სხვები. (აქ საუბარია სერვერ ბეგ ქვაბლიანელ (ქობლიანსკი) ჯაყელსა და ე.წ. ,,სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის", ან სხვანაირად ,,ყარსის რესპუბლიკაზე" - ა. ჩ.). აქვე არჩეულ იქნა შერეული დელეგაცია მუსულმანებისა და სომხებისა, რომელიც გაემგზავრა ჯერ ახალქალაქში და შემდეგ ერევანში... დელეგაციის ნაწილმა გაგზავნა დეპეშები კონსტანტინოპოლში, მოკავშირეთა მისიების სახელზე. ამ დეპეშაში ისინი პროტესტს აცხადებდნენ იმის შესახებ, რომ საქართველო, რომელსაც ჰყავს მოყვარედ გერმანია, ცდილობს ძალით ჩაიგდოს ხელში ახალციხის და ახალქალაქის მაზრები, სადაც მუსულმანები შეადგენენ 100 000 და სომხები კი 70 000-ზე მეტ მოსახლეობას, და რომ არც ერთ მათგანს არ სურს საქართველო".[1026]

მაშ ასე. ზორი და კომპანია. ზორი და დაშნაკები ერთის მხრივ და ჟორდანია და სოციალ-დემოკრატები მეორეს მხრივ. სომეხი ერის ეს ,,გულშემატკივარი სვავები" ამჯერად უკვე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში აქტიურობენ საქართველოს წინააღმდეგ და ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამჯერად დაშნაკურ-მუსლიმური ალიანსია შეკრული.

1918 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის გაცხადდა, რომ ოსმალური მხარე ამიერკავკასიის ოკუპირებული ტერიტორიებიდან თავისი ჯარების გასვლას ამზადებდა. გაზეთი ,,საქართველო" იუწყებოდა:

,,ღვინობისთვის 12 სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა უკრაინაში, ი. მამოიანცმა კიევიდან დეპეშით შეატყობინა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოში, ჯამალიანს: გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოფიციალურად აცნობა ოღანჯანიანს, რომ ოსმალეთი ამიერკავკასიაში სცლის იმ ადგილებს, რომლებიც ბრესტის ხელშეკრულებით არ გადასულა ოსმალების ხელში...

სპარსეთიდან გუმბრით ოსმალეთში წავიდა 10 000 კაცი...

ერევნიდან ჩამოსულთა სიტყვით ოსმალებს მთელი ბამბაკის რაიონი დაუცლიათ. რკინის გზაზე ჯერჯერობით კიდევ ოსმალთა პატრულებია. კარაკლისიდან გუმბრამდე ვაგონები დატვირთულია მცხოვრებთა ბარგით და ქონებით, რის წაღებასაც აპირებენ. ოსმალებს მიაქვთ აგრეთვე ზედმეტი ლიანდაგი, შპალები და რკინის ნაჭრები. გუმბრში ოსმალები წასასვლელად ემზადებიან. ამას თვითონ არა მალავენ და ამბობენ ოსმალეთის მთავრობა სცლის იმ ოლქებს, რომლებიც ბრესტის ხელშეკრულებით დაკავებულ ადგილებს აქეთ არისო.

ოსმალთა შტაბი კარაკლისიდან ყარსში გადავიდა".[1027]

უკვე 1918 წლის 25 ოქტომბრით დათარიღებულ, ბატონ ჯამალიანის მიერ ჟორდანიასადმი გაგზავნილ №1403 წერილში ვკითხულობთ:

,,მოწყალე ხელმწიფეო, ნოე ბესარიონის ძევ,

[1025] გაზეთი ,,სახალხო საქმე''. 09. 11. 1918.
[1026] საქართველოს რესპუბლიკა, დამატება №7. ,,1919 წლის აპრილი.''
[1027] გაზეთი ,,საქართველო''. 1918. №195. გვ. 2.

კ. გვარჯალაძემ[1028] (საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე - ა. ჩ.) განმიცხადა, რომ მას ხელთა აქვს დოკუმენტები, სადაც თურქეთის წარმომადგენელი საქართველოში - აბდულ ქერიმ ფაშა სთავაზობს ქართულ მხარეს თურქთა წასვლის გამო დაიკავოს ლორეს რაიონი. ჩვენის მხრიდან, მეც ასეთივე წარმატებით ვაცხადებ, რომ სომხურ მხარესაც აქვს ანალოგიური შემოთავაზება იმავე თურქეთის წარმომადგენლისაგან სომხეთში - მამედ ალი ფაშასგან. როგორც ხედავთ, თვით ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე ტერიტორიებს აქ სთავაზობენ ქართველებს და იქ, ერევანში სომხებს, იმაზე მეტყველებს, რომ ეს საკითხი უნდა გადაიჭრას მხოლოდ ჩვენი ორი მხარის უშუალო მოლაპარაკებების გზით.

ბატონო მინისტრო, მიიღეთ ჩემი გულწრფელი პატივისცემა.

ჯამალიანი".[1029]

ბატონი ჯამალიანი არ უარყოფს, რომ თურქთა მიერ მართლაც ჰქონდა ადგილი ასეთ შეთავაზებას. ჰქონდა თუ არა თურქული მხრიდან საქართველოს მთავრობას ამგვარი შემოთავაზება, წარმოდგენილის გარდა, სხვა დოკუმენტებით არ დასტურდება. მკვლევარის ეთიკა მოითხოვს, რომ ხსენებულ დოკუმენტს ვენდოთ, მაგრამ ფაქტობრივი მასალა ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ სომეხთა სამხედრო ნაწილებისა და დაშნაკური საბრძოლო რაზმების მიერ ლორესა და ახალქალაქის რეგიონების ინტერვენციის დასაწყისი 1918 წლის 18 ოქტომბერსა და 6 დეკემბერს, ქართული მხარისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. არ არის გამორიცხული, რომ თურქული მხრიდან

[1028] კონსტანტინე გვარჯალაძე (1883-1969 წ.წ.) – ქართველი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, ექიმი და ფილოსოფოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, შემდგომში ქართული ემიგრაციის ცნობილი მოღვაწე. დაიბადა ლანჩხუთში. ახალგაზრდობიდანვე აქტიურად ჩაება რევოლუციურ და პოლიტიკურ საქმიანობაში. რსდმპ წევრი 1903 წლიდან. 1905 წლიდან მუშაობდა მენშევიკების ფრაქციაში. 1905 წელს ბათუმში მონაწილეობდა რევოლუციურ საქმიანობაში, ხელმძღვანელობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ორგანიზაციებს. უმაღლესი განათლება მიიღო შვეიცარიაში, ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, სადაც სწავლობდა მედიცინას და ფილოსოფიას. სწავლა დაასრულა ექიმის სპეციალობით. სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ითვლებოდა ყველაზე პროევროპელ წევრად. რუსული მენშევიზმისაგან განსხვავებით მისი მსოფლმხედველობა ეფუძნებოდა ევროპულ ჰუმანისტურ სოციალიზმს. თავისუფლად ფლობდა რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს. თავისი იდეოლოგიით ახლოს იდგა ფედერალისტებთან. 1908 წლიდან თანამშრომლობდა პრესასთან და აქვეყნებდა ნაშრომებს პოლიტიკურ, საბუნებისმეტყველო და ფილოსოფიურ საკითხებზე. 1917-1918 წლებში იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1917 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. 1918 წლის განმავლობაში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი და ამავე დროს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. 1919 წლის 12 მარტს სოციალ-დემოკრატების სიით ირჩევენ რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს – საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, მთავრობის სხვა წევრებთან და გენერალიტეტთან ერთად, მიდის ემიგრაციაში. 1921-1924 წლებში იყო კონსტანტინოპოლში საქართველოს მთავრობის რწმუნებული და ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელი. 1920-1928 წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოცინტერნის მუშაობაში. იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დელეგატი სოცინტერნის ჟენევისა და ბრიუსელის კონგრესებზე. კონსტანტინოპოლის შემდეგ ცხოვრობდა ჯერ ლონდონში, შემდეგ პარიზში. 1935-1940 წლებში იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბეჭდვითი ორგანოს „ბრძოლის ხმის" მთავარი რედაქტორი. ემიგრაციაში ყოფნისას ეწეოდა აქტიურ დიპლომატიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. როგორც სოცინტერნის ქართული სექციის წევრი, მონაწილეობდა ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოების, ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგისა და მშვიდობის საერთაშორისო ბიუროს საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებში. გარდაიცვალა 1969 წელს. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

[1029] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 17, ფურცელი 113.

ქართულ მხარეს მართლაც ჰქონდა ასეთი შეთავაზება გაკეთებული, მაგრამ ერთი საკითხია შეთავაზება და სულ სხვაა მისი რეალიზაცია ან თუნდაც მისი მცდელობა.

ამ კონტექსტშიც ცდილობს დეზინფორმაციების გავრცელებას რუსი ,,ქსენოფონტე", ალექსანდრ ბორისოვიჩ შიროკორადი თავის მყვირალა სათაურიან წიგნში ,,Война и мир Закавказья за последние три тысячи лет" (,,ამიერკავკასიის ომი და მშვიდობა უკანასკნელი სამი ათასი წლის განმავლობაში"), სადაც აცხადებს, რომ ,,ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებიდან თურქული ჯარების ევაკუაციის შემდეგ, თურქებმა, რომლებიც კარგად ფლობდნენ კავკასიაში არსებულ სიტუაციას, ამ ტერიტორიების დაკავება სომხებს შესთავაზეს, გერმანელებმა კი, ქართველებს".[1030] გერმანელების მხრიდან ქართველებისათვის მსგავსი შეთავაზების გაკეთება არც ფაქტობრივი გარემოებებით და არც დოკუმენტური მასალებით არ დასტურდება. შიროკორადის მიერ მოწოდებული ეს მცდარი ინფორმაცია მეორე რუსი ავტორის, ალექსანდრ კადიშევის ნაშრომზე ,,Интервенция и гражданская война в Закавказье" (,,ინტერვენცია და სამოქალაქო ომი ამიერკავკასიაში") დაყრდნობითაა წარმოდგენილი.[1031] როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია მხოლოდ კადიშევისა და შიროკორადისთვისაა ცნობილი.

გერმანელების მხრიდან ქართველებისათვის მსგავსი შეთავაზების გაკეთება არც ფაქტობრივი გარემოებებით და არც დოკუმენტური მასალებით არ დასტურდება. ეს ინფორმაცია მხოლოდ ალექსანდრ ბორისოვიჩ შიროკორადისთვისაა ცნობილი.

რა თქმა უნდა, თურქული მხარე ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ ლორე-ახალქალაქის რეგიონებიდან თავისი გასვლის შემდეგ სომხებსა და ქართველებს შორის მდგომარეობა დაძაბულიყო, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტი საომარ მოქმედებებშიც გადაზრდილიყო. სწორედ ამაზე უნდა ყოფილიყო გათვლილი ის ე.წ. ,,შეთავაზებები'', რომელიც ერთდროულად გააკეთა თურქულმა მხარემ სომხებისა და ქართველების წინაშე. თურქების გადასაწყვეტი ნამდვილად აღარ იყო პოსტოკუპირებული ქართული მიწების შემდგომი ბედი. ეს შეთავაზებები სხვა არა იყო რა, თუ არა ჰაერში ბრმად ნასროლი ტყვია - იქნებ მოვარტყათ?...

აი, ასეთი იყო თურქების მიერ კარგად მოფიქრებული ტაქტიკური სვლა. ფაქტია, რომ ქართველებმა ამ წინადადებაზე რეაგირება არ მოახდინეს, სომხებმა კი ამ ,,შეთავაზებებით'' ისარგებლეს და ალიანსი შეკრეს თურქებთან. თურქებმა კარგად იცოდნენ, თუ ვისთან ჰქონდათ საქმე. საომარი მოქმედებების საწარმოებლად სულაც არ არის საჭირო ორივე მხარის თანხმობა. ომის დაწყებას ერთი მხარის საბრძოლო აქტივობაც ყოფნის. ფაქტია, რომ სომხებმა მიიღეს ეს წინადადება. ჩვენს ამ დასკვნას რიჩარდ ოვანესიანიც ადასტურებს, რომლის მოსაზრებებიც თავის მხრივ სომხურ საარქივო მასალებს ეყრდნობა: ,,5 ოქტომბერს, როდესაც ოსმალთა იმპერია კაპიტულაციისათვის ემზადებოდა, ჰალილმა მოიწვია რამდენიმე (სომეხი - ა. ჩ.) ოფიცერი და მათ ლორისა და პამბაკის სომხეთისათვის გადაცემის საკითხები გააცნო''.[1032] რა ,,გულუბრყვილოდაა'' ნათქვამი, რომ სომეხ ოფიცრებს ჰალილ ფაშამ სომხეთისათვის ლორესა და ბამბაკის ,,გადაცემის" საკითხი გააცნო. საინტერესოა, რა უფლებამოსილებების საფუძველზე და ვისი მიწების განკარგვას აპირებდა ოსმალო გენერალი? იმდროინდელი ქართული პრესა, კერძოდ, გაზეთი ,,სოციალისტ-ფედერალისტი", სტატიაში ,,დაშნკელთა მორიგი ავანტიურა", წერდა:

1030 Александр Борисович Широкорад. Война и мир Закавказья за последние три тысячи лет. — Москва: АСТ, ВКТ., 2009. — ISBN 978-5-17-059463-4. Стр. 26. https://www.litmir.me/br/?b=188781&p=25

1031 Кадишев А. Б. Интервенция и гражданская война в Закавказье. Москва: Воениздат, 1960. Стр. 171-172.

1032 Richard Hovannisian. The republic of Armenia, Volume I. The first year, 1918-1919. Near eastern center, UCLA. 1971. Pg. 58. (Republic of Armenia archivies. File 65/1, report of September 19 and 25. 1918. Khondkarian, „Opozitsian Hayastanum''. II, 4, pg. 86.)

,,წამებული სომხის ერის დაშნაკელებმა არ იქნა და არა, ჭკუა ვერ ისწავლეს. ვინ იცის რამდენი უბედურება დაატეხეს თავიანთი ბეცი პოლიტიკით თვის მეზობელ ერს, მაგრამ მათ გამოსწორებას არა ეშველა რა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ თანამედროვე პირობებში იგინი ჩვენთან ერთობასა და სოლიდარობას არჩევდნენ, რომ შეთანხმებული მუშაობითა დაგვეხსნა ორი მეზობელი ერი განსაცდელისგან, მაგრამ მოვტყუვდით.

დაშნაკელებმა ერთობა ისევ ოსმალეთთან ამჯობინეს და საქართველოსგან ბორჩალოს მაზრის შეიარაღებული ძალით ჩამორთმევა განიზრახეს. რა არის ეს, თუ არა საზიზღარი ავანტიურა?

დაშნაკელები ოსმალეთთან შეთანხმებულან?! ჩვენ არ გვაშინებს არარატის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა გამოლაშქრება, მაგრამ ვწუხვართ, რომ დაშნაკელების საქციელი უფსკრულს უთხრის ორი ერის კეთილ მეზობლურ განწყობილებას და კვლავ აღრმავებს უთანხმოებას. და ნუ თუ ეს სომეხთა ერის მთავრობისათვის ხელსაყრელია?!

ჩვენ გულწრფელად ვურჩევთ მათ, რომ ერთხელ და სამუდამოდ აიღონ ხელი ასეთ ავანტიურობაზე, თორემ ხეირს არ დააყრიან თავიანთ განაწამებ ქვეყანას...“[1033]

ქართული მიწების შემდგომ ოკუპაციასთან დაკავშირებით, ბატონი სვიმონ მდივანი, საქართველოს მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი სომხეთში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს შემდეგი შინაარსის შიფროგრამას უგზავნის, სადაც ,,თურქულ შეთავაზებაზეა” საუბარი:

,,შიფროგრამა №63

საგარეო საქმეთა მინისტრს

30. 11. 1918.

საპარლამენტო წრეებიდან მომდინარე ინფორმაციაზე დაყრდნობით, თურქეთის სარდლობამ შესთავაზა სომხეთის მთავრობას ახალქალაქის მაზრის დაკავება.

მდივანი”.[1034]

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ დასტურდება შემდეგი შიფროგრამით, რომელიც 2 დეკემბერსაა გაგზავნილი ერევანში საქართველოს რწმუნებულთან: ,,ახლა მივიღეთ დადასტურება თქვენს შეტყობინებაზე თურქთა მიერ სომხებისათვის გაკეთებულ შეთავაზებაზე ახალქალაქის მაზრის დაკავების შესახებ. როგორც ჩანს, ეს სომხეთის მთავრობასა და თურქთა სარდლობას შორის არსებული შეთანხმების შედეგია. შეეცადეთ ეს საკითხი გამოარკვიოთ ტიგრანიანთან.[1035]

1033 გაზეთი ,,სოციალისტ-ფედერალისტი”. ტფილისის სოციალ-ფედერალისტთა მუშათა კავშირის ორგანო. 1918. ორშაბათი, 28 ოქტომბერი. №14. გვ. 3.

1034 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 17, ფურცელი 24.

1035 სირაკან თეოდორეს ძე ტიგრანიანი (სირაკან თათევოსის ძე ტიგრანიანი) (სომხ. Սիրական Թեոդոր Տիգրանյանի (Սիրական Տաթևոսի ձե Տիգրանյանի)) (1875-1947წ.წ.) – სომეხი ეროვნების პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, რუსეთის სახელმწიფო დუმის II მოწვევის დეპუტატი ერევნის გუბერნიიდან და სომხეთის რესპუბლიკის პირველი მთავრობის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ოვანეს კაჩაზნუნის კაბინეტში, განათლებით იურისტი და პედაგოგი. პარტია ,,დაშნაკცუტიუნის” წევრი. დაიბადა ალექსანდროპოლისში. დაამთავრა თბილისის ვაჟთა გიმნაზია, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1897 წლიდან მონაწილეობდა წინააღმდეგობის სტუდენტურ მოძრაობაში. საშობლოში დაბრუნების შემდეგ ასწავლიდა იურისპრუდენციას და ფილოსოფიას ეჩმიაძინის სასულიერო სემინარიაში. აქვე ხდება ,,დაშნაკცუტიუნის” პარტიის წევრი. 1906 წელს ინიშნება თბილისის სომხური სემინარიის რექტორად. 1907 წლის 6 თებერვალს არჩეულ იქნა რუსეთის სახელმწიფო დუმის II მოწვევის დეპუტატად. შედიოდა დუმის სოციალისტ-რევოლუციონერთა ჯგუფში. იყო განყოფილების უფროსი. I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე, 1914-1915 წლებში იყო სომხური ნაციონალური შეიარაღებული რაზმების შექმნის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ინიციატორი. კავკასიის ფრონტზე ცდილობდა შეექმნა დაშნაკთა მმართველობის ორგანოები. იყო კავკასიის სასწავლო ოლქის კომისარი. 1917 წლის ბოლოს დაშნაკთა პარტიიდან ირჩევენ სრულიად

გეგეჭკორი".[1036]

სომხურ-თურქულ ალიანსსა და თურქეთის მხრიდან საქართველოსა და სომხეთის მთავრობების მიმართ შეთავაზებებზე პოსტოკუპაციური ტერიტორიების დაკავების შესახებ შემდეგ ვერსიას გვთავაზობს ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი, იელის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი, დოქტორი ფირუზ კაზიმზადე (Firuz Kazemzadeh) თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში "The struggle for Transcucasia (1917-1921)'': ,,დეკემბრის დასაწყისში თურქებმა ამიერკავკასიიდან ევაკუაცია დაიწყეს, მაგრამ წასვლამდე მათ ბოროტი ტრიუკი შესთავაზეს საქართველოსა და სომხეთს. მათ ინფორმაცია მიაწოდეს ამ უკანასკნელს, რომ 6 დეკემბრის შემდეგ სომხებს შეუძლიათ დაიკავონ ოსმალთა იმპერიის მიერ დაცლილი ტერიტორიები. ანალოგიური შეტყობინება ჩაუვიდათ ქართველებსაც, მაგრამ ამ ნოტაში თურქთა ევაკუაციის დღედ 4 დეკემბერი იყო დასახელებული. ამის გამო, როდესაც სომხური ნაწილები ლორისა (ისევ ,,ლორეს" სომხური ვარიანტი - ,,ლორი" - ა. ჩ.) და ბორჩალოს რაიონებში შევიდნენ, მათ ქართული ქვედანაყოფები აღმოაჩინეს იქ, რომლებმაც სომხების წინსვლა აღკვეთეს".[1037]

ჩვენს მიერ წარმოდგენილ ამ ერთ აბზაცში რამდენიმე უზუსტობა და შეცდომაა დაშვებული. იმ ფუნდამენტურ საკითხზე, რომ სომხებმა ,,ლორისა და ბორჩალოს რაიონებში" შესვლისას იქ ქართველები ,,აღმოაჩინეს" კომენტარების გაკეთება და კამათის გამართვა ცოტა უხერხულადაც გვეჩვენება.

ჯერ ერთი. 1918 წლისათვის ბუნებაში ასეთი სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული ერთეული - ,,ლორის რაიონი" არ არსებობდა. თუ აქ საუბარია არა ადმინისტრაციულ, არამედ გეოგრაფიულ დაყოფაზე და ვთქვათ ტერმინი - ,,მაზრა" ზუსტად ვერ იქნა თარგმნილი ბორჩალოსთან მიმართებაში - სხვა საქმეა, მაგრამ მაშინ გაუგებარია ლორესა და ბორჩალოს ერთ დონეზე მოაზრება. საქართველოს ისტორიული ქალაქი და კუთხე ,,ლორე", 1918 წლისათვის ,,დაბა ჯალალ-ოღლის" სახელს ატარებდა, რომელსაც უკვე გასაბჭოების შემდეგ სომხემა გადაარქვეს სახელი და მას სტეფანავანი უწოდეს, კავკასიაში ,,ლენინის სომეხი ნამესტნიკის'', სტეფანე შაუმიანის სახელის უკვდავსაყოფად. იმ დროისათვის კი, დაბა ჯალალ-ოღლი ბორჩალოს მაზრის შემადგენლობაში იყო ადმინისტრაციულად ჩართული.

მეორე. ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი უტყუარი საარქივო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ცალსახად მტკიცდება, რომ თურქებმა სომხებს ამიერკავკასიის პოსტოკუპაციური ტერიტორიების დაკავება ჯერ კიდევ 1918 წლის 25 ოქტომბრამდე შესთავაზეს, რასაც ჯამალიანის

რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრად. 1918 წლის თებერვლიდან ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარის მოადგილეა. 1918 წლის 4 ნოემბრიდან 1919 წლის 27 აპრილამდე პერიოდში წარმოადგენდა სომხეთის რესპუბლიკის პირველ საგარეო საქმეთა მინისტრს. შემდგომში ეკავა რესპუბლიკის განათლებისა და ხელოვნების მინისტრის თანამდებობა. 1919 წელს იყო ერევნის უნივერსიტეტის დამაარსებელი კომისიის წევრი, შემდგომში – ამ უნივერსიტეტის პროფესორი. 1919 წლის 16 სექტემბერს ირჩევენ სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. სომხეთის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1920 წლის დეკემბრიდან ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სამშობლოში. ამის შემდგომ თანამშრომლობდა ბოლშევიკებთან. საბჭოთა პერიოდში ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას. იყო ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი და პირველი დეკანი. კითხულობდა ლექციებს იურისპრუდენციაში. ამასთან ერთად, 1923-1935 წლებში ასწავლიდა ლენინაკანის სკოლებსა და ტექნიკუმებში. დიდი საბჭოური რეპრესიების პერიოდში, 1938 წელს, დააპატიმრეს და გადაასახლეს. გარდაიცვალა გადასახლებაში, 1947 წელს.

1036 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 17, ფურცელი 25.

1037 Firuz Kazemzadeh. D. Ph. The struggle for Transcucasia (1917-1921). Philosophical Library. New York. 1951. გვ. 176–177. A. I. Denikin, Ocherki russkoi smuti, Vol. IV, 1924, pp. 152–154.

ჟორდანიასადმი გაგზავნილი №1403 ტელეგრამის შინაარსიც ადასტურებს. ზუსტად როდის იყო გაკეთებული ეს შეთავაზება, დოკუმენტურად არ არის ცნობილი.

და ბოლოს, ყველაზე მთავარი. ქართველებს ბორჩალოს მაზრაში ,,აღმოსაჩენი" არაფერი არ ჭირდათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბორჩალოს მაზრის ტერიტორია ისტორიულად იყო, არის და მომავალშიც იქნება საქართველოს განუყოფელი ნაწილი. 1918 წლისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან სულ რამდენიმე დღეში, ბორჩალოს მაზრის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დე ფაქტო იურისდიქცია ვრცელდებოდა შესაბამისი სამხედრო ქვედანაყოფების, საბაჟოსა და სხვა ადმინისტრაციულ-ეკონომიკური სტრუქტურების განთავსებით. გამონაკლისს წარმოადგენდა მაზრის სამხრეთის მცირე ზოლი, რომელიც ოსმალური ქვედანაყოფების მიერ იყო ოკუპირებული ,,ომის უფლებით". დაწვრილებით ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ, ნაშრომის შესაბამის პარაგრაფში გვექნება საუბარი, სადაც უტყუარი საარქივო მასალებისა და დოკუმენტების წარმოდგენით, კიდევ ერთხელ მოვფენთ ნათელს ამ ისედაც დღესავით ნათელ საკითხს. ერთადერთი არგუმენტი, რითაც შეიძლება აიხსნას დოქტორ კაზიმზადეს მიერ მოყვანილი ცნობები, ალბათ ისაა, რომ მის ნაშრომში მოყვანილი ციტატა გენერალ ანტონ დენიკინის მემუარებზეა დაფუძნებული, რომელიც მის მიერ 1924 წელს, ბერლინში გამოცემულ ნაშრომში ,,Очерки русской смуты" იყო წარმოდგენილი. გენერალ დენიკინის პროსომხური და პროდაშნაკური ორიენტაცია უკვე გვქონდა განხილული წიგნის შესაბამის პარაგრაფში, ხოლო მისი ,,დობროარმიის" საშტაბო დოკუმენტაციების ობიექტურობასა და საიმედოობაზე წიგნის მეორე ნაწილში გვექნება უფრო არსებითი საუბარი.

დაშნაკური სომხეთისა და ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის სპექტრი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიების სომეხთათვის შეთავაზებით არ ამოიწურებოდა. რაც არ უნდა გასაკვირი და ერთი შეხედვით დაუჯერებელიც იყოს, მოპოვებული საარქივო დოკუმენტებით მტკიცდება, რომ თურქული მხარე სომხებს შეიარაღებითა და საბრძოლო მასალებითაც ეხმარებოდა. პორუჩიკ გოგუაძესა და მთავარი საბაჟოს რევიზორს, ალშიბაიას შორის გამართული პირდაპირი საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი:

- აი რა. აქ, ჩვენთან, სადგურ სანაინზე, ტყვია-წამლითა და საბრძოლო მასალებით დატვირთული თურქული მატარებელი დგას, რომელსაც გეზი ალექსანდროპოლისისაკენ უჭირავს. უნდა გავატაროთ თუ არა ეს მატარებელი, თუ დავაბრუნოთ უკან? და საერთოდ, გავატაროთ თუ არა თურქული მატარებლები სომხეთისაკენ? გაცნობებთ, რომ იქიდან, ე.ი. სომხეთიდან აღარაფერი აღარ ბრუნდება უკან. მოახსენეთ მას, ვისაც ხელეწიფება გადაწყვეტილების მიღება. ველი სასწრაფო განკარგულებებს.[1038]

ეს დოკუმენტი, სამწუხაროდ, დათარიღებული არ არის, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ თურქულმა ქვედანაყოფებმა ალექსანდროპოლისი ნოემბრის ბოლოსათვის დატოვეს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გოგუაძესა და ალშიბაიას შორის პირდაპირი ხაზით საუბარი ნოემბრის ბოლოს - დეკემბრის დასაწყისში გაიმართა, უფრო ზუსტად კი 24 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე პერიოდში, რადგან თურქულ სამხედრო ნაწილებს და ქვედანაყოფებს ქალაქი ალექსანდროპოლისი 24 ნოემბრისთვის უკვე დატოვებული ჰქონდათ, ხოლო 6 დეკემბერიდან სომხურმა ნაწილებმა ახალქალაქის მაზრის გარკვეული ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს - ,,გუმბრიდან ჩამოსულთა სიტყვით, ნოემბრის 22-დან ოსმალებმა დაიწყეს გუმბრის დაცლა. ნოემბრის 24-ს ქალაქში ოსმალთა ჯარი აღარ ყოფილა.

გუმბრში ოსმალთა მმართველობა დარჩა",[1039] - იტყობინებოდა გაზეთი ,,სახალხო საქმე".

[1038] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 17, ფურცელი 2.

[1039] გაზეთი ,,სახალხო საქმე" №395. 28. 11. 1918.

ჩვენთვის უცნობია თუ რა ბედი ეწია ხსენებულ ეშელონს, დაკავებულ იქნა იგი თუ არა, და ჩავიდა თუ არა იგი საერთოდ ალექსანდროპოლისში, მაგრამ ერთი რამ ცხადია - მსგავსი ეშელონი რამდენიმე იყო. უფრო მეტიც, არის მოსაზრება, რომ თურქეთის შეიარაღებული ძალების გარკვეული ქვედანაყოფები სომხებთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდნენ ახალქალაქის მაზრის ოკუპაციის მცდელობაში 1918 წლის 6 დეკემბერიდან. ამაზე ირიბ მინიშნებად შეგვიძლია ჩავთვალოთ ბათუმში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის, ბატონ დიომიდე თოფურიძის შეტყობინება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისადმი, თუმცა ეს ცნობები სხვა დოკუმენტებითა და ფაქტებით არ დასტურდება.

ყოვლად თავზეხელაღებული მუშაობა გააჩაღა სომხურმა მხარემ ომის სამზადისისათვის თვით საქართველოს დედაქალაქში, თბილისში. აშკარად თუ საიდუმლოდ, ღიად თუ ფარულად, დაიწყო სომეხი ეროვნების მოქალაქეების შეიარაღება და მომზადება. თბილისში დაშნაკთა მესვეურებმა მთელი არსენალების დაგროვება შეძლეს, მალე კი, მათ სომხეთში გადაგზავნაზეც დაიწყეს ზრუნვა. ეს სურათი ძალიან ჰგავს დაშნაკთა წინასაომარ სამზადისს ოსმალთა იმპერიაში, როცა ყველა შესაძლო თუ აკრძალული გზებით მათ იარაღი შეჰქონდათ ოსმალეთში და იქაურ ბანდებს აიარაღებდნენ. ამჯერად იგივე სქემა საქართველოსთან მიმართებაშიც ამუშავდა. ამ ამბების დამადასტურებელი დოკუმენტური საარქივო მასალა უამრავია. მათი აქ მოტანა შორს წაგვიყვანს. მხოლოდ რამდენიმე:

,,აირუმიდან - სამხედრო მინისტრს.

დღეს გაიარეს მატარებლებმა №593 და №655, გადიდებული შემადგენლობით, ორი ორთქლმავლით. შიგ სომეხთა ეშელონები ისხდნენ სხვადასხვაგვარი ნაწილისა და მოწყალების დები. ესენი ლტოლვილთა სახით მიემგზავრებოდნენ, ყველანი მტრულ და საომარ გუნებაზე და განწყობილებაზე არიან. მოაქვთ იარაღი და კონტრაბანდა. ვაგონები დახურულია და დაბეჭდილია დიპლომატიური ბეჭდებით. გთხოვთ მაცნობოთ, ამნაირი მატარებლები გავატაროთ თუ არა.

კაპიტანი დიდებულიძე".[1040]

ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი[1041] გაზეთ ,,სახალხო საქმის" 9

[1040] გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა" გიორგობისთვის 7. №211.

[1041] ქრისტეფორე რაჭველიშვილი (1894-1937წ.წ.) – ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი, ფილოლოგი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი. დაიბადა ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრის სოფელ სხვავაში. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც მისი კლასელი იყო შემდგომში საყოველთაოდ ცნობილი ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, კონსტანტინე გამსახურდია. ქუთაისიდან გადმოდის თბილისში და 1913 წელს ამთავრებს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიას. 1914 წლიდან იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ხარკოვის უნივერსიტეტში. აქვე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ემიგრაციაში მოქმედ ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" ლიდერებთან, გიორგი მაჩაბელთან და მიხაკო წერეთელთან. სტუდენტურ მანიფესტაციებში მონაწილეობის გამო გარიცხეს უნივერსიტეტიდან, დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1917 წელს დაამთავრა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი და დაბრუნდა სამშობლოში. აქვე იწყებს პოლიტიკურ საქმიანობას, ხდება საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი. 1917 წელს ირჩევენ საქართველოს ეროვნულ საბჭოში. 1921 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს. 1918 წლის განმავლობაში იყო საგანგებო სასამართლოს წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, საქართველოდან არ წასულა და დარჩა სამშობლოში. იყო ბოლშევიკური რეჟიმის ოპოზიციაში, მემარჯვენე ფედერალისტთა იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრი, რის გამოც დააპატიმრეს 1923 წელს. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ საბოლოოდ ჩამოშორდა პოლიტიკას და ეწეოდა აქტიურ პუბლიცისტურ და სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. მუშაობდა სახელგამში, ჟურნალ ,,ლიტერატურული მემკვიდრეობის" რედაქციაში, ,,ქართული სიტყვიერების საუნჯის" კოლეგიის წევრად,

ნოემბრის ნომერში მიუთითებდა, რომ ,,სომხის უმრავლესობის პარტია - დაშნაკცუტიუნი, უდიდესის მტერია და მოძულე საქართველოს დამოუკიდებლობისა. იგი ყოველ ზომას მიმართავს ჩვენს დასაღუპავად. არ ერიდება პროვოკაციას, ათასგვარ ჭორს, ცილისწამებას და იარაღითაც კი ეპირება შებრძოლებას, როგორც ყველგან, სადაც კი სომხები ცხოვრობენ...

ისტორიულმა მუხანათობამ ამ ხალხში შეჰქმნა სული მონისა, მლიქვნელისა და ორპირისა. ერთის მხრივ ერთგულებას, მეგობრობას გვეფიცებიან, მეორე მხრით მუხანათურად ზურგში ლახვრის ჩაცემას გვპირდებიან. კართაგენი, საქართველო უნდა დაინგრეს, აი, იდუმალი მათი ზრახვა და წადილი. საქართველო უნდა დაიღუპოს - ამბობენ ისინი პრესაში, ბნელ კუთხეებში, კაფეებში, რესტორნებში, თეატრებში, დაწესებულებებში, შინ და გარეთ, ოჯახში და კერძო ლაპარაკში. საშინელი ატმოსფერო შეიქმნა, ჰაერი მოიწამლა მათი ქადაგებით, ზედმეტი ნერვიულობა დაიბადა საზოგადოებაში. საოცარი და სახიფათო ისაა, რომ არ იცი როდის დაუჯერო ამ მუხანათ ხალხს, როდის არიან გულწრფელნი. არ იცი ნამდვილად რა აზრი აქვთ და რა სწადიათ...".[1042] მანამდე კი, იგივე გაზეთ ,,სახალხო საქმის" 1918 წლის 24 ოქტომბრის მორიგი ნომერი იუწყებოდა: ,,ოქტომბრის 21-ს ტფილისში სომეხ-ქართველთა დამოკიდებულებების ერთ მეტად დამაფიქრებელ ინცინდენტს ჰქონდა ადგილი, რამაც ისე გაამწვავა მდგომარეობა, რომ ჩვენის მთავრობისა და ქალაქის თავის ტაქტიკურსა და ფრთხილ საქმეში ჩარევას არ ჰქონოდა ადგილი, ადვილი შესაძლებელია სისხლის ღვრაც მოხდებოდა. საქმე იმაშია, რომ სიონის ქუჩაზე, მანთაშევის ქარვასლაში ჩვენს მთავრობის დაუკითხავად სომხებს მოუწყვიათ საწყობები, სადაც მოიპოვება ზარბაზნები, ტყვიის მფრქვეველები, დიდძალი თოფები, ყუმბარები, ტყვია-პატრონები და სხვა სამხედრო მასალები. აშკარაა, თუ რამდენად საშიშია ქალაქის შუაგულში ამოდენა ასაფეთქებელი მასალის შენახვა, სხვა რომ არა ვთქვათ რა".[1043] იგივე საკითხებს აშუქებდა სტატიაში ,,კბილთეთრა ბოროტება", ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი ,,თეატრი და ცხოვრება" თავის 1918 წლის 22 ნოემბრის ნომერში:

,,რა თქმა უნდა, ეს ყველას არ შეეხება, მაგრამ უმეტესობა რომ ასეთია - ცხადია. ასე რომ არ იყოს, განა ათი და ასი ათასობით თეთრკბილა ბოროტი სულნი ასე თავისუფლად ითარეშებდნენ ჩვენს სამშობლოში? ასე რომ არ იყოს, განა თბილისში გადიწვებოდა სახელმწიფოს სხვადასხვა საწყობები, გაჩაღდებოდა სპეკულაცია (საჭირო საქონლის განგებ გადამალვა ფასის ასაწევად), ძარცვა და მძარცველთა ხელიდან გასხლტომა, მოეწყობოდა ძეგვის ხიდის აფეთქება და სხვ.

ასე რომ არ იყოს, განა სომხეთს მიმავალ მატარებლის ვაგონებს დატვირთავდნენ რვაასი ფუთი შაქრით, აუარებელი ჩაით, თოფებით, ლობიოში ტყვიისმფრქვეველებით და სხვა?..

ჩვენი უვიცობა, გულუბრყვილობა და ხათრიანობა, აი ყოველი ჯურის კბილთეთრა ბოროტ ავსულთა დასაყრდნობელი საქართველოში სათარეშოდ. დროა ასეთ სენისგან განვიკურნოთ...

ქართველმა ხალხმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ის ხალხი, რომელიც ასჩვიდმეტი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანას თავის სამეფო გვირგვინის ზურმუხტის თვლად სთვლიდა და სათლელ დუმად ჰქონდა დაგულებული, აგრე ადვილად ვერ ჩამოგვეხსნება რომ ერთი თვისი უხეში ქუსლი არ ჩაგკრას, მაგრამ ეს აღარაა სახიფათო. დასაფიქრებელია იმ ვაჟბატონთა საქციელი,

---

ენობრივი ნორმების დამდგენ სახელმწიფო კომისიაში, საქართველოს სატელეგრაფო სააგენტოს სტილისტად. აქვეყნებდა სტატიებს გაზეთებში ,,ცნობის ფურცელი'', ,,სახალხო საქმე''. დიდი საბჭოთა რეპრესიების დროს, 1937 წელს, დააპატიმრეს და წაუყენეს შეიარაღებული აჯანყების მომზადების, ტერორისტულ-დივერსიული ორგანიზაციის წევრობისა და მავნებლურ-დივერსიულ საქმიანობაში მონაწილეობის ბრალდება. შინსახკომის სამეულის დადგენილებით დახვრიტეს იმავე წელს. მისი საფლავი არ არსებობს.

[1042] შ. თეთვაძე, ო. თეთვაძე. სომხები საქართველოში. თბილისი. 1998. გვ. 102. (გაზეთი ,,სახალხო საქმე''. 9 ნოემბერი. 1918.)

[1043] გაზეთი ,,სახალხო საქმე''. 24. 10. 1918. №365.

რომელთა თავზეხელაღებული ყიჟინა და ბნელი საქმეები შუღლსა სთესავს საუკუნოებით ურთიერთის მეზობლად მცხოვრებ ერთა შორის: სომხებში და ქართველებში. მოგახსენებთ სომეხთა ვითომდა მეგობარ-მზრუნველებზე - კრუა[1044] სომხებზე, რომლებიც საქართველოს სომხებსაც კი, გულს უმღვრევენ და აორგულებენ...

სწორედ ჰეროსტრატე-პამპულებს მოგვაგონებენ ჩვენს სამშობლოში საჩოჩქოლოდ შემოცვივნული პოლიტიკანი კრუა სომხები... მათ უნდათ თვის თავის განსადიდებლად დასწვან ის ძმობა-ერთობის ტაძარი, რომელსაც ქართველ-სომეხთა დემოსი - ხალხი თავს აფარებდა ძველის დროიდანვე. მათ უნდათ თვის პამპულობით ქვეყანა შესძრან, ამავე დროს, თვისივე უგუნურობით დაღუპულ თვის ერს უჩვენონ: აჰანდე ჩვენც კაცნი ვართ, შემოგვხედეთ საწყალ ხალხს როგორ ვესარჩლებითო... და თუ როგორი კაცობის სახელს გაითქვამენ, ამას აღარ დაგიდევენ...“[1045]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს ვხვდებით საარქივო დოკუმენტებში. ქვემოთ მოყვანილ დოკუმენტში საქართველოს სამხედრო მინისტრი, ბატონი გრიგოლ გიორგაძე საქართველოში, და კერძოდ, თბილისში მყოფი სომეხი ოფიცრების განიარაღებას მოითხოვდა სომხეთის რესპუბლიკის საელჩოზე მიწერილი სამხედრო მოსამსახურეების გარდა, რომლებიც აქამდე ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე სარგებლობდნენ ამ უფლებით.

,,საგარეო საქმეთა მინისტრს

№4080

7 გიორგობისთვე. 1918.

პასუხად თქვენის წერილისა 6 გიორგობისთვის თარიღით №4708, გაცნობებთ, რომ ქალაქ ტფილისის მილიციის ბრძანება იარაღის აყრის შესახებ ეხება სომეხ ოფიცრებსაც, იმათ გარდა, რომელნიც მირიცხულნი არიან ერევნის დიპლომატიურ მისსიაზე. რაც შეეხება დანარჩენს - მოგახსენებთ, რომ მე-2 ცალკეული სომხური საარტილერიო დივიზიონის მე-2 ბატარეის ქონების შენახვას სამინისტრო კისრულობს. ჯარისკაცნი კი უნდა სასწრაფოდ გაიგზავნონ თავიანთ სამშობლოში და აქ იარაღის ტარების ნება არა აქვთ. ბატარეის ცხენები შეიძლება გაიგზავნოს ამ ჯარისკაცებთან ერთად, ერთი ეშელონით.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

საერთო განყოფილების უფროსის მ/შ, პოლკოვნიკი გედევანიშვილი“.[1046]

რაც შეეხება სომხური კორპუსის თბილისში განთავსებული საარტილერიო ბატარეის შეიარაღებას, რომელიც 13 ოქტომბერს იქნა აღმოჩენილი, მის ძირითად ჩამონათვალს შემდეგი სახე ჰქონდა:

1902 წლის ნიმუშის ზარბაზანი	- 4 ც.
ზარბაზნის ლაფეტი კომპლექტში	- 4 ც.
ზარბაზნის საკეტი საბრძოლო მდგომარეობაში	- 3 ც.
სამიზნე პანორამით, ტყავის ფუტლიარში	- 4 ც.
,,ერიქსონის” საველე ტელეფონი, კომპლექტში	- 6 ც.

1044 ,,კრუა” ქურთული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს კაცს. ასე ეძახდნენ ერთმანეთს ბაზრებსა და სხვა ხალხმრავალ ადგილებში თბილისელი იეზიდები, რომლებიც უმეტესად მტვირთავები და კურტნის მუშები იყვნენ. თბილისის ქართველობა ერთმანეთისგან ვერ არჩევდა იეზიდებსა და ოსმალეთიდან ლტოლვილ სომხებს, ამიტომ თბილისელი სომხებისაგან განსხვავებით ქართველები მათაც კრუა სომხებად მოიხსენიებდნენ. შემდგომში, მე-19 საუკუნის ბოლოდან, ქალაქურ დიალექტზე კრუად მხოლოდ ლტოლვილი სომხები იწოდებოდნენ.

1045 იოსებ იმედაშვილი. კბილთეთრა ბოროტება. სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივი შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი ,,თეატრი და ცხოვრება”. №15. გიორგობისთვის 22, კვირა, 1918 წ. გვ. 3-4.

1046 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 5, ფურცელი 108.

კოჭა კაბელით	- 18 ც.
სტერეო მილი 10-ჯერადი გადიდებით	- 2 ც.
მიხაილოვსკ-ტუროვის კუთხემზომი და ბუსოლი	- 5 ც.
პრიზმული ბინოკლი 6-ჯერადი გადიდებით	- 10 ც.
შაშხანა შვეიცარული წარმოების	- 10 ც.
შაშხანის ვაზნა	- 25 ფუთი
ინგლისური მაღალყელიანი ფეხსაცმელი	- 15 წყვ.
ცხენი	- 6 სული''.

და ეს კიდევ არაა ყველაფერი...

საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-2 ქვეითი დივიზიის მე-5 პოლკის შერეული ბატალიონის მეთაურის, პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის საბრძოლო პატაკში პოლკის მეთაურისადმი, ვკითხულობთ: ,,...ამასთან ერთად დავამატებ, რომ ჩვენს წინააღმდეგ მტერი იბრძოდა სხვადასხვა ტიპის იარაღით, როგორც სამხაზიანი, ასევე თურქულით, ფრანგულით. იყო აგრეთვე ბერდანკები და ჩახმახიანი თოფებიც კი. ***სამხაზიანი შაშხანების უმეტესობა დაშლილ მდგომარეობაში იყო გადმოზიდული, რადგან ისინი ორ ნაწილად იყო გადახერხილი.*** (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

ასეთი შაშხანები ბევრი მოვიპოვეთ. შაშხანის ვაზნებს თავები ჰქონდათ ჩაჭრილი. ასე რომ, ისინი საშინელ ჭრილობებს იწვევდნენ, ასეთი ვაზნებიც ძალიან ბევრი ჩავიგდეთ ხელში".[1047]

ის უცილო ფაქტი, რომ სომეხი დაშნაკები საქართველოს წინააღმდეგ ომისათვის საგულდაგულოდ და გამალებით ემზადებოდნენ, აიარაღებდნენ და წვრთნიდნენ თვით საქართველოს სომხურ მოსახლეობას, ქვემოთ წარმოდგენილი საარქივო მასალიდანაც ჩანს. აქაც, ოსმალთა იმპერიის ანალოგიით, ჯერ კიდევ სომხეთ-საქართველოს შორის ღია საომარი მოქმედებების დაწყებამდე სომხეთთან მოსაზღვრე რაიონებში დაშნაკური იდეოლოგიით მოწამლული სომხური მოსახლეობის მიერ ადგილი ჰქონდა ქართველ სამხედრო მოსამსახურეებზე თავდასხმებსა და მათი მკვლელობის ფაქტებს.

ამონარიდი ვორონცოვკაში დისლოცირებული ქართული სასაზღვრო რაზმის რიგითის, ა. ადუაშვილის მოხსენებითი ბარათიდან, სადაც იგი რაზმის უფროსის, გენერალ ციციშვილის ადიუტანტს, პორუჩიკ რუბენ (იგივე ისიდორე) პაპუაშვილს და მის გაფრთხილებას ეხება გარდაუვალი საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ. რაც შეეხება რუბენ პაპუაშვილს. იგი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ძალიან გამოცდილი ოფიცერი იყო. მას ხანგრძლივი და დატვირთული საბრძოლო გზა ჰქონდა გავლილი. სამხედრო სამსახური დაიწყო მირგოროდის 168-ე ქვეითი პოლკის მე-2 ასეულში 1913 წელს. I მსოფლიო ომის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე იბრძოდა ავსტრიელებისა და გერმანელების წინააღმდეგ, სადაც მძიმედ დაიჭრა. შემდეგ მივლინებულ იქნა 42-ე ქვეითი დივიზიის შტაბში, ხოლო 1 ივნისს გამოცდების გარეშე ჩაირიცხა თბილისის სამხედრო სასწავლებლის ოთხთვიან კურსებზე, რომელიც პირველი თანრიგით დაამთავრა. 1917 წლის 30 ივნისს გაიგზავნა სამხრეთ-დასავლეის ფრონტის სარდლის განკარგულებაში დამრტყმელი ბატალიონების დაკომპლექტების მიზნით. 1917 წლის 1 ოქტომბერს მიენიჭა პრაპორშიკის წოდება და გაიგზავნა კავკასიის შტაბის უფროსის განკარგულებაში. 1918 წლის მარტიდან გადმოყვანილ იქნა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მებრძოლი რაზმის ინსტრუქტორად. იმავე წლის მარტში გაიგზავნა პოდპოლკოვნიკ ანჯაფარიძის განკარგულებაში, ზეკარის რაზმში, უღელტეხილის დასაცავად. მონაწილეობდა თურქების წინააღმდეგ 1918 წლის 5 აპრილს გამართულ ბრძოლაში. ზეკარის რაზმის დაშლის შემდეგ, 20 მაისს დაბრუნდა ოფიცერთა სკოლაში. 1918 წლის სექტემბრიდან იყო ,,ქართველთა სამხედრო კავშირის" ქუთაისის

[1047] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 2, საქმე 9/Г, ფურცელი 62.

განყოფილების კომიტეტის წევრი და ,,საპრაპაგანდო“ სექციის თავმჯდომარე. საქართველოს სამხრეთ საზღვრებზე მდგომარეობის გართულებასთან ერთად გაგზავნილ იქნა გენერალ ციციშვილის ვორონცოვკის რაზმში.[1048] რიგითი ადუაშვილის მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ: ,,რუბენი სწერდა ღენერალს, გიგზავნით ორ მოკლულ ჯარისკაცს. ჩვენ მგონია კვალს მივაგენით. ომის სუნი ტრიალებს. ეტყობა სომხის ხალხი ომისთვის ემზადებიან. გავიგეთ, რომ სანაინისკენ ჩვენები მოუკლავთ გზაში მიმავალნი. ისინი უნდა იყვნენ ჩვენები, რადგან რამდენიმე დღის წინათ ციციანოვმა თბილისში გააგზავნა კაზნაჩეი, ერთი ოფიცერი და ოთხი ჯარისკაცი ტანისამოსის თუ ფულების მისაღებად, ჰოდა, აი, რუბენი სწერდა თავის საყვარელ ღენერალს, რომ ისინი ჩვენები უნდა იყონო. ჩვენ წინ მივდივართ. მთავრობას შეატყობინეთ რომ ჯარი მოგვაშველონ. ყოველ ეჭვს გარეშეა რომ ომი მოგვიხდებაო. ღენერალმა ეს ამბავი თურმე მაშინვე აცნობა მთავრობას, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა“.[1049]

დიახ, უმაღლესმა სამხედრო ხელმძღვანელობამ და რესპუბლიკის ხელისუფლებამ ყურად არ იღო ის გაფრთხილებები, რასაც სომხეთ-საქართველოს სასაზღვრო ზონაში მოქმედი სადაზვერვო ჯგუფები იტყობინებოდნენ. რიგითი ადუაშვილის მოხსენებითი ბარათის შემდეგი ნაწილი კი, პორუჩიკ პაპუაშვილისა და მისი ჯგუფის დაღუპვის ეპიზოდს აღწერს:

,,...სოფელ ოვანდარში დანამდვილებით მიაგნეს კვალს და დაიწყეს საეჭვო პირების დაპატიმრება. ამ სოფლის რჩეული ახალგაზრდობა თურმე დილიდანვე შეიარაღებული და თხრილებში ყოფილან ჩამჯდარი და ელოდნენ მხოლოდ ჩვენი ჯარის მოსვლას. სოფლის შესავალი დაუტოვებიათ მხოლოდ. დანარჩენ ადგილებში ჩასაფრებულან. როდესაც ჩვენებს კომისარის თანაშემწე უნახავთ, რამდენიმე ახალგაზრდობა დაუჭერიათ და უთქვამთ თუ მკვლელები არ მოგვეცით სულ დაგატყვევებთ ყველასო. მაშინ ამათ უთქვამთ, ამ სახლში ცხოვრობენ, ვინც თქვენი ჯარისკაცი მოკლაო. როდესაც რუბენი სახლში შევიდა იქ ვერავინ ვერ უნახამს, მაშინ ამ ხალხს უთქვამს, ის მალე მოვა და თითონ დაგაჭერინებთო, მანამ კი, სადილი მიირთვითო. ორი ცხვარი დაუკლამთ, ცხენები ჩამოურთმევიათ (სუყველა ცხენებით იყვნენ) და ამასობაში კაცი უფრენიათ სოფელ უზუნლიარში, (რადგან შტაბი იქა ქონიათ) არიქა მოგვეშველეთო.

ამ გაიძვერა და მხდალ ხალხს, სამასამდე შეიარაღებულს, მომზადებულს, ჩასაფრებულს კიდევ ვერ გაუბედნიათ ამათი თერთმეტი კაცის შებრძოლება და კიდევ უზუნლიარიდგან დაუბარებიათ ხალხი მოსაშველებლად. ესენი სრულიად გულწრფელად მინდობიან, რადგან არავითარ ღალატს არ მოელოდნენ. თავისუფლად დაისვენეს და სადილს უნდა შესდგომოდნენ, რომ რამდენიმე შეიარაღებულ კაცს მოჰკრეს მთაზე მიმავალს თვალი. სოფლის მილიციონერები არიანო უთქვამთ. პატარა ხანს გაუვლია და კიდევ დაუნახამთ გუნდი შეიარაღებული. ესენი ვინღა არიანო. არ ვიცითო.

ეს სოფელი დაბლობზეა და გარს სულ მაღლობები არტყავს და თურმე სულ შემოარტყეს ალყა სოფელს და დაუშინეს. მოტყუებული ხალხი წამოცვივდნენ, მაგრამ ცხენები დამალული აღმოჩნდა. ამათ ცეპი გამართეს, მაგრამ რა უნდა გაეწყო თერთმეტ კაცს და ისიც სრულიად მოულოდნელად, რადგან ყოველი მხრიდან ისროდნენ და ესენი თითქმის ხეირიანად ვერც კი ხედამდნენ. იძულებული შეიქმნენ ორად გაყოფილიყვნენ. ნახევარმა მარჯვნივ დაიწყო სროლა და ნახევარმა მარცხნივ. როდესაც იერიში მიიტანეს ჩვენებმა და პერებეშკებით წავიდნენ, მაშინ სეტყვასავით მოდიოდა ლაჩრულად გამოსროლილი ათასი ტყვია. ასე თუ ისე, ცოცხლად ჩავარდნა არ შეიძლებოდა და ამიტომ პერებეშკებით უნდოდათ რო ბრძოლით მიახლოებოდნენ. მაშინ ერთი

[1048] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი (1-4).

[1049] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი (14 უკ–15).

საუკეთესო ჯარისკაცი აფხაზავა დიომიდე წაიქცა. მას რამდენიმე ტყვია ერთად მოხვდა. მას მიყვა მეორე მესროპაშვილი, მოხვდა მესამესაც. რუბენი მაშინ კიდევ გაჰკიოდა სომხებს, ჰოიტ თქვე ლაჩრებოვო, მაგრამ მას აღარ დასცალდა ამ სიტყვის დამთავრება, მუცელში მოხვდა ერთი ტყვია და ის დაეცა, მაგრამ კიდევ წამოხტა ზეზე, ნუთუ ამ ციგნებმა მომკლანო დაიძახა თურმე, მაგრამ მას მეორე ტყვია თავში მოხვდა და წამსვე დალია სული. მასთან მივარდნილა ერთი ჯარისკაცი ჩხაიძე და ხელი დაუვლია მისთვის, მაგრამ იმ ჩხაიძესაც მოხვედრია რამდენიმე ტყვია და ისიც დაცემულა.

მე შემთხვევა მქონდა ის ჩხაიძე მენახა და ეს ამბავი, ნამდვილი ამბავი, სწორედ იმან გადმომცა. მე იმ დღეს ტყვედ ვიყავ. ჩხაიძეს უვლიდი. მას ფეხები ტყვიით ჰქონდა მომტვრეული, რომელიც ათი დღის შემდეგ გარდაიცვალა ქ. ყარაქილისაში".[1050]

სომხეთის რეგულარული ჯარის ოფიცრების მიერ მთელი რიგი საველე სწავლებებისა და სამხედრო წვრთნების გამართვა დაიგეგმა საზღვრისპირა სომხურ მოსახლეობაში. ამ მიმართებით მეტად საინტერესოა თბილისში დაბადებული და გაზრდილი რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრის, სომეხთა მე-5 მსროლელი პოლკის მეთაურის, პოლკოვნიკ არტემი ტერ-ნიკოგოსოვის[1051] მიერ გამოცემული შემდეგი ინსტრუქცია:

,,პრაპორშიკ ტერ-პეტროსიანს

მე-5 სომხების ქვეითი ლეგიონის უფროსის მწყობრი ნაწილი

01. 11. 1918.

სოფ. გერგერი.

გიბრძანებთ, დაუყოვნებლივ წადით სოფ. ვარიაბლუტში (ვართანბლური - ა. ჩ.), დაიბარეთ კომისარი, გამოაცხადეთ ამასთან დართული ბრძანება, შეუდექით ადგილობრივ მაცხოვრებლებში ახალ ჯარისკაცთა მოგროვებას 20-დან 32 წლამდე. შეადგინეთ ,,ოპოლჩენიის" ასეულები და ხვალვე გამომიგზავნეთ მოგროვილ ჯარისკაცთა სიები. მათ სწავლასა და გაწვრთნას შეუდექით ხვალინდელი დღიდანვე. სწავლა უნდა სწარმოებდეს 2 საათი. 0,5 საათი ტანვარჯიშობა, 0,5 საათი სიტყვიერი სწავლა, 1 საათი სასროლი და საველე წესდებები.

დაგროვილი ჯარისკაცები დაყავით 4 გუნდათ, თითო გუნდს დაუნიშნეთ უნტერ ოფიცერი და ეფრეიტორი. კვირაში ორჯერ - ოთხშაბათობით და შაბათობით გამოცხადდით ჩემთან და მომახსენეთ საქმის ვითარება. მაგ სოფელში თქვენ იქნებით კომენდანტი.

პოლკოვნიკი ნიკოგოსოვი".[1052]

1050 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი (12–17).

1051 არტემი ისას ძე ტერ-ნიკოგოსოვი (სომხ. Արտեմ Իսա Տեր-Նիկոգոսով) (1859-) – თბილისში დაბადებული და გაზრდილი სომეხი ეროვნების სამხედრო ოფიცერი. რუსეთის საიმპერატორო არმიისა და სომხეთის შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი. I მსოფლიო ომისა და სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე. დაამთავრა თბილისის სომხური სასულიერო სემინარია. სამხედრო სამსახური დაიწყო 1878 წელს. 1883 წელს ამთავრებს თბილისის იუნკერთა სასწავლებელს და ენიჭება პრაპორშიკის სამხედრო წოდება. სამსახურს აგრძელებს 78-ე ქვეით პოლკში. 1884 წელს ენიჭება პოდპორუჩიკის, 1888 წელს პორუჩიკის, ხოლო 1898 წელს – შტაბს-კაპიტნის წოდებები. 1900 წლის 6 მაისს ინიშნება 78-ე ნავაგინკის პოლკის ასეულის მეთაურად და აქვე ენიჭება კაპიტნის წოდება. 1909 წლიდან მეთაურობს ბატალიონს. 1912 წლის 6 დეკემბერს ინიშნება ამავე პოლკის შტაბის ოფიცრად და ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1914 წლის 7 აპრილს გადაყვანილ იქნა 155-ე ყუბის ქვეით პოლკში. მონაწილეობდა I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტის საბრძოლო მოქმედებებში. 1916 წლის 6 აგვისტოს ინიშნება მე-3 სომხური მსროლელი ბატალიონის მეთაურად. 1917 წლის 14 დეკემბრიდან იყო 489-ე რიბინსკის ქვეითი პოლკის მეთაური. 1918 წლიდან სომხეთის შეიარაღებული ძალების რიგებშია. მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში, სადაც მეთაურობდა ერთ-ერთ მეწინავე დამრტყმელ პოლკს. მისი შემდგომი ბიოგრაფია და ბედი უცნობია.

1052 გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ტომი I. ,,ლომისი". თბილისი. 1998. გვ. 117.

როგორც ვხედავთ, სომხური მხარე ძალიან ინტენსიურად ემზადებოდა საომარი მოქმედებებისათვის როგორც მობილიზაციის, შეიარაღებისა და დივერსიული ჯგუფების მომზადების, (რაც ითვალისწინებდა ხიდების დანაღმვას, რკინიგზის ლიანდაგების აყრას, კავშირგაბმულობის ხაზების დაზიანებას და ა.შ.) ასევე საომარ მოქმედებათა თეატრის საინჟინრო მომზადებას. ამ ფონზე გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ქართული მხარე არა თუ ომის წინა პერიოდში და მისი მსვლელობის პირველ ეტაპზე, არამედ მოგვიანებითაც კი არ ფლობდა ამის შესახებ ინფორმაციას. არ ჯეროდა, თუ არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ მას არა ხელისუფლებით უკმაყოფილო ცალკეული ჯგუფების შეიარაღებულ ბანდიტურ თავდასხმებთან, არამედ სომხეთის რეგულარული ჯარის ქვედანაყოფებთან და პირდაპირ, ღია საომარი მოქმედებების დაწყებასთან ჰქონდა საქმე:

,,გარეშე საქმეთა მინისტრი, ევგენი გეგეჭკორი, თითქო იმუქრებოდა კიდეც: - სომხებს თუ ომი გამოუცხადეთ, სამსახურიდან გადავდგებიო. ალბათ ყაჩაღები ესხმიან ჩვენს დარაჯებს, თორემ სომხეთი როგორ შემოგვკადრებს ჩვენს ჯარებს ამისთანა თავხედობასო. ჩვენი მტერი რომ იყოს, თავის თავს რაღას ერჩისო.

მე ცნობები მაქვს, რომ სანაინის მიდამოების მცხოვრებთ მშვიდობიანობა სწყურიათ, მაგრამ თავგასული ბრბოები ამხედრებენ ხალხსო. გარეშე საქმეთა მინისტრი თავის ამ მოსაზრებას საბუთითაც ამტკიცებდა. მან, სხვათა შორის, წარმოადგინა ახლახან მიღებული განაჩენი, სოფლების დიდი და პატარა დურნუკელთა დადგენილი:

,,განაჩენი №10.

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, დიდი დურნუკისა და პატარა დურნუკის მცხოვრებელნი, ვადგენთ ამას განაჩენს მას ზედა, რომ მთელი სოფლის მცხოვრებელნი ვემორჩილებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და ყოველ მის მოთხოვნილებას ვასრულებთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ხსენებულ სოფლებში ხუთი თვის წინათ თბილისიდან მოდიოდნენ პროპაგანდისტები და მცხოვრებთ აღელვებდნენ. ერთი მათგანი იყო ტერტერ ოჰანესა ბადალიანცის სიძე, კაზარიანცი. ეს პროპაგანდისტები ყველანი დაშნაკცუთიუნის პარტიის წევრები იყვნენ. გარდა ამისა, თურმე ამავე პროპაგანდისტებს მოუზიდნიათ სხვა და სხვა იარაღი და ყუმბარები. ყველა ამას ინახავდნენ ტერტერ ოჰანეს ბადალიანცის სახლში.

ეხლა ვითხოვთ მთავრობის წინაშე გვიშუამდგომლოთ, რომ ასეთი ხალხისაგან დაგვიფაროთ. ამაში მთავრობას ვაძლევთ, რაც იარაღი გვაქვს და ხუთ კაცს მძევლად. ამიტომ საკუთარ ხელს ვაწერთ. განაჩენი ესე შემოწმებული იყო დურნუკის სასოფლო კომიტეტის ხელის მოწერით და ბეჭდით''.[1053]

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების მიერ ქართული მიწების პირველადი ოკუპაცია 1918 წლის 18 ოქტომბერს განხორციელდა, ხოლო სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები 1918 წლის 6 და 9 დეკემბერს გაიშალა, საქართველოს მთავრობა და სამხედრო მინისტრი მხოლოდ 16 დეკემბერს აღიარებს პირველად, რომ ეს იყო არა ცალკეული შეიარაღებული ბანდიტური ჯგუფების მოქმედებები, არამედ ომი, სომხეთ-საქართველოს ომი.

საქართველოს სამხედრო მინისტრის გამოსვლის სტენოგრაფიული ჩანაწერი, წარმოთქმული 1918 წლის 16 დეკემბერს გამართულ საპარლამენტო სხდომაზე:

,,...ვისთან გვაქვს საქმე? აი, გუშინ ჩვენ მივიღეთ ამის გამოსარკვევად ცნობები: გვაქვს უტყუარი საბუთები, წერილობითი საბუთები, რომელიც უნდა აღვნიშნო, ძალიან სამწუხაროა. გამოირკვა, რომ ჩვენი რაზმების წინააღმდეგ მოქმედებს შეიარაღებული ძალა, რომელსაც

[1053] იოსებ იმედაშვილი. განახლებული სიცოცხლე. სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივი შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი ,,თეატრი და ცხოვრება''. 1920. №2. გვ. 5.

ხელმძღვანელობენ სომხების ჯარის აფიცრები: ფირუმოვი, ხაჩატუროვი, მირიმანოვი, ტოლმაზოვი და სხვა. ისინი ხელმძღვანელობენ არა ბანდებს, არამედ ნამდვილ რეგულარულ ჯარს. არსებობს შტაბები, რომელსაც ეს აფიცრები განაგებენ: მაგალითად, შტაბია შაგალიში და მას მირიმანოვი ხელმძღვანელობს. (სხვათა შორის, თბილისელი სომეხი, სულ მალე, 1918 წლის 18 დეკემბრის სადახლოს პირველ ბრძოლაში ქართველთა მიერ ტყვედ აყვანილი ოფიცერი, შემდგომში - ბოლშევიკთა ერთ-ერთი შენაერთის მეთაური - ა. ჩ.) არის აგრეთვე შტაბი კარაკლისში მატვეევის მეთაურობით.

ამ მოქმედ ძალებს აქვთ კავშირი ერთმანეთთან, შეერთებულნი არიან ერთმანეთთან ტელეფონით. არსებობს მთავარი ხაზიც, რომლითაც მთავარი მოქმედება სწარმოებს: კარაკლის - ყარაგელან - დილიჟანი. აი ხაზი, რომლითაც ესენი მოქმედებენ; აი, შტაბები, სადაც ისინი დაბანაკებულნი არიან და აწვდიან ერთმანეთს ტყვიებს, ზარბაზნებს, ტყვიის მფრქვეველებს. შტაბებს კავშირი აქვთ ერთმანეთში, მათ აქვთ ცნობები, სად რამდენი პატრონაა, სად რამდენი ჩექმაა, სად რამდენი ტანისამოსია. მოქმედებს რეგულარული ჯარი, რომლის ნომრები ჩვენ ვიცით. მათ ჰყავთ მზვერავები…

საინტერესოა ცნობები, რომლებიც ხელთა გვაქვს: მოწინააღმდეგე ატყობინებს ერთმანეთს ერთი ადგილიდან მეორეში - გამოგზავნეთ ტყვეები, ქართველი ოფიცრები და ჯარისკაცები, ჩვენ გამოგიგზავნით ვაგონებს. აღნიშნულია, რამდენ დახურულ ვაგონს გაუგზავნიან და რამდენს ღიას. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ერთი ადგილიდან ეკითხებიან კარაკლისს:

- ,,გამოცხადებულია თუ არა ომი? ჩვენ მზადა ვართ",
- ,,შესაძლებელია, რომ ჩვენ წავიდეთ ბატალიონებად",
- ,,ჩვენ გამოგიგზავნეთ 600 ოსმალური თოფი" და სხვა.

ეს არის ცნობები, რომელიც წუხელი მივიღეთ".[1054]

დაშნაკი ლიდერების მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილი საომარი მოქმედებების წინასამზადისი და მისი რეალიზების კარგად შემუშავებული გეგმა მეტად რეალისტურად და ხატოვნად აქვს წარმოდგენილი იოსებ იმედაშვილს თავის სამხედრო-ისტორიული ხასიათის ნაშრომში ,,ნასესხები სიცოცხლე":

თბილისში გამართულ ერთ-ერთ საიდუმლო შეკრებაზე დაშნაკთა ერთ-ერთი ლიდერი შეკრების მონაწილე თავის ხელქვეითებს შემდეგი ხასიათის ინსტრუქციებს აძლევს:

,,პირველი ჩვენი დიდი მუწუკი ლტოლვილთა მდგომარეობაა. ლტოლვილთა საიდუმლო რწმუნებულს ევალება საქართველოში ყველგან, სადაც კი შესაძლოა, ჩაასახლოს ლტოლვილნი, დაგლახაკავებულნი და გამოიყენოს ისინი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ სააგიტაციოდ;

მეორე პრესის საკითხია. პრესა მუდამ კრიჭაში უნდა ედგეს საქართველოს მთავრობას, ერთის მხრივ სახელი გაუტეხოს, მით ხალხი აუჯანყოს, მეორეს მრივ უცხოელთ მრავლად მიაწოდოს ქართველთა წინააღმდეგი ცნობები;

მესამე მიმოსვლისა და მართვა-გამგეობის საკითხია. ჩვენს ამხანაგებს ევალებათ ყველგან ჩვენი კაცნი ჩააყენონ. სადაც ეს ვერ მოხერხდება, მოხელე მოსამსახურენი შეისყიდონ, ყოველგვარ მიწერ-მოწერას თვალყური ადევნონ, მზად იყვნენ, როცა საჭირო იქნება რკინის გზები და ხიდები ააფეთქონ, საზოგადო შენობებს ცეცხლი გაუჩინონ;

მეოთხე სამხედრო საკითხია. სამხედრო ნაწილის რწმუნებულს ევალება ახლავე შეუდგეს სამხედრო სამსახურში საქართველოდან გასაწვევ პირთა შეკრებას;

მეხუთე: შინაგან და გარეშე საქმეთა რწმუნებულთ ევალებათ ოფიციალურად მეგობრული განწყობილება იქონიონ საქართველოს მთავრობასთან და მოწინავე ქართველებთან";[1055]

[1054] გაზეთი ,,სახალხო საქმე". №409. 1918. 17 დეკემბერი.

ამ ამონარიდში ფაქტიურად სრულადაა წარმოდგენილი სომხური მხარის ომისათვის სამზადისის ღონისძიებათა მთელი სპექტრი, რომელიც ზემოთ მოყვანილი დოკუმენტებითა და სხვა მასალებით დასტურდება.

ქართული მხარის მიერ ომისათვის სამზადისის საკითხის შესწავლა და მისი შემდგომი ანალიზის ჩატარება ძალიან მარტივი და ტრივიალურია იმ უბრალი მიზეზის გამო, რომ მთავრობასა და სამხედრო უწყებაში მზადება ომისათვის, როგორც ასეთი, არც არავის მოსვლია აზრად და არც მიმდინარეობდა. უამრავი დოკუმენტური და ფაქტობრივი მასალის შესწავლის საფუძველზე ცალსახად ვადასტურებთ გენერალ კვინიტაძის ქვემოთ მოყვანილ მოსაზრებას. საკითხი კი, დღესავით ნათელია: ,,რაც შეეხება საქართველოს მხრიდან ომისათვის მზადებას, ასეთი რამ საერთოდ არ ყოფილა, არც საგარეო პოლიტიკაში და არც სამხედრო თვალსაზრისით. სომხებმა ეს კარგად იცოდნენ და ომისათვის უკვე მზად იყვნენ, იმედი ჰქონდათ, რომ უეცრად მიიტაცებდნენ სასურველ რაიონებს".[1056]

ზემოთ წარმოდგენილი უამრავი დოკუმენტური და ფაქტობრივი მასალის მიუხედავად, დაშნაკურ აგრესიასთან მიმართებაში, ღია საომარი მოქმედებების პირველ ეტაპზე, 1918 წლის 16 დეკემბრამდე ,,საქართველოს ლმობიერმა სოციალისტურმა უმაღლესმა კრებამ დიდი ხმის უპირატესობით დაადგინა: საქართველოს სამხრეთ საზღვარზე უბრალო ბრბოები გადმოსულა, ეგრეთ წოდებული ბანდები და ამათ წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა რესპუბლიკის დამცირება იქნებაო..."[1057]

1055 იოსებ იმედაშვილი. განახლებული სიცოცხლე. სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივი შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი ,,თეატრი და ცხოვრება". 1919 წ. №2 კვირა, მარტის 2. გვ. 6-7.

1056 გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ტომი I. ,,ლომისი". თბილისი. 1998. გვ. 72.

1057 ი. იმედაშვილი. განახლებული სიცოცხლე. სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივი შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი ,,თეატრი და ცხოვრება". 1920. №5. ორშაბათი, აპრილის 12. გვ. 6.

§3.2. საომარ მოქმედებათა თეატრის მოკლე სტრატეგიული მიმოხილვა

ის ფაქტი, რომ ლორე-ბამბაკი ოდითგანვე ქართული სახელმწიფოს სამხრეთის მიმართულების სტრატეგიულ რეგიონს წარმოადგენდა, უდავოა. ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმაც და შესაბამისად, ამ რაიონის შესაფერის დაცვა-გაძლიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. რელიეფისა და ლანდშაფტის მხრივ, ბამბაკისა (ერევნის) და ბაზუმის (ჯავახეთის) ქედები წარმოადგენდნენ ჩვენს ქვეყანაში სამხრეთიდან მომავალი მტრისა თუ მოკეთისათვის არსებულ ბუნებრივ ბარიერს.

ისტორიული ფაქტია, რომ სწორედ სამხრეთიდან ხორციელდებოდა საქართველოში საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაში ათასი მომხდურის შემოსვლა. როდესაც ქართულ სახელმწიფოს მკვიდრად ეპყრა სამხრეთის ეს ბუნებრივი კარიბჭე, იგი ღირსეულად აღუდგებოდა წინ მტრის შემოსევებსაც, ხოლო როცა მისი სამხრეთის ზღუდეები მორღვეული იყო, მტერი ფაქტიურად დაუბრკოლებლად აღწევდა საქართველოს გულს. ამ ქედების ჩრდილოეთით, თავდაცვისა და ხანგრძლივი ბრძოლების საწარმოებლად სტრატეგიულად ხელსაყრელი ადგილმდებარეობა და ლანდშაფტური პირობები აღარ მოიძებნებოდა. გაზეთ ,,საქართველოს" 1918 წლის 18 ოქტომბრის ნომერში ბამბაკი საქართველოს ,,სამხრეთის დარიალად" და ,,საქართველოს გასაღებადაა" მოხსენიებული:

,,ბამბაკი და აბოცი ჩვენი სამხრეთის დარიალია. ამ რაიონში იხლართება სამხრეთიდან საქართველოში მომავალი გზები:

1. აღსტაფა-დილიჟანი;
2. ერივანი-ყარაქილისა-ჯელალოღლი;
3. გუმბრი-ვორონცოვკა;

ვისაც ხელში აქვს ეს კვანძი გზებისა, საქართველოს ბედი და კარებიც მისია. ხიფათის დროს მას ეძლევა უპირატესობა თავისუფალი მანევრებისა და თავის ძალების სწრაფი გადაჯგუფებისა. თვითონ თითქმის მიუვალი, მკერდი უგზო მთების ფარით აქვს აფარებული, ხოლო მის მოპირდაპირედ გული გახსნილი აქვს და იგი შეიძლება ერთის დაკვრით იქნეს განგმირული.

როცა საქართველოს მაგრად ედგა ფეხი ყაზახ-ბამბაკზე, თავისი სამხრეთი ნახევარი და დედაქალაქიც მტკიცედ ჰქონდა შენახული, ხოლო როცა ეს კარები ღია რჩებოდა, საქართველოს ბედი სწყდებოდა კრწანისს, სამშვილდესა და ხრამის ნაპირებზე, ესე იგი თბილისის გვერდით. რად სდუმს ჩვენი მთავრობა, რომელსაც მთელი თავისი ენერგია ენაზე დაუგროვებია? ეს ესმის თუ არა მას, რომ ამ გასაღებს, რომელსაც სომხეთი ფარულად იდებს ჯიბეში, საქართველოსათვის საბედისწერო მნიშვნელობა აქვს? და თუ არ ესმის - რატომ არ დაეკითხება ჩვენს სამხედრო სამინისტროს, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს ამ საქმეში უკანასკნელი სიტყვა?"[1058]

ლორე-ბამბაკის მხარის უდავოდ ქართულ კუთვნილებასა და მის უდიდეს სტრატეგიულ მნიშვნელობაზე დიდი ივანე ჯავახიშვილი 1919 წელს წერდა: ,,ის, რომ ძველ დროშიც ქართველებს კარგად ესმოდათ ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილის უდიდესი როლი და მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს დაცვის საქმეში, იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოს მეფეებმა ჯერ ამ მხარის უცხო დამპყრობელთაგან გათავისუფლება დაისახეს ამოცანად, და მხოლოდ იმის შემდეგ რაც თბილისის სამხრეთით მდებარე მიწები დაიბრუნეს, დაიწყეს საქართველოს დედაქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლა. თბილისის აღების შემდეგაც საქართველოს ეს ნაწილი მით უმეტეს არ კარგავდა თავის დიდ მნიშვნელობას. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ლორეს ციხე-სიმაგრე საქართველოს ჯარების მთავარსარდლისა და სამხედრო მინისტრის,

[1058] გაზეთი ,,საქართველო". №196. 18. 10. 1918.

ამირსპასალარის ,,დაჯდომის ადგილს", ანუ, რეზიდენციას წარმოადგენდა".[1059] ეხება რა საქართველოს სამხრეთის რეგიონების კუთვნილებისა და საზღვრების საკითხს, იგივე ივანე ჯავახიშვილი იმავე ნაშრომში აღნიშნავს: ,,ერეკლეს მეფობის დროს, თუნდაც 1783 წელს, როცა საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, სამხრეთი საზღვარი და მთელი ქვემო ქართლი, ე.ი. სომხითი - ლორე-ბამბაკი - ბორჩალუ საქართველოს უცილო კუთვნილებას წარმოადგენდა და საზღვარიც უფრო სამხრეთით გადიოდა და გამყოფ ხაზს ერივანის (ბამბაკის) მთები წარმოადგენდა".[1060]

უცილო ისტორიული ჭეშმარიტებაა, რომ ბამბაკის, ანუ, ერივანის ქედი წარმოადგენდა სწორედ XVIII საუკუნის ბოლოსაც, ერეკლეს II-ის მეფობის დროს, ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთის სახელმწიფო საზღვარს. მაგრამ სომეხი ვაი-მეცნიერები და ავტორები არად დაგიდევენ ისტორიულ რეალიებს და ტერიტორიული კუთვნილების საკითხებზე მსჯელობისას, ტრადიციულად, მეტად ორიგინალური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ. ამ მიმართებაში მეტად საინტერესო და ნიშანდობლივია თბილისში მცხოვრები სომეხი ავტორის, ამიერკავკასიის სეიმის წევრის, პირწავარდნილი დაშნაკისა და რეაქციონერის, ავეტის შახატუნიანის მიერ ჯერ კიდევ საუკუნის წინ, თავის ნაშრომში ,,Административный передъль Закавказского края'' (,,ამიერკავკასიის მხარის ადმინისტრაციული გადანაწილება") გაჟღერებული ,,მეცნიერული დასკვნა'', რომ თურმე ,,ახალქალაქისა და ლორის საქართველოდ აღიარება ტფილისის გუბერნიის ქართულ ფიზიონომიას არღვევდა''.[1061]

ვერაფერს ვიტყვით, ერთობ ორიგინალური და ,,ღრმად მეცნიერული" მოსაზრებაა... საქართველოს ლორე-ბამბაკისა და ახალქალაქის რეგიონების ტერიტორიები გადაიქცა სწორედ 1918 წლის ბოლოსთვის სომხეთ-საქართველოს ომის საომარ მოქმედებათა თეატრებად, სადაც სრულმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები გაიშალა. და აქვე მოვიტანთ იმდროინდელი პრესიდან ამონარიდს, სადაც ისტორიულ რაკურსში კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული ლორე-ბამბაკისა და ახალქალაქის რეგიონების სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა. სტატია, სათაურით ,,პროფ. ,,ივ. ჯავახიშვილის ლექცია", ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა რევოლუციური პარტიის მთავარი კომიტეტის ბეჭდვით ორგანოში, გაზეთ ,,სახალხო საქმეში" დაიბეჭდა უკვე სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისს, 1918 წლის 25 დეკემბერს. სტატია მოკლე მიმოხილვაა ლექციისა ,,საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის", რომელიც ავტორმა, პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა პარტაქტივის წინაშე 1918 წლის 22 დეკემბერს. გაზეთის ამ ნომერში ვკითხულობთ:

,,კვირას, დეკემბრის 22-ს, სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის კლუბში დილის 12 საათზე პროფ. ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა ლექცია: ,,საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის". მოგვყავს ლექციის მოკლე ანგარიში.

- ჩვენში ერთი ილუზიაა ძალიან გავრცელებული, - დაიწყო პატივცემულმა პროფესორმა. ამბობენ, რომ სომეხ ქართველთა შორის თავის დღეში არ დაღვრილა სისხლი, თავის დღეში არ ჰქონიათ ომი და სხვ. მაგრამ ისტორიას უფრო კარგი მეხსიერება აქვს ვიდრე ჩვენ. ისტორიამ იცის, რომ ქაველ-სომხებს სულ ცოტა სამჯერ მაინც ჰქონიათ ბრძოლა სწორედ იმ ადგილებისთვის, რისთვისაც დღეს არის ომი. ყოველთვის საქართველოს და სომხეთის აღორძინება, მოღონიერება რომ დაწყებულა - მაშინვე დაწყებულა დავა ამ ადგილებისთვის.

[1059] Ив. Джавахишвили. Границы Грузии в исторческом и современнном рассмотрений. Тифлис. 1919г. გვ. 41.

[1060] დასახელებული ნაშრომი. გვ. 44.

[1061] А. Шахатунян. ,,Административный передъль Закавказкаго края''. Тифлисъ. 1918. გვ. 61.

სომხები ყოველთვის მოიწევდნენ ჩრდილოეთისკენ. როდესაც სომხეთი მარცხდებოდა, მისი მცხოვრებნი შემოდიოდნენ ჩვენ ქვეყანაში და უმთავრესად რასაკვირველია სახლდებოდნენ მოსაზღვრე ადგილებში. მაგრამ ისინი შემოდიოდნენ სახელმწიფოში, რომელსაც ემორჩილებოდნენ და რომლის სტუმართმოყვარეობითაც სარგებლობდნენ. დაახლოებით მეათე საუკუნის დამლევიდან ეს კუთხეები საბოლოოდ საქართველოს მიეკუთვნა. მხოლოდ ერთი მომენტი იყო, როცა სომხეთს ეჭირა იგი და მას შემდეგ არც ერთხელ არ მოშორებია ეს კუთხეები საქართველოს. იგი იყო მოწინავე პოზიცია, რომელსაც მტერი ეკვეთებოდა ხოლმე და ამიტომ ჩვენი წინაპარნი ძალიან დიდ მნიშვნელობას აწერდნენ მას. ბორჩალოს ახლანდელი მაზრა იწოდებოდა ,,მოწინავე დროშად", რადგან შემოსეულ მტერს პირველად იგი უნდა დახვედროდა. ხოლო ჯავახეთი იწოდებოდა ,,წინამბრძოლთა დროშად". ლორეს ციხე ითვლებოდა საქართველოს სამხედრო მინისტრის, ამირსპასალარის ბინად.

სტატეგიული მნიშვნელობა ლორისა და ჯავახეთისა კარგად ესმოდათ რუსებს და დიდ ყურადღებას აქცევდნენ მას. სომხები ამტკიცებენ, რომ ჯავახეთი და ბორჩალო უდავო მათი კუთვნილებაა. ეს არ არის მართალი როგორც წარსულის გახსენებით დაინახავდით. პირიქით, მაშინაც კი, როცა იგი სომხეთი იყო - ეს ტერიტორია ***არასოდეს არ ყოფილა უდავო.*** (ხაზგასმულია ავტორის მიერ - ა. ჩ.). ხოლო როდესაც დაახლოებით მე-11 საუკუნეში სომხეთი მოისპო - ეს ადგილი სადავო აღარასოდეს ყოფილა - იგი საქართველოს ეკუთვნოდა და თუ მტერი იპყრობდა, იპყრობდა როგორც ჩვენს ტერიტორიას.

გეოგრაფიულადაც ეს მხარეები საქართველოს ეკუთვნის. ყველა გზები ჩვენსკენ მოდის, მდინარეებიც აქეთ მოისწრაფიან და მტკვარს ერთვიან. ვაჭრობაც ყოველთვის აქედან ვითარდებოდა საქართველოსთან. და მაშინაც კი, როდესაც იგი მტრისაგან დაპყრობილი იყო - აღებ მიცემობას ყოველთვის საქართველოსთან აწარმოებდა.

სომხებს კიდევ მოჰყავთ სხვა საბუთები, სხვათა შორის, გეოლოგიური საბუთებიც. პირველად მესმის, რომ გეოლოგიას პოლიტიკური საკითხის გდასაწყვეტად იყენებდნენ. მაგრამ გეოლოგია რომ საბუთად მივიჩნიოთ, ვაი თუ სომხებმა ძალიან ბევრი ადგილი დაჰკარგონ ისეთი, რაზედაც ისინი ყოველთვის პრეტენზიებს აცხადებდნენ.

რაც შეეხება ეთნოგრაფიულ პრინციპს, ესეც აქ გამოუსადეგარია. სომხები ჩამოსახლდნენ ჩვენს ტერიტორიებზე იმ ადგილებში, რომელიც ქართველმა მაჰმადიანებმა დატოვეს, ან სადაც ხალხი მტრისაგან განადგურდა. ისინი შემოვიდნენ ***საქართველოში*** (ხაზგასმულია ავტორის მიერ - ა. ჩ.) და არა რომელიმე კერძო ადგილას. სომხების პრინციპი რომ მივიღოთ, ეს იმას ნიშნავს,რომ ბელგიელებმა, რომელნიც ამ ომის გამო (აქ პირველ მსოფლიო ომზეა საუბარი - ა. ჩ.) საფრანგეთში გადასახლდნენ, გამოაცხადონ - საფრანგეთი ჩვენიაო. ჩვენთვის კი, ამ მხარეებს უდიდესი ეკონომიკური, სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მეცხვარეები აქ აძოვებენ თავიანთ ფარებს და ამ ადგილების გაწირვა იქნება გაწირვა ჩვენი მეურნეობის ერთი მნიშვნელოვანი დარგისა.

ჯავახეთი და ბორჩალო, თქვა დასასრულ პატივცემულმა ლექტორმა, - კარია საქართველოსი და მისი დაკარგვა - სახელმწიფოს კარების გაღებას ნიშნავს. ,,მეწინავე დროშის" და ,,წინამბრძოლთა დროშის" კუთხეებს საქართველო დაიცავს, თუ მას დამოუკიდებელი არსებობა ჰსურს. და იმედია, ქართველი ერი ხიშტების ჯაგრად შემოერტყმება სამშობლოს მიწა-წყალს, როგორც ის მთები, რომელნიც სხვა და სხვა მხრიდან ჰსაზღვრავენ ჩვენს ქვეყანას.

დარბაზი მთლად სავსე იყო მსმენელებით, რომელნიც მრავალჯერ ტაშით აწყვეტინებდნენ ლექტორს. ტფილისის კომიტეტი და ჩვენი პარტიის სამხედრო საბჭო უღრმეს მადლობას უძღვნის

პატივცემულ პროფესორს ამ ლექციის წაკითხვისათვის, რომლის შემოსავალი გადადებულია სამხედრო საჭიროებისათვის“.[1062]

თუმცა, სომეხთა მიერ ასე ხმამაღლა აფიშირებულ ,,ეთნოგრაფიულ პრინციპთან“ მიმართებაშიც არ არის ცალსახად ყველაფერი მათ სასარგებლოთ. თავის ანალიტიკურ ნაშრომში ,,საქართველოს საზღვრები“, გენერალი ილია ოდიშელიძე წერდა:

,,სომეხთა დღევანდელი ეთნოგრაფიული უპირატესობა ბორჩალოს პროვინციაში ძალიან გაბერილია. აი, რას ამბობენ უკანასკნელი საყოველთაო აღწერის ოფიციალური რუსული ციფრები:

სულ პრივინციაში - 158 102 კაცი; აქედან:

სომეხი - 65 777;

ქართველი - 8 146;

ბერძენი - 26 175;

გერმანელი - 2 986;

რუსი - 9 526;

თათარი - 45 493;

სულ არასომეხი მოსახლეობა - 92 325 კაცი;

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ სომხები შეადგენენ მაზრის მოსახლეობის არა უმეტესობას, არამედ მხოლოდ 40%-ს. და რატომ უნდა ბატონობდნენ მაინცდამაინც ისინი პოლიტიკურად? დანარჩენ ხუთ ხალხს, რომლებიც მოსახლეობის 60%-ს შეადგენენ, არასდროს გამოუთქვამთ სურვილი რომ სომხეთის ქვეშევრდომები გამხდარიყვნენ. პირიქით, თათრებს, გერმანელებს, ბერძნებს და სომხების ნაწილსაც კი, არაერთხელ გამოუთქვამს სურვილი დარჩენილიყო საქართველოს საზღვრებში....

ასე რომ, სომეხთა ერთადერთი კოზირი - ეთნოგრაფიული პრინციპი - სულაც არ მეტყველებს მათ სასარგებლოთ“.[1063]

ეს რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო რეგიონების სახელმწიფოებრივი კუთვნილების ისტორიულ ასპექტს, რაც ჩვენთვის ასე თუ ისე უკვე ცნობილი იყო. ახლა კი, გავშალოთ თემა და გადავიდეთ საომარ მოქმედებათ თეატრის სტატეგიულ მიმოხილვაზე.

სომხეთ-საქართველოს საომარ მოქმედებათა თეატრის სტრატეგიულ აღწერაში გეოგრაფიული და სხვა ობიექტების დახასიათებისას ჩვენს მიერ რიცხვითი მონაცემები და სხვა რაოდენობრივი პარამეტრები საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის კარტოგრაფიული სამსახურის მიერ 1978 წელს შედგენილი რეგიონის ოპერატიული რუკების მონაცემებზე დაყრდნობითაა წარმოდგენილი. ეს რუკები თავის მხრივ 50-იანი წლების დასაწყისის აეროფოტოგადაღებებსა და გეოდეზიურ აზომვებზეა დაფუძნებული. ცხადია, 40-50 წლის შემდეგაც, რეგიონის რელიეფური, ბუნებრივი და კლიმატური პირობები ფაქტიურად უცვლელად შეგვიძლია მივიღოთ. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ ქვემოთ მოტანილი თვისებრივი და რიცხვითი მონაცემებიც უზუსტეს ინფორმაციას წარმოადგენს.

საომარ მოქმედებათა თეატრის გეოგრაფიული შესწავლისა და სტრატეგიული მიმოხილვის პროცესს გარკვეულწილად ართულებდა ის ფაქტი, რომ ჩვენთვის საინტერესო არეალში სოფლებმა, ქალაქებმა, სხვადასხვა დასახლებულმა პუნქტებმა, მდინარეების, მთებისა და ქედების, აგრეთვე სხვა გეოგრაფიული ობიექტების დასახელებებმა მხოლოდ XX საუკუნის განმავლობაში, რამდენჯერმე შეიცვალეს სახელი. გარკვეულწილად ასეთი მოვლენები ახსნადია, რადგან რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და თანაფარდობების

[1062] გაზეთი ,,სახალხო საქმე”. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. 1918 წ. ოთხშაბათი. დეკემბრის 25. №416. გვ. 1.

[1063] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 9, ფურცელი (10-11).

თითქმის პერმანენტულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი დაღი დაასვა რეგიონის ტოპონომიკას. მრავალ დასახლებულ პუნქტს დაუბრუნდა თავისი ისტორიული სახელი, ზოგს პირიქით, ეთნიკური და პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, გადაერქვა ან ჟღერადობა შეეცვალა, ზოგიერთ მათგანს სხვა პუნქტის სახელი ჩაენაცვლა და ა.შ. ამ მხრივ მეტად საინტერესო და ნიშანდობლივია საქართველოს ქვემო ქართლის ლორე-ბამბაკის რეგიონის, ანუ, ყოფილი ბორჩალოს მაზრის იმ ტერიტორიაზე არსებულ გეოგრაფიულ პუნქტთა დასახელებების ცვლილების ტენდენცია, რომლებიც ამჟამად დღევანდელ სომხურ სახელმწიფოშია ჩართული. მთავარი ტენდენცია კი ისაა, რომ სომხებმა მაქსიმალურად შეცვალეს ყველა ამ პუნქტის თურქულენოვანი დასახელება, ხოლო ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ნაწილობრივ, სომხეთის რესპუბლიკის კომუნისტურ წარსულთან დაკავშირებული ტოპონიმიკაც.

პირველი ასპექტი, სომხურ-აზერბაიჯანული და სომხურ-თურქული ურთიერთობების ზოგადი კონიუნქტურიდან გამომდინარე, გარკვეულწილად ახსნადია. მაგალითად: ქალაქი ყარაქილისა (საბჭოთა პერიოდის კიროვაკანი, დღეს უკვე ვანაძორი). გარდა ამისა, სოფლები: ყარაქილისა (ლერნოვიტი), ყაჩაღანი (არევაწაღი), ალექსანდროვკა (ურუთი), ამრაკიცი (კიროვი), აგრწინი (კუიბიშევი), შაღალი (ვანაძორი), ქოლაგერანი (ძორაგეთი), უზუნლარი (ოძუნი), ლამბალო (ბაგრატაშენი) და ა.შ. და ა.შ. ზოგიერთი მათგანისათვის, სახელი არ შეუცვლიათ და მათ ისტორიული სახელები აღუდგათ. მაგალითად: ტაშირი, (ყოფილი ტაშირი, შემდეგ ვორონცოვკა, საბჭოთა პერიოდის კალინინო). მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც, სხვადასხვა დასახლებული პუნქტების ორიგინალურ დასახელებებს ჟღერადობა შეცვლილი აქვთ და გადასომხურებულია. მაგალითად: აგარაკი - აკარაკი, ბამბაკი - პამბაკი, გუჯაბი - ხუჭაპი, ძეხი (დისიხი) - ძაგიძორი და სხვა. როგორც ვხედავთ, ზოგადი ტენდენციები შესამჩნევია. მაგრამ გაუგებარია სომეხი ერის წინაშე რა განსაკუთრებული დამსახურებების გამო დარჩა შეუცვლელი სოფელ აიდარბეკს დასახელება და მას დღესაც სვერდლოვი ეწოდება. ისტორიული ქართული ქალაქის - ლორეს, ანუ, იმდროინდელი ჯალალ-ოღლის დღევანდელ დასახელება - სტეფენავანთან მიმართებაში კი, ყველაფერი ნათელი და გასაგებია. იგი ხომ სომეხი ერის საამაყო შვილისა და ,,დიდი რევოლუციონერის", ,,ლენინის კავკასიის ნამესტნიკის'', სტეფანე შაუმიანის სახელთან არის დაკავშირებული. სომხეთის სიდიდით მეორე ქალაქთან მიმართებაში კი, ასეთი სურათი გვაქვს: ალექსანდრე დიდის მიერ დაარსებული ქალაქი ალექსანდროპოლისი (ალექსანდროპოლი) - ქართული ისტორიოგრაფიაში გუმბრი, საბჭოთა პერიოდის ლენინაკანი, დღევანდელი გიუმრია.

რაც შეეხება დღევანდელი საქართველოს საზღვრებში მოქცეულ ობიექტებს. ტოპონიმიკაში აქაც მნიშვნელოვანი ცვლილებებია. საქართველოს ამ რეგიონში, ტოპონიმიკასთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანია შულავერის დასახელებასთან დაკავშირებული ცვლილებები. კერძოდ, XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქალაქი შულავერი კომუნისტური ეპოქის ქალაქი შაუმიანია(?!) - დღევანდელი ნაღვარევი, ხოლო პატარა შულავერი - დღევანდელი სოფელი შულავერია. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სხვა დასახლებულ პუნქტებს, ძირითადში ყველა მათგანს აღდგენილი აქვთ ძველი ისტორიული დასახელება: დმანისი, ბოლნისი, მარნეული, თეთრიწყარო და ა.შ.

ჩვენი კვლევისას, თხრობის მეტი სიცხადისა და დინამიურობისათვის, უმჯობესად ჩავთვალეთ, რომ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ესა თუ ის დასახლებული პუნქტი და სხვა გეოგრაფიული ობიექტი მოვიხსენიოთ იმ დასახელებით, როგორითაც დაფიქსირებულია იგი ისტორიულ დოკუმენტებსა და საარქივო მასალებში XX საუკუნის დასაწყისისათვის. იქვე მოვიტანთ მის დღევანდელ დასახელებას და ასე მოვახდენთ მათ იდენტიფიცირებას.

გეოგრაფიულად, სომხეთსა და საქართველოს შორის წარმოებული საომარ მოქმედებათა თეატრი საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავს და იგი ყოფილი თბილისის გუბერნიის ბორჩალოს

მაზრის მნიშვნელოვან ნაწილსა და ახალქალაქის მაზრის სამხრეთ ნაწილზეა განფენილი. საომარ მოქმედებათა ეს არეალი დღევანდელი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოთა ტერიტორიებზეა განთავსებული. საერთო ჯამში, სომხეთ-საქართველოს 1918 წლის საომარ მოქმედებათა თეატრის საზღვრები შემდეგი წირებით შეიძლება შემოისაზღვროს. ჩრდილოეთიდან: ახალქალაქი - აღბულახი (ბელიკლიუჩი, თეთრიწყარო), - ეკატერინენფელდი (ქალაქი ბოლნისი) - რკინიგზის სადგური სანდარი (მარნეული, ბორჩალო). აღმოსავლეთიდან: სადგური სანდარი - სადახლო - სანაინი - ქორინჯი. სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან: ქორინჯი - მდ. კამენკა (მდ. ძორაგეთი) - ტროიცკოე - ახალქალაქი.

როგორც ვხედავთ, ამიერკავკასიური მასშტაბებით, სომხეთ-საქართველოს საომარ მოქმედებათა თეატრის ტერიტორია საკმაოდ დიდია და იგი 7000 კვადრატულ კილომეტრს აღწევს. ეს რაიონი საქართველოს სამხრეთის საზღვრების გასწვრივ არის განლაგებული და ძირითადში მთიან რეგიონს წარმოადგენს, სადაც უხვადაა სხვადასხვა ქედები და მთის მასივები. ეს ქედები სხვადასხვა მიმართულებით მიემართებიან და ქმნიან ზოგან მაღალ პლატოებს, ზოგან კი, შედარებით დაბალ ზეგნებს. ქედების ფერდობები მკვეთრად დახრამული და დანაწევრებულია, ზოგან - კანიონისებური.

ამ ქედებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ე.წ. ,,სველი მთები" (იგივე ჯავახეთის, ბეზობდალის ან ბაზუმის ქედი), რომელიც საომარ მოქმედებათა თეატრს ორ, ერთმანეთისაგან პრაქტიკულად დამოუკიდებელ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის საბრძოლო მოქმედებების რაიონებად ყოფს. ჯავახეთის ქედი ახალქალაქის, წალკისა და გორის მაზრების საზღვრიდან იწყება, ტეხილად მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და მთავრდება ყარაქილისასთან, სადაც იგი აქ ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრავს მდინარე ბამბაკის ხეობას. ჯავახეთის ქედის საერთო სიგრძე 120 კილომეტრია და მისი უმაღლესი წერტილი დალი-დაღის მთაა, სიმაღლით 2900 მეტრი. სწორედ ეს მწვერვალი ყოფს ჯავახეთის ქედს ორ - ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად. ამ ქედების საშუალო სიმაღლე 1500 მეტრამდეა, თუმცა, ცალკეულ უბნებში 2500 მეტრს აღწევს.

საომარ მოქმედებათა დასავლეთის რაიონი მოიცავს ახალქალაქის, წალკისა და გომარეთის მთიან პლატოს, რომელიც თავის მხრივ დაქსელილია ჯავახეთის ქედის განშტოებებითა და ტბების დიდი რაოდენობით. აღმოსავლეთის რაიონი - ჯავახეთის ქედის შუა ნაწილში - ლორე-ტაშირის დაბლობს, ანუ, ისტორიულ ,,ქართველთა ველს" წარმოადგენს, რომელიც ამავე დროს, მდინარე კამენკას (ძორაგეთი) გაშლილ ხეობას, ლოქის ქედს, მდინარეების დებედას (ბერდუჯი), მაშავერასა და ხრამის (ქცია) ხეობებს აერთიანებს. აღნიშნული პლატოები შევსებულია ჯავახეთის ქედის განშტოებებით. კერძოდ, ლორეს დაბლობი შემოსაზღვრულია სამხრეთიდან ბამბაკისა და ბაზუმის ქედებით, ხოლო ჩრდილოეთიდან - სომხითის (ლოქის) ქედით, რომელიც ამავე დროს მდინარე კამენკასა და მაშავერას აუზების წყალგამყოფს წარმოადგენს. იგი დმანისიდან სადახლომდე, უფრო ზუსტად კი, ტაბაწყურის ტბიდან ქალაქ დილიჟანამდეა გადაჭიმული და მაქსიმალურ სიგანეს მე-60 მერიდიანის გასწვრივ აღწევს. აქვე უნდა დავამატოთ, რომ ჯავახეთის ქედი ალექსანდროპოლისიდან და ახალქალაქიდან აღმოსავლეთისაკენ, თბილისამდე მომავალი უმოკლესი გზების ბუნებრივ ბარიერსაც წარმოადგენს.

ჯავახეთის ქედი თავისი საშუალო სიმაღლითა და რელიეფის სირთულით, განსაკუთრებით ზამთრის პირობებში, პრაქტიკულად გაუვალია ჯარების დიდი მასების, კავალერიისა და არტილერიის გადაადგილებისათვის, ამიტომ, ოპერატიული და ტაქტიკური თვალსაზრისით, სომხეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებები, დასავლეთის (ახალქალაქის) და აღმოსავლეთის (ბორჩალოს) საომარ მოქმედებათა თეატრებზე, პრაქტიკულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა.

1918 წლის მდგომარეობით, საომარ მოქმედებათა რაიონები მაგისტრალური გზებით ცუდად იყო უზრუნველყოფილი. ისინი ძირითადში მდინარეთა ხეობებს მიუყვებოდნენ. ესენია: რკინიგზის ხაზი თბილისი - ალექსანდროპოლისი (გუმბრი, შემდეგ ლენინაკანი, დღეს გიუმრი). რკინიგზა ერთლიანდაგიანია და მიუყვება მდინარეების - დებედასა და ბამბაკის ხეობებს. აირუმიდან დაწყებული ხეობა საკმაოდ ღრმაა, მაგალითად, ახტალა-სანაინის უბანზე მისი სიღრმე 10-15 მეტრს აღწევს. რკინიგზის ლიანდაგი საკმაოდ მკვეთრ მოსახვევებსა (სიმრუდე - 250მ და ნაკლები) და ჰორიზონტალური დახრილობის უბნებს შეიცავს (ქანობი - 15%-მდე). ამ ფაქტორების გამო, მატარებლის დიდი სიჩქარით მოძრაობა შეზღუდულია. აღსანიშნავია, რომ რელიეფისა და რკინიგზის ხაზის მახასიათებელი სწორედ ეს ფაქტორები გახდა ქართული ჯარის ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად სანაინი-აირუმის უბანზე საბრძოლო მოქმედებებისას, დეკემბრის თვეში. ამავე დროს, აირუმი-უზუნლარის რკინიგზის მონაკვეთზე 20-მდე დიდ-პატარა ხიდი და რამდენიმე გვირაბია, რომელთა მწყობრიდან გამოყვანაც დიდი ხნით იწვევს რეგიონის სრულ სარკინიგზო იზოლაციას, რაც რეალურად განხორციელდა კიდეც სომეხთა მიერ დეკემბრის თვეში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს.

საავტომობილო გზებით რეგიონი 1918 წლისათვის მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი იყო და ისინი ძირითადში დღევანდელ მდგომარეობას შეესაბამება. ეს საავტომობილო გზები იყო:

1) თბილისი - შულავერი;

2) თბილისი - ვორონცოვკა - ალექსანდროპოლისი (ვორონცოვკა - დარბაზის განშტოებით);

3) თბილისი - კოდა - ბელიკლიუჩი;

4) თბილისი - მანგლისი;

5) ალექსანდროპოლისი - ახალქალაქი;

6) ახალქალაქი - ახალციხე;

7) ახალქალაქი - ბაკურიანი - ბორჯომი;

8) ახალქალაქი - არდაგანი (არტაანი);

თუმცა ნათელია, რომ 1918 წლის მდგომარეობით, რეგიონის საავტომობილი გზების ქსელი ნამდვილად არ წარმოადგენდა შეტყობინების სტრატეგიულ ინფრასტრუქტურას და ჯარების დიდი მასისა და არტილერიის ოპერატიული გადაადგილებისათვის ისინი ნაკლებად მოხერხებული იყო. საომარი მოქმედებების შემთხვევაში, მოსახერხებელი მიმოსვლის გზების უქონლობა ჯარების სწრაფი მანევრირების შესაძლებლობას ართულებდა, როგორც წმინდათ საბრძოლო მოქმედებებისათვის, ასევე მათი ზურგის უზრუნველყოფის მხრივაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალზე გართულებული იყო ჯარების სწრაფი გადაადგილება, რაც ამავე დროს ბრძოლისათვის მოუმზადებელ მხარეს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა და შესაძლებელს ხდიდა ჯარების დროულ ტაქტიკურ მანევრსა და შესაბამისი ძალების საბრძოლო გაშლას. კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო საშუალებებითა და ხაზებით რეგიონი ცუდად იყო უზრუნველყოფილი და სატელეგრაფო შეტყობინება ლორეს უბანზე მხოლოდ ძირითად სარკინიგზო სადგურებზე - ალავერდსა და სანაინში, აგრეთვე ვორონცოვკაში იყო. ეკატერინენფელდის უბანზე - თვითონ ეკატერინენფელდში, ხოლო ახალქალაქის უბანზე - თვითონ ახალქალაქში.

დეკემბრის თვის პირველივე რიცხვებიდან, ვორონცოვკის უბანზე, სომეხთა მხრიდან დივერსიული აქტების განხორციელების გამო, სატელეგრაფო შეტყობინება ფაქტობრივად შეწყდა. ამ ფაქტმა ერთობ რთულ ვითარებაში ჩააგდო ვორონცოვკაში დისლოცირებულ ქართული საჯარისო და სასაზღვრო ქვედანაყოფები და მისი შტაბი. ვორონცოვკაში დისლოცირებული ქართული სასაზღვრო გარნიზონის სარდლობა სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების გაშლის ეტაპზეც კი (9-13 დეკემბერი) არ იყო სრულად ინფორმირებული არსებულ სიტუაციაზე. ამ ეტაპზე, სანაინთან

ოპერატიული კავშირგაბმულობის ერთადერთ საშუალებას საფელდეგერო სამსახური წარმოადგენდა.

ტყეებითა და მწვანე საფარით ლორეს დაბლობი ძალზედ ღარიბია და იგი მხოლოდ ბაზუმის ქედის სამხრეთის დაბოლოების ჩრდილო კალთაზეა მცირე რაოდენობით. იგივე ითქმის ახალქალაქის რაიონზე. ტყის საფარით მდიდარია ლოქის ქედი და განსაკუთრებით მისი ჩრდილოეთი კალთები. აქ ძირითადში ფართოფოთლოვანი ტყის მასივებია, რომლებიც მთათა ფერდობებზე 1800-1900 მეტრ სიმაღლემდეა გავრცელებული. ხეების საშუალო სიმაღლე 15-20 მეტრია. ასე რომ, ლოქის ქედის ტყეები ჯარების დისლოკაციის ადგილისა და მათი მარშით გადაადგილების შესანიღბავად ხელსაყრელ ბუნებრივ ფაქტორს წარმოადგენდა. სწორედ ამ გარემოებამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი ომის ერთ-ერთ ეპიზოდში, როცა სომეხთა მე-5 მსროლელმა პოლკმა და დაშნაკურმა საბრძოლო რაზმებმა შეუმჩნევლად შეძლეს მაშავერას ხეობაში შემოსვლა და ეკატერინენფელდში დისლოცირებული სახალხო გვარდიის შენაერთზე მოულოდნელი იერიშის მიტანა 1918 წლის 19 დეკემბრის გამთენიისას.

მდინარეებით რეგიონი მეტ-ნაკლებად მდიდარია და აქ მთავარ მდინარეებს წარმოადგენს: დებედა (ბერდუჯი), ხრამი, მაშავერა, კამენკა-ძორაგეთი. ფორსირებისათვის (კავალერიისა და არტილერიის ჩათვლით) მდინარეები ხელსაყრელია, განსაკუთრებით ზამთრის მცირეწყლიანობის დროს - ხრამისა და დებედას ქვემო წელის გამოკლებით. მდინარე დებედას სიგანე 15-80 მეტრია, სიღრმე 0,5-2,0 მეტრი, ფსკერი ქვიანი და მყარია. კალაპოტი მიხვეულ-მოხვეულია და მისი ხეობა, განსაკუთრებით სანაინი-ალავერდი-აირუმის უბანზე, კანიონისებური. ამ ფაქტორმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბრძოლო მოქმედებების ერთ-ერთ ეპიზოდში, ხოლო მდინარე დებედას ქვემო წელის გაუვალობამ დეკემბრის ბოლოსათვის ერთობ შეაფერხა ერთ-ერთი ქართული საჯარისო კოლონის შეტევითი ოპერაციის დროული განვითარება ლამბალო-სადახლოს მიმართულებაზე, რამაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა საომარ მოქმედებათა შემდგომ მსვლელობაზე.

ჰავა ზომიერად კონტინენტალურია, ზომიერად თბილი ზაფხულითა და მკაცრი, უხვთოვლიანი ზამთრით. ზამთარი ფაქტიურად ნოემბერში იწყება და მარტამდე გრძელდება. ტემპერატურების აბსოლუტური წლიური ამპლიტუდა მთაში +16^0-დან -25^0-დეა, თოვლის საფარის სიმაღლე დაბლობში 30 სმ-ს, ხოლო მთებში 2-3 მეტრსაც აღწევს. რაიონში ხშირია ქარები, საშუალო სიჩქარით 4,5 მ/წმ, ზამთრობით კი, გრიგალის ტიპის. გასაგები მიზეზების გამო, ჩვენ რეგიონის ზამთრის კლიმატურ პირობების აღწერაზე უფრო ვამახვილებთ ყურადღებას, რადგან სომხეთ-საქართველოს ომის მთავარი საბრძოლო მოქმედებების გაშლას წელიწადის სწორედ ამ დროს ჰქონდა ადგილი.

ერთობ საინტერესოა და მნიშვნელოვანი საომარ მოქმედებათა თეატრის მოსახლეობის იმ ეთნიკური შემადგენლობის სურათის დადგენა, რომელიც დაფიქსირებული იყო 1918 წლის მდგომარეობით. ამ საკითხთან მიმართებაში, აქვე ცალსახად აღვნიშნავთ, რომ ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონის ლორეს საბრძოლო მოქმედებათა რაიონი მთლიანობაში 1918 წლისათვის უკვე პრაქტიკულად სომხური მოსახლეობით იყო დასახლებული და ეს მდგომარეობა შეადგენდა სწორედ სომეხ დაშნაკთა აგრესიული იდეოლოგიის მძლავრი მხარდაჭერის ფაქტორსა და ანტიქართული პროვოკაციების განხორციელების უტყუარ იარაღს. მცირე იყო რუსი სექტანტების, აზერბაიჯანელების (თათრების), ქართველებისა და სხვა ხალხების რიცხვი.

საომარ მოქმედებათა თეატრის ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების საბრძოლო მოქმედებათა რაიონების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და მათი პირობითი თანაფარდობის დადგენისათვის სომხეთ-საქართველოს ომის ისტორიის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მიერ შექმნილ საარქივო მასალებს მოვიყვანთ. ამ დოკუმენტს შავი ფანქრით რუსულ ენაზე

შესრულებული ხელნაწერის სახე აქვს და ჩვენის აზრით, იგი თავად გენერალ-მაიორ გიორგი კვინიტაძეს უნდა ეკუთვნოდეს. გენერალი კვინიტაძე წერს:

,,აქაური მოსახლეობა მთების ძირას და ზეგნებზე ცხოვრობს. ,,სველი მთების'' დასავლეთის ზოლი (ახალქალაქის მაზრა) ძირითადში დასახლებულია სომხებით, რუსებით, დუხობორებითა[1064] და ნაწილობრივ თათრებით. ლორეს სტეპის მოსახლეობას ძირითადში შეადგენენ დუხობორები და მოლოკნები,[1065] აგრეთვე მართლმადიდებლები, შემდეგ - სომხები და თათრები. ამამლი-გერგერის ხაზის აღმოსავლეთით მოსახლეობა უფრო მჭიდროა, ვიდრე დასავლეთით. იგი შედგება სომხებისაგან, რუსებისაგან, რომლებიც დასახლებულნი არიან სოფლებში ნოვოპოკროვკა, კამენკა, ნიკოლაევკა, გერგერი. არის აგრეთვე თათრული მოსახლეობა.

ახალქალაქის მოსახლეობა: სომხები - ძირითადში თურქეთიდან გადმოსახლებულები, რომელთაც საუკეთესო საძოვრები უკავიათ, აბორიგენი - ქართველები, აგრეთვე რუსები და თათრები. ქართველებით დასახლებულია მდინარე ფარავანის მარჯვენა სანაპირო, ახალქალაქის სამხრეთით. ძირითადი მოსახლეობა სომხებია. წალკის მოსახლეობაში არიან ბერძნები, სომხები, ქართველები, ციგნები და თათრები. სჭარბობს ბერძნული მოსახლეობა. გომარეთი დასახლებულია ბერძნებითა და ქართველებით. მაშავერა - თათრებით და რუსი დუხობორებით. ლორეს დაბლობზე

1064 დუხობორები (რუს. Духобо́ры (Духобо́рцы) ,,სულისთვის მებრძოლნი'') — უაღრესად პროტესტანტული მიმდინარეობის რუსული სექტა. ჩამოყალიბდა 1750 წელს რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში. დუხობორების აზრით, კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარეობს ბრძოლა სულიერსა (აბელის მიმდევრები) და ხორციელს (კაენის მიმდევრები), კეთილსა და ბოროტს შორის. ამ უკანასკნელს განეკუთვნებიან ხელისუფლების წარმომადგენლები, უსამართლო მსაჯულები, მდიდრები. დუხობორებს საკუთარი თავი მიაჩნიათ ჭეშმარიტ და რჩეულ ხალხად, რომელმაც უნდა შექმნას ღვთის სამართლით განმსჭვალული ძმობა. უხობორები არ ცნობენ ეკლესიას, ისინი აღიარებენ რეინკარნაციას და აღიარებენ სულიწმიდის არსებობას ყოველი ადამიანის სულში. ისინი არ ცნობენ ხატებს და ჯვრებს, მაგრამ ცნობენ წყევლას და შელოცვებს. ისინი არ იცავენ არავითარ წეს-ჩვეულებებს, გარდა ქორწინებისა და აქვთ სპეციალური ფსალმუნები, რომელთაც საგანგებო კრებებზე ასრულებენ. 1788 წელს არქიეპისკოპოსმა ნიკიფორემ სულიერი ქრისტიანების ამ ჯგუფს ,,დუხობორები'' უწოდა, რაც სულისა და ჭეშმარიტებისათვის მებრძოლს ნიშნავდა. თავად სექტანტებმაც სიამოვნებით მიიღეს ეს სახელწოდება. 1804 წელს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დუხობორებს მელიტოპოლის მაზრაში დასახლების უფლება მისცა, ხოლო 1841 წელს 5000 დუხობორი ამიერკავკასიაში, ჯავახეთის ზეგანზე, ახალქალაქის მაზრაში გადაასახლეს. აქ მათ იგივე დასახელების სოფლები ააშენეს, რაც მელიტოპოლის მაზრაში ჰქონდათ. ხოლო სოფელი გორელოვკა დუხობორების ცენტრად იქცა. 1898-1900 წლებში დუხობორების ნაწილი კანადაში გაასახლეს, სადაც დღემდე არსებობს მათი თემები. ამჟამად დუხობორების დაახლოებით 200 ოჯახი სოფელ გორელოვკაში ცხოვრობს, სადაც მათი ეთნოგრაფიული მუზეუმი მდებარეობს.

1065 მოლოკნები (რუს. Молока́не) — ერთ-ერთი რუსული სექტის წარმომადგენლები, რომლებიც უარყოფენ მართლმადიდებლური ეკლესიის წესებსა და დოგმებს. რუსეთის იმპერიაში მიეკუთვნებოდა ,,განსაკუთრებით მავნე ერესს''. სახელი ,,მოლოკანი'' სექტას 1765 წელს ტამბოვის კონსისტორიამ უწოდა იმის საფუძველზე, რომ ამ სექტის წევრები მარხვის პერიოდში რძეს სვამდნენ. თავად სექტანტები თავიანთ თავს ,,სულიერ ქრისტიანებს'' უწოდებდნენ. სახელწოდება ,,მოლოკანე'' სიამოვნებით მიიღეს, რადგან მათი გაგებით სექტის მოძღვრება არის ის ,,სიტყვიერი რძე'', რომელზეცაა საუბარი საღვთო წერილში. სხვა მოსაზრებით, სექტის სახელი მდინარე ,,მოლოჩნიე ვოდის'' სახელთან არის დაკავშირებული, სადაც მოლოკნებმა შექმნეს თეოკრატიული თემი. 1830-იან წლებში, იმპერატორ ნიკოლაი I-ის დეკრეტით, მოლოკნების დიდი ჯგუფი რუსეთის იმპერიის შორეულ პროვინციებში, მათ შორის, ამიერკავკასიაში გადმოასახლეს როგორც ,,განსაკუთრებით მავნებელი სექტა''. საქართველოში გადმოსახლებული მოლოკნები ძირითადად თბილისის, სიღნაღისა და საგარეჯოს მაზრებში დასახლდნენ. XIX საუკუნის ბოლოსთვის კავკასია მოლოკნების დასახლების მთავარ რეგიონს წარმოადგენდა და აქ მათმა რიცხვმა 500 ათასს გადააჭარბა. მათი ნაწილი ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდა. დღეს საქართველოში მოლოკნების მხოლოდ მცირე ჯგუფი ცხოვრობს. XX საუკუნის 80-90-იან წლებში მათი დიდი ნაწილი რუსეთში დაბრუნდა, ნაწილი კი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წავიდა ემიგრაციაში.

ძირითადი მოსახლეობაა რუსები, გრიგორიანელი სომხები, კათოლიკე სომხები, თათრები და ბერძნები. ბორჩალოს მაზრის მოსახლეობაა თათრები, სომხები, ბერძნები, რუსები, ქართველები, გერმანელები და ციგნები.

ბევრია თუ არა მათ შორის მკვიდრი მოსახლეობა, ძნელი სათქმელია დამადასტურებელი დოკუმენტების უქონლობის გამო, მაგრამ ამ სომხების უმეტესობა მოსული ელემენტია ყოფილ საქართველოს სამეფოში. პირველად ისინი აქ აღმოჩნდნენ სამხედრო ტყვეების სახით წამოსხმულნი თათრების, არაბების, სპარსელების, ქართველებისა და სხვა დამპყრობლების მიერ. XVII საუკუნის ბოლოს ყარაბაღის შავი ჭირის დროს, ნაწილი სომხებისა გადმოსახლდა ახლანდელ ტფილისთან (ლისი, ბოლნისი, კოდა, კუმისი, წავკისი). მათი ნაწილი აქ მოვიდა სპარსეთიდან 1829 წელს, თურქმენჩაის ზავის დადების შემდეგ. 1878 წლის ადრიანოპოლისის ზავის დადების შემდეგ კი, არზრუმიდან რუსებს გამოჰყვა 90000 სომეხი, რომელთაგან 30000 დღევანდელი ახალქალაქის მაზრაში დასახლდა. არც თუ ისე მცირე რაოდენობა სომხებისა მოვიდა ტფილისის გუბერნიაში უკვე სულ უკანასკნელ ხანს, 1897-1898 წლების სომეხთა დარბევის დროს“.[1066] (აქ სულთან აბდულ-ჰამიდ II-ის მიერ სომეხთა წინააღმდეგ განხორციელებულ რეპრესიებზეა საუბარი, რაც ზემოთ უკვე გვქონდა განხილული - ა. ჩ.).

ამონარიდი სრულად მოვიტანეთ. იგი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის XX საუკუნის პირველი ათწლეულისათვის სომხეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებათა რაიონების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. აშკარაა, რომ ეთნიკური ჯგუფების რაოდენობრივი თანაფარდობის შეფასებისათვის ეს ჯგუფები რიგითობის მიხედვითაა ჩამოთვლილი.

მოტანილი საარქივო მასალის უკანასკნელი აბზაცი ჩვენთვის უკვე ცნობილი სამხედრო პირის, ბათუმის სამხედრო ოლქის გენერალ-გუბერნატორის, ხოლო შემდეგ საარმიო კორპუსის სარდლის, გენერალ ვლადიმერ ლიახოვის მიერ შედგენილი ამიერკავკასიის სტრატეგიული მიმოხილვის სამხედრო-სტატისტიკური ანგარიშიდან ,,Военно-статистическое описание Тифлиской губернии, Закатальского округа'' („ტფილისის გუბერნიის, ზაქათალის ოლქის სამხედრო-სტატისტიკური აღწერა“) არის წარმოდგენილი. როგორც ვხედავთ, რუსული სამხედრო წყაროების მონაცემებიც სომეხთა საქართველოს ტერიტორიებზე გადმოსახლებების შესახებ, ფაქტობრივად სრულად იმეორებს ჩვენს მიერ წიგნის შესაბამის თავში წარმოდგენილი მასალების მონაცემებს. თუმცა, ვერ დავეთანხმებით გენერალ ლიახოვის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სომეხი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საქართველოში ,,ქართველი დამპყრობლების'' მიერ იქნა შემოყვანილი ტყვეების სახით. მეტად ორიგინალური და საინტერესო მოსაზრებაა. გაუგებარი და ალოგიკურია აგრეთვე უცხოელი დამპყრობლების მიერაც სომხების საქართველოში ტყვეების სახით შემოყვანის არსი და მიზეზები. მსგავსი ფაქტები ან თუნდაც მიახლოებული დასკვნები, სხვა ავტორთა მონაცემებითა და ისტორიული წერილობითი, ზეპირსიტყვიერი ან ნებისმიერი სხვა წყაროებით, თვით სომხურითაც კი, არ დასტურდება.

ქართველებს სომხეთის სახელმწიფოს ტერიტორიები არასდროს არ დაუპყრიათ, თუ არ ჩავთვლით ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეს, როცა სომხეთის სამეფო ტახტს ქართლის ფარნავაზიანი მეფის, ფარსმან I-ის ჯერ ძმა, მითრიდატე, ხოლო შემდეგ, ძე - რადამისტი ფლობდნენ. ყველა სხვა შემთხვევაში ქართველები მხოლოდ იგივე სომეხი ხალხის თხოვნითა და ნებით და მათთან კავშირში ლაშქრავდნენ სომხურ ტერიტორიებს (ხაზს ვუსვამთ - სომხურ, ე.ი. სომხებით დასახლებულ და არა სომხეთის კუთვნილ ტერიტორიებს) ირანელი, ბიზანტიელი, არაბი, თურქი,

---

1066 В. Ляхов. Военно–статистическое описание Тифлиской губернии, Закатальского округа. საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი (7–8).

მონღოლი თუ სპარსელი დამპყრობლებისაგან ამ ტერიტორიების გასათავისუფლებლად და სომეხი ერის, როგორც ეთნოსის ფიზიკური გადარჩენისთვის. რა თქმა უნდა, გარკვეული პერიოდების განმავლობაში ისტორიული სომხეთის ტერიტორიები საქართველოს სამეფოს შემადგენლობაშიც იყო ჩართული, ან საქართველოსთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, მაგრამ აქ სრულად იყო დაცული და უზრუნველყოფილი სომეხი ხალხის სრული სოციალურ-კულტურული უფლებები. იმდროინდელი შემოხიზნული და ქართველებთან დასახლებული სომხები დღეს ცხოვრობენ თეთრიწყაროს რაიონის მთელ რიგ სოფლებში: კოდაში, მუხათში, ვაშლოვანში, ერთისში, ბორბალოში, ვარდისუბანში, ენაგეთში, ბოგვში, თონეთში და ასე შემდეგ. ამ სომხებმა დროთა განმავლობაში ქართველებისგან ბევრი რამ გადაიღეს და სომხური ენა სრულიად დაივიწყეს. მშობლიური ენა ახლა მათთვის ქართულია.

რაც შეეხება იმ სომხებს, რომლებიც ახლა დაღეთ-ხაჩინში, სამშვილდეში, სამღერეთში, ვარხუნოში, პატარა დურნუკსა და დიდ დურნუკში ცხოვრობენ, თითქმის ყველანი XVIII საუკუნის დამლევსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში არიან ჩამოსახლებულნი. ისინი 1797 წლამდე ყარაბაღის მთიან ადგილებში ცხოვრობდნენ. სომხების არქიეპისკოპოს არღუთიანის თხოვნისა და შუამდგომლობის შედეგად, მეფე ერეკლემ ყარაბაღის, გულისტანისა და ხაჩინის ადგილებში მცხოვრებ სომხებს საქართველოში გადმოსახლების უფლება მისცა. 1797 წელს გულისტანიდან სომხების 400 ოჯახი გადმოსახლებულა ყოფილი ბორჩალოს მაზრის სოფელ შულავერში. შულავერი საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე უძველესი დასახლება იყო, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მე-6 ათასწლეულის იარაღები და მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქის სხვა არტეფაქტები იქნა მოძიებული. შულავერი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 125,23; 310,18,20,23; 330,13; 501,24,25,26; 842,7), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 243,15), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 263, 297, 299, 315, 318), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1967: 91; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 296; 1953: 259; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 111), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 174, 175), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 63), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 56), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 79, 81, 83).

VIII ს-ში შულავერის ხეობა მეფე არჩილმა ადარნასე ბაგრატიონს უბოძა (ქც 1: 243,15). X-XI სს-ში ეს მხარე ტაშირ-ძორაგეტის სამეფოში შედიოდა (ბერძენიშვილი 1979: 33). XVII-XVIII სს-ში შულავერი სომხითში შედის. შულავერლები იმ პერიოდში გადასახადს იხდიან სომხითის მელიქის სასარგებლოდ (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 111). იქ ყმა-მამულს ფლობდნენ ორბელიანები, ყაფლანიშვილები, ზურაბაშვილები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 296; ქრონიკები 1967: 91). შულავერი შედიოდა ბოლნისის ეპისკოპოსის საწმყსოში (ბერძენიშვილი 1964: 20, 21).[1067] VIII საუკუნის მიწურულს, 1799 წელს, ყარაბაღის ხაჩინიდან 68 ოჯახი გადმოსახლებულა ბოლნისის რაიონის სოფელ ჯაფარლუში. ეს სოფელი იმ დროს ჭაობიანი ყოფილა. ციება ხალხის დიდ სიკვდილიანობას იწვევდა, რის გამო იქ მხოლოდ 7 წელიწადს იცხოვრეს. შემდეგ ორ ნაწილად გაყოფილან: 43 ოჯახი გადმოსახლებულა დღევანდელ სოფელ დაღეთში. მათ ამ სახელწოდებისათვის მიუმატებიათ იმ ადგილის სახელი, საიდანაც წამოსულან და სოფლისათვის დაურქმევიათ „დაღეთ-ხაჩინი“.

1067 გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრეგვაძე, მ. კვაჭაძე და სხვ. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. რედაქტორი და პროექტის ხელმძღვანელი გელა გაყრელიძე. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, არქეოლოგიური ცენტრი. I გამოცემა. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 739 გვ. თბილისი. 2013. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=25&t=1695

დანარჩენი 25 ოჯახი კი, გადასახლებულა სოფელ ბოლნისში და იმისთვისაც „ხაჩინი“ მიუმატებიათ ბოლოში და „ბოლნის-ხაჩინი“ უწოდებიათ.[1068]

გენერალ ლიახოვის ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით კი, შენიშვნის სახით დავამატებთ - როგორც ჩანს ქართველთა მიერ ,,სომეხთა ტყვეებად წამოსხმა'' იმ შემთხვევებს უკავშირდება, როცა ქართველ მეფეებს ეკონომიკური მიზანშეწონილობის პრინციპიდან გამომდინარე, ხანდახან იძულებით გადაჰყავდათ სომხური მოსახლეობა საქართველოში გაპარტახებული მხარეების დასახლებისა და მათი შემდგომი ათვისებისათვის, ამ ტერიტორიებზე ვაჭრობის, აღებ-მიცემობის თუ წვრილი ხელოსნობის განვითარებისთვის. ასეთი მიგრაციული პროცესები, როგორც წესი, სწორედ ქვემო ქართლის გაუკაცრიელებულ ტერიტორიებზე ხორციელდებოდა. ცნობილი ფაქტია, რომ ,,1779 წელს, ერევანზე ლაშქრობისას, ერეკლე II-მ რვა სოფლის მოსახლეობა აჰყარა და საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში ჩაასახლა. ლეოს (არაქელ ბაბახანიანის)[1069] აზრით, ერეკლეს მიერ ორგანიზებული ეს ჩასახლება სწორედ ეკონომიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი''.[1070] უდავოდ, სომეხთა სწორედ ამ მიგრაციულ პროცესებს გულისხმობს რუსი ავტორი მოყვანილ აბზაცში. ნაკლებად სავარაუდოა, რომ გენერალი ლიახოვი საქართველოს ისტორიის ერეკლე II-ის მეფობისწინა ხანას გულისხმობდეს. რუსი გენერლის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენების ქრონოლოგიაშიც სწორედ ეს პერიოდი ჯდება ორგანულად.

ბორჩალოს მაზრაში, რომელიც დღევანდელი ბოლნისის, დმანისის, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტებს, ასევე სომხეთის რესპუბლიკის ლორესა და თავუშის პროვინციების ტერიტორიის ნაწილს მოიცავდა, სომხების წილმა 1897 წელს 36,88%-ს (47 423 სული) მიაღწია.[1071] მათი უმრავლესობა მაზრის სამხრეთში, ლორეს უბანში ცხოვრობდა. რუსეთის ხელისუფლება ქვემო ქართლში სომხების გარდა სხვა ერების დამკვიდრებასაც უწყობდა ხელს. XIX საუკუნეში იმპერიის ხელშეწყობით რეგიონში ათასობით ბერძენი, გერმანელი და რუსი ახალმოსახლე დაფუძნდა. 1897

1068 ზ. გიგაური, დ. ბეჟაშვილი. ჩამოსახლებები ქვემო ქართლში. http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/chamosaxlebebi_qvemoqartlshi.html

1069 ლეო (სომხ. Լեո) (ნამდვილი გვარ-სახელი არაქელ გრიგოლის ძე ბაბახანიანი) (სომხ. Առաքել Գրիգորի Բաբախանյան) (1860-1932წ.წ.) – ცნობილი სომეხი ისტორიკოსი, მწერალი პუბლიცისტი და კრიტიკოსი. დაიბადა მთიან ყარაბაღში, ქალაქ შუშაში. იქვე დაამთავრა საქალაქო სკოლა. ამის შემდეგ ფორმალური განათლება აღარ მიუღია, ეწეოდა თვითგანვითარებას. შუშასა და ბაქოში მუშაობდა ნოტარიალურ გადამწერად, ტელეგრაფისტად, ტიპოგრაფიის მმართველად. 1895-1906 წლებში მუშაობდა თბილისში გამომავალი სომხური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი ,,მშაკის'' ჟურნალისტად და მდივნად. 1906-1907 წლებში იყო ეჩმიაძინის გევორქიანის სემინარიის მასწავლებელი. შემდეგ საცხოვრებლად გადადის თბილისში, სადაც ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას. შექმნა რიგი კაპიტალური ნაშრომებისა, სადაც განიხილავდა სომეხი ერის ყველა ძირითად რელიგიურ, კულტურულ და ისტორიულ პრობლემას. ამავე დროს ჩართული იყო პოლიტიკურ ცხოვრებაში. არ იზიარებდა პარტია ,,დაშნაკცუტიუნის'' იდეოლოგიას და 1917 წელს ხდება სომეხთა სახალხო პარტიის წევრი. ამიერკავკასიის ფედერაციის სეიმის დელეგაციის მრჩევლის რანგში მონაწილეობდა 1918 წელს ოსმალეთთან გამართულ ტრაპიზონის მოლაპარაკებებში. ამავე წელს ხდება გაზეთ ,,მშაკის'' რედაქტორი. 1918-1920 წლებში იყო მთიანი ყარაბაღის სომეხ პატრიოტთა ასოციაციის თავმჯდომარე. 1920-იან წლებში დაკავებული იყო სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობისა და სომხურ-რუსული ურთიერთობების საკითხების შესწავლით. სომხეთის გასაბჭოების შემდეგ, 1924 წლიდან საცხოვრებლად გადადის ერევანში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ეკავა ერევნის უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობა. ამავე დროს, 1925 წლიდან იყო საბჭოთა სომხეთის მეცნიერებისა და ხელოვნების ინსტიტუტის ნამდვილი წევრი. აღიარებულია ავტორიტეტულ სომეხ ისტორიკოსად. იყო არაერთი ისტორიული ნაშრომის ავტორი.

1070 გურამ მაისურაძე. საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV–XVIII სს). მეცნიერება. თბილისი. 1999. გვ. 112.

1071 Первая всеобщая перепись населения Российской Империи 1897 г. Распределение населения по родному языку и уездам Российской Империи кроме губерний Европейской России. Т.Т.51-89. С.-Петербург: 1903-1905. http://www.demoscope.ru/weekly/ssp/emp_lan_97_uezd.php?reg=533.

წელს ბორჩალოს მაზრის მკვიდრთა 16,64% (21 393) ბერძენი, 6,29% (8 089) რუსი და 1,94% (2 496) გერმანელი იყო.[1072] რეგიონში არსებული ეთნიკური სურათის სრულყოფილად გააზრებისათვის კი, აქ მიმდინარე პროცესების მოკლე ისტორიული რაკურსი უნდა ჩავატაროთ. ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებთან მიმართებაში, ცხადია, ჩვენთვის საინტერესო ეთნიკურ ჯგუფებს, პირველ რიგში, აზერბაიჯანელები და რუსები წარმოადგენენ. მოცემულ საკითხს პროფესორ ავთანდილ სონღულაშვილის ფუნდამენტურ ნაშრომზე ,,საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა“ დაყრდნობით განვიხილავთ.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ აზერბაიჯანელი ხალხი კავკასიის ხალხებს შორის შედარებით ახალგაზრდაა. XIX საუკუნის დასაწყისში, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიის რუსეთის მიერ დაპყრობის პერიოდში, აზერბაიჯანის თურქულენოვანი მოსახლეობა სხვადასხვა პატარ-პატარა ფეოდალურ ერთეულებში (სახანოებში) იყო გაერთიანებული. ეს სახანოები იყო: შაქის, ყარაბაღის, ყუბის, შირვანის, ბაქოს, ნახიჭევანის, განჯის, თალიშის. ასევე რამდენიმე სახანო არსებობდა ირანის (სამხრეთ) აზერბაიჯანის ტერიტორიაზე - თავრიზის, არდებილის... არსებობდა უფრო პატარა ფეოდალური ერთეულებიც: ყაზახის, შამშადილის, ელისუს სასულთნოები. ეს უკანასკნელი დაღესტნელთა აღმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე მიგრაციის შედეგად ჩამოყალიბდა. იგივე შეიძლება ითქვას ელისუს სასულთნოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ჭარ-ბელაქნის საზოგადოებაზეც.[1073]

დღევანდელი აზერბაიჯანის სახელმწიფო ტერიტორიაზე არსებული ფეოდალური ერთეულები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში რუსეთ-ირანის 1828 წლის თურქმენჩაის საზავო მოლაპარაკებების შემდეგ შევიდა. ამ დროისათვის თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აზერბაიჯანელი თათრების (როგორც მაშინ უწოდებდნენ მათ) რაოდენობა დაახლოებით 600 ათასი კაცი იყო. ეთნომიმი ,,აზერბაიჯანელი“ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საერთოდ არც არსებობდა. სხვადასხვა თურქულენოვან ტომებს საერთო ეთნიკური თვითშეგნება არ ჰქონდათ, რადგან ამ ტერიტორიაზე თურქულენოვანი ხალხების განსახლების შემდეგ მათ საერთო სახელმწიფო არასდროს შეუქმნიათ. XIX საუკუნის ლიტერატურაში აზერბაიჯანელები ,,თათრებად“ სახელდებოდნენ. როგორც ცნობილი მეცნიერი ვალერიან გაბაშვილი აღნიშნავდა - ქართველისათვის ყველა მაჰმადიანი თათარი იყო.[1074]

1917 წელს საისტორიო საზოგადოების სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში, ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა პავლე ინგოროყვამ პოლიტიკურ ლიტერატურაში პირველად ახსენა სახელი ,,ადერბეჯანი“. სწორედ მან დაარქვა ამ გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხს ,,აზერბაიჯანელები“. ფაქტიურად, მეცნიერმა აღადგინა ამ ტერიტორიული არეალის ოდინდელი ისტორიული სახელწოდება ,,ადარბადაგანი“. მოგვიანებით, ეს ტერმინი გავრცელდა ჯერ რუსეთის იმპერიაში, შემდეგ კი, მთელ მსოფლიოში. ამის გამო, ,,აზერბაიჯანელები“ პავლე ინგოროყვას ,,ნათლიას“ ეძახდნენ.[1075] აზერბაიჯანელი ერის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს თურქულენოვანმა ოღუზმა ტომებმა, რომელთაც XI საუკუნიდან დაიპყრეს რა, ისტორიული

1072 Первая всеобщая перепись населения Российской Империи 1897 г. Распределение населения по родному языку и уездам Российской Империи кроме губерний Европейской России. Т.Т.51-89. С.-Петербург: 1903-1905. http://www.demoscope.ru/weekly/ssp/emp_lan_97_uezd.php?reg=533.

1073 ავთანდილ სონღულაშვილი. საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა. გამომცემლობა ,,უნივერსალი''. თბილისი. 2018. გვ. 165.

1074 მ. ხაზარაძე. მეცხენეობის საკითხები ქართულ წერილობით წყაროებში (,,დასტურლამალი''). ,,ანალები''. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი. გამომცემლობა ,,უნივერსალი''. თბილისი. 2005. გვ. 71.

1075 რ. ჩხეიძე. ბედი პავლე ინგოროყვასი. თბილისი. 1958. გვ. 47.

,,ატრაპატენა“-ს და კავკასიის ალბანეთის მიწა-წყალი, მოახდინეს ადგილობრივი ირანული და კავკასიური მოდგმის ტომების (ატროპატენელების და ალბანელების) ასიმილაცია.[1076]

არაბების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე არაერთხელ შემოიჭრნენ აქ ,,ჩამოსხდომის“ მიზნით: თურქ-სელჩუკები (XI-XII სს.), მონღოლ-თურქები (XIII-XIV სს.), ჩობანიანები, ჯალაირები, მცირე აზიის თურქები, თურქმანები (XIV-XV სს.), ოსმალები, ყიზილბაშები (XV-XVI სს.). ქართული და ირანულენოვანი წყაროების მიხედვით, ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ყაზახისგან, ბერდუჯის ქედი ჰყოფდა. სამხრეთით ქართლს ერევნის საბეგლარბეგო ეკვროდა, ხოლო ქართლის სამეფოს უკიდურესი სამხრეთი პროვინციები ლორე და ბამბაკი იყო. 1604 წელს შაჰ-აბას პირველმა ქართლის მეფეს წაართვა ლორე და დებედას ხეობა, სადაც ბორჩალუს ყიზილბაშური ტომები ჩაასახლა, ამიტომ ამ მხარეს ბორჩალოს სახელი დაუმკვიდრდა.[1077] ,,თურქ-აზერბაიჯანელთა“ ჩამოსახლებას ქართველი მეფეებიც უწყობდნენ ხელს. ასე მაგალითად, XVIII საუკუნის შუა ხანებში მეფე ერეკლემ მუღანის ველიდან სპარსთაგან შევიწროებული თურქმანების 250 ოჯახი გადმოასახლა, რომელთაც შეუქმნა სოფლები მუღანლო, ყაპანახჩი და ყიზილ-ჰანჯოლი. გადმოსახლებულ ყველა ოჯახს თავისი ფუნქცია ჰქონდა განსაზღვრული. ზოგს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის უნდა წაეშველებინა ხელი, ზოგს ვაჭრობა ან ხელოსნობა უნდა განევითარებინა, ზოგსაც მეომრის მოვალეობის შესრულება ჰქონდა დაკისრებული.

რაც შეეხება რუსებს და რუსული მოსახლეობის გაჩენას ამიერკავკასიის ტერიტორიებზე. ამ საკითხთან დაკავშირებული მთავარ თეზას შემდეგი სახე აქვს - ***მასობრივი კოლექტიური გადასახლებანი რუსულ სულს არ ახასიათებს.*** რუსული მოახალშენეობა არსებითად განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპული ანალოგიური მოძრაობებისგან. ეს განსხვავება უპირველეს ყოვლისა, საჩინო თვით გადასახლებების ხასიათში იყო. რუსები ემიგრანტების სახით კი არ ტოვებდნენ თავიანთ მიწებს, არამედ ისინი იკავებდნენ თავიანთ ყოფილ მეზობელთა სამკვიდრო ტერიტორიებს, რომლებიც იარაღის ძალით დაინარჩუნა მათმა ,,იმპერატორმა“. სხვანაირად რომ ვთქვათ, რუსული კოლონიზაციის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო ქვეყნის საზღვრების გაფართოება მეზობელი ტერიტორიების დაპყრობის ხარჯზე, რის შედეგადაც რუსული მოსახლეობის ცნობიერებაში ეს მიწები უკვე რუსულ მიწებად იწოდებოდა და წარმოადგენდნენ რუსეთისავე ერთგვარ ,,გაგრძელებას“, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მათ სწამდათ (და ახლაც სწამთ - ა. ჩ.), რომ ***რუსეთის სახელმწიფო საზღვარი გადის იქ, სადაც გადის რუსული ჯარის წინა ხაზი. უფრო სწორად, მათ მიაჩნიათ, რომ მხარე, სადაც ცხოვრობენ რუსები, სადაც ვრცელდება რუსული მმართველობა - უკვე რუსეთია.***[1078] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ქართული სამეფო-სამთავროების მოქცევის შემდეგ დღის წესრიგში დადგა რუსების საქართველოში ჩამოსახლების საკითხიც, რაც მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციას. რუსების ჩამოსახლებით მეფის ხელისუფლება ფიქრობდა, რომ მოხდებოდა მოსახლეობის ასიმილაცია და მოისპობოდა როგორც ქართული ენა, ასევე ქართული კულტურა და ქართველი ერი, როგორც ასეთი, და მაშინ ბატონობას ამ რეგიონში რუსეთისათვის პრობლემები აღარ ექნებოდა. ამ პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელებისთვის ყველაფერი კეთდებოდა მეფის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი მმართველების მიერ.[1079] მეტად

1076 ვახტანგ ითონიშვილი. კავკასია და კავკასიელები. თბილისი. 2007. გვ. 144.

1077 საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო''. თბილისი. 1973. გვ. 267.

1078 პ. ბუხრაშვილი. რუსული კოლონიური ცნობიერება და ამიერკავკასიის ეთნოპოლიტიკური რეალობა. კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე. II, მონრეალი-თბილისი. 2000. გვ. 73.

1079 ლ. თოგოშვილი. რუსული დასახლებების წარმოშობა დასავლეთ საქართველოში. ,,კლიო''. 1998. №3. გვ. 19.

საინტერესო და აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1803 წლისათვის თბილისში მცხოვრები მხოლოდ ერთი რუსული კომლია დაფიქსირებული, ბუნებრივია, ჯარისა და რუსი მოხელეების ჩაუთვლელად.[1080] იმპერიის მიერ რუსული მოახალშენეების საქართველოში ჩასახლება კი, პირველ რიგში, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო გაუკაცრიელებულ ძირძველ ქართული მიწებზე უნდა მომხდარიყო. ჩვენთვის საინტერესო აღმოსავლეთ საქაართველოში ასეთ მიწებს მიეკუთვნებოდა თრიალეთი, ქვემო ქართლი, ჯავახეთი.

ალგეთის ხეობა, რომელიც ძველ დროში თითქმის მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, XVIII საუკუნის ბოლოს გაუკაცრიელდა. თითქმის მთლიანად დაიცალა ძირძველი ქართული მიწები: ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, გუჯარეთი, ყაიყული. მეტად მცირე მოსახლეობა შემორჩა ქვემო ქართლის ცნობილ პროვინციებს საბარათიანოსა და სომხითს. საბოლოოდ დაკარგეს თავისი ფუნქციები და მთლიანად გაუკაცრიელდნენ ადრე ცნობილი ქალაქები: დმანისი, სამშვილდე და ასობით სასოფლო დასახლება. შესამჩნევად გაძლიერდა ქვემო ქართლიდან ქართველი მოსახლეობის გახიზვნა და მათ ყოფილ სოფლებში გარედან მოსული არაქართველების დასახლება.[1081]

XIX საუკუნიდან ეს რაიონი, და განსაკუთრებით მანგლისი თავისი შემოგარენით, ეთნიკურად აჭრელდა, მრავალეროვნული გახდა. ამ მოვლენებს ხელი შუწყო 1823 წელს რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოში რუსული საოკუპაციო ჯარების ერთ-ერთი მსხვილი შენაერთის მანგლისის ტერიტორიაზე განლაგებამ. მისი საჭიროებისათვის ყაზარმები და სხვა დამხმარე სათავსოები ააგეს. რუსული პოლკი, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელს ატარებდა (ბოლოს მას ალექსანდრ ნიკოლაევიჩის სახელობის პოლკს უწოდებდნენ), 90 წელი იყო დაბანაკებული მანგლისში და ბუნებრივია, დიდი გავლენა მოახდინა დაბის იერსახეზე, აქ მაცხოვრებელი ხალხის მეურნეობასა და ცხოვრების წესზე.[1082] რუსების მიზნობრივ დასახლებას საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით ფართო ასპარეზი 1837 წლიდან მიეცა, მას შემდეგ, რაც აქ სამხედრო კოლონიები დაარსდა. ეს კოლონიები იმ ჯარისკაცთაგან შეიქმნა, რომელთაც 15 წლის სამხედრო სამსახურის შემდეგ დაოჯახების უფლება ჰქონდათ.[1083] ყოველ პოლკთან ცოლ-შვილიან ჯარისკაცთა ასეული ჩამოყალიბდა. ასეთი ჯარისკაცებისათვის ქალებს რუსეთიდან აგზავნიდნენ. სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ კი, ეს ჯარისკაცები და მათი შთამომავლობა ადგილებზე რჩებოდა და აქ ფუძნდებოდა. ამგვარად, საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიებზე თანდათან თავისუფალ რუსთა დასახლებები - სლობოდები[1084] და სლობოდკები (პატარა სლობოდები) გაჩნდა. ამ პროცესების შედეგად, სამხედრო სამსახურმოხდილი რუსი ჯარისკაცები სახელმწიფო, ე.ი. თავისუფალი გლეხები ხდებოდნენ, რომლებიც ქართულ მიწებზე სახლდებოდნენ.

თრიალეთისა და მანგლისის მსგავსად მიმდინარეობდა დემოგრაფიული პროცესები ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთში, ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში, ლორე-ბამბაკის რაიონში. აქაც, რუსული იმპერიისათვის სასურველი დემოგრაფიული სურათის მისაღებად შესაბამისი ზომები იქნა გატარებული. საბოლოოდ, იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით, XIX საუკუნის განმავლობაში ლორე-ბამბაკის ზონაში ნელ-ნელა რუსული მოსახლეობა იკიდებს ფეხს, თუმცა, დომინანტურ მდგომარეობას მაინც სომხები ინარჩუნებდნენ. რეგიონში რუსული მოსახლეობის გაჩენის კვალდაკვალ, შესაბამისად ჩნდება რუსული ტოპონიმიკაც -

---

1080 შ. კაკურია. ქალაქ თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წლებში. თბილისი. 1979. გვ. 11.

1081 ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა. თბილისი. 1989. გვ. 55.

1082 თ. კალმახელიძე. მანგლისი. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი. 2001. გვ. 10.

1083 საქართველოს ისტორია (საკითხავი წიგნი). შემდგენელ-რედაქტორი გ. მელიქიშვილი. თბილისი. 1980. გვ. 254.

1084 თავად ტერმინი სლობოდა (რუს. Слобода́) სიტყვა „თავისუფლებიდან" (რუს. Свобода) მოდის.

ალექსანდროვკა, კამენკა, ვორონცოვკა, პრივოლნოე, სარატოვკა, მიხაილოვკა, პუშკინო, ფიოლეტოვო, მედოვკა და ა.შ.

ცალკე გამოყოფის ღირსია რუსი სექტანტების (დუხობორები, მოლოკნები, სტაროვოვერები ანუ სტაროვერები) გაჩენის საკითხი საქართველოსა და ზოგადად ამიერკავკასიაში, მაგრამ ამჯერად მას დაწვრილებით არ განვიხილავთ, რამეთუ აღნიშნული თემა საკმაოდ დიდი და მრავალწახნაგოვანია. ეს საკითხები სრულადაა წარმოადგენილი პროფესორ ავთანდილ სონღულაშვილის ზემოაღნიშნულ მონოგრაფიაში[1085] და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია იქ გაეცნოს მისთვის საინტერესო საკითხებს. ამ მიმართებაში, ვიტყვით მხოლოდ ერთს, რომ რუსი სექტანტების საქართველოში ჩამოსახლების პროცესი სულ სხვა პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და თუ გნებავთ, სამართლებრივ საფუძვლებს ეყრდნობოდა, ვიდრე ამას მართლმადიდებელ რუსებთან მიმართებაში ჰქონდა ადგილი. რუსი მეცნიერი და მკვლევარი, ნიკოლაი ნიკოლაევიჩ შავროვი, 1911 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში „Новая угроза русскому дълу въ Закавказъ: предстоящая распродажа Мугани инородцамъ“ (ამირკავკასიაში რუსული საქმის ახალი საფრთხე: უცხოელებზე მუღანის მომავალი გაყიდვა), წერს: „სხვადასხვა სექტანტების ჩასახლება ამიერკავკასიაში 1838 წელს დაიწყო და დაახლოებით 60-იანი წლების შუა ხანებში დასრულდა... მოლოკნებისა და სუბოტნიკების[1086] დასახლებები გაჩნდა გეოქჩაის (სევანის - ა. ჩ.) მაზრაში, ელიზავეტპოლის, ერივანის და ტიფლისის გუბერნიებში. და ბოლოს, სკოპცებით[1087] ფორმირებულ იქნა მუშა ბატალიონი რედუტ-კალედან[1088] რიონში და რიონის გასწვრივ, ქუთაისისა და ფოთის

1085 ავთანდილ სონღულაშვილი. საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა. გამომცემლობა „უნივერსალი". თბილისი. 2018. გვ. 523-551.

1086 სუბოტნიკები (რუს. Суббо́тники) – რუსეთში გავრცელებული რელიგიური მოძრაობა, რომლის მიმდევრები უარყოფენ საეკლესიო დოგმებს, იცავენ შაბათის წესებს და იუდაიზმის სხვა რიტუალებს, წინდაცვეთისა და ისრაელში გადასახლების ჩათვლით. ამ მიმდინარეობის ფართო გავრცელება ეკატერინე II-ის იმპერატორობის პერიოდს მიეკუთვნება. 1820-იან წლებში სუბოტნიკები ძირითადში რუსეთის ცენტრალურ – ვორონეჟის, ორიოლის, მოსკოვის, ტულისა და სარატოვის გუბერნიებში ცხოვრობდნენ. XIX საუკუნის დასაწყისიდან ისინი კონტაქტებს ამყარებენ აშკენაზელ ებრაელებთან და ყარაიმებთან. 1826 წლიდან დაიწყო მათი გადასახლების პროცესი კავკასიის მთისწინეთსა და ამიერკავკასიაში, ასევე ციმბირში - ირკუტსკის, ტობოლსკისა და ენისეის გუბერნიებში. XX საუკუნის 70-80-იან წლებში სუბოტნიკების დიდი ნაწილი ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად. რუსეთში მცხოვრები სუბოტნიკების ზუსტი რაოდენობა უცნობია. ზოგიერთი მონაცემით, ვორონეჟის ოლქში დღეისათვის 800 სუბოტნიკი ცხოვრობს.

1087 სკოპცები (რუს. Ско́пцы, თვითდასახელება: „агнцы Божьи" – ღვთის კრავები, „белые голуби" – „თეთრი მტრედები") – რუსულ მართლმადიდებლებში XVIII საუკუნეში გავრცელებული „სულიერი ქრისტიანების" მისტიური სექტა, სადაც კასტრაცია ღვთისნიერ საქმედ ითვლებოდა. თავისი მსოფლმხედველობით ახლოს იდგნენ ხლისტებთან, ხოლო წეს-ჩვეულებებით – სტაროობრიადცებთან. სკოპცები თვლიდნენ, რომ სულის გადარჩენის ერთადერთი გზა საკუთარი სხეულის გვემა იყო, რომელიც კასტრაციაში გამოიხატებოდა. სკოპცები ცხოვრობდნენ ტამბოვის, კურსკის, ორიოლის გუბერნიებში. სკოპცებში მხოლოდ რუსები მიიღებოდნენ. ეს სექტა განსაკუთრებით გავრცელდა პეტრე I-ის დროს. მეფის რუსეთში სკოპცები დევნას განიცდიდნენ და მათ წევრებს ციმბირში ასახლებდნენ. საბჭოთა კავშირში ეს სექტა აკრძალული იყო. დღეისათვის სკოპცების გარკვეული რაოდენობა ცხოვრობს მოსკოვში, სტავროპოლის მხარეში, ორიოლსა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

1088 რედუტ-კალე – ქალაქი-სიმაგრე და ნავსადგური დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მდებარეობდა მდინარე ხობისწყლის შესართავში, ახლანდელი სოფელ ყულევის ადგილზე. გამაგრებული პუნქტის აგებას 1804 წლიდან დადიანების ნებართვით ხელმძღვანელობდა ასტრახანის სამხედრო გუბერნატორი და საქართველოს მთავარმართებელი, ინფანტერიის გენერალი პაველ ციციანოვი (პავლე ციციშვილი). მის დანიშნულებას სამეგრელოს დაცვა წარმოადგენდა ოსმალებისაგან. ქალაქის გარშემო აღმართულ იქნა დამცავი მიწაყრილი – რედუტი, და სწორედ აქედან მომდინარეობს მისი დასახელება. რედუტ-კალე დასავლეთ საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარის მთავარ სასურსათო ბაზას წარმოადგენდა. ამავე დროს, იგი ხმელთაშუა, აზოვის და

მიმართულებით ბარჟების ბუქსირებისთვის. მართლმადიდებლები კი, მცირე რაოდენობით სახლდებოდნენ ქალაქებში: ქუთაისი, ფოთი, ოზურგეთი და სოხუმი".[1089] მთლიანად კი, 1886 წლის აღწერით, თბილისის გუბერნიაში 35750 რუსი ცხოვრობდა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში - 4907. მაგრამ უკვე 1897 წლისათვის რუსების რაოდენობამ საქართველოში 98 ათასს გადააჭარბა.[1090] დუხობორებთან მიმართებაში კი, ამიერკავკასიის მასშტაბით, შემდეგ სტატისტიკურ მონაცემებთან გვაქვს საქმე: 1886 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, ამიერკავკასიაში 13 ათასი დუხობორი ცხოვრობდა, მათგან თბილისის გუბერნიაში - 7123 კაცი, ელიზავეტპოლის გუბერნიაში - 2280, ყარსის გუბერნიაში - 3396, და ერევნისაში - 200 კაცი.[1091]

საერთო ჯამში, XX საუკუნის 10-იანი წლებისათვის ისტორიული ქვემო ქართლის ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი ძირითადად სომხებით იყო დასახლებული, მცირეოდენი რუსული მოსახლეობით, ხოლო ჩრდილოეთი ნაწილი, ძირითადში - თათრებით, სომხებითა და ქართველებით, აგრეთვე მცირე რაოდენობით - რუსებითა და გერმანელებით. რუსი სექტანტებით კი, ძირითადში დუხობორებით, ჯავახეთის ახალქალაქის მაზრის შემდეგი სოფლები იყო დასახლებული - ტროიცკოე, ეფრემოვკა, გორელოვკა, როდიონოვკა, ორლოვკა, ბოგდანოვკა, სპასოვკა, კალინინო, ტამბოვკა.

შავი ზღვის პორტებიდან შემოსული საქონლის შუალედური ბაზაც იყო ამიერკავკასიისათვის. სწორედ აქ ხებოდა სანაპირო ზოლში ევროპიდან შემოსული ხომალდების დაცლა და შემდგომ მათი ტვირთების თბილისში გადაგზავნა. თავდაპირველად რედუტ-კალე ციხე-სიმაგრედ იწოდებოდა, ხოლო 1840 წლიდან იგი ქალაქად იქცა. 1853-1856 წლების ყირიმის ომის დროს რედუტ-კალე თურქებმა დაიკავეს, მაგრამ პარიზის საზავო ხელშეკრულების ძალით მალევე დათმეს იგი, თუმცა ქალაქიდან გასვლისას იგი გადაწვეს. ამის შემდეგ რედუტ-კალეს მნიშვნელობა ნელ-ნელა დაეცა და დასავლეთ საქართველოში შავი ზღვის სანაპიროზე დაწინაურდნენ ქალაქი ნავსადგურები ფოთი და სოხუმი. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ რედუტ-კალეს ყულევი ეწოდა. II მსოფლიო ომის დროს ყულევში, მდინარე ხობისწყლის შესართავში მდებარეობდა საბჭოთა კავშირის შავი ზღვის ფლოტის სამხედრო-საზღვაო ბაზა.

1089 Н. Н. Шавров. Новая угроза русскому дълу въ Закавказъ: предстоящая распродажа Мугани инородцамъ. Изд аніе русского собрания. Типографія редакціи періодическихъ изданій Министерства Финансовъ. С.-Петербургъ. 1911. Стр. 63. https://www.prlib.ru/item/429115

1090 ანზორ თოთაძე. საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი. თბილისი. 1993. გვ. 13.

1091 Бредихин Антон Викторович - Политолог, аспирант кафедры стран постсоветского зарубежья РГГУ. Духоборы: Грузинский Форпост «Русского мира». https://www.ruvek.ru/publications/dukhobory_gruzinskiy_forpost_russkogo_mira_9548/

§3.3. დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიული გეგმები

სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, ქართველთათვის კრიტიკულ მომენტში, კერძოდ, 1918 წლის 19 დეკემბერს, გაზეთ ,,საქართველოს" 243-ე ნომერში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის, ბატონ სპირიდონ კედიას[1092] წერილი გამოქვეყნდა, სადაც იგი სომხეთ-საქართველოს მიმდინარე ომს აძლევდა შეფასებას და ამ ომის შედეგების გარკვეულ პროგნოზსაც აკეთებდა. ამონარიდი ამ საგაზეთო პუბლიკაციიდან:

,,ეს პირველი ომია ქართველისა და სომხისა. მხოლოდ ღალატს და უთაურობას შეუძლია შეცვალოს ისტორიის განაჩენი. გამარჯვება უნდა ეკუთვნოდეს მამაც და სამართლიანობის მატარებელ ხალხს, ორივე ეს თვისება აქვს საქართველოს. უმადურობა და მუხანათობა უნდა დაისაჯოს - და თუ არასდროს არ ყოფილა გამარჯვებული სომხეთის ხმალი, მოღალატე დაშნაკელების ხელში მაინც ვერასდროს ვერ გაიმარჯვებს. ქართველს ხალხს ეს ომი დაუკარგავს ილუზიების რწმენას სომხების კეთილმეზობლობაზე და მეტ ენერგიას მისცემს სახელმწიფო შემოქმედებას. აგრეთვე, ერთხელ და სამუდამოდ შემოიხაზება მისი სახელმწიფო საზღვრები, რომ შემდეგისათვის ადგილი არ ჰქონდეს ირინდენტიზმის[1093] შხამიან ფაქტს".[1094]

1092 სპირიდონ კედია (1884-1948წ.წ.) – ცნობილი ქართველი პოლიტიკური, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ძველი რევოლუციონერი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი თავმჯდომარე. დაიბადა ქუთაისის გუბერნიის ქალაქ ზუგდიდში. სწავლობდა ზუგდიდის საქალაქო სასწავლებელში, 1898 წლიდან – ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. აქვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1905 წლის რევოლუციის დროს ხელმძღვანელობდა გიმნაზიელთა გამოსვლებს, რის გამოც სასწავლებლიდან გარიცხეს. საქართველოს თავისუფლების იდეამ იგი სოციალისტ-ფედერალისტებთან დააკავშირა, მაგრამ მალევე ჩამოშორდა, რადგან მათ სოციალისტურ იდეებს არ იზიარებდა. ჟანდარმერიის დევნის გამო იმალებოდა სვანეთში. 1906 წლის ბოლოს მალულად ტოვებს საქართველოს, მიდის ემიგრაციაში და ხდება პარიზის ,,კოლეჟ დე ფრანსის" თავისუფალი მსმენელი. შემდეგ სწავლობდა ტულუზის უნივერსიტეტში, საბოლოოდ კი, დაამთავრა მონპელიეს უნივერსიტეტი. სორბონას უნივერსიტეტში მუშაობდა ფიზიოლოგიის დოქტორის ხარისხზე. I მსოფლიო ომის წინ ჩამოდის რუსეთში, სადაც აპატიმრებენ და სვამენ კრონშტადტის ციხეში. 1914 წელს ათავისუფლებენ და ჩამოდის თბილისში. 1915 წელს აარსებს გაზეთ ,,საქართველოს". ილია ჭავჭავაძის სულიერ მემკვიდრეობაზე აღზრდილმა სპირიდონ კედიამ ეროვნული და დემოკრატიული ძალების გაერთიანებისა და პარტიის ჩამოყალიბების გეგმა შეიმუშავა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, იმავე წლის ივნისში იქმნება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის თავმჯდომარედაც სპირიდონ კედიას ირჩევენ. 1918 წლის მაისში მონაწილეობდა ამიერკავკასია-ოსმალეთის ბათუმის სამშვიდობო კონფერენციის მუშაობაში, საიდანაც გაიგზავნა გერმანიაში, როგორც საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი. 1918-1921 წლებში იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, იგი საქართველოდან არ მიდის და რჩება სამშობლოში. ამ პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზებაში. მისი თავმჯდომარეობით დაარსდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტი. 1922 წელს აპატიმრებენ, შემდეგ კი, იძულების წესით ასახლებენ საქართველოდან. ცხოვრობდა ჯერ კონსტანტინოპოლში, შემდეგ საფრანგეთში. ემიგრაციის პერიოდში მოღვაწეობდა პარიზში, სადაც აგრძელებდა პოლიტიკურ მოღვაწეობას. ემიგრაციაში 1925 წელს დააარსა ჟურნალი ,,სამშობლოსათვის", 1932 წელს კი – გაზეთი ,,საქართველოს გუშაგი". II მსოფლიო ომის დროს აქტიურად თანამშრომლობდა გერმანიის მიერ შექმნილ ქართულ ეროვნულ კომიტეტში. გარდაიცვალა 1948 წელს. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

1093 ირედენტიზმი იტალური წარმოშობის ტერმინია (იტალ. Irredento) და პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს გამოსასყიდს, ასანაზღაურებელს, დასაბრუნებელს. ირედენტიზმი იყო პოლიტიკური მოძრაობა XIX-XX საუკუნეების მიჯნის იტალიაში, რომელიც მიზნად ისახავდა იტალიის გაერთიანების შემდეგ საზღვრებს გარეთ დარჩენილი ტერიტორიების – ტრიესტი, ტრენტინო, ალტო-ადიჯე – იტალიისათვის მიერთებას, რომლებიც ძირითადად ეთნიკური იტალიელებით იყო დასახლებული. თანამედროვე გაგებით

მოცემულ საკითხთან მიმართებაში დაახლოებით იმავე პოზიციაზე დადგნენ ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები, რომელთა სულისკვეთებაც კარგად ჩანს პარტიის ბეჭდვით ორგანოში, გაზეთ ,,სახალხო საქმეში“ 1918 წლის 25 დეკემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით ,,მუწუკი უნდა მოვიშოროთ“. სტატიაში ვკითხულობთ:

,,ვინ არ უწყის თუ როგორის ლოიალობით ექცეოდა საქართველოს არა თუ მეოცე საუკუნის სოციალისტური მთავრობა სომხეთს, არამედ ძველად, როცა ჩვენი ისტორია ჯერ კიდევ არქივის თახჩაზე არ იყო შემოდებული... ეს იმიტომ, რომ ქართველი ერი ბუნებით დემოკრატიულია და მას სხვის უბედურებაზე თავის ბედნიერების აშენება არ უყვარს.

მიუხედავად ამისა, სომხები ყოველი ღონის ძიებით სცდილობდნენ ჩვენი ერის დამხობა-დასამარებას და საქართველოს მოსასპობად თვით ეშმაკსაც კი შეუერთდებოდნენ.

ასე იყო ძველად, ასე იყო მაშინაც, როცა დამარცხებულმა საქართველომ თავისი პოლიტიკური ,,მე“-ობა დაჰკარგა და ჩრდილოეთის დათვს მიეკედლა.

სომხების პოლიტიკა ყოველთვის რუსი ,,ნამესტნიკების“ გეზით მიმდინარეობდა და მათი მოქმედება რუსის მოხელეების მოქმედებასთან იყო შეფარდებული. და ასე მოხდა მაშინაც, როცა რუსების აბსოლუტიზმი დამარცხდა და მის ნანგრევებზე თავისუფლების დროშა აფრიალდა. ,,დაშნაკელების“ ხელმძღვანელობით სომხის ერი ძველს, რეაქციის დროს და ეხლაც რევოლუციის დროს, ბრმა პოლიტიკას აწარმოებდა და მერყეობას განიცდიდა.

და თუ წინათ ხატისოვები ვორონცოვებს ფეხქვეშ ექელებოდნენ და მოწყალებას სთხოვდნენ, ეხლა კაჩაზნუნები და ტიგრანიანები ხან ბაქოს ბოლშევიკებს უძვრებოდნენ უბეში, ხან კი საქართველოს თავზე შავრაზმელ დენიკინს უწოდებდნენ ხელს. და მათ ყოველთვის ერთი მიზანი ჰქონდათ. ეს მიზანი არის - საქართველოს დამხობა და ,,დიდი სომხეთის“ დაარსება...

დღეს ის მუწუკი, რომელიც ჩვენ ყოველთვის გვაწუხებდა, გასკდა. და იმ ჭრილობას, რომელიც მოჰყვა ამ მუწუკის გასკდომას, მხოლოდ ერთი მალამო უშველის. ეს მალამოა ხმალი მათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენს წინააღმდეგ ხმალი იშიშვლა“...[1095]

სამწუხაროდ, მართალი აღმოჩნდა ბატონი სპირიდონის ნააზრევიც და მისი წინასწარმეტყველებაც. მართალი იყო ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა შეფასებებიც. ***დიახ, მხოლოდ ღალატსა და უთაურობას შეეძლო შეეცვალა ისტორიის განაჩენი, რაც სამწუხაროდ, ასეც მოხდა.*** საქართველოს მენშევიკური მთავრობა არ აღმოჩნდა ის ეროვნული ძალა, რომელიც საქართველოსა და ქართველ ხალხს გაამარჯვებინებდა, რომლის იდეოლოგიის მთავარი ამოსავალი წერტილიც ეროვნული იდეა იქნებოდა და არა ინფანტილური დემოკრატიისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობა. საქართველოსა და სომხეთის მარადიული კეთილმეზობლობისა და მათ შორის ომების არარსებობის დეკლარირების საკითხშიც ცდებოდა, სამწუხაროდ, ბატონი სპირიდონი. ქართველ-სომეხთა ურთიერთობების შეფასებაში, ბევრი ცდებოდა წარსულშიც და ბევრი ცდება დღესაც.

ირედენტიზმი არის მოძრაობა, რომელიც მოითხოვს ხალხების, ერებისა და ეთნოსების გაერთიანებას. ეს არის სახელმწიფოს მიერ ,,ადრე დაკარგული“ მიწების დაბრუნებისა და შემოერთების მოთხოვნა. ირედენტიზმის მაგალითია მთიანი ყარაბაღის სომხეთთან მიერთების ან ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის'' (ცხინვალის რეგიონის) ჩრდილოეთ ოსეთთან მიერთების მოთხოვნა. ირედენტიზმის რეალიზაცია ძალით, სუვერენულ სახელმწიფოთა თანხმობის გარეშე, არაკანონიერი ქმედებაა, რადგან იგი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ძირითად და საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. რეგიონები, რომლებიც ეთნიკურად ან ისტორიულად ეკუთვნის ერთ სახელმწიფოს, თუმცა კონტროლირდება სხვა სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური ან სხვა მექანიზმებით, იწოდებიან ირედენტებად.

1094 გაზეთი ,,საქართველო''. №243. ქრისტეშობისთვის 19. 1918.

1095 გაზეთი ,,სახალხო საქმე''. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. 1918 წ. ოთხშაბათი. დეკემბრის 25. №416. გვ. 3.

ისტორიული რეალობა კი ის არის, რომ როგორც კი სომხები სახელმწიფოებრივი, და შესაბამისად, სამხედრო ძლიერების გარკვეულ დონეს მიაღწევდნენ, უმალ იწყებდნენ შეიარაღებულ აგრესიას მეზობლების, მათ შორის ქართველების წინააღმდეგ. ხოლო სხვადასხვა სახელმწიფოების სომხური დიასპორები, ნებისმიერი ხელსაყრელი პირობების დადგომის შემთხვევაში, უმალ გადაიქცეოდნენ ,,მეხუთე კოლონებად'' და ამ ქვეყნების სახელმწიფოებრიობას უთხრიდნენ ძირს. ასე იყო ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში, ტიგრან II-ის მეფობის დროს, როცა სომხეთმა საქართველოს სწორედ ისტორიული ქვემო ქართლის ნაწილი, ლორე-ტაშირი (,,ქართველთა ველი") ჩამოაჭრა. ასე იყო IX საუკუნეში, აშოტ I-ის მეფობის დროსაც, როცა სომხებმა განმეორებით დაიპყრეს იგივე მხარე და დამატებით საქართველოს ტაო-კლარჯეთის მნიშვნელოვანი ტერიტორიებიც მიისაკუთრეს.

სომხებს ასეთი სახელმწიფოებრივი ძლიერების პერიოდი სულ ორჯერ ჰქონდათ და ორივეჯერ გამოილაშქრეს ქართველთა წინააღმდეგ. ძნელად დასაჯერებელია, რომ ეს ისტორიული ფაქტები ცნობილი არ ყოფილიყო ბატონი სპირიდონისათვის. რა მოკლე ისტორიული მეხსიერება გვქონია ქართველებს სხვისგან მოყენებული ტკივილების დავიწყებაში. უდავოა, ეს ქართული, ყოვლად გაუმართლებელი და მეტად საზიანო ტოლერანტული განწყობების ბრალია უცხო ტომთა მიმართ. სწორედ ზემოთ თქმულის დასტურია ისიც, რომ არა თუ ასწლეულების წინ, არამედ სულ რაღაც ერთი საუკუნის წინ სომხეთ-საქართველოს შორის წარმოებული ომის რეალური ისტორია დღევანდელი საქართველოს სინამდვილეშიც ძალიან ცოტამ თუ იცის და ახსოვს. უკვე ძალიან ცოტას თუ ტკივა ის ტკივილი, რასაც ამ ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნა და ძირძველი ქართული მიწების ყივილი ჰქვია. დავიწყებული ისტორია კი ბუნდოვანი მომავლის წინაპირობაა. მსგავსი ტენდენციები კი, ძალიან სახიფათოა. სომხეთთან მიმართებაში კი, ეს სახიფათოა ორმაგად, რადგან ამიერკავკასიასა და საქართველოში შექმნილი დღევანდელი სიტუაცია ძალიან ჰგავს XX საუკუნის დასაწყისისათვის რეგიონში არსებულ მდგომარეობას.

ამ მოკლევადიან ორ გამონათებას შორის ასწლეულების განმავლობაში, სომხური ეთნოსი, როგორც ასეთი, ხიზანთა და ლტოლვილთა სახით განუწყვეტელ მიგრაციას განიცდიდა რეგიონალური და გლობალური მასშტაბებით. ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსივობით ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში ხდებოდა. ამ მძიმე პროცესებს, მიუხედავად სომხების მიერ ათვისებული მიწების სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა, სომეხთა სოციალური კეთილდღეობისადმი მისწრაფებისა და შემგუებლობის თანდაყოლილი გრძნობა-ინსტინქტი აადვილებდა. ჩვენი ამ შეფასების არგუმენტირებისათვის, მიკერძოებასა და ტენდენციურობაში რომ არ დაგვდონ ბრალი, ისევ სომეხი ავტორის ციტატას დავიმოწმებთ. აი, რას ამბობს თავის თანამემამულეებზე XIX საუკუნის ცნობილი სომეხი ისტორიკოსი და დიპლომატი, მწერალი და ენათმეცნიერი ალექსანდრ ხუდობაშევი (Алекса́ндр Мака́рович Худоба́шев): ,,სომხები ადვილად ხდებიან კოსმოპოლიტები, ისინი ადვილად წყდებიან იმ მიწას, სადაც დაიბადნენ. საკუთარი მიწა-წყლის დაცვას, ამ მიწა-წყლის დატოვებას ამჯობინებენ. ქვეყნიერების ნებისმიერი კუთხე მათ თავის ბუნებრივ საცხოვრისად მიაჩნიათ, სადაც თავისუფლად შეძლებენ საკუთარი აღმსარებლობის ასრულებასა და ამქვეყნიური სიამეებით დატკბობას".[1096]

1836 წელს უმაღლესი განკარგულებით გამოცემულ ,,კავკასიის გადაღმა რუსეთის სამფლობელოების მიმოხილვაში" (,,Обозрение российских владений за Кавказом"), 197-199 გვერდებზე საუბარია იმაზე, რომ ,,სომხებმა, რომლებიც მოსეს ხალხის მსგავსად, დედამიწის ზურგზე დაიფანტნენ, სიმდიდრის შეგროვებისას ვერ შეძლეს თავიანთი მიწით ტკბობა. აქედან მომდინარეობს სომეხთა უხასიათობის მიზეზი: ისინი კოსმოპოლიტები გახდნენ; მისი სამშობლო ის ქვეყანა გახდა, სადაც უსაფრთხოდ და მეტი მოგებით შეუძლია გამოიყენოს თავისი ეშმაკური

[1096] М. Ахов. Россія и армяне. С.-Петербургъ. 1897. გვ. 4–5.

გონება. მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეიმჩნევა მისი სულიერი სიმხდალე; საჭიროა ძალიან აშკარა, ძალიან დიდი სარგებლის მიღება, რომ სომეხმა რაიმე მნიშვნელოვანი სავაჭრო საქმე წამოიწყოს. თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც კი, შეძენილი ქონების დაკარგვის შიში ხშირად არის წამოწყებული საქმიანობის წარუმატებლობის მიზეზი".[1097] სრული და ამომწურავი შეფასებაა მოცემული სომხური ეთნოსის მომხვეჭელური, ამავე დროს შემგუებლური ინსტინქტებისა და მათი ,,მებრძოლი სულის'' შესახებ, თუმცა კი იმაში ვერ დავეთანხმებით ავტორებს, რომ ,,სომხები ადვილად ხდებიან კოსმოპოლიტები''. ***არა, სომხები არა თუ ადვილად, არამედ არასდროს არ ხდებიან და არც გამხდარან კოსმოპოლიტები. სწორედ ამ ფენომენშია განივთებული იმ ყბადაღებული ,,სომხური საკითხის'' ცნება, რომელიც წითელი ხაზივით გასდევს ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომს.*** მიუხედავად წარმოშობისა და დაბადების ადგილისა, მიუხედავად განვლილი ისტორიული გზისა, გეოგრაფიული საცხოვრისის მდებარეობისა და სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა, მიუხედავად ქვეშევრდომობისა და მოქალაქეობისა, სომეხი ყველგან სომხად რჩება თავისი ენით, მრწამსით, სარწმუნოებით, კულტურით, ეროვნული სულით, ინტერესებით, ცნობიერებითა და მიზნებით. იგი ყოველთვის ინარჩუნებს თავის ნაციონალურ თუ კონფესიურ თვითმყოფადობას და ყოველთვის სრულ მზადყოფნაშია დიადი სომხური იდეის ფრთაშესხმისათვის. სწორედ ესაა ყველაზე არსებითი პრობლემა და ყურადსაღები ფაქტორი ,,სომხური საკითხის'' ფენომენის განხილვისას.

როგორც ნაშრომის შესაბამის პარაგრაფში აღვნიშნეთ, ზუსტად აღწერს სომეხთა არსებობისა და ცხოვრების წესს, რუსი ეთნოგრაფი და ლინგვისტი, ლეონარდ ზაგურსკი: ,,აქ უნდა აღინიშნოს, რომ სომხებს აქვთ ჩვევა (ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის დაკარგვამდე შეძენილი) - ადვილად მიატოვონ თავიანთი სამშობლო და ხალისით დასახლდნენ ქვეყნებში, რომლებიც მათ მატერიალურ სარგებელს პირდება. გადასახლებისთანავე ისინი აგებენ (აგრეთვე ითვისებენ - ა. ჩ.) ეკლესიებს, რომლებშიც, ჩვეულებრივ, განათავსებენ წინა სამშობლოდან წამოღებულ ძველებურ საეკლესიო წიგნებს. შემდეგ ისინი სახლდებიან ეკლესიების გარშემო, იძენენ უძრავ ქონებას, ხელში იგდებენ ვაჭრობას და მშვენივრად ეგუებიან ახალი ქვეყნის პირობებს. მათში კარგად განვითარებული თემური სულის წყალობით, სომხები აყალიბებენ მეტ-ნაკლებად იზოლირებულ თემებს, რომლებიც არ ასიმილირდებიან აბორიგენებთან და ინარჩუნებენ თავიანთი ნაციონალური ხასიათის ძირითად თვისებებს. ამიტომ გასაკვირი არაა, თუ ქვეყანა, რომელშიც მნიშვნელოვანი რაოდენობით დამკვიდრდა ეს საქმოსანი და კოლონიზატორული ხალხი, ნელ-ნელა ისეთ სახეს ღებულობს, თითქოს ის ოდითგანვე სომხებით იყო დასახლებული".[1098]

მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს ამონარიდი უკვე მეორედ გავიმეორეთ ჩვენს ნაშრომში. და ყოველგვარი შენიშვნების გარეშე ვეთანხმებით ავტორის მოსაზრებებს. ეს კი, პოლონური წარმომავლობის ცნობილი რუსი პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, ლიტერატორი და დრამატურგი, ალექსანდრ გრიბოედოვია, რუსეთის იმპერიის ელჩი სპარსეთში, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა კავკასიას და სომხებს. დაპყრობილი ამიერკავკასიის ტერიტორიებზე მათი გადმოსახლებით გრიბოედოვმა ძალიან ბევრიც გააკეთა სომეხთა სასიკეთოდ, მაგრამ ბოლოს მაინც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მუსლიმების განდევნა საკუთარი სახლებიდან და მათ საცხოვრისზე სომხების ჩასახლება, იმპერიის მიერ გატარებული ეს ქმედებები არა მარტო ახლომხედველი, არამედ არასამართლიანი პოლიტიკაც იყო. იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში იგი აშკარა საშიშროებას

1097 Обозрение российских владений за Кавказом, в статистическом, этногафическом, топографическом и финансовом отношениях: монография. Санкт-Петербург: Типография Департамента Внешней Торговли, 1836. https://iberiana.wordpress.com/ armenia-georgia/somxebi/

1098 უჩა ბლუაშვილი. არსებობს თუ არა არმენოფობია საქართველოში? გამომცემლობა ,,ინტელექტი''. თბილისი. 2006. გვ. 13–14. ლეონიდ ზაგურსკი. მგზავრობა ახალქალაქის მაზრაში. 1872 წ. ტფილისი, 1873. გვ. 64.

გრძნობდა სომეხთა ჩამოსახლების გამო. იგი შეშფოთებას გამოთქვამდა და აღნიშნავდა: ,,სომხები სამუდამოდ დაეპატრონებიან იმ მიწებს, სადაც ისინი შევუშვით“.[1099]

იფარავდა სომხებს ესა თუ ის ქვეყანა და საკუთარი მიწიდან აყრილი ჰაოსის დევნილი ნაშიერი სახლდებოდა უცხო ქვეყნების მიტოვებულ და ნაკლებად დასახლებულ, და როგორც წესი, მთიან რეგიონებში. შემდეგ კი კულტურულ-რელიგიური და სოციალურ-ეკონომიკური ექსპანსიის ხარჯზე, სომხური პოპულაციის თანდათანობითი გაზრდის, სტატისტიკური მონაცემებით მანიპულაციებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ხელოვნური ასიმილაციის გზით იწყებდა კულტურული, ეროვნული და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნების წამოყენებას. ნებისმიერი ხელსაყრელი პირობების დადგომის შემთხვევაში კი, იწყებდა ძირგამომთხრელ საქმიანობას, აწყობდა შეთქმულებებს, აჯანყებებს და იწყებდა ომს იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელსაც იგი იყო შეფარებული...

და აარსებდნენ უცხო სახელმწიფოთა მიწებზე სომეხი ლტოლვილები სომხურ თემებს, ,,სამთავროებსა” თუ ,,სამეფოებს”. და მოგზაურობდნენ შესაბამისად ამ ე.წ. ,,სომხური სახელმწიფოებისა” და ,,სომხური სამეფოების” დედაქალაქები არარატის ზეგნიდან (არმავირი - ძვ. წთ. აღ. III საუკუნე და არტაშატა - ძვ. წთ. აღ. ტიგროსისაკენ (ტიგრანაკერტი, ძვ. წთ. აღ. I საუკუნე), ტიგროსიდან არარატის ველისაკენ (ვაღარშაპატი - ძვ. წთ. აღ. II საუკუნე და დვინი - IV საუკუნე), არარატის ველიდან ტაო-კლარჯეთისაკენ (არშაკავანი - V საუკუნე, ყარსი და ანისი - X საუკუნე) (ქართული მიწებისაკენ!), ტაო-კლარჯეთიდან ქილიკიისაკენ (მარაში - XI საუკუნე, ტარსოსი - XII საუკუნე და სისი - XIII საუკუნე), ქილიკიიდან ისევ არარატის ველისაკენ (ერივანი, 1918 წ), არარატის ველიდან ისევ... ქართული მიწებისაკენ? (არზრუმი? ტფილისი?, 1919წ.?)... ყოველ შემთხვევაში, ციკლური პროცესების თანმიმდევრობის ლოგიკა ამაზე მიუთითებს.

რა თქმა უნდა, დღეს შეიძლება სასაცილოდ და არასერიოზულადაც კი ჟღერდეს ის მოსაზრება, მაგრამ XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოსათვის დაშნაკთა მიერ ახალი სომხური სახელმწიფოს დედაქალაქის თბილისში გადმოტანის საშიშროება მართლაც იდგა დღის წესრიგში. მაგრამ ამ საკითხის შესახებ იმდროინდელ ოფიციალურ გამოსვლებშიც რომ მსჯელობდნენ - ესეც ფაქტია. ბატონ სპირიდონ კედიას საპარლამენტო გამოსვლიდან: ,,აქ მარტო ბორჩალო-ახალქალაქის საკითხი არ არის. აქ ტფილისის საკითხია. მეტიც, რასიული იდეის ბატონობის საკითხია. საქართველოში ერთმბრძანებლობა ვის უნდა ეპყრას შეუცილებლად, საქართველოს იდეას თუ სომხეთის იდეას? ეროვნული არსობისა, ეროვნული ყოფნა-არყოფნის საკითხია, ამიტომ შეუბრალებელი და შეუდრეკელი უნდა იყოს საქართველოს მახვილის მრისხანება”.[1100] მეორე ქართველი ეროვნულ-დემოკრატი, ბატონი გრიგოლ ვეშაპელი[1101] კი, აცხადებდა: ,,საშინაო

1099 А. С. Грибоедов. Записки о переселении армян из Персии в наши области в 1828 г.; Грибоедов А. С. Сочинения в двух томах. Т. 2. М., 1971. Стр. 132.

1100 გაზეთი ,,საქართველო”. ქრისტეშობისთვის 31. №253.

1101 გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე) (1892-1926წ.წ.) – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი, მწერალი და პუბლიცისტი. დაიბადა შორაპნის მაზრის სოფელ საირხეში. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1916 წელს. შემდეგ სწავლობდა იგივე უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, თუმცა იგი არ დაუმთავრებია. იყო მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს გამგეობისა და ქართული კოლონიის კულტურული და სამეცნიერო საზოგადოების წევრი. მონაწილეობდა სტუდენტურ მოძრაობაში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბრუნდება საქართველოში. 1917-1918 წლებში იყო გაზეთ ,,საქართველოს'' რედაქტორი. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნებაში, იყო ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ქართველთა ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი. სეიმის საქართველოს პარლამენტად გარდაქმნის შემდეგ კი, მისი ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე. 1919 წელს აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად და დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარედ. ამ პერიოდში აქტიურად იყო

პოლიტიკა სოციალ-დემოკრატიისა იყო და არის დამყარებული ნახევრად ბოლშევიკურ კანონმდებლობასა და წოდებრივი ბრძოლის (იგულისხმება კლასთა ბრძოლა - ა. ჩ.) გაღვივებაზე. ამიტომაც დღეს ქართული ხაზინა, ქართული ყაზარმები ცარიელია და სომხების შემოსევის მოლოდინით თფილისი დღეს ასეთ გაწამაწიაში არის...

ქართველ სოციალ-დემოკრატებს არ უნდათ მიხვდნენ, თუ როგორ შეურიგებელია საქართველოსა და სომხების ინტერესები: სომხებს ოსმალეთი კავკასიისკენ სდევნის. კავკასიაში მოგროვილ სომხებს კი ცენტრი უნდათ, და ასეთ ცენტრად მათ უკვე გადააქციეს ჩვენი თფილისი; მთელი პოლიტიკა სომხობისა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ ერევანსა და თფილისის შუა მდებარე ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები გაასომხონ და მერმე თფილისი ხელში ჩაიგდონ. სომხების ბუნებრივი მოკავშირე არის ოსობა, რომელიც ასეთსავე პლანს ანხორციელებს ჩრდილოეთიდან, და რუსობა, რომელსაც ყველაფერი ურჩევნია, ოღონდ კი არა თავისუფალი საქართველო. დღეს სომხებს ინგლისის მხარის დაჭერის იმედიც მიეცათ და პირდაპირ ომს გვიცხადებენ!"[1102]

საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სომხებისა და ქართველების ურთიერთობათა საკითხების საერთო შეფასებაში, მართალია ცოტა გადაჭარბებული, მაგრამ ყველაზე უფრო რეალისტური და პატრიოტული პოზიციები თავიდანვე ქართველ ეროვნულ-დემოკრატებს ეჭირათ და ეპოქის მაჯისცემასაც ყველაზე სწორად ისინი აღიქვამდნენ. ქართველი სოციალ-დემოკრატები კი, საქართველოს მმართველი პოლიტიკური ელიტა, მარქსიზმის, ინტერნაციონალიზმისა და დემოკრატიის ეფემერული იდეებით იყვნენ შთაგონებულნი და სამყაროსაც ჰუმანიზმის ვარდისფერი სათვალეებით აღიქვამდნენ.

ქართველი ეროვნულ-დემოკრატები სომეხ დაშნაკთა აგრესიული საგარეო პოლიტიკის შესახებ არა მხოლოდ რეალისტურ შეფასებებს იძლეოდნენ, არამედ ამ პრობლემის რადიკალური გადაჭრის გზებსაც სთავაზობდნენ საქართველოს მთავრობას: ,,შემოვიკრიბოთ რაც რომ სამხედრო ძალა გვაბადია, თუ არ გვყოფნის, შევეკრათ კავშირით ადერბეიჯანსა და მთიულეთს[1103] და ერთხელ და სამუდამოდ გავუჭყლიტოთ თავი სომხურ პოლიტიკას: გავსწმინდოთ ულმობლად ჩვენი დედაქალაქი შემოხიზნულ სომხებისაგან და შემოსეულ სომხურ ჯარებთან ერთად საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სომეხი კოლონისტებიც გოქჩის ტბისკენ[1104] ჩავრეკოთ",[1105] - წერდა გაზეთ ,,კლდეში" გრიგოლ ვეშაპელი. რაც შეეხება სომხეთის სტრატეგიულ სახელმწიფო-პოლიტიკურ გეგმებს საქართველოსთან მიმართებაში. ეროვნულ-დემოკრატების ზემოთ მოყვანილი დასკვნა ნამდვილად არ არის ლოგიკას მოკლებული და მას არსებობის სრული უფლება გააჩნია. თუმცა,

---

ჩაბმული ჟურნალისტურ საქმიანობაში. 1918-1920 წლებში იყო გაზეთების ,,კლდე", ,,ნაციონალისტი", ხოლო 1920-1921 წლებში – გაზეთ ,,მიწის" რედაქტორი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, მთავრობის სხვა წევრების მსგავსად ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სამშობლოში. რამდენიმე თვე ცხოვრობდა ბათუმში. შემდეგ კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა, შემოიარა ევროპის ქვეყნები. საბოლოოდ ჩავიდა პარიზში. თავდაპირველად რევაზ გაბაშვილთან და დავით ვაჩნაძესთან ერთად ეწეოდა ანტიბოლშევიკურ საქმიანობას, მაგრამ მალევე განუდგა ემიგრაციას და 1924 წლიდან აშკარა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე დადგა. ქართველ ემიგრანტებს საბჭოთა საქართველოში დაბრუნებისაკენ მოუწოდებდა და აქტიური საბჭოთა პროპგანდისტი გახდა, რის გამოც ემიგრაციამ იგი მოღალატედ გამოაცხადა. 1926 წელს გრიგოლ ვეშაპელი რამდენიმე გასროლით მოკლა ქართველმა ემიგრანტმა ავთანდილ მერაბიშვილმა. დაკრძალეს პარიზში, მონპარნასის სასაფლაოზე, თუმცა, 1928 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ მისი ნეშტი სამშობლოში გადმოასვენა, სადაც დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. 1937 წელს მისი ნეშტი ვაკის სასაფლაოზე გადაასვენეს.

1102 გაზეთი ,,კლდე". 1918. №7. გვ. 3.

1103 აქ ,,მთიულეთის" ქვეშ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები და ე.წ. ,,მთიელ ხალხთა რესპუბლიკა" არის ნაგულისხმევი.

1104 გოქჩის ტბა – იგივე გოგჩის, გეოგჩაის, იგივე სევანის ტბა.

1105 გაზეთი ,,კლდე". 1918. №7. გვ. 3.

ჩვენის აზრით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცოტა გადაჭარბებულად გვეჩვენება ბატონი სპირიდონის მსჯელობა - ,,რასიული იდეის ბატონობის'' საკითხში მაინც. ჩვენ მხოლოდ დასაბუთებულ მსჯელობას გავმართავთ 1918 წლის ბოლოსათვის არსებული სომხების სამხედრო-სტრატეგიული გეგმების შესახებ საქართველოსთან მიმართებაში.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ ზემოთ, დაშნაკთა იდეოლოგიისა და პოლიტიკის ამომავალი წერტილი სხვა სახელმწიფოთა მიწების ათვისება იყო - ვისთან თავიდანვე შეიარაღებული აგრესიის გზით, ვისთან ხიზანთა სახით შესვლისა და ეთნიკური უმრავლესობის ხელოვნურად შექმნით. ამის შემდგომ კი, დეკლარირებული სეპარატიზმის ფონზე, ერთა თვითგამორკვევის პრინციპებზე დაყრდნობით, ამ ტერიტორიების არარსებულ სომხეთის სახელმწიფოსთან მიერთების მოთხოვნით. სომხურ-დაშნაკური აგრესიული საგარეო პოლიტიკის სრული სქემა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ლტოლვილთა შესახლება → მშვიდობიანი ექსპანსია → დემოგრაფიული დისბალანსის შექმნა → აგრესიული სეპარატიზმის განვითარება → ტერორისტული აქტები ორგანიზება → შეიარაღებული ექსპანსია → ღია საომარი მოქმედებები დაწყება და ესკალაცია → შემდეგ კი, ე.წ. ,,სომხური მიწების'' გაერთიანება და ,,დიადი არმენიის'' შეკოწიწება.

რა თქმა უნდა, გარკვეულ შემთხვევებში, დროის გარკვეულ მონაკვეთებსა და გარკვეულ ქვეყნებთან მიმართებაში შეიძლება სქემის რომელიმე ელემენტი გამოტოვებულიც კი იყოს. მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში დაშნაკური იდეოლოგიისა და აგრესიული მოქმედების მექანიზმის ყველა ელემენტი სრულად იქნა ამუშავებული.

დაშნაკური სომხეთის პრეტენზიები საქართველოს მიწებზე და აქედან გამომდინარე მისი სტრატეგიული გეგმები სრულად და ცალსახადაა გადმოცემული ქვემოთ მოყვანილ დოკუმენტში, სადაც სომხეთის რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრი, ბატონი ოვანეს კაჩაზნუნი (ნამდვილი გვარი - იგითხანიანი) გენერლებს - სილიკოვსა და დროს, ბრიტანელი კაპიტანი გრინისათვის (ბრიტანეთის საოკუპაციო საჯარისო კონტინგენტის ოფიცერი ამიერკავკასიაში, მასზე ჩვენ ქვემოთ გვექნება უფრო დაწვრილებითი საუბარი - ა. ჩ.) წარსადგენად შემდეგი ხასიათის ინსტრუქციებს აძლევს. აქ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო მეორე პუნქტს მოვიყვანთ:

,,ერივანიდან. ყარაქილისაში. 15. 12. 1918.

24 საათი და 00 წუთი.

მანასიანს, ასლი გენერალ სილიკოვს.

დაუყოვნებლივ გადაეცით დროს შემდეგი ტელეგრამა:

2) პარლამენტში მოხსენების გასაკეთებლად აუცილებელია კაპიტანი გრინისათვის გაკეთდეს შემდეგი ახსნა-განმარტება. ***ხალხთა თვითგამორკვევისა და ეთნიკური პრინციპის თანახმად, ახალქალაქის მაზრას მთლიანად და ბორჩალოს მაზრის სომხურ ნაწილს ყოველგვარი ეჭვის გარეშე მივიჩნევთ სომხეთის კუთვნილებად, სადავოდ კი მხოლოდ მდინარე ხრამის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებს ვთვლით.*** (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.)

მინისტრი-თავმჯდომარე კაჩაზნუნი".[1106]

იგივე მიჯნა - მდინარე ხრამი იქნა დასახული სომეხთა შემტევი ავანგარდისთვის, რაც კარგად ჩანს 1918 წლის 18 დეკემბერს გამართულ სადახლოს პირველ ბრძოლაში ტყვედ აყვანილი სომეხთა მე-4 ქვეითი პოლკის მე-6 ასეულის შტაბს-კაპიტან ფიოდკოვსკის ჩვენებიდან. ამ დოკუმენტს ჩვენ წიგნის მეორე ნაწილში მოვიყვანთ სრულად, ამჯერად კი, მხოლოდ მცირე ამონარიდს შემოგთავაზებთ.

დაკითხვის ფურცელი

[1106] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 32, ფურცელი 3.

სომეხთა მე-4 ქვეითი პოლკის მე-6 ასეულის შტაბს-კაპიტან ფიოდკოვსკისა,
ტყვედ აყვანილის სადახლოსთან ამა წლის 18 დეკემბერს

,,...ამ ფრონტზე სომეხთა მიზანს წარმოადგენს ქართველთა უკუგდება მდინარე ხრამს იქით, იმდენად რამდენადაც ტერიტორიები მდინარე ხრამამდე, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, წარმოადგენს სომხეთის საკუთრებას...“[1107] იგივეს ადასტურებს სომეხთა შემტევ ავანგარდში ჩართული 1-ლი შერეული ცხენოსანი პოლკის იგივე სადახლოსთან ტყვედ აყვანილი სომეხი ოფიცრის, შტაბის როტმისტრ მარტიროსიანცის ჩვენებაც: ,,...საომარი მოქმედებების მიზანია დაკავებულ იქნას ტერიტორიები მდინარე ხრამამდე...“[1108]

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ჩანს, რომ ე.წ. ,,სადავო მიწებად” დაშნაკთა იდეოლოგიური მამები მხოლოდ მდინარე ხრამის ჩრდილოეთით მდებარე მიწებს, ანუ, მთელ თრიალეთსა და საქართველოს დედაქალაქის შემოგარენს თვლიდნენ, სადაც 1918 წლის ბოლოსათვის საკმაოდ დიდი იყო სომხური და გადასომხებული მოსახლეობის წილი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ თვით ქალაქ თბილისშიც მრავალრიცხოვანი სომხური მოსახლეობა იყო და ფინანსურად და ადმინისტრაციულადაც თბილისი ფაქტობრივად სომხების ხელში იყო, მაშინ ბატონ სპირიდონ კედიას ზემოთ მოყვანილი ციტატა, სულაც აღარ მოგვეჩვენება არასერიოზულ მოსაზრებად. ასე, რომ 1918 წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველო საშიშროების, დიდი საშიშროების წინაშე იდგა. ყოველ შემთხვევაში, დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ სომხური მხარის უახლოეს სტრატეგიულ მიზანს საქართველოს ახალქალაქის მაზრისა მთლიანად (გაგახსენებთ, რომ 1918 წლისათვის ახალქალაქის მაზრა მოიცავდა დღევანდელი ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის რაიონებს, აგრეთვე ბორჯომის, ქარელისა და ხაშურის რაიონების ნაწილსაც - ა. ჩ.) და ბორჩალოს მაზრის ნაწილის (მდინარე ხრამამდე) დაპყრობა შეადგენდა, ხოლო ქართლის დანარჩენი ნაწილის (თბილისის ჩათვლით) კუთვნილების საკითხი კი უნდა გადაწყვეტილიყო ან ომის, ან მოლაპარაკებების გზით.

აი, ასეთი იყო ჩვენი ,,კეთილი, ქრისტიანი, ჰუმანისტი და მშვიდობისმოყვარე'' მეზობლების შენიღბული სტრატეგიული გეგმები საქართველოსთან მიმართებაში. სომეხი ავტორი, ჰამლეტ გევორქიანი კი, თავის წიგნში, სათაურით ,,დრო'', წერს:

,,აუცილებელი იყო კიდევ ერთი აღმაფრენა, ერთი გადამწყვეტი გამარჯვება და საქართველოს დედაქალაქისკენ მიმავალი მთავარი გზა გახსნილი იქნებოდა... რის შემდეგაც უკვე გაიხსნებოდა ტიფლისისაკენ მიმავალი გზა...” [1109] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.) და ა.შ. და ა.შ. იმავე გვერდზე სომეხი ავტორი კიდევ უფრო დამაჯერებლად აგრძელებს: ,,გავითვალისწინებთ რა დროს რკინისებურ ნებისყოფას, სტრატეგოსის უზადო უნარს და მიზანსწრაფვას, აგრეთვე მისი ჯარის ბრწყინვალე საბრძოლო მზადყოფნას, დისციპლინირებულობას და ლტოლვას ომის გამარჯვებამდე მისაყვანად, შესაძლებელია გადაჭრით ვამტკიცოთ, რომ იგი აუცილებლად გაანადგურებდა გენერალ მაზნიევის არმიას და ***აიღებდა საქართველოს დედაქალაქს,*** ინგლისელები და ფრანგები რომ არ ჩარეულიყვნენ”.[1110] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

როგორც ვხედავთ, ისევ ტიპიური ბაქი-ბუქობა, ტრაბახი და ბოდვითი იდეები. დიახ, ნატრობდნენ 1918 წლისათვის და ალბათ დღესაც ნატრობენ გარკვეული სომხური წრეები ,,თბილისის აღებას” და მისი ალბათ ,,დიადი არმენიის” დედაქალაქად ხილვას.

[1107] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 9.

[1108] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 131.

[1109] ალ. აბდალაძე. მეტი ობიექტურობა. ჟურნალი ,,მნათობი''. 1998. №3–4. გვ. 177.

[1110] იქვე.

საკვირველია, როგორ ჰგავს თითქმის ყველა სომეხი და პროსომეხი ავტორის აზრთა მსვლელობა წყლის ორი წვეთივით ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ მივიღებთ მხოლოდ ამ მასალებს უეჭველ მტკიცებულებად და პირველწყაროდ, მაგრამ ყველა წარმოდგენილი არგუმენტის შეჯერებისა და საერთო ანალიზის საფუძველზე სრული უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ სომეხ დაშნაკთა დიდ სტრატეგიულ გეგმებში 1918 წლის ბოლოსათვის თბილისის დაპყრობა ნამდვილად შედიოდა. ტიციან ტაბიძე:

ტფილისს თავისი აქვს სატირალი და ამიტომაც ასევე სტირის:
ტყუილია, სომხები ლაჩრები იყვნენ, დიდებულად არიან შეიარაღებულნი.
უთუოდ აიღებენ ტფილისს, - ვაი, სირცხვილო,
- ვაი, თავო და თავო, - ვაი, საქართველო,
- ვის გაუგონია დუქნის ბიჭების ომი?
ეს გვარდია კი არა თავლაფდასხმაა.
დახე, რომ ომში კიდეც ეჩრება...
უთუოდ შემოვლენ ტფილისში სომხები
და მთელ ქვეყანაზე თავი მოგვეჭრება!...
- ეს მარტო ერთი კაცის არ არის აზრი,
ასე ფიქრობს კაფე ,,დარბაზი”...

კიდევ უფრო შორს მიდის ბატონი ვიქტორ ნოზაძე სომხური აგრესიის საბოლოო მიზნის შეფასებისას. იგი აღნიშნავდა: ,,სომხურმა მმართველმა წრეებმა ომი გაბედეს მხოლოდ იმ იმედით, რომ კავკასიაში მომავალი ინგლისი მათ მხარს დაუჭერდა, და თუ სომხეთი ინგლისელებს ფაქტის წინაშე დააყენებდა, მას ხელში შერჩებოდა ყველა მის მიერ დაკავებული ტერიტორია. სომხეთის ფართო გეგმის მიზანი იყო - თბილისის ხელში ჩაგდება და მესხეთის დაკავება. ამგვარად, სომხეთი ზღვასთან იქნებოდა შეერთებული ბათუმით”.[1111] და აქვე ,,ჩვენ ვიცით, რომ ამ პოლიტიკურ ცენტრთან, დედაქალაქის საკითხთან გადაბმულია მთავარი ძარღვი ქართულ და სომხურ ეროვნებათა. აქ მთავარი ტფილისის საკითხია. ჩვენ ვალდებულნი ვართ დღევანდელ კრებას გავაგებინოთ, რომ ეს პლანები ვიცით. ჩვენ ვიცით რა პოლიტიკა ასულდგმულებს სომხების ომს. და თუ ეს მოხდა, ეს არ იქნება პოლიტიკა ლორისა, ეს იქნება პოლიტიკა ტფილისისათვის ბრძოლისა. ეს ის პოლიტიკაა, რომელიც ცდილობს მთელი ტერიტორია ტფილისიდან დაწყებული ერევნამდის და ქვევითაც გაამრთელოს ერთ სახელმწიფოდ და საქართველოს დედაქალაქი სომხეთის დედაქალაქად აქციოს ჯერ ფაქტიურად, და შემდეგ ფორმალურად’’.[1112]

ერთმნიშვნელოვნად ვეთანხმებით ამ მოსაზრებებს, მაგრამ ცოტა გვიჭირს ბატონ ვიქტორ ნოზაძის დასკვნის უცილობელ ჭეშმარიტებად მიღება. რა თქმა უნდა, ჩვენ ცალსახად ვიზიარებთ მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სომხური შეარაღებული აგრესიის საბოლოო მიზანს ,,დიადი არმენიის” შექმნა წარმოადგენდა მის ფანტასტიკურ საზღვრებში, რაც ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ არაერთხელ, მაგრამ დაშნაკთა ეს კონკრეტული აქტივობა, კერძოდ, სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, ამ ეტაპზე ნამდვილად არ ითვალისწინებდა შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებას. ამ მიზნის რეალიზაციისათვის სომეხთა შეიარაღებული აგრესია დასავლეთისაკენ, მოგვიანებით, 1920 წლის სექტემბერში დაიწყო, რაც სისხლში იქნა ჩახშობილი რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის მიერ.

[1111] ვიქტორ ნოზაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბილისი. 1989. გვ. 45.

[1112] შოთა ვადაჭკორია. საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. (1918-1920 წ.წ.). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრი. თბილისი. 1999. გვ. 33.

ჩვენს ამ მოსაზრებას ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტებიც ამაგრებს. პირველი დოკუმენტი არის 1920 წლის 23 მარტს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელის, ბატონ ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის გამოსვლის ტექსტიდან ამონარიდი: ,,...ჩვენ რომ ჩამოვედით ევროპაში, არავის წარმოდგენა არ ჰქონდა თუ რა არის საქართველო და ეხლა კი მივაღწიეთ იმ მიზანს, რომ ევროპაში გვიცნობენ. რაც შეეხება ინგლისს, მისი მთავრობა პირდაპირ არ გველაპარაკება და რამდენადაც ვიცით, ის სომხები, რომლებიც სხვადასხვა პირობებს გვიდებდნენ აჭარისა და ბათუმის შესახებ - აგარონიანი და ნუბარ ფაშა - მოქმედებდნენ ინგლისის სახელით. და მოგვთხოვეს მათ ბათუმი, მთელი აჭარა და ამ ტერიტორიაზედ რკინის გზის გაყვანა შავ ზღვამდე. ამის სამაგიეროდ გვეუბნებოდნენ: ჩვენ, სომხები, ვცნობთ თქვენ დამოუკიდებლობასაო. ჩვენ, რასაკვირველია, ამას ვერ დავეთანხმებოდით...“[1113]

მეორე დოკუმენტი არის ნოე რამიშვილის მიერ, 1920 წლის 29 მარტს, თბილისიდან პარიზში, კარლო ჩხეიძისა და ირაკლი წერეთლისადმი[1114] გაგზავნილი წერილი. დოკუმენტი ორიგინალია - ,,საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის” ბლანკზე ლურჯი ფანქრით ნაწერი ტექსტი. წერილი საკმაოდ მოცულობითია, ამიტომ ჩვენ წერილის მხოლოდ იმ ნაწილს მოვიყვანთ, რომელიც უშუალოდ ეხება ჩვენს თემას.

ნოე რამიშვილის წერილი თბილისიდან პარიზში

,,კარლოს და ირაკლის” ინგლისელთა და ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან

საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებათა შესახებ

1113 საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 2115, ანაწერი 1, საქმე 23, ფურცელი 1.

1114 ირაკლი (კაკი) წერეთელი (1881-1959წ.წ.) – ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისა და მენშევიზმის აღიარებული ლიდერი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა (რსდმპ) და რუსეთის პირველი კოალიციური დროებითი მთავრობის წევრი, პროფესიით იურისტი. დაიბადა ქუთაისში, ქართული ლიტერატურის აღიარებული კლასიკოსის, მწერალ გიორგი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის დის, ოლიმპიადა ნიკოლაძის ოჯახში. 1900 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია და იმავე წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. აქვე ჩაება პოლიტიკურ მოძრაობაში და გახდა სტუდენტური გამოსვლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. სხვა 1000 სტუდენტთან ერთად იგი დააპატიმრეს და 3 წლით აღმოსავლეთ ციმბირში გადაასახლეს. მაღალი საზოგადოებრივი რეზონანსის გამო იგი ერთ წელიწადში გაათავისუფლეს. 1903 წელს იგი თბილისში ბრუნდება და დაუყოვნებლივ შედის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მენშევიკურ ფრაქციაში. 1904-1905 წლებში ევროპაში იმყოფებოდა, ისმენდა ლექციებს ბერლინის უნივერსიტეტში. 1905 წელს უკან ბრუნდება. 1907 წელს აირჩიეს რუსეთის სახელმწიფო დუმის მეორე მოწვევის დეპუტატად. 1907 წლის 3 ივნისს იმპერატორის ბრძანებით სახელმწიფო დუმა დაითხოვეს და დეპუტატთა უმრავლესობა დააპატიმრეს. ირაკლი წერეთელმა ექვსი წელი ციხეში მოიხადა, შემდეგ კი, ირკუტსკში გადაასახლეს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციას ირაკლი წერეთელი ციმბირში შეხვდა. იგი ამნისტიით გათავისუფლდა და პეტროგრადში ჩავიდა, სადაც რუსეთის პირველ კოალიციურ მთავრობაში ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის პოსტი დაიკავა, მოგვიანებით ასრულებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველის მოვალეობას. პეტროგრადის საბჭოს მიერ 31 აგვისტოს ბოლშევიკური რეზოლუციის მიღების შემდეგ, ხელისუფლების საბჭოების ხელში გადაცემის თაობაზე, აღმასკომის პრეზიდიუმის სხვა წევრებთან ერთად გადადგა. 1917 წლის სექტემბრიდან ბრუნდება საქართველოში. იყო სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ფრაქციის თავმჯდომარე ჯერ ამიერკავკასიის სეიმში, ხოლო შემდეგ – საქართველოს ეროვნულ საბჭოში. 1919 წელს იყო პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გაგზავნილი ქართული დელეგაციის წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, დროებით რჩება სამშობლოში, მაგრამ 1923 წელს, ემიგრაციაში მიდის. 1926 წელს შევიდა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა. შემდგომი წლები ცხოვრობდა საფრანგეთში, 1950-იანი წლების დასაწყისში კი, ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1959 წლის 21 მაისს. მისი ფერფლადქცეული ნეშტი თავდაპირველად იქვე დაკრძალეს, მაგრამ 1973 წელს საფრანგეთში გადაასვენეს და ლევილის ქართველთა სასაფლაოზე დაკრძალეს.

ამხ. კ. ჩხეიძეს და ირ. წერეთელს პარიზში 1920 წლის 29 მარტი

ამხანაგებო!

ცეკას დავალებით ორიოდე სიტყვით გვსურს აქაური მდგომარეობა აგიწეროთ...

...მეორე საქმე. ინგლისი ეჭვს გარეშეა ცდილობს ამიერკავკასიის თავის ბრჭყალებში ჩაჭერას. სამხედრო წრეები განსაკუთრებით ილტვიან დაიკავონ ბათუმის ოლქი, მერე გაიყვანონ რკინიგზა ბათუმიდან არტაანით ყარსამდე, და შემდეგ სპარსეთით ინდოეთამდე. ასეთი გეგმა გვიქადის განმეორებას იმ ამბებისა რაც ერთხელ უკვე მოხდა ძველ საქართველოში. სამცხე-საათაბაგოს მოწყვეტით დავკარგეთ ეკონომიური ძალა გავლენა და შემდეგ პოლიტიკური სუვერენიტეტიც. ამიტომ ვიბრძვით ასე ენერგიულათ ამ გეგმის წინააღმდეგ. არტაანი-ბათუმის ხაზი სავსებით ჩვენი უნდა შეიქმნეს. როგორც არ შეგვიძლია ბათუმის ოლქის დათმობა, ეგრეთვე არ შეგვიძლია არც არტაანის ოლქის სომხეთისათვის გადაცემა. ეს დღესავით ნათელია ამჟამად ჩვენთვის. ***სომხები ესწრაფვიან არტაანის ოლქიდან გაიკაფონ ვიწრო გზა ბათუმისკენ, გაჟლიტონ იქ მცხოვრებნი, როგორც ეხლა ჟლეტენ არტაანის ოლქის აღმოსავლეთის ნაწილის მუსულმანებს და... [ასე] ქმნიან თავის ტერიტორიას.*** ასეთია რთული ვითარება ბათუმის ოლქისა...

სალამი ჩემის მხრიდან. მოგიკითხეს სილვამ[1115] და ნოე ხომერიკმა.[1116] ალბათ ნოე ჟორდანია ცალკე მოგწერს.

[1115] აქ ცნობილ ქართველ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეზე, ძველ რევოლუციონერსა და ქართული სოციალ-დემოკრატიის პატრიარქზე, პირველი დამოუკიდებელი ეროვნული სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ორგანიზაციის, „მესამე დასის" ერთ-ერთ დამფუძნებელსა და ლიდერზე, სილიბისტრო (სილვესტრ) ჯიბლაძეზეა (1859-1922წ.წ.) საუბარი, რომლის პარტიული მეტსახელი სწორედ „სილვა" იყო. სწავლობდა ოზურგეთისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლებში. აქვე გაიცნო შემდგომში ცნობილი ქართველი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე ეგნატე ნინოშვილი და ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. 1885 წელს აკრძალული ლიტერატურის კითხვისა და სემინარიის რექტორის ცემის გამო „მგლის ბილეთით" გარიცხეს სასწავლებლიდან და ხარკოვში გაამწესეს დისციპლინარულ ბატალიონში. 1889 წელს საჯარიმო სამხედრო სამსახურიდან ბრუნდება თბილისში და ახალი ძალებით ებმება რევოლუციურ ფერხულში. 1892 წელს მონაწილეობს ქართული სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ჯგუფის – „მესამე დასის" დამფუძნებელი ყრილობის მუშაობაში. ამ პერიოდიდან დაწყებული, იგი იყო საქართველოში მომხდარი მუშათა ყველა გაფიცვის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. 1898 წლიდან იყო თბილისის სოციალ-დემოკრატთა თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე. 1900 წელს ჩადის პეტერბურგში, სადაც მალევე აპატიმრებენ და აბრუნებენ ამიერკავკსიაში. 1903 წელს აირჩიეს რსდმპ კავკასიის კომიტეტის წევრად და იმავე წელს გადაასახლეს ციმბირში, სადაც 1905 წლამდე იმყოფებოდა. 1905 წელს აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ გამოსვლებში. რევოლუციის დამარცხების შემდეგ ხელმძღვანელობდა ტერორისტული აქტების განხორციელებას სადამსჯელო ოპერაციების მონაწილეთა წინააღმდეგ. ამავე დროს თანამშრომლობდა გაზეთებში: „სხივი", „განთიადი", „ელვა". 1909 წელს მონაწილეობდა რსდმპ პარიზის კონფერენციის მუშაობაში. 1910 წელს ისევ აპატიმრებენ და ასახლებენ დონის როსტოვში. 1914 წელს ბრუნდება საქართველოში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წევრი. 1917 წლის ნოემბრიდან აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წლიდან იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. 1919 წლის მარტში აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, რესპუბლიკის მთავრობის წევრების მსგავსად საქართველოდან არ წასულა და დარჩა სამშობლოში. 1921 წლის 13 ივლისს ბოლშევიკებმა დააპატიმრეს ნაძალადევის მუშათა კლუბში სტალინთან მომხდარი ინცინდენტის გამო, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს. გათავისუფლებისთანავე გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაში და დაუბრუნდა იატაკქვეშა საქმიანობას. გარდაიცვალა გულის უკმარისობით, 1922 წლის 17 სექტემბერს.

[1116] ნოე ხომერიკი (1883-1924წ.წ.) – ძველი რევოლუციონერი, ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრი და საქართველოს დამფუძნებელის კრების წევრი. საწყისი განათლება მიიღო ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში, სადაც თავიდანვე ჩაება სოციალ-

ამხანაგური და მეგობრული სალმით - ხელმოწერა".[1117] (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

ამ საკითხთან დაკავშირებით, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარსაგზავნი საქართველოს პირველი დელეგაციის წევრი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომში ,,საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული", წერდა: ,,სომხებმა და არარატის რესპუბლიკის მთავრობამ ქართველობას, რა თქმა უნდა, თავისდა უნებურად, დიდი სამსახური გაუწიეს და მეზობლურ ძმობა-ერთობაზე ტკბილი საოცნებო სიზმრებითგან გამოაფხიზლეს, როდესაც წინასწარი ფარული სამხედრო მომზადების შემდგომ, მოულოდნელად საქართველოს სამხრეთის სამზღვრები გადმოლახეს და დაუნდობელი საომარი მოქმედება დაიწყეს. ბ-ნი ჩალხუშიანის მიერ როსტოვის რუსულ-სომხურ გაზეთში ამ ამბავის ერთი თვით უწინარეს მოთავსებული ცნობა, რომ სომეხ-ქართველთა შორის ომია და ძლევამოსილი სომხები ტფილისს მიადგნენ, რომელიც დღე-დღეზე სომეხთა ჯარის მიერ აღებული იქნებაო, აგრეთვე ინგლისურ გაზეთში დაბეჭდილი სომხეთის წარმომადგენელთა მიერ სომხეთისათვის მოთხოვნილი სამზღვრების მოხაზულობა და სტამბოლში გამოცემული სომხეთის ორი რუკა, რომლებშიაც ტფილისი, მცხეთა, გორი და ბათუმიც სომხეთის სახელმწიფოს სამზღვრებშია მოქცეული, დასასრულ სომეხთა საომარი მოქმედებების მთელი მსვლელობა, სრულის სიცხადით ააშკარავებენ, რამდენად ფართო გეგმა ჰქონდათ სომხეთის მთავრობასა და ხელმძღვანელებს: მათი მიზანი ტფილისის დაპყრობა და დასაკუთრება იყო, ხოლო თუ სამხედრო ბედი გაუღიმებდათ, იქნებ სომხურ რუკაზე მოხაზული მიწა-წყლის აღებაც".[1118]

დღესავით ნათელია, რომ ყარსისა და ბათუმით შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებას სომხეთისათვის უდიდესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ექნებოდა, რასაც, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ჯერ კიდევ 1853 წელს აღნიშნავდნენ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი. ცხადია, 1853 წლისათვის, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, არავითარი სომხეთი არ არსებობდა, და ბათუმიც და ყარსიც ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო. ასეთ ვითარებაში, ყარსი-ბათუმის გზით შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებას კარლ მარქსი რუსეთის იმპერიისთვისაც კი, დიდ სამხედრო სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ,,თუ რუსეთი, ყარსთან, სომხეთის ამ ყველაზე

დემოკრატიული წრეების მუშაობაში. რსდმპ წევრი 1900 წლიდან. პირველად დააპატიმრეს 1902 წელს. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ ეწეოდა აქტიურ პარტიულ და რევოლუციურ საქმიანობას ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში. 1905 წლიდან მიემხრო სოციალ-დემოკრატების მენშევიკურ ფრთას. 1906 წელს რედაქტორობდა პარტიის ლეგალურ გამოცემა ,,ლამპარს". 1908 წლიდან იყო ქრთველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. 1912 წლიდან იყო გაზეთ ,,ცხოვრების" რედაქტორი. ამავე დროს აქტიურად მონაწილეობდა პარტიის საქმიანობაში, რისთვისაც რამდენჯერმე დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბრუნდება საქართველოში. ამავე წლის ნოემბრიდან ირჩევენ საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად, ხოლო 1918 წლის თებერვლიდან – ამიერკავკასიის სეიმის წევრად. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. ეკავა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გზათა მიმოსვლისა და მიწათმოქმედების მინისტრის თანამდებობა. 1919 წლის მარტში ირჩევენ დამფუძნებელი კრების წევრად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ემიგრაციაში მიდის, მაგრამ 1922 წელს არალეგალურად ბრუნდება საქართველოში, სადაც მას ჩეკა აპატიმრებს. 1924 წლის 30 ივლისს სხვა ქართველ სოციალ-დემოკრატებთან (ბენია ჩხიკვიშვილი, გოგიტა ფაღავა, ვასილ ნოდია) ერთად აგზავნიან სუზდალის პოლიტიზოლატორში. ფელიქს ძერჟინსკის პირადი ბრძანებით, გზად მიმავალი, სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად დახვრიტეს ერთ-ერთ სადგურზე. მათი დასაფლავების ადგილი უცნობია.

[1117] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 2115, ანაწერი 1, საქმე 119, ფურცელი (1-2).

[1118] ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი. ისტორიული რარიტეტები. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. (ორიგინალური გამოცემა - ტფილისი. სახელმწიფო სტამბა. 1919.) საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი. კოოპერატივი ,,ბბნ". თბილისი. 1989. გვ. 60.

კულტურულ ნაწილთან ერთად, ბათუმსაც დაეუფლება, მაშინ იგი შეძლებს გაწყვიტოს ტრაპიზონის გავლით არსებული სავაჭრო ურთიერთობები ინგლისსა და სპარსეთს შორის და ამავე დროს შექმნას საკუთარი ოპერაციის ბაზა[1119] როგორც ინგლისის, ასევე მცირე აზიის წინააღმდეგ“,[1120] - აღნიშნავდა იგი.

დაშნაკ იდეოლოგთა მიერ ,,დიადი არმენიის“ შექმნასა და ამ ეფემერული სახელმწიფოს-თვის სხვადასხვა ,,ზღვებზე გასასვლელის“ მოპოვებაზე ინტენსიურ მუშაობას ჯერ კიდევ I ომის მსვლელობისას ჰქონდა ადგილი. ეს საკითხები დაშნაკთა თავყრილობების მუდმივ დღის წესრიგს წარმოადგენდა და ამ თავყრილობებზე უკვე ცალკეული დეტალები განიხილებოდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ ,,საქართველოს“ 1916 წლის 13 მარტის ნომერში ვკითხულობთ:

,,პეტროგრადში სომეხთა ყრილობა დაიწყო. ამის შესახებ ჩვენი პეტროგრადელი კორესპონდენტი გვწერს – სომეხთა ყრილობას სატახტო გაზეთები მხურვალედ შეხვდნენო. გაზეთები სწერენ – სომხეთის მსხვერპლი აჭარლების (აჭარბებს - ა. ჩ.) ბელგეთისა (ბელგიის - ა. ჩ.) და სერბეთის მიერ გაღებულ მსხვერპლს და რუსეთის მოვალეობაა სომხეთის ჭრილობას მალამო დასდოსო. სამართლიან მწუხარებას გამოთქვამენ, რომ სომეხთა ყრილობის მუშაობა მეტად შეზღუდეს. მთავრობის განკარგულებით ყრილობა შეეხება მხოლოდ გამოქცეულ სომეხთა საკითხს. გამოქცეულთა საკითხით დიდად არის დაინტერესებული სომხის საზოგადოება, მთავრობა და თვით ფართე საზოგადოებაც, მაგრამ მხოლოდ მის გასათვალისწინებლად სომხები საერთო ყრილობას არ მოიწვევდნენ და ევროპის სახელმწიფოებიდან თავის თანამემამულეებს და თანამგრძნობებს არ მოიპატიჟებდნენ. ყრილობას უფრო ფართე მიზნები ჰქონდა დასახული. მას უნდა გაეშუქებინა სომეხთა საკითხი. ამ ომის განმავლობაში სომხების მომავალ ბედზე მარტო სომხები არ სწერდნენ. რუსეთის თუ ევროპის პრესა, და თვით მეომარ სახელმწიფოების წარმომადგენელნიც სომეხთა მომავალ პოლიტიკურ მდგომარეობას დიდის ყურადღებით იკვლევდნენ.

დაიწერა მრავალი პროექტი მომავალი სომხეთის შესახებ. ამ პროექტებს არჩევდნენ პრესაში და საკანონმდებლო დაწესებულებებში. მომავალი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება და საზღვრებიც მომავალი სომხეთისა სავსებით ვერ გამოირკვა მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის შესახებ გამუდმებით სწერენ სომხის გამოცემები და თვით ლიბერალი პრესის ისეთი წარმომადგენელნი, როგორიცაა მილიუკოვი და სხვ. ბევრი იმ აზრს გამოსთქვამდა, რომ მომავალი სომხეთი, რომელშიაც შევიდოდა კავკასიის, ოსმალეთის და სპარსეთის სომხობა, უნდა შესულიყო რუსეთის იმპერიაში, როგორც ავტონომიური ერთეული. ბევრი კი მოითხოვდა სომხეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაქმნას და რუსეთთან ვასალურ დამოკიდებულებაში დარჩენას. მომავალ სომხეთის საზღვრებიც ამ პროექტებში ერთნაირად არ იყო აღნიშნული.

სომხის პუბლიცისტები მოითხოვდნენ, რომ მომავალ სომხეთს ორი გასავალი ზღვისა ჰქონოდა – ხმელთა შუა ზღვა ალექსანდრეტას ნავსადგურით და შავი ზღვა ლაზისტანის სანაპიროებით. რასაკვირველია ამ ფარგლებში სომხობა დიდს უმცირესობას შეადგენს და თვით სანაპიროების მომავალ სომხეთის ფარგლებში შეტანას ასაბუთებდნენ სომხეთისთვის ორი ზღვის უაღრეს საჭიროებას. ***ჩრდილოეთით სომხეთი კავკასიონის ქედის კალთებს უნდა მიყრდნობოდა.***

1119 ოპერაციის ბაზა – შესაბამისი ინსტალაციებით აღჭურვილი და ორგანიზებული ის სივრცე და არეალი, საიდანაც სამხედრო ძალები იწყებენ შეტევით ოპერაციებს, უკან დახევის შემთხვევაში კი, თავს აფარებენ მას.

1120 Карл Маркс н Ф. Энгельс. Собр. соч., т. X, стр. 191. Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство ,,Феникс”. Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 34. https://vtoraya-literatura. com/pdf/ oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf

სხვები არ უარყოფდნენ მომავალ სომხეთისთვის ორის ზღვის საჭიროებას, მაგრამ შიშს გამოთქვამდენ, სომხეთის საზღვრების ხმელთა შუა ზღვამდის მიყვანა დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის უთანხმოებას გამოიწვევსო და მილიუკოვის პირით ურჩევდნენ სომხებს – ***დაკმაყოფილდით შავი ზღვის სანაპიროებით, ლაზისტანითო.***

ასე შეუთანხმებელი იყო სომხური პოლიტიკური აზროვნება და სომეხთა მეგობრების აზროვნება მომავალი სომხეთის სახელმწიფოებრივი ფარგლებისა და წყობილების შესახებ. პეტროგრადში მოწვეულ ყრილობას შეეძლო ამ კითხვების გამორკვევა, ჩამოყალიბება და დაინტერესებულ საზოგადოებათ საშუალება მიეცემოდათ სომეხთა ერთ პროგრამასთან ჰქონოდათ საქმე. სამწუხაროა, რომ მთავრობამ ყრილობის მუშაობა გამოქცეულთა საკითხით განსაზღვრა და მით მოუსპო საშუალება ყრილობას გარკვეულ ფორმებში გამოეხატა სომეხთა ლტოლვა-მისწრაფებანი“.[1121] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

I მსოფლიო და სომხეთ-საქართველოს ომების დასრულების შემდეგ კი, ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა ბეჭდვითი ორგანო, გაზეთი ,,კლდე“, თავის 1920 წლის 23 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით ,,ბათუმ-ლზისტანი და სომხეთი“, წერდა:

,,სან-რემოს კონფერენციამ გამოარკვია დაბოლოს, თუ ვინ გვეცილება ბათუმს. ***სომხეთი, როგორც ინგლის-საფრანგეთის ,,მოკავშირე“, მოითხოვდა ზღვისკენ გასავალს ჯერ ალექსანდრეტაში და მერმე ტრაპიზონში,*** მაგრამ საფრანგეთმა და საბერძნეთმა ორივეზე ხელი ააღებინეს. უკანასკნელად ***სომხეთმა დაბალი ღობე მონახა და ლაზისტან-ჭანეთში მოითხოვა ზღვის გასავალი (რიზე).***

ლაზისტანი და რიზე ისეთივე საქართველოა, როგორც აჭარა ან სამურზაყანო. მაგრამ სამწუხაროდ, თავის დროზე ჩვენმა მმართველმა წრეებმა სათანადო ნაბიჯები არ გადადგეს და დიპლომატიურად გვერდი აუხვიეს ამ საკითხს. რასაკვირველია, ეს არ ხდებოდა ოსმალეთის ხათრით, რადგან ოსმალეთს დღეისათვის ისედაც ინაწილებენ...

ამას იქით საქართველოს მთავრობას აღარა აქვს უფლება თვალი დახუჭოს და არ დაინახოს რომ ლაზისტანის საკითხი იმავე დროს აჭარის საკითხია და რიზეს საკითხი კი, ბათუმის საკითხი... მთელი ლაზისტანი ტრაპიზონამდის უნდა შეუერთდეს საქართველოს და ისე, როგორც აჭარა-არტაან-ოლთისი, უნდა შევიდეს ავტონომიურ სამაჰმადიანო საქართველოს ფარგლებში. რა ვქნათ თუ ამით სომხეთი ზღვისკენ გასავალს ვეღარ იშოვის. ჯერ ერთი, როდის ჰქონდა, და მეორეც, განა ყველა სახელმწიფოს უსათუოდ უნდა ჰქონდეს ზღვაზე გასასვლელი? აი, მაგალითად, შვეიცარიამ რაღა ქნას?“[1122] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

აღნიშნული საკითხის შესახებ კიდევ ერთ დოკუმენტს მოვიყვანთ - ამჯერად სომხურს, სომხეთის ეროვნული არქივიდან. ეს დოკუმენტიც ცალმხრივად ადასტურებს იმ ჩანფიქრს, რომ I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგაც, 1920-იანი წლების დასაწყისისთვის, სომხებს მართლაც გაზრდილი მადა ჰქონდათ ბათუმთან და ართვინთან მიმართებაში და ამ ტერიტორიების სომხურ სახელმწიფოში ჩართვით შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებას აპირებდნენ ,,დიადი არმენიისთვის“. ეს დოკუმენტი 1921 წლის 10 იანვარსაა შედგენილი და იგი წარმოადგენს გევორქ ხატისიანის მიერ საქართველოში უკვე გასაბჭოებული სომხეთის რევკომის წარმომადგენლისადმი მიწერილ წერილს, სადაც იგი მთელ რიგ რეკომენდაციებს იძლევა სომხეთსა და საქართველოს შორის ისტორიული ქართული მიწების გადანაწილების შესახებ. წერილის სათაურიც შესაბამისია - ,,საქართველოსთან ნეიტრალური ზონის საკითხებზე მოლაპარაკებების დროს სომხეთსა და საქართველოს შორის

[1121] გევორქ იაგუტოვ, რაზმიკ ბადალიან, არტურ მირზოიან, ედუარდ სააკიან, ალექსანდრ ოჰანიან. სომეხთა გენოციდი ქართულ პერიოდიკაში 1914-1918 წლებში (საარქივო მასალების კრებული). საქართველოს სომეხთა სათვისტომო. თბილისი. 2011. გვ. 102-103.

[1122] გაზეთი ,,კლდე”. 1920. №21. გვ. 2.

მთლიანი საზღვრების საკითხის განხილვის მიზანშეწონილობის შესახებ“. ეს ის გევორქ ხატისიანია, დაშნაკური პარტიის წევრი, რომელიც სომხეთის გასაბჭოებამდე აქტიურად იყო ჩართული დაშნაკური საგარეო პოლიტიკის მრავალფეროვან ფერხულში, ამჯერად კი, უკვე ბოლშევიკური სომხეთის წარმომადგენელია ლორეს ნეიტრალურ ზონაში.

მაშ ასე, რა მოსაზრებები გააჩნია და რა რეკომენდაციებს იძლევა ბატონი გევორქ ხატისიანი ქართულ მიწებთან მიმართებაში? ამ დოკუმენტს სრულად და ორიგინალში მოვიყვანთ:

Записка Г. Хатисяна о целесообразности при переговорах с Грузией
по вопросу о нейтральной зоне совместного рассмотрения всей границы
между Арменией и Грузией
10 января 1921 г. Тифлис

При нашем территориальном размежевании с Грузией нам выгоднее поставить вопрос о всех спорах о границах между Грузией и Арменией, чем ставить сперва [вопрос о] разграничении лишь Нейтральной зоны...

Кардинальным вопросом для Армении является обеспечение выхода к морю. Таковым считался раньше порт Александретта, затем Трапезунд, Ризе и, наконец, Батум. Кроме последнего, остальные должны быть отвергнуты, как неосуществимые. Об Александретте не стоит и говорить. Что касается портов Черного моря, то и Трапезунд и Ризе должны быть отвергнуты, как неосуществимые. Очевидно, что Армения сама не в состоянии найти колоссальные капиталы для постройки этого дорогого и бездоходного железнодорожного пути. Частный же капитал возмется строить лишь наиболее дешевые и наиболее доходные дороги, которые были бы при том путями не местными, а магистральными. А таковым может быть путь, дающий наибольшее протяжение морской и наименьшее сухопутной перевозки. Этому требованию удовлетворяет наиболее восточнее расположенный порт Черноморского побережья Батум...

Если к изложенному добавить несравненные качества Батумского порта по сравнению с Ризе, Трапезундом и прочими возможными портами, то станет ясным, что единственным возможным выходом в море является выход к Батуму и единственный железнодорожный путь из Армении к морю ведет через Чорохское ущелье, которое является кратчайшим из всех вариантов и ведет в Армению без туннелей и виадуков, к центру Армении, заселенному армянами, Карсу и Александраполю, а не к опустошенному Эрзерумскому району. Этот путь на 200 верст короче Трапезундского и на 100 верст короче линии Батум–Тифлис–Джульфа. Таким образом, линия Батум–Карс–Джульфа явится мировой магистралью из бассейна Черного и Средиземного моря и из России в Среднюю Азию и к Персидскому заливу и Индии. А при таком положении никто не станет строить дорогу местного значения, Трапезундскую.

Посему, при переговорах с Грузией необходимо обеспечить, в первую голову, участие в обладании Батумским портом технически делимым и добиться уступки левого берега Чороха, т. е. Артвинского района, представляющего около 400 кв. верст, т. е. незначительный участок, но на котором находятся весьма ценные медные рудники и завод Дзансульский.

При осуществлении этого варианта приходится пройти верст 70 по территории Турции и отхватить от нее тоже 300-400 кв. верст, что является лишь исправлением границ. Правда, тут стоит перед нами факт овладения турками Карсской области. Но все равно существование Армении невозможно без возвращения Карса и проложения дороги из Карса к Черному морю. И без этой веры в возвращение Карса невозможно строить Армению.

Т[аким] о[бразом] спор с Грузией предстоит на четырех участках границы: 1) Лори, 2) Ахалкалакский уезд, 3) Карсская область, 4) Артвинский район. Сейчас ставится вопрос о Лори, где право презюмируется нашим, ибо Дзансульский рудник и завод находились в Ардвинском

районе Батумской области Российской империи ныне находится в Турции. 262 Публикации демократический принцип этнографический, реальное расселение и воля населения говорят за нас. Грузины ищут от нас земли, ссылаясь на свой государственный интерес и стратегические и экономические соображения. Они в положении истцов, мы в выгодном положении ответчиков.

В вопросе же Артвинском мы займем положение истцов на основании нашего государственного интереса: они, грузины, будут ответчики, хотя надо сказать, что в Артвинском районе армян тысяч 10-12, а грузин [и] мусульман тысяч 20.

Вот почему нам выгодно рассматривать эти вопросы совместно, предъявив друг другу к зачету государственные интересы...

Г. Хатисян.

С подлинным верно: Делопроизводитель полномочного представительства ССРА в Грузии Е. Асрибеков.[1123]

და დღეს გვიკვირს, რომ მსგავს ვნებათა ღელვასა და მისწრაფებებს ჰქონდა ადგილი იმ წლებში სომეხთა მხრიდან. გვიკვირს და არ გვეჯერება.

ახლა კი, ამ საკითხთან დაკავშირებული ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე მძიმე მოსაზრება - ***ცალსახად ვაცხადებთ, რომ სომეხ დაშნაკთა მიერ თბილისის დაპყრობის გეგმა თავის დროზე იდეოლოგიურად თვით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს ხელისუფალთაგან იყო „ვიზირებული".*** და ყოველივე ამის თავი და თავი, რა თქმა უნდა, ისევ ქართველი კაცი იყო, თავგადაკლული ქართველი „ინტერნაციონალისტი" და „დემოკრატი", გლობალისტი და მსოფლიო მოქალაქე - სხვა არავინ. ჯერ კიდევ 1917 წლის გაზაფხულზე, ამიერკავკასიის „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების" თავმჯდომარე, ხალხთა თვითგამორკვევის დემოკრატიული და ეთნიკური უმრავლესობის პრინციპების მხურვალე მხარდამჭერი, ინტერნაციონალიზმის იდეების მქადაგებელი, „ქართული დემოკრატიის მამა", „პატარა მარქსი" და „დიდი ნოე" ჟორდანია ბრძანებდა საქართველოს დედაქალაქის შესახებ: „თბილისი მაინცდამაინც საქართველოს დედაქალაქი კი არ არის, არამედ ინტერნაციონალური ცენტრია, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი და იმის იქით მდებარე ტერიტორია ეკუთვნის სომხებს და აზერბაიჯანელებს, და მხოლოდ დასავლეთი მესამედი - „ვერა" - და აქეთ მდებარე ტერიტორია გვეკუთვნის ქართველებს".[1124] „ვერეს აქეთ მდებარე ტერიტორია" კი, თბილისში იმ მომენტისთვის, უბრალოდ არ არსებობდა. ვარაზის ხევის გადმოღმა მხოლოდ ორიოდე შენობა იდგა, ხოლო საბურთალოსა და ქალაქის სხვა უბნების ხსენება საერთოდ არ იყო.

მართლაც რომ შესაშური ხელგაშლილობა და გულუხვობაა - „ქართველი კაცისთვის" დამახასიათებელი გულუხვობა. რაც მთავარია, ძირითადი სამიზნეც დასახულია. და დასახულია დაშნაკური სომხეთისათვის. და კაცმა რომ თქვას, რას ვერჩით ამ მეხუთე კოლონას, როცა დაშნაკთა იდეოლოგიური შუქურა და გზამკვლევი თავად საქართველოს „მინისტრი-თავმჯდომარე", „პატარა მარქსი" და „დიდი ნოე", ბატონი ჟორდანია იყო, ერთი ხელის მოსმით რომ აკოწიწებდა და ბლანდავდა ახალი, „დემოკრატიული და ინტერნაციონალური" საქართველოს რესპუბლიკის მომავალს - ძალიან ბუნდოვანს, საეჭვოსა და სახიფათოს. თუმცა, მოგვიანებით, ამ ამბებიდან დიდი ხნის შემდეგ, უკვე ემიგრაციაში მყოფ ჟორდანიას მაინც მოუწია თავისი „ინტერნაციონალური იდეოლოგიის" ძირითადი შტრიხების გადალაგება და იმდროინდელი ამბების, სომეხ დაშნაკთა

[1123] Амо Сукиасян. Документы об армяно-грузинском пограничном споре в Лори. (Декабрь 1920 г. – январь 1921 г.). Записка Г. Хатисяна о целесообразности при переговорах с Ггрузией по вопросу о нейтральной зоне совместного рассмотрения всей границы между Арменией и Грузией. 10 января 1921 г. Тифлис. НАА, ф. 114, оп. 2, д. 12, л. 14–15. Заверенная копия. Машинопись. http://hpj.asj-oa.am/2772/1/2010-1(253).pdf.

[1124] რ. გაბაშვილი. რაც მახსოვს. თბილისი. 1958. გვ. 103.

ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგიის რეალისტურად გააზრება. 1953 წელს პარიზში გამოცემულ თავის მემუარში, ,,ჩემი წარსული", სომეხ დაშნაკთა სტრატეგიული მიზნების შესახებ იგი წერდა: ,,სომხები იყვნენ დიდად უკმაყოფილო თფილისის გაქართველებით, საქართველოს დედა-ქალაქად გადაქცევით. მათ ეს ქალაქი თავის ქალაქად მიაჩნდათ დიდი ხანია, მეცხრამეტე საუკუნის დაწყებიდან, სადაც მართლა სომხების მოსახლეობა სჭარბობდა ქართველებისას. რუსი ბატონობდა პოლიტიკურად, სომხები კი, ეკონომიკურად. რუსი წავიდა, და მათი აზრით ქალაქი სომხებს უნდა დარჩენოდათ. ისინი ამბობდნენ, რომ ნამდვილი საქართველოა დასავლეთ საქართველო, ხოლო აღმოსავლეთში არეულია სხვადასხვა ერები და აქ ქართული, წმინდა ნაციონალური ხელისუფლება არ უნდა ყოფილიყო. მთავრობა უნდა გადავიდეს ქუთაისში, თფილისში კი, შეიქმნება შერეული ხელისუფლება სხვადასხვა ერებისაგან. ამას ისინი ქადაგებდნენ სომხებში. ამას სწერდნენ თავის ორგანოებში... მათი უეცარი შემოტევის მიზანი იყო სწრაფათ თფილისთან მოსვლა, ქალაქში აჯანყების აფეთქება (მზათ იყვნენ ამისთვის) და ქალაქის ხელში ჩაგდება".[1125]

ქართული სახელმწიფოს მმართველი პოლიტიკური ელიტის ,,სენტიმენტალურად ინტერნაციონალური" იდეოლოგიის შეფასებასა და რეალური პოლიტიკის წარმოების საქმეში სამართლიანი იყო ქართველი ეროვნულ-დემოკრატების მოსაზრება:

,,ჩვენ მივმართეთ მთავრობას არ დაზოგოს არავითარი ზომა აჯანყებულთა და სამშობლოს მოღალატეთა დასასჯელად, ვურჩევთ მას დროებით მაინც გამოვიდეს ,,ინტერნაციონალი"-ს ბურუსიდან და რეალური დ მიზანშეწონილი პოლიტიკა აწარმოოს... კმარა გულკეთილობა და სენტიმენტალობა, სულ ერთია, არავინ არ აფასებს ამ ჩვენ თანდაყოლილ თვისებას. საჭიროა ჩვენც შევიგნოთ ის აზრი, რომ რკინისა და მახვილის ეპოქაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს გულჩვილობასა და ცრემლის ღვრას პოლიტიკაში...

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი ,,საყვარელი სტუმრები" ასე გათამამდნენ, სწორედ ეს გულკეთილობაა ჩვენი მთავრობისა და ჩვენ გვგონია, სანამ ის თხოვნის კილოს ბრძანებისა და მუქარის კილოთი არ შეიცვლის, სომხობა თავის საზიზღარ პროვოკაციას არ მოიშლის. ჩვენ გვინდა ვიწამოთ, რომ ნოე ჟორდანიას დაპირებანი საქართველოს პარლამენტის წინაშე სინამდვილედ იქცევა და ჩვენ მოწამენი გავხდებით იმისა, რომ არარატის რესპუბლიკის შფოთიანი მოქალაქენი დინამიტებისა და ყუმბარების წყობის მაგივრად, იძულებულნი იქნებიან მშვიდობიან მოქალაქეობრივ ცხოვრებას მიჰყონ ხელი..."[1126]

რაც შეეხება სომხეთთან მიმართებაში არსებულ ქართული მხარის სტრატეგიულ სახელმწიფოებრივ გეგმებს, აქ საქმე გაცილებით მარტივადაა. მარტივადაა იმიტომ, რომ ამ საკითხთან მიმართებაში რაიმე გეგმა, როგორც ასეთი, ქართულ მხარეს უბრალოდ არ გააჩნდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ არქივში მოძიებულ იქნა ხელნაწერი დოკუმენტი (ფანქრით შესრულებული მოკლე ჩანაწერი), რომელიც უდავოდ, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბშია შესრულებული და თავისი შინაარსით მეტად ზოგად პროგნოზს წარმოადგენს იმ ოპერატიული მიმართულებებისა, საიდანაც სტრატეგიულ-ოპერატიული და ტექნიკური თვალსაზრისით იყო დასაშვები სომხეთის შეიარაღებული ძალების შესაძლო აგრესია. ჩვენის აზრით, იგი პოლკოვნიკ ალექსანდრე ზაქარიაძის მიერ უნდა იყოს შესრულებული. აი, ეს დოკუმენტიც:

,,სომხეთის შეიარაღებულ ძალებს საქართველოს საზღვრებში შემოჭრისას შეეძლოთ ესარგებლათ შემდეგი ოპერატიული მიმართულებებით:

1. ალექსანდროპოლისი - ახალქალაქი, საიდანაც:

[1125] ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული. (მოგონებანი) პარიჟი. 1953. გვ. 134-135.
[1126] გაზეთი ,,კლდე". 1918. №11.

ა) ახალქალაქი - ახალციხე - აბასთუმანი - ქუთაისი.

ბ) ახალქალაქი - ბორჯომი - გორი.

გ) ახალქალაქი - ხრამი (გომარეთი ან ბაშკიჩეტი) - ტფილისი.

2. ალექსანდროპოლისი - ვორონცოვკა - ეკატერინენფელდი - ტფილისი.

3. ყარაქილისა - შულავერი - ტფილისი.

4. ელენოვკა (დღევანდელი სევანი - ა. ჩ.) - დილიჟანი - წითელი ხიდი - ტფილისი".[1127]

სამწუხაროდ, წარმოდგენილ საარქივო მასალას ადრესატი არ გააჩნია, მას არც თარიღი აქვს დასმული და არც ხელმოწერა აქვს. ჩვენ გვესმის, რომ ამგვარი ჩანაწერი იურიდიულ, უტყუარ პირველწყაროდ არ გამოდგება, მაგრამ განსჯისათვის მაინც საინტერესო ინფორმაციას იძლევა. კერძოდ, ჩანაწერი წარსულ დროში მომხდარ ფაქტს აღნუსხავს. (იგი ცხადია რუსულ ენაზეა შედგენილი და მის დასაწყისსაც შემდეგი სახე აქვს: Вооружённыя силы Армении для своего вторжения в пределы Грузии могли воспользоватся... და შემდეგ როგორც ტექსტშია). მოყვანილ დოკუმენტში ყველაზე მთავარი ისაა, რომ იგი სომეხთა მიერ საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგაა შედგენილი. ხოლო მისი ტექსტის გაანალიზებით სხვა საინტერესო დასკვნების გაკეთებაცაა შესაძლებელი, კერძოდ:

1. აშკარაა, რომ დაშნაკური აგრესიის ოპერატიული მიმართულებების გათვლა ჩატარებულია პოსტ ფაქტუმ. ჩანაწერში წარმოდგენილი დაშნაკური აგრესიის შესაძლო მარშრუტების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ქართულ მხარეს არ ჰქონდა გამოკვეთილი და შეფასებული საფრთხის დონეები და უცხოური აგრესიის ყველაზე უფრო ალბათური მიმართულებები. აქედან დასკვნა - ქართულ მხარეს, თავისთავად ცხადია, არც დაშნაკური აგრესიის შესაბამისი პრევენციის გეგმა გააჩნდა.

2. დაშნაკური აგრესიის საბოლოო მიზნად, თითოეულ სქემაში, ძირითადში თბილისია დასახული და აქედან გამომდინარე, ჩვენი ზემოთ მოყვანილი მსჯელობაც თბილისის შესახებ, სულაც არ არის საფუძველს მოკლებული.

3. ხელნაწერში წარმოდგენილი დაშნაკური აგრესიის შესაძლო მარშრუტები მრავალფეროვანია, მაგრამ აქ არ არის უფრო დაწვრილებით გათვალისწინებული სომხური შეიარაღებული ძალების შემოჭრისა და გადაადგილების ერთ-ერთი ძირითადი ოპერატიული მიმართულება: ყარაქილისა - ჯალალ-ოღლი - ვორონცოვკა - პრივოლნოე - ბოლნის-ხაჩინი - ეკატერინენფელდი - თბილისი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს გენერალურ შტაბში სამხრეთის, სომხეთის მიმართულება იმ უმძიმეს წლებში არაფრით არ მოიაზრებოდა შესაძლო აგრესიების პოტენციურ მიმართულებად. როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი საარქივო პირველწყარო კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული მხრიდან არა თუ რაიმე სამხედრო-ოპერატიული გეგმის არარსებობის ფაქტს, არამედ, შესაძლო საფრთხეების შეფასებისა და ამ საფრთხეების თავიდან აცილების პრევენციული ღონისძიებების არარსებობასაც.

[1127] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 2, საქმე 19/გ, ფურცელი 42.

§3.4. დაპირისპირებულ მხარეთა საომარი მობილიზაცია

სომხეთ-საქართველოს ომის შესახებ დაცული საარქივო დოკუმენტური მასალების ზოგადი სიმწირის მიუხედავად, დაპირისპირებულ მხარეთა მიერ ჯარების სამობილიზაციო მზადებისა და სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ზომების გატარების შესწავლა-ანალიზისათვის სხვა საკითხებთან შედარებით, უკეთესი მდგომარეობაა. საქმე იმაშია, რომ სომხეთ-საქართველოს შორის წარმოებული ომის ისტორიის შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას, მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს სამხედრო სამინისტროს პირადი (პიროვნული) შემადგენლობის განყოფილების უფროსის, გენერალ-მაიორ ვარდენ წულუკიძისა (07. 02. 1919. №404) და გენერალური შტაბის საარტილერიო სექციის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ კირილე ქუთათელაძის[1128] მიერ ხელმოწერილი დოკუმენტაციები წარედგინა (14. 02. 1919. №625), რომელიც ფასდაუდებელ ინფორმაციას იძლევა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში უკვე ომის მსვლელობისას სხვადასხვა ნაწილებზე გაცემული იარაღისა და საბრძოლო მასალების რაოდენობრივი მონაცემების შესახებ. მოძიებული საარქივო დოკუმენტაცია ამავდროულად სრულ წარმოდგენას გვიქმნის ქართული მხარის მიერ გატარებულ სამობილიზაციო ღონისძიებათა მასშტაბებზე.

საარტილერიო სექციის უფროსის 1919 წლის 14 თებერვლის №625 მოხსენებით ბარათს, წარდგენილს სომხეთ-საქართველოს ომის შემსწავლელი კომისიისადმი, შემდეგი სახე ჰქონდა:

,,ჯერ კიდევ ომის ოფიციალურად გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე, სომეხთა მიერ ჩვენს სასაზღვრო საგუშაგოებზე მოულოდნელ თავდასხმებამდე, საარტილერიო სექციისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მუშაობა იმას უჩვენებდა, რომ განვითარებული მოვლენები ერთობ სერიოზულ ხასიათს იღებდა. 13 დეკემბრისათვის სადახლოს რაზმში გაგზავნილ იქნა შაშხანის 100000 ვაზნა. ამის შემდეგ კი, შეიარაღების უფრო მსხვილი და მრავალფეროვანი გაცემები დაიწყო. უფრო ადრე ჩემს მიერ ქუთაისში კომისარიატებიდან იარაღის ჩასაბარებლად მივლინებულ

[1128] კირილე ქუთათელაძე (1861-1929წ.წ.) – რუსეთის არმიის ქართველი ოფიცერი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალი და პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. გიორგის ჯვრის კავალერი. დაიბადა ქუთაისის გუბერნიის სოფელ ხონში. დაწყებითი სამხედრო განათლება მიიღო მიხეილის ვორონეჟის სამხედრო გიმნაზიაში. სამხედრო სამსახური დაიწყო 1878 წლის 15 ივლისს. 1881 წელს ამთავრებს მიხეილის საარტილერიო სასწავლებელს, ენიჭება პოდპორუჩიკის წოდება და სამსახურს აგრძელებს კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში. 1884 წლიდან პორუჩიკია, ხოლო 1886 წლიდან – შტაბს-კაპიტანი. 1886 წელს ამთავრებს სანკტ-პეტერბურგის სამხედრო აკადემიას. 1893 წელს ენიჭება კაპიტნის წოდება. 1897 წლიდან მეთაურობდა მე-20 საარტილერიო ბრიგადის მე-5 ბატარეას. 1898 წელს ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. 1903 წელს ინიშნება ვილნოს საარტილერიო პოლიგონის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. 1904 წლიდან რუსეთის არმიის პოლკოვნიკია. 1908-1909 წლებში იყო საარტილერიო პოლიგონის უფროსი და მე-6 სარეზერვო დივიზიონის მეთაური. 1909-1910 წლებში იყო არტილერიის გენერალური ინსპექტორის დავალებათა შტაბ-ოფიცერი. 1910 წელს ენიჭება გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება და ინიშნება უმაღლესი მთავარსარდლობის არტილერიის გენერალური ინსპექტორის განსაკუთრებულ დავალებათა გენერლის თანამდებობაზე. I მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1916 წლის 6 დეკემბერს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1918 წლიდან, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. ეკავა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის განყოფილების საარტილერიო სექციის უფროსის თანამდებობა და იყო ქალაქ ბათუმის ციხე-სიმაგრის კომენდანტი. ამავე დროს წარმოადგენდა რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, საქართველოს მთავრობის წევრებისა და სხვა გენერლების მსგავსად დატოვა სამშობლო და წავიდა ემიგრაციაში. 1922 წლიდან მსახურობდა პოლონეთის არმიაში. 1926 წელს ენიჭება პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერლის წოდება. მსახურობდა ქალაქ ბიდგოშჩში. ტრაგიკულად დაიღუპა 1929 წელს. დაკრძალულია ქალაქ ვარშავაში.

იქნა ოფიცერი. ომის გამოცხადების შემდეგ კი, ჩემს მიერ იქ მივლინებულ იქნა ჩემი თანაშემწე სამხედრო ნაწილებზე შაშხანების, ტყვიამფრქვევებისა და შაშხანის ვაზნების გასაცემად, რის შესახებაც ყოველდღიურად მეგზავნებოდა პირდაპირი ხაზით შესაბამისი მოხსენებები. რკინიგზის საარტილერიო ჩიხში მუდმივ მზადყოფნაში გვყავდა საბრძოლო მასალებით დატვირთული ვაგონები ფრონტზე გასაგზავნად.

სანდარში ჩემი განკარგულებით მოწყობილ იქნა მეწინავე საარტილერიო საწყობი, რომელიც მოგვიანებით აშაღა-სარალში იქნა გადატანილი. ამგვარად, ჯარების მომარაგება ხდებოდა თბილისის მთავარი და ქუთაისისა და სანდარი/აშაღა-სარალის მეწინავე საწყობებიდან. თანდართული უწყისების მიხედვით კარგად ჩანს როგორც გაცემული საბრძოლო ქონების რაოდენობა, ასევე სასაწყობო ნაშთები. (უწყისები №№ 1, 2, 3, 4.). არტილერიის მატერიალური ნაწილის შეკეთებისათვის მოწყობილ იქნა მოძრავი საარტილერიო სახელოსნო (ვაგონებში). ასეთი სახელოსნო გაგზავნილ იქნა სადახლოს მიმართულებით. გარდა ამისა, სახალხო გვარდიის ჯარებში გაგზავნილ იქნენ ხელოსნები არტილერიის მატერიალური ნაწილის შესაკეთებლად.

გენერალ-ლეიტენანტი ქუთათელაძე.

მომარაგების ქვეგანყოფილების უფროსი, პოდპოლკოვნიკი ტუმილინი.

საქმის მწარმოებელი, პოდპორუჩიკი კანდელაკი''.[1129]

ამავე პატაკში დანართების სახითაა წარმოდგენილი სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის განყოფილების საარტილერიო სექციის სხვადასხვა სასაწყობო ნაშთებისა და ქართულ სამხედრო ნაწილებსა და საბრძოლო რაზმებზე გაცემული შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების უწყისები.

შეიარაღების მეწინავე საწყობების სასაწყობო ნაშთები **უწყისი 1**

დასახელება საწყობი	**3-ხაზიანი შაშხანა**	**3-ხაზიანი შაშხანის ვაზნა**	**მაქსიმის ტყვიამფრქვევი**	**სამთო ნაღმი (ჭურვი)**	**სამთო შრაპნელი**	**მსუბუქი ნაღმი (ჭურვი)**	**მსუბუქი შრაპნელი**	**48 მმ-იანი ყუმბარა**	**48 მმ-იანი შრაპნელი**	**რევოლვერის ვაზნა**
ქუთაისი	14436	5393670	195	7381	760	1259	2775	–	–	–
სანდარი/ აშაღა-სარალი	1800	1465000	–	2620	1890	300	1512	120	160	5000*
სულ:	16236	6858670	195	10001	2650	1559	4287	120	160	5000

* – აქედან „ნაგანი'' – 3000, „ბრაუნინგი'' – 2000.

[1129] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 2, საქმე 19/გ, ფურცელი 48.

ქუთაისის საწყობიდან გაცემა უწყისი 2

დასახელება სამხედრო ნაწილი	3-ხაზიანი შაშხანა	მაქსიმის ტყვიამფრქვევი	შაშხანის ვაზნა	სამთო ნაღმი	სამთო შრაპნელი
1-ლი ქვეითი პოლკი	1850	18	100200	–	–
მე-2 ქვეითი პოლკი	1900	–	31820	–	–
მე-3 ქვეითი პოლკი	1200	13	250000	–	–
ქართველ მუსულ. ბატალიონი	500	4	–	–	–
ფხაკაძის რაზმი	300	4	40000	–	–
1-ლი საარტილერიო ბრიგადა	–	–	–	300	75
სულ:	**5750**	**39**	**692020**	**300**	**75**

სანდარი/აშაღა-სარალის მეწინავე საწყობებიდან გაცემა უწყისი 3

დასახელება **სამხედრო ნაწილი**	**შაშხანა**	**შაშხანის ვაზნა**	**სამთო ნაღმი (ჭურვი)**	**სამთო შრაპნელი**	**მსუბუქი ნაღმი (ჭურვი)**	**მსუბუქი შრაპნელი**	**48 მმ-იანი შრაპნელი**	**48 მმ-იანი ყუმბარა**	**ნაგანის ვაზნა**
I ქვეითი პოლკი	–	30000	–	–	–	–	–	–	–
III ქვეითი პოლკი	–	52000	–	–	–	–	–	–	–
IV ქვეითი პოლკი	–	164000	–	–	–	–	–	–	–
VI ქვეითი პოლკი	–	146000	–	–	–	–	–	–	–
II არტ. ბრიგადა	–	–	700	710	190	310	–	–	1286
I ცხენოს პოლკი	–	8000	–	–	–	–	–	–	–
II ცხენოსანი პოლკი	–	20000	–	–	–	–	–	–	–
II სამთო-ცხენოსანი ბატარეა	–	1000	150	150	–	–	–	–	–
სასაზღვრო რაზმი	–	7000	–	–	–	–	–	–	–
საარმიო არტილერიის	–	–	–	–	–	–	37	35	–
ბრიგადა	–	15000	–	–	–	–	–	–	–
საეტაპო ბატალიონი	20	2000	–	–	–	–	–	-	–
საჭაპანე ბატალიონი	–	70000	–	–	–	–	–	–	–
გენ. წულუკიძის რაზმი	–	50000	–	–	–	–	–	–	–
ღლონტის პოლკი	500	50000	–	–	–	–	–	–	–
გენ. მაღალოვის რაზმი	–	10000	–	–	–	–	–	–	–
კაპ. უთნელავას რაზმი	–	54000	–	–	–	–	–	–	–
პოლკ ლეკვინაძე	–	10000	–	–	–	–	–	–	–
საყარაულო რაზმი	15	42000	–	–	–	–	–	–	–
ყარაიაზის რაზმი	–	230000	230	370	70	40	–	–	–
სახალხო გვარდია	–	20000	–	–	–	–	–	–	–
ხრამის ხიდის დაცვა	10	–	–	–	–	–	–	–	–
გიაურარხის დაცვა	4	50	–	–	–	–	–	–	–
ცალკეულ პირებზე	–	–	–	–	–	–	–	–	–
სულ:	**549**	**943250**	**1180**	**1230**	**260**	**350**	**37**	**35**	**1286**

თბილისის საწყობიდან გაცემა* **უწყისი 4**

დასახელება **სამხედრო ნაწილი**	**3-ხაზიანი შაშხანა**	**მაქსიმის ტყვიამფრქვევი**	**სამთო შრაპნელი**	**სამთო ნაღმი (ჭურვი)**	**მსუბუქი შრაპნელი**	**მსუბუქი ნაღმი (ჭურვი)**	**შაშხანის ვაზნა**	**ნაგანის ვაზნა**	**ბრაუნინგის ვაზნა**	**ხელყუმბარა**
1-ლი ქვეითი პოლკი	23	–	–	–	–	–	30000	–	–	–
მე-3 ქვეითი პოლკი	–	–	–	–	–	–	44000	–	–	–
მე-4 ქვეითი პოლკი	1600	14	–	–	–	–	300000	2205	–	–
მე-5 ქვეითი პოლკი	2400	12	–	–	–	–	500000	–	–	–
მე-6 ქვეითი პოლკი	1200	–	–	–	–	–	100000	–	–	1000
მე-2 დივიზის შტაბი	149	–	–	–	–	–	3000	–	–	–
1-ლი ცხენოსანი პოლკი	–	4	–	–	–	–	100000	1000	–	–
მე-2 ცხენოსანი პოლკი	600	–	–	–	–	–	120000	–	–	–
მე-3 ცხენოსანი პოლკი	–	–	–	–	–	–	–	1000	–	–
მე-2 მანგ. სასაზ. რაზ.	300	–	–	–	–	–	–	–	–	–
მე-3 დარ. სასაზ. რაზ.	–	–	–	–	–	–	–	–	–	25
სასაზღვ. ჯარის შტაბი	177	–	–	–	–	–	9300	–	–	–
მენაღმეთა ბატარეა	350	–	–	–	–	–	62350	–	–	–
1-ლი საარტ. ბრიგადა	–	–	–	–	–	–	–	300	300	–
მე-2 საარტ. ბრიგადა	119	–	–	–	40	40	6000	400	100	–
საარმიო საარტ. ბრიგ.	25	–	–	–	–	–	3000	1100	450	–
საეტაპო ბატალიონი	750	–	–	–	–	–	–	–	–	–
სამხ. სამინ. ადმ. რაზმი	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
ქართ. მუსულ. ბატარეა	–	–	–	–	–	–	15000	–	–	–
ქართული ლეგიონი	640	6	–	–	–	–	175000	2000	–	600
ოფიც. განსაკუთ. რაზმი	450	4	–	–	–	–	–	–	–	500
მუსულმანთა რაზმი	200	2	–	–	–	–	10000	–	–	–
თელავის ცხენ. რაზმი	100	–	–	–	–	–	40000	–	–	–
სახალხო გვარდია	1300	2	2200	3200	1200	3200	800000	2175	3600	1200
ტფილისის მილიცია	200	1	–	–	–	–	39000	–	–	–
ახალციხ. ცხენ. რაზმი	400	–	–	–	–	–	12000	1000	–	–
სულ:	**10983**	**45**	**2200**	**3200**	**1240**	**3240**	**2368650**	**11180**	**4450**	**3325**

* – აქ სამხედრო ნაწილებსა და საბრძოლო რაზმებზე გაცემული იარაღისა და საბრძოლო მასალების მხოლოდ ძირითადი პოზიციებია წარმოდგენილი.

შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის სამხედრო-პოლიტიკური აქტივობის თითქმის ნებისმიერი გამოვლინება, რბილად რომ ვთქვათ, დიდ გაკვირვებას იწვევს, იმდენად არაადეკვატური და შეუსაბამო იყო იგი. მობილიზაციის საკითხიც ერთ-ერთი ასეთთაგანია. საქართველოს მთავრობამ სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების განახლებიდან მხოლოდ ათი დღის შემდეგ გამოაცხადა თავისი პრეტორიანული შენაერთის - სახალხო გვარდიის რესპუბლიკური მობილიზაცია და მოხალისეთა გაწვევის კამპანია, რაც ოფიციალურად 1919 წლის 6 იანვარს დასრულდა. ამის შესახებ ცალსახად მეტყველებს საარქივო დოკუმენტებში დაცული სამხედრო სამინისტროს ,,პიროვნული შემადგენლობის განყოფილების'' გაწვევის უწყისები და იმდროინდელი ქართული პერიოდიკა. გაზეთ ,,საქართველოს" 18 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ საქართველოს სახალხო გვარდიის სამობილიზაციო მოწოდებას შემდეგი სახე ჰქონდა:

,,სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მოწოდება.

სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა მოწოდება დაუგზავნა გორის, ხაშურის, შორაპნის, ქუთაისის, სამტრედიის, თელავის, სიღნაღის, სართიჭალის სახალხო გვარდიის შტაბებს.

აჯანყებული სომეხი ბრბოები და სამხედრო ნაწილები, უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ხელმძღვანელობით, რომლებმაც მოკლეს ქარჩიკიანი და აზატიანი და მეზობლად მცხოვრებ ხალხებს დიდ უბედურებაში აგდებენ, თავს დაესხნენ ჩვენს მოსაზღვრე რაზმებს და ჯარისკაცები დაგვიხოცეს…

გვსურს რა, შევაჩეროთ სისხლის ღვრა, სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაადგინა მოიწვიოს ***წითელი დროშის ქვეშ*** სრულიად სახალხო გვარდია. გაწვეული რაზმები თავის აფიცრებით დაუყოვნებლივ თბილისში გამოაგზავნეთ. სხვა ნაწილებისაგან ცალკე რაზმები შეადგინეთ და საჩქაროდ გამოაგზავნეთ თბილისში. გაამლიერეთ თვალ-ყურის დევნა ადგილობრივ და ბეჯითად დაიცავით ხიდები. ***გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ თავისუფლება და რევოლუცია თქვენს დახმარებას ელის.***

ეშელონების გაგზავნის დროის შესახებ ტელეგრაფით აცნობეთ გვარდიის მთავარ შტაბს".[1130] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

აი, ასეთი იყო სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სამობილიზაციო მოწოდება. დიახ, წითელი დროშის ქვეშ უყრიდა თავს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი ,,ამხანაგ გვარდიელებს" თავისუფლებისა და რევოლუციის დასაცავად. ისევ ვერ ვხვდებით ვერაფრით, რომელი რევოლუციის რომელი მონაპოვრების დაცვაზე გაჰყვიროდნენ მუდმივად ქართველი სოციალ-დემოკრატები? ან იქნებ სამშობლოს არ სჭირდებოდა დაცვა? ან, იქნებ რევოლუცია და სამშობლო ერთი და იგივე ცნებები იყო და ქართველი მარქსისტების გარდა სხვა ვერავინ ხვდებოდა ამ უცილო ჭეშმარიტებას? ან იქნებ დაშნაკთა მიერ უკვე ერევანში გადაბარგებული სომხეთის მთავრობის წევრების, ქარჩიკიანისა და აზატიანის მკვლელობა იმავე რიგის მძიმე დანაშაული იყო, როგორისაც უკვე ასეულობით ქართველი ჯარისკაცის განადგურება და ისტორიულად ძირძველი ქართული მიწების დაპყრობა?

რევოლუციისა და დემოკრატიის დაცვისაკენ მოწოდება კი, ჯერ კიდევ 1918 წლის გაზაფხულზე გაისმა იმდროინდელი წითელი გვარდიის მთავარი შტაბისა და რაიონული შტაბების ერთობლივი სხდომის მიერ, რომელიც ოსმალური აგრესიის აღსაკვეთად იყო გამიზნული. ამ მეტად საინტერესო და ნიშანდობლივ დოკუმენტს სრულად მოვიყვანთ, რადგან მასში კარგადაა ასახული ქართველი სოციალ-დემოკრატებისა და ზოგადად იმ ეპოქის ,,რევოლუციური სულისკვეთება". 1918 წლის 10 აპრილს გამართული წითელი გვარდიის მთავარი შტაბის სხდომის ოქმს შემდეგი სახე ჰქონდა:

[1130] გაზეთი ,,საქართველო''. ქრისტეშობისთვის 18. 1918. №242.

წითელი გვარდიის მთავარი შტაბისა და რაიონული შტაბების
ერთობლივი სხდომა.
1918 წლის 10 აპრილი.
ნომრის გარეშე

თავმჯდომარე: საღირაშვილი.

მდივანი: აუშტროვი.

მომხსენებელი ამხ. გეგეჭკორი. კამათში მონაწილეობდნენ: მაისურაძე, კაპტანჯიანი, აუშტროვი, საღირაშვილოი, ჟღენტი, ჩხეიძე და ჟორდანია.

დაადგინეს:

წითელი გვარდიის მთავარი შტაბისა და რაიონული შტაბების წარმომადგენლების ერთობლივი კრება ახდენს იმის კონსტატირებას, რომ ქვეყანა და ***რევოლუცია*** საფრთხეშია. საგარეო მტერი დაუნდობლად მოიწევს ***რევოლუციის ტერიტორიის*** სიღრმისაკენ და ***ამიერკავკასიის დემოკრატიას*** საბოლოოო დამონებით ემუქრება (ზუსტად ეს სიტყვებია ტექსტში - Внешній врагъ безпощадно продвигается въ глубъ территорій революцій и грозитъ окончательнымъ порабошщеніем Закавказской Демократій - ა. ჩ.). ასეთ ისტორიულ მომენტში ყოველგვარი ყოყმანი და მერყეობა დამღუპველია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის და დეზორგანიზაციულად მოქმედებს არმიის საბრძოლო თვისებებზე. ***რევოლუციური ხელისუფლება*** ისეთი მტკიცე უნდა იყოს, რომ შეძლოს ქვეყნისა და ***რევოლუციის*** დაცვისათვის გადამწყვეტი ზომების გატარება.

კრება მოუწოდებს ყველას, ვისთვისაც კი ძვირფასია ქვეყნისა და ***რევოლუციის ინტერესები,*** დაძაბოს მთელი ძალები და მტერი დაამარცხოს, ხოლო მათ, ვისაც ***დემოკრატიის რიგებში*** დეზორგანიზაცია შეაქვთ, მოვუწოდოთ ***რევოლუციური წესრიგის*** დაცვისკენ.[1131] (ხაზგასმები ჩემია - ა. ჩ.).

რევოლუციურ წითელ დროშას კი, ძალიან გვიან და ძალიან მტკივნეულად შეელივნენ ამხანაგი გვარდიელები. მათთვის ეს დროშა ხომ რევოლუციის და წინსვლის, დემოკრატიისა და ინტერნაციონალიზმის, სოციალიზმისა და ,,ნათელი მომავლის“ სიმბოლოს, მათი არსებობის, ცხოვრებისა და ბრძოლის ნიშან-სვეტს წარმოადგენდა. ფართო საზოგადოებისთვის ალბათ უცნობია ის ფაქტი, რომ პირველი ქართული რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფოებრივი ინსტიტუციის განთავსების ადგილზე, ე.წ. ,,სასახლის“ შენობის (მეფისნაცვლის ყოფილი რეზიდენცია, კომუნისტების დროინდელი პიონერთა სასახლე და დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე) თავზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც კი, წელიწადნახევარზე მეტი ხანი, სამფეროვან სახელმწიფო დროშასთან ერთად, რევოლუციური წითელი დროშა ფრიალებდა. სხვათა შორის, პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების მსგავსად, ამ შენობაშივე იყო განთავსებული წითელი და მოგვიანებით სახალხო გვარდიის მთავარი შტაბიც.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, 1920 წლის იანვარში სასახლის შენობიდან, ,,რევოლუციის ამ ციტადელიდან“ ,,რევოლუციური“ დროშა ჩამოხსნეს, რასაც სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი ,,ღრმა მწუხარებით“ შეხვდა. ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულ გვარდიის მთავარი შტაბის სხდომის ოქმს შემდეგი სახე ჰქონდა:

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი.
სხდომის ოქმი №118
1920 წლის 18 იანვარი
საიდუმლო, სასწრაფო

ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარეს,

[1131] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი (50-51).

ასლები: დამფუძნებელი კრების პეზიდიუმს,

დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას,

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

გვარდიის მთავარი შტაბი ცნობისათვის გაწვდით რეზოლუციას, რომელიც მიღებული იქნა 18 იანვრის სხდომაზე.

,,სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი გამოხატავს ღრმა მწუხარებას სასახლიდან წითელი დროშის ჩამოხსნასთან დაკავშირებით, რომელიც რევოლუციის ციტადელს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში".[1132]

აი, ასეთ წარმოუდგენელ მოვლენებს და ვნებათა ღელვას ჰქონდა ადგილი ერთი საუკუნის წინანდელ ,,რევოლუციურ საქართველოში". და ისიც წარმოუდგენელია, რომ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის 1918 წლის 18 იანვრის სხდომაზე მიღებულ სულ რაღაც ორსტროფიან ,,რევოლუციურ" რეზოლუციას უმაღლესი სახელმწიფო და პოლიტიკური ლეგიტიმაციის მქონე ოთხი ადრესატი ჰყავდა. სამწუხაროდ, ზემოთ მოყვანილ მოვლენებთან და პროცესებთან დაკავშირებული კითხვის ნიშნები საკმარისზე მეტია. უფრო სამწუხარო კი ისაა, რომ დასმული კითხვები აქაც რიტორიკულია.

დავუბრუნდეთ ისევ 1918 წლის დეკემბერს და სომხეთ-საქართველოს ომის ბორჩალოს საომარ მოქმედებათა თეატრს. გვარდიის მთავარი შტაბის სამობილიზაციო მოწოდებას უმალ გამოეხმაურა ბორჩალოს მაზრის მუსლიმი მოსახლეობა და მათ საბრძოლო რაზმების შექმნა მოითხოვეს.[1133] საქართველოს მთავრობის მიერ კი, 1918 წლის 19 დეკემბერს გაცემულ მოხალისეთა გაწვევის სამობილიზაციო განკარგულებას შემდეგი სახე ჰქონდა:

,,თანახმად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებისა, დგება მოხალისეთა რაზმები, სადაც საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუძლია ჩაეწეროს, მათ გარდა, რომლებიც ეხლა უკვე მსახურობენ საქართველოს ლაშქარში და გარდა ჯარისკაცთა, რომლებიც მოწვეულნი არიან.

მოწვეულ ჯარისკაცებად ითვლებიან 1892, 1893, 1894, 1895, 1896, 1897, 1898 წლებში დაბადებული ახალგაზრდები.

1. ყველა მოხალისეთ, რომლებიც მსახურობენ სხვა და სხვა დაწესებულებებში - ადგილები შეენახებათ.
2. სამხედრო მოქმედებების გაკეთების შემდეგ თავისუფალნი იქნებიან.
3. უბედურ შემთხვევაში მათი ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან.

რაზმების შედგენა დავალებული აქვს: გენ-მაიორ მაღალაშვილს, გენ-მაიორ კერესელიძეს, პოლკოვნიკებს: კარგარეთელს, ბ. ინწკირველს, დ. ქარცივაძეს და ტ. ართმელაძეს. ჩაწერა შეიძლება ბარიატინსკის ქუჩაზე, სამხედრო სამინისტროში, ყოველ დღე, დილის 9 საათიდან 14 საათამდე და 16 საათიდან 18 საათამდე.

მოხალისეთა რაზმების ხელმძღვანელი, გენ-მაიორი მაღალაშვილი.

19 ქრისტეშობისთვე, ქ. თბილისი."[1134]

რაც შეეხება სამხედრო სამინისტროს ,,პიროვნული შემადგენლობის'' განყოფილების მიერ ჩატარებულ თადარიგის ოფიცერთა გაწვევას, აქ შემდეგი სურათი გვაქვს. განყოფილების უფროსის, გენერალ-მაიორ ვარდენ წულუკიძის მოხსენებით ბარათს სომხეთ-საქართველოს ომის შემსწავლელი

[1132] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 32, ფურცელი 16.

[1133] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 263.

[1134] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 4, ფურცელი 21.

კომისიისადმი, შემდეგი სახე ჰქონდა: ,,წარმოგიდგენთ იმ თადარიგის ოფიცერთა სიას, რომლებიც გაწვეულ იქნენ ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი განყოფილების მიერ, ამავე დროს გაცნობებთ, რომ გენერალური შტაბის უფროსის განკარგულების შესაბამისად, თადარიგის ოფიცერთა გაწვევა ჩატარებულ იქნა აგრეთვე ქუთაისის სამხედრო უფროსის მიერ, რომლებიც სხვადასხვა ნაწილებში იქნენ ჩარიცხულნი, მაგრამ მათ შესახებ მე არავითარი ცნობები არ გამაჩნია.

გენერალ-მაიორი წულუკიძე.

უფროსის თანაშემწე...“ [1135] (გვარი გაურკვევლად წერია - ა. ჩ.).

გენერალ-მაიორი ვარდენ წულუკიძე არ უნდა ავურიოთ გენერალ-მაიორ გიორგი წულუკიძეში, რომელიც სომხეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე ქართული მე-2 ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაური იყო. სწორედ გენერალი გიორგი წულუკიძე დაინიშნა ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორად სომხეთ-საქართველოს ომის საწყის ეტაპზე, 1918 წლის 24 ოქტომბრიდან. იგი სარდლობდა ქართული შეიარაღებული ძალების საჯარისო გარნიზონს ბორჩალოს მაზრის საომარ მოქმედებათა თეატრზე. ამ დროისათვის საქართველოს სამხედრო სამინისტროს ,,პიროვნული შემადგენლობის'' განყოფილების უფროსის თანამდებობა გენერალ-მაიორ ვარდენ წულუკიძეს ეკავა, შემდგომში - საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მე-3 დივიზიის მეთაურს და რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უკანასკნელ, არშემდგარ მთავარსარდალს. ეს სწორედ ის გენერალი წულუკიძეა, რომელიც 1921 წლის თებერვალი-მარტის საქართველოს რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს მთავრობის წევრებისა და ზოგიერთი გენერლის მსგავსად ემიგრაციაში არ წასულა და სამშობლოში დარჩა. მოგვიანებით კი, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, სხვა ქართველ პატრიოტებთან ერთად, როგორც ,,სამხედრო ცენტრის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, დახვრიტეს 1923 წელს, ანტიბოლშევიკური შეთქმულების ორგანიზების ბრალდებით, რაც წარმოდგენილი ნაშრომის შესაბამის თავში გვქონდა განხილული.

საარქივო მასალებში დაცული უწყისების მიხედვით, ქართველ ოფიცერთა თადარიგიდან გაწვევა 1918 წლის 21 დეკემბერს დაიწყო და 1919 წლის 6 იანვარს დასრულდა. ,,პიროვნული შემადგენლობის განყოფილების'' მონაცემებით საომარ მოქმედებათა ბორჩალოს მაზრის თეატრზე აღმოსავლეთ საქართველოდან სულ გაწვეულ იქნა თადარიგის 261 ოფიცერი და საომარი დროის ჩინოვნიკი. აქ ქუთაისის გუბერნიის მონაცემები გათვალისწინებული არ არის და იგი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მონაცემებს მოიცავს. წოდების მიხედვით გაწვეულნი იყვნენ ოფიცრები პრაპორშიკიდან როტმისტრის ჩათვლით, კერძოდ: პრაპორშიკი - 134, კორნეტი - 8, პოდპორუჩიკი - 57, პორუჩიკი - 30, შტაბის კაპიტანი - 8, შტაბის როტმისტრი - 2, კაპიტანი - 3, როტმისტრი - 1, საომარი დროის ჩინოვნიკი - 3. კიდევ 15 ოფიცრის სამხედრო წოდება დაკონკრეტებული არ არის. სამხედრო შენაერთებში, ნაწილებსა და ქვედანაყოფებში თადარიგიდან გაწვეულ ოფიცერთა განაწილებას ასეთი სახე ჰქონდა:

,,მე-2 ქვეითი დივიზია: პრაპორშიკი - 71, პოდპორუჩიკი - 27, პორუჩიკი - 20, შტაბის კაპიტანი - 3, როტმისტრი - 1, კორნეტი - 1.

მოხალისეთა რაზმი: პრაპორშიკი - 13, პოდპორუჩიკი - 7, შტაბის კაპიტანი - 1, კაპიტანი - 2, კორნეტი - 3.

ოფიცერთა რაზმი: პრაპორშიკი - 12, პოდპორუჩიკი - 2, პორუჩიკი - 2, შტაბის კაპიტანი - 2, შტაბის როტმისტრი - 1.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი: პრაპორშიკი - 6, პოდპორუჩიკი - 7, პორუჩიკი - 1, შტაბის კაპიტანი - 1.

[1135] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 1.

ცხენოსანი ბრიგადა: კორნეტი - 4, პრაპორშიკი - 2, პორუჩიკი - 1, შტაბის კაპიტანი - 1.

პოდპოლკოვნიკ დუმბაძის საჭაპანე ბატალიონი: საომარი დროის ჩინოვნიკი - 2, პრაპორშიკი - 9, პოდპორუჩიკი - 3, პორუჩიკი - 1, შტაბის როტმისტრი - 1.

გენშტაბის განყოფილების უფროსის განკარგულებაში: საომარი დროის ჩინოვნიკი - 1, პრაპორშიკი - 9, პოდპორუჩიკი - 3, პორუჩიკი - 1.

1-ლი ცხენოსანი დივიზია: პრაპორშიკი - 3, პოდპორუჩიკი - 2.

გენერალ ბენაევის[1136] განკარგულებაში: პრაპორშიკი - 9, პოდპორუჩიკი - 6, პორუჩიკი - 4, კაპიტანი - 1.

გარდა ამისა, სხვადასხვა ნაწილების დაქვემდებარებაში გადანაწილდა კიდევ 15 ოფიცერი".[1137] (მოპოვებულ საარქივო მასალებში წარმოდგენილია თადარიგიდან გაწვეულ ოფიცერთა სახელობითი სიაც, რომელსაც ცხადია აქ არ მოვიყვანთ - ა. ჩ.).

ერთმნიშვნელოვნად უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მთავრობის მოწოდებას მობილიზაციასა და მოხალისეთა რაზმების შედგენის შესახებ სრულიად საქართველო გამოეხმაურა. 1918 წლის დეკემბერი - 1919 წლის იანვრის პერიოდული პრესა სავსეა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისა თუ რაიონების მოსახლეობის მოწოდებებითა და გამოძახილებით ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების მხარდასაჭერად. უფრო მეტიც, ბაქოს ქართველი მოსახლეობისაგან ჩამოყალიბდა მოხალისეთა რაზმი, რომელიც სრულ მზადყოფნაში იყო ფრონტზე გამოსამგზავრებლად.

ქართველი ხალხი, მთავრობის ზოგიერთი წევრის საპირისპიროდ, თავიდანვე სწორად გაერკვა შექმნილ სიტუაციაში, ბოლომდე გაიაზრა შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა და

[1136] აქ ქართველ სამხედრო და საზოგადო მოღვაწეზე, ცნობილ მეცნიერსა და ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელზე, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის გენერალ-ლეიტენანტზე და ქართული არმიის გენერალზე, ანდრია ბენაშვილზეა (1868-1941წ.წ.) საუბარი. დაიბადა თბილისში. სწავლობდა თბილისის კადეტთა სკოლაში, შემდეგ მოსკოვის ალექსანდრეს სახელობის სამხედრო სასწავლებელში. ჯარებში მსახურობდა 1885 წლიდან, მე-16 მეგრელთა გრენადერთა პოლკში. 1896-1899 წლებში სწავლობდა გენერალური შტაბის აკადემიაში, გეოდეზიის განყოფილებაზე. 1899 წელს ორი წლით იგზავნება პულკოვოს მთავარ ასტრონომიულ ობსერვატორიაში. ეწეოდა სამეცნიერო და კვლევით მუშაობას, სადაც წერს და წარმატებით იცავს დისერტაციას. 1902-1903 წლებში მსახურობდა ლეიბ-გვარდიის იზმაილის პოლკში. 1903 წელს იწვევენ პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის გეოდეზიის კათედრის გამგედ. 1904-1914 წლებში მსახურობდა დასავლეთის სასაზღვრო სივრცის ტრიანგულაციის უფროსის თანაშემწედ, შემდეგ – უფროსად. I მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე, 1915-1916 წლებში, ირიცხებოდა კიევის სამხედრო ოლქის შტაბის რეზერვში. 1916-1917 წლებში მეთაურობდა კამიშინის 404-ე ქვეით პოლკს. 1917-1918 წლებში იყო დივიზიის მეთაური და საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. აქვე ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1918 წლიდან საქართველოში ჩამოდის და ქართველი ერის სამსახურში დგება. ივანე ჯავახიშვილთან ერთად, იგი ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და პროფესორია. პეტრე მელიქიშვილთან ერთად ანდრია ბენაშვილი წარმოადგენდა ქართული უნივერსიტეტის პირველ პროფესორს ბუნებისმეტყველების დარგში. 1918 წლის დეკემბერში მონაწილეობდა სომხეთ-საქართველოს ომში, სადაც მეთაურობდა მოხალისე ოფიცერთა საბრძოლო რაზმს. 1919 წლის სექტემბრამდე იყო ქართული სამხედრო სკოლის უფროსი, შემდეგ – რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის გეოდეზია-კარტოგრაფიის განყოფილების უფროსი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სამშობლოში. 1923-1924 წლებში კითხულობდა ლექციებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. იყო გეოდეზიის კათედრის გამგე. 1930 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში. 1933-1936 წლებში მოღვაწეობდა ქუთაისის, ხოლო 1938-1941 წლებში სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. იყო გეოგრაფიის ინსტიტუტის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. გარდაიცვალა 1941 წელს, სოხუმში. დაკრძალულია თბილისში, ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

[1137] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 14.

დაუფიქრებლად ჩადგა სამშობლოს სამსახურში. უდიდესი იყო ქართული მოწინავე საზოგადოებისა და საერთოდ ქართველი ხალხის პატრიოტული სულისკვეთება და საბრძოლო აღმაფრენა. ,,აღსანიშნავია, რომ ბათუმის ეპოპეისას, ამ ქალაქის დაცვას უმთავრესად დასავლეთ საქართველო გამოეხმაურა. სომხებთან ომს კი - მთელი საქართველო. ომი ერთობ პოპულარული გამოდგა, თბილისთან მტრის სიახლოვე და ჩვენი ხელმოცარვა მხოლოდ აღაგზნებდა და გულს უნათებდა ხალხს. ***მტერი სულ 2-3 ვერსით იყო თბილისს დაშორებული*** და პირველ ყოვლისა, დროის მოგება გახლდათ საჭირო",[1138] - იგონებს თავის მემუარში გენერალი კვინიტაძე. (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

ამ ამონარიდში კარგად ჩანს ის საბრძოლო მუხტი და აღმაფრენა, რითაც მოცული იყო იმდროინდელი საქართველოს საზოგადოება. თუმცა, ნამდვილად უზუსტობაა გაპარული სომხური შეიარაღებული ავანგარდების თბილისიდან დაშორების საკითხში. 2-3 ვერსის მაგივრად, აქ სულ მცირე, 20-30 ვერსი უნდა იკითხებოდეს. რა თქმა უნდა, ეს შეცდომა არაფრით არ შეიძლება გენერალ კვინიტაძეს მივაკუთვნოთ. ალბათ ეს ტიპოგრაფიული უზუსტობაა მხოლოდ. სომხური შეიარაღებული ავანგარდების თბილისთან მაქსიმალური მიახლოების საკითხს, უფრო დაწვრილებით წიგნის მეორე ნაწილის შესაბამის თავში განვიხილავთ ფაქტობრივი მოვლენებისა და უტყუარი დოკუმენტების წარმოდგენით. ხოლო ომის პოპულარობასთან მიმართებაში ჩვენის მხრივ დავამატებდით, რომ თავისი ხასიათითა და საქართველოს საზოგადოებაში გამოწვეული რეზონანსის მხრივ, სომხეთ-საქართველოს ომი ქართველი ხალხის ნამდვილ სამამულო ომს წარმოადგენდა. იმ დღეებში ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, მწერალი დავით კასრაძე, თავის საგაზეთო პუბლიკაციაში, სათაურით ,,აღმსდგარი საქართველო", არა პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მომენტებს, არამედ მამულისა და ეროვნული ერთიანობის იდეას უსვამდა ხაზს. პუბლიკაციაში ვკითხულობთ:

,,მაგრამ არაა უბედურება, რომელსაც კეთილი ნაყოფიც არ მოჰქონდეს. ჰაიასტანელთა ვერაგულმა თავდასხმამ უდიდესი სამსახური გაუწია ჩვენს ერს. სახელდობრ ის, რომ მან 17 დეკემბრის საპარლამენტო სხდომაზე შეგვაერთა ყველანი, ,,ერთი ფიქრი გვაფიქრებინა" და გვათქმევინა დღემდის საჭოჭმანო და გამოუთქმელი:

,,არ არსებობს პარტია...

არსებობს მხოლოდ - Patria!"

არასოდეს ჩვენს ისტორიაში ერი არ ყოფილა ასე ერთსულოვნად აღფრთოვანებული, როგორც დღეს"...[1139]

საომარ მობილიზაციასთან დაკავშირებით ერთ მნიშვნელოვან მოწოდებას მოვიტანთ, რომელიც ჩვენის აზრით, ყველაზე კარგად გამოხატავს იმ განწყობასა და საბრძოლო შემართებას, რასაც მოცული ჰყავდა სრულიად საქართველო და სრულიად ქართველობა. ეს მოწოდება მუსლიმ ქართველთა განმათავისუფლებელ კომიტეტს და სრულიად აჭარელ ხალხს ეკუთვნოდა:

,,როგორც ჩვენ ერთმორწუნე ძმებს, მუსლიმანებს, ასევე ჩვენ ღვიძლ ძმებს, ქრისტიან ქართველებს, ვერაგულად ეპყრობიან დიდსა და პატარას, ასახიჩრებენ ყველას, ვისაც ხელში ჩაიგდებენ. ასეთი სასტიკი, ველურ საშუალებათა ხმარებით განზრახული აქვთ დაიპყრონ მთელი ბორჩალოს მაზრა, ახალ-ქალაქი, ახალ-ციხე, და სხვა კიდევ ვინ იცის, რომელი ჩვენი ქვეყნის კუთხეები. და ხომ იცით, როცა სომხის ავაზაკი და არა დემოკრატიული ჯარის ნაწილები გამოილაშქრებენ ჩვენზე, რა უბედურებანი დაგვატყდება თავზე?! ოჯახს გაგვინადგურებენ, ნამუსს აგვხდიან, აგვყრიან და საშვილიშვილოდ სულ ერთიანად მოგვსპობენ.

[1138] გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ტომი I. ,,ლომისი". თბილისი. 1998. გვ. 75.

[1139] გაზეთი ,,საქართველო". კვირა, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 22, №246. გვ. 2.

გაფრთხილებთ მამულიშვილნო! დაგვიდგა ყოფნა არ ყოფნის დრო, ეხლა უნდა დავიცვათ ჩვენი სამშობლო, ჩვენი ოჯახი, ჩვენი ნამუსი და ჩვენი სახლ-კარი. სწორედ ეხლა უნდა ავიღოთ ხელში იარაღი და ამოვუდგეთ გვერდში სამშობლოს საკეთილდღეოდ ჩვენს თანამემამულე ქრისტიან ქართველებს, რომლებიც უკვე პირნათლად ასრულებენ სამშობლოს მიერ დაკისრებულ წმინდა მოვალეობას და სდევნიან მუხანათურად შემოსულ ავაზაკებს...

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარე, მემედ-ბეგ სანჯაყ-ბეგის შვილი აბაშიძე.[1140]

მდივანი, დიასამიძე".[1141]

აი, ასეთი იყო აჭარელთა განწყობა და საბრძოლო მზადყოფნა სომხეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით. გაგახსენებთ, რომ ახალციხის მაზრაში გენერალ მაყაშვილის დაქვემდებარებაში უკვე ნოემბრის პირველი რიცხვებიდან იმყოფებოდა აჭარელთა საბრძოლო რაზმი პოლკოვნიკ ასლან აბაშიძის მეთაურობით, რომელიც საკუთარი სინდისისა და პატრიოტული განწყობებით აღსავსე ჩადგა სრულიად საქართველოს დამცველთა რიგებში. მაგრამ არის ამ მოწოდებაში ისეთი დეტალიც, ისეთი შტრიხიც, რომელიც იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური აზროვნების მთავარ დამახასიათებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს სამწუხაროდ.

ეს შტრიხი ისევ და ისევ ის ყბადაღებული ,,ქართული დემოკრატიაა", რომლითაც ასე მოჰქონდათ თავი ქართველ მენშევიკებს და როგორც ჩანს, არა მხოლოდ მათ. ზემოთ მოყვანილ მოწოდებაში ამ ფენომენის მეტად საინტერესო ფორმას - ,,დემოკრატიულ ჯარს" ვხვდებით. სიტყვათა ამ კომბინაციის ქვეშ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმებოდა დემოკრატიულობის პრინციპებზე დაფუძნებული ჯარების საორგანიზაციო-მართვის ფორმა და სტილი ქვედანაყოფებში,

---

[1140] მემედ აბაშიძე (1873-1937წ.წ.) – ქართველი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი, ქართველი მუსლიმების აღიარებული ლიდერი, სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი. დაწყებითი განათლება მიიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლაში. მამის დახმარებით დაეუფლა არაბულ, თურქულ და სპარსულ ენებს. ახალგაზრდობიდანვე იზიარებდა ქართველ სამოციანელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს და სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ცდილობდა ქართველ მუსლიმთა საერთო-ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას, მათ ინტეგრაციას ქართულ ეროვნულ-კულტურულ სივრცეში, რომელიც საფუძვლიანად იყო შერყეული ოსმალთა რამდენიმესაუკუნოვანი ბატონობის შედეგად აჭარაში. იყო ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აქტიური წევრი. ინტენსიურად თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან, ბეჭდავდა ეროვნული და პატრიოტული ხასიათის სტატიებს. ეროვნულ-პოლიტიკური საქმიანობისათვის რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული ცარისტული ხელისუფლების მიერ. ბოლოს ციმბირში გადაასახლეს, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბრუნდება საქართველოში და სათავეში უდგება აჭარის მაჰმადიან ქართველობას, რომელიც მწვავედ დაუპირისპირდა პროოსმალურ და პროისლამურ ძალებს. 1917 წლის შემოდგომაზე არჩეულ იქნა ,,ქართველ მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების" თავმჯდომარედ. ოსმალთა მიერ 1918 წლის ბათუმის ოკუპაციის შემდეგ დააპატიმრეს და ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს, საიდანაც მოახერხა გაქცევა და თბილისში ჩამოსვლა. 1919 წლის 31 აგვისტოს არჩეულ იქნა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის (პარლამენტის) თავმჯდომარედ, რომელიც ბრიტანული ადმინისტრაციის პირობებში ფაქტობრივად ადგილობრივი პროქართული ორიენტაციის მუსლიმი ქართველების მთავრობის ფუნქციებს ასრულებდა ბათუმის ოლქში. მისი რედაქტორობით გამოდიოდა განმათავისუფლებელი კომიტეტის ბეჭდვიითი ორგანო – გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო". საქართგველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, საქართველოს მთავრობის წევრების მსგავსად ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სამშობლოში. გარკვეული პერიოდი რჩებოდა მეჯლისის თავმჯდომარედ, იყო საოლქო რევკომის წევრი. შემდგომში მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტში არაბული ენის სახელმძღვანელოს შემდგენი კომისიის მუშაობაში. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. როგორც თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი, საბოლოოდ მაინც მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. დიდი საბჭოური რეპრესიების დროს, 1937 წლის ზაფხულში დააპატიმრეს და იმავე წლის 17 სექტემბერს დახვრიტეს.

[1141] გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა". 01. 01. 1919.

რასაც დღეს ოპერაციის კოლექტიური დაგეგმვის პროცესსა და პროფესიონალების მიერ მის აღსრულებაზე კოლექტიური პასუხისმგებლობის აღებაში ვიგულისხმებდით. აქ, ამ ფრაზის ქვეშ შეიარაღებული ძალებში ინფილტრირებული პარტიულ-პოლიტიკური იდეოლოგია და ჯარების საბრძოლო მოქმედებებისა და აქტივობის განსხვავებული გამოხატულება იგულისხმება, შეზავებული რაღაც გაუგებარი ,,დემოკრატიული" ელფერით. დიახ, სიტყვა ,,დემოკრატია", და მით უმეტეს ,,ქართული დემოკრატია", თავისი ყველაზე უფრო მახინჯი, უგვანო, გადაჯიშებული და ეპოქისათვის ყველაზე შეუფერებელი ფორმით, იყო სწორედ ის ჯადოსნური სიტყვა, რომელიც ყველაზე უფრო ხშირად და არადანიშნულებისამებრ იხმარებოდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის იდეოლოგიური და პოლიტიკური მამების მიერ. ასეთი დასკვნების გაკეთება, სამწუხაროდ, ჩვენ რამდენჯერმე მოგვიხდა.

ქართულთან შედარებით, სომხური მხარის მიერ განხორციელებულ სამობილიზაციო საკითხებზე საუბარი გაცილებით მარტივია. მარტივია იმდენად, რამდენადაც არარატის მთავრობის მიერ სომხეთ-საქართველოს ომში, მის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, 1918 წლის სექტემბრის პირველივე რიცხვებიდან მობილიზებულ იქნა მოსახლეობის დიდი ნაწილი და მასში დასაწყისიდანვე მონაწილეობდა სომხეთის რეგულარული ჯარის ძირითადი კონტინგენტი. დამატებით - ამიერკავკასიაში, რუსეთსა და ანატოლიაში მოსახლე სომხებისაგან შედგენილი ე.წ. ,,მოხალისეთა რაზმები'', აგრეთვე საომარ მოქმედებათა რაიონებში თავის დროზე შემოსული და დასახლებული, იარაღის ტარების უნარის მქონე საქართველოს სომეხი ეროვნების მოქალაქეები. აი, ასეთი იყო საქმის რეალური არსი.

§3.5. საქართველოსა და სომხეთის შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლა

ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის ცალკეულ რესპუბლიკებად დაშლისთანავე ბორჩალოს მაზრის ლორეს ზონაში დაფიქსირდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო სამხრეთის საზღვრებიც. ჩვენი მტკიცება ქვემოთ მოყვანილი უტყუარი საარქივო დოკუმენტით დასტურდება. სომეხთა ნაციონალური საარმიო კორპუსის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი თომა ნაზარბეგოვი, 1918 წლის 28 მაისს, ნოე რამიშვილს, როგორც ამიერკავკასიის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრს,[1142] შემდეგი შინაარსის შიფროგრამას უგზავნის:

,,კარაკლისიდან

28. 05. 1918.

ჩემს მიერ მიღებული სარწმუნო ცნობებით დღეს ყარაკლისში თბილისიდან მოვიდა ორთქლმავალი ერთი სამგზავრო ვაგონით, რომლითაც ჩამოვიდა გერმანელი ოფიცერი 12 გერმანელი ჯარისკაცით სამხედრო ტყვეებთაგან სადგურ ყარაკლისისა და რკინიგზის ხაზის დასაცავად. სხვა გერმანელი ჯარისკაცები ორმოცი კაცის ოდენობით იმყოფებიან სადგურ სანაინში და მათაც მინდობილი აქვთ სადგურის დაცვა. გთხოვთ მაცნობოთ, რას მოასწავებს ასეთი დაცვა და როგორ მოვექცეთ ასეთ რაზმს.

ნაზარბეგოვი“.[1143]

ამ მომენტიდან, ე.ი. 1918 წლის 28 მაისიდან დაწყებული, ლორეს რეგიონში, ქართულ-გერმანული ქვედანაყოფების შეყვანით ქართული დე ფაქტო იურისდიქცია აღდგა. ასე, რომ სომეხი ავტორის მიერ ზემოთ მოყვანილი ცნობა ლორეს რაიონის თურქთა მიერ პყრობის შესახებ, მართებული არ არის. საეჭვოა, რომ ბატონ გრანტ ავეტისიანისათვის ეს ფაქტი არ ყოფილიყო ცნობილი, მაგრამ ჩვენის აზრით, იგი კიდევ ერთხელ, სპეციალურად ავრცელებს კარგად გამიზნულ დეზინფორმაციას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1918 წლის ,,12 თებერვალს, მოახდინეს რა 5 დივიზიისა და დამატებით ირეგულარული (ძირითადში ქურთთა ცხენოსანი) საჯარისო ნაწილების კონცენტრაცია, ოსმალეთის ჯარები შეტევაზე გადმოვიდნენ და მოკლე ხანში დაიკავეს ერზინჯანი, არზრუმი, ტრაპიზონი, ყარსი, ართვინი, ბათუმი. ანუ, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტერიტორიები. გარდა ამისა, მოახდინეს ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების, აგრეთვე ოზურგეთის ოკუპაცია, სადაც მათ მყარ დასაყრდენად ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა დახვდათ”.[1144] საერთო ჯამში, ოსმალთა იმპერიის განახლებული მე-3 არმიის შენაერთების ძლევამოსილი შეტევითი ოპერაციის ფონზე, რომელსაც გენერალი მეჰმედ ვეჰიბ ფაშა, მოგვიანებით კი, იაყუბ შევქი ფაშა[1145] და ნური ფაშა სარდლობდნენ, ოსმალთა

[1142] 1918 წლის 28 მაისისათვის ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს, ნოე რამიშვილს უკვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა. თუმცა, ეს ფაქტი 1918 წლის 28 მაისისათვის, ისევე როგორც ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის ამბავი, გენერალ ნაზარბეგოვისათვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი.

[1143] მ. გაბრიჩიძე. გერმანელი ოკუპანტები საქართველოში. დოკუმენტებისა და მასალების კრებული. თბილისი. 1942. გვ. 38. (11–11–49–3).

[1144] История Первой Мировой Войны 1914-1918 гг. А. М. Агеев, Д. В. Вержховский, В. И. Виноградов, В. П. Глухов, Ф. С. Криницын, И. И. Ростунов, Ю. Ф. Соколов, А. А. Строков. Под редакцией доктора исторических наук И. И. Ростунова — М.: Наука, 1975 г. Стр. 438.

[1145] იაყუბ შევქი ფაშა სუბაში (თურქ. Yakup Şevki Subaşı) (1876-1939წ.წ.) – ოსმალო და თურქი სამხედრო ოფიცერი და მოღვაწე, გენერალ-მაიორი. ბალკანური ომების, I მსოფლიო ომის და თურქეთის დამოუკიდებლობის ომის მონაწილე. დაიბადა ხარფუთში. სამხედრო სამსახური დაიწყო 1894 წელს.

მთავრობასა და საქართველოს, სომხეთის, აგრეთვე აზერბაიჯანის რესპუბლიკების მთავრობებს შორის, 1918 წლის 4 ივნისს, ბათუმის საზავო კონფერენციაზე იდება ,,მშვიდობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულება საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და ამ ქვეყნებს შორის საზღვრების დადგენის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეთანხმებაში საუბარი იყო ოსმალთა იმპერიასა და მთლიანად ამიერკავკასიის ფედერაციას შორის ახალი საზღვრის შესახებ და არა ოსმალეთსა და ამიერკავკასიის თითოეულ რესპუბლიკას შორის საზღვრების დადგენაზე.

საზღვრის საკითხი შეთანხმების მეორე სტატიაში იყო წარმოდგენილი. ჩვენ ამ სტატიას სრულად მოვიყვანთ, იმდენად, რამდენადაც იგი ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია და ოსმალთა იმპერიასა და მთლიანად ამიერკავკასიას შორის იურიდიულად და ფაქტობრივად დაფიქსირებულ სახელმწიფო საზღვარს გამოსახავს 1918 წლის ივნისი-ოქტომბრის პერიოდისათვის:

,,ქვემოთ მოყვანილი სასაზღვრო ხაზი გამოყოფს ერთმანეთისაგან ოსმალთა იმპერიასა და საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. საზღვარი იწყება იქ, სადაც მდინარე ჩოლოქი უერთდება შავ ზღვას და ემთხვევა ოსმალთა იმპერიასა და რუსეთს შორის 1877 წლამდე არსებულ ძველ საზღვარს. შემდეგ იგი აღწევს შავნაბადას მთამდე და მთების მწვერვალების გავლით მიემართება ხალხამასა და მეფისწყაროს მთებამდე (1856 წლის საზღვრებით).

ამის შემდეგ იგი უხვევს სამხრეთისაკენ, გადის ფარსადაღის მთის წვერზე აბასთუმნიდან სამხრეთით ორ კილომეტრზე, უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და აღწევს კარხულდაღის მთას. აქედან, ჯერ 5 კილომეტრზე მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით აღწევს გორკელს, აწყურიდან სამხრეთით 2 კილომეტრზე კვეთს მდინარე მტკვარს და ქაიბაშის, ორთათავის, ქარაიას მთის წვერების გავლით აღწევს ტაპისხორსკას (ტაბაწყურის - ა. ჩ.) ტბას და იქიდან სამხრეთით გრძელდება მოლითის მონასტრამდე. საზღვარი ისე კვეთს ამ ტბას, რომ მოლითის მონასტრიდან უშუალოდ გავლებული სწორი ხაზის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები, რომლებიც ერთნახევარი კილომეტრით ჩამორჩება ტბის უკიდურეს ჩრდილოეთ წერტილს, რჩება ოსმალთა იმპერიის ტერიტორიაზე. შემდეგ კი მიდის თავკოთელიის მთამდე. აქ იგი უხვევს სამხრეთით და შავნაბადას, ყარაკუხუს, სამსარის მთიანი მასივის მწვერვალებზე გავლით, უხვევს აღმოსავლეთისაკენ და დევექერანის მთების წვერებზე გადის. შემდეგ მიემართება სამხრეთისაკენ და აჩრიკარის, ბაშრირანისა და ნურახმანის მწვერვალებზე გადის. ნურახმანის მთიდან მთის წვერებზე გავლით იგი გრძელდება სამხრეთისაკენ და ტფილისი-ალექსანდროპოლისის რკინიგზის ხაზს კვეთს სოფელ აღბულახიდან ხუთ კილომეტრზე.

1900 წელს ამთავრებს სამხედრო აკადემიას და ენიჭება შტაბს-კაპიტნის წოდება. სამხედრო სამსახური გააგრძელა მე-2 არმიის შტაბში. აქვე ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. ბალკანური ომების დროს იყო ოსმალთა იმპერიის არმიის არტილერიის უფროსი. შემდგომ მსახურობდა 1-ლი არმიის შტაბში. I მსოფლიო ომის დაწყებას შეხვდა კონსტანტინოპოლის გამაგრებული რაიონის უფროსის თანამდებობაზე. დარდანელის ოპერაციის მსვლელობისას იყო მე-19 დივიზიის მეთაურის მოადგილე, ხოლო 1916 წლიდან – მე-3 კორპუსის სარდლის მოადგილე, მოგვიანებით ინიშნება მე-15 საარმიო კორპუსის სარდლის მოადგილედ. აქვე ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1917 წლის დასაწყისში გადმოყავთ კავკასიის ფრონტზე და ინიშნება კავკასიის ფრონტზე გაშლილი მე-2 საარმიო კორპუსის სარდლად. 1918 წლის ივნისში ინიშნება ოსმალთა მე-3 არმიის ბაზაზე ფორმირებული მე-9 არმიის სარდლად. თუმცა, მალევე, ამ შენაერთის ,,კავკასიის ისლამურ არმიად'' გარდაქმნის შემდეგ ტოვებს თანამდებობას და ინიშნება საარმიო კორპუსი ,,ყარსის'' სარდლად. I მსოფლიო ომის დასრულებისა და ოსმალეთის კაპიტულაციის შემდეგ მას ბრიტანელები აპატიმრებენ და სხვა ოსმალო ოფიცრებთან და პოლიტიკოსებთან ერთად ასახლებენ კუნძულ მალტაზე. 1921 წელს ბრუნდება გადასახლებიდან და ერთვება გენერალ მუსტაფა ქემალის თაოსნობით დაწყებულ წინააღმდეგობის ახალ თურქულ მოძრაობაში. თურქეთის დამოუკიდებლობის ომის პერიოდში სარდლობდა ქემალისტთა მე-2 არმიას. თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, 1924 წლიდან, იყო თურქეთის უმაღლესი სამხედრო საბჭოს წევრი. შემდგომი წლები ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში. 1930 წელს გავიდა თადარიგში და ჩამოშორდა აქტიურ ცხოვრებას. გარდაიცვალა 1939 წლის 20 დეკემბერს.

აქედან სწორი ხაზით მიემართება ხანვალისაკენ, სადაც თითქმის სწორი ხაზით აღწევს ყველაზე მაღალ წერტილს ალაგეზს და ისევ სწორი ხაზით კვეთს ეჩმიაძინ-სარდარაბადის შოსეს, ეჩმიაძინიდან დასავლეთით 7 კილომეტრზე. შემდეგ იგი 7 კილომეტრზე გარს უვლის ამ ქალაქს და ალექსანდროპოლისი-ჯულფას რკინიგზის ხაზის პარალელურად მიემართება რკინიგზის ხაზიდან 10 კილომეტრის დაშორებით და 16 კილომეტრში სამხრეთით ბაშკიარანთან კვეთს გზას, რომელიც აქედან რკინიგზისაკენ მიემართება. შემდეგ იგი უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, 1 კილომეტრზე უვლის გვერდს სოფელ აშაღი-ყარაბაღლარს. შაბაღლუს, ყარაქაჩისა და აშაღი-ჩენაქიჯის გავლით აღწევს ელფინჩაის, რომელსაც მიყვება იგი არფამდე. დაწყებული აქედან იგი ემთხვევა მდინარე არფაჩაის კალაპოტს, მიდის ქაიალუმდე და მდინარე ქაის გასწვრივ აღწევს აღტაბანის მწვერვალს. შემდეგ იგი გრძელდება ყარათურნას, არაჯის, ყარაქლისის მთის წვერებზე, აღწევს ბელიონჩაის წყალგამყოფამდე, მიუყვება მდინარის კალაპოტს, აღწევს სამხრეთით აზას, რომელიც რუსეთ-სპარსეთის ყოფილი საზღვრის ხაზზე მდებარეობს.

სასაზღვრო ხაზის საბოლოო დაზუსტება განხორციელდება ადგილზე, ორივე მხარის წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისიის მიერ".[1146]

როგორც ვხედავთ, საზავო მოლაპარაკებების შედეგად დადებული ხელშეკრულების ძალით, საზღვრები ოსმალთა იმპერიასა და ცალკ-ცალკე ამიერკავკასიის ახლადგაჩენილ რესპუბლიკებს შორის არ მომხდარა. ეს არცაა გასაკვირი, რამეთუ ამიერკავკასიის ფედერაცია სულ რაღაც ერთი კვირის დაშლილი იყო. შეთანხმების მესამე სტატიაში კი ნათქვამი იყო: ,,საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრების დადგენისთანავე ეცნობება ოსმალთა საიმპერატორო მთავრობას და შედგენილი ოქმები ჩართული იქნება ამ შეთანხმების ტექსტში".[1147] საზავო მოლაპარაკებებზე მესამე მხარედ გერმანული სარდლობა იყო წარმოდგენილი. სწორედ გერმანული მხარის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ 1918 წლის 11 მაისს შემუშავებული პირველადი შეთანხმების ტექსტიდან ამოღებულ იქნა ახალციხის მაზრის ორი დასტხლებული პუნქტი - აწყური და აბასთუმანი.[1148]

კონკრეტულად საქართველოსათვის ბათუმის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები უმძიმესი იყო. ყარსის რაიონის, ბათუმისა და არდაგანის ოლქების გარდა ოსმალების მფლობელობაში გადადიოდა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები. ტერიტორიები, რომელიც 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის ხელშეკრულებით დაკარგა საქართველომ, დაახლოებით 10 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა 350 ათასი სული მოსახლით. არასწორია ნიდერლანდელი მკვლევარის, ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორის, შარლოტ ჰილის (Sharlotte Hille) მიერ, მის ნაშრომში "State Building and Conflict Resolution in the Caucasus" (,,სახელმწიფო მშენებლობა და კონფლიქტების მოგვარება კავკასიაში") გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბათუმის ხელშეკრულებით საქართველომ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებთან ერთად ბორჩალოს მაზრაც დაუთმო თურქებს.[1149] ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და ცალკეული რესპუბლიკების დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტიდან, ბორჩალოს მაზრა დე ფაქტო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში დარჩა ჩართული.

1146 Изъ исторіи Армяно-Грузинскихъ отношеній. 1918 годъ. (пограничные конфликты; переговоры; война; соглашеніе). Государственная Типографія. Тифлисъ. 1919 г. გვ. 7-8.

1147 დასახელებული ნაშრომი. გვ. 8-9.

1148 З. Аваловъ. Независимость Грузии въ международной политике 1918 н 1921 г.г. Воспоминания. Очерки. Paris. 1924. Стр. 95-96.

1149 Sharlotte Hille. State Building and Conflict Resolution in the Caucasus. Eurasian Studies Library. Historical, Political and Social Studies of Slavic and Islamic Cultures on the Eurasian Region. Brill. Leiden, Boston. 2010. Pg. 85. https://books.google.ge/books?id=yx FP6K8iZzQC&pg=PA51&source=gbs_toc_r&cad=3#v=onepage&q&f=false

ხელშეკრულების მესამე სტატიის მოთხოვნათა აღსასრულებლად, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, უკვე 11 ივნისს ჩატარდა სხდომა, სადაც მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე რამიშვილმა საზღვრების დამდგენი კომისიის შედგენის საკითხი შემოიტანა. სხდომაზე საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრების დამდგენი პირველი კომისიის შემადგენლობაც დაამტკიცეს: ირაკლი წერეთელი, დავით ონიაშვილი,[1150] პავლე ინგოროყვა და გენერალი ილია ოდიშელიძე.[1151] მაგრამ რეალურად საქმე ამის იქით არ წასულა. ამიერკავკასიის ახლადგაჩენილ რესპუბლიკებს შორის სასაზღვრო საკითხებზე მოლაპარაკებები არ გამართულა, სადემარკაციო და სადელიმიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაც არ მომხდარა. ასე, რომ მთელი 1918 წლის განმავლობაში ამიერკავკასიის ახლადშექმნილ რესპუბლიკებს შორის მხოლოდ დე ფაქტო საზღვრები იყო დაფიქსირებული.

აღნიშნული ხელშეკრულების დადებიდან სულ რაღაც ორ დღეში ოსმალურ მხარეს ახალი პრეტენზიები გაუჩნდა საქართველოს მთავრობის მიმართ. თურქული სამხედრო შენაერთების ელიზავეტპოლისაკენ შემდგომი წინსვლის უზრუნველსაყოფად, ყარაქილისა - დილიჯანი - ყაზახის მარშრუტზე გასასვლელად და რკინიგზით სარგებლობის საბაბით, თურქულმა მხარემ დამატებითი მოთხოვნები წამოაყენა ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილისა და ე.წ. ,,გატეხილი (წითელი) ხიდის'' ,,დროებითი ოკუპაციის'' თაობაზე. 15 მაისს, ალექსნდროპოლისის დაკავების შემდეგ, ოსმალური შენაერთების ამ მოსალოდნელი ინტერვენციის შესახებ, ჯერ კიდევ 20 მაისს, ბათუმის სამშვიდობო კონფერენციის მსვლელობის დროს აფრთხილებდა სომხური კორპუსის სარდალი გენერალი ნაზარბეგოვი ამიერკავკასიის არმიის სარდლობას. თავის ტელეგრამაში იგი

[1150] დავით ონიაშვილი (1883-1937წ,წ,) – ქართველი პოლიტიკოსი, პროფესიით იურისტი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო წარმომადგენლობითი ორგანოსა და მთავრობის წევრი. დაიბადა გორის მაზრის სოფელ ხიდისთავში. სწავლობდა გორისა და თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1904 წელს. შემდეგ სწავლა განაგრძო იურიევის (დერპტი/ტარტუ) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ბოლო ორი კურსი სწავლობდა გერმანიაში, ლაიფციგის უნივერსიტეტში. 1904 წლიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) წევრი, 1905 წლიდან მენშევიკია. თანამშრომლობდა პრესასთან და აქვეყნებდა სტატიებს. აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში, რის გამოც დააპატიმრეს. ციხიდან გამოვიდა 1906 წელს. მომდევნო წლებში მუშაობდა ადვოკატად. ამავე დროს დაკავებული იყო მთარგმნელობითი მოღვაწეობით. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად, ხოლო 1918 წლის თებერვლიდან იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. 1918 წლის განმავლობაში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. 1919 წლის 12 მარტს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით არჩეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. იყო დამფუძნებელი კრების იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, საბიუჯეტო-საფინანსო და თვითმმართველობის კომისიების წევრი. 1920 წელს დაინიშნა რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, მთავრობის სხვა წევრების მსგავსად ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა საქართველოში. ცხოვრობდა არალეგალურად და ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1924 წლისათვის, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარე, მონაწილეობდა ანტისაბჭოთა აჯანყების მომზადებაში, რისთვისაც დააპატიმრეს, მაგრამ მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს, საიდანაც მოახერხა გაქცევა. ისევ დააპატიმრეს და მიუსაჯეს პირობითი სასჯელი. შემდგომ წლებში ეწეოდა საადვოკატო, პუბლიცისტურ და მთარგმნელობით საქმიანობას. მუშაობდა მარქსის ,,კაპიტალის'' I ტომის თარგმანზე, კითხულობდა ლექციებს თეატრალური კურსების სტუდენტებისთვის. დიდი საბჭოური რეპრესიების დროს, 1937 წლის 14 აპრილს, ,,მენშევიკური კონტრრევოლუციური ცენტრის'' წევრობის ბრალდებით ისევ დააპატიმრეს. 1937 წლის 13 ივლისს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ დახვრეტა მიუსაჯა. დახვრიტეს მეორე დღეს, 14 ივლისს. მისი საფლავი არ არსებობს.

[1151] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი 32.

იტყობინებოდა: „მიუხედავად საზავო მდგომარეობისა, თურქები განაგრძობენ სამხედრო მოქმედებას და, კერძოდ, კარაკლისის (ყარაქილისა - ა. ჩ.) ფრონტზე აგრძელებენ რა შეტევას, დღეს სოფ. ავდიბედიდან გარეკეს ჩვენი ნაწილები. მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ თურქები თბილისის გზატკეცილზე და ლორის რაიონში აჯგუფებენ დიდ ძალებს. ცნობილია მათი განზრახვა – გააგრძელონ შეტევა კარაკლისზე და შემდეგ თბილისზე. ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ალექსანდროპოლისა და ერევნის გზის დაკავება მხოლოდ დასაწყისია შემდგომი დაპყრობისა“.[1152]

ამ საკითხის გადაწყვეტისა და თურქული ექსპანსიის შემდგომი აღკვეთის საქმეში საქართველოს მთავრობამ შეძლო გერმანული მხარის მიმხრობა. გერმანული სარდლობისა და პირადად გენერალ ოტო ფონ ლოსოვის მიერ თურქთა ეს მოთხოვნები გაზიარებულ არ იქნა. ამ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მოახერხა გერმანული სარდლობის კეთილგანწყობისა და მხარდაჭერის მოპოვება, თვით სამხედრო მხარდაჭერის ჩათვლითაც კი.

ისტორიული ფაქტია, რომ ქართულ-გერმანულ ნაწილებსა და გვარდიის რაზმებს გააფთრებულ ბრძოლაში ჩაბმა მოუწიათ თურქთა ახალი აგრესიის აღსაკვეთად ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ოსმალურმა მხარემ შეძლო ადგილობრივი თათრული მოსახლეობის ნაწილის აყოლიება და მათი აგრესიაში ჩართვა. საერთო ჯამში, გენერალ ვეჰიბ ფაშას ქვედანაყოფები და ადგილობრივი თათრული ბანდები მდინარე ხრამთან გამაგრდნენ. მათ დაუპირისპირდა ქართულ-გერმანული საჯარისო დაჯგუფება შემდეგი შემადგენლობით: ბავარიელ ეგერთა ბატალიონი, წითელი (სახალხო) გვარდიის ბატალიონი და გვარდიის საარტილერიო ბატარეა, ერთი ჯავშანმატარებელი, ცხენოსანი რაზმი და ახლადფორმირებული საჯარისო ბატალიონი. ოპერაციის საერთო ხელმძღვანელებს ქართული მხრიდან პოლკოვნიკი ალექსანდრე ქონიაშვილი[1153] და წითელი გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი, ვალიკო ჯუღელი წარმოადგენდნენ.

[1152] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. საქართველო 1900-1921 წლებში. (რედ: აკ. სურგულაძე, ნ. მარგიანი, ა. ბენდიანიშვილი, ა. კიკვიძე და სხვ. თბილისი. 1972. გვ. 429. Документы и материалы по внешней политике Закавказъя и Грузии, გვ. 40.

[1153] ალექსანდრე ქონიაშვილი (1873-1951წ.წ.) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცერი, პოლკოვნიკი. ქართული არმიის გენერალი და პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. გიორგის ჯვრის კავალერი. დაამთავრა თბილისის 1-ლი კლასიკური გიმნაზია, შემდეგ იუნკერთა სასწავლებელი, სადაც ენიჭება პოდპორუჩიკის წოდება. სამხედრო სამსახურს იწყებს 1895 წელს. 1913 წლიდან მსახურობს ყუბის 155-ე ქვეითი პოლკის ოფიცრად. აქვე ენიჭება შტაბს-კაპიტნის სამხედრო წოდება. I მსოფლიო ომში იბრძვის კავკასიის ფრონტზე. სარიყამიშისა და არზრუმის ოპერაციების აქტიური მონაწილე, პენზის 196-ე ქვეითი ასეულის მეთაური. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი არზრუმის ოპერაციის დროს, სადაც ერთ-ერთი პირველი შევიდა ქალაქში. ბრძოლებში გამოჩენილი განსაკუთრებული თავდადებისა და სიმამაცისთვის პირადად იმპერატორმა ნიკოლაი II-მ გადასცა მას წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენი და ხმალი. 1917 წლიდან იყო დივიზიის მეთაურის მოადგილე, აქვე ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1918 წლიდან ქართულ არმიაშია. მონაწილეობს საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის საქმეში. აქტიურად მონაწილეობდა ბორჩალოს მაზრაში ოსმალური აგრესიის აღკვეთაში, ხოლო დუშეთის მაზრაში – რუსული ბოლშევიკური აგრესიის მოგერიებაში, რისთვისაც ენიჭება ქართული არმიის გენერლის წოდება. 1918 წლის ზაფხულში იყო სახალხო გვარდიული რაზმების უფროსი სამეგრელოში. 1918 წლის ოქტომბრიდან გენერალ მაზნიაშვილის მაგივრად ინიშნება სოჭის ოლქისა და შავიზღვისპირეთის ქართული გარნიზონის სარდლად და სახალხო გვარდიული რაზმების მეთაურად. 1919 წლის დასაწყისში მარცხი განიცადა დენიკინის „მოხალისეთა არმიასთან" ბრძოლაში, სადაც თავის შტაბთან ერთად ჩავარდა ტყვედ, თუმცა, მალევე გაათავისუფლეს. 1920 წლის ზაფხულში მონაწილეობდა ცხინვალის რეგიონში დაწყებული რუსული ბოლშევიკური შეიარაღებული აგრესიისა და აჯანყების ჩახშობაში. იყო ერთ-ერთი ოპერატიული მიმართულების მეთაური. 1921 წლის მარტიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, ტოვებს

მიუხედავად 4 ივნისს დადებული ხელშეკრულებისა, უილიამ ალენის მიხედვით: ,,თურქთა შენაერთის მეთაურმა ვეჰიბ ფაშამ 10 ივნისს ალექსანდროპოლისის რეგიონში განლაგებულ თურქეთის მე-9 ქვეით დივიზიას საბრძოლო ბრძანება გასცა შეტევითი ოპერაციის დასაწყებად თბილისის მიმართულებით. 10 ივნისს თურქული მეწინავე ნაწილები საომარ მოქმედებებში ჩაერთვნენ ქართულ-გერმანულ ნაწილებთან ვორონცოვკასთან და ბორჩალოსკენ მიმავალი რკინიგზის ხაზის გასწვრივ. გერმანელთა ორი ასეული და კრესის მოხალისეთა რაზმი ქართველ გვარდიელებთან (Militiamen - ა. ჩ.) ერთად წინ აღუდგნენ თურქთა შეტევას''.[1154]

ავტორი აქ მცირე უზუსტობას უშვებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გენერალი კრეს ფონ კრეზენშტაინი 1918 წლის 10 ივნისისათვის საქართველოში ჯერ კიდევ არ იმყოფებოდა. მაგრამ ამ ეპიზოდში ეს არ არის არსებითი. უფრო მნიშვნელოვანია ის შეცდომა, რასაც ავტორი ქვემოთ უშვებს. ამის შემდეგ ალენი მეტად ორიგინალურად აგრძელებს თხრობას: ,,ხანმოკლე შეტაკებების შემდეგ თურქებმა უკან დაახევინეს გერმანულ-ქართულ ქვედანაყოფებს და გარკვეული რაოდენობის ტყვეებიც აიყვანეს. მომდევნო დღეს ამ ,,სკანდალურ ინცინდენტს'' გერმანიის საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის ტელეგრამა მოჰყვა, სადაც ყველა გერმანული ქვედანაყოფისა და გერმანელი წარმომადგენლის თურქეთიდან გაწვევის შესახებ იყო ლაპარაკი. თურქებს უნდა შეეწყვიტათ თავიანთი შეტევა და დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებიათ საბრძოლო მოქმედებების დროს აყვანილი ტყვეები''.[1155]

აქ კი, პატივცემული ავტორი აშკარად ცდება და ტენდენციურად მსჯელობს. იგი არაობიექტურად აშუქებს საბრძოლო მოქმედებების შედეგებს, თუმცა იმ პუნქტში, რომელიც გერმანელთა პროტესტს ეხება, იგი სიმართლეს წერს. მართლაც, გერმანელებმა ოფიციალური მოთხოვნა წაუყენეს ოსმალთა იმპერიისს მმართველ ტრიუმვირატს, ვეჰიბ ფაშას, ამ უმართავი და არაპროგნოზირებადი გენერლის სასწრაფოდ გადაყენების შესახებ, მისი აგრესიული მოქმედებებისა და 4 ივნისს დადებული საზავო ხელშეკრულების დარღვევის გამო. გერმანულმა სარდლობამ არ აპატია და ვერც აპატიებდა ვეჰიბ ფაშას ბათუმის კონფერენციაზე ხელმოწერილი საზავო პირობების დარღვევას. მოლაპარაკებებზე მესამე მხარედ და ფასილიტატორებდ ხომ გერმანელები იყვნენ წარმოდგენილნი. შედეგმაც არ დააყოვნა, გენერალი ვეჰიბ ფაშა სასწრაფოდ გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და უკან, კონსტანტინოპოლში გაიწვიეს. იგი გენერალმა იაყუბ შევქი ფაშამ შეცვალა.

წითელ ხიდთან და ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში გამართული საბრძოლო მოქმედებების შესახებ სიმართლე ისაა, რომ ამ ბრძოლების შედეგად ქართულ-გერმანული საჯარისო ფორმირებებისა და წითელი გვარდიის რაზმების მიერ წარმატებით იქნა აღკვეთილი თურქული ნაწილების წინსვლა და ისინი სამხრეთისაკენ იქნენ გადასროლილი. ეს საბრძოლო ეპიზოდი ასე აქვს აღწერილი მის უშუალო მონაწილესა და ამ ბრძოლების გმირს, პორუჩიკ ვალოდია გოგუაძეს:

,,თათრებს (თურქებს - ა. ჩ.) გაეძარცვათ ალავერდის ქარხანა და რამდენიმე მილიონი მანეთის საქონელი მზადა ჰქონდათ წასაღებად. ყველა ნადავლი უკანა ჯავშნიანს ჩავაბარე და მე

სამშობლოს და მთავრობის წევრებთან და სხვა ქართველ ოფიცრებთან ერთად მიდის ემიგრაციაში. ჯერ ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში, 1923 წლიდან კი, მსახურობდა პოლონეთის არმიაში. 1926 წელს ინიშნება დივიზიის მეთაურის მოადგილედ და აქვე ენიჭება პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერლის სამხედრო წოდება. II მსოფლიო ომში პოლონეთის მარცხისა და გერმანიის მიერ პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ, 1939 წლის ბოლოდან მიდის იტალიაში. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ტოვებს იტალიას და მიდის სამხრეთ ამერიკაში. ცხოვრობდა არგენტინაში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1951 წელს, ბუენოს-აირესში. დაკრძალულია იქვე.

[1154] W. E. D. Alenn. Caucasian battlefields. A history of the wars on the Turko-Caucasian border. 1828-1921. Cambridge University Press. 1953. Pg. 478.

[1155] დასახელებული ნაშრომი. გვ. 479.

სანაინზე გავილაშქრე. სანაინზე 200 კაცი ტყვედ ავიყვანეთ და ეშელონს გავეკიდეთ. მათ ორთქლმავალი გაფუჭებოდათ და ამის შედეგად მათ სადგურ ქობერთან დავეწიეთ. მე ბრძანება არ მქონდა ქობერს იქით წავსულიყავი. ეშელონს ზარბაზანი ვესროლეთ და დავამტვრიეთ. ოსმალოს ჯარისკაცების ნაწილი ტყვედ წამოვიყვანეთ.

სანაინში ხელთ ვიგდეთ სურსათი და ცხენის ჯოგი. აქვე ვიშოვნეთ სარიკამიშიდან ჩამოტანილი ტელეფონისა და ტელეგრაფის აპარატები. ყოველივე ეს თბილისს გავაგზავნე ტყვეებთან ერთად. საღამოს ექვს საათზე სანაინში მოვიდა ჩვენი ჯარი. ჯავშნოსანმა სხვების დაუხმარებლად დაიცვა ოცდაათი ვერსის მანძილი. რკინის გზა ამ რაიონში გაყვანილია მდინარე დებედაჩაის პირზე და შეჭრილია კლდეებში. ამიტომ აქ ჯავშნოსანის მოქმედება ძალიან შეფერხებულია და ძნელი. ბორჩალოს მცხოვრებნი, ბერძნები და სომხები, გამარჯვებას გვილოცავდნენ და იარაღითაც გვეხმარებოდნენ მტერთან ბრძოლაში".[1156] სხვათა შორის, თურქთა წინააღმდეგ სანაინი-წითელი ხიდის რაიონში გამართულ ამ ბრძოლაში გერმანელი ჯარისკაცებიც დაიღუპნენ, რომლებიც სრული მხედრული პატივით იქნენ მიბარებულნი ქართულ მიწას. გმირულად დაიღუპა აგრეთვე გვარდიის არტილერიის უფროსი, ვალიკო შარაშიძე. მოწინააღმდეგემ მოკლულების სახით 40-ზე მეტი კაცი დაკარგა, ასეულობით კი, დაიჭრა. ქართული მხარის დანაკარგები მინიმალური იყო. ბორჩალოს ქვედა ზონის სომხური, რუსული და ბერძნული მოსახლეობა დიდი სიხარულით ხვდებოდა ქართულ-გერმანული ნაწილების წინსვლას.

რა თქმა უნდა, ამ საბრძოლო მოქმედებების შეფასებაში ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ,,ჯავშანმატარებლების უფროსის", ვალოდია გოგუაძის აზრს, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი ქართველია და ამ ბრძოლის უშუალო მონაწილე იყო, არამედ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ წითელი ხიდი - სანაინის ბრძოლის შედეგები თავისთავად მეტყველებენ პორუჩიკ გოგუაძის მემუარების ობიექტურობაზე. ისტორიული ფაქტია, რომ სწორედ ამ მარცხის გამო, ოსმალურმა ნაწილებმა უკან დაიხიეს და საბოლოო ჯამში მდინარე კამენკას მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიები დაიკავეს, სახელდობრ - სოფლები: ნოვო-პოკროვკა, ჯალალ-ოღლი, ნიკოლაევკა, გერგერი, ვართანბლური, კურტანი, დარა-ქენდი, შემდეგ ალექსანდროპოლისის რკინიგზის 117-ე ვერსი ქობერსა და ქოლაგერანს შორის, სოფელ მარცამდე და ლორუთამდე. ამ ხაზის ჩრდილოეთით მდებარე მიწებზე თურქთა აგრესია აღკვეთილ იქნა და შესაბამისად იგი ქართულმა საჯარისო ქვედანაყოფებმა დაიკავეს, რომლებიც შემდეგ დასახლებულ პუნქტებში განლაგდნენ: ვორონცოვკა, ალექსანდროვკა, აიდარბეკი, მღართი, ქობერის ასაქცევი, წათერი და ქორინჯი.[1157] ამ ქართული საჯარისო ქვედანაყოფების საერთო მეთაურად პოლკოვნიკი სტეფანე ჩხეიძე დაინიშნა, ხოლო ქართველ მესაზღვრეთა რაზმის უფროსად - პოდპოლკოვნიკი რამაზაშვილი.

საერთო ჯამში, 1918 წლის ივნისიდან საქართველო-სომხეთის ფაქტობრივი საზღვარი, თბილისი-ალექსანდროპოლისის რკინიგზის უბანზე, სადგურ ყარაქილისასა და შაღალის შუა მდებარე მეორე გვირაბთან დაფიქსირდა. გაზეთი ,,სახალხო საქმე" იტყობინებოდა: ,,საქართველოს მთავრობამ გერმანიის მისიის უფროსს აცნობა, რომ მან განკარგულება გასცა ამიერკავკასიის ლიანდაგზე ტერიტორიის დაჭერისათვის, ბაქოსკენ, მტკვრის ხიდამდე სადგურ ფოილოს პირდაპირ და გუმბრის ლიანდაგზე გვირაბის შუამდე სადგურ კარაკლის და სადგურ შაგალის შუა. ყოფილი საქართველოს საზღვრებს რომ დავემყაროთ, აღმოსავლეთ მხრივ, რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წელს დადებული ტრაქტატის ძალით საქართველოს საზღვრებს შეადგენს ის ადგილიც,

---

[1156] ვალოდია გოგუაძე. დაბრუნება. ემიგრანტული ლიტერატურა. გ. შარაძის რედაქციით. თბილისი. 1992. გვ. 448.

[1157] Изъ исторіи Армяно-Грузинскихъ отношеной. 1918 годъ. (пограничные конфликты; переговоры; война; соглашеніе). Государственная Типографія. Тифлисъ. 1919г. გვ. 12–13.

რომელიც ზემოთ დასახელებულ ადგილებს იქით არის".[1158] რიჩარდ ოვანესიანის მიხედვით კი: ,,შერეული ქართულ-გერმანული სასაზღვრო საგუშაგოები განლაგდნენ შემდეგ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში: ვორონცოვკა, აიდარბეკი, ალექსანდროვკა, წათერი, ქობერი და ქორინჯი. თურქთა მიერ დაკავებული ზოლი, ფაქტობრივად, მდინარე კამენკას მარჯვენა ნაპირს მიჰყვებოდა და მოიცავდა სოფლებს: ნოვო-პოკროვკა, ჯალალ-ოღლი, ნიკოლაევკა, გერგერი, ვართანბლური, კურტანი და დარა-ქენდი, შემდეგ კი დასავლეთისაკენ, სადგური ქობერი და დასახლებები - მარცი და ლორუთი''.[1159]

სომხეთ-საქართველოს საზღვრის ასეთ დე ფაქტო კონფიგურაციას დაშნაკელები მსწრაფლ გამოეხმაურნენ. ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების მქონე ბეჭდურ გამოცემაში, გაზეთ ,,საქართველოს" 1918 წლის 21 ივნისის ნომერში დაბეჭდილ სტატიაში, სათაურით, ,,დაშნაკცუტიუნის რეზოლუცია სომეხ-ქართველთა ტერიტორიის გამიჯვნის შესახებ", ვკითხულობთ: ,,დაშნაკელების ყრილობამ 15 ივნისს იქონია მსჯელობა საქართველოს მთავრობის განცხადების შესახებ, რომლითაც ბორჩალოს და ყაზახის მაზრის სომხური ნაწილები შედიან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, და შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: საქართველოს მთავრობის განცხადება ეწინააღმდეგება ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, რაიც წამოყენებულია სარევოლუციო დემოკრატიის მიერ. ეს იმპერიალისტური მისწრაფებანი მენშევიკ-თავადთა ბლოკისა, ეწინააღმდეგება ქართველ-სომეხთა მშრომელთა მასის ინტერესებს, ამწვავებს მათ ურთიერთობას და სთესავს მათ შორის შუღლს. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ამ ანტიდემოკრატიულ და კონტრრევოლუციონურ შოვინისტურ ნაბიჯის გადადგმაში ყოფილი ინტერნაციონალისტები, იმის ბადლად, რომ დაეყრდნონ ამ ორი ერის დემოკრატიის თანხმობას, ეყრდნობიან ხიშტის ძალას. დაშნაკელების ყრილობა პროტესტს აცხადებს ამნაირ უფლებათა დარღვევისათვის. სომხის დემოკრატია, მიუხედავად მასზედ ძალდატანებისა, არასოდეს არ შეურიგდება იმას, რომ სომხური რაიონები შეტანილ იქმნენ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში და მოითხოვს ეროვნული საბჭოსგან მთელის ძალღონით სასტიკად წინ აღუდგეს ამ მენშევიკ-თავადთა ახალ ავანტიურას".[1160]

ტერიტორიული გამიჯვნის თვალსაზრისით, აი, ასეთი დე ფაქტო მდგომარეობა დამყარდა 1918 წლის ივნისის თვიდან ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში, რომელიც ცხადია დროებითი ხასიათისა იყო და იგი რაიმე ფორმალური შეთანხმებით არ იყო განმტკიცებული. შექმნილი სიტუაციიდან ჩანს, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ, ე.ი. დამოუკიდებელი რესპუბლიკების გამოცხადების მომენტიდან, საქართველოს სომხეთთან, ფაქტობრივი, უშუალო საზღვარი არ ჰქონდა და იგი სომხეთის ტერიტორიისაგან გამოყოფილი იყო სწორედ იმ ვიწრო ზოლით, რომელიც თურქთა მიერ იქნა ოკუპირებული ,,ომის უფლებით''.

ასეთი სურათი 1918 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებამდე იქნა შენარჩუნებული, ე.ი. მანამდე, სანამ თურქულმა მხარემ აღნიშნული რაიონის დაცლა არ დაიწყო საკუთარი სამხედრო ნაწილებისაგან. სწორედ ამ პროცესმა ითამაშა გარკვეული კატალიზატორის როლი სომხური საჯარისო ნაწილების შემდგომი აქტიურობის ზრდაზე. საქართველოს მთავრობისა და მისი სამხედრო უწყების დანაშაულებრივი შეცდომა იყო ის ფაქტი, რომ ოქტომბრის დასაწყისისათვის სომხურმა ნაწილებმა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დაიკავეს ის ზოლი და დასახლებული პუნქტები, რომელიც ადრე თურქულ კორიდორში იყო ჩართული და თურქულ სამხედრო ქვედანაყოფებს ეკავათ. ფაქტობრივად, სომხური საჯარისო ნაწილები უშუალოდ მდინარე კამენკას

[1158] გაზეთი ,,სახალხო საქმე''. 13 ივნისი. 1918. №256.

[1159] Richard Hovannisian. The republic of Armenia, Volume I. The first year, 1918-1919. Near eastern center, UCLA. 1971. გვ. 71.

[1160] გაზეთი ,,საქართველო''. პარასკევი. 1918 წლის თიბათვის 21. №122. გვ. 3-4.

მარჯვენა სანაპიროზე განლაგდნენ, ხოლო მათი მთავარი საველე შტაბი ქალაქ ყარაქილისაში განთავსდა. აქვე მოეწყო ოპერაციის მთავარი ბაზა. სოფელი ჯალალ-ოღლი, ისტორიული ქართული ლორე, საბჭოთა პერიოდისა და დღევანდელი სტეფანავანი კი, ჩრდილოეთის მიმართულებაზე საქართველოს წინააღმდეგ სომეხთა მიერ დაწყებული სამხედრო აგრესიის ერთ-ერთ მთავარ საყრდენ პუნქტად და მეწინავე ოპერაციის ბაზად[1161] იქცა.

საერთო ჯამში, საომარ მოქმედებათა თეატრებზე, სომხეთისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების საჯარისო ნაწილების სტრატეგიული გაშლის კუთხითაც, ფაქტიურად იგივე მდგომარეობა იყო, რაც საომარი მოქმედებების დაგეგმვის ან სამზადისის თვალსაზრისით. ჯარების საბრძოლო გაშლის საკითხი პირდაპირ მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია ზემოთ დასახელებულ საკითხებთან.

სომხეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობისას, როგორც ცოტა ხნის წინ აღვნიშნეთ, სომხური საჯარისო ნაწილების მთავარი საველე შტაბი ყარაქილისაში იქნა მოწყობილი. მთავარსარდლის მოვალეობას კი, ფაქტობრივად გენერალი დრასთამატ კანაიანი-დრო ასრულებდა, რომელიც ამავე დროს დილიჟანი-ლორეს მთავარ სტრატეგიულ მიმართულებას სარდლობდა, თუმცა, ნომინალურად, ამ სამხედრო ოპერაციას სომხეთის ნაციონალური საარმიო კორპუსის მე-2 მსროლელი დივიზიის მეთაური, გენერალ-მაიორი მოვსეს სილიკოვი (სილიკიანი) ხელმძღვანელობდა. გენერალ დროს არმიის საველე შტაბის უფროსის თანამდებობა კი, რუსეთის კავკასიის არმიის ყოფილ ოფიცერს, გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკ შნეურს ეკავა. სომხური საარმიო კორპუსის შტაბის უფროსის თანამდებობაზეც, გენერალ ვიშინსკის გარდაცვალების გამო, ასევე, რუსეთის კავკასიის არმიის ყოფილი ოფიცერი, ეროვნებით რუსი, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი მატვეევი იყო დანიშნული.

საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული დაშნაკური აგრესიის ავანგარდში სომხეთის შეიარაღებული ძალების ძირითადი კონტინგენტი - 1-ლი, მე-4, მე-5 და მე-6 მსროლელი პოლკები, ასევე სომხური კორპუსის ცხენოსანი ბრიგადის გარკვეული ესკადრონები იყო მობილიზებული. რეგულარული ჯარის გარდა, საომარ მოქმედებებში ჩასართავად მობილიზებულ იქნა სომეხ მოხალისეთა და ,,ოპოლჩენიის'' საბრძოლო რაზმები.

სომეხთა ძალების სტრატეგიულ გაშლაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სომეხთა 1-ლი შერეული ცხენოსანი პოლკის ოფიცრის, შტაბს-როტმისტრ სამველ მარტიროსიანცის ჩვენება, რომელიც ტყვედ იქნა აყვანილი ქართული მხარის მიერ 1918 წლის 18 დეკემბერს გამართულ სადახლოს პირველ ბრძოლაში. ამ ბრძოლას ჩვენ წიგნის მეორე ნაწილის შესაბამის პარაგრაფში განვიხილავთ უფრო დაწვრილებით. შტაბს-როტმისტრ მარტიროსიანცს ეს ჩვენება 19 დეკემბერს ჩამოერთვა. აი, რას მოგვითხრობს იგი:

,,...ცხენოსანთა შერეული პოლკი შედგება ორი დივიზიონისაგან, რომლებიც თავის მხრივ შედგებიან სამ-სამი ესკადრონისაგან. 1-ლი დივიზიონი იდგა ჯალალ-ოღლიში, მე-2 - დილიჟანში. პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ყორღანოვია.

ჩემი, მე-2 დივიზიონის მეთაურია პოდპოლკოვნიკი კოროლკოვი.

ესკადრონის შემადგენლობა 60-80 ხმალია.

12 დეკემბერს დილიჟანში დივიზიონის მეთაურის, პოდპოლკოვნიკ კოროლკოვისგან მივიღე ბრძანება გავსულიყავი ქარავან-სარაიზე.

... 13-დან 14-ის ღამეს ქარავან-სარაიში მიღებულ იქნა პოლკის მეთაურის ტელეფონოგრამა სომხეთის მიერ საქართველოსათვის ომის გამოცხადების შესახებ.

[1161] მეწინავე ოპერაციის ბაზა – კარგად დაცული მეწინავე სამხედრო პოზიცია, რომელიც გამოიყენება ტაქტიკური შეტევითი და თავდაცვითი ოპერაციების მხარდასაჭერად.

18-ში მივიღე ბრძანება დამეკავებინა სიმაღლე ყარადაღი, რომელიც მდებარეობს სადახლოდან 4 ვერსზე სამხრეთ-დასავლეთით. ხოლო მისი დაკავების შემდეგ შეტევა განმეხორციელებინა სადახლოზე. ჩემს განკარგულებაში მოვიდა მე-4 ქვეითი პოლკის ორი ასეული და მე-7 ბატარეის ორი ქვემეხი.

დივიზიონის მეთაურს უნდა დაეწყო შეტევა სადახლოზე კერპილის მხრიდან.

...ნაწილებს შორის კავშირგაბმულობა დამყარებული არ არის. იგი ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ცხენოსნებით.

ომში აქტიურ მონაწილეობას იღებს ადგილობრივი მოსახლეობა და თითქმის ყველა მათგანი შეიარაღებულია რუსული და ფრანგული შაშხანებით.

სადახლოს მიმართულების სარდალია ,,დრო". მისი შტაბი ,,დახეტიალობს" (Странствует - ა. ჩ.) შაღალისა და აირუმს შორის... დამხმარე ძალები უწყვეტად მოედინება. ***მოარული ხმების თანახმად, ,,დროს" შტაბში იმყოფება ანგლო-ფრანგული მისია.*** (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ.).

...ჯარების უზრუნველყოფა სრულიად დამაკმაყოფილებელია.

ფრონტიდან ზურგში გამოძახებულნი არიან ოფიცრები მობილიზაციის შესაბამისად ახალი ნაწილების ფორმირებისათვის. მობილიზაციის შესახებ სხვა ინფორმაცია ჩემთვის ცნობილი არ არის.

ჩემს ფრონტზე ჯერ-ჯერობით შეტევით მოქმედებებში ჩართულია ქვეითთა ორი პოლკი, ერთი ცხენოსანი პოლკი და სამთო არტილერიის ბატარეა. მე-5 ქვეითმა პოლკმა შეტევა უნდა მიიტანოს ეკატერინენფელდზე. მანამდე ნაწილების განლაგება შემდეგი იყო:

1-ლი ქვეითი პოლკი - ალექსანდროპოლისი;

მე-2 ქვეითი პოლკი - ჯულფა;

მე-3 ქვეით პოლკს იგდირში ეკავა ჩინგილის უღელტეხილი;

მე-4 და მე-5 პოლკები - ფრონტზე არიან (იგულისხმება სომხეთ-საქართველოს ომის შულავერის ფრონტი - ა. ჩ.).

მე-6 პოლკი, როგორც ჩანს, წამოწეული იქნება მე-4 პოლკის მარჯვენა ფლანგზე;

კარწახში უნდა ფორმირდეს 6 ბატალიონი;"[1162]

როგორც ვხედავთ, შტაბს-როტმისტრ მარტიროსიანცის მიერ ქართული მხარისათვის საკმაოდ ღირებული ინფორმაცია იქნა მოწოდებული.

ჯერ კიდევ სექტემბრის თვიდან, ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონის სომხურ სოფლებში ადგილობრივი სამხედრო, ე.წ. ,,ოპოლჩენიის'' შტაბების ჩამოყალიბებაც დაიწყო, რომელთა ოპერატიული მართვა მთავარი საველე შტაბიდან ხორციელდებოდა. ამავე დროს, ბორჩალოს საომარ მოქმედებათა თეატრზე სომეხთა მიერ ქართული მხარის ზურგში, სომხებით დასახლებულ რაიონებში, შექმნილ იქნა ძლიერი საყრდენი პუნქტები შემდეგ სოფლებში: სომეხთა შეტევის მარჯვენა ფრთაზე - უზუნლარი, ახპატი, შულავერი. ხოლო მარცხენა ფრთაზე - ჯალალ-ოღლი, ბოლნის-ხაჩინი, დაღეთ-ხაჩინი. ახალქალაქის მიმართულებაზე, გასაგები მიზეზების გამო, სომხებს ასეთი საყრდენი პუნქტები ქართული მხარის ზურგში არ გააჩნდათ, რაც გარკვეულ შემაფერხებელ ფაქტორად იქცა ამ მიმართულებაზე სომხური ქვედანაყოფების შემდგომი წინსვლისათვის.

საომარ მოქმედებათა საწყის ეტაპზე დაპირისპირებულ მხარეთა ძალების სტრატეგიულ გაშლაზე წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი ქართული პრესა:

,,ომის დაწყებამდე სომხებს ეჭირათ ორი ქედი: ბამბაკისა და ბეზობდალისა, და აგრეთვე მცირე ნაწილი ლორეს მინდვრებისა, მდინარე ყარაქილისა და კამენკას მარჯვენა ნაპირი. უპირატესობა მათ მხარეზე იყო. მათ ეჭირათ ჩრდილო ფერდობები ბეზობდალისა და ზედ

[1162] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 131.

საზღვრებზე მშვენიერი ბაზები - ჯალალ-ოღლი, გერგერი და ყარაქილისა, რომელიც დიდი ხანია მოამზადა რუსეთმა ოსმალეთთან საომრად. მაგრამ მათი მთავარი უპირატესობა მათ მომზადებაში და ჩვენს მოუმზადებლობაში იყო. გარდა ამისა, რადგან ჩვენ ზედ საზღვარზე არ გვქონდა ყაზარმები, ამიტომ ჩვენი ჯარის ერთი ნაწილი იძულებული იყო ჩამძვრალიყო სანაინის ხვრელში, ხოლო მეორე ნაწილი დაბანაკებულიყო აქეთ, 20-25 ვერსზე, ვორონცოვკასა და პრივოლნოეში. როგორც ჩანს, ჩვენ მდინარე კამენკაზე დარაჯებიც არ გვყოლია",[1163] - ვკითხულობთ გაზეთ „საქართველოს" 1918 წლის 31 დეკემბრის ნომერში.

ზემოთ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ ძალების სტრატეგიული გაშლის კონტექსტში, ქართულ მხარეს გაცილებით უარესი და შეიძლება ითქვას, უიმედო მდგომარეობაც კი ჰქონდათ, სომხურთან შედარებით. ფაქტია, რომ ქართული მცირერიცხოვანი საჯარისო ფორმირებების ამ რაიონში თავმოყრასა და მათ დისპოზიციებს სიმბოლური და ფორმალური დატვირთვა უფრო ჰქონდა, ვიდრე რეალური. აქედან გამომდინარე, სომხებთან ფაქტობრივ საზღვარზე თავმოყრილი ქართული მხარის საჯარისო ქვედანაყოფები ყოველმხრივ მოკლებულნი იყვნენ მათ წინაშე დასმული სამხედრო-პოლიტიკური ამოცანის რეალიზაციის შესაძლებლობას. ეს აშკარაა.

ქართული მხარის მიერ დიდი შეცდომა იქნა დაშვებული, როცა ქართული საჯარისო ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობა არა ყაზარმებსა და ამისთვის საჭირო სპეციალურ სადგომებში, არამედ პირდაპირ სომხურ სოფლებში, ადგილობრივ მოსახლეობაში განათავსეს, რითაც სომხურ მხარეს დიდი პროვოკაციების დაგეგმვის შესაძლებლობა მიეცა. სხვათა შორის, ქართულ მხარეს წარსულის ამ მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, შემდგომშიც არ გამოუტანია შესაბამისი დასკვნები. ალბათ ბედის ირონიად უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ზუსტად იგივე სურათი განმეორდა უკვე მოგვიანებით, 1920 წლის ნოემბერში, იგივე ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში, როდესაც იქ შეყვანილი ქართული ჯარის პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი ისევ ადგილობრივ მოსახლეობაში განათავსეს. ამ საკითხთან დაკავშირებით რევაზ გაბაშვილი აღნიშნავდა: „მთავრობას ჯარიც კი გაუგზავნია საზღვარზე, მაგრამ ბ-ნ აკაკი ჩხენკელს, - დიპლომატობის გარდა სტრატეგობაც უკეთესად რომ ეხერხებოდა, - მთავარსარდლის განკარგულება: „ერთ მუშტად ჯარის ყოლა", დაურღვევინებია: „სოფელ-სოფელ ჩააყენეთ პატარ-პატარა ნაწილები, აჯანყება არ მოხდეს სადაო(?!) ზონაში"-ო. თუმცა მთავარსარდალი ღენერალი ოდიშელიძე იყო, აკაკის ამხანაგურად დაურწმუნებია „რევოლუციონერი ღენერალი", დუშეთის გმირი, იოსებ გედევანიშვილი და ჯარი გაუფანტიათ".[1164]

ქართველ პოლიტიკოსთა და სამხედროთა მიერ დაშვებული ეს საბედისწერო შეცდომა სულ მალე ძალიან ძვირად დაუჯდება საქართველოს. 1921 წლის 12 თებერვლიდან აქ განვითარებული დრამატული მოვლენები და მისი თანმდევი შედეგები, საყოველთაოდ ცნობილია. თუმცა, ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...

დავუბრუნდეთ ისევ 1918 წელს და ლორეს ქვედა ზონაში დისლოცირებულ ქართულ გარნიზონს. 1918 წლის შემოდგომიდან ქართული შეიარაღებული ძალების მცირერიცხოვანი ქვედანაყოფები განლაგებულნი იყვნენ ძირითადში რკინიგზის სადგურ სანაინში, აგრეთვე მესაზღვრეთა უმნიშვნელო რაზმი ვორონცოვკასა და პრივოლნოეში, საგუშაგოებით მდინარე კამენკას მარცხენა ნაპირის მხარეს და არა მის გასწვრივ, აგრეთვე გერმანულ-ქართული უმნიშვნელო, მაგრამ მაღალორგანიზებული სასაზღვრო საგუშაგოები თბილისი-ალექსანდროპოლისის რკინიგზის ხაზის 117-ე ვერსზე, ქობერი-ქოლაგერანის უბანსა და მიმდებარე სოფლებში. ქართული სამხედრო გარნიზონის შტაბი სადგურ სანაინში იქნა მოწყობილი.

[1163] გაზეთი „საქართველო". ქრისტეშობისთვის 31. №253.

[1164] დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. რ. გაბაშვილი. რაც მახსოვს. გვ. 228.

ჩვენს მიერ მოძიებული მასალების საფუძველზე, 1918 წლის სექტემბერ-ოქტომბრის მდგომარეობით ქართული სასაზღვრო ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში ცნობილია - ***ერთი გაშლილი ასეული სანაინის უბანზე და ორი სრული ოცეული ვორონცოვკაში.*** ეს არის და ეს. ამ მონაცემების ჭეშმარიტებას ჩვენ უკვე წიგნის მეორე ნაწილის შესაბამის თავში ვაჩვენებთ უტყუარი საარქივო დოკუმენტების წარმოდგენით.

საერთო ჯამში, 1918 წლის ოქტომბრისათვის, ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში ასეთი იყო სომხური და ქართული მხარეების შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლა. ბოლომდე კორექტულები რომ ვიყოთ, დაშნაკური აგრესიის შესაძლო სცენარების არარსებობის გამო, ქართული მხარის ძალების სტრატეგიულ გაშლაზე საუბარი ცოტა გადაჭარბებულიც კია. ამ მაჩვენებლით სომხური მხარე აბსოლუტურ უპირატესობას ფლობდა ქართულთან შედარებით. ასე, რომ, მორიგი სომხური მითია, ერთის მხრივ, სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების პირადი შემადგენლობის მცირერიცხოვნობას, და მეორეს მხრივ, ქართველთა მრავალრიცხოვნობასა და საომარ მზადყოფნაზე აპელირება. ესეც იმ მკვლევართა პროფესიულ სინდისზე იყოს...



თბილისის გუბერნია

თბილისის გუბერნია და ბორჩალოს მაზრა

ახალქალაქი XX საუკუნის დასაწყისში

ახალციხე XX საუკუნის დასაწყისში

გორელოვკა XX საუკუნის დასაწყისში

ვორონცოვკა



ახტალის რაიონის რუკა. 1886 წელი

მდინარე დებედაზე გადებული რკინიგზის ხიდი. 117-ე ვერსი

Древній мостъ для вьючнаго проѣзда черезъ р. Дебеда-Чай, близь ст. Санаинъ, вер. 99-ая.

მდინარე დებედაზე, სანაინთან ახლოს მდებარე ძველი სასაპალნე ხიდი. 99-ე ვერსი.

სანაინის ხიდი



132-ე ვერსი. მდინარე დებედას ხეობაში მთის ფერდზე გაჭრილი რკინიგზის ხაზი



სარკინიგზო ხიდი მდინარე დებედაზე

ჯალალ-ოღლი (ისტორიული ლორე, დღევანდელი სტეფანავანი)



ალავერდის სპილენძსადნობი ქარხანა

ლორეს ციხესიმაგრის ნანგრევები

სოფელი სანაინი

მდინარე კამენკას (ძორაგეთი) ხეობა

ალავერდის ხეობა

ალავერდის ზეგანი და სოფელი აკორი

სოფელი ქობერი (ქობაირი). ახლო პლანზე ჩანს ქობაირის მონასტრის ნანგრევები

ქართულ-გერმანული და ოსმალური სასაზღვრო საგუშაგოები ლორეს ქვედა ზონაში

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი:

1. ილია ჭავჭავაძე. „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი". „ივერია". ტფილისი. 1899.
2. არჩილ ჩაჩხიანი. ისტორიის საბედისწერო გაკვეთილები – „ჩვენ მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე ვდგავართ..." „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები". ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „უნივერსალი". თბილისი. 1 (14). 2014.
3. ალექსანდრე აბდალაძე. საქართველო და სომხეთი. გამომცემლობა „ეგრისი". თბილისი. 2008.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. საქართველო 1900-1921 წლებში. (რედ: აკ. სურგულაძე, ნ. მარგიანი, ა. ბენდიანიშვილი, ა. კიკვიძე და სხვ.) თბილისი. 1972.
5. ჟურნალი „მხედარი". №7. 1919.
6. ლევან სანიკიძე. მესამე დასის საქართველო. ნაკვეთი პირველი. „მერანი". თბილისი.1989.
7. შოთა ვადაჭკორია. საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. (1918-1920 წ.წ.). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრი. თბილისი. 1999.
8. ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. „მეცნიერება". თბილისი. 1990.
9. შალვა მაღლაკელიძე. მოგონებები. ილუსტრირებული ბიოგრაფიები 6. გამომცემლობა „პეგასი". თბილისი. 2012.
10. გაზეთი „საქართველო". 8 თებერვალი. 1995.
11. რ. ჯაფარიძე. ერის ინტერესები ერისკაცმა უნდა დაიცვას. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 1994. 22 ივნისი.
12. იაკობ ახუაშვილი. ახალი ქვათა ღაღადი, ანუ, ვართ თუ არა მდგმურები. საქართველოს ეროვნული აკადემია. სრულიად საქართველოს მამულიშვილთა კავშირი „გვარიშვილობა". თბილისი. 2005. გვ. 108. იაკობ გოგებაშვილი. სიმართლე თბილისის შესახებ. 1897.
13. ავთანდილ სონღულაშვილი. საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა. გამომცემლობა „უნივერსალი". თბილისი. 2018.
14. შ. თეთვაძე ო. თეთვაძე. სომხები საქართველოში. თბილისი. 1998.
15. არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ენიგმა (1920-1922). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. თბილისი. 2015.

16. თ. ბერაძე, მ. სანაძე. საქართველოს ისტორია. წიგნი I (ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები). თბილისი. 2008.
17. ვ. ნალბანდიანი. თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში. თბილისი. 1959.
18. ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი. ისტორიული რარიტეტები. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. (ორიგინალური გამოცემა – ტფილისი. სახელმწიფო სტამბა. 1919.) საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი. კოოპერატივი „ბბნ". თბილისი. 1989.
19. გურამ მაისურაძე. საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს). მეცნიერება. თბილისი. 1999.
20. მიხაკო წერეთელი. ერი და კაცობრიობა. (სოციოლოგიური ანალიზი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1990 .
21. გაზეთი „საქართველო". 1918 წ. გიორგობისთვის 9. №213.
22. დ. კოჟორიძე. განახლებული მესხეთის ქალაქი. „საბჭოთა საქართველო". თბილისი. 1969.
23. ექვთიმე თაყაიშვილი. დაბრუნება. ემიგრანტული ნაშრომები. „მეცნიერება". თბილისი. 1991.
24. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. მთ. რედაქტორი ირ. აბაშიძე. მთავარი სამეცნიერო რედაქცია. ტომი 7. თბილისი. 1984.
25. ალ. აბდალაძე. მეტი ობიექტურობა. ჟურნალი „მნათობი". 1998. №3-4.
26. შ. კაკურია. ქალაქ თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წლებში. თბილისი. 1979.
27. აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია. ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ. თბილისი, 2003.
28. გურამ მარხულია. „დაშნაკცუტუნის" სისხლიანი ნაკვალევი. გამომცემლობა „მერიდიანი". თბილისი. 2015.
29. გრ. ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე. თბილისი. 1995.
30. ალ. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა. თბილისი. 2001.
31. ზვიად თხელიძე. პირველი მსოფლიო ომის ქართული ფრონტი. ქართულ-გერმანული 15000000-იანი საიდუმლო ოპერაცია. თბილისი. 2010.
32. შუშანა ფუტკარაძე. ჩვენებურები. ქართული ლეგიონი ტრაპიზონში. ინტერვიუ. აჭარის რადიო. ბათუმი. 2006.
33. ლაშა ბაქრაძე. გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918წ.წ.) გამომცემლობა „პეგასი". თბილისი. 2009.
34. რეზო გაბაშვილი. დაბრუნება. რაც მახსოვს. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. თბილისი. 1992.
35. რევაზ გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი. გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. ტომი I. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი. 2018.
36. დავით ვაჩნაძე. ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი. თბილისი. 2004.

37. გაზეთი „ერთობა”. 08. 11. 1918.
38. გაზეთი ”Hairenik”. 20. 03. 1913. №34.
39. დოქტორი ჰ. ვართაპეტიანი. სომხეთი: მოგზაურობა ისტორიაში.
40. არჩილ ჩაჩხიანი. ანატოლიური გამბიტი – ქემალისტური მოძრაობის სათავეებთან. „ანალები”. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი. გამომცემლობა „უნივერსალი”. თბილისი. 2015. (11).
41. ვალოდია გოგუაძე. დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. თბილისი. 1992.
42. გაზეთი „ერთობა”. ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. №111. 1918 წლის 31 მაისი.
43. რევაზ გაჩეჩილაძე. „გეოგრაფიული შეცდომები” დიპლომატიურ პრაქტიკაში (პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ახლო აღმოსავლეთის მაგალითზე). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი. 2013 (2).
44. არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. თბილისი. 2014.
45. მიხეილ სვანიძე. ოსმალეთის ისტორია (1600-1923). ნაწილი II. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი. თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. თბილისი. 2002.
46. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). შემდგენელი ვ. გურგენიძე, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე. თბილისი. 1990.
47. გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებები. 1917–1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. ბათუმი. 1990.
48. გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. ჟურნალი „მხედარი”. 1992. №2. გვ. 45.
49. ჟურნალი „სახალხო გვარდიელი”. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორგანო. 1920 წლის 12 დეკემბერი. №1.
50. შალვა მაღლაკელიძე. მოგონებები. ვ. რცხილაძე. ჟურნალი „განთიადი”. ქუთაისი. 1991. №3.
51. ნიკო კეცხოველი. პირადი არქივი - „ნარ-ეკლებით მოფენილი გზა”. თბილისი.
52. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ტომი I. „ლომისი“. თბილისი. 1999.
53. არჩილ ჩაჩხიანი. პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლოყაშვილი – „ჩვენ დამნაშავენი არა ვართ მთავრობისა და სამშობლოს წინაშე...” „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები”. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „უნივერსალი”. თბილისი. 1 (16). 2015.
54. გაზეთი „საქართველო”. 22 ოქტომბერი. 1918. №199.
55. გაზეთი „საქართველო”. 24 ოქტომბერი. 1918. №201.

56. გაზეთი „სახალხო საქმე". №436. 20. 01. 1919.
57. გაზეთი „საქართველო". №244. ქრისტეშობისთვის 20. 1918.
58. გურამ მარხულია. „დაშნაკცუტუნის" სისხლიანი ნაკვალევი. გამომცემლობა „მერიდიანი". თბილისი. 2015.
59. გაზეთი „საქართველო" №243. ქრისტეშობისთვის 19. 1918.
60. შოთა ვადაჭკორია. ქართული ეპოსიდან ამოზრდილი ლეგენდა. თბილისი. 2015.
61. მ. გაბრიჩიძე. გერმანელი ოკუპანტები საქართველოში. დოკუმენტებისა და მასალების კრებული. თბილისი. 1942.
62. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 21. 05. 1918.
63. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 5 ივლისი №138.
64. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 13 ივლისი №145.
65. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 25 ივლისი №155.
66. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 1918 წლის 8 აგვისტო.
67. გაზეთი „ბორბა". №131. 31. 07. 1918.
68. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 21 მაისი. №89.
69. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 5 ივლისი. №138.
70. გაზეთი „ერთობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 13 ივლისი. №145.
71. გ. ვ. ხაჭაპურიძე. ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. პოლიტლიტერატურა. მოსკოვი. 1956.
72. ნუგზარ გელოვანი. სამხედრო-საჰაერო ძალები 1918-1921 წლების საქართველოში. ჟურნალი „მხედარი". 1994. №1-4.
73. გ. ივანიძე, მ. ივანიძე. ბრძოლა მესხეთისათვის. თბილისი. 1998.
74. გაზეთი „სახალხო საქმე". 09. 11. 1918.
75. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". დამატება №7. „1919 წლის აპრილი."
76. გაზეთი „სახალხო საქმე" №395. 28. 11. 1918.
77. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" გიორგობისთვის 7. №211.
78. გაზეთი „სახალხო საქმე". 24. 10. 1918. №365.
79. იოსებ იმედაშვილი. განახლებული სიცოცხლე. სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივი შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება". 1920. №2.
80. გაზეთი „სახალხო საქმე". №409. 1918. 17 დეკემბერი.
81. გაზეთი „საქართველო". №196. 18. 10. 1918.
82. რ. ჩხეიძე. ბედი პავლე ინგოროყვასი. თბილისი. 1958.

83. ვახტანგ ითონიშვილი. კავკასია და კავკასიელები. თბილისი. 2007.
84. ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა. თბილისი. 1989.
85. პ. ბუხრაშვილი. რუსული კოლონიური ცნობიერება და ამიერკავკასიის ეთნოპოლიტიკური რეალობა. კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე. II, მონრეალი-თბილისი. 2000.
86. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". თბილისი. 1973.
87. ლ. თოგოშვილი. რუსული დასახლებების წარმოშობა დასავლეთ საქართველო-ში. „კლიო". 1998. №3.
88. მ. ხაზარაძე. მეცხენეობის საკითხები ქართულ წერილობით წყაროებში („დასტურლამალი"). „ანალები". ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი. გამომცემლობა „უნივერსალი". თბილისი. 2005.
89. თ. კალმახელიძე. მანგლისი. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი. 2001.
90. საქართველოს ისტორია (საკითხავი წიგნი). შემდგენელ-რედაქტორი გ. მელიქიშვილი. თბილისი. 1980.
91. ანზორ თოთაძე. საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი. თბილისი. 1993.
92. გაზეთი „საქართველო". №243. ქრისტეშობისთვის 19. 1918.
93. უჩა ბლუაშვილი. არსებობს თუ არა არმენოფობია საქართველოში? გამომცემლობა „ინტელექტი". თბილისი. 2006. გვ. 13-14. ლეონიდ ზაგურსკი. მგზავრობა ახალქალაქის მაზრაში. 1872 წ. ტფილისი, 1873.
94. გევორქ იაგუტოვ, რაზმიკ ბადალიან, არტურ მირზოიან, ედუარდ სააკიან, ალექსანდრ ოჰანიან. სომეხთა გენოციდი ქართულ პერიოდიკაში 1914-1918 (საარქივო მასალების კრებული). საქართველოს სომეხთა სათვისტომო. თბილისი. 2011.
95. გაზეთი „საქართველო". ქრისტეშობისთვის 31. №253.
96. ვიქტორ ნოზაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბილისი. 1989.
97. გაზეთი „საქართველო". ქრისტეშობისთვის 18. 1918. №242.
98. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 01. 01. 1919.
99. გაზეთი „სახალხო საქმე". 13 ივნისი. 1918. №256.
100. გაზეთი „საქართველო". ქრისტეშობისთვის 31. 1918. №253.
101. გაზეთი „კლდე". 1918. №7.
102. გაზეთი „კლდე". 1918. №9.
103. გაზეთი „კლდე". 1918. №11.
104. ნ. ბერძენიშვილი, ნ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია. ნაწილი I. თბილისი. 1958.
105. გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი". ტფილისის სოციალ-ფედერალისტთა მუშათა კავშირის ორგანო. 1918. ორშაბათი, 28 ოქტომბერი. №14.
106. გაზეთი „საქართველო". 1918. №195.

107. ზ. გიგაური, დ. ბეჟაშვილი. ჩამოსახლებები ქვემო ქართლში. http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/chamosaxlebebi_qvemoqartlshi.html
108. დავით მუსხელიშვილი. საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნიკურ-კულტურული საფუძვლები. კრებული. სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა. თბილისი. 2014.
109. სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი". (სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილებით). კვირა, 15 დეკემბერი. 1918. №3.
110. გაზეთი „სახალხო საქმე". საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. 1918 წ. შაბათი. ნოემბრის 9. №379.
111. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 1918. №34. გვ. 6.
112. გაზეთი „ერთობა". 1918. №50.
113. გაზეთი „კლდე". 1920. №21.
114. იოსებ იმედაშვილი. კბილთეთრა ბოროტება. სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივი შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება". №15. გიორგობისთვის 22, კვირა, 1918 წ.
115. გაზეთი „სახალხო საქმე". საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. 1918 წ. სამშაბათი. დეკემბრის 24. №415.
116. სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი". (სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილებით). 1919. №12.
117. გაზეთი „საქართველო". კვირა, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 22, №246.
118. გრიგოლ ვაშაძის პირადი არქივი. რედაქტორ-შემდგენელი მანანა ყვავილაშვილი. საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი. 2009.
119. იოსებ იმედაშვილი. ჭეშმარიტი გენერალი ბალო მაყაშვილი. სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივი შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება". კვირა, მკათათვის 4. №24. 1920წ.
120. გაზეთი „საქართველო". ხუთშაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 12. №238.
121. ყოველკვირეული საზოგადო-ეკონომიკური და სალიტერატურო ჟურნალი „კლდე". №2. 18 იანვარი. 1915 წ.
122. გაზეთი „სახალხო საქმე". საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. 1918 წ. ოთხშაბათი. დეკემბრის 25. №416.
123. ავქსენტი აბესაძე. ქართველ ოფიცრებს. ყოველკვირეული ჟურნალი „ჯარი და ერი". 1918 წ. №4. ორშაბათი, 9 დეკემბერი. ტფილისი.
124. გაზეთი „საქართველო". პარასკევი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 20. №244.

125. სომეხ-ქართველთა ურთიერთობა. ყოველკვირეული საზოგადო-ეკონომიკური და სალიტერატურო ჟურნალი „კლდე". №7. 16 თებერვალი. 1914 წ.
126. დავით მუსხელიშვილი. აღმოსავლელი ქართველი ტომების უძველესი გაერთიანებანი. ანალები. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი. თბილისი. 2008.
127. მთვარისა თარხნიშვილი. ახტალიდან ლორემდე – სომხეთში ქართული ტაძრების კვალდაკვალ. http://karibche.ambebi.ge/eklesia/tadzrebi-da-monastrebi/7689-akhtalidan-loremde-somkhethshi-qarthu li-tadzrebis-kvaldakval.html
128. გაზეთი „საქართველო". სამშაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 19. №221.
129. ალექსანდრე დაუშვილი. კავკასია თებერვლის რევოლუციის შემდეგ. „ანალები". ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი. გამომცემლობა „უნივერსალი". თბილისი. 2019. (15).
130. ერიკ ლი. ექსპერიმენტი: საქართველოს მივიწყებული რევოლუცია: 1918-1921. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი. თბილისი. 2018.
131. გაზეთი „საქართველო". ხუთშაბათი. 19 თიბათვე. 1919 წ. №125.
132. იოსებ იმედაშვილი. განახლებული სიცოცხლე. სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივი შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება". 1919 წ. №2 კვირა, მარტის 2.
133. ქეთევან ჯინჭარაძე, ავთანდილ სონღულაშვილი. სასამართლო ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წლები)". გამომცემლობა „მერიდიანი". თბილისი. 2019. ა. რამიშვილი. ჩვენი შეცდომები 1918-1921 წლები. ქართულ-ინგლისური ხელოვნებისა და კულტურის საერთაშორისო ასოციაცია. ISBN 99940-58-64-9. თბილისი. 2000.
134. ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული. (მოგონებანი) პარიჟი. 1953.
135. პავლე ინგოროყვა. „საგარეო საქმეები". გაზეთი „საქართველო". ოთხშაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 6. №210.
136. ბონდო არველაძე. ერევნის (ირევანის) ისტორიული ცენტრი. მეისტორიე. გამომცემლობა არტანუჯი. თბილისი. 2019. გვ. 381.
137. გაზეთი „ერობა". ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზციებისა. 1918 წლის 30 მაისი. №110.
138. ზაქარია ჭიჭინაძე. ქართული ნაშთები ბორჩალოს მაზრაში. გაზეთი „საქართველო". ხუთშაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 14. №217.
139. გაზეთი „საქართველო". ოთხშაბათი, 1919 წ. იანვრის 22. №16.
140. ანზორ თოთაძე. დიდი სომხეთის „დიდი შემოქმედნი". თბილისი. 2015. გვ. 18.
141. გენ. გ. კვინიტაძე. საქართველოს ჯარების ყოფილი მთავარ-სარდალი. ჩემი პასუხი. (ნოე ჟორდანიას „ჩემი წარსული"-ს შესახებ). პარიზი. 1954.
142. სიმონ ჯანაშია. ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის. შრომები. ტომი II. თბილისი. 1952.

143. დიონ კასიუსის ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო ნოდარ ლომოურმა. თბილისი. 1966.
144. გულიკო მჭედლიძე. ქავთარიშვილების ფეოდალური საგვარეულო. მეისტორიე. გამომცემლობა არტანუჯი. თბილისი. 2019.
145. გია გელაშვილი. ინგლისელი მოგზაური ჯეიმს ბრაისი თბილისის შესახებ (1876). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „უნივერსალი". თბილისი. 1 (20). 2017. გვ. 419. Transcaucasia and Ararat: being Notes of a Vacation Tour in the Autumn of 1876. Section IV, Tiflis. Pg. 131-156. By James Bryce. Author of the "The Holy Roman Empire". London. 1878.
146. გია გელაშვილი. მაქს ტილმანი კავკასიის შესახებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „უნივერსალი". თბილისი. 1 (25). 2021. გვ. 314. Streifzüge im Kaukasus, in Persien und in der asiatischen Türkei. Duncker & Humblot, Leipzig 1875.
147. გიორგი მამულია. ლეო კერესელიძის (1894-1943) ავტობიოგრაფია. პარიზი. 2014.
148. ლევან ურუშაძე. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს სადაზვერვო საქმიანობა კავკასიაში 1900-იან – 1910-იან წლებში. ამირანი XX. თბილისი. 2008. http://www.caucasology.com/amirani20/urushadze.pdf.
148. გაზეთი „საქართველო". პარასკევი. 1918 წლის თიბათვის 21. №122. გვ. 3-4.
150. გაზეთი „საქართველო". კვირა, 1919 წ. იანვრის 5. №4. გვ. 2.
151. ვახტანგ გურული. ცვლილებები რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში. ვასილი ველიჩკო (მე-19 საუკუნის 90-იანი წლები – მე-20 საუკუნის დამდეგი). მეისტორიე. გამომცემლობა არტანუჯი. თბილისი. 2019.

რუსულენოვანი:

1. Манук Абегян. История армянской литературы. Эриван. 1975, стр. 11. http://maxpark.com/community/4109/content/2164659
2. Гурам Манджгаладзе, доктор исторических наук, профессор. Военный конфликт между Грузией и Арменией в 1918 году. «Dirçəliş XXI əsr».- 2008.- №120-121.-С.85-90. http:// www. elibrary.az/docs/JURNAL/jrn2008_148j.htm.
3. Армянскій вопросъ передъ Мирной Конференціей.
4. Кариби. Красная книга. Тифлісъ. 1919 г.

5. Анри Барби. Въ странъ ужаса. Мученица Арменія. Изданіе С. Меликова. Тифлисъ. 1919г.
6. Твердохлебов. Мемуары русского офицера. Архив генштаба Турецкой республики. (Шкаф Первой мировой войны, полка 401, д. 1578, лл. 1-24; 1-67;). Цит. По: История Азербайджана по документам и публикациям. Баку. Элм. 1990.
7. Мустафа, научный сотрудник Института истории им. А. А. Бакиханова НАНА. Армянские преступления – Геноцид, Депортация, Терор. http://genocide.preslib.az/ru_a2-10.html
8. Мехмет Перинчек: «Российские военные трибуналы казнили тысячи армянских бандитов, истреблявших мусульман Турции и Кавказа». http://www.1news. az/news/ mehmet-perinchek-rossiyskie-voennye-tribunaly-kaznili-tysyachi-armyanskih-banditov-istreblyavshih-musul-man-turcii-i -kavkaza.
9. Степан Папаянъ. Заслуги армянъ передъ Россіей. Ростовъ на Дону. 1912.
10. Н. М. Грузинско-Армянскія претензии и Закавказская революция. Кіевъ. 1906.
11. Каракашян. История восточного вопроса. Лондон, 1905. http://maxpark.com/ community /4109/ content/2164659
12. Гр. Чалхушъянъ. Армянскій вопросъ въ Россіи. Ростовъ на Дону. 1905.
13. Джавахские церкви после мухаджирства. https://javakhi.livejournal.com/62598.html.
14. Маевский Владимир Феофилович. Записки Генерального Консула России В Эрзеруме И Ване Генерала Маевского. Типография Штаба Кавказского Военного Округа. г. Тифлис. 1912. http://www.kurdist.ru/index.php?option=com_content&task =view&id= 130& Itemid=1
15. Ив. Джавахишвили. Границы Грузии в исторческом и современном рассмотрений. Тифлис. 1919г.
16. Гурам Мархулия. Турция и Армяно-Грузинский вооруженный конфликт в октябре 1918 года. Сухумский филиал Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили. Тбилиси. 2005. В. Л. Величко. Кавказ 1886-1895. Русское дело и между племенные вопросы. Санкт-Петербург, 1904.
17. И. Г. Корсун. Первая мировая война на кавказском фронте. Воениздат. Москва. 1946г.
18. Георгий Чочиев. Кавказская ориентация в политической деятельности представителей северокавказской диаспоры в Турции в период Первой мировой войны. © Бюллетень ВИУ №15 2005 г. http://www.aheku.org/ articles/russian/hist/3645.
19. Б. Ишханянъ. Тенденции мусульманскаго движенія. Баку. Типографія „Труженикъ". 1919.
20. Дж. С. Киракосян. Младотурки перед судом истории. Ереван. Айастан. 1989. Варандян. М. История Арм. Рев. Дашнакцутюн. Том I. Париж. 1932.
21. Назим М. Ахов. Россія и армяне. С.-Петербургъ. 1897.
22. Гурам Мархулия. Армяно-Грузинская мирная конференция 1919 года и создание Лорийской нейтральной зоны. Всегрузинское историческое общество им. Эквтиме Такаишвили. Тбилиси. 2005.

23. Невский С. А. Из истории борьбы с незаконным оборотом оружия, боеприпасов и взрывчатых веществ в России.. — Общество и право, 2007, № 2 (16).
24. Гутор. М. Д. Новейшая история Турции и Персии. XVIII, XIX и XX столетия. Тифлис. 1913. Стр. 48. М. Вартанян. История дашнакцутюна (на армянском языке). http://maxpark.com/ community/4109/content/2164659.
25. Программа минимумъ Армянской революціонной партіи Дашнакцутюнъ. Тифлисъ. Библіотека „Арачъ”. №65.
26. Дж. С. Киракосян. Младотурки перед судом истории. Ереван. Айастан. 1989.
27. Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX - начале XX в. Часть вторая. Баку. 1994.
28. Армянский вопрос. Большая Советская Энциклопедия. 1-ое издание. Том 3. Гл. редактор О. Ю. Шмидт. М. 1926г.
29. Г. Аветисян. Армянское войнство. Журнал „Армянский вестник”. 1999 г. №1-2.
30. Изъ исторіи Армяно-Грузинскихъ отношеній. 1918 годъ. (пограничные конфликты; переговоры; война; соглашеніе). Государственная Типографія. Тифлисъ. 1919г.
31. С. М. Степанянц. Армяно-Казачье боевое сотрудничество на Кавказском фронте в годы первой мировой войны. Наука юга России. Т. 14. №3. Стр. 112-118. http:// www.ssc-ras.ru/ckfinder/ userfiles/files/112-118%20Stepanyants.pdf.
32. Борьян Б. А. Армения, международная дипломатия и СССР. Москва-Ленинград. Государственное издательство. 1928 г. Т. 1. Стр. 360. По материалам книги «Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов» Перинчека Мехмет Бора. «Лаборатория Книги» - 2011.
33. Корсун Н. Г. Турция – Курс лекции по военной географии, читанных в Военной академии РККА. Москва. Высший военный редакционный совет. 1923. Стр. 37. По материалам книги «Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов» Перинчека Мехмет Бора. «Лаборатория Книги»-2011.
34. История Первой Мировой Войны 1914-1918 гг. А.М. Агеев, Д.В. Вержховский, В. И. Виноградов, В. П. Глухов, Ф.С. Криницын, И. И. Ростунов, Ю. Ф. Соколов, А. А. Строков. Под редакцией доктора исторических наук И. И. Ростунова — М.: Наука, 1975 г.
35. Сабир Асадов. Миф о „Великой Армении”. Баку. Издательство „Азербайджан”. 1999.
36. Ст. Степанян. Армения в политике империалистической Германии. „Айастан”. Ереван. 1975г.
37. Осадчий И.П. За власть трудового народа. - Краснодар, 1987.
38. Академик Г. Аветисян. Армянское войнство. Журнал „Армянский вестник”. 1999г. №1.
39. И. Шахдин. Дашнакцютюн на службе русской белогвардейщины и английсского командования на Закавказье. Заккнига. 1931. стр. 35-36. Архив русской революции. Том IX.

40. Корсун Н. Г. Алашкертская и Хамаданская операция на Кавказском фронте мировой войны в 1915 году. Москва. Государственное военное издательство Наркомата Союза ССР. 1940 г. Стр. 153. По материалам книги «Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов» Перинчека Мехмет Бора. «Лаборатория Книги»-2011.
41. Илья Полонский. День армянской армии. Как сформировались и развиваются вооружённые силы Армении. https://svpressa.ru/authors/ilya-polonskiy/
42. Бакинский Рабочий, 28.05.1918. №53 http://maxpark.com/community/4109/content/ 2164659.
43. О. Арутюнян. Воспоминания. Ереван. Армянское государственное издательство 1956. Стр. 47. По материалам книги «Армянский вопрос в 120 документах из российских государственных архивов» Перинчека Мехмет Бора. «Лаборатория Книги»-2011.
44. Илья Полонский. День армянской армии. Как сформировались и развиваются вооружённые силы Армении. https://svpressa.ru/authors/ilya-polonskiy/.
45. Конев А. М. Организация первых отрядов Красной гвардии и их вооружение // Красная гвардия на защите Октября / Отв. редактор Н. Н. Азовцев. — 2-е изд. — М.: Наука, 1989. Стр. 28. — ISBN 5-02-008463-8.
46. Армянский вопрос. Главная редакция Армянской энциклопедии. Ереван. 1991.
47. Артем Кречетников. Бакинская резня: трагедия, откликающаяся поныне. https: // www.bbc.com/ russian/international/2015/03/150331_baku_azeris_massacre_history. Шаумян, Степан Георгиевич. Письма. 1896-1918 / [Подгот. к печати и авт. предисл. Х. А. Барсегян]. — Ереван: Айпетрат, 1959.
48. В. Ляхов. Военно–статистическое описание Тифлиской губернии, Закатальского округа".
49. Сваранц Александр Александрович. „АРФ „Дашнакцутюн“ и идея общенациональной политической организации“. http://noev-kovcheg.ru/mag/2012-08/3215.html
50. Джугели. Тяжёлый крестъ. (Записки народногвардейца). Съ предисловіемъ Е. П. Гегегкори. Тіпографія Правительства. Книгоиздательство Ал. Арабидзе и К^{0}. Тифлисъ. 1920г.
51. Деникин Антон Иванович. Очерки русской смуты. Том 4. Глава XIX. Армения. Результаты английской политики. http://militera.lib.ru/memo/0/one/ russian/denikin_ai 2.rar.
52. Ц. П. Агаян. Великий Октябрь и борьба трудящихся Армении за победу советской власти. АН Армянской ССР. Ереван. 1962.
53. А. Шахатунян. „Административный передъль Закавказкаго края". Тифлисъ. 1918.
54. Э. В. Осерская. Роль армянских политических партий в эволюции национально - освободительного движения армян в Османской империи (1878 г. — начало XX в.) ((рус.)) // Историческая и социально-образовательная мысль. — 2011. — №5. — С. 30-32. Архивировано 19 сентября 2016г. https://www.hist-edu.ru/hist/article/ view/93.

55. Джон Киракосян. Западная Армения в годы Первой мировой войны. Ереван. Издательство Ереванского университета. 1974. Стр.212. „Мшак”. 1914. 20 сентября. №208.
56. Мартиросян Д.Г. Саракамышская операция (12-24 декабря 1914 г.) // Военно-исторические исследования в Поволжье. Выпуск 7. Саратов, 2006. С.55-65.www. august-1914.ru/martirosyan2.html
57. Врацян С. По дорогам жизни. События. Лица. Впечатления, т. 5. Бейрут, 1966, (на арм. яз.).
58. Гегам Петросян. Отношения Республики Армения с Россией (1918 – 1920 гг.) Ереванский Государственный Университет. Ереван. Издательство ЕГУ. 2012.
59. Баберовский Й. Враг есть везде. Сталинизм на Кавказе. М. 2010. Подробнее: https://erevangala 500.com/news/166.html.
60. Корганов Г. Г. Участие армян в мировой войне на Кавказском фронте (1914-1918). М. 2011.
61. Ключников Ю. В. И Сабанин А. В., Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях, ч. 2, М., 1926; Константинополь. По секретным документам бывшего Министерства иностранных дел, под ред. Е. А. Адамова, [т.] 1-2, М., 1925-26; Раздел Азиатской Турции по секретным документам бывшего Министерства иностранных дел, под ред. Е. А. Адамова, М., 1924. Г. Л. Бондаревский.
62. Голубинов Ярослав Анатольевич. Армянский легион: история разочарования. 2017. https://warspot.ru/ 9702-armyanskiy-legion-istoriya-razocharovaniya
63. Амо Сукиасян. Документы об армяно-грузинском пограничном споре в Лори. (Декабрь 1920 г. – январь 1921 г.). Записка Г. Хатисяна о целесообразности при переговорах с грузией по вопросу о нейтральной зоне совместного рассмотрения всей границы между Арменией и Грузией. 10 января 1921 г. Тифлисъ. НАА, ф. 114, оп. 2, д. 12, л. 14–15. Заверенная копия. Машинопись. http://hpj.asj-oa.am/2772/1/ 2010-1(253).pdf.
64. Хаджар Вердиева. «Ничто так не безобразно и непримиримо с разумом, как ложь». Полемика с автором книги «Последняя битва императоров. Параллельная история Первой Мировой» Валерием Шамбаровым. Подробнее: https://erevangala 500.com/news/166.html.
65. „Геноцид армян» Правда ли? / 24 апреля 1915 года. Факты, домыслы и правда. https://erevangala500. com/page/85.html
66. Первая всеобщая перепись населения Российской Империи 1897 г. Распределение населения по родному языку и уездам Российской Империи кроме губерний Европейской России. Т.Т.51-89. С.-Петербург: 1903-1905. http://www.demoscope. ru/weekly/ssp/emp_lan_97_uezd.php?reg=533.
67. Гегам Петросян. Отношения Республики Армения с Россией (1918 – 1920 гг.) Ереванский Государственный Университет. Ереван. Издательство ЕГУ. 2012. Стр. 105. НАА, ф. 200, оп. 1, д. 66, л. 95 – 96.

68. Кямуран Гюрюн. Армянское Досье. Перевод с турецкого. Язычи. Баку. 1993.
69. А. Ю. Безугольный – кандидат исторических наук, старший научный сотрудник Института военной истории МО РФ. Демократическая республика Грузия и ее вооруженные силы. 1918-1921 гг. Вопросы истории. №10, 2009.
70. Соломонов Р. Черноморский флот. Дуэль. - №23 (422). - 14. 06. 2005.
71. Назим Мустафа, научный сотрудник Института истории им. А. А. Бакиханова НАНА. http:// genocide. preslib.az/ru_a2-10.html
72. Александр Борисович Широкорад. Война и мир Закавказья за последние три тысячи лет. — Москва: АСТ, ВКТ., 2009. — ISBN 978-5-17-059463-4. https://www. litmir.me/ br/?b=188781&p=25
73. Вадим Михаилов, доктор исторических наук. Армянские добровольческие дружины в русской армии. В их действиях было замечено мною полное презрение к смерти... Родина. – 2014. — № 11. Масловский Е. В. Мировая война на Кавказском фронте 1914-1917 г. Париж. 1933. http://defacto.am/97576.html
74. О. Е. Ащеулов. Роль советской артиллерии в решающих битвах и операциях великой Отечественной войны — Автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата исторических наук, 2008.
75. Е. Погорелов. „Военные тайны” ПИСАТЕЛЯ Широкорада. „Военно-исторический журнал”. http:// history. milportal. ru/ arxiv/ voenno-istoricheskij-zhurnal-2009-g/voenno-istoricheskij-zhurnal-3-2009-g/.
76. В. Г. Тунян. Фальсификация истории восстановления армянской государственности в азербайджанской историографии. Ереванский государственный университет. Институт арменоведческих исследований. Издательство ЕГУ. Ереван. - 396 с. 2018.
77. Рубен Шухян. Архив истории: как в 1918 году „обменивали” Мегри. https://ru. Armeniasputnik.am/exclusive/20170815/8264519/arhiv-istorii-kak-v-1918-godu-obmenivali\-megri.html
78. Критика книги: А. Широкорад "Северные войны России". Минск, "Харвест", 2001. https://www. aroundspb.ru/variety/plagiat.php
79. К.и.н. А. Н. Лобин. «А. Б. Широкорад, плагиат, копи-паст и артиллерия». https:// alexuslob.livejournal. com/115193.html
80. Алексей Дживелегов. Турция и армянский вопрос. Армяне в России. Составитель Е. Минасян. Издательство ЕГУ. 320 с. Ереван. 2014.
81. „Искра”. №12. Баку. 1918г.
82. Хомизури Г. П. Социальные потрясения в судьбах народов (на примере Армении). Москва. Интелект, 1997. 416 с. ISBN 5-87047-036-6.
83. Ашот Сагратян. Сердца нет у времени... Ноев ковчег. № 5 (211) Март (16–31) 2013 года. https://noev-kovcheg.ru/mag/2013-05/3742.html
84. Б. А. Борян. „Армения, международная дипломатия и СССР”, Москва, 1928. т. 2-й.

85. А. В. Лобанов. Артиллерия резерва Верхового главнокомандования в Великой Отечественной войне — Военно-исторический журнал, № 2, 2006.
86. Фируз Каземзаде. Борьба за Закавказье (1917-1921). Институт стратегических исследований Кавказа. Серия „История Кавказа”. CA&CC Press®, 328 стр. Стокгольм. 2010.
87. Армянский вопрос и Геноцид армян в Турции (1913-1919). Материалы политического архива Министерства иностранных дел Кайзеровской Германии. Сост. В. А. Микаелян.
88. Овсепян В. Гарегин Нжде и КГБ — воспоминания разведчика. http://www.bvahan.com/armenianway/ AW/Njdeh_KGB/Part02.html
89. Обозрение российских владений на Кавказе, в статистическом, этногафическом, топографическом и финансовом отношениях: монография. Санкт-Петербург: Типография Департамента Внешней Торговли, 1836. https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/somxebi/
90. Дьяконов И. М. Предыстория армянского народа. История Армянского нагорья с 1500 по 500 г. до н.э. Хурриты, лувийцы, протоармяне / Еремян С. Т. — Ереван: Издательство АН Армянской ССР, 1968.
91. Чалхушьян Г. Красная книга. Ростов на Дону, Ашхатанк, 1919.
92. Мери Кочар. Армяно-турецкие общественно-политические отношения и армянский вопрос в конце XIX — начале XX веков. http://az-ar.narod.ru/index.html.
93. Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство „Феникс”. Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 18. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf
94. З. Авалишвили. Спустя 1500 лет. Кавказ. (Le Cau case). Орган независимой национальной мысли. Париж. Апрель 1936. №4/28.
95. Анатолий Артемьев. Полковник в отставке, военный летчик 1-го класса, с 1983 по 1991 г. Старший научный сотрудник исторической группы главкома ВМФ. „Гаврилы” против торпедоносцев, или что получается, когда о войне пишут дилетанты-циники”. Военно-промышленный курьер ВПК. Общероссийская еженедельная газета. http://vpk-news.ru/articles /3459.
96. Сурен Саргсян (Армения). Кандидат исторических наук, доцент, ведущий научный сотрудник Института истории НАН РА. Армянское национально-освободительное движение и партия Арменакан. Стр. 7. Парсамян В., Историографические труды, Ереван, 1985.
97. Окраина России, № 33, 1908.
98. Амрали Исмаилов. Идеология, философия и преступления армянства и армянского фашизма. Второе исправленное и дополненное издание. – Баку: Фонд «Знание», 2018. http://anl.az/el_ru/2019/ 11/cd/Ap2018-270.pdf

99. О. Ю. Кузнецов. История транснационального армянского терроризма в XX столетии. Историко-криминологическое исследование. Издание 2-е, дополненное. Москва. «Аквариус», — 428 с. Ил. http://turktoday.info/cdn/istor.pdf
100. А. С. Грибоедов. Записки о переселении армян из Персии в наши области в 1828 г.; Грибоедов А. С. Сочинения в двух томах. Т. 2. М., 1971.
101. Гаяне Махмурян. Армения и ее територіальный вопрос на парижской мирной конференции (18 января – 28 июня 1919 г.). К 100-летию Первой мировой войны. НАА, ф. 1021, оп. 2, д. 1005, л. 5-6; ф. 200, оп. 1, д. 557, л. 394-408. http:// hpj. asj-oa.am/6473/1/104.pdf
102. Карл Маркс н Ф. Энгельс. Собр. соч., т. X, стр. 191. Эдуард Оганесян. Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа. Редактор канд. философских наук М. Арзуманов. Том первый. Издательство „Феникс". Институт армянских проблем. ISBN 5-86238-003-5. Мюнхен-Москва. 1991. Стр. 34. https://vtoraya-literatura. com/pdf/ oganesyan_vek_ borby_tom1_1991__ocr.pdf
103. А. С. Пушкин. Собрание сочинений в 10 томах. Т. 5, М.: Государственное издательство художественной литературы, 1960.
104. Парсамян В.А. История армянского народа 1801-1900 г. кн., 1, Ереван, 1977.
105. Мамулов Сергей Сергеевич. Удивительные люди из страны чудес (Армения и армяне – уникальный феномен цивилизованного мира). Москва. 1993.
106. Сагария Б. Е. Национально-государственное строительство в Абхазии (1921-1931). Сухуми, 1970.
107. Заза Чапичадзе. История Грузии. Популярные данные из европейских источников об этноистории Кавквзв и ее роли в европейской цивилизации. Издательство Дамани. Тбилиси. 2016. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/ 171015/1/Istoria_Gruzii.pdf
108. Византийцы об армянах. Византийцы против соседей. Как называли друг друга и что друг о друге думали византийцы, латиняне, армяне и арабы. Подготовил Артемий Стрелецкий. https://arzamas. academy/materials/860
109. Н. Н. Шавров. Новая угроза русскому дълу въ Закавказьъ: предстоящая распродажа Мугани инородцамъ. Изданіе русского собрания. Типографія редакціи періодическихъ изданій Министерства Финансовъ. С.-Петербургъ. 1911. Стр. 59-60. https://www.prlib.ru/item/429115
110. Севериан Урушадзе. Логика истории и армяне. Кавказ. (Le Caucase). Орган независимой национальной мысли. Париж. Октябрь 1937. №10/46.
111. Ваагн Аглян, кандидат исторических наук. О формировании Армянского корпуса (1917–1918). Русский Сборник: Исследования по истории России / Ред.сост. О. Р. Айрапетов, Мирослав Йованович, М. А. Колеров, Брюс Меннинг, Пол Чейсти. Том VI. М.: Модест Колеров, 2009, с. 144. http://ysu.am/files/Aglyan_O_ Formirovanii% 20_Armyanskogo%20Korpusa.pdf

112. Др. Т. Гурбанов. Пришествие армян на Кавказ, или от принудительного гостеприимства к принудительному соседству [З.Балаян, „Очаг”, Москва, 1984, стр. 120, 192, 273.]. https://1905.az/ru/ пришествие-армян-на-кавказ-или-от-прин/
113. Сборник договоров России с другими государствами. 1856–1917. М.: Гос. изд-во полит. литературы, 1952.
114. Гурам Маисурадзе. Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии. Международный научный центр христианских исследований. Комиссия по истории, археологии и этнологии национальной АН Грузии. Научный центр по изучению и пропаганде истории, этнологии и религии. Тбилиси. 2009.
115. Газета „Слово”. 23. 09. 1920.
116. Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия - историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997.
117. Ашот Гарегинян. Маленькая „неизвестная” война. 2011. https://hetq.am/ru/article/ 7272
118. Елисеев С.П. Организационное строительство военной авиации России (1910—1917 гг.). М.: ВВИА имени профессора Н.Е. Жуковского, 2008.
119. «Бюллетень Диктатуры Центрокаспия», №2 от 3 августа 1918 г., то же, П. Джапаридзе, Избр. статьи, речи и письма, М., 1958, стр. 269-270. http://lraber.asj-oa.am/1210/1/3.pdf
120. Аверченко С. В., Кушнерёв В. В. Российская авиация на Кавказском фронте в годы Первой мировой войны (1914-1918 гг.) // Военно-исторический журнал. 2014. № 8. С. 10-18. http://www.retroplan. ru/encyclopaedia.html?sobi2Task=sobi2Details&sobi2Id=1107
121. Ашот Мелконян. Уроки Армяно-Грузинских отношений и проблема Джавакха. http://kantegh.asj-oa.am/ 41/1/166-179.pdf
122. Корнелий Тацитю Сочинения в двух томахю Том первыйб Анналыю Малые произведнния. Ленинград. 1969.
123. Киракосян, Наира Бениковна. Тема диссертации и автореферата по ВАК РФ 07.00.02. История партии „Дашнакцутюн“ с 1890 г. по 1907 г. МГУ имени М. В. Ломоносова. 1999. https://www.dissercat.com/ content/istoriya-partii-dashnaktsutyun-s-1890-g-po-1907-g
124. Рапорт генерал-майора Болховитинова о деятельности армянских вооруженных отрядов в Турции и Закавказье в Первую Мировую войну. Баку, Азернешр, 2011. http://ebooks.azlibnet.az/book/57 nat120715.pdf
125. Стенограмма Чрезвычайного заседания Бакинского Совета Рабочих, Красно-армейских, Матросских и Крестьянских Депутатов совместно с районными Советами, судовыми комитетами и Военно-Революционным Комитетом Кавказской Красной Армии от 25-26 июля 1918 г. – В книге С. Г. Шаумян. Статьи и речи 1917-1918 гг. Баку, Красный Восток, 1929.

126. Каринян А. Б. К характеристике армянских националистических течений. Большевик Закавказья. 1928. №9-10.
127. А. Н. Мнацаканян. К истории Кавказской красной армии (1918 г.). http://lraber.asj-oa.am/ 1210/1/3.pdf
128. Газ. «Бакинский рабочий», №78 от 30 апреля 1918 г. http://lraber.asj-oa.am/ 1210/1/3.pdf
129. Е. К. Саркисян. Экспансионистская политика Османской империи в Закавказье. Накануне и в годы Первой Мировой Войны. Академия наук Армянской ССР. Ереван. 1962. Стр 368. Людендорф. Мои воспоминания о войне 1914-1918 гг. Т. II. М. 1924.
130. ЦГА СА, ф. 1, оп. 2, д. 8 с, лл. 417—419. http://lraber.asj-oa.am/1210/1/3.pdf
131. Послание генерала Людендорфа генералу Грёнеру. Киев, 12 июня 1918 г. Исторические источники. http://1914ww.ru/dokum/191_dok/19180612lud. html.
132. Газ. «Бакинский рабочий», № 211, 1922 г. http://lraber.asj-oa.am/1210/1/3.pdf
133. Лалаян А. А. Контрреволюционный „Дашнакцутюн" и империалистическая война 1914-1918 гг. Революционный Восток. 1936. №2-3.
134. В. Л. Величко. Кавказ 1886-1895. Санкт-Петербург, 1904. http://www.amsi.ge/istoria/ somx/velichko.html
135. Партархив ЦККП Армении, ф. 49, д. 52, л. 26. Партархив ЦККП Азербайджана, док. № 269, фотокопия; также кн. болгарского профессора Г. Коцарова «Армения и армянский вопрос», София, 1927, стр. 47; А. Б. Кадышев «Интервенция и гражданская война в Закавказье», воениздат СССР, Москва, 1960, стр. 120. http://lraber.asj-oa.am/1210/1/3.pdf
136. Михайлов Вадим Викторович. Отношения республики Армении и руководства Вооруженных сил Юга России в 1918 - начале 1919 года. https://cyberleninka.ru/ article/n/ otnosheniya-respubliki-armenii-i-rukovodstva-vooruzhennyh-sil-yuga-rossii-v-1918-nachale-1919-goda. Петросян Г. А. Отношение Республики Армения с Россией (1918-1929 гг.). Ереван. 2012. Стр. 424.
137. Патканов К.П. Ванские надписи и значение их для истории Передней Азии. Журнал Министерства Народного Просвещения. Четвертое десятилетие. Часть CLXXIX. Издательство: Тип. В.С. Балашева и К°. Санкт-Петербург. Январь. 1874.
138. Газета „Слово". 09. 10. 1920.
139. Газета „Слово". 12. 10. 1920.
140. Обозрение российских владений за Кавказом, в статистическом, этногафическом, топографическом и финансовом отношениях: монография. Санкт-Петербург: Типография Департамента Внешней Торговли, 1836. https://iberiana.wordpress.com/ armenia-georgia/somxebi/
141. Александръ Аннинскій. Исторія армянской церкви. (До XIX въка). Кишиневъ. Типография М. Я. Спивака. 1900. http://www.bibliard.ru/vcd-1269-1-1535/goodsinfo. html

142. Андраник Озанян: герой Армении на службе России. https://sochi24.tv/kurort/news/andranik-ozanyan-geroi-armenii-na-sluzhbe-rossii
143. Справка прокурора Эчмиадзинского синода А.Френкеля, представленная в 1907 г. Святейшему синоду. https://erevangala500.com/book/26.html
144. Безугольный А. Ю. Генерал Бичерахов и его Кавказская армия. Неизвестные страницы истории Гражданской войны и интервенции на Кавказе. 1917—1919. — М.: Центрполиграф, 2011. — 348 с. — ISBN 978-5-227-02536-4. Стр. 213.
145. НАА. (Национальный архив Армении). Ф. 200. Оп. 1. Д. 11. Л. 32.
146. Арутюнян А. 0. Кавказский фронт 1914-1917 гг. Ереван. 1971.
147. Бредихин Антон Викторович - Политолог, аспирант кафедры стран постсоветского зарубежья РГГУ. Духоборы: Грузинский Форпост «Русского мира». https://www.ruvek.ru/publications/dukhobory_ gruzinskiy_forpost_russkogo_mira_9548/
148. М. Гогитидзе, В. Михайлов. Генералы-грузины русской армии в Первой мировой войне 1914-1918гг. Издательство „Полторак". Саркт Петербург. 2020.
149. Институт национальных стратегических исследований (ИНСИ) имени Драстамата Канаяна НОИУ МО РА. https://www.mil.am/ru/pages/12
150. Пученков А. С. Национальная политика генерала Деникина (весна 1918 - весна 1920 г.). СПб., 2012. 338 с.
151. Кадишев А. Б. Интервенция и гражданская война в Закавказье. Москва: Воениздат, 1960. Стр. 171-172.
152. З. Аваловъ. Независимость Грузии въ международной политике 1918 н 1921 г.г. Воспоминания. Очерки. Paris. 1924.
153. Вадим Михайлов, доктор исторических наук, г. Санкт-Петербург. «В их Действиях было замечено мною полное презрение к смерти...» Армянские добровольческие дружины в русской армии. Родина. – 2014. - № 11. http://www.kavkazoved.info/news/2015/03/03/mikhailov-armjanskie-dobrovolcheskxaie-druzhiny-v-russkoj-armii.html

ინგლისურენოვანი:

1. WO (War Office) 95 4879. British Salonika Force. War Diary. Headquarter General Staff 27th Division. January 1919.
2. Stephen F. Jones. Georgian-Armenian relations in 1918 to 1919 and 1991 to 1994. A comperison.
3. Encyclopaedia "Britannica". A new Survey of Universal knowledge. Vol. 2. Chicago, London. Toronto.
4. Suhnaz Yilmaz. An Ottoman Warrior Abroad: Enver Pasha as an Expatriate. Middle Eastern Studies. A Frank Cass Journal. ISSN 0026-3206.

5. Richard G. Hovannisian. Armenia on the Road to Independence, 1918. By [Published under the auspices of the Near Eastern Center, University of California, Los Angeles.] (Berkeley and Los Angeles: University of California Press. 1967.
6. Luigi Vilari. Fire and Sward in the Caucasia. Fisher and Union. London. 1906.
7. Christopher Oscanyan. The Sultan and his People. New-York. 1857.
8. Caroline Cox and John Eibner. Ethnic Cleansing in Progress: War in Nagorno Karabakh. The Pincers of Pan Turkism. (Walker, 1980, p. 198). http://sumgait.info/caroline-cox/ ethnic-cleansing-in-progress /pincers-of-panturkism.htm
9. Mikael Varandian. History of the A. R. Federation. Paris. 1932.
10. W. E. D. Alenn. Caucasian battlefields. A history of the wars on the Turko-Caucasian border. 1828-1921. Cambridge University Press. 1953.
11. Donald Bloxham. The Great Game of Genocide: : Imperialism, Nationalism, and the Destruction of the Ottoman Armenians. — Oxford University Press, 2005. — ISBN 0-19-927356-1.
12. William Langer, Alfred A. Knopfe. The diplomacy of Imperializm. New York. 1960.
13. Louise Nalbandian. The Armenian Revolutionary Movement. The Development of Armenian Political Parties through the Nineteenth Century. University of California Press. Berkeley, Los Angeles, London. 1963. Third Printing, 1975. Pg. 5. https://archive.org/ stream/bub_gb _dIsS3 aidr0C/bub_gb__dIsS 3aidr0C_djvu.txt.
14. Firuz Kazemzadeh. The struggle for Transcaucasia (1917-1921). Philosophical Library. New York. 1951.
15. K. S. Papazian. Patriotizm Perverted. Boston. 1934.
16. Jeffrey W. Stebbins. Bell and Banner: Armenian Revolutionaries at the end of the Ottoman Empire. — Naval Postgraduate School, 2011.
17. Dr. Erdal Ilter. Armenian and Russian oppresions (194-1916). (Testimonies of witnesses). Series of social and strategical reserches. Ankara. 1999.
18. Richard G. Hovannisian. The Armenian People from Ancient to Modern Times: Foreign dominion to statehood : the fifteenth century to the twentieth century. The Armenian Question in the Ottoman Empire 1876 to 1914. (англ.). — Macmillan Press, 1997. — ISBN 0-333-61974-9.
19. Communist Takeover and Occupation of Georgia. Special Report No6 of the Select Committee on Communist Aggression. House of Representatives. Eighty-third Congress. Second Session. Under Authority of H. Res. 346 and H. Res. 438. United States Government Printing Office. Washington. 1955.
20. Stephen F. Jones. Georgian–Armenian relations in 1918 to 1919 and 1991 to 1994. A comperison.
21. The Oxford Dictionary of Byzantium / Editor in chief Alexander P. Kazhan. Theodosioupolis // — Oxford University Press, 1991. — Vol. 3.
22. Ronald Grigor Suny. Looking toward Ararat. — Indiana University Press, 1993.
23. http://www.armenianarthall.com/index.php?newsid=85

24. Hrach Dasnabedian. History of the Armenian Revolutionary Federation-Dashnaktsutiun 1890/1924. Milan. 1989.
25. Arye Gut. Jewish Journal. Armenia immortalizes fascists, anti-Semites who participated in the Holocaust. 2015. https://justiceforkhojaly.org/ru/content/%E2%80%9Cjewish-journal %E2
26. Carl von Clausevutz. On war. Edited and Translated by Michael Howard and Peter Paret. Introductory Essays by Peter Paret, Michael Howard, and Bernard Brodie; with a Commentary by Bernard Brodie. Index by Rosalie West. Princeton University Press, Princeton, New Jersey. 1984.
27. V. I. Lenin. Tasks of the Proletariat in Our Revolution, Collected Works, Vol. 24.
28. Major-General L. C. Dunsterville. C. B., C. S. I. The Adventures of Dunsterforce. Illustrated. London. Edward Arnold. 1920.
29. McCarthy, Justin. Death and Exile: The Ethnic Cleansing of Ottoman Muslims, 1821-1922. Darwin Press, Incorporated. 1996. ISBN 0-87850-094-4.
30. Garegin Nzhdeh: National Hero or War Criminal? http://vestnikkavkaza.net/analysis/ Garegin-Nzhdeh-national-hero-or-war-criminal.html
31. A Fabricated Genocide. A half truth is a whole lie… General Dro (Drastamat Kanayan), Nazi war criminal an Armenian national hero. https://armeniangenocidelies. wordpress. com/2012/10/19/general-dro-drastamat-kanayan-a-national-hero-2/
32. Richard Hovannisian. The republic of Armenia, Volume I. The first year, 1918-1919. Near eastern center, UCLA. 1971.
33. Mark Levene. The Crisis of Genocide. Devastation: The European Rimlands 1912-1938. Oxford University Press, 2013. Vol. I.
34. The New York Times, July 23, 1907. Fanatic murders wealthy Armenian; H.S. Tavshanjian Shot Down in Union Square as Crowd Looks On. https://www.nytimes.com/ 1907/07/23/ archives/ fanatic- murders- wealthy- armenian- hs- tavshanjian- shot-down-in-union.html
35. The New York Times, August 15, 1907. Hunchakist blamed for other murders; Armenian Inquiry Throws Light on the Tashjian Crime, Charged to the Society. https://www. nytimes. com/1907/08/15/archives/ hunchakist-blamed-for-other-murders-armenian-inquiry-throws-light.html
36. The New York Times, July 27, 1907. Armenian terrorist hiding; Wealthy Worcester Armenians Said to Fear an Attack at Any Time. https://www.nytimes.com/1907/07/27/ archives/armenian-terrorist-hiding-wealthy-worcester-armenians-said-to-fear.html
37. Anna Geifman. Thou Shalt Kill: Revolutionary Terrorism in Russia, 1894—1917. Princeton University Press, 1995. ISBN 0-691-02549-5, 9780691025490
38. Donald Rayfield. Edge of Empires: A History of Georgia. London: Reaktion Books. 2012.
39. Sharlotte Hille. State Building and Conflict Resolution in the Caucasus. Eurasian Studies Library. Historical, Political and Social Studies of Slavic and Islamic Cultures on the Eurasian Region. Brill. Leiden, Boston. 2010. https://books.google.ge/books?id=yx FP6 K8iZzQC&pg=PA51&source=gbs_toc_r&cad=3#v=onepage&q&f=false

40. Richard G. Hovannisian. The Republic of Armenia. — University of California Press. — 1996. — T. IV.
41. James G. Mandalian. The Life and Time of General Dro. The Armenian Review. Volume 10, Number 2, Summer, June 1957. http://asbarez.com/144592/the-life-and-time-of-general-dro/
42. Vahe Sahakyan. Between Host-Countries and Homeland: Institutions, Politics and Identities in the Post-Genocide Armenian Diaspora (1920s to 1980s). University of Michigan, 2015.
43. Ronald Grigor Suny. Looking toward Ararat. Indiana University Press, 1993. 310 p. ISBN 9780253207739.
44. E. J. Erickson. Ordered to Die: a History of the Ottoman Army in the First World War. Westport. 2000.
45. Stone, Norman. «Turkey in the Russian Mirror». pages 86-100 from Russia War, Peace and Diplomacy. edited by Mark & Ljubica Erickson, Weidenfeld & Nicolson: London, 2004.
46. Isaiah Friedman. British Miscalculations. The Rise of Muslim Nationalism, 1918-1925. Transaction Publishers. New Brunswick (USA) and London (UK). Printed in the United States of America. 2012. https:// books.google.ge/books?id=N_g_ZI46xncC&pg=PA267 &lpg=PA267&dq=Bolsheviks +and +Kemalists & source=bl&ots=zp5A94tlr_&sig= 5W dF1aVay1uXZinFA6A2tsIHBJ8&hl=ka&sa =X&ved = 0CD YQ 6A Ew B2 oV Ch MI 25 - H7 K O 0yAIVAZcUCh0EeAzq#v= onepage&q= Bolsheviks%20and% 20Kemalists&f= false.
47. Peter Rowland. Lloyd George. London. 1974. https://books.google.ge/books? id=NgZI46 xnc C& pg=PA267&lpg=PA267&dq=Bolsheviks+and+Kemalists&source =bl&ots= zp5 A94tlr_&sig=WdF1aVay1uXZinFA6A2tsIHBJ8&hl=ka&sa=X&ved=0CDYQ6 AewB 2oVChMI25- H7KO0yAIVAZcUCh 0EeAzq№v= onepage&q=Bolsheviks%20 and%20 Kemalists&f=false

ფრანგული, გერმანული, თურქული:

1. Henry Barby. Les exstravagances bolcheviques et I’epoppee Armenienne. Paris. 1921.
2. General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München. 1943.
3. Mémoires d'un cadre révolutionnaire arménien : édition complète / auteur(s) : ROUBEN (Minas ter-Minassian) - trad. de l'armenien par Souren L. Chnath. Editeur :Publications de la F.R.A. Dachnaktsoutioun. Année :1994. Sujets :Armenie -- Histoire -- 1901-.... * Parti Dachnak Armenie -- Histoire -- 1870-1914.

4. S. Vratzian, "H.H. Dashnaktsuthian Dzenunde yev Himnadirnere," Hushapatum H.H. Dashnaktsuthian 1890-1950.
5. Frédéric Macler, La Nation arménienne, son passé, ses malheurs, Paris, Année: 1924, p. 18. https://1905.az/ ru/% d0%be-%d0%bf%d1%80%d0%be%d0%b8%d1%81%d1%85%d0% be%d0%b6%d0%b4%d0%b5%d0% bd%d0%b8%d0%b8-%d0%b0%d1%80%d0%bc% d1%8f%d0%bd/
6. Esat Uras, Tarihte ErmeniZer ve Ermeni ıUeselesi'", Belge Yayınları, İstanbul, 1976.
7. Mémoires d'un cadre révolutionnaire arménien : édition complète / auteur(s) : ROUBEN (Minas ter-Minassian) - trad. de l'armenien par Souren L. Chnath. Editeur:Publications de la F.R.A. Dachnaktsoutioun. Année :1994. Sujets :Armenie -- Histoire -- 1901-.... * Parti Dachnak Armenie -- Histoire -- 1870-1914.

საარქივო დოკუმენტები:

1. საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. (შემდგომში სეა. ცსსა.) ფონდი 1878, ანაწერი 2, საქმე 19/გ, ფურცელი 24.
2. სეა. ცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 200, ფურცელი (5-5 უკ).
3. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 186, ფურცელი 45.
4. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 10.
5. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 8, ფურცელი 4.
6. სეა. ცსსა. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 22, ფურცელი 8.
7. სეა. ცსსა. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 22, ფურცელი 116.
8. სეა. ცსსა. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 1.
9. სეა. ცსსა. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 18, ფურცელი 58.
10. სეა. ცსსა. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 13, ფურცელი 49.
11. სეა. ცსსა. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 13, ფურცელი 42.
12. სეა. ცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი 44 უკ.
13. სეა. ცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 49, ფურცელი 3 უკ.
14. სეა. ცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 49, ფურცელი 3.
15. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი 4.
16. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი (16-17).
17. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 59.
18. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი 24.
19. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი 34.
20. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 1.
21. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 163.

22. სეა. ცსსა. ფონდი 1836 ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი (20 უკ-21).
23. სეა. ცსსა. ფონდი 1836 ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი 21 უკ.
24. სეა. ცსსა. ფონდი 1836 ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი 22.
25. სეა. ცსსა. ფონდი 1836 ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი 22 უკ.
26. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 11, ფურცელი 13.
27. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 2, საქმე 18, ფურცელი (47-47უკ).
28. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 2, საქმე 18, ფურცელი 52.
29. სეა. ცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 2, საქმე 19/გ, ფურცელი 64.
30. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 98, ფურცელი 38.
31. სეა. ცსსა. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 13, ფურცელი 41.
32. სეა. ცსსა. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 20, ფურცელი 3.
33. სეა. ცსსა. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 20, ფურცელი 1.
34. სეა. ცსსა. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 20, ფურცელი 5.
35. სეა. ცსსა. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 18, ფურცელი 40.
36. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 131.
37. სეა. ცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 5, ფურცელი 19.
38. სეა. ცსსა. ფონდი 1869, ანაწერი 4, საქმე 8, ფურცელი 6.
39. სეა. ცსსა. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 13, ფურცელი 43.
40. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 99, ფურცელი4.
41. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 99, ფურცელი 10.
42. სეა. ცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 14.
43. სეა. ცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 15.
44. სეა. ცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 18.
45. სეა. ცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი (254-255).
46. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 130.
47. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 98, ფურცელი 32.
48. სეა. ცსსა. ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 1.
49. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 131.
50. სეა. ცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 50.
51. სეა. ცსსა. ფონდი 1936, ანაწერი 1, საქმე 192, ფურცელი 3.
52. სეა. ცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი 3.
53. სეა. ცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი 5.
54. სეა. ცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 5, ფურცელი 86.
55. სეა. ცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 17, ფურცელი 113.
56. სეა. ცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 17, ფურცელი 24.
57. სეა. ცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 17, ფურცელი 25.
58. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 17, ფურცელი 2.
59. სეა. ცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 5, ფურცელი 108.

60. სეა. ცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 2, საქმე 9/Г, ფურცელი 62.
61. სეა. ცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი (12–17).
62. სეა. ცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი (7–8).
63. სეა. ცსსა. ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 32, ფურცელი 3.
64. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 9.
65. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 131.
66. სეა. ცსსა. ფონდი 2115, ანაწერი 1, საქმე 119, ფურცელი (1-2).
67. სეა. ცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 2, საქმე 19/გ, ფურცელი 42.
68. სეა. ცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 2, საქმე 19/გ, ფურცელი 48.
69. სეა. ცსსა. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 2.
70. სეა. ცსსა. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 4.
71. სეა. ცსსა. ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 29, ფურცელი 2.
72. სეა. ცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 263.
73. სეა. ცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 1.
74. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 9, ფურცელი 17.
75. სეა. ცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 14.
76. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 131.
77. სეა. ცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 199.
78. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 39, ფურცელი 158.
79. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 4, ფურცელი 21.
80. სეა. ცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 204.
81. სეა. ცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 32, ფურცელი 16.
82. სეა. ცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი (50-51).
83. სეა. ცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 199.
84. სეა. ცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 204.
85. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი (179-180).
86. სეა. ცსსა. ფონდი 13, ანაწერი 27, საქმე 5412, ფურცელი (18-19).
87. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი (27-28).
88. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 13, ფურცელი 29 უკ.
89. სეა. ცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 2115, ანაწერი 1, საქმე 23, ფურცელი 1.
90. სეა. ცსსა. ჰარვარდის და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 50.

91. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 120.
92. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი 32.
93. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 190 უკ.
94. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 13, ფურცელი 2 უკ.
95. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 13, ფურცელი 9 უკ.
96. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 13, ფურცელი 11 უკ.
97. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 13, ფურცელი 30 უკ.
98. სეა. ცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 193, ფურცელი 1.
99. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 242.
100. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 190.
101. სეა. ცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 85, ფურცელი (2-3).
102. სეა. ცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 193, ფურცელი 1.
103. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 93.
104. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 190 უკ.
105. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი (255-255 უკ.).
106. სეა. ცსსა. ჰარვარდის და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი 48.
107. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 13, ფურცელი 1-1 უკ.
108. სეა. ცსსა. ფონდი 1161, ანაწერი 1, საქმე 5, ფურცელი 23.
109. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 17.
110. სეა. ცსსა. ჰარვარდის და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 39, ფურცელი (57-58).
111. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 18, ფურცელი 12.
112. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 69 უკ.
113. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 11, ფურცელი 14.
114. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 9, ფურცელი 23.
115. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი (183-185).
116. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 9, ფურცელი (13-14).
117. სეა. ცსსა. ფონდი 1161, ანაწერი 1, საქმე 5, ფურცელი 37.
118. სეა. ცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 2, საქმე 18, ფურცელი 48.
119. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 13, (ფურცელი 8-8 უკ.).
120. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 1.
121. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 5.
122. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 13, ფურცელი 9 უკ.
123. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 13, ფურცელი 11 უკ.
124. სეა. ცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი 18.
125. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 9, ფურცელი 24.
126. სეა. ცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 9, ფურცელი (10-11).
127. სეა. ცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 6 უკ.
128. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი (9-9 უკ).

129. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი (100-111 უკ).
130. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი (116-117).
131. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი (66-66 უკ).
132. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 32.
133. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი (14 უკ-15).
134. სეა. ცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი (1-4).
135. სეა. ცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი 18.
136. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 10.
137. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი (66-66 უკ).
138. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი (8-10 უკ).
139. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი (88-90 უკ).
140. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი (110-111 უკ.
141. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 133 უკ.
142. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 136 უკ.
143. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 186 უკ.
144. სეა. ცსსა. ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 14 უკ.
145. სეა. ცსსა. ფონდი 1970, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცელი 6.

სახელთა საძიებელი

ა

აბასთუმანი 540, 555;

აბაშიძე ასლან 551;

აბაშიძე კიტა 145;

აბაშიძე მემედ-ბეგ 551;

აბდალაძე ალექსანდრე 35, 42, 118, 119, 121, 530;

აბდულ ქერიმ ფაშა 490;

აბდულ-ჰამიდ II 76, 160, 172, 183, 229, 391, 514;

აბეგიანი მანუკ 97;

აბესაძე ავქსენტი 42, 355, 384;

აბისინია 327, 328;

აბოვიანი ხაჩატურ 122, 123;

აბოცი 112, 505;

აგაგბაში არაპ 300;

აგამიტზიანი საქო 300;

აგარაკი 417, 509;

აგრწინი 509;

ადარბადაგანი 517;

ადენაუერი კონრად 54;

ადლერი 436, 461;

ადოლფუსი გუსტავ II 48;

ადრიანოპოლი 89, 132, 485, 513;

ავალიშვილი ზურაბ 42, 136, 154, 166, 239;

ავდიბედი 556;

ავეტისიანი გრანტ 236, 264, 274, 286, 288, 359, 443, 444, 446, 553;

ავლაბარი 125, 415, 418;

ავსტრალია 47, 83,159, 225, 273;

ავსტრია 73, 131, 140, 149, 154, 161, 163, 167, 278, 376, 403, 414, 451, 499;

ავსტრო-უნგრეთი 145, 166, 180, 432;

ავღანეთი 158, 160, 162, 379;

ავჭალა 418;

აზერბაიჯანი 32, 36, 37, 38, 43, 45, 48, 60, 82, 89, 98, 109, 110, 117, 123, 132, 143, 156, 157, 161, 181, 201, 209, 214, 218, 219, 223, 224, 233, 234, 236, 237, 241, 246, 256, 257, 258, 263, 264, 265, 267, 268, 269, 272, 275, 280, 286, 290, 354, 370, 371, 377, 378, 392, 395, 408, 409, 413, 418, 444, 450, 451, 452, 486, 487, 509, 512, 516, 517, 518, 538, 554, 555;

აზოვი 388, 520;

აიდარბეკი 510, 560;

აივაზიანი სურენ 110;

აირუმი 406, 495, 510, 511, 512, 562;

აკორი 574;
ალავერდი 27, 29, 47, 106, 133, 134, 139, 289, 345, 446, 511, 512, 558 572, 574;
ალაზანი 133;
ალაშკერტი 236, 246, 247;
ალაჯაყეი 398;
ალბანეთი 101, 517;
ალგეთი 105, 118, 518;
ალენი უილიამ 152, 166, 267, 356, 363, 367, 372, 405, 561, 562;
ალენბი ედმუნდ 160, 225;
ალეპო 159. 225;
ალექსანდრე მაკედონელი (ალექსანდრე დიდი) 93, 98, 101, 111, 112, 118, 509;
ალექსანდრეტა (ისქანდერუნი) 75, 193, 538, 539;
ალექსანდრია 73;
ალექსანდროვკა 509, 519, 559;
ალექსანდროპოლისი 49, 134, 135, 201, 233, 246, 247, 270, 275, 288, 289, 326, 335, 364, 366, 388, 423, 434, 445, 493, 494, 495, 509, 510, 511, 540, 554, 555, 557, 558, 559, 562, 564;
ალექსეევი მიხაილ 41, 153, 206, 272, 279, 335, 369, 370, 455;
ალექსი-მესხიევი (ალექსი-მესხიშვილი) შალვა 328, 331;
ალიხანოვ-ავარსკი მაქსუდ 205, 238;
ალუშტა 242;
ალფ-არსლანი 64, 102, 155;
ალხაზოვი იაკობ 88;
ამამლი (ამამლო) 513;
ამასია 191;
ამაღლება 144;
ამბარცუმიანი პეტროს 192;
ამერიკის შეერთებული შტატები 73, 75, 143, 183, 188, 191, 192, 197, 206, 217, 221, 222, 225, 226, 230, 232, 234, 241, 242, 245, 265, 284, 287, 425, 433, 453, 532, 558;
ამრაკიცი 509;
ამსტერდამი 167, 555;
ანატოლია 24, 31, 66, 87, 94, 131, 134, 150, 151, 155, 156, 157, 170, 177, 179, 180, 216, 219, 238, 250, 253, 255, 256, 288, 295, 315, 326, 327, 392, 396, 397, 399, 403, 412, 434, 449, 552;
ანგორა 239;
ანდრონიკაშვილი ალექსანდრე 332, 335, 377, 381, 382, 383, 386, 466;
ანისი 64, 65, 114, 116, 117, 118, 124, 527;
ანიინსკი ალექსანდრ 90;
ანუჩინი დიმიტრი 96;
ანჯაფარიძე გიორგი (გიზო) 489;
არაგვი 13, 133, 327;
არამიანი არამ 220;
არარატი 18, 62, 73, 74, 97, 119, 134, 139, 157, 177, 197, 199, 274, 288, 372, 428, 443, 444, 450, 452, 455, 487, 492, 527, 534, 539, 552;
არარატოვი ქრისტოფორ (არარატიანი ხაჩატურ) 289, 388;
არასი 225;

არაქსი 100, 134, 515;
არგენტინა 559;
არდებილი 517;
არევაწაღი 509;
არეშიევი მიხაილ (არეშიანი მიქაელ) 286, 365, 388, 389, 409, 476;
არზრუმი 24, 40, 75, 89, 93, 104, 114, 125, 126, 129, 148, 180, 181, 182, 183, 187, 192, 200, 217, 220, 223, 224, 227, 232, 246, 252, 253, 255, 256, 288, 289, 315, 321, 326, 339, 359, 364, 367, 369, 370, 373, 383, 398, 399, 400, 401, 402, 403, 404, 405, 406, 407, 408, 409, 410, 413, 414, 421, 434, 452, 456, 486, 514, 527, 553, 557;
ართვინი 103, 152, 155, 338, 536, 553;
არმავირი 204, 527;
არპიარიანი არპიარ 193;
არტაანი (არდაგანი) 75, 129, 221, 288, 326, 338, 370, 422, 455, 512, 534, 537, 557;
არტანუჯი 152, 155;
არტაქსერქსე I 118;
არტაშატა 527;
არტემიევი ანატოლი 412, 413;
არუთიუნიანი გარეგინ (ნეჯდე) 229, 230, 233, 234, 235, 239, 240, 241, 307, 415, 416;
არფაჩაი 555;
არღუთიანი ოვსეპ 361;
არშაკავანი 527;
არწახი 122;
არჯევანიძე გიორგი 339, 373;
ასადოვი საბირ 98, 224;
ასატრიანი ჰაიკ 233;
ასტრახანი 126, 247, 291, 444, 520;
ატილა 155;
აუგსბურგი 156;
აუშტროვი რუბენ 18, 19, 340, 383, 454, 465, 467, 546;
აფრიკა 47, 159, 161, 225, 245, 280;
აფშერონი 370;
აფხაზავა დიომიდე 419, 503;
აფხაზეთი 13, 35, 36, 41, 52, 53, 54, 86, 132, 327, 330, 331, 336, 337, 342, 351, 352, 366, 436, 457, 461, 606;
აქსელროდი პაველ 36;
აშაღა-სარალი 542, 543;
აშხაბადი 276, 277;
აღაიანი ცატურ 387, 408;
აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი 35, 38, 121, 155;
აღბულახი (აღბულაღი) 218, 509, 554;
აღზევანი (ყაგიზმანი) 244, 393;
აღსტაფა 505;
აწყური 554;
აჭარა 47, 109, 133, 149, 150, 151, 153, 154, 174, 234, 375, 381, 422, 423, 425, 426, 427, 428, 457, 532, 535, 536, 550, 551, 563;
აჭარისწყალი 152, 427;

ახალი ათონი 436;
ახალი ზელანდია 47, 159, 225, 273;
ახალციხე 24, 27, 40, 41, 54, 63, 99, 102, 108, 109, 115, 121,125, 126, 133, 136, 137, 255, 265, 326, 327, 337, 338, 354, 345, 355, 356, 366, 374, 415, 416, 443, 488, 489, 511, 540, 544, 551, 553, 555, 566;
ახალქალაქი 24, 27, 28, 29, 40, 41, 47, 50, 63, 99, 102, 109, 110, 121, 123, 124, 125, 133, 135, 136, 137, 140, 217, 218, 219, 234, 239, 255, 288, 289, 321, 326, 327, 337, 345, 354, 355, 356, 359, 366, 367, 415, 416, 444, 458, 486, 487, 488, 489, 491, 492, 495, 506, 509, 510, 511, 512, 513, 514, 516, 521, 527, 528, 529, 530, 540, 553, 555, 562, 566;
ახვერდოვი ივან (ახვერდიანი ოვანეს) 372, 387, 454, 477;
ახკერპი 50;
ახმეტელაშვილი ალექსანდრე 328, 343, 373, 375, 381, 383. 466, 467;
ახპატი 104, 105, 116, 117, 118, 298, 562;
ახტალა 27, 29, 104, 101, 120, 133, 134, 297, 345, 446, 511, 568;
ახტამარი 90, 170;
აჰარონიანი ავეტის 74, 139, 293, 485, 486;

ბ

ბაბილონი 70, 71, 96, 290;
ბაგრაზიანი გრანტ 57, 59, 60;
ბაგრამიანი ოვანეს 264, 286, 290, 366, 389;
ბაგრატაშენი 61, 509;
ბაგრატიონი დიმიტრი 321;
ბაგრატუნი აშოტ 49, 113;
ბაგრატუნი აკოფ 265, 277, 283, 285, 286, 287, 289, 387, 389;
ბადალიანცი ოჰანეს 503;
ბავარია 146, 155, 164, 165, 346, 462, 557;
ბაზუმი 49, 505, 510, 511;
ბათმანაშვილი ალიოზ 100;
ბათუმი 47, 48, 63, 109, 128, 129, 132, 136, 149, 151, 152, 191, 197, 230, 234, 256, 273, 326, 338, 365, 413, 421, 422, 423, 424, 425, 426, 427, 434, 451, 453, 454, 457, 486, 495, 514, 513, 532, 533, 534, 536, 550, 553, 554, 555, 556, 558;
ბაიაზეთი 125, 126, 134, 236, 238, 244, 246, 366, 391;
ბაიბურთი 223, 315, 403, 413;
ბაიკალი 371;
ბაკურიანი 418, 514;
ბაკურიანისძე გრიგოლ 225;
ბალაიანი ზორი 122;
ბალახანი 259;
ბალკანეთი 47, 48, 96, 157, 159, 161, 175, 179, 197, 221, 225, 231, 233, 288, 396, 397, 435, 485;
ბალტიის ზღვა 252, 346;
ბამბაკი 24, 29, 50, 53, 63, 66, 99, 114, 116, 121, 134, 135, 255, 355, 486, 487, 490, 492, 505, 506, 509, 510, 517, 519, 562;

ბანიო 154, 165;
ბარათოვი (ბარათაშვილი) ნიკოლაი 278, 279, 350, 352, 373, 396, 440;
ბარბი ანრი 78, 277, 296, 391, 392;
ბარბიუსი ანრი 78;
ბარდა სკლიაროსი 255;
ბარნაბიშვილი ვლადიმერ 383;
ბარიატინსკი ალექსანდრ 85, 89, 548;
ბარსელონა 148;
ბასარ-გეჩარი 397, 404;
ბასიანი 255;
ბაქო 24, 37, 47, 79, 110, 139, 140, 157, 161, 162, 164, 197, 204, 205, 209, 217, 229, 236, 237, 256, 257, 259, 260, 261, 263, 264, 265, 266, 267, 268, 269, 270, 271, 272, 273, 274, 275, 276, 277, 278, 279, 280, 281, 283, 284, 285, 286, 287, 288, 289, 290, 291, 292, 308, 309, 310, 311, 312, 328, 331, 339, 349, 364, 367, 370, 371, 377, 378, 382, 402, 408, 444, 458, 487, 488, 489, 516, 517, 524, 549, 559;
ბაქრაძე დიმიტრი 103;
ბაქრაძე ზაქარია (შაქრო) 383;
ბაღდადი 71, 131, 157, 164, 191, 273, 283, 286;
ბაშ-აბარანი 242, 247, 288, 289, 290, 487;
ბაშკიჩეტი 133, 540;
ბეგ-ფირუმიანი დანიელ 408;
ბეგ-ფირუმიანი პოღოს 408;
ბეზობდალი 49, 510, 562;
ბეზუგოლნი ალექსეი 56, 490;
ბეთანია 105;
ბეირუთი 148, 175, 197, 198, 225, 242, 252;
ბელგია 131, 217, 230, 240, 432, 507, 535;
ბელგოროდი 144;
ბელგრადი 372, 407;
ბელიაევი მიხაილ 396, 397;
ბელიკლიუჩი 510, 511;
ბელოსტოკი 153;
ბენაშვილი ანდრია 466, 549, 383;
ბენლიანი მამბრე 199;
ბენ-ჰურიონი დავით 186;
ბერბერიანი რუბენ 300;
ბერბიჭაშვილი გიგლა 262;
ბერდანი ჰაირამ 433;
ბერდუჯი 49, 105, 510, 512, 517;
ბერია ლავრენტი 382;
ბერიძე შალვა 149;
ბერლინი 40, 42, 54, 63, 83, 109, 132, 148, 149, 157, 159, 163, 165, 174, 175, 176, 177, 180, 198, 237, 266, 273, 485, 486, 494, 532, 563;
ბერძენიშვილი ნამეტია 438;
ბერძენიშვილი ნიკო 149, 515;

ბერძენიშვილი-გოგუაძისა ნამეტია 438;
ბესარაბია 125;
ბეჩუანალენდი 225;
ბიდგოშჩი 541;
ბიზანტია 35, 64, 71, 92, 113, 134, 150, 169, 232, 253, 255, 514;
ბითინია 111;
ბითლისი 75, 180, 188, 227, 236, 246, 253, 315;
ბიჩერახოვი გიორგი 280;
ბიჩერახოვი ლაზარ 278, 279, 280, 285, 286, 287, 291, 309, 453;
ბოგდანოვკა 521;
ბოგვი 514;
ბოდენშტედტი ფრიდრიხ 126;
ბოლნისი 104, 113, 125, 509, 510, 514, 515, 516;
ბოლნის-ხაჩინი 27, 124, 515, 540, 562;
ბოლხოვიტინოვი ლეონიდ 248, 249;
ბორბალო 514;
ბოროდინო 16;
ბორჩალო 23, 27, 28, 50, 53, 54, 55, 61, 105, 112, 129, 135, 276, 336, 337, 342, 355, 357, 393, 416, 439, 458, 462, 473, 488, 491, 492, 494, 508, 509, 512, 513, 515, 516, 519, 521, 528, 529, 530, 547, 548, 550, 555, 556, 557, 558, 560, 562, 563, 564, 565;
ბორჩხა 152, 428;
ბორჯომი 511, 530, 540;
ბოსტონი 206, 222, 242;
ბოსფორი 248, 253;
ბოტსვანა 225;
ბრაისი ჯეიმს 130;
ბრაუნშვაიგი 148;
ბრეჟნევი ლეონიდ 276;
ბრესლაუ 17;
ბრესტ-ლიტოვსკი 158, 348, 425, 488, 557;
ბრიუსელი 36, 83, 143, 198, 490, 563;
ბროსე მარი 116, 117;
ბრუსილოვი ალექსეი 354;
ბუდაპეშტი 143;
ბუენოს-აირესი 559;
ბულგარეთი 73, 145, 166, 172, 176, 179, 181, 191, 230, 231, 233, 234, 235, 239, 244, 249, 396, 423, 453;
ბურიატია 53;
ბურსა 170;
ბუქარესტი 102, 148, 394;
ბუხარა 36, 85, 151;
ბუხარინი ნიკოლაი 36;

გ

გაბაშვილი ეკატერინე 153;
გაბაშვილი ვასილ 357, 373, 422, 473;
გაბაშვილი რევაზ 42, 145, 153, 154, 256, 349, 357, 373, 422, 428, 517, 527, 563;
გაგარინი ალექსანდრ 321;
გაგი 117;
გაგრა 47, 436;
გავაფიანი არშაკ (კერი) 205, 246, 247, 362, 392, 396, 480;
გამსახურდია კონსტანტინე 495;
განჯა (განძა) 121, 161, 197, 257, 261, 264, 265, 267, 270, 272, 273, 274, 290, 291, 329, 354, 367, 420, 441, 447, 520;
გარდაბანი 105;
გარდაფხაძე ნესტორ 383;
გარეგინიანი აშოტ 60;
გაჩეჩილაძე რევაზ 170;
გეგეჭკორი ევგენი 55, 154, 260, 327, 365, 431, 466, 493, 501, 546;
გედევანიშვილი ალექსანდრე 331, 336, 377, 385, 424, 426, 428;
გედევანიშვილი იოსებ 155, 324, 342, 344, 374, 375, 376, 567;
გედევანიშვილი ნიკოლოზ 386, 498, 501;
გევორქ V (სურენიანცი) 60, 73, 247, 302, 480;
გენუა 239;
გვაზავა გიორგი 63, 114, 145;
გელეიშვილი პეტრე (ყარიბი) 42, 79, 178, 228, 293, 328, 392, 394;
გელოვანი ვარლამ 145;
გელოვანი კონსტანტინე 382;
გეოქჩაი 134, 290, 520;
გერასიმოვი ევგენი 403, 407, 408, 414;
გერგერი 500, 513, 559, 560, 562;
გერმანია 53, 54, 73, 76, 83, 131, 140, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162, 164, 165, 166, 167, 175, 222, 224, 235, 237, 240, 247, 259, 278, 326, 329, 331, 338, 350, 351, 397, 441, 451, 459, 461, 462, 463, 486, 490, 523, 556, 558, 559;
გერცენი ალექსანდრ 189, 199;
გვარჯალაძე კონსტანტინე 328, 490;
გიორგაძე გრიგოლ 139, 326, 328, 329, 336, 355, 357, 358, 375, 376, 377, 379, 380, 429, 455, 466, 469, 497, 498;
გიორგი XII (ბაგრატიონი) 129, 121, 124;
გირესუნი 229, 316;
გიულდენშტედტი იოჰან 515;
გლაზგო 425;
გნაისენაუ აუგუსტ ნაიდჰარდტ ფონ 17;
გობეჩია ვლადიმერ 343;
გოგებაშვილი იაკობ 33, 65, 66, 605;
გოგუაძე ვლადიმერ (ვალოდია) 42, 259, 260, 261, 263, 327, 340, 383, 432, 437, 438, 439, 467, 470, 494, 495, 558, 559;

გოკიო 415;
გოლისი ჟორჟ 176;
გოლიცინი გრიგორი 202, 203;
გოლოვინკა 437;
გოლცი კოლმარ ფონ დერ 131, 159, 461;
გომარეთი 510, 513, 540;
გორელოვკა 514, 522, 568;
გორი 27, 103, 133, 153, 354, 510, 534, 540, 545, 556;
გორისი 234;
გრენერი ვილჰელმ 162;
გრეშესკო 437;
გრიბოედოვი ალექსანდრ 112, 122, 123, 526;
გროზნო 149;
გრუში ემანუელ დე 16;
გუგარეთი 112, 113;
გუგუშვილი გიორგი 383;
გუდალოვკა 192;
გუდაუთა 437;
გუდოვიჩი ივან 102;
გულისტანი 515;
გუმბრი (გიუმრი) 49, 135, 335, 493, 498, 508, 512, 513, 562;
გუტორი მიხაილ 179;
გიუმიშხანე 134;
გურია 165, 260, 422, 427, 428;
გურული ზაქარია 340, 349;
გურუნი ქამურან 192, 486;
გუტი არიე 241;
გუჯარეთი 112, 518;

დ

დადეშქელიანი თენგიზ 382;
დადიანი ანდრია 383;
დადიანი კოკი 154;
დავით აღმაშენებელი 64, 113, 114, 124, 605, 606;
დავით კურაპალატი 255;
დანსთერვილი ლაიონელ 273, 276, 281, 283, 284, 285, 286, 287, 291, 309;
დარა-ქენდი 560, 561;
დარბაზი 511;
დარბინიანი რუბენ 259;
დარდანელი 248, 253, 554;
დარიალი 505;
დარონი 230;

დარსაველიძე ალექსანდრე 385;
დასტაკიანი აბრაამ 197;
დაღეთ-ხაჩინი 27, 46, 428, 515, 562;
დაღესტანი 149, 150, 153, 278, 256;
დგებუაძე ალექსანდრე 340, 383, 385, 454, 469;
დებედა 49, 510, 512, 517, 559;
დევე-ბოინუ 403;
დემეტრე I (ბაგრატიონი) 116;
დენიკინი ანტონ 27, 36, 41, 42, 59, 143, 149, 153, 197, 216, 249, 272, 279, 363, 370, 441, 450, 451, 452, 453, 454, 455, 456, 457, 458, 460, 494, 524, 557;
დეტროიტი 143;
დვინი 117, 255, 527;
დიაკონოვი იგორ 98;
დიარბექირი 75, 180;
დიაოხი 95;
დივიჩი 277;
დილიჟანი 290, 366, 395, 502, 505, 510, 540, 561;
დილმანი 244;
დისიხი (ძეხი) 510;
დმანისი 105, 112, 118, 133, 509, 510, 516, 519;
დონის როსტოვი 78, 71, 80, 81, 87, 126, 274, 533;
დორნშტადტი 278;
დრაგომიროვი აბრამ 454;
დროიზენი იოჰან 111;
დურნუკი 501, 502, 515;
დუშანბე 151;
დუშეთი 133, 148, 327, 342, 373, 429, 436, 442, 557, 564;

ე

ედირნე 89, 159, 485;
ეგვიპტე 70, 71, 73, 111, 112, 158, 183, 191, 197, 217, 225, 326, 327, 456;
ედინბურგი 223, 225;
ევლახი 260, 261;
ევპატორია 242;
ევფრატი 71, 112;
ეკატერინენფელდი 27, 41, 341, 373, 374, 510, 511, 512, 540, 562;
ეკატერინოდარი 204, 453, 454;
ეკატერინოსლავი 369;
ელენოვკა 540;
ელიზავეტგრადი 354;
ელიზავეტპოლი 75, 125, 126, 133, 139, 140, 182, 238, 264, 272, 274, 275, 289, 328, 364, 371, 408, 520, 521, 556;

ენაგეთი 514;
ენგელსი ფრიდრიხ 189, 237, 534;
ენვერ ფაშა ისმაილ 76, 140, 150, 151, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162, 164, 273, 290, 328, 393, 402, 485;
ენზელი 273, 278, 280, 281, 283, 285, 487;
ერაყი 191, 253;
ერგევანქი 117;
ერევანი (რევანი, ირევანი, ერივანი,) 48, 89, 90, 120, 121, 123, 125, 126, 129, 133, 134, 135, 139, 157, 217, 218, 221, 232, 236, 247, 255, 264, 269, 288, 289, 364, 395, 396, 408, 413, 445, 454, 455, 475, 489, 491, 492, 505, 506, 516, 520, 527, 528, 529; 545;
ერეკლე II 105, 106, 119, 120, 121, 124, 127, 129, 134, 506, 515, 516, 518;
ერზინჯანი 223, 289, 315, 365, 398, 399, 400, 401, 403, 408, 413, 414, 553;
ერთისი 514;
ერთოღრული 155;
ერმაკი 88;
ეფრემოვკა 521;
ეშნანი სტეფან 414;
ეჩმიაძინი 72, 74, 90, 123, 131, 134, 157, 170, 174, 197, 203, 220, 222, 247, 270, 409, 456, 493, 516, 555;

ვ

ვაგნერი მორის 123;
ვავრი 16;
ვაზირისტანი 273;
ვაკავილი 398;
ვალშტადტი 163;
ვანაძორი 49, 509;
ვანგენჰაიმი ჰანს ფონ 222;
ვაჟა ფშაველა 95, 111;
ვარანდი 177;
ვარდისუბანი 514;
ვარდოიანი მიკირტიჩ (მიკიჩ) 19, 340, 383, 454;
ვართანბლური 500, 560;
ვართაშენი 321, 359;
ვარნა 425;
ვარშავა 148, 262, 263, 350, 378, 544;
ვატერლოო 16;
ვაშინგტონი ჯორჯ 229, 230, 231, 232, 269, 398, 401, 408, 410;
ვაშლოვანი 514;
ვაღარშაპატი 203, 527;
ვაჩაგანი 275;
ვაჩნაძე დავით 42, 154, 210, 343, 349, 351, 383;
ვახტანგ გორგასალი 104, 105, 113, 515, 527;

ვახტანგ VI (ბაგრატიონი) 119, 121;
ვახუშტი (ბაგრატიონი) 105, 119, 515;
ველიჩკო ვასილი 81, 87, 91, 92, 96, 107, 108, 126, 130, 179, 184, 203;
ვენა 197, 211, 230, 259, 564;
ვერმიშევი ქრისტოფორ 72, 88, 109;
ვერსალი 73;
ვეშაპელი გრიგოლ 239, 527, 528;
ვილარი ლუიჯი 129, 130, 411;
ვილნო 541;
ვილსონი ვუდრო 73;
ვილჰელმ მეორე (ჰოჰენცოლერნი) 140, 146, 147;
ვიშინსკი ევგენი 362, 367, 401, 409, 452, 561;
ვლადიკავკაზი 39, 153, 263, 279, 327, 373, 378;
ვლადიმირი 235, 254;
ვლახეთი 425;
ვლოცლავეკი 143;
ვოლოგდა 274;
ვორონეჟი 81, 144, 152, 192, 248, 520, 541;
ვორონცოვ-დაშკოვი ილარიონ 80, 85, 86, 135, 207, 208, 209, 214, 244, 247, 249, 293, 369;
ვორონცოვკა 417, 499, 505, 509, 511, 519, 540, 558, 559, 563, 564, 567;
ვრანგელი პიოტრ 249, 370;
ვრაციანი სიმონ 197, 307, 455;

ზ

ზაგურსკი ლეონარდ 102, 104, 526;
ზავარიანი აკოფ 259, 407;
ზავარიანი სიმონ 195, 197, 198, 199, 301;
ზანგეზური 90, 117, 140, 205, 229, 230, 234, 235, 246, 270, 365, 417, 418, 456;
ზასულიჩი ვერა 192;
ზაქათალა 133, 354, 515;
ზაქარიანი გარო 300;
ზაქარიაძე ალექსანდრე 40, 42, 335, 338, 343, 372, 373, 383, 386, 536;
ზეითუნი 192, 363, 368, 369;
ზეკარი 502;
ზესტაფონი 416;
ზინკევიჩი მიხაილ 323, 405;
ზორიანი სტეფან 195, 198, 213, 230, 233, 259, 264, 274, 283, 287, 301, 415, 489;
ზუგდიდი 124, 523;

თ

თავაძე გიორგი 374;
თავრიზი 123, 201, 202, 517;
თავუში 60, 61, 106, 518;
თალაათ ფაშა (მეჰმედ)76, 140, 151, 160, 183, 485, 486;
თალიში 517;
თამარაშვილი მიხეილ 115;
თარხნიშვილი ივანე 79;
თაუნშენდი ჩარლზ 131, 156, 157;
თაყაიშვილი ექვთიმე 116, 145;
თევზაძე ვალერიან 42, 53, 340, 342, 348, 362, 373, 383, 451, 488;
თეთრიწყარო 116, 218, 509, 510, 514;
თეირანი 148, 153;
თელავი 54, 133, 136, 335, 544, 545;
თემურ ლენგი 155;
თეოდოსიოპოლისი 255;
თერგი 85, 153, 262, 278, 279, 280, 451, 458;
თექე-დარასი 407;
თოკატი 191;
თონეთი 516;
თოფურიძე დიომიდე 496;
თრაკია 112, 159;
თრდატ (ტირიდატე) III 100;
თრიალეთი 105, 112, 128, 133, 134, 255, 518, 519, 530;
თუთუნჯიანი მესროპ 199;
თუკიდიდე 411;
თუმანიანი ოვანეს 33, 60;
თურქესტანი 85, 108, 158, 161, 162, 163, 252, 260, 265, 277, 370, 372, 373, 377, 379, 380, 422;
თურქმენეთი 163, 238, 381;
თურქმენჩაი 89, 122, 123, 514, 517;
თხელიძე ზვიად 13;

ი

იალკალა 192;
იანოვსკი კირილ 81;
იაპონია 39, 40, 85, 108, 143, 248, 249, 251, 265, 272, 279, 287, 331, 335, 337, 338, 339, 347, 354, 358, 361, 371, 372, 373, 374, 376, 377, 388, 389, 422, 433, 458, 541, 557;
იასრიბი 150;
იაყუბ შევქი ფაშა 326, 553, 556, 561;
იგდირი 74, 237, 244, 246, 250, 562;
იემენი 326;
იერუსალიმი 96, 225;

ივანოვი ნიკოლაი 387;
ილიჯა 404, 407;
იმედაშვილი იოსებ 42, 385, 418, 502;
იმერეთი 83;
იმნაძე ვლადიმერ 256, 382;
ინგლისი 37, 45, 47, 51, 56, 59, 61, 158, 176, 206, 222, 225, 230, 232, 265, 273, 274, 280, 281, 338, 417, 425, 433, 435, 531, 532, 533, 534, 535, 536;
ინგოროყვა პავლე 138, 517, 556;
ინდოეთი 47, 95, 124, 158, 159, 162, 225, 277, 533;
იოზგათი 191;
იორი 133;
იპრი 225;
ირანი 35, 89, 118, 119, 122, 155,157, 163, 175, 191, 198, 201, 217, 225, 229, 230, 231, 236, 245, 246, 255, 265, 273, 279, 280, 283, 338, 352, 372, 379, 380, 434, 456, 487, 514;
ირკუტსკი 350, 407, 523, 535;
ისააკიანი ავეტიკ 60;
ისმაილოვი ამრალი 82, 91, 110;
ისრითი 144;
იტალია 54, 73, 151, 157, 166, 173, 177, 180, 253; 326, 327, 350, 517, 523, 557;
იუგოსლავია 370, 405;
იუდენიჩი ნიკოლაი 85, 251, 252, 276, 362, 363, 369, 370, 371, 395, 396, 397, 398, 399;
იფსოსი 111;

კ

კაზიმზადე ფირუზ 27, 75, 237, 279, 402, 493, 494;
კაირო 73, 175, 193;
კალინინო 510, 521;
კალიფორნია 42, 95, 124, 230, 298;
კამბონი პიერ პოლ 178;
კამენევი ლევ 36;
კამენკა 510, 513, 519, 559, 560, 562, 563, 56;
კამიშინი 549;
კამსარაგიანი კონსტანტინ 187, 188;
კანადა 72, 273, 514;
კანაიანი დრასთამატ (დრო) 52, 56, 183, 205, 229, 233, 235, 237, 238, 239, 240, 241, 242, 289, 306, 307, 361, 389, 408, 416, 478, 561;
კანაიანი ვრეჟ 240;
კანგარნი 133;
კანდელაკი მოსე 106;
კანი 252;
კარისყური 261;
კაპადოკია 70;

კაპანი 234, 235, 275;
კაპრიკეი 246, 405;
კარგარეთელი ვასილ 373, 547;
კართაგენი 496;
კარინი 112, 255, 409;
კარლაილი თომას 199;
კარწახი 562;
კასიუსი დიონ 92;
კასპი 339;
კასპიის ზღვა 70, 71, 114, 156, 266, 281, 354, 445;
კატინა მარაბაზ (მარ აბას) 93;
კაჩაზნუნი ოვანეს 33, 216, 217, 269, 450, 475, 493, 524, 529;
კახეთი 123, 218, 254, 439, 517;
კედია სპირიდონ 522, 523, 534, 525, 527, 528, 530;
კემბერგი 148;
კემბრიჯი 83, 206;
კენიაშევო 233;
კერენსკი ალექსანდრ 205, 206, 266;
კერესელიძე გიორგი 145, 148;
კერესელიძე ლეო 145, 148, 149, 150, 151, 152, 155, 296, 345, 353, 383, 547;
კერზონი ჯონ ნათანიელ 278;
კერპილი 562;
კეცხოველი ნიკო 42, 262, 345, 346, 363, 421;
კვანტალიანი ეპიფანე 272, 382;
კვანტუნი 249;
კვინიტაძე გიორგი 27, 39, 40, 41, 42, 109, 320, 321, 328, 341, 343, 346, 372, 373, 374, 375, 377, 383, 385, 386, 421, 443, 451, 466, 473, 488, 503, 512, 550;
კვიპროსი 197, 225, 226, 477;
კიევი 83, 88, 143, 161, 206, 208, 265, 272, 275, 347, 369, 490, 549, 563;
კიპლინგი რედიარდ 273;
კირაკოსიანი ჯონ 204, 212, 222, 486;
კირანცი 106, 107;
კიროვაბადი 264;
კიროვაკანი 49, 509;
კლაუზევიცი კარლ გოტლიბ ფონ 16, 17;
კლემანსო ჟორჟ 73;
კლუკი ალექსანდერ ფონ 161;
კონსტანტინე I დიდი (გაიუს ფლავიუს ვალერიუს აურელიუს კონსტანტინუსი) 100;
კონსტანტინოპოლი 40, 64, 74, 89, 90, 109, 130, 131, 148, 150, 151, 152, 154, 157, 159, 160, 161,164, 166, 170, 171, 172, 173, 175, 178, 181, 186, 187, 188, 191, 192, 197, 199, 200, 208, 217, 223, 230, 236, 253, 254, 260, 299, 301, 327, 376, 429, 453, 459, 485, 490, 492, 523, 527, 554, 557, 562;
კოდა 511, 514;
კოლა 112;
კოლჩაკი ალექსანდრ 143;

კორეჯო ანტონიო (ანტონიო ალეგრი) 78;
კორვინი მათიაშ 358;
კოროლკოვი ალექსანდრ 455, 564;
კორსუნი ნიკოლაი 152, 216, 251, 399;
კოტლიარევსკი პიოტრ 102;
კოჯორი 18, 60, 154, 203, 335;
კრასნოვოდსკი 261, 276, 277;
კრეზენშტაინი ფრიდრიხ ფრაიერ კრეს ფონ 155, 156, 163, 164, 165, 166, 330, 331, 335, 348, 461, 462, 463, 468, 474, 561;
კრიუგერი პაულ 280, 281;
კრონშტადტი 347, 523;
კუზმინსკი არკადი 276;
კუზნუთი 233;
კუიბიშევი 510;
კუკ-კოლისი ჯეიმს ნორმან 48;
კულაში 382;
კუკუნიანი სარქის 196, 228. 246, 302;
კუმისი 515;
კუმურდო 104;
კურიანი რუბენ 96;
კურსკი 144, 523;
კურტანი 560-561;
კურტანიძე არჩილ 385;
კუტ-ელ-ამარა (კუტ ელ ამარა) 157;

ლ

ლაგოდეხი 219;
ლაზარევი ივანე 88;
ლაზისტანი (ლაზეთი) 109, 148, 535, 536;
ლაიფციგი 165, 198, 267, 556, 563;
ლალაევი სტეფან 277, 279, 286;
ლალაიანი ანაიტ 394, 397;
ლამბალო 49, 509, 512;
ლანჩხუთი 490;
ლასხიშვილი გიორგი 328;
ლებედევი პაველ 348, 440;
ლებედინსკი ევგენი 323, 370, 423, 431;
ლევანდოვსკი ვლადიმერ 318;
ლევილი 19, 39, 40, 55, 83, 165, 238, 239, 260, 322, 330, 333, 338, 340, 344, 347, 350, 352, 437, 439, 455, 491, 523, 531, 532, 546, 547, 564;
ლემნოსი 249;
ლენინაკანი 49, 217, 264, 335, 493, 509, 510;

ლენინგრადი 275, 372;
ლენინი ვლადიმერ 36, 37, 151, 157, 205, 217, 236, 237, 256, 263, 264, 269, 276, 315, 328, 344, 379, 444, 494, 509, 510;
ლენორმანი ფრანსუა 93, 97, 98;
ლერნოვიტი 509;
ლესლი გიორგი 454;
ლი ერიკ 167, 344, 432, 455;
ლიახვი 133;
ლიახოვი ვლადიმერ 153, 514, 515, 516;
ლიბანი 197, 198, 240, 242, 254;
ლინი 16;
ლიტვა 252, 339;
ლოვიჩი 143;
ლოზანა 74, 148, 189, 246, 274;
ლოიდ-ჯორჯი დევიდ 73, 186, 253;
ლონდონი 37, 143, 162, 178, 189, 198, 205, 213, 294, 344;
ლოო 437;
ლორე-ბამბაკი 24, 29, 50, 66, 99, 114, 116, 121, 135, 225, 252, 255, 274, 355, 486, 487, 490, 505, 506, 509, 519, 563;
ლორთქიფანიძე გრიგოლ 42, 98, 144, 167, 328, 351, 379, 460;
ლორთქიფანიძე ივანე 328;
ლორის-მელიქიანი ოვანეს 197;
ლორის-მელიქოვი მიხეილ 88;
ლორუთი 560, 561;
ლოს-ანჯელესი 124;
ლოსოვი ოტო ჰერმან ფონ 164, 165, 166, 472, 557;
ლოტარინგია 53;
ლოქჯანდარი 50;
ლუდენდორფი ერიხ 145, 146, 160, 161, 162, 163, 283;
ლუისვილი 398;
ლუისი აიზეკ 433;
ლუტცაუ ნიკოლაი 238;

მ

მაგდებურგი 16;
მაევსკი ვლადიმერ 93, 180, 181, 182, 185;
მაზნიაშვილი გიორგი 27, 42, 52, 55, 61, 337, 338, 339, 351, 353, 358, 375, 381, 383, 385, 425, 427, 436, 459, 557;
მაიკოპი 372, 390;
მაისურაძე ალექსანდრე 41, 340, 383, 462, 546;
მაკედონია 111, 112, 157;
მაკენზენი აუგუსტ ფონ 161;

მაკლერი ფრედერიკ 97;
მამედ ალი ფაშა 491;
მამიკონიანი ვარდან 124;
მამულოვი სერგეი 70, 71, 73;
მანასკერტი 246, 255;
მანგლისი 104, 133, 348, 511, 519;
მანდალიანი ჯეიმს გარაბედ (კარაპეტ) 241;
მანთაშევი ალექსანდრ 110, 130, 204, 237, 497;
მანლიხერი ფერდინანდ 431;
მანჯურია 260, 272;
მარადიდი 152, 425;
მარაში 75, 527;
მარმარილოს ზღვა 233;
მარნა 148;
მაროკო 71;
მარსელი 183, 187, 189, 197;
მარტვილი 55, 63;
მარტინოვი ალექსანდრ 36;
მარტიროსიანცი სამველ 365, 436, 532, 563, 564;
მარტოვი იულიუს 36, 37;
მარქსი კარლ 83, 166, 237, 534, 556;
მარცი 562, 563
მარხულია გურამ 51, 107, 185;
მარუხიანი ჰარაირ 198;
მასაჩუსეტსი 242;
მაქსიმი ჰაირამ 433;
მაქსუთ სიმონ-ბეი 199;
მაქუ 201;
მაღალაშვილი ლევან 383, 458, 459, 460, 547;
მაღლაკელიძე შალვა 42, 52, 54, 55, 56, 147, 341, 451, 489;
მაყაშვილი აბელ (ბალო) 354, 355, 381, 383, 385, 551;
მაყაშვილი ნიკოლოზ 354;
მაშავერა 118, 510, 512, 513;
მაჩაბელი გიორგი 145, 146, 148, 149, 154, 349, 496;
მაჩაბელი დავით 145;
მაჩაბელი მიხეილ 145, 147;
მაჭავარიანი მიხეილ 440;
მახარაძე ფილიპე 262, 263, 264;
მახმურიანი გაიანე 75, 434;
მდივანი ზაქარია 376, 424, 425, 426;
მდივანი სვიმონ 238, 317, 343, 492;
მეგიდო 225;
მედინა 150;
მედოვკა 519;

მელიტოპოლი 513;
მელიქ-აზარიანცი ალექსანდრ 189;
მელიქიშვილი პეტრე 549;
მელიქოვი მესროპ 394;
მელქონიანი აშოტ 58, 59, 123;
მემეხათუნი 413;
მერზიფონი 191;
მესოპოტამია 47, 70, 131, 149, 157, 160, 273, 278, 279, 315, 350, 399, 402, 434;
მესხეთი 109, 128, 149, 490, 532;
მექა 150;
მექსიკა 83, 258;
მეღრაბიანი ვარდან 361, 391;
მეხმანდეროვი (მეხმანდაროვი) სამედ-ბეგ 371, 377, 378;
მეჰმედ ვეჰიბ ფაშა 326, 402, 403, 553;
მეჰმედ V რეშადი 131, 160, 172, 486;
მეჰმედ VI ვაჰიდედინი 486;
მითრიდატე (ფარნავაზიანი) 92, 514;
მითრიდატე II (პონტოელი) 111;
მილანი 198;
მილიუკოვი პაველ 206, 535, 536;
მილნი ჯორჯ ფრენსის 48;
მინასოვი აზის 394;
მინსკი 381;
მირგოროდი 502;
მირიან (მიჰრან) III 100;
მირიმანოვი დიმიტრი 390, 504;
მიუნხენი 83, 148, 154, 156, 160, 165, 196, 205, 332;
მიქაბერიძე დავით 337, 383, 498;
მიქაელიანი ქრისტოფერ 195, 197, 198, 207, 301;
მიქოიანი ანასტას 264, 266, 276, 307;
მიშლაევსკი ალექსანდრ 245, 369;
მიჩიგანი 143, 206;
მიხაილოვკა 519;
მიხაილოვო 47, 274;
მიხაილოვსკი ნიკოლაი 199;
მნაცაკანიანი არმაის 264, 271, 291, 292;
მოზელი ლოის 149;
მოზდოკი 277, 278;
მოლდავეთი 425;
მოლითი 554;
მოლისონი უილფრიდ 277;
მოლოტოვი ვიაჩესლავ 148;
მოლტკე ჰელმუტ ფონ 159;
მონპელიე 525;

მონსი 225;
მორის ნასაუელი 235;
მოსკოვი 15, 54, 55, 63, 64, 70, 85, 103, 122, 123, 143, 151, 153, 156, 157, 195, 204, 206, 228, 235, 239, 245, 247, 248, 253, 254, 259, 261, 263, 265, 269, 272, 278, 382, 287, 289, 340, 375, 378, 409, 456, 520, 527, 532, 549, 563;
მოსული 180;
მტკვარი 100, 112, 133, 138, 254, 507, 515, 554, 559;
მუდროსი 156, 159, 161;
მუკდენი 143, 249, 252, 288;
მურადიანი ალფრედ 240;
მურატოვი პოლ 152, 356, 363, 367, 372;
მურღული 152;
მუსა-დაღი 225, 226;
მუსხელიშვილი ნიკო 346;
მუღანი 87, 518, 520;
მუღანლო 518;
მუში 228, 315, 366, 392;
მუჩაიძე მიხეილ 383;
მუხათი 514;
მუხარინსკი ვლადიმერ 340, 383;
მცხეთა 47, 113, 342, 534;
მხარგრძელი ავაგ 106;
მხარგრძელი ზაქარია 107, 115, 116, 117, 118;
მხარგრძელი ივანე 106, 115, 116;
მხარგრძელი შანშე 107;

ნ

ნადირ-შაჰ ავშარი (შაჰ თამაზ I ყული ხანი) 119;
ნავაგინკა 500;
ნავთლუღი 60, 261, 440;
ნაზარბეგიანი ავეტის 188, 189;
ნაზარბეგოვი თომა (ნაზარბეგიანი თოვმას) 287, 289, 290, 323, 361, 362, 366, 372, 377, 388, 389, 395, 401, 407, 413, 419, 444, 476, 553, 556;
ნაზარბეგი (ნაზარბეგიანი) მარო 300;
ნაზარიანცი ლიპარიტ 259;
ნაკაშიძე მიხეილ 205, 237;
ნალბანდიანი ლუის 95, 122;
ნანსი 183;
ნაპოლეონ ბონაპარტე 16, 17, 47, 123, 199;
ნატანები 427, 439;
ნაღვარევი 509;
ნახიჭევანი 47, 80, 81, 85, 87, 134, 197, 233, 269, 270, 288, 321, 359, 517;

ნაჯაფოვი ბახტიარ 219, 257;
ნეგევი 186;
ნეაპოლი 148;
ნეიდჰარდტი ალექსანდრ 126;
ნეპალი 47, 83;
ნერატოვ ანატოლი 396;
ნიდერლანდები 167, 235, 240, 555;
ნიკოლაევკა 516, 562, 563;
ნიკოლაი I (რომანოვი) 122, 123, 513;
ნიკოლაი II (რომანოვი) 90, 247, 272, 344, 358, 376, 557;
ნიკოლაძე ნიკო 165, 532;
ნინოშვილი ეგნატე 332, 533;
ნინოწმინდა 530;
ნიუ-იორკი 191, 205;
ნიურნბერგი 156;
ნიცა 252;
ნოდია ვასილ 534;
ნოვიკოვი ლევ 385;
ნოვოპოკროვკა 513;
ნოვოროსია 139, 144, 238, 332, 496;
ნოვოჩერკასკი 272;
ნოზაძე ვიქტორ 42, 154, 531;
ნორადუგიანი გაბრიელ 172;
ნორ-ნახიჭევანი 81, 85, 196, 197;
ნორბერდი 117;
ნოსირი 154;
ნოქალაქევი 63;
ნური ფაშა ქილიგილი 157, 161, 236, 273, 290, 309, 312, 450, 553;
ნურიჯანიანი ავეტის 275, 286;
ნუცუბიძე შალვა 346;
ნუხი 366;

ო

ოგანესიანი ედუარდ 195,196, 204, 206, 250, 256, 276, 361, 367, 399, 400, 427;
ოგნოთი 392;
ოდესა 79, 139, 144, 238, 260, 279, 332, 425, 495;
ოდიშელიძე ილია 42, 108, 316, 320, 348, 356, 367, 370, 401, 402, 403, 404, 405, 414, 508, 556, 564;
ოვანდარი 503;
ოვანესიანი რიჩარდ 24, 27, 33, 124, 204, 283, 446, 486, 487, 492, 559;
ოზანიანი ანდრანიკ 229, 230, 231, 232, 233, 244, 246, 250, 259, 269, 276, 290, 305, 323, 361, 364, 365, 389, 401, 402, 405, 407, 408, 409, 410, 413, 417, 435, 478;
ოზურგეთი 165, 260, 261, 262, 263, 426, 427, 428, 521, 533, 553;

ოლთისი 244, 278, 391, 536;
ომსკი 335, 349, 382, 388;
ორდუ 75;
ორლანდო ვიტორიო ემანუელე 73;
ორლოვკა 521;
ორჯონიკიძე გრიგოლ (სერგო) 380, 384;
ოფრეთი 49, 134;
ოქროპირიძე ლეონიდე 60;
ოქსფორდი 174;
ოქუმი 165;
ოჩამჩირე 462;

პ

პაკისტანი 54, 192;
პალესტინა 74, 96, 111, 112, 155, 159, 161, 225, 226, 253;
პამირი 252;
პანტიუხოვი ივან 96, 180;
პაპაიანი სტეფან 87, 88;
პაპაზიანი ვაჰან 57;
პაპაჯანოვი (პაპაჯანიანი) მიქაელ 139, 318;
პაპუაშვილი რუბენ (ისიდორე) 385, 502;
პართია 90;
პარიზი 29, 40, 41, 42, 55, 63, 73, 74, 75, 76, 79, 82, 83, 109, 136, 139, 143, 148, 154, 157, 160, 161, 165, 177, 197, 198, 206, 216, 217, 226, 246, 260, 286, 287, 295, 320, 333, 340, 341, 350, 389, 421, 435, 456, 493, 522, 525, 530, 531, 532, 534, 535, 539, 566;
პასდერმიჩიანი გარეგინ (არმენ გარო) 183, 184;
პასკევიჩი ივან 102, 120;
პატკანოვი (პატკანიანი) ქეროფე 97, 103;
პენზა 558;
პერგამონი 111, 112;
პერინჩეკი მეჰმედ 15, 16;
პერშინგი ჯონ 398;
პეტერბურგი 39, 79, 85, 103, 123, 128, 153, 192, 206, 233, 259, 279, 316, 328, 332, 334, 336, 348, 350, 371, 373, 389, 453, 494, 534, 550, 564;
პეტროგრადი 247, 249, 252, 259, 265, 275, 373, 384, 387, 434, 535, 536;
პეტროვი გრიგორი 286, 287;
პეტროვსკი (პორტ-პეტროვსკი) 273, , 279, 280, 285, 453, 487;
პეტრონიუსი გაიუს 91;
პეტროსიანი გეგამ 58, 59, 217, 455;
პიატიგორსკი 110, 237;
პლანუდი მაქსიმ 92;
პლევე ვიაჩესლავ 203;

პლეხანოვი გიორგი 36, 37, 192;
პლინიუსი გაიუს სეკუნდუსი 112;
პოგორელოვი ევგენი 412, 413;
პოზენი (პოზნანი) 163;
პოლოვცევ პიოტრ 321;
პოლონეთი 17, 19, 40, 103, 122, 149, 260, 339, 554, 561;
პოლტავა 339, 369;
პორტ-არტური 249, 279, 372, 378;
პორტ-საიდი 225;
პორტუგალია 246;
პორტუგალიანი მკრტიჩ 187, 189, 300;
პორტუგალ ფაშა მიქაელ 187;
პოტსდამი 131, 148;
პოღოს ნუბარ ფაშა 73, 74, 225, 293;
პრაღა 54, 148, 237;
პრიგოლნოე 519, 540, 563, 564;
პრჟევალსკი მიხაილ 369, 370;
პრჟევალსკი ნიკოლაი 369;
პრუსია 16, 17, 131, 132, 148, 156, 160, 161, 162, 164, 181, 199, 347;
პულკოვო 549;
პუშკინი ალექსანდრ 89, 129, 519;
პუშკინო 519;

ჟ

ჟენევა 83, 148, 149, 150, 176, 183, 189, 192, 197, 199, 230, 332, 236, 279, 349, 376, 456, 459, 490, 563;
ჟვანია გრიგოლ 57;
ჟიტომირი 369;
ჟორდანია ნოე 18, 28, 42, 49, 62, 63, 83, 154, 256, 260, 261, 262, 263, 325, 328, 332, 339, 343, 380, 385, 393, 460, 465, 490, 494, 533, 538, 539, 546;
ჟორჟ-პიკო ფრანსუა 252, 253;
ჟურული გიორგი 145, 328;

რ

რადამისტი 92, 524;
რატიშვილი დავით 373, 374;
რამიშვილი აკაკი 263;
რამიშვილი ისიდორე 333;
რამიშვილი ნოე 18, 164, 165, 262, 263, 318, 319, 320, 326, 335, 339, 356, 357, 360, 375, 376, 379, 424, 532, 553, 555;
რაჭა 274, 497;

რაჭა-ლეჩხუმი 13, 436;
რაჭველიშვილი ქრისტეფორე 495, 499;
რედუტ-კალე 523, 524;
რიაზანი 288, 347, 373, 375;
რიბენტროპი იოახიმ ფონ 148;
რიბინსკი 500;
რიგა 237;
რიზე 392, 536;
რობაქიძე გრიგოლ 336, 376, 432;
როდიონოვკა 521;
როდოსი 112;
რომი 112, 140, 147, 198, 254, 255, 357;
რუმინეთი 155, 171, 191, 216, 235, 239, 260, 326, 425;
რუხაძე ლეო 340;

ს

საათაბაგო 106, 109, 533;
საათლო 50;
საბჭოთა კავშირი 79, 139, 148, 161, 235, 239, 240, 241, 258, 264, 275, 276, 289, 290, 347, 349, 379, 508, 520, 564;
საგარეჯო 513;
საგინაშვილი კონსტანტინე 383;
სადახლო 27, 28, 40, 46, 49, 52, 53, 286, 353, 364, 434, 502, 510, 512, 529, 530, 541, 542, 561, 562;
სადმელი 149;
საზონოვი სერგეი 222, 253;
საირხე 527;
სამარა 226, 339, 373;
სამსუნი 86;
სამღერეთი 515;
სამშვილდე 113, 505, 515, 519;
სანდარი 510, 542. 543;
სან-ფრანცისკო 453;
საიათნოვა 124;
საიქსი მარკ 186, 252, 253;
სარატოვკა 519;
სვირი 327;
სკანდინავია 83, 240;
სალონიკი 48, 172, 225, 485;
სამეგრელო 13, 436, 520, 557;
სამტრედია 75, 425, 426, 427, 546;
სამშვილდე 113, 505, 515, 519;
სამხრეთ-დასავლეთი კავკასია 13, 41, 489;

სამცხე-ჯავახეთი 13, 38, 41, 132, 133, 149, 355, 490;
სანაინი 27, 45, 48, 49, 56, 60, 104, 105, 117, 118, 139, 276, 289, 297, 462, 494, 499, 501, 510, 511, 512, 553, 558, 559, 562, 564, 569, 573;
სანდერსი ლიმან ფონ 159, 224, 397, 472;
სანიკიძე ლევან 45, 146;
სანკტ-პეტერბურგი 64, 90, 97, 132, 197, 204, 216, 220, 227, 244, 267, 335, 347, 371, 372, 377, 450, 541;
სარატოვი 143, 520;
სარდარაბადი 247, 287, 289, 290, 388, 389, 408, 413, 422, 452, 467, 555, 557;
სართიჭალა 545;
სარიყამიში 159, 244, 246, 251, 257, 266, 288, 289, 350, 369, 396, 397, 401, 402, 405, 406, 409, 410, 445;
სარქისიანი ლევონ 197;
სარქისიანი სერჟ 235;
სასირეთი 339;
სასუნი 179, 192, 228, 230, 246, 368, 416;
საფრანგეთი 19, 40, 45, 54, 73, 76, 78, 83, 93, 97, 109, 110, 130, 139, 157, 163, 176, 178, 180, 182, 183, 187, 197, 198, 205, 206, 216, 221, 222, 225, 230, 232, 238, 245, 252, 253, 260, 265, 278, 279, 286, 315, 327, 333, 338, 340, 350, 376, 417, 432, 435, 453, 456, 477, 507, 523, 532, 536, 564;
საღირაშვილი დავით 341, 457, 549;
საცხენისი 274;
სახალინი 228;
სევანი 133, 290. 413, 520, 528, 540;
სევრი 73, 74, 217;
სელმასი 201, 202;
სენ-ჟერმენი 73;
სერბეთი 161, 172, 281, 283, 405, 535;
სენკოვსკი ოსიპ ივანოვიჩი (ბარონი ბრამბეუსი) 108;
სექტი იოჰან ფონ 160, 164;
სვანეთი 523;
სვერდლოვი 509;
სივასი 75, 223, 227;
სივნიეთი 117;
სილიკოვი მოვსეს 264, 289, 290, 389, 390, 408, 420, 476, 531, 563;
სიმბირსკი 205;
სიმფეროპოლი 241;
სინაი 156, 160;
სინოპი 150;
სინცზიანი 163;
სირია 47, 93, 111, 226, 229, 253;
სისი 170, 527;
სიტინი პაველ 347, 375, 385, 389, 440, 442, 445;
სიღნაღი 133, 262, 335, 373, 513, 545;
სკოპინი 347;
სომხიანცი მელიქ 18, 19;
სომხითი 113, 119, 121, 129, 506, 510, 515, 519;

სორბონა 63, 74, 83, 93, 526, 535;
სოშო 238;
სოჭი 36, 41, 123, 451, 458, 461, 557;
სოხუმი 86, 128, 132, 148, 260, 328, 333, 331, 452, 462, 521, 522, 550, 564;
სპარსეთი 77, 88, 113, 114, 122, 123, 124, 128, 133, 136, 140, 153, 158, 170, 178, 188, 190, 191, 194, 201, 228, 230, 234, 244, 254, 273, 276, 278, 279, 280, 281, 288, 290, 350, 373, 389, 391, 405, 418, 422, 490, 514, 526, 533, 534, 535, 555;
სპასოვკა 521;
სპერი (ისპირი) 61, 109, 112, 254;
სპიტაკი 71;
სრვანცტიანი ამაზასპ 229, 236, 237, 246, 257, 264, 267, 276, 278, 280, 287, 308, 362, 390, 393, 397, 481;
სტავროპოლი 523;
სტალინი იოსეფ 36, 144, 157, 165, 206, 237, 256, 258, 262, 276, 344, 533;
სტამბოლი 15, 150, 151, 170, 173, 207, 223, 224, 534;
სტეფანავანი 494, 560, 571;
სტეფანიანი აზინ 241;
სტრაბონი 112;
სუბადაში 445;
სუდანი 225;
სუეცი 155;
სუზდალი 534;
სუმბათაშვილი გრიგოლ 27, 383, 385;
სუნჟა 279, 461;
სურგულაძე პეტრე 145, 148, 150, 349;
სურმალი 134, 201, 270, 408, 409;
სხვავა 497;

ტ

ტაბაწყური 510, 554;
ტაბახმელა 18, 154, 335;
ტაბიძე ტიციან 531;
ტაგანროგი 453;
ტანენბერგი 146, 163;
ტამბოვი 79, 192, 514, 521;
ტამბოვკა 521;
ტანძია 105;
ტაო-კლარჯეთი 64, 103, 149, 255, 525, 527;
ტარსოსი 527;
ტარტუ (იურიევი, დერპტი) 123, 559;
ტაშირი 50, 53, 99, 112, 113, 116, 117, 118, 119, 120, 129, 132, 133, 138, 393, 509, 510, 515, 518, 525;
ტაციტუს კორნელიუს 92;
ტაშირი 50, 53, 99, 105, 112, 113, 116, 117, 118, 119, 120, 129, 132, 133, 138, 393, 509, 510, 515, 518, 525;

ტაშკენტი 205;
ტაჯიკეთი 163, 381;
ტერ-არუთიუნიანი გარეგინ (ნეჯდე) 229, 230, 233, 234, 235, 239, 240, 241, 415, 416;
ტერ-გუკასოვი არზას 88;
ტერილიანი სოღომონ 486;
ტერ-მინასიანი მინას (რუბენ) 456, 457;
ტერ-მინასიანცი ეგორ 221;
ტერ-ნიკოგოსოვი არტემი 361, 500, 501;
ტერ-ოვანესიანი ნიკოგაიოს (ნიკოლ დუმანი) 205;
ტერჯანი 398;
ტეტჩერი მარგარეტ 174;
ტვერი 272, 350;
ტიგრანაკერტი 527;
ტიგრან II დიდი 49, 70, 90, 525;
ტიგრანიანი ლევონ 387;
ტიგრანიან სირაკან 456, 459, 475, 492, 496;
ტიგროსი 71, 75, 527;
ტიოსოვი კუტრიკ 394;
ტომილოვი პიოტრ 395, 396;
ტომსკი 382;
ტორმასოვი ალექსანდრ 124;
ტრაპიზონი 75, 86, 147, 153, 181, 188, 191, 197, 217, 245, 252, 253, 289, 296, 315, 326, 372, 392, 399, 403, 414, 421, 423, 534, 536, 456, 516, 551, 553;
ტრიესტი 523;
ტრიანონი 73;
ტრიპოლი 161, 273, 290;
ტროიცკოე 510, 521;
ტროცკი ლევ (ბრონშტეინი ლეიბა) 258, 259, 275, 379, 385;
ტუაფსე 437, 438;
ტულა 201;
ტულუზა 523;
ტუნიანი ვალერი 140;
ტუნისი 453;
ტურფანი 163;

უ

უზბეკეთი 162, 381;
უზნაძე დიმიტრი 346;
უზუნლარი 27, 289, 417, 499, 500, 509, 512, 514, 565;
უნგრეთი 73, 77, 358, 431;
უოთერთაუნი 242;
ურარტუ 70, 95, 97;

ურუთი 509;
ურუშაძე სევერიან 176;

ფ

ფაიზულა მირზა ყაჯარი 321;
ფალიაშვილი ზაქარია 342;
ფამაგუსტა 225;
ფარაესენი ერნესტ 158;
ფარნავაზი 92, 102;
ფარნიევი ალექსანდრე 340;
ფარსმან I 91, 92;
ფარცხალაძე გიორგი 20;
ფაღავა გიორგი (გოგიტა) 263, 340, 534;
ფეოდოსია 242;
ფინეთი 122, 169, 206, 372;
ფინიკია 69, 77, 112;
ფირუმოვი დანიელ 361, 408, 502;
ფიოლეტოვი ივან 277, 286;
ფიოლეტოვო 519;
ფიტარეთი 105, 106;
ფოთი 47, 48, 164, 165, 166, 339, 346, 416, 427, 441, 461, 462, 463, 520, 521;
ფორესტიე-უოკერი ჯორჯ თაუნშენდ 48;
ფრენკელი ალექსანდრ 131, 170, 174;
ფრესნო 95, 191, 230;
ფრიგია 95, 97, 98;
ფრიდმანი ისაია 186;
ფრიდრიხ II დიდი 199, 346;
ფრუნზე მიხაილ 152, 265, 390;
ფსკოვი 254;
ფურცელაძე არჩილ 383;

ქ

ქარელი 530;
ქართლ-კახეთი 115, 119, 120, 121, 134, 506, 515, 519;
ქარცივაძე მელიტონ 154;
ქარჩიკიანი ხაჩატურ 220, 221, 454, 545;
ქემალ (ათათურქი) მუსტაფა 19, 29, 40, 50, 53, 54, 55, 63, 74, 76, 79, 83, 157, 288, 290, 326, 327, 341, 356, 445, 531, 548, 554,
ქერჩი 242;
ქვათახევი 105;

ქვემო ქართლი 13, 23, 38, 95, 99, 103, 104, 112, 113, 114, 116, 117, 118, 119, 121, 129, 134, 505, 506, 508, 515, 516, 518, 521, 524;
ქვეში 113, 133;
ქილიკია 23, 63, 74, 75, 177, 216, 226, 265, 266, 445, 527;
ქიქოძე გერონტი 145;
ქობერი (ქობაირი) 105, 107, 117, 558, 559, 560, 564, 575;
ქობულეთი 426;
ქოლაგერანი 49, 502, 509, 559, 564;
ქონიაშვილი ალექსანდრე 385, 557, 560;
ქორინჯი 106, 510, 559, 559;
ქსენოფონტე 411, 491;
ქუთათელაძე კირილე 387, 541, 542;
ქუთაისი 54, 55, 79, 83, 132, 144, 165, 237, 238, 256, 327, 332, 334, 338, 339, 340, 341, 346, 349, 373, 374, 375, 393, 434, 440, 441, 442, 461, 495, 499, 520, 521, 523, 527, 532, 533, 539, 540, 541, 542, 545, 549;
ქცია 105, 118;

ღ

ღაზა 156;

ყ

ყაგიზმანი 152, 244, 246, 391;
ყაზანი 272, 354, 369;
ყაზახეთი 53, 163, 376, 377, 380;
ყაზახი 121, 140, 367, 505, 517, 556, 560;
ყაზბეგი 47;
ყაზვინი 114, 422;
ყაიყული 518;
ყაპანახჩი 518;
ყარაბაღი 38, 90, 122, 124, 125, 126, 139, 140, 177, 196, 197, 219, 230, 270, 288, 365, 408, 417, 491, 503, 514, 515, 516, 517, 523, 555, 557, 558, 560;
ყარაბექირი მუსა ქიაზიმ 288, 398;
ყარაია (ყარაიაზი) 55, 133;
ყარასუბაზარი 241;
ყარაურგანი 246, 406;
ყარაქილისა (კარაკლისი) 49, 238, 321, 359, 367, 409, 410, 500, 505, 509, 510, 529, 540, 556, 559, 560, 561, 562;
ყარსი 41, 63, 64, 75, 125, 126, 128, 129, 132, 133, 136, 152, 201, 221, 228, 244, 270, 289, 326, 335, 374, 388, 406, 407, 408, 409, 413, 434, 440, 456, 489, 521, 527, 534, 553, 554, 555, 563;
ყაუხჩიშვილი სიმონ 346;
ყაჩაღანი 509;

ყიზლარი 152;
ყინწვისი 106;
ყირგიზეთი 163, 381;
ყიფშიძე ალექსანდრე 145;
ყვირილა 416;
ყიზილ-ჰანჯოლი 518;
ყირიმი 87, 125, 127, 156, 165, 235, 240, 241, 249, 426, 451, 520;
ყიფიანი დიმიტრი 103;
ყორღანოვი გაბრიელ 246, 286, 388, 289;
ყორღანოვი გრიგორი 261, 272, 307;
ყუბა 266, 277, 327, 333, 501, 558;
ყუბანი 152, 153, 204, 327, 369, 414, 435, 451;
ყულევი (რედუტ-კლე) 523, 524;

შ

შაბინ-ყარაისარი 229, 393;
შავგულიძე სიმონ 426;
შავი ზღვა 59, 99, 144, 185, 315, 461, 520, 535, 536;
შავნაბადა 554;
შავროვი ნიკოლაი 87, 124, 128, 520;
შავშეთი 102, 109, 133;
შამქორი 117, 257, 462;
შამშადილი 121, 517;
შარაშიძე ვალიკო 383, 559;
შარაძე გურამ 42;
შარდომეთი 274;
შატილოვი პაველ 318;
შაუმიანი სტეფანე 237, 256, 259, 260, 261, 263, 264, 266, 269, 271, 272, 273, 275, 277, 278, 279, 286, 287, 307, 328, 444, 494, 509;
შაქი 517;
შაღალი 49, 289, 502,503, 509, 559, 560, 562;
შახატუნიანი ავეტის 72, 506;
შახრიკიანი ატომ (არუთინ) 213;
შაჰ-აბას I (სეფი) 35, 119, 517;
შელკოვნიკოვი ბებუთ 87, 88;
შემახა 266, 382;
შერაზადიშვილი ვარლამ 385;
შერვაშიძე ელიზბარ 383;
შვედეთი 48, 96, 146;
შვეიცარია 73, 175, 183, 189, 274, 281, 341, 348, 431, 433, 434, 493, 498, 536;
შიდა ქართლი 13, 113, 336;
შირაქი 117, 133, 288;

შირვანი 517;
შიროკორადი ალექსანდრ 411, 412, 413, 414, 491;
შიხლინსკი ალი-აღა 323, 371, 373, 377;
შლიფენი ალფრედ ფონ 146;
შნეური ალექსანდრ 452, 455. 561;
შორაპანი 527, 545;
შოტლანდია 47, 174;
შტანკე ავგუსტ ფონ 152, 155;
შტუტგარტი 205;
შულავერი 27, 28, 40, 52, 55, 56, 61, 149, 263, 289, 321, 337, 341, 353, 359, 393, 406, 509, 511, 513, 515, 540, 562;
შულენბურგი ფრიდრიხ-ვერნერ ფონ 148, 149, 150, 151, 166, 297, 358, 469, 476;
შუშა 236, 321, 359, 365, 366, 519;

ჩ

ჩავუში გევორქ 456;
ჩალხუშიანი გრიგოლ 78, 79, 80, 81, 82, 84, 85, 86, 214, 219, 534;
ჩანაყალე 392;
ჩან კაიში 161;
ჩაფრაძე ვლადიმერ 383;
ჩაქვი 424, 425;
ჩაჩიბაია ილია 38;
ჩერნოგორია (მონტენეგრო) 172, 188;
ჩერნოზუბოვი ფიოდორ 395, 396;
ჩერქეზიშვილი ვარლამ 145;
ჩეჩელაშვილი იოსებ 382, 386;
ჩეჩნეთი 149;
ჩეხოსლოვაკია 167;
ჩიკაგო 206, 207, 253;
ჩინეთი 53, 163, 273, 379, 459;
ჩიჩერინი გიორგი (იური) 151;
ჩოლოქი 336, 338, 427, 428, 439, 555;
ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა) 350, 351, 353, 381, 383;
ჩუბინაშვილი გიორგი 116;
ჩხეიძე ალექსანდრე 381;
ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) 36, 326, 332, 333, 334, 531, 532, 546;
ჩხენკელი აკაკი 166, 270, 337, 413, 564;
ჩხეტიანი ქრისტეფორე 383;
ჩხიკვიშვილი ბენიამინ (ბენია) 534;

ცაგურია ირაკლი 382;
ციმბირი 40, 80, 88, 108, 144, 163, 158, 205, 235, 236, 265, 350, 373, 378, 380, 389, 521, 533, 534, 552;
ციციშვილი ივანე 383, 498, 499;
ცურტავი 113;
ცქიტიშვილი იაშა 385;
ცხვიტავა გიორგი 14;
ცხინვალი 436, 524, 558;
ცხრუკვეთი 83;

ძ
ძაგიძორი 510;
ძანსული 152;
ძეგვი 497;
ძერჟინსკი ფელიქს 534;
ძორაგეთი 113, 509, 510, 512;

წ
წავკისი 514;
წათერი 559;
წალკა 102, 105, 134, 510, 513, 516, 530;
წერეთელი აკაკი 69;
წერეთელი ალექსანდრე 328;
წერეთელი გიორგი 165, 532;
წერეთელი ვასილ 145;
წერეთელი ირაკლი 532, 556;
წერეთელი მიხეილ (მიხაკო) 83, 101, 145, 146, 147, 149, 150, 154, 328, 350, 496;
წინამძღვრიშვილი ანდრია 100;
წირქვალი 349;
წულუკიძე გიორგი 52, 355, 381, 383, 418, 548;
წულუკიძე ვარდენ 381, 382, 385, 418, 541, 547, 548;
წულუკიძე ფრიდონ 355, 383;
წუღრუღაშენი 105, 106;

ჭ
ჭავჭავაძე ალექსანდრე 120;
ჭავჭავაძე ილია 11, 103, 123, 145, 153, 262, 524;
ჭავჭავაძე სპირიდონ 352;

ჭანეთი 148, 536;
ჭიაბრიშვილი ანდრო 341;
ჭიათურა 162, 349;
ჭიჭინაძე ზაქარია 105, 380;
ჭიჭინაძე პარმენ 379;
ჭოროხი 100, 112, 152, 425, 426;

ხ

ხანაზადი რუბენ 191;
ხარაში იაკობ 341, 385, 457;
ხარისჭარაშვილი პეტრე 115;
ხარკოვი 245, 332, 375, 496, 533;
ხარფუთი 75, 227, 554;
ხატისოვი (ხატისიანი) ალექსანდრ 23, 139, 208, 217, 245, 251, 476, 486, 524;
ხატისოვი (ხატისიანი) გევორქ 139, 536, 537;
ხაშმი 103, 420;
ხაშური 47, 274, 530, 545;
ხერხეულიძე ილია 383;
ხერხეულიძე ომან 120;
ხიდისთავი 556;
ხიმშიაშვილი გიორგი (გოგი) 347, 352, 383, 384, 385;
ხმელთაშუა ზღვა 70, 216, 226, 265, 266, 520;
ხნისი (ხნუსი) 321, 359, 364, 367, 405;
ხოზანი 75;
ხოი 202, 244;
ხომერიკი ნოე 329, 332, 533, 536;
ხომიზური გიორგი 202, 395;
ხონი 238, 274, 541, 563;
ხორავა ნიკო 154;
ხორასანი 409, 410;
ხორენაცი მოვსეს 90, 92, 93, 108, 132, 133, 183;
ხოსტა 437;
ხოჯორნი 105;
ხრამი 27, 29, 118, 505, 510, 512, 529, 530, 540, 557;
ხრიმიანი მკრტიჩ 88, 89, 90, 187, 299;
ხრუშჩოვი ნიკიტა 55;
ხუდობაშევი ალექსანდრ 108, 528;
ხუნგია ევტიხი 385;
ხუციშვილი იაკობ 100;
ხუხუნაიშვილი სიმონ 383;

ჯ

ჯავახეთი 23, 32, 38, 41, 49, 102, 104, 105, 109, 124, 128, 132, 133, 149, 219, 355, 489, 490, 505, 507, 510, 518, 521;
ჯავახიშვილი ივანე 21, 23, 31, 42, 98, 99, 100, 109, 111, 113, 114, 117, 119, 120, 129, 209, 418, 505, 506, 534, 549, 605;
ჯალალ ად-დინი (ჯალალედინი) 155;
ჯალალ-ოღლი 494, 509, 540, 559, 560, 561, 562, 571;
ჯამალიანი არმიკ 240;
ჯამალიანი არშაკ 157, 240, 365, 457, 475, 488, 490, 491, 494;
ჯამბოლადიანი არშაკ 246, 361, 407;
ჯაფარიძე ვიქტორ 382;
ჯაფარიძე ნიკოლოზ 383;
ჯაფარიძე რევაზ 59, 60;
ჯაფარიძე პროკოფი (ალიოშა) 274, 277, 291;
ჯაყელი რიზა-ფაშა 109;
ჯაყელი სერვერ-ბეგ (ქვაბლიანელი) 490;
ჯაჯანაშვილი არჩილ 145;
ჯებელ-ბერქეტი 75;
ჯებრაილი 418;
ჯემალ ფაშა (აჰმედ) 76, 156, 160, 488;
ჯიბლაძე ვლადიმერ 341, 385, 457;
ჯიბლაძე სილიბისტრო 263, 329, 332, 341, 533;
ჯიველეგოვი ალექსეი 72;
ჯიჯიხია არტემ 374, 375, 383;
ჯონსი სტივენ 23, 120, 128, 130, 203, 220, 258, 259, 265, 316, 364, 389, 434;
ჯორჯაძე არჩილ 145;
ჯულფა 246, 269, 423, 487, 555, 562;
ჯუღელი ვლადიმერ (ვალიკო) 18, 42, 322, 327, 339, 340, 344, 345, 383, 385, 426, 428, 431, 433, 436, 454, 465, 467, 469, 557;
ჯუღელი ილიკო 383;

ჰ

ჰااგა 63, 145;
ჰაიასტანი 111, 359, 550;
ჰაიდელბერგი 83;
ჰაიდრიხი ჰაინრიხ 240;
ჰალილ ფაშა (ქუთი)157, 158, 161, 230, 326, 495;
ჰალიპოლისი (გალიპოლი) 160, 326, 426;
ჰარბორი ჯეიმს 398;
ჰასან იზეთ ფაშა 159, 248;
ჰასან-ყალა 407, 409, 410, 440;
ჰელიოპოლისი 73;

ჰეროდოტე 97, 411;
ჰიმლერი ჰაინრიხ 240;
ჰიტლერი ადოლფ 146, 148, 163, 165, 166, 240;
ჰიჯაზი 326;
ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენი კაროლ (კარლ) 425;
ჰუჯაბი (ხუჯაბი) 105;

ავტორის შესახებ

არჩილ ჩაჩხიანი დაიბადა 1961 წლის 5 მარტს, ქალაქ თბილისში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1983 წელს. იმავე წელს დაიწყო მუშაობა ატომური ენერგეტიკის სახელმწიფო კომიტეტის სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის, შემდეგ - ინჟინრის თანამდებობებზე.

1987 წლიდან გადადის საქართველოს ზოოტექნიკური სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის კათედრაზე. მუშაობს ასისტენტის, შემდეგ - მასწავლებლის და უფროსი მასწავლებლის თანამდებობებზე, პარალელურად - ქალაქ თბილისის დიფერენცირებული სწავლების მე-16 საშუალო სკოლაში მასწავლებლად. ამავე დროს იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი.

1992 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებშია. მსახურობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის მთავარ სამმართველოში. არის სამხედრო პოლიციის ბრიგადაში ასეულის მეთაური, შემდეგ - ბრიგადის მეთაურის მოადგილე და საბრძოლო ჯგუფის უფროსი. 1994 წლიდან მსახურობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში. 1998 წელს ამთავრებს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სახმელეთო ჯარების სამეთაურო-საშტაბო ფაკულტეტს. შემდგომ წლებში თანმიმდევრობით მსახურობდა სხვადასხვა სამეთაურო, საშტაბო და აკადემიურ თანამდებობებზე - სამსახურის უფროსი, სასწავლო განყოფილების უფროსის მოადგილე, უფროსი მასწავლებელი, პრორექტორის მოადგილე, სამხედრო-საავიაციო ფაკულტეტის სასწავლო განყოფილების უფროსი, აკადემიის სასწავლო სფეროს პროგრამებისა და დაგეგმვის განყოფილების უფროსი, კათედრის უფროსის მოადგილე, კათედრის უფროსი, ცენტრის უფროსი.

2006 წელს წარმატებით იცავს დისერტაციას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში თემაზე - ,,ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის 1918-1919 წლებში (სომხეთ-საქართველოს ომი)“.

2009 წლიდან ინიშნება დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯში ომის თეორიისა და სამხედრო ხელოვნების კურსის უფროსად. საქართველოს შეიარაღებული ძალების ოპერატიული და ოპერატიულ-ტაქტიკური დონის ოფიცრებისათვის შექმნა და მიჰყავს სალექციო კურსები საქართველოს

სამხედრო ისტორიაში, ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიაში, ომის ტრანსფორმაციაში, ჰიბრიდულ და ასიმეტრიულ ომებში.

2018 წლიდან არჩეულ იქნა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვის სტრატეგიებისა და რესურსების მართვის მიმართულების ხელმძღვანელად და სრულ პროფესორად, სადაც მსახურობს დღემდე.

არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლების მონაწილე. მიღებული აქვს სახელმწიფო და საუწყებო ჯილდოები.

არჩილ ჩაჩხიანი არის საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების საპატიო წევრი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საბჭოს და აკადემიის სამეცნიერო გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრი. წლების განმავლობაში ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო, კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას. გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მისი ნაშრომების თემატიკა მოიცავს საქართველოსა და მსოფლიოს ახალი და უახლესი ისტორიის ეპოქას. შეისწავლის და აანალიზებს სამხედრო ისტორიის, თავდაცვისა და უსაფრთხოების, ომის თეორიისა და სამხედრო ხელოვნების, სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის პრობლემატურ საკითხებს.

არჩილ ჩაჩხიანი არის რამდენიმე წიგნის რედაქტორი, სამხედრო ისტორიის თემატიკაზე შექმნილი დოკუმენტური ფილმებისა და სატელევიზიო გადაცემების ავტორი, რესპონდენტი და სამხედრო კონსულტანტი, სამხედრო სტრატეგიებზე და ოპერატიულ ხელოვნებაზე, სამხედრო-ისტორიულ და სამხედრო-პოლიტიკურ თემატიკაზე შექმნილი მონოგრაფიებისა და სპეციალური სახელმძღვანელოების ავტორი. მათ შორის:

- დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. (მონოგრაფია - ავტორი). 522 გვ. 2007 წელი.
- საქართველოს ისტორია (მოკლე კურსი). (დამხმარე სახელმძღვანელო - თანაავტორი). 234 გვ. 2011 წელი.
- საქართველოს სამხედრო ისტორია (ორი ტომი). (სახელმძღვანელო - თანაავტორი). 472 გვ. 2012 წელი.
- ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორია (ოთხი ტომი). (სახელმძღვანელო - ავტორი-შემდგენელი). 1480 გვ. 2013 წელი.
- რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები). (მონოგრაფია - ავტორი). 428 გვ. 2014 წელი.
- რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ენიგმა (1920-1922). (მონოგრაფია - ავტორი). 535 გვ. 2015 წელი.
- სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია - სალამინიდან ერაყის ომამდე. ტომი I. სალამინიდან ცუშიმამდე. (დამხმარე სახელმძღვანელო - შემდგენელ-რედაქტორი). 521 გვ. 2018 წელი.
- სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია - სალამინიდან ერაყის ომამდე. ტომი II. ლიეჟიდან ერაყის ომამდე (დამხმარე სახელმძღვანელო - შემდგენელ-რედაქტორი). 728 გვ. 2019 წელი.
- მწვანე ნახევარმთვარე წითელი ვარსკვლავის ორბიტაზე - ისლამინტერნი, რევოლუციური პანისლამიზმი თუ დიდი თურანი? (მონოგრაფია - ავტორი). 210 გვ. 2020 წელი.

არჩილ ჩაჩხიანი არის ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი, თადარიგის პოლკოვნიკი, ისტორიის დოქტორი, სრული პროფესორი. ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

UDC (უაკ) 94 (479.25:479.22)+355.1(479.24)+355.1(479.22)
ჩ - 329

დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

არჩილ ჩაჩხიანი

სომხეთ-საქართველოს ომი

ნაწილი I

„სომხური საკითხის“ დასმიდან დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიებამდე

Archil Chachkhiani

Armenia-Georgia War

Part One - From Formulating of “Armenian Question” to Strategies of Opposing Sides

რედაქტორი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვახტანგ გურული**
რეცენზენტი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ავთანდილ სონღულაშვილი**

ტექნიკური რედაქტორი: პოლიტოლოგიის დოქტორი, პოლკოვნიკი **ნოდარ ხორბალაძე**
ტექნიკური ჯგუფის უფროსი: **ზაზა ტვინაძე**
რუკების ავტორი: **გიორგი ფარცხალაძე**
დამკაბადონებელი: **სალომე პოპიაშვილი**
დიზაინერი: **ვახტანგ ონიანი**

განხილული და მოწონებულია დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ

© საავტორო უფლებები დაცულია. All rights reserved.
© არჩილ ჩაჩხიანი, 2022.

ISBN 978-9941-8-4461-4 (ორივე ნაწილის)
ISBN 978-9941-8-4462-1 (პირველი ნაწილის)

საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის
კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტი

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20
ტელ.: +995 32 91-19-83
ტირაჟი 255

თბილისი
2022

9 789941 844621